ელდარ ბუბულაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს

(1811-1917 წწ.)

გამომცემლობა „ახალი ივერონი"

თბილისი
2022

ნაშრომში შესწავლილია ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს მართლ–მადიდებელი ეკლესიის ისტორია ეგზარქოსობის დროს. ძირითადი საკითხის გან–ხილვამდე საჭიროდ მივიჩნიეთ ზოგადად წარმოგვეჩინა რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლე–სიის ავტოკეფალიის გაუქმებას და ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის რეორგანი–ზაციის საკითხის განხილვას. ნაშრომში ნაჩვენებია ავტოკეფალიის დაკარგვით გამოწვეული მძიმე შედეგები; დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკისა და რუსი ეგზარქოსების ანტიქართული საქმიანობის ჩვენებას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ასიმილაციას. ნაშრომში განხილულია ქართველი საერო და სასულიერო პირთა ბრძოლა დაკარგული ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რაც 1917 წლის 12 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლე-სიის ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას მალე, 1918 წლის 26 მაისს, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენაც მოჰყვა.

რედაქტორები: **დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია**
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

მერაბ კეზევაძე
ისტორიის დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი: **ნინო ბურდული**

ნაშრომიდან ნებისმიერი ილუსტრაციის ან რაიმე მასალის გადაბეჭდვა, გადაღება და მისი გავრცელება სხვადასხვა ფორმით, ხოლო ნაშრომის გამოყენება მითითების გარეშე ავტორის ინტელექტუალური საკუთრების დარღვევას წარმოადგენს და ისჯება მოქმედი კანონმდებლობით.

ISBN 978-9941-8-3532-2
© ელდარ ბუბულაშვილი
© გამომცემლობა „ახალი იერონი"
ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე (ზოგადი მიმოხილვა) 23

თავი II. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რეორგანიზაცია ... 64

§1. რუსეთის ცარიზმის ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის ... 64

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი) 117

თავი III. რუსეთის ცარიზმის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ... 150

§1. რუსეთის ცარიზმის ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის ... 150

§2. საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ... 176

§3. ქართველი სამღვდელოება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ... 208

თავი IV. საქართველოს საეგზარქოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ... 237

§1. რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ... 237

§2. ცვლილებანი საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობაში ... 260

§3. საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიები ... 282

§4. საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ... 300

თავი V. სამისიონერო მოღვაწეობა და სასულიერო სასწავლებლები რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში ... 343

§1. „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის ისტორიიდან ... 343

§2. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან ... 349

§3. სასულიერო სასწავლებლები რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში 379

თავი VI. ქართველი საზოგადოების ბრძოლა საეკლესიო სიწმინდეთა შესანარჩუნებლად 417

§1. ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის დროს 417

§2. საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან 440

§3. საკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარება ეგზარქოსობის დროს 450

§4. საკლესიო ჟურნალისტიკა 470

თავი VII. ქართველი საზოგადოება რუსეთის ცარიზმის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში 496

§1. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სამღვდელოება ქვეყნისა და სარწმუნოების სამსახურში 496

§2. თერგდალეულები ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში 531

თავი VIII. საქართველოს საეგზარქოსო 1901-1917 წლებში და ქართველი საზოგადოების ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღგენისათვის 558

რეზიუმე 710

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს მიერ 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაცულ სადოქტორო დისერტაციას, თემაზე: „საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში".[1] მართალია, აღნიშნული ნაშრომი სრული სახით დღემდე არ დაბეჭდილა, მაგრამ წლების მანძილზე ამ ნაშრომის დიდი ნაწილი სტატიების სახით გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე მაღალ რეინტინგულ გამოცემებში.

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნდება, როგორც სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები, აგრეთვე ჩვენს მიერ დამატებული ახალი თავები და ისეთი საკითხები, რომელიც მოცულობის შეზღუდვის გამო სადისერტაციო ნაშრომში საერთოდ არ არის განხილული, ანდა საკვალიფიკაციო თემაში ზოგიერთი მათგანი ზოგადი სახით იყო წარმოდგენილი. აღნიშნულის გამო ნაშრომის მოცულობა საგრძნობლად, თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხების კვლევა მეტად აქტუალურია. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ეგზარქოსობის დროს ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხების შესწავლა. საკვლევი პერიოდი, მომხდარი მოვლენების თვალსაზრისით, ტრაგიკული ეტაპია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისისათვის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების სახით იყო წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველო მცხეთის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო ქუთაისში არსებულ აფხაზთა ანუ ლიხთ-იმერეთის კათოლიკოსს ემორჩილებოდა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმებას საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებაც მოჰყვა. ერთმორწმუნეობის მიუხედავად, რუსეთის ცარიზმმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად იგი თავისი პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩააყენა. რუსეთის სასულიერო უწყების გარდაქმნები შეეხო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თითქმის ყველა მხარეს, დაწყებული საეკლესიო შესამოსელით და დამთავრებული წირვა-ლოცვით.

---

1 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 1-349; დისერტაცია, ქართულ და რუსულ ენებზე არსებული ავტორეფერატი (მაცნე) დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

გატარებული ღონისძიებებით საქართველოს ავტოკეფალიაწართმეული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საეგზარქოსოს სახით იყო წარმოდგენილი, რუსეთის უწმინდესი სინოდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობაში ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა გარდაქმნა მიზნად ისახავდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული საეკლესიო ტრადიციების მოსპობას, რომლითაც საქართველოს ეკლესია მართლმადიდებელ სამყაროში თავის თვითმყოფადობას ინარჩუნებდა.

შესასწავლი საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით ქართულ და უცხოურ წყაროებზე და შესაბამის ისტორიოგრაფიულ ნაშრომებზე დაყრდნობით ნაშრომის პირველი თავი დავუთმეთ რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის საკითხების განსახილვას უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, რომელიც დღემდე საგანგებოდ კვლევის საგნად არავის გაუხდია. თუმცა, ცალკეულ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში აღნიშნული საკითხი ფრაგმენტული სახით არის წარმოდგენილი.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია, რომლის ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობა XX საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მართალია, უკანასკნელ პერიოდში საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ შეუსწავლელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის სწორედ ისეთ საკითხებს აშუქებს, რომელიც დღემდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

წარმოდგენილი ნაშრომის უმთავრესი მიზანია, მონოგრაფიულად შევისწავლოთ დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ეგზარქოსობის პერიოდში.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ჩვენს ამოცანას შეადგენდა წარმოგვედგინა: თუ რა როლს ასრულებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ჯერ კიდევ, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში; თუ როგორი მეთოდებითა და საშუალებებით იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ რუსი მოხელეები საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის; რუსეთის უწმინდეს სინოდისადმი დაქვემდებარების მიზნით, როგორ მოახდინა ცარისტულმა იმპერიულმა ხელისუფლებამ საქართველოს თვითმყოფადი მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია; რა პოზიცია დაიკავა ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ და როგორ იცავდნენ ისინი დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებებს, როგორ იბრძოდნენ უძველესი საეკლესიო სიწმინდეთა შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, გვსურდა გაგვერკვია, თუ რა საეკლესიო პოლიტიკას ატარებდა რუსეთის ცარიზმი საქართველოში. ამ მიზნით, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით,

შევისწავლეთ საქართველოს საერო რუსული ხელისუფლების როლი ეკლესიის მიმართ. მივუთითეთ მათი საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აღნიშნულთან ერთად, გვსურდა გვეჩვენებინა, თუ როგორი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ავტოკეფალისტთა მოძრაობაზე XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, რომელიც შემდგომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით დამთავრდა. ჩვენი სურვილი იყო აგრეთვე, წარმოგვეჩინა, თუ რა როლს ასრულებდა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკაში საქართველოში განხორციელებული სამისიონერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველი ათეულის პოლიტიკური და საეკლესიო ვითარების ფონზე. აქვე ყურადღება გამახვილებულია ბრძოლის იმ მეთოდებზე, რომელთაც რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის იყენებდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, დაწვრილებითაა შესწავლილი ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დაარსებული ახალი მმართველობის ორგანოების სასულიერო დიკასტერიისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქცია, მათი როლი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციაში.

ნაშრომში დიდი ადგილი უკავია რეორგანიზაციის დროს ახლად ჩამოყალიბებული საეკლესიო თანამდებობების: ეგზარქოსის, ვიკარ-ეპისკოპოსის, ბლაღოჩინის (კეთილმოწესე), მნათეს და სხვა დამკვიდრებას. გარკვეულია მათი წარმომავლობა და ქართულ სინამდვილეში მათი როლი.

გაირკვა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. მისი გარდაქმნის პირველი ეტაპი ვარლამ ეგზარქოსის სახელს უკავშირდება და მოიცავს 1811-1814 წლებს. მეორე ეტაპზე რეორგანიზაცია 1814-1815 წლებში განხორციელდა, მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის მიერ, რომლის დროსაც დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მესამე ეტაპი, რომელიც 1818 წელს დაიწყო, დაკავშირებულია ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის სახელთან. მის მიერ შემუშავებულმა საეკლესიო მართვის სისტემამ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება. 1885 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მოხდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია, რომელმაც უცვლელი სახით 1917 წლამდე იარსება.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დასავლეთ საქართველოში განხორციელებულ საეკლესიო გარდაქმნებს. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ახსნილია ის მიზეზები, რომლის გამოც 1814 წელს ქუთაისში არ დაარსდა სასულიერო დიკასტერია.

დღემდე უცნობ წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში დაწვრილებითაა შესწავლილი, თუ როგორ მოახდინა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით დადგენილია საეკლესიო შემოსავლის წყაროები, გამოკვეთილია ის მიზეზები, რომლებმაც გაახანგრძლივა საეკლესიო ქონების ხაზინისადმი დაქვემდებარების პროცესი.

ნაშრომში გაშუქებულია, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ სამონასტრო ცხოვრება. ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით მოიშალა ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია და დამკვიდრდა სლავური წეს-განგება.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ოცეულში. ქართულ, რუსულ და სხვა უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ობიექტურად წარმოჩენილია მათი მოღვაწეობა, ყურადღება გამახვილებულია თითოეული ეგზარქოსის საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ნაშრომში ცალკე წარმოვადგენთ სხვადასხვა დროს არსებულ საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიების ზოგად მიმოხილვას. მითითებულია, რომ აღნიშნული ეპარქიების ხშირი ცვალებადობა რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესატყვისად ხდებოდა. აქვე საარქივო წყაროებზე დაყრდნობით მოცემული გვაქვთ თითოეული ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრების ზეობის წლები. წყაროებით ირკვევა, რომ ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის მიერ შედგენილი XIX საუკუნის ეპარქიების ზოგიერთი მღვდელმთავრის მმართველობის წლები არასწორია, რომლის ჩასწორებას ჩვენ ახლადგამოვლენილი წყაროების საშუალებით ვახდენთ.

ახალი საარქივო მასალების საფუძველზე ახლებურადაა გააზრებული, თუ რა როლს ასრულებდა სასულიერო განათლება და სამისიონერო მოღვაწეობა რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკაში. ნაჩვენებია, რომ რუსეთის ცარიზმი საეკლესიო-საგანმანათლებლო და სამისიონერო პოლიტიკას კარგად იყენებდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაციის განხორციელებისათვის.

ნაშრომში პირველად არის გაშუქებული ქართველი სამღვდელოების მონაწილეობა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ნაჩვენებია, რომ ქართველი სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველ ოცეულში მიმართულ ყველა გამოსვლაში.

პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესწავლილია თერგდალეულების ღვაწლი ქართველთა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ისინი თავიანთი შემოქმედებითი თუ პრქტიკული საქმიანობით ამხელდნენ ცარისტული რუსეთის ანტისაეკლესიო და ანტიქართულ მოღვაწეობას და შესაბამისად საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამდნენ ხელისუფლების განზრახვის შესასუს-

ტებლად. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თერგდალეულებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული სასულიერო პირების (წმინდა მღვდელმოწამე კირიონ მეორე (საძაგლიშვილი), წმინდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია), წმინდა მღვდელმთავარი კალისტრატე (ცინცაძე), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) და სხვ.) მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ნაშრომში ნაჩვენებია, ქართველი საერო და სასულიერო პირები თუ როგორ მზრუნველობას იჩენდნენ საეკლესიო სიწმინდეების გადარჩენისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი საერო და სასულიერო პირთა ინიციატივით დაარსებულმა საეკლესიო მუზეუმმა. ნაშრომში საარქივო წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია საეკლესიო მუზეუმის ისტორია, ნაჩვენებია მისი როლი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებაში და სხვა.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა ქართველი საერო და სასულიერო პირთა ბრძოლას უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენაში, რომელსაც ეგზარქოსობის დროს გაქრობის საფრთხე დაემუქრა.

ნაშრომში, პირველად ისტორიოგრაფიაში, შესწავლილია ეგზარქოსობის დროს ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის საკითხები. ნაჩვენებია, რომ ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა იმ დროს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია დაკარგული ჰქონდა. შრომის ამ ნაწილში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეფასებულია პლატონ იოსელიანის, მელიტონ ფომინ-ცაგარელის, მოსე ჯანაშვილის, მიხეილ საბინინის, ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ამბროსი ხელაიას, მიხეილ თამარაშვილის, ევსევი ნიკოლაძის, მელიტონ კელენჯერიძის და უცხოელი მკვლევარების: სოლომონ სიზარ მალანისა და დოულინგის ღვაწლი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის კვლევაში. შეძლებისდაგვარად შეფასებულია მათი ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, ყურადღება გამახვილებულია კვლევის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე და სხვა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეგზარქოსობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები ძირითადად რუსულ ენაზეა შესრულებული, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი უცხოელებს და მათ შორის რუსეთის საზოგადოებას სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონოდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მდიდარი წარსულის შესახებ.

ნაშრომში დაწვრილებითაა შესწავლილი ეგზარქოსობის დროს გამოცემული საეკლესიო ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები; ნაჩვენებია მათი მიმართულება; მათი როლი რელიგიურ-სარწმუნოებრივი და საჭირბოროტო ეროვნული საკითხების გაშუქებაში. აღნიშნულია, რომ საეკლესიო ჟურნალისტიკამ დიდი როლი შეასრულა არა მარტო სასულიერო, არამედ ქართვე-

ლი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

ახლადგამოვლენილი საარქივო მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ XX საუკუნის დასაწყისში დაწყებულ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში ერთსულოვნება არ ყოფილა. ავტოკეფალისტთა მცირე ნაწილი რომის კათოლიკურ სამყაროსთან უნიის მომხრე იყო, ზოგი იმედს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქზე ამყარებდა, ზოგი კი ხელსაყრელ პირობებსა და დროს ელოდა მის მისაღწევად, ზოგიერთი ავტოკეფალისტი იმაზეც იყო თანახმად, რომ ეგზარქოსად ქართველი დაენიშნათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ქვეყნდება დღემდე უცნობი საარქივო მასალები.

ნაშრომში გარკვეულია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა დამოკიდებულება ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ, მართალია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი წევრი ათეისტურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ მთლიანად პარტია მხარს უჭერდა ავტოკეფალისტთა მოძრაობას, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა მათ პოლიტიკურ პლატფორმას შეესატყვისებოდა.

ახლად გამოვლენილი მასალების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ საერთაშორისო მასშტაბის სახე მიიღო, რაშიც დიდი როლი უცხოეთში მოღვაწე ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა შეასრულა.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის ცალკეული საკითხებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში საინტერესო გამოკვლევები გამოქვეყნდა. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მღვდელმთავრის – კირიონ საძაგლიშვილის ნაშრომები. 1901 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა კირიონ ეპისკოპოსის ნაშრომი „Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие." აღნიშნული შრომა საქართველოს ეკლესიის უმძიმეს პერიოდს ეხება, როცა ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. მკაცრი ცენზურის მიუხედავად აღნიშნული შრომა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ავტორი საარქივო წყაროებზე დაყრდნობით დაწვრილებით განიხილავს ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხებს. კირიონ ეპისკოპოსის აღნიშნულმა შრომამ იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა.[2] მეტად საინტერესოა აგრეთვე 1900 წელს დაბეჭდილი კირიონ საძაგლიშვილის მეორე შრომა „Назревший вопрос ко дню столетыя присоединение Грузии к Росии," რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-100 წლისთავს ეძღვნება. ამ მცირე მოცულობის ნაშრომში ეპისკოპოსმა კირიონმა რუსულენოვან საზოგადოებას გააცნო, თუ რა

2 Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие Тифлис, 1901, Рецензия, „Кавказский Вестник," 1902, №1, стр. 108-119.

სიმდიდრეს ფლობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სიწმინდეებისა და უძველესი მანუსკრიპტების სახით. მანვე, ამავე ნაშრომში, მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით წინადადება წამოაყენა, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა.[3] აგრეთვე საინტერესოა წმინდა კირონ მღვდელმთავრის მიერ ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1907 წელს სანკტ-პეტერბურგში „ცხუმელის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაშრომი „Абхазия. Церковно-исторически эскиз." ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, მის ავტორად მიჩნეულია ამბროსი ხელაია.[4] ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალებით, რაც აგრეთვე მკვლევარ ჯემალ გამახარიას მიერ მოპოვებული წყაროებითაც დასტურდება, დასახელებული ნაშრომის ავტორი ნამდვილად წმინდა მღვდელმთავარი კირიონ საძაგლიშვილია.[5] წყაროების აღნიშვნით, ეპისკოპოს კირიონს 1907 წელს პეტერბურგში იქ მყოფი ქართველების დახმარებით დაუარსებია წიგნის გამოცემლობა „საქართველო." ამ გამომცემლობის სახელით არის გამოცემული მისი ზემოთ აღნიშნული ნაშრომი. გამომცემლობას გამოსაცემად მოუმზადებია საქართველოსთან დაკავშირებული სხვა ნაშრომები, მაგრამ ეპისკოპოს კირიონის დევნის გამო მათი გამოცემა ვეღარ მოხერხებულა.[6]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით ეპისკოპოსმა კირიონ საძაგლიშვილმა 4 მოხსენება წაიკითხა პეტერბურგში რუსეთის სინოდის მიერ საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე. მისმა მოხსენებებმა – „Грузинский церковний вопрос (историко-каноническая основания);" „Что вынуждает грузии добиватся восстановления автокефалии своей Церкви?;" „Какой Иверии дарована автокефалия в XI веке?" „национальный вопрос в церкви" – მოწინააღმდეგეთა ყურადღება დაიმსახურა.

1905-1908 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის გამო, როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევარების მიერ რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1905 წელს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ორი შრომა, რომელშიც წერილობითი წყაროების მოშველიებით ისტორიულად დადასტურებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობა.[7] ამავე პერიოდში „Toncmelis" ფსევდო-

---

3 Е. К. Назревший вопрос ко дню столетия присоединение Грузии к России, Тб., 1900, стр. 16

4 ს. ლეკიშვილი, დავიწყებული უმნიფარი წიგნი და მისი ამჟამინდელი დამფასებლები, გაზეთი „სახალხო განათლება", 1990, 1 ნოემბერი.

5 წმინდა მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006.

6 Цхумели, Абхазия. Церквовно – Исторический эскиз, Санкт-Петербург, 1907, стр. 2; შდრ. РГИА, ф. 778, опись 4, д. 117, лл. 14.

7 К. Цинцадзе, Автокефалия грузинской церкви, Тб., 1905.

ნიმით მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც საინტერესოდაა გადმოცემული რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში.[8]

1906 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის სათათბიროს სხდომებზე მოხსენების სახით წაკითხულ იქნა ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ნიკო მარის, ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდეს მოხსენებები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.[9]

1905-1910 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ზოგიერთი რუსი სწავლული და სასულიერო პირი უჭერდა მხარს. მათ თავიანთი მოსაზრებანი ჩამოაყალიბეს ამ თემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. ამ მხრივ, დიდად იღვაწა ქართული ეკლესიის დიდმა გულშემატკივარმა ნიკოლოზ დურნოვომ, რომელიც რუსულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა წერილებს ქართველ ავტოკეფალისტთა მხარდასაჭერად. მანვე რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს ეკლესიის უიმედო მდგომარეობას.[10]

1905-1907 წლებში საქართველოს საეგზარქოსოს ჟურნალში „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბე" როგორც ქართველი ისე რუსი მოღვაწეების მიერ საინტერესო პუბლიკაციები გამოქვეყნდა ავტოკეფალიის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოში მოღვაწე რუსი სასულიერო პირის ნიკანდრ პოკროვსკის ნაშრომი.[11] ამავე ჟურნალში, შემდგომ კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა ვ. სამოილოვის ნაშრომი, რომლის მოსაზრებანი ქართველი საეკლესიო მკვლევრების მიერ იქნა გაკრიტიკებული.[12] საეკლესიო ისტორიის რუს მკვლევართა უმეტესობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოდიოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1906 წელს ხარკოვში გამოიცა დეკანოზ ტ. ბუტკევიჩის მცირე მოცულობის ნარკვევი.[13] მასში არასწორადაა წარმოჩენილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის წარსული.

---

8 Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси.

9 А. Цагарели, Свидетельства официальных документов XVII и XVIII веков об автокефалии Грузинской церкви, Церковный вопрос, 1907, №3; Н. Марр, Из истории православной церкви в Грузии; Ср. Н. Марр, Исторический очерк Грузинской церкви с древнейших времен (К вопросу об автокефалии Грузинской церкви), Национальная Академия наук РА институт востоковедения академик Н. Я. Марр, К 140 – летию со дня рождения и 70-летию кончины ученого, под редакций П. М. Мурадяна, Ереван, 2005, стр. 167-217.

10 Н. Дурново, Судьба Грузинской церкви, 1907; Тойсив По поводу речей протоиерея Иоанна Восторгова об убиенном русском экзарх Грузии превосвященном архиепископ Никон, М., 1908, Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской со епископами 120 епархии и католикосов Мцхетских и Имеретинского Абхазских; Мутный источник или по поводу речи Р. Пуришкевича в Государственной Думе по делам Грузинской церкви, М., 1909 და სხვა.

11 Духовный вестник грузинского экзархата, 1906, №6.

12 В. Самоилову, Историческая справка по вопросу об автокефальности грузинской церкви, Дух. вест. Груз, экзар. 1906, №5-6-7.

13 Прот. Г. Буткевич, К вопросу об автокефалии Грузинской церкви, 1906, Харков.

მეტად ფასეულია 1906 წლის 2 ივნისიდან იმავე წლის 15 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი პეტერბურგში გამართული საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომების სტენოგრაფიულად ჩაწერილი ოქმები, რომელიც ქვეყნდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის გამოცემაში „Церковныя Ведомости." აღნიშნული მასალები 1907 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, ხოლო მეორე გამოცემა 2014 წელს განხორციელდა.[14] გარდა სტენოგრაფიული ჩანაწერებისა დასახელებულ გამოცემებში გამოქვეყნებულია როგორ ქართველი, აგრეთვე რუსი მკვლევარების ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მასალების გამოქვეყნების დროს ხელისუფლების ინტერესების დამცველები ცდილობდნენ ზოგიერთი ფაქტის დამახინჯებას და სურდათ სხდომებზე მიმდინარე მოვლენები ისეთი სახით წარედგინათ მკითხველის წინაშე როგორც მათთვის იყო მისაღები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს თედო ჟორდანიას, სერგი გორგაძის, ილია ფერაძის, ქართველი სასულიერო პირების: დეკანოზ კონსტანტინე ანთაძის, დეკანოზ ილია შუბლაძის და სხვათა რუსულ და ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები განხილულია და ამავე საკითხზე მოწინააღმდეგე რუსი მკვლევრების კრიტიკა მოცემულია ცნობილი ქართველოლოგის ალექსანდრე ცაგარელის 1912 წელს რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში.[15] ამავე ნაშრომში აგრეთვე ქვეყნდება მის მიერ 1906 წელს პეტერბურგში გამართულ საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომაზე წარმოთქმული მისი მოხსენება. აღნიშნული მოხსენება: „მოწმობანი XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალურ მიმოწერებისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ" 1911 წელს ქართულადაც გამოქვეყნდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის ამავე ნაშრომში სათანადო ყურადღება ექცევა ეგზარქოსობის დროს რუსეთის ცარიზმის მიერ გატარებულ ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის ჩვენებას.

მეტად ფასეულია 1912 წელს ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) მიერ პიატიგორსკში გამოქვეყნებული მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელშიც მოკლედ, მაგრამ მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გადმოცემუ-

14 „Церковныя Ведомости," 1906, 47; 51-52; 1907, 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С.–Петербург, 1907, стр. 1-319; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 3-403.

15 А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, С.П., 1912. .

ლია ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოში მოღვაწე რუსი ეგზარქოსები რუსეთის უწმინდესი სინოდის მითითების საფუძველზე ახორციელებდნენ.[16]

ნიკოლოზ დურნოვოს გარდა საქართველოში მოღვაწე რუსი ეგზარქოსების ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის ჩვენებას მიეძღვნა 1901 წელს თბილისში არალეგარულად, ცენზურის გავლის გარეშე გამოცემული ნაშრომი – „Что сделала Россия в течении столетия (1801-1901) для русской церкви и общества в духовно-религиозном отношении." სამწუხაროდ, უცნობია ნაშრომის ავტორი და გამომცემელი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-100 წლისთავის მზადების პერიოდში გამოიცა ნაშრომი, რომელშიც პირუთვნელად არის წარმოჩენილი ის უარყოფითი შედეგები, რაც რუსეთის ცარიზმის საქმიანობამ საქართველოს ეკლესიას სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ მიაყენა.[17]

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქართული ისტორიოგრაფია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხების შესწავლას. ამ პერიოდში მხოლოდ ათეიზმის კუთხით ხდებოდა რელიგიის ისტორიის საკითხების გაშუქება. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც ქვეყნდებოდა ცალკეული ნაშრომები, რომლებიც მეტნაკლები სისრულით წარმოაჩენენ ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას. ამ მხრივ, აღსანიშნავია მირიან ხუციშვილის ორი ნაშრომი, მიხეილ გუგუტიშვილის მცირე მოცულობის პუბლიკაცია და სხვა.[18] მკვლევარი მირიან ხუციშვილი ძირითადად რუსეთის არქივებში მოძიებულ მდიდარ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკურ პროფილს. მისი ნაშრომის პირველ ნაწილში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხებს და სხვა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა კეთილმყოფელი გავლენა იქონია საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარებაზე. ამ პერიოდში ქართული პერიოდული პრესა საინტერესო პუბლიკაციებს აქვეყნებდა საეგზარქოსოსა და იმ დროს მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა შორის აღსანიშნავია გელა საითიძის, სოლომონ ლეკიშვილის, აკაკი მინდიაშვილის და სხვათა ნაშრომები. XX საუკუნის 90-იან წლებში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან

16 Еп. Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, Пятигорк, 1912.

17 არალეგალურად გამოცემული აღნიშნული ნაშრომი დღესაც არ მოიპოვება ჩვენ წიგსაცავებსა და ბიბლიოთეკებში. მისი ქსეროასლი ოქსფორდში დაცული მარჯორ და ოლივერ უორდროპების ბოდლიანას ბიბლიოთეკიდან ჩამოგვიტანა პროფესორმა გოჩა ფერაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

18 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987; მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978.

დაკავშირებით რამდენჯერმე გამოქვეყნდა სერგო ვარდოსანიძის ნაშრომი, რომელიც კათოლიკოს კირიონ მეორის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეძღვნება. მანვე საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა კათოლიკოს-პატრიარქების: ლეონიდე ოქროპირიძის, ამბროსი ხელაიასა, კალისტრატე ცინცაძის, ქრისტეფორე ციცქიშვილის და ეფრემ სიდამონიძის მოღვაწეობას. მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ეყრდნობა სერგო ვარდოსანიძის კიდევ ერთი შრომა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასწლოვანი ქრონიკის, კერძოდ კი, 1899-1999 წლების ისტორიას გადმოგვცემს.[19]

სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით, მეტად ფასეულია ქეთევან პავლიაშვილის მიერ 1995 წელს გამოცემული საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია 1900-1917 წლებში. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს არქივსაცავებში ავტორის მიერ ახლად გამოვლენილ წყაროებს. მასში კარგადაა ნაჩვენები XX საუკუნის პირველ ათეულში რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ანტისაეკლესიო პოლიტიკა. აგრეთვე საინტერესოა მის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები, რომელიც უშუალოდ ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება.[20]

XIX-XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომებიდან აღსანიშნავია გივი როგავას შრომა „რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.)." მასში ავტორის მიერ ახლად გამოვლენილი მასალების საფუძველზე საინტერესოდაა გადმოცემული რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში. აღნიშნული საკითხის დამუშავების დროს ავტორი იყენებს აფხაზეთის არქივებში მოძიებულ მასალებს. გივი როგავას მიერ მოპოვებულ მასალებს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან XX საუკუნის 90-იან წლებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ომის დროს, არქივები ფიზიკურად განადგურდა.[21]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხს მიეძღვნა არაერთი მკვლევარის ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია ზაზა აბაშიძის, ნუგზარ პაპუაშვილის, აკაკი ვარაზაშვილის, შორენა ჯაფარიძის, თამარ ფხალაძის, გვანცა ბურდულის, ვაჟა კიკნაძის და სხვათა შრომები.[22]

---

19 ს. ვარდოსანიძე, საქართველოს ეკლესია 1899-1999 წლებში. ასწლოვანი ქრონიკა, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო, გვ. 20-33.

20 ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო, 1900-1917 წლებში, თბ., 1995). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, 2008; ქ. პავლიაშვილი, საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, თბ., 2008.

21 გ. როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზეთში, თბ., 1997; შდრ. გ. როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917 წ.წ.), თბ., 1997.

22 ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX საუკუნის დასაწყისი 1917 წლამდე), თბ., 2000; შდრ. შ. ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003; შდრ. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორი ეპოქის მიჯნაზე, თბ., 1999; შდრ. ვ. კიკნაძე, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX

ცალკე აღნიშვნის ღირსია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის დამსახურება XIX-XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხების კვლევაში. აღნიშნულ საკითხების შესახებ მან ჯერ კიდევ 1998 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი. ამავე საკითხებს ეხება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეოთხე ტომი. გარდა ამისა, მანვე ცალკე, სამ წიგნად გამოსცა „საქართველოს საეკლესიო კრებები," რომლის მესამე წიგნი XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემების განხილვას მიეძღვნა. აღნიშნული შრომა გაერთიანებული სახით 2010 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები)." [23]

თბილისში, სიონის საკათედრო ტაძართან არსებული საეკლესიო მუზეუმის დაარსების საკითხებს ეხება ი. იაკობაშვილის, გ. ჩხაიძის და ნ. კვიციანის გამოკვლევები.[24]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა მკვლევრების: ოთარ ჯანელიძის, თამარ შაკიაშვილის, ხათუნა ქოქრაშვილის ნაშრომები. ოთარ ჯანელიძის ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესწავლილია, თუ რა ადგილი ეკავა XX საუკუნის პირველ ოცეულში არსებული პოლიტიკური პარტიების პროგრამებში საქართველოს ეკლესიის საკითხებს. აღნიშნული საკითხი აგრეთვე წარმოჩენილია ოთარ ჯანელიძის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში.[25]

ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი), თბ., 2009; შდრ. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან," გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ., 2005; შდრ. თ. ფხალაძე, თვითმპყრობელური რუსეთის ბრძოლა ქართული საეკლესიო ენის წინააღმდეგ XIX საუკუნის II ნახევარში, კულტურისა და ისტორიის საკითხები, XXI, თბ., 2005; შდრ. თ. ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში (პეროდული მასალების მიხედვით), თბ., 2018; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი, (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი), (1906 წელი), თბ., 2011; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, (1906), თბ., 2012.

23 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართვეოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, თბ., 2001; შდრ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, წიგნი III, თბ., 2003; შდრ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული (საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები), თბ., 2010.

24 ი. იაკობაშვილი, საეკლესიო მუზეუმი საქართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება, ხელოვნება, 2001, 3; შდრ. ნ. კვიციანი, ქართველი სამღვდელოების როლი ეროვნული საეკლესიო მუზეუმის დაარსების საქმეში, კულტურის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1998, გვ. 37-38; გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფოს მუზეუმი, თბ., 2003, გვ. 202-225.

25 ო. ჯანელიძე, საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცეულში, საისტორიო შტუდიები, II, 2001, გვ. 126-132; შდრ. თ. შაკიაშვილი, ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარებელი" და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2004, გვ. 131-151; შდრ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს ეხება ალექსანდრე ბენდიანიშვილის, დიმიტრი შველიძის, შოთა ბადრიძის და სხვათა ნაშრომები.[26]

მართალია, ქართველი სამღვდელოების მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დღემდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია, მაგრამ მკვლევართა მცირე ნაწილმა საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნეს 1819-1820 წლების „საეკლესიო ბუნტისა" და 1832 წლის შეთქმულების შესახებ, რომელთა ნაშრომებში გარკვეული ადგილი ეთმობა ქართველი სასულიერო პირების ღვაწლის წარმოჩენას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნიკოლოზ მახარაძის, ეთერ ორჯონიკიძის, მანანა ხომერიკის, ლევან ტყეშელაშვილის და სხვათა ნაშრომები.[27]

ქართული ისტორიოგრაფიული ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მკვლევარ ჯემალ გამახარიას ბოლო დროს გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროები, რომელიც ეხება წმინდა მღვდელმთავრის გაბრიელ ქიქოძის, წმინდა მღვდელმთავრის ალექსანდრეს (ოქროპირიძე), წმინდა მღვდელმოწამე კირიონის (საძაგლიშვილი), წმინდა ამბროსი აღმსარებლის (ხელაია) მოღვაწეობას აფხაზეთში. საინტერესოა მისივე ვრცელი მონოგრაფია მართლმადიდებლობა აფხაზეთში უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის პირველ ოცეულში. ახლადგამოვლენი დოკუმენტების სიუხვით გამოირჩევა აგრეთვე ჯემალ გამახარიას წმინდა ამბროსი აღმსარებლის (ხელაია) 150 წლისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.[28]

ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 109-130; შდრ. ხ, ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმინდეს სინოდში (1905-1907 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 240-259..

26 ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, 1801-1921, თბ., 1999, გვ. 184-190; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 45-61; შდრ. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, ნარკვეთი I, ფედერალისტები, თბ., 1993, გვ. 299-201; შდრ. დ. შველიძე, ქართველ ფედერალისტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან (1905-1907 წწ.), პოლიტიკა, 1991, 11-13, გვ. 67; შდრ. შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1987, 1.

27 Н. Махарадзе, Восстание в имеретии 1819-20 гг., Материали по истории Грузии и Кавказа, Тб., 1942, вып. III; შდრ. ე. ორჯონიკიძე, 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს ხალხთა აჯანყება, კლიო, 2003, გვ. 61-115; შდრ. მ. ხომერიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბ., 1999; შდრ. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012.; შდრ. ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი: დოსითეოსი და ეფთვიმე, 1820 წ. სიცოცხლე უფალთან გრძელდება, ქუთაისი, 2005.

28 წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007; შდრ. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006; წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006; შდრ. წმინდა მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006; შდრ. ჯემალ

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას ეძღვნება პროფესორ ვახტანგ გურულის ნაშრომი, რომელიც მხოლოდ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ „აქტების" მასალებს ეყრდნობა.[29]

საქართველოს ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენ ვიცნობთ თითქმის ყველა იმ ნაშრომს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება აღნიშნულ საკითხს, რომელთა შორის აღსანიშნავია ვ. გურულის, ჯ. გამახარიას, თ. სიმაშვილის, თ. ღურწკაიას, ბ. კობახიძის, მ. ლაბაძის, ი. მახარაძის და სხვათა ნაშრომები.[30]

ეგზარქოსობის დროს სამონასტრო ცხოვრების შესახებ მეტად საინტერესოა მკვლევარ თამარ შაკიაშვილის საინტერესო ნაშრომი, რომელიც საქართველოს არქივებში არსებულ უცნობ წყაროებს ემყარება.[31]

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ვიცნობთ თანამედროვე რუსი მკვლევარების კ. სკურატის, ი. მელნიკოვას, ვ. ოლევსკაიას, მ. ხიჟის, ა. რიბაკოვის და სხვათა ნაშრომებს.[32] მართალია დასახელებული ავტორები

გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. 1921 წლამდე), თბ,. 2005; შდრ. ჯემალ გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) – 150, თბ., 2012.

29 ვ. გურული, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814), თბ., 2010.

30 ვ. გურული, ეგზარქოს ნიკონის მკვლელები, ჟურნალი „რელიგია," 1, 1993, გვ. 89-96; შდრ. ვ. გურული, პოლიტიკური მკვლელობის ფიზიონომია (ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?), საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, II, თბ., 2014, გვ. 88-101; შდრ. ჯ. გამახარია, წმინდა მღვდელმოწამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910 წლების გადასახლების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სახელიბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 479; შდრ. Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; иследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016; стр. 21-55; შდრ. ბ. კობახიძე, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა, ქრისტიანობის კვლევები, V, 2010, გვ. 68-87; შდრ. თ. სიმაშვილი, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები, თბ., 2011; შდრ. თ. სიმაშვილი, თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012, გვ. 230-233; შდრ. თ. ღურწკაია, თბილისის „ოხრანკის" განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა, საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდეციები და გამოწვევები," 25-27 ოქტომბერი, 2017 ნელი, გვ. 341-346.

31 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 121-149.

32 К. Скурат, Грузинский Экзархат в составе Русской Православной Церкви, Грузинская Православная Церковь, История Поместных Праваославных Церквей, В двух томах, Том первый, Москва, стр. 48-63; Sdr. И. Мельникова, К истории восстановления автокефалии Грузинской Церкви 12 марта 1917 года. - XIX Богословая конференция ПСТГУ: Материалы, т. I, М. стр. 397-406; Sdr. И. Мельникова, Церковная ситуация в Грузинском Экзархате накануне обсуждения на предсаборном присутствии 1906 г вопроса о Грузинской церкви, XXIII Богословая конференция ПСТГУ: Материалы, М. стр. 163-172; Sdr. И. Мельникова, В Олевская, Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на

საკითხის გაშუქებისას ეყრდნობიან წერილობით წყაროებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა შეფასების დროს მათი ნააზრევი ტენდენციურობით გამოირჩევა. ისინი კრიტიკულად არ აფასებენ საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტისაეკლესიო პოლიტიკას და არ მიუთითებენ იმის შესახებ თუ რა მძიმე შედეგი მოუტანა ავტოკეფალიის გაუქმებამ მრავალსაუკუნოვან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

მრავალფეროვანია წარმოდგენილი ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სიძველეთსაცავთა ფონდებში დაცულ ჩვენ მიერ გამოვლენილ საარქივო მასალებს. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები მოვიპოვეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის (ფ. 488), საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის (ფ. 489), „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" (ფ. 493), მეფისნაცვლის კანცელარიის (ფ. 13), კავკასიის სასწავლო ოლქის (ფ. 422), საეკლესიო მუზეუმის (ფ. 147), კავკასიისა და თბილისის ჟანდარმერიის ფონდებში; აგრეთვე ამავე არქივში გავეცანით ქართველი სასულიერო პირების: გაბრიელ ქიქოძის, კირიონ საძაგლიშვილის, ლეონიდე ოქროპირიძის, ქრისტეფორე ციცქიშვილის და სხვა ფონდებს. მითითებულ არქივში საინტერესო მასალები მოვიძიეთ ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) მკვლელობასთან დაკავშირებით და სხვა.

საინტერესო მასალები გამოვლინდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, თედო ჟორდანიას, არჩილ ჯორჯაძის, ვასილ კარბელაშვილის და სხვა პირად ფონდებში.

ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ახალციხის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცული მასალები. აგრეთვე მნიშვნელოვანია ქუთაისის საისტორიო არქივის მასალები, რომელთა გაცნობაში დიდი დახმარება გაგვიწია ამავე არქივის დირექტორმა, ისტორიის დოქტორმა, ბატონმა მერაბ კეზევაძე.

მეტად ფასეული აღმოჩნდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივის სინოდის ფონდში 1992-1993 წლებში მივლინების დროს ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალები, რომელიც ძირითადად ეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, ქართლ-კახეთის უკანასკნელი

покое в период 1908-1910 годов. – Вестник ПСТГУ, II, История РПЦ Вып. 6, (43), М. 2011; Sdr. М. Хижий, Из истории возрождения автокефалии Грузинской Церкви в начале XX века (Жизнь и смерть Экзарха Грузии архиепископа Никона (Софийского), http//stuentgpdu.cerkov.ru; შდრ. ფ. რიბაკოვი, „კეისრის საბრძანებლოში:" საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსტისა და სტრუქტურის პრობლემა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი, ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო გიორგი ჟუჟუნაშვილმა, თბ., 2015.

კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის რუსეთში მოღვაწეობის პერიოდს. მოძიებულ მასალებსა და წყაროებზე დაყრდნობით ამ დაუცხრომელი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ 2002 წელს გამოვაქვეყნეთ ვრცელი მონოგრაფია („საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2002, გვ. 3-202)," რომლის განმეორებითი გამოცემა განხორციელდა 2011 წელს („სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1811, თბ., 2011, გვ 2-199)."[33]

რუსეთის არქივებში მოძიებული მასალებიდან აგრეთვე საინტერესოა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებული მასალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1906 წელს რუსეთის სინოდში ქართველ მღვდელმთავართა მონაწილეობით გამართული სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები. აღსანიშნავია, რომ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივის სინოდის ფონდში დაცული მასალებიდან მეტად ფასეულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი წყაროები, რომელიც ერთი ვრცელი საქმით არის წარმოდგენილი. ამ მასალების დიდი ნაწილი საქართველოში საისტორიო ცენტრალურ არქივშიც არის დაცული. თუმცა არის ისეთი მასალებიც, რომელიც საქართველოს არქივსაცავებში არ მოიპოვება. ჩვენი ვიზიტის დროს პეტერბურგის სინოდალურ არქივს რა დასახელებაც ჰქონდა ჩვენ მას ისე ვუთითებთ. თუმცა რამდენიმე წლის წინ მისი დასახელება შეიცვალა და იგი რუსული შემოკლებული აბრიატურით ასე იწოდება – РГИА (Российский государственний исторический архив). ამ დასახელებით ვუთითებთ ახლობელი პიროვნებების მიერ ჩვენი თხოვნით არქივიდან ამოღებულ და გამოგზავნილ მასალებს.

1993 წლის ზაფხულის დასაწყისში ვიმყოფებოდით ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით მუზეუმში და საჯარო ბიბლიოთეკაში საინტერესო მასალები მოვიძიეთ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორისა და მისი თანმხლები პირების შესახებ. მოვინახულეთ მის სახელთან დაკავშირებული ადგილებიც, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დროს ეკლესია, სადაც იგი დაკრძალული იყო, დააანგრიეს, მის ადგილზე კი ამჟამად სავადმყო-

---

33 სამწუხაროდ, 2014 წელს გამომცემლობა „პალიტრა L"-მა ჩემთან შეთახმების გარეშე, ჩემი მონოგრაფიის დიდი ნაწილი, მცირე შესწორებებით გამოაქვეყნა. (იხ. წმინდა პატრიარქი ანტონ II და წმინდა ილარიონ ქართველი, საქართველოს იმედი, წიგნი 40, პროექტის რედაქტორი თ. მამაცაშვილი, შემდგენელი ს. თავაძე, თბ., 2014 გვ. 13-84), რითაც დაირღვა ჩემი საავტორო უფლება. მათ მიითვისეს ჩემი ინტელექტუალური საკუთრება. გამომცემლობა „პალიტრა L"-ის გამოქვეყნებულ წიგნს კოპირაიტი ადევს, რაც ბადებს კითხვას იმის შესახებ, რომ მე ჩემი ნაშრომის ხელახლად გამოცემის გამო მათგან უნდა ავიღო ნებართვა? მართალია, გამომცემლობამ შეიტყო ჩემი უფლებების დარღვევის შესახებ, მაგრამ დღემდე არავინ გამომხმაურებია. თუმცა სხვადასხვა გზებით შეეცადნენ ჩემს გაჩუმებას. ჩვენი უფლებების დაცვის მიზნით აუცილებლად მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, რადგან გამომცემლობა „პალიტრა L"-მა სხვა გზა არ დაგვიტოვა.

აქვე დავძენთ, რომ ბოლო დროს ჩემს მონოგრაფიაზე დაყრდნობით, ნაშრომის მითითების გარეშე, რამდენიმე „სამეცნიერო გამოკვლევა" გამოქვეყნდა, რომელთა დასახელებიდან თავს შევიკავებ.

ფოს შენობაა განთავსებული, ბარბაროსული ქმედების გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მრავალვნებულის სახელით წმინდანად შერაცხული ანტონ მეორის საფლავი დაკარგულია.

ნაშრომში აგრეთვე დაფიქსირებული მაქვს 2019 წლის ივლისში ვატიკანის არქივში რელიგიის სააგენტოს თანამშრომლისა და რომის პაპის გრეგორიანას უნივერსიტეტის დოქტორანტ სერგო ფარულავასთან ერთად მიკვლეული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაის მიერ ქართულ-ლათინურ ენებზე შედგენილი რომის პაპისადმი გაგზავნილი 1926 წლით დათარიღებული წერილი, რომლის პუბლიკაციას უახლოეს ხანში ვაპირებთ.

საარქივო მასალების გარდა, ნაშრომში გამოყენებულია გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა. ამ მხრივ, საინტერესო ცნობებია დაცული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ აქტებში.

ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია მემუარული ხასიათის ლიტერატურა და იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები. აღნიშნული მასალების ურთიერთ შეჯერებამ და ანალიზმა მოგვცა საშუალება, სრულიად ახლებურად წარმოგვეჩინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ეგზარქოსობის დროს.

დასასრულს მადლიერება მინდა გამოვხატო იმ პიროვნებების მიმართ, რომლებმაც გარკვეული დახმარება გამიწიეს ნაშრომზე მუშაობის დროს, რომელთა შორის აღსანიშნავია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგები: ქალბატონები ლულუ უსტიაშვილი და მარინა გაფრინდაშვილი; თინათინ გოგოჩაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ქალბატონი ციური კოჭლაშვილი და ბატონი ლევან თაქთაქიშვილი; ამავე ბიბლიოთეკის ქართველოლოგისა და იშვიათ გამოცემათა ფონდის ყველა თანამშრომელი. მადლობას ვუხდი ლუარსაბ ტოგონიძეს და მღვდელ გიორგი მაჩურიშვილს, რომლებმაც საინტერესო მასალები და ფოტო-მასალები მომაწოდეს საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. მადლობით მოვიხსენიებ ქუთაისის საისტორიო არქივის დირექტორს, ისტორიის დოქტორს მერაბ კეზევაძეს. მადლიერებას გამოვხატავ ცნობილი ეკლესიოლოგის ნუგზარ პაპუაშვილის მიმართ შესაბამისი კონსულტაციისა და მაღალკვალიფიციური რჩევა-დარიგებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ღვთისმეტყველების დოქტორს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას. ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) და სხვა მასალების მოძიებაში დიდი დახმარება გამიწია პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა, მღვდელ-მონაზონმა დემეტრე კუბეციამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

დასასრულს დავძენთ, რომ წინამდებარე ნაშრომი ჩემი მრავალწლიანი შრომის შედეგია. საკითხის განხილვის დროს ჩვენ უამრავ წერილობით წყაროებს და შესაბამის ლიტერატურას გავეცანით, რომლის დიდი ნაწილი მხოლოდ რამდენიმე სიტყვით არის გადმოცემული, ანდა საერთოდ ნაშრომში

ვერ აისახა. ამ მხრივ ბევრი მასალები დაგვიგროვდა, რომლის პუბლიკაციებს გზადაგზა გამოვაქვეყნებთ. ერთი თხოვნა მაქვს მკითხველისა და საკითხით დაინტერესებული ზოგიერთი პიროვნებების მიმართ, მხედველობაში ვიქონიონ თურამძიმე შრომასთან არის დაკავშირებული ასეთ ნაშრომის მომზადება, რომ აღარაფერი ვთქვათ ახლადგამოვლენილი წყაროების მოძიების სირთულეზე და მის დამუშავებაზე. გამზადებული პუბლიკაციის გამოქვეყნებაც გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული, რომ იგი მეცნიერულ მიმოქცევაში იქნას შემოტანილი. რაოდენ დასანანია, რომ შენს მიერ დიდი წვალებით და ხშირად გარკვეული საფასურის გადახდით მოძიებული მასალები და შენი ნააზრევი უცებ არაკეთილსინდისიერი ე. წ. „მკვლევარების" კუთვნილება ხდება მისი კანონიერი მფლობელის მითითების გარეშე. ასეთი ხასიათის ნაშრომები ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლდა, როდესაც გამარტივდა საკვალიფიკაციო სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების დაცვა.

ბოლო დროს ჩვენში დამკვიდრებულ ამ უმსგავსო საქციელს ბოლო უნდა მოეღოს. იმედია ჩემს გულისტკივილს გაიზიარებენ ისინი, რომლებმაც კარგად იციან შემოქმედებითი მოღვაწეობის ფასი.[34]

---

34 წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნებამდე, 2020 წელს გამოიცა დეკანოზ ბორის ნიჩიპეროვიჩის ე.წ. ნაშრომი „საქართველოს ეგზარქოსები (1811-11917 წ.წ.)," თბ., 2020, გვ. 3-139. აღნიშნული ნაშრომის დიდი ნაწილი სიტყვა-სიტყვით, ყოველგვარი მითითების გარეშე გადაწერილია ჩემი ნაშრომებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება ეგზარქოსებს: ვარლამ ერისთავს, თეოფილაქტე რუსანოვს, იონა ვასილევსკის, მოსე ბოგდანოვ-პლატონოვს, ევგენი ბაჟენოვს, ისიდორე ნიკოლსკის, ევსევი ილინსკის, იოანიკე რუდნევს, პავლე ლებედევს, პალადი რაევს, ვლადიმერ ბოგოიავლენსკის და ფლაბიანე გოროდეცკის მოღვაწეობას.

მომხდარი ფაქტის შესახებ ჩვენ გამოვთქვით აღშფოთება. საქმის მოსაგვარებლად ჩაერია რამდენიმე სასულიერო და საერო პირი. მცირე ხნის შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (2020, №150-151, 5-6 ნოემბერი, გვ. 11) ბორის ნიჩიპეროვიჩის სახელით გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

„მცირე განმარტება

2020 წელს ჩემი სახელით მცირე ტირაჟით დაიბეჭდა წიგნაკი „საქართველოს ეგზარქოსები (1811-1917 წ.წ.)." სამწუხაროდ წიგნის მომზადებისას ავტორის მიუთითებლად გადავიტანე პროფესორ ელდარ ბუბულაშვილის სადოქტორო ნაშრომიდან „საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის დროს" ტექსტი, რითაც დავარღვიე მისი საავტორო უფლება. ვწუხარ და ბოდიშს ვუხდი ავტორს.

ბორის ნიჩიპეროვიჩი

04. 10. 2020."

დაბეჭდილი განცხადების შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო თავი შევიკავე გამომექვეყნებინა ჩემი წერილი მომხდარი ფაქტის შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, ჩემი წინამდებარე მონოგრაფიის გამოცემასთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნიე შესაბამისი განმარტების გაკეთება, რადგან, როგორც გადავამოწმე, ბიბლიოთეკებში დეკანოზ ბორის ნიჩიპეროვიჩის დასახელებული ნაშრომი კატალოგებშია გატარებული, ნაშრომს ახლავს აისბიენი. გარდა ამისა, მისივე ხელმოწერით დასახელებული ნაშრომი საჩუქრად დარიგებული აქვთ სამღვდელოებას და საერო პირებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში," დიდი ნაწილი, მათ შორის ის საკითხები, რომელსაც დეკანოზი ბორის ნიჩიპეროვიჩი ეხება, ბეჭდური სახით სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია საქარ–თველოში და უცხოეთში ქართულ და უცხო ენებზე მაღალრეინტიგულ გამოცემებში. წინამ–

I. რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე (ზოგადი მიმოხილვა)

სანამ უშუალოდ ეგზარქოსობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას განვიხილავთ, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ზოგადად წარმოვაჩინოთ რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის საკითხები უძველესი დროიდან. მითუმეტეს, რომ აღნიშნული საკითხი დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ კვლევის საგანი არასოდეს გამხდარა.[35]

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი ყოველთვის პოლიტიკურ და კულტურულ ჭრილში განიხილებოდა და მის შესახებ არსებულ გამოკვლევებთან ერთად წერილობით-დოკუმენტური მასალებიც არის გამოქვეყნებული.[36] თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილი გამოკვლევები დღევანდელი გადასახედიდან ტენდენციურობით გამოირჩევა და აუცილებელია ამ ურთიერთობის შესახებ ობიექტური ნაშრომის გამოქვეყნება, რომლის გამოცემაც ბოლო პერიოდში ნაწილობრივ განხორციელდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ცნობილი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს იტალიურ ენაზე არსებული ნაშრომი, რომლის ქართული

დებარე ნაშრომში შესაბამისი საკითხის განხილვისას საგანგებოდ ვუთითებს ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ლიტერატურას.

აღვნიშნავ, რომ 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული ჩემი სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში" და ავტორეფერატი იგივე მაცნე (ქართულ და რუსულ ენებზე) ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციისა და მისი ავტორეფერატის (მაცნე) ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

გარდა ამისა, ჩვენ კიდევ თავს ვიკავებთ ზოგიერთი საკითხის გასაჯაროებისაგან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუკი აუცილებელი გახდა, ვრცელ რეცენზიასთან ერთად დამატებით გამოვაქვეყნებთ შესაბამის განმარტებას ზოგიერთი ისეთ საკითხის შესახებ, რომელიც საზოგადოების გაოცებას გამოიწვევს.

35 აღნიშნულ საკითხზე XX საუკუნის დასაწყისში რუსმა სასულიერო პირებმა რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნეს. მათ შორის შედარებით ობიექტურობით გამოირჩევა დეკანოზ ნიკანდრ პოკროვსკის ნაშრომი, იხ.: Н. Покровский, Кратки очерк церковно-исторической жизни православной Грузии со времени появления вней христианства и до наших дней, Тб., 1905.

36 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956; შდრ. ი. ცინცაძე, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1960; შდრ. ი. ცინცაძე, ძველი რუსული მასალები (X-XVI სს.), საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962; შდრ. გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960; შდრ. გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა თბ., 1980; შდრ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ტ. I-III; შდრ. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოფირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983; შდრ. დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი I, წიგნი II, თბ., 2016 და სხვა.

თარგმანი რამდენიმე წლის წინ განხორციელდა.[37] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახლებური ინტერპრეტაციით გამოქვეყნებულ დასახელებულ ნაშრომში რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის საკითხებს არ ეთმობა ყურადღება. ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ ცალკეულ სასულიერო პირთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს, რომელთა შორის აღსანიშნავია ი. ცინცაძის, მ. ბულეიშვილის, ზ. ცქიტიშვილის და სხვათა შრომები.[38] ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის შესახებ ჩვენს მიერ რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა.[39]

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა ამ ორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის კვალდაკვალ მიმდინარეობდა. დინასტიური ქორწინების გარდა, საინტერესოა, რომ პირველი შეხება რუსეთ-საქართველოს შორის საეკლესიო ურთიერთობით დაიწყო. ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა X-XI საუკუნიდან იწყება. როგორც მკვლევარი ი. ცინცაძე მიუთითებს: „XII საუკუნეში ქრისტიანი რუსეთისათვის ქრისტიანული საქართველო ყურადღების გარეშე არ შეიძლება დარჩენილიყო. იმ დროს ერთი ტიპიკონის ქრისტიანებს ურთიერთობის გარეშე დარჩენა არ შეეძლოთ, სხვა გარემოებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ."[40] ცნობილია, რომ კიევ-პეჩორის ლავრის ერთ-ერთი ტაძრის სოფიის მოზაიკის მოპირკეთებაში ბიზანტიელებთან ერთად ქართველ ოსტატებსაც მიუღიათ მონაწილეობა. აღნიშნულის შე-

---

37 ლ. მაგაროტო, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა, თბ., 2008.

38 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956; შდრ. ი. ცინცაძე, ძველი რუსული მასალები (X-XVI სს.), საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962; შდრ. მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 1991; შდრ. ზ. ცქიტიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, (XVIII ს. II ნახევარი - XIX ს. დამდეგი), თბ., 1980.

39 ე. ბუბულაშვილი, მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) – „კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოსა და აფხაზეთისა," მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია, 2013, №1, გვ. 33-42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე (ზოგადი მიოხილვა), გელათი მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, 2016, გვ. 3-18; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსეთ-საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ჟურნალი „რელიგია," 2, 2016, გვ. 36-44; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთ-საქართველოს შორის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ანალები, 2017, გვ. 17-43; შდრ. E. Bubulashvili, Georgian church during exarchs, Russian expansion in the Cocasas andt Georgian, 2020, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, რონდელის ფონდის გამოცემა. info@ofsis.org; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის დროს, რუსეთის ექსპანსია საქართველოში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, რონდელის ფონდის გამოცემა. info@ofsis.org; შდრ. E. Bubulashvili, Relations Between the Georgian and Russian Churches from 1917 to the Present, Russian expansion in the Cacasas 2020, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის, ფონდი, რონდელის ფონდის გამოცემა. info@ofsis.org; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიური ურთიერთობა 1917 წლიდან დღემდე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, რონდელის ფონდის გამოცემა. info@ofsis.org.

40 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს., თბ., 1956, გვ. 59.

სახებ ცნობას გვაძლევს კიევ-პეჩოვის მამათა ცხოვრებანი („Киев-Печорский патерик"), რომელშიც მართალია პირდაპირ სიტყვა ქართველი და საქართველო არ არის ნახსენები, მაგრამ ტექსტში მოხსენებული „ობეზი" მკვლევართა მიერ საქართველოს სინონიმად არის მიჩნეული.[41] ცნობილია, რომ კიევ-პეჩორის ლავრის ამ ტაძრს მოზაიკური მოხატვის გამო უწოდეს სოფიის ტაძარი. მოზაიკა ნიშნავს „სოფიის კენჭს," რომელიც „პატერიკების" მიხედვით, ქართველ ოსტატებს კონსატანტინოპოლიდან ჩამოუტანიათ და მონასტრისათვის უსასყიდლოდ გადაუციათ.[42] აღსანიშნავია, რომ სოფიის კენჭი ოქროსაგან მზადდებოდა და მრავალფენიანი იყო. საქართველოში რამდენიმე ტაძარის (გელათი, ჯვარი და სხვა) ფრაგმენტები სოფიის კენჭით არის გამშვენებული, მაგრამ ჩვენში ამ ხელოვნებამ ფართო გაქანება ვერ ჰპოვა, რადგან იგი ოქროს დიდ მარაგს მოითხოვდა. კიევ-პეჩორის მამათა ცხოვრების („Киев-Печорский патерик") მიხედვით, ბერძნებმა და ქართველმა ოსტატებმა სოფიის კენჭი არა მარტო საჩუქრად უბოძეს კიევ-პეჩორის მონასტრის მღვდელმსახურთ, არამედ ადგილობრივებმა მათ ნება დართეს ტაძრის საკურთხეველიც შეემკოთ.[43] მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მოზაიკური მხატვრობის დამკვიდრება რუსეთში აღნიშნული ფაქტით დასტურდება. თუმცა კიევ-პეჩორის მონასტრის მთავარი ტაძრის პირვანდელი შემკულობიდან დღეს არაფერი არ არის შემორჩენილი. კიევ-პეჩორის მამათა ცხოვრების („Киев-Печорский патерик") ავტორი აღნიშნავს, რომ მოზაიკის შემკობი ოსტატები სამშობლოში აღარ დაბრუნებულან, იქვე დარჩენილან, ბერად აღკვეცილან და გარდაცვალების შემდეგ მონასტრის საძვალეში დაუკრძავალთ „თორმეტი ძმათა" სახელით. როგორც ჩანს, თორმეტი იყო და სახელიც აქედან წარმოსდგა. მათი ნაქონი წიგნები და სიწმინდეები მონასტერში კარგა ხანს ინახებოდა.[44] აღნიშვნის ღირსია, რომ მათ არა მარტო კედლები შეუმკიათ მოზაიკით, არამედ მათვე გაუმშვენებიათ ტაძრის იატაკიც.[45]

ზემოაღნიშნულის გარდა, აგრეთვე აღნიშვნის ღირსია იმის ხაზგასმა, რომ XI საუკუნეში ათონის ივერთა მონასტერში წმ. მამას გიორგი მთაწმინდელს ეროვნებით რუსი ანტიპა, ანტონის სახელით ბერად აღუკვეცავს, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კიევ-პეჩორის ლავრაში მოღვაწეობა გაუგრძელებია და ბოლოს მიტროპოლიტის ხარისხისთვისაც მიუღწევია. მოცემული ფაქტი იმის დასტურია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ

41 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს., თბ., 1956, გვ. 16, 20.

42 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს., თბ., 1956, გვ. 21.

43 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს., თბ., 1956, გვ. 23.

44 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს., თბ., 1956, გვ. 24

45 ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, X-XI სს, თბ., 1956, გვ. 25.

კი ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან. გარდა ათონის წმინდა მთისა, XI-XIII საუკუნეებში ქართველ და რუს სასულიერო პირებს, როგორც წყაროებით დასტურდება, ერთმანეთთან შეხება ჰქონდათ საზღვარგარეთის სხვა კულტურულ ცენტრებშიც: სინას მთაზე, შავ მთაზე და ბიზანტიის იმპერიას დაქვემდებარებულ სხვა ეკლესია-მონასტრებში.[46]

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობების გაშუქების დროს აღსანიშნავია ერთი ფაქტის აღნიშვნაც. ცნობილია, რომ 988 წელს რუსეთმა ქრისტიანობა ბიზანტიიდან მიიღო და რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარი მიტროპოლიტის ხარისხით კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე რუსეთის მზარდი სახელმწიფო ტერიტორიულ გაფართოებასთან ერთად ცდილობდა ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის გარეშე. მათ არ სურდათ ბიზანტიის იმპერიის აყვავების ხანაში ავტოკეფალია კონსტანტინოპოლისაგან მიეღოთ, რადგან ეკლესიური დამოკიდებულება დიდ გავლენას მოახდენდა XIII-XIV საუკუნეებში მზარდი რუსეთის სახელმწიფოს ადგილის დამკვიდრებაზე. ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე რუსეთის ეკლესიამ ვერ შეძლო ეკლესიის დამოუკიდებელი მწყემსმთავრის დამტკიცება. აღნიშნული სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო თუნდაც იმიტომაც, რომ ყოველ ეკლესიას ავტოკეფალია ანუ დამოუკიდებლობა ენიჭება დედა-ეკლესიის დასტურით. ამ შემთხვევაში რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალია უნდა მიეღო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისაგან, რადგან რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარი მიტროპოლიტის ხარისხით მასზე იყო დამოკიდებული და იგი ითვლებოდა მის დედა-ეკლესიად. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ (1453 წლის 29 მაისი) ივანე III-ისა (1462-1505) და ივანე IV-ის (1547-1584) დროს რუსეთის სახელმწიფო მძლავრ მზარდ ქვეყნად იქცა. რუსეთმა თავი მესამე რომად გამოაცხადა და ბუნებრივია იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში აღარ ისურვებდა ყოფნას. ამ იდეას ხორცი შეესხა მას შემდეგ, როცა 1586 წელს მოსკოვში შემოწირულობების შესაგროვებლად ჩასულ ანტიოქიის პატრიარქ იოაკიმეს რუსეთის ხელისუფლებამ თავისი სურვილი გააცნო. ანტიოქიის პატრიარქმა მათ განუცხადა, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის პრეროგატივა იყო, პირველ რიგში იგი უნდა ეცნო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქს, როგორც დედა-ეკლესიას და საჭიროებდა დანარჩენი სამი პატრიარქის (ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) თანხმობას. იოაკიმე რუსეთის ხელისუფლებას დაპირდა, რომ ამ თხოვნას გადაცემდა მსოფლიო პატრიარქს. 1589 წლის 26 იანვარს რუსეთის მეფის თეოდორესა და დედოფალ ირინას ძმის, ხელისუფლების ფაქტიური მმართველის, ბორის გოდუნოვის ზეწოლით რუსეთში ჩასული კონსტანტინოპოლის მსოფლიო

46 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 18.

პატრიარქის იერემია მეორის (1572-1579; 1580-1584; 1586-1595) მიერ მოხდა მიტროპოლიტ იობის მოსკოვის პატრიარქად კურთხევა. მანვე ხელი მოაწერა რუსეთის ეკლესიისათვის საპატრიარქოს მინიჭების სიგელს. აღნიშნული გადაწყვეტილება მართალია რეალურად წარმოადგენდა მანამდე არსებულ პატრიარქთა პენტარქიის კანონიკური ტრადიციის დარღვევას, მაგრამ ამ ფაქტის დაფიქსირებით მსოფლიო პატრიარქმა ერთგვარი პატივი მიაგო რუსეთის მეფეს, რომელიც იმდროინდელ მართლმადიდებელ ქრისტიანულ სამყაროში ერთადერთ ძლიერ ხელისუფალს წარმოადგენდა, მაგრამ მანვე წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლების დაჟინებულ მოთხოვნას რუსეთის პირველობის ცნობის შესახებ. მოგვიანებით, 1593 წელს მსოფლიო პატრიარქის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების მონაწილეობით კონსტანტინოპოლში გამართულმა საეკლესიო კრებამ დაადასტურა მოსკოვის საპატრიარქოს დაარსება და მას მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის განესაზღვრა მეხუთე ადგილი. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ალექსანდრიის პატრიარქ მელეტის (1590-1601) სერიოზული დავა ჰქონდა, რადგან, ამით, მისი აზრით, ირღვეოდა პენტარქიის კანონიკური წყობა, მაგრამ მაინც ანგარიში გაუწია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილებას და საბოლოოდ მოსკოვის სამიტროპოლიტოს საპატრიარქო პატივის ტომოსი გადაეცა.[47] აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის მძიმე შედეგები ამჟამად ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას სირთულეებს უქმნის. ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიპტიქში მეექვსე ადგილს იკავებდა რომის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების შემდეგ. 1054 წლის საეკლესიო სხიზმის შემდეგ რომი დიპტიქის სიიდან ამოღებული იქნა და ავტომატურად მეხუთე ადგილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას უნდა დაეკავებინა, მაგრამ 787 წელს გამართულ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის კრება აღარ ჩატარებულა და ბუნებრივია, იმდროინდელ ქრისტიანულ ეკლესიათა მეთაურთა მიერ საქართველოს საეკლესიო დიპტიქის საკითხი გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. აღნიშნულის გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVI საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ შესაბამისი სიგელის დამოწმებით მიიღო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის მეხუთე ადგილი გამოტოვებული რომის კათოლიკური ეკლესიის ნაცვლად.

XI-XV საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა ძირითადად ფრაგმენტულ სახეს ატარებს. XI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველო პოლიტიკურად მძლავრ ქვეყანას წარმოადგენდა, რუსეთი კი ფეოდალურად დაქუცმაცებული იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ შორის ეკლესიური ურთიერთობა ძირითადად საზღვარგარეთ არსებული ქართული

47 Χ. Παπαδοπούλου, Ιστορία της Εκκλησίας της Αντιοχείας, 1951, 991; შდრ. Βλ., Φειδά, Ο θεσμός της Πενταρχίας των Πατριαρχών, 2012, 342-355.

ქრისტიანული კერების მეშვეობით ხორციელდებოდა. ზემოთ აგრეთვე აღინიშნა, რომ დაახლოებით 1051 ათონის ივერთა მონასტერში გიორგი მთაწმინდელის ბერად აღუკვეცავს რუსულ წყაროებში მოხსენიებული ანტიპა, რომელსაც ანტონი უწოდეს. იგი კურთხევის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში და ბერ-მონაზვნობის დამფუძნებლად ითვლება რუსეთს ეკლესიაში, რუსული წყაროს მიხედვით: „მონასტრის წინამძღვარმა (წყაროში არ არის მითითებული, რომ ამ დროს ივერიის მონასტრის წინამძღვარი იყო გიორგი მთაწმინდელი) მისი სურვილისამებრ ბერად აღიკვეცა და სახელიც უწოდა ანტონი" (საერო სახელი იყო ანტიპა, რუსეთის ქალაქ ლიამბეჩედან), შაოსანთა წესს აზიარა და თან დაარიგა: „დაბრუნდი ისევ რუსეთში და კურთხეულ იყავ წმინდა მთისაგან, რამეთუ შენგან უამრავი ბერ-მონაზონი წამოვა (გაჩნდება)," აკურთხა და წასვლისას მიმართა: „იარე მშვიდობით."[48] აღნიშნული ცნობის შესახებ არსებული წყაროების მიმოხილვას გვაძლევს წმ. მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი). ბერად აღკვეცილი ანტონი მართლაც დაბრუნებულა რუსეთში და როგორც აღინიშნა კიევ-პეჩორის ლავრაში დაიდო ბინა. მასვე მიეწერება თავის თანამოძმეებთან ერთად კიევში სამონასტრო ცხოვრების დასაბამი. იგი მიტროპოლიტიც გახდა, პეჩორის მონასტრის დაფუძნების შემდეგ იქ მოღვაწეობდა და ანტონ პეჩორელის ზეწოდებით არის ცნობილი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული რუსულ თხზულებაში „პეჩორის მონასტრის დასაბამის შესახებ."[49] ანტონ პეჩორელის კურთხევას ათონის ივირონის ქართულ მონასტერში ადასტურებს ცნობილი რუსეთის საეკლესიო მკვლევარები: ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ს. ბერდნიკოვი და სხვები.

სანამ რუსი ბერ-მონაზვნობა ათონის მთაზე დამკვიდრდებოდა, მანამდე იქ ხშირად მოგზაურობდნენ რუსი პილიგრიმები. სწორედ ამ პილიგრიმების ცნობებით გვაქვს საინტერესო ცნობები ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი წმიდა მამების მოღვაწეობის შესახებ.

XIII-XVI საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, რაც უეჭველია, თათარ-მონღოლთა ბატონობით იყო გამოწვეული. არაპირდაპირი ცნობებით დასტურდება, რომ XII-XIV საუკუნეებში ათონის მთაზე სხვა რუსი ეროვნების ბერებიც მოღვაწეობდნენ. რუსი სასულიერო პირების ინტერესი ათონის მთაზე არსებული ივირონის ქართული მონასტრით იმითაც იყო განპირობებული, რომ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი 1648 წლის 13 ოქტომბერს დიდი ზარ-ზეიმით ჩააბრძანეს მოსკოვში. მას რუსეთის ეკლესია და მისი მრევლი დღესაც დიდ პატივს მიაგებს. შემდგომ რუსეთის ეკლესიამ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ორი ასლი დაამზადა. წმ. მღვდელმოწამე კირიონი (სა-

48 ციტირებული კირიონ II-ის ნაშრომიდან „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში", ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 305.

49 კირიონ საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 305.

ძაგლიშვილი) აღნიშნულის შესახებ მიუთითებს, რომ ივერიის სასწაულმოქმედი ხატი რუსეთის ეკლესიისათვის მშობლიურად იქცა. ეპისკოპოსი კირიონი იმასაც აღნიშნავს, რომ ღირსი ანტონ პეჩორელის ხსენებას ძველ დროში აღნიშნავდნენ არა 10 ივლისს, როგორც ბოლო დროს ხდება, არამედ 7 მაისს, რაც ემთხვევა ქართული ბერ-მონაზვნული ცხოვრების დამაარსებლის იოანე ზედაზნელის ხსენებას.[50]

ათონის მთაზე, რუსული მონასტრის დაარსების შემდეგ (XV ს.), ქართველ და რუს სასულიერო პირთა ურთიერთობა შედარებით ინტენსიური ხდება, მაგრამ მკვლევართა დასკვნით, XII-XV საუკუნეებში, მათ შორის ეკლესიური ურთიერთობა მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. ეს ურთიერთობა უფრო წიგნიერი და თქმულებების სახით არის წარმოდგენილი.[51] უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი და რუსი სასულიერო პირები საზღვარგარეთ სხვა კულტურულ ქრისტიანულ ცენტრშიც ერთმანეთთან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია იერუსალიმი, სირია, სადაც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი საკუთარი ეკლესიები გააჩნდა.

აქვე აღვნიშნავთ ერთ საინტერესო ფაქტს, რომელსაც ჩვენს საკვლევ თემასთან მართალია კავშირი არ აქვს, მაგრამ ყურადსაღებად მიგვაჩნია. XIV-XV საუკუნეებში რუსულ ტექსტებში საქართველოს ზოგჯერ „გრუზიის," ზოგჯერ კი „ივერიის" სახელითაა მოხსენიებული. სახელწოდება მათ „გრუზია" აღმოსავლური ენებიდან მომდინარე ტერმინ „გურზიდან" უნდა მიეღოთ, ხოლო „ივერია" – ბერძნულიდან.[52]

XVI საუკუნიდან რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნეში. უცხოეთში მოღვაწე რუს საეკლესიო პირთა თხზულებებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობები ჩნდება საქართველოზე. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ. რუსულ წყაროებში წმ. ნინოს შესახებ ცნობები XVI-XVII საუკუნეებში ჩნდება.[53] პირველი ცნობა მის შესახებ 1512 წელს განეკუთვნება, მეორე კი 1641 წლის 27 ოქტომბრით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ამ დროის რუსულ წყაროებში ქართველთა განმანათლებელი ნინოს სახელით კი არ იხსენიება, არამედ „მონა-ტყვეს" სახელით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ადრეულ რუსულ ვერსიას საფუძვლად უდევს ბერძნული წყარო.[54]

---

50 კირიონ საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 312).

51 კირიონ საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 313).

52 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIIIსს.), თბ., 1960, გვ. 18

53 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 18.

54 ნ. ციხისთავი, „წმინდა ნინოს ცხოვრების" ქართული და რუსული რედაქციების ზოგი ეპი-

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ წერილობით წყაროების გარდა ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის აქტუალური XVII საუკუნის შუა ხანებში ჩნდება. ჩვენს მიერ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომობის შესახებ ქართული წყაროს გარდა გამოვლენილი იქნა ბერძნულ ენაზე არსებული სტეფანე ათონელის თხზულება. აღნიშნული თხზულება ათონის მთაზე რუს სამღვდელოებას უთარგმნიათ და „რაი მისლენის" სახელწოდების ვალდაის ივერიის მონასტერში გამოუციათ. რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა (1652-1666) მართალია, „რაი მისლენი" განავრცო, მაგრამ უტყუარად მიჩნეულია, რომ თავდაპირველად იგი სტეფანე ათონელის ბერძნულ ენაზე არსებული ნაშრომის საფუძველზე დაიწერა. მკვლევარები იმასაც მიუთითებენ, რომ სტეფანე ათონელის თხზულება „ივერიის წილხვდომობის" შესახებ ძირითადი წყაროა დიმიტრი როსტოველის თხზულებისა. ამ უკანასკნელს სტეფანე ათონელის თხზულება გამოუყენებია თავის თხზულებაში „ჩეტა მინეიაში," რომელიც თავის დროზე ქართულად უთარგმნია XVIII საუკუნეში გაიოზ რექტორს.[55]

„ივერიის მფარველი მარიამისა" და მისი სახელობის ხატის გარშემო ძველ რუსულ მწერლობაში რამდენიმე ნაწარმოები შეიქმნა. მათი უმრავლესობა ათონის „ივერონთან" და საქართველოსთან არის დაკავშირებული. რუსულ ენაზე შედგენილი ეს ნაწარმოებები „საკითხავების" სახით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხებში ის აზრია გატარებული, რომ „ივერიის მფარველ მარიამს" შეუძლია, „მფარველობა გაუწიოს" თათარ-მონღოლებისაგან შევიწროებულ რუსებს. მკვლევართა აზრით, ეს „თქმულებები" უმთავრესად ჩაწერილია XV-XVII საუკუნეებში, მაგრამ მათი წიგნიერი წყაროები ბევრად უფრო ძველია.[56]

მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ „XVI საუკუნიდან მოყოლებული ლიტერატურულ ნიადაგზე რუსეთსა და საქართველოს შორის საბოლოოდ მტკიცდება რწმენა, რომ მარიამი და მისი „ხატი მფარველია" არა მარტო მისი წილხვდომილი ივერიისა, არამედ „მოსკოვის და ჩრდილოეთის მის ქვეყნისა."[57] ალბათ ამ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ რუსეთში ივირონის ღვთისმშობლის ხატი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამიტომ იყო, რომ ათონის მთიდან, შემდეგ კი საქართველოდან ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლების ჩაბრძანება ხდებოდა რუსეთში. თუ რამდენად პოპულარული იყო ივერიის მფარველი მარიამ ღვთისმშობლისა და მისი ხატის თემა საქართველოსა და რუსეთში, ამის დასტურია ის, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში რუ-

---

ზოდის ურთიერთმიმართება, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, №2, გვ. 65

55 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 114.

56 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 114); შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 128).

57 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 108.

სეთში მოღვაწე ქართველმა მეფე არჩილმა, გაიოზ რექტორმა და რომანოზ ბაზალიძემ რუსულიდან თარგმნეს, საქართველოდან რუსეთში გადასული აღნიშნული თემა და სიუჟეტი.[58]

ღვთისმშობლის წილხვდომობის გარდა რუსულ საეკლესიო მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა წმ. ანდრია პირველწოდებულის თემამ. „ანდრიას ცხოვრების რუსული ვერსიის ავტორმა იცის, რომ მან „ღრუზინეს ზედა კვერთხი აღმართა." ანდრია მოციქულის მიმოსვლის შესახებ მათთვის ცნობილია ბერძნული და ქართული წყაროები. ეს მასალები მათ უნდა მოეპოვებინათ ათონის ივირონის მონასტერში, რომლის მახლობლად განთავსებული იყო ათონის მთაზე მდებარე ქსილერგიისა და პანტელეიმონის რუსული მონასტრები.[59] ამავე მასალებით მიჩნეულია, რომ ანდრია არის მოციქული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც, როგორც წყაროებშია მითითებული, საქართველოდან უნდა შესულიყო კიევში და იქაური მოსახლეობა მოექცია ქრისტიანობაზე.

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობებში მნიშვნელოვანია უფლის კვართის თემა, რომელიც აქტუალური XVII საუკინის 20-იანი წლებიდან ჩნდება. აღნიშნულ საკითხს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. გადმოცემით უფლის კვართი პირველის საუკუნის 30-იან წლებში მცხეთაში იერუსალიმიდან მოასვენეს მცხეთელმა ებრაელებმა. კვართი სიდონიასთან ერ-



სვეტიცხოველი. ცხოველსმყოფელი სვეტი

58 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 108.

59 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 110; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 129.

თად დაფლულ იქნა, რომლის ადგილზე IV საუკუნეში აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარი. ერთი ვერსიის მიხედვით, XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შაჰ-აბას პირველს (1587-1629) ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლული უფლის კვართი ამოუღია და 1624 წელს სპარსეთში მყოფი რუსი ელჩის და თავის მიერ რუსეთში გაგზავნილი დესპანის მეშვეობით მცხეთიდან თითქოს წამოღებული კვართი საჩუქრად მიართვა ახლად ნაკურთხ რომანოვთა დინასტიის წარმომადგენელს მიხეილ რომანოვს და მის მამას, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქ ფილარეტს. აღნიშნული საკითხის განხილვას დაწვრილებით არ შეუდგებით, ამის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომი,[60] აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უფლის კვართის საკითხი პოლიტიკური პროცესების თემად იქცა. საქმე იმაში იყო, რომ ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალზე სჭირდებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირი, ხოლო რუსეთს, რომელიც თავის თავს, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, მესამე რომად აცხადებდა, უფლის კვართის მფლობელობა მესიანიზმის განხორციელების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. მიზნიდან გამომდინარე რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ შაჰის საჩუქარი, ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართად მიიჩნია. თუმცა იმთავითვე დაეჭვებულები იყვნენ, რომ შაჰის საჩუქარი უფლის კვართი არ იყო. ჯერ კიდევ, რუსეთში ჩასვლამდე მათ რუსეთში მყოფი მეფის თეიმურაზ პირველის (1606-1662) ელჩის მიტროპოლიტ თეოდოსისა და იმ დროს რუსეთში მოღვაწე ბერძენი მღვდელმთავრის იოანიკეს მონათხრობით გაიგეს, რომ უფლის კვართი მცხეთის სვეტიცხოველში დაფლული იყო და იგი არავის არასდროს მიწიდან არ ამოუღია. მიუხედავად ამისა, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ შაჰის საჩუქარი დიდ სიწმინდედ ჩათვალა, დაწერეს ხატი რუსეთში უფლის კვართის დადების შესახებ და დააწესეს დღესასწაული 11 ივლისი, რომელსაც რუსული მართლმადიდებელი ეკლესია დღესაც დღესასწაულობს. მიუხედავად ამისა, როგორც წყაროებით დასტურდება, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ თავიდანვე ეჭვი შეიტანა რუსეთში ჩატანილი სიწმინდის შესახებ, მაგრამ თავიანთ ეჭვებს სახალხოდ არ გამოხატავდნენ. რეალური სინამდვილის დასადგენად რუსეთის ხელისუფლება XVII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გამოგზავნილ რუს ელჩობას, რომელშიც ყოველთვის იმყოფებოდნენ სასულიერო პირები, საიდუმლოდ ავალებდნენ დაწვრილებით გამოერკვიათ, გატანილი იყო თუა არა უფლის კვართი საქართველოდან. ამ მხრივ, საინტერესოა 1637 წელს რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული ელჩობა თავად თევდორე ვოლინსკის მეთაურობით. ამ ელჩობაში ჭარბობდა სასულიერო პირები, რომელთაც საიდუმლო მითითება ჰქონდათ შეეკრიბათ ცნობები უფლის კვართისა და სხვა სიწმინდეების შესახებ. ელჩობაში მყოფი სხვა სასულიერო პირებიდან განსაკუთრებით აქტიურობდნენ კოსტრომის იპატის მონასტრის იღუმენი იოსები და დიაკონი არტემ სუხანოვი. ამ ელჩობაში აქტიურობდა დიაკონი არტემი, რომელმაც ორჯერ იმოგზაუ-

60 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 54-95.

რა საქართველოში და უფლის კვართის შესახებ საინტერესო ცნობები მიაწოდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთ. რუსმა ელჩებმა 1639 წელს თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების გამართვის დროს გაარკვიეს, რომ კვართი ისევ სვეტიცხოვლის ტაძარში ინახებოდა და რომ იგი არავის გაუტანია საქართველოდან. უფრო მეტიც, არტემ სუხანოვი არ დაკმაყოფილდა მეფე თეიმურაზის ნაამბობით და თვითონ უნახავს სვეტიცხოვლის ტაძარში კვართის განსასვენებელი. იგი თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სვეტიცხოველში „სვეტის ქვეშ, ქრისტეს ჩვენი ღმერთის კვართია ჩადებული, სულ მთელია და დაუზიანებელი."[61] ამით მან აღიარა, რომ უფლის კვართი საქართველოდან არავის გაუტანია და რომ რუსეთში შაჰის მიერ გაგზავნილი საჩუქარი ნამდვილად არ იყო უფლის კვართი.[62] XVII საუკუნის 60-იან წლებში მსგავსი დასკვნა რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინა მათ მიერ საქართველოში მოვლინებულმა ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ვაჟმა პავლე ალეპოელმა. მისივე დასკვნით, მცხეთაშია დაფლული უფლის კვართი, ხოლო შაჰმა რაც გაუგზავნა რუსეთის მეფესა და პატრიარქს უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ზაგემის ტაძრიდან წაღებული „სუდარის" ნაჭერი.[63] სუდარის ნაჭერში იგულისხმება ქრისტეს თავსაბურავი ან მარჯვენა მხარეს გადასაკიდებელი, ოთხკუთხა ნაჭერი, რომელსაც ხმარობდნენ ცხვირიდან გადმოდენილი სისველის ან ოფლის მოსაწმენდად. ასეთი დასკვნის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთში დაიწერა უფლის კვართის დადების ხატი, დაწესდა მისი ხსენების დღე. უფლის კვართის საკითხმა დიდი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. რუსეთის ხელისუფლება, როგორც საერო ისე სასულიერო, უფლის კვართის მოსკოვში მისვენებაში ხედავდა ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული რომანოვების დინასტიის, ქალაქ მოსკოვისა და მთლიანად რუსეთის სახელმწიფოსათვის კურთხევას, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ მართლმადიდებლური სამყაროს მფარველად აღიარებდა თავს, რაც უდაოდ ხაზს უსვამდა მის მესამე რომად მიჩნევას.

მიუხედავად ასეთი უტყუარი ცნობებისა, დღესაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ უფლის კვართი საქართველოში აღარ არის და ხატს „საქართველოს ეკლესიის დიდება" წარმოგვიდგენს სიდონიას კვართის გარეშე, რაც არაერთხელ იქცა კრიტიკის საგნად.

XVII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს შორის გაძლიერებული დიპლომატიური ურთიერთობის დროს, მართალია საეკლესიო საკითხი აქტიურად არ გამოიყურებოდა, მაგრამ როგორც ერთი ისე მეორე ქვეყნის დიპლომატიურ მისიაში სასულიერო პირები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მათი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ბეჭდურად გამოცემულია, რომელთა შორის აღსანიშნავია

---

61 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 54-95.

62 ი. ცინცაძე, ვასილ გაგარას და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბ., 1965, გვ. 74-79.

63 ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 78; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 54-95.

არსენ სუხანოვის, 1636-1640 წლებში სამეგრელოს სამთავროში მყოფი რუსი ელჩების ფედოტი ელჩინისა და პავლე ზახარევის მოგზაურობა, 1650-1654 წლებში ნიკიფორე ტოლოჩინოვისა და ალექსი იევლევის იმერეთის სამეფოში მოგზაურობის აღწერილობანი, პავლე ალეპოელის მიერ შეკრებილი მასალები და სხვა.[64] გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში საინტერესო ცნობებია დაცული რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობების შესახებ. დასახელებულ ნაშრომებში, რომელიც ძირითადად წარმოადგენდა ხელისუფლებისადმი განკუთვნილ საიდუმლო მოხსენებებს, რუს ელჩობაში მყოფი სასულიერო პირები ყურადღებას ამახვილებდნენ საეკლესიო სიწმინდეების აღწერაზე. ისინი, ელჩებისათვის შეუფერებელი საქციელით ცდილობდნენ ყოველი ხერხების გამოყენებით, მათ შორის მალულად გაეტანათ ქართული ეკლესიის სიწმინდეები საქართველოდან. ადგილობრივი საერო და სასულიერო ხელისუფალი ადვილად ახერხებდა მათი განზრახვის ჩაშლას. რუსი ელჩების მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ხშირად ისინი თვითნებობდნენ, გამომწვევად იქცეოდნენ და მათი ქმედება ყოველგვარ ქრისტიანულ ზღვარს სცილდებოდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, XV საუკუნიდან, როდესაც რუსეთმა თავი მესამე რომად გამოაცხადა, პოლიტიკურ რიგში აყვანილი ურთიერთობები განსაკუთრებულ სახეს იღებს. XIII-XVIII საუკუნეებში რუს ელჩებს საქართველოში თან მოჰყვებოდა მრავალრიცხოვანი სასულიერო პირები, რომლებიც საგანგებოდ ეცნობოდნენ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და ხშირად, როგორც აღინიშნა, უტაქტოდ იქცეოდნენ და ქედმაღლურ დამოკიდებულებას იჩენდნენ ქართველი სასულიერო პირებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. აღნიშნულის შესახებ რამდენიმე მაგალითის მოტანა საჭიროდ მიგვაჩნია. XVI საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მყოფი რუსი ელჩები დიდი პატივით მიიღო ალექსანდრე კახთა მეფემ (1574-1605). მათ მეგზურობას უწევდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი (1589-1590), რაც იერარქიის მიხედვით დიდ პატივად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ელჩობაში მყოფი სასულიერო პირები დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ. ნიკოლოზ პატრიარქმა მათ ალავერდის ტაძარში აჩვენა ქართული წირვა და პატივისცემის ნიშნად კურთხევა მისცა ტაძარში წირვა დაეყენებინათ. ქართველი მწყემსმთავრის კეთილშობილურ ჟესტს მათ ამპარტავნებით განუცხადეს: ალავერდი ურჯულოების მიერაა ნაბილწული და ხელახლა კურთხევამდე მასში ლიტურგიის შესრულება „კანონის" შელახვა იქნებაო.

---

64 ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართულად თარგმნით და ხელნაწერის მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970; შდრ. ალექსი ტოლოჩანოვის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა), რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969; შდრ. გაბრიელ გეგენავას, ფედოტი ელჩინის და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯ. გამახარიამ, თბ., 2014.

მეფემ და ეკლესიის მწყემსმთავარმა მათ მედიდურობას შემდეგი სიტყვებით უპასუხეს: ამ მოკლე ხანში ჩვენთან იყვნენ იერუსალიმელი, სინელი და მთაწმინდელი მამები, მაგრამ ღვთისმსახურებს ჩვენი წესები არ დაუწუნებიათო, ჩვენი ღვთისმსახურება, რომელიც 1262 წელია ბერძნებისაგან მივიღეთ, ისეთივეა, როგორც საბერძნეთისაო.[65] რუსი მკვლევარის ს. ბელოკუროვის მიერ მოტანილი ეს ცნობა ფრიად საყურადღებოა. რუს სასულიერო პირთა ასეთ ულირს საქციელს ჰქონდა ადგილი 1639-1640 წლებში კახეთის მეფე თეიმურაზ პირველისა (1606-1648) და სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის (1611-1657) კარზე მყოფი რუსი ელჩებისგან. ისინი ქართველ სასულიერო პირებს ბრალს სდებდნენ ერესში და კათოლიკეებთან ახლო ურთიერთობაში. მათ ამ ბრალდებით პირდაპირ დაუდანაშაულებიათ ჭყონდიდელი და მარტვილელი მღვდელმთავრები. კახეთის სამეფო კარზე მყოფ კოსტრომის იპატის მონასტრის ბერს იოსებს, არსენ სუხანოვს და ალექსი ბერს ალავერდის ტაძარში დიდად მოწონებიათ ქართული საეკლესიო გალობა, მაგრამ მათ ჟამის წირვის ჩატარებაზე უარი განაცხადეს, ისევ იმის მომიზეზებით, რომ ტაძარი ურჯულოების მიერ იყო თითქოს წაბილწული, არადა ქართულ ეკლესიაში ტრადიცია იყო, თუკი შემოსევების დროს მუსულმანთა მიერ ხდებოდა ტაძრის აოხრება, აღდგენა-განახლების შემდეგ იგი დიდი ზარზეიმით ხელახლა იკურთხებოდა. აღნიშნული სასულიერო პირები რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ მიმართვაში ცუდად მოიხსენიებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ თითქოს სასულიერო პირები საეკლესიო კანონების დარღვევებით ატარებდნენ წირვა-ლოცვას, უდიერად ეპყრობოდნენ საეკლესიო სიწმინდეებს, რომ თითქოს ეკლესიებს ჯვრები არ ჰქონდათ და სხვა.[66]

რა თქმა უნდა, რუს სასულიერო პირთა ეს ცნობები რეალობისგან შორს იყო, მაგრამ აღნიშვნის ღირსია, რომ თვით ქართველი სამღვდელოება და მეფე მათ „ბრალდებას" და ქედმაღლობას საეკლესიო მამათა, „შვიდ საეკლესიო კრებათა" და „სწავლა დადგენილების" მოთხოვნით აქარწყლებდნენ.[67]

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რუს ელჩობაში მყოფი სასულიერო პირთა ცნობები ძვირფას ისტორიულ მასალას წარმოადგენდა, როგორც საეკლესიო ისე იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიები მძიმე კრიზისის ქვეშ აღმოჩნდნენ. მანამდე ქართული საეკლესიო საღვთისმსახური წიგნების ჩასწორება ბერძნული ნაშრომების საფუძველზე ხდებოდა, მაგრამ იმპერიის დამხობამ მძიმედ იმოქმედა მისი იმპერიის ტერიტორიებზე არსებულ საპატიარქოებზე. მართალია კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატიარქოებმა

65 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 65.

66 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 66.

67 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 66.

შეინარჩუნეს არსებობა, მაგრამ ხელისუფლებისაგან მხადაჭერას მოკლებულ დასახელებულ საპატრიარქოებს ძალიან გაუჭირდათ. ოსმალეთის იმპერია არა თუ ზრუნავდა მათზე, არამედ ეკლესია-მონასტრების დახურვით და ქრისტიანთა უფლებების შეზღუდვით ემუქრებოდა. ხშირად ანტიოქიასა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გაერთიანებული იყო და ერთი ეკლესიის მწემსმთავრის სახელით იყო წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გაუჭირდა. ამას თან დაერთო XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. პოლიტიკურ დაქუცმაცებულობის შედეგად, XV საუკუნის 70-იან წლებში მცხეთის საკათალიკოსოს დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო ლიხთ-იმერეთის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით. თავდაპირველად დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრი ბიჭვინთაში იყო, მაგრამ ჩრდილოელ კავკასიელ მომთაბარეთა თავდასხმის გამო XVI საუკუნის 60-იან წლებში მათი მწყემსმთავრები ქუთაისში მკვიდრდება. მართალია, ორი საკათალიკოსოს ჩამოყალიბება პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა და მათ შორის დოგმატურ საკითხებში სრული თანხმობა სუფევდა, მაგრამ მიმდინარე პროცესები ორივე ეკლესიის ერთობაზე არასასიკეთოდ მოქმედებდა.

თავდაპირველად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ინარჩუნებდა ძველ მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ XVII საუკუნეში, როგორც წყაროებით ირკვევა, აშკარად ხდება გარკვეული დარღვევები. დასახელებულ საუკუნეში ნათლობის წესებიც კი ირღვეოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ქართველ მაჰმადიან მეფეთა (როსტომ ხანი (1632-1657), ვახტანგ V შაჰ-ნავაზი (1658-1688)) ხელშეწყობით ფეხი მოიკიდა სპარსულმა ადათ-წესებმა. სასულიერო პირებს იმდენად გაუჭირდათ, რომ კათოლიკე მისიონერების დახმარებით დაიწყეს ძველბერძნულ ტექსტებთან საღვთისმსახურო წიგნების შედარება, მაგრამ ამ გზით შეუძლებელი შეიქმნა მდგომარეობის გამოსწორება.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, XVII საუკუნის ბოლოდან ქართულ საეკლესიო პირების ერთი ნაწილი ცდილობდა საღვთისმსახურო ლიტერატურის ჩასწორებას სლავურის საფუძველზე და სწორედ ამ პერიოდიდან მცირე დოზით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ფეხს იკიდებს სლავური წეს-გაგება.[68]

განსახილველ პერიოდში მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება ქართველ და რუს სასულიერო პირთა ერთობლივი მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა შეკრებებში. ცნობილია, რომ 1438-1439 წლებში ფერარა-ფლორენციაში გამართული საეკლესიო თავყრილობაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა მართლმადიდებლური სამყაროს უნიის გაფორმება რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, ორ ქართველ სასულიერო პირთან ერთად რუსეთიდან მონაწილეობას ღებულობდა მიტროპოლიტი, ეროვნებით ბერძენი ისიდორე. უნიატიზმის გამო ქართველმა წარმომადგენლებმა ვადაზე ადრე

68 მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII- XVIII სს., თბ., 1977, გვ. 65.

დატოვეს თავყრილობა, ხოლო რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემ უნიას ხელი მოაწერა, რის გამოც იგი რუსეთში დაბრუნების შემდეგ ეკლესიიდან განკვეთეს. განკვეთილი ისიდორე, როგორც გადმოგვცემენ, რომში ჩადის და კარდინალად იქნა განწესებული.

უცხოური წყაროებით დასტურდება, რომ რუსეთის პატრიარქის ნიკონის გასამართლებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი იოსებ თუ იოანე მიტროპოლიტიც მონაწილეობდა, მაგრამ თუ რა როლი შეასრულა მან ჩვენთვის უცნობია.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ უძველესი დროიდან XVII საუკუნის ჩათვლით პოლიტიკურ ურთიერთობასთან ერთად რუსეთ-საქართველოს ეკლესიური ურთიერთობა ნათლად გამოკვეთილია. ხშირად ეს ურთიერთობა პოლიტიკური ელფერის მატარებელი ჩანს, თუმცა, XVI საუკუნეში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმებულ მეგობრულ ხელშეკრულებაში და „ფიცის წიგნში" საეკლესიო საკითხზე არაფერი არ არის მითითებული. ეს ბუნებრივია, რადგან ამ დროისათვის კახეთის, როგორც დამოუკიდებელ სამეფო ტერიტორიაზე არსებული ეპარქიები, მცხეთის საკათალიკოსოს გამგეობაშია მოქცეული და ბუნებრივია ვერც ერთი კახეთის ტერიტორიაზე მოქმედი ეპისკოპოსი მცხეთის საკათალიკოსოს კურთხევის გარეშე ვერ წარმართავდა ურთიერთობას რუსეთის ეკლესიასთან.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ახალი ეტაპი იწყება რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ამ დროს მჭიდროდ დაკავშირებულ ეკლესიურ ურთიერთობაზეც შესაბამისად აისახა.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო ირან-ოსმალეთის სათარეშოდ იქცა. ვახტანგ მეექვსე ჯერ ჯანიშინობის (1703-1714), შემდგომ კი მისი მეფობის (1716-1724) დროს გატარებული პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებებით ცდილობდა ქართლის სამეფოს დაწინაურებას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაწინაურების მიზანს ემსახურებოდა 1705 წელს მისი ინიციატივით მცხეთის კათალიკოსად თავისი ძმის დომენტი მეოთხის დასმა. დომენტი მართლაც ღირსეული მწყემსმთავარი გამოდგა. მან თავის ტიტულიტურაში აღადგინა პატრიარქის ხარისხი, რომელიც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს XI საუკუნიდან ჰქონდა, მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ ისინი მხოლოდ კათოლიკოსის ხარისხით იხსენიებოდნენ.[69] კათოლიკოს დომენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გარკვეული პოლიტიკურ დატვირთვას ისახავდა მიზნად. მისთვის ცნობილი იყო, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე რომის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის საქართველოს საპატრიარქოს (ამ სახელით იგი XI საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა) მეექვსე ადგილი ეკავა, მაგრამ სქიზმის შემდეგ, XVI საუკუნეში გამოკლებული რომის ნაცვლად მეხუთე ადგილი დაიკავა რუსეთის მართლმადიდებელმა

69 მ. ქავთარია, რამდენიმე საკითხი დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიიდან, ლიტერატურული ძიებანი, 23, თბ., 2002, გვ. 130.

ეკლესიამ, რომლის მწყემსმთავარი პატრიარქის ხარისხს ატარებდა. დომენტი მეოთხის მიერ გადადგმული ნაბიჯით ხუთ საპატრიარქოებს შორის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ღირსეული ადგილი უნდა დაეკავებინა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებში ტიტული პატრიარქი უფრო ადრე ჩნდება.[70] ვახტანგ მეექვსის მსგავსად კათოლიკოს დომენტი მეოთხის ბედიც უკუღმა დატრიალდა. იგი ჯერ სპარსეთში იყო ფაქტიურად ტყვედ, ხოლო შემდეგ ოსმალეთში. ამიტომ მისი ზეობის წლები ორ პერიოდად იყოფა (1705-1725 წწ.; 1739-1742 წწ.). ამისდამიუხედავად, მას არ შეუწყვეტია მწიგნობრული საქმიანობა. მას 1718 წელს სლავურის საფუძველზე ჩაუსწორებია სადღესასწაულო და პირველი იყო, რომელმაც სადღესასწაულოში ჩართო სვინაქსარული საკითხავები ქართველ წმინდანებზე.[71] ამ მხრივ, იგი აგრძელებს XVII საუკუნის ბოლოს დამკვიდრებულ იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით ძველი ბერძნული წიგნების უქონლობის გამო საღვთისმსახურო ლიტერატურის ჩასწორება ხდება სლავური ხელნაწერი წიგნების საფუძველზე. მისი ეს გზა გააგრძელა კათალიკოს-პატრიარქმა ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილმა, რომელიც დომენტი კათოლიკოსის ნაცვლად 1724-1736 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის მოვალეობას ასრულებდა. მან უფრო განავითარა სლავურ-რუსული ტიპიკონების დამკვიდრება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. მანვე ღვთისმეტყველების სხვა დარგშიც შეიტანა ცვლილება. ცნობილია, რომ ძველი ქართული საღვთისმსახურო ლიტერატურა განვითარების სამ ეტაპს მოიცავს. პირველი V-X საუკუნეებს, რომელიც საბაწმინდურის ანუ იერუსალიმურის სახელითაა ცნობილი; მეორე X-XI საუკუნე ე. წ. ათონური პერიოდი. შემდგომ გარკვეული ხარვეზი ჩნდება და XVII-XVIII საუკუნეებში ღვთისმსახურების წიგნების ჩასწორება ხდება სლავურის საფუძველზე. ეს პროცესი არ შეხებია ქართულ უძველეს ჰიმნოგრაფიას. ჰიმნოგრაფიულმა კრებულებმა თავისი მრავალხმიანი პოლიფონია შეინარჩუნეს, რაც სლავური გალობისათვის არ იყო დამახასიათებელი. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება ეგზარქოსობის დროს ცდილობდა უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების ნაცვლად ერთხმიანი სლავური საგალობლებით ჩანაცვლებას. ამ ეტაპზე ჩასწორდა მხოლოდ საეკლესიო ტიპიკონები. ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის შემდგომ ეს გზა გააგრძელა ერთხანს რუსეთში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ პირველმა (1744-1788). დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ ქართველი სასულიერო პირები იძულებული იყვნენ საღვთისმსახურო ლიტერატურის ჩასწორება მომხდარიყო სლავურის საფუძველზე, რადგან ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეული მართლმადიდებლური საპატრიარქოების დახმარებით შეუძლებელი იყო საღვთისმსახურო წიგნების ჩასწორება. გარდა ამისა, ვერ ხერხდებოდა ამ დროს უცხოეთის (ათონის მთა, იერუსალიმი,

70 მ. ქავთარია, რამდენიმე საკითხი დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიიდან, ლიტერატურული ძიებანი, 23, თბ., 2002, გვ. 130.

71 მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII- XVIII სს., თბ., 1977, გვ. 80-81.

შავი მთა, სინას მთა და სხვა) ქართული კულტურის კერებში, რომელთა დიდი ნაწილი აღარ ფუნქციონირებდა, დაცული წინა საუკუნეებში ბერძნულიდან ნათარგმნი ძველი ქართული ხელნაწერების გამოყენება. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სლავური ღვთისმსახურების წესების შემოღება. თუმცა, ამ ფაქტორთან ერთად ხაზი უნდა გაესვას პოლიტიკურ მომენტებსაც. საქართველომ ირან-ოსმალეთის აგრესიის გამო ევროპის ქვეყნებში და რუსეთში დაიწყო პოლიტიკური მოკავშირის მოძიება, მაგრამ როცა ევროპისაგან დახმარება არ ჩანდა საქართველომ ორიენტაცია რუსეთისკენ აიღო. XVIII საუკუნის დასაწყისში კი რუსეთის სამხრეთის საზღვარი თანდათანობით სამხრეთისაკენ გაიზარდა და კავკასიას მიუახლოვდა. ერთმორწმუნეობა და ახლო მეზობლური ურთიერთობა როგორც საერო ისე სასულიერო პირებს უბიძგებდა რუსეთზე აეღოთ ორიენტაცია. თუმცა, ვახტანგ მეექვსისა და შემდგომი ქართველი მეფეების დიდი იმედის მიუხედავად, რუსეთის სახელმწიფოს არ უზურვია მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი საქართველოსათვის დახმარება გაეწია. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს მეფე ვახტანგ მეექვსისა და რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის ურთიერთობაც.

რუსეთის იმპერატორზე მოიმედე ვახტანგ მეექვსე 1723 წელს ტოვებს საქართველოს და რუსეთში მკვიდრდება. მის 1200 კაციან ამალაში მრავლად იყვნენ სასულიერო პირები. ვახტანგ მეექვსის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, როგორც ცნობილია, შეიქმნა ქართული კოლონიები. 1737 წელს მეფე ვახტანგ მეექვსის ასტრახანის მიძინების ტაძარში დაკრძალვამ (1762 წელს რუსეთში მყოფი მეფე თეიმურაზის მეორის გარდაცვალების შემდეგ ისიც ამ ტაძარში დაიკრძალა) ქალაქი ასტრახანი ქართული სიწმინდისა და სიძველეების ცენტრად იქცა, სადაც XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა.[72] იმიერკავკასიის გარდა პირველი ახალშენი, როგორც ცნობილია, მოსკოვში დაარსა არჩილ მეფემ, რომელიც ვსესვიატსკოეს სახელითაა ცნობილი („სვესენწკა" – ქართული გამოთქმით), სადაც მან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღა. პირველ რიგში არჩილმა ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვა აიღო დაებეჭდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოში გასაგზავნად. ნებართვის მიღების შემდეგ მან მოსკოვის სახაზინო სტამბაში ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი, 1705 წელს დაარსა ქართული სტამბა, დაბეჭდა დავითნი, რომლის დიდი ნაწილი საქართველოში იქნა ჩამოტანილი.[73] მართალია, შემდგომ სხვადასხვა მიზეზის გამო არჩილმა დაწყებული საქმე ვეღარ გააგრძელა, მაგრამ მის მიერ დაარსებული ახალშენი მოსკოვში მძლავრ კულტურის ცენტრად იქცა. ქართული ახალშენის საფუძველზე შეიქმნა ქართული სალოცავი და აკლდამა. გარდა ამისა, ქართულ ახალშენში რამდენიმე სალოცავი ყოფილა. ერთი ქალაქის ცენტრში, ზამთრის სასახლესთან და

72 გ. პაიჭაძე, ვ. ჯაფარიძე, ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974.

73 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 7, ქართული სტამბის წიგნი 1929-1979, თბ., 1984, გვ. 267.

საზაფხულო აგარაკზეც. თავდაპირველად ქართველები საძვალედ ბერძენთა მონასტრის ტერიტორიას იყენებდნენ, ხოლო შემდეგ ისინი საძვალედ იმკვიდრებენ დონის და ნოვოდევიჩის მონასტრის ტერიტორიას. უფრო მეტი, 1705 წლიდან დონის მონასტერი ქართველთა ხელშია და მისი წინამძღვარი ლავრენტი გაბაშვილია. მისი მოღვაწეობის დროს უკვე დონის მონასტერი ხდება ქართველთა საძვალე, სადაც პირველად დასაფლავდა ალექსანდრე ბატონიშვილი, არჩილ მეფე და სხვები. მალე ამავე მონასტრის ტერიტორიაზე ქართველებისათვის აშენდა უფლის მირქმნის საყდარი, სადაც აგრეთვე ქართველი წარჩინებულები იყვნენ დაკრძალული. არჩილ მეფის ქალიშვილს, დარეჯანს დონის მონასტრისათვის ნატურალური ულუფა და ფულადი თანხა დაუდგენია. გარდა ამისა, ამ მონასტერს საქართველოდანაც ეგზავნებოდა შეწირულობები.[74] ვახტანგ მეექვსის ჩასვლის შემდეგ ქართული დასახლებები, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა პეტერბურგში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში, სოფელ ლისკოვოში, უკრაინაში და ასტრახანში. ადგილობრივი რუსეთის ხელისუფლება დიდად ახალისებდა ამ დასახლებებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ასტრახანს. ეს პოლიტიკურად გასაგებიც და ადვილად ასახსნელიც იყო, რადგან საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობის მოგვარება ასტრახანის გუბერნატორის პრეროგატივა იყო.

ემიგრაციაში ვახტანგ მეექვსეს ახლდა სასულიერო პირები, მათ შორის მღვდელმთავრები თბილელი მიტროპოლიტი პავლე და ქრისტეფორე სამთავნელი. 1832 წელს მღვდელთმთავრები გარდაიცვალნენ. სასულიერო პირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი კი წმინდა მიწაზე იერუსალიმში გაემგზავრა.[75] აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ქართულ დასახლებებს დიდი პატივით ეპყრობოდა, ხოლო სასულიერო პირებს უფლება ჰქონდა ლიტურგია მშობლიურ ენაზე შეესრულებინათ. მართლაც, რუსეთთან შეერთებამდე რუსეთის ქართულ დასახლებებში ლიტურგია ქართულად სრულდებოდა. აღნიშნულს რუსეთის ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით აკეთებდა, რადგან რუსეთში არსებული ქართული დასახლებების საშუალებით იგი მომავალში ადვილად შეძლებდა კავკასიაში თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების განკარგულებით ქართული დასახლებები მათ კუთვნილებას წარმოადგენდა. ხშირად ახალშენის მკვიდრნი ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აგებდნენ ეკლესიებს, მაგალითად მეფე არჩილის ქალიშვილის დარეჯანის ინიციატივით მოძველებული საყდრის ნაცვლად აუგიათ გრანდიოზული ქართული ტაძარი. ეს ტაძარი რომელიც უფლის გამოცხადების სახელზეა აგებული, დღესაც შემორჩენილია. თუმცა, ამჟამად დონისა და ნეველის მონასტრებში არსებული ქართული საფლავები წაშლილია. აღსანიშნავია, რომ დონის მონასტერში დაცული იყო „ივერიის ღვთისმშობლის ხატი," რომელიც თურმე 1380 წელს კულიკოვოს ბრძოლის დროს დიმიტრი დონელს

74 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 14.
75 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 53.

თან ჰქონია.[76] მოსკოვში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირებიდან აღსანიშნავია იოსებ საამებელ-ნოვგოროდელი. მან დიდი წვლილი შეიტანა 1743 წელს ქართული ბიბლიის გამოცემაში, რომელიც შეუდარა მანამდე არსებულ ხელნაწერებს. იგი 1733 წელს სანკტ-პეტერბურგში გადაიყვანეს, ხოლო 1734 წლიდან ნოვგოროდისა და ფსკოვის მთავარეპისკოპოს თეოფანე პროკოვიჩის ვიკარ-ეპისკოპოსი გახდა. ნოვგოროდში მან ქართულ ენაზე გამოაქვეყნა „კატეხიზმო." მას შეუდარებია ქართული ბიბლია რუსულ ენაზე არსებული ბიბლიისათვის და სურდა მისი გამოცემა, მაგრამ საეკლესიო ცენზურამ უარი განაცხადა მის დაბეჭდვაზე. 1743 წელს მოსკოვში ვახტანგ მეექვსის შვილმა ბაქარმა გამოსცა ბიბლია, რომელიც ბაქარისეული ბიბლიის სახელითაა ცნობილი. ბაქარის მითითებით ნოვგოროდში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში დაამზადებინეს ქართული შრიფტი, სასტამბო მოწყობილობა და 1736 წელს მოსკოვში საკუთარი სტამბა გამართეს.[77]

დიპლომატიური მისიით და სხვა დავალებებით საქართველოდან რუსეთში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი ქართველი საეკლესიო მოღვაწე წავიდა. 1738 წელს მოსკოვს ეწვია მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი, ხოლო 1743 წელს მიტროპილიტი ანტონი. 1755 წელს მოსკოვში დამკვიდრდა ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიური მისიის მეთაური თბილელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ ქართულ სტამბას. სხვადასხვა დროს მოსკოვში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ალავერდელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ჩოლოყაშვილი), ნიკოლოზ მროველი, იოანე რუსთველი, ქრისტეფორე წილკნელი, რომანოზ ერისთავი, მაქსიმე ქუთათელი, იონა გედევანიშვილი, გრიგოლ ხარჭაშნელი; არქიმანდრიტები: არსენი, გერმანე, დომენტი, იოანე, იოსები და სხვები.[78]

ქართველ სასულიერო პირთა უმრავლესობა რუსეთის უწმინდესი სინოდის შტატში იქნა ჩარიცხული. მოსკოვში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველი მონაზვნები: ერეკლე პირველის ასული ელისაბედი, იმერეთის მეფის ასული ნინო და სხვები. ქართველმა მონაზვნებმა აქ დაარსეს დედათა მონასტერი.[79] ასეთივე კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მიმდინარეობდა სანკტ-პეტერბურგში.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართული დასახლება ნიჟნი-ნოვგოროდში და მის მახლობლად მდებარე სოფელ ლისკოვოში, რომელსაც სათავე დაუდო ვახტანგ მეექვსის შვილმა ბაქარმა. ბაქარის შთამომავლებმა ალექსანდრე ბაქარის ძემ და მისმა შვილმა გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ დიდი როლი შეასრულეს ამ მხარის კულტურულ დაწინაურებაში. როგორც ზემოთ აღინიშ-

76 ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI- XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 18.

77 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 18.

78 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 14.

79 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 18.

ნა, იოსებ საამებელმა, რომელიც ნოვგოროდ-ფსკოვის ვიკარ-ეპისკოპოსად ითვლებოდა, დიდად შეუწყო ხელი ამ კუთხეში სულიერების ამაღლებას. იგი დიდად ზრუნავდა აქ დასახლებულ ქართველ მოახალშენეებზეც. აღსანიშნავია, რომ მართალია, მან რუსული კარგად იცოდა, მაგრამ წირვა-ლოცვის დროს თარჯიმნით სარგებლობდა, რომლის ფუნქციას ასრულებდა ზაქარია გიორგის ძე და ანდრია ბიბილური. მისი მარჯვენა ხელი იყო იღუმენი ექვთიმე, რომელიც ნოვგოროდის სოფიის ტაძრის არქიმანდრიტად გაამწესეს.

მეტად საინტერესოა ქართული ახალშენი ასტრახანში, სადაც 1737 წელს ვახტანგ მეექვსის დაკრძალვის შემდეგ იქ ქართველ სასულიერო პირთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ისინი ასტრახანში მცხოვრები კავკასიელებისათვის წირვა-ლოცვას ქართულად ასრულებდნენ. ასტრახანის მიძინების ტაძარში მეფე ვახტანგისა და მეფე თეიმურაზ მეორის გარდა დაასაფლავეს იოსებ საამებელი, ქართველი დიპლომატი და მწერალი, მიტროპოლიტი რომანოზ ტფილელი და სხვა. ასტრახანში თავს იყრიდა ქართველი დიპლომატები, სამხედრო თუ სასულიერო პირები. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ასტრახანის ეპარქიას განაგებდა გაიოზ რექტორი. მან ეპარქიის მმართველობის დროს რუსული ენიდან თარგმნა საერო და სასულიერო ხასიათის ლიტერატურა.

ასტრახანს და საერთოდ იმიერკავკასიას, რუსეთის გარდა, დიდი ყურადღებას აქცევდა საქართველოს როგორც საეკლესიო ისე საერო ხელისუფლება. ჩრდილოეთ კავკასიით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო რუსეთი, რომლის მიზანი იყო ამ მხარის პოლიტიკური დამორჩილება. მიზნის განხორციელებას ხელს უშლიდა ის, რომ კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული მუსულმანური სარწმუნოება. აქ, ჯერ კიდევ, XIV საუკუნიდან თემურ-ლენგის, შემდგომ ირან-ოსმალეთის გავლენით მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში და მათ შორის ოსეთში ქრისტიანობა თავდაპირველად საქართველოდან გავრცელდა. აქ XII-XIII საუკუნეებში არსებობდა სამი ქართული საეპისკოპოსო, რომელიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. XVIII საუკუნეში კი რუსეთის სამხრეთი საზღვარი კავკასიის ქედს მოებრჯინა. ბუნებრივია, რომ მას სურდა აქ მყოფი წარმართი და მაჰმადიანი მოსახლეობა ისევ ქრისტიანობას დაბრუნებოდა, რაც გაადვილებდა რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში. თავის მხრივ, ასტრახანსა და მოზდოკში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს სურდათ კავკასიის მთიანეთში ქრისტიანობის აღდგენა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში უკვე იმიერკავკასიაში ჩნდებიან პირველი ქართველი სასულიერო მოღვაწეები და მათ აქტიურად დაიწყეს ამ მხარეში სამისიონერო საქმიანობა. მანგლელმა მიტროპოლიტმა იოსებ სააკაძემ თავის სამოღვაწეოდ 1722 წელს დაღესტანი აირჩია. მის საქმიანობას მხარს უჭერდა რუსეთის ხელისუფლება და ზოგჯერ სამხედრო და რუს სასულიერო პირებსაც ახმარდა სამისიონერო მოღვაწეობის დროს. მისი მოღვაწეობა მარტო დაღესტნით არ შემოიფარგლა და მან მთელ კასპიისპირეთში დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. ამ პროცესმა ხელი შეუწყო აქაური მხარის აღორძინებას. 1724 წელს ქართველმა სასულიერო პი-

რებმა კასპიისპირეთში შექმნეს წმინდა ჯვრის დასახლება და ასე ჩამოყალიბდა ყიზლარის ქართული დასახლება, მაგრამ ირანის აქტიურობით რუსეთმა უარი განაცხადა ამ ეტაპზე დასახლების გაფართოებაზე. ირანის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1735 წელს ყიზლარში თავი მოიყარა იმიერკავკასიაში მოღვაწე ქართველებმა. სასულიერო საქმიანობა მას შემდეგ გამოცოცხლდა, როცა 1738 წელს სამოღვაწეოდ მოვიდა არქიმანდრიტი დანიელი, რომელმაც რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან ითხოვა ქართული სალოცავის აშენების უფლება. მისი თაოსნობით აიგო ჯვრის ამაღლების ეკლესია, ბერ-მონაზვნებისთვის დაარსდა მონასტერი. მალე აქ სამოღვაწეოდ გადავიდა მანგლელი მიტროპოლიტი იოსები, რომელმაც ქართული სკოლა გამართა. ქართველმა სასულიერო პირებმა ადგილობრივ ჩერქეზებსა და დაღესტნელ დიდებულებთან კარგი ურთიერთობა დაამყარეს. მათ თანხმობა განაცხადეს, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობდნენ კავკასიის მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას.[80]

ამასობაში მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელმთავრებმა იოსებ ქობულაშვილმა, ნიკოლოზ ჯაფარიძემ კავკასიის მთიან ნაწილში, კერძოდ კი ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით და სამისიონერო საზოგადოების დაარსების ნებართვის მისაღებად მიმართეს რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედს (1741-1762). რუსეთის საიმპერატორო კარმა თანხმობა განაცხადა და საკითხი განსახილველად გადაეცა რუსეთის უწმინდესს სინოდს. 1743 წლის 19 ნოემბრის იმპერატორის გადაწყვეტილებით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ჩამოაყალიბა „ოსეთის სასულიერო კომისია," რომლის წევრებად თავდაპირველად ითვლებოდნენ ქართველი სასულიერო პირები. ძირითად ეს ის სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ რუსეთში მოღვაწეობდნენ.[81]

რუსეთის ხელისუფლების სურვილი იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის" მეშვეობით, ჯერ კიდევ, შემოუერთებელ ჩრდილოეთ კავკასიაში გაეტარებინა თავიანთი პოლიტიკური ინტერესები. საამისოდ რუსეთის ხელისუფლებამ თანხებიც გამოყო და ჯამაგირიც დაუნიშნა ქართველ მისიონერ სასულიერო პირებს. მიზანი ნათელი იყო. რუსეთის ხელისუფალთა მითითებით, 1745 წლის გაზაფხულზე ქართველი სასულიერო პირები მოსკოვიდან ყიზლარში ჩავიდნენ. მათ იმავე წლის აპრილში ასტრახანიდან ქართველ სასულიერო პირთა ნაწილი შეუერთდა და მაისში უკვე ყიზლარში შექმნეს დასაყრდენი ოსეთში დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობის წარმართვისათვის.[82] ყიზლარში ამის შემდეგ ქართველთა რაოდენობა გაიზარდა. ქართველმა მისიონერმა მღვდლებმა რუსეთის ხელისუფლების დაფინანსებით შეიძინეს ხატები, ჯვრები, საღვთისმეტყველო წიგნები, საეკლესიო შესამოსლები და სხვა. არქიეპისკოპოს იოსების, ბატონიშვილ ბაქარის, ვახუშტი ბატონიშვილის და სხვათა რჩე-

80 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 20-22.

81 შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდ. კავკასიაში მე-18 საუკუნეში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-ა, XXI-ვ, თბ., 1957, გვ. 409.

82 შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდ. კავკასიაში მე-18 საუკუნეში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-ა, XXI-ვ, თბ., 1957, გვ. 407-409.

ვით მათ შეარჩიეს შესაბამისი საღვთისმეტყველო ლიტერატურა. ქართულ სტამბაში დაიბეჭდა წმინდანთა ხატები, საანბანო წიგნები, ლოცვები ქართული შრიფტით, პარალელურ ქართულ და ოსურ ენებზე და სხვა.[83]

ხელისუფლების ხელშეწყობით მისიონერმა სასულიერო პირებმა ადვილად შეძლეს საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის" მისიონერ მღვდლებსაც შეემატნენ ახალი სასულიერო პირები. რუსეთიდან საჭირო ინვენტართან ერთად მათ მოუვიდათ ძვირფასი ქსოვილები, ფუფუნების საგნები. გარდა ამისა, მოსკოვიდან მისიონერების დასახმარებლად ჩავიდნენ ქართველი სასულიერო პირები: პახუმი, ქრისტეფორე და სხვები.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო კართან. ისინი ქართულ ხელნაწერ საღვთისმსახურო წიგნებს საჩუქრად უგზავნიდნენ მისიონერებს. მისიონერებს დიდი შემწეობა აღმოუჩინა კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ პირველმა და მეფე ერეკლე მეორემ. „ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრებმა ფართო სამისიონერო მოღვაწეობა გაშალეს ოსეთში, ჩეჩნეთში, ჩერქეზეთში. ამ მოღვაწეობაში რუსეთის უწმინდეს სინოდთან და მოსკოვთან კავშირურთიერთობისათვის მთავარ დასაყრდენად მათ ყიზლარი გაიხადეს. ყიზლარში ქართველმა სასულიერო პირებმა დაარსეს სკოლა, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთად სწავლობდნენ ავარი, ლეკი, ჩეჩენი, ოსი, ჩერქეზი მოზარდები. ყიზლარში დაფუძნებულ ქართველ სასულიერო პირებს დიდ დახმარებას უწევდა ქართველი ბატონიშვილები. ქართველი სასულიერო პირების ქადაგებით ადგილობრივი ჩრდილოეთ კავკასიელთა ნაწილი ქრისტიანობაზე მოექცა, თუმცა ძირითადი ნაწილი ან წარმართი იყო ანდა მაჰმადიანობას აღიარებდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ისინი არ გაურბოდნენ ქართველ სასულიერო პირებს.

რუსეთის ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა, რომ ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობა იმიერკავკასიაში უფრო მეტად საქართველოსა და ქართული ეკლესიისთვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ ხედავდნენ, რომ ნაჩქარებად ქართველების ნაცვლად რუსი სასულიერო პირების ჩანაცვლებით შეიძლება მდგომარეობა გართულებულიყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველებისა და კავკასიელ მთიელთა ისტორიულმა კავშირმა მათ შორის არსებულ ნდობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, მათ ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს. ეს ფაქტი კი ქართველ მისიონერ სასულიერო პირებს დიდი დახმარებას უწევდა ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ადგილობრივ მთიელებთან. მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლების სურვილი იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობა ისეთი მიმართულებით წასულიყო, რომ შედეგი მისი სახელმწიფოს ინტერესებს მოხმარებოდა. ხელისუფლების მაღალ ეშელონებში აღნიშნულის შესახებ საგანგებოდ მსჯელობდნენ, როგორ

83 ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 109.

წარემართათ კომისიის მუშაობა, რომ იგი ხელისუფლებისაგან მართვადი გამხდარიყო. თავდაპირველად მათ დაიწყეს „ოსეთის სასულიერო კომისიაში" ქართველების გარდა რუსი სამღვდელოების ჩართვა. ამას მოჰყვა ისიც, რომ მოძრაობის ცენტრი ყიზლარიდან ქალაქ მოზდოკში გადაიტანეს, სადაც ადგლობრივ მკვიდრ მოსახლეობას შორის ქართველთა რიცხვი მცირე იყო. რუსეთის ხელისუფალთა მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა საგრძნობლად შეაფერხა კომისიის საქმიანობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მისიონერ სასულიერო პირთა ხელმძღვანელად და ძირითად ბირთვად ქართველების ნაცვლად რუსები დაინიშნენ. ახალ მისიონერ სასულიერო პირებს ადგილობრივი მთიელი მოსახლეობა უნდობლად ეკიდებოდა, რამაც დააჩქარა „ოსეთის სასულიერო კომისიის" დახურვა. 1792 წელს იგი დაიხურა. 1743 წლიდან 1790 წლამდე ქართველ სასულიერო პირების მიერ ქრისტიანობაზე მოქცეა დაახლოებით 8199 მთიელი.[84]

კომისიის მუშაობას დიდი ამაგი დასდო გაიოზ რექტორმა, რომელიც ერთხანს ასტრახანის ეპისკოპოსი იყო. მან ქართული ანბანის გამოყენებით ოსურ ენაზე დაბეჭდა ლოცვები, ხოლო პ. გენცაუროვთან ერთად კირილიცას მეშვეობთ შეადგინა ოსური ანბანი. მანვე კომისიის მეშვეობით 1775 წელს მოზდოკში ოსი ბავშვებისათვის დაარსა სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც 1792 წლამდე იარსება.[85] XIX საუკუნეში იყო ცდა მიჩქმალულიყო ოსების წინაშე გაიოზ რექტორის დამსახურება. ცაგალოვი თავის სტატიაში „ოსეთში დამწერლობის წიგნური ლიტერატურის შესახებ" გაიოზს ამ საქმეში მიაწერდა მხოლოდ ინიციატივას, ხოლო პირველი ოსური წიგნის შემქმნელად ასტრახანის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულ ოსების დამსახურებად თვლიდა. ასეთ უნიადაგო მტკიცებას ამ დროს საკადრისი პასუხი გასცა ლასინმა, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა, რომ გაიოზმა მოზდოკში 5 წლის ეპისკოპოსად ყოფნის დროს პირველი ოსური წიგნები მან შეადგინა და დაბეჭდაო.[86]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაპყრობისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1815 წელს რუსეთის ხელმწიფის განკარგულებით რუსეთის უწმინდესმა აღადგინა „ოსეთის სასულიერო კომისია," რომელმაც 1860 წლამდე იარსება და იგი ემსახურებოდა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა რუსეთის სამხრეთ საზღვარი კავკასიის ქედს მოებრჯინა, რუსეთის პოლიტიკური ინტერესები საქართველოს მიმართ გაძლიერდა. ეს შეეხო ეკლესიურ ურთიერთობებსაც, რაც დასტურდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ორ ქვეყანას შორის გაცხოველებული დიპლომატიურ ურთიერთობებში და მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან

84 შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდ. კავკასიაში მე-18 საუკუნეში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-ა, XXI-ვ, თბ., 1957, გვ. 411.

85 მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1987, გვ. 115.

86 მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1987, გვ. 80.

რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ მისიებში თვალში საცემია სასულიერო პირთა სიჭარბე, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან, რაც იმის მაუწყებელია, რომ ორივე მხარე პოლიტიკური პროცესების დროს დიდ ადგილს უთმობდა ეკლესიის საკითხს, მაგრამ, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რუსეთის უზენაეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას რუსი ელჩების ინფორმაციით კარგი წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის ისტორიოგრაფია რუს ელჩთა მონათხრობს გულუბრყვილოდ არ ეკიდებოდა. მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ხშირად ისინი გადაჭარბებულად აფასებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ ვითარებას. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს რუსეთის ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მოყვანილი ფაქტები, რომლის ანალიზით ნათელი ხდება, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის ეგრეთ წოდებულ „ერესებზე" ყურადღების გამახვილება, როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავისი სტრუქტურული აგებულებით დიდად განსხვავდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეებშიც ინარჩუნებდა მართვა-გამგეობის იმ პრინციპს, რომელიც უძველესი დროიდან საეკლესიო კანონმდებლობით იყო დადგენილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებით, რუსეთის ეკლესიას 1700 წლიდან, პეტრე პირველის მითითებით, პატრიარქი აღარ აურჩევიათ, ხოლო 1721 წელს, მისივე განკარგულებით, გაუქმდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის ტიტულატურა, რომელიც XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან „მოსკოვიისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის" ხარისხს ატარებდა და მის ნაცვლად დაწესდა კოლეგიალური მმართველობა „რუსეთის უწმინდესისა და უმართებულესი სინოდის" სახით და იგი წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებას.

რუსეთის უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელად ითვლებოდა საერო პირი ობერ-პროკურორის სახელწოდებით (სიტყვა გერმანულია და ნიშნავს „მთავარ ზედამხედველს"). იგი იყო ხელისუფლების მოხელე და სახელმწიფოს სენატის წინაშე ეკლესიის საკითხებს კურირებას უწევდა. რაც შეეხება, რუსეთის უწმინდეს სინოდში შიდა საეკლესიო საკითხების განხილვა და მოწესრიგება მოსკოვის მიტროპოლიტის პრეროგატივა იყო.

რუსეთის საერო ხელისფლება, კერძოდ კი რუსეთის იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკრორს და მის წევრებს. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკრორს მნიშვნელოვანი ფუნქცია არ ჰქონდა დაკისრებული. იგი სინოდის სხდომებს თავჯდომარეობდა და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენდა იმპერატორს. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა მას შემდეგ

თუკი იგი იმპერატორის მიერ იქნებოდა ხელმოწერილი. აქედან გამომდინარე ობერ-პროკურორი იყო ხელმწიფის თვალი და ყური. პეტრე პირველის დროიდან იმპერატორის განკარგულებით რამდენჯერმე შემუშავდა რუსეთის უწმინდესი და უმართებლესი სინოდის რეგლამენტი ანუ დებულება. ეს ცვლილებები განსაკუთრებით თვალში საცემი და ხშირი გახდა XIX საუკუნეში, როცა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა და იგი რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად იქცა. რუსეთის საერო ხელისუფლება სწორედ ამ დებულებებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავდა როგორც ეკონომიკურ, კულტურულ, განათლების, სამისიონერო და სხვა სფეროებს, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენდა საეკლესიო პოლიტიკის გატარებას იმპერიის მაშტაბით.

ასეთი პრინციპული საეკლესიო განსხვავების გამო, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის დიპლომატია, მისივე ხელისუფლების მითითებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხს პოლიტიკური ურთიერთობისაგან არ გამოყოფდა და უფრო მეტიც, როგორც წყაროებიდან ჩანს, მას დიდ ადგილს უთმობდა. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებისთვისაც ეკლესიის საკითხს დიდი ადგილი ეკავა რუსეთთან ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში მივლინებულ ქართველ დიპლომატებს შორის აქტიურობით ყოველთვის გამოირჩეოდნენ მაღალი იერარქიის სასულიერო პირები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-საქართველოს, როგორც პოლიტიკურ ისე საეკლესიო ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება, მაგრამ წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით ეს ურთიერთობა უფრო აქტიური ხდება, რაც დიპლომატიური სიხშირითაც გამოირჩევა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1752-1754 წლების ელჩობა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა და წამყვან ფუნქციას ასრულებდა თბილელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი. მასთან ერთად იმყოფებოდა არქიმანდიტრი ქრისტეფორე, პროტოპრესვიტერი ნიკოლოზი; მღვდლები გიორგი ვარლამოვი და სიმონ დავიდოვი; დიაკონი გერმანე, კერძო დიაკონი გრიგოლი, ივანე და იოსები. ჩვიდმეტი კაცისგან შემდგარ დიპლომატიურ მისიაში რვა სასულიერო პირის გარდა იმყოფებოდნენ თავადები და აზნაურები. მათ შორის აღსანიშნავია, სიმონ მაყაშვილი. აღნიშნული მისია ცნობილია ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის სახელით.[87] აღნიშნული ელჩობის შესახებ რამდენიმე გამოკვლევა არსებობს, რის გამოც მისი მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ თხრობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ათანასე მიტროპოლიტსა და სიმონ მაყაშვილს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, რამაც არასასურველი გავლენა მოახდინა ელჩობის შედეგებზე. ათანასე მიტროპოლიტს ზურგს უმაგრებდა რუსეთში მყოფი მისი ახლობლები, ძმისწულები. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო უწყება თავისი დაზვერვის მეშვეობით საქმის კურში იყო ქართველთა ელჩობაში არ-

87 ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, I, თბ., 2007, გვ. 26.

სებული უთანხმოების გამო. რუსეთის ხელისუფლებასთან და განსაკუთრებით რუსეთის უწმინდეს სინოდთან ათანასე მიტროპოლიტმა კარგი ურთიერთობა დაამყარა და ისინი მტრულად განაწყო ქართველი ელჩებისადმი. მისი მოთხოვნით, რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი ელჩები სამშობლოში გაამგზავრა. მართალია, ამ ელჩობას წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამ ელჩობით განახლდა რუსეთ-საქართველოს შორის შეწყვეტილი ურთიერთობა.[88] ათანასე მიტროპოლიტი კი ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით, იმპერატორის განკარგულებით, რუსეთის უწმინდესი სინოდის მფარველობით რუსეთში დარჩა, სადაც მას დაენიშნა ხელფასი და ისევ თბილელი მიტროპოლიტის სახელით აგრძელებდა მოღვაწეობას. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ მან უღალატა ფაქტიურად ქართლ-კახეთის მეფეთა ინტერესებს და თვით ეკლესიასაც. საქართველოში თავისი ეპარქია და მისი მრევლი უმართველოდ დატოვა.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მიტროპოლიტ ათანასეს მოღვაწეობა მისაღები იყო. მისი მეშვეობით ისინი ეცნობოდნენ საქართველოში არსებულ საეკლესიო ვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მას რუსეთის ხელისუფალნი კარგად იყენებდა თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. აქვე დავძენთ, რომ საქართველოდან ქართ-კახეთის სამეფო კარმა მისი სამშობლოში ჩამოსაყვანად 1756 წელს გაგზავნა მღვდელი სიმონ საგინაშვილი, მაგრამ მიტროპოლიტმა ათანასემ მოახერხა მისი გადაბირება და რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, მას უარი უთხრეს ქართველი მღვდელმთავრის საქართველოში დაბრუნებაზე. საქართველოში ჩამოსული მღვდელი სიმონ საგინაშვილი მიტროპოლიტ ათანასეს მითითებით მოქმედებდა და სასულიერო პირთა შორის დებოშისა და დაპირისპირების ინიციატორი გახდა.[89]

რუსეთში მოღვაწე ათანასე მიტროპოლიტი აშკარად რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უარყოფით როლს ასრულებდა და რუსეთში მოღვაწე მართლმადიდებლობიდან განდგომილ სტარობრიადელებს (ძველი მოწესეები) ურჩევდა საქართველოში ჩამოსულიყვნენ, სადაც ისინი ოფიციალური ეკლესიის წევრებად იქნებოდნენ მიღებული.[90]

ათანასე მიტროპოლიტი რუსეთის უწმინდესი სინოდისა და იმპერატორის დიდ მფარველობას განიცდიდა. 1761 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებართვით მან მოსკოვში დაარსა სტამბა, სადაც 1765 წელს დაბეჭდა რამდენიმე სასულიერო ხასიათის წიგნი: სამოციქულო, დავითნი, ლოცვანი, ჟამნი. აგრეთვე დაბეჭდა „დაუჯდომელი," ხოლო 1767 წელს – „პარაკლიტო-

88 ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, I, თბ., 2007, გვ. 54.

89 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 38.

90 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 39.

ნი." ამ ნაშრომებს იგი საქართველოში აგზავნიდა, რაშიც რუსეთის ხელისუფლება უწყობდა ხელს, რადგან აღნიშნული სასულიერო ლიტერატურა სლავური წეს-განგებების საფუძველზე იყო შედგენილი. მათი საქართველოში გავრცელება კი ხელს შეუწყობდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში რუსეთის ეკლესიაში არსებული წეს-განგებების დამკვიდრებას. ამ გზით, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება თანდათან ახდენდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში რუსული მმართველობის შემოღებას, რაც თავდაპირველად სასულიერო ხასიათის ლიტერატურის გავრცელებით უნდა მომხდარიყო. უფრო მეტიც, მიტროპოლიტ ათანასეს უშუალო ჩარევით, დიდი სურვილი იყო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას წმინდა მირონი რუსეთიდან წაეღო. ერთ-ერთ ქართველ მკვლევარს ნყაროს მიუთითებლად მოჰყავს ცნობა, რომ 1769 წლის 20 სექტემბერს ათანასე მიტროპოლიტმა რუსეთის უწმინდეს სინოდს გადასცა იმდროინდელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის (1744-1788) თხოვნა წმინდა მირონის რუსეთიდან საქართველოში გაგზავნის შესახებ. რუსეთის უწმინდეს სინოდს თითქოს ამ ფაქტზე თანხმობა განუცხადებია და საქართველოში ათანასე მიტროპოლიტის ხელმოწერით ვედრონახევარი მირონი გამოუგზავნიათ.[91] მოტანილი ცნობა, თუ რა წყაროს ეყრდნობა, მითითებული არაა. ბუნებრივია, რომ ამ ფაქტს თვითონ მკვლევარი ვერ შეთხზავდა. როგორც ჩანს, მან რუსეთის არქივში მიაკვლია რაღაც მასალას, საიდანაც ეს ცნობაა ამოღებული, მაგრამ უკომენტაროდ გვთავაზობს მას. წარმოდგენილ მასალაში უზუსტობებია დაშვებული. ჯერ ერთი, ავტოკეფალური, დამოუკიდებელი ეკლესია წმინდა მირონს თვითონ ამზადებს და მისი შემოტანა სხვა ეკლესიიდან არ შეიძლება, რადგან წმინდა მირონის კურთხევა ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანია. მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაშინდელმა მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ პეტრე პირველის მიერ გატარებული რეფორმით პატრიარქობის ტიტულს წართმეული ეკლესიიდან არ მოითხოვდნენ წმინდა მირონის წამოღებას. თუმცა, ცნობილია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ზოგიერთ ავტოკეფალურ ეკლესიას მირონი სხვა ეკლესიისაგან მიუღია. ჩვენს ქვეყანას კი გარეშე მტრების შემოსევების გამო არაერთხელ გაჭირვებია, მაგრამ წმინდა მირონი ადგილზე უკურთხებიათ, იმის გამო, რომ ეჭვის ქვეშ არ დამდგარიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. გარდა ამისა, მოტანილ ცნობაში მითითებულია, რომ საქართველოში თითქოს გამოიგზავნა ვედრონახევარი წმინდა მირონი. ესეც მცდარი აზრია. წმინდა მირონის გადატანა ვედროთი არ ხდებოდა. მისი ტრანსპორირება, როგორც დიდი სიწმინდისა, ხდებოდა სპეციალური ჭურჭლით. როგორც ჩანს, ვედრონახევარში იგულისხმება ზომა-წონის ერთეული, მაგრამ ესეც არასწორია. წმინდა მირონის რაოდენობის განსაზღვრა ამ მეთოდით არ ხდებოდა და არ ხდება დღესაც. ჩვენი აზრით, აღნიშნული ცნობა თვით

91 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 39.

ათანასე მიტროპოლიტის მიერ უნდა იყოს შეთხზული.



კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1788)

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობა განსაკუთრებულ სახეს იღებს და უფრო მაღალ საფეხურზე ადის საქართველოს კათოლიკოს ანტონ პირველის რუსეთში გადასახლების დროს (1757-1763 წწ.). ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარისა და საქართველოს ეკლესიაში მოკალათებული სასულიერო პირთა ერთი ნაწილის მოთხოვნით, 1755 წელს ანტონ პირველი კათოლიკობის მიღების ბრალდებით ტახტიდან გადააყენეს. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ანტონ პირველმა რუსეთში წასვლა ითხოვა. გამგზავრებამდე მან სამეფო კარს მომხდარი ფაქტის შესახებ მონანიების წერილი წარუდგინა და სთხოვა რუსეთში გამგზავრებისათვის სარეკომენდაციო მიმართვა შეეძგინათ, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა, რომ იგი კათოლიკურ სარწმუნოებას არ აღიარებდა. ბიძის, მეფე თეიმურაზ მეორის (1745-1762) სახელით გაცემულ რწმუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ექსორიობაში მყოფ ანტონ პირველს სასულიერო კარიერა გაეგრძელებინა. სარეკომენდაციო წერილის მიღების შემდეგ, 1756 წლის ზაფხულში ანტონ პირველი თანმხლებ პირებთან ერთად რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ გზად მიმავალი ანტონ პირველი მცირე ხანს, დაახლოებით სამი თვე შეაჩერეს ყიზლარში.[92] საქმე იმაში გახლდათ, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის წინასწარ ცნობილი იყო საქართველოში ანტონ პირველის გარშემო მომხდარი მოვლენები და მოსკოვში სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბათ თუ რა მიზანს ისახავდა ანტონის ვიზიტი მათ ქვეყანაში. სწორედ ეს იყო მისი ყიზლარში დაყოვნების მიზეზი. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა, ყიზლარის კომენდატის და ანტონ პირველის ამალის წევრთა დაწვრილებით გამოკითხვის შემდეგ უფლება მისცა კათოლიკოსი და მისი თანხლები პირები რუსეთში ჩასულიყვნენ. 1757 წლის 8 მარტს იგი უკვე პეტერბურგშია და რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე წარსდგა. ამ უკანასკნელმა ანტონს მოსთხოვა ახსნა-განმარტება მისი სარწმუნოებრივი ორიენტაციის შესახებ, დაესაბუთებინა ის მიზეზები თუ

92 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 22.

რატომ დატოვა სამშობლო და რა მიზნით ჩავიდა რუსეთში. მან შეასრულა რუსეთის უწმინდესი სინოდის თხოვნა და წარადგინა სიმბოლო სარწმუნოებისა, საიდანაც კარგათ ჩანდა მისი ორთოდოქსალური სარწმუნოებისადმი ერთგულება.[93] რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ანტონის წარდგენილი სიმბოლო სარწმუნოებისა იმის დასტურად მიიჩნია, რომ იგი 1757 წლის დეკემბერში იმპერატორთან შეთანხმებით დაინიშნა ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად.[94]

ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, ექსორიობაში ქართველი კათალიკოსისათვის ასეთი პატივი მისაღები ჩანს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეპარქიის მმართველად მისი განწესებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ეპარქიის მმართველად დადგინების შემდეგ, ანტონმა რუსეთის უწმინდეს სინოდს მიართვა „საფიცარი აღთქმა," რომლის ძირითადი ნაწილი ეთმობა ორთოდოქსალური სარწმუნოების მტკიცედ დაცვას, მაგრამ ტექსტის შესავალ ნაწილში ყურადღება გამახვილებლია მის ერთგულებაზე რუსეთის ხელმწიფის მიმართ. ტექსტში ხაზგასმულია, რომ იგი ხელმწიფის გარეშე არ გამართავდა მიმოწერას სახელმწიფოს და ეკლესიის საწინააღმდეგოდ, რომ მთელი თავის საქმიანობას მოახმარდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ძლიერებას.[95] ფიცის ტექსტის ეს ნაწილი რუსეთის ხელისუფლებისათვის საინტერესო იყო, რადგან, როგორც შემოდგომის მოვლენები გვიჩვენებს, ანტონი მათ სურდათ გამოეყენებინათ საქართველოში თავიანთი პოლიტიკური მიზნების გატარებისათვის. ფიცის ტექსტმა უფრო გაამყარა რუსეთის ხელისუფალთა ნდობა ანტონ პირველის მიმართ.

ვლადიმირში დამკვიდრებულ ანტონს თან ახლდა საქართველოდან წასული სასულიერო პირთა დასი: არქიმანდრიტი სტეფანე, პროტოპოპი ნიკოლოზი და გაბრიელი, მღვდელ-მონაზონი იუსტინე და სხვა. მათი ნაწილი ანტონ პირველის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რუსეთში დარჩა.

რუსეთში მოღვაწეობის პერიოდი (1757-1763 წწ.) ანტონს უქმად არ გამოუყენებია. მან აქ სლავური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა საღვთისმსახურო ლიტერატურა, რითაც ფაქტიურად დაასრულა სლავური წეს-განგების დამკვიდრება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. მანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული თვენის გამართვაში, ქართველ წმინდანებსა და ცნობილ სასულიერო მოღვაწეებს მიუძღვნა იამბიკოები, რომელიც სრული სახით წარმოდგენილია ნაშრომში „წყობილსიტყვაობა." მასვე ეკუთვნის ორიგინალური ხასიათის ნაშრომი „მარტირიკა" და სხვა. რუსეთში ყოფნისას მას უცხოური ენებიდან უთარგმნია სხვადასხვა ხასიათის თხზუ-

93 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 31-32.

94 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 30.

95 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 30.

ლებები, როგორიცაა კურციოსის თხზულება ალექსანდრე მაკედონელზე. რუსეთში მან დაწერა დოგმატიკის შესახებ ნაშრომი, რომელიც ოთხი ტომისაგან შედგება, უცხოენიდან გადმოიღო ვოლფის „ფიზიკა," ბაუმაისტერის ფილოსოფოსიური თხზულებანი და სხვა.[96] რუსეთში მოღვაწეობის დროს იგი დაუახლოვდა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონ პირველი მათთან ურთიერთობას დიპლომატიური მოღვაწეობის დროს ხშირად იყენებდა.

საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ, 1763 წელს ანტონ პირველი სამშობლოში ბრუნდება და იგი საკათალიკოს ტახტზე კვლავ აიყვანეს. მისი სამშობლოში დაბრუნება და საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად დადგინება განხორციელდა, მისი ბიძაშვილის, მეფე ერეკლე მეორის აქტიური მხარდაჭერით. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ანტონ პირველი კათოლიკოსი თავის წევრად აირჩია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსეთის ხელისუფალთა დაინტერესება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ დიდი იყო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონ პირველს ისევ დაუპირისპირდა სამეფო კარის ყოფილი მოძღვარი, დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, რომელიც გადააყენეს თანამდებობიდან. დევნილი ზაქარია გაბაშვილი რუსეთში გამგზავრებას აპირებდა, ჩავიდა ყიზლარში, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მას თავშესაფრის უფლება არ მისცა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთისთვის იმ დროს პოლიტიკურად უფრო მისაღები იყო ანტონ პირველი კათალიკოსი, ვიდრე დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი.

საქართველოში დაბრუნებული ანტონ კათოლიკოსი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაერთო. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყიში უკვე ქართლ-კახეთის სამეფო კარზე აქტიურად განიხილებოდა რუსეთთან პოლიტიკური მოკავშირეობის საკითხი. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, როცა მეფე ერეკლემ ევროპის ქვეყნებისგან დახმარების იმედი დაკარგა. რუსეთთან კავშირის მიზნით, ანტონ პირველი კარგად იყენებდა რუსეთის სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებთან არსებულ პირად ნაცნობობას და მათ ხშირად პოლიტიკური ხასიათის წერილებითაც მიმართავდა. ანტონ პირველს აქტიური ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა გრიგოლ პოტიომკიანთან (1743-1796) ცნობილ რუს სახელმწიფო მოღვაწესთან, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნებთან და კერძოდ საქართველოსთან ურთიერთობის დამყარება. შემორჩენილია აგრეთვე ანტონ კათოლიკოსის წერილები რუსეთის სახელმწიფო მოღვაწესთან და დიპლომატთან გრაფ ნ. პანინთან. 1770 წელს რუსეთის მინისტრ გრაფ ნ. პანინისადმი გაგზავნილ მიმათვაში იგი მოურიდებლად ამხელს მათ მიერ საქართველოში გამოგზავნილი გენერალ ტოტლებენის ავანტიურულ საქმიანობას. წერილში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ტოტლებენი ცდილობდა მეფე ერეკლეს წინააღმდეგ უკმაყოფილოთა

96 ს. ავალიანი, ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987, გვ. 54-56.

ამხედრებას, რისთვისაც იგი დაახლოებია მეფის მოწინააღმდეგე „მარკოზაშვილის დარბაზის" წევრებს.[97] ანტონ კათოლიკოსის ასეთივე ხასიათის რამდენიმე წერილია შემორჩენილი გრაფ ნ. პანინისადმი გაგზავნილი.

წერილობითი მიმართვის გარდა, ანტონ კათოლიკოსი XVIII საუკუნის 70-იან წლებში აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაერთო. 1771 წლის 29 დეკემბერს მეფე ერეკლე მეორის განკარგულებით რუსეთის საიმპერატორო კარზე გაიგზავნა საგანგებო ელჩობა ანტონ კათოლიკოსისა და თავისი შვილის ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. ქართ-კახეთის სამეფო კარზე ელჩების ხელმძღვანელები შემთხვევით არ იყვნენ შერჩეული. კათოლიკოსი ანტონ პირველი კარგად იცნობდა რუსეთის მმართველ წრეებს და ამ ნაცნობობას ადვილად გამოიყენებდა პოლიტიკური ურთიერთობისათვის, მეორე მხრივ, უკვე ცნობილი და გადაწყვეტილი იყო, რომ რუსეთთან უნდა მომზადებულიყო ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხიც უნდა ასახულიყო. ბუნებრივია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარეშე, თუ რა ადგილი უნდა დაეკავებინა და რა სტატუსი უნდა ჰქონოდა მომავალ ხელშეკრულებაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვერ გადაწყდებოდა. გარდა ამისა, ანტონ კათოლიკოსი მეფე ერეკლეს ღვიძლი ბიძაშვილი იყო და ეს ფაქტორიც ბუნებრივად გადამწყვეტი იყო, ხოლო ელჩობის მეორე წევრი ლეონი ერეკლე მეორის შვილი გახდა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და ბუნებრივია ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური საკითხების განხვილვის დროს ქართ-კახეთის სამეფო კარს მასზე ერთგული არავინ ეყოლებოდა.

რუსეთში ელჩობა ანტონ კათოლიკოსის ხელმძღვანელობით განხორციელდა 1772-1774 წლებში. მათ წაიღეს მეფე ერეკლეს ხელმოწერილი ხელშეკრულების პროექტი და ოფიციალური წერილები, რომლის ძალითაც იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო საქართველო-რუსეთს შორის მფარველობის ხელშეკრულება.[98] ჩვენ დაწვრილებით აღარ მიმოვიხილავთ აღნიშნული ელჩობის მომზადებასა და მათ საქმიანობას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მათ მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე წარდგენილი „სათხოვარ ფუნქტებში," რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, საქართველოს ეკლესიის საკითხი საგეგებოდ იყო გამოკვეთილი. „სათხოვარ ფუნქტებში" მითითებული იყო, რომ „კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად."[99] პირველად სწორად ამ „სათხოვარ ფუნქტებში" ფიქსირდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი. აღსანიშნავია,

97 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 243.

98 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 71.

99 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 74.

რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარს კარგად ჰქონდა გააზრებული ეკლესიის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი მშნებლობის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ამ ხაზს იგი აქტიურად იცავდა.

ასტრახანში ჩასული ელჩები თითქმის ერთი წელი შეაყოვნეს. ამ დროისთის (1768-1774 წლებში) რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა და რუსეთის ხელისუფლება დიდი გულისყურით ელოდა მოსალოდნელ შედეგებს. გარდა ამისა, რუსეთს წინასწარ უნდა განესაზღვრა ქართული ელჩების მოთხოვნები რამდენად ჯდებოდა მათ პოლიტიკურ ინტერესებში. აღნიშნული გამო და აგეთვე სხვა მიზეზებითაც ისინი ცდილობდნენ რუსეთში ქართველი ელჩების შეყოვნებას.[100]

მძიმე სიტუაციაში მყოფმა ელჩებმა ასტრახანიდან 1772 წლის 24 ოქტომბერს დახმარებისათის მიმართეს რუსეთის მინისტრ გრაფ ნ. პანინს, რომლის რეკომენდაციით იმპერატორმა ქართველთა ელჩობას პეტერბურგში ჩასვლის უფლება მისცა.[101] 1773 წლის დასაწყისში ქართველი დეპუტაციის შეხვედრა იმპერატორ ეკატერინე მეორესთან არ შემდგარა. მათ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინეს „სათხოვარი პუნქტები" და წერილები. პეტერბურგში ჩასვლისთანავე ანტონ კათოლიკოსმა რუსულ ენაზე დაწერილი პირადი წერილი შეადგინა იმპერპატრიცა ეკატერინე მეორისა და ტახტის მემკვიდრე პავლე პირველის სახელზე. აღნიშნული წერილები გამოქვეყნებულია, სადაც აღნიშნულია, რომ ერთმორწმნე რუსეთი ვალდებულია დაიფაროს და დაიცვას საქართველო მუსულმანთა გარემოცვისგან.[102] მართალია, ელჩები პეტერბურგში ჩავიდნენ, მაგრამ სამეფო კარზე ისინი არ მიიღეს. ერეკლე მეფის „სათხოვარი პუნქტები" და წერილები ეკატერინე მეორეს გადასცეს, ხოლო კათოლიკოს ანტონ პირველის მიმართვები ადრესატამდე.



მეფე ერეკლე II. კახეთის მეფე (1745-1762); ქართლ-კახეთის მეფე (1763-1798)

100 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 74.

101 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 84.

102 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 87-88.

დე არ მისულა. აღნიშნული ფაქტი იმდროინდელი პოლიტიკური მიზეზებით იყო ნაკარნახები. რუსეთი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1769-1774 წლებში თურქეთთან ომს აწარმოებდა და მთელი აქცენტი მოსალოდნელ შედეგებზე ჰქონდა გადატანილი. ქართველ ელჩებს 1773 წლის ბოლოს წარდგენილი „სათხოვარი პუნქტების" შესახებ ეცნობა, რომ „დადგა მომენტი, როდესაც საქართველო სიმშვიდეს ითხოვს, ამჟამად მისთვის ყველაზე არსებითს წარმოადგენს თურქეთის მხრიდან უშიშროების გარანტირება, რომელსაც რუსეთს იმპერია მომავალი საზავო ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინებს."[103] ქართულმა ელჩობამ 1774 წლის დასაწყისში ასეთი დაპირებით დატოვა რუსეთის ტერიტორია. რაც შეეხება, რუსეთ-თურქეთს შორის 1774 წელს დადებულ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში საქართველოს უშიშროების საკითხი ძალიან ბუნდოვნად აისახა. მასში აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი საერთოდ არ იყო ნახსენები, ხოლო დასავლეთ საქართველოს შესახებ ოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ცნობდა დასავლეთ საქართველოში თურქეთის ბატონობას, მაგრამ უარს აცხადებდა მის დახარკვაზე და ეკლესიის შევიწროებაზე.

ზემოთ აღნიშნული ელჩობა მართალია, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ რუსეთის მმართველი წრეებისათვის ცნობილი გახდა თუ რა სურდა საქართველოს ხელისუფლებას. ამ მოთხოვნაში კარგად ჩანს მომავალ ხელშეკრულებაში თუ როგორ უნდა ასახულიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი. ცნობილია, რომ ამ ელჩობის შემდეგ ერეკლე მეორემ !775 წელს კიდევ ერთხელ სცადა წერილით მიემართა რუსეთის მინისტრ გრაფ ნ. პანინისათვის და თუკი ფიზიკური დახმარება არ იქნებოდა ფულადი შემწეობა მაინც მიეღო, მაგრამ პასუხი მაინც იგვიანებდა. რუსეთის გარდა მეფე ერეკლე ცდილობდა მაჰმადიანური გარემოცვისაგან თავის დაღწევის მიზნით ევროპის ქვეყნებისაგან დახმარების მიღებას. ამ მიზნით მან ევროპაში ელჩებიც მიავლინა, მაგრამ მათგანაც დახმარების იმედი გადაიწურა.[104]

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთმა გააქტიურა ურთიერთობა ქართლ-კახეთს სამეფოსთან. როგორც ჩანს, ამ გააქტიურების მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ მეფე ერეკლემ ორიენტაცია ევროპის ქვეყნებზე აიღო. ბუნებრივია, სამხრეთის საზღვრებისაკენ მზარდი რუსეთი არ დაუშვებდა კავკასიისა და საქართველოს საკითხში მოცილე ჰყოლოდა ევროპელი ქვეყნების სახით. ამავე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყიდასიდან აქტიური სამზადისი დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებისათვის. საქართველოდან ამ საკითხის მომზადება სამეფო კართან შეთნხმებით დაევალა გარსევან ჭავჭავაძეს და იოანე მუხრანბატონს. რუსეთს მხრიდან კი მას

103 მ. ბულეიშვილი, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1992, გვ. 92.

104 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 84-87.

კურირებას უწევდა და აქტიურად იყო ჩართული იმპერატორ ეკატერინე მეორის ფავორიტი გენერალი გრიგორი პოტიომკინი. ფაქტობრივად ტექსტის შემუშავებში და ქართველ დიპლომატებთნ მოლაპარაკებში მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური უწყების ფაქტობრივი ხელმძღვანელი ალექსანდრე ბეზბოროდკო, რომელიც რუსეთის ხელისუფლებისაგან სრულუფლებიანი მანდატით იყო აღჭურვილი. თუმცა ყოველი საკითხის გადაწყვეტა გრიგორ პოტიომკინთან შეთანხმებით ხდებოდა.

ტრაქტატის შემუშავების დროს ბუნებრივია გათალისწინებული უნდა ყოფილიყო ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული 1771 წლის 30 დეკემბრით დათრიღებული „სათხოვარი პუნქტები," სადაც სხვა საკითხებთნ ერთად ხაზგასმით იყო აღნიშნული ქართლ-კახეთის სამეფოს მოთხოვნა. რუსეთს მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთს სამეფო ეკლესიურად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზემოთ აღინიშნა, „მსგავსსავე კატოლიკოზისა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად."[105] ბუნებრივია, რომ ტრაქტატის გაფორმებისას რუსეთს თავისი ინტერესები ამოძრავებდა. ამთავითვე დავძენთ, რომ ერეკლე მეორის „სათოვარ პუნქტებში" აღნიშნული კათოლიკოსის ხელშეუხლებლობა ნაწილობრივ შენარჩუნებულ იქნა. თუმცა, როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, გარკვეულწილად გეორგიევსკის ტრაქტატში არსებული ერთ-ერთი მუხლით საკმაოდ შეილახა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებები.

1781-1783 წლებში ქართულ-რუსული დიპლომატია ხელშეკრულების ტექსტის მუშაობაზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრების დროს შეთანხმებულ ტექსტებს ისინი უკან დაბრუნების შემდეგ სადაო მუხლებს საკუთარ მთავრობასთან ათანხმებდნენ. ამის გამო, შემორჩენილია ხელშეკრულების რამდენიმე ვარიანტი. თავის მხრივ, საინტერესოა ამ პროექტების წყაროთმცოდნეობითი ანალიზი უკვე გეორგიევსკში ხელმოწერილ ტექსტთან. აღნიშნული შედარება ჩატარებულია, მაგრამ თუ რა ადგილი უნდა დაეკავებინა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ხელშეკრულების მუხლებში ამის შესახებ საგანგებო კვლევა არავის ჩაუტარებია. თავდაპირველად, როგორც ალექსანდრე ბეზბოროტკოს ხელშკრულების პუნქტიდან ჩანს, რომელიც თვით მისივე ხელით არის ჩასწორებული, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრს რუსეთის უპირველესი ეპარქიების – მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის და ნოვგოროდის მმართველი მღვდელმთავრების შემდეგ უნდა დაეკავებინა მეხუთე ადგილი.[106] სამუშაო შეხვედრის დროს ქართველ ელჩებს, როგორც ჩანს, მითითებულ მუხლზე თნხმობა არ განუცხადებიათ. საქართველოში დარუნების შემდეგ ისინი, როგორც ჩანს, მოეთათბირნენ ადგილობრივ საერო და სასულიერო ხელისუფალთ, რომ აღ-

105 А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, т. II, вып. I, СПБ., 1898, стр. 91; შდრ. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოფირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983, გვ. 62.

106 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. 2., Спб., 1902, стр. 37.

ნიშნული საკითხის გამო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველისაგან თნხმობა მიეღოთ. თანხმობის შემდეგ, ახალი სამუშაო შეხვედრისას გადაწყდა, რომ ხელშეკრულებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი დაიკავებდა მეხუთე ადგილს და იგი იქნებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის მუდმივი წევრი. რა თქმა უნდა, ხელშეკრულებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთი დაფიქსირება აკნინებდა მის როლს, მაგრამ, როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციაში სხვა გამოსავალი არ იყო. საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის მმართველი წევრები მიიჩნევდნენ, რომ ხელშეკრულებით საფრთხე არ ექმნებოდა საკათალიკოსოს გაუქმებას და ამიტომ იერარქიის რიგითობის საკითხს ადვილად დათანხმდნენ.

მართალია, საქართველოს საერო და საეკლესიო პირები ეკლესიის საკითხის გამო გარკვეულ დათმობაზე მიდიოდნენ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას ეს საკითხი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი. ალექსანდრე ბეზბოროტკო ხელშეკრულების ამ მუხლის შესახებ გენერალ გრიგოლ პოტიომკინს აცნობებდა, რომ ხელშკრულებით რუსეთის ეპარქიებს შორის მოხსენებული იქნებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთვარი, მაგრამ საინტერესოა, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი კათალიკოს-პატრიარქის ტიტულით კი არ იხსენიებოდა, არამედ მთავარეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსი) – ტიტულით, რაც მის დამცრობას წარმოადგენდა. ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ უძველესი ქართული ეკლესიის მწყემსმთვარი, რომელიც უმაღლეს კათოლიკო-პატრიარქის ტიტულს ატარებდა მთავარეპისკოპოსს გაუთანაბრდებოდა. იგივე ალექსანდრე ბეზბოროტკო გენერალ გრიგორ პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილში საგანგებოდ მიუთითებდა: „Когда по духовенству они привязаны будут к Синоду, то по сему примеру и Римское духовенсто (в Грузии) от России же получать будут, а сим кончится сношение с императом (Римским), которому причиною миссионарии."[107] აშკარად ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლებას აფიქრებდა ის გარემოება, რომ საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების რჩევით ქვეყნისათვის უფრო მიზანშეწონილი იყო ევროპასთან მისი დაახლოება. რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო საქართველოს ევროპასთან დაახლოება. მომავალში მისი აღკვეთის მიზნით შეუდგენიათ საგანგებო „მითითება," სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს ეკლესიის იერარქია რუსეთის საეკლესიო სინოდს დაუკავშირდეს და მისი კათოლიკოსი რუსეთის ეკლესიის პირველი რანგის მწყემსმთავრების რიგში მოვაქციოთ."[108] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებით მოიხსნებოდა ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობის საფრთხე. მკვლევარ ი. ცინცაძის დასკვნით, რუსეთს

107 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относяшиеся до Грузии, т. II, вып. 2., Спб., 1902, стр. 31.

108 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относяшиеся до Грузии, т. II, вып. 2., Спб., 1902, стр. V.

„სინოდის საშუალებით სურდათ კათოლიკური ევროპის სახელმწიფოებთან დასაკავშირებელი გზა ჩაეკეტათ. ამავე დროს საქართველოს საეკლესიო ორგანიზაცია სინოდის წევრი თუ გახდებოდა, იგი საერო ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა, ისე როგორც ეს რუსეთში იყო."[109] გარდა ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება შეაფერხებდა ევროპაში სამხედრო მოკავშირის ძიების საქმეს და ხელს შეუშლიდა საქართველოში ევროპული განთლებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელებას.[110]

მოხმობილი მასალა იმის დასტურია თუ რა დიდ დატვირთვას აძლევდა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხს ხელშკრულების გაფორმებაში. მოუცლელობის გამო გრიგორ პოტიომკინმა იმპერატორთან შეთანხმებით ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და სხვა საკითხების მოგვარება გადააბარა თავის ნათესავს, კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ-პორუჩიკ პავლე სერგის ძე პოტიომკინს.[111]

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში ხელშეკრულების დადების დროს ქართველ ელჩებს გარსევან ჭავჭავაძეს და იოანე მუხრანბატონს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხი შეცვლითი ფორმით დახვდათ. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეკლესიიის მეთაურს უნდა დაეკავებინა მეხუთე ადგილი რუსეთს ეპარქიებს შორის, ხელმოსაწერ ტექსტში კი მას მერვე ადგილი ჰქონდა მიჩენილი მეხუთის ნაცვლად. ტრაქტატის აღნიშნული მუხლით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი ძალზე დაქვეითებულია. გეორგიევსკში ჩასულმა ქართველმა ელჩებმა, იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ტრაქტატზე ხელის მოწერამდე პროტესტი გამოთქვეს აღნიშნულის შესახებ, რამაც რუსეთის წარმომადგენლის, გენერალ-პორუჩიკის პავლე სერგის ძე პოტიომკინის მკაცრი რეაქცია გამოიწვია. მან უკმაყოფილო ქართველ ელჩებს განუცხადა: „როგორ შეიძლება საწყენად იქნეს მიჩნეული კათოლიკოსისათვის მერვე ხარისხის მინიჭება მაშინ, როცა თვით საქართველოს სამეფო, ექვემდებარება რა რუსეთს, აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებას?! განა ყოფილი ეპარქია არ წარმოადგენს თვით რუსეთის ნაწილს? რუსეთის იმპერიის ყველა ჩინს, სასულიერო იქნება ეს თუ სამოქალაქო, უთანაბრდება რა ასეთსავე ჩინს საქართველოს სამეფოში, განზრახული კავშირის შესაბამისად, უთუოდ უნდა ჰქონდეს პირველობა. აქედან გამომდინარე, ქართველი კათოლიკოსი, როგორც საქართველოს სამეფოს ნაწილი, სამეფოსთან ერთად ექვემდებარება რუსეთს."[112]

---

109 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 105.

110 ვ. გურული, გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 2013, გვ. 42-43.

111 გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბ., 1983, გვ. 6.

112 რ. ლომინაძე, რუსეთის ბატონობის დამყარება საქართველოში, თბ., 2000, გვ. 69; შდრ. Г. Паичадзе, Георгиевский трактат, Тб., 1983, стр. 126.


რუსი მოხელის მოყვანილი ქედმაღლური სიტყვებიდან გამოკვეთილად ჩანს რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნები. შექმნილი სიტუაციის გამო ქართველ ელჩებს მოფიქრებისათვის მცირე დრო ჰქონდათ. კომუნიკაცია მაშინ ისეთ დონეზე არ იყო, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს ქართლ-კახეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთ მოთათბირებოდნენ. ქართველმა დესპანებმა მიიჩნიეს, რომ შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმება მათი სიჯიუტით ჩაშლილიყო და ამიტომ ორივე ელჩმა წარმოდგენილ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ქართველი ელჩების პროტესტის მიუხედვად, პროექტის მეორე ვარიანტი უცვლელად იქნა ტრაქტატში შეტანილი. აღნიშნული ფაქტი იმის დასტურია, თუ რა პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სამწუხაროდ, ქართლ-კახეთის სამეფომ კარგად ვერ შეაფასა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა.

1783 წლის 24 ივლის ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის მეერვე მუხლში, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხს ეხებოდა, აღნიშნული იყო: „დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამით ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქვნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელთ-მთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტულოსა უწმინდესისასა სინოდის ჩლენობასა, ხოლო მართებისათვის საქართველოისა ეკლესიათანა არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისათვისა უკვე დაიწერების სხვა არტიკული."[113]

აქვე დავძენთ, რომ მალევე იტალიურ და გერმანულ ენებზე ითარგმნა გეორგიევსკის ტრაქტატის სრული ტექსტი. ჩვენთვის საინტერეო მუხლები აღნიშნულ ენებზე ცნობილმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ გამოაქვეყნა, ხოლო ქართული თარგმანი შეასრულა სალომე კენჭოშვილმა. აღნიშნული თარგმანები ქართული და რუსული დედნებისაგან ოდნავ განსხვავდება. გთავაზობთ იტალიურ და გერმანული ტექსტების ქართულ თარგმანს. იტალიურ ტექსტში მერვე მუხლი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ამასთანავე მის იმპერატორული უდიდებულესობა აღუთქვამს: 1. ზემოთხსენებული სამეფოების არქიეპისკოპოსს ექნება რუსეთის არქივთა (უნდა იყოს არქიერთა ანუ ეპისკოპოსთა ე.ბ.) მეერვე რიგის ხარისხი, პირველი ადგილი ტობულოსკის [არქიეპისკოპოსის] შემდეგ და სამუდამოდ მიენიჭება წმინდა სინოდის წევრის წოდება (რაც შეეხება ქართველების ეკლესიას, ამაზე საგანგებო მუხლში იქმნება საუბარი)."[114]

113 გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოფირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983, გვ. 96.

114 ლ. მაგაროტო, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა



1783 წელი. გეორგიევსკის ტრაქტატი

ოდნავ სახეცვლილი ფორმითაა იგივე მუხლი გერმანულ ენაზე: „მისი იმპერატორული უდიდებულესობა კმაყოფილებასა და სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზემოთ დასახელებული სამეფოების მთავარარქიეპისკოპოსს, რომელსაც სამუდამოდ უწყალობებს წმინდა სინოდის წევრის წოდებას, რუსეთის მეერვე ხარისხის მღვდელმთავართა თანაბარი ხარისხი და ტობოლკის მღვდელმთავართა შემდეგ პირველი ადგილი ექნება."[115]

მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ქართულ-რუსული ტექსტები მცირედ განსხვავდება იტალიურ და გერმანული ტექსტებისაგან.

როგორც აღინიშნა, ტრაქტატის მეერვე მუხლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა უძველესი დროიდან, მთავარეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსი) ტიტულით უნდა დაეკავებინა რუსეთის მღვდელმთავრებს შორის მეერვე ადგილი ტობოლსკის ეპარქიის მმართველის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ტობოლსკის, ეპარქიის მღვდელმთავარი არ ატარებდა მთავარეპისკოპოსის ხარისხს, იგი ჩვეულებრივი ეპისკოპოსი იყო. ამავე მუხლის მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი იქნებოდა აგრეთვე რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრი, ხოლო მომავალში საქართველოს ეკლესიის მართვისა და მისი რუსეთის

ს. კენჭოშვილმა, თბ., 2008, გვ. 173.

115 ლ. მაგაროტო, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა ს. კენჭოშვილმა, თბ., 2008, გვ. 185.

უწმინდეს სინოდთან ურთიერთობის გარკვევისათვის საგანგებო არტიკული უნდა შემუშავებულიყო. აქვე დავძენთ, რომ ასეთი სახის არტიკული არასოდეს შექმნილა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მუხლი, რომელიც ძალზე ზღუდავდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებებს, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით იყო შედგენილი. მართალია, ტრაქტატი არ აუქმებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებაში მისი მოქცევა ზღუდავდა მის უფლებებს, რაც გამოიწვევდა საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩარევას. დასკვნის სახით დავძენთ, რომ ასეთი ნაბიჯით ამ ეტაპზე რუსეთის ხელისუფლება ადვილად მოახერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაკონტროლებას. ამით რუსეთის ხელისუფლებამ შეამზადა ნიადაგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებასთან ერთად, 1783 წელს რუსეთმა შეიერთა ყირიმი. ამ ორი მოვლენით რუსეთის დიპლომატიამ სამხრეთით მნიშვნელოვანი პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია. მართალია, ბოლო პერიოდში მკვლევართა ნაწილი ახლებურად ახდენს გეორგიევსკის ტრაქტატის შეფასებას, რაც ჩვენი აზრით, საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არც ერთ მკვლევარს სათანასდო ყურადღება არ მიუქცევია, რომ ტრაქტატის მეერვე მუხლით საგრძნობლად ილახებოდა და იზღუდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებები.

დავძენთ აგრეთვე, რომ, როდესაც 1784 წელს თბილისში ერეკლე მეფესთან ხელმოსაწერად ჩამოიტანეს ტრაქტატის ტექსტი, მერვე მუხლის გამო არც სამეფო კარს და არც ეკლესიის მაღალ იერარქებს პროტესტი არ გამოუხატავთ. ერეკლე მეფის ხელმოწერის შემდეგ, 1784 წელს რუსეთში გაიგზავნა დელეგაცია გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, რომლის მიზანი იყო ტრაქტატით გათვალისწინებული მუხლების შესრულება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხმა ასახვა ჰპოვა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი მეთორმეტეს (1798-1800) მიერ 1800 წლის 24 ივნისს რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ „სათხოვარ პუნქტების" მეშვიდე მუხლში, რომელიც თავისი შინაარსით იმდენად საინტერესოა, რომ სრული სახით წარმოვადგენთ: „სამღვდელოთათვის: ვითარცა არს უპირველესი აწ საქართველოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვს ძველისა იქაურთა განწესებისაებრ ტიტულად კათოლიკოსობა, კურთხეულ არს ხელმწიფობასა შინა ნეტარხსენებულისა იმპერპატრიცასა პატივსა შინა არხიეპისკპოსისა ცარსკისელოს და მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნებითურთ სამღვდელოთა წესთა, – ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანამდებობასა და სახელსა შინა; თანასწორადვე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მყოფი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და იღუმენნი, პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი, და სხვანიცა ეკლესიასა

მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისამებრ თვისისა და ადგილთა მათთა სახელდობით, თუ ვითარნი და რაოდენი არიან იგინი, მიუცილებლად ნუ მიიწევნისა ჩვენისამებრ – ყოველად მონებრივითა სახითა ჰყოფთ მოხსენებასა.



ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798-1800)

და ვინაიდგან განსვენებული იგი უგანათლებულესი მეფე და სამეფო მისი ითხოვდნენ, რათა მიელოთ სამოქალაქონი და პოლიტიკებნი ჰსჯულნი, ამისათვისაც ჩვენცა მივიღებთ კადნიერებასა, და ამისთვისვე ვითხოვთ დიდისა ჩვენისა ხელმწიფისაგან, რათა მიეცეს ბრძანება უდიდებულესსა უწმინდეს სინოდსა, რომელ წარმოაგზავნოს ჩვენთა, ანუ შემდგომად ჩვენსა ერთი სამღვდელო ვინმე რუსეთის საიმპერატოროსაგან მცირე ჟამობით არხიმანდრიტი, ანუ იღუმენი, კაცი მდაბალი და მყუდრო, რათა აჩვენოს მათ განწესებულებანი აქაურნი საკუთარნი დღესაწაულობისათვის, საუქმოთა და სხვათაცა სახელმწიფოთა დღესასწაულობითა დღეთა.

ხოლო მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, არა მქონებელნი ეპარხიისანი, უკეთუ გამოჩნდეს ადგილი მათთვის, არამედ დაშთომალად და უქმად, მაშინ მოხსენებისამებრ მონებულთა მათ სამღვდელოთა და ჩვენგან, – კეთილნებულ იქმნების, რათა იგი დაიდგინოს მუნ, ეგრეთვე არხიმანდრიტი და იღუმენი, ოდესღაც მათგან თხოვნილ იქნების; ეგრეთვე მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, რომელნიც ეგებებიან უადგილოდ, ყოვლად მოწყალებით ებოძოთ მცირედი ულუფა საზრდო განსადიდებლად ყოვლად უაღლესისა სახელისა. და ვითხოვთ, რომელ ყოველნივე იგინი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, პატივცემულ ღირსებისამებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მექონთა რუსეთისათა, ვინათგან ქვეშევრდომად ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა."[116]

მოტანილი ვრცელი ამონაწერის შედგენის დროს რუსეთის მართმადიდებელი ეკლესია აღარ არსებობდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი გადაქცეული იყო სახელმწიფოს ერთ-ერთ დანამატად რუსეთის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის სახით, რომლის ხელმძღვანელი, საერო პირი ობერ-პროკურორი სახელმწიფო მოხელე იყო, ხოლო სინოდის მეორე პირი მიტროპოლიტი რუსეთის საეკლესიო საქმეებს განაგებდა. თუკი საქართველოს

116 Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, I II, выпуск 1, под редакции А. А. Цагарели, СКП, 1898, стр. 201.

მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი, რომელიც უძველესი დროიდან კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა, რუსეთის ეკლესიის წინამძღოლის – მიტროპოლიტის თანასწორი იქნებოდა, ეს ვერავითარი შეღავათი იყო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლესიისათვის. ისიც იგივე სახელმწიფო დანამატად, რუსეთის ინტერესების დამცველად მოგვევლინებოდა.

როგორც ცნობილია, გიორგი მეთორმეტის ელჩების მიერ რუსეთში მიტანილი „სათხოვარი პუნქტები" ხელისუფლებას არც განუხილია, რადგან 1800 წლის დეკემბერში პავლე პირველმა ფარულად ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ (1801 წლს 12 სექტემბერი) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის ხელისუფლებისათვის აქტუალური გახდა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოში არსებულ ლიხთ-იმერეთის ანუ აფხაზთა საკათალიკოსოს, რომლის რეზიდენცია XVI საუკუნის 60-იან წლების დასაწყისიდან ქუთაისში მდებარეობდა, XVIII საუკუნის რუსეთ-იმერეთის სამეფოს ურთიერთობის დროს აქტუალური არ იყო. მხოლოდ ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ იმერეთის სამეფოს ბოლო კათოლიკოსი მაქსიმე აბაშიძე დიპლომატიური მიზნით რამდენჯერმე გაემგზავრა რუსეთში ელჩად. პირველი მოგზაურობა 1768-1769 წლებში განხორციელდა, მეორე ელჩობა – 1784-1786 წლებში. ეს ელჩობა ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და დიპლომატიური საქმიანობის დროს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს შესახებ არაფერი იყო დაფიქსირებული. რუსეთის უწმინდესი სინოდის დახმარება მაქსიმე კათოლიკოსის მიმართ იმაში გამოიხატა, რომ იგი გარკვეული გასამჯელოს დანიშვნის შემდეგ რუსეთში დარჩა, კერძოდ კი კიევში, სადაც იგი 1795 წელს აღესრულა, დასაფლავებულია კიევ-პეჩორის ლავრაში.[117]

ასეთია რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის ზოგადი სურათი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, რომელიც ამ ორ ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ პროცესებთან ერთად საკმაოდ აქტუალურ ხასიათს ატარებდა.

---

117 დაწვრილებით იხილეთ ზ. ცქიტიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, (XVIII ს. II ნახევარი- XIXს. დამდეგი), თბ., 1980, გვ. 3-38; შდრ. ე. ბუბულაშვილი, მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) – „კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოჲსა და აფხაზეთისა," მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების სერია, 2013, №1, გვ. 33-42.

თავი II. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რეორგანიზაცია

§1. რუსეთის ცარიზმის ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის

რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან ურთიერთობაში პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მიზანს ემსახურებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლით რუსულ ეპარქიათა შორის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალური ეკლესიისათვის მერვე ადგილის მიკუთვნება, რომელიც ქართველი ელჩებისა და ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების სურვილის გარეშე გადაწყდა. ზემოთ აგრეთვე აღინიშნა, რომ ხელშეკრულების პროექტის პირველ ვარიანტში არსებული მეხუთე ადგილი, ანდა ხელმოწერილ ხელშეკრულების ტექსტში მიკუთვნებული მეერვე ადგილი საეკლესიო სამართლით საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიისათვის მიუღებელი იყო, რადგან იმპერატორ პეტრე პირველის დროიდან რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობა გაუქმებული იყო და ავტოკეფალური საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი, მართალია, პირველხარისხოვან, მაგრამ მაინც ეპარქიის მღვდელმთავრებთან იყო გათანაბრებული. იგივე საეკლესიო სამართლის მიხედვით, რუსეთის სასულიერო პირთა შორის იმ დროს არ იმყოფებოდა ისეთი მღვდელმთავარი, რომელიც იერარქიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს საეკლესიო ტიტულით გაუტოლდებოდა. აქედან გამომდინარე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის მეერვე ადგილზე ანდა თუნდაც მეხუთე ადგილზე მოხსენიება რუსეთის უპირველესი მღვდელმთავრების შემდეგ საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. მიუხედავად უკანონო ქმედებისა, როგორც ჩანს, საქართველოს მაშინდელი საერო და სასულიერო ხელისუფალნი მხარს უჭერდნენ ტრაქტატის პირველ ვარიანტს, რომელშიც „ქართლის კათოლიკოსი პირველი ხარისხის მღვდელმთავრებს შორისაა და ამათში მეხუთე ადგილი უჭირავს," ხელმოწერილ და „დამტკიცებულ ტრაქტატში კი კათოლიკოსი მერვე ადგილზეა გადაყვანილი და ისიც ტობოლსკელი ეპისკოპოსის შემდეგი ადგილი აქვს დათმობილი."[118] აღსანიშნავია, რომ რუსი საეკლესიო მკვლევარები გეორგიევსკის ტრაქტატში არსებული მეერვე მუხლის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ.

გეორგიევსკის ტრაქტატის აღნიშნული მუხლი, რომელიც ძალზე ზღუდავდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებს, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით იყო შედგენილი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჩვენს მიერ ნაშრომის

118 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობის ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 125.

პირველ თავში წარმოდგენილი მეფე გიორგი მეთორმეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილი „სათხოვარი პუნქტები," რომელშიც არაორაზროვნადაა დაფიქსირებული ქართველ პოლიტიკოსთა პოზიცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი თანასწორი უნდა ყოფილიყო რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავრის წინაშე, ხოლო რუსეთის უწმინდეს სინოდთან ურთიერთობის გარკვევისათვის საქართველოში უნდა ყოფილიყო მათი წარმომადგენელი სასულიერო პირი, რომელიც თვალყურს მიადევნებდა, რომ რაიმე სარწმუნოებრივ გადახრას არ ჰქონოდა ადგილი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.[119]

ზემოაღნიშნულის გარდა, რუსეთის მმართველ წრეებს კარგად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობა. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ მხარის შესაერთებლად. საქართველოს ერთ-ერთ რუსულ პროვინციად გადაქცევისათვის მთავარ დაბრკოლებად მათ საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია მიაჩნდათ, რადგან „რუსეთის მთავრობამ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს თამაშობდა ქართული ეკლესია საქართველოს წარსულ ცხოვრებაში და ამიტომ მისი დანგრევა და იქიდან ქართული სულის ამოწვდა ერთ-ერთი უმთავრესი მუხლი შეიქმნა საიმპერიო მთავრობის რუსიფიკატორული პროგრამისა."[120]

სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე (1801 წლის 12 სექტემბერი) რუსეთის მმართველმა წრეებმა დაიწყეს ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში მეფის რუსეთი ვერ შეეგუებოდა დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობას, მითუმეტეს, რომ ამ მხარის რუსეთის პროვინციად გადაქცევისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი სერიოზულ დამაბრკოლებელ საშუალებად მიაჩნდათ. დამპყრობლის მიზანი ნათელი იყო. მას სურდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ეროვნული სულისკვეთების აღმოფხვრა და მისი რუსეთის უწმიდესი სინოდის ერთ-ერთ ეპარქიად გარდაქმნა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე იმპერატორის მითითებით რუსი მოხელეები აქტიურად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში. ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო ერეკლე მეორის შვილი ანტონ მეორე, რომლის ტრაგიკული ბედი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. საქართველოსა და რუსეთის არქივებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი) ჩვენს მიერ 1993 წელს მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით

119 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 16-17.

120 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 49.

ირკვევა, რომ სწორედ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის დამსახურებაა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ საქართველოს ეკლესიამ ათი წლის განმავლობაში შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის, ანტონ მეორის მოღვაწეობა XIX საუკუნის დასაწყისში უშუალოდ უკავშირდება ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, ამიტომ აღნიშნულ საკითხს მის ბიოგრაფიასთან მჭიდრო კავშირში წარმოგიდგენთ.

ანტონ მეორე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია. იგი იყო ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის ვაჟი, რომელიც დაბადებულა 1762 წლის 8 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როდესაც პეტერბურგში პაპამისი, მეფე თეიმურაზ მეორე გარდაიცვალა. გარდაცვლილი პაპის პატივსაცემად მისთვის თეიმურაზი დაურქმევიათ. მკვლევრების ა. როგავასა და მ. ბერძნიშვილის აზრით, ანტონი უნდა დაბადებულიყო 1764 წელს.[121] აღნიშნული თარიღის დადგენისას დასახელებული მკვლევრები თუ რა ცნობებს ეყრდნობიან, ჩვენთვის უცნობია. ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყარო მის დაბადების თარიღად 1762 წელს ასახელებს. ერისკაცობაში ანტონს თეიმურაზის გარდა ისმიხანიც რქმევია.[122] პირველდაწყებითი განათლება მან სამეფო კარზე მიიღო. შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ცოდნას უშუალოდ იმდროინდელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველის მეთვალყურეობით ეუფლებოდა. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, მან კათოლიკოს ანტონ პირველისაგან „მიიღო თეორეტიკისა და პრაქტიკის ხელოვნება; და ისწავა კეთილად ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ისტორია. ესე არს ფრიად



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1810)

121 ა. როგავა, ანტონ მეორე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 498; შდრ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 150.

122 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2002, გვ. 9; შდრ. ე. ბუბულაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1811), თბ., 2011, გვ. 14; შდრ. ბაგრატ ბატონიშვილი, მოთხრობაჲ ახალი საქართველოჲსა, ხელნაწერი დაცული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფურცელი 111.

გონებამახვილი და უმანკო, მონაზვნობაში სრული, ღრმა ღვთისმეტყველი."[123] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტონ მეორე, როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი, საბერძნეთში უნდა წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად, სადაც ის მცირე ხანს დარჩენილა. მაგრამ ამ ვარაუდს წერილობითი ცნობები არ ადასტურებს. მან იმ დროის კვალობაზე შესაფერისი სწავლა-განათლება შეიძინა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მამამისი ერეკლე მეფე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ანტონ მეორეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას ანდობდა. როცა 1783 წელს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ტრაქტატი, მეფე ერეკლე მეორემ რუსეთის სამეფო კარზე გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით გაგზავნა დელეგაცია. დელეგაციაში იმყოფებოდა ახალგაზრდა ბერი, იეროდიაკონი, ანტონ მეორეც, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდი პატივით მიიღეს. 1784 წელს მეფე ერეკლე მეორის თხოვნით, პეტერბურგში მყოფი ანტონ მეორე ცარსკოე სელოს ეკლესიაში, თვით იმპერატორ ეკატერინე მეორისა და უმაღლეს მოხელეთა თანდასწრებით, ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდის კათედრის მღვდელმთავრად. ქიროტონიის შემდეგ იმპერატორმა ახლად ხელდასმულ ეპისკოპოსს უბოძა ძვირფასი თვლებით შემკული პანაღია, რაც იმ დროისათვის დიდად საპატივცემულო საჩუქრად ითვლებოდა. იმავე წელს ანტონ მეორე დაუსწრებლად აიყვანეს ალავერდის მიტროპოლიტის ხარისხში.[124] ანტონ პირველის გარდაცვალების შემდეგ იგი ჩამოიყვანეს საქართველოში და 1788 წლის 29 ოქტომბერს აკურთხეს კათოლიკოს-პატრიარქად. სრულიად ახალგაზრდა 25 წლის ანტონ კათოლიკოსმა თავის წინამორბედთა კვალდაკვალ მიიღო „პატრიარქის, „უწმიდესისა და უნეტარესის" ტიტული. დოკუმენტებს იგი, ჩვეულებრივ ხელს აწერდა, როგორც „ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოზ-პატრიარქი მეფის ძე ანტონი." ახლადარჩეულ პატრიარქს ვრცელი სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა (შემდეგ საქართველოს პირველმა ეგზარქოსმა), რომელმაც წარმატებები უსურვა ამ რთულ და საპატიო მოვალეობის შესრულებისას ერის საკეთილდღეოდ.

ანტონ მეორემ თავისი თავმდაბლობით, გულმოწყალეობით და მწიგნობრობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. იგი, როგორც სრულიად საქართველოს მწყემსმთავარი, ხშირად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ღებულობდა მონაწილეობას. 1790 წელს, როცა იმერეთის სამეფო ტახტისათვის დავით გიორგის ძესა და ერეკლეს მეორის შვილიშვილს დავით არჩილის ძეს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, ქართლ-კახეთის მეფის დავალებით ანტონ მეორე იმერეთს ეწვია, მოწინააღმდეგე ძალები დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა და საერო პირების თანდასწრებით ერთმანეთს შეარიგა, მეფობა დავით არჩილის ძეს დაუმტკიცეს და უწოდეს სოლომონ მეორე. აღნიშნული ფაქტის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „მეფემან ირაკლიმ წარატანა ძე

123 მცირე უწყებანი ქართველთა მწყემსთათვის (XVI-XIX სს.), თბ., 1982, გვ. 182.

124 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 149.

თვისი ანტონი კათალიკოზი, რომელიც მისრულმან დააზავნა ესენი თანხმობითა იმერთა სამღვდელოთა და ჩინებულთათა, მეფეს დავით არჩილის ძეს დაუმტკიცეს მეფობა იმერეთისა და უწოდეს ტიტულაი სახელად სოლომონ, დიდი მეფის სოლომონის გამო." [125]

ანტონ მეორე დიდად ზრუნავდა თავისი წინამორბედი კათოლიკოს-პატრიარქისა და მასწავლებლის ანტონ პირველის მიერ გახსნილი სასულიერო სასწავლებლებისა და საერთოდ ეკლესიის ძლიერებისათვის. იგი ხშირად ამოწმებდა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების დონეს და მათ მატერიალურადაც ეხმარებოდა.

ანტონ მეორე კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მსგავსად აქტიურ მწიგნობრულ მოღვაწეობას არ ეწეოდა, მაგრამ, როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს: ანტონი „არის ფრიად მშვენიერი მწერალი თხეზასა შინა." [126] სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია, რა შემოქმედებით მოღვაწეობის ეწეოდა იგი. მხოლოდ ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე მისი ხელშეწყობით თბილისში დაისტამბა რამდენიმე სასულიერო ხასიათის წიგნი. მასვე გამოუცია დავით ბატონიშვილის „ნარკვევი" და სხვა. [127]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის მოვალეობის შესრულებისთანავე ანტონ მეორე, როგორც წყარო გადმოგვცემს „...შეუდგა ცდას, რათა ქართველების გულში კვლავ აღედგინა ის სიყვარული სარწმუნოებისა და მამულისადმი, რომელიც მამა-პაპების გულს ათრთოლებდა და რომელიც იყო წყარო მათი პოლიტიკურის თვით არსებობისა." [128] შერყეული რწმენისა და დაცემული ზნეობის ამაღლების მიზნით მან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისიონერთა დიდი ჯგუფი გაგზავნა. გარდა ამისა, ანტონ მეორემ „მრავალი იღვაწა საყრდისათვის თვისისა: უყიდა სოფლები, აღუშენა ნაოხარნი ადგილნი, გაუკეთა ბაღები, საფუძველი დასდო ტფილისსა შინა ულმრთოსა აღამამადხანისა ხოჯასაგან დაქცეულისა ეკლესსიისა, ალავერდისა წმინდისა გიორგის ეკლესიისა ჩინურითა დახურა სამხროები და კეთილად იღვაწა." [129]

მეფე ერეკლე მეორე ჯეროვნად აფასებდა ანტონ მეორის ღვაწლს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ „და ამისათვის ჯილდოდ უბოძა ნიშანი, რომელიც დარჩა დედოფლის ანნას გარდაცვალების შემდეგ და რომელშიაც რამდენიმე ძვირფასი ნივთი ერია." [130]

---

125 ბაგრატ ბატონიშვილი, მოთხრობაქ ახალი საქართველოჭსა, ხელნაწერი დაცული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფურცელი 111.

126 მცირე უწყებანი ქართველთა მწყემსთათვის (XVI-XIX სს.), თბ., 1982, გვ. 182.

127 ჟურნალი „მწყემსი," 1885, 4, გვ. 11; შდრ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, (1629-1920), თბ., 1949, გვ. 66-68, 77.

128 ი. ბ-ლი, ანტონ მეორე, უკანასკნელი კათალიკოსზი საქართველოისა, ჟურნალი „მწყემსი," №23, 1884, გვ. 9.

129 მცირე უწყებანი ქართველთა მწყემსთათვის (XVI-XIX სს.), თბ., 1982, გვ. 183.

130 ჟურნალი „მწყემსი," 1885, 2, გვ. 8.

ანტონ მეორე, როგორც სასულიერო მოძღვარი და ავტორიტეტული პიროვნება, კარგად წარმართავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს, მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ეკლესიაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მეფე გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ (+1800 წლის 28 დეკემბერი) სამეფო კარზე გამეფებისათვის მიმდინარე ბრძოლამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სირთულეები შეუქმნა. ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით განსაკუთრებით აქტიურობდა დავით გიორგის ძე და იულონ ერეკლე მეორის ძე. ამ არეულობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ერეკლე მეორემ მეფობის უკანასკნელ წლებში შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის ძალით გიორგი მეთორმეტის გარდაცვალებისას უნდა გამეფებულიყვნენ მომდევნო ძმები ასაკის მიხედვით. ტახტის მემკვიდრეობის შეცვლილი წესის შესაბამისად გიორგი მეთორმეტის შემდეგ მეფობა ეკუთვნოდა იულონ ბატონიშვილს. მაგრამ მეფე გიორგიმ სიცოცხლეშივე მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ვაჟი დავითი, რომელიც რუსეთის მეფე პავლე პირველს დაამტკიცებინა. აღნიშნული ფაქტი საქართველოში მყოფი რუსი მოხელეების მოთხოვნით ფიცზე ხელმოწერით დაადასტურეს ქართლ-კახეთის სამეფო კარმა, კათოლიკოს-პატრიარქმა და სხვა მღვდელმთავრებმა.[131]

მეფე გიორგი მეთორმეტის გარდაცვალებისთანავე იულონმა სცადა მცხეთაში შესვლა და მეფედ კურთხევა, მაგრამ დავით გიორგის ძემ რუსთა ჯარის დახმარებით მისი ეს მისწრაფება ჩაშალა. აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი იულონის გამეფების მომხრე იყო. მაგრამ ოფიციალურად მის დასახმარებლად პრაქტიკულ ნაბიჯს ვერ დგამდა, რათა რუს მოხელეებს საბაბი არ მისცემოდათ ჩარეულიყვნენ ეკლესიის საქმეებში. რუსეთის წარმომადგენლები, გენერალ-მაიორი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი და გენერალ-ლეიტენანტი კარლ თეოდორეს ძე კნორინგი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისათვის იბრძოდნენ და არც ერთის გამეფებას არ უჭერდნენ მხარს. მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ქართველი სამღვდელოება წირვა-ლოცვის დროს, პავლე პირველის მანიფესტის გამოცხადების შემდეგაც, მეფედ იულონ ბატონიშვილს იხსენიებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1801 წლის 8 იანვარს გენერალ-მაიორმა ივანე ლაზარევმა ოფიციალურად მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს: „შევიტყვე, რომ ქართლში სამღვდელოება ბატონიშვილ იულონს მეფედ მოიხსენიებს. ვალდებული ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, ამის შესახებ გაცნობოთ და გთხოვოთ, რათა ამიერიდან ამგვარი მოხსენიება აკრძალოთ ქართლისა და კახეთის ხალხში, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება მის საიმპერატორო უდიდებულესობის ნებას, რაც ჩემს მიერ გამოეცხადა როგორც ბატონიშვილს, ასევე ქართლისა და კახეთის ხალხს."[132]

131 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 16-17.

132 Акты, Собранные Кавказской археографической коммисией (შემდეგში Акты), т. 1, стр. 221.

გენერალ-მაიორ ივანე ლაზარევის მოთხოვნას ანტონ მეორემ ყურადღება არ მიაქცია და იგი უპასუხოდ დატოვა. კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ქმედებით აღშფოთებულმა ივანე ლაზარევმა იმავე წლის 20 იანვარს დასმენის წერილით მიმართა კავკასიის ხაზის სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს: „იულონი მეფედ კურთხევას ცდილობს. ეკლესიებში მას მეფედ იხსენებენ. მიუხედავად იმისა, რომ მე ორჯერ გავაფრთხილე ანტონი, რათა წინაღდგომოდა იულონის ცდას, მან პასუხიც არ მაცნობა და არ აკრძალა მისი მოხსენიება."[133] ივანე ლაზარევის მოხსენიების საფუძველზე კარლ კნორინგმა 1801 წლის 25 იანვარს ანალოგიური მოთხოვნით მიმართა ანტონ მეორეს და მოუწოდა, გაეფრთხილებინა ძმები, განსაკუთრებით იულონი, რომ ხელი აეღო გამეფების სურვილზე. ამასთან იგი ითხოვდა, აკრძალულიყო წირვა-ლოცვის დროს იულონის მეფედ ხსენება. იმავე წლის 25 იანვარს კათოლიკოსმა ანტონ მეორემ საპასუხო წერილით მიმართა კარლ კნორინგს, რომელშიც საგანგებოდ აღნიშნავდა თავის ერთგულებას რუსეთის იმპერატორისადმი და დასძენდა: „...ენდეთ ჩემს სასულიერო ღირსებას, რომ ჩემს ძმებს აქამდეც ვურჩევდი, ახლაც ვურჩევ და შემდეგშიც არასდროს შევწყვეტ მათდამი რჩევას, რათა წყნარად იყვნენ." იგი თხოვნით მიმართავს რუს გენერალს: „თქვენ თვითონ მიმართეთ ასეთივე რჩევით ბატონიშვილებს, რაც სასარგებლოა მათთვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის."[134] რაც შეეხება ბატონიშვილ იულონის მეფედ ხსენებას, ანტონ მეორე ადრესატის მიმართ გარკვევით მიუთითებდა: „მე არასოდეს არ გამიგონია, რომ ჩემი ძმა იულონი, ან სხვა რომელიმე ჩემი ძმათაგანი, ან ჩემი ძმიშვილთაგანი „მოეხსენებინათ მეფედ, თორემ თქვენი შეტყობინების გარეშე აუცილებლად ავკრძალავდი საქართველოს ეკლესიაში ამგვარ მოხსენიებას." წერილის ბოლოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შემპარავად აღიარებდა გენერლის წინაშე, რომ იულონის გამეფებას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს და იმედს გამოთქვამდა, ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩებოდა.[135]

ბატონიშვილების განზრახვის საწინააღმდეგოდ პავლე პირველმა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. ცოტა მოგვიანებით, 1801 წლის 16 თებერვალს ხსენებული მანიფესტი თბილისის სიონისა და ვანქის (თბილისში არსებული სომხური ეკლესია) ეკლესიებში წაიკითხეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსი მოხელეების მითითებით წირვა-ლოცვა აღავლინა თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა, ხოლო ანტონ მეორემ პარაკლისი გადაიხადა.[136]

იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტის გამოცხადებამ ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოში მყოფ რუს მოხელეებს და ეკლესიის საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევა დაიწყეს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს მართლმადიდე-

133 Акты, т. I, стр. 234-235.

134 Акты, т. I, стр. 236.

135 Акты, т. I, стр. 236.

136 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 228.

ბელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი იმპერიის შემოსავლის წყაროდ გადაქცევა. ამ მიზნით, 1801 წლის თებერვალში კარლ კნორინგმა ანტონ მეორეს კატეგორიულად მოსთხოვა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილი ინება, ჰქონდეს დაწვრილებითი ცნობები საქართველოში სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ, რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალსამღვდელოებავ, მაცნობოთ მე, თქვენი კეთილგანწყობილი აზრი შემდეგ პუნქტებზე:

1) რამდენი საეპისკოპოსოა საქართველოში; ვინაა მათი მმართველი მღვდელმთავარი; ვინაა უსამღვდელოესი სასულიერო ხელმძღვანელები და როგორია მათი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისადმი?

2) თითოეულ საეპისკოპოსოში რამდენია: მამათა და დედათა მონასტერი, სატაძრო და სამრევლო ეკლესია, რას იღებენ და საიდან იღებენ თავიანთ საარსებო შემოსავალს როგორც უსამღვდელოესი, ასევე მონასტრები და ეკლესიის მსახურები?

3) მონასტრებსა და ეკლესიების სამართავად აქვთ თუ არა მღვდელმთავრებს თავისთან სასამართლო, როგორიცაა: დიკასტერია, სასულიერო მმართველობა ან სადეკანოზო. ვინ არიან იქ დამსწრენი, კანცელარიის სასულიერო და საერო მსახურნი, როგორი ჯამაგირი აქვთ მათ?

4) სასულიერო პირები სამოქალაქო საქმეებს სად არჩევენ, სასულიერო თუ სამოქალაქო სასამართლოში?

5) სასულიერო წოდების მინიჭებისათვის ისეთივე წესია საქართველოში, როგორც რუსეთში? სასულიერო წოდების მინიჭება ხდება მრევლის არჩევით, თუ მას სასულიერო ხელისუფლება ნიშნავს?

6) არის თუ არა სამღვდელოებისათვის საეპისკოპოსოებში სასწავლებლები, თუ არის, სად იმყოფება, რას ასწავლიან იქ და რით არსებობენ?

7) ზემოაღნიშნულის გარდა, ქართველი სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კიდევ რაიმეს გარკვევა ხომ არ არის აუცილებელი.[137]

მოტანილი ვრცელი მასალა იმის დასტურია, თუ როგორ დაინტერესებას იჩენდა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. როგორც ვხედავთ, მათ აინტერესებდათ საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. სწორედ ამიტომ, ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე, რუსი გენერალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან ითხოვდა დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას. სამაგიეროდ, როგორც იგი ანტონ მეორეს წერდა: „ვბედავ დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის წმინდა ნების აღსასრულებლად თქვენი ხელშეწყობისათვის მონარქიის წყალობით მზრუნველობა გაგეწევათ."[138]

ანტონ მეორემ 1801 წლის მარტში ზემოთ დასახელებულ კითხვებზე ვრცელი დასაბუთებული პასუხი გაუგზავნა გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს არა იმის გამო, რომ იგი იმპერატორისაგან რაიმე წყალობას ელო-

137 Акты, т. I, стр. 529.

138 Акты, т. 1, стр. 529.

და, არამედ მას სურდა, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ეჩვენებინა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახით თუ როგორ ძირძველ და დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიასთან ჰქონდა საქმე. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის მოხსენების დასაწყისში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის წარსულს. იგი წერს, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში, წმინდა ნინო განმანათლებლისა და მირიან მეფის დროს, მოხდა საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება. მათი მეშვეობით აიგო პირველი ეკლესიები, ხოლო ქართული ეკლესიის პირველი მღვდელმთავრის კურთხევა მოხდა ანტიოქიის პატრიარქ ევსევის მიერ. შემდეგ ანტონ მეორე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია, რომელიც „...დამტკიცებულია მეფეთაგან, ბერძენ პატრიარქთაგან და მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ, რომ საქართველოს საპატრიარქო იყო თვითმპყრობელი ისევე, როგორც დღემდე ეს საპატრიარქო არის დამოუკიდებელი."[139] თუმცა, როგორც მოხსენებაშია მითითებული, XV საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ ამავე საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, იმერეთის სამეფოს ზოგიერთი მეფის ხელშეწყობით (იგულისხმება ბაგრატ VI – ე. ბ.) შეიქმნა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი საკათოლიკოსო. ანტონ მეორე რუს მოხელეს მოახსენებდა, რომ საქართველოს საერო ხელისუფლება ყოველთვის ზრუნავდა ეკლესიის სიძლიერისათვის. მათი ხელშეწყობით იგებოდა ეკლესია-მონატრები. მეფეები და მთავრები ტაძრებს სწირავდნენ ყმა-გლეხებსა და მიწებს, რითაც შეიქმნა სამონასტრო მამულის მდიდარი ფონდი, რომელიც ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი ჩამოთვლის ქართლისა და კახეთის სამიტროპოლიტოებსა და საეპისკოპოსოებს, დაწვრილებით აღწერს თითოეულ საეპისკოპოსოში დაცულ მონასტრებსა და ეკლესიებში არსებულ მდგომარეობას. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მღვდელმთავრები, არქიმანდრიტები და მათზე დაქვემდებარებული სასულიერო და საერო პირები შემოსავალს იღებენ საეკლესიო გლეხებიდან და სამონასტრო მამულებიდან. ხოლო სამრევლოების სასულიერო პირები ცხოვრობენ თავიანთი მრევლის ხარჯზე და საკუთარი შრომით. სასულიერო ხარისხის მიღება ხდებოდა „შთამომავლობით, ღირსებით და არჩევით." ხოლო სასულიერო სასამართლო ანუ დიკასტერია, როგორც ანტონ მეორე წერს: „ჩვენი საპატრიარქო სახლის გარდა არსად არ არის, თუმცა ყველა საეპისკოპოსოში სასულიერო საქმეებს განაგებენ თვით მღვდელმთავრები თავიანთი სამღვდელოების თანდასწრებით." რაც შეეხება ეკლესიის როლს სწავლა-განათლების განვითარებაში, კათოლიკოს-პატრიარქი რუს მთავარსარდალს მოახსენებს, რომ ყველა საეპისკოპოსოში ბავშვებს წერა-კითხვასა და გალობას ასწავლიან, ხოლო სასულიერო კადრების მომზადებაში დიდ როლს ასრულებდა მეფე ერეკლე მეორის დროს თბილისსა

139 Акты, т. I, стр. 529.

და თელავში გახსნილი სასულიერო სემინარები, სადაც მოსწავლეები ხაზინის ხარჯზე სწავლობდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას და სხვა საგნებს.[140]

ამ ვრცელი მოხსენების შემდეგ კარლ კნორინგს კათოლიკოს-პატრიარქისაგან გაეგზავნა დამატებითი ცნობა საქართველოს საპატრიარქოში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც დაწვრილებით იყო მითითებული, თითოეულ საეპისკოპოსოზე რამდენი სოფელი იყო მიწერილი და ვინ იყვნენ მღვდელმთავრები. აგრეთვე აღრიცხული იყო საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა რაოდენობა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მასალების საფუძველზე საიმპერატორო კარმა შეადგინა გარკვეული მონაცემები იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. ამ მონაცემებით: 1). ქართლ-კახეთის ეკლესიის მეთაური იყო კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მეფე ერეკლე მეორის ძე ანტონ მეორე; 2). საკათალიკოსოს კათედრა მდებარეობდა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, რომელიც აშენებულია ცხოველმყოფელი სვეტის ადგილზე; 3). საქართველოს კათოლიკოს – პარტიარქის განკარგულებაში იყო 88 სოფელი, კახეთში – 58, ქართლში იყო 6 მონასტერი, კახეთში კი – 5. უშუალოდ კათოლიკოსის გამგებლობაში კახეთში იყო ალავერდის ტაძარი, ქართლში კი სამთავროს ეპარქია; 4). ქართლის საეკლესიო მღვდელმთავრები იყვნენ: ა) თბილელი მიტროპოლიტი არსენი (ბაგრატიონი ე.ბ.), რომელსაც თბილისის გარდა ექვემდებარებოდა 18 სოფელი. მის სამწყსოში მამულები ჰქონდათ 3 თავადს და 4 აზნაურს; ბ) რუისის მიტროპოლიტი იუსტინე (მაღალაშვილი ე.ბ.), რომელსაც ექვემდებარებოდა 46 სოფელი 21 თავადითა და 95 აზნაურით; გ) წილკნელი მიტროპოლიტის იოანეს (ქარუმიძე ე.ბ.) ეპარქიაში შედიოდა 46 სოფელი. მასვე ექვემდებარებოდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობა მთიულები, ხანდოსხევლები, გუდამაყრელები, მოხევეები, ჭართლელები. მის ეპარქიაში 14 აზნაური სახლობდა; დ) ურბნელი მიტროპოლიტი იული (იულიოსი თუხარელი ე.ბ.), რომლის სამწყსოში იყო 20 სოფელი, 5 თავადი და 8 აზნაური; ე) სამთავნელი ეპისკოპოს გერვასის (მაჭავარიანი ე.ბ.) სამწყსოში შედიოდა 17 სოფელი, 1 თავადითა და 8 აზნაურით; ვ) ნიქოზელ ეპისკოპოს ათანასეს (მაჭავარიანი ე.ბ.) ექვემდებარებოდა 8 სოფელი. აღსანიშნავია, რომ სამთავნელი ეპისკოპოსი გერვასი და ნიქოზის ეპისკოპოსი ათანასე ხორციელი ძმები იყვნენ.

ამავე მონაცემებით კახეთის მრვდელმთავრები იყვნენ: ა) ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი, ე.ბ.), რომელსაც ექვემდებარებოდა 31 სოფელი 28 თავადით; ბ) ნინოწმინელ მიტროპოლიტის მიქაელის (ინასარიძე ე.ბ.) სამწყსოში შედიოდა 30 სოფელი 1 თავადით; გ) რუსთველი მთავარეპისკოპოსი სტეფანე (ჯორჯაძე ე.ბ.), განაგებდა 8 სოფელს 1 თავადით; დ) ნეკრესელ მიტროპოლიტის ამბროსის (მიქაძე ე.ბ.) სამწყსოში შედიოდა 14 სოფელი 5 თავდადით.[141]

140 Акты, т. I, стр. 230.

141 Акты, т. I, стр. 531.

ანტონ მეორის გარდა კარლ კნორინგმა წილკნის ეპისკოპოსს იოანეს დაავალა, მასალები შეეკრიბა თავის დაქვემდებარებულ ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების შესახებ, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო შემოსავლის წყაროებიც. იოანე ეპისკოპოსმა იმპერატორ პავლე პირველის სახელზე შეადგინა ვრცელი მოხსენება ქსნისა და არაგვის ხეობის ეკლესია-მონასტრების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, სადაც დაწვრილებით იყო საუბარი წილკნის ეპარქიის შემოსავალზე კონკრეტული ციფრების ჩვენებით.[142] აღნიშნული მასალა კარლ კნორინგისადმი გადასაცემად გაეგზავნა კათოლიკოს-პატრიარქს. მაგრამ რუსი მოხელე კმაყოფილი არ იყო ანტონ მეორის მიწოდებული მასალით, რადგან მასში ნაკლები ადგილი ეთმობოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსებს. რუსეთის რეაქციულ ძალებს კი ეს უკანასკნელი აინტერესებდათ.

მართალია, ზემოაღნიშნული მასალები კარლ კნორინგს წარედგინა, მაგრამ იგი უცნობი დარჩა იმპერატორ პავლე პირველისათვის, რომელიც 1801 წლის 11 მარტს შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მამის მანიფესტი ფაქტიურად გააუქმა, არა იმიტომ, რომ უარი განაცხადა ქართლ-კახეთის დაპყრობაზე, არამედ მას სურდა, ეს აქტი უფრო „ცივილიზებული" ფორმით გადაეწყვიტა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდა. იმპერატორი ალექსანდრე პირველი მაშინდელი მსოფლიოს წინაშე რიხიანად აცხადებდა: „არა ძალების შემოსამატებლად, არა ანგარებისათვის, არა საზღვრების გაფართოების მიზნით... ვიტვირთეთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მართვა. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმინდა მოვალეობას, ვისმინოთ ტანჯულთა ვედრება, ავარიდოთ ჭმუნვას, დავაარსოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, მიანიჭებს მათ პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას და პიროვნების დაცვას."[143]

თუ როგორ შეასრულა რუსეთის იმპერატორმა თავისი დანაპირები, ამას კარგად გვიჩვენებს რუსი მოხელეების აღვირახსნილი მოქმედება საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი მათი აქტიური ბრძოლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის მიმართ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში მეფის რუსეთი ვერ აიტანდა დამოუკიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის არსებობას. ამიტომ იგი მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ყოველგვარი ხერხის გამოყენებით ცდილობდა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მოსპობას.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების ინფორმაციით კარგად იცოდა, რომ კათოლიკოსი ანტონ მეორე,

142 Акты, т. I, стр. 534-536.

143 Акты, т. I, стр. 536; შდრ. П. Г. Бутков, Материалы для новей истории Кавказа с 1722 по 1803. т. 2, СПб., 1869, стр. 485.

როგორც ერის სულიერი მოძღვარი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავისუფლება დაკარგული „ქართველი – როგორც დეკანოზი ვ. ჟმაკინი წერს – სიყვარულით უცქერდა კათოლიკოსს, როგორც უძველესი სამეფო გვარის უკანასკნელ ნაშთს."[144]

რუსეთის იმპერატორმა ახლად დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობისა და მათი სულიერი მესაჭის, კათოლიკოს-პატრიარქის გულის მოგების მიზნით, მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, 1801 წლის 31 დეკემბერს, საგანგებო წერილით მიმართა ანტონ მეორეს, რომელშიც იგი თვალთმაქცურად კეთილშობილურ დამოკიდებულებას იჩენდა გაუქმებული სამეფოს სულიერი მოძღვრის მიმართ. „კეთილდღეობა და სიმშვიდე – წერდა რუსეთის იმპერატორი ანტონ მეორეს – ჩვენი ერთმორწმუნე ქართველი ხალხისა, ჩვენი განსაკუთრებული მზრუნველობის და დაცვის ქვეშაა. ჩვენ ვთვლით, რომ სამართლიანია აღინიშნოს ჩვენი კეთილგანწყობის განსაკუთრებული ნიშნებით ეს ცნობილი და ჩვენთვის სასიამოვნო ხალხი. ჩვენი თქვენდამი პატივისცემის ნიშნად მიგვაჩნია თქვენი წოდების შესაფერისი ყურადღება მიგვექცია თქვენზე და გვებოძა თქვენთვის წმ. ალექსანდრე ნეველის კავალრობა, რისი ნიშნები თქვენთვის გადმოსაცემად თან გაახლეთ და გადმოგეცემათ ჯვარი ბრილიანტებით და სერაფიმებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თანამდებობას სულით და რწმენით ემსახურებით და იქნებით ქართველი ხალხისათვის მაგალითის მიმცემი."[145]



წმ. ნინოს ვაზის ჯვარი

ანტონ მეორე კარგად ერკვეოდა რუსეთის იმპერატორის ზრახვებში, მაგრამ მის ზემოთ აღნიშნულ წერილს, როგორც თავდაცვის საშუალებას იგი ხშირად იყენებდა რუსი მოხელეების ძალმომრეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მათ არ აშინებდათ, რადგან თვით ალექსანდრე იმპერატორის მითითებით აქტიურად ერეოდნენ ეკლესიის საშინაო საქმეებში. რუსეთის მმართველი წრეების ასეთი პოზიცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ აქარწყლებდა მათ შეხედულებას ერთმორწმუნეობის შესახებ, რომელსაც ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხაზს უსვამდნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის სურვილი, საქართველოდან XVIII საუკუნის შუა ხანებში რუსეთში გატანილი ქრისტიანული სიწმინდე – წმიდა ნინოს ჯვარი თა-

144 Прот. В. Жмакин, Грузинский католикос Антоний в России, Христианское чтение, ежемесиачный журнал издаваеми при С-Петербургской Духовной академии, г. част I СС XIX, т. стр. 103.

145 Акты, т. 3, стр. 157.

ვის კანონიერ მფლობელს დაბრუნებოდა. იმპერატორის მიერ შემუშავებული გეგმით, წმ. ნინოს ჯვარი 1802 წლის აპრილის დასაწყისში დიდი ზარზეიმით მოასვენეს თბილისში. საზეიმო ცერემონიალში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებამ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის ხელმძღვანელობით. წმინდა ნინოს ჯვრის შემოსვლას საქართველოში მრავალი რუსი მოხელე მოჰყვა, რომელთა სურვილი იყო დაპყრობილი ქვეყნის მართვა.[146]

რუსმა მოხელეებმა, რომლებიც აქტიურობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებისათვის, სცადეს ანტონ მეორე და სხვა ქართველი სამღვდელოება გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუკი მღვდელმთავრების საშუალებით მორწმუნე ერი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე „ფიცით აღთქმას" აღიარებდა, მაშინ მანიფესტის ცხოვრებაში გატარება გაადვილდებოდა. ამ მიზნით, რუსმა მოხელეებმა იმპერატორის მითითებით, 1802 წლის 12 აპრილს თბილისის საზოგადოებას თავი მოუყარეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში და წაუკითხეს ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მთავარმართებელ კარლ კნორინგის ბრძანებით კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს შეკრებილი მოსახლეობა ძალით დააფიცებინეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. თბილისის სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას და სამღვდელოებას, როგორც ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „...არ ენებათ აღება მეფობისა თვისისა, სამღვდელოითა და კათოლიკოზითა და მოარტყეს სიონისა ეკლესიასა გარს რუსეთისა მხედრობა ზარბაზნებითურთ და აუწყეს: „უკეთუ არ ჰყოფთ ფიცსა ერთგულებასა ზედა რუსეთისასა, ამოგწყვეტთ."[147] შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები მოერიდნენ მოსალოდნელ გართულებებს და ეს ნაბიჯი იძულებით გადადგეს. იმპერა-



თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი

146 ე. ბუბულაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1827), თბ., 2011, გვ. 27.

147 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, ტექსტი გამოსცა, შესავალი და კომენტარები დაურთო თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 79.

ტორმა კათოლიკოს-პატრიარქის გულის მოგების მიზნით იგი დააჯილდოვა ალექსანდრე ნეველის ორდენით და თეთრი ბარტყულით, რომელიც შემკული იყო სერაფიმებით და ბრილიანტის ძვირფასი ჯვრით.[148] პეტერბურგში რუსულ ენაზე საგანგებოდ შედგენილი ფიცის ტექსტი ანტონ მეორის მითითებით თბილისის სიონის ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე ქართულ ენაზე წაიკითხა არქიმანდრიტმა ტრიფილემ, რომელიც შემდეგი შინაარსისა იყო: „მე, ქვემო სახელდებული აღვსთქვავ და ვფუცავ ყოვლისა შემძლებელთა ღვთითა წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა მას შინა, ვითარმედ მნებავს და თანამაძს მათის იმპერატორობის დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და მათის იმპერატორობის დიდებულების ყოვლისა რუსეთისა საყდრისა მემკვიდრისა, რომელ იქმნების დანიშნულ, ერთგულად და პირუთვნელად ვემსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესისა ნებისა მისსა, არა დავზოგო ცხოვრება თვისი ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა, ყოველი მოცემული და შემდგომად მოსაცემელი მათის დიდებულების დადგინებულისა ხელმწიფისაგან სჯულისდება ანუ განწესებაი მივიღო სათანადოითა მორჩილებითა, და მათცა უკიდურესისა გულისხმის ყოფისა, ძალისა და შემძლებობისამებრ გავუფრთხილდე და მივაქციო; აღდგინებულისა მათის იმპერატორობის დიდებულებისაგან მამულსა შინა ჩემსა განსვენება და მყუდროება უკიდურესისა შეძლებისამებრ ჩემისა დავიცვა და არავითარიმე მინერმონერა აღმრეველთადმი ჩემისა მამულისათა სწორედ ანუ საშუავლით, საიდუმლოდ ანუ ცხადად ანუ თუ ოდენ საქმით, არამედ მხილებითაც ანუ სხვითა რაითამე მოგონებითა, მოქმედებითა და განზრახვითა არა ვიქონიო, ხოლო ვნებასაცა მათის დიდებულების სარგებლისა, ანუ საზოგადოსა შესამატისასა, ვითარცა ვცნობ რა, არა თუ ოდენ ცხად ვჰყოფ აღმსთობითვე, არამედ ყოვლითა ზომითა გარე ვაქცევ და არა მიუშვებ და ესე ვითარითა ხატთა მოვაქცევ თავსა; ვითარცა სარწმუნოსა მათის იმპერატორობის დიდებულების ჩემზედ დადგინებულისა ხელმწიფისადმი და მშვიდისა მოქალაქისა კეთილშესაბამ და თანამდებ არს, და ვითარცა ჯერმიჩნს მე წინაშე ღვთისა და საშინელის მსჯავრისა მისისა მარადის მას შინა სიტყვის გება, რომელსა შინაცა მწე მეყოს მე უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად. დასამტკიცებლად ფიცისა ამის ჩემისა ამბორს უყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ."[149] აღნიშნულ ფიცის ტექსტს რუსი მოხელეების მოთხოვნით საერო პირებთან ერთად ხელი მოაწერა კათოლიკოსმა ანტონ მეორემ, მთავარეპისკოპოსმა იუსტინემ, თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა, იოანე ბოდბელმა, სტეფანე რუსთველმა, გერვასი წილკნელმა, ამბროსი ნეკრესელმა, ათანასე ნიქოზელმა, დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარმა ექვთიმემ და სხვებმა. ჩატარებული საზეიმო ცე-

148 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 149; შდრ. ბ. ანდრონიკაშვილი, ნარსულის სურათები, თბ., 1984, გვ. 67.

149 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 241.

რემონიალით კმაყოფილი მარტო გენერალი კარლ კნორინგი იყო, რომელმაც 1802 წლის 12 აპრილს იმპერატორს აცნობა: „ცერემონიალის დამთავრების შემდეგ კათოლიკოსისა და შვიდი მღვდელმთავრის მიერ მრავალ მღვდელთან ერთად აღვლენილ იქნა საზეიმო სამადლობელი ლოცვები ღვთისადმი თქვენი უდიდებულესობის იმპერატორისა და მთელი თქვენი უდიდებულესი საიმპერატორო გვარის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის ზარბაზნების ხშირი სროლითა და ხალხის მხიარული შეძახილებით."[150] კარლ კნორინგი იმპერატორისადმი ნარდგენილ მოხსენებაში არ იყო გულწრფელი, რადგან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში შეკრებილი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა და დაფიცებაზე უარს აცხადებდა. საქართველოს მთავარმართებლის მითითებით უკმაყოფილონი დააპატიმრეს. ქართველმა დიდებულებმა გენერლის მოქმედება ავანტიურად მიიჩნიეს და იმპერატორ ალექსანდრე პირველს გაუგზავნეს საჩივარი მანიფესტის გამოცხადებისას გამოყენებული ძალადობის გამო.[151] პეტერბურგის საიმპერატორო კარი არ დაინტერესებულა მათი სამართლიანობის გარკვევით. მღვდელმთავრები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უკმაყოფილონი იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით, მაგრამ აშკარად ვერ გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას, რადგან იცოდნენ, რომ ამით რუსეთის ხელისუფალნი დააჩქარებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას. ასეთივე პოზიცია ეჭირა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორესაც. მართალია, მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თანაგრძნობით ეკიდებოდა 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულებას, 1804 წლის მთიულეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებებს. ზოგიერთი მღვდელმთავარი და სასულიერო პირი ზემოთ აღნიშნულ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ასე, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს შეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და მისი აღდგენისათვის შეძლებისდაგვარად კიდეც იბრძოდა. სხვათა შორის, რუსი მოხელეები თავიანთი აგენტურის საშუალებით



ანჩისხატის ტაძარი

150 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S ფონდი 49, ფურცელი 49.

151 საქართველო ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 818.

ინფორმირებული იყვნენ ანტონ კათოლიკოსის ფარული ზრახვების შესახებ. კელმენჩურის შეთქმულებასთან დაკავშირებით 1802 წლის 29 ივნისს ივანე ლაზარევი საიდუმლოდ ატყობინებდა კარლ კნორინგს, რომ შეთქმულებთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა კათოლიკოსი. იგივე ივანე ლაზარევი 1803 წლის 3 ოქტომბერს კარლ კნორინგს წერდა, რომ დედოფალ დარეჯანთან რუსეთის მოწინააღმდეგეთა შეკრებებს ანტონ მეორე თურმე ხშირად ესწრებოდა. ამ ცნობების მიუხედავად რუსი მოხელეები ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავდნენ კათოლიკოსის მიმართ, რადგან არ სურდათ ისედაც დაძაბული პოლიტიკური ვითარების გართულება.

ქართველი სამღვდელოების კომპრომისულ ნაბიჯზე წასვლის მიუხედავად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე რუსი მოხელეები ყოველგვარი დაფარვის გარეშე ერეოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საშინაო საქმეებში. ახალი მმართველობის დამყარების შემდეგ საქართველოს მთავარმართებელმა კარლ კნორინგმა 1802 წლის ზაფხულში ანტონ მეორეს ხელმეორედ მოსთხოვა დაწვრილებითი მასალები საპატრიარქოს სტრუქტურისა და კათოლიკოსის წლიური შემოსავლის შესახებ. ანტონ მეორემ საქართველოს მთავარმართებლის ეს მოთხოვნა შეასრულა. გამოირკვა, რომ საპატრიარქოს წლიური შემოსავალი შეადგენდა 2900 კოდ პურს, 395 საპალნე ღვინოს და 3980 მანეთს.[152] ბუნებრივია, რომ ასეთ დიდ შემოსავალს რუსეთის იმპერატორი ეკლესიის მწყემსმთავარს არ დაუტოვებია. მით უმეტეს, რომ მისი სურვილი იყო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის უწმიდესი სინოდის მეშვეობით ემართა. ამ მიზნის განსახორციელებლად იმპერიულ ძალებს სურდათ, საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია ისე მოეხდინათ, როგორც რუსეთში იყო და იგი თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

როგორც წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში აღინიშნა, ერთმორწმუნეობის მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავისი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით და ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით დიდად განსხვავდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. რუსეთში ჯერ კიდევ პეტრე პირველმა 1721 წელს გააუქმა პატრიარქის თანამდებობა და მის ნაცვლად ეკლესიის სამართავად დააწესა სინოდის მმართველობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა საერო პირი – ობერ-პროკურორი. ამ რეფორმით მან ეკლესია საერო ინტერესებს დაუმორჩილა, ხოლო ეკატერინე მეორემ 1784 წელს საეკლესიო მამულები და მთელი უძრავი-მოძრავ ქონება სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. ამიერიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საერო ხელისუფალთა პოლიტიკის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო. სწორედ ასეთი მმართველი ორგანოსათვის სურდა რუსეთის ხელისუფალთ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარება. ამიტომ ეკლესიის რეორგანიზაციისათვის ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა-

152 Акты, т. 2, стр. 468.

გან აღნიშნული ცნობების მიწოდებას. ანტონ მეორე კარგად გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს. ამის გამო იგი ცდილობდა გარეგნულად კარგი ურთიერთობა ჰქონოდა საქართველოს მაშინდელ რუსეთის მმართველ წრეებთან და სურდა ასეთი „კეთილგანწყობილება" ეკლესიის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა, მაგრამ რეაქციული ძალები არ ისვენებდნენ, რადგან ისინი საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარებას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.[153]

ახალი საქართველოს მთავარმართებელი პავლე ციციანოვი (1802-1806), წარმოშობით ქართველი, რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი იყო. მაგრამ ზოგჯერ იგი თავის ამ ზრახვას „კეთილშობილური" საქციელით ნიღბავდა. ჩამოსვლისთანავე მან ადგილობრივი სამღვდელოების გულის მოგების მიზნით ითავა 1802 წლის 10 ნოემბერს ხანძრის შედეგად დაზიანებული თბილისის სიონის ტაძრისა და ეკლესიის კუთვნილი 10 სავაჭრო დუქნის აღდგენა. მისი შუამდგომლობით იმპერატორმა 10000 მანეთი გამოყო, რითაც შეკეთდა თბილისის სიონის ტაძარი და აღდგა დამწვარი სავაჭროებიც დუქნებიც.[154] მაგრამ, როცა კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ მოინდომა შიო მღვიმის მონასტრის განახლება და მატერიალური დახმარებისათვის საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციცანოვს მიმართა, ამ უკანასკნელმა პეტერბურგში გრაფ კოჩუბეის შეატყობინა, რომ აღნიშნული მონასტრის შესაკეთებლად დიდძალი თანხა არის საჭირო, რაც სახელმწიფოს ხაზინას მძიმე ტვირთად დააწვება, საქართველოსთვის კი მას არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო.[155] მან აგრეთვე უარი განუცხადა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს ქართული საეკლესიო საგალობლების სრულყოფისათვის შესაბამისი გასამრჯელო გაეღებულიყო სახელმწიფოს მიერ. ამას აკეთებდა პიროვნება, რომელსაც ყოველგვარი ეროვნული თვითშეგნება დაკარგული ჰქონდა და მრავალსაუკუნოვან დახვეწილ ქართულ საეკლესიო საგალობლებს თხის პეტელს (კიკინს) ამსგავსებდა, ხოლო ანტონ მეორეს ურჩევდა, მის ნაცვლად წირვისას კიევის ნოტები გამოეყენებინა.[156]

პავლე ციციანოვმა, როგორც საქართველოს მთავარმართებელმა, განიზრახა საერო საქმეებთან ერთად ეკლესიის მმართველობაც თავის გავლენის სფეროში მოექცია. ამ მიზნით იგი უნდობლად უყურებდა ანტონ მეორეს და მის ყოველ მოქმედებას კონტროლს უწევდა. 1803 წლის გაზაფხულზე თბილისში შავი ჭირი მძვინვარებდა. კათოლიკოს-პატრიარქს სურდა მცხეთაში წასულიყო საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, მტრებმა კი ხმა დაუყარეს, ეპიდემიის გამო მცხეთაში გახიზვნას აპირებსო. ამ უმნიშვნელო

153 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 17.

154 Акты, т. 2, стр. 513.

155 Акты, т. 2, стр. 513.

156 Акты, т. 2, стр. 268; შდრ. ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 48.

ფაქტთან დაკავშირებით მთავარმართებელმა წასასვლელად გამზადებულ ანტონ მეორეს 1803 წლის 15 ივნისს მუქარის წერილით მიმართა: „ფეხი არ გადაადგა თორემ იმპერატორთან გიჩივლებო."[157] როგორც ვხედავთ, პავლე ციციანოვი მიზეზებს ეძებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის დამორჩილებისათვის. ეს უკანასკნელი ფრთხილად მოქმედებდა, რომ საბაბის საფუძველი არ მიეცა განრისხებული მთავარმართებლისათვის, მაგრამ შეუძლებელი იყო ასე დაძაბულად ცხოვრება. როცა პავლე ციციანოვმა ბაგრატიონების რუსეთში გასახლება დაიწყო, ანტონ მეორემ აშკარად მხარი დაუჭირა თავისი დედის – დარეჯან დედოფლის მოთხოვნას, დაეტოვებინათ იგი თავის სამშობლოში. საქართველოს მთავარმართებელმა როცა იგრძნო ანტონ მეორის ასეთი განწყობილება, მას ბრალი დასდო რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობაში, რითაც კათოლიკოსმა ხელი აიღო თავისი დედის კანონიერი მოთხოვნის დაცვაზე.

რუსეთის რეაქციული ძალები სხვა ხერხებითაც ებრძოდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მის მწყემსმთავარს. კათოლიკოს-პატრიარქის იზოლაციისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობაში არევ-დარევის შეტანის მიზნით მათ ქართველ სასულიერო პირებს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდება დაიწყეს. ამ მიზნით რუსმა მოხელეებმა ქრთამითა და სხვა საშუალებებით თავის მხარეზე გადაიყვანეს საეკლესიო პირების გარკვეული ნაწილი და ისინი ანტონ მეორეს დაუპირისპირეს. მათი ვარაუდით, ამ გზით გაადვილდებოდა კათოლიკოს-პატრიარქის ჩამოშორება ეკლესიის მმართველობისაგან, იმ მოტივით, რომ იგი თითქოს ვერ ართმევდა თავს სულიერი მოძღვრის მოვალეობას. თავიანთი შავბნელი ზრახვების განხორციელებისათვის რუსეთის რეაქციულმა ძალებმა გამოიყენეს ქსნის ერისთავის შთამომავალი ვარლამი, რომელიც რუსეთიდან არქიეპისკოპოსის (მთავარეპისკოპოსი) ხარისხით ახლადდაბრუნებული აქტიურად ჩაება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობაში. მასზე რუსი მოხელეები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ვარლამ არქიეპისკოპოსის მეშვეობით მათ სურდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია, რადგან იგი, როგორც რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრი, კარგად ერკვეოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცარიზმმა სწორედ ვარლამ არქიეპისკოპოსის მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე მოახდინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მართალია, რუს მოხელეებს სურდათ, ვარლამი კათოლიკოს-პატრიარქისათვის დაეპირისპირებინათ, მაგრამ იგი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისადმი ცუდად არ იყო განწყობილი. ვარლამ არქიეპისკოპოსი ანტონ მეორეს პატივისცემით ეპყრობოდა და მასთან ურთიერთობაში სიფრთხილეს იჩენდა.

---

157 Акты, т. 3, стр. 264; შდრ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 112; Э. Бубулашвили, Митрополит Арсен Надибаидзе, Православная энциклопедия, т. III, 2001, ст. 407-410.

სამაგიეროდ რუსმა ჩინოვნიკებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის მიმართ მტრულად განაწყვეს ტფილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც წარმოშობით ბაგრატიონი იყო, თუმცა იგი ნადიბაიძის, მკვლევარ მ. ბერძნიშვილის მიხედვით ნაიბიძის გვარს ატარებდა. არსენი იყო ვახტანგ მეექვსის ძმის, იესეს უკანონო შვილის აბდულა-ბეგის (არჩილის) შვილი.[158] როგორც ქართლის ბაგრატიონის წარმომადგენელი, ის ოპოზიციაში ედგა თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეფეს, მაგრამ მათ წინააღმდეგ აქტიურად ვერ მოქმედებდა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში ანტონ მეორის წარდგინებით, არსენი ტფილელი მიტროპოლიტის თანამდებობაზე დაინიშნა და კარგადაც წარმართავდა თავის საქმიანობას. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ იგი რუსეთის მთავრობას ერთგულებას ეფიცებოდა. ეს უკანასკნელი კი მიტროპოლიტ არსენს დიდად სწყალობდა, „საფიქრებელია უფრო ანტონ მეორის პარალიზების მიზნით, მით უფრო, რომ ისიც სამეფოს საგვარეულოს წევრი იყო."[159] მისი გულის მოგების მიზნით პავლე ციციანოვის მოღვაწეობისას იგი დაჯილდოებულ იქნა წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო ივანე გუდოვიჩის (1806-1809) მმართველობის დროს, 1807 წელს, მას ებოძა თეთრი ბარტყულა ბრილიანტის ძვირფასი ჯვრით შემკული.

რუსი მოხელეების ყურადღებით გათამამებული არსენ მიტროპოლიტი საკმაოდ მყარად გრძნობდა თავს. დავით ბატონიშვილის სიტყვით იგი „თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი იყო." ასეთი თვისებების მქონე პიროვნება ქართველ სასულიერო პირებს პატივს არ სცემდა და ხშირად ეკლესიაში აყალმაყალისა და დებოშის ამტეხი იყო. პირველად ასეთი განწყობილება არსენ მიტროპოლიტმა გამოავლინა 1803 წლის 27 დეკემბერს წილკნელი ეპისკოპოსის იოანეს დაკრძალვის დღეს გამართულ პანაშვიდზე, როდესაც მან თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ადგილის დაკავების გამო დავა აუტეხა სოლომონს, სიონის ტაძრის დეკანოზს. დავა ჩხუბსა და აყალმაყალში გადაიზარდა. დაკრძალვის შემდეგ, როდესაც არსენ მიტროპოლიტი სახლში ბრუნდებოდა, გზაზე შეიარაღებული პირები დახვდნენ. თავდამსხმელებში ერთი იყო დეკანოზ სოლომონის ვაჟი, რომელიც ანტონ კათოლიკოსის, დარეჯან და მარიამ დედოფლების მოსამსახურე იყო. მიტროპოლიტმა არსენმა მომხდარი ფაქტი უმაღლეს ხელისუფლებას აცნობა. მართალია, პატიმრის დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ მომხდარ თავდასხმას არაფერი აკავშირებდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავართან, მაგრამ ეს ფაქტი რუსმა მოხელეებმა ანტონ კათალიკოსის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს. თვით პავლე ციციანოვის უნდობლობა გაიზარდა კათოლიკოსის მიმართ, ხოლო ზოგიერთი სასულიერო პირი ანტონ მეორეს ეჭვის თვალით უყურებდა. მომხდარი ამბების შემდეგ მთავარმართებელი პავლე ციციანოვი აქტიურად ერე-

158 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 150.

159 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 150.

ოდა საქართველოს ეკლესიის საქმეებში. იგი ანტონ მეორეს უფლებას არ აძლევდა, მასთან შეთანხმების გარეშე გადაეწყვიტა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი. რუს მოხელეთა განზრახვის მიუხედავად, კათოლიკოსი არ აპირებდა საეკლესიო საქმეების საერო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას და ცდილობდა დამოუკიდებლად წარემართა თავისი მოღვაწეობა. ამ ნიადაგზე საერო და სასულიერო წრეებს შორის დამოკიდებულება თანდათან მძიმდებოდა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ანტონ კათოლიკოსი იძულებული იყო ანგარიში გაეწია რუს მოხელეთა მოთხოვნებისათვის. როცა 1804 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი ექვთიმე, მის ნაცვლად ეპისკოპოს სტეფანე რუსთველის წარდგინებით ანტონ მეორემ მთავარმართებელთან შეუთანხმებლად დანიშნა დომენტი და თან წერილით აცნობა პავლე ციციანოვს: „უბრძანე ისპრავნიკს გლეხნი და მამულები ჩამაბაროსო."[160] მთავარმართებელი აღშფოთდა კათოლიკოსის მოქმედებით. მისი გადაწყვეტილება უკანონოდ ჩათვალა და საპასუხო წერილში მკაცრი ტონით დაგმო ანტონ მეორის „თვითნებობა." „უწინ – წერდა იგი კათოლიკოსს – საერო მთავრობას ეკითხებოდა ხოლმე და ეხლა კი მე არა მკითხეთ რა წინამძღვრის დანიშვნაზე, შემწეობას კი მთხოვთო."[161] შემდეგ იგი აცნობებს, რომ „თქვენი წერილის მიღებამდე მივიღე ნიქოზელი ათანასეს თხოვნა – ეპარქიის მოვლა არ შემიძლია სიბერის გამო, მომეცით ნათლისმცემლის წინამძღვრობა და ან სიკვდილამდე 12 თუმანიო, ამიტომ ათანასე დანიშნეთ წინამძღვრად, დომენტი თანაშემწედ დაუნიშნეთ და წელიწადში 12 თუმანი ეძლეოდეს სიკვდილამდე." თუკი კათოლიკოსი არ მიიღებდა საქართველოს მთავარმართებლის წინადადებას, მაშინ ეს უკანასკნელი იმუქრებოდა, ყოველივე „...მალე მაცნობე, რომ იმპერატორს ვაცნობო ამისთანა არევ-დარევა სასულიერო გამგეობაშიო."[162] ანტონ კათოლიკოსი მოერიდა გართულებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავარმართებელი იმპერატორთან ჩივილით იმუქრებოდა და იძულებული შეიქნა მხარი დაეჭირა პავლე ციციანოვის კანდიდატურისათვის.

საქართველოს მთავარმართებლის აქტიური ჩარევა ეკლესიის საშინაო საქმეებში სხვა მხრივაც დასტურდება. იგი კათოლიკოს ანტონ მეორეს უფლებას არ აძლევდა თავისუფალ ეპარქიებში ახალი ეპისკოპოსი აერჩია. როცა ნიქოზის ეპისკოპოსის ადგილი გათავისუფლდა, მან ურცხვად მისწერა კათოლიკოს ანტონს, რომ იგი მცხეთის სამთავაროს მონასტრისათვის მიეწერათ. ეპარქიის მმართველი ეპარქიების შემცირებით პავლე ციციანოვი თანდათანობით ამზადებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი 1804 წლის 24 აპრილს

160 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 153.

161 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 189.

162 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 189.

იმპერატორ ალექსანდრე პირველს წერდა: „თავისი ნებით ეპისკოპოსთა გადადგომა, ჩემი აზრით, საუკეთესო საშუალებაა ეპარქიების გაუქმებისა და სხვებზე მიწერისათვის." იგი თავს იწონებდა რუსეთის იმპერატორის წინაშე: „ამ გზით სამი ეპარქია გავაუქმე და სამი კიდევ დამრჩაო." თუმცა საქართველოს მთავარმართებელი აღნიშნავდა, რომ ეპარქიების ერთბაშად გაუქმება სახიფათოაო. პავლე ციციანოვი ასეთი „მოღვაწეობით" რუსეთის პოლიტიკური ინტერესებს იცავდა და ბუნებრივია, მისი ყველა მოქმედება ცარისტული ხელისუფლებისათვის მოსაწონი იყო, მაგრამ ხალხის უკმაყოფილების შიშმა აიძულა ისინი ამგვარი ნაბიჯი არ გადაედგათ, რის გამოც პეტერბურგიდან საქართველოს მთავარმართებელს ატყობინებდნენ: „...ერიდე უსიამოვნებას და აურზაურს ყველასთანო."[163] ამისდამიუხედავად საქართველოს მთავარმართებლის ასეთ ნაბიჯს რუსეთის საერო ხელისუფლება ახალისებდა. საქართველოს მთავარმართებელს პეტერბურგიდან ერთ-ერთი დიდ მოხელე ვ. კოჩუბეი ატყობინებდა, რომ მოწონებას იმსახურებდა ეპარქიების გაუქმება, აუცილებელი იყო ამ პროცესიის გაგრძელება, მაგრამ ეპარქიების გაუქმება უნდა მომხდარიყო უმტკივნეულოდ. ასე თანდათან იძაბებოდა ურთიერთობა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის.

საქართველოს მთავარმართებელი არ ენდობოდა კათალიკოს-პატრიარქის მიწოდებულ ანგარიშს ეკლესია-მონასტრების და მათი შემოსავლების შესახებ და უშუალოდ ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსების მიწოდებული ცნობებით ცდილობდა ზუსტი სურათის დადგენას. მისი დავალებით 1805 წლის 21 თებერვალს ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მაყაშვილი), რომელიც ამ დროისათვის უკვე ახალმართველობის მომხრედ ითვლებოდა, საქართველოს მთავარმართებელს წარუდგინა კახეთის ეპაქიების შესახებ მონაცემები. ამ მონაცემებით ნეკრესიის ეპარქიის შემადგენლობაში ითვლებოდა 80 კომლი საეკლესიო გლეხი, რომლებიც ამუშავებდნენ ეპარქიის საეკლესიო მიწებს. გარდა ამისა, 50 კომლი გლეხი ეპარქიის სასარგებლოდ ყოველწლიურად იხდიდა ნახევარ საპალნე ღვინოს და 10 კოდ ხორბალს. ისინი აგრეთვე ყოველწლიურად იხდიდნენ 60 ვერცხლის მანეთს. მიტროპოლიტ იოანეს მონაცემებით, ნეკრესიის ეპარქიას ჰქონდა ორი ვაზის ფართობი, რომლიდანაც ერთი ნაკლებმოსავლიანი იყო. ორივე ნაკვეთიდან შემოსავალი შეადგენდა 60 საპალნე ღვინოს. სათესი მარცვლეულიდან ეპარქიას ხორბლის ყანები არ ჰქონდა, რადგან გლეხები უარს აცხადებდნენ მის მოყვანაზე. საჭირო ხორბალს ეპარქია ყიდულობდა. ეპარქია ყოველწლიურად საჭიროებისამებრ ხარჯავდა 40 მანეთს. საეკლესიო გლეხებისაგან დრამისა და სახუცოს გადასახადის სახით ეკლესიას შემოდიოდა 220 მანეთი. აღნიშნულ თანხას ემატებოდა ნატურის სახით მიღებული გადასახადი, რომელიც ფულადი სახით შეადგენდა 200 მანეთს. იგივე მიტროპოლიტი ხარჭაშნის ეპარქიის შესახებ აღნიშნავდა, რომ ამ დროისათვის ამ ეპარქიაში იყო 30 კომლი გლეხი; საეკლესიო გლეხები ეპ-

163 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 189.

არქიას გადასახადს უხდიდნენ მხოლოდ ღვინით, ხორბალის გადასახადს ვერ იხდიდნენ მისი სიმცირის გამო. ვაზიდან ეპარქიის შემოსავალი შეადგენდა 12 საპალნე ღვინოს. ეპარქიას აგრეთვე ექვემდებარებოდა თიანეთი და ფშავი, საიდანაც სიღარიბის გამო მცირე შემოსავალი შემოდიოდა. თიანეთიდან ყოველწლიური დრამის სახით ეპარქიაში შედიოდა 15-20 მანეთი. ეპარქიის კუთვნილ საძოვრიდან ყოველწლიურად გადასახადის სახით შემოდიოდა 20 ცხვარი. წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის ყველაზე ღარიბი იყო ნიქოზის ეპარქია.[164]

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანტონ კათოლიკოსის მომხრეთა წრე თანდათან ვიწროვდებოდა. პავლე ციციანოვმა შეძლო მისი ახლობლების რუსეთში გადასახლება, რასაც იგი ტრაგიკულად განიცდიდა. ანტონ მეორე ძალზე დაამწუხრა დედის – დარეჯან დედოფლის გარდაცვალებამ, რომელმაც 1807 წლის დასაწყისში პეტერბურგში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. დედოფალთან მყოფი რუისის მიტროპოლიტი იონა დედის გარდაცვალების გამო სამძიმრის წერილს უგზავნის ანტონს და თან სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებს.[165]

საქართველოს მთავარმართებელ ივანე გუდოვიჩის (1806-1809) მმართველობის დროს რუსეთის ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებანი განახორციელა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. საეკლესიო მამულების მითვისების მიზნით მან ყურადღება მიაპყრო სოფლის დაბალი სამღვდელოების სოციალურ მდგომარეობას. 1807 წლის 7 ივლისის ბრძანებით რუსეთის იმპერატორმა ისინი გაათავისუფლა თავადაზნაურთა ყმობისაგან და სხვა ბეგარა-გადასახადებისაგან. რა თქმა უნდა, სასულიერო პირთა მიმართ გადადგმული ეს ნაბიჯი კეთილშობილურად გამოიყუნებოდა, მაგრამ რუსეთის ცარიზმს მისი განხორციელებით რამდენიმე საკითხის მოგვარება სურდა: ჯერ ერთი, ყმობისაგან გათავისუფლებული სოფლის დაბალი სამღვდელოება სახაზინო უწყებაში მოექცა და მეორეც, ამით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების გაუქმების გზაზე. თუმცა, რუსეთის მთავრობა თავის ამ ზრახვებს ნიღბავდა იმ მოტივით, რომ თითქოს ყველაფერს „ღვთისა და ეკლესიის პატივისცემით" აკეთებდა. ამასთანავე, როგორც თვითონ აცხადებდნენ, საქართველოს ცხოვრებაში სამღვდელოების ყმობა რუსეთის იმპერიის კანონებისათვის მიუღებელი იყო, ხოლო სასულიერო პირებისათვის შეურაცხმყოფელი.[166] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები და მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე რუსეთის იმპერატორის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ წასულან, რადგან კარგად ხედავდნენ, რომ მათი უარყოფითი რეაქციის შემთხვევაში, დაბალი სამღვდელოების გულის მოგების მიზნით გადადგმული ეს ნაბიჯი მთავრობას შეეძლო გამოეყე-

164 Акты, т II, стр. 271.

165 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-1543.

166 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 891.

ნებინა ეკლესიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისათვის. რუსეთის რეაქციული ძალების ვარაუდი, თუკი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი სამღვდელოება მხარს არ დაუჭერდა ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებას, მაშინ სოფლის დაბალი სამღვდელოება, რომელიც სასულიერო პირთა უმრავლესობას შეადგენდა, მის იურისდიქციას აღარ დაემორჩილებოდა. ქართველ სასულიერო იერარქთა გონივრული მოქმედებით მიუღწეველი დარჩა ხელისუფლების განზრახვა. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა „კეთილშობილურ" მიზნებს ემსახურებოდა რუსეთის იმპერატორის მიერ ზემოთ მიღებული გადაწყვეტილება.

შემდეგმა მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა (1809-1811) ჩამოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციისათვის. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარმა და რუსეთის უწმიდესმა სინოდმა მას საიდუმლო დავალება მისცეს, მოემზადებინა ნიადაგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისათვის. ამ მიზნით იგი ადგილობრივი მღვდელმთავრების მეშვეობით უნდა გასცნობოდა ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და შემდეგ დასაბუთებული აზრი გამოეთქვა მისი გარდაქმნის შესახებ. მთავარმართებელი დაუკავშირდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე დაუსვა საკითხი, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში „უწესრიგობის მოგვარებისათვის" საჭირო იყო მისი რეორგანიზაცია კათოლიკოს-პარტიარქის უფლებების შეულახავად მომხდარიყო. ანტონ მეორე დარწმუნდა, რომ შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში აუცილებელი იყო ეკლესიის მმართველობის შეცვლა, ვინაიდან სამოქალაქო მმართველობაში მომხდარი ცვლილებანი ეკლესიაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა და ხშირად გაუგებრობას იწვევდა. აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობდა, თუკი რუსეთის მმართველი წრეები ხელს არ ახლებდნენ ეკლესიის დამოუკიდებლობას, შესაძლებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გარკვეული ცვლილება მომხდარიყო. აღნიშნულის გამო, ანტონ კათოლიკოსი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო მთავარმართებლის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას.[167]

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მოლაპარაკების შემდეგ ალექსანდრე ტორმასოვმა 1809 წლის 6 ივნისს აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება გაუგზავნა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს ალექსანდრე გოლიცინს. მთავარმართებელი მუქ ფერებში ხატავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას. იგი რუსეთის უწმინდეს სინოდს ატყობინებდა, რომ მმართველობის მხრივ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში სრული განუკითხაობა და ქაოსი იყო. ამის საფუძველზე საქართველოს მთავარმართებელი ასკვნიდა: „მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სამღვდელობა რჩება სრულიად მივიწყებულ მდგომარეობა-

167 ე. ბუბულაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1827), თბ., 2011, გვ. 39.

ში."[168] როგორც მოხსენებიდან ჩანს, ალექსანდრე ტორმასოვისა და მისი წინამორბედი რუსი მოხელეების მცდელობის მიუხედავად, დაუდგენელი იყო, რამდენი ეკლესია-მონასტერი იყო საქართველოში მოქმედი და რამდენი სასულიერო პირი ემსახურებოდა მას. აგრეთვე მათთვის უცნობი ჩანდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემოსავალ-გასავლის რაოდენობაც. ალექსანდრე ტორმასოვი ობერ-პროკურორს აცნობებს, რომ სასულიერო პირების რაოდენობის ზრდას საქართველოში ხელს უწყობდა ეპარქიის ეპისკოპოსთა თვითნებობა, რომლებიც საეკლესიო მმართველობის დაუკითხავად, თავიანთი სურვილისამებრ ახდენდნენ ცალკეულ პირთა სასულიერო ხარისხში აყვანას. საეკლესიო პირების ზრდა, როგორც ალექსანდრე ტორმასოვი იტყობინებოდა, ძირითადად გლეხთა წრიდან ხდებოდა, რომლებიც სასულიერო წოდებაში გადასვლის შემდეგ თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან. იგი რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე წინადადებას აყენებს, შეიქმნას ისეთი მმართველობა, რომელიც კონტროლს გაუწევდა საეკლესიო პირთა ხარისხში აყვანას და მათ რაოდენობას მინიმუმამდე დაიყვანდა. თავის მხრივ, „სამღვდელო პირთა შემცირება – მისი აზრით – სარგებლობას მოუტანს ეკლესიას, რამეთუ ის თანხა, რომელიც იხარჯება მოჭარბებული სამღვდელოების შესანახად, მოხმარდება საერთო სასულიერო საქმეს."[169]

ალექსანდრე ტორმასოვი შემდეგ თავის შეხედულებას გამოთქვამდა ქართველ სასულიერო პირთა განათლების შესახებ. აქ მისი ფანტაზია ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ქართველ სამღვდელოებას იგი წარმოგვიდგენს გაუნათლებლად, რომელთა დიდმა ნაწილმა, თურმე, საერთოდ არ იცოდა წერა-კითხვა. შეუძლებელია ვენდოთ საქართველოს მთავარმართებლის აღნიშნულ შეხედულებას, რადგან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე მეორისა და კათოლიკოზ-პატრიარქის ანტონ პირველის მეცადინეობით თელავსა და თბილისში გახსნილმა სასულიერო სემინარიებმა მრავალმხრივ განათლებული კადრები გამოუშვეს. მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული სემინარიები აღარ მოქმედებდნენ, მაგრამ ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ძირითადად აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულები მოღვაწეობდნენ. ასე, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურების ძირითადი ნაწილი საკმაოდ განათლებული ჩანდა.

არამართებული იყო აგრეთვე საქართველოს მთავარმართებლის ინფორმაცია რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ თითქოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობდა არავითარი განსაზღვრული წესები ბერად აღკვეცისა ან თეთრსამღვდელოებად კურთხევისა. არ შეესაბამებოდა სინამდვილეს ის ფაქტიც, რომ ეკლესიებში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხდებოდა სასულიერო პირების ხელდასხმა და ხშირად ხელდასხმული სასულიერო პირები არცერთ ეკლესიაზე არ იყვნენ მიწერილი.

168 Акты, т. 4, стр. 139.

169 Акты, т. 4, стр. 139.

ასე რომ, ალექსანდრე ტორმასოვის შიში, თუკი მმართველი ხელისუფლება რაიმე ღონისძიებას არ გაატარებდა არსებული პროცესის შესაჩერებლად, შესაძლებელი იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სასულიერო წოდებად გადაქცეულიყო, უსაფუძვლო იყო. მთავარმართებელი ალქსანდრე ტორმასოვი დაწვრილებით მიუთითებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიღარიბის შესახებ და იქვე დასძენდა, რომ ამ სიღარიბის მიუხედავად ეკლესიის მწემსმთავარი საკმაო სოლიდურ შემოსავალს ღებულობდა მისთვის განკუთვნილი საეკლესიო გლეხობიდან, ზვრებიდან, საბაჟოდან და სავაჭრო დუქნებიდან. წლიურად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შემოსავალი რუსი მოხელეების გამოანგარიშებით შეადგენდა დაახლოებით 4000 მანეთს.[170] 1809 წელს რუსეთის ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქს ჩამოართვა შემოსავლის აღნიშნული წყაროები. სანაცვლოდ აძლევდნენ 2300 მანეთს წელიწადში. შემდგომ სამოქალაქო ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა კათოლიკოსის მიერ მიღებული ყველა ეს თანხა ყოველწლიური ხელფასით შეეცვალა.[171] გაზვიადებული ინფორმაციის მიწოდებით საქართველოს მთავარმართებელს სურდა რუსეთის სამეფო ხელისუფლებას დაეჩქარებინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი. მოჭარბებული ამპარტავნობის წყურვილით შეპყრობილი მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ იგი ყოფილიყო მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემოქმედი. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია იქნებოდა პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის.

საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე წინადადებას აყენებდა, რომ განათლებულ სასულიერო პირთა მოსამზადებლად აუცილებელი იყო თბილისში სასულიერო სემინარია გახსნილიყო, სადაც სწავლა-განათლება, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო. აქედან ნათლად ჩანს, თუ რატომ არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავარმართებელს ქართველი სასულიერო პირთა მომზადების დონე. იგი, როგორც იმპერიული რუსეთის მსახური, რუსული სასულიერო სემინარიის დაარსებით ხელს შეუწყობდა ცარიზმის ერთგულ სასულიერო პირთა მომზადებას, რაც თავის მხრივ ქართული ეროვნული სულის დაქვეითებას და მის გაქრობას გამოიწვევდა.

ასეთი მძიმე სურათის დახატვის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელი ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს სთხოვდა, უშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, რათა მისი ნებართვით საქართველოს ეკლესიაში დაარსდეს სასულიერო დიკასტერია ისეთივე ფორმით, როგორც არსებობდა იგი რუსეთის უწმიდეს სინოდთან. მისი აზრით, სასულიერო დიკასტერია იქნებოდა ის სასულიერო ორგანო, რომელიც წესრიგს დაამყარებდა ეკლესიაში,

170 Акты, т. 4, стр. 139.

171 Акты, т. 4, стр. 139.

აღრიცხავდა ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირების რაოდენობას; მისი ნებართვის გარეშე ეპარქიის მღვდელმთავრებს უფლება არ უნდა ჰქონოდათ მოეხდინათ ხელდასხმა სასულიერო პირებისა და ბერად აღკვეცა. რუსი მოხელე მოითხოვდა, რომ სასულიერო დიკასტერიის დაფუძნებამდე მოქმედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს ანტონ მეორეს უნდა ჩამორთმეოდა თავისი სურვილისამებრ სასულიერო პირთა კურთხევა და ბერად აღკვეცა თუკი იგი ადგილობრივ საერო ხელისუფებასთან არ იქნებოდა შეთანხმებული. ამ ნაბიჯით რუსი მოხელეს სურვილი იყო სასულიერო პირთა რიცხვის შემცირება. ამასთან, იგი მოითხოვდა, რომ სასულიერო დიკასტერია დაქვემდებარებოდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს ანტონ მეორეს. მასვე დანიშნოდა მოადგილე, „დიდი მნიშვნელობა ექნება – წერს იგი – თუ ამ ადგილს დაიკავებს უწმიდესი სინოდის წევრი, განათლებული არქიეპისკოპოსი ვარლამი, რომელიც იმყოფებოდა რუსეთში და ერკვევა საქმის არსში."[172] მისი აზრით, სასულიერო დიკასტერიაში ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის გარდა კიდევ შეიძლება სამი სასულიერო პირი ყოფილიყო. აუცილებელი იყო საქმის წარმოებისათვის მთარგმნელი. შემდეგ ალექსანდრე ტორმასოვი სასულიერო დიკასტერიისათვის მოითხოვდა შესაფერის შენობას და კანცელარიის თანამშრომლებისათვის პირველ ეტაპზე 5000 მანეთის გაღებას. ხოლო როცა საეკლესიო შემოსავალი დადგინდებოდა, სასულიერო დიკასტერიის მოსამსახურეთა ხელფასი მისი ბიუჯეტიდან გაიცემოდა. საქართველოს მთავარმართებელი ობერ-პროკურორს აცნობებდა კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის განზრახვას, რომ რადგან მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, მას აუცილებლად არ მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს მეორე საეპისკოპოსო და ამის გამო იგი მოითხოვს თბილისის სამიტროპოლიტოს გაუქმებას. ანტონ მეორის აზრით, სამიტროპოლიტოს გაუქმების შემდეგ თბილისის ყოფილი ეპარქია კარგი იქნებოდა, თუკი გადაეცემოდა ალექსი პეტრიევს (პეტრიაშვილს) არქიმანდრიტის ხარისხში აყვანის შემდეგ.[173] თავის მხრივ, ალექსანდრე ტორმასოვიც ემხრობოდა კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურას, რადგან იგი რუსეთის პოლიტიკის გამტარებლად მიაჩნდა საქართველოში. ამავე მიზეზით, მთავარმართებელი მოითხოვდა ალექსი პეტრიაშვილისათვის, რომელმაც კარგად იცოდა რუსული და ქართული ენები, დაევალებინათ სასულიერო დიკასტერიის საქმის მოწესიგება, რომელსაც იგი კარგად გაართმევდა თავს. საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი არ ცდებოდა ალექსი პეტრიაშვილის შეფასებაში. იგი, როგორც განათლებული პიროვნება, კარგად ერკვეოდა საერო და სასულიერო მმართველობაში. მას დამთავრებული ჰქონდა ასტრახანის სასულიერო სემინარია, ერთხანს ყიზლარში მღვდლად მუშაობდა, ხოლო საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1803 წელს პავლე ციციანოვმა დეკანოზის ხარისხით დანიშნა თბილისის ახლად-

172 Акты, т. 4, стр. 139.

173 Акты, т. 4, стр. 139.

დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად. როგორც რუსული ენის კარგი მცოდნე, იგი თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. რუსი მოხელეები მას დიდად სწყალობდნენ და ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისათვის. გარდა ამისა, ალექსი პეტრიაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სასულიერო პირთა შორის.[174] თავის მხრივ, მას ანტონ მეორეც დიდად აფასებდა. ალექსანდრე ტორმასოვის აზრით, სწორედ ასეთი პიროვნების სასულიერო დიკასტერიის მუშაობაში ჩართვა ხელს შეუწყობდა „სამღვდელოებას შორის წესრიგის დამყარებას." იგი თავისი ავტორიტეტის გამო მათთვის მაგალითის მიმცემი იქნებოდა.[175]

საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი არ დაელოდა პეტერბურგიდან ობერ-პროკურორის ალექსანდრე გოლიცინის პასუხს და იმავე 1809 წლის 15 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს მოახსენა თავისი აზრი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. იგი ქართველ მწყემსმთავარს აცნობებდა, რომ ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათი შემოსავლების აღრიცხვისა და სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენისათვის, აგრეთვე სამრევლოების მოწესრიგებისათვის აუცილებელია თბილისში დაარსდეს სასულიერო დიკასტერია. რუსი მოხელე საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსს მოუწოდებდა შეედგინა სასულიერო კომისია, რომელიც დაადგენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათში მოსამსახურე სასულიერო პირთა რაოდენობას. ამასთან, ის კათოლიკოს-პატრიარქს ურჩევდა, არ დარღვეულიყო რუსეთის იმპერატორის 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებულება, რომლითაც იკრძალებოდა სასულიერო პირთა თვითნებური ხელდასხმა: თუკი ამის აუცილებლობა იყო, მაშინ იგი უნდა მომხდარიყო საიმპერატორო კართან შეთანხმებით, ხოლო თუ რომელიმე მღვდელმთავარი თვითნებურად მოახდენდა სასულიერო პირთა ხელდასხმას, რუსეთი უწმინდესი სინოდი მის ამ გადაწყვეტილებას გააუქმებდა და ხელდასხმული პირი დაუბრუნდებოდა ადრინდელ ხარისხს. მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი ანტონ მეორეს აცნობებდა, რომ მისი ეს მოთხოვნა ეპარქიების ყველა სასულიერო პირისათვის ცნობილი გამხდარიყო.[176]

ანტონ მეორე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსი მოხელეების კატეგორიული მოთხოვნით, იძულებული გახდა დათანხმებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობაში გარკვეული სახის სტრუქტურულ ცვლილებას, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო მისი დამოუკიდებლობა. რუსეთის მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ, რომ სასულიერო დიკასტერიის კონტროლის ქვეშ მოქცეული მწყემსმთავარი დამოუკიდებლად ვეღარ წარმართავდა ეკლესიის საქმიანობას. მით უმეტეს, მას საქართველოს უზენაეს მმართველ პირებთან შეთანხმების გარეშე ეკრძალებოდა ახალ სასული-

174 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 104.

175 Акты, т. 4, стр. 139.

176 Акты, т. 4, стр. 139.

ერო პირთა კურთხევა. როგორც ვხედავთ, სასულიერო დიკასტერიის დაარსება პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გზაზე. მისი საშუალებით რუსეთის უწმინდესი სინოდი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობას სპობდა და მას რუსეთის საერო ხელისუფლების ერთ-ერთ დანამატად აქცევდა. სასულიერო დიკასტერიის კონტროლს ექვემდებარებოდა არა მარტო სასულიერო პირთა რაოდენობისა და სამრევლოების მოწესრიგება, არამედ ეკლესია-მონასტრების აღწერა და მათი შემოსავლის დაზუსტება.

საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრე ტორმასოვის დაჟინებული მოთხოვნით ანტონ მეორემ 1809 წელს შეადგინა პროექტი თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსების შესახებ. ამ პროექტით, რომელიც რუს მოხელეებთან იყო შეთანმხებული, უქმდებოდა თბილისის სამიტროპოლიტო, ხოლო თბილისის საკათედრო ტაძარი სიონი უნდა დაქვემდებარებოდა კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს ალექსი პეტრიაშვილს, რომელიც არქიმნადრიტის ხარისხში უნდა აეყვანათ. კათოლიკოს-პატრიარქის აღნიშნულმა განზრახვამ აღაშფოთა თბილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და მის იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდა. განრისხებულმა არსენ მიტროპოლიტმა, შეიტყო რა ყოველივე და ისიც, რომ ქართლ-კახეთის უმაღლესი ხელისუფალნი ანტონ მეორის გადაწყვეტილებას ემხრობოდნენ, 1809 წლის 20 აგვისტოს, მათი გვერდის ავლით აღნიშნული საკითხის გამო იმპერატორ ალექსანდრე პირველს ვრცელი მოხსენებითი წერილით მიმართა.

მღვდელმთავრის მოხსენება განაწყენებული, ამბიციური პიროვნების განწყობილებას გამოხატავდა, რომელიც დამყარებული იყო ცილისმწამებლურ ფაქტებზე. მიტროპოლიტი არსენი ერთგულებას ეფიცებოდა რუსეთის იმპერატორს და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე წერდა: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ „მე მსხვერპლად ვწირავდი ჩემს თავს მთელი რუსეთის იმპერიას."[177] იგი მადლობას მოახსენებს ალექსანდრე პირველს, რომ მისმა უდიდებულესობამ სათანადოდ დააფასა მისი ღვაწლი. მთავარმართებლების კარლ კნორინგის, პავლე ციციანოვის, ივანე გუდოვიჩის დროს იგი სათანადო პატივითაც სარგებლობდა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოებიც დაიმსახურა იმპერატორის ერთგულების გამო.

განდიდებას მიჩვეული, პატივმოყვარე არსენ მიტროპოლიტი იმპერატორს აუწყებს: „ეხლა კი ზოგიერთ მათგანს შეშურდა რა თქვენი ჩემდამი ნყალობა ამგვარად გადმოსული, აბრაზებს. მე კი არაფერი გამიკეთებია, გარდა იმისა, რომ ვეხმარები თქვენს ჯარს საკუთარი სისხლის დაუზოგავად, თქვენი ერთგულებისათვის." მოშურნეთა შორის იგი ასახელებს ანტონ მეორეს, პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ ვარლამ (ერისთავი) არქიეპისკოპოსს და დეკანოზ ალექსი ბატონიშვილს, რომლებიც, მისი აზრით, სარგებლობენ რა საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის და საქართვე-

177 Акты, т. 4, стр. 141.

ლოს მმართველ თეოდორ ახვერდოვის ხელშეწყობით, სურთ, რომ „...მომაშორონ თბილისის სიონის ტაძრიდან და გადამიყვანონ სხვა, გაღარიბებულ და გაძარცვულ ეპარქიაში, მე კი უდიდესი გულმოდგინება, სისხლი და შრომა მაქვს დახარჯული იმ ტაძრისათვის და მსურს, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები აქ გავატარო."[178] იგი შემწეობას სთხოვდა რუსეთის იმპერატორს, რომ მათი ეს განზრახვა რეალურად არ განხორციელებულიყო. ამ მიზნით ქართველი მღვდელმთავარი მერამდენედ უსვამდა ხაზს თავის თავდადებას რუსეთის იმპერიის ტახტისადმი. „დიდო მეფეო! – წერს ის იმპერატორს – იმ დროიდან, როცა თქვენი უძლეველი ჯარი შემოვიდა საქართველოში, მე თქვენს ერთგულებას ჩემი თავი შევწირე მსხვერპლად, ხოლო მათგან მოგონებულ წყენას კი ვიცი, არ ინებებთ მომაყენოთ."[179]

განაწყენებული მიტროპოლიტის მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. იგი რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ საჩივარში ცილს სწამებდა კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ მეორეს საეკლესიო ქონების მითვისებაში, რომ თითქოს მან გაძარცვა მცხეთის სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები, მოპარული ნივთები კი ბაზარზე იყიდებაო. იგი ასეთსავე ბრალდებას უყენებდა არქიეპისკოპოს ვარლამს, რომელმაც „მრავალი მოქრთამა, რათა ჩემთვის წაერთმია სიონის ტაძარი." ატყობინებდა რა ყოველივეს, არსენ მიტროპოლიტი იმპერატორისაგან მოითხოვდა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც გამოიძიებდა საქართველოს ეკლესიის საქმეებს. სასოწარკვეთილი მიტროპოლიტი იმპერატორს აცოდებდა თავს და წერდა: „მე დევნილი ვარ თქვენი ერთგულებისათვის."[180] არსენ მიტროპოლიტი თავის მტრად მიიჩნევდა აგრეთვე მთავარეპისკოპოს ვარლამ ერისთავს, რომელმაც, მისი აზრით, დაითანხმა მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი მისი თბილისის ეპარქიიდან გადაყვანის შესახებ, რათა თვითონ გამხდარიყო ეპარქიის მმართველი. მანვე რუსეთის იმპერატორს აცნობა, რომ გიორგი მეთორმეტის ძეს დავითს დოსითეოს ფირცხელაურისათვის არქიმანდრიტობა უბოძებია. მისივე ცნობით, კათოლიკოსმა ანტონ მეორემ დავით ბატონიშვილთან სიახლოვის გამო დოსითეოს ფირცხელაურს უკანონოდ ნაბოძები სასულიერო ხარისხი არა თუ ჩამოართვა, არამედ მას ოთხი არქიმანდრიტი დაუქვემდებარა და ურბნისის ეპარქიაც ჩააბარა. როგორც ვხედავთ, თავისი წინდაუხედავი მოქმედებით და პატივმოყვარეობით შეპყრობილი არსენ მიტროპოლიტი აღარ ემორჩილება საქართველოს საპატრიარქოს და იმპერატორისადმი გაგზავნილი დამბეზღებელი წერილით ხელს უწყობდა რუსეთის მმართველი წრეების აქტიურ ჩარევას საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში.

არსენ მიტროპოლიტი იმპერატორს სწერდა, რომ მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვისა და საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვის მხარდაჭერით კათოლიკოს-პატრიარქი თვითნებურად მოქმედებდა,

178 Акты, т. 4, стр. 143.

179 Акты, т. 4, стр. 143.

180 Акты, т. 4, стр. 143.

მაგრამ აღნიშნულ ცნობას სინამდვილესთან რომ არაფერი კავშირი ჰქონდა, ეს პეტერბურგის საიმპერატორო კარისთვის კარგად იყო ცნობილი. ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ განაწყენებულ მიტროპოლიტს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა პასუხიც არ აღირსა. თუმცა, როგორც შემდგომ დავინახავთ, მისი ცილისმწამებლური ბრალდება, როცა დასჭირდათ, რუსეთის მმართველმა წრეებმა თავიანთ სასარგებლოდ კარგად გამოიყენეს ანტონ მეორის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე მთავარმართებლის ზემოქმედების შედეგად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ფაქტიურად მისი იურისდიქცია საეპისკოპოსოებზე აღარ ვრცელდებოდა, სასულიერო პირების ხელდასხმის უფლებაც ჩამოერთვა, ხოლო საეკლესიო შემოსავლებს კონტროლს ახალი მთავრობა უწევდა. ისინი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდნენ.

ანტონ მეორე კარგად გრძნობდა თავის უმწეო მდგომარეობას და საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების უმსგავსოების შესახებ 1809 წლის 8 ნოემბრის წერილით აცნობებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შემწეობასა და დახმარებას ითხოვდა მისგან.[181] პეტერბურგში მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრს ანტონ მეორის უფლებების დაცვა არ შეეძლო და ვერც შეძლებდა კიდევაც რომ მოეწადინებინა, ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საიმპერატორო კარზე უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო. რუსეთის მმართველი წრეები აქცენტს მხოლოდ იმაზე აკეთებდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება როგორმე უმტკივნეულოდ მომხდარიყო. როგორც მოსე ჯანაშვილი წერდა: „რუსეთის მთავრობას სურდა სრულიად მოესპო ხარისხი კათალიკოზობისა, რადგან იგი მოსაგონებელი საგანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითარსებობისა."[182] ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ანტონ მეორის საქართველოდან მოშორება. რუსი მოხელეები საბაბს ეძებდნენ კათოლიკოს-პატრიარქის გადასაყენებლად და რუსეთში გასაწვევად. ასეთი მიზეზის გამონახვა ძნელი არ იყო, რადგან, როგორც დავინახეთ, ეკლესიაში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უპირისპირდებოდნენ და არევ-დარევა შეჰქონდათ საეკლესიო მმართველობაში. ამ უკიდურესი ზომების მიღებამდე რუსი მოხელეები შეეცადნენ ყოველგვარი გართულების გარეშე გაეწვიათ ანტონ მეორე რუსეთში. 1809 წლის 2 ნოემბერს ობერ-პროკურორი ალექსანდრე გოლიცინი საქართველოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ იმპერატორის გადაწყვეტილებით კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე უნდა წასულიყო პეტერბურგში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ზოგიერთი ცვლილებების შემოღებასთან დაკავშირებით. სინამდვილეში იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „საპატიო" გადასახლებას ნიშნავდა, საიდანაც მას დაბრუნე-

181 РГИА, ф. 1284, оп. 3, д. №538, *лл.* 92.

182 მ. ჯანაშვილი, კათალიკოზი ანტონ მეორე, ჟურნალი „მწყემსი," №8, გვ. 8.

ბა აღარ ეწერა. თუ რა პოზიციას დაიკავებდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი აღნიშნული საკითხის მიმართ, როგორც ობერ-პროკურორი წერდა ალექსანდრე ტორმასოვს, ცნობილი უნდა გამხდარიყო რუსეთის იმპერატორისათვის.[183] აქედან ნათლად ჩანს, თუ რა ცხოველ ინტერესს იჩენდა რუსეთის ხელისუფლება ანტონ მეორის რუსეთში გასაწვევად. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი კარგად გრძნობდა, რუსეთის რეაქციულ ძალებს თუ რა მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და ცდილობდა ეს „საპატიო მიწვევა" როგორმე თავიდან აეცილებინა. 1809 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვისადმი გაგზავნილ წერილში ანტონ მეორე მადლობას გამოხატავს რუსეთის იმპერატორის მიმართ, იმ პატივისცემის გამო, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა მისი პეტერბურგში მიწვევის გამო. „ამასთან – წერდა იგი რუს გენერალს, – აღფრთოვანებული ვარ იმ აზრით, რომ ნება მეძლევა ვუცქირო მის (იმპერატორის – ე. ბ.) წმინდა სახეს, რომელმაც აიყვანა ჩემი მამული უდიდეს სიხარულში და ამ ყოველივეს სიხარულის აღტაცებაში მოვყევარ, მაგრამ უბედური ვარ, რომ ავადმყოფობის გამო ჩემი ჯანმრთელობა მკვეთრად შეირყა, რაც იმედს მართმევს, რომ ხანგრძლივი და ძნელი მგზავრობა გადავიტანო."[184]

რა თქმა უნდა, ანტონ მეორე აღფრთოვანებული არ იყო რუსეთის ხელისუფლების თვითნებობით და, მით უმეტეს, პეტერბურგში მიწვევით, მაგრამ შექმნილი სიტუაცია აიძულებდა, გარეგნულად მშვიდი პოზიცია დაეკავებინა. ავადმყოფობის მომიზეზებით პეტერბურგში გამგზავრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის უარი რუსეთის საიმპერატორო კარისადმი შინაგანი პროტესტის ფორმა იყო. თავისი განწყობილების შენიღბვის მიზნით, ანტონ მეორე საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვს ატყობინებდა, რომ რუსეთის იმპერატორის სურვილის დასაკმაყოფილებლად და საეკლესიო საკითხების მოსაგვარებლად თავის მაგივრად გაგზავნიდა უწმიდესი სინოდის წევრს ვარლამ (ერისთავი) არქიეპისკოპოსს და არქიმანდრიტ დოსითეოსს (ფირცხელაური), რომელთაც საკითხთა გადაწყვეტის დროს კათოლიკოს-პატრიარქის ყველა რწმუნება ექნებოდათ.

ანტონ მეორის პასუხმა უკმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის საიმპერატორო კარზე, მაგრამ აშკარად წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ. 1810 წლის 25 თებერვალს ხელმწიფის განკარგულებით ანტონ მეორეს უფლება ეძლეოდა დარჩენილიყო თბილისში გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც იგი თვითონ უნდა გამოცხადებულიყო პეტერბურგში და არ გაეგზავნა იქ არც ერთი შემოთავაზებული სასულიერო პირი. კათოლიკოსის ჩასვლამდე კი იმპერატორმა რუსეთის უწმინდეს სინოდს მისცა მითითება, რომ გადაედოთ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვა.[185]

183 Акты, т. 4, стр. 143.

184 Акты, т. 4, стр. 149.

185 Прот. В. Жмакин, Грузинский католикос Антоний в России, Христианское чтение, ежемесиачный журнал издаваеми при С-Петербургской Духовной академии, г. част I ჩჩ XIX, т. стр. 106.

იმპერატორის განკარგულების მიუხედავად საქართველოში მოღვაწე რუსმა მოხელეებმა იგრძნეს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის სახით სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდათ ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე. ამიტომ ისინი ხელსაყრელ დროსა და შემთხვევას ელოდნენ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. რუს მოხელეებს დიდხანს არ დასჭირვებიათ ლოდინი ანტონ მეორის მიმართ თავიანთი განწყობილების გამოსახატავად. ამ მიზნით მათ კარგად გამოიყენეს კათოლიკოსისადმი უკმაყოფილო მიტროპოლიტ არსენის დამოკიდებულება. ამ უკანასკნელმა, რაკი რუსეთის ერთგულების სანაცვლოდ მხარდაჭერა ვერც იმპერატორისაგან და ვერც ადგილობრივი რუსი მოხელეებისაგან მიიღო, აშკარა პროვოკაციულ გზას დაადგა. 1809 წლის 12 დეკემბერს, როდესაც თბილისის სიონის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე პირველის დაბადების დღისადმი მიძღვნილი წირვა მიმდინარეობდა, გაგულისებულმა მიტროპოლიტმა არსენმა კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს მთავარმართებლისა და საზოგადოების თანდასწრებით საკურთხეველში ჯოხით სცემა დეკანოზი ალექსი პეტრიაშვილი, ხოლო არქიეპისკოპოს ვარლამს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც იქ დამსწრეთა დიდი გულისწყრომა გამოწვია.[186] მართალია, მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს მომხდარი ფაქტისადმი თავისი დამოკიდებულება არ გამოუხატავს, მაგრამ მან ყოველივე დაწვრილებით აცნობა რუსეთის იმპერატორს. დაზარალებულმა და მორალურად შეურაცხყოფილმა დეკანოზმა ალექსი პეტრიაშვილმა 1809 წლის 14 დეკემბერს ვრცელი მოხსენებით მიმართა საქართველოს მთავარმართებელს, რომელშიც იგი უჩივის ტფილელ მიტროპოლიტს არსენს უღირსი საქციელის გამო და მოითხოვდა მის დასჯას.[187] საქართველოს მთავარმართებელმა ალექსი პეტრიაშვილის საჩივარი გადაუგზავნა კათოლიკოს-პატრიარქს და სთხოვა, მომჩივანის მოთხოვნები კანონის ძალით დაკმაყოფილებულიყო. ანტონ მეორემ წერილობით აცნობა მიტროპოლიტ არსენს დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილის საჩივრის შესახებ და ალექსანდრე ტორმასოვის მოთხოვნა, ობიექტურად გამოძიებულიყო მომჩივნის მოთხოვნები და სასჯელიც შესაბამისი გამოტანილიყო.[188] 1810 წლის დასაწყისში ანტონ მეორემ მიმართვა გაუგზავნა ქართველ მღვდელმთავრებს, განეხილათ არსენ მიტროპოლიტის საქციელი. რუსეთის მმართველი წრეები მომხდარი კონფლიქტის განხილვაში მონაწილებას არ ღებულობდნენ, მაგრამ დიდ დაინტერესებას იჩენდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას. მათ ძალზედ აინტერესებდათ თუ რა პოზიციას დაიკავებდა ანტონ მეორე. როგორც ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს, კათოლიკოსმა შექმნა საეკლესიო სა-

186 ბაგრატ ბატონიშვილი, მოთხრობა ახალი საქართველოსი, ხელნაწერი დაცული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ხელნაწერთა განყოფილება, ფურც. 105-106.

187 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ros – 122, ფურცელი 1.

188 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ros – 122, ფურცელი 1.

სამართლო მღვდელმთავრების: მთავარეპისკოპოს იუსტინე მაღალაშვილის, ბოდბელი მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის, რუსთველი ეპისკოპოსის სტეფანე ჯორჯაძის, წილკნელ-სამთავნელი ეპისკოპოსის გერვასი მაჭავარიანის, აგრეთვე არქიმანდრიტებისა და სხვა სასულიერო პირთა მონაწილეობით და მათ დაავალა მომხდარი ფაქტების გამოძიება.[189]

გამოძიების დაწყებამდე მიტროპოლიტი არსენი შეეცადა სიტყვიერი მონანიებით მოელბო კათოლიკოს-პატრიარქის გული. ამ მიზნით, მან 1810 წლის 26 იანვარს წერილით მიმართა ანტონ მეორეს, მთავარეპისკოპოსს ვარლამს და ბოდიში მოუხადა იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათ მიაყენა.[190] ასეთი მონანიება ვერ უშველიდა იმ დანაშაულობებს, რომელიც ტფილელ მიტროპოლიტს ჰქონდა ჩადენილი.

გამოძიებას ხელს უშლიდა ბრალდებული არსენ მიტროპოლიტი, რომელიც საეკლესიო სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად, უარს აცხადებდა სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გაეცა მათთვის საინტერესო კითხვებზე, იმ მოტივით, რომ იგი თავს დამნაშავედ არ თვლიდა. საეკლესიო სასამართლომ მოწმეთა დაკითხვით გაარკვია, რომ 1809 წლის 12 დეკემბერს მომხდარი ინცინდენტის გარდა მიტროპოლიტ არსენს სხვა დანაშაულობებიც ჰქონდა ჩადენილი. იგი თვითნებურად ახდენდა სასულიერო პირების ხელდასხმას და ამით დაარღვია რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც პეტერბურგის სამეფო კართან შეთანხმების გარეშე აკრძალული იყო სასულიერო პირთა კურთხევა. მასვე აზნაურ თურქესტანიშვილის მეუღლის დაკრძალვაზე სტიხაროსანი ქრისტეფორე უცემია. საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ არსენ მიტროპოლიტი დიდად ავიწროვებდა ქაშუეთის ეკლესიის სასულიერო პირებს და მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდა, ეს მაშინ, როცა ქაშუეთის სამღვდელოებას კათოლიკოსისაგან შეუვალობის უფლება ჰქონდა.[191] მიტროპოლიტმა არსენმა გაფლანგა სიონის ქონება და ქაშუეთის ეკლესიის სავაჭრო დუქნები მიითვისა.

დანაშაულის უარყოფისა და მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით მან 1810 წლის 1 თებერვალს დახმარებისათვის მიმართა ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მიტროპოლიტი რუსეთის უწმიდესი სინოდის ხელმძღვანელს ატყობინებს თბილისის სიონის ტაძარში წირვის დროს მომხდარ ამბებს, რომელიც, მისი აზრით, პროვოკაცია იყო და მიზნად ისახავდა მისი ავტორიტეტის შელახვას იმპერატორის წინაშე. „მაგრამ – როგორც თვითონ წერს – ვარ რა მისი უმაღლესობის მფარველობის ქვეშ, იმედი მაქვს, დაცული ვიქნები მათი ყოველგვარი შევიწროვებისაგან." შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მომხდარი ფაქტის გამოძიების გამო კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა ეპისკოპოსებისაგან შემდგარი კომისია,

189 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ros – 122, ფურცელი 1.
190 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ros – 122, ფურცელი 1.
191 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ros – 122, ფურცელი 1.

რომელთაც „არ ვიცი რის გაკეთება აქვთ გადაწყვეტილი. მათ შორის არის ბოდბელი მიტროპოლიტი, რომელმაც კახელი ერი მიიყვანა უფლისწულ იულონთან, რათა ერთგულების ფიცი დაედოთ მის წინაშე და თვითონაც დააფიცა, რის გამოც მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი; მთავარეპისკოპოს იუსტინეს არ აქვს ტაძარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ლიტურგიის ჩატარება. თუმცა ან გარდაცვლილი პავლე ციციანოვისაგან მიღებული ჰქონდა 2000 მანეთი ახალი ტაძრის აგებისათვის, მაგრამ მისი არამოსურნეობის გამო დღემდე არაა აშენებული; რუსთველმაც გაფლანგა მთელი შემოსავალი და არ აქვს ეკლესია. ამასთან მას მიმოწერა აქვს სპარსელებთან; სამთავნელს იმისთანა ხალხთან აქვს ურთიერთობა, რომლებიც მოღალატეებად ითვლებიან, ხალხში შეაქვს განხეთქილება."[192]

როგორც ვხედავთ, გაბოროტებული მიტროპოლიტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფისათვის ყოველ ხერხს მიმართავდა და მათ მოქმედებას პოლიტიკურ სარჩულს უდებდა საფუძვლად. მისი ასეთი ნაბიჯი მიზნად ისახავდა, თავი რუსეთის იმპერატორის ერთგულ მსახურად წარმოეჩინა, ხოლო მოწინააღმდეგეები მათ დაუძინებელ მტრებად. ამ გზით იგი ცდილობდა ზემოთ ჩამოთვლილ მღვდელმთავრებისაგან თავის დაცვას და ობერ-პროკურორს სთხოვდა: მათი შემოტევის „გამო იძულებული ვარ თავი შევაფარო თქვენი მფარველობის ქვეშ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე თავდაუზოგავი მცველი რუსეთისა და მსახური იმპერატორისა დამიცვათ უშედეგო თავდასხმებისაგან."[193] ობერ-პროკურორს თავი არ გამოუდვია არსენ მიტროპოლიტის დასაცავად, მაგრამ მომხდარი ინციდენტის შესახებ იგი საქართველოს მთავარმართებლისაგან მოითხოვდა დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ანტონ მეორისაგან ითხოვდა განმარტებას.

გამოძიების შემდეგ მიტროპოლიტ არსენს მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილების მიხედვით საეკლესიო სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა: გადაყენებულ იქნა თბილისის მიტროპოლიტის კათედრიდან, ექვსი თვით აეკრძალა მღვდელმსახურება და დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში უნდა გაეგზავნათ საცხოვრებლად. ანტონ მეორემ საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუგზავნა ალექსანდრე ტორმასოვს და სთხოვა იმპერატორისათვის გადაეგზავნა იგი დასამტკიცებლად. კათოლიკოსი საქართველოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ საეკლესიო სასამართლოს ყველა პუნქტს ეთანხმებოდა და იგი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, რადგან მიტროპოლიტის უღირსი საქციელი დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო. მანვე ალექსანდრე ტორმასოვს აცნობა, რომ არსენ მიტროპოლიტი არ ემორჩილებოდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს, თვითნებურად ფლანგავდა თბილისის სიონის ტაძრის თანხებს, უკანონოდ მიიტაცა ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე მიწერილი სოფლები,

192 Акты, т. 4, стр. 142.

193 Акты, т. 4, стр. 142.

ხოლო იმავე ეკლესიის კუთვნილი 5 საამქროს შემოსავლები თავის კუთვნილებად გამოაცხადა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მთავარმართებლისაგან მოითხოვდა, როგორც თვითონ წერს: „თქვენ აქ მეფის მოვალეობასაც ასრულებთ და მოვალეც ხართ შეხვიდეთ ჩვენს საცოდავ მდგომარეობაში, რათა დაუბრუნდეს ეკლესიას კუთვნილი მამული და მისგან აღებული თანხა. ჩვენ ვკადნიერდებით და გთხოვთ, რომ ეს ყოველივე აუწყოთ ჩვენს საერთო უფროსს და უთხრათ, რომ საერო და სასულიერო პირები უკმაყოფილონი არიან."[194] საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა ანტონ მეორის აღნიშნული თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და რუსეთის უწმიდეს სინოდთან შეთანხმებით თბილისის სიონისა და ქაშუეთის ტაძრის შემოსავლების დაცვა თვით კათოლიკოს-პატრიარქს დაავალა.[195]

საქართველოს მთავარმართებელი სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ანტონ მეორეს სთხოვდა, თავი შეეკავებინა არსენ მიტროპოლიტის მიმართ რადიკალური ღონისძიების გატარებისაგან, რაზეც მან უარი მიიღო. აღნიშნულის შესახებ ალექსანდრე ტორმასოვი 1810 წლის 14 მარტს ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს აცნობებდა: საეკლესიო სასამართლოს „...ცნობა რომ მივიღე, საჭიროდ ჩავთვალე კათოლიკოსისათვის მეკითხა, თუ რა შედეგთან მიგვიყვანდა ასეთი ქმედება. არ მეგონა, რომ იგი, წარმოადგინა რა სასულიერო სასამართლოს განაჩენი იმპერატორის მიერ დასამტკიცებლად, აპირებდა მის რეალურ შესრულებას."[196] აშკარა იყო, რომ საქართველოს მთავარმართებელი უკმაყოფილო ჩანდა ანტონ მეორის გადაწყვეტილებით, არა იმის გამო, რომ მას თითქოს არსენ მიტროპოლიტის ბედი აწუხებდა, არამედ იმით, რომ კათოლიკოსი მასთან შეუთანხმებლად წყვეტდა საკითხებს. სასულიერო სასამართლოს განჩინება ანტონ მეორის კურთხევით წაიკითხეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მრევლის წინაშე.[197]

თბილელი მიტროპოლიტი არ დაემორჩილა სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თავს შეურაცხყოფილად და დაჩაგრულად თვლიდა, ყველაფერს კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აბრალებდა, რომელმაც თითქოს აუმხედრა სასულიერო პირები.

განაწყენებული მიტროპოლიტი, რაკი პეტერბურგის მფარველობა ვერ მოიპოვა, შეეცადა ადგილობრივი რუსი მოხელეების შუამავლობით მიეღო რუსეთის იმპერატორის კეთილგანწყობილება. მან საქართველოს მთავარმართებელს მიმართა დახმარებისათვის და თან სთხოვა, მისი ვრცელი მოხსენება პეტერბურგში გაეგზავნა იმპერატორისა და ობერ-პროკურორისათვის გადასაცემად. მიტროპოლიტი ითხოვდა თავის უფლებების დაცვას, თბილისის სიონის ტაძრის შემოსავლის სახელმწიფოსათვის გადაცემას, სამაგიეროდ მას ხელფასი ხაზინიდან უნდა მისცემოდა. ალექსანდრე ტორმა-

194 Акты, т. 4, стр. 159.

195 Акты, т. 4, стр. 148.

196 Акты, т. 4, стр. 144.

197 მ. ჯანაშვილი, კათალიკოზი ანტონ მეორე, „მწყემსი," №8, გვ. 8.

სოვმა მიტროპოლიტ არსენის წერილები ადრესატებს გაუგზავნა. მას თან დაურთო ობერ-პროკურორის სახელზე შედგენილი თავისი ვრცელი მოხსენება, სადაც იგი დაწვრილებით განმარტებებს იძლეოდა თბილელი მიტროპოლიტის გარშემო ატეხილი ამბების გამო. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ტორმასოვი მომხდარი ფაქტის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას იჭერდა. თუმცა ის გადაჭრით გმობდა მიტროპოლიტის უღირს საქციელს და მოურიდებლად ლაპარაკობდა მის უარყოფით თვისებებზე. მისი აზრით, მიტროპოლიტი არსენი „არის მოუსვენარი, მოწინააღმდეგეთა მიმართ დაუნდობელი, უსაფუძვლოდ მსჯელობს სხვათა შესახებ და ბრალს სდებს სხვებს." საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი მაინც სიფრთხილეს იჩენს არსენ მიტროპოლიტის მიმართ და არაობიექტურობაში ცილი რომ არ დასწამონ, ობერ-პროკურორს აცნობებს: „მე არ შემიზღუდავს არსენ მიტროპოლიტის უფლებები."[198] იგი აქვე რუსეთის უწმინდეს სინოდს თავის შეხედულებას უზიარებს ანტონ მეორის პიროვნების შესახებ. მისი აზრით, „ანტონი არის საკმაოდ წყნარი ხასიათის, პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული, მაგრამ სუსტია იმდენად, რომ ადვილად ექცევა საერო და სასულიერო პირთა გავლენის ქვეშ, რომელნიც მას ისე მართავენ, როგორც მოესურვებათ. კათოლიკოსი არსენის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა, მაგრამ მის გარშემო შემოკრებილებმა გაილაშქრეს და ანტონიც დაიყოლიეს არსენის წინააღმდეგ."[199] რა თქმა უნდა, მთავარმართებელი არ იყო გულწრფელი კათოლიკოს-პატრიარქის შეფასებაში. ეს თვითონაც კარგად იცოდა. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის „სისუსტეებზე" მითითებით მას სურდა იგი პეტერბურგის წინაშე უსუსურ პიროვნებად წარმოეჩინა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ტორმასოვი კარგად იცნობდა ანტონ კათოლიკოსს და პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გულწრფელად აღიარებდა: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კათოლიკოსი ანტონი იშვიათი თვისების ადამიანი და წესრიგის მოყვარული პიროვნებაა, რომელსაც საყოველთაო პატივიცსემა აქვს მოპოვებული."[200]

საქართველოს მთავარმართებლის კათოლიკოსის მიმართ განაწყენების მიზეზი ის იყო, რომ იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების დაცვის დროს არავის და არაფერს არ ერიდებოდა და ზოგჯერ რუსი მოხელეების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ანტონ მეორე წინ აღუდგა ალექსანდრე ტორმასოვის განზრახვას – ქაშუეთის ეკლესიაში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე შესრულებულიყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ კათოლიკოსთან შეთანხმებით კვირაობით და საზეიმო დღეებში ქაშუეთის ეკლესიაში ღვთისმსაუხრებას რუსი მღვდლები არსულებდნენ. ალექსანდრე ტორმასოვმა კი მოინდომა აქ მომსახურე ქართველი სასულიერო პირების შეზღუდვა და 1810 წლის 3 აპრილს ანტონს წერილით აცნობა, რომ

198 Акты, т. 4, стр. 154.

199 Акты, т. 4, стр. 159.

200 Акты, т. 4, стр. 147.

ქაშუეთის ეკლესიაში მომსახურე ქართველი მღვდლებისთვის შემოსავლის სხვა წყაროები გამოენახა. კათოლიკოსმა საქართველოს მთავარმართებლის ეს წინადადება მიუღებლად ჩათვალა და შეატყობინა, რომ კვირისა და საზეიმო დღეების გარდა რუს მღვდელს უფლება არა აქვს ღვთისმსახურება შეასრულოს, ხოლო სანთლების გაყიდვით შემოსული შემოსავალი ქაშუეთის ქართველ მღვდლებს უნდა დარჩენოდა.[201] საქართველოს მთავარმართებელი ალექსანრე ტორმასოვი იძულებული შეიქნა, კათოლიკოსის ამ მოთხოვნას დამორჩილებოდა. ბუნებრივია, ქართველი მღვდელმთავრის ასეთი „ურჩობა" მიუღებელი იყო რუსი მოხელეებისათვის, ამიტომ იგი მის შესახებ კარგს არაფერს მისწერდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

საქართველოს მთავარმართებლის ინფორმაციას არსენ მიტროპოლიტის შესახებ გულდასმით სწავლობდნენ პეტერბურგში. თუმცა მასზე არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ. მომხდარი ფაქტის ანალიზით რუსეთის იმპერატორი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ანტონ მეორის სასწრაფოდ გაწვევა საქართველოდან. ამიტომ იგი ხელმეორედ ატყობინებდა ალექსანდრე ტორმასოვს, რომ მისი ეს მოთხოვნა როგორმე უმტკივნეულოდ მომხდარიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერატორის პირველ მიწვევაზე ანტონ მეორემ ავადმყოფობის მომიზეზებით თავაზიანი უარი განაცხადა. ობერპროკურორი საქართველოს მთავარმართებლისაგან მოითხოვდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი როგორმე უნდა დაეყოლიებინა რუსეთში გამგზავრებაზე. მანამდე კი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხის განხილვას შეაჩერებდნენ.[202] 1810 წლის ზაფხულის დასაწყისში ალექსანდრე ტორმასოვმა რუსეთის საიმპერატრო კარის სურვილი ანტონ მეორეს აცნობა. კათოლიკოსი მიხვდა, რომ რუსეთის იმპერატორის დაჟინებულ მოთხოვნას წინ ვერ აღუდგებოდა და დათანხმდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში იმავე წლის აგვისტოს ბოლოს, რადგან, როგორც თვითონ წერს, ზაფხულის ცხელ კლიმატურ პირობებს შესაძლებელია მის ჯანმრთელობაზე ემოქმედა. მართალია, ალექსანდრე ტორმასოვმა მწყემსმთავრისაგან სასურველ თანხმობას მიაღწია, მაგრამ სიცხეების გამო გამგზავრების ვადის გადაწევამ დააეჭვა. ამის გამო, მან 1810 წლის 12 ივლისს ანტონ მეორეს აცნობა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი რჩევა პეტერბურგში თქვენი გამგზავრების შესახებ მიიღეთ როგორც იძულება. მე არ მქონდა არავითარი სხვა აზრი გარდა იმპერატორის ნების აღსრულებისა. იმპერატორს რა მიზეზითაც სურს თქვენი ჩასვლა პეტერბურგში, თქვენთვის ცნობილია. იგი ემყარება თქვენსავე წინადადებას საქართველოში სასულიერო დიკასტერიის დაფუძნებას, რომ წესრიგში იქნეს მოყვანილი სასულიერო საქმეები. საჭიროა ეს ყველაფერი მალე გადაწყდეს. ამის გამო მივიღე თქვენი წერილი... რომლითაც შემატყობინეთ, რომ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ გამგზავრებაში. გავეცი განკარგულება და იმპერატორს შევატყობინე ყოველივე. გადას-

201 Акты, т. 4, стр. 147.

202 Акты, т. 4, стр. 147.

დეთ რა თქვენი გამგზავრება აგვისტოს ბოლომდე, ჩავთვალე საჭიროდ, გულწრფელად მერჩია დაგეჩქარებინათ იმპერატორის ნების აღსრულება, რადგან ეს სასარგებლო იქნება თქვენთვის." საქართველოს მთავარმართებელი ეჭვს გამოთქვამს სიცხეების გამო გამგზავრების თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით და კათოლიკოსს ატყობინებს: „დავეჭვდი, თქვენ ხომ ჩრდილოეთისაკენ მიდიხართ, სადაც სიცხეები არ არის და მგზავრობაც ნაკლებად სახიფათოა. თუმცა თქვენზე არის დამოკიდებული თქვენი გამგზავრების დრო." ალექსანდრე ტორმასოვი წერილის დასასრულს ანტონ მეორეს მიმართავს: „მე კი უმორჩილესად გთხოვთ, არ მიიღოთ ჩემი რჩევები თქვენი თავისუფლების შეზღუდვად. ამის განზრახვა არა მქონია და ამისი მიზეზი არც თქვენ მოგიციათ."[203] საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი დიდი გულისყურით მოეკიდა კათოლიკოსის თხოვნას, რომ მას გამგზავრებისათვის საჭირო ფული არ გააჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავარმართებელი იმპერატორს წერდა: „ვიცი რა კათოლიკოსის მდგომარეობა, რომ მას თავისი უყაირათობის გამო არა თუ იმდენი ფული არ გააჩნია, რომ პეტერბურგს გაემგზავროს, არამედ ძალიან ბევრი ვალიც აქვს და ხაზინის მხრიდან დახმარების გარეშე, ვერასოდეს წავა საქართველოდან რუსეთში. ამასთან, ვხედავ რა იმპერატორის მაგალითს, რომელიც ასე კეთილი და მოწყალეა ქართული სამეფო სახლის ყველა წევრის მიმართ, გადავწყვიტე, გამოუყო კათოლიკოსს 5000 მანეთი ასიგნაციებით."[204]

რუსი მოხელეები როცა დარწმუნდნენ, რომ ანტონ მეორე ფეხს ითრევდა რუსეთში გამგზავრებაზე, მის მიმართ დაიწყეს ყალბი ბრალდებების შეთხზვა. ალექსანდრე ტორმასოვის დავალებით საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორმა პლახოტინმა საიდუმლოდ გამოიკვლია თუ როგორ ნაწილდებოდა საეკლესიო-სამონასტრო შემოსავლები. დადგინდა, რომ რუსული მმართველობის შემოღებიდან საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო მიწები გაუჩუქებია სხვადასხვა წოდების ხალხზე, რომელთა ღირებულება შეადგენდა მილიონ მანეთს. ეს მაშინ, როცა, ჯერ კიდევ პავლე ციციანოვმა 1805 წლის 5 თებერვლის ბრძანებით აღმასრულებელ ექსპედიციას დაავალა აკრძალულიყო სამონასტრო მიწების გასხვისება. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად ალექსანდრე ტორმასოვის განკარგულებით საქართველოს მმართველმა თევდორე ახვერდოვმა კათოლიკოსის მიერ გასხვისებული მიწები უკანონოდ ჩათვალა და იგი გაუქმებულად გამოაცხადა. აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის იმპერატორს გაუგზავნეს დასამტკიცებლად, ხოლო ანტონ მეორეს გამოძიებისა და მისი შედეგების შესახებ შეგნებულად არაფერი აცნობეს. ისინი ვარაუდობდნენ, თუკი მწყემსმთავარი უარს იტყოდა რუსეთში გამგზავრებაზე, მაშინ მოძიებულ მასალას მის სამხილებლად გამოიყენებდნენ.

---

203 Акты, т. 4, стр. 152.

204 Прот. В. Жмакин, Грузинский католикос Антоний в России, Христианское чтение, ежемесиачный журнал издаваеми при С-Петербургской Духовной академии, г. част I СС XIX, т. стр. 106.

ანტონ მეორისადმი ყალბი ბრალდებები თანდათან მრავლდებოდა. როგორც ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს, მიტროპოლიტობიდან გადაყენებულმა არსენმა მოისყიდა კათოლიკოსის მნათე, ბერი სერაპიონი, რათა ამ უკანასკნელს საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვისათვის მოეხსენებინა, რომ თითქოს ანტონ მეორემ ხელი შეუწყო თბილისში პატიმრობაში მყოფი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის გაპარვას. მოსყიდულმა ბერმა არსენ მიტროპოლიტის დავალება შეასრულა. საქართველოს მმართველმა აღნიშნული ყალბი ბრალდება მოახსენა მთავარმართებელს. ამ უკანასკნელმა ყოველივე მუქ ფერებში აცნობა იმპერატორ ალექსანდრე პირველს და თან დასძინა: „უკვე თუ არს ეს (ანტონ მეორე – ე. ბ.) აქა, არა იქნება მშვიდობა საქართველოსა შინა."[205] არც საქართველოში და მით უმეტეს არც პეტერბურგში არავინ დაინტერესებულა სიმართლე დაედგინათ. ანტონ მეორემ იგრძნო რა საშიშროება, თვითონ შეეცადა ემხილებინა არსენ მიტროპოლიტის ეს პროვოკაციული გამოსვლა. მან სერაპიონ ბერთან ახლოს მყოფ არქიმანდრიტ დიონისესაგან სიმართლე შეიტყო. შემდეგ დააპატიმრა სერაპიონ ბერი და მისი დაკითხვით სურდა ემხილებინა სიყალბე, გაეგო, თუ საიდან მოდიოდა ეს ცილისწამება, მაგრამ კათოლიკოსის ამ განზრახვას წინ გადაეღობა თევდორე ახვერდოვი, რომელიც საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს ატყობინებდა: „ანტონი სერაპიონის დაბეზღებით ისეა გამწარებული, რომ ცრემლებიც კი ვერ შეიკავა."[206] მართალია, სოლომონ მეორის გაპარვაში ანტონ მეორის მონაწილეობა არ დადასტურდა, მაგრამ ეს ფაქტი მტრებმა მის წინააღმდეგ გამოიყენეს, ხოლო რუსი მოხელეების აქტიური ჩარევის გამო ანტონ მეორემ ვერ შეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება. მანვე სისრულეში ვერ მოიყვანა არსენ მიტროპოლიტისადმი გამოტანილი განაჩენი. ეს უკანასკნელი ანტონ მეორის რუსეთში გაწვევის შემდეგაც არ ემორჩილებოდა სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილებას და თავისი საჩივრებით თავი მოაბეზრა რუს მოხელეებს. საქართველოს ახალი მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი (1812-1816) 1913 წლის დასაწყისში იმპერატორს ურჩევდა, არსენ მიტროპოლიტი რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში გადაესახლებინა და მისთვის წელიწადში 1200 მანეთის რაოდენობის პენსია დაენიშნათ. 1813 წელს იმპერატორმა მიტროპოლიტ არსენს ნება დართო პეტერბურგში ჩასულიყო და რუსეთის უწმინდეს სინოდში თავისი საქმე გაერკვია, მაგრამ იმავე წლის 30 ნოემბერს იგი გარდაიცვალა და მიტროპოლიტის შესაფერისი პატივით თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს.[207]

---

205 ბაგრატ ბატონიშვილი, მოთხრობა ახალი საქართველოსი, ხელნაწერი დაცული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ხელნაწერთა განყოფილება, ფურც. 105-110.

206 Акты, т. 5, стр. 404; შდრ. მ. ჯანაშვილი, კათალიკოზი ანტონ მეორე, ჟურნალი „მწყემსი," №12, გვ. 13.

207 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 154.

სხვა ხერხებითაც ებრძოდნენ საქართველოს ეკლესიის მეთაურს. მისი ავტორიტეტის შელახვის მიზნით, მას აუმხედრეს მევალეები. რომელთა შორის იყო მირმან მირმანოვი. ანტონ მეორის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ჩელიაქის საბაჟო, სადაც ბაჟს ადებდნენ რუსეთში გასატან საქონელზე. 1809 წლის დასაწყისში აღნიშნული საბაჟო ანტონ მეორემ 3220 მანეთად ვერცხლით იჯარით მისცა მირმან მირმანოვს. იჯარის გაცემიდან სამი თვის შემდეგ საბაჟოების გაუქმების გამო ჩელიაქის საბაჟო ანტონს ჩამოერთვა და სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, მოიჯარადრემ დახარჯული თანხა ვერ ამოიღო და მოინდომა ფულის უკან დარბუნება. კათოლიკოსს აღებული თანხა დახარჯული ჰქონდა და ბუნებრივია, ვალი ვერ გადაიხადა, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა გაუქმებული საბაჟოს წლიური შემოსავლის თანხის კომპენსაციას მოახდენდა. დაიმედებული ანტონი მირმან მირმანოვს ატყობინებდა: „მივიღებ საბაჟოს საფასურს და პირველ რიგში შენს ვალს გავისტუმრებო."[208] სიტყვიერ თანხმობას მირმან მირმანოვი არ დასჯერდა, რის გამოც 1810 წლის 26 იანვარს ანტონ მეორემ მას ხელწერილი მისცა: „ჩვენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეფის ძე ანტონი გაძლევთ წერილსა ამას შენ მირმან მირმანოვს, რადგანაც გავლილს წელს ჩვენის ჩეჰლი იექის იჯარი შენს ხელთ იყო და უმაღლესის ბრძანებით ჩამოგვერთვა ზოგიერთი ჩვენი შემოსავლები და შენგან ჩვენ დაგვეხარჯა და ვალად დაგვედვა, რომ ჩვენი თამასუქი მიჭირავს, როდესაც უმაღლესი კარიდამ ჩვენი ბაჟის მაგიერ მივიღოთ იქიდამ პირველად შენი თამასუქის ვალი უნდა მოგეცეს." [209] ალექსანდრე ტორმასოვმა, ჯერ კიდევ, 1809 წლის 10 სექტემბერს მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რომ გაუქმებული ჩელიაქის საბაჟოს შემოსავლის ნაცვლად ანტონს ხაზინიდან ყოველწლიურად მისცემოდა 2675 მანეთი, ე. ი. იმდენი თანხა, რასაც იგი ხსენებული საბაჟოდან იღებდა.[210]

მირმან მირმანოვი ანტონ მეორის ხელწერილითაც არ იყო კმაყოფილი. სასოწარკვეთილ ანტონს კი ვალის გადახდა არ შეეძლო. მართალია, ალექსანდრე ტორმასოვის შუამდგომლობით კათოლიკოსს ჩამორთმეული საბაჟოს ნაცვლად იმპერატორმა 2675 მანეთი ვერცხლით დაუნიშნა, რომელიც მას საქართველოს საერთო შემოსავლიდან უნდა მიეღო, მაგრამ რუსეთის სამეფო კარის ეს გადაწყვეტილება მაშინ გახდა ცნობილი, როცა კათოლიკოსი რუსეთში იყო გამგზავრებული.[211] ასე, რომ მირმან მირმანოვმა კუთვნილი თანხა ვერ მიიღო და თავისი საჩივრებით სახელი გაუტეხა ანტონ მეორეს.

---

208 პეტერბურგის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1284, აღწ. 5, საქმე №280, ფურცელი 293.

209 პეტერბურგის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1284, აღწ. 5, საქმე №280, ფურცელი 293.

210 Акты, т. 4, стр. 241.

211 პეტერბურგის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1284, აღწ. 5, საქმე №280, ფურცელი 293.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კათოლიკოს-პატრიარქისადმი წაყენებული „ბრალდებებით" არავინ დაინტერესებულა. რუსეთის იმპერატორმა იგი თავისი მიზნის განსახორციელებლად გამოიყენა და ბრძანა ანტონ მეორის საქართველოდან დაუყოვნებლივ გაწვევა. ამ ამოცანის განხორციელებით ცარიზმი ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას აპირებდა – ერთი მხრივ, თავიდან მოიშორებდა მეამბოხე კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც ბაგრატიონთა გვარიდან იყო, ხოლო მეორე მხრივ, მისი მოცილებით გაიოლდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანტონ მეორე რუსეთში გამგზავრებისათვის ემზადებოდა. უსახსროდ მყოფი კათოლიკოს-პატრიარქი სამგზავრო თანხის შეგროვებას ახლობლების დახმარებით ახდენდა. როგორც ალექსანდრე ტორმასოვი 1810 წლის ივლისში ობერ-პროკურორს ატყობინებდა: „ფულის ამკრები პირები გლეხებს, ვისაც ფულს ართმევდნენ, არწმუნებდნენ, კათოლიკოსი პეტერბურგში ჩასვლის დროს იზრუნებს, რომ ისინი გაათავისუფლონ ყოველგვარი გადასახადებისაგან."[212] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში კათოლიკოსის გამგზავრების ხარჯები საქართველოს მთავარმართებელმა სახელმწიფოს ხაზინიდან გაიღო.

წასვლის წინ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა სწირა თბილისის სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებში, პარაკლისი გადაიხადა და 1810 წლის 10 აგვისტოს რუსეთისაკენ გაემართა. მცხეთაში შეისვენა, წირვა-ლოცვა აღავლინა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, პარაკლისი გადაიხადა, ერი და ქვეყანა შეავედრა ღმერთს, ცრემლმორეული გამოეთხოვა საკათოლიკოსო ტაძარს. ღამე მუხრანში გაათია თავის დასთან ქეთევანთან, რომელიც იოანე მუხრანბატონის მეუღლე იყო. აქედან იგი დუშეთში ავიდა.

პეტერბურგში საგანგებოდ ემზადებოდნენ მის დასახვედრად. იმპერატორის ბრძანებით დიდებული დახვედრისათვის ყველაფერი მზად იყო. უკვე მზად იყო მისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ანტონ მეორე იმპერატორისათვის მართლაც სასურველი სტუმარი იყო, რომელიც საპატიო სტუმრის ნაცვლად პატივაყრილ, დატყვევებულ პიროვნებას ჰგავდა და რომელსაც რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში ჩასვლისას ურცხვად განუცხადა: „საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უთუოდ უნდა შეერთებულიყო უწმიდესი და უმართებულესი სინოდის გამგეობასთან. ახალ მართვა-გამგეობასთან შეთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა."[213]

რუსეთში მიმავალი ანტონ მეორე მოულოდნელად დუშეთიდან თბილისში დაბრუნდა. გამორიცხული არაა, რომ მუხრანში ყოფნის დროს ახლობლებმა ურჩიეს უარი ეთქვა გამგზავრებაზე. მისი დაბრუნებით უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავარმართებელი, მაგრამ თავის განწყობილებას აშ-

212 Акты, т. 4, стр. 155.

213 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 190-191.

კარად ვერ გამოხატავდა. ხმები დადიოდა, რომ 1810 წლის ზაფხულში ლევან ფარნაოზის ძე ბატონიშვილი ოსეთში იმყოფებოდა, საიდანაც მან „მეამბოხეები გაგზავნა არაგვის ხეობის ოსებთან, რათა ააჯანყონ ისინი და კათოლიკოსი არ გაუშვან რუსეთში."[214] აღნიშნული ხმების შეტყობისთანავე მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა 1810 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვს აცნობა: „ჩემთვის ძალიან უცნაურია, საიდან იცის მან (ლევან ფარნაოზის ძემ – ე. ბ.), რომ კათოლიკოსი გაემგზავრა. როგორც ჩანს, აქ არის რაღაც ჩანაფიქრი და ურთიერთობა ქართველ თავადებს შორის. ამიტომ გავალებთ, თვალყური ადევნოთ კათოლიკოსის თანმხლებ პირებს და არც კათლიკოსი გამოგრჩეთ მხედველობიდან, ამასთან მე მიმაჩნია შევაყოვნოთ რამდენიმე ხნით მისი გამგზავრება, რომ თავიდან ავიცილოთ გართულებანი. თუკი დაჟინებით მოითხოვს რომ ახლავე გამიშვითო, მაშინ გამომჟღავნდება, რომ მას (ანტონ მეორეს – ე. ბ.) უფლისწულ ლევანთან ჰქონია შეთანხმება." იგი თევდორე ახვერდოვს ავალებს, რომ მკაცრი საიდუმლოების დაცვით უნდა მოხდეს ამ კავშირების ძიება, ხოლო არაგვის ხეობის გზის დაზიანების მომიზეზებით კათოლიკოს-პატრიარქი თბილისში უნდა შეეყოვნებინათ. ამასთან მასვე ფარულად უნდა გაერკვია, თუ სად იყვნენ შეკრებილნი არაგვის ოსები და იყო თუ არა მათგან ვინმე მოსული კათოლიკოსთან ლევან ბატონიშვილის დავალებით. აუცილებელი იყო მათი შეპყრობა.[215]

თევდორე ახვერდოვის მოძიებული მასალებით საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი დარწმუნდა, რომ აღნიშნულ ხმები არ იყო მართალი. ამის მიუხედავად, ისინი ფრთხილობდნენ და საიდუმლოდ კათოლიკოსს თვალყურს ადევნებდნენ. მათ ისიც იგრძნეს, რომ ანტონ მეორე რუსეთში გამგზავრებას არ აპირებდა. მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი, მართალია, დაჟინებით არ მოითხოვდა მის გამგზავრებას, მაგრამ შიშობდა, იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობას მისი გადაყენება არ მოჰყოლოდა. თავის მხრივ, ობერ-პროკურორი ალექსანდრე გოლიცინიც უხერხულად გრძნობდა თავს, რომლის ინფორმაციით რუსეთის იმპერატორმა იცოდა, რომ კათოლიკოსი მალე პეტერბურგში ჩავიდოდა. დაძაბულ მდგომარეობაში იყვნენ შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებიც, რომლებმაც შესაბამისი თანხა გამოყვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისაღებად. გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საშიშროება, მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა ანტონ მეორის წინააღმდეგ გამოიყენა პროკურორ პლახოტინის ზემოთ მოყვანილი მოძიებული მასალები საკათოლიკოსის მიერ საეკლესიო მიწების უკანონოდ ჩუქების შესახებ. პროკურორი პლახოტინი კათოლიკოს-პატრიარქს ბრალს სდებდა საეკლესიო ქონების განიავებაში. ანტონ მეორე არ შეუშინდა წაყენებულ ბრალდებას. მან 1810 წლის 16 სექტემბერს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს წარუდ-

214 Акты, т. 4, стр. 155.

215 Акты, т. 4, стр. 156.

გინა მიწის გაცემის სიგელები და თან მოახსენა: „როგორც შემატყობინეს, აქაური პროკურორი მემუქრება და ჩემს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ დამბეზღებლების საქციელს მივიჩნევ ჩემზედ შეთითხნილად და იგი სინამდვილეს არ შეეფერება... 1400 წელზე მეტია საქართველოს საკათალიკოსო არსებობს. ამ ხნის მანძილზე კანონიერად ითვლებოდა ყოველივე ის, რასაც პროკურორი პლახოტინი დანაშაულად მითვლის."[216] პეტერბურგის საიმპერატორო კარმა ანტონ მეორისადმი წაყენებული ბრალდებები კარგად გამოიყენა მასზე ზეწოლისათვის. რუსეთის იმპერატორმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მიერ გაცემული მიწის გაჩუქების სიგელები, ყველა ისინი გააუქმა და პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების დაპატრონებისათვის. 1810 წლის 18 სექტემბერს ობერ-პროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა იმპერატორის სურვილი ამცნო მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს: „სინოდს აქამდე არ ჰქონია გავლენა და არც ცნობები საქართველოს სამღვდელოების შესახებ და დამავალა, თქვენ დაუკავშირდეთ მთავარეპისკოპოსს ვარლამ ერისთავს და ადგილობრივ გარემოებათა გათვალისწინებით წარმოადგინოთ თქვენი აზრი, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საქართველოს სამღვდელოების მართვა, იმდაგვარად, რომ იგი დამოკიდებული იქნეს რუსეთის უწმინდეს სინოდზე. აგრეთვე დასახელდეს ის პირები, რომელიც საჭიროა შევიყვანოთ მმართველობაში." ალექსანდრე ტორმასოვმა ობერ-პროკურორის მოხსენების საფუძველზე ვარლამ მთავარეპისკოპოსს აცნობა: „ხელმწიფე-იმპერატორმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსეთის უწმინდეს სინოდს არა აქვს გავლენა საქართველოს სამღვდელოების საქმეებზე და არც არავითარი ცნობები ამ უკანასკნელთა შესახებ. იმპერატორმა სინოდის ობერ-პროკურორის მეშვეობით დამავალა თქვენთან ერთად, ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით მოვაწყოთ საქართველოს სამღვდელოების მმართველობა ისე, რომ იგი დამოკიდებული იყოს რუსეთის უწმიდეს სინოდზე."[217] მოტანილი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ პეტერბურგში ანტონ მეორის ჩასვლამდე უკვე გადაწყვეტილი იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების საკითხი, ხოლო ანტონ მეორის გამგზავრება ამ პრობლემას უმტკივნეულოდ გადაწყვეტდა.

მართალია, ანტონ მეორემ წაყენებული ბრალდებებისგან თავი იმართლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. დარწმუნდა, რომ პეტერბურგში წაუსვლელობა უფრო მეტ ზიანს მოუტანდა და ამიტომ გადაწყვიტა გამგზავრება. 1810 წლის 3 ნოემბერს თანხმლებ პირებთან ერთად კათოლიკოსი რუსეთში გაემგზავრა.

რუსეთში გამგზავრების წინ კათოლიკოსმა მოიწვია საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, გამოემშვიდობა მათ და სამი მღვდელმთავრისაგან, მთავარეპისკოპოს ვარლამის თავმჯდომარეობით საქართველოს სასულიე-

216 Акты, т. 4, стр. 157.

217 Акты, т. 4, стр. 157.

რო მმართველობა შეადგინა. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ანტონ მეორე იყო ქართველი ხალხის სულიერი მესაჭე. რუსეთის მიერ დამონებული ქართველი ერი მთელი 10 წლის მანძილზე თავისუფლების იმედს ხედავდა ანტონ კათოლიკოსში. რუსეთში მიმავალ კათოლიკოს-პატრიარქს ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მიაცილებდა. ანტონ მეორე ნამდვილად იმსახურებდა ამ სიყვარულს. ფიზიკური გარეგნობითაც გამოირჩეოდა ეკლესიის მწყემსმთავარი. თვითმხილველების გადმოცემით: „იგი იყო წარმოსადეგი, გამოირჩეოდა დარბაისლობითა და არაჩვეულებრივი სილამაზით. მაღალი, ჩამოსხმული, გრძელი, ხშირი წვერით, შავი, ღრმა თვალებით, სავსე, ცოცხალი, აღმოსავლური ტიპისათვის დამახასიათებელი ლამაზი სახით."[218] კათოლიკოს-პატრიარქის გამგზავრებით გახარებულმა საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა სასწრაფოდ აცნობა პეტერბურგს. მგზავრობის ხარჯი 5000 მანეთი მთავრობის ბიუჯეტიდან გამოიყო. საქართველოს მმართველმა თევდორე ახვერდოვმა ანტონ მეორისა და მისი თანმხლები პირების არაგვის ხეობაში უსაფრთხოდ გავლის მიზნით სოფელ კობამდე გააყოლა დანილოვის პოლკის ოფიცერი 16 კაზაკთან ერთად, ხოლო კობიდან ვლადიკავკაზამდე მას მიაცილებდა ხევისა და თაგაურის ხეობაში დაბანაკებული რუსი ჯარისკაცები.[219] დაცვის გაყოლებით საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს სურდა, თავიდან აეშორებინა მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ადრე გავრცელებულ ხმებთან იყო დაკავშირებული, რომ ლევან ფარნაოზის ძე ბატონიშვილს არაგვის ოსების დახმარებით არ ჩაეშალა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის გამგზავრება რუსეთში.

ანტონ მეორემ თანმხლებ პირებთან ერთად მშვიდობიანად გაიარა საქართველოს საზღვარი და ოთხთვიანი, დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, 1811 წლის 10 მარტს პეტერბურგიდან ერთი კვირის სავალზე, სოფელ ტოსნაში შეჩერდა. მოსკოვში გავლის დროს იგი შეხვედრია თავის ძმას ფარნაოზ ერეკლეს ძეს, რომელმაც საქართველოს სულიერი მოძღვარი პეტერბურგამდე მიაცილა.[220]

1811 წლის 20 მარტს ანტონ მეორე დიდი პატივით, საზეიმო ვითარებაში მიიღეს პეტერბურგში. საგანგებოდ მორთული გაჩირაღდნებული დარბაზი საპატიო სტუმრებს ვერ იტევდა, მაგრამ მასპინძელთა შორის არ იყო არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი. მისი მიღების პატივი ერგო შედარებით დაბალი ხარისხის მოხელეს პრისტავ ნ. იაბლონსკის. კულისებს მიღმა მყოფი გამარჯვებული რუსი მოხელეები, მათ შორის იმპერატორი თანხებს არ იშურებდნენ „საპატიო სტუმრის" გამასპინძლებისათვის. რათქმა უნდა, სამეფო კარის დაინტერესება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დიდებული მიღებით მათი სტუმართმოყვარეობით არ აიხსნება. ანტონ

218 Стканик, 1865, август, стр. 98.

219 Акты, т. 4, стр. 161.

220 РГИА, ф. 1284, оп. 235, д. №53, *лл.* 14.

მეორე მართლაც პატივდებული პიროვნება იყო რუსეთის სამეფო კარზე, რომელსაც ხელიდან გამოსტაცეს უძველესი საკათალიკოსო. პეტერბურგში დამკვიდრებულ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრთან შეხვედრის სურვილი რუსეთის იმპერატორს არასოდეს გამოუთქვამს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი მეთაური წერილობით შეეცადა მიეპყრო იმპერატორის ყურადღება, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ პატივაყრილ ეკლესიის მწყემსმთავრის გულის მოგების მიზნით იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მას 1811 წლის 10 ივნისს ორი რესკრიპტი უბოძა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების საკომპენსაციოდ მისი ყოფილი მესაჭე დაჯილდოვდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით, მწვანე ხავერდის მანტიით, ამასთან ერთად იგი არჩიეს რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად. მასვე ყოველწლიურად ეძლეოდა პენსია 54 ათასი მანეთი ასიგნაციებით. რუსეთის იმპერატორი კათოლიკოსს ატყობინებდა: „ვაფასებთ თქვენს დიდხნიერს სათნოებით სავსე ეკლესიის სამსახურს და რუსეთის ერთგულებას, ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს გულითადს სასიამოვნო სურვილს და მოვალეობას, გამოგიცხადოთ თქვენ წყალობა და სათნოება."[221]

მეორე რესკრიპტში რუსეთის იმპერატორი მაღალ შეფასებას აძლევს ანტონის საკლესიო მოღვაწეობას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რუსეთი არ დაუშვებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობას. დაჯილდოვებასთან ერთად დაკარგული დამოუკიდებლობის საკომპენსაციოდ რუსეთის იმპერატორი კათოლიკოს ანტონს პირდებოდა: „საღმრთო მსახურების დროს გექნებათ თქვენ ყველა სასულიერო უპირატესობანი, რომელიც აქამდე გქონდათ, ხოლო სადაც საეკლესიო განწესებისამებრ საჭირო იქნება, თქვენ უნეტარესად მოგიხსენიებენ მღვდელმთავართა შორის... და თქვენ დაიჭერთ მეხუთე ადგილს."[222] რა თქმა უნდა, უმრეველოდ და უტახტოდ დარჩენილი მწყემსმთავარი კმაყოფილი არ იქნებოდა რუსეთის იმპერატორის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით. მეტად ტრაგიკულად წარიმართა რუსეთში ანტონის მოღვაწეობა. მალე მას საიმპერატორო მზრუნველობაც მოაკლდა. ერთხანს იგი, თავისი სურვილით, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ 1812 წელს ნაპოლეონის შემოსევის გამო ტამბოვში გადასახლდა, ბოლოს კი დასახლდა ნიჟნი-ნოვგოროდში, სოფელ ლისკოვოში ვახტანგ VI-ის შთამომავლებთან, სადაც 1827 წელს გარდაიცვალა.[223]

---

221 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 112; შდრ. Прот. В. Жмакин, Грузинский католикос Антоний в России, Христианское чтение, ежемесиачный журнал издаваеми при С-Петербургской Духовной академии, г. част I ჩჩ XIX, т. стр. 110.

222 იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი მღვდელი პ. კარბელაშვილი, თბ., 1900, გვ. 191.

223 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2002, გვ. 140.

ანტონ მეორის რუსეთში გაწვევის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ვარლამ (ერისთავი) არქიეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი), რომელსაც ჯერ კიდევ ადრე, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვისაგან დავალებული ჰქონდა მაშინდელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობისა და მისი მმართველობის შეცვლის შესახებ ვრცელი მოხსენება წარედგინა რუსეთის უწმინდეს სინოდში განსახილველად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ეპარქიების შემცირებასა და სასულიერო დიკასტერიის დაარსების მიზანშეწონილობის საკითხს. გამოირკვა, რომ 1811 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13 ეპარქია, რომელთაც სათავეში 7 მღვდელმთავარი ედგა, 764 მღვდელი 799 ეკლესიას ემსახურებოდა, დიაკვნები იყვნენ 146, ეკლესიის სხვა მსახურები – 661; 9 საარქიმანდრიტოს შვიდი არქიმანდრიტი განაგებდა. ცამეტივე ეპარქიის მფლობლობაში იყო 2213 კომლი საეკლესიო გლეხი. ამას ემატებოდა საარქიმანდრიტოებზე მიწერილი 637 კომლი. ვარლამ არქიეპისკოპოსი შეეცადა დაეზუსტებინა ეკლესიის წლიური შემოსავალი, რომელიც მისი ცნობით, ეპარქიებში შეადგენდა 26360 მანეთს, საარქიმანდრიტოებში – 13226 მანეთს.[224] ამ მონაცემების შემდეგ არქიეპისკოპოსი თავის შეხედულებას გამოთქვამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ. იგი საჭიროდ მიიჩნევდა სასულიერო დიკასტერიის დაარსებას, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ არქიმანდრიტები და დეკანოზები უნდა ყოფილიყვნენ სულ ექვსი კაცის შემადგენლობით.

ვარლამ არქიეპისკოპოსმა თავისი შეხედულება გამოთქვა საეპისკოპოსოების გაუქმების შესახებაც. მისი აზრით, 13 საეპისკოპოსოდან უნდა დარჩენილიყო ორი – მცხეთისა და ქართლის და მეორე ალავერდისა და კახეთის ეპარქია. ხოლო ცხრა საარქიმანდრიტოს ნაცვლად ხუთიც საკმარისი იქნებოდა. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ მოლდავეთისა და ვლახეთის საეკლესიო მეთაურის მსგავსად უნდა შეცვლილიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის ტიტული და კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად მას უნდა დარქმეოდა „მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში," რომელიც აგრეთვე რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრიც იქნებოდა.[225]

ალექსანდრე ტორმასოვმა 1811 წლის 18 თებერვალს ვარლამ არქიეპისკოპოსის მიერ მომზადებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი გაუგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდს განსახილველად. მას თან დაურთო თავისი ვრცელი მოხსენება, რომელშიც იგი არქიეპისკოპოსის ყველა მოსაზრებაზე დასაბუთებულ განმარტებებს იძლეოდა და აღიარებდა, რომ პროექტის ყველა დებულება მასთან იყო შე-

224 Акты, т. 4, стр. 217.

225 Акты, т. 4, стр. 162.

თანხმებული. პროექტის ავტორი ვარლამ არქიეპისკოპოსი წარდგენილ მოხსენებაში დასახელებულია სასულიერო უწყების თავმჯდომარედ.

საქართველოს მთავარმართებელი რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისადმი წარდგენილ ვრცელ მოხსენებაში დიდ ადგილს უთმობდა სასულიერო დიკასტერიის დაარსებას. სასულიერო დიკასტერიის დაარსებამდე სამრევლოებისა და ეკლესიების რიცხვი არ უნდა შემცირებულიყო. სასულიერო დიკასტერიის დაარსების შემდეგ ეკლესიების ნაწილი დაიხურებოდა და შესაბამისად შემცირდებოდა სასულიერო პირთა რაოდენობაც. გათავისუფლებულ სასულიერო პირებს მიეცემოდათ სარჩო, შემდგომ კი სასულიერო დიკასტერია უზრუნველყოფდა მათ დასაქმებას. გამოთავისუფლებული სასულიერო პირები დაიკავებდნენ გარდაცვლილი სასულიერო პირების ადგილს. საქართველოს მთავარმართებელის მიხედვით, რადგან საეკლესიო გადასახადების აღება ნატურის სახით რთული იყო, იგი უნდა შეცვლილიყო ფულადი გადასახადით. აღნიშნულიდან გამომდინარე ეპარქიის მღვდელმთავრებს და არქიმანდრიტებს სასულიერო დიკასტერიაში გადასახადი ფულადი სახით უნდა შეეტანათ. ამავე მოთხოვნით საეკლესიო გლეხებს ხაზინის გადასახადი უნდა გადაეხადათ ნატურით, სურსათით თითოელ კომს 3 კოდი ხორბალი, ან ფულით ერთი კოდის ხორბლის საფასური ერთი მანეთი.

საქართველოს მთავარმართებელის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ვარლამ არქიეპისკოპოსიის წარგინებით საეკლესიო დიკასტერიის წევრებად დასახელდნენ ახალი მართველობის ერთგული ის პიროვნებები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს. აღნიშნულის გათვალისწინებდით საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრე ტორმასოვის წინადადებით სასულიერო დიკასტერიის წევრად დაინიშნენ ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტი დოსითეოსი (ფირცხელაური ე.ბ.) და იკორთის მონასტრის არქიმანდრიტი გამალიელი (გამრეკელი ე.ბ.); კახეთიდან დასახელდა არქიმანდრიტი ელეფთერი (ზუკაკიშვილი ე.ბ.), სვეტიცხოვლის ტაძრის დეკანოზი იოანე მაღალაშვილი, დეკანოზი იოსებ წინამძღვრიშვილი და დეკანოზი დიმიტრი ალექსიშვილი. დასახელებული პიროვნებები ახალი ხელისუფლების სამსახურში იდგნენ და ბუნებრივია, რუსეთის მთავრობისათვის სასურველი იყო მათ ხელში ყოფილიყო საეკლესიო მმართველობის ის ორგანო, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის უწმიდესი სინოდის დანამატად აქცევდა. საქართველოს მთავარმართებელი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს კათოლიკოსები ბიზანტიის იმპერატორების მიერ იყვნენ დადგენილნი და მათ ავტოკეფალიას აღიარებდა მსოფლიოს პატრიარქები.

გარდა ამისა, საქართველოს მთავარმართებელი მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებდა ისეთ საკითხებზე, რომელზეც არქიეპისკოპს ვარლამის აღნიშნულ პროექტში არაფერი იყო ნათქვამი. მისი აზრით, აუცილებელი იყო საეკლესიო აზნაურებს ჩამორთმეოდათ ეკლესია-მონასტრების მამულების

მეურვეობა. ეს უკანასკნელი სახაზინო გამგებლობაში უნდა გადასულიყო, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული საეკლესიო ქონების განიავება. მისივე წინადადებით, თბილისში სამღვდელო და თავადაზნაურთა შვილებისათვის უნდა გახსნილიყო გიმნაზია 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული. საქართველოს მთავარმართებლის აზრით, სასწავლებელის კურსდამთავრებულები სათანადო ცოდნის მიღების შემდეგ შეძლებდნენ მღვდელმსახურებას. როგორც თვითონ წერს: „ეს საჭიროდ მიმაჩნია, რადგან აქ საეკლესიო წოდებას ღებულობს ხალხი დაუმსახურებლად. თუკი იმპერატორი ამ წინადადებას დაეთანმხება, შედეგად სასულიერო პირებად გიმნაზიადამთავრებულები იმსახურებენ. მაშინ აქაური სამღვდელოება იქნება განათლებული."[226] საქართველოს მთავარმართებელს მიაჩნდა, რომ განათლებული სამღვდელოება შეიძლება გაეგზავნათ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ქრისტიანობაზე მოსაქცევად. იგი აგრეთვე მოითხოვდა სამაზრო სასწავლებლების დაარსებას, სადაც სასულიერო პირთა გარდა განათლებას მიიღებდა ღარიბ აზნაურთა და დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული პირთა შვილებიც. რა თქმა უნდა, რუსი მოხელე ქართველ სასულიერო პირთა განათლებით არ იყო დაინტერესებული. მას სურდა, მეფის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა, რომლებიც მათი პოლიტიკის გამტარებლები იქნებოდნენ. საქართველოს მთავარმართებელი მოითხოვდა, რომ დაქვრივებულ სასულიერო პირთა ცოლ-შვილისათვის მატერიალური დახმარება უნდა გაეწია სასულიერო დიკასტერიას. დახმარება არ გაეწეოდათ მათ ვისაც საკმარისი შემოსავალი ქონდათ.

საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა რუსეთის უწმინდეს სინოდს აგრეთვე წარუდგინა მოსახლეობის კომლობრივი რაოდენობა. მისი მონაცემებით, ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ 13 ეპარქიას ეკუთნოდა 2218 კომლი გლეხი; აქვე მან წარმოადგინა თითოეულ ეპარქიის მიხედვით კომლობრივ გლეხთა რაოდენობა. ცალკეა აღრიცხული საარქიმანდრიტოებზე მიწერილი გლეხების რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეპარქიათა შემოსავლების ჩვენებას. აქვე საქართველოს მთავარმართებელი ეპარქიების მიხედვით საინტერესო ცნობებს აწვდის რუსეთის უწმინდეს სინოდს სასულიერო პირთა, ეკლესიის მსახურთა და ეკლესიების რაოდენობის შესახებ. მანვე წარადგინა საეკლესიო აზნაურთა გვარები მათ მფლობელობაში მყოფი გლეხების კომლობრივი რაოდენობის ჩვენებით და სხვა.[227]

მოხსენების დასასრულს საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი ობერ-პროკურორს აცნობებდა: „რუსეთში მყოფ ანტონ კათოლიკოსს არ უნდა დაველოდოთ, რადგან იგი აქაურ საქმეებს წესრიგში ვერ მოიყვანს. ამის გარდა, თვითნებურად მოქმედებს და არაფერს ანგარიშს არ უწევს. ამის უფლებას მას სამეფო გვარის ჩამომავლობაც აძლევს, რადგან იგი არის მეფე ერეკლეს შვილი. ამიტომ მიმაჩნია ყველაზე სასარგებლოდ, უწმინდე-

226 Акты, т. 4, стр. 162.

227 Акты IV, стр. 164-165.

სი სინოდის ეგზარქოსად და მცხეთა-თბილისის მიტროპოლიტად დაინიშნოს ვარლამი, როგორც სამთავრობო სინოდის წევრი, რომელიც კარგად იცნობს რუსეთში არსებულ საეკლესიო მმართველობის წესებს."[228]

ვარლამ არქიეპისკოპოსის მასალებისა და მთავარმართებლის მოხსენების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა 1811 წლის 21 ივნისს იმპერატორის სახელზე ხელმოსაწერად შეადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი.

რუსეთის უწმიდესი სინოდი საიმპერატორო კარის წინაშე წინადადებას აყენებდა:

„1) საქართველოში აქამდე არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შეიქმნას ორი – მცხეთისა და ქართლის და მეორე – ალავერდისა და კახეთის; ცხრა საარქიმანდრიტოდან დარჩეს მხოლოდ ხუთი.

2) ქართული ეკლესიის მეთაურად დაინიშნოს მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი. მიეკუთვნოს მას სამუდამოდ ტიტული „უწმინდესი და უმართებულესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში."

3) დაწესდეს სასულიერო დიკასტერია, მსგავსად რუსეთში არსებულისა, რომლის ხელმძღვანეობას შეასრულებს საქართველოს ეგზარქოსი, სასულიერო დიკასტერია დაამტკიცებს ეკლესიათა და სასულიერო პირთა რაოდენობას, წარმართავს სასულიერო საქმეებს. სასულიერო დიკასტერიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სამაზრო ქალაქებში შეიქმნას სასულიერო მმართველობები, რომლის წევრები იქნებიან ადგილობრივი სასულიერო პირები. მაზრებში სამღვდელოებაზე მეთვალყურეობა აგრეთვე დაევალება ბლაღოჩინებს.

4) მღვდლებისა და ეკლესიის მსახურთა შვილების სასწავლებლად თავდაპირველად გიმნაზიის ნაცვლად გაიხსნას სასულიერო სემინარია.

5) თანხა, რომელიც საჭიროა ეკლესიის ხარჯებისათვის, საეკლესიო შემოსავლებიდან გაიღება.

6) საეკლესიო გლეხები აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებამდე დარჩებიან ისევ სასულიერო უწყების გამგებლობაში. რუსეთის უწმინდესი სინოდი თანახმაა მიწები, რომელიც ეკლესიას ჰქონდა რუსეთის მმართველობის დამყარებამდე, ისევ ეკლესიას დარჩეს. რაც შეეხება იმ აზნაურებს, რომლებიც ეკლესიის მიწებს მართავენ, რადგანაც საეკლესიო გლეხთაგან შემოსავლის აკრეფა ხდება სასულიერო დიკასტერიის მიერ, ასეთი მმართველი საჭირო აღარ იქნება. საეკლესიო აზნაურთა საკითხს უწმინდესი სინოდი შეისწავლიდა და დასამტკიცებლად წარუდგენდა იმპერატორს.[229]

რადგან ეკლესიის რეორგანიზაციის დროს რუსეთის უწმიდესი სინოდი დიდ იმედებს სასულიერო დიკასტერიაზე ამყარებდა, ამიტომ მან მისი ფუნქციების განსაზღვრას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. სასულიერო

228 Акты IV, стр. 164-165.

229 Акты, т. 4, стр. 166.

დიკასტერიის მოვალეობას შეადგენდა: „1) შეისწავლოს ამჟამად არსებული ეკლესიები და მათში მოსამსახურე მღვდლებისა და სასულიერო პირების მდგომარეობა. თუ რომელიმე მათგანი ზედმეტია, ასეთი ეკლესიები გააუქმონ, მოსამსახურეები დაითხოვონ ანდა სხვა ეკლესიებში განაწესონ. ხოლო ვინც ეკლესიიდან იქნება გაშვებული, მას დაენიშნოს წოდების შესაფერისი შემოსავალი; 2) საეკლესიო გლეხთა შემოსავალი მოყვანილ იქნეს სრულ წესრიგში; ამისათვის ნება მიეცეს სასულიერო დიკასტერიას, შეამოწმოს შემოსავალ-გასავალი; 3) ცნობილია, თუ რამდენად გაძნელებულია საეკლესიო შემოსავლების ნატურის სახით აღება და იმისათვის, რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული, ის შემოსავლები, რომლებიც უნდა დაიხარჯოს ეკლესიაზე, სასულიერო სასწავლებლებზე და სხვა დაწესებულებებზე, შეიცვალოს ფულადი გადასახადით, რომელიც სასულიერო დიკასტერიას გადაეცემა. ხოლო ის შემოსავლები, რომლებიც განკუთვნილია ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტების შესანახად, მიეცეთ მათ ნატურით სასულიერო დიკასტერიის გადაწყვეტილებით."[230]

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა რუსეთის უწმიდესი სინოდის ზემოთ აღნიშნულ პროექტს 1811 წლის 30 ივნისს წააწერა: „ასე იყოს."[231] რუსეთის იმპერატორმა ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის ბედი, რომელიც ამიერიდან რუსეთის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა. ასეთი თვითნებური გადაწყვეტილებით დაირღვა 30-ე და 35-ე მუხლი მოციქულთა კანონებისა და ასევე 22-ე კანონი ანტიოქიის კრებისა, რომელთა მიხედვით თითოეულ ავტოკეფალიურ ეკლესიას თვითონ აქვს უფლება გადაწვიტოს თავისი ბედი გარეგანი ჩარევის გარეშე.[232]

ალექსანდრე პირველის გადაწყვეტილება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გაგრძელება იყო სულიერ სფეროში. რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის ასიმილაციისათვის საჭირო იყო იმ ერთადერთი სულიერი სფეროს მოსპობა, რომელიც ერის პოტენციური შესაძლებლობების გამომხატველი იყო და სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ჩვენში დაკანონდა ღვთისმსახურების სლავური წესის პრაქტიკა, ხოლო წირვა-ლოცვა ხალხისათვის გაუგებარ საეკლესიო სლავიანურ ენაზე მიმდინარეობდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებიდან მცირე ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოში არსებულმა საკათოლიკოსომაც მალე დაკარგა დამოუკიდებლობა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად დანაწევრებას ქვეყნის სულიერი დაქუცმაცებაც მოჰყვა. ამავე საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის

230 Акты, т. 4, стр. 217.

231 Акты, т. 4, стр. 166.

232 Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901.

(1466-1478) სეპარატისტული ქმედებით მცხეთის საკათოლიკოსოს გამოეყო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელსაც „ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის საკათოლიკოზო" ეწოდებოდა.[233] ამ ფაქტით, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „პოლიტიკურს დაქსაქსვასა და დანაწილებას საეკლესიო მთლიანობისა და განუყოფლობის ჩაშლაც დაედვა მტკიცე საფუძვლად."[234] აღნიშნული გადაწყვეტილებით დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა სრულიად საქართველოს საპატრიარქოსაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. მისი იურისდიქციის საზღვრები ვრცელდებოდა იმერეთის, ოდიშის, აჭარის, შავშეთისა და კლარჯეთის ტერიტორიაზე.[235] საკათოლიკოსო ცენტრი თავდაპირველად ბიჭვინთაში მდებარეობდა. თურქთა აგრესიის შედეგად იგი XVI საუკუნის 60-ინი წლების დასაწყისში ქუთაისში გადმოდის. მიუხედავად განცალკევებისა, მცხეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსოს შორის ურთიერთდაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ხშირად ისინი ერთობლივად წყვეტდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებს.

იმერეთის სამეფოში აღმოცენებული გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები აფხაზთა საკათოლიკოსოს დიდ სირთულეს უქმნიდა. მთავრები ხშირად ცდილობდნენ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოები გარკვეული პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ასეთი სურვილის მიუხედავად აფხაზთა საკათოლიკოსომ ერთიანობა მაინც შეინარჩუნა. მაგრამ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში თურქთა აგრესიის შედეგად მისი იურისდიქციის საზღვრები საგრძნობლად შეიზღუდა. მას ჩამოშორდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი. ოსმალთა მიერ აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ სამთავროში ძალიან შესუსტდა ქრისტიანობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, საეპისკოპოსო ცენტრები მოიშალა. ქრისტიანობა აფხაზეთში ძირითადად შემორჩა სამეგრელოს მოსაზღვრე ნაწილში, მდ. ღალიძგასა და კოდორს შორის. სამურზაყანოს მოსახლეობა ქრისტიანი იყო, რომელიც ცაიშის სამწყსოს შემადგენლობაში შედიოდა.[236]

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აფხაზეთის საკათოლიკოსომ 1796 წლამდე იარსება.[237] თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად მათ მოჰყავთ ის ფაქტი, რომ 1795 წელს კიევში გარდაიცვალა აფხაზთა საკათოლიკოსოს უკანასკნელი მწყემსმთავარი მაქსიმე აბაშიძე. ამის შემდეგ იმერეთის სამეფოში გართულებული პოლიტიკური სიტუაციის გამო, მართალია, კათოლიკოსად აღარავინ აურჩევიათ, მაგრამ ჩვენი აზრით, საკათოლიკოსო კვლავ არსებობდა. მის მოვალეობას ასრულებდა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი

233 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 220.

234 ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1982, გვ. 339.

235 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 99; შდრ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 223.

236 Акты, т. 2, стр. 528; შდრ. ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ, 173.

237 გ. როგავა, საქართველოს ეკლესიის ისტორია (ლექციის კურსი), თბ., 1996, გვ. 92.

(წერეთელი).[238] მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი, ჯერ კიდევ, 1784 წლიდან გარკვეული პერიოდის განმალობაში დროებით ასრულებდა საკათოლიკოსოს მწყემსმთავრის მოვალეობას, რადგან ამ დროისათვის კათოლიკოსი მაქსიმე (აბაშიძე) დიპლომატიური მისიით რუსეთში იმყოფებოდა. 1787 წელს განხორციელებული მესამე ელჩობის შემდეგ იგი რუსეთიდან საქართველოში აღარ დაბრუნებულა. კიევში 1795 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსად აღარავინ დაუსვამთ. მკვლევარი ბ. ლომინაძე ორ საბუთზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ დოსითეოს მიტროპოლიტს კათოლიკოსობა ებოძაო. მის მიერ მოძიებულ ერთ საბუთში 1787 წლის 26 აპრილს ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალი დოსითეოსს კათოლიკოსობის მიღებას ულოცავს. თავისი მოსაზრების გასამყარებლად ბ. ლომინაძეს მოჰყავს 1798 წელს მეფე სოლომონ მეორის გაცემულ ერთ საბუთში აღნიშნული მითითება, რომ „ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს კათოლიკოსობა უბოძეთო."[239] ბ. ლომინაძის აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი მკვლევარიც, რომელთა აღნიშვნით, მართალია, დოსითეოს მიტროპოლიტს მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკოსობა უბოძა, მაგრამ მისი კურთხევა მოხდა თუ არა, ამის დამადასტურებელი საბუთები მოსაძებნიაო.[240] ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან საეკლესიო სამართლის მიხედვით საერო ხელისუფალს, ამ შემთხვევაში მეფეს, უფლება არ აქვს კათოლიკოსობის ბოძების. მას შეუძლია სასულიერო პირებს თავისი კანდიდატურა წარუდგინოს, მაგრამ საეკლესიო კრებას სრული უფლება აქვს მხარი არ დაუჭიროს მეფის კანდიდატურას. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეფე სოლომონ მეორის სურვილია კათოლიკოსობა ებოძოს ქუთათელ მიტროპოლიტს, მაგრამ მისი ეს სურვილი არ განხორციელებულა. როგორც ჩანს, თვით დოსითეოს მიტროპოლიტსაც არ სურდა კათოლიკოსობა. წყაროებში იგი იწოდება „საკათოლიკოსოს გამგედ," საბუთებს კი ხელს აწერდა „ყ~ლ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გამგებელი საკათოლიკოსოსი."[241]

დოსითეოს ქუთათელის გარდა იმერეთის სამეფოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეორე მღვდელმთავარი გენათის მიტროპოლიტი ექვთიმე შარვაშიძე.

დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეკლესიის მსახურები, მათ შორის უპირველესი მღვდელმთავრები დოსითეოს ქუთათელი და ექვთი-

238 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921, გვ. 145; შდრ. ე. ბუბულაშვილი, მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) - „კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოჲსა და აფხაზეთისა," მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2013, №1, გვ. 33-42.

239 ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მსკი, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 138-143.

240 გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლები), ქუთაისი, 1999, გვ. 234.

241 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921, გვ. 251.

მე გენათელი აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში და წარმატებით იღვწოდნენ ქვეყნის ძლიერებისათვის, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური პროცესები მძიმე გავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზეც.

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ცარიზმი დასავლეთ საქართველოს შემოერთებისთვისაც ზრუნავდა. ამ მხრივ, მან პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა, როცა 1803 წელს სამეგრელოს სამთავრომ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. გრიგოლ დადიანი შეეცადა სეპარატიზმის მიზნით სამთავროს ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოები გამოეყენებინა, მაგრამ ამის მიღწევა მან ვერ შეძლო. იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში მხარში ედგა სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი. მეფე იმერეთის სამეფო საქმეებს წარმართავდა „საბჭოს" საშუალებით, რომლის შემადგენლობაში საერო პირებთან ერთად შედიოდა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი), გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე), რაჭის ეპისკოპოსი სოფრონი (წულუკიძე) და ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონი (ჩიჯავაძე).

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა იმერეთის მეფის იგნორირებით დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში ჩარეულიყო და ამისთვის შეესაფერის დროს ელოდა.

რუსეთის ხელისუფლების ძალმომრეობის შედეგად იმერეთის მეფე სოლომონ მეორე დაპატიმრეს. გაპარვის შემდეგ იგი ახალციხეში გადადის და იქიდან ცდილობს დაკარგული თავისუფლების აღდგენას. ამ მიზნით მან დახმარებისათვის მიმართა ქუთათელ მიტროპოლიტს და იმერეთის სამღვდელოებას.[242] ცარიზმმა სოლომონ მეფის საწინააღმდეგოდ იმერეთი რუსეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა და 1810 წლის აპრილში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა და სამღვდელოება იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა. მართალია, სოლომონ მეორის მოწოდებას არ გამოხმაურებია დოსითეოს ქუთათელი, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს, რომ იგი თითქოს რუსული ორიენტაციის იყო. ჯერ კიდევ სოლომონ მეორის დატყვევების დროს იმერეთის მაღალმა სამღვდელოებამ, მათ შორის დოსითეოს ქუთათელმაც, თხოვნით მიმართა მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს, რომ მას ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორის წინაშე სოლომონისათვის დაკარგული ტახტის დაბრუნებაში. მთავარმართებელმა მათ პასუხი მას შემდეგ გასცა, როცა სოლომონ მეორე ტყვეობიდან გაიპარა. იგი მღვდელმთავრებს ატყობინებს, რომ გაპარვით სოლომონ მეფემ დაარღვია რუსეთის იმპერატორის მართლმსაჯულება და ამით „მან საბოლოოდ დაკარგა იმპერატორის წყალობის მოპოვების შესაძლებლობა." ალექსანდრე ტორმასოვი მღვდელმთავრებს მიმართავს: „ამიტომ სოლომონს კი არ უნდა გაუწიოთ დახმარება, არამედ უნდა დაიცვათ იმპერატორის წინაშე დადებული ფიცი და თქვენს სამწყსოს შთააგონოთ, რომ

242 ჟურნალი „მწყემსი," 1906, 11-12, გვ. 9.

ურთიერთობა არ დაიკავოს ყოფილ მეფესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან ღვთისა და რუსეთის ხელმწიფისაგან."[243] აჯანყებული იმერეთის მოსახლეობის დასაწყნარებლად რუსი მოხელეები ცდილობდნენ სასულიერო პირების გამოყენებას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

რუსეთის ხელისუფლებამ იმერეთის სამეფოს დაპყრობისთანავე შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმება. 1810 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებას მოჰყვა მოსახლეობის მასობრივი გამოსვლა. როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ კიდევ უფრო არ გართულებულიყო პოლიტიკური სიტუაცია, დროებით მათ ხელი აიღეს დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმებაზე. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1814 წელს, შედარებით მშვიდი პოლიტიკური ვითარების დროს სისრულეში მოიყვანეს თავიანთი განზრახვა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და მისგან გამოწვეული მძიმე შედეგების შესახებ სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი მღვდელმთავარი, შემდეგ კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე 1926 წლის 27 იანვარს წმ. ნინოს ხსენების დღეს წარმოთქმულ ქადაგებაში: „დიდი რუსეთის ეკლესიის თავი... ვერ მიუდგა პატარა საქართველოს ეკლესიის სხეულს. მან მოაშორა საქართველოს „სულის ხელმწიფე," ჩაუკეტა ტვირთმძიმეთა და მაშვალთა ნავთსაყუდელი და წმ. ნინოს ეკლესია გადააქცია „მართლმადიდებელი აღსარების უწყების" განყოფილებად."[244]

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)

ერთმორწმუნეობის მიუხედავად, რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები სტრუქტურულ-ორგანიზაციული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურული ჩამოყალიბება უძველესი დროიდან იწყება. იგი სათავეს IV საუკუნიდან იღებს, როდესაც ჩვენში ქარისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო კანონების შესატყვისად თანდათანობით ხდებოდა მისი სრულყოფა, IV საუკუნიდან V საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მთავარეპისკოპოსის სახელით იხსენიება და იგი დამოკიდებული იყო ანტიოქიის საპატრიარქოზე. V საუკუნის მეორე ნახე-

243 Акты, т. 4, стр. 267; შდრ. ჟურნალი „მწყემსი," 1906, 11-12, გვ. 9.

244 კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 97, ფურც. 56; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 51.

ვარში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, ხოლო მისი მწყემსმთავარი კათოლიკოსის ტიტულის მატარებელი გახდა. XI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი კათოლიკოს-პატრიარქის სახელით იხსენიება და მას მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დიპტიხტში მეექვსე ადგილი ეკავა.

ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კეთილგანწყობის პრინციპზე იყო დამყარებული. მეფე, როგორც საერო ხელისუფალი, ვალდებულიც იყო ეზრუნა ეკლესიის სულიერი ამაღლებისათვის, უზრუნველეყო იგი შემოსავლებით და მათთვის შეუვალობა ებოძებინა. მეფესთან ერთად წარჩინებული ზედაფენა ეკლესია-მონასტრებს სწირავდა ყმა-გლეხებს, მამულებს, ეხმარებოდნენ ტაძრების მშენებლობაში. ამ გზით ეკლესია-მონასტრებს მდიდარი მამულები გააჩნდა, საიდანაც დიდ შემოსავალს იღებდა. ეკლესიას ჰყავდა საკუთარი აზნაურები და ყმა-გლეხები, რომლებიც საეკლესიო მიწაზე ცხოვრობდნენ. საეკლესიო აზნაურებს ეკლესიის მამულების გამგებლობა ევალებოდათ და ისინი სამოურავო სამსახურით იყვნენ დაკავებულნი.[245] საეკლესიო გლეხები კი მხოლოდ ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ გადასახადს და მათ მამულებს ამუშავებდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XV საუკუნეში ერთიანი სამეფოს დაშლასთან ერთად ეკლესიური დაყოფაც მოხდა, ამავე საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველო იერუსალიმის პატრიარქის ხელშეწყობით ეკლესიურად მცხეთის საპატრიარქოს გამოეყო და მას „ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის საკათოლიკოსო" ეწოდა, რომლის რეზიდენცია XVI საუკუნის 60-იან წლებამდე ბიჭვინთაში იყო, ხოლო შემდეგ კი იგი ქუთაისში გადმოდის. ამ სახით მან 1814 წლამდე იარსება.

რუსეთთან შეერთებამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სათავეში ედგა კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც თავის თავს სრულიად საქართველოს მწყემსმთავრად თვლიდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურს ეწოდებოდა კათოლიკოსი, ზოგჯერ იგი პატრიარქადაც იხსენიება, რომლის კურთხევა მცხეთის საპატრიარქოს გარეშე ხდებოდა. კათოლიკოს-პატრიარქი თავის სამწყსოში შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა. „საეკლესიო სოფლებში სამართალი და მსჯავრი, სამოქალაქო და სასისხლო საქმეები ირჩეოდა კათოლიკოსისაგან."[246] კათოლიკოსი ყმებისა და დიდი მამულების მფლობელი იყო, რომელსაც იგი მართავდა საეკლესიო აზნაურების მეშვეობით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, რომელსაც კათოლიკოსის ხელდასხმით მართავდა შავი სამღვდელოების წარმომადგენელი მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) ან

245 Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 263.

246 პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, თბ., 1900, გვ. 33.

ეპისკოპოსი. კათოლიკოსი მათ გამორჩევას და ხელდასხმას ახდენდა სამეფო ხელისუფლებასთან შეთანხმებით.[247] აუცილებელ საჭიროებად მივიჩნევთ აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებში დიდი ეპარქიები შეიძლება რამდენიმე საეპისკოპოსოს მოიცავდეს. საეკლესიო კანონიკით საეპისკოპოსოს მმართველი ეპისკოპოსები ემორჩილებიან და ანგარიშვალდებული არიან ეპარქიის მღვდელმთავრის წინაშე, რომლებიც მიტროპოლიტის ან მთავარეპისკოპოსიის იგივე არქიეპისკოპოსის საეკლესიო ტიტულით არიან წარმოდგენილი. სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებისაგან განსხვავებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთი სახით ეპარქია არ არსებობდა. თუმცა, მაგალითად, ერთ ხანს არსებობდა მანგლის-თბილისის ეპარქია, რომელსაც მიტროპოლის ხარისხით ერთი მღვდლმთავარი მართავდა. აღნიშნულიდან გამომდინარე ქართულ სინამდვილეში ეპარქია და საეპისკოპოსო იდენტურ ცნებებად მიიჩნევა. თუმცა, როგორც აღინიშნა, ისინი თავიანთი სტატუსით ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეპარქიასთან ერთად შეიქმნა საეპისკოპოსო. აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ერთ ქართლ-კახეთის ეპარქიაში სხვადასხვა დროს შედიოდა რამდენიმე საეპისკოპოსო, რომლის მმართველი ეპისკოპოსები ვიკარ-ეპისკოპოსებად იგივე ქორ-ეპისკოპოსებად იწოდებოდნენ. ეპარქია, თავის მხრივ, იყოფოდა სამრევლოებად, რომელთაც ადგილობრივი მღვდელმთავრის მიერ ხელდასხმული მღვდლები განაგებდნენ. სასულიერო პირები ჯამაგირს არ ღებულობდნენ. ისინი მრევლისა და შემოწირულობების ხარჯზე ცხოვრობდნენ. მონასტრებს, რომლებშიც ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ, ჰყავდათ თავიანთი წინამძღვარი. იგი იმ ეპარქიის მღვდელმთავარს ემორჩილებოდა, რომლის ტერიტორიაზეც იყო აღნიშნული სავანე. ეპარქიები ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო საზღვრებით. ეპარქიის საზღვრები ქვეყნის ადმინისტრაციულ საზღვრებს შეესაბამებოდა.

საეკლესიო სამართლით, ერთი ეპარქიის ეპისკოპოსს სხვა საეპარქიოს ტერიტორიაზე არ შეეძლო თავისი უფლებამოსილება გაევრცელებინა. დარღვევის შემთხვევაში იგი მკაცრად ისჯებოდა, განკვეთითაც კი. საუკუნეების განმავლობაში ეპარქიების რაოდენობა და საზღვრები იცვლებოდა. იყო პერიოდი, როცა ეპარქიათა რაოდენობა 50-ს აჭარბებდა, ხოლო ძნელბედობის დროს მათი რიცხვი საგრძნობლად მცირდებოდა. მაგალითად, ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაკავების შემდეგ XVI-XVII საუკუნეებში გაუქმდა იქ არსებული 13 ეპარქია. ასეთი პროცესი შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. XVIII საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში თერთმეტი ეპარქია იყო „დაცლილი აოხრებისაგან."[248] ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოშიც. მტერთა გამუდმებული შემოსევების შედეგად

247 Акты, т. IV, стр. 97.

248 А. А. Цагарели, Громати и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. 1, СПб., 1898, стр. 17-18.

მოიშალა საეკლესიო მართვა-გამგეობის სტრუქტურაც. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ათეულში იოანე და დავით ბატონიშვილების მიერ შედგენილ კანონპროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საეკლესიო მმართველობის მოწესრიგების საკითხს,[249] სამეფო ხელისუფლების გაუქმებისა და ავტოკეფალიის დაკარგვის გამო მათ მიერ წამოყენებულმა მოსაზრებებმა რეალიზაცია ვერ ჰპოვა. თუმცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე სასულიერო პირების ერთი ნაწილი დიდად ზრუნავდა ეკლესიის მმართველობის გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდად იღვაწა რუსეთიდან დაბრუნებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ პირველმა (1744-1788). მას 1771 წელს საქართველოს საპატრიარქოს კარზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიბაძვით დაუარსებია სასულიერო დიკასტერია, რომლის მეშვეობით სურდა მოეწესრიგებინა საეკლესიო საქმეები საქართველოში.[250] სიტყვა „დიკასტერია" ბერძნულიდან მომდინარეობს და სამართალს, სასამართლო დავას ნიშნავს.[251] მკვლევარ მ. კეკელიას აზრით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დიკასტერია 1777 წლიდან არსებობდა და მას საეკლესიო სასამართლოს ფუნქცია და უფლებამოსილება ჰქონდა დაკისრებული.[252] ჩვენი აზრით, მართალია, ანტონ პირველმა უეჭველია, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიბაძვით შემოიღო სასულიერო დიკასტერია, როგორც სასამართლო საკითხების განსახილველი ორგანო, მაგრამ იგი მაინც ფორმალურად არსებობდა. წყაროებში არავითარი ცნობა არ არსებობს, რომ საკათოლიკოსოსთან არსებული ეს ორგანო ფუნქციონირებდა. უფრო მეტიც, როცა 1809 წელს მომხდარი ინციდენტის გამო თბილელი მიტროპოლიტი არსენი უნდა გაესამართლებინათ, ანტონ მეორემ სასულიერო დიკასტერიის მეშვეობით კი არ გამოარკვია მომხდარი ფაქტი, არამედ ამ მიზნით ეპისკოპოსებისა და სხვა სასულიერო პირებისაგან შექმნილმა დროებითმა სასამართლომ. ასე რომ, ავტოკეფალიის გაუქმებამდე საქართველოს ეკლესიაში სასულიერო დიკასტერია უფუნქციო ორგანო იყო.

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში მითითებული იყო, რომ სულ სხვა სტრუქტურული აგებულებისა იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. როგორც აღინიშნა, კარგა ხნის მანძილზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სათავეში მიტროპოლიტი ედგა, რომელიც ფეოდალურად დაქუცმაცებული სამთავროების სულიერ ცენტრად ითვლებოდა. XVI საუკუნეში ავტოკეფალიის მო-

249 ი. ბატონიშვილი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957, გვ. 23-27; შდრ. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 228-230.

250 Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 17.

251 ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 125.

252 მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბ., 170, გვ. 192.

პოვების შემდეგ, რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარმა პატრიარქის ხარისხი მიიღო, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში, პეტრე პირველის დროს, რუსეთის ეკლესიის მმართველობა შეიცვალა. 1721 წელს პეტრე პირველის მიერ ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილების მიზნით პატრიარქის თანამდებობის გაუქმება და მის ნაცვლად დააწესებული კოლეგიალური მმართველობა „რუსეთის უწმიდესი და უმართებულესი სინოდი" თავისი ფუნქციებით უტოლდებოდა მმართველ სენატს. 1722 წლიდან რუსეთის უწმინდეს სინოდს სათავეში ედგა დიდი უფლებებით აღჭურვილი საერო პირი ობერ-პროკურორი. მართალია, რუსეთის უწმინდეს სინოდში პირველი ადგილი ეკავა მიტროპოლიტს, მაგრამ მისი უფლებამოსილება შეზღუდული იყო ობერ-პროკურორის მეშვეობით. ამ უკანასკნელის მოვალეობაში შედიოდა: 1) მეთვალყურეობა სახელმწიფო კანონების შესრულებაზე; 2) უწმინდესი სინოდის ოქმების განხილვა, სანამ ის ძალაში შევიდოდა; 3) უწმინდესი სინოდის დადგენილების წარდგენა იმპერატორისადმი; 4) სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე დასწრება; 5) ობერ-პროკურორის მეშვეობით ხდებოდა უწმინდესი სინოდის ურთიერთობა სხვა სამინისტროებთან; 6) მასთან შედიოდა ყველა ის წინასწარ გადასაწყვეტი დადგენილებანი, რომელიც საეკლესიო საქმეებს ეხებოდა. ობერ-პროკურორს ჰყავდა მოადგილე, რომელიც აგრეთვე საერო პირი იყო. მას ჰქონდა თავისი კანცელარია, რომელიც სამინისტროს დეპარტამენტს წააგავდა. მასვე ექვემდებარებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარია.[253] წარმოდგენილი მასალით დასტურდება, რომ ობერ-პროკურორი მინიჭებული უფლებებით რუსეთის უწმინდესი სინოდის ფაქტიური მმართელი იყო.

რუსეთის უწმინდესი სინოდი სულ 12 კაცით განისაზღვრებოდა. აქედან 4 მუდმივი წევრი იყო, ხოლო დანარჩენებს გარკვეული პერიოდულობით ირჩევდნენ. პეტრე პირველის საეკლესიო რეფორმით ეკლესია სახელმწიფოს სტრუქტურულ ორგანიზმად იქცა. ხოლო ეკატერინე მეორემ 1784 წელს საეკლესიო მამულები და მთელი მოძრავ-უძრავი ქონება ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა.[254] ამიერიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საერო ხელისუფალთა პოლიტიკის ნება-სურვილის გამტარებელი იყო, რადგან იგი დაფინანსებას სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებდა. გატარებული ღონისძიებით მთავრობამ ეკლესიას ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოუსპო და იგი სახელმწიფოს დანამატად აქცია. რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების რაოდენობა და მათი საზღვრები იმპერიის ტერიტორიების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა. სწორედ ასეთ მმართველ ორგანოს 1811 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაუქვემდებარა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლებიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სტრუქტურული აგებულების მიხედვით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა.

253 И. А. Ципин, Церковное право, М., 1994, стр. 240.

254 Н. М. Никольский, История русской церкви, М., 1985, стр. 194.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა მისი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის ახლებური ჩამოყალიბება. მართვის ახალი სისტემის შემოღება ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთბაშად არ მომხდარა. მართვის ახალი წესების დამკვიდრება „საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპად განხორციელდა."[255]

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში რუსეთის ხელისუფლების მიერ მომხდარი რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსო. მართალია, საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა რუსმა მოხელეებმა ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე დაიწყეს, მაგრამ მან სტრუქტურული თვალსაზრისით დასრულებული სახე XIX საუკუნისის მეორე ნახევარში მიიღო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შემდგომ პერიოდშიც, თითქმის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე (1917 წლამდე) იგი სტრუქტურული თვალსაზრისით გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა. ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია, ისევე როგორც ავტოკეფალიის გაუქმება, დიდი სჯულის კანონების დარღვევით მოხდა, რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის რუსეთის იმპერიაში არსებული ეკლესიური ვითარებით. რუსეთის ხელისუფლებას სურდა, ჯერ კიდევ, პეტრე პირველის დროს სახეცვლილი რუსეთის უწმინდესი სინოდის დანამატად ექციათ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. აქედან გამომდინარე, მისი რეორგანიზაცია იმდროინდელი რუსეთის უწმინდესი სინოდის შესატყვისად უნდა მომხდარიყო, თუნდაც საეკლესიო სამართლის ნორმების დარღვევით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. თავდაპირველად მისი გარდაქმნა და ახლებურად მოწყობა მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავის მიერ შედგენილი პროექტის საფუძველზე განხორციელდა. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა მიტროპოლიტ ვარლამის მონაცემებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საჭიროებს სრულ გარდაქმნას, რადგან იმ დროისათვის არსებული 13 ეპარქია თავისი რიცხვით აღემატება საქართველოს ტერიტორიის სიდიდეს და საქართველოს ეკლესიების რაოდენობას; გარდა ამისა, რუსეთის უწმინდესი სინოდის აზრით, სასულიერო მმართველობის ორგანოების არქონა ქაოსსა და უწესრიგობას იწვევდა საქართველოს ეკლესიაში.[256]

მიტროროპოლიტ ვარლამ ერისთავის რეორგანიზაციის პროექტს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა თან დაურთო თავისი მოსაზრებანი, რომელსაც ხე-

255 ი. იაკობაშვილი, სინოდალური კანტორის დაფუძნება საქართველოში: გორის ეპისკოპოს დოსითეოსის პროექტი საქართველოში საეკლესიო საქმეთა მოწყობის შესახებ, ჟურნ. „ეპოქა," 2003, 3, გვ. 59.

256 Акты, т. IV, стр. 152.

ლი იმპერატორმა 1811 წლის 30 ივნისს მოაწერა. ხელმოწერის დღიდანვე დაჩქარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია.

როგორც წინასწარვე იყო ნავარაუდევი, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა იმპერატორის ხელმოწერით 1811 წლის 1 ივლისს საქართველოს ეგზარქოსად დანიშნა ქსნის ერისთავის შთამომავალი ვარლამ ერისთავი, რომელსაც დაევალა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის სისრულეში მოყვანა.[257] მან აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შექმნა ორი ეპარქია. მასვე დაევალა პირველი ეპარქიის – მცხეთისა და ქართლის ეპარქიის მიტროპოლიტობა. აღნიშნულ ეპარქიაში გაერთიანდა მცხეთის, თბილისის, გორის, სამთავროს, რუისის, წილკნის, სამთავისის, ურბნისის და ნიქოზის ეპარქიები. მეორე – ალავერდ-კახეთის ეპარქიის იურისდიქციის საზღვრები გავრცელდა მანამდე არსებული რუსთავის, ნეკრესის და ალავერდის ეპარქიების ტერიტორიაზე. ალავერდ-კახეთის ეპარქიის მიტროპოლიტად ეგზარქოს ვარლამის წარდგინებით 1811 წლის 14 ივლისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა იმპერატორის ხელმოწერით დაამტკიცა მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი) ბოდბელი, იმ დიდი დამსახურების გამო, რომელიც მიუძღოდა მას ახალი მმართველობის მიმართ. ეგზარქოს ვარლამის განკარგულებით 9 საარქიმანდრიტოდან შეიქმნა 5. ზოგი საარქიმანდრიტო მაგალითად იკორთის, ლარგვისის და ტირის, მცირე შემოსავლის გამო გაუქმდა და სამრევლოდ გადაკეთდა, დანარჩენი კი გამსხვილდა. ბოდბის ეპარქია საარქიმანდრიტოდ აქციეს. რეორგანიზაციის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგი 5 საარქიმანდრიტო ფუნქციონირებდა: ქვათახევ-შიომღვიმის, კახეთის, ბოდბის, დავით გარეჯისა და იოანე ნათლისმცემლის.[258] ეპარქიებისა და საარქიმანდრიტოების შემცირებით ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ფორმით მოახდინა საეკლესიო მმართველობის ცენტრალიზაცია. ეგზარქოსის დანიშვნისთანავე დაარსებულ იქნა ადმინისტრაციული მმართველობის ორგანო – სასულიერო დიკასტერია, იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც იგი რუსეთში არსებობდა. სასულიერო დიკასტერიის წევრებად დანიშნეს ახალი რეჟიმის მომხრე ქართველი სასულიერო პირები: არქიმანდრიტები: გამალიელი (გამრეკელი), ელეფთერ ზუკაკიშვილი და ათანასი (პეტრიაშვილი); დეკანოზი იოანე მაღლაშვილი, იოსებ წინამძღვრიშვილი და დიმიტრი ალექსიევი (ალექსიძე); მღვდელი ევსევი ჩუბინოვი. ჩამოთვლილმა სასულიერო პირებმა ჯერ კიდევ ადრევე გამოიჩინეს თავი რუსეთის ერთგულებით და ბუნებრივია, მათ მიანდეს საპასუხისმგებლო თანამდებობები. 1811 წლის 9 აგვისტოს სასულიერო დიკასტერიის წევრებმა ეგზარქოსისა და რუსი მოხელეების თანდასწრებით პეტერბურგში შემდგარი ფიცის ტექსტით ერთგულება გამოუცხადეს რუსეთის ხელმწიფეს, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ იმპერიის ინტერესებისათვის საკუთარ სიცოცხლესაც კი შესწირავდნენ.[259] იმა-

257 Православная Богословская энциклопедия, т. V, стр. 370-371.

258 Акты, т. V, стр. 179.

259 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, საქმე 3, ფურცელი 2; შდრ.: კ. კეკელიძის

ვე წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით ეპარქიის მღვდელმსახურებს აცნობეს სასულიერო დიკასტერიის დაარსება. 1811 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებით სასულიერო დიკასტერიის საქმიანობის აღრიცხვისათვის დაარსდა სპეციალური ჟურნალი.[260] სასულიერო დიკასტერია თავდაპირველად საქმეს აწარმოებდა ქართულ ენაზე. შესაბამისად, მისი ბრძანებები ქართულად იწერებოდა. ეს ალაბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველ სასულიერო პირებს რუსული ენა არ ესმოდათ. ამიტომ რუსი მოხელეები თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში დასაშვებად მიიჩნევდნენ სასულიერო დიკასტერიას საქმიანობა ქართულ ენაზე ეწარმოებინა. სასულიერო დიკასტერია მიმოწერას არ აწარმოებდა რუსეთის უწმინდეს სინოდთან. სინოდთან ურთიერთობას ამყარებდა მხოლოდ საქართველოს ეგზარქოსი. თავდაპირველად სასულიერო დიკასტერია წერილობით მიმართვებს და ანგარიშებს საქართველოს ეგზარქოსს ქართულ ენაზე წარუდგენდა, რადგან ვარლამ ერისთავი ქართველი იყო და ქართულიც კარგად იცოდა.[261] სასულიერო დიკასტერიის ხელმძღვანელად საქართველოს ეგზარქოსი ითვლებოდა.

სასულიერო დიკასტერიის ფუნქციები ჩამოყალიბებული იყო იმპერატორის ბრძანებაში, რომელშიც ნათქვამი იყო: „სასულიერო დიკასტერიამ უნდა შეისწავლოს ამჟამად არსებული ეკლესიები და მათში მომსახურე სასულიერო პირების მდგომარეობა, თუ რომელიმე მათგანი ზედმეტია, ასეთი ეკლესიები უნდა გააუქმონ, ხოლო ის პირები, რომლებიც ეკლესიებიდან იქნება დათხოვილი, მათ წოდების შესაფერისი შემოსავალი უნდა დაენიშნოს. სასულიერო დიკასტერიას საეკლესიო შემოსავალი უნდა მოეყვანა სრულ წესრიგში. ამ მიზნით სასულიერო დიკასტერიის წევრებს უფლება ეძლეოდათ შეემოწმებინათ თითოეული ეკლესია-მონასტრის შემოსავალ-გასავალი. ძალზე გაძნელებული იყო საეკლესიო შემოსავლების ნატურის სახით აღება, ამიტომ უწმინდესი სინოდის მითითებით იგი უნდა შეცვლილიყო ფულადი გადასახადით, რომელიც სასულიერო დიკასტერიას გადაეცემოდა. იგი მოახდენდა მის განაწილებას საჭიროებისამებრ. ხოლო ის შემოსავლები, რომლებიც განკუთვნილი იყო ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტების შესანახად, მათ უნდა მისცემოდათ ნატურის სახით სასულიერო დიკასტერიის გადაწყვეტილებით."[262]

როგორც წყაროებით ირკვევა, სასულიერო დიკასტერია აგრეთვე აწესრიგებდა ქორწინების საკითხებს. იგი ნებას რთავდა ან უარს ეუბნებოდა მეორე ან მესამე ქორწინებაზე. სასულიერო დიკასტერიის ნებართვის გარეშე მღვდელ-მონაზვნებს უფლება არ ჰქონდათ შესამოსელი ეტარებინათ. იგი აგრეთვე განიხილავდა სასულიერო პირთა შორის ატეხილ დავას და გამოჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილება. სასულიერო დიკასტერიის გადაწყვეტილე-

---

სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 123, ფურც. 1-2.

260 Н. Покровский, Несколько страниц из истории грузинской церкви, Прибавления с „Духовному вестнику грузинского экзархата," 1893, №8, стр. 22-25.

261 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, საქმე 10, ფურც. 5.

262 Акты, т. IV, стр. 167.

ბით უკმაყოფილო პირებს შეეძლოთ სამართალი საქართველოს ეგზარქოსთან ეძებნათ, მაგრამ ეს უკანასკნელი, რომელიც სასულიერო დიკასტერიის გადაწყვეტილებას ენდობოდა, მას უცვლელად ტოვებდა.[263]

საქართველოს ეგზარქოსის მითითებით სასულიერო დიკასტერია ნიშნავდა ბლაღოჩინს. ეს თანამდებობა მანამდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობდა. ბლაღოჩინი იყო ეპისკოპოსის თანაშემწე ეპარქიებში. ეპარქიები საბლაღოჩინო ოლქებად იყოფოდა. ეპარქიაში რამდენიმე ბლაღოჩინის დანიშვნა ხდებოდა. თავდაპირველად მას, როგორც აღინიშნა, სასულიერო დიკასტერია ნიშნავდა, შემდეგ კი მისი დანიშვნა ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ ხდებოდა. ეს თანამდებობა პირველად რუსეთის ეკლესიაში 1721 წელს დაწესდა. 1820 წლის 5 აგვისტოს რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით ბლაღოჩინები იყვნენ მთავარეპისკოპოსების „თვალი" ყველა საქმეში.[264]

სიტყვა „ბლაღოჩინი" ქართულად ითარგმნება როგორც „კეთილმოწესე" და მართლაც, უფლებამოსილებით თავის შესატყვის თანამდებობას კიდეც ამართლებდა. ისინი ხელს უწყობდნენ ეკლესიების მოწყობას, უზრუნველყოფდნენ საეკლესიო საკუთრების დაცვას, ზრუნავდნენ ეკლესიებისათვის საჭირო საღვთო წიგნების შეძენაზე, ხელმძღვანელობას უწევდნენ ახალი ეკლესიების აგებას. სასულიერო პირების კონტროლის დროს ყურადღებას აქცევდნენ თუ რამდენად სწორად საეკლესიო კანონების დაცვით ტარდებოდა წირვა-ლოცვა, ჯვრისწერა, ნათლობა, მიცვალებულის გაპატიოსნება და სხვა. ისინი აგრეთვე აღწერდნენ საეკლესიო შემოსავალ-გასავალს. ამისთვის მათ ჰქონდათ საკანცელარიო წიგნები. ყურადღებას აქცევდნენ თავიანთ ეპარქიებში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში ბავშვთა სწავლებას და სხვა. ბლაღოჩინების საქმიანობას მკაცრად აკონტროლებდა სასულიერო დიკასტერია. ამ ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავდა „უწესო საქმეთა მოწესრიგებას."[265] მართალია, ბლაღოჩინები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ მათ გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდათ. ისინი გადაწყვეტილების მისაღებად სასულიერო დიკასტერიას მიმართავდნენ. სასულიერო დიკასტერია იხილავდა ბლაღოჩინების განცხადებას და საქართველოს ეგზარქოსის მითითებით სათანადო გადაწყვეტილება გამოჰქონდა.[266]

ბლაღოჩინების უფლებამოსილება სასულიერო დიკასტერიის დროს შეზღუდული იყო. მისი გაუქმების შემდეგ ბლაღოჩინების უფლებები საგრძნობლად გაიზარდა. 1821 წელს ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) მითითებით ქართული ნუსხა-ხუცურით დაიბეჭდა „ინსტრუქცია, რომელ არს მოძღვრება ბლაღოჩინებისადმი," რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული მათი უფ-

263 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 4, ფურც. 15.

264 Православная богословская энциклопедия, т. 2, 1901, стр. 683.

265 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 12, ფურც. 1.

266 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 10, ფურც. 3.

ება-მოვალეობანი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბლაღოჩინების როლი საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით სასულიერო დიკასტერიის წევრები მივლინებულ იქნენ ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ქონების აღსაწერად. 1811 წლიდან 1814 წლამდე სასულიერო დიკასტერიის წევრებმა დაწვრილებითი ცნობები შეკრიბეს და აღწერეს ბობდის, ალავერდის, ხირსის, ანაგის, მაღაროს, მცხეთის, ავჭალის, მეტეხის და სხვა ეკლესია, მონასტრების ქონება და მათზე მიწერილი ყმა-გლეხები. სასულიერო დიკასტერიამ თავის სხდომებზე დიდი ადგილი დაუთმო საეკლესიო მამულების აღწერასათან დაკავშირებით შემოსული დავა-საჩივრების განხილვას.

ახლად რეორგანიზებულ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გაჩნდა ვიკარ-ეპისკოპოსის თანამდებობაც. „ვიკარი" ლათინური სიტყვაა და მოადგილეს ნიშნავს. ძველ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობდა მოადგილე (იგივე ნაცვალი) ეპისკოპოსი, რომელიც ეპარქიის მღვდელმთავრის წარმომადგენელი იყო ადმინისტრაციის და სამართლის დარგში. გვიან პერიოდში დიდი ეპარქიის მქონე მმართველ მიტროპოლიტებს უფლება მიეცათ თავისი სამწყსოს ერთ-ერთი ოლქის მმართველად დაენიშნათ ვიკარი – ეპისკოპოსები. ვიკარი-ეპისკოპოსი მართლმადიდებლურ ეპარქიაში ზოგჯერ ქორ-ეპისკოპოსის სახელით იყო ცნობილი. ასეთი ეპისკოპოსი ეპარქიის მღვდელმთავრის გამგებლობაში იმყოფებოდა და მისი საქმიანობა მასზე იყო დამოკიდებული.[267] ვიკარ-ეპისკოპოსი (იგივე ქორ-ეპისკოპოსი) ეპარქიის მმართველის მთავარეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის თანაშემწე იყო და მისი მითითებით მოქმედებდა. ეგზარქოს ვარლამ ერისთავის განკარგულებით საქორეპისკოპოსო შეიქმნა მისსავე დაქვემდებარებულ მცხეთისა და ქართლის ეპარქიაში გორის სავიკარიუსოს სახელით, რომელსაც ვიკარ-ეპისკოპოსი იგივე ქორ-ეპისკოპოსი ედგა სათავეში. შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ერთადერთ ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიაში არსებულ საეპისკოპოსებს ეგზარქოსები ვიკარი – ეპისკოპოსების მეშვეობით მართავდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გორის გარდა შეიქმნა ალავერდის, ვლადიკავკაზის, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ბაქოსა და ერევნის სავიკაროები (საქორეპიკოპოსოები). აქედან ზოგიერთი (ვლადიკავკაზი) მათგანი XX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელ ეპარქიად ჩამოყალიბდა.

1812 წლის 30 იანვარს მცხეთისა და ქართლის ეპარქიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ გორის საქორეპისკოპოსოს მმართველად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური).[268]

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი გარდაქმნებით დასრულდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი. აშკარად

267 Православная богословская энциклопедия, Петербург, 1902, т. III, стр. 443-444.

268 История российской иерархии, т. I, част. I, Киев, 1827, стр. 45.

ჩანდა, რომ ეკლესიაში გატარებული გარდაქმნებით რუსეთის ხელისუფლება კმაყოფილი არ იყო და ამიტომ მათ იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა რეორგანიზაციის ახალი ეტაპის განხორციელებისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი დაკავშირებულია მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფირცხელაური) სახელთან. მის მიერ 1814 წელს შემუშავებული პროექტი „საქართველოში საეკლესიო საქმეთა მოწყობის შესახებ" დაედო საფუძვლად ეკლესიაში განხორციელებულ გარდაქმნებს. შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დოსითეოს მთავარეპისკოპოსს მიანდო საეკლესიო გარდაქმნების მეორე ეტაპის განხორციელება. მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი რუსეთის ხელისუფალთა აქტიური მხარდამჭერი და ერთგული მსახური იყო. თუმცა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის პირველ წლებში იგი სულ სხვა პოზიციებზე იდგა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე იგი ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტი და კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის მომხრე იყო. როცა კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთში გაიწვიეს, დოსითეოსი მას თან გაჰყვა. პეტერბურგში ჩასული დოსითეოსის მიმართ რუსეთის იმპერატორმა დიდი გულმოწყალება გამოიჩინა. იგი აკურთხეს ეპისკოპოსად და თან დაუნიშნეს ხელფასი 2000 მანეთის ოდენობით. მათი მითითებით 1812 წლის დასაწყისში დოსითეოსი გორის ვიკარ-ეპისკოპოსად დაინიშნა. ახალ თანამდებობაზე დანიშვნის მიუხედავად იგი პეტერბურგში დატოვეს და დაავალეს საქართველოს ეკლესიის ახალი მმართველობის წესების შემუშავება.[269]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი დააჩქარა 1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმებამ. 1814 წლის 30 აგვისტოს რუსეთის უწმინდესი სინოდის მოწონებულ დოსითეოს მთავარეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსი) მიერ შემუშავებულ პროექტს იმპერატორმა ხელი მოაწერა და მან კანონის ძალა მიიღო. ხელმოწერის დღესვე რუსეთის უწმინდეს სინოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა.[270] რუსეთის იმპერატორის დადგენილებით 27 პუნქტისაგან შემდგარი გადაწყვეტილებიდან 26 პუნქტის შესრულება უცილობლად უნდა მომხდარიყო რუსეთის უწმიდესი სინოდის უშუალო მეთვალყურეობით კავკასიის მაშინდელი სასულიერო უწყების მიერ. 27-ე პუნქტის შესახებ, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოში მოსამსახურეთა დაფინანსებას ეხებოდა, შემდგომ ცალკე გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

1814 წლის 30 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე „საქართველოში" (იგულისხმება: ქართლი და კახეთი) და „იმერეთში" (იგულისხმება: იმერეთი, გურია და სამეგრელო) დაემკვიდრა რუსეთის უწმინდესი სინოდის ერთი ეგზარქოსი და მას ეწოდა „საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი."

---

269 მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 218.

270 Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, стр. 55.

მეორე პუნქტით გაუქმდა თბილისში მანამდე არსებული სასულიერო დიკასტერია და თბილისში დაფუძნდა მოსკოვის კანცელარიის მსგავსი „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა." ამავე გადაწყვეტილებით თბილისში გაუქმებული სასულიერო დიკასტერია უნდა გადაეტანათ ქუთაისში – იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესიების სამართავად.[271]

ახალი გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ საქართველოში მანამდე არსებული ორი ეპარქიის ნაცვლად (მცხეთისა და ქართლის; ალავერდისა და კახეთის) შეიქმნა სამი ეპარქია: ქართლის, თელავისა და საქართველო-კავკასიის და სიღნაღის. ქართლის ეპარქიას განაგებდა ეგზარქოსი ხარისხით „მიტროპოლიტი მცხეთისა, თბილისისა და ქართლისა;" მეორე – თელავისა და საქართველო-კავკასიის ეპარქიის მმართველად რუსეთის უწმინდესმა სინოდმა დანიშნა აღნიშნული პროექტის ავტორი მთავრეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) დოსითეოსი. მესამე ეპარქიის ხელმძღვანელად დაინიშნა ყოფილი ალავერდელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი, რომელიც ახალი რეფორმით იწოდებოდა „ეპისკოპოსი სიღნაღისა და ქიზიყისა." საქართველოს ეგზარქოსს დაქვემდებარებულ ქართლის ეპარქიაში არსებული ვიკარ-ეპისკოპოსად დაინიშნა წილკნის ყოფილი ეპარქიის მმართველი გერვასი (მაჭავარიანი), რომელიც იწოდებოდა „Призвании викарии Грузинского и Горииским."

დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიების რაოდენობა განსაკუთრებული ბრძანების მიღებამდე უნდა დარჩენილიყო იგივე მდგომარეობაში, როგორც საკათოლიკოსოს გაუქმებამდე არსებობდა. ადგილობრივი მღვდელმთავრის გარდაცვალების შემთხვევაში საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაევალა რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის ეცნობებინა ამის შესახებ და დალოდებოდა გადაწყვეტილების მიღებას დარჩენილიყო ეს ეპარქია, თუ იგი შეერთებოდა სხვა ეპარქიას. აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და თავიანთ საქმიანობას დიდი სჯულის კანონის მიხედვით წარმართავდნენ. გარდა ამისა, ისინი ვალდებული იყვნენ, სახელმწიფოს კანონები და რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებანიც შეესრულებინათ. აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას უფლება ჰქონდა თავისი წინადადებები წარედგინა „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში," ხოლო დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას – ქუთაისში არსებულ სასულიერო დიკასტერიაში. ორივე ორგანო ვალდებული იყო, სასულიერო პირთა მოთხოვნები თუ წინადადებები ეცნობებინა რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის.

ახალი კანონის მიხედვით თბილისში დაფუძნებული „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის" თავმჯდომარედ დაინიშნა ეგზარქოსი, წევრებად – თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსი, ორი არქიმანდრიტი და ორი დეკანოზი. ვარლამ ეგზარქოსმა, თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა, ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტმა ათანასემ (პეტრიაშვილი) თავიანთი თანამდებობები

271 Акты, т. V, стр. 407.

დაიკავეს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში. კანტორის დანარჩენი წევრები ზემოთ ჩამოთვლილ სასულიერო პირთა მიერ იქნენ არჩეული. თუკი საქართველო-იმერეთის კანტორას რომელიმე არჩეული პირი სხვადასხვა მიზეზით გამოაკლდებოდა, მაშინ ახალი წევრი ისევ კანტორას უნდა აერჩია და რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი უნდა წარედგინა დასამტკიცებლად. ამავე კანონის მიხედვით, ქუთაისში დაარსებული სასულიერო დიკასტერიის წევრებად ითვლებოდა ადგილობრივი მთავარეპისკოპოსი, ერთი არქიმანდრიტი და ორი დეკანოზი, რომელსაც იმერეთის ეპისკოპოსის წარდგინებით ამტკიცებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში უნდა ყოფილიყო რუსული და ქართული ენების მცოდნე მე-5 კლასის პროკურორი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა კანტორასა და სასულიერო დიკასტერიაში საქმის წარმოებისათვის. აგრეთვე მას უნდა დაეცვა ეკლესიის უძრავი ქონება. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორს საქმის წარმოებისათვის შტატში ჰყავდა სამი ობერ-ოფიცრის წოდების სამხედრო პირი, რომელთაგან ერთი გორში იყო, მეორე თელავში, მესამე ქუთაისში. ისინი საჭირო ცნობებს აწვდიდნენ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის პროკურორს. საქმის წარმოებისათვის საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში იყო მე-8 კლასის 2 მდივანი. აქედან ერთი აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებს განაგებდა, მეორე იმერეთისას. თითოეულ მდივანს თითო მაგიდის უფროსი და თითო გადამწერი ემსახურებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აგრეთვე ემსახურებოდა მე-10 კლასის ორი მთარგმნელი. ქუთაისის სასულიერო დიკასტერიაში უნდა ყოფილიყო მე-10 კლასის ერთი მდივანი, მე-12 კლასის ერთი მთარგმნელი და 2 გადამწერი. კანონით განსაზღვრულ იქნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომის ჩატარების წესი. შესაბამისი ლოცვის შესრულებისა და წყალ-კურთხევის შემდეგ საზეიმო ვითარებაში უნდა გახსნილიყო სხდომა. სხდომის ჩატარების შესახებ წინასწარ გაფრთხილებული უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს ჯარების მთავარსარდალი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამოქალაქო ხელისუფლება და რუსეთის უწმიდესი სინოდი პეტერბურგში.

ახალი კანონის მიხედვით ყოველ 10 ეკლესიას, ან მეტს, ან ნაკლებს, იმის მიხედვით, თუ როგორი მანძილი იყო ამ ეკლესიებს შორის, უნდა ჰყოლოდა თითო კეთილმოწესე – ბლაღოჩინი. მათ ირჩევდნენ ადგილობრივი მღვდელმთავრის წარდგინების საფუძველზე, დამტკიცება კი ხდებოდა სასულიერო დიკასტერიაში ან საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში. ეს უკანასკნელი საგანგებო ინსტრუქციას ადგენდა მათი საქმიანობის შესახებ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ყოველწლიურად უწმინდესი სინოდის წინაშე წარადგენდა ვრცელ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. ქუთაისში არსებული სასულიერო დიკასტერია კი თავის ქვემდებარე ეპარქიების მდგომარეობის შესახებ წელიწადში სამჯერ წარადგენდა ანგარიშს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინაშე.

ახალი კანონმდებლობით საარქიმანდრიტო მონასტრების რაოდენობა ერთი ერთეულით გაიზარდა. თუკი 1811 წლის გადაწყვეტილებით 5 საარქიმანდრიტო მონასტერი დაარსდა, ახალი კანონით თელავთან სიახლოვის გამო აღდგა შუამთის მონასტერი, რომელიც ძველი კანონმდებლობით იოანე ნათლისმცემელთან იყო გაერთიანებული. მის წინამძღვარს ეწოდებოდა თელავის ეპისკოპოსის მონაცვლე და, როდესაც მთავარეპისკოპოსი ეპარქიაში არ იყმოფებოდა, მასვე დაევალა ეპარქიის მართვაც. დასავლეთ საქართველოში არსებული მონასტრების რაოდენობის დადგენა დაევალა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას.[272]

ახალი კანონმდებლობის დანარჩენი მუხლები ეხებოდა სამისიონერო მოღვაწეობისა და სასულიერო კადრების მომზადების საკითხებს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსის, აგრეთვე მისიონერების გასაცილებლად, მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა გამოყოფილიყო 30 საეკლესიო გლეხებისაგან შემდგარი ცხენოსანი და 100 კაზაკი. „ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობის შესახებ თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსს მოხსენება უნდა წარედგინა რუსეთის უწმინდეს სინოდში და დალოდებოდა მის გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსს გამგებლობაში უნდა გადასცემოდა კახეთის ქალაქი თელავი და ქართლის ქალაქი ანანური, რომლებიც გეოგრაფიულად ოსეთისა და კავკასიის მთიელებთან ახლოს მდებარეობდნენ. განზრახული იყო ქუთაისში იმერეთის სამღვდელოებისა და ეკლესიის მსახურთა შვილებისათვის სასულიერო სემინარიის დაარსება. ეპარქიის მღვდელმთავრებს, მონასტრის წინამძღვრებს და არქიმანდრიტებს უფლება ჰქონდათ გაეზარდათ საეკლესიო შემოსავლები, უძრავ-მოძრავი ქონება, რომელსაც თვითონვე მოიხმარდნენ.

ბოლო 27-ე პუნქტი, რომელიც საეგზარქოსოს შტატიან თანამშრომელთა ხელფასების საკითხს ეხებოდა, მცირე ხნის შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ იქნა დამტკიცებული. ახალი საშტატო განრიგის მიხედვით წლიური ხელფასები შემდეგნაირად იქნა განაწილებული: საქართველო-იმერეთის ეგზარქოსს ეძლეოდა 5000 მანეთი ვერცხლით; თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსს (არქიეპისკოპოსი) – 3000 მანეთი; სიღნაღისა და ქიზიყის იმჟამინდელ მოქმედ მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილს 2500 მანეთი, მაგრამ იქვე იყო მითითებული, რომ სიღნაღის და ქიზიყის მომავალი მთავარეპისკოპოსი მიიღებდა 2000 მანეთს; გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ღებულობდა – 1500 მანეთს; შუამთის მონასტრის არქიმანდრიტი – 400 მანეთს. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიიდან ყველაზე მაღალი ხელფასი 1000 მანეთის ოდენობით ჰქონდა კანტორის პროკურორს. მის სამ დამხმარე მუშაკს – თითოეულს ჰქონდა 250 მანეთი – სულ 750 მანეთი; ორ მდივანს – თითოეულს 400 მანეთი – სულ 800 მანეთი; ორ მაგიდის უფროსს – თითოეულს 200 მანეთი, სულ – 400 მან; ორ მთარგმნელს, თითოეულს 300

272 Акты, т. V, стр. 407.

– სულ 600 მანეთი; ორ გადამწერს – თითოეულს 150 მან – სულ 300 მანეთი, საკანცელარიო ხარჯები შეადგენდა 500 მანეთს.[273] დანარჩენი ფულადი ხარჯები განაწილებული იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის" თანამშრომლებზე: მდივანს – 350 მანეთი; მთარგმნელს – 300 მანეთი; ორ მწერალს – თითოეულს 150 მანეთი, სულ 300 მანეთი; საკანცელარიო ხარჯებისათვის გამოყოფილი იყო 300 მანეთი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე საქართველი-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლებზე სულ იხარჯებოდა 28 ათასი მანეთი ვერცხლით. როგორც იმჟამად, ისე შემდგომ პერიოდში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და საქართველოს საეგზარქოსოს ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოს ეკლესიის შემოსავლებიდან ხდებოდა.

მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო. 1814 წლის 15 სექტემბერს, ოფიციალურად სასულიერო დიკასტერია გაუქმებულად გამოცხადდა. სასულიერო დიკასტერიის წევრებს აეკრძალათ შეკრება და საქმის წარმოება. მათი საკანცელარიო საქმეები საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გადაეცა. თავის მხრივ, სასულიერო დიკასტერიის წევრებმა გადაწყვეტილების შესაბამისად თავი დაშლილად გამოაცხადეს.[274]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ოფიციალური საზეიმო გახსნის კურთხევა მოხდა 1815 წლის 8 მაისს. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება სინოდალური კანტორის გახსნას, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსეთის იმპერატორის მითითებით პეტერბურგში რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინის მიერ წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით ჩატარდა საზეიმო ცერემონიალი. აღნიშნული მოვლენის აღსანიშნავად თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს პირველმა ეგზარქოსმა ვარლამ მიტროპოლიტმა მრავალრიცხოვანი სამღვდელოების თანდასწრებით ჩაატარა წირვა, შემდგომ კი გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი, ლოცვა აღევლინა იმპერატორ ალექსანდრე პირველისა და რომანოვების სამეფო ოჯახის დღეგრძელობისათვის. ლოცვის დამთავრების შემდეგ სიონის ტაძრიდან გამოსული სამღვდელოება თბილისის ყველა ეკლესიის ზარების გუგუნის თანხლებით გაემართა იქვე ახლოს, ჯვარის მამის ტაძრის ეზოში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისათვის განკუთვნილი შენობისაკენ. ამ საზეიმო მსვლელობაში სასულიერო პირებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მაღალი თანამდებობის პირები: საქართველოს მთავარმართებელი, გენერალი ნიკოლაი რტიშჩევი; თბილისის სამხედრო გუბერნატორი; გუბერნიისა და მაზრის მარშლები; საპატიო მოქალაქეები და სხვები. პროცესიას წინ მიუძღოდნენ მგალობლები, რომლებიც

273 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 487, ანან. 1, საქმე 182, ფურც. 3; საქმე 198, ფურც. 3.

274 Н. Покровский, Несколько страниц из истории Грузинской церкви, Прибавление к Духовному вестнику грузинского экзархата, 1894, №19.

ძველ ქართულ საგალობლებს ასრულებდნენ. ეგზარქოსმა ვარლამმა აკურთხა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისათვის განკუთვნილი შენობა. წაიკითხეს რუსეთის იმპერატორის ბრძანება საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსების შესახებ. შემდეგ კანტორის წევრებმა დადეს რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი. წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით დაიკავეს თავ-თავიანთი ადგილები და გახსნილად გამოაცხადეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პირველი სხდომა, რომლის დამთავრების შემდეგ მოწვეულ სტუმრებს საუზმე გაუმართა ვარლამ ეგზარქოსმა, ხოლო საზეიმო სადილი გამართა საქართველოს მთავარმართებელმა.[275] საქართველოს ეკლესიაში ახალი მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით ჩატარებული ასეთი პომპეზური ღონისძიებებით რუსეთმა ფაქტიურად იზეიმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლებად, რუსეთი იმპერატორმა უწმინდესი სინოდის წარდგინებით, თითქმის უცვლელად დაამტკიცა ის სასულიერო პირები, რომლებიც ადრე სასულიერო დიკასტერიის წევრები იყვნენ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარედ დაინიშნა ვარლამ ერისთავი – ეგზარქოსი მცხეთისა, თბილისისა და ქართლის მიტროპოლიტი; წევრებად: თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) დოსითეოსი (ფირცხელაური); ათანასე (პეტრიაშვილი) – ქვათახევის არქიმანდრიტი; ელეფთერი (ზუკაკიშვილი) – თელავის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის არქიმანდრიტი; იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილი – თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი; დიმიტრი ალექსიძე – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორად დაინიშნა სასულიერო დიკასტერიის ყოფილი პროკურორი ვასილ ჭილაძე. იგი ცდილობდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა მოსკოვის სინოდალური კანტორის მსგავსად მოწყობილიყო, რაზეც მან უარი მიიღო. მასვე სურდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლებს ხელფასი საეკლესიო შემოსავლებიდან მიეღოთ, რის წინააღმდეგ ეგზარქოსი ვარლამი წავიდა. ჯვარის მამის ეკლესიის ეზოში არსებული შენობა საკმარისი არ იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქციონერებისათვის, პროკურორი ვასილ ჭილაშვილი მოითხოვდა, რომ კანტორისათვის სახელმწიფოს ხარჯზე აშენებულიყო ცალკე შენობა, რაზეც თანხმობა განაცხადა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა და დასძინა, რომ შენობა უნდა აშენებულიყო კანტორის თანამშრომელთა მითითებულ ადგილზე. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ნება დართო დაენიშნა თანამშრომლები კანტორის მდივნების გარდა. ვასილ

275 Н. Покровский, Несколько страниц из истории грузинской церкви, Прибавление к Духовному вестнику грузинского экзархата, 1894, №19, გვ. 407-410.



საქართველოს ეგზარქოსის
რეზიდენცია



საქართველო-იმერეთის
სინოდალური კანტორა

ჭილაძე პროკურორობის დროს ზრუნავდა დანგრეული და გაპარტახებული ეკლესია-მონასტრების აღდგენისათვის და ამისათვის საჭირო თანხების გამოყოფასაც ითხოვდა. იგი მაქსიმალურად ცდილობდა ახალი საეკლესიო გადასახადების გამოვლენას, რომ ამით გაზრდილიყო საეკლესიო შემოსავლები, რომ იგი ისევ ეკლესიის წინსვლას მოხმარებოდა.[275]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლები საქართველოს ეგზარქოსთან ერთად თავდაპირველად განთავსებული იყვნენ თბილისის სიონის ტაძრის მახლობლად მდებარე ჯვარის მამის ეკლესიის ეზოში არსებულ შენობაში. შემდგომ სასულიერო უწყებამ 1821 წლის მარტში 7010 მანეთად და 46 კაპიკად შეიძინა ფრანგი ჟან ლუი პოლიკატეტის ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართულზე განთავსდა სინოდალური კანტორა, პირველ სართულზე კი уездное приходское училище. XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ეგზარქოსისათვის შეიძინეს თბილისის გუბერნატორისათვის განკუთვნილი ახლადაგებული შენობა. საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქივისათვის ცალ-ცალკე სახლები იქნა ნაყიდი, რომელშიც საქართველოს ეკლესიების შემოსავლებიდან გადახდილ იქნა 27149 მანეთი და 4 კაპიკი. ამავე პერიოდში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა განთავსდა თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში, შემდეგ კი იგი გადავიდა საქართველოს საეგზარქოსოს გვერდით მდებარე შენობაში. ქალაქ თბილისის მმართველობამ საქართველოს საეგზარქოსოს წინამდებარე ტერიტორიას ეგზარქოსის მოედანი უწოდა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას რეორგანიზაციის შედეგად ეკლესიაში შემოღებული მართვის ახალი სისტემის „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის" შესახებ, რომლის რუსული სახელწოდება არის „Грузинского–имеретинская синодальная контора." კანტორის აღნიშნულ დასახელებაში არსებულ სიტყვაში „საქართველო" ცარისტული რუსეთი გულისხმობდა არა ზოგადად საქართველოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს. ქვეყნის დანარჩენ კუთხეებს (იმერეთს, საეგრელოს, გურიას, აფხაზეთს) ისინი საქართველოდ არ მიიჩნევდნენ და მათ მოიხსენიებდნენ იმე-

276 ლ. კიკნაძე, ვასილ ჭილაძე ახალი სახელი ქართულ ლექსიკოლოგიაში, თბ., 2015, გვ. 47.

რეთად, სამეგრელოდ, გურიად, აფხაზეთად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით სწორადაა მიჩნეული, რომ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ნაბიჯები იყო: ტერმინების Грузия და Грузин სემანტიკათა მიზანმიმართულად დავიწროებულად ხმარება, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში არა სრულიად საქართველოსა და ზოგადად ქართველის, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ნაწილისა და მის მკვიდრ ქართლელ-კახელთა აღსანიშნავად, ხოლო საქართველოს დანარჩენ მხარეთა მცხოვრები ქართველების ცალკე ეროვნებებად და ხალხებად აღრიცხვა."[277] კანტორის რუსული სახელწოდება „Грузинского-имеретинская синодальная контора" ფაქტიურად „ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და ქართველი ერის ერთიანობის საწინააღმდეგოდ" იყო მიმართული. აქედან გამომდინარე, სავსებით სწორად აღნიშნავენ, რომ იგი უნდა ითარგმნოს ქართულად არა როგორც „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა," არამედ „საქართველოს სინოდალურ კანტორად," ანდა „ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორად."[278] ასეთი მართებული შენიშვნის მიუხედავად, ჩვენ თარგმანის ისევე ძველ ფორმას ვხმარობთ, რადგან ამით ხაზს ვუსვამთ და მივანიშნებთ რუსეთის ცარიზმის ანტიქართულ ქმედებას.

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტის აღნიშვნაც, დოსითეოს მთავარეპისკოპოსის მიერ შედგენილი პროექტით ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის მართვა, ერთი შეხედვით, თითქოს მოსკოვის სამიტროპოლიტოს მსგავსად იყო მოწყობილი. ეს მსგავსება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველოში ეკლესიის სამართავად დაასრდა მოსკოვის სამიტროპოლიტოსთან არსებული სინოდალური კანტორის მსგავსი დაწესებულება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულებით იგი განსხვავდებოდა, ხოლო უფლებამოსილებით დიდად ჩამორჩებოდა მოსკოვის სამიტროპოლიტოსთან არსებულ სინოდალურ კანტორას. ამ უკანასკნელს თავმჯდომარე არ ჰყავდა, ხოლო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე ეგზარქოსი იყო. მოსკოვის მიტროპოლიტი, რომელსაც რუსეთის უწმინდეს სინოდში პირველხარისხოვანი ადგილი ეკავა, სინოდალური კანტორის სხდომებს არ ესწრებოდა. საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც მუდმივი მეოთხე ადგილი ეკავა რუსეთის უწმინდეს სინოდში, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე იყო და იგი წარმართავდა მის სხდომებს. ამასთანავე, საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-

277 თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის გავრცელების საშუალება, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 100.

278 თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის გავრცელების საშუალება, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 100.

იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქციები ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. გარდა ამისა, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ისეთ საკითხებს იხილავდა (ჯვრისწერა, განქორწინება და სხვ.), რომელიც მოსკოვის სინოდალური კანტორის ფუნქციებში არ შედიოდა.[279] მოტანილი მასალა აშკარად მეტყველებს, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა საგრძნობლად განსხვავდებოდა მოსკოვის სინოდალური კანტორისაგან.

რუსეთის ხელისუფლების სურვილი იყო გარეგნული ფორმით მაინც დამსგავსებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა მოსკოვის სინოდალურ კანტორას. ამ მიზნით, ობერ-პროკურორი ალექსანდრე გოლიცინი, ჯერ კიდევ, მის ოფიციალურ გახსნამდე, რუსეთის ხელისუფლების წინაშე წინადადებას აყენებდა, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომის დარბაზი მოსკოვის სინოდალური კანტორის მსგავსად მოეწყოთ. სხდომის დარბაზში უნდა მდგარიყო მაგიდა, რომლის უკან, ზემოთ კედელზე რუსეთის იმპერატორის სურათი იქნებოდა მოთავსებული, მაგიდის თავში დაიდგმებოდა ბარხატით მორთული იმპერატორის ტახტი, რომლის თავში მოთავსებული იქნებოდა რუსეთის გერბი. მოსკოვის სინოდალური კანტორის სხდომათა დარბაზში არსებული საიმპერატორო ტახტი რუსეთის ხელისუფლების სიძლიერის გამოხატულებას წარმოადგენდა და ხაზგასმა იყო იმისა, რომ იმპერიული სახელმწიფოს ეკლესია მეფის ძალაუფლების გამტკიცებას ემსახურებოდა. ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინის აღნიშნული წინადადება მოიწონა მინისტრთა კომიტეტმა და რუსეთის იმპერატორმა მის შესასრულებლად საგანგებო განკარგულებაც გასცა. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევს მითითება მისცა, სისრულეში მოეყვანა აღნიშნული გადაწყვეტილება, მაგრამ მას გარკვეული სიძნელეები შეხვდა დავალების შესრულების დროს.[280]

საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა სამეფო ტახტის დადგმის თაობაზე. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საზეიმო გახსნამდე ორი სხდომა მიეძღვნა აღნიშნულ საკითხს. საქართველოს მთავარმართებლის თანხმობის შემთხვევაში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრებს სურდათ სხდომათა დარბაზში დაედგათ სამეფო სავარძელი, რომელიც იმპერატორ პავლე პირველს თავის დროზე უჩუქებია მეფე გიორგი მეთორმეტისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა საქართველოს მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი, რადგან მას შეუფერებლად მიაჩნდა რუსეთის იმპერატორის ტახტის ნაცვლად კანტორის შენობაში საქართველოს მეფის კუთვნილი ტახტი დადგმულიყო. აღსანიშნავია, რომ მოსკოვის სინოდალურ კანტორაში სიმბოლურად არსებული საიმპერატორო ტახტი ყოველთვის ცარიელი იყო, რადგან მის თავმჯდომარედ არავინ ითვლებოდა და ბუნებრივია, მასზე არავინ ჯდებოდა, ხოლო საქართველო-იმერეთის სინო-

279 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, ანაწ. 1, საქმე 20, ფურცელი 2.

280 Акты, т. 6, часть 1, стр. 362.

დალურ კანტორაში დადგმული ტახტი უნდა დაეკავებინა მის თავმჯდომარეს, საქართველოს ეგზარქოს ვარლამ ერისთავს. აღნიშნული ფაქტი მიუღებელი ჩანდა რუსეთის ხელისუფლებისათვის, რადგან, მათი აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებიდან დიდი დრო არ იყო გასული და ქართველ ხალხში ჯერ კიდევ წაშლილი არ იყო სამეფო ხელისუფლებისადმი სიყვარული. ეს კარგად გამოჩნდა იმ ფაქტიდანაც, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა იმ დროინდელ თბილისის მაცხოვრებლებს შორის სასწრაფოდ გავრცელდა და მათ გასჩენიათ სურვილი სამეფო ტახტის აღდგენისა. როგორც მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, თბილისის მოსახლეობის აღნიშნული განწყობა შემაშფოთებელი გამხდარა საქართველოს რუსული საერო ხელისუფლებისათვის. ეს შეშფოთება იმ დროს გაძლიერებულა, როცა რუსეთის წინააღმდეგ გააქტიურებულა თურქეთი, ხოლო ირანში გადახვეწილი ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე საქართველოში შემოჭრას აპირებდა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში დადგმულიყო სამეფო ტახტი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო. იგი სთხოვდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ მისი ეს მოსაზრებანი გაეზიარებინათ.[281] საქართველოს მთავარმართებლის ნიკოლაი რტიშჩევის აღნიშნულ შეხედულებას რუსეთის ხელისუფლება გულისყურით მოეკიდა და მათი გადაწყვეტილებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომათა დარბაზში ტახტი არ დაიდგა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დარბაზში სიმბოლურად თვით რუსეთის იმპერატორის ტახტის არსებობა ხელისუფლების მიერ მიუღებლად იქნა მიჩნეული. ალბათ იმის გამო, რომ ქართველ ხალხს არასოდეს არ უნდა გასჩენოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და უკანონოდ წართმეული ავტოკეფალიის აღდგენის სურვილი. აშკარად ჩანს, რომ რუსი მოხელეები და თვით საიმპერატორო კარიც საქართველოში სინოდალური კანტორის მოწყობის საკითხს რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელებასთან აკავშირებდნენ. ეს გამოკვეთილად ჩანს 1816 წლის 23 იანვარს საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი მიმართვიდან. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას არ უნდა მიენიჭოს დიდი უფლებები, რადგან ეს ხალხი იარაღის ძალით დაპყრობილია და ერთგულებას ჯერ შეჩვეული არაა.[282]

პირველ ხანებში საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას არავითარი დებულება არ გააჩნდა. იგი მხოლოდ იმპერატორისა და რუსეთის უწმიდესი სინოდის განკარგულებებით მოქმედებდა. თავდაპირველ ეტაპზე რუსულ ენაზე შედგენილი აღნიშნული განკარგულებების ქართულად თარგმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიის ქართული

281 Акты, т. 5, стр. 435.

282 Акты, т. 5, стр. 435.

ენის მცოდნე თარჯიმნის მეშვეობით ხებოდა, რათა ეპარქიის მმართველ ქართველ სასულიერო პირებს ენის უცოდინრობის გამო შესძლებოდათ მისი გაგება. შემდგომ ეტაპზე საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოს საეგზარქოსოსა და მის კანცელარიაში საქმის წარმოება, მიმოწერა მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებში და რუსეთის უწმინდეს სინოდთან ურთიერთობა ძირითადად რუსულ ენაზე ხდებოდა.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა დაარსებისთანავე შეუდგა აქტიურ საქმიანობას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მან დიდი დრო დაუთმო ეკლესია-მონასტრების, სასულიერო პირებისა და საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვას. რუსეთის ეპარქიების მსგავსად საქართველოში შემოღებული იქნა მეტრიკული წიგნები, რომლის გარეკანზე ბეჭდურად აღნიშნული იყო „მეტრიჩესკის წიგნი მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესი კანტორიდგან." გარეკანზევე ხელით იყო მიწერილი მაზრის სახელწოდება სოფლისა და ეკლესიის მითითებით. შემდეგ ტექსტი გრძელდება „ეკლესიასა შინა, ჩასაწერელად დაბადებულთა, ქორწინებით, შეუღლილთა და გარდაცვალებულთათასა." დიდი ფორმატის მეტრიკული წიგნები სამი განყოფილებისაგან შედგება. განყოფილების პირველ ნაწილში მოცემულია ჩანაწერი ნათლობის; მეორე ნაწილში – ქორწინების; მესამე ნაწილში – გარდაცვალებულთა წესის აგების შესახებ. მეტრიკული წიგნების შევსება ხდებოდა საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა ეკლესიაში. ჩანაწერს ხელს აწერდნენ მღვდელი და ამავე ეკლესიის დიაკონი, რომლებიც საეკლესიო მსახურებას აღასრულებდნენ. თითოეულ ეკლესიაში მეტრიკული წიგნების ორ ცალად ივსებოდა. შევსების დასრულების შემდეგ ხელმოწერილი დედანი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში იგზავნებოდა. მისი ასლი ადგილზე, ეკლესიაში რჩებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში წარსადგენ დედნის ბოლოში აუცილებელი იყო აღნიშნულიყო, რომ მისი ასლი ეკლესიაში ინახებოდა. მეტრიკული წიგნების შევსების სისწორეს ამოწმებდა ბლაღოჩინი (კეთილმოწესე), დედანსა და ასლს უდარებდა ერთმანეთს, შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში ახდენდა მის ჩასწორებას, აწერდა ხელს და ხელმოწერას ბეჭდის დასმით ადასტურებდა. დასრულებული მეტრიკული წიგნი მარჯვენა ქვემო კუთხეში სპეციალური თოკით შეიკვრებოდა, რომლის ბოლოები ბეჭედდასმული ლუქით იბეჭდებოდა. თითოეულ წელზე გათვლილი იყო თითო მეტრიკული წიგნი. თუმცა ზოგჯერ ერთ წიგნში ორი-სამი წლის ჩანაწერია მოცემული.

მრევლის ნებისმიერ წევრს თავის ოჯახის წევრის შესახებ, ინფორმაციის მიღების მიზნით, შეეძლო მღვდლისათვის მოეთხოვა ეჩვენებინა შესაბამისი ჩანაწერი. ჩანაწერში თუკი რაიმე შეცდომა იყო მღვდელი ხელმოწერით შეიტანდა შესაბამის შესწორებას. მრევლს შეეძლო მეტრიკული წიგნებიდან მიეღო ამონაწერის ოჯახის წევრის ნათლობის, გარდაცვალების, დასაფლავებისა და დაბადების შესახებ. შესაბამისი მასალა მეტრიკული წიგნიდან სიტყვა-სიტყვით ამოიწერებოდა, დამსწრე პირების მონაწილეობით ხდებოდა

ამონაწერზე ეკლესიის ბეჭედის დასმა.[283] მეტრიკული მოწმობების გაცემა ხდებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მეტრიკული წიგნები აღმოსავლეთ საქართველოში შემოიღო 1818 წლიდან, დასავლეთ საქართველოს ეპარქიებში კი 1826 წლიდან. მეტრიკული წიგნების შევსება ხდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც. თუმცა მას ამ დროს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. ბოლო ჩანაწერი 1921 წლით თარიღდება. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამდე (1917 წლის 12/25 მარტი) მისი შევსება სავალდებულო იყო და კანონმდებლობის მოთხოვნებით სრულდებოდა.

მეტრიკული წიგნების ჩანაწერები თავდაპირველად ქართულ ენაზე ხდებოდა. უფრო მეტიც, მეტრიკული წიგნის ზოგიერთი ბეჭდური ტექსტები ნუსხა-ხუცურით არის წარმოდგენილი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბეჭდური ტექსტები და ხელით ჩანაწერები უმეტესობა რუსულ ენაზე არის შესრულებული. 1899 წლიდან თითქმის ყველა მეტრიკული წიგნები რუსულ ენაზეა შევსებული და მცირე ცვლილებებია შეტანილი მონაცემების წარმოდგენის დროს. სასულიერო პირების დიდი ნაწილი მოითხოვდა, რომ მეტრიკული წიგნების შევსება მომხდარიყო ქართულ ენაზე. 1905-1910 წლებში, როგორც ჩანს, ამ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, მეტრიკული ჩანაწერების უმეტესობა ქართულ ენაზე არის შესრულებული. 1911 წლიდან კი მეტრიკული წიგნების უმრავლესობა ისევ რუსულ ენაზე ივსებოდა.

მეტრიკულ ჩანაწერებში მოცემულია ცნობები ახალშობილთა დაბადების, ნათლობის, ჯვარდაწერილების და გარდაცვლილთა შესახებ. მეტრიკულ წიგნებში თითოეულს ცალკე გვერდი ეთმობა. მეტრიკული წიგნის პირველი განყოფილების ჩანაწერი საინტერესო ცნობებს გვაძლევს ბავშვთა სქესის, დაბადების წლისა და თვის მითითებით და სახელის აღნიშვნით. აქვე მოცემულია ცნობები მათი მშობლების შესახებ (სახელი, სოციალური მდგომარეობა) აღმსარებლობის მითითებით. ამავე განყოფილების ცალკე გრაფაში დაფიქსირებულია ნათლობის თარიღი, ნათლობის მოწმეთა იგივე მიმრქმელთა სახელი, გვარი, მამის სახელი მათი აღმსარებლობის მითითებით. აქვე აღნიშნულია თუ რომელმა სასულიერო პირმა აღასრულა საიდუმლო დიაკონთან ერთად, რაც მათი ხელმოწერით დასტურდება. მეტრიკულ წიგნში ცალკე არის გამოყოფილი ქორწინების განყოფილება, რომელშიც აღრიცხულია ჯვარდაწერილთა რაოდენობა, სახელის, გვარის, მამის სახელის, ასაკისა და აღმსარებლობის ჩვენებით. აქვე მოცემულია ახლადდასაქორწინებელთა „თავდები" იგივე მიმრქმელთა გვარი, სახელი, აღმსარებლობა, რომლებიც თავიანთ მონაწილეობას ამ საიდუმლოებაში ხელმოწერით ადასტურებენ. ცალკეა აღნიშნული საიდუმლოს აღმსრულებელი სასულიერო პირისა და მედავითნის სახელი და გვარი.

283 წესდებულება სასულიერო კონსისტორიათა, თარგმნილ არს რუსულიდგან ქართულად „მწყემსის" რედაქტორის ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან, თფ., 1885, გვ. 105.

მეტრიკული წიგნის მესამე განყოფილებაში მოცემულია ცნობები გარდაცვლილთა რაოდენობის, ვინაობის, სქესის, ასაკის, გარდაცვალების მიზეზის აღნიშვნით, რომელმა სასულიერო პირმა მიიღო აღსარება, ვინ აზიარა, ვინ აუგო წესი და რომელ სასაფლაოზე დაკრძალეს.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა მეტრიკული წიგნების შევსებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბლაღოჩინები მის ჩანაწერებს მკაცრად აკონტროლებდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული უზუსტობები მაინც შეინიშნება სოფლის სახელების, გვარების და სხვათა შესახებ. მიუხედავად ამისა, მეტრიკული წიგნები ბევრ და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს XIX-XX საუკუნის პირველი ოცეულის გენიალოგიური, ეთნოლოგიური და სხვა პროცესების შესახებ. ამის დასადასტურებლად იმის აღნიშვნაც კმარა, რომ XIX საუკუნის 20-50 –იან წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის" მიერ ჯავისა და კუდაროს ხეობაში არსებულ ეკლესიების მეტრიკული ჩანაწერებით დასტურდება, რომ 1830 წლის მონაცემებით ჯავა და მისი მთიანი ნაწილი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული.[284]

გარდა მეტრიკული წიგნებისა, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ შეადგინა ჩანაწერები, რომელშიც მოცემული იყო თითოეული საერო ეკლესიის ღვთისმსახურთა (მღვდელი, დიაკონი, წიგნის მკითხველი) ბიოგრაფიები და ამ ეკლესიათა მოკლე ისტორია, აქ დაცული წმინდა ნაწილები და სხვა. მათ ეწოდებოდა ეკლესიების სამსახურებრივი ნუსხები და უწყებები (клировыя ведемости ან посужные списки и ведомости о состояний церквей). ცალკე არსებობდა მონასტრის ღვთისმსახურთა მონაცემები, რომელიც აღნუსხნული იყო წიგნში „მონასტრების, წინამძღვრების და ბერ-მონაზონთა სამსახურებრივი ნუსხები და უწყებები" („посужные списки о настоятелях монастырей и о монашествующихь"). აღნიშნულ წიგნში მოცემულია მონასტრის ისტორია, სასულიერო მოსამსახურეთა, მღვდელმთავართა ბიოგრაფიები; საინტერესო ცნობებია მონასტრებში დაცული სიწმინდეების შესახებ და სხვა. ისე როგორც მეტრიკულ ჩანაწერებს, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ მასალებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

უმაღლესი სასულიერო უწყების მოთხოვნით ყველა ეკლესიაში არსებობდა მრევლის აღსარებისა და ზიარების სიის აღრიცხვის ჟურნალები, რომელსაც მოძღვარი ავსებდა და მისი ერთი პირი ეპარქიაში უნდა წარდგენილიყო. მათი შემოწმება ხდებოდა ბლაღოჩინების მიერ. გარკვეულ ეპიტიმია ედებოდა იმ პიროვნებებს, რომლებიც მოძღვრის რჩევა-დარიგებებს უგულვებელყოფდნენ ანდა უარს ამბობდნენ აღსარების თქმაზე ან არ ეზიარებოდნენ. ვინც შეგონებას არ შეისმენდა, სინანულში არ ჩავრდებოდა და არ შეასრულებდა თავის ქრისტიანულ მოვალეობას, მაშინ მის საკითხს სამოქალაქო მმართველობა განიხილავდა.[285]

284 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 6, საქმე №120.

285 წესდებულება სასულიერო კონსისტორიათა, თარგმნილ არს რუსულიდგან ქართულად

რუსეთის უწმინდესი სინოდის მკაცრი მითითებით საქართველოს მთავარმართებელს და სხვა საერო ხელისუფალთ უფლება არ ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მართვა-გამგეობაში. ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, ისინი (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პირველ პერიოდში), აქტიურად ერეოდნენ მის საქმიანობაში. ამ მხრივ, გამოირჩეოდა მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი და სხვები.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი რთული სიტუაციის გამო მცირე კორექტივი იქნა შეტანილი ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ქუთაისში უნდა გახსნილიყო სასულიერო დიკასტერია, რომელსაც გურია-სამეგრელოს ეპარქიებიც დაემორჩილებოდა.[286] დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების, ქუთაისში სასულიერო დიკასტერიის გახსნის განზრახვისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსების გამო ამ კუთხის სასულიერო პირები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო აგრეთვე სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი და გურის მთავარი მამია გურიელი, რომელთაც იმპერატორისაგან საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობის უფლება ჰქონდათ მინიჭებული. მართალია, ახალი საეკლესიო კანონმდებლობით დასავლეთ საქართველოს ეპარქიები დროებით იმავე მდგომარეობაში რჩებოდა, მაგრამ ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საეკლესიო ქონების აღწერისა და აკრეფილი გადასახადების სახელმწიფო ხაზინაში გადატანის გამო და ეს მიაჩნდათ იმპერატორისაგან მინიჭებული უფლების დარღვევად. გურიისა და სამეგრელოს უკმაყოფილო მთავრებმა თბილისში საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევთან მიავლინეს თავიანთი დეპუტაცია და მოითხოვეს, მათ სამთავროს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ქონება და მიწები დატოვებული ყოფილიყო უწინდელ მდგომარეობაში. იმავდროულად იმერეთის წარჩინებულმა სამღვდელოებამ საეკლესიო აზნაურებთან ერთად დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელ საეკლესიო გარდაქმნებთან დაკავშირებით წერილობითი საპროტესტო მიმართვა იმერეთის იმდროინდელ მმართველ ფიოდორ სიმონოვიჩის მეშვეობით გაუგზავნეს საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევს. ამ უკანასკნელს კი მათი მიმართვა უნდა წარედგინა რუსეთის იმპერატორის წინაშე. დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო პირთა უკმაყოფილება დაემთხვა იმ დროისათვის ამიერკავკასიაში რუსეთისათვის შექმნილ არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას. თურქეთის აღმოსავლეთის მხარის მთავარსარდალმა ფეხლევან ფაშამ მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევს 1815 წელს კატეგორიულად მოთხოვა დასავლეთ საქართველოს გადაცემა ოტომანთა იმპერიისათვის. ამ მოთხოვნასთან ერთად თურქეთის ჯარის ორი შენაერთი საქართველოს საზღვრების ახლოს

„მწყემსის" რედაქტორის ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან, თფ., 1885, გვ. 67.

286 ე.ბუბულაშვილი, დასავლეთ საქართველოს სასულიერო სკათალიკოსოს გაუქმება და მისი რეორგანიზაცია, შსს აკადემიის სამეცნიერო შრომები, III, თბ., 2001, გვ. 161.

განლაგდა. შექმნილ რთულ სიტუაციაში საქართველოს მთავარმართებელმა გადაჭრით უარით ვერ უპასუხა გურია-სამეგრელოს მთავრებისა და იმერეთის სამღვდელოების მოთხოვნას. ნიკოლაი რტიშჩევისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და უარის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, მათი წაქეზებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ოსმალთა მოთხოვნებისათვის დაეჭირა მხარი. ასეთი სიტუაციაში მყოფი საქართველოს მთავარმართებელი მათ დაპირდა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა მათ მოთხოვნებს.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების შესწავლის მიზნით 1815 წლის ზაფხულში საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევს მოუვლია თურქეთთან გამავალი საზღვარი. იგი მოგზაურობის დროს შეხვედრია იმერეთის წარჩინებულ სამღვდელოებას და გურია-სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც, როგორც თვით მთავარმართებელი აღნიშნავს, დაარწმუნა საეკლესიო რეფორმების აუცილებლობაში. 1816 წლის იანვარში რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი აღნიშნავს, რომ იმერეთის სამღვდელოებასა და აზნაურებს ვერ წარმოუდგენიათ ჩამოერთვათ ის საეკლესიო ქონება, რომელიც მათ მიიღეს შემოწირულობების სახით, რომლის სანაცვლოდ მხოლოდ ხელმწიფისაგან დანიშნული ჯამაგირით იარსებონ. აღნიშნულის გამო, იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლებმა საქართველოს მთავარმართებელთან შეხვედრის დროს დაუფარავად განაცხადეს, რომ მოსალოდნელი საეკლესიო ცვლიბებების გამო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში შესაძლებელია წარმოიშვას ანტირუსული განწყობილება და მათ მხარი თურქეთს დაუჭირონ. მეორე მხრივ, მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს ატყობინებდა, რომ სამეგრელოსა და გურიის მთავრები, მართალია, ერთგულნი არიან რუსეთის ხელისუფლების, მაგრამ მათაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათ ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრების ქონება, რომელსაც ფაქტიურად ისინი განაგებენ, სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადდეს. ამ ფაქტს ისინი მიიჩნევდნენ საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად და დარღვევად იმ უფლებებისა, რომელიც ებოძათ რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით სამთავროებს აქვთ თავიანთი ქონება და თვითმმართველობის უფლება.[287]

დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გაცნობის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა საქართველოს მთავარმართებელმა აღნიშნულის შესახებ ვრცელი მოხსენებით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას და მის წევრებს სთხოვა, სათანადო გადაწყვეტილება გამოეტანათ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებით ქუთაისში ჯერ-ჯერობით არ უნდა დაარსებულიყო სასულიერო დიკასტერია, რადგან კანტორას საჭირო თანხები არ გააჩნდა მის დასაფინანსებ-

287 Акты, т. 5, стр. 436.

ლად. აღნიშნულის შესახებ ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი, ჯერ კიდევ, 1815 წლის ოქტომბერში იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ადგილობრივ სამრევდელოებასა და თავადაზნაურობის შეხედულებათა გათვალისწინებით იმავე წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ქუთაისში სასულიერო დიკასტერიის დაარსება.[288] ამ მოხსენების საფუძველზე ქუთაისში სასულიერო დიკასტერია გაუქმდა ისე, რომ მას მუშაობაც არ დაუწყია. ახალი გადაწყვეტილებით დასავლეთ საქართველოს სასულიერო საქმეების გამგებლობა გადაეცა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით ადგილობრივ მღვდელმთავრებს დაევალათ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო მამულების შესახებ ვრცელი მოხსენება უნდა წარედგინათ კანტორაში. აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულებისას საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა იმერეთის სამღვდელოებისა და გურია-სამეგრელოს მთავრების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. იმერეთის სამღვდელოებამ განმეორებით თხოვნა გაუგზავნა საქართველოს მთავარმართებელს, ხოლო გურია-სამეგრელოს მთავრებმა ისევ მიავლინეს თავიანთი დეპუტაცია მასთან. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარმართებელი მოერიდა მათი მოთხოვნების საწინააღმდეგო პასუხის გაცემას და როგორც თვითონ აღნიშნავდა: „თანახმად სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებისა, რომელმაც აღიარა, რომ ქუთაისში ეხლა სასულიერო დიკასტერიის გახსნა შეუძლებელია, მათ მოთხოვნას ვუპასუხე, რომ სანამ იმერეთში ახალი სამოქალაქო მმართველობის ფორმა არ იქნება მოწყობილი, მანამდე გადავადდება სასულიერო დიკასტერიის გახსნა და აგრეთვე ეპარქიების საეკლესიო ქონება დარჩება იმავე მდგომარეობაში, როგორც აქამდე იყო." [289] მანვე გურიისა და სამეგრელოს დეპუტაციას განუცხადა, რომ მათი უფლებების დაცვის მიზნით სამთავროების ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო სამფლობელოები სამუდამოდ ხელშეუხებელი იქნებოდა.[290]

საქართველოს მთავარმართებელმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მმართველობის მოწესრიგების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგა. საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ დიდი ანარქია დამკვიდრდა საეკლესიო მმართველობაში. აღარ არსებობდა ერთიანი საეკლესიო ცენტრი. ცალკეული ეპარქიები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ანარქიის აღკვეთის მიზნით საქართველოს მთავარმართებელმა ნიკოლაი რტიშჩევმა იმერეთის უპირველეს მიტროპოლიტს დოსითეოს ქუთათელს სთხოვა, რომ მის დაქვემდებარებაში მოქცეულიყო დასავლეთ საქართველოში არსებული ყვე-

288 Акты, т. 5, стр. 415-416.

289 Акты, т. 5, стр. 415-416.

290 Акты, т. 5, стр. 415-416.

ლა საეპისკოპოსო. მიტროპოლიტი დოსითეოსი ვალდებული იყო, დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიების მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარედგინა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში. საქართველოს ეგზარქოსი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მოხსენების საფუძველზე კი თავის აზრს მოახსენებდა რუსეთის უწმინდეს სინოდს.

საქართველოს მთავარმართებელმა ნიკოლაი რტიშჩევმა ბევრი იშრომა იმისათვის, რომ გურია-სამეგრელოს მთავრები დაეთანმხებინა იმის შესახებ, რომ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოები დაქვემდებარებოდა მიტროპოლიტ დოსითეოს ქუთათელს. დასავლეთ საქართველოს მთავრები ასეთ ურთიერთობაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ, როდესაც მიიღეს დასტური, რომ საეკლესიო ქონებიდან მიღებული შემოსავალი მათ მფლობელობაში რჩებოდა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი (ეკლესიების კეთილმოწყობა, საეკლესიო გადაწყვეტილებათა შესრულება, საეკლესიო პირთა კურთხევა) დოსითეოს მიტროპოლიტისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გარეშე არ უნდა მომხდარიყო. დადგენილების მიხედვით მხოლოდ სინოდალური კანტორის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო სასულიერო პირთა კურთხევა. აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილობრივ მღვდელმთავრები და არქიმანდრიტები ვალდებული იყვნენ სასულიერო პირთა კურთხევისათვის დასტური საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან მიეღოთ. თავის მხრივ, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორაც ერთპიროვნულად არ იყო უფლებამოსილი თანხმობა მიეცა სამღვდელო პირის კურთხევის. იგი ვალდებული იყო აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის. სასულიერო პირთა კურთხევა იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი რუსეთის უწმინდესი სინოდის თანხმობასთან ერთად იგი დამტკიცებული იქნებოდა რუსეთის იმპერატორის მიერ.[291]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ მძიმე ეკონომიკური პირობების და რთული პოლიტიკური საერთაშორისო ვითარების გამო რუსმა მოხელეებმა უარი თქვეს ქუთაისში სასულიერო დიკასტერიის გახსნაზე. დიკასტერიის სანაცვლოდ 1814 წლის 17 ოქტომბერს მთავრობის გადაწყვეტილებით ქუთაისში შეიქმნა იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, რომელიც იმპერატორმა 1821 წლის 19 ნოემბერს რუსეთის სინოდის მოხსენების საფუძველზე დაამტკიცა.[292]

რახან ქუთაისში სასულიერო დიკასტერია არ შექმნილა, შესაბამისად გარკვეული ცვლილება მოხდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შემადგენლობაში. კანტორის შემადგენლობაში მყოფი სამი არქიმანდრიტიდან ორი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი იყო, ხოლო ერთი – დასავლეთ საქართველოსი.[293]

---

291 Акты, т. 5, стр. 415-416.

292 გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ.), ქუთაისი, 1999, გვ. 232; შდრ. გ. ვაჭრიძე, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში (XIX ს-ის მეორე ნახევარი), სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი," 2003, I, გვ. 65.

293 РГИА, ф. 1263, оп. 962, дд. 348.

საქართველოში მიმდინარე საეკლესიო გარდაქმნებით რუსეთის ხელისუფლება კმაყოფილი არ იყო, რის გამოც ეგზარქოსობისაგან გაათავისუფლეს მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი და 1817 წლის 14 მაისს მის მაგივრად დანიშნეს რიაზანის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821). მას საქართველოში ჩამოსვლამდე რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაევალა ეკლესიის რეორგანიზაციის დაჩქარება და ქართულ სინამდვილეში რუსული საეკლესიო წესების დამკვიდრება. 1817 წლის 31 აგვისტოს, თბილისში ჩამოსვლისთანავე, მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ დაიწყო ზრუნვა შედარებით უკეთესი საეკლესიო მმართველობის დამკვიდრებისათვის. მან დაწვრილებითი ცნობები მოიძია ეკლესია-მონასტრების იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ. მისი ჩამოსვლის დროს აღმოსავლეთ საქართველოს სამ ეპარქიაში არსებულ 25 მონასტერს 11 წინამძღვარი ემსახურებოდა. სამრევლო ეკლესიების რიცხვი 769 შეადგენდა, დეკანოზებისა და მღვდლების რაოდენობა – 643; დიაკვნები – 76, წიგნის მკითხველი – 89. საეკლესიო კარმიდამოების რაოდენობა იყო 100083. ახლადდანიშნულმა ეგზარქოსმა დასავლეთ საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრების, სასულიერო პირთა რაოდენობისა და საეკლესიო ქონების შესახებ ცნობები ვერ მოიპოვა. 1818 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის საფუძველზე იგი რუსეთის უწმინდეს სინოდს მოახსენებდა, რომ იმერეთში არსებობდა ეკლესია-მონასტრებზე მიწერილი 2176 კომლი საეკლესიო გლეხი.[294] საეკლესიო მამართველობის გაცნობის შემდეგ ეგზარქოსმა თეოფილაქტემ რუსეთის უწმინდეს სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში გამოთქვა თავისი მოსაზრება ეპარქიების რაოდენობის შემცირების, ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობის, სასულიერო განათლებისა და საეკლესიო რეორგანიზაციის შესახებ. იგი უვარგისად მიიჩნევდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართავად 1814 წელს დაარსებულ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას და რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე წინადადებას აყენებდა გაეუქმებინათ, და მის ნაცვლად აღედგინათ ჯერ კიდევ 1811 წელს დაარსებული სასულიერო დიკასტერია.[295]

საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წინადადებანი დაწვრილებით განიხილა რუსეთის უწმიდესმა სინოდმა. მის მოსაზრებებზე დაყრდნობით 1818 წლის 17 ივნისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა იმპერატორს დასამტკიცებლად. 1818 წლის 28 დეკემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესიის ხელახალი რეორგანიზაციის პროექტს. ეგზარქოს თეოფილაქტეს ყველა მოსაზრება თითქმის გაზიარებულ იქნა, გარდა ერთისა. რუსეთის უწმინდესი სინოდი და თვით იმპერატორი არ დათანხმდა საქართველოს ეგზარქოსის მოსაზრებას, რომ ეკლესიის სამართავად ისევ სასულიერო დიკასტერია შემოეღოთ. ახალი დებულების

294 РГИА, ф. 802, оп. 1, д. 7266, лл. 95.

295 Польное собрание законов российской империи с 1649 года, т. XXXV, 1818, Печатно в топографии II отделения собственной его императорского величества канцелярии, 1830, стр. 655-657.

მიხედვით ეკლესიის მართვა-გამგეობა შემდეგი სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო: „დატოვებულ იქნეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, მაგრამ იგი დამოკიდებელი არ უნდა ყოფილიყო ეგზარქოსზე." ზოგადად განისაზღვრა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქციები. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა უშუალოდ არ უნდა ჩარეულიყო ეპარქიების მმართველობაში. ადგილობრივი მღვდელმთავრები საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით მოახდენდნენ ეპარქიების მართვას. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ეპარქიების საკითხს მათი მმართველი ეპისკოპოსების მიმართვის საფუძველზე განიხილავდა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომის დროს უნდა შედგენილიყო ოქმი მისი წევრების ხელმოწერით. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ანგარიშვალდებული იყო რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე, რომელსაც იგი სხვადასხვა გადასაწყვეტი საკითხის შესახებ წარუდგენდა თავის შეხედულებას.[296]

ახალი რეფორმით აღმოსავლეთ საქართველოში არსებული სამი ეპარქიიდან დარჩა ერთი – ქართლ-კახეთის ანუ, როგორც რუსული წყაროები უწოდებენ საქართველოს ეპარქია. მისი მმართველობა დაევალა საქართველოს ეგზარქოსს. ამავე ეპარქიას დაექვემდებარა გორის სავიკარიუსო, რომლის მმართველად დანიშნა მთავარეპისკოპოსი სტეფანე რუსთველი. ქართლ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ქიზიყის საეპისკოპოსო, რომლის ხელმძღვანელობა სიკვდილამდე დაევალა მიტროპოლიტ იოანეს (მაყაშვილი), იმ დამსახურების გამო, რომელიც მან გასწია რუსეთის ხელისუფლების სასარგებლოდ. იოანე მიტროპოლიტი დამოკიდებული იყო ეგზარქოსზე და თავისი ეპარქიის საქმიანობას მასთან შეთანხმებით წარმართავდა. იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში ახალი კანონმდებლობით თითო-თითო ეპარქია უნდა დარჩენილიყო. რუსეთის უწმინდესი სინოდი ავალებდა საქართველოს ეგზარქოსსა და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რომ დარჩენილი ეპარქიის მმართველი კანდიდატები ადგილებზე შეერჩიათ და წარეგინათ ისინი რუსეთის უწმინდეს სინოდში დასამტკიცებლად. დადგენილებაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ხელფასები და სხვა ხარჯები, რომელიც შეადგენდა 28530 მანეთს ვერცხლით, უნდა გაცემულიყო ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან.[297]

მოგვიანებით, 1824 წლის 7 დეკემბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებით იმპერატორმა დაამტკიცა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ახალი საშტატო ერთეული. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარედ კვლავ ეგზარქოსი რჩებოდა, მაგრამ მისი წევრთა რიცხვი შემცირდა. მასში შედიოდა ორი არქიმანდრიტი, ერთი

296 Польное собрание законов российской империи с 1649 года, т. XXXV, 1818, Печатно в топографии II отделения собственной его императорского величества канцелярии, 1830, стр. 659-660.

297 Польное собрание законов российской империи с 1649 года, т. XXXV, 1818, Печатно в топографии II отделения собственной его императорского величества канцелярии, 1830, стр. 659-660.

ქართლ-კახეთის, მეორე კი იმერეთის. კანტორის წევრი იყო აგრეთვე ერთი დეკანოზი. ცვლილებანი მოხდა სახელფასო ანაზღაურებაში. ადრე არსებული 5000 მანეთის ნაცვლად საქართველოს ეგზარქოსს დაენიშნა 1200 მანეთი; არქიმანდრიტებს 600-600 მანეთი; დეკანოზს – 500 მანეთი. ხელფასების ასეთი შემცირება იმით იყო განპირობებული, რომ საეკლესიო შემოსავლებიდან შემოსული თანხების დიდი ნაწილი ხაზინაში შედიოდა და არამიზნობრივად იხარჯებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან აგრეთვე ჩამოყალიბდა კანცელარია, რომლის თანამშრომლებად ითვლებოდნენ პროკურორი, 2 მდივანი, თარჯიმანი, 4 მაგიდის უფროსი და სხვა.[298]

საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე ენერგიულად შეუდგა ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. ქართლ-კახეთში ეკლესიის რეორგანიზაცია მან უმტკივნეულოდ განახორციელა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმების გატარების დროს იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რასაც 1819-1820 წლებში იმერეთსა და გურიაში მოჰყვა „საეკლესიო ბუნტი." ამ გამოსვლამ საეკლესიო გარდაქმნები შეაფერხა, მისი ჩახშობის შემდეგ იგი იქაც გატარდა.

საეკლესიო რეფორმამდე იმერეთში 4 ეპარქია არსებობდა: ქუთაისის, გელათის, ხონის და რაჭის; სამეგრელოში სამი – ჭყონდიდის, ცაგერის და ცაიშის; გურიაში – ერთი. აჯანყების ჩაქრობის შედმეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით გაუქმდა დასახელებული 4 ეპარქია და მის ნაცვლად დაწესდა ერთი – იმერეთის ეპარქია. მის მმართველად დაინიშნა რაჭის ეპარქიის ყოფილი მმართველი სოფრონი (წულუკიძე), საკათედრო ტაძრად გამოცხადდა ქუთაისის მიძინების ტაძარი.[299]

გარკვეული სიფრთხილით მოეკიდნენ რეფორმების გატარებას სამეგრელოს სამთავროში, რადგან მას ავტონომიის უფლება შენარჩუნებული ჰქონდა და შესაძლებელია, მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. არც ის იყო გამორიცხული, რომ იმერეთში მომხდარი „საეკლესიო ბუნტი," იქაც გავრცელებულიყო. სამეგრელოში რეფორმებთან დაკავშირებით ჩასული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი ათანასე (პეტრიაშვილი), როგორც მოხსენებაშია მითითებული, „ვერ პოულობს საკუთარ თავში ძალას ეგზარქოსის დავალების შესასრულებლად. ამიტომ ამ საქმის დაწყება იძულებით იქნა შეჩერებული."[300]

თეოფილაქტეს მომდევნო ეგზარქოსი იონა ვასილევსკიც (1821-1832) სიფრთხილით მოეკიდა სამეგრელოში რეფორმის გატარებას. სამეგრელოს მთავარი საეკლესიო რეფორმის გატარებას არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ საქართველოს მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ეგზარქოსი ხაზს უსვამდა იმ სიძნელეებს, რომელიც რეფორმის გატარების დროს შესაძლებელია შეხვედროდათ. გამოსავალი მალე იპოვეს და სამეგრელოში

298 Прибавления к церковным ведомость, 1906, №2, стр. 65.

299 Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, тиф., 1901, стр. 58.

300 Е. К., Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, стр. 59.

არსებული ეპარქიები თანდათან გააუქმეს. 1823 წელს გარდაიცვალნენ ცაგერის მიტროპოლიტი იოანე და ცაიშის ეპისკოპოსი გრიგოლი (ჩიქოვანი). უმღვდელმთავროდ დარჩენილი ეპარქიები ჭყონდიდის ეპარქიას შეუერთეს, რომელსაც 1829 წლიდან სამეგრელოს ეპარქია ეწოდა, რეზიდენციად გამოცხადდა მარტვილის მიძინების ტაძარი.[301]

„საეკლესიო ბუნტის" ჩაქრობის მიუხედავად, რეფორმას გარკვეული სიძნელეები შეხვდა გურიის სამთავროშიც. თურქთა აგრესიის გამო ვერ იქნა აღრიცხული სამთავროს საეკლესიო ქონება. ჯუმათელი მიტროპოლიტის ნიკოლოზის (შარვაშიძე) გარდაცვალების (1827 წ.) შემდეგ საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გურიის ეკლესიების მართვა ჩააბარა შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტ არსენს. 1833 წელს საქართველოს მთავარმართებელმა გრიგორი როზენმა გურიის ეკლესია იმერეთის მთავარეპისკოპოს სოფრონს დაუქვემდებარა, მაგრამ ამ კუთხის სამღვდელოება სოფრონის ხელისუფლებას არ ცნობდა და ითხოვდა ახალი მღვდელმთავრის დანიშვნას. არქიმანდრიტ არსენის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის 1844 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით აღდგა საეპისკოპოსო გურიის ეპარქიის სახელწოდებით.[302]

1810 წელს აფხაზეთის შემოერთების შემდეგ რუსეთმა გარკვეული ღონისძიებები გაატარა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, სადაც ოსმალთა ბატონობის გამო ქრისტიანობა საგრძნობლად იყო შესუსტებული. აქაური მრევლი ცაიშის ეპისკოპოსის გრიგოლ ჩიქოვანის იურისდიქციაში შედიოდა. იგი 1822 წლის 3 ოქტომბერს ეგზარქოს იონასადმი გაგზავნილ მიმართვაში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ცაიშის საეპისკოპოსოს ძალა არ შესწევდა აფხაზეთში ქრისტიანობა განემტკიცებინა. ეპისკოპოს გრიგოლი საქართველოს ეგზარქოსისაგან ითხოვდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საეპისკოპოსოს გახსნას, რომლის დახმარებით მაჰმადიანი აფხაზები ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდებოდნენ. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძეც მომხრე იყო საეპისკოპოსოს აღდგენის, რომელიც მას „დაეხმარებოდა აფხაზეთში წესრიგის დამყარებაში."[303] რუსეთის უწმინდესმა სინოდმა უარი განაცხადა აღნიშნული მოთხოვნების შესრულებაზე. მას მიაჩნდა, რომ ეპარქიის გახსნამდე ჯერ აუცილებელი იყო აფხაზეთში სამისიონერო მოღვაწეობა. ამ მიზნით, 1833 წლის 12 თებერვალს ცაგერის მონასტრის წინამძღვარს ანტონს (დადიანი) დაევალა მისიონერული მოღვაწეობა ეწარმოებინა აფხაზეთში, მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაიშალა.[304] აფხაზეთის მრევლი კარგა ხანს სა-

---

301 Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, тиф., 1901, стр. 59.

302 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1990, გვ. 144-145.

303 Е. К. Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX столетия и попитка организации в ней миссионерского дела, сборник, „Весь Кавказ," 1903, стр. 61.

304 Е. К., Состояние христианства в Абхазии в первой четверти XIX столетия и попитка организации в ней миссионерского дела, сборник, „Весь Кавказ," 1903, стр. 62.

მეგრელოს ეპისკოპოსს ემორჩილებოდა.[305] მხოლოდ 1851 წლის 30 აპრილს შეიქმნა ახალი –აფხაზეთის ეპარქია. 1826 წლის 4 მარტიდან იგი შეუერთეს იმერეთის ეპარქიას, ხოლო 1885 წლის 12 ივლისიდან კვლავ აღსდგა სოხუმის ეპარქიის სახელით.

გატარებული რეორგანიზაციის შედეგად XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსოს გამგებლობაში იყო 4 ეპარქია: ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის. იყო აგრეთვე გორის სავიკარიუსო, რომელიც ქართლის ეპარქიას ექვემდებარებოდა. 1848 წლის მონაცემებით რუსეთის იმპერიაში სულ არსებობდა 52 ეპარქია, რომელიც სამ კლასად იყოფოდა. პირველ კლასში შედიოდა 4 სამიტროპოლიტო, მეორეში – 18 ეპარქია, რომელსაც მთავარეპისკოპოსები მართავდნენ. ყველა სხვა დანარჩენი მესამე კლასს ეკუთვნოდა. საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიები, მართალია, რუსეთის ეპარქიათა საერთო რიცხვში შედიოდა, მაგრამ არც ერთ კლასს არ ეკუთვნოდა.[306]

საქართველოში ეპარქიების რაოდენობა და მათი საზღვრები რუსი მოხელეების სურვილისამებრ იცვლებოდა.

საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიები დიდად განსხვავდებოდა რუსეთის ეპარქიებისაგან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ იმერეთში იყო ეპარქიალური კანცელარია. ასეთი ეპარქიალური კანცელარიები დანარჩენ ეპარქიებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. რაც შეეხება საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, 1823 წლის რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, მართალია, მისი ფუნქციები განისაზღვრა, მაგრამ მას არ გააჩნდა თავისი წესდება და იგი თავის საქმიანობას თავდაპირველად რუსეთის უწმინდესი სინოდის ინსტრუქციის საფუძველზე წარმართავდა. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის უთლება-მოვალეობების უფრო სრულყოფილი წესები, რომელიც იმდროინდელ რუსული სამოქალაქო და საეკლესიო სამართლის ნორმებს შეესატყვისებოდა,[307] მაგრამ ამისდამიუხედავად იგი თავის საქმიანობას რუსეთის ხელისუფალთა ინსტრუქციების საფუძველზე წარმართავდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორის სამუშაო ინსტრუქცია მოგვიანებით, 1840 წლის 10 ოქტომბერს იქნა დამტკიცებული. დებულების მიხედვით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი ქართული და რუსული ენების მცოდნე უნდა ყოფილიყო.[308] ასეთი მოთხოვნით დანიშნეს მხოლოდ კანტორის პირველი პროკურორი ვასილ ჭილაშვილი.

---

305 ე. ბუბულაშვილი, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმება და მისი რეორგანიზაცია, შსს აკადემიის შრომები, III, თბ., 2001, გვ. 165.

306 Священно-церковная география, СПб., 1848, стр. 192-193.

307 Сборник действующих и руководственных церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству православного исповедания, составил Т. Тирсов, т. 1, СПб., 1885, стр. 70-80.

308 Обозрение церковно-гражданских узаконемий по духовному ведомству, с историческим примечанием и приложениями, составил Я. Ивановский, издание второе, Санкт-Петербург, 1893, стр. XXII.

მის შემდეგ თითქმის ყველა პროკურორი, ზოგიერთის გამონაკლისის გარდა, ეროვნებით რუსი იყო და ბუნებრივია, მათ არ იცოდნენ ქართული ენა.

რუსეთის ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ დასრულებულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესი. არასრულყოფილი რეფორმების გამო აღნიშნულ პერიოდში საქართველოს საეგზარქოსომ სტრუქტურული თვალსაზრისით დასრულებული სახე ვერ მიიღო. მოუხერხებელი მმართველი აპარატის გამო, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ გაგრძელდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესი.

თავი III. რუსეთის ცარიზმის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის პირველ ნახევარში

§ 1. რუსეთის ცარიზმის ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის გაუქმებამდე, არა მარტო სტრუქტურულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით, არამედ საეკლესიო ქონების განკარგვითაც საგრძნობლად განსხვავდებოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. სახელმწიფოებრიობის მოსპობამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებისა და შემოსავლის ძირითად წყაროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა მეფეთა თუ დიდებულთა მიერ შეწირული ყმა-მამული. ამ გზით ეკლესია-მონასტრებს საუკუნეთა განმავლობაში დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება დაუგროვდა. საეკლესიო ქონების თვალსაზრისით, განსხვავებული სიტუაცია იყო რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება იმპერატორ პეტრე პირველის მიერ სახეცვლილ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში თანდათან კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას. XVIII საუკუნის 80-იან წლებში იმპერატორ ეკატერინე მეორის მიერ გატარებული რეფორმით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქონება სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება გახდა, საიდანაც სასულიერო პირები ჯამაგირს ღებულობდნენ და თავიანთ მოღვაწეობას წარმართავდნენ არა საეკლესიო კანონებით, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებით. ერთი სიტყვით, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გატარებული რეფორმით, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მისი უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინის კუთვნილებად იქცა, ეკლესიას წაერთვა თავისი პირვანდელი დანიშნულება და იგი იმპერიული პოლიტიკის გამტარებლად მოგვევლინა.

მართალია, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება დააგროვა, მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოსათვის სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ქონება საგრძნობლად იყო შემცირებული. ამ პერიოდისთვის თუ რა სიმდიდრეს ფლობდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებული ავტოკეფალური ეკლესიები, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, რადგან თითოეულ ეპარქიას და მის ტერიტორიებზე არსებულ ცალკეულ ეკლესია-მონასტრებს არ გააჩნდათ შემოსავლისა და გასავლის ზუსტი ცნობები. ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ რუსი მოხელეები ადგილობრივ მღვდელმთავრებისაგან მოითხოვდნენ ზუსტი ცნობები წარედგინათ თავიანთ ეპარქიებში არსებული სასულიერო პირთა, ეკლესია-მონასტრების რაოდენობისა და შემოსავალ-გასავლის შესახებ. მართალია, მათი მოთხოვნები შესრულებულ იქნა, მაგრამ ზუსტი სტატისტიკური ცნობები საქართველოს ეკლესიის ქონების შესახებ მაინც ვერ დადგინდა. რუსი

მოხელეები, ჯერ კიდევ ავტოკეფალიის არსებობის დროს, 1810 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს მიმართავდნენ, რომ მისი ხელმძღვანელობით შექმნილიყო სასულიერო დიკასტერია, რომელიც საეკლესიო ქონების შემოსავლების მოწესრიგებას შეუწყობდა ხელს. კათოლიკოსის თანხმობის მიუხედავად, რუს მოხელეთა ეს სურვილი ვერ შესრულდა, რადგან მცირე ხნის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეგზარქოს ვარლამის თავმჯდომარეობით შექმნილმა სასულიერო დიკასტერიამ სცადა მოეწესრიგებინა საეკლესიო ქონების აღრიცხვიანობა, მაგრამ მისი მეშვეობითაც ვერ მოხერხდა აღნიშნული საკითხის მოგვარება.

აღრიცხვიანობის არასრულყოფილების გამო სხვადასხვა წყაროები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნობებს გვაძლევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო ქონების შესახებ. ეს, პირველ რიგში, ეხება საეკლესიო გლეხთა რაოდენობის დადგენას. XIX საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 542 სოფლიდან საეკლესიოდ ითვლებოდა 45 სოფელი, ხოლო შერეული მფლობელობის სოფლებად 26. სულ საეკლესიო სოფლად მიჩნეული იყო 71 სოფელი, რაც შეადგენდა ქართლ-კახეთის სოფელთა რაოდენობის 13,1%-ს. არასრული მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნული პერიოდისათვის ეკლესიას ეკუთვნოდა 3320 კომლი გლეხი. აქედან 2213 იყო ამ დროისათვის მცხეთის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში არსებული 13 ეპრაქიის მფლობელობაში, 470 საეკლესიო აზნაურების კუთვნილება იყო, ხოლო 637 კომლი საეკლესიო გლეხი საარქიმანდრიტოს ემსახურებოდა.[309] 1806 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო გლეხთა რიცხვი 27622 სულს შეადგენდა.[310] 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, საეკლესიო კომლთა რიცხვი გაზრდილია და იგი 4260 შეადგენს, სამაგიეროდ, საეკლესიო ყმა-გლეხის სულადობრივი რაოდენობა რამდენადმე შემცირებულია და იგი 15000 სულით განისაზღვრება.[311]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა არა მარტო საეკლესიო ყმა-გლეხები და მისი ოჯახის წევრები, არამედ მიწის ის ნაკვეთიც (სამკვიდრო), რომელიც მათ სარგებლობაში იყო. საეკლესიო გლეხს თავის მფლობელობაში არსებული მეურნეობის გაყიდვა ან გასხვისება არ შეეძლო. უფლება ჰქონდა იგი მემკვიდრეობით გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის. დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსმა მოხელეებმა ვერ დაადგინეს, თუ რამდენ დესეტინას შეადგენდა საეკლესიო ყმა-გლეხებით დასახლებული მიწები და მასზე მოსავლის რა რაოდენობა მოდიოდა. საეკლესიო ქონებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა აგრეთვე სახნავ-სათესი, სა-

309 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 69.

310 Акты, т. 3, стр. 714.

311 История Грузинской иерархии, Москва, 1826, стр. 27.

ძოვარი, სათიბი და დაუსხლებელი ტერიტორიების ნაწილი, სარწყავი არხები, სათევზაო და სანადირო ადგილები, ტყე და სხვა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების დიდი ნაწილი კათოლიკოს-პატრიარქის კუთვნილებას წარმოადგენდა. იგი ფლობდა საეკლესიო ყმა-მამულებს, რომლის მართვას ახორციელებდა მოურავების – საეკლესიო აზნაურების მეშვეობით. საეკლესიო აზნაურების ძირითად ფუნქციას მამულების მეთვალყურეობის გარდა, საეკლესიო გადასახადების აკრეფა წარმოადგენდა.[312] კათოლიკოს-პატრიარქს უფლება ჰქონდა საეკლესიო მამულები გაესხვისებინა.[313] კათოლიკოს-პატრიარქის საკუთრებაში იყო თბილისში არსებული სავაჭრო დუქნები, წისქვილები, ზეთსახდელები, სამღებროები, სათევზაო ადგილები და სხვა. მოგების სახით კათოლიკოს-პატრიარქს აგრეთვე „ეკუთვნოდა საქართველოდან რუსეთში გაზიდული და რუსეთიდან შემოზიდულ საქონელზე დანესებული სახელმწიფო ბაჟის ერთი მეოთხედი, რომელსაც იღებდა კათოლიკოსის მოიჯარე-შემსყიდველი."[314] გარდა ამისა, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს ეძლეოდა შინაგანი ბაჟებიდან შემოსული შემოსავლის 5%. 1803 წელს შინაგანი ბაჟების გაუქმების გამო კათოლიკოს-პატრიარქს და ეკლესიას შემოსავლის ეს წყარო აღარ გააჩნდა. მცირე ხნის შემდეგ გაუქმდა მოიჯარადრეების ხელში არსებული კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის კუთვნილი ჩელიაქის საბაჟოც, რამაც სამღვდელოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კომპენსაციის სანაცვლოდ, 1808 წელს საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი მოითხოვდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქისათვის საქართველოს საეკლესიო შემოსავლებიდან ყოველწლიურად დაენიშნათ 2675 მანეთი. ეს იმ რაოდენობის თანხა იყო, რასაც საბაჟოს მოიჯარადრეები საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უხდიდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გარკვეულ შემოსავალს სანთლებიდანაც იღებდა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისისათვის უცნობი იყო, თუ რა ფულადი შემოსავალი შემოდიოდა სანთლის წარმოებიდან, რადგან იგი ეკლესიის გარდა იყიდებოდა სავაჭრო დუქნებსა და სახლებში. სანთლით ვაჭრობის მოწესრიგებისა და მისგან შემოსული მოგების დადგენის მიზნით, 1804 წელს საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ეკლესიის გარდა ყველას აუკრძალა სანთლით ვაჭრობა და კათოლიკოს-პატრიარქს დაევალა მისი შესრულება. ახალი გადაწყვეტილებით ეკლესიაში მხოლოდ საჭირო რაოდენობის სანთელი უნდა დამზადებულიყო.[315]

---

312 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978, გვ. 26.

313 Акты, т. 4, стр. 157.

314 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 77.

315 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 79.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის კათოლიკოს-პატრიარქის წლიური შემოსავალი არასრული მონაცემებით შეადგენდა 2900 კოდ პურს, 395 საპალნე ღვინოსა და 3980 მან.[316] აღნიშნული შემოსავლების გარკვეული ნაწილი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს ავტოკეფალიის გაუქმებამდე ჩამოერთვა, საკომპენსაციოდ 1808 წელს ხაზინიდან დაენიშნა 2300 მანეთი, მაგრამ მას ამ თანხიდან ერთი კაპიკიც არ მიუღია. ანტონ მეორის რუსეთში გაწვევით და 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით კათოლიკოს-პატრიარქის დარჩენილი ქონება და იქიდან შემოსული შემოსავლები სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება გახდა.

კათოლიკოს-პატრიარქის ზემოთ აღნიშნული ქონების გარდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროს მცხეთის საკათოლიკოსოს კუთვნილებას წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 13 საეპისკოპოსოსა და 9 საარქიმანდრიტოს უძრავ-მოძრავი ქონება და მისი შემოსავალი. რუსი მოხელეების დიდი მცდელობის მიუხედავად, ავტოკეფალიის გაუქმებამდე ვერ დადგინდა მათი ზუსტი რაოდენობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს საეკლესიო ყმა-გლეხებით დასახლებული მიწები შეადგენდა. ისინი ეკლესიას ემსახურებოდნენ პირადი შრომით, უხდიდნენ ნატურით პურს, ღვინოს, სანთლის, ხილის გადასახადს, ეკლესიას აძლევდნენ აგრეთვე ფულად გამოსაღებსაც. რუსეთის ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია საეკლესიო ყმა-გლეხებს და მათ მამულებს. ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ისინი სახაზინო უწყებისათვის დაექვემდებარებინათ, მაგრამ ადგილობრივი ვითარების შესწავლით ხელისუფლება დარწმუნდა, რომ საეკლესიო გარდაქმნები საქართველოში ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო. მათი აზრით, მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია საეკლესიო აზნაურთა საკითხს. მას შემდეგ, რაც 1811 წელს ახლადშექმნილ სასულიერო დიკასტერიას დაევალა საეკლესიო ქონების მართვა-გამგეობა, ბუნებრივია, რომ საეკლესიო აზნაურებმა თავიანთი ფუნქცია დაკარგეს. 1811 წელს ეგზარქოსმა ვარლამმა და საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა ხელისუფლების წინაშე აღძრეს საკითხი, რომ საეკლესიო აზნაურები, რომლებსაც მანამდე ეკლესიის მიწების მართვა და საეკლესიო გადასახადების აკრეფა ევალებოდათ, ახალი მმართველობის დროს თავიანთი ყმა-გლეხებით ეკლესიისათვის ჩამოეშორებინათ და დაუსახლებელ სახაზინო მიწებზე გადაესახლებინათ. საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა ამ დროისათვის საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად

316 Акты, т. IV, стр. 714.

ისინი ქართლში ცხოვრობდნენ) მათი რიცხვი 26 სახლს ითვლიდა. „თითოეული სახლი რამდენიმე ოჯახად იყო დაყოფილი," რომლის კუთვნილებას 470 კომლი ყმა-გლეხი შეადგენდა. დასავლეთ საქართველოში ისინი მხოლოდ იმერეთისა და გურიის სამთავროში არსებობდნენ. 1830 წლის მონაცემებით გურიაში სულ საეკლესიო აზნაურთა 13 ოჯახი ყოფილა. მათი რიცხვი კიდევ უფრო მცირე იყო იმერეთში.[317]

რუსეთის უწმინდეს სინოდში მოიწონეს ეგზარქოს ვარლამისა და საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება. 1811 წელს იმპერატორმა რუსეთის უწმინდესი სინოდის აღნიშნული გადაწყვეტილება დაამტკიცა და მას კანონის ძალა მიეცა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, 1811 წლის გადაწყვეტილებით საეკლესიო აზნაურები სახაზინო უწყების კუვნილებად ითვლებოდნენ, მაგრამ მისი ფორმალური დადასტურება შედარებით გვიან, 1841 წლის 8 ივლისის კანონით მოხდა.[318]

1811 წლის გადაწყვეტილება „საეკლესიო აზნაურთა ეკლესიისაგან გამოყოფისა და სახაზინო მიწაზე მათი გადასახლების ორგანიზაცია დაევალა საქართველოს სახაზინო უწყებას."[319] ამ უკანასკნელს სახაზინოდ უნდა აღერიცხა საეკლესიო აზნაურების კუთვნილებაში არსებული საეკლესიო მამულები. დანარჩენი საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ეკლესიას არ ეკუთვნოდა, მიწა, შენობა-ნაგებობები, წისქვილები და სხვა, უნდა შეეფასებინათ და სახელმწიფოს უნდა შეესყიდა ხაზინის სასარგებლოდ. მიღებული თანხით დაუსახლებელ ტერიტორიებზე გადასახლებულ საეკლსიო აზნაურებს უნდა მოეწყოთ თავიანთი მეურნეობა. კანონის ძალით, თუკი საეკლესიო აზნაური დოკუმენტების წარდგენით დაამტკიცებდა აზნაურობას, მაშინ იგი სახაზინო აზნაურთა კატეგორიაში ჩაირიცხებოდა, დაუმტკიცებლობის შემთხვევაში იგი სახაზინო გლეხთა უწყებაში გადაირიცხებოდა.[320] მთავრობის გადაწყვეტილებით, საეკლესიო აზნაურები უნდა გადაესახლებინათ ქვემო ქართლში, ლორეს დაუსახლებელ ველებზე.[321] აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ეგზარქოს ვარლამს დაავალეს დაედგინა საეკლესიო აზნაურთა ზუსტი რაოდენობა. მასვე უნდა გაერკვია საეკლესიო მამულებისა და გლეხთა რა რაოდნეობას ფლობდნენ ისინი. დიდი გულმოდგინების მიუხედავად, ვარლამ ეგზარქოსმა თავი ვერ გაართვა სახაზინო ექსპედიციის დავალებას. საეკლესიო აზნაურები უარს აცხადებდნენ სახაზინო

317 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 16.

318 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 18.

319 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 17.

320 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 17.

321 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 220, ანაწ. 1, საქმე 12, ფურც. 1.

მიწებზე გადასახლებაზე, რის გამოც, ისინი ეგზარქოსის მოხელეებს საშუალებას არ აძლევდნენ, აღერიცხათ მათი ქონება.[322] დასახელებული მიზეზის გამო კარგა ხნით გადაიდო მისი განხორციელება.

1832 წელს სახაზინო ექსპედიციამ ახალ ეგზარქოს იონა ვასილევსკის (1821-1832) დაავალა აღერიცხა საეკლესიო ქონება. მართალია, მან 1826 წელს აღწერა ჩაატარა, მაგრამ მის მიერ მიწოდებული მონაცემები საეკლესიო აზნაურთა რაოდენობის შესახებ არ იყო სრული. ეგზარქოს იონას მიერ მოპოვებული ცნობებით, იმ დროისათვის საეკლესიო აზნაურთა 108 ოჯახი ფლობდა 552 კომლ ყმა-გლეხს, მაგრამ აღწერით არ იყო გამიჯნული აზნაურთა მფლობელობაში არსებული მამულებიდან, რომელი იყო საეკლესიო მიწები და რომელი უშუალოდ მისი საკუთრება. აღნიშნული ნაკლის აღმოფხვრის მიზნით „1831 წლიდან საეკლესიო აზნაურთა მფლობელობის გამორკვევა დაიწყო უშუალოდ ადგილზე დაკითხვის შედეგად."[323] თუმცა, აქაც მთავრობა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. საეკლესიო აზნაურები აცხადებდნენ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მიწებს ფლობდნენ. ნაწილი კი არწმუნებდა რუს მოხელეებს, რომ ისინი კახეთის სახაზინო უწყებაში ირიცხებოდნენ და ეკლესიას არ ეკუთვნოდნენ.[324] საეკლესიო აზნაურები ასეთი წინააღმდეგობით გამოხატავდნენ პროტესტს სახაზინო დაუსახლებელ ადგილებზე გადასახლების გამო. ისინი ემხრობოდნენ ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას და სახაზინო კუთვნილებაში გადასვლას, მაგრამ სურდათ თავიანთი მამულები, თუნდაც საეკლესიო, მათ მუდმივ მფლობელობაში დარჩენილიყო. საეკლესიო აზნაურებმა ხანგრძლივი დავის შემდეგ მაინც თავისი გაიტანეს. 1842 წელს რუსეთის იმპერატორი იძულებული გახდა გაეუქმებინა გადაწყვეტილება საეკლესიო აზნაურთა სახაზინო მიწებზე გადასახლების შესახებ.[325] თუმცა, ისინი თავიანთი ყმა-მამულით მაინც სახაზინოს კუთვნილებად იქნა მიჩნეული. ამის მიუხედავად „...ეკლესიას უფლება მიეცა, თუ მას აღმოაჩნდებოდა საბუთები აზნაურთა მფლობელობაში მყოფი მიწების ეკლესიისადმი კუთვნილების შესახებ, ეძია იგი სასამართლოს წესით."[326] ანალოგიური ღონისძიება გატარდა იმერეთ-გურიაშიც. 1811 წლის საეკლესიო აზნაურების სახაზინო უწყებაში გადარიცხვით ფაქტიურად დაიწყო ეკლესიის ქონების ჩამორთმევის პირველი ეტაპი.

---

322 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 17.

323 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 17.

324 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. გვ. 18.

325 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. გვ. 18.

326 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. გვ. 18.

საეკლესიო აზნაურთა საკითხის მოგვარების პარალელურად ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საეკლესიო გლეხთა ქონებისა და შემოსავლის მოწერისგებას. 1811 წელს ეგზარქოს ვარლამ ერისთავს დაევალა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხთა რაოდენობის, მათი ქონებისა და შემოსავლების აღნუსხვა. ვარლამ ეგზარქოსის აღწერის მიხედვით, იმ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა 3703 კომლი ყმა გლეხი. აქედან 637 კომლი საარქიმანდრიტოებზე მოდიოდა, ხოლო 2218 ყოფილ ეპარქიებზე. ამ აღწერით, 1811 წელს საეკლესიო შემოსავლები ეპარქიებიდან უნდა ყოფილიყო 2660 მანეთი, ხოლო საარქიმანდრიტოებიდან 13224 მანეთი, სულ 39584 მანეთი.[327] ვარლამ ეგზარქოსის აღწერის უზუსტობა მალე გამოვლინდა. 1811 წელს საეკლესიო შემოსავალი ფულითა და ნატურით შეადგენდა არა ზემოთ დასახელებულ ციფრს, არამედ 5310 მანეთს. მომდევნო წლებში მხოლოდ მცირე რაოდენობით გაიზარდა საეკლესიო შემოსავლების რაოდენობა. ეს მაშინ, როცა 1814 წელს დაარსებული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლების და თვით საქართველოს ეგზარქოსის საკმაოდ მაღალი ხელფასების დაფინანსება აღნიშნული შემოსავლებიდან ხდებოდა. მდგომარეობა არც შემდგომ გაუმჯობესებულა. 1816 წელს საეკლესიო შემოსავალი შეადგენდა 19565 მანეთს, ხოლო ხარჯი 45356 მანეთს, დეფიციტი დაფარულ იქნა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.[328] ასეთი სხვაობა შემოსავალსა და გასავალს შორის იმით კი არ იყო განპირობებული, რომ საქართველოს საეკლესიო ქონების შემოსავალი დაბალი ღირებულების იყო, არამედ სრულად არ ხდებოდა ამ შემოსავლების აღება. სწორედ ამიტომ ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) გადაწყვეტილებით საგრძნობლად შეუმცირეს ჯამაგირის რაოდენობა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრებს, ეპარქიის მღვდელმთავრებს და თვით საქართველოს ეგზარქოსს, რადგან საეკლესიო შემოსავლები ხარჯებს ვერ ფარავდა. თეოფილაქტე რუსანოვისა და მომდევნო ეგზარქოსების მიერ განხორციელებული მკაცრი აღრიცხვიანობის გამო XIX საუკუნისის 20-იანი წლებიდან საგრძნობლად გაიზარდა საეკლესიო შემოსავლების რაოდენობა. შემოსავალი რამდენადმე აღემატებოდა საეკლესიო დანიშნულებით გაღებულ ხარჯებს. 1820 წელს საეკლესიო შემოსავალი შეადგენდა 70198 მანეთს და 94 კაპიკს ვერცხლით, ამავე წლის ხარჯი კი – 43168 მანეთს და 43 კაპიკს. მომდევნო წლებში საეკლესიო ფულადი შემოსავლები ნელ-ნელა თანდათან იზრდებოდა, ხარჯები კი თითქმის უცვლელი რჩებოდა, თუკი ადრე საეკლესიო შემოსავლები ვერ უზრუნველყოფდა ხარჯების დაფარვას, გატარებული ღონისძიებების შედეგად იგი რამდენჯერმე აღემატებოდა გასავალს, რის გამოც შემოსული თანხების გარკვეული ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა. წლითიწლობით ეს თანხა თანდათან იზრდე-

327 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. გვ. 18.

328 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე 196; შდრ. Акты, т. IV, стр. 161-164.

ბოდა. რუსეთის უწმინდესი სინოდის მითითებით, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაევალა, ყოველწლიური საეკლესიო შემოსავლებიდან დარჩენილი თანხის ნაწილი შეეტანა სახელმწიფო მიწის ბანკში, რომ იქიდან მოგების სახით პროცენტები მიეღო. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების შესაბამისად ეგზარქოსმა იონამ 1825 წელს საეკლესიო შემოსავლებიდან დარჩენილი თანხა 300 ათასი მანეთი ასიგნაციით გადაუგზავნა საიმპერატორო სამეურნეო საბჭოს ბანკში შესატანად. შეტანილი თანხის დასტურად გამოიწერა სამი ბილეთი თითოეული 100 ათასი მანეთის ღირებულების. სამივე ბილეთი ინახებოდა თბილისის სიონის ტაძრის სალაროს ყუთში, რომლის ბეჭედი და გასაღები ებარა არქიმანდრიტ ანტონს, ხოლო სალაროს მეთვალყურეობას უწევდა მღვდელი გაბრიელ ქართველიშვილი. ბანკში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სახელზე შეტანილი თანხა ყოველწლიურად იზრდებოდა. 1835 წლისთვის იგი შეადგენდა 44 ათას 250 მანეთს. როგორც ჩანს, ბანკში არსებული თანხის ნაწილი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გამოჰქონდა ხოლმე სხვადასხვა ხარჯებისათვის, რის გამოც მისი რაოდენობა 1843 წელს შეადგენდა 97 ათას 32 მანეთს. მას შემდეგ, როცა 1869 წელს საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინას გადაეცა, ამის შემდეგ შეწყდა ყოველგვარი დანაზოგის შეტანა ბანკში, რადგან ეკლესიის შემოსავლები უკვე ხაზინის კუთვნილება გახდა და მას სახელმწიფო თავისი სურვილისამებრ განკარგავდა.[329] თუ რა დაემართა ან რა რაოდენობის თანხა იყო ამ დროისათვის ბანკში, ჯერჯერობით არ ხერხდება მისი დადგენა.

საეკლესიო ქონების აღწერასა და გამოვლენას დიდი ამაგი დასდო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პირველმა პროკურორმა ვასილ ჭილაძემ. მან, პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საეკლესიო გლეხთა გადასახადების საკითხს. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო გლეხთა გადასახადს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დიდი ცვლილება არ განუცდია. შეიცვალა მხოლოდ გადასახადის მიმღების ადრესატი. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო გლეხთა გადასახადები ხაზინაში იყრიდა თავს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ საეკლესიო გლეხი იხდიდა პროდუქტით, შრომამიგებით და ფულადი რენტით გადასახადს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საეკლესიო გლეხთა გადასახადს წარმოადგენდა დრამა, კულუხი, ღალა, სახუცო, მახტა და სხვა. საეკლესიო გადასახადები მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ძირითადად ორი კატეგორიისა იყო: 1) საეკლესიო-საადგილმამულო (ღალა, კულუხი) და 2) საეკლესიო-სამწყემსო (დრამა, სახუცო).

დრამა იყო საეკლესიო გადასახადი, რომელსაც ყველა კატეგორიის გლეხი, მათ შორის საკლესიო გლეხთა კომლი, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ

329 А. Натроев, Капиталы Грузинской церкви, Духовный Вестник Грузинской экзархата, 1906, №5, стр. 14-17.

პროდუქტების სახით ან ფულით, სხვადასხვა რაოდენობით, შეძლების მიხედვით უხდიდა მღვდელმთავარს.[330]

კულუხი ეკლესიის სასარგებლოდ დაწესებული საადგილმამულო გადასახადი იყო, რომელსაც იხდიდნენ საეკლესიო გლეხები ღვინის მოსავლის 1/7-დან 1/10-მდე, ან ერთ საპალნეზე ფულად 10 მანეთს ვერცხლით.[331] ღალას საეკლესიო გლეხი იხდიდა იმ მიწის სარგებლობისათვის, რომელიც ეკლესიის საკუთრება იყო და საეკლესიო გლეხს მუდმივ სარგებლობაში ჰქონდა. გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ნაკვეთის მოცულობაზე და ხარისხზე. გადასახადს ძირითადად მოსავლის მიხედვით იხდიდნენ, რომელიც მერყეობდა 1/5-დან 1/10-მდე. ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესია-მონასტრები ამ გადასახადს გლეხებს არ ახდევინებდნენ.[332]

სახუცო იყო გამოსაღები, რომელსაც წელიწადში ერთხელ მღვდლები თავიანთი ეპარქიის მღვდელმთავრებს უხდიდნენ ფულადი სახით. მისი რაოდენობა ერთიანაირი არ იყო. იგი მერყეობდა 5-დან 12-მანეთამდე. 1819 წლის 9 იანვრის ბრძანებით სახუცოს გამოსაღები გაუქმდა.[333]

მახტას იხდიდნენ თბილისში მცხოვრები საეკლესიო გლეხები, რომლებიც მცხეთის ტაძარს ან სხვა მონასტერს ეკუთვნოდნენ. წლიური გადასახადი 120 მანეთს შეადგენდა, სხვაგან მცხოვრები საეკლესიო გლეხები ამ გადასახადისაგან თავისუფალი იყვნენ. აღნიშნული გადასახადი 1819 წელს რუსეთის უწმინდესი წარდგინებით იმპერატორმა გააუქმა.[334]

ზემოთ აღნიშნულის გარდა, იყო ისეთი სახის საეკლესიო გადასახადები, რომლის გადახდა ჯარიმის სახით ხდებოდა. ასეთი სახის იყო საქვრივო, საკანონო და თავის გასამტეხლო.

საქვრივო გადასახადს საეკლესიო გლეხი უხდიდა ეპარქიის მღვდელმთავარს ქვრივი ქალის შერთვის შემთხვევაში, წყაროების ცნობით, 1815-1816 წლებში აღნიშნული გადასახადი მერყეობდა 3-დან 12 მანეთამდე.[335]

საეკლესიო საჯარიმო გადასახადს ეპარქიის მღვდელმთავარს უხდიდნენ საეკლესიო გლეხები და მღვდლები რელიგიური წესების დარღვევისათვის. ამ გადასახადს ახდევინებდნენ აგრეთვე ჩვეულებრივი გლეხის ოჯახსაც, თუკი მისი ოჯახის რომელიმე წევრი უზიარებლად მოკვდებოდა. აღნიშნული

---

330 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 151; შდრ. (ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 72.

331 Акты, т. IV, стр. 161-165.

332 მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 52.

333 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 152.

334 მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 50.

335 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 153.

გადასახადისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 3-დან 5 მანეთამდე, მღვდლებისათვის 3-დან 8 მანეთამდე ვერცხლით.[336]

თავის საგამტეხლოც ჯარიმა-გადასახადთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც ეკლესიის სასარგებლოდ ახდევინებდნენ ჩხუბში თავის გატეხვისათვის დამნაშავე საეკლესიო გლეხს. გადასახადის ოდენობა სხვადასხვა სახის იყო. შეძლებულ გლეხს ახდევინებდნენ ხარს, მცირე შეძლებულს – ძროხას, ფულადი თანხა კი მერყეობდა 3-დან 10 მანეთამდე.[337]

ზემოთ აღწერილ საეკლესიო გადასახადებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება 1815 წლის 8 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საზეიმოდ გახსნის პირველ სხდომაზე გამოთქვა კანტორის პროკურორმა ვასილ ჭილაძემ. მისი აზრით, ეპარქიის მღვდელმთავრებს საეკლესიო გადასახადებიდან (დრამა, საქვრივო, სახუცო) შემოსავალი არ უნდა ჰქონოდათ, რადგან ისინი ახალი საშტატო განრიგით სახელმწიფოსგან საკმაოდ მაღალ ჯამაგირს იღებდნენ. იგი წინადადებას აყენებდა, რომ საეკლესიო გადასახადებიდან შემოსული მთლიანი შემოსავალი ეკლესიის ზოგად ხარჯებს მოხმარებოდა. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ გადასახადებიდან შემოსული შემოსავლების აღრიცხვის მიზნით უნდა შემოეღოთ ზონარგაყრილი და ზონარის კვანძებზე ბეჭედდასმული წიგნი, რომელშიც ჩაიწერებოდა ეპარქიებში საეკლესიო გადასახადებიდან შემოსული თანხები. ეს ანგარიში ყოველწლიურად უნდა გაგზავნილიყო საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, რათა მომხდარიყო აღრიცხული თანხების გადამოწმება.[338]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორმა ვასილ ჭილაძემ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა საეკლესიო შემოსავლების მოწესრიგებისათვის. 1815 წლის ივნისში იგი დაწვრილებით გაეცნო იმ დროისათვის ეპარქიებში შექმნილ ვითარებას. ამ ცნობებზე დაყრდნობით ვასილ ჭილაძე სასულიერო უწყების წინაშე წინადადებას აყენებდა: „დადგინდეს, აქვთ თუ არა ეკლესიებს დროებითი შემოსავალი ან შემოწირულობანი საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად; რა დროს გროვდება საეკლესიო გადასახადები და რა სახით შემოდის სასულიერო უწყებაში; ვის განკარგულებაშია საეკლესიო სავარგულები და როგორ მართავენ მათ. იგი მოითხოვდა მიწოდებული ცნობების დაზუსტებას, ეპარქიებისა და ეკლესიების რაოდენობის, საეკლესიო პირების ოჯახური მდგომაროების, საეკლესიო შემოსავლის, ქონების შესახებ ზუსტი ცნობების წარდგენას; აგრეთვე მოითხოვდა: ეპარქიათა ხელმძღვანელების თვითნებური დანიშვნის აღკვეთას იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში; ეკლესიებზე მიმაგრებული გლეხებისა და მსახ-

336 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 74.

337 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 73.

338 Акты, т. V, стр. 414; შდრ. ი. იაკობაშვილი, სინოდალური კანტორის დაფუძნება საქართველოში: გორის ეპისკოპოს დოსითეოსის პროექტი საქართველოში საკლესიო საქმეთა მოწყობის შესახებ, ჟურნალი „ეპოქა," 2003, 3, გვ. 65.

ურების რაოდენობის განსაზღვრას მათი ქონების გათვალისწინებით, დარჩენილი გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევების დაზუსტებას და სხვა."[339]

დასახული მიზნის მისაღწევად ვასილ ჭილაძემ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლებთან ერთად 1815-1816 წლებში აღწერა ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების ქონება. მან ეგზარქოს ვარლამ ერისთავის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში აღწერილი 2218 კომლს დაუმატა თავის მიერ გამოვლენილი 555 კომლი საეკლესიო გლეხი.[340] შემდგომ იგი, 1816 წლის მარტში რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან ითხოვდა ნებართვას გამგზავრებულიყო დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ქონების აღსაწერად და შემოსავლების დასადგენად.[341] ვასილ ჭილაძემ 1816 წლის ივნის-ივლისში ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტ ათანასესთან (პეტრიაშვილი) ერთად მოიარა დასავლეთ საქართველო.[342] მართალია, საეკლესიო ქონების აღწერას იმერეთში აჯანყება მოჰყვა, მაგრამ მან დროის მცირე მონაკვეთში საკმაო სამუშაო ჩაატარა, გამოავლინა 898 კომლი საეკლესიო გლეხი, რომელიც კერძო პირების მიერ იყო მითვისებული და ბუნებრივია, მათ მიერ გაღებული გადასახადი ეკლესიას აკლდებოდა. შემდგომ წლებში მას საეკლესიო გლეხთა რიცხვი 2100 კომლამდე გაუზრდია. ვასილ ჭილაძე თავისი საქმიანობით „ნიადაგს ამზადებდა ეკლესიის ხელისუფლების გასამტკიცებლად"[343] და ბუნებრივია, ხელს უწყობდა საქართველოში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების პირველ ხანებში საეკლესიო შემოსავლების დიდ ნაწილის აკრეფა ისევ ნატურით ხდებოდა, რაც რუსეთის ხელისუფლებისათვის არ იყო ხელსაყრელი, ვინაიდან საქართველოში ახლად შემოღებული საეკლესიო მმართველობა, შემდგომ კი საეგზარქოსოს დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები და სხვა დაწესებულებები საეკლესიო შემოსავლებიდან ფინანსდებოდა. მათი სურვილი იყო მომხდარიყო ამ გადასახადების კომუტაცია ანუ ნატურალური გადასახადების შეცვლა ფულადი რენტით. აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთის უწმინდესი სინოდი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ხაზგასმით მიუთითებდა: „ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია საეკლესიო შემოსავლების ნატურით აღება, ამის თავიდან ასაცილებლად ის შემოსავალი, რომელიც იხარჯება ეკლესიის, გიმნაზიის და სხვა დაწესებულებების საჭიროებისათვის გადავი-

339 ლ. კიკნაძე, ვასილ ჭილაძე და საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 216.

340 Акты, т. 6, часть 1, стр. 362.

341 РГИА, ф. 797, оп. 2, д. 9085, лл. 18.

342 РГИА, ф. 797, оп. 2, д. 9085, лл. 18.

343 ლ. კიკნაძე, ვასილ ჭილაძე და საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 217.

ტანოთ ფულზე."[344] გარდა ამისა, კომუტაციაზე გადასვლით ხელისუფლება ახდენდა საეკლესიო გადასახადების გაზრდას, რადგან ფულადი რენტა თითქმის ორჯერ აღემატებოდა ნატურალური გადასახადების ოდენობას.[345]

ჯერ კიდევ სასულიერო დიკასტერიის მმართველობის დროს (1811-1814 წწ.) ეპარქიის მღვდელმთავრებს და არქიმანდრიტებს სასულიერო უწყებაში საეკლესიო შემოსავლების ნაწილი ფულადი სახით შეჰქონდათ, მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ უმნიშვნელო იყო. საეკლესიო ფულად გადასახადზე მოთხოვნილება განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან და საეგზარქოსოსთან ჩამოყალიბდა სხვადასხვა სასულიერო დაწესებულებები, რომლებიც დაფინანსებას საეკლესიო შემოსავლებიდან იღებდნენ.

საეკლესიო გადასახადების კომუტაციის განხორციელება დაკავშირებულია ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის (1817-1821) სახელთან. ნატურალური გადასახადის ფულადი რენტით შეცვლა მის მიერ გატარებული რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო. 1818 წლის დასაწყისში, კამერალური აღწერის მიმდინარეობისას, ეგზარქოსმა თეოფილაქტემ რუსეთის უწმინდეს სინოდთან შეთანხმებით გამოსცა განკარგულება საეკლესიო გადასახადის კომუტაციის შესახებ. ახალი საგადასახადო სისტემის მიხედვით საადგილმამულო ნატურალური გადასახადები – ღალა და კულუხი 1818 წლიდან ფულადი სახით უნდა გადახდილიყო. ფულადი რენტით ღალის (მარცვლეულის გადასახადი) გადახდა დაევალა ისეთ საეკლესიო გლეხებსაც, რომლებიც ადრე ამ გადასახადს არ იხდიდნენ. კანონის მიხედვით ყოველ საეკლესიო გლეხს, რომელიც 1 დღიურ საეკლესიო მიწას ამუშავებდა, ეკლესიის სასარგებლოდ უნდა გაეღო სულ მცირე 1 კოდი ხორბალი, რომელიც შეფასებული იყო 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე.[346] რაც შეეხება კულუხის (ღვინისა და ბადაგის) გადასახადს, ნატურალური გადახდის პირობებში 10 საპალნიდან გლეხი ერთ საპალნეს იხდიდა ეკლესიის სასარგებლოდ. ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ფასი სხვადასხვა იყო, ამიტომ ფულადი სახით მისი გადასახადი მერყეობდა 8-დან 12 მანეთამდე. მოუსავლიანობის შემთხვევაში კულუხის გადახდა არ ხდებოდა და იგი გადაჰქონდათ სხვა სეზონისათვის.[347]

ეგზარქოსმა თაოფილაქტემ საეკლესიო სამწყსოს გადასახადების (დრამა, სახუცო) მოწესრიგების მიზნით ეკლესიები და საკრებულოები დაჰყო სამ თანრიგად. პირველს ეკუთვნოდა ეკლესიები და სამრევლოები, რომელთა მრევლი 40 კომლს შეადგენდა; მეორეს – 80-მდე, ხოლო მესამეს – 80-ზე მეტი. ამასთანავე, დაწესდა საეკლესიო გადასახადების – დრამისა და სახუ-

344 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, საქ. 977, ფურ. 4; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 24.

345 მ. დუმბაძე, დასაელეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 233.

346 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, ანაწ. 1, საქმე 517, ფურც. 1.

347 მ. თადუმაძე, საეკელსიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 27.

ცოს გადახდის მინიმუმი. ყოველ საეკლესიო საკრებულოს საერთო საეკლესიო შემოსავალში ფულადი სახით უნდა შეეტანა სახუცოს გადასახადი, რომლის რაოდენობა განისაზღვრებოდა ეკლესიისა და საკრებულოს კატეგორიის მიხედვით. პირველი თანრიგის ეკლესია და საკრებულო წლიურად იხდიდა 5 მანეთს, მეორე – 10 მანეთს, მესამე – 15 მანეთს. ამ გადასახადს მრევლიდან აღებული შემოსავლებიდან იხდიდნენ მღვდლები და დიაკვნები. ადრე სახუცოს მღვდლები ნატურით უხდიდნენ თავიანთი ეპარქიის მღვდელმთავრებს, ახლა კი იგი ფულადი სახით ხაზინაში შედიოდა.[348]

ახალი საგადასახადო სისტემით დრამით გადასახადს ორ წელიწადში ერთხელ ყველა სახის გლეხი (საბატონო, სახაზინო), მათ შორის, საეკლესიო გლეხიც იხდიდა საერთო საეკლესიო შემოსავლების სასარგებლოდ. მისი რაოდენობა განისაზღვრა გადახდის უნარიანობის მიხედვით. შეძლებული გლეხი იხდიდა 20 კაპიკს ვერცხლით, საშუალო – სამ შაურს, ხოლო მცირე შემძლებელი – ორ შაურამდე ვერცხლით. ზემოთ დასახელებული გადასახადების გარდა, ყოველი საკრებულო ვალდებული იყო, ბლაღოჩინებისათვის (კეთილმოწესეები), გადაეხადა ფულადი გადასახადი. მისი ოდენობა ეკლესიების თანრიგის მიხედვით სხვადასხვა იყო. პირველი თანრიგის ეკლესია იხდიდა ერთ მანეთს, მეორე – 2 მანეთს, მესამე – 3 მანეთს ვერცხლით.[349] საეკლესიო გადასახადების მოწესრიგების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად „საეკლესიო გლეხების ფულადი გადასახადი უნდა გადაეხადათ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად ან რამდენიმე სოფელს ერთად."[350]

ზემოთ დასახელებული გადასახადების გარდა საეკლესიო გლეხები ფულადი სახით იხდიდნენ აღსარების, ზიარების, მიცვალებულის გაპატიოსნების, ნათლობის, ჯვრისწერის და სხვა სახის გადასახადს, რომლის ოდენობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. ასეთი სახის გადასახადი ავტოკეფალიის გაუქმებამდე საქართველოში არ არსებობდა. იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ახალმა მმართველობამ დააწესა, რაც ადგილობრივი მრევლის უკმაყოფილებას იწვევდა.

თეოფილაქტე რუსანოვის მიერ შემოღებულმა საეკლესიო საგადასახადო სისტემამ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება. XIX საუკუნის 40-იან წლებში ახალი სახელმწიფო საგადასახადო კანონის შემოღების შემდეგ საეკლესიო გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან მათ საეკლესიო გადასახადების გარდა სახაზინო და საბატონო გლეხების მსგავსად დაეკისრათ კომლობრივი გადასახადების გადახდა.[351]

---

348 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978, გვ. 39.

349 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 85.

350 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978, გვ. 40.

351 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ

საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო გადასახადების კომუტაციის პროცესი 1818 წელს, შედარებით მოკლე დროში დაასრულა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თითქოს საეკლესიო გარდაქმნებმა ქართლ-კახეთში მშვიდობიანად ჩაიარა. ახალი საგადასახადო სისტემის დანერგვის გამო 1818-1820 წლებში კახეთის სოფლებში (ბოდბეში, ბოდბისხევში და სხვ.) გლეხთა უკმაყოფილებასა და შეთქმულებას ჰქონია ადგილი, ხოლო XIX საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოს სასულიერო უწყებაში მომრავლდა საეკლესიო გადასახადების გაზრდით უკმაყოფილო გლეხთა საჩივრები. აღნიშნული საჩივრებიდან აშკარად ჩანდა, რომ გლეხთა უკმაყოფილების მიზეზი იყო არა ფულადი სახით გადასახადების გადახდა, არამედ ისინი გამოდიოდნენ კომუტაციის შედეგად გაზრდილი ვალდებულებების წინააღმდეგ.[352]

მართლაც, როგორც წყაროებით დასტურდება, კომუტაციის შედეგად საეკლესიო ფულადი გადასახადი ორჯერ გაიზარდა.

ახალი საეკლესიო საგადასახადო სისტემის შემოღებით უკმაყოფილონი იყვნენ თბილისში მცხოვრები საეკლესიო მოქალაქეებიც. ისინი ძირითადად ვაჭრობას ეწეოდნენ და სახაზინო მოქალაქეთა უფლებებით სარგებლობდნენ, ეკლესიას კი უხდიდნენ სანთელსა და მცირეოდენ ფულად თანხას. საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ შემოსავლების გაზრდის მიზნით ისინი გაათანაბრა საეკლესიო გლეხებთან და მათ დაუწესა ფულადი გადასახადი 300 მანეთი ვერცხლით. თბილისში მცხოვრებმა საეკლესიო მოქალაქეებმა პროტესტი გამოთქვეს ეგზარქოს თეოფილაქტეს გადაწყვეტილების გამო და მოითხოვეს „თავიანთი ქონების თავისუფლად განკარგვის უფლება, ვინაიდან ისინი საეკლესიო მიწებზე არ ცხოვრობდნენ. მათი უძრავი საკუთრება მათივე შექმნილია, ამასთანავე, მათი საქმიანობის მთავარი დარგი ვაჭრობაა და არა მიწათმოქმედება."[353] ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა საეკლესიო მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნას და 1831 წელს გაუქმდა მათზე გაწერილი საეკლესიო გადასახადი.

თეოფილაქტე ეგზარქოსმა 1818 წლისათვის ქართლ-კახეთში მოახდინა არა მარტო საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, არამედ ამავე წელსვე ჩატარებული კამერალური აღწერების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოში დაასრულა საეკლესიო ქონებისა და შემოსავლების აღწერა. ამ აღწერის მიხედვით ქართლ-კახეთში 1818 წელს მამრობითი სქესის საეკლესიო გლეხთა რიცხვი შეადგენდა 15 ათას სულს. ეკლესიის მიწაზე მცხოვრებთა მიერ გაღებული საეკლესიო გადასახადი წლიურად უდრიდა დაახლოებით 30 ათას მანეთს ვერცხლით. ამ დროისათვის ეკლესიის კუთვნილ სახნავ-სათი-

---

ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 154.

352 მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 26-27.

353 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 88.

ბებს, წისქვილებს, სათევზაო ადგილებს, სამღებროებს, თბილისის მინერალურ აბანოებს და სხვა წლიურად შემოჰქონდა 17 ათასი მანეთი ვერცხლით.[354]

ქართლ-კახეთში საეკლესიო გარდაქმნების წარმატებით ჩატარების შემდეგ თეოფილაქტე ეგზარქოსმა იგივე ღონისძიებების გატარება სცადა დასავლეთ საქართველოში, რასაც 1819-1820 წლებში „საეკლესიო ბუნტი" მოჰყვა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლება ფრთხილი პოლიტიკით შეეცადა გაეტარებინა საეკლესიო გარდაქმნები დასავლეთ საქართველოში. თეოფილაქტეს შემცვლელ ეგზარქოს იონა ვასილევსკის (1821-1832) ეპარქიების შემცირების შემდეგ სურდა დაეზუსტებინა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საეკლესიო ქონება და მოეხდინა გადასახადების კომუტაცია. 1822 წლის 8 თებერვალს ეგზარქოსმა იონამ იმერეთის ეპარქიის მმართველ მთავარეპისკოპოსს სოფრონს აცნობა, რომ იმპერატორის 1821 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით საეკლესიო ქონების მართვა უნდა განხორციელდეს აღმოსავლეთ საქართველოში გატარებული რეფორმების მსგავსად. აგრეთვე, მას უნდა შეემზადებინა ნიადაგი, რომ სასულიერო პირები ბატონყმობისაგან გათავისუფლებულიყვნენ. თუკი შესაძლებელი იქნებოდა, ნატურალური გადასახადი სასწრაფოდ ფულადი თანხით შეეცვალათ. თუ გლეხს მისი გადახდის შესაძლებლობა არ ექნებოდა, მაშინ ეპარქიას უნდა ეზრუნა ნატურით შემოსული გადასახადი ფულად ექცია. ეპარქიების შემცირებით გამოთავისუფლებული მღვდელმთავრები მატერიალური სახსრის გარეშე არ უნდა დარჩენილიყვნენ. იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ვაჟს, მიტროპოლიტ დავითს, რომელიც რუსული ორიენტაციისა იყო, ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრობა ებოძა შემოსავლებითურთ. სოფრონ მთავარეპისკოპოსს დაევალა, რომ დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბა იმერეთის ეკლესია-მონასტრების შემოსავლების შესახებ.[355]

სოფრონმა დიდი ყურადღება მიაქცია კერძო პირების მფლობელობაში გადასული საეკლესიო ქონების დაბრუნებას. მისივე ინიციატივით იმერეთის სამღვდელოება გათავისუფლდა ბატონყმური ურთიერთობისაგან. მანვე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ ნატურალური გადასახადი შეეცვალათ ფულადი გამოსაღებით.[356]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხანს არსებობდა მოსაზრება, რომ თითქოს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და გურიაში ბატონყმობის გაუქმებამდე არ მომხდარა საეკლესიო ბეგარა-გადასახადების კომუტაცია.[357] უკანასკნელ პერიოდში, წყაროებზე დაყრდნობით დადასტურებულია,

354 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978, გვ. 41.

355 გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლები), თბ., 1999, გვ. 251.

356 ე. ბუბულაშვილი, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმება და მისი რეორგანიზაცია; შსს აკადემიის სამეცნიერო შრომები, III, თბ., 2001, გვ. 164.

357 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 154.

რომ XIX საუკუნის 20-იან წლებიდან იმერეთსა და გურიაში განხორციელდა საეკლესიო გადასახადთა კომუტაცია.[358]

სოფრონ მთავარეპისკოპოსის მიერ ჩატარებული აღწერით ნაწილობრივ დადგინდა იმერეთის საეკლესიო ყმა-გლეხებისა და ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების რაოდენობა. ამ აღწერის მიხედვით, 1821 წლისათვის იმერეთში იყო 15 მონასტერი, 2 ტაძარი, 618 სამრევლო ეკლესია, 1808 კომლი საეკლესიო გლეხი, სულ 7072 სული. გარდა ამისა, იმერეთში არსებული ეკლესიები ამ დროისათვის ფლობდნენ სახნავ-სათეს მიწებს, ვენახებს და სხვა სავარგულებს. საეკლესიო გლეხებიდან და ეკლესიის მამულებიდან შემოსული მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 11482 მანეთს ვერცხლით. 1822 წლისათვის იმერეთის ეპარქიის შემოსავალი იყო 3963 მანეთი, ხოლო 1823 წელს 9650 მანეთი ვერცხლით.[359] გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმერეთის ეპარქიის აღნიშნული შემოსავლებიდან იფარებოდა მთავარეპისკოპოს სოფრონის, სასულიერო პირების, მონასტრების, ეპარქიის კანცელარიის და მის ტერიტორიაზე არსებული სასულიერო სასწავლებლების ხარჯები.

დიდი მცდლობის მიუხედავად 1818-1825 წლებში ჩატარებულმა კამერალურმა აღწერებმა ვერ დაადგინა გლეხთა ზუსტი რაოდენობა, რადგან გლეხთა გარკვეული ნაწილი, ისევ სადავოდ რჩებოდა ეკლესიასა და მემამულეს შორის. აღწერების დროს საეკლესიო გლეხთა რაოდენობასთან შედარებით, უფრო დაზუსტდა საეკლესიო მიწების ოდენობა, მაგრამ აქაც ზოგიერთმა გაურკვევლობამ იჩინა თავი, საეკლესიო მიწების გარკვეული ნაწილი არადანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული და მათგან საეკლესიო გადასახადი არ იკრიბებოდა.

როგორც ცნობილია, საეკლესიო მიწები იყოფოდა დასახლებულ და დაუსახლებელ მიწებად. დასახლებულ მიწებზე ძირითადად საეკლესიო გლეხები ცხოვრობდნენ და იგი მათ „სამკვიდრო" მფლობელობაში ჰქონდათ. გლეხს შეეძლო აღნიშნული მამული მემკვიდრეობით გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის, მაგრამ მის გაყიდვის ან გასხვისების უფლება არ ჰქონდა. გლეხი საეკლესიო მიწათსარგებლობის გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკლესიას უხდიდა გადასახადს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართლ-კახეთის საეკლესიო მიწების, რომელშიც იგულისხმებოდა საეკლესიო გლეხთა მამულებთან ერთად სათიბები, სახნავ-სათესი, საძოვარი, ტყე და სხვა, რაოდენობა შეადგენდა – 218 ათას დესეტინას. დასავლეთ საქართველოში მისი ოდენობა 23231 დესეტინას უდრიდა. აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში დაუსახლებელი მიწების რაოდენობა 61 ათას დესეტინას შეადგენ-

358 ე. ორჯონიკიძე, XIX ს. რეფორმამდელი ხანის აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 30; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 28.

359 История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов, Москва, 1826, стр. 48-49; შდრ. ქართული ეკლესია და მისი სიძველეები (1810-1825 წწ.), თარგმანი თ. ბერაძის, თბ., 1992, გვ. 27-28.

და – ხოლო დასავლეთ საქართველოში იგი 17600 დესეტინა იყო.[360] ეკლესია დაუსახლებელ მიწებს ძირთადად იჯარით გასცემდა ხოლმე და მის შემოსავალში გარკვეული წილი ჰქონდა. დასახლებული მიწების გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში საკათოლიკოსოს ნებართვით XIX საუკუნის დასაწყისში გასხვისებულ იქნა. ხაზინისათვის მისი დაბრუნება ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, რის გამოც 1824 წლის ივლისში სახელმწიფოს საბჭოს დადგენილებით, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორისა და მიტროპოლიტ ვარლამის ნებართვით საეკლესიო გლეხთა მიერ „გასხვისებული საეკლესიო ადგილ-მამულები ნასყიდობისა და გირავნობის წესით მასზე გაშენებულ ბაღ-ვენახებით და სხვა უძრავი ქონება დარჩა მათ ახალ მფლობელს," იმ პირობით, რომ „მათ თავიანთ თავზე უნდა აეღოთ გლეხზე დაკისრებული ვალდებულებანი." თუკი ისინი უარს იტყოდნენ აღნიშნულ ვალდებულებებზე, მაშინ მათ ეკლესიის სასარგებლოდ ჩამოეთრმეოდათ შეძენილი ქონება.[361]

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე გასხვისებულ მიწებს ეხებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგაც გლეხები კვლავ ახდენდნენ საეკლესიო მიწების გასხვისებას არასაეკლესიო უწყების პიროვნებებზე. აღნიშნულის აღსაკვეთად, ჯერ კიდევ 1816 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის განკარგულებით, აიკრძალა საეკლესიო მიწების და სხვა სავარგულების გასხვისება არასაეკლესიო პირებზე. განკარგულებაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ უმიწოდ დარჩენილი გლეხები ეკლესიას ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანდნენ, რადგან ისინი გადასახადებით არ იყვნენ დაბეგრილნი.[362] აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით, 1818 წლის 17 მაისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის ძალით საეკლესიო მიწების ხელშეკრულებით გაცემა 12 წელზე მეტი ხნით არ შეიძლებოდა და ისიც იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, თუკი საეკლესიო გლეხს მიწა არ ესაჭიროებოდა. გადაწყვეტილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „თვით საეკლესიო გლეხები განიცდიან მიწის ნაკლებობას, რაც იმით მტკიცდება, რომ ისინი ცხოვრობენ მემამულეთა მიწებზე და მათ უხდიან გადასახადს."[363] აღნიშნულის გამო საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაადგინა, რომ საეკლესიო მიწები ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე მხოლოდ საეკლესიო გლეხებზე უნდა გადაცემულიყო.[364]

---

360 მ. თადუმაძე, საეკელსიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993, გვ. 11.

361 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 88.

362 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 131.

363 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 130.

364 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 130.

კამერალური აღწერების დროს ადგილი ჰქონდა ერთ გაუგებრობასაც. საეკლესიო გლეხებად და შესაბამისად საეკლესიო მამულებად მიჩნეულ იქნა ქართველ თავადაზნაურთა კუთვნილი ქონების ერთი ნაწილი. გვიან ფეოდალურ ხანაში, ქართველ მებატონეთა მცირე ნაწილი საკუთარ მამულში აშენებული ეკლესიების სასარგებლოდ თავიანთ კუთვნილებაში არსებულ გლეხებს ავალებდნენ სხვადასხვა სახის – პურის, ღვინის, სანთლის და სხვა გამოსაღების გადახდას ეკლესიის სასარგებლოდ. მებატონეთა ასეთი სახის შეწირულობანი ფორმდებოდა სათანადო საბუთებით – გუჯრებით. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, საეკლესიო გლეხებად მიჩნეულ იქნა მებატონეთა ზემოთ აღნიშნული გლეხები, რომლებიც ეკლესიას უხდიდნენ სხვადასხვა გამოსაღებს. აღნიშნულმა ფაქტმა მებატონეთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ არაერთხელ მიმართეს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რომ თავიანთ კუთვნილ გლეხებს საეკლესიო სტატუსი ჩამორთმეოდათ და ისინი თავიანთი მამულით პირვანდელი მეპატრონის კუთვნილება გამხდარიყო. მოგვიანებით, 1842 წელს ქართველ თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა იმ დროს საქართველოში მოვლინებულ საიდუმლო მრჩეველს მიხეილ პოზენსა და სამხედრო მინისტრს ალექსანდრე ჩერნიშევს გაუგზავნა პროტესტი და პეტიცია. სხვა საკითხებთან ერთად, ამ პეტიციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სასულიერო უწყების მიერ ქართველ მებატონეთა მამულებისა და გლეხების მითვისების საკითხს.[365] პროტესტს დადებითი შედეგი არ გამოუღია. საეკლესიო უწყების კუთვნილება გახდა გლეხთა ის ნაწილი თავიანთი მამულებით, რომელიც კანონით მებატონეთა კუთვნილება იყო.

ხელისუფლების მიერ გატარებული საეკლესიო გარდაქმნების შედეგად XIX საუკუნის 20-იან წლებში საეკლესიო გლეხობა ეკონომიკურად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მფლობელობაში იმყოფებოდა. ისინი საეკლესიო მიწით სარგებლობის გამო იხდიდნენ საეკლესიო გადასახადებს, რომელიც ხაზინის კუთვნილებად იქცა. სახელმწიფო ხაზინაში შესული საეკლესიო შემოსავლებიდან ფინანსდებოდა საქართველოს სასულიერო უწყება და მასზე დაქვემდებარებული დაწესებულებები. 1828 წლის 4 ნოემბრის რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით გლეხები და საეკლესიო მამულები დროებით სამოქალაქო სამმართველოს განკარგულებაში გადავიდა და ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი 1852 წლამდე.[366] მათი მომავალი ბედის შესახებ XIX საუკუნის 30-იან წლებში სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. ჯერ კიდევ, თბილისის გუბერნატორმა პეტრე ზავილეისკიმ, შემდგომ კი სენატორმა პავლე განმა არაერთხელ დააყენეს მისი ხაზინისადმი გადაცემის საკითხი. ამავე საკითხზე 1846 წელს ობერ-პროკურორმა ნი-

365 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 130.

366 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 112-114.

კოლაი პროტასოვმა რუსეთის უწმინდეს სინოდში განსახილველად შეიტანა საქართველოს ეგზარქოსის ისიდორე ნიკოლსკის (1844-1858) წინადადება, ამიერკავკასიის მხარის საეკლესიო მიწების ხაზინისათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ეგზარქოსის მიმართვას თან ახლდა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის (1844-1854) მოსაზრებაც.[367] საბოლოოდ აღნიშნული საკითხზე, 1852 წლის 5 ნოემბერს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულება გამოიცა, რომლის ძალით საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მიწები საეკლესიო გლეხებთან ერთად ხაზინის კუთვნილებად გამოცხადდა, მაგრამ საკუთრების უფლება ისევ ეკლესიას შეუნარჩუნდა. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 1853 წლიდან. ამ დროიდან საქართველოს საეკლესიო უწყება ხაზინაში საეკლესიო გადასახადებდან შესული შემოსავლებით ფინანსდებოდა. 1853 წელს ეკლესიის შემოსავალი ხაზინაში ნავარაუდევი იყო 72,053 მანეთი ვერცხლით. კანონის მიხედვით, „თუ საეკლესიო ქონება ხაზინას მისცემდა აღნიშნულ თანხაზე მეტს, პირველი სამი წლის განმავლობაში ეს თანხა (ნამატი) გამოყენებული იქნებოდა მამულების გასაუმჯობესებლად და დამატებითი კაპიტალის შესადგენად. შემდეგი 9 წლის განმავლობაში ნამეტის ნახევარი იქნებოდა ამ საქმისათვის გამოყენებული და ნახევარი მიეცემოდა სასულიერო უწყებას, ხოლო 12 წლის შემდეგ მთლიანად მას გადაეცემოდა."[368]

1853 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მიხედვით ხაზინის კუთვნილებაში გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოს 6150 ოჯახი საეკლესიო გლეხი 46150 სულით.[369] სხვა მონაცემებით ამ დროისათვის ქართლ-კახეთის საეკლესიო გლეხთა რიცხვი შეადგენდა 6126 ოჯახს, რომელშიც შედიოდა ორივე სქესის 45873 სული.[370] მელიტონ კელენჯერიძის მიერ შეკრებილი მასალებით ირკვევა, რომ სახელმწიფო ხაზინას გადაეცა თბილისში არსებული ეკლესიის ქონება: ქვის სამტეხლო კრწანისში, 11 სახლი, 28 დუქანი, ერთი სამღებრო შენობა, ერთი სათევზაო ადგილი, 900 დესეტინამდე მიწა, შენობების აგებისათვის განკუთვნილი 18 დესეტინა მიწის ნაკვეთი. ხაზინის კუთვნილება გახდა აგრეთვე თბილისის გუბერნიაში არსებული საეკლესიო გლეხების მფლობელობაში არსებული 80 ათასი დესეტინა სახნავი მიწა, სათიბი და საძოვარი 40 ათასამდე დესეტინა, ტყე დაახლოებით 9800 დესეტინა, სულ მთლიანად 218 ათასი დესეტინა.[371] რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილე-

---

367 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX საუკუნის I ნახევარი), ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე, ნაკვეთი IV, თბ., 1978, გვ. 41.

368 თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2005, გვ. 131; შდრ. ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 90.

369 Акты, т. 12, стр. 1349.

370 Акты, т. 11, стр. 845; შდრ. ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 90.

371 Топсmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси, стр.

ბით, საქართველოს სასულიერო უწყებას საკუთრებაში დაუტოვეს საეგზარქოსოს სახლი, მიწის მცირე ფართობი, სათიბი, სათევზაო ადგილები. გარკვეული უძრავი ქონება გადაეცა ეკლესია-მონასტრებსაც.[372]

1853 წელს აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცა გამგებლობაში და არა საკუთრებაში, რადგან საეკლესიო გლეხები ისევ ამ სტატუსით რჩებოდნენ, მხოლოდ გვიან, 1869 წელს იგი იქცა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად, საეკლესიო გლეხები ამის შემდეგ სახელმწიფოს გლეხებად აღრიცხეს და მათ სახელმწიფო გადასახადები დაუწესეს.[373] ეს პროცესი იმერეთსა და გურიაში 1871 წელს გატარდა, სამეგრელოში კი 1880 წელს. თუმცა, სამეგრელოში მის განხორციელებას გარკვეული სიძნელეები შეხვდა.

ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ ხელისუფლებას გაუჭირდა სამეგრელოს სამთავროში საეკლესიო გარდაქმნების გატარება. 1803 წელს რუსეთის მფლობელობაში შესულ სამეგრელოს სამთავროს ავტონომიური უფლება ჰქონდა მინიჭებული და რუსეთის იმპერატორის განკარგულებით, არავის ჰქონდა უფლება, მის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ სამეგრელოში დაგეგმილი საეკლესიო გარდაქმნების გატარება მისმა მთავარმა სამთავროს შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნია. ამით იყო გაპირობებული, რომ მთავარმა ლევან დადიანმა 1819 წელს ეგზარქოსის ემისრებს უფლება არ მისცა აღეწერათ სამთავროს საეკლესიო ქონება და გლეხები.

რუსეთის უწმინდესი სინოდი საქართველოს ეგზარქოსს აფრთხილებდა, რომ საეკლესიო რეორგანიზაციის გატარების დროს სამეგრელოში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინათ. 1819-1820 წლების „საეკლესიო ბუნტის" ჩახშობის შემდეგ სასულიერო უწყებამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ მთავარი ლევან დადიანი დაითანხმა, სამეგრელოში არსებული სამი ეპარქიიდან მხოლოდ ერთი ეპარქია დარჩენილიყო, რომლის მმართველად ეპისკოპოსი ბესარიონ ჭყონდიდელი დაინიშნა. იგი 1825 წელს საქართველოს ეგზარქოსის დავალებით შეუდგა სამეგრელოს საეკლესიო ქონების აღწერას, მაგრამ სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგობის გამო იგი შეწყვეტილ იქნა.[374] სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ეგზარქოს იონას აშინებდა რუსეთის იმპერატორთან ჩივილით, რადგან საეკლესიო გარდაქმნების გამო უხეშად ირღვეოდა მისი უფლებები.

სამეგრელოს მთავარი წინ აღუდგა აგრეთვე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1827 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას, ჭყონდი-

---

325-326.

372 Е. К., Краткий очерк истории грузинской церковной и экзархата за XIX стол., Тб., 1901, стр. 258.

373 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 19; შდრ. Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси, стр. 325-326.

374 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 6, საქმე 2186, ფურც. 29.

დის ეპარქიაში საშტატო კანცელარიის შექმნის შესახებ. სამი თანამშრომლით დაკომპლექტებული ეპარქიის კანცელარიის ხარჯები ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან უნდა გაცემულიყო, რაც, ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებდა სამთავროს საეკლესიო ქონების აღწერის აუცლებლობას.[375] დადიანმა აღნიშნული ფაქტი სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია, რის გამოც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილება ამჯერადაც ვერ შესრულდა.[376]

რამდენიმე წლის შემდეგ სამეგრელოს ახალი მთავარი დავით დადიანი მიხვდა, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში ჩატარებული საეკლესიო გარდაქმნების გამო, აუცილებელი ჩანდა გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო სამთავროს საეკლესიო ცხოვრებაშიც. აღნიშნული მიზეზის გამო თვითონ მთავარმა გადაწყვიტა გარკვეული საეკლესიო ცვლილებები გაეტარებინა, რომლითაც სამთავროს ავტონომიური უფლებანი არ შეილახებოდა. დადიანმა სამთავროს ფარგლებში ქართლ-კახეთსა და იმერეთში ჩატარებული საეკლესიო გარდაქმნების მსგავსი ღონისძიებები განახორციელა. 1852 წელს მან მოახდინა სამეგრელოს საეკლესიო მამულებისა და საეკლესიო გლეხების ზუსტი აღწერა, ხოლო ცაიშისა და ხობის მონასტრების შემოსავლის ნახევარი მთავრის ხაზინას გადაეცა.[377] სამეგრელოს მთავრის გარდაცვალების შემდეგ, 1854 წელს მისმა დაქვრივებულმა მეუღლემ, ეკატერინემ ეკლესია-მონასტრებში შემოიღო საშტატო ერთეულები. მისივე განკარგულებით მოხდა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია. მარტვილის მონასტერთან დაარსდა საეკლესიო ხაზინა, სადაც თავს იყრიდა და იქიდან ნაწილდებოდა საეკლესიო შემოსავლები. ყირიმის ომის გამო მხოლოდ რამდენიმე ეკლესია გადაიყვანეს საშტატო ერთეულზე და მათზე მიმაგრებულ გლეხებს დაუწესეს ფულადი გადასახადი.[378] ეკატერინე დედოფალმა უფრო ქმედითი ღონისძიებები გაატარა. მან 1855 წელს სამღვდელოებას ჩამოართვა საეკლესიო მამულების მართვა და იგი გადასცა საერო პირებს, რომელთაც საეკლესიო მამულების მზრუნველები ეწოდებოდათ. მანვე სამთავროს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებისა და მათი ქონების მართვის მიზნით 1855 წლის 16 იანვარს დაარსა სამეგრელოს ეპარქიის საშტატო კანცელარია. კანცელარიის თანამშრომლები ხელფასს სამთავროს ხაზინაში შემოსული საეკლესიო შემოსავლებიდან ღებულობდნენ. სამეგრელოს სამთავროში ეკატერინე დედოფლის მიერ განხორციელებული საეკლესიო ღონისძიებანი საქართველოს სხვა კუთხეებში ჩატარებული გარდაქმნების მსგავსი იყო. საქართველოს სასულიერო უწყება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სამეგრელოში

375 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა), 1800-1864, თბ., 1971, გვ. 114.

376 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანან. 6, საქმე 2189, ფურცელი 36.

377 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანან. 6, საქმე 2189, ფურცელი 36.

378 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანან. 6, საქმე 1774, ფურც. 55; შდრ. თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 67.

მიმდინარე საკლესიო გარდაქმნებს და ხელსაყრელ დროს ეძებდა, აქტიურად ჩარეულიყო მის განხორციელებაში. მხოლოდ სამთავროს გაუქმების შემდეგ მიეცა შესაძლებლობა საქართველოს ეგზარქოსს, აქტიური საეკლესიო გარდაქმნები განეხორციელებინა სამეგრელოში. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ხელახლა აღწერა საეკლესიო ქონება და შემოსავლები, 1861 წელს კი დაამტკიცა ახალი საშტატო განრიგი, რითაც განისაზღვრა ეპარქიის კანცელარიის თანამშრომელთა ახლებური ანაზღაურება. ცოტა მოგვიანებით, 1880 წელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეგრელოს საეკლესიო მამულები და გლეხები ხაზინის კუთვნილებად იქცა.

რუსეთის ხელისფლებამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია სამღვდელოებას. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო გარდაქმნები მათი დახმარებით უნდა განხორციელებულიყო. სასულიერო პირები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში სასულიერო წოდება არ ჩამოყალიბებულა. სასულიერო პირი შეიძლებოდა გამხდარიყო სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი. თუმცა ერთი რამ მაინც თვალშისაცემი იყო. მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები (კათოლიკოსი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი) ძირითადად წარჩინებულთა წრიდან იყვნენ გამოსული, ხოლო დაბალი სამღვდელოება (დიაკონი, მღვდელი) ძირითადად მდაბიოთა წრეს ეკუთვნოდა. წარჩინებულთა წრიდან გამოსულ სასულიერო პირებს თავიანთი ძველი უფლებები შენარჩუნებული ჰქონდათ.[379] მღვდელი შეიძლებოდა გამხდარიყო ყმა-გლეხიც, მაგრამ სასულიერო მოღვაწეობის დროს იგი თავის ოჯახის წევრებთან ერთად წინანდელი მფლობელის დამოკიდებულებაში რჩებოდნენ და გარკვეულ გადასახადებსაც იხდიდნენ მათ სასარგებლოდ. ამის მიუხედავად, მათი მდგომარეობა სხვა გლეხებისაგან მაინც განსხვავდებოდა, რადგან ისინი სახელმწიფო გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ. სწორედ ამ ფაქტით იყო განპირობებული, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ავტოკეფალიის გაუქმებამდე, საქართველოს ეკლესიაში საკმაოდ მომრავლდა ყმა-გლეხთა წრიდან გამოსული დაბალი სამღვდელოება.

მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოხსენებაში დაუფარავად აღნიშნავდა, რომ საბატონო და სახელმწიფო გადასახადების თავის დაღწევის მიზნით ფულადი გასამრჯელოს გაღებით ყმა-გლეხები სასულიერო წოდებაში გადადიოდნენ.[380] აღნიშნულით უკმაყოფილო იყვნენ როგორც მებატონეები, აგრეთვე სახელმწიფო გლეხებიც, განსაკუთრებით ზარალდებოდნენ სახელმწიფო გლეხები, რადგან სასულიერო წოდებაში გადასვლით მათი რაოდენობა თანდათან მცირდებოდა, „ხოლო გადასახადის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და, მაშასადამე, მათზე დაკისრებული წასულთა ხვედრი გადასახადი ამძიმებდა მათ ისედაც მძიმე

379 Акты, т. 1, стр. 329.

380 Акты, т. IV, стр. 133.

საგამოსაღებო ტვირთს."[381] ხელისუფლებამ აღნიშნული პროცესის მოსაწესრიგებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა, 1807 წლის დასაწყისში მიღებული განკარგულებით სასულიერო წოდებაში გადამსვლელთა მსურველთ განცხადებით უნდა მიემართათ სამოქალაქო ექსპედიციისათვის, რომლის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული მთხოვნელთა ბედი.[382]

ყმა-გლეხთა წრიდან გამოსული დაბალი სამღვდელოება ძირითადად სოფლად ეწეოდა მღვდელმსახურებას. მათი რაოდენობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მართალია, ისინი ჩვეულებრივი გლეხებისაგან განსხვავებით გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ, მაგრამ მაინც ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. აღნიშნულ საკითხს ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია და, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთ საქართველოში 1807 წლის 7 დეკემბერს რუსეთის იმპერატორის ხელმოწერით ყმა-გლეხთა წრიდან გამოსული დაბალი სამღვდეობა უფლებრივად გაუთანასწორა რუსეთის შიგა გუბერნიების სამღვდელოებას. ამიერიდან ისინი გათავისუფლდნენ მებატონეთა ყმური დამოკიდებულებისაგან და საბატონო ბეგარა-გადასახადებისაგან. ქალაქად მცხოვრებ ყმა-გლეხთა წრიდან გამოსულ მღვდლებს ევალებოდათ მხოლოდ პოლიციის შესანახი გამოსაღების გადახდა.[383] აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს სხვა კუთხეებში მოგვიანებით გატარდა. 1821 წელს იმერეთის ეპისკოპოს სოფრონს დაევალა მოემზადებინა თავის ეპარქიაში დაბალი სამღვდელოების ყმობიდან გათავისუფლების საკითხი. იმერეთის თავადაზნაურობის თანხმობით, 1829 წელს აღნიშნული ეპარქიის დაბალი სამღვდელოება და მათი შვილები, რომლებიც 1810 წლის შემდეგ იყვნენ დაბადებულები, განთავისუფლდნენ ყმობისაგან.[384] მართალია, აღნიშნული კანონი 1837 წელს კავკასიის მთელ მართლმადიდებელ სამღვდელოებაზე გავრცელდა, მაგრამ მის გატარებას გარკვეული სიძნელეები შეხვდა სამეგრელოს სამთავროში. სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს დაევალა მისი განხორციელება, მაგრამ მან ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის გატარებაზე უარი განაცხადა, რადგან ყმობიდან გათავისუფლებული დაბალი სამღვდელოება თავისუფლდებოდა არა მარტო მებატონეებისაგან, არამედ სამეგრელოს მთავრის დამოკიდებულებისაგანაც. შექმნილ სიტუაციაში დავით დადიანმა გადაწყვიტა, აღნიშნული კანონი ისეთი ფორმით გაეტარებინა, რომ არ შელახულიყო სამთავროს შინაგანი ავტონომიური უფლება. ამ მიზნით, მან 1841 წლის 26 იანვარს მიიღო კანონი სამთავროს დაბალი სამღვდელოების ყმობიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული კანონის მეხუთე მუხლში

381 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 80.

382 ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.), თბ., 1975, გვ. 80.

383 Акты, т. III, стр. 77-78.

384 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 21.

ხაზგასმული იყო, რომ მებატონისაგან გათავისუფლებული გლეხი არ თავისუფლდებოდა „მთავარის დამოკიდებულებისაგან, რომელთანაც ისინი ისეთ ურთიერთობაში უნდა დარჩნენ, როგორ დამოკიდებულებაშიცაა სამთავროს სხვა თავისუფალი ხალხი."[385] რა თქმა უნდა, სამეგრელოს მთავრის ასეთი გადაწყვეტილებით კმაყოფილი არ იყო ხელისუფლება. საქართველოს ეგზარქოსმა და საქართველოს მთავარმართებელმა აღნიშნული გადაწყვეტილების გამო მთავრისაგან სათანადო განმარტება მოითხოვეს. საქართველოს მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მიმართვაში დავით დადიანი აღნიშნავდა, რომ „სამღვდელოება ემორჩილება მთავრის შინაგან სამოქალაქო მმართველობას და სამართალწარმოების იმ საერთო წესს, რომელიც არსებობს სამთავროში თავად-აზნაურებისათვის." სამეგრელოს მთავრის განმარტებით, ყმობიდან გათავისუფლებულ სამღვდელოებას უფლება აქვს გაასხვისოს თავისი მამული, თუკი მასზე მთავრის გავლენა არ ვრცელდება. მათვე უფლება ჰქონდათ შეეძინათ უძრავ-მოძრავი ქონება, ან საცხოვრებლად წასულიყვნენ სამთავროდან და სხვ.[386] დავით დადიანისაგან ხელისუფლებამ საკმაოდ დასაბუთებული პასუხი მიიღო, რომელიც მისთვის მინიჭებული ავტონომიური უფლების კანონის ჩარჩოებში კარგად თავსდებოდა, რის გამოც მთავრის მიერ მიღებული მეხუთე მუხლი ძალაში დარჩა.

დავით დადიანის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, ყმობიდან თავისუფლდებოდა სამღვდელოება და მათი შვილები, რომლებიც 1841 წლის შემდეგ იყვნენ დაბადებულები, მაგრამ, თუკი დასახელებულ წლამდე დაბადებულები მოითხოვდნენ სასულიერო წოდებაში გადასვლას მაშინ, მათ თავიანთ მებატონეთათვის უნდა გადაეხადათ 25 მანეთი. გარდა ამისა, ყმობისაგან გათავისუფლებულ სასულიერო პირს, თუკი მისი მამული მებატონის კუთვნილება იყო, უნდა გადაეხადა ათისთავი.[387] როგორც ჩანს, სამეგრელოს მთავრის კანონით, ყმობისაგან გათავისუფლებული დაბალი სამღვდელოება პირად თავისუფლებას ღებულობდა, მაგრამ თავისუფლების შემდეგ იგი კაბალურ პირობებში ვარდებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას სურდა, სამეგრელოს ეპარქიის შემოსავლებიდან კომპენსაცია მიეცა იმ მებატონეთათვის, რომლის ყმები სასულიერო უწყებაში გადავიდოდნენ. სამეგრელოს მთავარი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ამ წინადადებას არ დათანხმდა.[388] ყმობისაგან გათავისუფლებული დაბალი სამღვდელოება ასეთ მდგომარეობაში სამთავროს გაუქმებამდე დარჩა.

რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა სამღვდელოების მიმართ იმ მხრივ იყო მიმართული, რომ საეკლესიო რეორგანიზაციის შემდეგ იგი რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური გამხდარიყო. ავტოკეფალიის გაუქმების დროს,

385 თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 65.

386 თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 66.

387 თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 66.

388 თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 67.

მთავრობის აზრით, საქართველოში სამღვდელოთა რიცხვი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ამიტომ ხელისუფლება ეპარქიებისა და მოქმედი ეკლესია-მონასტრების შემცირებასთან ერთად საგრძნობლად ამცირებდა სასულიერო პირთა რიცხვს. სამღვდელოების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მთავრობა აპირებდა რუსეთის შიგა გუბერნიების მსგავსად, საქართველოს სამღვდელოების სახელმწიფო ჯამაგირზე გადაყვანას. ბუნებრივია, სამღვდელოთა რაოდენობის შემცირება, საჭირო ფინანსების ეკონომიასაც ნიშნავდა.

თეოფილაქტე ეგზარქოსის განკარგულებით 1819-1820 წლებში სასულიერო პირები საშტატო მდგომარეობაზე გადაიყვანეს.[389] შტატიანი იყო სასულიერო პირი, რომელიც სახელმწიფოსაგან ფულად ანაზღაურებას იღებდა. არსებობდა აგრეთვე შტატგარეშე სამღვდელოება, რომელსაც ჯამაგირი არ ეძლეოდა. ისინი შემოწირულობებისა და მრევლის ხარჯზე ცხოვრობდნენ. მათი მდგომარეობა შტატიან მღვდლებთან შედარებით არასახარბიელო იყო. ახალი კანონის მიხედვით, სოფლის შტატიანი მღვდლები მრევლის ხარჯზე ცხოვრობდნენ. სოფელი ვალდებული იყო, მღვდელთან ერთად მისი დამხმარე ორი დიაკვანიც ერჩინა. გარდა ამისა, სოფლის შტატიან მღვდელს უფლება ეძლეოდა დაემუშავებინა საეკლესიო მიწა და მოეწყო მეურნეობა. შტატიან მღვდელს ეძლეოდა შემოსული მანეთიდან 3 აბაზი, 2 აბაზი კი თანაბრად ნაწილდებოდა მედავითნეზე და მნათეზე. თუკი დიაკონის ადგილი თავისუფალი იყო, მაშინ მღვდელს ეძლეოდა 11 შაური, მედავითნეს, რომელიც დიაკონის ფუნქციას ასრულებდა – 5 შაური, მნათეს – აბაზი. მაგრამ თუ შტატგარეშე მღვდელი დიაკვნის ფუნქციას შეასრულებდა, მაშინ მანეთიდან იგი მიიღებდა – 2 აბაზს, დანარჩენი 3 აბაზი შტატიანი მღვდლის იყო. იყო ასეთი შემთხვევაც, თუ შტატიან მღვდელთან სადიაკვნე ადგილზე 2 შტატგარეშე მღვდელი იქნებოდა, მაშინ შტატიანი მღვდელი მიიღებდა 10 შაურს, ხოლო შტატგარეშე მღვდელი 5 შაურს.[390]

ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ შემოღებული ახალი კანონის მიხედვით შტატიან ეკლესიებს განესაზღვრა სამრევლო კომლთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი უნდა ყოფილიყო 80-100 კომლამდე. მანვე დაადგინა მღვდელთმსახურებისათვის გადახდილი თითოეული კომლის გადასახადი, რომელიც შეადგენდა 1 კოდ ხორბალს, ნახევარ კოდ ქერს, 1 თუნგ ღვინოს. ფულადი თანხის გადასახადი კი, შეძლების მიხედვით, მერყეობდა 1 აბაზიდან 3 აბაზამდე. გარდა ამისა, თითოეული 5 კომლს შესაწირის სახით ეკლესიისათვის უნდა მიეყვანა ცხვარი. ფულადი თანხების ახალი ნიხრი იქნა დაწესებული ნათლობის, ქორწინების, აღსარების, ზიარების და სხვა წესების შესრულებაზე.[391] ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის შემოღებული საგადასახადო სისტემა XIX საუკუნისის 80-იან წლებამდე მოქმედებდა.

389 თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 84.

390 Акты, т. VI, часть I, стр. 385-386.

391 Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тб., 1901, стр. 245.

რუსეთის ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება მიაქცია სამონასტრო ცხოვრებას, საქართველოში მას უძველესი ტრადიციები ჰქონდა. ისინი მნიშვნელოვან კულტურულ-სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ. შემოწირულობებით მონასტრებს დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნდა, მაგრამ ქვეყნის სიდუხჭირე სამონასტრო ცხოვრებაზეც აისახებოდა ხოლმე. XIX საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი საგრძნობლად იყო შემცირებული და ეკონომიკური თვალსაზრისითაც კარგად ვერ გამოიყურებოდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ეპარქიების შემცირებასთან ერთად, მონასტრების რაოდენობაც შემცირდა. ზოგ შემთხვევაში რამდენიმე მონასტერი გააერთიანეს, ზოგი კი საერთოდ გაუქმდა. ხელისუფლების მიერ განხორციელებული საეკლესიო გარდაქმნები სამონასტრო ცხოვრებასაც შეეხო. რუსეთში არსებული მონასტრების მსგავსად შემოსავლის სიდიდის მიხედვით ქართული მონასტრები დაიყო კატეგორიებად. პირველ კატეგორიად მიიჩნიეს ქვათახევის, შიომღვიმისა და დავით გარეჯის ლავრა; მეორე კატეგორიად მხოლოდ რამდენიმე მონასტერი ჩათვალეს. მონასტრების უმრავლესობა ძირითადად მესამე კატეგორიად ითვლებოდა.[392]

სასულიერო პირთათვის ხელფასების დანიშვნის შემდეგ საქართველოს მონასტრები, იმპერიის შიგა გუბერნიებში არსებული მონასტრების მსგავსად, დაიყო შტატიან და უშტატო მონასტრებად. მონასტერთა კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება და მასზე მიწერილი საეკლესიო გლეხებიდან შემოსული შემოსავალი ხაზინის განკარგულებაში გადავიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საეკლესიო ქონება საბოლოოდ ხაზინის საკუთრებად იქცა, მონასტრებს და ზოგიერთ ეკლესიას დაუტოვეს მცირე რაოდენობის სახნავ-სათესი მინები, სათიბები, წისქვილები, ტყეები და სხვა. ხელისუფლების გადაწყვეტილებით მონასტრებს უფლება ჰქონდათ თავიანთი ფულადი დანაზოგით შეეძინათ ქონება.

ქართულ მონასტერთა დიდი ნაწილი დაკომპლექტდა რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი რუსი ბერებით. ქართული მონასტრის წინამძღვრებად უმეტესწილად ნიშნავდნენ რუს ბერ-მონაზვნებს. ქართველი ბერები გაშვებულ იქნენ საფარის, დრანდის, ბიჭვინთის, მამკოდის და სხვა მონასტრებიდან,[393] ქართველთა განმანათლებლის – წმ. ნინოს განსასვენებელი, ბოდბის მონასტერი მთლიანად რუსი ბერების ხელში იყო, სადაც წირვა რუსულ ენაზე აღესრულებოდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართული მონასტრები სლავურ ტიპიკონზე მოეწყო. რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილ ქართულ მონასტრებში შემორჩენილ თითო-ოროლა

392 ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 115.

393 Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, Москва, 1907, стр. 10.

ქართველ ბერზე საიდუმლო ზედამხედველობა იყო დაწესებული, რათა მათ რუსეთის საწიინააღმდეგოდ არაფერი ემოქმედათ.[394] გარდა ამისა, ქართული მონასტრების გარკვეული ნაწილი გადასახლების ადგილად იქცა, სადაც „იძულებითი წესით აგზავნიდნენ იმპერიის საწინააღმდეგო შეთქმულებებისა და აჯანყებების მონაწილეებსა და თანამგრძნობთ."[395] პერიოდულად მონასტრის წინამძღვარი მათ შესახებ საიდუმლო მასალებს აწვდიდა რუსეთის სასულიერო უწყებას და საჭირო ზომებს ღებულობდა მათ წინააღმდეგ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გატარებული ღონისძიებებით ხელისუფლებამ მოშალა ძველი ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია, რომლის საქმიანობა ძველი ქართული ტიპიკონების საფუძველზე ხდებოდა.

მძიმე იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული შედეგები. რუსეთის ხელისუფლებამ ეკლესიაში მიმდინარე სტრუქტურულ-ადმინისტრაციული ცვლილებების პარალელურად XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფაქტიურად დაასრულა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა.

§2. საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში

რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად ავტოკეფალიაგაუქმებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად უწმინდესმა სინოდმა ეგზარქოსის ტიტული დააწესა. სიტყვა „ეგზარქოსი" ბერძნულია (ἔξαρχος) და ნიშნავს ხელმძღვანელს, წინამძღოლს, მთავარს. იგი სათავეს უძველესი დროიდან იღებს და ამ ტიტულს ბიზანტია-რომის იმპერიის დროს მაღალი წრის სამოქალაქო ჩინოვნიკებს ანიჭებდნენ, რომლებიც ოლქების სათავეში იდგნენ. აქედან ეს ტერმინი გადმოვიდა ქრისტიანულ საეკლესიო კანონიკურ ხმარებაში. ადრეულ ეტაპზე ეგზარქოსი დიოცეზის მართველი ეპისკოპოსის მოვალეობას ასრულებდა, იჯდა დიოცეზიის მთავარ ქალაქში და მიტროპოლიტის ფუნქციას ასრულებდა. შემდეგ მისი როლი გაიზარდა და დაიკავა მაღალი საფეხური მიტროპოლიტსა და პატრიარქს შორის. V საუკუნეში ეგზარქოსები სრული დამოუკიდებლობის უფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ VI საუკუნის შუა წლებიდან ამ დამოუკიდებლობას კარგავენ. უფრო გვიან ეგზარქოსს ეკავა საეკლესიო საქმეების რევიზორობა, მთავარეპისკოპოსებზე მეთვალყურეობა და შემო-

394 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX საუკუნის მეორე ნახევარში), ჟურნალი „რელიგია," 2003, 1-2-3, გვ. 19.

395 ლ. მირიანაშვილი, სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი XIX საუკუნის საქართველოში, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 47.

სული საჩივრების განხილვა.[396] რა თქმა უნდა, საქართველოს ეგზარქოსს ის ფუნქციები არ გააჩნდა, რაც ისტორიულად აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა, მაგრამ ძველი ტიტულის გახსენებით და მისი აღდგენით რუსეთის მმართველი წრეები ვითომდა ხაზს უსვამდნენ და პატივისცემას გამოხატავდნენ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. მართალია, რუსეთის უწმინდეს სინოდში ასეთი მაღალი ტიტულით არც ერთი მღვდელმთავარი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტიურად, საქართველოს ეგზარქოსს მათთან შედარებით არავითარი პრივილეგია არ გააჩნდა. უმეტეს შემთხვევაში, იგი რუსეთის შიგა ეპარქიის მმართველებზე ნაკლები უფლებებით სარგებლობდა, საქართველოს ეგზარქოსს ჰქონდა მხოლოდ ერთი უპირატესობა. მას რუსეთის უწმინდეს სინოდში მუდმივი მეოთხე ადგილი ეკავა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში საეგზარქოსოს დაარსებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია და რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოვლინებულ ეგზარქოსებს დაექვემდებარა. პიროვნული ავკარგიანობის მიუხედავად, ისინი რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებას აღასრულებდნენ და რუსეთის იმპერიის სამსახურში იყვნენ ჩაბმული. ხელისუფლება ეგზარქოსების მეშვეობით ახდენდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდაქმნას, რადგან „რუსეთის მთავრობამ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს თამაშობდა ქართული ეკლესია საქართველოს წარსულ ცხოვრებაში და ამიტომ მისი დანგრევა და იქიდან ქართული სულის ამოძირკვა ერთი უმთავრესი მუხლი შეიქნა საიმპერიო მთავრობის რუსიფიკატორული პროგრამისა."[397]

საქართველოს საეგზარქოსოსა და მასზე დაქვემდებარებული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით, რომელიც ძირითადად რუსეთიდან მოვლინებული კადრებით იყო დაკომპლექტებული, რუსეთის ცარიზმი საქართველოში ატარებდა თავის საეკლესიო პოლიტიკას. ეგზარქოსად დასანიშნ კანდიდატურას საგანგებოდ არჩევდნენ. ამ თანამდებობაზე, რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებით, რუსეთის იმპერატორი ნიშნავდა ყოვლად საიმედო, იმპერიის ინტერესებისათვის თავდადებულ, სასულიერო მოღვაწეობაში გამოცდილ პიროვნებას. საქართველოს ეგზარქოსი, როგორც რუსეთის სასულიერო ბიუროკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამოდინარე, ატარებდა იმ პოლიტიკას, რაც ცარიზმისათვის იყო მისაღები. ასეთი დიდი პოლიტიკური დატვირთვის გამო, საქართველოს საეგზარქოსოს და მის ხელმძღვანელ ეგზარქოსებს არ შეეძლოთ ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებით ემოღვაწათ. როგორც რუსი მკვლევრები წერენ: „თუ რომელი ქართველი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორულ ქმედებებზე ნამდვილი ის-

396 Православная Богословская энциклопедия, Т. V, Петербург, 1903, стр. 370-371.

397 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 49.

ტორიის დაწერას, განითლება მოგვიხდება, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას."[398]

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეგზარქოსები საუკუნე და ექვსი წელიწადი მართავდნენ. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ცხრამეტმა ეგზარქოსმა მოასწრო საქართველოში მოღვაწეობა. აქედან მხოლოდ პირველი ეგზარქოსი, ვარლამ ერისთავი იყო ქართველი, დანარჩენი კი – რუსი. მართალია, ეგზარქოსები ხშირად იცვლებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობა საბოლოოდ იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა, ისინი მაინც გარკვეული ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ და ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში მეტნაკლები სახით საკუთარ ხელწერას სტოვებდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებით რუსეთის იმპერატორმა საქართველოს ეგზარქოსად დანიშნა ეროვნებით ქართველი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი (1811-1817). ხელისუფლების არჩევანი პოლიტიკურად გამართლებული იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ ეტაპზე ეგზარქოსად რუსი ეროვნების ადამიანის დანიშვნა, ერთი მხრივ, ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მეორე მხრივ, იგი გართულებდა ეკლესიის რეორგანიზაციას, რადგან რუსი სამღვდელოება კარგად არ იცნობდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ხელისუფლების მიერ ეგზარქოსად შერჩეული ვარლამ ერისთავი კარგად იყო ჩახედული როგორც ქართულ, ისე რუსული ეკლესიის სტრუქტურაში და ბუნებრივია, მას ნაკლები დაბრკოლებები ექნებოდა ეკლესიის რეორგანიზაციის დროს. ისინი ნამდვილად არ შემცდარან არჩევანში. რუსეთის ხელისუფლებამ სწორედ მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. მანვე აღმოსავლეთ საქართველოში განახრციელა საეკლესიო გარდაქმნები, რომლის ძალით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის უწმიდესი სინოდის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ვარლამი დაიბადა 1762 წლის 8 აგვისტოს ქსნის უკანასკნელი ერისთავის, დავითის, ოჯახში. ქსნის ერისთავთა საგვარეულო ცნობილი იყო მწიგნობრობით, წიგნიერებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა დედამისი თინათინ მაჩაბელი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ვარლამის მსოფლმხედველობის

---

398 Браил, О положении Грузинской православной церкви в царской России, из книги Церковные вопросы в России, СПб, 1896, стр. 92; შდრ. Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, Москва, 1907, стр. 10; შდრ. საქართველოს ეკლესიის აკლება, თბილისი, 1907, გვ. 8; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, წიგნი I, თბ., 2003, გვ. 432-446.

ჩამოყალიბებაზე.[399] სწავლისადმი ინტერესი მან პატარაობიდანვე გამოიჩინა. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ვარლამი უშუალოდ კათოლიკოს ანტონ პირველის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსეთში ექსორიობაში მყოფ ანტონ პირველს თან გაჰყოლია ვარლამი, ვითომდა, სასულიერო აკადემიაში განათლების მისაღებად. 1763 წელს სამშობლოში დაბრუნებულ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველს ვარლამიც თან ჩამოჰყოლია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დროისათვის იგი საკმაოდ მცირეწლოვანი იყო. ანტონ კათოლიკოსის დახმარებით, ვარლამი დიდად გაიწაფა საერო და სასულიერო მწერლობაში. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, „იგი იყო ღრმად განსწავლული, საფილოსოფიო სწავლისა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე... ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა საუფლოთა და სხვათა დღეს ასწაულთა ქადაგებასა წიგნი საამო სასმენი და კარგა დათხზული." ვარლამმა თავისი ცოდნა ახალგაზრდა თაობის აღზრდას მოახმარა... იმავე იოანე ბატონიშვილის ცნობით, „ამან ასწავა სხვათა და სხვათა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი. მისი მეშვეობით ფილოსოფიურ საღვთისმეტყველო ცოდნას დაუფლებია ცნობილი გრამატიკოსი იოანე ქართველიშვილი, აღსა-



საქართველოს ეგზარქოსი
ვარლამ ერისთავი (1811-1817)

399 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-73.

400 ალ. გულისამვილი, ბიოგრაფიული ცნობა. მიტროპოლიტი ვარლამი პირველი ეგზარქოსი საქართველოსი, ჟურნალი „მწყემსი," 1884, I, გვ. 12.

401 მცირე უნყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX ს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 183; ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ვალერიან გაბაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2001, გვ. 15-17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეგრანიზაციის ზოგიერთი საკითხი, „ანალები," 2002, 1, გვ. 41; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეგზარქოსის ვარლამ ერისთავის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული „ვალერიან გაბაშვილი" 90, თბ., 2003, გვ. 102; შრდ. Э. Бубулашвили, Варлам Эристави, Православная энциклопедия, т. IV, М. 2003, стр. 604-605; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ვარლამ ერისთავი პირველი ეგზარქოსი საქართველოსი, ენციკლოპედია, თბ., 2015, გვ. 177; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

ნიშნავია, რომ თავისი მოწაფის, იოანე ქართველიშვილის ნაშრომი – „ქართული გარმატიკა" ვარლამმა 1815 წელს თბილისში დაბეჭდა.[402]

ვარლამ ერისთავი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ბატონიშვილებთან. როგორც ჩანს, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, მეფე ერეკლე მეორეს არ სურდა პრობლემები შექმნოდა ერისთავთა შთამომავლებისაგან და ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა ვარლამის სასულიერო კარიერისათვის ხელის შეწყობას. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ ანტონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, მეფე ერეკლე მეორეს კათოლიკოსად ვარლამ ერისთავის დანიშვნა განუზრახავს, მაგრამ გიორგი ბატონიშვილის მოთხოვნით ამ თანამდებობაზე ანტონ მეორე დასვეს, ვარლამს კი ახტალის საეპისკოპოსო გადასცეს. ვარლამმა ახლად არჩეულ კათოლიკოსს ანტონ მეორეს ვრცელი სიტყვით მიმართა, წარმატებები უსურვა ამ რთულ და საპატიო მოვალეობის შესრულებისას.[403]

კათოლიკოს ანტონ მეორის კურთხევით, ვარლამ ერისთავი 1794 წელს გაემგზავრა რუსეთში, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს და დააბინავეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში. 1801 წლის დასაწყისში ვარლამი პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამბროსიმ თავის მრჩევლად აიყვანა, ხოლო იმავე წლის მარტში იგი იმპერატორ პავლე პირველის თანხმობით რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად აირჩიეს.[404] ვარლამ ერისთავის რუსეთში მოღვაწეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა, სათანადოდ შეუსწავლია რუსული ენა, აგრეთვე დაუფლებია ძველ ბერძნულს. იგი საფუძვლიანად გასცნობია რუსულ სასულიერო ლიტერატურას.[405]

პეტერბურგში მოღვაწეობის დროს ვარლამმა გამართა ქართული სტამბა და ხელი მიჰყო საგამომცემლო საქმიანობას. ეგზარქოსობიდან გადაყენებული მოსკოვში მყოფი ვარლამი კვლავ საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდა. მას ორათეულზე მეტი წიგნი გამოუცია. 1806 წელს გამოსცა თავის მიერ შედ-

402 ს. ლეკიშვილი, ქართული სტამბის მოღვაწენი, ალმანახი „მწიგნობარი," 81, თბ., 1982, გვ. 128.

403 ჟურნალი „ცისკარი," 1852, 5, გვ. 39-41.

404 ს. ლეკიშვილი, ქართული სტამბის მოღვაწენი, ალმანახი „მწიგნობარი," 81, თბ., 1982, გვ. 128-129; შდრ. ს. ლეკიშვილი, ძველი ქართული კულტურის საკითხები ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომებში, თბ., 1987, გვ, 90.

405 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ვალერიან გაბაშვილის 90 ნლითავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2001, გვ. 15-17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეოგრანიზაციის ზოგიერთი საკითხი, „ანალები," 2002, 1, გვ. 41; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეგზარქოსის ვარლამ ერისთავის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული „ვალერიან გაბაშვილი" 90, თბ., 2003, გვ. 102; შდრ. Э. Бубулашвили, Варлам Эристави, Православная энциклопедия, т. IV, М. 2003, стр. 604-605; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ვარლამ ერისთავი პირველი ეგზარქოსი საქართველოსი, ენციკლოპედია, თბ., 2015, გვ. 177; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

გენილი „სადღესასწაულო," ხოლო 1821 და 1825 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდა ანტონ კათოლიკოსის „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი."[406] ვარლამი დიდად აფასებდა ანტონ პირველის ღვაწლს ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარებაში. მან თავისი კეთილგანწყობილება მასწავლებლის მიმართ იმითაც გამოხატა, რომ დიდად იზრუნა მისი საფლავის კეთილმოწყობისათვის. ვარლამს ეკუთვნის ანტონ კათოლიკოსისადმი მიძღვნილი ეპიტაფიაც:

„ქართველთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,
პავლედ მქუხარედ, უმეცართ განაწირად,
გრიგორად მაღლად, მგმობთა განაპირად
აქვნდა რა იყო, ქვეყნისაგან დანაპირად
დატევა სამწყსო ღვთისადმი შენაპირად..."[407]

პეტერბურგში ვარლამ ერისთავი დაახლოებია მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვს, რომელიც საქართველოს შესახებ ნაშრომს ამზადებდა. ირკვევა, რომ ნაშრომის შექმნაში მას დიდ დახმარებას და სათანადო კონსულტაციას უწევდა ვარლამ ეპისკოპოსი.[408] პეტერბურგში ყოფნის დროს, 1802 წელს ვარლამს რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია თავისი ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა," რომელიც მიზნად ისახავდა, რომ მკითხველს ინტერესი გასჩენოდა ახლად შემოერთებული ქართველი ხალხის ენის მიმართ.[409]

წყაროები გადმოგვცემენ, რომ ვარლამ ერისთავი იყო შესანიშნავი მქადაგებელი და „ძლიერ დახელოვნებული საღმრთო წერილში.[410] ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარნი: ნიკოლოზ კანდელაკი, კორნელი კეკელიძე და პლატონ იოსელიანი ვარლამის ქადაგებას მაღალ შეფასებას აძლევენ და მას სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ პირველის, ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილის და სხვათა გვერდით აყენებენ. ჩვენამდე მხოლოდ ბეჭდური სახით არსებულმა მისმა ხუთმა ქადაგებამ მოაღწია: 1). „სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე თქმული წმიდისა პასეკისა მწუხრისა ზედა;" 2). „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მას-

406 ს. ლეკიშვილი, ქართული სტამბის მოღვაწენი, ალმანახი „მწიგნობარი," 81, თბ., 1982, გვ. 128-129.

407 წყობილ-სიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართველოჲსა, პლატონ იოსელიანის გამოცემა, თბ., 1853, გვ. XVI; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი, „ანალები," 2002, 1, გვ. 41; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეგზარქოსის ვარლამ ერისთავის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული „ვალერიან გაბაშვილი" 90, თბ., 2003, გვ. 102.

408 ს. ლეკიშვილი, ძველი ქართული კულტურის საკითხები ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომებში, თბ., 1987, გვ, 88.

409 ს. ლეკიშვილი, ქართული სტამბის მოღვაწენი, ალმანახი „მწიგნობარი," 81, თბ., 1982, გვ. 134.

410 ჟურნალი „მწყემსი," 1884, 1, გვ. 2.

წავლებელი;" 3). „სიტყვა თქმული ოქტომბრის 29, 1788 წელს საკათალიკოზო საყდარსა ზედა აღსვლისა და ნიშნების მირთმევასა ანტონ ირაკლისი მეფის ძისასა;" 4). „ირაკლის მიმართ მეფესა სრულიად საქართველოისი დღესა უფლისა ჩვენისა იესოს შობისა წელსა 1794;" 5). „სიტყვა პავლე ციციშვილისადმი."[411] პლატონ იოსელიანის გადმოცემით, დეკანოზ გერასიმე პავსკის რუსულად უთარგმნია ვარლამის ქადაგებანი, რომელიც გამოქვეყნებულა კიდეც.[412] როგორც ჩანს, პლატონ იოსელიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ვარლამის ნაშრომი „განმარტებანი სახარებისა," რომელიც ზემოთ დასახელებულ დეკანოზს რუსულად უთარგმნია და 1821 და 1824 წლებში ორჯერ გამოუცია. ვარლამ ერისთავის „განმარტება სახარებისა" 1825 წელს მოსკოვში ქართულადაც გამოქვეყნდა.[413] ქადაგებებისა და „ქართული გარმატიკის" გარდა, მას შეუქმნია სხვა ნაშრომებიც: გეოგრაფიული ატლასი," „სახელმძღვანელო არითმეტიკისა," „ლექსი მირიან ბატონიშვილთან მიწერილი" და სხვა.

სწორედ ასეთი განსწავლული პიროვნება გახდა შემოქმედი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა, რასაც მალე ავტოკეფალიის გაუქმებაც მოჰყვა. 1808 წლის მეორე ნახევრიდან ვარლამ ერისთავს რუსეთიდან საქართველოში აბრუნებენ. წინასწარვე ნავარაუდევი იყო, რომ რუს მოხელეებს იგი სურდათ გამოეყენებინათ იმ დროისათვის ჩვენში მიმდინარე საეკლესიო გარდაქმნების განხორციელებისათვის. ამ მხრივ ვარლამი, მართლაც, შესაფერისი კანდიდატურა იყო, რომელიც ახლოს იცნობდა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურას. სამშობლოში დაბრუნებული ვარლამ ერისთავი რუსეთში გამგზავრების წინ კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ საქართველოს სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარედ დაადგინა. კათოლიკოსის მოვალეობის შემსრულებელმა ვარლამმა ხელისუფლების იმედები გაამართლა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი გვერდში ამოუდგა რუს მოხელეებს საქართველოს ეკლესიის გარდაქმნაში, რის გამოც იგი ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დამსახურებისამებრ საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს. მასვე დაევალა ავტოკეფალიანართმეული ეკლესიის რეორგანიზაციაც.

ვარლამ ეგზარქოსმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მანვე განახორციელა სეკულარიზაციის პირველი ეპატი, რომლის ძალით დაიწყო საეკლესიო მიწების ხაზინისადმი გადაცემა, „რითაც ქართულ სამღვდელოებას მოუსპეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზა და დასაბამი მისცეს ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ცარიზმის მორჩილ მოხელეებად გადაქცევის პროცესს. ამ რადიკალურმა ცვლილებამ

411 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეგზარქოსის ვარლამ ერისთავის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებული „ვალერიან გაბაშვილი" 90, თბ., 2003, გვ. 103-104.

412 წყობილ-სიტყუაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათოლიკოს პატრიარქისა ყოვლისა საქართველოჲსა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1853, გვ. 252.

413 ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. 70.

ქართლ-კახეთში დიდი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ რეფორმა შედარებით მშვიდობიანად გატარდა."[414] მართალია, მათ თავიანთი განწყობილება აშკარად არ გამოუხატავთ, მაგრამ იმდროინდელი წყაროები ეგზარქოს ვარლამ ერისთავის მოღვაწეობას უარყოფითად ახასიათებენ. ბაგრატ ბატონიშვილი მის შესახებ წერდა: „ამან არა მზრუნველმან ეკლესიათამან, არამედ მოხვეჭისა და შეძინების გამო მოუხვნა ყოველთავე მღვდელმთავართა ეპარქია, რომელიცა აქვნდათ და განუწესა მცირე რაიმე როჭიკი."[415] რეფორმების გატარების დროს ვარლამი „ცდილობდა რუსეთის უწმინდესი სინოდის კეთილგანწყობილების მოპოვებას. მან ბევრი იშრომა საეგზარქოსოს შესაქმნელად. ამიტომ მომდევნო პერიოდის ქართველი სამღვდელოება მას ზიზღით უყურებდა."[416] ასეთი განწყობილება ვარლამ ეგზარქოსის მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ხელისუფლებას აქტიურად დაეხმარა 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში. საქართველოს მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი 1813 წლის 8 აპრილს ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინისადმი გაგზავნილ მიმართვაში საგანგებოდ აღნიშნავდა არქიმანდრიტ ელეფთერ ზუკაკიშვილისა და ეგზარქოს ვარლამის დამსახურებას ზემოთ აღნიშნული აჯანყების დროს. როგორც წყაროებით ირკვევა, ეგზარქოსი თავის ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად ხშირად სტუმრობდა აჯანყებულ კახელებს და მათ მოუწოდებდა შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. იმავე წყაროს ცნობით, ვარლამ ეგზარქოსი საქართველოს მთავარმართებელსა და კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობას საიდუმლო მასალებს აწვდიდა კახეთის აჯანყებული მოსახლეობისა და უკმაყოფილო კავკასიელი მთიელების შესახებ. ასეთი დიდი დამსახურების გამო საქართველოს მთავარმართებელი ნიკოლაი რტიშჩევი ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს სთხოვდა, ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორის წინაშე, რომ ეგზარქოსი ვარლამი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით დაეჯილდოებინათ.[417]

ვარლამ ეგზარქოსის თავმჯდომარეობით დაარსებულმა ჯერ სასულიერო დიკასტერიამ, შემდგომ კი მის ნაცვლად შექმნილმა საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ეკლესიის რეორგანიზაციის საქმეში. 1814 წლიდან, დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ მას იმერეთის ეგზარქოსის ტიტულიც მიენიჭა. საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ ვარლამ ეგზარქოსს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების ჩატარება დაევალა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისა და სამღვდელოების წინააღმდეგობის გამო მან თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.[418] როგორც ჩანს, ვარლამ ერისთავის

414 ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980, გვ. 80.

415 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 112.

416 ჟურნალი „მოგზაური," 1901, 1, გვ. 354.

417 АКТЫ, Т. 5, стр. 403.

418 ე. ბუბულაშვილი, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმება და მისი რეორგანი-

თანამდებობიდან გადაყენების ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობაც იყო.

ვარლამ ეგზარქოსს რამდენიმე ქართული ტაძრის აშენება-შეკეთებისთვისაც უზრუნია. 1813 წელს მას საკუთარი სახსრებით შეუკეთებია ქაშუეთის ეკლესია და მისთვის კარიბჭე შეუბამს.[419] მასვე კუკიაზე აუშენებია ჯვარის გამოჩინების სახელზედ ახალი ეკლესია, ხოლო თბილისის სიონის ტაძრის წინ 1812 წელს აღმართა მაღალი სამრეკლო.

მართალია, ვარლამ ერისთავმა ბევრი იშრომა საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ რეაქციული ძალები არ ისვენებდნენ. ისინი ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ ეგზარქოსი ქართველი იყო. ამიტომ შეეცადნენ ვარლამ ეგზარქოსის თავიდან მოშორებას. საამისოდ მიმართეს ნაცად ხერხს – ერთმანეთს წაჰკიდეს ქართველი სასულიერო პირები. რუსმა მოხელეებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) დოსითეოსი (ფირცხელაური) ვარლამ ეგზარქოსისათვის დაეპირისპირებინათ. თუკი ეკლესიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი ვარლამ ერისთავის პროექტით განახორციელეს, მეორე ეტაპის გატარება დაევალა მთავარეპისკოპოს დოსითეოსს (ფირცხელაური). სწორედ მისი მეშვეობით 1815 წელს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და „ოსეთის სასულიერო კომისია." აღნიშნული ფაქტით რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო მთავარეპისკოპოს დოსითეოსსა და ეგზარქოს ვარლამს შორის ურთიერთქიშპობის ჩამოგდება. მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური ეგზარქოს ვარლამ ერისთავის წინაპრების აზნაურად ითვლებოდა. ვარლამ ეგზარქოსსა და მის ნააზნაურალ მთავარეპისკოპოსს დოსითეოსს შორის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა ხელისუფლების მხარდაჭერით „ოსეთის სასულიერო კომისიისათვის" შეიძინა ვარლამ ეგზარქოსის ახლობლების კუთვნილი გორაძირის მიწები, რის გამოც ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და მათი ურთიერთობა მტრობაში გადაიზარდა. თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი იოანე ოსეშვილი ორივეს მუხლმოდრეკით ეხვეწებოდა, შურისა და მტრობისათვის თავი დაენებებინათ „...თორემ დაღუპავთ საქართველოს, ეკლესიას და თქვენს თავსაცო, არაფერს კეთილს არ დაგაყრიან რუსებიო."[420] ყური არ უგდეს დეკანოზის რჩევას და როცა ვარლამ ერისთავი რუსეთში გაიწვიეს, ხოლო მის მაგივრად რუსი ეგზარქოსი დანიშნეს, მაშინ ენიშნათ ოსეშვილის რჩევა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ვარლამ ერისთავის შემცვლელმა ახალმა ეგზარქოსმა, თეოფილაქტე რუსანოვმა მთავარეპისკოპოსი დოსითეოსიც გაათავისუფლა თანამდებობიდან და ისიც რუსეთში გადაასახლა. ოფიციალურად კი რუსეთის უწმინდესი სინოდი იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი წარდგენილ

ზაცია, შსს აკადემიის შრომები, თბ., 2001, გვ. 162.

419 გაზეთი „ივერია," 1898, 35.

420 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, 168, ფურც. 3.

მოხსენებაში ეგზარქოს ვარლამის გადაყენების შესახებ აღნიშნავდა, რომ მისი მოღვაწეობა საქართველოში „წარმატების არავითარ იმედს არ იძლეოდა და საჭიროდ თვლიდა ამ ადგილისათვის შესაფერი რუსი არქიეპისკოპოსის (მთავარეპისკოპოსი) დანიშვნას. არჩევანი რიაზანის მთავარეპისკოპოს თეოფილაქტე რუსანოვზე შეჩერდა."[421]

რუსეთში გაწვევის შემდეგ ვარლამ ერისთავი მოსკოვში, დანილოვის მონასტერის წინამძღვრად დაინიშნა, სადაც იგი 1830 წელს გარდაიცვალა, დასაფლავებულია იქვე.

ვარლამ ერისთავის გაწვევის შემდეგ 1817 წლის 14 მაისს ეგზარქოსად დანიშნეს თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821). ამ დროიდან მოყოლებული 1917 წლამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად ვხედავთ მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრებს. მათი მეშვეობით რუსეთის მმართველი წრეები რეაქციული პოლიტიკის გატარებას ახდენდნენ საქართველოში. ეგზარქოსთა მოღვაწეობის შესახებ სამართლიანად წერდა კათოლიკოს-პატრიარქი, ახლახან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კალისტრატე ცინცაძე: „ჩვენი ენის, ზნე-ჩვეულებებისა და წარსულის უცოდინარი სინოდის ეგზარქოსები საქართველოს ეკლესიას მართავდნენ „ბრძანებითა მისი უდიდებულესობისაითა" და არა სჯულის კანონისა და საქართველოს ეკლესიის კრებათა ხელმძღვანელობით, ხოლო ადგილობრივი მათი თანამშრომელნი ეპისკოპოზნი და მღვდელნი, ახალი მდგომარეობით ხელფეხშეკრულნი, ველარ ახერხებდნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას „მართლისა დამტკიცებას და გულაღრძნილისა განხდას."[422] სწორედ ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა თეოფილაქტე რუსანოვი, რომელი „იყო კაცი სასტიკი, უსამართლო, შეუბრალებელი და გაუტა-



საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე (რუსანოვი, 1817-1821)

421 მ. გუგუტიშვილი, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები (XIX ს. I ნახევარი), კრებული, ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები თანამედროვე ეტაპზე (ნაკვეთი IV), თბ., 1978, გვ. 35-36.

422 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კ. ცინცაძის ფონდი, 32, ფურც. 3; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე; შდრ. შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სტატიები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 51.

ნელი."[423] შემთხვევითი არ იყო ხელისუფლების მიერ ასეთი თვისებების მქონე პიროვნების დანიშვნა საქართველოს ეგზარქოსად. იარაღით დაპყრობილი ქვეყნის ეკლესიის რეორგანიზაცია სწორედ თეოფილაქტეს მსგავსი დაუნდობელი პიროვნების ხელმძღვანელობით იყო შესაძლებელი.

ეგზარქოსად დანიშვნამდე, არხანგელსკის გუბერნიაში მედავითნის ოჯახში დაბადებულმა (დაიბადა 1765 წელს) თეოფილაქტემ (ერობაში თევდორე გაბრიელის ძე რუსანოვი), სასულიერო მოღვაწეობის გრძელი გზა განვლო.

თანამედროვეთა გადმოცემით, თეოფილაქტე ნიჭიერი, განათლებული და ბრწყინვალე მოქადაგე ყოფილა. მან მოხიბლა პეტერბურგის საზოგადოება თავისი ქადაგებებითა და ფრანგული ენის ცოდნით. ამასთან ერთად, იგი ყოფილა პატივმოყვარე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თეოფილქტე კეთილგანწყობილი არ ყოფილა ბერ-მონაზვნობისა და ასკეტური ცხოვრების მიმართ. მიუხედავად ასეთი განწყობისა, იგი მაინც ბერად აღიკვეცა, რადგან სასულიერო იერარქიაში მაღალ თანამდებობას მის გარეშე ვერ მიაღწევდა. ბერულ სამოსშიც თეოფილაქტეს საკმაოდ თავისუფლად ეჭირა თავი. ბერობის მიუხედავად, მას უყვარდა ფუფუნება და ბრწყინვალება. თავისი მჭევრმეტყველური ნიჭითა და წარმოსადეგი გარეგნობით სამეფო კარზე იგი მიღებული პიროვნება გახდა. ერთხანს იგი კალუგის ახლადდაარსებული ეპარქიის მმართველი იყო, შემდგომ კი პეტერბურგში გადადის და ოცნებობს ამ ქალაქის მიტროპოლიტობაზე. მალე იგი დაუპირისპირდა მაღალი იერარქიის სამღვდელო პირებს, რის გამოც დედაქალაქს ტოვებს და რიაზანის ეპარქიის მმართველად ინიშნება. ერთხანს იგი 1812 წელს ნაპოლეონის მიერ გაპარტახებული ეპარქიების აღდგენისათვის შექმნილ „ექსტრაორდინალურ კომისიას" ხელმძღვანელობდა, ხოლო 1813 წელს ისევ რიაზანის ეპარქიას დაუბრუნდა. მაღალ იერარქებთან დაპირისპირების გამო თეოფილაქტეს ავტორიტეტი პეტერბურგში საგრძნობლად დაეცა. ამის გამო იგი დედაქალაქს მოაშორეს და საქართველოში გამოგზავნეს.[424] 1819 წელს მას მიტროპოლიტობა უბოძეს და წმ. ვლადიმირის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს, მაგრამ ვერც დაწინაურებამ და ვერც დაჯილდოვებამ მას შვება ვერ მოჰგვარა. იგი თავს გადასახლებულად მიიჩნევდა და მუდამ რუსეთში დაბრუნებაზე ფიქრობდა. რუსეთში კი თეოფილაქტე რუსანოვი ყველამ შეიძულა თავისი სისასტიკის გამო.

თეოფილაქტემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე, 1817 წლის 9 ნოემბერს თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზს იოსებ ფალავანდიშვილს წერილობით აცნობა, რომ ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს თბილისის სიონის ტაძარში წირვა-ლოცვას რუსულ ენაზე ეგზარქოსთან ერთად აღასრულებდა რუსი სამღვდელოება, ხოლო კვირის დარჩენილ დღეებში და დღესასწაულებზე ქარ-

423 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე 97, ფურც. 56.

424 Феофилакт (Русанов), Русский биографический словарь: в 25 томах, СПБ, 1913, Т. 25, Яблонский –Фомин, стр. 466-469; შდრ. А. А. Ельчуков, Феофилакт (Русанов), Киев, 1905, стр. 119.

თველ სამღვდელოებას უფლება ეძლეოდა წირვა ქართულად ჩაეტარებინა. თეოფილაქტემ შეადგინა კომისია ეკლესია-მონასტრების უძრავ-მოძრავი ქონების საბოლოოდ აღსაწერად და სიგელ-გუჯრების რუსულ ენაზე გადასათარგმნელად.[425] საქართველოში რუსული პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი სამღვდელოების ჩამოყალიბების მიზნით თეოფილაქტემ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სასულიერო განათლებას. ამ მიზნით, მისი ინიციატივით თბილისში, თელავში, გორსა და სიღნაღში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. მის დროსვე თბილისში 1817 წელს დაარსდა თბილისის რუსული სასულიერო სემინარია. თეოფილაქტე დიდად დაეხმარა „ოსეთის სასულიერო კომისიას." მისი ეგზარქოსობის დროს, დაახლოებით 47 ათასი მთიელი მოექცა ახალ სარწმუნოებაზე.[426]

თეოფილაქტე რუსანოვმა თავისი სისასტიკე საქართველოში მოღვაწეობის დროსაც გამოავლინა. მან განსაკუთრებით მძიმე მდგომაროებაში ჩააგდო სასულიერო პირები. „თეოფილაქტე დორბლებს ყრიდა ხოლმე პირიდან, როცა კი გაჯავრდებოდა და სამღვდელო პირთ როზგავდა კიდეც."[427] მისი განკარგულებით ქართველ სასულიერო პირთა გვარებს „შვილი" და „ძე" მოაკვეცეს და იგი „ოვ"-ით შეცვალეს.[428]

ეგზარქოსი თეოფილაქტე მარტოდ არ ეწეოდა ანტიქართულ საქმიანობას. მან რუსეთიდან ჩამოიყვანა რუსი საერო და სასულიერო პირთა მთელი დასი, რომლებიც სხვადასხვა შემოსავლიან თანამდებობებზე დაინიშნენ.[429] თეოფილაქტემ კანცელარიის მმართველობა ჩააბარა თავის ძმას, რომელმაც მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ეგზარქოსის კანცელარიაში გამოაკრა საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის გადასახადი ფულადი თანხის ნიხრი. მანვე ახლადდაარსებული თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორობა უბოძა თავის მეგობარს, ბერ ვიტალის. თეოფილაქტემ გადააყენა დავით გარეჯის წინამძღვარი ილარიონ ვაჩნაძე და მის მაგივრად გაამწესა სემინარიის რექტორი ვიტალი, მაგრამ ამ უკანასკნელმა 1818 წლის 26 ოქტომბერს მოუცლე-

---

425 Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, стр. 20; შდრ. Феофилакт (Русанов), Русский биографический словарь: в 25 томах, СПБ, 1913, Т. 25, Яблонский –Фомин, стр. 466-469; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU - ს საიტებზე.

426 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 356; შდრ. ე. ბუბლაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 242-243.

427 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი, საქმე 153, ფურცელი 3.

428 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი, საქმე 153, ფურცელი 3.

429 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 12.

ლობის გამო უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე.[430] თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზად დაინიშნა თეოფილაქტეს ახლობელი ალექსანდრე ფედოროვი, რომელიც 1823 წელს საკუთარი ცოლ-შვილის დახოცვის შემდეგ ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა და რომელსაც ამავე წელს ეგზარქოსმა იონამ დავით გარეჯის წინამძღვრობა უბოძა. თეოფილაქტეს დროს საეგზარქოსოს ყველა თანამშრომელი რუსი მოხელეებით იყო დაკომპლექტებული.

თეოფილაქტეს დროიდან მკაცრი რეჟიმი იქნა დაწესებული სასულიერო სასწავლებლებში. უმნიშვნელო დანაშაულის გამო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული. თეოფილაქტეს მითითებით, თბილისის სასულიერო სემინარიაში ცალკე საგნად იქნა შემოღებული სლავური საეკლესიო გალობის სწავლება, მაშინ, როცა ამ დროს ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებს საერთოდ არ ასწავლიდნენ.[431]

ეგზარქოსი თეოფილაქტე ხშირად თვითნებურად ასხვისებდა საქართველოს ეკლესიის კუთვნილ ქონებას. მან 1820 წელს თბილისის სიონის ტაძრის კუთვნილი ქარვასლა არწრუნს მიჰყიდა. მანვე გაასხვისა მუხრანის ხიდთან არსებული რუისის ტაძრის მეტოქი, ასევე ხუთ დღიურ მიწასთან ერთად გაყიდა ქვემო ავლაბრის ხიდთან რუსთავის მეტოქი.

თეოფილაქტე, რუსული წყაროების მიხედვით, ჯიუტი და დაუნდობელი იყო. ეს თვისებები მან გამოავლინა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების გატარების დროს. 1819 წელს იგი თავის ემისრებთან ერთად იმერეთს ეწვია და დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა. დასახული მიზნის განსახორციელებლად იგი არავის და არაფერს არ ერიდებოდა და თავისი ქმედებებით შეურაცხყოფდა იმერეთის სამღვდელოებას და მოსახლეობას. მისმა არასწორმა პოლიტიკამ 1819-1820 წლებში გამოიწვია იმერეთში აჯანყება, რომელმაც ნაწილობრივ სამეგრელო, გურია და რაჭაც მოიცვა. როგორც წყაროებით დასტურდება, ხელისუფლება აჯანყების გამომწვევ მიზეზად ნაწილობრივ ეგზარქოს თეოფილაქტეს სიჯიუტეს მიიჩნევდა, რის გამოც იგი იმერეთიდან გაიწვიეს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ეგზარქოსმა თეოფილაქტემ შური იძია მათზე. აჯანყების მეთაური მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი დაატყვევეს და იმერეთიდან გადაასახლეს, თვითონ კი 1821 წლის დასაწყისში სამხედრო ნაწილებთან ერთად რაჭის სოფლებს შეესია და ვინც კი ეჭვმიტანილი იყო, ყველა დასაჯა, ხოლო ორი მღვდელი მაისურაძე ციმბირში გადაასახლა.[432] აჯანყებულების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკის გამო, აკაკი წერეთლის დედას დარეჯანს, რომელიც იყო შვილი აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ივანე აბაშიძის და

430 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 12.

431 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 7, გვ. 11; შდრ. პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო," 1917, 99.

432 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 6, გვ. 12-13; შდრ. ე. ბუბლაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 244.

შვილიშვილი მეფე სოლომონ პირველის, ეგზარქოს თეოფილაქტეს შესახებ დაუწერია სატირა „მრისხანე ბატონი," რომელიც სამწუხაროდ, დღემდე დაკარგულად ითვლება.

თეოფილაქტე ეგზარქოსი ხშირად მღვდელმთავრისათვის შეუფერებულ საქციელსაც ჩადიოდა. მან 1819 წელს დიდი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა მიაყენა იმ დროისათვის საქართველოში წმინდა პიროვნებად მიჩნეულ განდეგილ ბერს ბესარიონ ფავლენიშვილს. იგი სტეფანწმინდიდან ფეხით ჩამოიყვანა, გაასამართლა და გიუად გამოაცხადა. შემდეგ კი შიო მღვიმის მონასტერში გამოკეტა, სადაც მას თეოფილაქტეს მითითებით მოსვენებას არ აძლევდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ათანასი, რომელიც აგრეთვე შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვრადაც ითვლებოდა.[433] როგორც წყაროები გადმოგვცემენ, „თეოფილაქტე შეეხო ქართველი ერის ცხოვრებას ცეცხლითა და მახვილით და სადაც წინააღმდეგობა დახვდა – მუსრი გაავლო."[434] მან დიდი ყურადღება მიაქცია გაუქმებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებში უპატრონოდ მიტოვებულ საეკლესიო ძვირფასეულობას. მისი განკარგულებით ქართული ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ძვირფასეულობა თბილისში იქნა ჩამოზიდული, ხოლო შემდეგ სად წავიდა აღნიშნული სიმდიდრე, ცნობილი არაა. ამ საქმეში ეგზარქოსმა თეოფილაქტემ ჩააბა არა მარტო რუსეთიდან ჩამოყვანილი სასულიერო პირები, არამედ ქართველი სამღვდელოების რენეგატი ნაწილიც. ეგზარქოსის ყურმოჭრილი მონები და მისი ყველა სურვილის აღმსრულებლები იყვნენ არქიმანდრიტები: ელეფთერ ზუკაკიშვილი, ეპიფანე ბუჭყიაშვილი, რუისის ტაძრის დეკანოზი ზაქარია მამაცაშვილი და სხვები. თეოფილაქტეს მითითებით დასახელებულმა პირებმა 1818 წელს შეადგინეს აღმოსავლეთ საქართველოში იმ დროისათვის მოქმედი და გაუქმებული ეკლესია-მონასტრების სია. შემდეგ კი დაიწყეს ამ ეკლესია-მონასტრების საეკლესიო ძვირფასეულოდბის აღწერა და მათი თბილისში ჩამოტანა. 1818 წლის შემოდგომაზე არქიმანდრიტმა ეპიფანემ საეგზარქოსოს კანცელარიის მმართველ თეოფილაქტეს ძმასთან ერთად აღწერა რუსთავის ყოფილი ეპარქიის კუთვნილი მარტყოფის ღვთაების ტაძრის სიწმინდეები. ამ ერთგული სამსახურის გამო არქიმანდრიტი ეპიფანე ძვირფასი თვლებით შემკული გულსაკიდი ჯვრით დააჯილდოვეს.[435] იმავე წლის მარტში საქართველოს ეგზარქოსის

---

433 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 8-9, გვ. 15; შდრ. ე. ბუბლაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 245; შდრ. ე. ბუბლაშვილი, წამებული ბერი – ბესარიონ ფავლენიშვილი, ჟურნალი რელიგია, 1999, №7-8-9, გვ. 77-86; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

434 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 8-9, გვ. 15; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1461, აღწ, 1, საქმე 37, ფურც. 2.

435 პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და

დავალებით რუისის ბლაღოჩინმა (კეთილმოწესე) ზაქარია მამაცაშვილმა და გორელმა მღვდელმა ქრისტეფორე ანანიაშვილმა აღწერეს შიდა ქართლის სიწმინდეები და გარდაცვლილი იუსტინე (მაღალაშვილი) მღვდელმთავრის ნაქონი ძვირფასი ნივთები და საეკლესიო შესამოსლები გადასცეს ეგზარქოსის ერთგულ თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზს გაბრიელ ქართველიშვილს. ამავე პერიოდში საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით სამთავისის ტაძრის დეკანოზმა ბესარიონ ილურიძემ სამთავნელი ეპისკოპოსის გერვასის გარდაცვალების შემდეგ რუისში დარჩენილი მისი სამღვდელმსახურო ძვირფასეულობა შეაგროვა, სკივრში ჩალაგებული ურემზე დააწყო და თბილისში გაგზავნა, მაგრამ მათ ამილახვრის კაცები წამოეწივნენ, ჩამოართვეს ქონება და სოფელ ჭალაში ამილახვრებს საეკლესიო ძვირფასეულობა მიართვეს. მომხდარის შესახებ, 1818 წლის 3 აპრილს საეკლესიო მამულების გამგებელმა არქიმანდრიტმა საბამ აცნობა საქართველოს ეგზარქოსს. ამ უკანასკნელმა სასწრაფო ზომები მიიღო. თბილისის გუბერნატორის დავალებით გორის მაზრის უფროსმა ტიტოვმა იმავე წლის 21 აპრილს 100 შეიარაღებული ჯარისკაცით სოფელ ჭალაში ჩავიდა და საეკლესიო ძვირფასეულობა (ოქროს გულსაკიდი ჯვარი, ოქროთი დაფერილი ბარძიმ-ფეშხუმი, ძვირფასი ქვებით შემკული ორი მიტრა, ტიხრულ მინანქრიანი პანაღიები და სხვა) თბილისში ჩაიტანეს და ჩააბარეს დეკანოზ გაბრიელ ქართველიშვილს.[436] საქართველოს ეგზარქოსის ერთგულმა მღვდელმა ელეფთერ ზუკაკიშვილმა, მისი მითითებით 1818 წლის გაზაფხულამდე მოიარა კახეთის გაუქმებული ტაძრები, საიდანაც ჩამოიტანა სამღვდელმთავრო ნივთები, რომელთა შორის გამორჩეოდა ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს მიტრა. მასზე მოთავსებული იყო 86 ბრილიანტი, 537 იაგუნდი, 16 ზურმუხტი, 520 ფირუზი, 95 მარგალიტი. აღნიშნული მიტრა გადაურჩა გაქურდვას და იგი შემდეგ საეკლესიო მუზეუმის კუთვნილება გახდა. კახეთიდან ჩამოტანილ სიწმინდეთა შორის იყო ოქროთი დაფერილი ვერცხლის გვირგვინი, ვერცხლის დიდი ტაშტი, ბრილიანტებით შემკული პანაღია, მაცხოვრის გულსაკიდი ხატი, ოქროს ჯვარ-სანთლები, ძვირფასი თვლებით შემკული მრავალი საეკლესიო შესამოსელი და სხვ.[437] თეოფილაქტე ეგზარქოსის მითითებით, მისი ერთგული სამღვდელოების მიერ შეგროვილი საეკლესიო ძვირფასეულობის დიდ ნაწილს ჩვენამდე არ მიუღწევია. როგორც ჩანს, იგი ეგზარქოს თეოფილაქტესა და მისი გარემოცვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

როგორც აღინიშნა, თეოფილაქტეს ხელმძღვანელობით 1818-1819 წლებში გატარდა ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის მესამე ეტაპი. მანვე შემოიღო საშტატო ერთეულები, რომლის ძა-

---

მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო," 1907, 99.


436 პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო," 1907, 99.

437 პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო," 1907, 99.

ლით ბევრი ეკლესია – მონასტერი დაიხურა და საგრძნობლად შემცირდა სამღვდელოების რაოდენობა. თეოფილაქტემ დააწესა სასულიერო ნიხრი, თუ რამდენი ფულადი თანხა უნდა გადაეხადა მრევლს სასულიერო პირებისათვის. მართალია, მან ბევრი ეკლესია-მონასტერი გააუქმა, მაგრამ მის სახელს უკავშირდება 1821 წელს თბილისში დარეჯან დედოფლის სასახლის ბაზაზე ფერიცვალების მონასტრის დაარსება, რომელიც რუსეთიდან მოვლინებული სამღვდელოებით იყო დაკომპლექტებული.

ეგზარქოსი თეოფილაქტე უდიერად ეკიდებოდა საქართველოს ეკლესიის წარსულს. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მან გაქურდვის მიზნით, მოინდომა ბოდბის მონასტერში არსებული ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს საფლავის გახსნა, მაგრამ, გადმოცემით, როგორც კი ბარი შეახო მის საფლავს, იმწამსვე განუტევა სული. ოფიციალური ვერსიით კი ცნობილია, რომ ეგზარქოსი თეოფილაქტე 1821 წლის 19 ივლისს ტიფით გარდაიცვალა, დაკრძალულია ბოდბის წმ. გიორგის ეკლსიაში, მარჯვენა კედლის მხარეს.[438]

თეოფილაქტეს შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებით იმპერატორმა 1821 წლის პირველ ოქტომბერს დანიშნა იონა ვასილევსკი (1821-1832). ეგზარქოსად დანიშვნამდე მან საინტერესო სასულიერო მოღვაწეობის გზა განვლო. იონა (ერობაში იოანე სიმონის ძე) ვასილევსკი დაიბადა 1763 წლის 18 თებერვალს კალუგაში, ღარიბი ხატმწერ-მედავითნის ოჯახში. პირველდაწყებითი სასულიერო განათლება მიიღო კალუგის მახლობლად მდებარე ლავრენტის მონასტრის სასწავლებელში, შემდეგ პერერვინის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც იგი, როგორც კარგი მოსწავლე, გადაიყვანეს ლავრის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც შემდგომ ეწოდა მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1790 წელს იონამ სასულიერო აკადემია დაამთავრა. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ მისი სასულიერო კარიერა აღმავალი გზით წარიმართა. მან ყველა სასულიერო ხარისხი შედარებით მოკლე დროში გაიარა. 1807 წელს ბერად აღიკვეცა, იმავე წელს აყვანილი იქნა მღვდელ-მონაზღვნის ხარისხში და მალევე მიიღო არქიმანდრიტობა. ერთი წლის შემდეგ 1810 წელს კი კალუგის სასულიერო სემინარიის რექტორია. შეთავსებით ამავე ქალაქში



საქართველოს ეგზარქოსი იონა (ვასილევსკი, 1821-1832)

438 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

მდებარე პერემიშლის წმ. სამების მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. მცირე ხნის შემდეგ, 1811 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორია. 1812 წლის 29 მარტს აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. 1819 წელს იგი ჯერ ტამბოვის ეპარქიის მმართველია, ხოლო 1821 წლის 28 აპრილს მთავარეპისკოპოსის ხარისხით ასტრახანის ეპარქიის განაგებს.[439]

რუსული ისტორიოგრაფიის მიხედვით, იონა არ იყო ცნობილი სწავლული, არც გამოჩენილი საეკლესიო მქადაგებელი, არამედ იყო ყურადღებიანი, მშვიდი, ღვთისმსახურების მოწიწებით აღმსრულებელი მღვდელმთავარი. მათივე დახასიათებით, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ხელქვეითი სამღვდელოების ზნეობასა და ყოფას. სამღვდელოების განათლების დონის ამაღლების მიზნით, ტამბოვში მან პირველმა შემოიღო, რომ სამღვდელოების შვილებს აუცილებლად უნდა მიეღოთ სრულყოფილი განათლება.

ზემოთ დასახელებული თვისებებიდან იონამ საქართველოში ეგზარქოსად მოღვაწეობისას ზოგიერთი ნამდვილად გამოავლინა. კერძოდ ის, რომ მან სათანადო ყურადღება დაუთმო სასულიერო სასწავლებლებს. მისი მოღვაწეობის დროს, 1821 წელს ქალაქ ქუთაისში დაარსდა სამაზრო სასულიერო სასწწავლებელი. მისივე ინიციატივით თბილისის სასულიერო სემინარიისათვის აშენდა სამსართულიანი შენობა, მაგრამ უხეირო დაპროექტების გამო ეს სახლი მალე დაინგრა.[440] ეგზარქოს იონას უშუალო ჩარევით საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ კავკავში დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, ხოლო ალაგირში გაიხსნა ორკლასიანი პანსიონი.[441]

ეგზარქოს იონას დროს განსაკუთრებით გააქტიურდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობა. ამ დროისათვის მთიელთა დიდი ნაწილი ქრისტიანობას დაუბრუნდა. მისი უშუალო ხელშეწყობით დაიწყო ღვითსმსახურების

439 Иона (Василевский), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблюдением А. А. Половцова, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Иона (Василевский), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 СПБ 1890; შდრ. М. Бельский, Сказание о жизни митр. Ионы, бившиего экзарха Грузии, с приложением пяти слов его, СПБ. 1852; შდრ. Иона (Василевский), www.ortho-Trus.ru, 2005,16.XI; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 248; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 80; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

440 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901. 4, გვ. 357; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 248; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 81; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

441 Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, стр. 21.

ოსურ ენაზე შესრულება. იონა ეგზარქოსის მოღვაწეობის დადებით მხარედ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ იგი გაჭირვებულთა დამხმარე და შემწე ყოფილა. ამის საილუსტრაციოდ მის ბიოგრაფებს მოჰყავთ ის ფაქტი, რომ თბილისში ქოლერის გაჩენის დროს ეგზარქოსი იონა თურმე ავადმყოფს თვითონ უვლიდა და მათთან ერთად აღასრულებდა ღვთისმსახურებას.

იონა ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვივით სასტიკი და დაუნდობელი არ ყოფილა, მაგრამ მან ბევრ საქმეში მიბაძა წინამორბედს. მის დროს მექრთამეობა და ეკლესია-მონასტრების ძარცვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თეოფილაქტე რუსანოვის მსგავსად მანაც რუსეთიდან ჩამოიყვანა თავისი ერთგული სამღვდელოება და ისინი შემოსავლიან ადგილებზე დანიშნა. მისი წარდგინებით თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად 1821 წელს არქიმანდრიტი ირინეოსი დანიშნა, რომელსაც აგრეთვე დაევალა ქვათახევის, შიო მღვიმის და თბილისის ფერიცვალების მონასტრის წინამძღვრობაც. როდესაც არქიმანდრიტმა ირინეოსმა ზემოთ დასახელებული მონასტრები გადაიბარა, აღმოჩნდა, რომ დაკარგული იყო ოქროსა და ვერცხლის ძვირფასეულობა."[442] მართალია, აღნიშნული დანაკარგის შესახებ სათანადო წერილობითი აქტიც შედგა, მაგრამ არავინ დაინტერესებულა იმით თუ სად იმყოფებოდა დაკარგული სიწმინდეები და ვინ იყო დამნაშავე. საქართველოს ეგზარქოსისაგან დიდი უფლებებით აღჭურვილი არქიმანდრიტი ირინეოსი არაფრად აგდებდა ქართველ ბერებს. „მისი ფიქრით ის ქართველი ბერი იყო პატივსაცემი, რომელმაც რუსული იცოდა და მისი მორჩილი იყო."[443] დანარჩენ ქართველ ბერებს იგი ოფიციალურ მიმოწერაში სულელებს უწოდებდა. რუსი სამღვდელოების მსგავსად, იონა ეგზარქოსისაგან დიდი უფლებებით აღჭურვილი არქიმანდრიტ ირინეოსი ქედმაღლურად ექცეოდა ქართველ სასულიერო პირებს, ამცირებდა და შეურაცხყოფდა მათ. მისი არქიმანდრიტობის დროს ქვათახევის მონასტერი კიდევ უფრო გაპარტახდა, რადგან მას დრო და საშუალება არ ჰქონდა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ჩასულიყო აღნიშნულ მონასტერში. XIX საუკუნისის 20-იან წლებში ქვათახევის

442 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 14; ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 248; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 82; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

443 საქართველოს სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 14; ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 248; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 82; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

მონასტერში მხოლოდ ერთი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. ეგზარქოსის განკარგულებით მას ქვათახევის მონასტრის ქონება თბილისის ფერიცვალების მონასტერში გადაუტანია. არქიმანდრიტ ირინეოსს ქართველი ბერების გარდა ცუდი შეხედულება ჰქონდა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების მიმართაც. აღნიშნულის შესახებ ეგზარქოსისადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი აღნიშნავს: „...но неимению в Грузии образованных монашествующих, которых все знание состоит в чтении церковных книг, а некоторых в письме и пении, каковые же называются учеными; пении их притом такие, которым гораздо легче отвратить русских, нежели привлеч.“ [444]

1824 წლის 24 სექტემბერს, დავით გარეჯში ყოფნის დროს ეგზარქოს იონას მოეწონა და თბილისში ჩამოიტანა ძვირფასი თვლებითა და ოქრო ქსოვილი ფარჩით მორთული ომფორი და ბისონი.[445] რუსეთის უწმინდესი სინოდის მოთხოვნის საფუძველზე, 1830 წელს ეგზარქოს იონას განკარგულებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან გამოიტანეს უძველესი დროიდან შეწირული ძველი დროშები, თოფ-იარაღი, ხანჯლები, ჩაფხუტები და ისინი სამხედრო გუბერნატორს ჩააბარეს.[446] თუ რა ბედი ეწია ეკლესია-მონასტრების კუთვნილ უძველეს ქართულ საჭურველს, დღემდე უცნობია. იონა ეგზარქოსის დროს გურიის გაუქმებული თუ მოქმედი ეკლესია-მონასტრებიდან ბევრი საეკლესიო ძვირფასეულობა ჩამოიტანეს თბილისში, რომელიც უკვალოდ გაქრა.

ეგზარქოს იონას მოღვაწეობის ერთ-ერთ დადებით წამოწყებად უნდა იქნეს მიჩნეული ის გარემოება, რომ მან 1830 წლის 29 სექტემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას წინადადებით მიმართა, რათა გახსნილიყო დედათა მონასტერი, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

---

444 ჟურნალი „ჯვარი ვაზისა,“ 1906, 6, გვ. 14; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

445 პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო,“ 1917, 101; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 249; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 82; შდრ. Э. Бубулашвили, Ионна Василевский - Экзарх Грузии, Православная энциклопедия, Т.23, Москва, 2010; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

446 პ. კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალარონი და მათი ბედი XIX ს. დამდეგს, გაზეთი „საქართველო,“ 1917, 101; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

გაუქმების შემდეგ დედათა სამონასტრო ცხოვრება საერთოდ მოშლილა. მონაზვნობაში მყოფი დედები იმ დროისათვის გაფანტული ყოფილან საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტაძრებში. ეგზარქოსს მიაჩნდა, რომ თბილისში ან მის მახლობლად გახსნილი მონასტერი ერთად შეკრებდა გაფანტულ მონაზონ დედებს. 1830 წლის 2 დეკემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ეგზარქოსის ამ მოთხოვნას უსახსრობის გამო უარით უპასუხა.[447]

ეგზარქოსმა იონამ გააგრძელა საქართველოს ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესი. მისი მოღვაწეობის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის რეორგანიზაცია ფაქტობრივად დამთავრებული იყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოში მისი განხორციელება 1819-1820 წლების ე.წ. „საეკლესიო ბუნტის" გამო შეჩერდა. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, იგი დიდ სიფრთხილეს იჩენდა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების დროს. მან უმტკივნეულოდ შეძლო დასავლეთ საქართველოში ეპარქიების შემცირებას. 1823 წელს ცაგერისა და ცაიშის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრების გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ეპარქიები შეუერთა ჭყონდიდის ეპარქიას, რომელსაც 1829 წლიდან სამეგრელოს ეპარქია ეწოდა. ჯუმათის მიტროპოლიტის გარდაცვალების შემდეგ, 1827 წელს, გურიის სამთავროს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები ჯერ შემოქმედის მონასტერს დაუქვემდებარეს, შემდეგ კი იმერეთის ეპაქიას მიუერთეს.[448]

ეგზარქოს იონას უშუალო ჩარევითა და მის მიერ წარდგენილი საბუთების საფუძველზე საქართველოს მთავარმართებელ ივანე პასკევიჩის (1827-1831) განკარგულებით 1829 წელს იმერეთის ეპარქიის დაბალი სამღვდელოება და მათი შვილები, რომლებიც 1810 წლის შემდეგ იყვნენ დაბადებული, ყმობიდან გათავისუფლდნენ.[449] ეგზარქოს იონას მოღვაწეობის დროს 1826 წელს შემოღებული იქნა მონასტერთა ბლაღოჩინების თანამდედობა, რომლებიც კონტროლს მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებას უწევდნენ.[450] საეკლესიო ქონებისა და შემოსავლების დადგენის მიზნით, იონა ეგზარქოსმა 1830-1832 წლებში დასავლეთ საქართველოში აღწერა ჩაატარა, მაგრამ მის მიერ შეკრებილი ცნობები არ იყო სრული. მან ვერ მოახერხა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია.[451]

---

447 ქართველი სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1906, 8-9, გვ. 16-17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

448 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილესკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1831), ანალები, №9, გვ. 83.

449 საქართველოს საისტორიო არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, საქმე №780, ფურცელი 4.

450 Православная Богословская энциклопедия, Т. V, СПБ., с. 370-371.

451 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილესკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1831), ანალები, №9, გვ. 84 .

1832 წლის 5 მარტს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ეგზარქოსი იონა პეტერბურგში გაიწვიეს. თავისი 10 წლის მოღვაწეობის დროს მას განსაკუთრებით არ გამოუჩენია თავი. იგი ტიპური რუსი მოხელე იყო, რომელიც საქართველოში რუსული იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას უწყობდა ხელს. მისი საქართველოში მოღვაწეობით არც ხელისუფლება უნდა ყოფილიყო აღფრთოვანებული. ამის დასტურია ის, რომ იგი ეგზარქოსად ყოფნის დროს მხოლოდ იმით დაავჯილდოვეს, რომ მას 1828 წელს მიტროპოლიტობა უბოძეს. სხვა ჯილდო მას ხელისუფლებისაგან არ მიუღია. ეგზარქოსობისაგან გათავისუფლებული იონა გაამწესეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ტაძარში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდა. გარდაიცვალა 1849 წლის 22 ივლისს, დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრასთან არსებულ ფედოროვის ეკლესიაში.[452]

1832 წლის 12 მარტს საქართველოს ახალ ეგზარქოსად დაინიშნა სარატოვის ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი მოსე (მათე მიხეილის ძე ბოგდანოვ-პლატონოვ-ანტიპოვი). იგი დაიბადა 1783 წელს მოსკოვის გუბერნიის კოლომნის მაზრის სოფელ ბოგდანოვში საეპარქიო მდივნის მიხეილ ანტიპოვის ოჯახში. მცირეწლოვანი იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. სიღარიბეში ჩავარდნილ მარტოხელა დედას არ ჰქონდა საშუალება ოჯახის გამოკვების, რის გამოც სთხოვა კოლომენსკის და ტულის ეპისკოპოს ათანასეს (ივაშოვი) მცირეწლოვანი შვილ მათესთვის მამის სამუშაო ადგილი შეენარჩუნებინა. პატარა მათესთან გასაუბრების შემდეგ ეპისკოპოსმა მისი მზრუნველობა ითავა. ეპისკოპოს ათანასეს ხელშეწყობით იგი სახელმწიფო ხარჯზე სასწავლებლად ჩარიცხეს კოლომნის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლის დროს მას დაბადების ადგილის მიხედვით მიანიჭეს გვარი ბოგდანოვი. კოლომნის სასულიერო სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, 1801 წელს კი გადავიდა სერგი სამების ლავრის სასულიერო სემინარიის პოეზიის კლასში, სადაც იგი რექტორის, მოსკოვის მიტროპოლიტ პლატონის (ლევშინი) სრულ კმაყოფაზე იყო და მის უშუალო აღმზრდელად ითვლებოდა. იმდენად დიდი იყო მიტროპოლიტ პლატონის როლი მათეს პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომ მან პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად მისი სახელი თავის გვარად აქცია და საკუთარი გვარის

452 Иона (Василевский), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблюдением А. А. Половцова, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Иона (Василевский), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 СПБ 1890; შდრ. М. Бельский, Сказание о жизни митр. Ионы, бившиего экзарха Грузии, с приложением пяти слов его, СПБ. 1852; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 249; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს იონა ვასილევსკის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1832), ანალები, 9, გვ. 84; შდრ. Э. Бубулашвили, Ионна Василевский - Экзарх Грузии, Православная энциклопедия, Т.23, Москва, 2010; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

ანტიპოვის და ბოგდანოვთან (სოფლის სახელი, სადაც ის დაიბადა) ერთად მიიღო კიდევ ერთი გვარი – პლატონოვი.[453]

1808 წელს მოსეს სახელით აღიკვეცა ბერად და წარმატებით დაამთავრა სასულიერო სემინარია. სხვა 7 წარჩინებულ კურსდამთავრებულთან ერთად მოსე 1809 წელს ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1814 წელს მაგისტრის ხარისხით. მისი ცოდნის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ ამავე აკადემიაში პედაგოგად მიიწვიეს. იგი სასულიერო აკადემიაში ასწავლიდა საეკლესიო ლექსიკას. მოსე ღრმად განათლებული პიროვნება იყო. მოსე ძველი კლასიკური ენების ცოდნის გამო აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორ, არქიმანდრიტ ფილარეტთან (დროზდოვი), პედაგოგ გ. პ. პავსკისთან, სასულიერო სემინარიის რექტორ, არქიმანდრიტ პოლიკარპესთან (გაიტანიკოვი) ერთად ძველი ბერძნულიდან მან თარგმნა წმინდა წერილი, რომელიც რუსეთის ბიბლიური საზოგადოების სახელით გამოიცა. მას კერძოდ უთარგმნია ლუკა მოციქულის სახარება. მოგვიანებით მისი ხელმძღვანელობით კიევის სასულიერო აკადემიაში ითარგმნა წიგნი ლევიტელთა.[454]

1817 წელს ივლისში მოსე დაინიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად, აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში და დადგინეს კიევ-ბრატსკის მონასტრის წინამძღვარად. მცირე ხნის შემდეგ იგი გახდა ახლადგახსნილი კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი. სასულიერო აკადემიაში იგი დიდ ყურადღებას აქცევდა წმინდა წერილის ზედმიწევნით შესწავლას, ძველი ენების ცოდნას (ლათინური, ბერძნული, ებრაული) და აგრეთვე საღვთისმეტყველო რუსული ენის დაუფლებას. მოსე აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, კითხულობდა ლექციებს და რუსულ ენის სპეციფიკის გათვალისწინებით ცდილობდა ახალი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის დამკვიდრებას. კიევის სასულიერო აკადემიაში წაკითხული ლექციებისთვის 1822 წელს მას მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. 1824 წლის 2 მარტს მოსე აკურთხეს ეპისკოპოსად და სხვადასხვა დროს რუსეთის ეპარქიებს (სტარორუსკი, ნოვგოროდი, ვოლოგდისა და ველიკიუსტიუჟი, სარატოვისა და ცარიცინი) განაგებდა. როგორც სწავლული მღვდელმთავარი იგი თავის ეპარქიებში დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო განათლებას. მას 1830 წლის 13 სექტემბერს სარატოვში დაუარსებია სასულიერო სემინარია.[455]

---

453 Моисей (Богданов-Платонов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблюдением А. А. Половцова, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Моисей (Богданов-Платонов) Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 СПБ 1890.

454 Моисей (Богданов-Платонов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблюдением А. А. Половцова, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Моисей (Богданов-Платонов) Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 СПБ 1890.

455 Моисей (Богданов-Платонов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблюдением А. А. Половцова, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Моисей (Богданов-Платонов) Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 СПБ 1890.



საქართველოს ეგზარქოსი მოსე (ბოგდანოვ-პლატონოვ-ანტიპოვი, 1832-1834)

სარატოვის ეპარქიიდან მთავარეპისკოპოსიის ხარისხის მინიჭების შემდეგ მოსე საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს. საქართველოში მას მოღვაწეობა მცირე ხანს მოუხდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცარიზმის მოხელე იყო, ქართველ ხალხში კარგი სახელი დატოვა. იგი, თურმე, დიდ ყურადღებას აქცევდა ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებს. უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენის მიზნით მას თბილისში შეუკრებია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მგალობლები და მათი ნაგალობევი ნოტებზე გადაუტანია. სამწუხაროდ, მის ამ ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. ეგზარქოს მოსეს მითითებით 1833 წელს გაუხსნიათ ღარიბი სასულიერო წოდების სამზრუნველო (перечительство о бедных духовного звания).[456] იგი აგრეთვე, როგორც წყაროებით დასტურდება, დაინტერესებული იყო თუ როგორი მდგომარეობა იყო იმ დროს საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეკლესია-მონასტრებში. ამ მიზნით, 1833 წელს, მისი მითითებით, არქიმანდრიტმა არსენმა (მგალობლიშვილი) და დეკანოზმა იოანემ (გოგიტიძე) შეადგინეს გურიის მხარის ეკლესია-მონასტრების მიმოხილვა.[457]

მოსე ეგზარქოსს აგრეთვე შეუდგენია ოსური ენის გრამატიკა, როგორც წყაროებით დასტურდება, მას ოსური ენა კარგად სცოდნია. მის მიერ შედგენილი ოსური ენის გრამატიკა იმ დონეზე ყოფილა შესრულებული, რომ თურმე ცნობილი ლინგვისტები (მაგალითად შეგრენი) მას იყენებდნენ ოსური ენის შესასწავლად. ეგზარქოს მოსეს შედგენილი ოსური ენის გრამატიკა თბილისის სასულიერო სემინარიის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.[458] მასვე განზრახული ჰქონდა თბილისში მახათის მთაზე აღედგინა იმ დროისათვის ნანგრევების სახით მოღწეული წმ. ელიას სახელობის ეკლესია, მაგრამ უდროოდ გარდაცვალების გამო განზახვა სისრულებში ვერ

456 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 357-358; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

457 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 6232, ფურც. 4.

458 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 18324, ფურც. 1-5.

მოიყვანა. მოსე ეგზარქოსი გარდაიცვალა ქოლერით 1834 წლის 13 ივლისს, დასაფლავებულია თბილისის სიონის ტაძარში საკურთხევლის ჩრდილოეთ კართან. პატივისცემის ნიშნად მის დაკრძალვას საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები დასწრებია. დამკრძალავი ღონისძიების მონაწილე წერდა, რომ „დაწყებული სახელისუფლო პირთაგან უკანასკნელ მეკურტნემდე გულწრფელი ცრემლებით გამოხატავდა მისდამი სიყვარულს." მასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ კათოლიკეები, სომხები და ლუთერანები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირე დროის მოღვაწეობის მიუხედავად, მან თავის სამწყსოში კარგი სახელი დატოვა. ამან განაპირობა ისიც, რომ იმერეთის მიტროპოლიტმა დავით წერეთელმა სტამბულიდან ჩამოიტანა მის საფლავზე მარმარილოს ძეგლის დასადგმელი ქვა, „რათა ამ სახით უკვდავეყო საქმით უკვდავ-ყოფილი სახელი მწყემსმოღვაწისა, რომელსაც ასე ღრმად უყვარდა თავისი სულიერი სამწყსო."[459]

1834 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მინსკის ეპარქიის მმართველი ევგენი (ერობაში ალექსანდრე ფილიპეს ძე ბაჟენოვი, იგივე ბოჟანოვი (1834-1844). იგი დაიბადა 1784 წელს, ტულის გუბერნიის კშირის მაზრის სოფ. ზაგლუხინოში, მედავითნის ოჯახში. განათლება მიიღო ჯერ კოლომნის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ტულის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1811 წელს დაამთავრა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ- ლათინური აკადემია. იმავე წელს იგი ტულის სასულიერო სემინარიაში დაინიშნა რიტორიკის პედაგოგად, შემდეგ სამოქალაქო ისტორიას ასწავლიდა ყაზანის სასულიერო სემინარიაში. 1819 წლის 16 თებერვალს ბერად აღიკვეცა, მალევე იმავე წლის 19 თებერვალს აკურთხეს ბერ-დიაკონად, 22 თებერვალს კი მღვდელ-მონაზონად, 20 ივლისს არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი ევგენი ციმბირის პოკროვის მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს, სადაც იგი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად აქაურ სასულიერო სასწავლებელში პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1819 წლის 14 აგვისტოდან ევგენი ტობოლსკის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა და ღვთისმეტყველების პროფესორის წოდებაც მიიღო. 1824 წლის 15 სექტემბერს ევგენი დაინიშნა კოსტრომის სასულიერო სემინარიის რექტორად და კოსტრომის ღვთისგამოცხადების მონასტრის წინამძღვარად. სხვადასხვა დროს იყო ყაზანის, ტობოლსკისა და კოსტრომის ეპარქიებში კონსისტორიის წევრი. 1829 წლის 11 ივნისს მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში მოხდა მისი ხელდასხმა ეპისკოპოსად და გამწესებული

459 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 358; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 250 შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

იყო ჯერ ტამბოვის, ხოლო 1832 წლის 10 თებერვლიდან მინსკისა და ლიტვის ეპარქიის მმართველად.[460]

თანამედროვეთა გადმოცემით, იგი იყო წარმოსადეგი გარეგნობის მღვდელმთავარი, მაგრამ მკაცრი და ქედმაღლური ქვეშევრდომი სამღვდელოების მიმართ. მას განსაკუთრებული სისასტიკე გამოუჩენია ტამბოვის სასულიერო პირთა მიმართ. ეპარქიაში მისი მოგზაურობა ნამდვილ უბედურებად იყო ქცეული ტამბოველი სამღვდელოებისათვის, რადგან კანონის დარღვევის გამო, ისინი მკაცრად ისჯებოდნენ. მოსეს დროს ტამბოვის საზოგადოების თანდასწრებით მღვდლების გაკრეჭა და დამცირება ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული. ასეთი დამამცირებელი სასჯელის მოლოდინში ერთმა მღვდელმა თავიც კი ჩამოიხრჩო. რუსული ისტორიოგრაფია, ევგენი ბაჟენოვის ტამბოვში მოღვაწეობის პერიოდს ყველაზე მძიმედ და გაუსაძლისად მიიჩნევს აქაური სამღვდელოებისათვის.[461] ასეთი სისასტიკით ცნობილი პიროვნება იქნა დანიშნული საქართველოს ეგზარქოსად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისეთი სიმკაცრე და დაუნდობლობა, როგორსაც იგი ტამბოვისა და შემდგომ მინსკში მოღვაწეობის დროს იჩენდა, საქართველოში არ გამოუმჟღავნებია. სხვათა შორის, საქართველოს ეგზარქოსად მის დანიშვნას მინსკის ეპარქიის სამღვდელოება შეხვდა როგორც დღესასწაულს.[462] ქართული წყაროების მიხედვით, იგი „იყო მტკიცე და მთავრობის მოყვარე ხასიათის კაცი."[463] საქართველოში ეგზარქოსი ევგენი იქცეოდა თვითნებურად, აბუჩად იგდებდა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, სასულიერო პირებს, მართალია, ისე არ სჯიდა, როგორც რუსეთში, მაგრამ მათ დასცინოდა და ხშირად მისი წირვა ჩხუბით მთავრდებოდა.

---

460 Евгений (Баженов/Божанов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблиудением А А Половсова 1896-1918 СПБ-М., 1896-1918; შდრ. Евгений (Баженов/Божанов), Православная энциклопедия, М., 2008 Т. 17, стр. 752; შდრ. www.ortho-rus.ru, Евгений, (Баженов/Божанов), 2005, 14 სექტემბერი.

461 Евгений (Баженов/Божанов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблиудением А А Половсова 1896-1918 СПБ-М., 1896-1918; შდრ. Евгений (Баженов/Божанов), Православная энциклопедия, М., 2008 Т. 17, стр. 752; შდრ. www.ortho-rus.ru, Евгений, (Баженов/Божанов), 2005, 14 სექტემბერი; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 250; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ევგენი ბაჟენოვი, საქართველო, ენციკლოპედია, II, თბ., 2012, გვ. 548-549; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

462 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 220.

463 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 358; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 251; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ევგენი ბაჟენოვი, საქართველო, ენციკლოპედია, II, თბ., 2012, გვ. 548-549; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.



საქართველოს ეგზარქოსი ევგენი (ბაჟენოვი-ბოჟანოვი, 1834-1844)

ეგზარქოს ევგენის მოღვაწეობის პერიოდში, 1838 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიისათვის საქართველოს ეკლესიის შემოსავლების ხარჯზე 80 ათას მანეთად შეისყიდეს ზუბალაშვილების სახლი, რომელშიც ერთი წლის შემდეგ განთავსდა თბილისის სასულიერო სემინარია. მის დროს რუსეთის უწმინდეს სინოდს სურდა თბილისში საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან დაარსებულიყო ქართული სტამბა, სადაც ქართული საეკლესიო წიგნები დაიბეჭდებოდა. მანამდე, 1820 წლიდან 1834 წლამდე, მოსკოვის სინოდალური კანტორის სტამბაში იბეჭდებოდა ქართული წიგნები, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აღნიშნული სტამბა გაუქმდა და ეგზარქოს ევგენის სთხოვეს, რომ მის სანაცვლოდ თბილისში გაეხსნა ახალი სტამბა. საქართველოს ეგზარქოსის დავალებით, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ რუსეთის უწმინდეს სინოდს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, რომ თითქოს „ქართველებს არასა სწერენ და არას კითხულობდნენ, ამიტომ ძნელია მოვანდომებინოთ წიგნების ბეჭდვაო."[464] ასეთი პასუხის შემდეგ რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საჭიროდ არ მიიჩნია თბილისში სტამბის დაარსება, რის გამოც ქართული საეკლესიო წიგნები ისევ რუსეთში იბეჭდებოდა.

ეგზარქოსი ევგენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამისიონერო საქმიანობას. მან ორგანიზება და კოპირება გაუკეთა საქართველოს ისტორიის ამსახველ უნიკალურ საბუთებს. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წარდგინებით ეგზარქოსი ევგენი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად. ევგენი ეგზარქოსის ინიციატივით გაიხსნა ვლადიკავკაზის ოთხ წლიანი სასულიერო სასწავლებელი. აღნიშნული სასწავლებლის მასწავლებლებისთვის შედგენილ წესებში მითითებული იყო, „რომ პირველ რიგში აღსაზრდელებში უნდა გაღვივებულიყო მონდომება სწავლისადმი. ამისთვის საჭიროა მამობრივი სითბოთი და ქრისტიანული მოთმინებით

---

464 ქართველი სამღვდელოება და რუსეთის ეგზარქოსები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 8, გვ. 14; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 251-251; შდრ. ე. ბუბულაშვილი ევგენი ბაჟენოვი, საქართველო, ენციკლოპედია, II, თბ., 2012, გვ. 548-549; შდრ. ე. ბუბულაშვილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

დაინახონ სიკეთე იქ, სადაც სხვა ვერ ხედავს და გესმოდეს ის, რაც სხვას არ ესმის." მისი უშუალო დაკვირვების ქვეშ იყო სასწავლო პროცესი. ეგზარქოსი ევგენი დაინტერესებული იყო მოსწავლეების სწავლების ხარისხით.

ევგენი ეგზარქოსის სახელს უკავშირდებოდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. როგორც აღინიშნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით უპატრონოდ მიტოვებული ეკლესი-მონასტრები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან მათზე სასულიერო უწყება აღარ ზრუნავდა. XIX საუკუნისის 20-იან წლებში მათ ყურადღება საქართველოს სამოქალაქო უწყებამ მიაქცია. 1828 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორმა ნიკოლაი სიპიაგინმა გორისა და დუშეთის მაზრების შემოვლის შემდეგ აღძრა საკითხი განადგურების პირას მისული სიძველეების განახლების შესახებ. ამ მოხსენების საფუძველზე, 1828 წლის 30 ნოემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა იმდროინდელ ეგზარქოს იონას დაავალა დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესიები და ეზრუნა მათ შეკეთებაზე. იონა ეგზარქოსის განმარტებით, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი. მანვე რუსეთის უწმინდეს სინოდს აცნობა, რომ ადგილობრივი საეკლესიო ხარჯებით, არა თუ რამდენიმე ეკლესიის, არამედ თვით სვეტიცხოვლის შეკეთებაც შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი შეკეთების თანხების გამოყოფას სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მოითხოვდა, რაზედაც რუსეთის უწმინდესმა სინოდმა უარი განაცხადა. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, ეკლესია-მონასტრების შეკეთება და მათ შორის სვეტიცხოვლის აღდგენა, ადგილობრივი საეკლესიო სახსრებით უნდა მომხდარიყო. ეგზარქოს იონას დაწყებული საქმე დაევალა მის შემცვლელ ეგზარქოსს ევგენის, რომელმაც შეადგინა სვეტიცხოვლის ტაძრის სრული აღწერილობა და ხარჯთაღრიცხვა. ეგზარქოს ევგენის მიხედვით, კაპიტალურად უნდა შეკეთებულიყო არა მარტო ტაძარი, არამედ ხელახლა უნდა აშენებულიყო დანგრეული სამრეკლოც. ტაძრის შესაკეთებლად საჭირო იყო 29,931 მანეთი და 36 კაპიკი, ხოლო სამრეკლოს ასაშენებლად 6,227 მანეთი და 65 კაპიკი. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ხარჯთაღრიცხვა დაამტიცა, მაგრამ მასში კორექტივები შეიტანა. მათი გადაწყვეტილებით, ტაძრის შესაკეთებლად ფული საქართველოს საეკლესიო შემოსავლებიდან უნდა დაფარულიყო, რაც შეეხება სამრეკლოს, რადგან იგი ძვირი ჯდებოდა, მის აშენებაზე ამჟამად უარი უნდა ეთქვათ. ტაძრის შეკეთების კონტროლი დაევალა ახლადშექმნილ კომიტეტს, რომელსაც თავის მხრივ, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორმა შეუდგინა ახალი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 28,696 მანეთს შეადგენდა. 1837 წელს ეგზარქოსის განკარგულებით, თბილისელ ხეჩო დარჩილოვს სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით დაევალა სვეტიცხოვლის განახლება. მართალია, 1840 წლისათვის ტაძრის განახლება დამთავრდა, მაგრამ ჩატარებული სამუშაოები არ იყო მაღალი დონის.[465] უფრო მეტიც, რემონტს შეეწირა ტაძრის

465 მცხეთის საკრებულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში (XIX ს.), ჟურნალი

ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს მიშენებული ეკვდერი და მთავარანგელოზის სახელობის პატარა ეკლესია. ერთ-ერთი გადმოცემით, ტაძრის ამ მინაშენში დაფლული იყო ელიას ხალენი. ეგზარქოსმა ევგენიმ იგი „რკინის კეტებით დაანგრევინა, რის დანგრევაც ვერ შეძლეს, ის ნაღმებით ააფეთქებინა. ამის გამო შეირყა უზარმაზარი ტაძარი და მაღალ თაღებში დასკდა კიდეც. ეს იყო მიზეზი, რომ ხმა გავრცელდა საქართველოში – „რუსის ეგზარხოსებს უნდათ ძველი საყდრების დანგრევა და ახლების აშენებაო." სავალალოა ის, რომ დიდად დაზიანდა სვეტიცხოვლის ჯერ კიდევ შემორჩენილი უძველესი ფრესკები, რაშიც ეგზარქოსთან ერთად დამნაშავე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორი, ფრანგი რინარი იყო. მას, ეგზარქოსის მითითებით, გადაუთეთრებია სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკები.[466]

თავისი ათწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ევგენი ბაჟენოვმა კარგი სახელი ვერ დატოვა ქართველ საზოგადოებაში. 1844 წლის 12 ნოემბერს იგი საქართველოდან გაიწვიეს. ეგზარქოსობიდან გათავისუფლების შემდეგ მთავარეპისკოპოსი ევგენი ჯერ ასტრახანის ეპარქიას მართავდა, ხოლო 1856 წლიდან ფსკოვისა და პორხოვის ეპარქიას განაგებდა. გარდაიცვალა 1862 წლის 29 ივნისს, დაკრძალულია ფსკოვის მღვდელმთავრების სასაფლაოზე.[467]

ევგენი ბაჟენოვის შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდისა და იმპერატორის 1844 წლის 12 ნოემბერის გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მოგილევის მთავარეპისკოპოსი ისიდორე ნიკოლსკი.

ისიდორე (ერობაში იაკობ სერგის ძე ნიკოლსკი) დაიბადა 1799 წლის პირველ ოქტომბერს ტულის გუბერნის კაშირის მაზრის სოფელ ნოვონიკოლსკოეში პოკროვსკის ეკლესიის დიაკონის სერგი ივანეს ძის ოჯახში, რომელიც შვილის დაბადების შემდეგ მალევე გარდაიცვალა. მან გვარი მიიღო დაბადების ადგილის სახელწოდების მიხედვით. დაქვრივებისთანავე ობლად დარჩენილი პატარა იაკობი დედამ წაიყვანა სამრევლო ტაძარში და ლოცვა-ვედრებით მიანდო შვილი ღვთისმშობლის ზრუნვას.

ტულის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იაკობი სწავლას აგრძელებს ამავე ქალაქის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1821 წელს წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ სწავლა გაარძელა სანკტ-პეტერბურ-

---

„მწყემსი", 1900, 7, გვ. 6; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 253; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ევგენი ბაჟენოვი, საქართველო, ენციკლოპედია, II, თბ., 2012, გვ. 548-549; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

466 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 221.

467 Евгений (Баженов/Божанов), Русский биографический словарь: в 25 томах, под наблиудением А А Половсова 1896-1918 СПБ-М., 1896-1918; შდრ. Евгений (Баженов/Божанов), Православная энциклопедия, М., 2008 Т. 17, стр. 752.

გის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1825 წელს წარჩინებით, ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და იმავე წლის 22 აგვისტოს ბერად აღიკვეცა. მალევე იგი აიყვანეს ჯერ ბერ-დიაკონის ხარისხში, შემდეგ კი მღვდელ-მონაზონად. როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, ისიდორე პედაგოგიურ მოღვაწეობას პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ეწეოდა ღვთისმეტყველების კათედრაზე. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იგი დაინიშნა ამავე აკადემიის ბიბლიოთეკარად, სადაც მან აღწერა და გამოსცა ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების კატალოგი. თვითმხილველთა გადმოცემით, იგი ლექციებს მარტივი, გასაგები ენით კითხულობდა. ერთდროულად ასრულებდა სემინარიის ინსპექტორის მოვალეობას, ითვლებოდა ალექსანდრე ნეველის ლავრის ტაძრების მღვდელ-მონაზმნების ძმობის წევრად. მონაწილეობას ღებულობდა წმ. მამების ნაშრომების თარგმანში.[468]

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად ისიდორემ მნიშვნელოვან წინსვლას სასულიერო მოღვაწეობაშიც მიაღწია. 1829 წლის 14 აგვისტოს აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ორლოვის პეტრე-პავლეს მონასტრის წინამძღვრად და ორლოვის სასულიერო სემინარიის რექტორად, სადაც აირჩიეს ღვთისმეტყველების პროფესორად. 1833 წლის 2 ივლისს გადაიყვანეს მოსკოვის სასულიერო სემინარიის რექტორად და ღვთისმეტყველების პროფესორად და დანიშნეს ზაიკონოსპასკის მოსკოვის მონასტრის წინამძღვრად. გზად მიმავალს მოსკოვში იგი შეხვდა დედას, რომელმაც დალოცა შვილი და უანდერძა: „გახსოვდეს, რომ შენ თავად იყავი ობოლი, იყავი ობოლთა შემწე და მფარველი." დედის ამ რჩევას იგი სიცოცხლის ბოლომდე ასრულებდა. დიდად ზრუნავდა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე. ორლოვის სასულიერო სემინარიის რექტორობის დროს ღარიბ-ღატაკ აღმზრდელთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობის გამო მან ადგილობრივების დიდი სიყვარული დაიმსახურა.[469]

1834 წლის 11 ნოემბერს ჩუდოვოს მონასტრის ტაძარში ისიდორე აიყვანეს ეპისკოპოსიის ხარისხში და მოსკოვის ვიკარ-ეპისკოპოსად გაამწესეს. შემდგომ წლებში იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას თავს ანებებს და ჩრდილოეთ რუსეთის სხვადასხვა ეპარქიას განაგებს. საქართველოში გამომგზავრებამდე, ისიდორე მოგილევის ეპარქიის მმართველი იყო.

რუსული წყაროების დახასიათებით, იგი გამოირჩეოდა მშვიდი ხასიათით და იშვიათი შრომისმოყვარეობით.[470] შემთხვევითი არ იყო, რომ ხელისუფლე-

468 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, Т. 8, 1897, стр. 146-147; შდრ. Исидор (Николский), Энциклопедический словарь, Брокгауза и Ефрона, Т. 86, стр. 167; შდრ. Исидор (Николский), Православная энйиклопедия, М., Т. 27, стр. 190-198.

469 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, Т. 8, 1897, стр. 146-147; შდრ. Исидор (Николский), Энциклопедический словарь, Брокгауза и Ефрона, Т. 86, стр. 167; შდრ. Исидор (Николский), Православная энйиклопедия, М., Т. 27, стр. 190-198.

470 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, Т. 8, 1897, стр. 146-147; შდრ. Исидор (Николский), Энциклопедический словарь, Брокгауза и Ефрона, Т. 86, стр. 167; შდრ. Исидор (Николский), Православная энйиклопедия, М., Т. 27, стр. 190-198; შდრ. www.orthodox-ru, Исидор Никольский, 2005 ნ. 14 სექტემბერი; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე

ბამ XIX საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში ეგზარქოსად გამოგზავნა მშვიდი, გაწონასწორებული მღვდელმთავარი. მის დანიშვნას დაემთხვა რუსეთის ხელისუფლების მიერ იმ დროისათვის საქართველოში დაწყებული ლიბერალური პოლიტიკის გატარება. სწორედ ისიდორეს ეგზარქოსად დანიშვნის დროს, 1844 წელს საქართველოში მთავარმართებლის ნაცვლად დაწესდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი, ამ თანამდებობაზე დაინიშნა იმპერიის მასშტაბით ლიბერალურ მოღვაწედ ცნობილი მიხეილ ვორონცოვი. ბუნებრივია, რომ საქართველოს მიმართ ხელისუფლების ასეთმა ლიბერალიზაციამ გარკვეული გავლენა მოახდინა სასულიერო მმართველობაზე, რადგან რუსეთის საერო პოლიტიკური ცვალებადობის შესატყვისად იცვლებოდა საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობაც. XIX საუკუნისის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან, 50-იანი წლების დასასრულამდე, რუსული ლიბერალური პოლიტიკის გავლენით, საქართველოს საეგზარქოსო და ამ დროს მოღვაწე ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი შედარებით, შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა.[471] საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან მხოლოდ თითოოროლა ეგზარქოსი შეიძლება გამოვყოთ, რომლის დროსაც აშკარად ანტიქართულ გამოხტომებს არ ჰქონია ადგილი. ასეთ პირთა რიცხვს მიეკუთვნება ეგზარქოსი ისიდორე.[472]

ეგზარქოს ისიდორეს ხელმძღვანელობით 1852-1857 წლებში საეკლესიო მამულებიდან შემოსული თანხებით შეკეთდა მცხეთის, ალავერდის, ქვათახე-

---

ნახევარსი მორვაზე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 102-103; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 253-254; შდრ. ელდარ ბუბულაშვილი, ისიდორე (ნიკოლსკი), საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 4, 2019, გვ. 361; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

471 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნ. „რელიგია“, 2003, 1-2-3, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 102-103; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 254; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ისიდორე (ნიკოლსკი), საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 4, 2019, გვ. 361; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

472 ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 242-243; შდრ. ელდარ ბუბულაშვილი, ისიდორე (ნიკოლსკი), საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 4, 2019, გვ. 361; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

ვის და მარტყოფის მონასტრები. ეგზარქოს ისიდორეს ინიციატივით სასულიერო პირებს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ხაზინიდან ჯამაგირი დაუნიშნა.[473]



საქართველოს ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი, 1844-1858)

ეგზარქოსმა ისიდორემ მცხეთაში, დედათა მონასტერში, 1857 წელს დააარსა ქალთა სასწავლებელი. ისიდორე ეგზარქოსის დავალებით და მისი ხელშეწყობით ცნობილმა საეკლესიო მკვლევარმა პლატონ იოსელიანმა წმინდა ათონის მთიდან ჩამოიტანა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ X საუკუნეში შესრულებული ბიბლიის ქართული თარგმანი, რომელიც სამ ცალად გადაწერეს და საჩუქრად გადასცეს: სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს, იმერეთის მიტროპოლიტ დავით წერეთელს, ხოლო მესამე თბილისის სიონის ტაძარს შესწირეს.[474] მისივე გადაწყვეტილებით გურიაში ჯუმათის მონასტერთან დაარსდა ვაჟთა სასულიერო სასწავლებელი. ეგზარქოს ისიდორეს დროს აშენდა საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შენობები. მასვე განზრახული ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოსთან დაეარსებინა სასულიერო ხასიათის პერიოდული ორგანო. ამ მიზნით იგი რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან ნებართვას ითხოვდა. მისი ეგზარქოსობის დროს ასეთი პერიოდული ჟურნალი ვერ გამოიცა. 1864-1868 წლებში, ისიდორეს საქართველოდან გაწვევის შემდეგ, გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარობელი," რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო მღვდელი გიორგი ხელიძე.[475]

---

473 ე. ბუბულაშვილი, XIX ს. მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დასახელება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 103; შდრ. ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 359; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ჩ. -ს საიტებზე.

474 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 359; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

475 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია," 2003, 1-2-3, გვ. 18; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერ-

ეგზარქოსმა ისიდორემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სვანეთსა და საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობას. განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მან საინგილოს, სადაც მარტო 1851 წელს 1200 მუსულმანი დაუბრუნდა ქრისტიანობას.[476] ეგზარქოსმა ისიდორემ მაშინდელ კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკისთან (1856-1863 წწ.) ერთად შეიმუშავა პროექტი „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შექმნის შესახებ, რომელიც მისი საქართველოდან გაწვევის შემდეგ დაფუძნდა. ეგზარქოსად ყოფნის დროს, 1856 წელს, მას მიტროპოლიტის ხარისხი ებოძა. როგორც აღნიშნავენ, ქართლის კათედრაზე ისიდორემ გამოავლინა „კეთილგონიერება, გულმოდგინება მსახურებაში და ამ მხარეში სულიერ სარგებელზე მზრუნველობა" თანაამებრძოლების აზრით „მასთან მსახურება იყო იოლი."

1858 წლის პირველ მარტს ისიდორე ნიკოლსკი გათავისუფლდა საქართველოს ეგზარქოსობიდან და დაინიშნა კიევის მიტროპოლიტად. 1860 წლის პირველი ივლისიდან იგი გარდაცვალებამდე განაგებდა ნოვგოროდის, სანკტ-პეტერბურგისა და ფინეთის ეპარქიას. მიტროპოლიტი ისიდორე ნიკოლსკი გარდაიცვა 1892 წლის 7 სექტემბერს, დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრის ისიდორეს ეკლესიის ამბიონის მარჯვნივ მაცხოვრის ხატის ქვეშ. საბჭოთა ათეისტური რეჟიმის დროს ეკლესიის დახურვის გამო, 1932 წელს მისი ნეშტი გადაასვენეს ლავრის ნიკოლსკის საძმო სასაფლაოზე.[477]

დასკვნის სახით დავძენთ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსების მეშვეობით ძირითადად განხორციელდა ის სტრუქტურული ცვლილებები, რაც ავტოკეფალიადაკარგულ საქართველოს ეკლესიაში რუსეთთან შეერთების შემდეგ მოხდა. ამავე პერიოდში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებელმა რუსმა ეგზარქოსებმა, ზოგიერთის გამოკლებით, საქართველოს ეკლესიის ქონება თავიანთი შემოსვლის წყაროდ გაიხადეს.

ტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ჩl. -ს საიტებზე.

476 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 360; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 102-103; შდრ. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 253-254; შდრ. ელდარ ბუბულაშვილი, ისიდორე (ნიკოლსკი), საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 4, 2019, გვ. 361; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 100-119, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU საიტებზე.

477 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, Т. 8, 1897, стр. 146-147; Шдрк. Исидор (Николский), Энциклопедический словарь, Брокгауза и Ефрона, Т. 86, стр. 167; Шдрк. Исидор (Никольский), Православная энйиклопедия, М., Т. 27, стр. 190-198.

§ 3. ქართველი სამღვდელოება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

უძველესი დროიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ისტორიულად „ის წარმოადგენდა უდიდეს ცენტრალურ, გამაერთიანებელ ძალას, მაშინაც კი, როდესაც საქართველოს საკათოლიკოსო რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი... ქართული ეკლესია და მისი ენა მუდამ და განუწყვეტლივ ადღუაბებდა ერთიმეორესთან საქართველოს პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ნაწილებს.“[478] ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი სამღვდელოება აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, მათ საეკლესიო სამართალი პოლიტიკურ საკითხებში ჩარევას უკრძალავდა, მაგრამ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ისინი რწმენასთან ერთად ხმლითაც იცავდნენ ქვეყნის ინტერესებს და ხშირად დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი ქართული სამეფო-სამთავროები პოლიტიკური მოკავშირის შეძენის მიზნით ხან ევროპისაკენ იყურებოდნენ, ხან კი ჩრდილოელ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებაზე ამყარებდნენ იმედს. პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში მყოფ საერო ხელისუფლებას ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ევროპასთან დაახლოების მიზნით, ქართველი პოლიტიკოსები დიდად მფარველობდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს. თავის მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ქართველ პოლიტიკოსთა ასეთ ქმედებას გაგებით ეკიდებოდა და სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, ქართველი იერარქები, მათ შორის კათოლიკოსებიც კი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ და ახლო ურთიერთობას ამყარებდნენ ევროპელ კათოლიკე მისიონერებთან. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი უპირატესობას კათოლიკურ რწმენას ანიჭებდნენ, თავის მხრივ, კათოლიკე მისიონერებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საგარეო პოლიტიკური ცვალებადობის შესატყვისად იცვლებოდა ეკლესიის პოზიციაც. მას შემდეგ, რაც ევროპისაგან დახმარების იმედი ამოიწურა, ქართველმა პოლიტიკოსებმა ორიენტაცია ერთმორწმუნე რუსეთზე აიღეს, რომლის საზღვარი სამხრეთისაკენ თანდათან ფართოვდებოდა.

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ პოლიტიკურად და ტერიტორიულად მზარდი რუსეთის სახელმწიფო თავის თავს მესამე რომად და ქრისტიანობის ბურჯად მიიჩნევდა. საქართველო და მისი ეკლესია დიდ იმედებს ამყარებდა ერთმორწმუნე რუსეთზე. საიმედო მოკავშირეობასთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთი ქრისტიანობის დამცველად ესახებოდა მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში. სარწმუნოებრივი

478 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 56.

ურთიერთობის მხრივაც სასარგებლო იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა ერთმორწმუნე რუსეთთან. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღარ ხდებოდა ქართული ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლების ჩასწორება ბერძნულთან. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ასეთ ლიტერატურულ ძეგლებს სლავურს უდარებდნენ. აქედან მოყოლებული, ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მკვიდრდება სლავური წესები. ერთმორწმუნეობასთან ერთად ლიტურგიკული პრაქტიკის ერთიანობაც დიდად აახლოებდა ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან. აღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ქვეყნის ხელისუფალთა გადაწყვეტილებას, ერთმორწმუნე რუსეთთან მფარველობაში შესვლის შესახებ. საქართველოს ეკლესია დიდი იმედებით შეხვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრაქტატის მერვე მუხლით საგრძნობლად ილახებოდა მისი, როგორც ავტოკეფალიური ეკლესიის, უფლებები. მართალია, ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულება რუსეთის ხელისუფლებას არასოდეს შეუსრულებია, მაგრამ ქართველი სასულიერო პირები და ეკლესია ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე კვლავ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრენი იყვნენო.

წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ გამოდიოდა XVIII საუკუნის ბოლოს ჩვენში მოღვაწე ზოგიერთი კათოლიკე მისიონერი და მართლმადიდებელი ბერძენი სასულიერო პირი. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, იმხანად თბილისში მყოფი კათოლიკე პატრი ნიკოლა მეფე გიორგი მეთორმეტეს ურჩევდა, რომ ხელი აეღო რუსეთთან დაახლოებაზე, რადგან „წესდება მათი და ჩვეულება იქნება სამძიმო თქვენთვის. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტრად და მდევნელად, და მწუხარებად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, – გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვიანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსაარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაც თქვენ ვერ შეძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუზიკითა."[479] კათოლიკე პატრის აღნიშნულ მოსაზრებას მეფე გიორგი მეთორმეტემ უპასუხა: „...დავსუსტდით, გაქრა აქ ქრისტიანობა ურუსოდ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი? ქრისტესი, თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერავინ დაიცამს საქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქნა? რა პასუხი გავცე ქრისტესა! ვერ წავიწყმედ სულსა. შევწირავ ცოლშვილსა და შევუდგები ქრისტესა და ჯვრის თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყნისასა. ესე იყო

479 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 152.

სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა; და ესე იყო ჰაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგები მასზე. ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან, — საკეთილონი არიან ქვეყნისათვის."[480] მეფის ამ სიტყვებს არ დაეთანხმნენ პატრი ნიკოლა და იმხანად საქართველოში სტუმრად მყოფი თბილისის ჯვარის მამის ტაძრის წინამძღვარი ბერძენი არქიმანდრიტი ათანასი, რომელიც შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი გახდა. ამ უკანასკნელის თხოვნით პლატონ იოსელიანის მამას, სამეფო კარის მოძღვარს ეგნატეს წაუკითხავს ისაია წინასწარმეტყველის მესამე თავი, რომელიც ეხება, თუ რას „...იტყვიან ღმერთი წინასწარმეტყველისა პირითა ერისთვის, რომელთა ესრეთ დამოეკიდება უცხოსა ნათესავისა უფლებასა." აღნიშნულის შესახებ ისაია წინასწარმეტყველი იძლევა გაფრთხილებას: „ერო ჩემო, კაცნი, რომელნიცა მთავრობენ შენზედა, გაცთუნებენ შენ, დაჰკარგვერ გზისა შენისა კვალთა... დროთა ამათ მოუღებს სამკაულთა, და სარკეთა და შემოსავს საგლოველსა სამოსსა; მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა და ქაჩალად სახლოველ-ჰყოფს თავისა მათისა თხემთა; განასწორებს მათ მიწასთან."[481] წინასწარმეტყველის სიტყვების მოსმენის შემდეგ, მეფე გიორგი შეწუხებულა, ამოუოხრავს და ღმერთს შევედრებია: „ღმერთო, დაგვიფარე; ღმერთო დაგვიცევ; ღვთისაო დედაო, ნუ მიგვცემ ჩვენ კაცობრივსა განზრახვასა, არამედ წილხდომილთა შენთა გვექმენ პატრონი და მფარველი." მეფის მოძღვარი ევთიმე ჩარეულა პაექრობაში, რომელიც „...გაამხნევებდა მეფეს, რათა არა სცვალოს ჰაზრი თავისი პირველი და მისცეს სამეფო რუსეთისა ხელმწიფეთა მფარველობასა."[482] როგორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, მეფე დათანხმდა მოძღვრის რჩევას და განაცხადა: „სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა რუსთა ხელმწიფისა."[483] ჩვენს მიერ მოტანილი ვრცელი მასალა ადასტურებს, რომ ევთიმეს მსგავსი სასულიერო პირები დიდ იმედებს ამყარებდნენ ერთმორწმუნე რუსეთზე. მხოლოდ ევროპელი კათოლიკე პატრი ნიკოლა და ბერძენი მღვდელ-მონაზონი ათანასი აღმოჩნდნენ შორსმჭვლეტელნი, რომლებიც საქართველოს დაახლოებას რუსეთთან ჩვენი ქვეყნისათვის საზიანოდ მიიჩნევდნენ. შეიძლება გვეფიქრა, რომ პატრი ნიკოლა, როგორც რომის პაპის წარმომადგენელი, კათოლიკობის გავრცელების მიზნით, ბუნებრივია მომხრე იქნებოდა საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის, მაგრამ მისი შემდგომი ქმედებები სულ სხვა რამეს მეტყველებს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იგი იმერეთში გადადის მეფე სოლომონ მეორესთან და იქედან მოქმედებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთხანს ვატიკანი შეეცადა მის გაწვევას, მაგრამ იგი არ დამორჩილდა მათ, იმერეთში დარჩა და მეფე

480 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 152.

481 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 153.

482 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 153.

483 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 153.

სოლომონ მეორის სასარგებლოდ მოქმედებდა. ქართლ-კახეთში დამკვიდრებული რუსი მოხელეები ცდილობდნენ მის მოშორებას. 1804 წელს მას ბრალად დასდეს სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მოწამვლა, რის გამოც იგი დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს, მაგრამ გამოძიებით მას დანაშაული არ დაუდასტურდა. გათავისუფლების შემდეგ იგი ისევ იმერეთში დაბრუნდა.

პატრ ნიკოლასა და ათანასე ბერ-მონაზონის რჩევა დიდად ენიშნა ევთიმე მოძღვარს, როდესაც ქართლ-კახეთის გაუქმების შემდეგ ქვეყანა და ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. რუსული ორიენტაციის მქონე ევთიმემ თავის თავზე გამოსცადა ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის ბატონობის სუსხი. ევთიმე, გვარად მჭედლიშვილი, მეფე ერეკლე მეორის დროს იყო იოანე ნათლისმცემლის წინამძღვარი, შემდეგ კი მეფე გიორგი მეთორმეტის მოძღვარი.[484] როგორც აღინიშნა, იგი რუსეთთან დაახლოების მომხრე იყო და მან „ფიცით აღთქმის" ტექსტსაც ხელი მოაწერა. გაწეული სამსახურის გამო იგი რუსეთის ხელისუფლებამ გამშვენიერებული ჯვრით დააჯილდოვა და ამით დამთავრდა მათი მზრუნველობა ევთიმე ბერის მიმართ. მფარველობას მოკლებულ ევთიმეს იოანე ნათლისმცემლის ბერები აუმხედრდნენ, რომ „რუს ხელმწიფეს საქართველო ამან მიართვაო." ბერებისაგან დევნილმა და უმწეო მდგომარეობაში მყოფმა ევთიმემ 1802 წლის 23 აპრილს დახმარება სთხოვა კარლ კნორინგს და თან შეახსენა, რომ „ჭეშმარიტი საქართველოს ტყვეობის გამოხსნისათვის მეფე გიორგი ვანუხე, დიდხანს დავშერ საღმრთოს მადლითა საქართველო მისის დიდებულებისათვის მივართმევინე. ჭეშმარიტება მოწმეა, თუ არა ჩემი დიდის შრომით, ეს საქმე არ მოხდებოდა. ახლა ამის მიზეზით ვიტანჯები. ყოველთ კიდეთ იპყრობთ თქვენთვის დევნილი არ შემიწყალოთ – სამართალია. ჩემი მოხსენება საიდუმლოდ იყოს, უარეს მიყოფენ."[485] რუსმა მოხელეებმა ევთიმეს თხოვნა არაფრად მიიჩნიეს. უფრო მეტიც, საჩივრის გამო, იგი საშინელ დღეში ჩააგდეს, გაათავისუფლეს მონასტრის წინამძღვრობიდან და მასზე მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს. წინამძღვრობიდან გადაყენებული ევთიმე თავის უბედურებას კი არ ჩიოდა, არამედ ხშირად მოიგონებდა პატრ ნიკოლას და ათანასე ბერის დარიგებას და იტყოდა: „ჭეშმარიტად ღირსი არს მუშაკი სასყიდლისა; მომეგო მე ჯერისამებრ სოფელსა შინა მყოფსა, მომხვდა მე სოფლისა მათრახი, ღმერთო ჩემო! ნუ მომცემ მე უმეტესად სასჯელსა." სინანულის მიუხედავად, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოქმედება ჩემი და მეცადინეობა რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულობა ქვეყნისა."[486]

როგორც ჩანს, შემდგომ ევთიმე ბერი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის. 1802 წლის 15 ნოემბერს პეტრე კოვალენსკი კარლ კნორინგს ევთიმე ბერის შესახებ მოახსენებდა: „თ. ჭავჭავაძე და მისი მეუღლე, ძმებით

---

484 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, 1980, გვ. 241.

485 АКТЫ, Т. I, стр. 443.

486 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 153-154.

ავალოვებით, გახსაკუთრებით არქიძახდრიტი ევთიმე იყვხეხ და არიან ხალხის მერყეობის მიზეზი.[487]

ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და სასულიერო პირებმა აშკარად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. ჯერ კიდევ, პავლე პირველის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, სამეფოს გაუქმების მიუხედავად, სასულიერო პირები წირვისას მეფედ იულონს მოიხსენებდნენ, რაც ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევდა. იულონ ბატონიშვილს განსაკუთრებით მხარს უჭერდა კახეთის მოსახლეობა და სამღვდელოება. წყაროებით დასტურდება, რომ ბოდბელ მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილს კახეთის თავადებთან ერთად წერილი გაუგზავნია თბილისში კარლ კნორინგთან და მოითხოვდა იულონის გამეფებას.[488] დიდი მცდელობის მიუხედავად, იულონ ბატონიშვილმა თავისი ვერ გაიტანა და ფარნაოზთან ერთად იმერეთს შეაფარა თავი.

რუსი მოხელეები ხელისუფლების მოწინააღმდეგე სამღვდელოებას დაუნდობლად უსწორდებოდნენ. 1801 წლის 23 იანვარს მათ დაატყვევეს მარტყოფის მონასტერში დამალული თბილისის სიონის დეკანოზი იოანე ისეს ძე მიქაძე, რომელიც ბატონიშვილების ერთგული იყო და „დიდად ერეოდა ქვეყნისა ორგულობასა." იგი დაკითხვაზე უჩვენებს, რომ თავის სულიერ შვილთან, ბატონიშვილ ვახტანგთან იმყოფებოდა, ვახტანგი და იულონი ქიზიყში გაემგზავრნენ, რომ იქაური მოსახლეობა იულონის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, თვითონ კი მირიან ბატონიშვილთან ერთად დუშეთში დარჩენილა. დუშეთიდან დეკანოზი იოანე ბატონიშვილების მოთხოვნით, ქიზიყში გამგზავრებულა.[489] დარეჯან დედოფლის ჩარევით დეკანოზი იოანე ისეს ძე მიქაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. იულონ ბატონიშვილის გამეფებას აგრეთვე მხარს უჭერდა არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი. დავით ბატონიშვილის გადმოცემით, მას სპარსეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილის გამოგზავნილი წერილები საიდუმლოდ „მთელ კავკასიაში დაჰქონდა... რომლებითაც ის აღელვებდა კახელებს." [490] პლატონ იოსელიანის ცნობით, ასეთივე საქმიანობას ეწეოდა მღვდელი ელეფთერ ზუკაკიშვილი (შემდგომ იგი რუსების მომხრე გახდა), თელავის სემინარიის ყოფილი რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი და სხვა. რუსეთის ხელისუფლებამ საწინააღმდეგო ქმედების გამო ისინი დააპატიმრა.[491]

ქართული სამღვდელოების ანტირუსული განწყობა მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო

---

487 АКТЫ, Т. I, стр. 405.

488 АКТЫ, Т. I, стр. 405.

489 АКТЫ, Т. I, стр. 235; შდრ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 51.

490 АКТЫ, Т. I, стр. 145.

491 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 219.

გაუქმდა. ქართველი სასულიეროო პირების ასეთი განწყობილება ოუ...
ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო. მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, ქართველთა გულის მოგების მიზნით, გამოსცა რესკრიპტი, რომლითაც იგი მისთვის საჩუქრად მირთმეულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ სიწმინდეს – წმ. ნინო ჯვარს ქართველ ხალხს უბრუნებდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში წმ. ნინოს კუთვნილი ვაზის ჯვრის თავგადასავალის, მისი რუსეთში გატანისა და იქიდან ჩამოსვენების შესახებ უკანასკნელ პერიოდში მცდარმა შეხედულებამ მოიკიდა ფეხი. ზოგიერთი რუსული წყაროს მიხედვით, თითქოს მეფე ვახტანგ მეექვსემ ნაიღო ჯვარი რუსეთში, ხოლო მკვლევრებს აბელ კიკვიძეს და ფარნაოზ ლომაშვილს მიაჩნიათ, რომ იგი საქართველოდან ტიმოთე გაბაშვილს გაუტანია,[492] რაც რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამება. ქართული და რუსული წყაროები უტყუარად ადასტურებენ, რომ ანანურის ტაძარში საიმედოდ გადამალული წმ. ნინოს ჯვარი XVIII საუკუნის შუახანებში რუსეთში წაუღია ტფილელ მიტროპოლიტ რომანოზს (ერისთავი) და იგი გადაუცია ბაქარ ვახტანგ მეექვსის ძის შთამომავლებისთვის, რომლებიც ნიჟნი-ნოვგოროდის მახლობლად მდებარე სოფელ ლისკოვოში ცხოვრობდნენ. ლისკოვოში დასვენებული აღნიშნული სიწმინდის მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდა გიორგი ალექსანდრე ძე გრუზინსკის. ქართველი სამღვდელოება და მორწმუნე მრევლი დიდად განიცდიდა საქართველოდან წმ. ნინოს ჯვრის გატანას. მეფე გიორგი მეთორმეტემ აღნიშნული სიწმინდის დაბრუნების შესახებ არაერთხელ მიმართა გიორგი ალექსანდრე ძე გრუზინსკის, მაგრამ რუსეთიდან დამაიმედებელი პასუხი არ ისმოდა. ერთხანს მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწვია საეკლესიო კრება „და კრების განაჩენის ძალით მოეთხოვნა საუნჯე. ექადდნენ შეჩვენებითისა განჩინებითისა წარვლენასა." [493] როგორც ჩანს, მუქარამ გაჭრა, გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ 1801 წელს ახლად კურთხეულ მეფე ალექსანდრე პირველს წმ. ნინოს ჯვარი მიართვა და თან აუწყა, რომ ქართველი ერი მოითხოვდა მის დაბრუნებას. 1801 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მაშინდელი მმართველის პეტრე კოვალენსკის მიმართვის საფუძველზე იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა კეთილი ნება გამოხატა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის მიმართ და იმავე წლის 15 ოქტომბრის რესკრიპტით წმ. ნინოს ჯვარი დაუბრუნა მის კანონიერ მფლობელს.[494] რუსი ხელისუფალნი საქართველოში წმ. ნინოს ჯვრის შემოსვენებას დიდ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდნენ. შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული რესკრიპტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გამოიცა. ამ ფაქტით რუსეთის იმპერატორს სურდა სამეფოს გაუქმებით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება სიხარულით შეეცვალა,

492 აბ. კიკვაძე, საქართველოს ისტორია (1801-1890), თბ., 1977, გვ. 17; შდრ. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია (1801-1918), X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1992, გვ. 3.

493 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 145-146; შდრ. ა. აბესაძე, წმ. ნინოს ჯვარის გადმოსვენება რუსეთიდან საქართველოში, გაზეთი „საქართველო," 1916, 10.

494 АКТЫ, Т. I, стр. 534-535.

რომ იგი თითქოს ქართველი ხალხისადმი დიდ ქრისტიანულ გულმოწყალებას იჩენდა და კუთვნილ სიწმინდეს უბრუნებდა. რესკრიპტში ხაზგასმული იყო, რომ ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლა მხოლოდ კეთილგანწყობილებით იყო ნაკარნახევი და არა დამპყრობლური მიზნებით. რუსეთის მეფეს ამ აქტით სურდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი სამღვდელოების გული მოეგო.

დასახული მიზნის განსახორციელებლად, იმავე რესკრიპტით რუსეთის იმპერატორი საქართველოს რუსულ მმართველობას ავალებდა, რომ წმ. ნინოს ჯვრის თბილისში ჩამოსვენება ადგილობრივ სასულიერო უწყებასთან შეთანხმებით და მათი მონაწილეობით საზეიმო ვითარებაში უნდა მომხდარიყო. რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილება გენერალ პეტრე კნორინგმა 1801 წლის 24 ნოემბერს აცნობა კათოლიკოს ანტონ მეორეს და სთხოვა უზრუნველყო სასულიერო პირთა მონაწილეობა მის გადმოსვენებაში. ამასთან რუსი მოხელე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არწმუნებდა, რომ რუსეთის მონარქის აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ნაბიჯია ქართველი ხალხისადმი მისი დიდი სიყვარულისა და ამიტომ მოსახლეობამ ეს საჩუქარი უნდა ჩათვალოს როგორც რუსეთის იმპერიის ზრუნვის ახალი დასტური. წმ. ნინოს ჯვრის საზეიმოდ გადმოსვენების მიუხედავად გენერალი პეტრე კნორინგი გენერალ ივანე ლაზარევს საიდუმლოდ აფრთხილებდა, რომ მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად თბილისში მისი შემოსვენებისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო რუსის ჯარი, ვითომდა აღლუმში მონაწილეობის მისაღებად.[495] რუსეთის იმპერატორის დავალებით წმ. ნინოს ჯვრის საქართველოში შემოსვენების „წესრიგი" შეიმუშავა პეტრე კნორინგმა. ამ გეგმის მიხედვით, დაბა ყაზბეგში მორწმუნე ხალხი და სამღვდელოება მიეგება რუსეთიდან დაბრუნებულ ვაზის ჯვარს. მეორე დიდი შეხვედრა მოეწყო ანანურში, მესამე დუშეთთან. აქედან ჯვარი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში გადაასვენეს, სადაც იგი რამდენიმე დღე იყო დასვენებული. 1802 წლის 9 აპრილს კი წმ. ნინოს ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დაასვენეს, სადაც დღესაც დაცულია და მოთავსებულია საკურთხევლის მარცხენა მხარეს მისთვის საგანგებოდ გამოკვეთილ ნიშში.

რუსეთის ხელისუფლებამ წმ. ნინოს ჯვრის კანონიერი მფლობელისათვის გადაცემის ფაქტი კარგად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. წმ. ნინოს ჯვარს მრავალი რუსი მოხელე მოჰყვა, რომელთა მიზანი იყო დაპყრობილი ქვეყნის მართვა. რუსეთის მმართველ წრეებს, რომ არ აინტერესებდათ წმ. ნინოს ჯვარი და სულაც არ ზრუნავდნენ ქართველი ერის სარწმუნოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულს მთელი XIX საუკუნის ისტორიაც ადასტურებს. საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს დღესასწაული აღინიშნება 13 (27) იანვარს. ეგზარქოსობის პერიოდში რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამო შესაბამისი პატივით არ მოიხსენებდნენ წმ. ნინოს ხსენების დღე. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ვაზის ჯვრის

495 АКТЫ, Т. I, стр. 535.

შემოსვენება საქართველოში განხორციელდა ქართველი ხალხის გულის მოგების მიზნით, წართმეული სახელმწიფოებრიობის სანაცვლოდ. რუსეთის ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნით, მართალია, კათოლიკოსმა ანტონმა და მაღალმა იერარქებმა 1802 წლის 12 აპრილს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში შეკრებილი მოსახლეობა რუსთა მეფის ერთგულებაზე დააფიცეს, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ იზიარებდა რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობით სამღვდელოება მოერიდა გართულებას. დაფიცებაზე უარის შემთხვევაში, ან „ფიცის ტექსტზე" ხელმოუწერლობის გამო, შესაძლებელია სისხლისღვრა მომხდარიყო. მითუმეტეს, რომ თბილისის სიონის ტაძარს რუსთა ჯარის ალყა ჰქონდა შემორტყმული. ქართველმა სამღვდელოებამ წინააღმდეგობის გაწევაზე თავი შეიკავა, რადგან ტაძარში მყოფმა ქართველთა ნაწილმა პროტესტის გამო უარი თქვა დაფიცებაზე, რის გამოც ისინი კარლ კნორინგის ბრძანებით დააპატიმრეს.

თბილისის სიონის ტაძარში გამართულ ღონისძიებების შემდეგ, 1802 წლის 19 აპრილს, გენერალმა კარლ კნორინგმა დაავალა კათოლიკოს ანტონ მეორეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ქართველი სამღვდელოება ეპარქიების მიხედვით დაეფიცებინა.[496] რუსი გენერლის ეს მოთხოვნა ვერ შესრულდა, რადგან მანიფესტის გამოცხადებისთანავე მოსახლეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა კახეთის თავადაზნაურობა და იქაური სამღვდელოება. 1802 წლის გაზაფხულზე უკმაყოფილო თავადებმა პეტიციით მიმართეს გენერალ ივანე ლაზარევს და აცნობეს, რომ რუსეთთან დაახლოებით მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეფე, ეპისკოპოსები და მოსახლეობა დიდ შემწეობას მიიღებდა. ამის სანაცვლოდ ხალხი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. ივანე ლაზარევმა, რა თქმა უნდა, პეტიციის ავტორებს პასუხი არ აცნობა. რის გამოც, უკმაყოფილო კახელებმა 1802 წლის 21 ივნისს მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს და აუწყეს თავიანთი გულისწუხილი. მიმართვის ავტორები 1783 წლის ტრაქტატის მომხრენი იყვნენ. იმავდროულად კელმენჩურის შეთქმულების მონაწილეებმა წერილით მიმართეს გარსევან ჭავჭავაძეს, რომელსაც, როგორც დიპლომატს, დიდი წვლილი მიუძღოდა რუსეთის სახელმწიფოსთან დაახლოებაში. ხელმომწერთა შორის დასახელებულია ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი და ორი არქიმანდრიტი. თუკი რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში ისინი თავიანთ მოთხოვნას უშუალოდ ვერ გამოხატავდნენ, გარსევან ჭავჭავაძისადმი მიმართულ წერილში მეამყოხეები მოითხოვდნენ ერეკლე მეორის ანდერძის აღსრულებას და იულონის მეფედ კურთხევას.[497] შეთქმულთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. მასში ჩაებნენ ბატონიშვილებიც. გენერალი ვასილ გულიაკოვი კარლ კნორინგს აცნობებდა, რომ აჯანყების ერთ-ერთი აქტიური წევრი საერო პირებთან ერთად, ყოფილა მღვდელი ელეფთერ ზუკაკიშვილი,

496 АКТЫ, Т. I, стр. 536.

497 АКТЫ, Т. I, стр. 589.

დეკანოზი ნიკოლოზ ხელაშვილი, რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი და სხვები, რომლებიც მას 1802 წლის 24 ივლისს დაუპატიმრებია. აჯანყებულთა შეკრების ძირითად ცენტრად კელმენჩური იქცა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი იყო მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი. მისი მოთხოვნით შეთქმულებმა მიმართეს კახეთის მოსახლეობას და გამოსვლისკენ მოუწოდეს. აჯანყებულთა რიგების გაფართოების მიზნით, მათ მიმართეს ეპისკოპოს ამბროსი ნეკრესელს: „...შენც ამაზედ მხნედ უნდა იყო, ხალხი გაამხნევო და ფიცით შეჰკრა ხელმწიფის ერთგულებაზედ და იულონის გამეფებაზედ."[498] ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი აქტიურად ჩაერია ამ მოძრაობაში. როგორც ირკვევა, ადრე თურმე ამბროსი ცნობილი რუსოფილი იყო, ალექსანდრე პირველის მანიფესტს ემხრობოდა და იგი ქვეყნის წინსვლის საფუძვლად მიაჩნდა. გამოქვეყნებული მანიფესტის გამო მას სამჯერ უქადაგნია, სადაც იგი ხოტბას ასხამდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, ქართველ ხალხს კი მორჩილებისაკენ მოუწოდებდა.[499] რუსეთის ხელისუფლების ქმედებით უკმაყოფილო ეპისკოპოსმა ამბროსი ნეკრესელმა თავისი შეხედულება მალე შეიცვალა. იგი თავისი ხალხის მხარეზე დადგა მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ რუსეთის იმპერატორის მანიფესტმა ქვეყანას კეთილდღეობის ნაცვლად უბედურება მოუტანა.

1802 წლის კელმენჩურის შეთქმულების აქტიური წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი გახდა ბოდბის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი. იგი მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მათ იულონის ერთგულებაზე აფიცებდა. მისი ინიციატივით იგზავნებოდა წერილები კახეთის სხვადასხვა კუთხეში. მიტროპოლიტმა იოანემ მიმართა ბატონიშვილებს აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. რუს მოხელეებს იგი საშიშ ძალად მიაჩნდათ. მის შესახებ 1802 წლის 26 ივლისს პოლკოვნიკი სელენიუსი გენერალ ივანე ლაზარევს დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა და მოითხოვდა მის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას.[500]

აჯანყების მსვლელობის დროს იოანე ბოდბელის წინადადებით კახელმა შეთქმულებმა ახალი პეტიცია შეადგინეს. მისი თბილისში ჩატანა ითავა იოანე მიტროპოლიტმა, რომელსაც თან ახლდა მღვდელი ინაშვილი და რამდენიმე საერო პირი. გენერალ ივანე ლაზარევის განკარგულებით თბილისის კომენდატი ჩერნოვი ავლაბარში შეხვდა მიტროპოლიტ იოანე ბოდბელს, ჩამოართვა გამოგზავნილი მიმართვა, მისი თანმხლები საერო პირები უკან გააბრუნა, თვითონ მიტროპოლიტი კი დააპატიმრა, ხოლო მის მხლებელ მღვდელ ინაშვილს ზედამხედველი მიუჩინა. დააპატიმრეს აგრეთვე არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკიშვილი. გენერალმა კარლ კნორინგმა საგანგებოდ გამოიძია დაპატიმრებული სასულიერო პირების დამოკიდებულება მეამბოხეებთან. მიტროპოლიტმა იოანე ბოდბელმა დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი მართლაც მონაწილეობდა აჯანყებაში და ადგილობრივ მოსახ-

498 АКТЫ, Т. I, стр. 563.

499 სიტყვანი და მოძღვრებანი თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზის მიერ, ტფ., 1881, გვ. 47.

500 АКТЫ, Т. I, стр. 564.

ლეობას აფიცებდა ბატონიშვილ იულონის ერთგულებაზე. გამოძიების შემდეგ ბოდბელმა მიტროპოლიტმა პატიება ითხოვა და პირობა დადო, რომ კახელ აჯანყებულებს რუსეთის ერთგულებაზე დავაფიცებდა და აჯანყება შეწყდებაო. ბოდბელის დაკითხვის შემდეგ, 1802 წლის 31 იანვარს, პეტრე კოვალენსკი ივანე ლაზარევს აცნობებს, რომ მას აპატიონ შეთქმულებაში მონაწილეობა, ხელწერილი დაადებინონ და იგი გამოყენებული იქნეს მეამბოხე კახელების დასამშვიდებლად.[501] გენერალ პეტრე კოვალევსკის ეს წინადადება მიღებულ იქნა და მართლაც ამის შემდეგ მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ არასოდეს გამოსულა. იგი თავის ეპარქიას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, 1837 წლამდე, მართავდა და ხელისუფლებისაგან დიდად პატივდებული იყო.

უნდა ითქვას, რომ იოანე ბოდბელის დაპატიმრებამ კახელ აჯანყებულებზე მძიმედ იმოქმედა. მართალია, დაკითხვისას მღვდელმთავარი აჯანყებაში მონაწილეობას აღიარებდა, მაგრამ 1802 წლის 27 ივლისს კახეთის თავადობა გენერალ ივანე ლაზარევის გაგზავნილი წერილით მოითხოვდა იოანე მიტროპოლიტის განთავისუფლებას.[502]

დაკითხეს დაპატიმრებული დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილიც. იგი აღნიშნავდა, რომ შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა, მხოლოდ ქობულოვის მიწვევით ჩავიდა ქიზიყში და ადგილობრივი თავადების მოთხოვნით ჩაება ამ მოძრაობაში და მათი სურვილის გათვალისწინებით მოუწერია ხელი იულონის გამეფებაზე. იგი აღნიშნავდა, რომ „ხელისუფალთა და რუსეთის ჩინოსანთაგან წყენასა და შევიწროვებას არ ვგრძნობდი და აღნიშნულ ქაღალდზე ხელმოწერას შევუდექი ჩემი ნების გარეშე, ეშმაკის ცდუნებით.“[503] დეკანოზმა ელეფთერმა პატიება ითხოვა, რის გამოც შეიწყალეს და ამის შემდეგ იგი რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.

დეკანოზ ელეთფერ ზუკაკიშვილის დაპატიმრებამდე, მოძრაობის მეთაურებმა რუსეთის იმპერატორის სახელზე წერილი შეადგინეს, რითაც ისინი მისგან იულონის გამეფების ნებართვას ითხოვდნენ. ამ მიმართვას ხელს საერო პირებთან ერთად აწერდა ხარჭაშნელი ეპისკოპოსი ჩოლოყაშვილი, აქიმანდრიტი იოაკიმე, ნიკოლოზ ეპისკოპოსი, ამბროსი ნეკრესელი და სხვა.[504] მეამბოხე კახელების დასამშვიდებლად ხელისუფლებამ გამოიყენა იოანე მიტროპოლიტი, რომელიც 1802 წლის აგვისტოში გენერალ ივანე ლაზარევს და თავად ალექსანდრე მაყაშვილს კახეთში გაჰყვა. სოფელ ნუკრიანში იოანე ბოდბელი აჯანყების შეწყვეტის მიზნით ხალხს რუსეთის ერთგულებაზე აფიცებდა. ამასთან, მან, გენერალ ივანე ლაზარევის თხოვნით, გაგზავნილი წერილით მოუწოდა ფარნაოზ ბატონიშვილს, ხელი აეღო გამეფების სურ-

501 АКТЫ, Т. I, стр. 573.

502 АКТЫ, Т. I, стр. 564.

503 АКТЫ, Т. I, стр. 572.

504 ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1821), თბ., 1980, გვ. 35.

ვილზე და შეეწყვიტა რუსეთის ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობა.[505] ასეთივე შინაარსის მიმართვები გაეგზავნათ სხვა ბატონიშვილებსაც. რა თქმა უნდა, ბატონიშვილებმა არ გაიზიარეს იოანე ბოდბელის მოთხოვნები და ისინი აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

1802 წლის კელმენჩურის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ ქართველ სასულიერო პირებზე მეთვალყურეობა გააძლიერა. 1803-1805 წლებში პავლე ციციანოვის მიერ საქართველოდან გასახლებულ მეამბოხე სამეფო გვარის წარმომადგენელ ბაგრატიონებს თან გაჰყვნენ მოძღვრები, რომლებიც უცხოეთში მშობლიურ მიწას მოწყვეტილ ბატონიშვილებს სულიერად ამხნევებდნენ, ნუგეშსა და იმედს აძლევდნენ და მათთან ერთად მძიმე ხვედრს იზიარებდნენ. საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა დაიწყო რუსეთის მხარეზე საერო და სასულიერო პირთა გადაბირება, რომელთა გულის მოგების მიზნით მათ დიდი პენსიები და ჯილდოები დაურიგეს. ასეთი მედროვე საერო თუ სასულიერო პირთა მეშვეობით რუსეთის ხელისუფლება კარგად აკონტროლებდა საქართველოში შექმნილ სიტუაციას.

რეპრესიების მიუხედავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში არ შეწყვეტილა. კახეთის ამბოხების ჩახშობის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართო ხასიათს იძენს. სპარსეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მიტროპოლიტ იოანე ბოდბელზე. 1804 წლის 30 მარტს იგი მიტროპოლიტს აცნობებდა, რომ მალე შაჰის ჯარის დახმარებით საქართველოში შემოვიდოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი ავალებდა მიტროპოლიტ იოანე ბოდბელს, რომ მან მოსახლეობაში სათანადო აგიტაცია გასწიოს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ბატონიშვილის ამ სურვილს აღსრულება არ ეწერა. ვერც მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი შეასრულებდა მის თხოვნას, რადგან კელმენჩურის შეთქმულების შემდეგ იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოშორდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ იოანე ბოდბელი მიტროპოლიტი თავისი ხალხის წინააღმდეგ, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ, არ გამოსულა.

ქართველ სასულიერო პირებს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. ამ აჯანყების აქტიური წევრები ყოფილან დეკანოზი შიო ბურდული, ბერი ნაზღაიძე და სხვები.[506] წყაროებით ირკვევა, რომ 1804 წლის სექტემბერში, ალავერდობას, ალავერდის ტაძარში მრავალმა მღვდელმა მოიყარა თავი. არქიმანდრიტ ბესარიონ ერისთავის მეთაურობით გვიან ღამით ფარნაოზ ბატონიშვილის მომხრეები მთიულეთისაკენ გაემართნენ. ფასანაურში მისულმა კახელმა თავადებმა ხელი ჩასჭიდეს მთიულების მოტანილ დროშას და სასულიერო პირთა თანდასწრებით ფიცი დასდეს ბაგრატიონების ერთგულებაზე.[507] აჯანყებულებსა და ხელისუფლებას

505 АКТЫ, Т. I, стр. 579.

506 АКТЫ, Т. II, стр. 335; შდრ. ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1951, გვ. 85.

507 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, საქმე 105, ფურცელი 14.

შორის შუამავლის როლს სასულიერო პირები ასრულებდნენ. საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის განკარგულებით, თ. ვალკონსკიმ დამატებითი ძალები შეიყვანა მთიულეთში, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა აჯანყებულები. აჯანყებულთა დასამშვიდებლად მათთან გაიგზავნა გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ მუხრანბატონი და კავთისხევის მონასტრის არქიმანდრიტი დოსითეოსი. მათ თან წაუღიათ კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის წერილი, რომლითაც იგი აჯანყებულებს მოუწოდებდა შეეწყვიტათ გამოსვლა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწემსმთავარი მეამბოხეებს ემუდარებოდა: „თავს ნუ იღუპავთ, დაწყნარდით და დამორჩილდით რუსეთსაო."[508] მოციქულებმა ვერაფერი გააწყვეს და ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა გამოსვლები. 1804 წლის 20 აგვისტოს სოფელ ლომისში მისული ხელისუფლების შუამავალს, თორნიკე ერისთავს მღვდელმა ათანასე ბურდულმა მოკლედ მოუჭრა: „გაგვეცალეთ ლომისიდან, მოგვშორდით თავიდან და გაძლევთ ფიცს და სიტყვას, რომ არას გავნებთ თქვენ, თუ არა და – გაგიმეტებთ და აღარ დაგზოგავთ."[509] უშედეგო მოლაპარაკების მიუხედავად ხელისუფლება იმედს არ კარგავდა, რომ დაყვავებით და დაპირებებით მაინც გატეხავდნენ მთიულებს. ამ მიზნით, თ. ვალკონსკიმ კიდევ ახალი მისია გაგზავნა მათთან. მან არჩევანი შეაჩერა თავად რევაზ ერისთავზე, რომელიც მეფე ერეკლე მეორის სიძე იყო და მთიელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მეორე შუამავლად შერჩეულ იქნა ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი. ამ უკანასკნელს საგანგებოდ სთხოვეს აჯანყებულ მთიელებთან გამგზავრება. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ეპისკოპოს ამბროსი ნეკრესელს მთიულები კარგად იცნობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, 1778 წლიდან 1789 წლამდე, წილკნის ეპარქიის მმართველი იყო. მის ეპარქიაში შემავალ მთიულეთში ხშირად მოგზაურობდა და კარგად იცნობდა მათ ზნე-ჩვეულებებს.[510] მან თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მთიულეთში ქრისტიანობის განმტკიცებაში და იგი ცნობილი იყო, როგორც სამართლიანობის მტკიცე დამცველი. რევაზ ერისთავთან ერთად ასეთი ავტორიტეტის მქონე მღვდელმთავარი მიავლინეს მთიულეთში აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. თ. ვალკონსკიმ მოციქულებს გადასცა 300 მანეთი საჩუქრების დასარიგებლად. რუსი მოხელე, როგორც ჩანს, შუამავლებს არ ენდობოდა და მათ ჯაშუშად გააყოლა თავისი ერთგული მოხელე.[511]

წარგზავნილმა შუამავებმა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მორიგებას ვერ მიაღწიეს, რადგან გენერალი ფიოდორ ტალიზინი მთიულების მიერ დატყვევებული ლარგვისის მონასტრის წინაღმძღვრის, რუსების მომხრე პაფნოტის, განთავისუფლებისათვის უკან არ იხევდა და საბრძოლო ოპერაციებს არ წყვეტდა. ჯერ კიდევ, რევაზ ერისთავის და ამბროსი ნეკრესე-

508 ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896, გვ. 122.

509 ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896, გვ. 132; შდრ. АКТЫ, Т. II, стр. 318.

510 ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896, გვ. 176.

511 АКТЫ, Т. II, стр. 326.

ლის მთიულეთში ასვლამდე გენერალმა ფიოდორ ტალიზინმა რუსეთის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ლარგვისის მონასტრის არქიმანდრიტ პაფნოტს დაავალა აჯანყებულთა რიგებში განხეთქილების შეტანა. მოსალაპარაკებლად მისული მღვდელ-მონაზონი პაფნოტი აჯანყებულმა მთიულებმა რუსების აგენტად მიიჩნიეს და მას „ქვეყნის ორგულს და რუსეთის ერთგულს ეძახდნენ და უბრძანებდნენ შეჯდეს ვირსა მიგვრილსა მისდა საკიცხველად."[512] ეს სასჯელი არ აკმარეს არქიმანდრიტ პაფნოტს და მას ხანჯლით 40 ჭრილობა მიაყენეს. იგი მეამბოხე მთიულებისაგან რამდენჯერმე სასწაულებრივად სიკვდილით დასჯას გადაურჩა. სიკვდილისაგან იგი იხსნა ბატონიშვილმა ფარნაოზმა, რომელმაც კაიშაურში ბერ-მონაზონი აჯანყებულებს ხელიდან გამოგლიჯა.[513] აჯანყებულებისაგან თავდახსნილი ქართველი ბერი პაფნოტი ერთგულების გამო რუსეთის ხელისუფლებამ დააჯილდოვა. ამბოხებულთა დასამშვიდებლად არქიმანდრიტ პაფნოტის ჩართულობა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში რუსულ და ქართულ ენებზე აღწერილია, რომელმაც ჩვენამდე ორი რედაქციით მოაღწია. ერთი რედაქცია დაცულია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ნუსხაში, მეორე – კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.[514] კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული რედაქციის მიხედვით: „არხიმანდრიტი პაფნოტი სარწმუნოებისა და ერთგულებისათვის მამულისა შეიქმნა ღირსი ერთმართველის დაჯილდოებისა და მიიღო გულსაკიდი ბრილიანტი მოოჭვილი ჯვარი და აღსრულებისათვის იმავ საქმეებისა, რომელიც მიანდო მას." იმპერატორ ალექსანდრე მეორის განკარგულებით იგი მთავარეპისკოპოსიის (არქიეპისკოპოსი) ხარისხშიაიყვანეს.[515] პლატონ იოსელიანი გადმოცემით, არქიმანდრიტი პაფნოტი ხოზიაშვილის გვარის წარმომადგენელი ყოფილა, მეკონდახის შვილი და თავადაც კარგად იცოდა მამაპაპისეული ხელობა. იგი 24 წლის ასაკში აღკვეცილა ბერად და კათოლიკოს ანტონ მეორესთან დიაკვნად მსახურობდა. მეფე გიორგი მეთორმეტეს გარდაცვალების შემდეგ, 1802 წელს პაფნოტი, იოანე

512 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი 1206; შდრ. ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896, გვ. 189.

513 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი 1206); შდრ. ალ. ფრონელი, მთიულეთი 804, თბ., 1896, გვ. 189-190; შდრ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 147.

514 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S – ფონდი, №1206; შდრ. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, „წამება ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისა," (ერთი ახლადმიკვლეული წყარო 1804 წლის მთიულეთის აჯანყების შესახებ), სამეცნიერი ჟურნალი „ენა და კულტურა," №1, 2009; შდრ. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, ახალი ღვინო ძველ თხილერში, ანუ ახალი ლიტერატურული პარადიგმა ტრადიციული ჟანრის წიაღში: (წამება ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისა): მოხსენებათა თეზისები, 20-24 სექტემბერი, თბილისი, 2011, „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა," საერთაშორისო კონფერენცია (2011, თბილისი, 2011, გვ. 105-106.

515 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S – ფონდი, №1206, ფურცელი 40.

ბატონიშვილის თხოვნით მღვდელ-მონაზონად, აკურთხეს და არქიმანდრიტის ხარისხით თირის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. შემდგომ პაფნოტი ლარგვისის მონასტრის წინამძღვარია. ტყვეობიდან დახსნის შემდეგ იგი ისევ ლარგვისის მონასტერს დაუბრუნდა.[516] იგივე პლატონ იოსელიანის მიხედვით, შემდგომ პაფნოტი სამეგრელოს მთავრის კარზე დამკვიდრებულა, სადაც მას მიუღია მოქვის მთავარეპისკოპოსობა.[517] აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც ჩანს გარკვეული პოლიტიკური პროცესებით იყო ნაკარნახები.[518] ამ დროისათვის მოქვის საეპისკოპოსო აღარ არსებობდა და მისი დადგინება ამ კათედრაზე ნომინალური იყო. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, 1811 წელს პაფნოტი სამეგრელოს დაქვრივებულ დედოფალ ნინასთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა, სადაც იგი ჩუდოვის მონასტერში დამკვიდრდა, 1823 წელს 50 წლის ასაკში გარდაიცვალა და დაკრძალეს ამავე მონასტერში. როგორც ჩანს, მისადმი კარგი განწყობილება არ ჰქონია საქართველოს პირველ ეგზარქოსს ვარლამ ერისთავს. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, მტრობის გამო ეგზარქოსმა ვარლამმა 1815 წელს თბილისში დროებით ჩამოსულ პაფნოტს უფლება არ მისცა თბილისის სიონის ტაძარში წირვა ჩაეტარებინა.[519]

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მითულეთის აჯანყება მარცხით დამთავრდა. სასტიკად გაუსწორდნენ მოთავეებს. 1804 წლის 29 ოქტომბერს ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად დააპატიმრეს ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილი სოფელ ვეჯინიდან, თავისი ნებით ჩაბარდა მღვდელი ბესარიონ ალექსეევი. 1806 წელს ბერი იოსტოსს ანდრონიკაშვილი თავდებით გაათავისუფლეს, მაგრამ მასზე მკაცრი ზედამხედველობა იქნა დაწესებული. მოგვიანებით ხელისუფლება მისი რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში გაგზავნას მოითხოვდა.[520]

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფაქტები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე (XIX საუკუნის პირველ ათეულში) ქართველი სამღვდელოება და ეკლესია გვერდში ედგა ქართველ ხალხს და იბრძოდა დაკრგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო, მართალია, ქართველ სამღვდელოებას

---

516 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 147; შდრ. თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, „წამება ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისა" (ერთი ახლადმიკვლეული წყარო 1804 წლის მთიულეთის აჯანყების შესახებ), სამეცნიერი ჟურნალი „ენა და კულტურა," №1, 2009, გვ. 206; შდრ. ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ., თბ., 1896, გვ. 187-189.

517 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 147.

518 გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004, გვ. 133.

519 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 147; შდრ. ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804, თბ., 1896, გვ. 187-18.

520 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, საქმე 302, ფურცელი 13; შდრ. ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1951, გვ. 126.

აშკარა პროტესტი არ გამოუთქვამს, მაგრამ მომდევნო პერიოდში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი მონაწილეობა იმის დასტურია, რომ ისინი სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად პროტესტს გამოხატავდნენ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო.

საქართველოში რუსი მოხელეები ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ქვეყნის მიმართ გატარებული რუსული პოლიტიკა, რაც ქართველთა დიდ აღშფოთებას იწვევდა. ამის ერთ-ერთი ნიმუშია 1812 წლის კახეთის აჯანყება, რომლის მიზანი იყო ქართ-კახეთის სამეფო ხელისუფლების აღდგენა.[521] ამ აჯანყების აქტიური მონაწილე იყო ქართველი სამღვდელოება.

აჯანყების დაწყებისთანავე საქართველოს მთავარმართებელ მარკიზ პაულიჩს წერილით მიუმართავს რუსეთის ხელისუფლების ერთგულ მიტროპოლიტ იოანე ბოდბელისათვის და უთხოვია, თავის აზრი გამოეთქვა დაწყებული მოძრაობის შესახებ. ეს უკანასკნელი, მართალია, 1802 წლის კელმენჩურის შეთქმულების შემდეგ აღარ მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ იგი ობიექტურ სურათს აღწერს და საქართველოს მთავარმართებელ მარკიზ პაულიჩს სრულ სიმართლეს აწვდის აჯანყების გამომწვევი მიზეზის შესახებ. მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი საქართველოს მთავარმართებელს აცნობებს: „იძულებული ვარ ამ მოხუცემულობაში თვალ-ცრემლიანმა გარკვევით ვაღიარო მოყვასთა მიერ ჩადენილი ბოროტება, რათა იგი აღარ განმეორდეს. ვერ ვახერხებ, ვერ ვბედავ დავასრულო ყველაფერი, რაც მოხელეებმა მოიმოქმედეს: ღმერთო, რას არ სჩადიან! იტაცებენ რაც კი რამ მოხვდებათ, სჩაგრავენ როგორც მამაკაცებს, აგრეთვე დედაკაცებს, იღებდნენ ქრთამებს, რის გამოც ყველასათვის გასწყდა მართლიერება. მოხელეთაგან აღავის ჰქონდა მოსვენება, არც ადამიანს და არც პირუტყვს."[522] მღვდელმთავარი ძირითადად სწორად აღწერდა კახეთის აჯანყების გამომწვევ მიზეზებს და საქართველოს მთავარმართებელს აცნობებს, რომ მან არაერთხელ მიმართა რუს მოხელეებს კახეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ, მაგრამ ისინი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდნენ შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად, რის გამოც „უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხსა, მოიყვანა სასოწარკვეთამდის და იძულებული ჰყო იარაღისათვის ხელი წამოევლო... დიდი ხანია ხალხს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მის ჩაქრობას და განელებას არავინ ფიქრობდა."[523] წერილის დასასრულს ბოდბელი მიტროპოლიტი საქართველოს მთავარმართებელს მოახსენებს: „ხალხის მიდგომით არ მომდის ამას რომ მოგახსენებთ, მიკერძება და მიდგომა არ შეჰფერის ჩემს ხასიათსა. სიმართლით ვიტყვი, თქვენი ნდობა რომ არ ჰქონოდა ერსა, აგიზგიზებული ცეცხლის ჩაქრობა დიაღ რომ უფრო ძნელი იქნებოდა."[524]

521 ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1821), თბ., 1980, გვ. 66.

522 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 44.

523 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 44.

524 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 45.

როგორც წყაროებით ირკვევა, მარკიზ პაულიჩი არ ენდო მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის ინფორმაციას და კახეთის აჯანყების მიზეზებზე სხვებისგანაც მიიღო დაწვრილებითი ცნობები.[525] აჯანყებაში სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა, ალექსანდრე ფრონელის აზრით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რადგან „სამღვდელოება... მუდამ მზად იყო აჯანყების დროშა აეფრიალებინა რუსების წინააღმდეგ და მართლაც, არც ერთს ამბოხებას ისე არ ჩაუვლია საქართველოში, რომ მღვდელსა და ბერს და საეკლესიო აზნაურს ბრწყინვალე მონაწილეობა არ მიეღო... თუკი სადმე იპრიალებდა ცეცხლი, ესენიც უსათუოდ მუგუზალს მიუმატებდნენ ხოლმე."[526] აჯანყების დროს აქტიურობდა სპარსეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც წერილობით მიმართავდა საერო და სასულიერო პირებს და მათ სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. საქართველოს მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა აჯანყებულების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, რის გამოც აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, მარკიზ პაულიჩმა „...მოკრიფნა ყოვლისა ადგილსა რუსნი წარემართა და მივიდა ხაშმსა და მოასრევინა უბრალონი ქრისტიანენი... ვიდრე ასამდე ჩვილითურთ მსგავსად იროდის."[527] ხიშტით მოუკლავთ 90 წლის მონაზონი, აბაშიძის ასული მარიამი, რომელიც მეფე ერეკლე მეორის დეიდაშვილი იყო.

საქართველოს მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა ძალადობასთან ერთად კახეთის მოსახლეობის დასამშვიდებლად გაგზავნა რუსოფილი ქართველი სასულიერო პირები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილი, რომელიც ერთ დროს რუსების მოწინააღმდეგე იყო, შემდეგ კი იგი მათ სამსახურში ჩადგა. პლატონ იოსელიანის აზრით, დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილი „ტიპიური მოვლენაა საქართველოს ძაძამოსილი წარსულისა. ერთი, რომ თავს აკლავდა სამშობლოს სახელსა, მეორე, მისივე მეზობელი, იღვწოდა და ოფლსა ღვრიდა დამჩაგრელის გასახარებლად და სამშობლოს დასანგრევად."[528] სწორედ ასეთი მედროვე იყო დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილი. მანაც, სხვების მსგავსად, პირადი გამორჩენის გამო, მთელი ენერგია რუსეთის ინტერესებს მოახმარა.[529] როგორც გადმოგვცემენ, დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილი თავის ხელით აბრდღვნიდა წვერს აჯანყებაში მონაწილე სასულიერო პირებს და დაპატიმრებულებს მთავარმართებელთან და საქართველოს ეგზარქოსთან აგზავნიდა. დეკანოზი ელეფთერ ზუკაკიშვილს ხელისუფლებამ საბოლოოდ არ

525 ა. გელაშვილი, კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბ., 2003, გვ. 115.

526 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 68.

527 სანკტ-პეტერბურგის აღმოსაელეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი, ფურც. 117.

528 ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 112.

529 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 145.

დაუფასა ღვაწლი. სიბერეში მან ვერც შეპირებული დიდი პენსია მიიღო და ხალხის პატივისცემაც ვერ დაიმსახურა.

1813 წლის 13 მაისს თელავში აჯანყებულებთან გააგზავნეს მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი საქართველოს მთავარმართებლის პროკლამაციით, მაგრამ მან აღელვებული ხალხი ვერ დააწყნარა.[530] აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სახელმწიფოს მაღალი ჯილდოები უბოძა ერთგულ სასულიერო პირებს. მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აზნაურთა წრიდან გამოსული მღვდელი ზებედე შატბერაშვილი, რომელიც თავდაპირველად კავთისხევში მსახურობდა. იგი თურმე ქართლში მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ ამხედრებდა და ბევრს ფიცი დაადებინა, რომ ხელისუფლებას არ დაემორჩილებოდნენ. მას კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან და ხალხს არწმუნებდა, რომ იგი მათ რუსეთის ხელისუფლებისაგან დაიცავდა. მისი ხელმძღვანელობით 1812 წლის ბოლოს კავთისხევისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას რუსი მოხელეები დაუხოციათ. 1812 წლის ზაფხულში, როცა ალექსანდრე ბატონიშვილი თრიალეთის გზით შემოვიდა, მას მიეგებნენ კავთისხეველები, მათ შორის ზებედე მღვდელიც. აჯანყების დამარცხების შემდეგ ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა ზებედე შატბერაშვილს. იგი 1813 წლის 1 მარტს პერმში გადაასახლეს.[531]

სხვა სასულიერო პირებიც აქტიურად გამოდიოდნენ ახალი მმართველობის წინააღმდეგ. სოფელ ენისელის მღვდელ იოანე შუხაშვილს მიმოწერა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. 1812 წლის 26 მარტს მან ცისკრის ლოცვის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს წერილი გააცნო შეკრებილ მოსახლეობის და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდა. საქართველოს მთავარმართებლის მარკიზ პაულიჩის მითითებით, იგი შეიპყრეს, ეგზარქოსმა ვარლამმა კი მღვდლობიდან გადააყენა, სასამართლოში მისცეს და ხერსონის გუბერნიაში გადაასახლეს.[532] აჯანყებაში მონაწილეობის გამო ციმბირში გადასახლებით დაისაჯა შილდელი მღვდელი გიორგი ჩიხტაური.[533] 1818 წლის მანიფესტით კახეთის აჯანყების ზოგიერთი მონაწილე ამინისტიით გაათავისუფლეს. გადასახლებული ოთხი მღვდელი: შილდელი გიორგი ჩიხტაური, ხოდაშნელი ძულიაშვილი (ზულიაშვილი), კაჩატურელი ნიკოლოზი და მატნელი ექვთიმე ქრისტესაშვილი, „რომელნიც არ მოერიდნენ თავის წოდებას და ამ წოდებისაგან გამომდინარე ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღეს სამივე აჯანყებაში და სხვებსაც უბიძგებდნენ უკანო-

530 АКТЫ, Т. II, стр. 388.

531 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი, თბ., 1929, გვ. 214; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 16,ანაწ. 1, საქმე 373, ფურცელი 4.

532 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1980, გვ. 212-213.

533 ჟურნალი „მოამბე," 1895, 4, გვ. 19-20.

ნო ქმედებისაკენ,"[534] არ გაათავისუფლეს და სამუდამოდ დარჩნენ გადასახლებაში.

თუკი რუსეთის ხელისუფლება მათი რეჟიმის მოწინააღმდეგე სამღვდელოებას მკაცრად სჯიდა, სამაგიეროდ უხვად ასაჩუქრებდა მედროვე სასულიერო პირებს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა მღვდელი ნიკოლოზ ხელაშვილი, იგივე თეოდორე არქიმანდრიტი, რომელიც კახეთის აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლების ჯარში იმყოფებოდა და მათთან აღასრულებდა ღვთისმსახურებას. ხელისუფლებამ მას ერთგულების გამო 1824 წელს დაუნიშნა სამუდამო პენსია 500 მანეთი ასიგნაციით წელიწადში, 1826 წელს კი დააჯილდოვეს იისფერი ხავერდის კამიკლავით. 1827 წელს იგი ბერად აღიკვეცა და დაინიშნა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტად.[535]

XIX საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებაც აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ქართლ-კახეთის გაუქმების შემდეგ რუსეთს სურდა იმერეთის სამეფოს დაპყრობაც. თავის მხრივ, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე სხვადასხვა დიპლომატიური გზების საშუალებით ცდილობდა სამეფოს შენარჩუნებას. რუსეთის ხელისუფლებამ ისარგებლა სამეგრელოს მთავრის იმერეთის მეფესთან უთანხმოებით და 1802 წელს გრიგოლ დადიანის თხოვნის პუნქტების საფუძველზე მისი სამთავრო რუსეთის მფლობელობაში შევიდა. წყაროებით დასტურდება, რომ განდგომილი სამთავროს მღვდელმთავრებთან პოლიტიკური მოლაპარაკების მიზნით სამეგრელოში საიდუმლოდ ჩასულან იმერეთის მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი. მათ განზრახული ჰქონდათ გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობის გაერთიანება და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება. როგორც ირკვევა, დასახელებული მიტროპოლიტები მეფე სოლომონ მეორის მითითებით მოქმედებდნენ. საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა ჯაშუშების მეშვეობით დროზე შეიტყო მათი განზრახვა. აღნიშნული ფაქტის შესახებ, 1804 წლის 10 დეკემბერს ახტალის ეპისკოპოსი იოაკიმე ატყობინებდა საქართველოს მთავარმართებელს და თან დასძენდა: „მე ვბედავ, თქვენს ბრწყინვალებას მოვახსენო, რომ თუკი ისინი ამ შემთხვევაში მოასწრებენ დაითანხმონ ზემოხსენებულნი, მაშინ აღასრულებენ თავიანთ ბოროტ განზრახვას. მარტო ზურაბ წერეთელი, როგორც ერთგული მისი იმპერატორობის უდიდებულესობისა, ცდილობს შეძლებისდაგვარად ამას ხელი შეუშალოს და მის გარდა სხვა ერთგულს ვერ ვხედავ." მოტანილი მასალა მეტყველებს, რომ პავლე ციციანოვს სამღვდელოებაში ერთგული პირები ჰყოლია, რომლებიც საიდუმლო ცნობებს აწვდიდნენ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორის ვინაობის გარკვე-

534 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1980, გვ. 212-215.

535 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1980, გვ. 264.

ვის გარეშე ნათელი წარმოდგენა არ შეგვექმნება იმის შესახებ, თუ რატომ ირჯებოდა ახატალის ეპისკოპოსი იოაკიმე რუსეთის ხელისუფლების სასარგებლოდ. იგი იყო ეროვნებით ბერძენი, კვიპროსზე არსებული წმ. კიკოს მონასტრის პროტოსინგელოსი, რომელიც 1780 წელს შემოწირულობის მიზნით ჩამოსულა საქართველოში. 1784 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა წმ. კიკოს მონასტერს ზემო იმერეთის ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია შესწირა, რომლის შემოწირულობები კვიპროსზე იგზავნებოდა. ამ მონასტრის წინამძღვარი 1803 წლამდე იოაკიმე იყო. იგი იმ პოლიტიკური ძალების მხარეს აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომელთანაც თავს ყველაზე კარგად გრძნობდა. ჯერ კიდევ, იმერეთში ყოფნის დროს მას დიდად მფარველობდა სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი. ამიტომაა, რომ იგი პავლე ციციანოვისადმი გაგზავნილ წერილში დიდი პატივით იხსენიებს ზურაბ წერეთელს. 1803 წელს იოაკიმე ანტონ მეორე კათოლიკოსის მიერ ეპისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი და დაინიშნა ახტალის ეპარქიის მმართველად. მალე იოაკიმე რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. ხელისუფლებისადმი ერთგულების დამტკიცების მიზნით იოაკიმემ საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა. ახტალაში მოღვაწეობის მიუხედავად, მას ისეთი საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება არ გაუჭირდებოდა, რადგან იოაკიმეს ზემო იმერეთის სოფელ ვარძიის ეკლესიასთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი, სადაც მისი ერთგული ბერძენი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ. ეტყობა, მათ მოაწოდეს იოაკიმეს საიდუმლო ინფორმაცია. ეპისკოპოსმა იოაკიმემ სხვა საიდუმლო ცნობებიც მიაწოდა პავლე ციციანოვს, კერძოდ ის, რომ 1804 წლის 18 ნოემბერს მეფე სოლომონ მეორეს როსტომ ჩხეიძე და დავით აბაშიშვილი გაუგზავნია ახალციხეში სელიმ ფაშასთან, რომ ერთად ემოქმედათ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.[536]

რუსეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში თავისი პოლიტიკური პოზიციების გამტკიცებისათვის ცდილობდა გამოეყენებინა იმერეთის სამღვდელოება. დაძაბული სიტუაციის განსამუხტავად საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ზურაბ წერეთელი და მიტროპოლიტი ეფვთიმე გენათელი. მათ დაარწმუნეს იმერეთის მეფე, რომ ქუთაისში მდგარი ფიოდორ სიმონოვიჩის რუსი მხედრობა მის უვნებელობას დაიცავდა. შეთანხმებისამებრ, სოლომონ მეფე მოსალაპარაკებლად სოფ. დირბში უნდა შეხვედროდა ალექსანდრე ტორმასოვს. მოტყუებით დირბში ჩაყვანილი იმერეთის მეფე დაატყვევეს და თბილისში წაიყვანეს. აღნიშნულმა ფაქტმა ააღელვა იმერეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ეფვთიმე გენათელი, რომლის შუამავლობით მოხდა მათი დროებითი მორიგება, მაგრამ მან რუსეთის ხელისუფლების მზაკვრული გეგმის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა. იმერეთის მეფის დაპატიმრებისთანავე გელათის, ქუთაი-

536 АКТЫ, Т. II, стр.418.

სის, ხონისა და ნიკორწმინდის მღვდელმთავრებმა ალექსანდრე ტორმასოვს მიმართეს თხოვნით, რომ საქართველოს მთავარმართებელს იმპერატორისთვის ეცნობებინა იმერეთის მოსახლეობის სურვილი, რომ სოლომონ მეორე კვლავ სამეფო ტახტზე აღედგინათ. ალექსანდრე ტორმასოვმა მღვდელმთავრებს პასუხი შეგნებულად დაუგვიანა. მაგრამ, როცა სოლომონ მეფე ერთგული პირების დახმარებით თბილისიდან გაიქცა და იმერეთში უკვე გაქცეული მეფის მხარდამჭერი აჯანყება მზადდებოდა, საქართველოს მთავარმართებელმა სასწრაფოდ გაუგზავნა პასუხი იმერეთის სამღვდელოებას. ალექსანდრე ტორმასოვი, მათ მოთხოვნას, ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე სოლომონისათვის მეფობის დაბრუნების შესახებ, გადაჭრით პასუხობდა: „მეფე დიდი პატივით იქნა მიღებული თბილისში და ვცდილობდი, მისი ბედი იმპერატორს დადებითად გადაეწყვიტა. ხელმწიფე მართლაც შეინყალებდა თქვენს ყოფილ მეფეს, მაგრამ სოლომონმა ჩაიდინა დანაშაული, გაექცა იმპერატორის მართლმსაჯულებას. სოლომონი ახალციხეში გადავიდა და თქვენი საუკუნოვანი მტრების – თურქების ჯარით აპირებს იმერეთში დაბრუნებას, ხალხისათვის დიდი უბედურების თავს დატეხვას. ასეთი მოქმედებით მან საბოლოოდ დაკარგა იმპერატორის წყალობის მოპოვების შესაძლებლობა. ამიტომ სოლომონს კი არ უნდა გაუწიო დახმარება, არამედ უნდა დაიცვა იმპერატორის წინაშე დადებული ერთგულების ფიცი და თქვენ სამწყსოს შთააგონოთ, რომ ურთიერთობა არ დაიკავოს ყოფილ მეფესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან ღმერთისა და რუსეთის ხელმწიფისაგან."[537] ახალციხეში გადასულმა სოლომონ მეორემ 1810 წლის 17 მაისს წერილით მიმართა ეფვთიმე გენათელს და მოუწოდა, რომ მის სამწყსოს და იმერეთის მოსახლეობას მისთვის მხარი დაეჭირათ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.[538] მღვდელმთავარი არ გამოხმაურებია სოლომონ მეფის მოწოდებას, რადგან იცოდა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა.

1810 წელს იმერეთში იფეთქა აჯანყებამ. მასში აქტიურად იყო ჩართული სამღვდელოება. რუსეთის ხელისუფლების ჯარი იმერეთში შევიდა. მათ ზემო იმერეთის ვიწრობებში, ჩხერის ციხესთან მოკლეს მოძღვარი დიმიტრი სვიმონის ძე აბაშიძე.[539] რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ჩაქრობა. სოლომონ მეფემ თავისი სამფლობელო დატოვა და იმერეთის სამეფოც გაუქმებულად გამოცხადდა. სამეფოდან გაძევებული სოლომონ მეფე 1815 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა. უმწეო მდგომარეობაში მყოფ იმერეთის მეფეს ბოლომდე უერთგულა კარის მოძღვარმა ილარიონმა (ერობაში იესე ყანჩაველი), რომელიც ახლახან საქართველოს ეკლესიამ წმ. ილარიონ ქართველი ახლის სახელით წმინდანად შერაცხა.

---

537 АКТЫ, Т. IV, стр.267; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1821), თბ., 1980, გვ. 560.

538 ჟურნალი „მწყემსი," 1906, 11-12.

539 ჟურნალი „მწყემსი," 1906, 11-12.

წმ. ილარიონ ქართველი ახალი (ერისკაცობაში იესე ყანჩაველი) დაიბადა 1776 წელს ზემო იმერეთის ლოსიათხევის თემის შემადგენლობაში შემავალ სოფელ ალავერდში, ღვთისმოსავი აზნაურის ხახული და მარიამ ყანჩაველების ოჯახში.[540] ბავშვობიდანვე იესე ტაბაკინის მონასტრის მახლობლად დამკვიდრებული ბიძის, განდეგილი ბერ-დიაკონის სტეფანესთან ერთად ცხოვრობდა, სადაც მან ღვთისმოშიშობასთან ერთად სასულიერო ცოდნაც შეიძინა. შემდგომ იგი იმერეთის სამეფო კარზე სოლომონ მეფის მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა, რომლის დახმარებით სამწელიწადნახევარში ჯრუჭის მონასტერში არქიმანდრიტ გერასიმეს (სოლორაშვილი) მეშვეობით საერო და საეკლესიო განათლებას დაეუფლა. შემდგომ იესე იმერეთის სამეფო კარზე მოხელედ ინიშნება. ერთგული სამსახურის გამო სოლომონ მეფის რჩევით მღვდლად ეკურთხა და სამეფო კარის მოძღვარი გახდა. იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810 წელი) შემდეგ იესე დევნილ მეფეს თან ახლდა. მას მეფე სოლომონთან ერთად იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის სულთანი დახმარებას გაუწევდა დევნილ ქართველ მეფეს. ამ იმედის მომლოდინე იესე მეფესთან და მის ამალასთან ერთად, კარგა ხანს იმყოფებოდა ახალციხისა და ერზერუმის ფაშებთან. ახალციხეში გადახვეწილ მეფეს დიდ მხარდაჭერას უცხადებდა ლოსიათხევის მოსახლეობა, რაშიც დიდი როლი შეუსრულებია ამ კუთხის მკვიდრ, დევნილ მეფესთან მყოფ მის სულიერ მოძღვარს იესე ყანჩაველს. იესე ყანჩაველმა გააპატიოსნა ტრაპიზონში 1815 წლის 7 თებერვალს გარდაცვლილი მეფე სოლომონ მეორე, რომელიც წმ. გრიგოლის ბერძნულ ეკლესიაში დიდი პატივით დაკრძალეს. მისივე თაოსნობით გარდაცვლილი მეფის საფლავზე აუგიათ სალხინებლიანი მატური, ხოლო მისი სულის საოხად ღარიბ-ღატაკებისათვის დაურიგებია მეფის მიერ დატოვებული ფულადი თანხა და დანატოვარი ნივთები. სამშობლოში დაბრუნებულ იესე მეუღლის გარდაცვალებისთანავე ბერად აღიკვეცა ილარიონის სახელით და განდეგილად სურდა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში დამკვიდრება, მაგრამ სოლომონ მეფის ქვრივის მარიამ დედოფლის თხოვნით იგი მას გაჰყვა რუსეთში. თავისი ღვთისმოსაობით მას სამეფო კარის ყურადღება მიუპყრია. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს სურდა მისი დედაქალაქის მღვდელმთავრად გამწესება, მაგრამ მალულად იგი ათონის მთაზე გაიპარა და იქ დამკვიდრდა. მისი გაპარვა არამარტო განდეგილობის სურვილით უნდა ყოფილიყო განპირობებული, არამედ იმითაც, რომ შინაგანად დიდად განიცდიდა სამშობლოსა და მშობლიური ეკლესიის მძიმე ხვედრს. წმინდა ათონის მთაზე დამკვიდრებული ილარიონი თავის ვინაობას არ ამხელდა, მაგრამ მალევე ადგილობრივებმა ყველაფერი შეიტყვეს მის შესახებ. ასკეტური ცხოვრებით ილარიონმა ათონის მთაზე დიდად გაითქვა სახელი. დიდი ღვთისმოსაობის გამო ათონელი მამები მას „მოძღვართ-მოძვარს" უწოდებდნენ. იგი მწიგნობრულ მოღვაწეობასაც ეწე-

540 ე. ბუბულაშვილი, ახალი მასალები წმ. ილარიონ ქართველი ახლის მოღვაწეობის შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, I, თბ., 2014, გვ. 55.

ოდა, ჩვენამდე მოაღწია მისმა რედაქტირებულმა და ნათარგმნმა რამდენიმე ნაშრომმა. იგი გარდაიცვალა ათონის მთაზე 1844 წელს.[541]

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება, რომლის გამომწვევი მიზეზი იყო საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შედეგად რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული საეკლესიო გარდაქმნები. ამ აჯანყებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი სამღვდელოებას ეკავა, რის გამოც იმდროინდელმა ხელისუფლებამ იგი ე. წ. „საეკლესიო ბუნტის" სახელით მონათლა.

დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც რუსეთის უწმინდესი სინოდის 1818 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა საეკლესიო გარდაქმნების გატარება დაიწყო. ამ ფაქტს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა, რამაც გამოიწვია აჯანყება იმერეთში. გარკვეული სახით იგი ნაწილობრივ გავრცელდა სამეგრელოს, რაჭასა და გურიის ზოგიერთ სოფლებში. ეგზარქოს თეოფილაქტეს სურდა აღეწერა საეკლესიო ქონება და მამულები. გარდა ამისა, უნდა მომხდარიყო საეპისკოპოსოების, მოქმედი ეკლესიებისა და სასულიერო პირთა რაოდენობის შემცირება, ხოლო საეკლესიო ქონება ხაზინის კუთვნილება უნდა გამხდარიყო.[542] 1819 წლის მაისში ეგზარქოსი თეოფილაქტე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორ ვასილ ჭილაძესთან ერთად იმერეთში ჩავიდა და თვითონ შეუდგა რეფორმის გატარებას. მან დაიწყო ცნობების შეგროვება გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეკლესიებზე, საეკლესიო მამულებზე, მაგრამ მალე იგი ადგილობრივების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სასულიერო პირები და მოსახლეობა მათ სოფლებში აღარ უშვებდა.[543] მალე იმერეთი მოსახლეობის გამოსვლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მოძრაობის დაწყებისთანავე, 1819 წლის 2 ივლისს, იმერეთის თავადაზნაურობამ მოწოდებით მიმართა რაჭის მკვიდრთ. ისინი თავიანთ მიმართვაში აღნიშნავდნენ, რომ ეგზარქოს თეოფილაქტეს მოსვლით იმერეთი დიდ მწუხარებაში არისო, რადგან „მათი განზრახვა არის ეკლესიების დანგრევა, ჩვენთვის მლოცველ მღვდლებს და არქიერებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ღმერთი."[544] აჯანყებულებს ის გარემოება აშფოთებდა, რომ თუკი ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია ხელუხლებელია, „ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისიო. რა დავაშავეთ, ეკლესიებს რომ გვიხურავენ და

541 ილარიონ ქართველის ცხოვრება, ინგლისურიდან თარგმნა დ. დადიანმა, თბ., 1995; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ღვანლი წმ. ილარიონ (ყანჩაველი) ქართველი ახლისა (1776-1844), ჟურნალი „რელიგია," 2013, 2, გვ. 45-46; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ახალი მასალები წმ. ილარიონ ქართველი ახლის მოღვაწეობის შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, I, თბ., 2014, გვ. 53-64.

542 Н. Махарадзе, Восстание в Империи 1819-1820 гг. Материалы по истории Грузии и Кавказа, 1942, вып. III, стр. 57.

543 Записки И. Н. Дубецкого, Русская старина, 1895, кн. IV; შდრ. АКТЫ, Т. IV, стр. 457.

544 АКТЫ, Т. IV, ч. I, стр. 391.

ეპისკოპოსებს გვართმევენ." ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „1819 წელია, რაც ქრისტიანული წესები გვაქვს, დაე, ნუ დაირღვევა იგი და ჩვენ ვიქნებით ხელმწიფე იმპერატორის ერთგული მონები, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ვიბრძოლებთ მისთვის. მაგრამ ხელმწიფისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია. ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის." აჯანყებულები მოითხოვდნენ ეგზარქოს თეოფილაქტეს დაწყებული გარდაქმნების შეწყვეტას, მაგრამ „თუკი ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ, სჯობს ამოგვწყვიტონ." აჯანყებულები რაჭის მოსახლეობას სთხოვდნენ, რომ ეგზარქოს თეოფილაქტეს წინააღმდეგობა გაუწიონ და საჭიროა ამ საქმეში ერთად იმოქმედონ.[545] აჯანყებული იმერეთის მოსახლეობის მოწოდებას გამოეხმაურნენ რაჭველები. ისინი შეიკრიბნენ ეკლესიებში და ხალხს ფიცს ადებინებდნენ, რომ ერთად იმოქმედებდნენ. აჯანყება სამეგრელოსა და გურიის ნაწილსაც მოედო. კავკასიის არმიის შტაბის სარდალმა ივანე ველიამინოვმა განიზრახა საქმის მშვიდობიანად მორიგება.[546] მისი განკარგულებით, საქართველოს მთავარმართებელთან შეთანხმებით, ეგზარქოსი თეოფილაქტე იმერეთიდან გაიწვიეს, მაგრამ აჯანყება მაინც გრძელდებოდა. იმერეთის სამღვდელოება და მოსახლეობა პირობას დებდა, რომ ერთობლივად იმოქმედებდნენ და წმინდა საქმიანობისათვის თავს დადებდნენ.

დასავლეთ საქართველოში დაწყებულმა აჯანყებამ დიდი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ამ აჯანყებით იმერეთის მოსახლეობამ მიზნად დაისახა სამეფოს აღდგენა, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება.[547] აჯანყების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ, მეფედ სოლომონ I-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე დაესვათ, რომელიც დაწყებული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. წყაროებით დასტურდება, რომ აჯანყებულ ხელმძღვანელთა შორის გამორჩეულნი იყვნენ მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფვთიმე გენათელი. ისინი ხალხს განუმარტავდნენ ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ იმერეთში გატარებული რეფორმების არსს. მღვდელმთავრების მოწოდებით აჯანყებულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.[548]

დოსითეოს ქუთათელისა და ეფვთიმე გენათელის აგიტაციის შედეგად, 1819 წლის 29 ივნისს იმერეთის მოსახლეობა ქუთაისის მმართველის ივანე კურნატოვსკისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ საუკუნეების განმავლობაში მაჰმადიანებსაც კი არ მოუშლიათ ეკლესიის დამოუკიდებლობა და ახლა ერთმორწმუნე კალთას ამოფარებულ ეკლესიას რა დანაშაული მიუძღვის ისეთი დამოუკიდებლობას რომ გვართმევენო.[549] რუსეთის ხელისუფლებას ყველაზე საშიშ ძალად აჯანყებაში სასულიერო პირთა მონაწილეობა

545 АКТЫ, Т. IV, ч. I, стр. 391.

546 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 906, ფურცელი 80.

547 ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1821), თბ., 1980, გვ. 64.

548 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1008, ფურცელი 105.

549 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, ანან. 1, საქმე 1008, ფურცელი 114; შდრ. АКТЫ, Т. IV, ч. I, стр. 587.

მიაჩნდა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ დოსითეოს ქუთათელისა და ეფვთიმე გენათელის მოღვაწეობას. ეგზარქოსი თეოფილაქტე ხელისუფლებისადმი წარდგენილ მიმართვაში პირდაპირ მიუთითებდა, რომ „მღელვარება ხალხში მღვდელმთავრების მიერაა გამოწვეული, რათა რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან ძველი დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ.“[550] მისი აზრით, იმერეთში მშვიდობა იმ შემთხვევაში დამყარდებოდა, თუკი მათ მოთავეებს, მათ შორის მღვდელმთავრებს დააპატიმრებდნენ და რუსეთში გაიწვევდნენ.[551] 1819 წლის 18 ივლისს დოსითეოს ქუთათელმა და ეფვთიმე გენათელმა ქუთაისში ჩასულ გენერალ ვასილ სისოევს განუცხადეს, რომ იმერეთში არსებული არეულობა რუსეთის გაძევებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ იგი დაწყებული საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ იყო მიმართული.[552] იმავე წლის აგვისტოში ორივე მღვდელმთავარმა მიმართა საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ერმოლოვს და სთხოვა გამოეძიათ იმერეთში ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ ჩადენილი დანაშაული.[553] როგორც წერილობით დასტურდება, მათ იმედი არ ჰქონდათ, რომ ხელისუფლება ხალხის მოთხოვნებს გაითვალისწინებდა. უიმედო მდგომარეობაში მყოფმა მღვდელმთავრებმა 1819 წლის ბოლოს, რუსეთის ხელისუფლებისაგან მალულად, კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს გაუგზავნეს მიმართვა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ რა უბედურებას ეწია დასავლეთ საქართველოს ეკლესიას რუსი მოხელეებისაგან და სთხოვდნენ მსოფლიო პატრიარქს, რომ მათი სამწყსო თავის იურისდიქციაში მიეღო. ამასთან აფრთხილებდნენ მას, რომ წერილის შინაარსი ცნობილი არ გამხდარიყო კონსტანტინეპოლში მყოფი რუსი ელჩისათვის.

მღვდელმთავართა ქმედებით აღშფოთებული იყო ხელისუფლება. 1820 წლის 23 თებერვალს იმერეთის მოსახლეობაში ქართულ ენაზე გავრცელდა საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ერმოლოვის პროკლამაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თითქოს დოსითეოს ქუთათელი და ეფვთიმე გენათელი მხოლოდ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იბრძოდნენ და მათ ხალხის ბედი არ ადარდებდათ. საქართველოს მთავარმართებელი, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვდა დასახელებული მღვდელმთავრების გადაყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მკაცრი სასჯელით იმუქრებოდა.[554]

ხელისუფლების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით პოლკოვნიკ ივანე პუზირევსკის ხელმძღვანელობით 1820 წლის 4 მარტს მოტყუებით დააპატიმრეს ეფვთიმე გენათელი და დოსითეოს ქუთათელი. რუს ოფიცერს საქართველოს მთავარმართებლისაგან მითითება ჰქონდა, რომ თუკი მოსახლეობა

550 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1008, ფურცელი 187.

551 АКТЫ, Т.VI, ч. I, стр. 457.

552 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1008, ფურცელი 84.

553 ე. ორჯონიკიძე, 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს ხალხთა აჯანყება, კლიო 19, 2003, გვ. 83.

554 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 906, ფურცელი 104.

თავს დაესხმოდა, დატყვევებულები დაეხოცათ და მდინარეში გადაეყარათ. სხვა შემთხვევაში კი გზაში მშვიდად ევლოთ, დაპატიმრებულები კი, ერთმანეთი რომ არ დაენახათ და ვერც ადგილობრივ მოსახლეობას ეცნო, თავზე ტომარა ჩამოცმულები, კისერთან და წელთან თოკშეკრულები წამოეყვანათ.[555] ივანე პუზირევსკის გადაწყვეტილებას ივანეე ველიამინოვი არ დათანხმებია და მისთვის ურჩევია, რომ გზაში ტყვეები თუ დაიხოცებოდნენ, მდინარეში არ ჩაეყარათ, რადგან შეიძლება ისინი წყალს გამოერიყა და ახალი არეულობის მიზეზი გამხდარიყო.[556] რუსი მოხელეები დაპატიმრებულ სასულიერო პირებს დიდი სისასტიკით მოექცნენ. რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც (პოტო, დუბროვინი) კი გვერდს ვერ უვლიან აღნიშნულ ფაქტს. სურამსა და გორის გზაზე ტომარაში მოგუდული დოსითეოს ქუთათელი ანანურის ეკლესიაში ჩუმად დაკრძალეს, სიკვდილს გადარჩენილი ეფვთიმე გენათელი და ტაბაკინის მონასტრის არქიმანდრიტი გრიგოლი (ცქიტიშვილი) კი რუსეთის გზას გაუყენეს.

1924 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმ. ამბროსი აღმსარებელმა (ხელაიამ) საბჭოთა რეჟიმის სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ეფვთიმე გენათელმა იმპერატორ ალექსანდრე პირველს „ახალი დროის ნერონი" უწოდა. კარგა ხნის მანძილზე წმ. ამბროსი აღმსარებლის აღნიშნული ცნობა არარეალურად იყო მიჩნეული. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვლინდა საინტერესო საარქივო მასალები, რომლითაც აღნიშნული გადმოცემა სიტყვა სიტყვით დასტურდება.[557] ეფვთიმე მღვდელმთავარი ტაბაკინის არქიმანდრიტ გრიგოლთან (ცქიტიშვილი) ერთად ნოვგოროდში ჩაუყვანია თბილისის პოლიციის ოფიცერს სტეფანე მიზანდარს. იმდროინდელი განათლებისა და სასულიერო მინისტრის ალექსანდრე გოლიცინის ბრძანებით, იმავე პოლიციელის ზედამხედველობით ეფვთიმე გენათელი პეტერბურგში მიუყვანიათ რუსეთის იმპერატორთან შესახვედრად.[558] მართალია წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ნოვგოროდიდან პეტერბურგში ეფვთიმე გენათელის ჩაყვანა თვით რუსეთის იმპერატორის სურვილით უნდა მომხდარიყო. სხვა შემთხვევაში, განათლებისა და სასულიერო მინისტრი ასეთ ნაბიჯს იმპერატორის სურვილის გარეშე ვერ გადადგამდა. წყაროები ეფვთიმე გენათელისა და რუსეთის იმპერატორის საუბრის დეტალებს არ გადმოგვცემენ. ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ საუბარს ესწრებოდა და თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა, იმ დროისათვის რუსეთში მყოფი ქართველი ბერი იონა ხელაშვილი. წყაროები აღნიშნავენ, რომ ეფვთიმემ „დაჰყო მცირე ხანი პეტერბურლსა შინა, ვითარცა პატიმარი." როგორც

555 АКТЫ, Т.VI, ч. I, стр. 578.

556 Потто, Учреждение, Т. III, стр. 509-513.

557 ე. ორჯონიკიძე, 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს ხალხთა აჯანყება, კლიო 19, 2003, გვ. 102.

558 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1008, ფურცელი 530.

ჩანს, იმ დროს პეტერბურგში მყოფ ქართველ ბატონიშვილებს მოუნდომებიათ ენახათ ტანჯული ქართველი მღვდელმთავარი, მაგრამ მისი ნახვის უფლება არ მიუციათ, რომლის „მიზეზი მხოლოდ ღმერთმან უწყის.“[559] უეჭველია, რომ მღვდელ-მონაზონ იონა ხელაშვილის მეშვეობით ზეპირად უნდა გავრცელებულიყო სასამართლო სხდომაზე ამბროსი ხელაიას მიერ გახმოვანებული ზემოთ აღნიშნული ცნობა. განრისხებული რუსეთის იმპერატორის განკარგულებით ეფვთიმე სასწრაფოდ გადაასახლეს ნოვგოროდის გუბერნიის, ოლონეცკის მაზრაში არსებულ სვირის მონასტერში, სადაც მასზე მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. გადასახლების მიუხედავად, საქართველოს ეგზარქორები თეოფილაქტე რუსანოვი და იონა ვასილევსკი კვლავ საფრთხეს ხედავდნენ ქართველ მღვდელმთავარში და რუსეთის უწმინდეს სინოდს და თვით სვირის მონასტრის ხელმძღვანელობას აფრთხილებდნენ, რომ მისთვის გადაადგილების საშუალება არ მიეცათ.[560] საარქივო მასალებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახეს იმის შესახებ, თუ საკვების რა ულუფას აძლევდნენ ქართველ მღვდელმთავარს. გადასახლების მიუხედავად იგი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. მას ახლო ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა იონა ხელაშვილთან.[561] უცხოობაში მყოფი მღვდელმთავარი გარდაიცვალა 1822 წლის 21 აპრილს. იგი დაკრძალული იყო მონასტრის საკურთხეველში. ეფვთიმე მღვდელმთავარის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა მასთან ერთად მყოფმა ტაბაკინის მონასტრის არქიმანდრიტმა გრიგოლმა (ცქიტიშვილი).[562] 2005 წელს ეფვთიმე მღვდელმთავარის ნეშტი გადმოასვენეს და გელათში დაკრძალეს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა იგი დოსითეოს ქუთათელთან ერთად წმინდანად შერაცხა.

მღვდელმთავართა ჩამოშორების შემდეგ, მართალია, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ იმ ეტაპზე რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნები ვერ განახორციელა.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე სასულიერო პირთა შორის, რომელმაც ხმა აღიმაღლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, დიდ ყურადღებას იმსახურებს დღემდე, მივიწყებული ბერის ბესარიონ ფავლენიშვილის სახელი. ჩრდილოელი ერთმორწმუნე დამპყრობელი ყოველმხრივ ცდილობდა ოფიციალური წერილობითი წყაროებიდან ამოეშანთა იმ პირთა თავდადება, რომლებიც დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და ავტოკეფალიაწართმეული ეკლესიის უფლებების დაცვისათვის იბრძოდნენ. ამ მცდელობის მიუხედავად ხალხის მეხსიერებამ (ზეპირმა გადმოცემებმა) და

559 მასალები საქართველოს ისტორისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმების მიერ, 1744-1840 წწ., ტფ., გვ. 150.

560 РГИА, ф. 796, опись 11, дело 488. лл. 14.

561 ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე, 2005, გვ. 51.

562 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-1532, ფურცელი 139.

რუს მოხელეთა საიდუმლო მიმოწერამ საინტერესო მასალები დაგვიტოვა მათ შესახებ. ასეთ პირთა რიცხვს მიეკუთნება ბესარიონ ფავლენიშვილი. მის შესახებ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ქართლისა და ხევის მოსახლეობაში უამრავი ლეგენდა და გადმოცემები არსებობდა. ხევში არსებული გადმოცემების საფუძველზე მწერალმა ალექსანდრე ყაზბეგმა მისი სახელი უკვდავყო მოთხრობაში „მოძღვარი," რომლის მთავარი გმირი მღვდელი ონოფრე წარმოადგენს ბესარიონ ფავლენიშვილის წმინდა სახეს. ბესარიონ ფავლენიშვილის შესახებ დაცული გადმოცემებისა და მისი მოღვაწეობის გაშუქებას დიდი ამაგი დასდეს მღვდელმა პოლიევქტოვ კარბელაშვილმა და ეპისკოპოსმა კირიონ საძაგლიშვილმა, რომლებმაც მცირე მოცულობის ნარკვევი გამოაქვეყნეს მის შესახებ. ნაშრომის გამოქვეყნების მიზანი იყო შთამომავლობას არ დაევიწყებინა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის წამებულის ღვაწლი. გარდა ამისა, მისი მოღვაწეობა ზნეობრივი მაგალითი უნდა გამხდარიყო მომავალი თაობებისათვის.

მღვდელ-მონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილი სამაჩაბლოს, კერძოდ, ერედვის მკვიდრი თავადიშვილი იყო. მას სასულიერო განათლება მიუღია თბილისში ანჩისხატის ეზოში არსებულ სასულიერო სემინარიაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა დავით გარეჯის იოანე ნათლიმცემლის უდაბნოში არქიმანდრიტ ეფთვიმესთან, 1799 წელს ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტერში დაემკვიდრა. 1808 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის კურთხევით მღვდელ-მონაზონი ბესარიონი ხევსა და მთიულეთში ქრისტიანობის აღსადგენად და გასავრცელებლად მისიონერად გაიგზავნა. იგი დამკვიდრდა მოსახლეობის მოშორებით, გერგეტის ჩრდილოეთით, სტეფანწმინდიდან ორი ვერსით დაშორებულ კლდეში თავის ხელით გამოკვეთილ გამოქვაბულში, სადაც პატარა სალოცავიც მოაწყო. დროდადრო ჩამოდიოდა მოსახლეობაში, ხევისა და მთიულეთის სოფლებში ქრისტიანობას ქადაგებდა, აღსარებას იღებდა და აზიარებდა. ოცი წლის მანძილზე მისი მოღვაწეობის შედეგად მათი ცხოვრების წესი სასიკეთოდ შეიცვალა. თავისი ღვთისმოსაობით მამა ბესარიონმა ადგილობრივების დიდი სიყვარული დაიმსახურა და მისი პიროვნება ზნეობრივ მაგალითად იქცა მთის მოსახლეობისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ხევსა და მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელება დაევალა „ოსეთის სასულიერო კომისიის," რომელსაც ეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური ხელმძღვანელობდა, მიერ დანიშნულ სასულიერო პირებს, რომლებიც სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებისათვის ადგილობრივი მოსახლეობისაგან ფულადი სახის გადასახადებს ითხოვდნენ. მათგან განსხვავებით მამა ბესარიონი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აღასრულებდა ეკლესიურ წეს-ჩვეულებებს. აღნიშნულის გამო ადგილობრივი მოსახლეობა უნდობლად ეკიდებოდა ხელისუფლების მიერ მოვლინებულ სასულიერო პირებს. ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ გატარებული რეფორმებით 1818 წლიდან მოსახლეობას დაევალა ფულადი გამოსაღების

გადახდა. აღელვებულმა მოსახლეობამ დახმარებისათვის მიმართა მამა ბესარიონს. მოსახლეობის მოთხოვნით მამა ბესარიონს დაევალა თბილისში სასულიერო უწყებისათვის გადაეცა მათი წერილობითი თხოვნა ადგილობრივი სამღვდელოების თვითნებობის შესახებ. მამა ბესარიონის უკმაყოფილო სასულიერო პირებმა იგი დააბეზღეს ხელისუფლებასთან, რის გამოც მამა ბესარიონი 1819 საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით გაიწვიეს მთიულეთიდან და სასჯელის მოსახდელად გაამწესეს შიო მღვიმის მონატერში. შემდეგ იგი თბილისში დარიის მონასტერში გამოკეტეს როგორც პატიმარი და მასზე მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს. სასულიერო უწყებისადმი გაგზავნილ საიდუმლო მიმოწერებიდან ირკვევა, რომ მამა ბესარიონი ხელისუფლებისადმი საშიშ პიროვნებად მიაჩნდათ. აღნიშნულის გამო, ხელისუფლების მითითებით იგი გიჟად გამოაცხადეს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, დავით გარეჯის იოანე ნათლისცემის უდაბნოში დამკვიდრებული მამა ბესარიონი ადგილობრივ ბერებთან კონტაქტში არ შედიოდა, განმარტოებული იყო და მნიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა. ბერებმა მას ამპარტავნებაში ბრალი დასდეს და დააბეზღეს ეგზარქოს თეოფილაქტესთან. ეგზარქოსთან დაბარებულმა მამა ბესარიონმა მის არცერთ შეკითხვას პასუხი არ გასცა, რის გამოც გაბრაზებულმა ეგზარქოსმა მას ყბაში სილა გააწნა, გასისხლიანებული პირიდან ბერს კენჭები გადმოუცვივდა, ეგზარქოსი მიხვდა: ბერს აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ არასდროს დაილაპარაკებდა. შეწუხებულმა ეგზარქოსმა მამა ბესარიონის წერილობითი თხოვანა, რომ იგი გადაეყვანათ თავის მშობლიურ სოფელ ერდვში, დააკმაყოფილა. მამა ბესარიონი დამკვიდრდა სოფელ ერედვის „მოსახლეობისაგან განმარტოებით მთაში მდგომარე მცხეთის ჯვრის საყდარში." წყაროებით დასტურდება, რომ როგორც არასაიმედო პიროვნება მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მითითებით მასზე მეთვალყურეობას ახორციელებდა გორის ოლქის ხელმძღვანელობა. 1824 წლის 19 ივნისს ოსთა ყაჩაღთა ბრბომ, ვითომდა გაქურდვის მიზნით, მამა ბესარიონი თავის სადგომში მოკლა. არის ცნობები, რომ მკვლელები ხელისუფლების დავალებას ასრულებდნენ. სოფელ ერედვის მოსახლეობამ მისი წამებული გვამი წამოასვენა და წმ. გიორგის ეკლესიაში ამბიონის წინ დაკრძალეს. ჯაჭვის პერანგი, რკინის სარტყელი და რკინის კუნკულა, რომელსაც შიგნიდან წვეტიანი ლურსმები ჰქონდა, მამა ბესარიონის საფლავზე XX საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა. მოსახლეობა აღშფოთებული იყო მამა ბესარიონის სიკვდილით. „ყველა ცდილობდა ამ წმინდა კაცის ტანისამოსის ნახევი ან მისი თმის ბეწვი შეეძინა და ისე თაყვანს სცემდა, როგორც წმინდა ნაწილებს. ამ ნეტარ მოღვაწეს ახლაც კურთხევით იხსენებენ მოხევენი და ბევრი გადმოცემაც არის ხალხში დარჩენილი მის წმინდა ცხოვრებაზე," – წერდა 1903 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოსიკო მერკვილაძე.[563]

563 ე. ბუბულაშვილი, წამებული ბერი – ბესარიონ ფავლენიშვილი, ჟურნალი „რელიგია,"

ქართველმა სასულიერ პირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1832 წლის შეთქმულებაში. ტარასი ალექსი-მესხიშვილი, სოფრონი, ნიკიფორე, ფილადელფოს კიკნაძე და სხვები ახლოს იყვნენ შეთქმულების მონაწილეებთან. შეთქმულთა მთავარი იდეური სულისჩამდგმელი იყო ფილადელფოს კიკნაძე, რომელმაც შეადგინა საიდუმლო ანბანი. მანვე შექმნა „აქტი გონიური."[564] რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი ჯერ თბილისში დარიის მონასტერში მოღვაწეობდა, შემდგომ კი შუამთის მონასტერში. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ფილადელფოს კიკნაძე დააპატიმრეს, რამდენჯერმე კიდეც დაკითხეს, მაგრამ გასამართლებამდე, 1833 წელს მეტეხის ციხეში გარდაიცვალა.[565] დაკრძალულია თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტრის ეზოში. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე სხვა სასულიერო პირებზე მეთვალყურეობა იქნა დაწესებული.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში მკაცრი რეპრესიების გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მინელდა. სასულიერო პირები ვეღარ აქტიურობდნენ. თუმცა, სხვადასხვა ფორმით მაინც გამოხატავდნენ პროტესტს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. 1836 წელს თავი მოუკლავს შუამთისა და ხირსის მონასტრის არქიმანდრიტს სოფრონს. თვითმკვლელობის მიზეზი გახდა რუსი მოხელეების მიერ დაწესებული გაზრდილი ფულადი გადასახადი, რომელიც მან ვერ ამოიღო გაღატაკებული მრევლისაგან. სიკვდილის წინ დატოვებული წერილით იგი პატიებას ითხოვდა ერისა და ღვთის წინაშე, რომ არაქრისტიანულ მოქმედებას ჩადიოდა, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ბერი როცა თვითმკვლელობამდე მიდის, ნათელი ხდება, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ სასულიერო პირები. არქიმანდრიტ სოფრონის საქციელი იყო ბრძოლის პასიური ფორმა რუსეთის ხელისუფლების ძალმომრეობის წინააღმდეგ.

დასასრულს დავძენთ, რომ ქართველი სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1999, 8-9, გვ. 77-87; ელდარ ბუბულაშვილი, წამებული ბერი – ბესარიონ ფავლენიშვილი, საპატრიარქოს უწყებანი, 21, 2001, გვ. 11-13; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ახალი მასალები ბერმონაზონ ბესარიონ ფავლენიშვილის შესახებ, ჟურნალი „უფლისციხე," 2012, 2, გვ. 23-32.

564 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, თბ., 1935, გვ. 12.

565 მ. ხომერიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბ., 1999, გვ. 112.


თავი IV. საქართველოს საეგზარქოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§1. რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ეტაპი იწყება საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკურ მოღვაწეობაში. კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოსულმა რუსეთმა, ამავე საუკუნის პირველ ნახევარში, ძირითადად, დაასრულა ავტოკეფალიანართმეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია, რომლის ძალით, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია რუსეთის უწმინდესი სინოდის შემადგენელ ნაწილად იქცა. XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს რუსეთმა მეორე პოლიტიკურ გამარჯვებასაც მიაღწია – ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, 1859 წელს შამილის დატყვევებით, კავკასია საბოლოოდ შეიერთა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს, თბილისში ერთ-ერთ ახლადდაარსებულ მოედანს ღუნიბის მოედანი უწოდეს, სადაც კავკასიის დაპყრობის სიმბოლოდ, საფუძველი ჩაუყარეს არაქართული სტილის, წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის გრანდიოზულ სამხედრო ტაძარს, რომლის მშენებლობა XIX საუკუნის ბოლოს დამთავრდა, ხოლო კურთხევა 1897 წლის 21 მაისს მოხდა. აღნიშნული ეკლესია, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკური რეჟიმის დროს დაინგრა, კავკასიის არმიის საკრებულო ტაძრად ითვლებოდა. სამხედრო ტაძარი თავის დანიშნულებას ნამდვილად ამართლებდა. კავკასიის სამხედრო ტაძარი ემსახურებოდა საქართველოში მოქმედ რუს სამხედროებს. ტაძრის მოსამსახურე სამხედრო-სასულიერო პირები კავკასიაში მოქმედ რუსული ჯარის ნაწილებში მოღვაწეობდნენ. ტაძრის მიმდებარე ტერიტორია და ეზო საომარი იარაღის მუზეუმს წარმოადგენდა. ტაძარს შემოვლებულ რკინის მაღალ ღობეზე მიმაგრებული იყო ყველა ის საომარი იარაღი, რომლითაც რუსეთის არმიამ კავკასია დაიპყრო. თავისთავად, კავკასიის არმიის საკრებულოს ტაძრის ისტორია რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის ისტორიის შემადგენელი ნაწილია.[566]

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ცარიზმის რეაქციული საეკლესიო პოლიტიკა. როგორც წინა თავებში აღინიშნა, ქვეყნის დამოუკიდებლობის გაუქმებით, დამპყრობელს სურდა რუსეთის უწმინდეს სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, თავისი ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა, რომლის საბოლოო მიზანი იყო ერთმორწმუნე ქართველი ერის ასიმილაცია. დასახული მიზნის განსახორციელებლად ისინი ყველა მეთოდს მიმართავდნენ. რუსეთის საერო

566 ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, II, 1963, გვ. 67; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX საუკუნის II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია," 2003, 1-2-3, გვ. 30; შდრ. ე. ბუბულაშვილი, კავკასიის არმიის სამხედრო ტაძრის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელინდეული, 15, თბ., 2011, გვ. 304-323.



თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი
(ამჟამად მის ადგილას განთავსებულია საქართველოს პარლამენტის შენობა)

და სასულიერო ხელისუფალნი შეუნიღბავად გამოხატავდნენ თავიანთ სურვილს. 1867 წელს პეტერბურგის საიმპერატორო კარი კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „კავკასია უნდა დავიპყროთ ხელმეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. ამ სულიერი გამარჯვების გარეშე, არ იქნება მყარი ფიზიკური დაპყრობა. ასეთი გამარჯვება არის სარწმუნოებრივი გამარჯვება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ისინი დიდ იმედს, ბუნებრივია, საქართველოს საეგზარქოსოზე ამყარებდნენ. ამის გამო იყო, რომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია ისეთი ფორმით მოახდინეს, რის შემდეგაც იგი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ბიუროკრატიულ სტრუქტურად აქციეს.

სასულიერო პირების სრული მორჩილების მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელი იყო საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. მართალია, რუსეთის ხელისუფლება აღნიშნული საკითხის მოგვარებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეეცადა, მაგრამ ქართველი ხალხის დიდი წინააღმდეგობის გამო, ვერ შეძლო მისი დასრულება. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია 1869 წლის 13 ნოემბრის კანონით დასრულდა, როდესაც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

---

567 ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995, გვ. 33.

კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება სამუდამოდ ხაზინის განკარგულებაში გადავიდა, საეკლესიო გლეხებს სახაზინო გლეხების სტატუსი მიეცათ. ანალოგიური ღონისძიება იმერეთ-გურიაში დამთავრდა 1871 წელს, სამეგრელოში – 1880 წელს.[568] გატარებული რეფორმით მნიშვნელოვნად შეივსო რუსეთის სახელმწიფო ხაზინა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების სეკულარიზაციის გზით, თუ რამდენი ფულადი თანხა შევიდა სახელმწიფოს ხაზინაში, ჯერჯერობით დაუზუსტებელია. ციფრობრივი მონაცემები ამ ქონებისა სხვადახსვა წყაროებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ცნობილი საეკლესიო მკვლევარის, მელიტონ კელენჯერიძის გაანგარიშებით, ხაზინის მიერ მიღებული ქართლ-კახეთის საეკლესიო ქონების ღირებულება ფულად თანხებში გამოხატული დაახლოებით უნდა ყოფილიყო 640556250 მანეთი.[569] აღნიშნული შემოსავალი შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ დასახელებული მკვლევარის მიხედვით, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში არსებული ერთი დესეტინა მიწის ღირებულება თავისი ნაყოფიერების გამო რამდენადმე აღემატებოდა რუსეთის შიგა გუბერნიების მიწის ფასს. მელიტონ კელენჯერიძის მიხედვით, იმ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ერთი დესეტინა საუკეთესო მიწა 500 მანეთად იყო შეფასებული, ხოლო დასავლეთ საქართველოში მცირემიწიანობის გამო – 1000 მანეთად.[570] მელიტონ კელენჯერიძის მიერ მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით მკვლევარი მაია თადუმაძე ასკვნის, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების საერთო რაოდენობა დაახლოებით 682,051,250 მანეთს მაინც გაუტოლდებოდა.[571]

ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა საეკლესიო სანთლების გაყიდვიდან შემოსული შემოსავლები. უძველესი დროიდან საქართველოში ცვილისგან დამზადებული სანთელი მზადდებოდა ოჯახებში, რომელიც ღვთის სამადლო საქმედ ითვლებოდა. შემდგომ კი დამზადება საეკლესიო სახელოსნოებში ხდებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში ასეთი სახელოსნოები უკვე დაფიქსირებულია საქართველოში. კათოლიკოს-პატრიარქ დომენტი მესამეს (1705-1743) საკუთარი საწარმო ჰქონია, რომელიც ამარაგებდა ქართულ ეკლესიას.[572] საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

---

568 გაზეთი „დროება", 1880, 164; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1993, გვ. 15; შდრ. შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო მინათმფლობელობა საქართველოში, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, თბ., 2006, გვ. 16.

569 Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, Кутаиси, 1905, стр. 331.

570 Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, Кутаиси, 1905, стр. 325.

571 მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1993, გვ. 15; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო მინათმფლობელობა საქართველოში, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, თბ., 2006, გვ. 16.

572 Е. К., Краткий очерк Грузинской церкви и экзархата за столетие, Тб. 1901, გვ. 278; შდრ. ლ. ეძგვერაძე, ქ. მუშკუდიანი, საეკლესიო სანთლის წარმოება XIX ს. ნახევარი – XX ს. დასაწყისი, ანალები, 2, 2000, გვ. 43; შდრ. ი. იაკობაშვილი, საეკლესიო სანთლის დამზადებისა და სანთლებით ვაჭრობის პოლიტიკა XIX საუკუნის საქართველოში, ლოგოსი, II, 2000, გვ. 37.

გაუქმების შემდეგ სანთლის დამზადებასა და გაყიდვას სასულიერო პირებთან ერთად კერძო პირებიც ეწეოდნენ. საეკლესიო შემოსავლების გაზრდის მიზნით, 1804 წელს მთავარმართებელ პავლე ციციანოვის განკარგულებით სანთლის წარმოება და მისი გაყიდვა მხოლოდ საეკლესიო უწყებიდან უნდა მომხდარიყო. აღნიშნული გადაწყვეტილების დამრღვევ კერძო პირებზე მკაცრი სასჯელი მოქმედებდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ცვილის სანთლის წარმოება და საბითუმო ვაჭრობა გადავიდა სანთლის მწარმოებლის ანუ მექარხნის ხელში, რომელიც ეკლესიის სასარგებლოდ საიჯარო თანხას იხდიდა. კონტროლი სანთლის წარმოებაზე დაეკისრა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. აკრძალვის მიუხედავად კერძო პირები კვლავ ახდენდნენ სანთლის გაყიდვას. სანთლის მწარმოებელ მოიჯარადრეებიდან შემოსული შემოსავლები მცირე იყო. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1866 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნა სანთლის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც განთავსდა ქართველ მეფეთა ყოფილ ზარაფხანაში. აღნიშნულ ქარხანას ამავე კანტორის პროკურორი ხელმძღვანელობდა. იგი ამარაგებდა ქართლის, იმერეთის, ვლადიკავკაზის ეპარქიებს, კათოლიკურ და სომხურ ეკლესიებს და სხვა. 1882 წელს სანთლის ქარხანა გადავიდა ქართლ-კახეთის ეპარქიის გამგებლობაში.[573] 1888 წელს სანთლის ქარხანა გაიხსნა ქუთაისში, ხოლო 1893 წელს – გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, რომლის მმართველობა ადგილობრივი ეპარიების ხელში იყო. თუმცა საქართველოს საეგზარქოსო მკაცრად აკონტროლებდა სანთლის ქარხნების შემოსავალ-გასავლებს. სანთლის ქარხნებიდან შემოსული შემოსავლები ხმარდებოდა ქართველ სამღვდელოებას, სასულიერო განათლებას, ეკლესია-მონასტრების შეკეთებას, საეკლესიო მუზეუმს ყოველწლიურად ამ შემოსავლებიდან ერიცხებოდა 1000 მანეთი და სხვა.[574]

საქართველოს საეგზარქოსო და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო დაწესებულებანი ბიუჯეტის იმ ნაწილიდან ფინანსდებოდა, რომელიც საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის გზით შემოდიოდა. ხაზინიდან, ამ მიზნით, ყოველწლიურად სხვადასხვა რაოდენობის თანხა გამოიყოფოდა. საწყის ეტაპზე, მათი რაოდენობა მცირე იყო, შემდგომ პერიოდში საეკლესიო ხარჯები თანდათან იზრდებოდა. 1817 წლისათვის ხაზინამ საეკლესიო ხარჯებისათვის გამოყო 7600 მანეთი ვერცხლით, 1870 წლისათვის კი იგი შეადგენდა 76 ათას მანეთს ვერცხლით.[575] XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს საეგზარქოსოს დასაფინანსებლად ყოველწლიურად გამოიყოფოდა 106 ათასი

573 Е. К., Краткий очерк Грузинской церкви и экзархата за столетие, Тб., 1901, გვ. 278; შდრ. ლ. ეძგვერაძე, ქ. მუშკუდიანი, საეკლესიო სანთლის წარმოება XIX ს. ნახევარი – XX ს. დასაწყისი, ანალები, 2, 2000, გვ. 43.

574 ლ. ეძგვერაძე, ქ. მუშკუდიანი, საეკლესიო სანთლის წარმოება XIX ს. ნახევარი – XX ს. დასაწყისი, ანალები, 2, 2000, გვ. 44; შდრ. ი. იაკობაშვილი, საეკლესიო სანთლის დამზადებისა და სანთლებით ვაჭრობის პოლიტიკა XIX საუკუნის საქართველოში, ლოგოსი, II, 2000, გვ. 42.

575 Отчет по главн. управлен. Наместника Кавказского, Тб., 1873, стр. 96-97; შდრ. ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864) თბ., 1975, გვ. 91.

მანეთი.[576] სახელმწიფოს ბიუჯეტიდან საეკლესიო ხარჯებისათვის გაღებული აღნიშნული თანხა თითქმის უცვლელი დარჩა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

ზემოთ მოტანილი მონაცემები მეტყველებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების მითვისებით, რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ საკმაოდ სოლიდური შემოსავლის წყარო გაიჩინა. ჩვენთვის უცნობია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთნილი ქონებიდან შემოსავლის სახით ყოველწლიურად რა რაოდენობის თანხა შედიოდა სახელმწიფოს ხაზინაში. ერთი რამ კი ნათელია, საეკლესიო ქონებიდან მიღებული შემოსავალი რამდენჯერმე აღემატებოდა ბიუჯეტიდან საქართველოს საეგზარქოსოს დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხას. აღნიშნული ღონისძიების გატარებით რუსეთის ხელისუფლებამ მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რომლის ძალით სასულიერო პირებმა დაკარგეს საკუთარი ეკონომიკური ბაზა.[577] საკუთარ სახსრებს მოკლებული ქართველი სასულიერო პირები ფინანსური თვალსაზრისით ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებული.

სასულიერო პირთა მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში აღინიშნა, რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ამ მხრივ, დიდად იღვაწა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა, მაგრამ მის მიერ მრევლიდან ქრისტიანული წესების აღსრულებისათვის დაწესებული ფულადი თანხის ამოღება იმ დროისათვის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელდა. იგი დასავლეთ საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებასა და ეკლესიებს არ შეხებია. XIX საუკუნის პირველ მესამედში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გამოსვლების გამო ხელისუფლებამ ერთბაშად ვერ მოახდინა სამღვდელოთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება. გარდა ამისა, მთავრობას არ შეეძლო შტატგარეშე დარჩენილი სასულიერო პირებისათვის დახმარების სახით გარკვეული ფულადი თანხა გაეღო. დასახელებული მიზეზების გამო, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერ მოხერხდა დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, 1859 წელს რუსეთის უწმიდესი სინოდის ბრძანებით საერო და სასულიერო პირთა შემადგენლობით ქუთაისში დაარსდა განსაკუთრებული კომისია. წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის შესაბამისად კომისიამ იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში დაადგინა შტატიან ეკლესიათა რაოდენობა. კომისიის გადაწყვეტილებით თითოეულ შტატიან ეკლესიას მიეწერა 200 კომლამდე მრევლი. აღნიშნულ მრევლს მატერი-

576 Топсmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, Кутаиси, 1905, стр. 335; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1993; შდრ. მ. თადუმაძე, საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში XIX საუკუნის პირველი ნახევარი, თბ., 2006, გვ. 23.

577 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია," 2003, 4-5-6, გვ. 28.

ალურად უნდა შეენახა საეკლესიო მღვდელთმსახური. ახალი გადაწყვეტილებით, დრამა უნდა გადაეხადა არა მარტო ეკლესიაზე მიწერილ გლეხებს, არამედ აზნაურებსაც.[578] XIX საუკუნის მეორე ნახევარში დრამის ფულადი სახით ან ნატურით აკრეფა საქართველოს საეგზარქოსოს ყველა სამრევლოში არ ხდებოდა. დრამას არ იხდიდნენ აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის, ბერძნების სამრევლოები, ზაქათალის ოლქი და სხვა. რაც შეეხება რუსულ სამრევლოებს, მართალია, ისინი დრამას არ იხდიდნენ, მაგრამ მათზე სამღვდელოების სასარგებლოდ გაწერილი იყო მოსავლის ნაწილის გადასახადი, რომელსაც „ნოვინა" ეწოდებოდა.[579] ქუთაისში შექმნილი განსაკუთრებული კომისიის მიერ 1859-1861 წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა ისეთივე სახით მოხდა, როგორც იგი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართლ-კახეთში განხორციელდა.

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ქართველი სამღვდელოება მაინც დიდ სიღატაკეში იყო ჩავარდნილი. ასეთივე მდგომარეობა იყო მთელი იმპერიის მასშტაბით. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, 1863 წლის 14 აპრილს საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით ყოველ გუბერნიაში ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავრის თავმჯდომარეობით უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული საკრებულო, რომლის წევრები უნდა ყოფილიყვნენ გუბერნატორები და სახელმწიფო ქონებათა მმართველები.[580] ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე 1864 წელს კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით შექმნა ორი საკრებულო: ერთი თბილისში, ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებისათვის; მეორე კი ქუთაისში – იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებისათვის.

მთავრობის განკარგულებით, მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო არა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, არამედ ადგილობრივ საკრებულოებს უნდა გამოენახათა სახსრები, თუნდაც მოსახლეობის ხარჯზე. აღნიშნულის შესახებ ხელისუფლების მითითებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „უზრუნველყოფა ეკლესიებისა არის საზოგადოებრივი საქმე, რომელშიც მრევლმა უნდა მიიღოს მონაწილეობა."[581] გარდა ამისა, ხელისუფლება იძლეოდა დაპირებას, რომ სახელმწიფო თავის ბიუჯეტიდან მცირე თანხას გაიღებდა, რათა საეკლესიო საკრებულოებს შეეძინათ სახნავი ადგილები, მინდვრები, საძოვრები და ტყეები. თუკი სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის სხვა საშუალება არ გამოინახებოდა, მაშინ უნდა მომხდარიყო არ-

578 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 10.

579 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 7; შდრ. გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა), ქუთაისი, 2008, გვ. 278-279.

580 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6245, ფურც. 4.

581 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 10.

სებული სამრევლოების შემცირება სხვა სამრევლოებთან შეერთების გზით. ბუნებრივია, რომ ამ პროცესს შტატიან სასულიერო პირთა შემცირება მოჰყვებოდა.

კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით შექმნილმა საკრებულომ თავდაპირველად თავისი საქმიანობა ქართლ-კახეთის ეპარქიაში დაიწყო, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი მიწების არარსებობის გამო ვერ გამოინახა სამღვდელოებისათვის გადასაცემი სახნავ-სათესი მიწები, საკრებულომ ვერც დრამის საკითხიც მოაწესრიგა. სამღვდელოება მოითხოვდა, რომ ნატურალური სახის დრამის გადასახადი ფულადი თანხით შეცვლილიყო. საკრებულომ აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოების ეს მოთხოვნა ვერ შეასრულა, რადგან მათ სამართლიანად მიიჩნიეს, რომ იგი მძიმე ტვირთად დააწვებოდა გაჭირვებულ მრევლს. აღნიშნული მიზეზის გამო საკრებულომ უცვლელად დატოვა დრამის ნატურით გადახდა, მაგრამ გუბერნატორებს სთხოვა, რომ მათი განკარგულებით დრამისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე შეეგროვებინათ სპეციალურად გამოყოფილ მაღაზიებში, საიდანაც სამღვდელოებას მიეცემოდა დრამით გათვალისწინებული გადასახადი.[582] ასეთი გადაწყვეტილებით თავიდან იქნებოდა აცილებული ის არასასიამოვნო შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მრევლსა და სასულიერო პირებს შორის დრამის გადასახადის აღების დროს. სამწლიანი მუშაობის შემდეგ, თბილისის საკრებულომ დაასკვნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოების ქონებრივი უზრუნველყოფა ადგილობრივი ხარჯებით შეუძლებელია და აღძრა შუამდგომლობა, რომ სამღვდელოებას სახელმწიფოს ხაზინიდან უნდა დანიშვნოდა ჯამაგირი. გარდა ამისა, მისთვის უნდა დაეტოვებინათ 1818 წლის შტატით შემოღებული გადასახადი, რომელსაც სასულიერო პირები მრევლისაგან იღებდნენ. თბილისის საკრებულოს ზემოთ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალი 1870 წლის 7 ოქტომბერს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა ხაზინიდან მომხდარიყო. 1873 წლის 7 ოქტომბერს სახელმწიფოს საბჭოს გადაწყვეტილებით ქართლ-კახეთის ეპარქიის საკრებულო ტაძრებისა და სამრევლო ეკლესიების შესანახად სახელმწიფომ გამოყო 66540 მანეთი.[583]

თბილისის საკრებულოს მსგავსად ქუთაისის საკრებულომაც დიდი მუშაობა გასწია იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ქართლ-კახეთის მსგავსად დასავლეთ საქართველოშიც არ აღმოჩნდა სამღვდელოებისათვის გადასაცემი თავისუფალი მიწები. საბოლოოდ, ქუთაისის საკრებულომ დაასკვნა, რომ მრევლის სიღარიბის გამო იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში არავითარი საშუალება არ არსებობს სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა

582 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 11.

583 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 11; შდრ. РГИА, ф. 702, опись. 12, дело №756, л. 17.

ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე მომხდარიყო.[584] ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებით მრევლი ვალდებული იყო, სამღვდელოების სასარგებლოდ დრამის გადასახადი გადაეხადა. 1872 წელს ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებით იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სამრევლოებს სამღვდელოების სასარგებლოდ დრამა უნდა გადაეხადათ ფულადი სახით, თითო კომლზე ორი მანეთი. ვისაც ფულის გადახდის საშუალება არ ჰქონდათ, უფლება ეძლეოდათ დრამა ძველი სახით, ნატურით გადაეხადათ.[585] გამოტანილი გადაწყვეტილების მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს მაზრებში დრამის ფულადი გამოსაღები სხვადასხვა იყო, ზოგან იგი 2 მანეთს შეადგენდა, ზოგან 1 მანეთსა და 50 კაპიკს, ზოგან კი 1 მანეთს კომლზე. გურიის ეპარქიაში კი მრევლმა საერთოდ უარი თქვა ფულადი სახით დრამის გადახდაზე. მას შემდეგ, რაც 1873 წლის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ხაზინას დაეკისრა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მატერიალური ანაზღაურების უზრუნველყოფა, ქუთაისის საკრებულომაც დაიწყო ზრუნვა იმისთვის, რომ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამღვდელოების დაფინანსება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან განხორციელებულიყო. წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფოს საბჭოს 1880 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის ხაზინიდან გამოიყო 111001 მანეთი.[586]

ხელისუფლების მიერ გატარებული აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მოკლებული ქართველი სასულიერო პირები ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ. ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით რუსეთის ცარიზმმა ქართველი სამღვდელოება ფაქტიურად იმპერიული ხელისუფლების სურვილის აღმსრულებელ მოხელეებად აქცია.

ქართველ სასულიერო პირთა წლიური ჯამაგირი რამდენადმე ჩამორჩებოდა რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოების ანაზღაურებას. საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული სამღვდელოების ხელფასი განისაზღვრებოდა თითოეული სამრევლოს რაოდენობისა და შეძლების მიხედვით. ამით ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ქალაქის მღვდელთათვის იგი შეადგენდა წლიურად 150-300 მანეთს, მთავარდიაკვნისათვის 100-150 მანეთს, მედავითნისათვის 50-120 მანეთს. სოფლად მომსახურე სასულიერო პირის ხელფასი კიდევ უფრო მცირე იყო. სოფლის მღვდლისათვის იგი შეადგენდა 70-200 მანეთს, მედვითნისთვის 24-60 მანეთს.[587] მცირე ჯამაგირის საკომპენსაციოდ, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამღვდელოების სასარგებლოდ ყველა კატეგორიის გლეხს უნდა გაეღო სხვადასხვა სახის გადასახადი, მათ შორის დრამაც. 1882 წლის 29 დეკემბრის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებით

584 Вестник Грузинского экзархата, 1912, №16, стр. 11.

585 Вестник Грузинского экзархата, 1912, №17, стр. 9.

586 Вестник Грузинского экзархата, 1912, №17, стр. 10.

587 Вестник Грузинского экзархата, 1912, №17, стр. 10.

დრამა გლეხებთან ერთად აზნაურებსაც უნდა გადაეხადა. დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის აღნიშნული გადაწყვეტილება პრაქტიკულად ვერ განხორციელდა.

ჯამაგირის დანიშვნით ხელისუფლებას სურდა, რომ საეკლესიო წოდება გათავისუფლებულიყო გადასახადების აკრეფის არასასურველი მოვალეობისაგან, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან სახელმწიფოსაგან დანიშნული ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა სასულიერო პირთა მოთხოვნებს. სწორედ ამ მიზეზით, დატოვებულ იქნა ყველა ის გადასახადი, რომელსაც მრევლი იხდიდა სამღვდელოების სასარგებლოდ. ამის გარდა, თითოეული მორწმუნე იხდიდა ნათლობის, ქორწინების, მიცვალებულის გაპატიოსნების და სხვა რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულების დროს გარკვეულ თანხას. თავდაპირველად, მრევლსა და მღვდელს შორის შეთანხმებით დგინდებოდა გადასახდელი თანხის ნიხრი, რის გამოც სხვადასხვა ეპარქიაში სხვადასხვა თანხა იყო დაწესებული.[588]

სასულიერო ხელისუფლებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1882 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო წესების შესრულებისათვის შემოღებულ იქნა ერთიანი ნიხრი. ჯვრისწერისათვის შეძლებული პიროვნება იხდიდა 10 მანეთს, საშუალო – 7 მანეთს, ღარიბი – 5 მანეთს; მიცვალებულის დასვენებაზე ეკლესიაში, გარდაცვლილის სულის მოსახსენებელი შეკვეთილი წირვის ჩატარების, ანდერძის აგების და წინგასაძღოლი სასაფლაომდე არა უშორეს ერთი ვერსისა – 3 მანეთი, უფრო შორ მანძილზე – ათი შაური ვერსზე; სადავითნოს, პანაშვიდის, ორმოცის და სხვა წესების შესრულებისას სამღვდელოება მრევლთან შეთანხმებით იღებდა გარკვეული რაოდენობის საფასურს. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის აღნიშნული გადაწყვეტილება დასავლეთ საქართველოს ეპარქიებზე გავრცელდა 1889 წლის 21 დეკემბრის განკარგულებით.[589] გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოსახლეობა სამღვდელოების სასარგებლოდ ფულად თანხას სხვა სახითაც იხდიდა. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, 1887 წელს საეკლესიო წესების შესრულებაზე შემდეგი რაოდენობის თანხა ყოფილა დაწესებული: აღსარება – 10 კაპიკი, სახლის კურთხევა – 30 კაპიკი, მარილის კურთხევა – 20 კაპიკიდან 1 მანეთამდე, საკურთხის კურთხევა – 20 კაპიკი, საფლავის კურთხევა – 20 კაპიკი, ნიშნობის დროს შაქრის კურთხევა – 1 მანეთი, პარაკლისი ყანაში – 50 კაპიკი, ნათლობისათვის მღვდელს – 40 კაპიკი, დიაკონს ნათლობისათვის – 20 კაპიკი, ზარის მრეკველს 40 კაპიკი, ქორწინების ოქმის შედგენა – 40 კაპიკი, გარდაცვალების შემდეგ 7 დღის განმავლობაში პანაშვიდი – 2-5 მანეთი, ნათლობის მოწმობა – 1 მანეთი, მედავითნის მიერ მიცვალებულზე დავითნის

588 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია," 2003, 1-2-3, გვ. 30.

589 Вестник Грузинского экзархата, 1912, №18, стр. 9.

საკითხავი – 1 მანეთი, მღვდლის დასაფლავებისათვის – 3 მანეთი, მედავითნეს – 1 მანეთი და სხვა.[590]

მართალია, XIX საუკუნის 80-იან წლებში სხვადასხვა საეკლესიო წეს-ჩვეულებების შესრულებისათვის ერთიანი ნიხრი იქნა შემოღებული, მაგრამ ხშირად ზოგიერთი სასულიერო პირი, პირადი გამორჩენის მიზნით, ცდილობდა იმაზე მეტი თანხა აეღო, რაც დაწესებული იყო, რის გამოც იმართებოდა დავა მრევლსა და სამღვდელოებას შორის. უმეტეს შემთხვევაში, სიღარიბის გამო, მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდა, გადაეხადა საეკლესიო გადასახადი. ასეთ დროს სამღვდელოება ძალადობის, ხშირად კი პოლიციის დახმარებით ახდენდა გადასახადების ამოღებას, რაც კიდევ უფრო ართულებდა მოსახლეობისა და სასულიერო პირებს შორის ურთიერთობას. საეკლესიო გადასახადების გამო მრევლი და სამღვდელოება ერთმანეთს უპირისპირდებოდა. მოსახლეობა სასულიერო პირებს აღიქვამდა, როგორც მეფის ერთგულ, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებელ მოხელეებს. სასულიერო პირების ასეთი გაუცხოება იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო ჯამაგირზე დამოკიდებული ქართველი სამღვდელოება საგრძნობლად დაშორდა თავის მრევლს. მას უკვე აღარ ესმოდა თავისი მრევლის გულისტკივილი. უცხო ძალის გავლენის ქვეშ მოქცეული სასულიერო პირების უმეტესობა ვეღარ პასუხობდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში სამღვდელოების ანგარების გამო მოსახლეობა ეკლესიებში აღარ დაიარებოდა. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში თავი იჩინა რელიგიურმა ინდიფერენტიზმმა. სასულიერო პირები თანდათან კარგავდნენ ავტორიტეტს. რუსეთის ხელისუფლების მოხელეებად აღქმულ სასულიერო პირებს მოსახლეობა უპატივცემულოდ და გულცივად ეპყრობოდა. აღნიშნული სავალალო ფაქტის შესახებ 1875 წელს გულისტკივილით წერდა გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგი მესხი: „ზოგან ჩვენს სამღვდელო პირებს ღირსეული პატივი არა აქვს მრევლისაგან, ამის მიზეზი... ამ მღვდლების უმეცრება და ის გარემოებაა, რომ თვითონ ცხოვრებითა და კეთილი მოქმედებით ხალხისათვის თავის თავი ვერ შეუყვარებიათ."[591]

ცარიზმის პოლიტიკის წყალობით, ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებლად იქცა, რის გამოც მან დაივიწყა თავისი ღვთიური სამსახური და მოვალეობა მრევლის წინაშე. ქართველ სასულიერო პირთა ავტორიტეტის დაცემის შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათეულში გამომავალ ქართულ პერიოდულ პრესაში უამრავი მამხილებელი პუბლიკაციები გამოქვეყნდა. „დროება," „ივერია," „კვალი," „მწყემსი," „მოგზაური" და სხვა მკაცრი ცენზურის პირობების მიუხედავად, საინტერესო ცნობებს აქვეყნებდნენ

590 გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864-1905, თბ., 1928, გვ. 66; შდრ. ი. ჩხარტიშვილი, ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში (ქართული დემოკრატიული პრესის მიხედვით), თბ., 1982, გვ. 50.

591 გაზეთი „დროება," 1875, 43.

მრევლისა და სამღვდელოების ურთიერთობის შესახებ. წერილების უმეტესი ნაწილი ხელმოუწერელი იყო, რომელთა ავტორები ყოველგვარი დაფარვის გარეშე გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას სამღვდელოების მიმართ. 1881 წელს „დროებაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციით ცნობილი მოღვაწე იონა მეუნარგია თონეთელი გლეხის განწყობას საეკლესიო გადასახადებისადმი შემდეგი ფრაზით გამოხატავდა: „ხელმწიფის გადასახადს გავუძლებთ ბატონო, მაგრამ მღვდელს კი ჩვენ ვერ აუვალთო."[592] სასულიერო პირთა ანგარებიანი საქმიანობის გამო ხშირად უკმაყოფილება განხეთქილებამდეც კი მისულა. 1895 წელს გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთ ნომერში საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული სოფელ ბელოითის მოსახლეობის შესახებ. სასულიერო პირთა უკანონო ქმედებით მოთმინებიდან გამოსულ სოფელ ბელოითის მცხოვრებთ მღვდელი სამრევლოში აღარ შეუშვიათ. იგივე გაზეთი „ვინმეს" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „ხალხისა და სამღვდელოების კავშირი და მეგობრობა, თითქმის გაწყვეტილია. მღვდელს ხალხი თავის სულიერ მამაოდ და წინამძღოლად კი არა სთვლის, არამედ თითქოს მძარცველად და შემავიწროებლად."[593] პუბლიკაციის ავტორთა უმეტესობა სასულიერო პირთა ავტორიტეტის დაცემის მიზეზად სავსებით სწორად საეკლესიო გადასახადებს მიიჩნევდა, რადგან მათი აზრით, „მღვდელი თავის დრამის კრეფით ხალხს ავიწროვებს."[594]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ პრესაში სასულიერ პირთა უმსგავსოების შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს ცნობილმა პუბლიცისტმა ევსტატე მჭედლიძემ, მწერალმა ვასილ ბარნოვმა, სერგეი მესხმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა. აკაკი წერეთელი, მიუხედავად თავისი ჰუმანური დამოკიდებულებისა, სხვის მორჩილებაში მყოფი ქართველი სამღვდელოების ანგარების შესახებ 1882 წელს გულისტკივილით წერდა: „დღევანდელ სამღვდელოებას თავისი მოძღვრება, ეს ზეგარდმო მადლი საზრდოს შესაძენ ხელობად გადაუქცევია და ჭირში თუ ლხინში შეჰყურებს ხალხს ეგებ რაიმეს გამოვრჩეო. ყოველთვინ და ყველგან მხოლოდ მისი გაუმაძღრობის შესაჯერებელი სასყიდელია საჭირო და თუ არა, ვაი გაჭირვებულთ. იმათ აღარ ეღირსება აღარც ნათვლა, აღარც ზიარება და აღარც საფლავის კურთხევა... განა ცოტანი დამარხულან ჩვენში საფლავ გაუნათლებელნი, რამდენი კვდება უნათლავი და უზიარებელი? და რამდენს მოჰყავს ცოლი ჯვარდუწერელი და ისე სცხოვრობს."[595]

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალების ანალიზით დავრწმუნდით, რომ გადაგვარებულ სასულიერო პირთა კრიტიკა ანტირელიგიური განწყობილებით კი არ იყო ნაკარნახევი,

592 გაზეთი „დროება," 1881, 232.

593 გაზეთი „ივერია," 1903, 134.

594 გაზეთი „ივერია," 1903, 134.

595 გაზეთი „დროება," 1881, 232.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის,[596] არამედ იმ საეკლესიო პოლიტიკით, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ეწეოდა საქართველოში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამღვდელოების შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, საგრძნობლად განსხვავდება XX საუკუნის პირველ ათწლეულში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიერ გამოქვეყნებულ ათეისტური პუბლიკაციებისაგან. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის – ბოლშევიკებისა და მენშევიკების დამოკიდებულება, რომლებიც დაარსების დღიდანვე ათეისტურ პოზიციაზე იდგნენ და ამ კუთხით აკრიტიკებდნენ სამღვდელოებას და საერთოდ სარწმუნოებას. მოწინავე ქართველი საზოგადოება დაუნდობლად აკრიტიკებდა სამღვდელოების იმ ნაწილს, რომლებიც საეკლესიო წეს-ჩვეულებებს გარკვეული საფასურის გაღების გარეშე არ ასრულებდნენ. სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით კრიტიკის დროს ისინი კეთილგანწყობილებას გამოხატავდნენ სამღვდელოების მიმართ და მიუთითებდნენ იმ მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე, რაც შესაძლებელია მათ უზნეო საქციელს მოჰყოლოდა. ოპონენტთა კრიტიკა მთლიან სამღვდელოებას არ ეხებოდა. საქართველოს ეკლესიის გულშემატკივარი ქართველი საზოგადო მოღვაწეები მფარველობდნენ და დიდი პატივით ეპყრობოდნენ სარწმუნეობისა და ქვეყნისათვის თავდადებულ ქართველ სასულიერო პირებს.

რუსეთის ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი, თუ რით იყო გამოწვეული მრევლსა და სამღვდელოებას შორის წარმოშობილი უთანხმოება. აღნიშნული საკითხის მოგვარებას ისინი სამღვდელოების ეკონომიკური მდგომარეობის დაწინაურებაში ხედავდნენ. სწორედ ამიტომ, სამღვდელოების ქონებრივი უზრუნველყოფის საკითხების მოსაგვარებლად სასულიერო უწყებასთან ერთად აქტიურად ჩაება საერო ხელისუფლებაც. ჯერ კიდევ, 1884 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში საქართველოს ეგზარქოსი პავლე ლებედევი (1882-1887) სასულიერო პირთა მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვდა საკრებულოებისთვის მიწების დაუყოვნებლივ გადაცემას.[597] როგორც ჩანს, ხელისუფლებამ პავლე ეგზარქოსის მოთხოვნა გაითვალისწინა, რადგან XIX საუკუნის ბოლოს უკვე საკრებულოების მფლობელობაში მიწის გარკვეული ფართობია. მაგრამ არათანაბრად მოხდა მისი განაწილება. ყველაზე მეტ მიწის ფართობს საქართველოს საეგზარქოსოში რუსული სამრევლოები ფლობდნენ. მათთან შედარებით ქართულ სამრევლოებს მიწის უმნიშვნელო ფართობი გააჩნდათ. ხელისუფლების 1900 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა საეკლესიო კრებულს, გარდა ქუთაისის გუბერნიისა, რუსეთის შიგა გუბერნიების მსგავ-

596 ი. ჩხარტიშვილი, ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში (ქართული დემოკრატიული პრესის მიხედვით), თბ., 1982, გვ. 48-60.

597 Грузинская Экзархат в 1884 году, стр. 17.

სად, უნდა მისცემოდა მიწის ნაკვეთები.[598] აღნიშნული გადაწყვეტილება მიწის სიმცირის გამო ვერ განხორციელდა.

სამღვდელოებასა და მრევლს შორის ურთიერთობა საეკლესიო გადასახადების გამო კვლავ მოუგვარებელი იყო. მათ შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის დროს გამწვავდა, როდესაც სამრევლოების უმრავლესობამ უარი განაცხადა დრამის გადახდაზე. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდა საეკლესიო საგადასახადო სისტემის მოწესრიგების საკითხს. 1911 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ გამოთქვა სურვილი, რომ დრამის გადასახადი ხელისუფლების სხვა საგადასახადო სისტემაში შეეტანა, ისე რომ მრევლს არ უნდა სცოდნოდა, თუ იგი სასულიერო პირებისათვის იყო განკუთვნილი.[599] კომისიის მიერ გამოთქმული სურვილი უყურადღებოდა დარჩა, რის გამოც დრამის გადახდა ისევ ძველებური წესით ხდებოდა.

რუსეთის ხელისუფლებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული ნაბიჯები გადადგა სამსახურიდან დათხოვილი სასულიერო პირთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ჯერ კიდევ, 1836 წელს სამღვდელო პირებს, რომელთაც სასულიერო მოღვაწეობის 35 წლის სტაჟი ჰქონდათ, დაენიშნათ პენსია წლიურად 70 მანეთი წელიწადში. აღნიშნული კანონი 1867 წლიდან დაბალ სასულიერო პირებზეც გავრცელდა. 1876 წელს სასულიერო პირთა პენსია გაიზარდა წლიურად 90 მანეთამდე, სამი წლის შემდეგ მან 130 მანეთს მიაღწია. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით პენსიები დაენიშნათ გარდაცვლილი მღვდლებისა და დიაკვნების ოჯახებსა და ქვრივებს.[600]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ცარიზმის მიერ გატარებულმა საეკლესიო პოლიტიკამ განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე. სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ბუნებრივია, რომ მათ ბედზე რუსეთის ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, მაგრამ მოხდა პირიქით, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა საზღვარგარეთ არსებული ქართული ქრისტიანული ცენტრები. სახელმწიფოებრიობის არსებობის დროს ქართველი მეფე-მთავრები დიდ დახმარებას უწევდნენ სირიაში, პალესტინაში, ათონზე და სხვა არსებულ ქართულ სავანეებს. მათი შემწეობით, საქართველოდან დიდძალი შეწირულობები იგზავნებოდა უცხოეთის ქართულ მონასტრებში. ამ სავანეებს საქართველოში ჰქონდათ მეტოქი ეკლესია-მონასტრები თავისი ადგილ-მამულებით. საქართველოს სამეფო-ხელისუფლების შესუსტების გამო, ქართული სავანეების უმრავლესობამ არსებობა შეწყვიტა. X1X საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ათონის მთაზე

598 Вестник Грузинского экзархата, 1912, №18, стр. 14.

599 Вестник Грузинского экзархата, 1912, №18, стр. 14.

600 ვ. თორაძე, ნ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, თბ., 1995, გვ. 44.



წმ. ათონის მთის ივირონის მონასტერი

არსებულ მონასტერ ივირონში შემორჩენილი რამდენიმე ქართველი ბერი აგრძელებდა წინაპართა ტრადიციებს.

სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაედგა საქართველოს ეკლესიის კუთვნილ საზღვარგარეთ არსებული სიძველეების დაუფლებისათვის, მაგრამ იგი ამ უფლება-მოვალეობას არ ასრულებდა. ცარისტული რუსეთის უმოქმედობით გათამამებულმა ბერძენმა ბერებმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საგრძნობლად შეავიწროვეს ივირონის მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერები და სავანეს თვითონ დაეპატრონენ. ბერძენი ბერების დევნა-შევიწროების გამო, XIX საუკუნის 60-იან წლებში ათონის მთაზე საგრძნობლად შემცირდა ქართველი ბერების რაოდენობა. ივირონის სავანის 1861 წლის კრების გადაწყვეტილებით, ქართველები მონასტრის ძმობაში აღარ უნდა მიეღოთ.[601] ბერძნებისაგან დევნილი ქართველი ბერები ათონის მთაზე არსებულ სხვადასხვა მონასტერში განთავსდნენ. ისინი დახმარებას საქართველოდან ელოდნენ. ქართველი საერო საზოგადოებისა და სასულიერო პირთა გადაწყვეტილებით, ათონის მთაზე ახალი ქართული მონასტერი უნდა დაარსებულიყო, შემდგომ ეტაპზე კი, ათონის წმინდა მიწაზე ქართველთა ისტორიული უფლებების დაბრუნებისათვის უნდა ებრძოლათ. 1869 წელს იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპისკოპოსების კურთხევითა და შემოწირული თანხებით აზნაური ვახტანგ (ვახტა) ბარკალაია, 12 სასულიერო პირთან ერთად, ათონის წმინდა მთაზე გაემგზავრა. მათ ივირონის მონასტრის ახლოს, ბერძნებისაგან შეისყიდეს X საუკუნის დანგრეული და გაპარტახებული ძველი ქართული იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. მცირე ხნის შემდეგ წმ. ათონის მთაზე ილია წინასწარმეტყველის სავანეში მოღვაწე სქემმღვდელ-მონაზონმა ქრისტეფორემ ვახტანგ ბარკალაია მცირე სქემაში ბენედიქტეს სახელით ბერად აღკვეცა. მალევე იგი ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდელ-მონაზონად



ბენედიქტე ბარკალაია
(1835-1911)

601 А. Натроев, Иверский монастыр на Афоне, Тифлис, 1909, стр. 218.

აკურთხეს. ბერძენი ბერების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოდან მიღებული შემოწირულობების ხარჯზე, ქართველთა ძმობამ აღნიშნული ტაძარი აღადგინა. მღვდელ-მონაზონ ბენედიქტეს ძალისხმევით ათონის მთაზე გამოცოცხლდა ძველი ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია. ტაძარში წირვა-ლოცვა ყოველდღიურად აღესრულებოდა. ახალი სავანის დაარსებით ქართველთა ძმობამ გარს შემოიკრიბა ათონის მთაზე გაფანტული ქართველი ბერები და მათთან ერთად დაიწყო აქტიური ბრძოლა ათონზე ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენისათვის. ამის თაობაზე მათ არაერთხელ მიმართეს დახმარებისათვის კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის ელჩს და კავკასიის მეფისნაცვალს, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, დადებითად ვერ გადაწყდა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების მოთხოვნები.[602] რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ ის გააკეთა, რომ, ქართულ-ბერძნული დავის გამო, 1882 წელს ივირონის ბერძენთა ძმობას შეუწერა საქართველოში ამ სავანისადმი შეწირული მამულების გადაცემა.[603]

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ბერძენმა ბერებმა, ქართველთა კვალის წაშლის მიზნით, ივირონის მონასტერში არსებული ქართული წარწერები ბერძნულით შეცვალეს. მათ საპასუხოდ, ათონელმა ქართველმა ბერებმა 1884 წელს რუსულ ენაზე გამოსცეს ნაშრომი – „Краткая история Афонско-Иверского монастыря по грузинским источником." მათ რუს და ქართველ საზოგადოებას გააცნეს თავიანთი მძიმე მდგომარეობა. ამას გარდა, ისინი ქართულ და რუსულ პრესაში ხშირად ბეჭდავდნენ წერილებს ბერძენთა ძალმომრეობის შესახებ, დახმარებასა და თანადგომას ითხოვდნენ. რუს მოღვაწეთა გარკვეულმა ნაწილმა გულთან ახლოს მიიტანა ათონელი ქართველი ბერების გასაჭირი. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1885 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა ა. კალინოვსკის შრომა – „Где правда? история Афонского-Иверского монастыря." იმპერატორ ალექსანდრე მესამეს კი 15000 მანეთი შეუწირავს ათონელ ქართველთა ძმობისათვის.[604]

დიდი მცდელობის მიუხედავად, ქართველმა ბერებმა ვერ შეძლეს თავიანთი ისტორიული უფლებების აღდგენა ივირონის მონასტერზე. როგორც ჩანს, ცარისტულ რუსეთს ნაკლებად ადარდებდა ათონის წმინდა მიწაზე არსებული ქართული სიძველეების ბედი, რომ იგი მის კანონიერ მფლობელს დაბრუნებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თვალსაჩინო გახდა ის მძიმე შედეგები, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა. ღვთისმსახურებაში დაკანონდა სლავური წეს-განგება, აიკრძალა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლები. რუსი მოხელეები შეეცადნენ, წირვა-ლოცვა ყველა ეკლესია-მონასტერში რუსულ ენაზე ჩატარებულიყო, მაგრამ მათ თავიანთი განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს. შე-

602 А. Калиновский, Где правда? История Афонского иверского монастыря, СПб., 1885, стр. 45-46.

603 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 911, ფურცელი 6.

604 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1438, აღწ. 1, საქმე 216, ფურცელი 15.

რეულ მრევლში (ქართველები, რუსები, ასირიელების და სხვა) წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა, ხოლო ქართულ დასახლებებში ქართულ ენაზე.

რუსეთის სასულიერო ხელისუფლების სურვილი იყო საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქიების მმართველებად არაქართველები დაენიშნათ, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს იმის შიშით, რომ იგი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ძირითადად ქართული სამრევლოების ეპარქიების მმართველებად (სოხუმის ეპარქიის გამოკლებით) ქართველი მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, მაგრამ არცერთი ქართველი მღვდელმთავარი არ ყოფილა მთავარეპისკოპოსიის ან მიტროპოლიტის ტიტულის მატარებელი.

ეგზარქოსობის დროს დაიმცრო მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. მან დაკარგა ისტორიული ფუნქცია და იგი ჩვეულებრივ სამრევლო ეკლესიად იქცა. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მღვდელმთავრის კურთხევასთან დაკავშირებით XII საუკუნის კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერიძე (1150-1177) საგანგებოდ აღნიშნავდა: თუკი სვეტიცხოვლის ტაძრის გარეშე მოხდებოდა მღვდელმთავრის კურთხევა, მაკურთხებელი და მკურთხებელი ეკლესიიდან უნდა განკვეთილიყო. ამ დადგენილ წესს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ იცავდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში ტრადიციულად აღარ ხდებოდა მღვდელმთავრების კურთხევა. საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიების მღვდელმთავრის დადგინება ხდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. აღნიშნული ტრადიციის გაქრობა გარკვეულ წილად იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში წაშლილიყო იმის განცდა, რომ ელიას ხალენისა და უფლის კვართის ადგილზე აშენებულ მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ისტორიულად სრულდებოდა მეფეთა, კათოლიკოსთა და მღვდელმთა-



სვეტიცხოველი.
ცხოველმყოფელი სვეტი



სვეტიცხოველის ტაძარი

ვართა კურთხევა და ამავე ადგილზე ერისა და ქვეყნის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საეგზარქოსომ გააქტიურა ბრძოლა ქართული ეკლესია-მონასტრების სლავური ტიპიკონის საფუძველზე მოწყობისათვის. ამ მიზნით, 1826 წელს მოსკოვში ხუცურ ენაზე გამოქვეყნდა რუსული ენიდან თარგმნილი სლავურ წეს-განგებაზე დამყარებული კურთხევანი. აღნიშნული კურთხევანი 1977 წელს საქართველოს ეკლესიის კალენდარში დაიბეჭდა, ხოლო იგივე გამოცემა გამოქვეყნდა 1996 წლის კალენდარში. 2020 წელს კი ეს კურთხევანი მცირე კურთხევანის სახელწოდებით ცალკე წიგნად გამოიცა. მასში მოცემულია კერძო მსახურების: ნათლობის, ქორწინების, ბერად აღკვეცის, მიცვალებულის პანაშვიდის გადახდის და გარდაცვლილისათვის წესის აგების წესები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს დღეს ძირითადად კურთხევანის ზემოაღნიშნული რედაქცია გამოიყენება. თუმცა ზოგიერთ ეპარქიაში, მაგალითად რუის-ურბნისის ეპარქიაში მკვლევარ ედიშერ ჭელიძის მიერ გამოცემული გიორგი მთაწმინდელის დიდ კურთხევანის მიხედვით სრულდება მსახურება.

XIX საუკუნის შუა ხანებებიდან დიდი ყურადღება მიექცა ქართულ ენაზე ბიბლიური წიგნების ჩასწორებას და გამოცემას. გარკვეულწილად სლავურთან შეჯერებული და 1743 წელს მოსკოვში გამოცემული ბაქარისეული ქართული ბიბლია ბევრ ხარვეზს შეიცავდა. აღნიშნულის გამო ეგზარქოს ისიდორე ნიკოლსკის (1844-1858) 1849 წელს პლატონ იოსელიანის ხელმძღვანელობით შეუქმნია ბიბლიის შემასწორებელთა კომისია, რომლის წევრები იყვნენ: გორის ეპისკოპოსი ნიკიფორე ჯორჯაძე (1844-1851); არქიმანდრიტები: დავით გარეჯელი, იონა და სოფრონი. დიდი მონდომების მიუხედავად პლატონ იოსელიანმა დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მან კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის და ეგზარქოს ისიდორეს ხელშეწყობით ათონის წმინდა მთიდან დროებით ჩამოიტანა 978 წელს ოშკის ლავრაში გადაწერილი ათონური ქართული ბიბლიის ხელნაწერი, რომლის საფუძველზე შექმნილი სამი ასლიდან ერთი პირი გადაეცა იმერეთის მიტროპოლიტ დავით წერეთელს; მეორე – სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს და მესამე თბილისის სიონის ტაძარს შესწირა.[605] მორიგი კომისია შექმნა ეგზარქოსმა ევსევი ილინსკიმ (1858-1877), რომლის ხელმძღვანელობა დაევალა გორის ვიკარ-ეპისკოპოს გერონტი პაპიტაშვილი (1862-1869). კომისიის მიერ ჩასწორებული ბაქარისეული ბიბლია 1884 წელს თბილისში 2400 ეგზემპლიარად ისევ სერიოზული შეცდომებით გამოქვეყნდა. აღნიშნული დარღვევების შესახებ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ და იმხანად კავკასიის ქალთა ინსტიტუტის მასწავლებელმა პეტრე კონჭოშვილმა (შემდგომ ეპისკოპოსმა) ეგზარქოს ვლადიმირ ბოგოიავლენსკის (1892-1898) წარუდგინეს შენიშვნები. შეცდომების გამოსწორების მიზნით, 1896 წლის 24 სექტემბერს

605 Е. К. Кратки очерк Грузинской церкви и Экзархата в XIX столетий, Тиф., 1901, стр. 232.

ეგზარქოს ვლადიმირის გადაწყვეტილებით ეპისკოპოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი კომისია.[606] ამ კომისიის მუშაობაში დიდი სამუშაო გასწია პეტრე კონჭოშვილმა.[607] კომისიამ წარმატებით იმუშავა. მათ ბიბლიის შესწორებისათვის გამოიყენეს პლატონ იოსელიანის მიერ ათონის მთიდან ჩამოტანილი და თბილისის სიონის ტაძრისადმი გადაცემული რედაქცია, ბიბლიის ბაქარისეული ვარიანტი, საეკლესიო მუზეუმში დაცული ერთ-ერთი რედაქცია, 1884 წელს გამოცემული ბიბლია და XVI---XVII საუკუნეების მცხეთური რედაქცია,[608] მაგრამ ამ კომისიის მიერ მომზადებული მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეული დაიბეჭდა.

„ბიბლიის ქართული თარგმანისა და საეკლესიო წიგნების შემასწორებელმა კომიტეტმა" XX საუკუნის დასაწყისიდან აგრეთვე აქტიური მუშაობა გასწია სამღვდელმთავრო კონდაკის ჩასასწორებლად. ამ დროისათვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო ეგზარქოსი ნიკონ სოფიისკი (1906-1908). ამ საქმეში ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილთან ერთად აქტიურად ჩაერთო დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. აღნიშნულმა პირებმა 1908 წელს გამოსცეს ბერძნულ-სლავურ ორიგინალთან შეჯერებული და ენობრივად დახვეწილი „სამღვდელმთავრო კონდაკი."[609]

„ბიბლიის ქართული თარგმანისა და საეკლესიო წიგნების შემასწორებელი კომიტეტის" საქმიანობას „კურთხევანის" ჩასწორებასთან დაკავშირებით XX საუკუნის 10-იან წლებში საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფითად ახასიათებდა, რომლის რედაქცია განხორციელდა არქიმანდრიტ პიროს ოქროპირიძის, რომელიც ამ დროს კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, კალისტრატე ცინცაძის, კორნელი კეკელიძის, იუსტინე აბულაძის მიერ. მათ არგუმენტირებილი პასუხი გასცეს ოპონენტებს.[610] ქართული საღვთისმსახურო წიგნების ჩამსწორებელი კომიტეტის სახელით არქიმანდრიტ პიროსის (ოქროპირიძე), დეკანოზების: კალისტრატე ცინცაძის და კორნელი კეკელიძის რედაქტორობით 1915 წელს მხედრული ანბანით გამოიცა „საკითხავი სვეტიცხოვლისა და კუართისა საუფლოისა." ამავე წელს მოსკოვში 2000 ტირაჟით დაიბეჭდა ჩასწორებული „კურთხევანი," მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არცერთი ეგზემპლიარი საქართველოში არ ჩამოსულა და ქართულ ეკლესიაში არ გამოუყენებიათ.[611]

---

606 Е. К. Кратки очерк Грузинской церкви и Экзархата в XIX столетий, Тиф., 1901, стр. 233

607 ვ. კიკნაძე, ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003, გვ. 29.


608 Е. К. Кратки очерк Грузинской церкви и Экзархата в XIX столетий, Тиф., 1901, стр. 233 .

609 კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 190.

610 კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზად, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 191-192; შდრ. ნ. მელიქიშვილი, ბიბლიოლოგია (ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები), თბ., 2012, გვ. 219.

611 კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 194; შდრ. ნ. მელიქიშვილი, ბიბლიოლოგია (ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები), თბ., 2012, გვ. 220.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად დასრულდა, რუსეთში არსებული მონასტრების მსგავსად, ქართული ეკლესია-მონასტრების დაყოფა კატეგორიებად. რუსეთში არსებული მონასტრების მსგავსად, ქართული ეკლესია-მონასტრები დაყვეს კატეგორიებად. პირველ კატეგორიად მხოლოდ რამდენიმე მონასტერი მიიჩნიეს. მცირე იყო აგრეთვე მეორე კატეგორიის მონასტრების რაოდენობაც. ძირითადად ქართული მონასტრების უმრავლესობა მესამე კატეგორიას მიაკუთნეს. უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია-მონასტრები მოუვლელობის გამო ნადგურდებოდა, ან სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები ისაკუთრებდნენ. გაპარტახებულ დავით გარეჯის ლავრაში მხოლოდ რამდენიმე ბერი მოღვაწეობდა. მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე და უსაფრთხოებაზე არავინ ზრუნავდა. XIX საუკუნის შუა ხანებში დავით გარეჯის ლავრას რამდენჯერმე დაესხნენ გადამთიელი მაჰმადიანები, იქ მოღვაწე ბერები დახოცეს, გადაწვეს და გაანაგურეს საეკლესიო სიწმინდეები.



დავით გარეჯის ლავრა

მოქმედი მონასტრების ერთი ნაწილი შტატიან მონასტრებად აქციეს, რომლებიც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა; მეორე – უშტატოდ, რომლებიც მხოლოდ შემოწირულობების ხარჯზე არსებობდა. ქართულ მონასტერთა უდიდესი ნაწილი დაკომპლექტდა რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი რუსი ბერებით. ქართველი ბერები გაძევებული იქნენ საფარის, დრანდის, ბიჭვინთის, მამკოდის მონასტრებიდან. რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილ ქართულ მონასტრებში შემორჩენილ თითო-ოროლა ქართველ ბერებზე საიდუმლო ზედამხედველობა იყო დაწესებული, რათა მათ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ არაფერი ემოქმედათ. პერიოდულად მონასტრის წინამძღვარი მათ შესახებ საიდუმლო ცნობებს აწვდიდა რუსეთის სასულიერო უწყებას.

რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, თუკი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება აუქმებდა ქართულ მონასტრებს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახლად გახსნილი მონასტრები საკმაოდ მომრავლდა. საუკუნის დასასრულისათვის მათი რიცხვი 31 შეადგენდა. აქედან 26 მამათა მონასტერი იყო, ხოლო 5 – დედათა.[612]

612 Православная Богословская энциклопедия или Богословский энциклопедический словарь, изд. под. редакции проф. А. П. Лопухина, т. IV, Пет., 1903, стр. 235.

რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ საქართველოში ახლადგახსნილი მონასტრებში დამკვიდრებული რუსი სამღვდელოება ხელისუფლების იმპერიული პოლიტიკის გატარებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსი ბერების მიერ აფხაზეთში დაარსებული სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტერი. აღნიშნული მონასტრის საფუძველზე, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უნდა მომხდარიყო „...კავკასიაში რუსული სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება და მოსახლეობის გარუსება."[613] ხელისუფლებამ აღნიშნული მონასტრის დაარსებით დასახულ მიზანს მიაღწია. სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტერმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში.



ახალი ათონის მონასტერი. აფხაზეთი. XX ს-ის დასაწყისი



ბოდბის დედათა მონასტერი. 1905 წ.

ქართველთა ასიმილაციას ემსახურებოდა 1889 წელს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს განსასვენებლის ბოდბის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის საფუძველზე დაფუძნებული რუსული დედათა მონასტერი, რომელიც ძირითადად რუსეთიდან ჩამოსული მონაზვნებით დაკომპლექტდა.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა საეკლესიო პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ საქართველოში სხვადასხვა წმინდანთა სახელზე არსებულ ეკლესიებს სახელი შეუცვალეს და ისინი რუსული ეკლესიებისათვის დამახასიათებელ წმინდანთა სახელზე აკურთხეს. საქართველოში განსაკუთრებით მომრავლდა რუს წმინდანთა – ალექსანდრე ნეველისა და მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიები. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ქალაქის მფარველად მიჩნეული, VIII საუკუნეში მაჰმადიანი არაბების მიერ წამე-

613 Абха¬зия и в ней Ново-Афонский Симон-Кананистский монастыр, составил А. Л., Москва, 1885, стр. 51; შდრ. ვ. კიკნაძე, ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის და¬საყრდენი ამიერკავკასიაში, ჟურნალი „ლოგოსი," 2003, 1, გვ. 72.

ბული წმინდა აბოს სახელობის ეკლესია რუსი წმინდანის მიხეილ ტვერელის სახელზე აკურთხეს და იქ მისი სახელობის ხატი დაასვენეს. ქალაქის საზოგადოებამ, აღნიშნულის გამო, უკმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ საქართველოს სასულიერო უწყებამ მათ კანონიერ მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია.[614] საქართველოს ეგზარქოს პალადი რაევის (1886-1892) კატეგორიული მოთხოვნით დიდუბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ყაზანის ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად აკურთხეს, სადაც ეგზარქოსის უშუალო მონაწილეობით ყოველწლიურად 8 ივლისსა და 22 ოქტომბერს საზეიმო წირვა ტარდებოდა.[615]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მოსპობის მიზნით, საეგზარქოსო არ აღნიშნავდა ისეთ საეკლესიო დღესასწაულებს, როგორიც იყო სვეტიცხოვლობა, ალავერდობა და სხვა. თუმცა აღნიშნულ დღესასწაულებს ადგილობრივი მოსახლეობა ყოველწლიურად ზეიმობდა საქართველოს საეგზარქოსოს კურთხევის გარეშე. ზემოთ დასახელებული დღესასწაულები საეკლესიო კალენდარში არ იყო შეტანილი და გარკვეული დროის მანძილზე სახალხო დღესასწაულად იყო მიჩნეული. ეგზარქოსობის პერიოდში აგრეთვე არ აღინიშნებოდა ქართველი მეფე წმინდანების თამარის, დავით აღმაშენებლის, ქეთევან დედოფლის, დავით და კონსტანტინე მხეიძეების, ასურელი მამების და სხვათა ხსენება. მოვალეობის მოხდის მიზნით, მხოლოდ თბილისის სიონის ტაძარსა და ბოდბის მონასტერში, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, რუსულ ენაზე სრულდებოდა ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა.

რუსეთის ცარიზმმა თავისი ხელი ქრისტიანულ არქიტექტურასაც დაატყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ დაიწყეს ქართული ქრისტიანული ტაძრების გადაკეთება რუსულ ყაიდაზე. ამით ბევრი ქართული ეკლესია დამახინჯდა. თავის მხრივ, ამავე პერიოდიდან რუსეთმა საქართველოში დაიწყო რუსული სტილის, ეგრეთ წოდებული „ხახვისებრ გუმბათიანი" ეკლესიების შენება.[616]



ლურჯი მონასტერი და მშენებარე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი

როგორც აღინიშნა, ქართული სამონასტრო ტრადიციების

614 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1459, აღწ. 1, საქმე 39, ფურცელი 4.

615 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 37.

616 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი, 1, თბ., 2003, გვ. 434; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135-170.

აღმოფხვრის მიზნით რუსეთის უზენაესი სასულიერო ხელისუფალთა გადაწყვეტილებით საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მოქმედი მონასტრების ყოფა სლავური ტიპიკონის საფუძველზე მოეწყო. რუსეთის უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფალთა კონტროლს ქვეშ მოქცეულმა ქართულმა მონასტრებმა თავისი ფუნქცია დაკარგა, რის გამოც საგრძნობლად დაქვეითდა სამონასტრო ცხოვრება. საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეკლესია-მონასტრებში აღარ ხდებოდა საღვთისმსახურო ლიტერატურის თარგმნა, გადაწერა; მონასტრებში თანდათანობით ისპობოდა მრავალხმიანი ქართული ტრადიციული გალობა და სხვა. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. აღნიშნულის გამო ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო პუბლიკაციები.[617]

როგორც ზემოთ მივუთითეთ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეექმნა უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს. მათი უმეტესი ნაწილი დაიხურა და შეწყდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ბერძენი ბერების დიდი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1870 წელს ბენედიქტე ბარკალაიას ხელმძღვანელობით ათონის მთაზე ქართველმა ბერებმა აღადგინეს ძველი ქართული იოანე ღვთისმეტყველის სავანე, სადაც იმ დროისათვის იქ მოღვაწე ალექსი ბაქრაძე, იოანე ფანცხავა, მაკარ მონაზონი და სხვები წინაპართა მსგავსად „....ასრულებენ ეკლესიურ ძველ წესებს ზოგადი ცხოვრების მონასტრისას, მგალობელნი ორ ხოროთ მარჯვნივ-მარცხნივ და კარანახით, თორმეტი საათი ღამისთევით საუფლო დღესასწაულებში და სხვა საპატიო დღესასწაულებში ათის ან რვა საათის ღამისთევით, როგორც მიღებულია საუკეთესო მოღვაწეთა მონასტრებში ათონის მთაში, და აგრეთვე საზოგადო ტრაპეზი და ტაძრის დღესასწაულს გამოჩენილათ დღესასწაულობენ და მრავალთა უმასპინძლდებიან." ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლას. ამ მიზნით მონასტერი თავისი ხარჯით ქართულ გალობას ასწავლიდა მსურველთ.[618]

ათონის წმინდა მთაზე არსებული იოანე ღვთისმეყველის ქართული მონასტერი მისაბაძი იყო საქართველოში ქართველი სასულიერო პირებისათვის. ქართველ სამღვდელოებას მიაჩნდა, რომ ათონზე მოღვაწე ქართველი ბერების დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა აეღორძინებინათ სამონასტრო ცხოვრება საქართველოში. ამ განზრახვით ეპისკოპოსის ხარისხში ახლადაყვანილი ლეონიდი (ოქროპირიძე) 1898 წლის 29 აპრილს ათონის მთაზე მოღვაწე თავის ნაცნობ სასულიერო პირს მიტროფანეს (უნდა იყოს ბერ-მონაზონი მიტროფანე გოგოლაშვილი) აცნობებს: „ამ წერილს მაწერინებს შენთან და მთელ მანდაურ კრებულთან უბედური, უკიდურესი და განწირული მდგომარეობა ბერობისა ჩვენ მონასტრებში. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა სამ-

617 დ. კაჭახიძე, ღაღადი ჩვენ თავადაზნაურობისადმი, ჟურნალი „მწყემსი," 1899, 3, გვ.7-8.

618 გ. ნადირაშვილი, ქართველთა ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, ჟურნალი „მოგზაური," 1903, XI - XII, გვ. 272.

წუხაროდ და სავალალოდ ყველა მონასტრები დაცარიელდა, ჩვენი წმინდა მამების საფლავებზე მოისპო წესიერი ღვთისმსახურება. მონასტრის დიდებულ ტაძრებში ახლა ისმის ლმობიერი კითხვა-გალობა, გაჰქრნენ ჩინებულნი მეტიბიკონენი. აღარ მოიპოვებიან მწერალთა გუნდნი. მორჩილთა აღმზრდელნი და სხვა, რის გამო



თბილისის დიდუბის ტაძარი. XIX საუკუნის 80-იანი წლები

მოჰხდა ეს ასე, რად დაიქცა ჩვენში ბერობა, ამის გამოკვლევა და გამოძიება შორს წაგვიყვანს და ამისთვის თავს ვანებებ. მე მხოლოდ გული მეწვის, სულით ვწუხარ... რომ ჰქრება ჩვენში ლამპარი ბერობისა. ბერობის აღსადგენად და ასამაღლებლად მე მიმაჩნია ერთად ერთი ის საშუალება, რომ შემოვიღოთ აქაურ ერთ-ერთ მონასტერში მაინც ის წეს-წყობილება, რა წეს-წყობილება არის დღეს ათონის მონასტერში, ესე იგი ზოგადი ცხოვრება. ამისათვის მოგმართავ შენ როგორც ნაცნობს: გაითვალისწინე სამშობლო მონასტრების უკიდურესი მდგომარეობა ღუთის მადლის მოწვევით იზრუნე რამე მათთვის სასიკეთო. კარგად გეხსომება დავით გარეჯის დიდებული უდაბნო; თუ მოხვალ შენ, ან სხვა ვინმე, იმ უდაბნოს სრულებით დაგითმობთ, სრული მფლობელნი და მეუფროსენი თქვენ იქნებით და აღარა წინამძღვარი თქვენს გარეშე იქნება, ოღონდ კი ის წესები შემოიღოთ რა წესებიც მანდ არიან. ამაზე ძალიან მოწადინებულია ჩვენი ეგზარხოსიც (მთავარეპისკოპოსი ფლაბიანე გოროდეცკი (1898–1901) ე.ბ.) და მე დამავალა, რომ მომეწერა და შემეტყობინებინა თქვენთქვის ეს გარემოება. შენი მოსვლა შენი დიდად სასიამოვნო, სასარგებლო და სასიხარულო იქნება და თუ ვინცობაა შენ არ ისურვე წამოსვლა სხვა ვინმეს მაინც შეაგონე და გამოგზავნე ამ საღმრთო, წმიდა და კურთხეული საქმის მეთაურად.

ეხლა თქვენ იცით ათონის მთის ქართველნო მამანო. გააქრობთ საქართველოში ბერობის სახეს თუ კვლავ შემოსავთ მას პირვანდელი ბრწყინვალე შარავანდედით. მე კი მწამს და გულის სიღრმით ვაღიარებ, რომ თუ ამ ჩემ მოწოდებაზედ გულგრილნი დარჩით და მანდ ყოფნა არჩიეთ აქ შრომა – მოღვაწეობას, მოპასუხენი იქნებით საშინელი განსჯის დღეს წინაშე პირუთვნელი მსაჯულისა და იმ წმინდა ქართველი მამებისა, რომელთა ოფლით, ცრემლით და სისხლით არიან მორწყულნი ჩვენი მონასტრები. ესეც კარგად იცოდეთ და გწამდეთ, რომ თუ აქ მოისპო ბერობა, მანდაც აუცილებლად მოისპობა, მანდაც გაქრება სანთელი ქართველი ბერობისათვის. კვალად გამცნებთ – ახლა თქვენ იცით და თქვენმა სულმა, რა გზაზედაც დაადგებით. გარწმუნებთ მღვდელმთავრული პატიოსნებით და სინდისით ყველაფერში დაგეხმარებით,

ყველაფერს გაგირიგებთ, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ, ოღონდ რამდენიმე სული მოდით და დაიწყეთ აქაც მანდაური წესები.

იმედი მაქვს, რომ ამ წერილს მიაქცევთ ჯეროვან ყურადღებას და სიჩქარით მაცნობებთ გადაწყვეტილ პასუხს, რადგანაც საქმის გარემობა უნდა მოვახსენო ეგზარხოსს.

მოხუცებული ბიძა ჩემი ეპისკოპოზი ალექსანდრეც (ოქროპირიძე ე.ბ.) ყველას გთხოვთ და გავალებთ მოეშველოთ სამშობლოს მონასტრებს, გვერდით ილოცვიდეთ ჩემს უღირსებისათვისაც."[619]

ეპისკოპოს ლეონიდეს მიმართვამ სასურველ შედეგს მიაღწია. 1899 წლის ნოემბერში სამონასტრო ცხოვრების ამაღლების მიზნით დავით გარეჯის მონასტერში გამწესებული იქნა „ათონის ქართველთა ძმათა სავანიდან სამი მონაზონნი: პიმენი, სვიმეონ და გაბრიელი... მაგრამ სამწუხაროდ ქართველთა, რომელნიც თანაუგრძნობენ სულიერს სარწმუნოებრივ-ზნეობრივს წარმატებას საქართველოში, ამ ზემოხსენებულთა ძმათა ვერ ჰპოვეს გარეჯის უდაბნოში სულიერი მშვიდობა და ძმობრივი სიყვარული იმ მონასტერში მოღვაწეთა ძმათა შორის." მღვდელ-მონაზონი პიმენი და სვიმეონი ისევ უკან გაბრუნებულან, ხოლო გაბრიელ ბერს იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში გაუგრძელებია მოღვაწეობა. საქმეს ვერც 1900 წლის 30 მარტს ნახარებაოს მამათა მონასტრის მღვდელ–მონაზონ, ათონის მთაზე იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის დამფუძნებელ ბენედიქტე ბარკალაიას დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნამ უშველა.[620] ეპისკოპოს ლეონიდესა და სხვა სასულიერო პირების დიდი მცდელობის მიუხედავად ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ათონური სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება საქართველოში.[621]

§2 ცვლილებანი საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობაში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სასულიერო უწყებაში არაკვეული ცვლილებები მოხდა. საქართველოს ეგზარქოსოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1865 წლის 25 ოქტომბრის რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებითა და იმპერატორის გადაწყვეტილებით შეიქმნა საეგზარქოსოს კანცელარია და დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი. კანცელარიის მმართველს ეძლეოდა ხელფასი 900 მანეთი ვერცხლით, მის ორ მოადგილეს – თი-

619 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1461, აღწ. 1, საქმე 288, ფურც. 1–2; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საინტერესო დოკუმენტი ეგზარქოსობის დროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესახებ (ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის მიმართვა ათონის მთაზე მოღვაწე მამებს), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბ., 2014, №1–2, გვ. 24–31.

620 პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა იერუსალიმსა და ათონის მთაზე, თბ., 2010, გვ. 169-170.

621 ე. ბუბულაშვილი, საინტერესო დოკუმენტი ეგზარქოსობის დროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესახებ (ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის მიმართვა ათონის მთაზე მოღვაწე მამებს), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2014, №1–2, გვ. 24–31.

თოეულს 450 მანეთი, არქივარიუსს – 400 მანეთი; მთარგმნელს – 400 მანეთი; ოთხ მწერალს თითოელს 200 მანეთი; გარკვეული თანხები იყო გამოყოფილი საკანცელარიო ნივთების შესაძენათ და შენობის დარაჯის ხელფასისათვის. მთლიანი ხარჯი შეადგენდა 4050 მანეთს.[622]

საეგზარქოსოს კანცელარიის საქმიანობა ძირითადად ადმინისტრაციული იყო. იგი ეპარქიებთან მჭიდრო კავშირში აწესრიგებდა სასულიერო პირთა და ეკლესიის მსახურთა დანიშვნას, გათავისუფლებას, მათ გადაყვანას სხვა ეკლესია-მონასტრებში ან ეპარქიებში, უზრუნველყოფდა საეკლესიო მშენებლობის ან რემონტის თანხმობას, სამრევლოების გახსნა-დაკეტვაზე ნებართვების გაცემას, დასაჯილდოებელ სასულიერო პირთა წარდგენას უმაღლეს სასულიერო ინსტანციაში, მოდავე სასულიერო პირთა შორის საქმის გამოძიებას. გამონაკლისის სახით საეგზარქოსოს კანცელარიას ჰქონდა უფლება თანხმობა მიეცა მართლმადიდებელი დაქორწინებულიყო სხვა აღმსარებელ პირთან; იძლეოდა ნებართვას ეკლესია-მონატრების გალავნის შიგნით გარდაცვლილის დასაფლავების შესახებ. საეგზარქოსოს კანცელარიის მეშვეობით საქართველოს ეგზარქოსი გამოსცემდა განკარგულებებს ეპარქიების, სასულიერო სასწავლებლების, საცენზურო კომიტეტის, ხელქვეით ეპისკოპოსთა და ეკლესიის მსახურთა საქმეების და სხვათა შესახებ. საქართველოს ეგზარქოსი საეგზარქოსოს კანცელარიისა და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან ერთად სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობას ამყარებდა და კონტროლს უწევდა ეპარქიების საქმიანობას, სასულიერო საგანმანათლებლო სწავლებას, სასულიერო პირთა და მრევლთა მართმადიდებლურ ზნეობრივ-სარწმუნოებრივი პრინციპების დაცვას, სამისიონერო საქმიანობას, საეკლესიო მშენებლობების წარმართვას და სხვა. საეგზარქოსოს კანცელარიას ხელმძღვანელის გარდა ჰყავდა ორი თანაშემწე, არქივარიუსი, ხაზინდარი და ოთხი გადამწერი.

საქართველოს ეგზარქოსი წლის ბოლოს გაწეული სამუშაოს შესახებ ვრცელი მოხსენებით მიმართავდა რუსეთის უწმინდეს სინოდს. ამ მოხსენებების მცირე ნაწილი ბეჭდური სახით გამოცემულია. მოხსენებებში ეპარქიების მიხედვით, დაწვრილებით მიმოხილულია სასულიერო საქმიანობის ყველა მხარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევოდა იმ ნაკლოვანების ჩვენებას, რომელიც ხელს უშლიდა ხელისუფლების დასახული ამოცანების გატარებას. მიზანი ნათელი იყო, ნაკლოვანების აღმოფხვრა აიოლებდა სახელმწიფოს მიერ დასახული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას.

დაარსების დღიდან (1814 წლის 30 აგვისტო) სტრუქტურული და ორგანიზაციული თვალსაზრისით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის სრულყოფა თანდათანობით ხდებოდა. თავდაპირველად მან 1815-1817 წლებში მოახდინა საეკლესიო ქონების აღწერა და ახლადდაარსებული ეპარქიების ჩამოყალიბება. XIX საუკუნის 20-40–იან წლებში გატარებული

622 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 74.

ეკლესიის რეორგანიზაციის გამო მისი საქმიანობის სფერო გაფართოვდა. შესაბამისად რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებითა და რუსეთის იმპერატორის განკარგულებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის უკეთ ფუნქციონირების მიზნით გაიზარდა საშტატო ერთეულის რაოდენობა, მათი დატვირთვა და თანამდედობრივი ანაზღაურება. 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში დამტებით გამოიყო ერთი საშტატო ერთეული იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენელთათვის. 1824 წლის 7 აგვისტოს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში ახალ თანამდედობაზე დაინიშნა სამი არქიმანდრიტი და ერთი დეკანოზი. აქედან ორი არქიმანდრიტი ქართლ-კახეთის ეპარქიის წარმომადგენელი იყო, ხოლო ერთი – იმერეთის. თითოელის წლიური ანაზღაურება შეადგენდა 600 მანეთს ვერცხლით; დეკანოზის – 500 მანეთს ვერცხლით. იმერეთის ეპარქიის წარმომადგენლის ანაზღაურება თავისსავე ეპარქიის შემოსავლებიდან უნდა გაღებულიყო.[623] უნდა ითქვას, რომ თანამდებობრივი სახელფასო სარგო თავდაპირველად საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მცირე იყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოს სასულიერო უწყების დაფინანსება ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან ხდებოდა, ეკლესიის რეორგანიზაციის გამო სრულად არ იყო დადგენილი შემოსავლების რაოდენობა, გარკვეული სირთულებიის გამო საეკლესიო შემოსავლების სრული გამოვლენაც ვერ ხდებოდა. შემდგომ სასულიერო უწყების მოხელეთა ანაზღაურება გაიზარდა, თუმცა იგი ჩამორჩებოდა რუსეთის შიგა გუბერნიის ანალოგიური თანამდედობის პირთა ანაზღაურებას. 1829 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გამოუყვეს არქიტექტორის შტატი წლიურად 500 მანეთის ანაზღაურებით, რომელიც მას ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან იღებდა. გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ მისი საქმიანობა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში იმდრომდე გაგრძელდებოდა სანამ ეკლესია-მონასტრების ანდა დამხმარე ნაგებობების მშენებლობის საჭიროება იქნებოდა.[624]

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის თანამშრომლებს შორის გამორჩეული იყო პროკურორის თანამდედობა, რომელიც რანგის მიხედვით უნდა ყოფილიყო მეხუთე კლასის, განსწავლული სამართლის საკითხებში, მცოდნე ქართული და რუსული ენების. 1840 წლის 10 ოქტომბრის რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით განისაზღვრა პროკურორის სამუშაო ინსტრუქცია, რომლის მიხედვით იგი თვალყურს ადევნებდა თუ როგორ სრულდებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილება. იგი აგრეთვე მმართველობას უწევდა საეგზარქოსოს კანცელარიის საქმია-

623 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 74.

624 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 78-79.

ნობას; განკარგავდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში შემოსულ საქმეებს, მოხსენებებს; დაწესებული კანონიერებით ტარდებოდა თუ არა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომები. პროკურორი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხვა წევრებთან ერთად პასუხისმგებელი იყო მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაში, თუკი მიღებული გადაწყვეტილება შეუსაბამო იყო დადგენილ კანონმდებლობასთან, ვალდებული იყო სინოდალური კანტორის წევრებისათვის აეხსნა არსებული შეუსაბამობა, ხოლო თუკი ამის შემდეგაც ისინი თავიანთ აზრზე დარჩებოდნენ, მაშინ მიღებული დადგენილება შეჩერდებოდა და განსახილველად გადაეცემოდა რუსეთის უწმინდეს სინოდს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად; პროკურორი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომის ჩატარების ოქმებს ეცნობოდა მათ ხელმოწერამდე, ხოლო ხელმოწერის შემდეგ თვალყურს ადევნებდა, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას რაიმე დაბრკოლება არ შექმნოდა; პროკურორი, როგორც კანცელარიის მმართველი, ვალდებული იყო გაეკონტროლებინა თანამშრომელთა საქმიანობა და თალყური ედევნებინა თუ როგორ სრულდებოდა კანცელარიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. პროკურორი განსაკუთრებულად ზრუნავდა საეკლესიო ქონების შემოსავლებზე, რომელიც შემოდიოდა საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებიდან; თვალყურს ადევნებდა საეკლესიო თანხების ცენტრალიზაციას და შემოსალებისა და გასავლების ზუსტ აღრიცხვას; პროკურორი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა სასულიერო ცხოვრებისათვის, თუმცა არ ერევოდა სასულიერო პირთა, ბლაღოჩინების, სამონასტრო წეს-განგებათა საქმიანობაში, მაგრამ ვალდებული იყო არსებული დარღვევების შესახებ უზენაესი სასულიერო უწყებისათვის მოეხსენებინა; საჭიროების შემთხვევაში მას ანდა მისი ნდობით აღჭურვილ პირს სხვა დამხმარე პერსონალთან ერთად უფლება ჰქონდა შემოსავლების დაზუსტების მიზნით დაეთვალიერებინა ეპარქიებში არსებული საეკლესიო მამულები.[625] დიდი დატვირთვის გამო, 1843 15 დეკემბრის ბრძანებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორს დაუმატეს წერილების დამტარებლისა და საგანგებო მოხელის შტატი, რომელიც მალევე გაუქმდა.[626] 1869 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველო-იმერეთის სინოდლური კანტორის პროკურორს და მდივნებს ნიშნავდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი, ხოლო შტატიან ჩინოვნიკებს და კანცელარიის თანამშრომლებს ნიშნავდა ან ათავისუფლებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.[627]

ზემოაღნიშნულის გადაწყვეტილებით განისაზღვრა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საშტატო განრიგი, შესაბამის თანამდედობრივი

625 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, XXII-XXIII.

626 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 78.

627 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 79.

ანაზღაურებით. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორის, რომელიც აგრეთვე ითავსებდა ამავე კანტორის კანცელარიის ხელმძღვანელობას წლიური ჯამაგირი ორივე თანამდებობით (პროკურორობის 1800 მანეთი, კანცელარიის ხელმძღვანელობის – 600 მანეთი) შეადგენდა 2400 მანეთს; ორ მდივანს თითოეულს 800 მანეთი, столовых – 300 მანეთი, სულ 1100 მანეთი; ბუღალტერს იგივე ხაზინდარს და მნეს – 700 მანეთს, столовых – 210 მანეთი, სულ – 910 მანეთი; მაგიდის უფროსი ოთხი შაშტატო ერთეულით თითოეულს 500 მანეთი, столовых – 200 მანეთი; არქივარიუს – 500, რეგისტრატორს – 200 მანეთი, სულ 700 მანეთი; ორ მთარგმნელს – 550 მანეთი; არქიტექტორს – 700 მანეთი, столовых – 200 მანეთი, სულ 900 მანეთი; კანცელარიის დაბალი რანგის ჩინოვნიკების ასანაზღარაულებლად გამოყოფილი იყო 2500 მანეთი, დარაჯის დასაქირავებლად – 500 მანეთი; კანცელარიის ხარჯების, გათბობისა და შენობის განათებისათვის – 800 მანეთი. სულ მთლიანად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წლიური ხარჯი შეადგენდა 14860 მანეთს. ხელფასის ანაზღაურება ხდებოდა მანეთი ვერცხლით.[628] საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა უშუალოდ რუსეთის უწმინდესის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და მისგან იღებდა შესაბამის ინსტრუქციებს და დავალებებს. იგი დაარსების დღიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო შემოსავლებისა და გასავლების დადგენას. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ეპარქიებიდან ყოველწლიურად ეგზავნებოდა შემოსავალ – გასავლის ანგარიშები ფულადი თანხების ჩვენებით. გადაცდომის შემთხვევაში საქართველოს ეგზარქოსთან შეთანხმებით მიმართავდა რუსეთის უწმინდეს სინოდს სათანადო მითითებისათვის. ეპარქიების მამულებიდან და სანთლის ქარხნებიდან შემოსული შემოსავალ-გასავლის ანგარიშები იგზავნებოდა რუსეთის უწმინდეს სინოდში. საეკლესიო შემოსავლების გაკონტროლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ შემოსავლებიდან ფინანსდებოდა საქართველოს სასულიერო მმართველობა. გარდა ამისა, ამ თანხებით სახელმწიფო ბიუჯეტიც უნდა შევსებულიყო. თუმცა, XIX საუკუნის 80-იან წლებში იყო შემთხვევა, როდესაც საეკლესიო შემოსავლების სოლიდური თანხა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბუღალტერმა მიითვისა და მიიმალა, დამნაშავე დააკავეს, თანხის დაბრუნების შემდეგ, სასამართლომ იგი ციხეში გაუშვა.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ფლობდა და განაგებდა მონასტრის მიწებს, იერარქთა სახლებს და საეგზარქოსოს სხვა დაწესებულებებს და ქონებას. იგი შეუფერებელი საქმიანობის გამო კანონის შესაბამისად ასამართლებდა სამღვდელოებას და სამოქალაქო პირებს, სასულიერო პირებს უჩერებდა მღვდელმსახურებას ანდა ათავისუფლებდა სასულიერო წოდებისაგან; სისრულეში მოჰყავდა გადაყენებულ საეკლესიო მსახურთა განაჩენი; სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავე სასამართლოს გადაეცემოდა განსაჯელად; წყვეტდა სასულიერო პირთა და ეპარქიებს შორის

628 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 79.

არსებულ სადაო საკითხებს. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უფლება ჰქონდა ვაკანტურ ადგილებზე აერჩია სასულიერო პირები, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გადაეყვანა ისინი სხვადასხვა ეპარქიებში. ეპარქიის შიდა საქმეების გადაწყვეტაში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა არ ერეოდა. ეპარქიის ყველა საკითხი ადგილობრივი მღვდელმთავარის პრეროგრატივა იყო, მაგრამ იგი ყველა საკითხის გადაწყვეტას საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მაინც უთანხმებდა; კონტროლს უწევდა მეტრიკული წიგნების შევსებას, თავის არქივში, ეპარქიების მიხედვით, ინახავდა ყველა სამრევლო ეკლესიების მეტრიკულ ჩანაწერებს; გასცემდა მეტრიკულ მოწმობებს და სხვა.[629]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა რუსეთის უწმინდეს სინოდს წარუდგენდა კანდიდატურებს კანტორაში გათავისუფლებული ადგილების დასაკავებლად. მის ფუნქციაში აგრეთვე შედიოდა ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები: გაყრა,თუკი იგი რომელიმე მეუღლის ღალატით იყო გამოწვეული; თავისი ნებით ქალის ოჯახიდან წასვლა და მისი დაბრუნება; იძულებითი და არასრულწლოვანთა დაქორწინების საკითხების განხილვა; სულიერი და ხორციელი ნათესაობის გამოძიება; მეორედ დაქორწინება ცოლის ან ქმრის ხანგრძლი ვადით გადასახლების შემთხვევაში და სხვა. აღნიშნული მოვალეობის შესრულების დროს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ხელმძღვანელობდა ღვთის სიტყვით, საეკლესიო კანონიკით, წმინდა მამათა გამონათქვამებით და მოქმედი სახელმწიფო კანონმდებლობით.[630]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცვლილებები პირველ რიგში შეეხო საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებს. რუსი მოხელეები, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ეპარქიებს აუქმებდნენ ან ახალს ხსნიდნენ. 1851 წელს შეიქმნა აფხაზეთის ეპარქია, რომელიც მანამდე იმერეთის ეპარქიაში შედიოდა. 1869 წელს იგი გააუქმეს და ისევ იმერეთის ეპარქიას დაუქვემდებარეს. 1885 წელს ისევ აღადგინეს სოხუმის ეპარქიის სახელწოდებით, რომელსაც, ძირითადად რუსი მღვდელმთავრები მართავდნენ. რუსეთის უწმინდესი სინოდის 1874 წლის 15 მაისის განკარგულებით, სამეგრელოს ეპარქია გაუქმდა და იგი იმერეთის ეპარქიას შეუერთდა. 1885 წელს კი სამეგრელოს ეპარქია გურიის ეპარქიასთან გააერთიანეს. აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ერთადერთ ეპარქიას, რომლის მმართველად ეგზარქოსი ითვლებოდა, ექვემდებარებოდა ვლადიკავკაზის, ბაქოს (1905 წლიდან), ერევნის (1912 წლიდან), გორისა და ალავერდის სავიკაროები. ვლადიკავკაზის სავიკარიო საეგზარქოსოს შემადგენლობაში 1875 წელს ცალკე საეპისკოპოსოდ ჩამოყალიბდა. 1885 წლიდან კი იგი კავკასიის ეპარქიასთან გაერთიანდა. სა-

629 Обозрение церковно-гражданнских узаконений по духовному ведемоству (применительно к уставу духовных консисторий и своду законов), с историческими примечаниями и приложениями, составил Я Ивановский издание второе Санкт-Петербург, 1893, стр. 198.

630 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 78.

ვიკაროებს მართავდნენ ეპისკოპოსები, რომლებიც ეგზარქოსის თანაშემწეებად ითვლებოდნენ. საქართველოს ეგზარქოსი ეპარქიებთან ურთიერთობას საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ამყარებდა.[631]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებში გატარებული ცვლილებები ძირითადად ადმინისტრაცილ-სტრუქტურული თვალსაზრისით განხორციელდა. ეპარქიების უკეთ მართვის მიზნით სასულიერო უწყებამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. 1867 წლის რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით იმპერიის მასშტაბით მართლმადიდებლური ეპარქიის სამღვდელოებას ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავრის ნებართვით უფლება ეძლეოდა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ საეპარქიო კრებები მოეწვია. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიებზეც ვრცელდებოდა. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა 1873 წელს შეიმუშავა ეპარქიათა საეკლესიო კრებების მოწვევის დებულება. აღნიშნული დებულება თავდაპირველად, როგორც მისი დასახელება მიუთითებდა, აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს (ასე უწოდებდა ხელისუფლება ამ ეპარქიას) ეპარქიისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ იგი საქართველო საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა ეპარქიაზე ვრცელდებოდა. წესდების შესავალში განმარტებული იყო, რომ ეპარქიის სამღვდელოება თავის ტერიტორიაზე არსებული სასულიერო სასწავლებლების უკეთ მოწყობის მიზნით მართავდა საეკლესიო კრებებს. დებულებით მიხდვით, საეკლესიო კრებები იყო საოლქო ან ეპარქიალური. წესდებით საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიების ოლქებად დაყოფა მოხდა სასულიერო სასწავლებელთა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. ამ მხრივ, აღმოსავლეთ საქართველო დაიყო სამ ოლქად: თბილისის, თელავის და გორის; დასავლეთ საქართველო – ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის. შეთანხმებისამებრ საეკლესიო კრებები იმართებოდა აღმოსავლეთ საქართველოში თბილისში, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში. კრების დეპუტატების არჩევა სამი წლის ვადით ხდებოდა, თითოეული ოლქიდან ფარული კენჭისყრით. კანდიდატის შერჩევის დროს უპირატესობა ეძლეოდა იმ სასულიერო პირს, რომელიც მრევლში ავტორიტეტით სარგებლობდა.[632] კრების გახსნის დროს დეპუტატები ფარული კენჭისყრით ირჩევდნენ თავმჯდომარეს და საქმის მწარმოებელს. აღმოსავლეთ საქართველოში თავმჯდომარის და საქმის მწარმოებლის უფლებამოსილებას ამტკიცებდა საქართველოს ეგზარქოსი, ხოლო იმერეთში – ადგილობრივი ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. კრების დროის ხანგრძლივობა, არჩეული თავმჯდომარეებისა და საქმის მწარმოებლების ვადა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა კრების სხდომები. დებულების მიხედვით, კრების სამუშაო ენა რუსული იყო. ამ ფაქტს იმით ხსნიდნენ, რომ

631 E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135-170.

632 ჟურნალი „მწყემსი," 1886, 31, გვ. 1.

სახელმწიფო ენა რუსულია და ამის გამო „არც ერთი სხვა ენა, გარდა რუსულისა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრების დროს."[633] აკრძალვის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს ეპარქიებში, სოხუმის გამოკლებით, კრება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რის უფლებაც ადგილობრივი მღვდელმთავრების შუამდგომლობით საქართველოს ეგზარქოსისაგან ჰქონდათ მიღებული, მაგრამ კრების გადაწყვეტილებების, თუ სხვა საქმის წარმოება რუსულ ენაზე ხდებოდა. ქართლ-კახეთის კრების გადაწყვეტილება საქართველოს ეგზარქოსს წარედგინებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოსი ადგილობრივ მღვდელმთავარს. ეს უკანასკნელი კი მას საქართველოს ეგზარქოსს გადასცემდა.[634]

საეპარქიო კრებების მოწვევა, ერთი შეხედვით დემოკრატიის გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა, მაგრამ წესდებით ძალზე შეზღუდული იყო მისი უფლებამოსილება. ასეთ კრებებზე მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო სასწავლებლების საჭირბოროტო საკითხებზე უნდა ემსჯელათ. გარდა ამისა, წინასწარ ეპარქიის მღვდელმთავართან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხები. თავის მხრივ, ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი საეკლესიო კრების ჩატარების ნებართვას საქართველოს ეგზარქოსისაგან იღებდა, რომელთანაც მასზე განსახილველი საკითხი წინასწარ იყო შეთანმხებული. კატეგორიულად იყო აკრძალული წინასწარ შეუთანხმებელი საკითხების საეკლესიო კრების წინაშე დაყენება და მისი განხილვა. როგორც წესდებიდან ჩანს, საეპარქიო საეკლესიო კრებები დიდი უფლებამოსილებით არ იყო აღჭურვილი. მისი ფუნქცია ძალიან შეზღუდული და მხოლოდ სასულიერო სასწავლებელთა ფინანსური საკითხების განხილვით შემოიფარგლებოდა. ხშირად წესდების დარღვევით ხდებოდა დეპუტატების და თვით კრების თავმჯდომარის არჩევა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში, რევოლუციური მოძრაობის დროს, იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ საეკლესიო კრებებზე სასულიერო უწყებასთან შეუთანხმებლად მიიღო რადიკალური გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჟურნალი „მწყემსი" საეპარქიო კრებების ჩატარებისა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ სრულ ინფორმაციას აქვეყნდებდა. დღევანდელი გადასახედიდან ჟურნალ „მწყემსის" აღნიშნულ ცნობებს პირველ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს საეგზარქოს კანცელარიის მსგავსად ეპარქიების მართვა-გამგეობის გაუმჯობესების მიზნით რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით დაარსდა იმერეთისა და გურიის საეპარქიო კანცელარია. 1876 წლის 29 მაისისა და 30 ივნისის დადგენილებით განისაზღვარა საეპარქიო

633 ჟურნალი „მწყემსი," 1886, 32, გვ. 2-3.

634 ჟურნალი „მწყემსი," 1886, 32, გვ. 2-3.

კანცელარიის საშტატო შემადგენლობა შესაბამისი ფულადი ანაზრაურებით. იმერეთის საეპარქიო კანცელარიის მდივნის წლიური ანაზღაურება შეადგენდა 980 მანეთს ვერცხლით, მდივნის თანაშემწის – 600 მანეთი ვერცხლით, მთარგმნელის – 404 მანეთი ვერცხლით, მწერლების (ოთხი მწერალი) – 720 მანეთი ვერცხლით, დარაჯისა და სხვა ხარჯები – 480 მანეთი ვერცხლით; სულ წლიური ხარჯი შეადგენდა 3174 მანეთს ვერცხლით. 1882 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით იმერეთის საეპარქიო კანცელარიას დაემატა არქივარიუსის თანამდებობა, რომელიც ეპარქიის კანცელარიის მდივნის მეორე თანაშემწედ ითვლებოდა და მის წლიურ ანაზღაურება იყო 600 მანეთი ვერცხლით.[635] გურიის ეპარქიის კანცელარია, რომელიც შტატებით უფრო მცირე იყო, შედგებოდა ოთხი თანამშრომლისაგან: წერილის დამტარებელი, ორი მწერლისა და მთარგმნელისაგან, რომელთა წლიური ანაზღაურება ჯამში შეადგენდა 1000 მანეთს ვერცხლით.[636] მოგვიანებით, 1891 წელს საეპარქიო კანცელარია სოხუმის ეპარქიასთან დაარსდა. შტატების რაოდენობით იგი ისეთივე იყო როგორც გურიის ეპარქია. საეპარქიო კანცელარია არ გააჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ქართ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიას, რომელსაც ეგზარქოსი განაგებდა. ამ ეპარქიის საკანცელარიო საქმეებს ითავსებდა საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარია.

საეპარქიო კანცელარია ანესრიგებდა ეპარქიის საეკლესიო საქმეებს, ადგენდა შემოსავალ-გასავლებს, ქმნიდა სასულიერო პირთა და ეპარქიის მომსახურეთა პირად საქმეებს, უზრუნველყოფდა უზენაესი სასულიერო უწყებიდან შემოსული დოკუმენტაციის მოწესრიგებას, შესაბამის ადრესატისადმი დროულ გადაცემას, დაყენებული საკითხების ოპერატიულ მოგვარებას და წერილობითი პასუხის გაცემას და სხვა.

სასულიერო უწყების შემდგომი სრულყოფის მიზნით, 1885 წლის 17 იანვარს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა რუსეთის უწმიდეს სინოდს საქართველოს საეკლესიო მმართველობის გარდაქმნის პროექტი წარუდგინა.[637] მას საქართველოში არსებული სასულიერო მმართველობა საეკლესიო კანონებთან შეუთავსებლად მიაჩნდა და დაუყოვნებლივ მოითხოვდა მის შეცვლას. მისი აზრით, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა საეკლესიო სამართლის ნორმების დარღვევით იყო დაარსებული. მისი აზრით, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა იღებდა და განიხილავდა სასულიერო საკითხებთან დაკავშირებულ ისეთ საჩივრებს, ადგენდა ან აუქმებდა ეპარქიის მმართველთა განკარგულებას, სცემდა სხვადასხვა ხასიათის ბრძანებებს და სხვა, რომლის გადაწყვეტა და შესრულების უფლება საეკლესიო სამართლით მხოლოდ სა-

635 Сборник действуюших и руководстменых церковных и церковно-гражданских постановлений по ведомству правылавнаго исповедания, составил Т. Барсов, т. 1, Санкт-Петербург, 1885, стр. 76.

636 Грузинский Экзархат в 1884 году, Отчет, представленый Святейшему Синоду Членом онаго, преосвяшенным Павлом, архиепископом Карталинским и Кахетинским, Экзархом Грузии, стр. 7-8.

637 В. Самуилов, Материалы к вопросу о преобразовании церковного управления в Грузии, Прибавлени к церковным ведомостям, 1906, №9, стр. 123.

ეკლესიო კრებას გააჩნდა.[638] ეგზარქოსის დასკვნით, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა საეკლესიო კრების როლს ვერ შეასრულებდა, რადგან მას მხოლოდ ერთი პიროვნება, ეგზარქოსი მართავდა, რომელიც ზოგჯერ, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საეკლესიო კანონმდებლობის დარღვევით ღებულობდა სხვადასხვა გადაწყვეტილებას. პავლე ეგზარქოსს მიაჩნდა, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფუნქციები აღრეული იყო ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებთან. იგი მოითხოვდა მათ გამიჯვნას. მისი მოსაზრებით, პირველი ინსტანცია უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული, რომელსაც დაერქმეოდა საქართველოს საეგზარქოსოს სასამართლო, მეორე იქნებოდა სასამართლო ანუ უმაღლესი სააპელაციო კრებითი ინსტანცია, რომელსაც დაერქმეოდა საეკლესიო კრება. ეგზრქოს პავლე ლებედევის მიხედვით, საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობის წევრად უნდა ყოფილიყო ეპარქიებიდან ადგილობრივი მღვდელმთავრის მიერ არჩეული თითო სასულიერო პირი, ხოლო საეგზარქოსოს მეორე, უმაღლეს ადმინისტრაციულ-სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში მყოფი ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრებისაგან შემდგარი კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ სრული შემადგენლობით უნდა შეკრებილიყო. საეკლესიო კრებისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ეგზარქოსს. კრებას უნდა განეხილა საეგზარქოსოს იურისდიქციაში მყოფი სამწყსოსა და მწყემსთა ზენობრივ-რელიგიური საკითხები. ეგზარქოს პავლე ლებედევის მოსაზრებით, კრებაზე უნდა მომხდარიყო საეგზარქოსოს ეპარქიის მღვდელმთავრების არჩევა და მონასტრის წინამძღვრების დადგინება.[639] ჩვენი აზრით, ეგზარქოს პავლე ეგზარქოსის აღნიშნული მოსაზრება წინგადადგმული ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მანამდე არა თუ მღვდელმთავრების, არამედ დაბალი სამღვდელოების დანიშვნა რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებართვის გარეშე არ ხდებოდა.

საეკლესიო კრებაზე აგრეთვე უნდა განხილულიყო სხვადასხვა საკითხები და შესაბამისი გადაწყვეტილებაც უნდა გამოეტანათ. საეკლესიო კრებაზე საკითხის გადაწყვეტა ხმათა უმრავლესობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ, თუკი საქართველოს ეგზარქოსი უმცირესობაში აღმოჩნდებოდა, მაშინ საქმე განსახილველად სინოდში უნდა გადაგზავნილიყო.[640] ხარვეზების მიუხედავად, პავლე ეგზარქოსის პროექტი, მანამდე არსებულ საეგზარქოსოს მმართველობის სტრუქტურასთან შედარებით, როგორც აღინიშნა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ რუსეთის უწმინდეს სინოდში განხილვის დროს ეგზარქოსის პროექტს მხარი არ დაუჭირეს.

---

638 В. Самуилов, Материалы к вопросу о преобразовании церковного управления в Грузии, Прибавлени к церковным ведомостям, 1906, №9, стр. 123-124.

639 В. Самуилов, Материалы к вопросу о преобразовании церковного управления в Грузии, Прибавлени к церковным ведомостям, 1906, №9, стр.124.

640 В. Самуилов, Материалы к вопросу о преобразовании церковного управления в Грузии, Прибавлени к церковным ведомостям, 1906, №9, стр.124; შდრ. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქმე №62512, ფურცელი 1.

1885 წლის 9 აგვისტოს პავლე ეგზარქოსის პროექტის დამტკიცების ნაცვლად მოახდინეს საეგზარქოსოს ფარგლებში ახალი ეპარქიების ჩამოყალიბება და დაამტკიცეს ახალი საშტატო განრიგი. ახალი დებულებით საქართველოს საეგზარქოსო მოიცავდა ექვს გუბერნიას: თბილისის, ბაქოს, ერევნის, ელიზავეტპოლის, ქუთაისის და შავი ზღვის, ერთ ყარსის ოლქს და ზაქათალის მხარეს. საეგზარქოსოს ექვემდებარებოდა ოთხი ეპარქია: 1) ქართლ-კახეთის, რომელიც მოიცავდა: თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერევნის, ყარსის; დაღესტნის და კასპიის გაღმა სამთავროებს; 2) იმერეთის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრები; 3) გურია-სამეგრელოს ეპარქია ვრცელდებოდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებზე, ბათუმისა და ართვინის ოლქებზე; 4) საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული მეოთხე სოხუმის ეპარქია მოიცავდა სოხუმის ოლქს, შავი ზღვის ოლქის ნაწილს შემდეგი ტერიტორიებით: ქალაქებით ნოვოროსიისი და ანაპა; სოფლებით ველიამინოვი, ბელუნდაჟი, დჟუბი, ბულავნის და დახოვის სამხედრო სადგურს ადლერს (სოჩა) და სოფელ ვესელს, რომელიც მანამდე კავკავის ეპარქიას ეკუთვნოდა.[641]

ამ გადაწყვეტილებასთან ერთად 1885 წლის 12 ივნისის რუსეთის უწმინდესი სინოდის წარდგინებითა და იმპერატორის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა სახელფასო განაკვეთი, რომელიც სახელმწიფოს ხაზინიდან 1886 წლიდან უნდა გაცემულიყო.[642] აღნიშნული საშტატო განრიგი ეხებოდა მხოლოდ სამ ეპარქიას: იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიას. მიღებული გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიაზე, რადგან იგი და მისი საეპარქიო კანცელარია უშუალოდ საეგზარქოსს ექვემდებარება და მისი საშტატო განრიგი მანამდე იყო განსაზღრული. თანამდედობრივი სარგოს ანაზღაურება სამივე ეპარქიაში თითქმის ერთნაირი იყო, მხოლოდ მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეპარქიის მღვდელმთავრის წლიური ანაზღაურება იყო 3000 მანეთი, ხოლო მისი სახლის შესანახი სხვადასხვა ხარჯები შეადგენდა 1200 მანეთს, სულ 4200 მანეთი; ამ ხარჯებიდან გამონაკლისი იყო სოხუმის ეპარქიის სახლის შესანახი ხარჯი, რომელიც შეადგენდა 800 მანეთს. საეპარქიო კანცელარიის შესანახად იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: კანცელარიის მდივანს – 970; მდივნის თანაშემწეს – 600 მანეთი; მწერალს – იმერეთის ეპარქიაში – 730 მანეთს, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 480 მანეთს; კანცელარიის სხვა ხარჯები იმერეთის ეპარქიაში იყო 480, გურია სამეგრელოს ეპარქიაში – 450, სულ წლიური ხარჯი ეპარქიების მიხედვით შეადგენდა იმერეთის ეპარქიაში 2770 მანეთს, გურია-სამეგრელოს

641 განჩინებანი უწმინდესი სინოდისა: 10 ივლისიდამ და 9 აგვისტოდამ 1885 წ. №1363, საქართველოს საეგზარხოსოის ახლად დაყოფაზე ეპარქიებად შტატითურთ ეპარქიალურ სამართველოთა, ჟურნალი „მწყემსი," 1885, №18, გვ. 1.

642 განჩინებანი უწმინდესი სინოდისა: 10 ივლისიდამ და 9 აგვისტოდამ 1885 წ. №1363, საქართველოს საეგზარხოსოის ახლად დაყოფაზე ეპარქიებად შტატითურთ ეპარქიალურ სამართველოთა, ჟურნალი „მწყემსი," 1885, №18, გვ. 1.

ეპარქიაში – 2500 მანეთს, სოხუმის ეპარქიაში – 1100 მანეთს. ანაზღაურება ხდებოდა მანეთი ვერცხლით.

ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა საკათედრო ტაძრების მომსახურეთა ფულადი ანაზღაურება. განსხვავება იმერეთისა და გურიის ეპარქიების ფულად ანაზღაურებაში მცირე იყო, რაც გამოწვეული იყო მომსახურე სასულიერო პირთა რაოდენობით. დეკანოზს ეძლეოდა 450 მანეთი; კანდელაკს – 400 მანეთი; მღვდელს – 350 მანეთი; მთავრებს – 200 მანეთი; იპო-დიაკონებს – 150 მანეთი; მედავითნეს – 120 მანეთი; ეკლესიის მომსახურეთა დასაქირავებლად – 240 მანეთი; გასათბობი ღუმელების შესანახად იმერეთის ეპარქიაში გამოყოფილი იყო 1250 მანეთი; გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 500 მანეთი; ეკლესიის ხარჯებისათვის იმერეთის ეპარქიაში განკუთვნილი იყო 120 მანეთი, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 300 მანეთი. ამ განსხვავების გამო იმერეთის ეპარქიაში ხარჯი შეადგენდა 4500 მანეთს, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 3810 მანეთს. სოხუმის ეპარქიაში დეკანოზის ან არქიმანდრიტის წლიური გასამჯელო იყო 800 მანეთი; მღვდლის – 600 მანეთი; მთავრის ან იპო-დიაკვნის – 460 მანეთი; მედავითნის – 280 მანეთი; ღუმელის შესანახად და სხვა საჭიროებისთვის – 600 მანეთი; სულ ხარჯი შეადგენდა 5700 მანეთს.[643] როგორ ვხედავთ, ახლადდაასებული სოხუმის ეპარქიის ხარჯები სხვა ეპარქიებთან შედარებით მეტი იყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ 1885 წლიდან აფხაზეთში სასულიერო პირებად გამწესებულ რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილ რუსი ეროვნების სამღვდელოებას ადგილობრივებთან შედარებით მეტი ანაზღაურება ეძლეოდა. გარდა ამისა, განსხვავება იყო დაფინანსების წყაროებში. სოხუმის ეპარქია ფინანსდებოდა სახელმწიფოს ხაზინიდან, ხოლო დანარჩენი ეპარქიების ხარჯი გაიღებოდა ადგილობრივი ეკლესიების შემოსავლებიდან.

საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიების საზღვრები კავკასიაში არსებულ რუსულ ადმინისტრაციულ საზღვრებს შეესატყვისებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის სასულიერო ხელისუფლების სურვილი იყო საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქიების მმართველებად არაქართველები დაენიშნათ, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს იმის შიშით, რომ იგი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამის გამო, ეპარქიათა მმართველებად, სოხუმის ეპარქიის გამოკლებით, ძირითადად ქართველ მღვდელმთავრები ინიშნიშნებოდნენ, მაგრამ არცერთი ქართველი მღვდელმთავარი არ ყოფილა მთავარეპისკოპოსიის ან მიტროპოლიტის ტიტულის მატარებელი.[644]

1885 წელს ხელისუფლების მიერ საქართველოს საეგზარქოსოში გატარებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა 1917 წლამდე, ავტოკეფალიის აღ-

643 განჩინებანი უწმინდესი სინოდისა: 10 ივლისიდამ და 9 აგვისტოდამ 1885 წ. №1363, საქართველოს საეგზარხოსოის ახლად დაყოფაზე ეპარქიებად შტატითურთ ეპარქიალურ სამართველოთა, ჟურნალი „მწყემსი," 1885, №18, გვ. 2-3.

644 E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135-170.

დგენამდე თითქმის უცვლელი სახით იარსება. თუმცა, XX საუკუნის პირველ ათეულში უზენაესი სასულიერო უწყების მიერ იყო მცდელობა საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად ახალი მმართველობის შემოღებისა, მაგრამ მან სხვადასხვა მიზეზების გამო პრაქტიკული განხორციელება ვერ ჰპოვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული სასულიერო უწყების (საქართველოს საეგზარქოსო, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, ეპარქიები, ეკლესია-მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები და სხვა) სტრუქტურულ-ადმინისტრაციული დაყოფისა და აქ მომუშავე სასულიერო და საერო პირების შესახებ ყოველწლიურად საინტერესო სტატისტიკური ცნობები ქვეყნდებოდა Кавказский календарь-ში 1847-1917 წლებში, აგრეთვე ვალერიან გუნიას რედაქტორობით 1887-1905 წლებში გამოცემულ „საქართველოს კალენდარში." აღნიშნული მასალებში საინტერესო ცნობებია დაცული ეგზარქოსობის დროინდელი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა და იქ მომუშავე პირთა ბიოგრაფიის შესახებ.

ეპარქიის მღვდელმთავრები ვალდებული იყვნენ წელიწადში ერთხელ ვრცელი მოხსენება წარედგინათ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გაწეული სამუშაოსა და ეპარქიაში არსებული ვითარების შესახებ; ყურადღება ექცეოდა ეპარქიის ტერიტორიაზე არსებული სასულიერო სასწავლებლების, ეკლესია-მონასტრების, საეკლესიო შემოსავლების, სამისიონერო საქმიანობის სრული სურათის წარმოჩენას და სხვა.

თავის მხრივ, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ხელმძღვანელი ეგზარქოსი წლის ბოლოს ვრცელ მოხსენებას წარუდგენდა რუსეთის უწმინდეს სინოდს, რომელსაც ძირითადად საფუძვლად ედო ეპარქიის მღვდელმთავართა წლიური ანგარიშები. მოხსენებაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა საეგზარქოსოს კანცელარიის, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და ეპარქიების მმართველობის შემადგენლობის აღწერას; დახასიათებული იყო საეგზარქოსოს თითოეული თანამშრომლის საქმიანობა, ყურადღება იყო გამახვილებული მათ წარმატებულ მუშაობაზე და ნაკლოვან მხარეებზე; მოცემული იყო საეგზარქოსოს გრიფით გამოცემული სასულიერო და საერო ნაშრომების დახასიათება; შემდგომ მოცემული იყო ეპარქიების დახასიათება, მღვდელმთავრებისა და სხვა სასულიერო პირების საქმიანობის აღწერა მათი სტატისტიკური ცნობების ჩვენებით, მოცემული იყო ეპარქიებში არსებული ეკლესია-მონასტრების სტატისტიკა, მათი მატერიალური უზრუნველყოფა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება ანდა ახალი ეკლესიების აშენება; განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა საეკლესიო შემოსავლებისა და გასავლების ჩვენებას; ყურადღება ექცეოდა მრევლის დახასიათებას ეროვნებების ჩვენებით, მათ სარწმუნოებრივ მდგომარეობას, სამღვდელოებასა და მრევლს შორის ურთიერთდამოკიდებულებას; მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ეპარქიებში არსებული სასულიერო სასწავლებლების დახასიათება, სწავლებაში არსებული პრობლემების ჩვენება, ყურადღება გამახვილებული იყო განათლებული სამღვდელო კადრების მომზადების აუცილებლობაზე;

დიდი ადგილი ეთმობოდა ეპარქიების მიხედვით სამისიონერო საქმიანობის აღწერას, წარმართი და სხვა აღმსარებლების გადმოსვლას მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე და სხვა. საქართველოს ეგზარქოსების მიერ რუსეთის უწმინდეს სინოდში გაგზავნილ მოხსენებებს, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია გამოცემული, მასში წარმოდგენილი მასალების გამო პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის საეკლესიო ისტორიის სხვადასხვა საკითხის გაშუქებაში. გამოქვეყნებული მასალებიდან აღსანიშნავია 1884 წელს პავლე (ლებედევი) ეგზარქოსისა[645] და 1904 წელს ეგზარქოს ალექსი (ოპოცკი) პირველის (1901-1905) საინტერესო მოხსენებები,[646] რომელთა ცნობები წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის შედეგად გატარებული გარდაქმნების გამო მაღალ დონეზე მოწესრიგდა საქმის წარმოება, რაშიც დიდი როლი შეასრულა საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიამ, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ, ეპარქიებმა და სხვა საეკლესიო დაწესებულებებმა. საეგზარქოსოს კანცელარიის, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის, ეპარქიების, სასულიერო სასწავლებლების და სხვა სასულიერო დაწესებულებების არქივებში, რომელსაც არქივარიუსი და დამხმარე პერსონალი განაგებდა, თავს იყრიდა ყველა დოკუმენტაცია, რომელიც საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიების საქმიანობის სხვადასხვა მხარეს ეხება. აღნიშნული დოკუმენტები ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ხოლო რუსეთის უწმინდეს სინოდში საქართველოს-იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ გაგზავნილი მასალები ინახება პეტერბურგის სინოდის არქივში. აღნიშნული დოკუმენტაცია პირველად წყაროს წარმოადგენს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ეპოქის სრული სურათის წარმოსაჩენად.

რუსეთის შიგა გუბერნიების ეპარქიების მსგავსად საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქიები იმართებოდა სასულიერო კონსისტორიის წესდებით. თუმცა რუსეთის ეპარქიები კონსისტორიის მეშვეობით უშუალოდ ანგარიშვალდებული იყვნენ რუსეთის უწმინდეს სინოდთან. მათგან განსხვავებით, საქართველოს საეგზარქოსო და მისადმი დაქვემდებარებული ეპარქიები რუსეთის უწმინდეს სინოდში ერთ ეპარქიად იყო წარმოდგენილი და ურთიერთობა მხოლოდ საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ხორციელდებოდა. საეგზარქოსოს ეპარქიები საქართველო-იმერეთის სინოდალურ კატორასა და საეგზარქოსოს ექვემდებარებოდა და მათ წინაშე იყო ანგარიშვალდებული. მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა, როგორც აღინიშნა, საეგზარქოსოს ეპარქიების საქმიანობა გარკვეულ წილად სასულიერო კონსისტორიის წესდებით ხდებოდა.

---

645 Грузинский Экзархат в 1884 году, Отчет, представленый Святейшему Синоду Членом онаго, преосвященным Павлом, архиепископом Карталинским и Кахетинским, Экзархом Грузии, стр. 1-84.

646 Архипастырское обозрение Грузинскаго Экзархата и Высокопреосвященнейшим Архиепископом Алексием, Экзархом Грузии в апрел месяце 1903 года и приложения, Тб., 1904, стр. 1-114

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საეგზარქოსოს ეპარქიების საქმიანობა ძირითადად რუსეთის უწმინდესი სინოდის ერთჯერადი გადაწყვეტილებებით მიმდინარეობდა. ამავე საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და საეგზარქოსოს ეპარქიების საქმიანობა 1841 წლის 27 მარტს რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებული სასულიერო კონსისტორიის წესდებით. თუმცა ხშირად რუსეთის უწმინდესი სინოდი კვლავ გამოსცემდა განსაკუთრებულ განკარგულებებს, რომელიც მხოლოდ საეგზარქოსოსა და მის ეპარქიებზე ვრცელდებოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში არსებული ეპარქიები ორგანიზაციულ-სტრუქტურულად ისეთი სახით არ იყვნენ მოწყობილი, როგორც რუსეთის ეპარქიები. 1841 წელს გამოქვეყნებული სასულიერო კონსისტორიის წესდებამ დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა, რის გამოც 1883 წლის 9 აპრილს გამოიცა წესდების ახალი რედაქცია, რომლის ქართული თარგმანი შესრულებული დეკანოზ დავით ღამბაშიძის მიერ 1885 წელს დაიბეჭდა თბილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

სასულიერო კონსისტორიის წესდება შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში მითითებულია, რომ აღნიშნული წესდებით მრვდელმთავარი მართავს ეპარქიას და მის მართვას ახორციელებს მხოლოდ რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებებით. წესდებაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის გარდა ხელისუფლების სხვა ორგანოებს არ აქვს უფლება ჩაერიონ ეპარქიის საქმიანობაში, გააუქმონ ანდა გამოსცენ განკარგულება. აქვე აღნიშნულია, რომ მოციქულთა, წმ. მამათა, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და სხვა საეკლესიო კანონმდებლობაზე დაყრდნობით ადგილებზე წესდებით წარიმართება საქმიანობა ბლაღოჩინების, მონასტრის წინამძღვრების და სხვათა მეშვეობით.

სასულიერო კონსისტორიის მეორე განყოფილება, უშუალოდ ეხებოდა ეპარქიის მმართველობას და ღვთის მსახურებას. წესდებით ეპარქიის მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა სარწმუნოებრივი ვითარებისათვის, თუ რამდენად სრულდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებანი. არსებული დარღვევების შესახებ ვალდებული იყო მოეხსენებინა უმაღლეს სასულიერო უწყებისათვის; მღვდელმსახურთა ვალდებულება იყო ღვთის სიტყვის ქადაგება მორწმუნეთა შორის და ეპარქიის მმართველისა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების შესრულება; ეპარქიის მღვდელმთავარი ბლაღოჩინებზე და მოძღვების მეშვეობით ახდენდა ცრუ რწმენისა და სხვა რელიგიურ სექტების მხილებას და აღმოფხვრას. მათ წინააღმდეგ შესაძლებელი იყო სამოქალაქო მმართველობის ჩართვაც. წესდება გარკვეულ ადგილს უთმობდა ე.წ. საეკლესიო განხეთქილების (რასკოლი) განხილვას. აღნიშნული საკითხის მოგვარება უნდა მომხდარიყო მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი დაცვით, შესაძლებელია საკითხი უმაღლესი სასულიერო უწყების ჩართვით გადაწყვეტილიყო. გახეთქილებაში მყოფი პიროვნება, თუკი ისევ ძველ სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა, სასუ-

ლიერო პირი, ეპარქიის მღვდელმთავრის კურთხევით, მას ჩამოართმევდა ხელწერილს, რომელიც გატარდებოდა მეტრიკულ წიგნში. მღვდელმთავარი ფხიზელ თვალს არ უნდა გამოპარვოდა, რომ მრევლი ან რომელიმე ღვთისმსახური სხვა აღმსარებლობის წევრი არ გამხდარიყო, მაგრამ თუკი რომელიმე სხვა აღმსარებელი მართლმადიდებელი გახდებოდა, სასულიერო პირი ვალდებული იყო მისთვის ჩამოერთმია წერილობითი ჩვენება იმის აღნიშვნით, რომ იგი მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი ხდებოდა, რომელსაც შემდეგ მეტრიკულ წიგნში დააფიქსირებდნენ. თუკი სასულიერო პირს ეჭვი შეეპარებოდა ახალი აღმსარებლის გულწრფელობაში, მაშინ საკითხს ეპარქიის მღვდელმთავარი გადაწყვეტდა.

წესდება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქორწინების საკითხს, რომელიც ძირითადად საეკლესიო სამართლს ეყრდნობა და მიიჩნევდა, რომ ქორწინება ჯვრისწერის გარეშე დაუშვებელია. ჯვრისწერის დროს დასაქორწინებლები ვალდებული იყვნენ სიტყვიერად დაედასტურებინათ, რომ მართლმადიდებლობის მტკიცედ დაცვასთან ერთად, აგრეთვე დაიცავდნენ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კანონებსაც და ამავე რწმენით აღზდიდნენ შვილებს.

წესდებაში დიდი ადგილი ეკავა ნათლობის საიდუმლოების აღსრულებას. ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ მღვდელს უფლება აქვს მონათლოს ორივე სქესიის ბავშვი „სხვა მერჯულეთა," თუკი, ხელწერილის ჩამორთმევით, მშობლები დაადასტურებდნენ, რომ მათ აღზრდიდნენ მართლმადიდებელი რწმენით. კათოლიკე აღმსასებელი მართლმადიდებლობასთან შეერთების შემთხვევაში წერილობით მიმართავდა ეპარქიის მმართველს, მასზე გარკვეული დროის განმავლობაში დაკვირვებისა და გამოკითხვის შემდეგ ხდებოდა საკითხის გადაწყვეტა, თუკი რაიმე ეჭვი არ არსებობდა, მაშინ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, დაეჭვების შემთხვევაში საქმე გადაეცემოდა უმაღლეს სასულიერო უწყებას. ეპარქიის მღვდელმთავრებს უნდა ეზრუნათ წარმართთა და არაქრისტიან ბავშვთა განათლებაზე, რომ ისინი შემდეგ მართლმადიდებელი სარწმუნოების წევრები გამხდარიყვნენ. ასეთ პირთა მონათვლა თორმეტწლამდე მშობლების თანხმობით უნდა მომხდარიყო, დანარჩენ შემთხვევაში თვითონ წყვეტდა ნათლობის საკითხს. ნათლობის დროს გათვალისწინებული იყო რამდენად შეგნებულად და გულწრფელად ხდებოდა მათი მართლმადიდებლობაში გადასვლა. ნათლობა უნდა ჩატარებულიყო ეკლესიაში, გამონაკლისი იყო თუკი ნათლობის აუცილებლობის დროს მომნათვლელი ავად იყო. თუკი ნათლისღებას სხვა მერჯულენი იღებენ, მას საზეიმო ხასიათი უნდა მისცემოდა, სასულიერო პირების და ახლადმოქცეულების საზეიმო განწყობა უნდა გაეზიარებინა ნათლობაზე დამსწრე ადგილობრივ საერო მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც ნათლობის წიგნებში თავიანთ მონაწილეობას ხელმოწერით დაადასტურებდნენ. ნათლობის შემდეგ მოძღვრებს ევალებოდათ ახლადმონათლულები განემტკიცებინათ სარწმუნოებრივ სწავლებაში. თითოელი ეკლესიის მოძღვარი ვალ-

დებული იყო ეპარქიის მართველობისათვის წარედგინა მოხსენება გაწეული სამსახურის შესახებ.

მღვდელმთავარი თავის დაქვემდებარებულ ეპარქიაში თვალყურს ადევნებდა ღვთისმსახურება საეკლესიო კანონების სრული დაცვით ხდებოდა თუ არა, რამდენად ახერხებდა სამღვდელოება მრევლის სახლთა კურთხევას, მათ ოჯახებში წმ. ხატების მისვენებას და სხვა. განსაკუთრებული აქცენტი იყო გადატანილი დარღვევებზე. თუკი დამნაშავე სასულიერო პირი იყო, მაშინ მისი საკითხი განსახილველად ეპარქიის სასამართლოს უნდა გადასცემოდა, საერო პირის შემთხვევაში საქმეს განიხილავდა საერო ხელისუფლება. ორთავე შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება რუსეთის უწმინდეს სინოდს გაეგზავნებოდა.

წესდების მესამე განყოფილება ეხებოდა ეკლესიის კეთილმოწყობასა და ახლის აშენებას. ყოველ ეკლესიას უნდა ჰქონოდა შესაბამისი საეკლესიო ჭურჭელი, შესამოსელი და საღვთისმსახურო წიგნები. ნაკლოვანების შემთხვევაში მისი შეძენა ბლაღოჩინის მეშვეობით, მრევლისა და ეკლესიის კრებულის თანხმობით, ეკლესიის შემოსავლების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ყოველ ეკლესიაში გამოულევად უნდა ყოფილიყო წმინდა მირონი და ზიარების ნაწილი. ეკლესიისა და მისი გარემოს სისუფთავეზე უნდა ეზრუნა სამღვდელოებას და მრევს. ყოველ წლის ბოლოს ეპარქიის მღვდელმთავარი სასულიერო უწყებას აწვდიდა ცნობებს თავის ეპაქრიის სარწმუნოებრივი მდგომარეობისა და კეთილმოწყობის შესახებ.

ახალი ეკლესიების აშენება ანდა ძველის გადაკეთება უნდა მომხდარი ადგილობრივი მრევლის სურვილის გათვალისწინებით და იგი უნდა აშენებულიყო მათი მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი ადგილის მითითებით. ეპარქიის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო დაწვრილებით შეესწავლა ახალი ეკლესიის აგების შემოსული განაცხადი, მას შეეძლო საერო ხელისუფლებასთან მოთათბირებით გარკვეული ცვლილებები შეეტანა და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ადგილობრივ მღვდელმთავარი გადაწყვეტილებას ვერ იღებდა სატახტო ქალაქების ეკლესიების აშენებაზე და ძველი ეკლესიების გადაკეთებაზე, რომელიც მეთვრამეტე საუკუნემდე იყო აგებული. ახალი ეკლესიის აშენების ფულად თანხებს მღვდელმთავარი უმაღლესი სასულიერო უწყებისაგან ითხოვდა, ხოლო პროექტი დგებოდა ეპარქიაში, ქართულ სინამდვილეში იგი საქართველოს საეგზარქოსოს არქიტექტორის მიერ მუშავდებოდა. ძველი ეკლესიების რესტარვაციის დროს შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო არქიტექტურა, მოხატულობა და უფლება არ ეძლეოდათ მცირე ცვლილების შეტანისა. ასეთივე წესით ხდებოდა ძველი ეკლესიის კანკელის თუ სხვა დაზიანებული ადგილების შეკეთება და სხვა. დასრულებულ ეკლესიას მღვდელმთავარი, ბლაღოჩინი და შესაბამისი კომისია იბარებდა. ეპარქიის მმართველობა აგრეთვე გასცემდა სალოცავი სახლების, სოფლის სასაფლაოზე არსებული მიცვალებულთა დასასვენებელი ეკლესიების აგების ნებართვას და სხვა.

წესდებაში დიდი ადგილი ეთმობოდა ეკლესიის ღვთისმსახურების (მედავითნე, დიაკონი, მღვდელი, მღვდელ-მონაზონი და სხვა) საქმიანობის ჩვენებას, რომლებიც თავიანთ საქმიანობას სასულიერო და საერო კანონმდებლობით წარმართავდნენ.

სასულიერო პირთა შერჩევა და კურთხევა ხდებოდა ადგილზე მხოლოდ მღვდელმთავრის მიერ და ხელდასხმის შემდეგ მას ეძლეოდა მღვდელმთავრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი სიგელი. შტატიან სასულიერი პირთა კურთხევა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ზემდგომ სასულიერო უწყებასთან. ეპარქიის მღვდელმთავარს შეეძლო სასულიერო წოდებაში მიეღო სხვა აღმსარებლობის პირი თუკი იგი დარწმუნებული იყო მის აღიარების სიმართლეში და გამოირჩეოდა მართლმადიდებლობაში განსწავლულობით. მღვდელ-მონაზონთა შერჩევა ხდებოდა შესარჩევ პიროვნებაზე ხანგრძლივი დაკვირვებით, მონასტრის წინამძღვრის წარდგენილი მასალების საფუძველზე, რომელსაც ეპარქიის მღვდელმთავარი გულდასმით ეცნობოდა.

გარკვეული ადგილი ეთმობოდა მრევლის როლს საეკლესიო ცხოვრებაში, მათ დამოკიდებულებას სამღვდელოების მიმართ და მათ როლს სარწმუნოების განმტკიცებაში. წესდება განსაზღვრავდა მრევლის წრიდან არჩეული მნათეების საქმიანობას, რომლებიც საეკლესიო ქონებასა და მეურნეობაზე უნდა ეზრუნათ. მნათედ არჩევა სამი წლის ვადით ხდებოდა ეკლესიის კრებულის თანხმობით, რომელსაც ამტკიცებდა ეპარქიის მღვდელმთავარი.

წესდებაში რამდენიმე მუხლი ეთმობოდა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის მეურნეობის, უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვას, რომელსაც განაგებდა მღვდელმთავრის დანიშნული იკონომოსი. იგი თვალ-ყურს ადევნებდა მეურნეობიდან შემოსულ შემოსავალსა და საჭიროებისამებრ დახარჯულ გასავალს და წერილობით ანგარიშს წარუდგენდა მღვდელმთავარს. ეს უკანასკნელი ეკონომისის მასალაზე დაყრდნობით წლის ბოლოს მოხსენებას წარუდგენდა უზენაეს სასულიერო უწყებას. ეს უკანასკნელი საიმედო კომისიის წევრების საშუალებით ამოწმებდა მღვდელმთავრის ინფორმაციას. მღვდელმთავრის გარდაცვალების შემთხვევაში კომიისიას უნდა აღეწერა დარჩენილი ქონება შესაბამისი ოქმის გაფორმებით. წესდების რამდენიმე მუხლი განსაზღვრავდა ეპარქიის ტერიტორიაზე არსებული მონასტრების ქონების საკითხს, რომელსაც მონასტრის კრებულისაგან არჩეული იკონომოსი განაგებდა, რომელიც წარმართავდა მონასტრის მეურნეობის ქონებას, თვალყურს ადევნებდა შემოსავლებსა და გასავლებს, რომლის ანგარიში წარედგინებოდა მონასტრის წინამძღვარს და ეპარქიის მღვდელმთავარს. საინტერესოა, რომ როგორც მღვდელმთავრის, მონასტრებისა და ეკლესიების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა სკუპლუოზურად ხდებოდა. ხელისუფლება მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. გარკვეული ადგილი ეთმობოდა თითოეული ეკლესიის მამულების შემოსავლების, სასულიერო უწყების მფლობელობაში არსებული სხვა შენობა-ნაგებობებისა და დამხმარე სათავსოების განკარგვას.

წესდებაში ყურადღება გამახვილებული იყო დანაშაულისა და სასჯელის ფორმებზე. საინტერესოა, რომ სასულიერო პირებზე, გარდა საეკლესიო სასჯელისა, ვრცელდებოდა საერო სამართლის ნორმები, მათ შორის სისხლის სამართლის საკანონმდებლო მუხლები. სასჯელის ფორმა განისაზღვრებოდა ჩადენილი დანაშაული მიხედვით. სასულიერო დანაშაულის დასჯის ფორმები იყო: ეპიტიმია – დროებით მსახურების შეჩერება, მღვდლობიდან გადაყენება და სხვა. საერო სამართლის მძიმე დანაშაულისათვის განსჯადი სასულიერო პირი ამოირიცხებოდა სამღვდელო დასიდან.[647]

სასულიერო კონსისტორია იხილავდა ეპარქიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომელთა გადაწყვეტა ხელისუფლების კანონმდებლობით ხდებოდა.

ქართულ სინამდვილეში სასულიერო კონსისტორიის წესდებაში წარმოდგენილი მუხლების ნაწილი საეგზაროსოს კანცელარიის შესასრულებელი იყო, ნაწილი – საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის, დიდი ნაწილი კი ეპარქიებისათვის იყო განკუთვნილი. სასულიერო კონსისტორიის წესდებაში საქართველოს საეგზარქოსოს არცერთი სასულიერო დაწესებულება არ იყო მითითებული. ხშირად რუსეთის უწმინდესი სინოდის საქართველოს საეგზარქოსოსადმი გამოცემული განკარგულება ეწინააღმდეგებოდა სასულიერო კონსისტორიის წესდებას, რაც ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკით იყო ნაკარნახები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო ეფექტური გახდა და დაიხვეწა ეპარქიებში ბლაღოჩინების (კეთილმოწესე) საქმიანობა. მათი უფლება-მოვალეობანი აისახა მოსკოვის სასულიერო კონსისტორიის მიერ 1841 წელს გამოცემულ „დარიგება ბლაღოჩინისადმი," რომლის გადამუშავებული საბოლოო რედაქცია 1883 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა. ბლაღოჩინთა უფრო ეფექტური საქმიანობის მიზნით XIX საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში შეიქმნა საბლაღოჩინო ოლქები. ოლქის სამღვდელოება ბლაღოჩინს ირჩევდა კენჭისყრით, რომელსაც შემდეგ ეპარქიის მღვდელმთავარი ამტკიცებდა, მაგრამ 1881 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ბლაღოჩინების არჩევითობა გაუქმდა და მას ისევ ეპარქიის მღვდელმთავარი ნიშნავდა.[648] საბლაღოჩინო ოლქები ქმნიდნენ საბლაღოჩინო საბჭოებს. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა ორ-ორი წევრი, რომლებიც საბლაღოჩინო ოლქებიდან იყვნენ არჩეული. ბლაღოჩინთა საბჭო იწვევდა საბლაღოჩინო ყრილობებს, რომელზეც განიხილებოდა ეკლესიის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები. საბლაღოჩინო საბჭოები პირველად დაარსდა 1865 წელს.[649]

1826 წელს, ეგზარქოს იონას (1821-1832) დროს შემოიღეს მონასტერთა ბლაღოჩინის თანამდებობა, რომელიც კონტროლს მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებას უწევდა.

---

647 წესდებულება სასულიერო კონსისტორიათა, თარგმნილ არს რუსულიდგან ქართულად „მწყემსის" რედაქტორის ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან, თფ., 1885, გვ. 3-107.

648 Православная энциклопедия, том V, М., 2002. стр. 339.

649 Православная энциклопедия, том V, М., 2002. стр. 340.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ბლაღოჩინების უფლება-მოვალებანი გაიზარდა. მათი წარდგინებით ეპარქიის მღვდელმთავრები ახდენდნენ ახალი სასულიერო პირების ხელდასხმას. მონასტრის ბლაღოჩინებს იმდენი მონასტრის თვალყურისდევნება შეეძლო, რასაც კი გაწვდებოდა. სამრევლო ბლაღოჩინები ათიდან ოცდაათამდე ეკლესიას აკონტროლებდა. ბლაღოჩინს, რომელსაც თხუთმეტ ეკლესიაზე მეტი ებარა მას ენიშნებოდა დამხმარე თანაშემწე. თითოეულ საბლაღოჩინო ოლქში მღვდელი და დიაკონი ირჩევდნენ მოძღვართ-მოძღვარს, რომელიც გამორჩეული უნდა ყოფილიყო განათლებით და პატიოსნებით, რომელსაც ამკიცებდა ეპარქიის მღვდელმთავარი. თუკი საბლაღოჩინო ოლქი დიდი იყო, მაშინ მღვდელმთავარი ასეთ ოლქში ნიშნავდა ორს ან მეტ მოძღვართ-მოძღვარს. მოძღვართ-მოძღვარი მღვდლისგან იღებდა აღსარებას, ადგენდა აღსარების სიებს, რომელსაც წლის ბოლოს წარუდგენდა მღვდელმთავარს. მედავითნე შეეძლო აღსარება სამრევლო მღვდელთან ეთქვა, შემდეგ წარედგინა ცნობა მოძღვართან.[650]

ეპარქიაში ბლაღოჩინების რაოდენობა დამოკიდებული იყო ეკლესიისა და მრევლის რაოდენობაზე, შესაძლებელია ერთ ეპარქიაში 8-9 ბლაღოჩინი ან მეტი ყოფილიყო, მაგალითად, ქართლ-კახეთის ეპარქია, კერძოდ კი თბილისი რამდენ საბლაღოჩინო ოლქად იყო დაყოფილი და ბლაღოჩინთა რაოდენობაც მეტი იყო სხვა ეპარქიებთან შედარებით. იმდენად დიდი იყო მათი რიცხვი, რომ საქართველოს საეგზარქოსომ 1915 წელს მათი სამისამართო ცნობარი გამოსცა.[651]

1883 წელს გამოცემული წესდებით ბლაღოჩინის მოვალეობას შეადგენდა გაეკონტროლებია მასზე მინდობილ საბლაღოჩინო ოლქში არსებულ საეკლესიო და სარწმუნოებრივი ვითარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი; სამღვდელოებისა და სამრევლოების საქმიანობა; სრულდებოდა თუ არა წირვა-ლოცვა, ნათლობა, ჯვრისწერა, წესის აგება, პანაშვიდისა და პარაკლისის გადახდა, ახლადაგებული ეკლესიების კურთხევა და სხვა სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებები მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკის სრული დაცვით; იგი უზრუნველყოფდა ახალი ეკლესიების აგებას, მის მოწყობას და გამშვენებას ხატებით და სხვა წმინდა ნაწილებით. ბლაღოჩინი აკონტროლებდა ეკლესიების შემოსავლებსა და გასავლებს, ამოწმებდა აღსარების, ზიარების აღრიცხვის ჟურნალებს და სასულიერო პირების მიერ მეტრიკული წიგნების შევსება დადგენილი წესით მიხედვით ხდებოდა თუ არა. ბლაღოჩინის მოვალეობას შეადგენდა შეემოწმებინა თუ რამდენად დაცული და შენახული იყო საარქივო მასალები, სასულიერო, სამთავრობო თუ სხვადასხვა დაწესებულებებთან არსებული მიმოწერები და სხვა; კანონის დაცვით ხდებოდა თუ არა მღვდლის, დიაკონისა და მედავითნის მიერ

650 წესდებულება სასულიერო კონსისტორიათა, თარგმნილ არს რუსულიდგან ქართულად „მწყემსის" რედაქტორის ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან, თფ., 1885, გვ. 77.

651 Список благочинных Грузинской епархии с указанием приходов, входящих в благочинические округи, и адресов благочинных, Тифлис, стр. 1-16.

საქმის წარმოება; ბლაღოჩინი თვალყურს ადევნებდა სასულიერო პირთა ზნეობრივ-მორალურ ქცევებს, მის ავტორიტეტს, მრევთან ურთიერთობას და სხვა. ბლაღოჩინს უფლება ჰქონდა შეუფერებელი საქციელის გამო დაესაჯა სასულიერო პირები, თუკი მათი გადაცდომა სერიოზული იყო, მაშინ მათი საქმე რეაგირებისათვის გადაეცემოდა ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს. ბლაღოჩინი მოვალე იყო თვალყური ედევნებინა თავის ოლქში არსებული სასულიერო სასწავლებელთა საქმიანობისათვის, სასულიერო სწავლების მნიშვნელობის შესახებ ჩაეტარებინა საუბრები პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. მრევლთან შეხვედრის დროს ბლაროჩინი ატარებდა საუბრებს ქრისტიანული ზნეობის, აღსარებისა და ზიარების მნიშვნელობის, ოჯახის სიწმინდის, ქორწინების, ბავშვთა აღზდის და სხვა საკითხების შესახებ. ბლაღოჩინი ვალდებული იყო სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, ანდა თუკი მისი დარიგებანი შედეგს არ გამოიღებდა, დაუყონებრივ ეცნობებინა ეპარქიის მღვდელმთავრისათვის ზომების მისაღებად. იგი წელიწადში ორჯერ ახდენდა თავისი ოლქის შემოწმებას და ეპარქიის მღვდელმთავრს წარუდგენდა მოხსენებას არსებული ვითარების შესახებ. ბლაღოჩინის დანიშვნა და გათავისუფლება ხდებოდა ეპარქიის მღვდელმთავრის განკარგულებით.[652]

ბლაღოჩინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო პირთა შორის. თანამდედობრივი მდგომარეობის გარდა იგი სხვა სასულიერო პირებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ატარებდა კვერთხს, რომელიც მღვდელმთავრის კვერთხისაგან განსხვავდებოდა. ბლაღოჩინის კანდიდატურის შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასულიერო განათლების ცენზს, ავტორიტეტს, მორალურ-ზნეობრივ მხარეებს და სხვა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ეპარქიების მსგავსად საეგზარქოსოს ყველა ეკლესიაში შემოღებული იქნა მნათეს (Пономарь) თანამდედობა. რუსეთის ეკლესიაში იგი იყო ყველაზე დაბალი ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობა ადრე იყო ზარების რეკვა, სამღვდელოებასთან ერთად გალობდა და ღვთისმსახურების დროს დახმარებას უწევდა სასულიერო პირებს. გვიან მისი ფუნქციები შეიცვალა და 1890 წლის 12 ივნისის რუსეთის უწმინდესი სინოდის ინსტრუქციით განისაზღვრა მისი უფლება-მოვალება. ინსტრუქციით მნათეს კრებდა ეკლესიის შემოწირულობებს, აგროვებდა დასაფლავების დროს გაწეული სამსახურის საფასურს, სანთლის გაყიდვიდან შემოსულ თანხებს. ეკლესიის კრებულის, ბლაღოჩინისა და ეპარქიის ხელმძღვანელთა ნებართვით იძენდა ეკლესიისათვის საჭირო ნივთებს ზეთს, საკმეველს, სეფისკვერს, საეკლესიო ლიტერატურას და სხვა; შემოსავალ-გასავლის შესახებ ცნობები შეჰქონდა წიგნებში; მეთვალყურებას უწევდა ეკლესიაში კანდელის, შანდლების განლაგებას, სისუფთავის დაცვას ეკლესიაში, ეზოში, საეკლესიო დამხმარე ნაგებობებში, სასაფლაფლა-

652 დარიგება ბლაღოჩინებისადმი, ტფ., 1883, გვ. 6-29.

ოზე; ზრუნავდა გათბობაზე, განათებაზე, ეკლესიის დარაჯებისა და სხვა მოსამსახურეთა კეთილსინდისიერ ქცევაზე, საეკლესიო ტყეების ეკლესიისა და მისი კრებულის საჭიროების გამოყენებისათვის; თვალყურს ადევნებდა, რომ ეკლესიაში არ გაყიდულიყო საეკლესიო დაწესებულების გვერდის ავლით შემოსული სანთელი, აკონტროლებდა წირვა-ლოცვის დროს მრევლის ქცევას და სხვა.[653]

მნათედ ეკლესიის კრებული ირჩევდა სამი წლით არა ნაკლებ 25 წლის მრევლის წევრს კეთილსინდისიერებით და სარწმუნოების ერთგულებით გამორჩეულს. მნათეს არჩევნებს თვალყურს ადევნებდა ბლაღოჩინი, რომელიც არჩევნებში მონაწილე პირებთან, კრებულთა და არჩეულ პიროვნებათა ხელმოწერით მიღებულ გადაწყვეტილებას გზავნიდა ეპარქიის ეპისკოპოსთან არჩეული მნათეს დამკიცებისათვის. სამი წლის ვადით არჩეული მნათე ეკლესიის კრებულის, წმინდა სახარებისა და ცხოველმყოფელი უფლის ჯვრის წინაშე ფიცს დებდა, რომ გულმოდგინედ შეასრულებდა თავის მოვალეობას. მნათეს მუშაობას კონტროლს უწევდა ბლაღოჩინი ეკლესიის კრებულიდან არჩეულ პიროვნებებთან ერთად. სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ მნათეს კეთილსინდისიერი სამსახურის გამო მღვდელმთავრისაგან ეძლეოდა მადლობის სიგელი, მაგრამ თუკი მნათე სამჯერ ზედიზედ იქნა არჩეული სამ-სამი წლით, მაშინ იგი უმაღლეს სასულიერო უწყებას წარედგინებოდა დასაჯილდოებლად წოდებისა და ნამსახურების მიხედვით. მნათედ არჩეული გლეხი თავისუფლდებოდა ყოველგვარი ბეგარის გადახდისაგან და ჯოხით დასჯისაგან. დარღვევების შემთხვევაში მნათეს გათავისუფლება ხდებოდა ეპარქიის მღვდელმთავრის გადაწყვეტილებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეკლესიებთან არსებობდა მამასახლისები (Староста), სტიქაროსნები და სხვა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები საეკლესიო ცხოვრებაში და სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ. ზოგიერთ ეკლესიასთან არსებობდა სამზრუნველოები, ღარიბ-ღატაკთა, ხელმოკლე გარდაცვლის სასულიერო პირთა ოჯახების დასახმარებლად და სხვა.

ეგზარქოსობის დროს საქართველოს ეკლესიაში გაჩნდა ე.წ. კაპელანი სასულიერო პირები ანუ „პოლკის მღვდლები," რომლებიც საქართველოში განლაგებულ რუსულ საჯარისო ნაწილებში მსახურობდნენ. ასეთი დასახლებები შეიქმნა თბილისის მახლობლად მანგლისში, ლაგოდეხში, აბასთუმანში და სხვა. სამხედრო დასახლებებს თავიანთ განლაგებულ ტერიტორიაზე ააგეს ეკლესიები. მრევლის წევრები ჯარისკაცებთან ერთად იყვნენ ოფიცრობა თავიანთი ოჯახებით. სამღვდელოება ძირითადად რუსეთიდან ჩამოსული რუსი ეროვნების სასულიერო პირები იყვნენ. XX საუკუნის 10-იან წლებში და პირველი მსოფლიო ომის დროს ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსულ ჯარის ნაწილებში ჩამოყალიბდა ქართველ მეომართა შენაერთები, ასეთ ნაწილებში მსახურებას ეწეოდნენ ქართველი სასულიერო პირები. მარ-

653 ინსტრუქცია ეკლესიის მნათეთათვის, უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისს 1890 წელი, თფ., 1890, გვ. 8-9; შდრ. ჟურნალი „მწყემსი," №14, 1890, გვ. 3-8.

თალია პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს გაუქმდა ე.წ. „პოლკის მღვდლის" თანამდებობა, მაგრამ ავტოკეფალიააღდგენილ ეკლესიაში მცირე ხანს კვლავ არსებობდა კაპელანის ინსტიტუტი.[654]

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარისტული რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა მიზნად ისახავდა იმპერიული, დამპყრობლური პოლიტიკის გატარებას კავკასიაში. დასახული მიზნის შესატყვისად რუსეთის სასულიერო უწყება ახდენდა საქართველოს საეგზარქოსოში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას.

§3 საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიები

თავისი სტრუქტურული აგებულებით, საქართველოს საეგზარქოსო და მის შემადგენლობაში მყოფი ეპარქიები, ერთი შეხედვით, რუსეთის ეპარქიების მსგავსად იყო მოწყობილი, მაგრამ მათგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქია და უშუალოდ ეგზარქოსის განკარგულებაში მყოფი რამდენიმე სავიკარიუსო რუსეთის სასულიერო მმართველობას ერთ ეპარქიად ჰქონდა წარმოდგენილი. რუსეთის ეპარქიებისაგან განსხვავებით საეგზარქოსოს ეპარქიებს არ გააჩნდათ საეკლესიო საბჭოები. მათ ფუნქციას ასრულებდა საეპარქიო კანცელარიები.[655] გარდა ამისა, რუსეთში თითოეულ ეპარქიას თავისი პერიოდული ორგანო (ჟურნალი) ჰქონდა, რომელშიც შუქდებოდა თითოეული ეპარქიის საეკლესიოს ცხოვრება და ქვეყნდებოდა უზენაესი სასულიერო უწყების გადაწყვეტილებები. საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებს ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდათ. ცალკეულ ქართველ სასულიერო პირთა ინიციატივით XIX საუკუნის 60-იან წლებში და ამავე საუკუნის 80-იან წლებში გამოდიოდა სასულიერო ხასიათის პერიოდული ორგანო. ხოლო XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიასთან დაარსებული ჟურნალი აშუქებდა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო ვითარებას.

საგრძნობლად იყო შეზღუდული ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსების უფლებები. მათ, საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ნებართვის გარეშე, უფლება არ ჰქონდათ თავიანთ ეპარქიაში სასულიერო პირთა ხელდასხმა მოეხდინათ. ამასთან, რუსეთის უწმინდეს სინოდს იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსები კი არ უგზავნიდნენ ანგარიშს, როგორც ეს რუსეთში იყო, არამედ, უწმინდეს სინოდს ანგარიშს

654 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული მხედრობის ისტორიიდან, ლოგოსი, II, 2004, გვ. 27.

655 რ. ჟანენი, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ VI, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1995, გვ. 54.

წარუდგენდა ეგზარქოსი. ამ უკანასკნელის ანგარიშს საფუძვლად ედო ეგზარქოსისადმი დაქვემდებარებული ეპარქიის მმართველთა მოხსენება.

ზემოთ აღინიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლება ეკლესიის რეორგანიზაციის დროს შექმნილი სიტუაციის მიხედვით ახდენდა ახალი ეპარქიების გახსნას. თავდაპირველად ავტოკეფალიის გაუქმების დროს, როგორც ზემოთ მიუთითეთ, აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა, ჯერ ორი, მცხეთისა და ქართლის, მეორე ალავერდისა და კახეთის ეპარქია. პირველის ეპარქიის მმართველობას უშალოდ ეგზარქოსი წარმარმართავდა, ხოლო მეორეს – მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი. 1814 წლის რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა სამი ეპარქია: ქართლის, რომლის მმართველი ეგზარქოსი იყო. მასვე ექვემდებარებოდა ამავე ეპარქიაში არსებული გორის ვიკარ-ეპისკოპოსი გერვასი მაჭავარიანი (1814 წლის 30 აგვისტოდან 1817 წლის 5 თებერვლამდე); მეორე თელავისა და საქართველო-კავკასიის, რომელსაც განაგებდა მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური (1814-1817); მესამე – სიღნაღის, მმართველი ეპისკოპოსი იყო მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი. 1818 წლის დეკემბერში ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ განხორციელებული რეფორმით აღმოსავლეთ საქართველოში დარჩა ერთი ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია ეგაზარქოსის მმართველობით, რომელსაც ექვემდებარებოდა გორის სავიკარიო მმართველი ეპისკოპოსი სტეფანე ჯორჯაძე (1818 წლის 5 აპრილიდან 1839 წლის 3 დეკემბრამდე) და ნომინალურად არსებული ქიზიყის საეპისკოპოსო, რომელსაც განაგებდა იოანე მაყაშვილი, რომელმაც ეს ადგილი გარდაცვალებამდე, 1837 წლამდე შეინარჩუნა, შემდგომ კი ეს ეპარქია გაუქმნდა. ქართლ-კახეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში მოექცა 1829 წელს შემოერთებული ახალციხის მხარეში არსებული ძველი ქართული ეკლესია-მონასტრები და მრევლი, რომელიც 1863 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით იმერეთის ეპარქიას დაექვემდებარა.[656] 1885 წლის 12 ივნისის განკარგულებით საქართველოს ეს მხარე ისევ ქართ-კახეთის ეპარქიას დაექვემდებარა.[657]

ქართლ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში არსებულ გორის სავიკარიომ იარსება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე (1917 წლის მარტი), რომლის მმართველები ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ ეპისკოპოსების გარდა იყვნენ: ნიკიფორე ჯორჯაძე (1842 წლის 5 აპრილიდან 1851 წლის 3 დეკემბრამდე), იოანე ავალიანი (1852 წლის 13 აპრილიდან 1859 წლის 6 აპრილამდე 1858), გაბრიელ ქიქოძე (1859 წლის 18 იანვრიდან 1860 წლის 2 ივლისამდე), გერმანე პაპიტაშვილი (1862 წლის 19 მაისიდან 1869 წლის 30 მაისამდე); 1869 წლის 30 მაისიდან 1881 წლის 20 მარტამდე გორის საეპისკოპოსო უმღვდელმთავროდ იყო დარჩენილი. 1881 წლიდან 1886 წლებში გორის

656 ჟურნალი „სასულიერო მახარებელი," №14, 1864, გვ. 66.

657 განჩინებანი უწმინდესი სინოდისა: 10 ივლისიდამ და 9 აგვისტოდამ 1885 წ.№1363, საქართველოს საეგზარხოსოის ახლად დაყოფაზე ეპარქიებად შტატითურთ ეპარქიალურ სამართველოთა, ჟურნალი „მწყემსი," 1885,№18, გვ. 2-3.

ვიკარ-ეპისკოპოსი იყო ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, 1898 წლის 19 აპრილიდან 1900 წლის 12 აპრილამდე გორის საეპისკოპოსოს განაგებდა ალექსანდრე ოქროპირიძის ძმისშვილი ლეონიდე ოქროპირიძე.[658] 1900 წლის 12 აგვისტოდან 1902 წლის 10 მარტამდე საეპისკოპოსოს მართავდა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, 1902 წლის 12 აპრილიდან 1905 წლის 16 თებერვლამდე გორის ვიკარ-ეპისკოპოსი იყო ბენიამინ ბარსუკოვი, 1905 წლის 19 მაისიდან 1906 წლის 10 ნოემბრამდე ეპისკოპოსი ექვთიმე ელიევი (ელიაშვილი), 1907 წლის 6 აპრილიდან 1909 წლის 5 თებერვლამდე ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი. გორის უკანასკნელი ვიკარ-ეპისკოპოსი 1912 წლის 26 იანვრიდან 1917 წლის მარტამდე იყო ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე. გორის ვიკარ-ეპისკოპოსები ძირითადად ცხოვრობდნენ თბილისში და ეგზარქოსს ეხმარებოდნენ ეპარქიის მართვაში. საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე არსებობდა სამაზრო სასულიერო სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში.[659]

გორის ვიკარ-ეპისკოპოსებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი. 1839 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა მოითხოვდა, რომ გორის ვიკარ-ეპისკოპოსებად რუსი ეროვნების ეპისკოპოსი დაენიშნათ, რის წინააღმდეგ იმპერატორი ნიკოლოზ პირველი წასულა. მან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის აღნიშნულ თხოვნას, როგორც ეპისკოპოსი კირიონი გადმოგვცემს: „გონივრული რეზოლუცია დაადო." რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი მართებულად მიიჩნევდა, რომ „ქართული ენა იმ მხარეში (შიდა ქართლი ე.ბ.) საჭიროა და ადგილობრივი ქართველი არხიმანდრიტებიდან ამოირჩიეთ კანდიდატი საეპისკოპოსოთო." აღსანიშნავია, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორას ასეთივე სურვილი ჰქონდა 1841 წელს იმერეთის ეპარქიაში მიტროპოლიტ სოფრონის გარდაცვალების შემდეგ რუსი მღვდელმთავარი დაენიშნა, მაგრამ ისევ იმპერატორის წინააღმდეგობის გამო თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.[660]

ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიის ვიკარ-საეპისკოპოსოს წარმოადგენდა ალავერდის საეპისკოპოსო, რომელიც ამ სტატუსით არსებობდა 1886 წლიდან. მანამდე იგი, ავტოკეფალიის გაუქმების პირველ წლებში 1811 წლის 30 ივნისიდან 1814 წლის 30 აგვისტომდე კახეთის ეპარქიასთან იყო გაერთიანებული და მღვდელმთავრის მოვალეობას ასრულებდა მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი, 1814 წლის 30 აგვისტოდან 1818 წლის იგი გაერთიანებული იყო თელავისა და საქართველო-კავკასიის ეპარქიასთან და მისი მმართველი იყო მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური. შემდგომ იგი ქართლ-კახეთში ეპარქიის დაქვემდებარებაში იყო, 1886 წლიდან ალავერდის

658 Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви, Тифлис, 1901, стр. 84-85.

659 ე. ბუბულაშვილი, გორის სავიკარიო, საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 2012, გვ. 118.

660 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლისვილის პირადი ფონდი, საქმე 221; შდრ. ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 3, 1990, გვ. 62.

სავიკარიო მოიცავდა ახმეტის, თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარელის, ლაგოდეხის, დედოფლის წყაროს ტერიტორიებს.[661]

ალავერდის ვიკარ-ეპისკოპოსები იყვნენ: 1886 წლის პირველი მარტიდან 1898 6 ივნისამდე ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი; 1898 წლის 23 აგვისტოდან 1900 წლის 12 აგვისტომდე კირიონ საძაგლიშვილი; 1902 წლის 23 აპრილიდან 1903 წლის 4 ნოემბრამდე დიმიტრი აბაშიძე; 1903 წლის 30 ნოემბრიდან 1905 წლის 19 მაისამდე ექვთიმე ელიაშვილი; 1905 წლის 13 ნოემბრიდან 1907 წლის 6 აპრილამდე ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი; 1907 წლის 4 ნოემბრიდან 1912 წლის 17 აპრილამდე ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე. ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან დაპისისპირების გამო ეპისკოპოსი დავითი საქართველოდან გაიწვიეს, ხოლო ალავერდის საეპისკოპოსო რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით გააუქმეს. 1915 წლის 10 დეკემბერს აღდგა ალავერდის ვიკარ-საეპისკოპოსო, რომლის მმართველად დაინიშნა არქიმანდრიტი პიროს ოქროპირიძე, რომელსაც 1916 წლის 15 იანვარს პეტერბურგში ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. იგი 1916 წლის 11 მარტამდე მართავდა ალავერდის საეპისკოპოსოს.[662]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტკეფალიის აღდგენის შემდეგ ალავერდის ვიკარ-საეპისკოპოსო გაუქმნდა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მრევლი დაექვემდებარა ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპაქრიას. თუმცა, ამ მხარეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში „ოსეთის სასულიერო კომისია" ქართველ მისიონერთა მეშვეობით ავრცელებდა ქრისტიანობას. ხოლო 1815 წლიდან აღდგენილმა იგივე კომისიამ კვლავ დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. მართალია მისიონერთა მოღვაწეობას ხელი შეუშალა კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლამ, მაგრამ 1857-1862 წლებში ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულთათვის ალაგირსა და ვლადიკავკაზში დაარსდა სასულიერო სკოლა. XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიის დაპყრობის შემდეგ ამ მხარეში სამისიონერო მოღვაწეობა გააქტიურა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ." მისი ძალისხმევითა და მისიონერთა საქმიანობით გაიზარდა ახლადმოქცეულთა რაოდენობა, აშენდა ახლი ეკლესიები, გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები, რამაც მოამზადა ნიადაგი საეპისკოპოსოს გახსნისათვის. 1875 წლის 3 აპრილის რუსეთის იმპერატორიის ალექსანდრე მესამის გადაწყვეტილებით შეიქმნა ვლადიკავკაზის ვიკარ-საეპისკოპოსო ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიის შემადგენლობაში. პირველ მღვდელმთავრად დაინიშნა არქიმანდრიტი იოსებ ჩეპიგოროვსკი (1875 წლის 30 ნოემბრიდან 1889 წლის 22 ივლისამდე), რომ-

661 Кавказскиий календар на 1886 году, Тифлис, 1885, стр. 141; შდრ. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви, Тифлис, 1901, стр. 85-86; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართლ-კახეთის ეპარქია ეგზარქოსობის დროს, ანალები, №8, 2012, გვ. 300-330.

662 С. В. Булгаков, Настольная книга священно-церковнослужителя. М., 1993, Т. 2.

ლის ეპისკოპოსად კურთხევა მოხდა 1875 წლის 13 ნოემბერს თბილისის სიონის ტაძარში. მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია. მის დროს ვლადიკავკაზში აშენდა წმინდა მიხეილ არხანგელსკის საკათედრო ტაძარი და სხვა. 1885 წელს ვლადიკავკაზის ეპარქია საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დამოუკიდებელი ეპარქიის (Владикавказская епархия Грузинского экзархата) სახით გაერთიანდა. 1894 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვლადიკავკაზის ეპარქია გამოვიდა საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობიდან და იგი უშუალოდ დაექვემდებარა რუსეთი უწმინდეს სინოდს.

საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში ყოფნის დროს ვლადიკავკაზის ეპარქიის მღვდელმთავრები იყვნენ: პეტრე ლოსევი (1889 წლის 22 ივლისიდან 1891 წლის 3 მაისამდე), იოანიკ კაზანსკი (1891 წლის 3 მაისიდან 1892 წლის 23 აგვისტომდე), თეოდოს როჟდესტვენსკი (1892 წლის 23 აგვისტოდან 1893 წლის 12 ივნისამდე), ვლადიმირ სენკოვსკი (1893 წლის 12 ივნისიდან 1904 წლის 12 აგვისტომდე).[663]

1905 წლის 19 მაისს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით შეიქმნა ბაქოს ვიკარ-საეპისკოპოსო და იგი დაექვემდებარა ქართლ-კახეთის ეპარქიას. მისი ტერიტორია მოიცავდა ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებს. მის მრევლს წარმოადგენდა რუსი, ქართველი და სხვა ეროვნების მართმადიდებელი მრევლი. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ბაქოში ნავთობის წარმოების გამო გაზრდილი იყო მართლმადიდებელ ქრისტიანთა რიცხვი. განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა ქართველებისა, სადაც მათ ჰქონდათ ქართული თეატრი, ეკლესია, ქართული სკოლა, ბიბლიოთეკა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი.

ბაქოს სავიკარიოს ეპისკოპოსები იყვნენ: 1905 წლის 19 მაისიდან 2 ნოემბრამდე ნიკანდრე ფენომენოვი; 1905 წლის ივლისიდან 1907 წლის 6 აპრილამდე პეტრე კონჭოშვილი; 1907 წლის 9 მაისიდან 1910 წლის 31 დეკემბრამდე გრიგორი ვახნინი; 1911 წლის 13 თებერვლიდან 1912 წლის 13 დეკემბრამდე პიმენ პეგოვი; 1912 წლის 13 დეკემბრიდან 1917 წლის 13 ნოემბრამდე გრიგორი იაცკოვსკი.[664]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების (1917 წლის 12 მარტი) შემდეგ ბაქოს იმდროინდელი ეპისკოპოსი გრიგორი იაცკოვსკი არ დაემორჩილა ქართველ სასულიერო პირთა გადაწყვეტილებას და ყოფილ ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან ერთად აშკარად დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1917 წლის 13 ნოემბერს ეპისკოპოსი გრიგორი გათავისუფლდა ბაქოს ეპარქიის მმართველობისაგან, რადგან 1917 წლის 23 აგვისტოს პლა-

663 Е. К. Краткий очерк истории грузинской церкви, Тифлис, 1901, стр. 83-84; შდრ. Гедеон, (Докукин) История христианства на Сев Кавказе до после присоединения его к России, М. Пятигорск, 1992, стр. 56 შდრ. Православная энциклопедия Т. VIII, М., 2004, стр. 627.

664 Православная энциклопедия, т. IV, М. стр. 274.

ტონ როჟდესტვენსკიმ მიიღო თბილისის, ბაქოსა და კავკასიის ეგზარქოსიის ტიტული. მცირე ხნის შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის საპატრიარქოს წმ. სინოდმა მას მიანიჭა ბაქოსა და ელიზავეტოპოლის ტიტული კავკასიის საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში. კავკასიის საეგზარქოსოს გაუქმების (1919 წლის თებერვალი) შემდეგ ეპარქიას დაუბრუნდა ბაქოს ეპარქიის სახელი.[665]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა ბაქოს ეპარქიის განახლება, XX საუკუნის ოციანი წლებიდან დღემდე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ეკლესიები და მრევლი, მათ შორის საინგილოს ქართული ტაძრები და იქაური ქართველი მრევლი ოფიციალურად რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაშია, რომელსაც სტავროპოლის ეპარქია განაგებს. თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ეკლესიასთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით ხდება საინგილოს ქართველ მართლმადიდებელ მრევლთან საქართველოდან ქართველი სასულიერო პირთა გაგზავნა.

1912 წლის 13 დეკემბრის უწმინდესი სინოდის დადგენილებით რუსეთის იმპერიაში სომხეთის ტერიტორიებზე დაფუძნდა საქართველოს საეგზარქოსოს ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ერევნის სავიკარიო. ერევნის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობის გარდა, იგი, აგრეთვე მოიცავდა ისტორიული საქართველოს თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ლორის სამრევლოს მართლმადიდებელი მოსახლეობასაც.

ერევნის ვიკარ-ეპისკოპოსები იყვნენ: 1912 წლის 13 დეკემბრიდან 1915 წლის 12 თებერვლამდე პიმენ პეგოვი; 1915 წლის 12 თებერვლიდან 1916 წლის 24 მარტამდე ლეონტი ვიმპფენი; 1916 წლის 26 აპრილიდან 1917 წლის 3 ივლისამდე დამიანე გოვოროვი.[666]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სომხეთის სავიკარიო ახლადშექმნილ კავკასიის საეგზარქოსოს დაექვემდებარა და ევქარისტული ურთიერთობა გაწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. იმ დროისათვის ერევნის სავიკარიოს ექვემდებარებოდა ალექსანდროპოლში, ყარსში, ერევანში, სარიყამიშში, კარაკურტში, კაგიზმანში, ჯალალ-ოღლიში, კანაკარში, ოლთისში, არზნის სოფლებში, დიმიტროვში, ანკვანში და სხვა დასახლებულ პუნქტებში 30 მართლმადიდებლურ ეკლესიაზე მეტი. კავკასიის საეგზარქოსოს გაუქმების შემდეგ ერევნის ეპარქია უშუალოდ რუსეთის საპატრიარქოს შემადგენლობაში მოექცა. 1943 წლის 19 ნოემბერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით სომხეთის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი მრევლი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა.[667]

---

665 Православная энциклопедия, т. IV, М. стр. 274.

666 Православная энциклопедия, т. XVIII, М. стр. 593.

667 ЖМП. 1943. №3. С. 4; შდრ. საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ლოცვით - კანონიკური კავშირის აღდგენა, თარგმნა თ. ფანცულაიამ, რუსეთ-საქართვე-

ამჟამად ერევანში არსებული მხოლოდ ერთი მართლმადიდებელი ტაძარია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში. XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გამო სომხეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამრევლოები რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა. 2017 წლის 17 დეკემბერის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა შექმნა საბლაღოჩინოს ოლქი, რომელიც აერთიანებს სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ რუსულ სამრევლოებს და გააჩნია სტავროპიგიალური სტატუსი და უშუალოდ მოსკოვის პატრიარქის დაქვემდებარებაშია. 2019 წლის მონაცემებით საბლაღოჩინოს შემადგენლობაშია 8 ტაძარი, რუსულ ენაზე ტარდება ღვთისმსახურება. მრევლს ემსახურება 5 რუსეთის ეკლესიის სასულიერო პირი.

1916 წლის მონაცემების მიხედვით ქართ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქიას ექვემდებარეოდა ოთხი სავიკარიო: ბაქოს, ერევნის, გორის და ალავედის. ეპარქიას მართავდა საქართველოს ეგზარქოსი, რომლის საკათედრო ტაძრად ითვლებოდა თბილისის სიონის ტაძარი. ამ დროისათვის ეპარქიაში იყო შემდეგი მამათა მონასტრები: თბილისის ფერიცვალების, შუამთის, ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის, ქვათახევის ღვთისმშობლის სახელობის, ვარძიის მიძინების სახელობის, მარტყოფის წმ. ანტონის სახელობის, ეგზარქოსის სახლთან არსებული წმ. სამების მონასტერი, მიხაელ ალავერდელის, ზედაზნის, საფარის, შიომღვიმის, კობის ღვთისმშობლის მიძინების, დავით გარეჯის, იოანე ნათლისმცემლის; დედათა მონასტერი იყო: ახტალის, მამკოდის, ბოდბის, ხუდანაბასკის, მცხეთის სამთავროს, აქვე იყო სკიტი წმ. არჩილის და იღუმენ ოლღას თემი.[668]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლისა და კახეთის ეპარქიის ვიკარ-ეპისკოპოსების უფლებები სხვა ეპარქიის მმართველებთან შედარებით საგრძნობლად იყო შეზღუდული. მათ ქართლის-კახეთის ეპარქიის მმართველის ეგზარქოსის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ სასულიერო პირთა კურთხევა და სხვა.

ქართლისა და კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია გაუქმნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. 1917 წლის სექტემბერში გამართული საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მის ტერიტორიაზე შეიქმნა მცხეთის, თბილისის, ალავერდის, ბოდბის და ურბნისის ეპარქიები.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეპარქიული ცვლილებები შეეხო დასავლეთ საქართველოსაც. როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს გაუქმებისთანავე ვერ მოხერხდა საეკლესიო რეეფორმების ჩატარება და ახალი ეპარქიების დაარსება იქ მიმდინარე აჯანყებისა და მოსახლეობის უკმაყოფილობის გამო. 1821 წლის 19 ნოემბერის გადაწყვეტილებით იმერეთში მანამდე არსებული ოთხი ეპარქიის (ქუთაისისა და გელათის

ლოს ურთიერთობანი: ისტორია და თანამედროვეობა, სტატიების კრებული, თბ., 2015, გვ. 7; შდრ. Православная энциклопедия, т. XVIII, М. стр. 593-595.

668 Кавказский календар на 1916 году, Тифлис, 1917, стр. 743.

სამიტროპოლიტო; ხონისა და რაჭის საეპისკოპოსო) ნაცვლად დაწესდა ერთი – იმერეთის ეპარქია. იმერეთის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი სოფრონი (წულუკიძე), საკათედრო ტაძრად გამოცხადდა ქუთაისის მიძინების ეკლესია, ხოლო ეპარქიის მმართველის რეზიდენცია მდებარეობდა არქიელის გორაზე. იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრები. 1863 წლის 18 ნოემბრიდან 1885 წლამდე ახლადშემოერთებული ახალციხე-ახალქალაქის ოლქში არსებული ეკლესიები იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა.[669]

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის თავდაპირველ ეტაპზე სხვადასხვა დროს იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა ახალად შექმნილი ეპარქიები. 1833 წლიდან 1844 წლის პირველ აპრილამდე გურიის ეკლესიებს იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავარი მართავდა. 1869 წლის 30 მაისიდან 1885 წლის 12 ივლისამდე აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში იყო, ხოლო 1874 წლის 16 მაისიდან 1885 წლის 12 ივლისამდე სამეგრელოს ეპარქია სავიკარიოს სახელით იმერეთის ეპარქიის იურისდიქციაში შედიოდა.[670]

ეგზარქოსობის პერიოდში იმერეთის ეპარქიას მართავდნენ ქართველი მღვდელმთავრები: მთავარეპისკოპოსი სოფრონ წულუკიძე (1821 წლის 19 ნოემბრიდან – 1843 წლამდე); მიტროპოლიტი დავით წერეთელი (1843 წლიდან – 1853 წლის 14 თებერვლამდე); ეპისკოპოსი ეფვთიმე წულუკიძე (1853 წლის 14 თებერვლიდან 1856 წლის 4 აპრილამდე); ეპისკოპოსი გერმანე გოგოლაშვილი (1856 წლის აპრილიდან 1860 წლის 2 ივლისამდე); ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (1860 წლის 2 ივლისიდან 1896 წლის 26 იანვრამდე); 1896 წლის 15 ივნისიდან გაბრიელ ქიქოძის ავადმყოფობის გამო დროებით ეპარქიას განაგებდა ალავერდის ვიკარ-ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი. შემდგომ იგივე მღვდელმთავარი 1898 წლის 6 ივლისიდან 1900 წლის 4 აგვისტომდე იმერეთის ეპარქიის მმართველია; ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე (1900 წლის 12 აგვისტოდან 1908 წლის 1 თებერვლამდე); ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი (1908 წლის 1 თებერვლიდან 1917 წლის 17 სექტემბრამდე).[671]

იმერეთის ეპარქიის რეორგანიზაციის მიზნით საქართველოს საეგზარქოსომ მნიშვნელოვანი გარდაქმნები გაატარა. რეფორმამდე არსებული ათი მონასტრის ნაცვლად იმერეთის ეპარქიაში თავისი არსებობის მანძილზე იყო ექვსი მონასტერი: გელათის, ჯრუჭის, მოწამეთას, კაცხის, ჭელიშის და მღვიმის დედათა მონასტერი. ამავე პერიოდში არსებობდა ორი საარქიმანდრიტო: კიკოს მონასტრის არქიმანდრიტი, რომელიც ზემო იმერეთის ვარძიის

669 საქართველოს სასულიერო მახარებელი, №1, 1864, გვ. 66.

670 ე. ბუბულაშვილი, იმერეთის ეპარქია ეგზარქოსობის პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2009, № 1(5), გვ. 311-322; შდრ. Э. Бубулашвили, Имеретинская Епархия, Православная энциклопедия. Т. 22. Москва, 2010. стр. 240-242.

671 Е. К., краткий очерк история Грузинской церкви и экзархата за XIX сталетие, Тиф. 1901, стр. 71-72; შდრ. ჟურნალი, „მწყემსი," 1896, 4, გვ. 5.

ღვთისშობლის ეკლესიას განაგებდა და ქუთაისის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი.[672] ჩამოთვლილი მონასტრებიდან მხოლოდ გელათი იქნა მიჩნეული პირველი კლასის მონასტრად. გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ითვლებოდა, სადაც ჯერ კიდევ, XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა დაარსა აკადემია. ქართველ მეფეთა მზრუნველობით გელათის მონასტერში არსებობდა მრავალი სიწმინდე. ეგზარქოსობის პერიოდში გელათის მონასტერი არა ერთხელ გაიქურდა. უკვალოდ გაქრა იქ დაცული წმინდა ნაწილები.[673]

იმერეთის ეპარქია დაყოფილი იყო სამ საბლაღოჩინო ოლქად, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპით იყო ჩამოყალიბებული. თითოეულ ოლქში რამდენიმე ბლაღოჩინი მოღვაწეობდა. XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისის მაზრაში იყო ქუთაისის, ვანის, კულაშის, სვირის, ოკრიბის და სიმონეთის გამგებელი ბლაღოჩინი; შორაპნის მაზრაში: შორაპნის, საჩხერის, ხარაგაულის, სვერის და ჩხარის; ხოლო რაჭის მაზრაში: ონის, ბარის, სადმელის და ნიკორწმინდის.[674] იმერეთის ეპარქიაში საბლაღოჩინო მონასტრად ითვლებოდა მხოლოდ გელათისა და ჭელიშის მონასტრები.[675]

ეპარქიის ჩამყალიბებიდან საქართველოს საეგზარქოსომ მნიშვნელოვანი გარდაქმნები გაატარა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო ეპარქიის თითოეულმა მღვდელმთავარმა.[676]

იმერეთის ეპარქიის საეკლესიო შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის შენახვას, ნაწილი ეპარქიაში არსებულ სასულიერო სასწავლებლებს. აქედან გაიცემოდა შტატიან სამღვდელო პირთა ხელფასები. ნაწილი თანხისა ყოველწლიურად ირიცხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდში. დარჩენილ თანხას სახელმწიფო თავის სურვილისამებრ განკარგავდა.

ეპარქიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოდგენდა ახალი მმართველობის დროს ეკლესია-მონასტრებისადმი დამტკიცებული სახნავ-სათესი მიწები და სხვა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში უკიდურესად გაჭირვებული სამღვდელოების დახმარების მიზნით ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ დაარსა „დამხმარე სალარო." მანვე 1891 წელს ქუთაისის სამაზრო სასულიერო სასწავლებლის

672 Кавказский календарь на 1855 год, Тиф. 1854, стр. 650, შდრ. ე. ბუბულაშვილი, იმერეთის ეპარქია ეგზარქოსობის პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2009, № 1(5), გვ. 311-322; შდრ. Э. Бубулашвили, Имеретинская Епархия, Православная энциклопедия. Т. 22. Москва. 2010. стр. 240-242.

673 მ. კეზევაძე, გელათი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 143-153; შდრ. გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვება), ქუთაისი, 2008, გვ. 230-305.

674 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, საქმე 2014; შდრ. საქართველოს კალენდარი 1891 წლის, ტფ. 1890, გვ. 184.

675 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწ. 1, ს. საქმე 780, ფურცელი 1; შდრ. Кавказский календарь на 1886 год, Тиф. 1885, стр. 70.

676 გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვება), ქუთაისი, 2008, გვ. 230-305.

ღარიბ მოსწავლეთა დახმარების მიზნით დააფუძნა „წმ. დავით აღმაშენებლის ძმობა."[677]

ეპარქიის რეორგანიზაცია შეეხო სასულიერო განათლების სფეროს. 1814 წელს საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა ეკლესია-მონასტრებთან არსებულმა სკოლებმა. მათ ნაცვლად დაარსდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 1894-1904 წლებში ქუთაისში ფუნქციონირებდა ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის მიერ დაარსებული ქუთაისის სასულიერო სემინარია. მისივე ძალისხმევით 1892 წლის იანვარიდან ქუთაისში არსებობდა ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელსაც ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების მოთხოვნით გაბრიელ ეპისკოპოსის იმერეთის ეპარქიაში 30 წლის მოღვაწეობის გამო, მისი სახელი ეწოდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იმერეთის ეპარქიაში აღდგა სამრევლო-საეკლესიო სკოლები, რომლებიც იყო ერთკლასიანი, სადაც მოსწავლეები 2-3 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე ღებულობდნენ პირველდაწყებით განათლებას. აღიშნულ სასწავლებლებში ყოველგვარი გასამჯელოს გარეშე სასულიერო პირები შეგირდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რუსულ ენას, საღმრთო რჯულს, ართმეტიკას და სხვა. ასეთი ტიპის სასწავლებლები ფუნქციონირებდა როგორც ქალაქად ისე სოფლად. მათი რიცხვი თანდათან ფართოვდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს იმერეთის ეპარქიაში იყო 90 -მდე საეკლესიო-სამრევლო სკოლა.[678]

იმერეთის ეპარქიას, რუსეთში არსებული ეპარქიებისაგან განსხვავებით, საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა, მაგრამ 1883-1910 წლებში შოროპნის მაზრის ბლაღოჩინი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე საკუთარი ხარჯით სცემდა ყოველკვირეულ რელიგიური ხასიათის ჟურნალს „მწყემს," რომელშიც მთავრობის განკარგულებების გარდა იბეჭდებოდა სარწმუნოებრივი თემატიკისადმი მიძღვნილი საკითხები. მისივე რედაქტორობით, 1886-1903 წლებში რუსულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „Пастырь."[679]

1908-1915 წლებში ქუთაისში კერძო დაფინანსებით მღვდელი სიმონ მჭედლიძე გამოსცემდა ყოველკვირეულ გაზეთს „შინაური საქმეები," რომელიც აშუქებდა საეკლესიო და საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხებს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება აქტიურად ჩაერთო. 1905 წლის 16-22 მარტს ქუთაისში გამართულმა იმერეთის სამღვდელოების 45-ე კრებამ მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მოთხოვნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ (1900-1908) სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის უწმინდეს სინოდში გაგზავნილ იმ პეტი-

677 გაზეთი „დროება," 1891, 71; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რელიგია, 2003, 4-5-6, გვ. 33-34.

678 ი. ბასილაძე, ქ. ძოწენიძე, ს. კუპრაშვილი, სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006, გვ. 94.

679 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რელიგია, 2003, 4-5-6.

ციას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდა. 1906 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით პეტერბურგში რუსეთის უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომებში.[680]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წლის 12 მარტი) შემდეგ, 1917 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ იმერეთის ეპარქია გააუქმა და მისი იურისდიქციის საზღვრებში შეიქმნა სამი ეპარქია: ქუთაისის სამიტროპოლიტო, გაენათისა და ნიკორწმინდის ეპარქიები.

ეგზარქოსობის დროს დასავლეთ საქართველოში არსებულ ეპარქიებს შორის აღსანიშნავია აფხაზეთის ანუ სოხუმის ეპარქია. 1810 წელს აფხაზეთის სამთავროს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის დროს ქრისტიანობა მომხდური მტრის შემოსევების შედეგად შესუსტებული იყო, უძველეს ქართულ ქრისტიანულ ტაძრებში აღარ აღევლინებოდა წირვა-ლოცვა. XIX საუკუნის დასაწყისიდან სამისიონერო მოღვაწეობის გააქტიურებით ქრისტიანობას დაუბრუნდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.[681] აფხაზეთის სამთავროს ქრისტიანული მრევლი და აქ არსებული ქართული ეკლესიები 1814 წელს დასავლეთ საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ დაექვემდებარა ჯერ ცაგერის, მისი გაუქმების შემდეგ ჭყონდიდის ეპარქიას, ხოლო 1829 წლიდან სამეგრელოს ეპარქიას. სამეგრელოს მთავარი და სამეგრელოს მღვდელმთავრები აფხაზეთში ქართველი მისიონერების მეშვეობით ხელს უწყობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას, მომრავლდა მართმადიდებელ ქრისტიანთა რაოდენობა, გაიხსნა ახალი ეკლესია-მონასტრები, ძველი ქრისტიანული სიწმინდეები შეკეთდა. სამისიონერო მოღვაწეობის გააქტიურებისა და რუსული პოლიტიკის განხორციელების მიზნით რუსეთის იმპერატორის 1851 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შეიქმნა აფხაზეთის საეპისკოპოსო. დამტკიცებული იქნა ახალი საშტატო ერთეულები. ახლადგახსნილ აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრაზე მთავრის მიხეილ შერვაშიძის წინადადებით დანიშნა მისი მოძღვარი გერმანე გოგოლაშვილი, რომელიც 1851 წლის 8 სექტემბერს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში იქნა აყვანილი ეპისკოპოსიის ხარისხში.

აფხაზეთის ეპარქიის მმართველები იყვნენ ქართველი ეპისკოპოსები: 1851 წლის 8 სექტემბრიდან 1856 წლის 2 სექტემბრამდე – გერმანე გოგოლაშვილი; 1856 წლის 2 სექტემბრიდან 1857 წლის 6 ოქტომბრამდე – ალექსანდრე ოქროპირიძე; 1857 წლის 6 ოქტომბრიდან 1859 (თუ 1862) წლის 16 ნოემბრამდე – გერონტი პაპიტაშვილი; 1862 წლის 4 მარტიდან 1869 წლის 30 მაისამდე მეორედ დაადგინეს ეპარქიის მმართველად ალექსანდრე ოქროპირიძე. 1869

680 ე. ბუბულაშვილი, იმერეთის ეპარქია ეგზარქოსობის პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2009, №1(5), გვ. 311-322; შდრ. Э. Бубулашвили, Имеретинская Епархия, Православная энциклопедия. Т. 22. Москва. 2010. стр. 240-242.

681 ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, (I-1921 წ.), თბ., 2005, გვ. 365; შდრ. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX—XX სს), გვ. 79.

წლის 30 მაისის აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიასთან გააერთიანეს, რის გამოც ეპარქიას 1886 წლამდე მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე.[682]

მძიმე პირობების მიუხედავად ქართველი მღვდელმთავრები აქტიურად იბრძოდნენ აფხაზეთში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ, ამხელდნენ მათ დიდმპყრობელურ პოლიტიკას, მოითხოვდნენ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლებას, წირვა-ლოცვის ჩატარებას ქართულ ენაზე აფხაზეთის იმ ნაწილში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა. მათივე სურვილი იყო აფხაზებისათვის წირვა-ლოცვის ჩატარება აფხაზურ ენაზე და ამავე ენაზე შესაბამისი საღვთიმსახურო ლიტერატურის მომზადება. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ალექსანდრე ოქროპირიძე და გაბრიელ ეპისკოპოსი. რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო ქართველ მღვდელმთავართა მოღვაწეობა აფხაზეთში. ისინი ხედავდნენ, რომ მისი ყოველი წარმატება ხელს უწყობდა აფხაზეთში ქართველთა პოზიციების გამყარებას. აღნიშნულის გამო, 1885 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით აფხაზეთის ეპარქიის ნაცვლად დაარსეს სოხუმის ეპარქია, კათედრად გამოცხადდა სოხუმის ალექსანდრე ნეველის ტაძარი, რომლის მმართველებად 1886 წლიდან ინიშნებოდნენ რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი რუსი ეროვნების მღდელმთავრები, (გამონაკლისი იყო 1906 წელი სოხუმის ეპარქიის მმართველად ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის მცირე ხნით დანიშვნა). აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი იყო ამ ძირძველი ქართული კუთხის საქართველოდან ჩამოშორება, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია და რუსული პოლიტიკის გატარება.

ეგზარქოსობის დროს სოხუმის ეპარქიის მმართველები იყვნენ ეპისკოპოსები: 1886 წლის 28 დეკემბრიდან 1889 წლის 31 მარტამდე გენადი პავლინსკი; 1889 წლის 29 მაისიდან 1891 წლის 12 თებერვლამდე ალექსანდრე ხოვანსკი; 1891 წლის 2 მარტიდან 1893 წლის 17 ივლისამდე აგაფოდორი პრეობრაჟენსკი; 1893 წლის 19 ექტემბრიდან 1895 წლის 17 იანვრამდე პეტრე დრუგოვი; 1889 წლის 2 თებერვლიდან 1905 წლის 26 მარტამდე არსენ იზოტოვი; 1905 წლის 10 აპრილიდან 1906 წლის 3 თებერვლამდე სერაფიმე ჩიჩაგოვი; 1906 წლის 3 თებერვლიდან 1907 წლის 25 იანვრამდე კირიონ საძაგლიშვილი; 1907 წლის 25 იანვრიდან 1911 წლის 25 ივლისი დიმიტრი სპეროვსკი; 1911 წლის 25 ივლისიდან 1913 წლის 22 დეკემბრამდე ანდრია უხტომსკი; 1913 წლის 22 დეკემბრიდან 1920 წლამდე სერგეი პეტროვი.

1916 წლის მონაცემებით სოხუმის ეპარქიაში იყო შემდეგი მონასტრები: დრანდის ღვთისმშობლის მიძინების, ახალი ათონის, წმინდა სამების, ვასილისკოს და იოანე ოქროპირის, მოქვის ღვთისმშობლის მიძინების, ბედიის ვლაქერნის სახელობის. ეპარქიაში იყო ეპარქიალური სასწავლებელი, ცალკე სასწავლებელი იყო აგრეთვე ახალ ათონის მონასტერში. სასულიერო სასწავლებელში და მონასტერში ძირითადად მოღვაწეობდნენ რუსი სასულიერო

682 Е. К., Краткий очерк история Грузинской церкви и экзархата за XIX сталетие, Тиф. 1901. стр. 80.

პირები. ეპარქიაში იყო ალექსანდრე ნეველის სახელობის ძმობა.[683] ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ გამართულმა პირველმა საეკლესიო კრებამ 1917 წლის სექტემბერში გააუქმა სოხუმის ეპარქია და მის მაგივრად დაწესდა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეული ცხუმ-ბედიის ეპაქია, რომელიც მოიცავდა ისტორიული ეპარქიების: დრანდის, ცხუმის, მოქვის, ბიჭვინთის და იმდროინდელი სოხუმის ოლქისა და გაგრის ტერიტორიებს, რეზიდენციად გამოცხადდა სოხუმი იგივე ცხუმი.[684]

დასავლეთ საქართველოში ეკლესიის რეორგანიზაციის შედეგად სამეგრელოს ეპარქია დაარსდა 1829 წლის 23 ივნისს. ახლადშექმნილი ეპარქიის იურისდიქცია სამეგრელოს სამთავროს კუთვნილ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. სამეგრელოს მთავარი, რომელიც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ამ უკანასკნელთან შეთანხმების გარეშე, 1803 წელს რუსეთის მფარველობაში შევიდა. იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810 წ.) შემდეგ სამეგრელოს სამთავრომ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე შეინარჩუნა ავტონომიური უფლება. ავტოკეფალიის გაუქმებამდე სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე არსებული ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლობაში შედიოდა. 1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში სამეგრელოს მთავრის სურვილით სამთავროს ტერიტორიაზე არსებულ ეპარქიებში საეკლესიო რეორგანიზაციის პროცესი ვერ განხორციელდა. საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე შეეცადა რუსეთის უწმინდესი სინოდის 1818 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამეგრელოში განეხორციელებინა საეკლესიო გარდაქმნები, მაგრამ იმხანად ე. წ. „საეკლესიო ბუნტის" გამო რომელსაც გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობაც თანაუგრძნობდა, აღნიშნული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

სამეგრელოს მთავარი ლევან V (1805-1840), მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსეთის ქვეშევრდომობას აღიარებდა, წინააღმდეგი იყო მომხდარიყო სამთავროს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ქონებისა და ეკლესია-მონასტრების აღწერა. სამეგრელოს მთავარი საქართველოს საეგზარქოსოს მიერ დაგეგმილ სამთავროს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო უწყების რეორგანიზაციას რუსეთის ხელისუფლების მიერ მინიჭებული ავტონომიური სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევდა. აღნიშნულის გამო რუსეთის ხელისუფლება სიფრთხილით ეკიდებოდა სამეგრელოს სამთავროში ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხს. თუმცა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის სინოდის 1821 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით ეკლესიის რეორგანიზაცია აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო. 1824 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ (1821-1832) რუსეთის სინოდისგან მიიღო თანხმობა, რომ სამეგრელოს მთავართან შეთანხმებითა და მისი ინტერესების გათვალისწინებით განეხორციელებინა

683 Кавказский календарь на 1916 год, Тиф. 1917, стр. 756.

684 დებულებანი, მიღებული საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, ტფ. 1917, გვ. 3.

საეკლესიო რეორგანიზაცია. ეგზარქოს იოანას მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით სამეგრელოს სამთავროში 1825 წლისთვის იყო 3 ეპაქრია: 1. ჭყონდიდის ეპარქია, რომლის მმართველი იყო მიტროპოლიტი ბესარიონ დადიანი, კათედრა მდებარეობდა მარტვილში; ეპარქიაში იყო 102 სამრევლო ეკლესია, 2 არქიმანდრიტი და 17 მონაზონი. 2. ცაგერის ეპარქიის მმართველი იყო იოანე (დადიანი). მის დროს ეპარქიაში იყო 70-მდე სამრევლო და საკათედრო ტაძარი და ერთი საირმის უდაბნო, მონაზვნების რაოდენობა – 88. 3. ცაიშის ეპარქია – მმართველი მიტროპოლიტი გრიგოლი (ჩიქოვანი). ეპარქიაში იყო 1 საკათედრო ტაძარი და 60-მდე სამრევლო ეკლესია. მონაზონი – 4, ეპარქიაში ამ დროისთვის არ იყო მონასტერი.

1822 წლის 9 დეკემბერს ცაიშისა და ცაგერის ეპარქიის მღვდელმთავრების მიტროპოლიტ გრიგოლისა (ჩიქოვანი) და მიტროპოლიტი იოანეს (დადიანი) გარდაცვალების შემდეგ მათი ეპარქიები გაუქმდა და შეუერთდა ჭყონდიდის ეპარქიას, რომელსაც მიტროპოლიტი ბესარიონ დადიანი განაგებდა. 1828 წელს მიტროპოლიტ ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის 1829 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ჭყონდიდის ეპარქიას სახელი შეეცვალა და მას ეწოდა სამეგრელოს ეპარქია; საკათედრო ტაძრად დადგინდა მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი.

XIX საუკუნის 20-იან წლებში სამეგრელოს სამთავროში გაიზარდა მღვდელმსახურთა და ეკლესია-მონასტრების რიცხვი. 1827 წლის მონაცემების მიხედვით ჭყონდიდის ეპარქიაში სამრევლო ეკლესია იყო 118, დეკანოზი – 6, იღუმენი – 6, ბერ-მონაზონი – 9, მღვდელი – 145, დიაკონი – 80; ყოფილი ცაგერის ეპარქიაში კი დასახელებულ წელს სამრევლო ეკლესია იყო 68, მონაზონი – 3, მღვდელი – 94, დიაკონი – 13; ცაიშის ყოფილ ეპარქიაში: სამრევლო ეკლესია – 27, იღუმენი – 2, მღვდელი – 31, დიაკონი – 2.[685]

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, შემდგომ კი სამეგრელოს ეპაქრიის მმართველი შედიოდა სამთავროს კარზე არსებული სამეგრელოს დროებითი მმართველი საბჭოს შემადგენლობაში. თუ რა ფუნქციას ასრულებდა მღვდელმთავარი დასახელებულ საბჭოში უცნობია.

სამეგრელოს ეპარქიის დაარსების შემდეგ ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი სამეგრელოს მთავრის ინტერესების გათვალისწინებით და მისი ინიციატივით ხდებოდა. სამეგრელოს ფაქტიური მთავრის დავით დადიანის 1841 წლის განკარგულებით სამღვდელოება გათავისუფლდა მემამულეთა ბატონობისგან. მანვე 1852 წელს ჩაატარა სამთავროს ტეროტორიაზე არსებული საეკლესიო ქონების აღწერა. აღნიშნული ქონება სამთავროს ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1854 წ.) მისმა მეუღლემ ეკატერინე დადიანმა 1854 წელს ეკლესია-მონასტრებში შემოიღო საშტატო ერთეულები და ბრძანება გასცა ნატურალური საეკლესიო გადასახადი ფულად ერთეულზე გადაეყვანათ. აღნიშნული თანხა 1853

685 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 3245, ფურცელი 5.

წლის 9 დეკემბერს დაარსებულ მთავრის საეკლესიო ხაზინაში უნდა შესულიყო. მთავრის საეკლესიო ხაზინიდან ხდებოდა დამტკიცებული საეკლესიო შტატებისთვის ხელფასების გაცემა. ეკატერინე დადიანის 1855 წლის განკარგულებით საეკლესიო პირები ჩამოაშორეს საეკლესიო მამულების მართვას და გადასცეს იგი საერო პირებს, რომელსაც ერქვა საეკლესიო მამულების მზრუნველი. მანვე 1855 წლის 16 იანვარს დააარსა სამეგრელოს ეპარქიის საშტატო კანცელარია. კანცელარიის მმართველის წლიური ხელფასი შეადგენდა 200 მანეთს, თარჯიმანის – 100, მწერალის 50 მანეთს, საკანცელარიო ნივთები – 50 მანეთი. აღნიშნული ანაზღაურება ძალიან მცირე იყო, სამთავროს გაუქმების შემდეგ (1857 წ.) 1861 წელს დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი, რომლის მიხედვით სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსს დაენიშნა 2000 მანეთი ვერცხლი წელიწადში, ხოლო ეპარქიის კანცელარიის წლიური თანხა შეადგენდა – 950 მანეთს ვერცხლით, სასულიერო სასწავლებლისთვის კი წლიურად გამოიყო 5700 მანეთი.[686]

სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმებამ დააჩქარა ეკლესიის რეორგანიზაციის პროცესი. გაუქმდა სამთავროს საეკლესიო ხაზინა და სამეგრელოს საეკლესიო შემოსავლები სახელმწიფო ხაზინის კუთვნილებად გამოცხადდა.

სამეგრელოს ეპარქიაში 1830 წლის 1 ოქტომბერს მარტვილში გაიხსნა სამაზრო სასულიერო სასწავლებლები, რომლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში. გარდა ამისა, ეპარქიაში არსებობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები. სამწუხაროდ მათი ზუსტი სტატისტიკა არ გაგვაჩნია.

სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმთავრები იყვნენ: 1829 წლის 23 ივნისიდან 1834 წლის 9 ივნისამდე მიტროპოლიტი დავით წერეთელი; იმავე წლის 9 ივნისიდან 1835 წლის 19 მაისამდე არქიმანდრიტის ხარისხით გიორგი კუხალაშვილი ეპარქიას განაგებდა. 1835 წლის 19 მაისიდან 1842 წლის 3 აპრილამდე იგივე გიორგი კუხალაშვილი ეპისკოპოსის ხარისხით მართავდა ეპარქიას.[687] 1843 წლის 14 თებერვლიდან 1852 წლის 9 დეკემბრამდე სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა ანტონ დადიანი.[688] 1852 წლის 10 დეკემბრიდან 1853 წლის 1 ივნისამდე ზაქარია დგებუაძე. [689] 1854 წლის 8 სექტემბრიდან 1859 წლის 1 ივნისამდე თეოფანე გაბუნია; 1859 წლის 16 სექტემბრიდან 1862 წლის 19 მაისამდე გერონტი პაპიტაშვილი; 1863 წლის 1 ივნისიდან 1864 წლის 15

686 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 172, საქმე №72, ფურცელი 5-6.

687 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 4251; აღსანიშნავია, რომ კირიონი საძაგლიშვილის ნაშრომში ეპისკოპოსთა რიგის გამო შეცდომა ფიქსირდება. ჩვენ მის ჩასწორებას ვახდენთ საისტორიო არქივში დაცული წყაროების მიხედვით. აღნიშნულ ფონდზე მიგვითითა დიაკონმა გიორგი მაჩურიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

688 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 8031.

689 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1; აღნიშნულ ფონდზე მიგვითითა დიაკონმა გიორგი მაჩურიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ, აღსანიშნავია, რომ კირიონის ნაშრომში შეცდომაა.

დეკემბრამდე ბესარიონი ჩიჩუა; 1865 წლის 15 დეკემბრიდან 1865 წლის 17 აგვისტომდე ტარასი (ტარიელ) ელიავა არქიმანდრიტის ხარისხით მართავდა ეპარქიას, ხოლო 1865 წლის 30 აგვისტოდან 1871 წლის 4 იანვრამდე ეპისკოპოსის ხარისხში აყვანის შემდეგ ტარასი ელიავა განაგებდა ეპარქიას. 1871 წლის 22 ოქტომბრიდან 1873 წლის 30 აგვისტომდე ეპარქიას არქიმანდრიტის ხარისხით მართავდა გრიგოლი დადიანი.


XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ადმინისტრაციული ცვლილების გამო სამეგრელო შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას. აღნიშნულის გამო, 1874 წლის 16 მაისის (იმპერატორის მიერ დამტკიცებული) რუსეთის უწმინდესი სინოდის მოხსენების თანახმად სამეგრელოს ეპარქია გაუქმდა და შეუერთდა იმერეთის ეპარქიას სავიკარიო საეპისკოპოსოს სახით. ვიკარ-ეპისკოპოსის კათედრად დადგენილ იქნა სამეგრელოს მიძინების ტაძარი. მღვდელმთავარს დაენიშნა 1900 მანეთი წელიწადში. ამასთანავე მიეცა უფლება ადრინდელი კუთვნილი მამულებიდან გადასახადის აკრეფისა. 1885 წლის 12 ივნისს სამეგრელო გაერთიანდა გურიის ეპარქიასთან და იგი გურია-სამეგრელოს ეპარქიად იწოდებოდა. გაერთიანებული ეპარქიის პირველი მმართველი ეპისკოპოსი იყო გრიგოლ დადიანი, რომელსაც კათედრა ჰქონდა ფოთსა და მარტვილში. იმერეთის ეპარქიასთან გაერთიანებს შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსი განაგებდა ეპარქიას 1873 წლის 30 აგვისტოდან 1874 წლის 12 დეკემბრამდე, დიდი მოთხოვნის მიუხედავად იმჟამიდელი ეგზარქოსი ევსევი ილინსკი (1858-1877) გაბრიელ ეპისკოპოსთან დაპირისპირების გამო სამეგრელოს ვიკარ-ეპისკოპოსის დანიშვნას აგვიანებდა. ამ მოვალეობას 1875 წლის 12 იანვრიდან 1885 წლის 12 ივნისამდე ასრულებდა ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი.[690]

დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ განზრახული იყო გურიის ტერიტორიაზე საეკლესიო რეფორმების გატარება, მაგრამ 1819 წლის „საეკლესიო ბუნტის" გამო იგი ვერ განხორციელდა. 1819 წლის 8 ივლისის ეგზარქოს თეოფილაქტეს განკარგულებით სამთავროს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებისა და მრევლის გაძღოლა დაევალა ჯუმათის სამიტროპოლიტოს მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჯუმათელს (შარვაშიძე). 1833 წლის გურიის ეპარქია შეუერთდა იმერეთის ეპარქიას. 1844 წლის 1 აპრილიდან აღდგა გურიის ეპარქიის სახელით. კათედრა განთავსდა ჯუმათის მონასტერში. ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ ჯუმათსა და ნაგომარში. გურიის ეპარქიას განაგებდნენ ეპისკოპოსები: ეფთვიმე წულუკიძე (1844-1853 წწ.); იოანე იოსელიანი (1853-1858 წწ.); გაბრიელ ტუსკია (1859-1881 წწ.).[691]

1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს შემოუერთდა ისტორიულად არსებული სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი, რის გამოც გურიის ეპარქიას დაექვემდებარა ხინოწმინდის საეპისკოპოსო, კოლა, არტაანი, ოლთისი, ართვინი, ბათუმის ოლქი და აჭარა. 1884 წლის მონაცემე-

690 Э. Бубулашвили, Мингрельская епархия, Православная энциклопедия. Т. XV, Москва, 2017, стр. 260-261.

691 Е. К., краткий очерк история Грузинской церкви и экзархата за XIX сталетие, Тиф. 1901. стр. 72.



საქართველოს საეგზარქოსოს რუკა

ბით გურიის ეპარქიაში იყო შემოქმედის, ჯუმათისა და უდაბნოს მონასტერი, ეპარქიაში მოქმედებდა 132 ეკლესია.


1885 წლის 12 ივნისის რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით გურიის ეპარქია შეუერთდა სამეგრელოს ეპარქიას და გურია-სამეგრელოს ეპარქია ეწოდა.

გურია-სამეგრელოს ეპარქია მოიცავდა ზუგდიდის, ოზურგეთის, სვანეთის, ლეჩხუმის, სენაკის მაზრებს; ახლადშემოერთებულ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებს: ართვინის, ბათუმისა და ოლთისის ოლქს – იმერხევს, კოლას, აჭარას, შავშეთს, კლარჯეთს, იმერხევს, კოლას, არტაანს.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის საკათედრო ტაძარი იყო ქალაქ ფოთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, სადაც განთავსებული იყო ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია. საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის რეზიდენცია ისტორიულად არსებულ მარტვილის საკათედრო ტაძარში გადასულიყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ პერიოდულ პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ საქართველოს საეგზარქოსომ ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებთა მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებდნენ ეპისკოპოსები: 1886 წლის 25 მარტიდან 1898 წლის 20 მარტამდე გრიგოლ დადიანი; 1898 წლის 20 მარტიდან 1903 წლის 4 ნოემბრამდე ალექსანდრე ოქროპირიძე; 1903 წლიდან 1905 წლის 16 აპრილამდე დიმიტრი აბაშიძე; 1905 წლის 25 სექტემბრიდან 1908

წლის 1 თებერვლამდე გიორგი ალადაშვილი; 1908 წლის 1 თებერვლიდან 1917 წლის სექტემბრამდე ლეონიდე ოქროპირიძე. გურია-სამეგრელოს მმართველი ეპისკოპოსებიდან გამორჩეულია გრიგოლ დადიანის, ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეების მოღვაწეობა. ცნობილია, რომ 1898 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ალექსანდრე ოქროპირიძის დანიშვნას საგანგებოდ გამოეხმაურა წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე).



ფოთის საკათედრო ტაძარი.
XX საუკუნის დასაწყისი

1901 წლის მონაცემებით გურია-სამეგრელოს ეპარქიაში იყო 322 ათასი მართლმადიდელი, 352 სამრევლო, 458 ეკლესია, აქედან 4 საკათედრო ტაძარი. ეპარქიაში მოქმედებდა წმ. მიხეილის სახელობის ჯუმათის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლებაში არსებული იოანე ნათლისმცემლის სახელობის უდაბნოს, შემოქმედის, მარტვილის, ნახარებაოს, ხობის მამათა მონასტრები; თეკლათის დედათა მონასტერი და ჯიხეთის დედათა თემი.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ტერიტორიაზე არსებობდა ორი სამაზრო სასულიერო სასწავლებელი მარტვილში და ოზურგეთში, 141 საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველო, 7 საეკლესიო ბიბლიოთეკა, 135 სამრევლო-საეკლესიო სკოლა და 16 „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლა 9633 მოსწავლით, 4 სამონასტრო სკოლა. ეპარქიაში მოქმედებდა საეპარქიო კანცელარია და ღარიბ სასულიერო პირთა სამზრუნველო.[692]

გურია-სამეგრელოს ეპარქია გაუქმნდა 1917 წლის სექტემბერში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ჭყონდიდის, ცაგერის, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიები.

საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიების ჩამოყალიბება, მისი რეორგანიზაცია და საქმიანობა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შესატყვისად ვითარდებოდა.

692 ე. ბუბულაშვილი, გურია-სამეგრელოს ეპარქია, საქართველო, ენციკლოპედია II, თბ., 2012, გვ. 217

§4. საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

როგორც აღინიშნა, რუსეთის ხელისუფლება თავის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში საეგზარქოსოს მეშვეობით წარმართავდა, რომლის სათავეში იმპერიის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი მღვდელმთავრები იყვნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული კორექტივი იქნა შეტანილი საქართველოს ეგზარქოსის ტიტულატურაში. რუსეთის უზენაეს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან 1858 წლამდე საქართველოს ეგზარქოსი მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდა, შემდგომ კი ისინი მთავარეპისკოპოსის ხარისხით ინიშნებოდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება იმის დასტური იყო, რომ ხელისუფლებას სურდა ეგზაქოსის ადგილზე შედარებით დაბალი საეკლესიო ხარისხის სასულიერო პირი ყოფილიყო. რუსეთის უწმიდეს სინოდში ოთხი მუდმივი წევრიდან სამი მიტროპოლიტი იყო, ხოლო მეოთხე, საქართველოს ეგზარქოსი XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მთავარეპისკოპოსიის (არქიეპისკოპოსი) ხარისხით იყო წარმოდგენილი. სამაგიეროდ, რუსეთის ხელისუფალნი ნაეგზარქოსალ სასულიერო პირებს „დიდი დამსახურების" გამო, ჯილდოდ აძლევდნენ მიტროპოლიტის ხარისხს და რუსეთში მაღალ თანამდებობაზე ნიშნავდნენ.[693]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსები თავიანთი საქმიანობით დიდად არ განსხვავდებოდნენ ამავე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე რუსი ეგზარქოსებისაგან. ისინიც რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს. ქართული ენის უცოდინარ რუს ეგზარქოსებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმ ხალხის ძირძველ კულტურაზე და ისტორიაზე, სადაც მწყემსმთავრებად მიდიოდნენ. რუს ეგზარქოსებს, რომელთა მოღვაწეობა მხოლოდ ეპარქიათა შემოვლითა და ეკლესია-მონასტრების მონახულებით შემოიფარგლებოდა, ქართველი ხალხი აღიქვამდა როგორც უცხო სხეულს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების გატარებისათვის, ეგზარქოსებს, მართვა-გამგეობის დროს, უზენაესი საერო ხელისუფლებისაგან დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. საქართველოს ეგზარქოსი ადგილობრივ, კავკასიის საერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით წარმართავდა თავის საქმიანობას. თუმცა, ეგზარქოსი, სამსახურებრივად მასზე არ იყო დაქვემ-

693 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ჟურნალი „რელიგია," 2003, 1-2-3, გვ. 15-16; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, წიგნი, I, თბ., 2003, გვ. 432-446; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 155-156, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა da ACADEMIA. EDU -ს საიტებზე; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135.

დებარებული. იგი მხოლოდ რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.[694]

როგორც ზემოთ ერთ-ერთ თავში აღინიშნა, ეგზარქოსების მოღვაწეობა საქართველოში რუსეთის პოლიტიკის შესატყვისად ვითარდებოდა. XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ლიბერალური პოლიტიკის დამთავრებამ თავისებური ასახვა ჰპოვა ამ დროისათვის მოღვაწე ეგზარქოსების საქმიანობაზე.

მიტროპოლიტ ისიდორე ნიკოლსკის საქართველოდან გაწვევის შემდეგ, 1858 წლის 1 მარტს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ქართლ-კახეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა იმხანად კამენც-პოდოლსკის ეპისკოპოსი ევსევი ილინსკი (1858-1877). საქართველოში ჩამოსვლამდე მან სასულიერო მოღვაწეობის დიდი გზა განვლო. ევსევი (ერობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი) დაიბადა 1809/1810 წელს ქალაქ ბელგოროდში, დიაკვნის ოჯახში. ბავშობიდან იგი ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, გალობდა და იყო მედავითნე. 13 წლის ასაკში დაობლდა, დიდ ხანს შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სწავლობდა კურსკის სასულიერო სემინარიაში, სადაც თავისი სიბეჯითით მიიპყრო რექტორის, არქიმანდრიტ ანატოლის (მარტინსკი, შემდგომში მოგილევის არქიეპისკოპოსი) ყურადღება და მისი ხელშეწყობით სწავლა გააგრძელა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. 1834 წლის 8 დეკემბერს ბერად აღიკვეცა კიევის ბრატსკის ღვთისგამოცხადების მონასტერში. 1825 წელს კიევო-პეჩორის ლავრაში აკურთხეს დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 21 იელისს დაასხეს ხელი მღვდელ-მონაზონად კიევის ზლატოვერხოვში წმ. არქიმანდრიტ მიქაელის სახელობის მონასტერში. იგი სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იყო ისტორიულ – აპოლოგეტური თხზულება „ვინ იყო პირველი კიევის მიტროპოლიტი?" ამ ნაშრომით მას სურდა დაემტკიცებინა მღვდელმთავარ მიქაელის პირველობა კიევის კათედრაზე. 1835 წლის 7 ოქტომბერს ევსევი ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებას ღებულობს და კიევის სასულიერო აკადემიაში პედაგოგად იწყებს მუშაობას. 1836 წლის 8 ივლისს ჩაირიცხა ალექსანდრე ნეველის ლავრის ბერ-მონაზვნების საძმოს წევრად. 1839 წლის 27 სექტემბერს დაინიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად. იმავე წლის 29 ოქტომბერს აღყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. გახდა უახლოესი თანაშემწე კიევის მიტროპოლიტის წმ. ფილარეტისა (ამფიტეატროვი). 1841 წლის 15 ივლისიდან იყო კიევის ვიდუბიცკის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის

694 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 155-156, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135.

მონასტრის წინამძღვარი. ინსპექტირებას უწევდა ჩერკასკისა და ბოგუსლავსკის, ჩერნიგოვისა და ორლოვის სასულიერო სასწავლებლებს.[695]

1844 წლის 31 დეკემბერს ლიტვის მთავარეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსი) იოსების (სემაშკო) თხოვნით ევსევი დაინიშნა ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორად და საღვთისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორად, ასწავლიდა დოგმატიკურ ღვთისმეტყველებას. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იგი ვილენის წმიდა სამების მონასტრის წინამძღვარის მოვალეობას ასრულებდა, იყო სასულიერო ცენზორი. ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, 1848 წლის 10 დეკემბერს მთავარეპისკოპოს (არქიეპისკოპოსი) იოსების (სემაშკო) შუამდგომლობით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ევსევი დანიშნა კოვენსკის ეპისკოპოსად, ხოლო 1849 წლიდან ლიტვის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსია. 1854 წლის თებერვალში მან მოამზადა ანალიტიკური წერილი ძველმეწესეთა (старообрядчество) გავრცელების შესახებ და რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან მოითხოვდა მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას.[696]

ევსევი ილინსკი 1859 წლიდან კამენეც-პოდოლსკის ეპარქიას განაგებდა, საიდანაც იგი საქართველოში გადმოიყვანეს და დაინიშნა ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად (არქიეპისკოპოსად), საქართველოს ეგზარქოსად და რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად. მისი უშუალო ჩარევით 1865 წლის 25 ოქტომბერს დამტკიცდა საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის ახალი შტატი 9 წევრის შემადგენლობით და გამოიყო საშტატო თანხისათვის 4050 მანეთი ვერცხლით. ეგზარქოს ილინსკის წინადადებით აიკრძალა კერძო პირების მიერ ფიჭის სანთლების გაყიდვა, რაც უკარგავდა სასულიერო პირებს შემოსავალს. სანთლების დამზადება დაიწყო საეკლესიო ქარხნებში. მან 1868 წელს შუამდგომლობა აღძრა რუსეთის უწმინდეს სინოდში, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის უკეთ გავრცელების მიზნით დაასებულიყო საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ოსეთის საქორეპისკოპოსო ცენტრით ვლადიკავკაზში, რაც განხორციელდა მოგვიანებით, 1875 წლის 3 აპრილს. მისი მოღვაწეობის დროს 1869 წელს აფხაზეთის, ხოლო 1873 წელს სამეგრელოს ეპარქიები შეუერთდა იმერეთის ეპარქიას. სამეგრელოს ეპარქია საქორეპისკოპოდ იწოდებოდა.

ევსევი ილინსკის საქართველოში მოღვაწეობის დროს, 1860 წელს დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება." თუმცა მის დაფუძნებაზე თავი მას დიდად არ შეუწუხებია. დაარსების შემდეგ ევსევი ეგზარქოსი გახდა საზოგადოების აქტიური წევრი და ვიცე-თავმჯდომარე. 1861 წლიდან კი მისი საპატიო წევრი. მისი მოღვაწეობის დროს 1867 წელს მართლმადიდებლობას შეუერთდა ერევნის გუბერნიაში მცხოვრები 167 ასირიელი.

---

695 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, СПБ-М., 1896-1918; შდრ. Исидор (Николский), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т., СПБ. 1890;

696 Исидор (Николский), Русский биографический словарь: в 25 томах, т. 8, СПБ., 1897. стр. 146-147; შდრ. Исидор (Николский), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т., СПБ. 1890.

ეგზარქოს ევსევი ილინსკის სულიერ – საგანმანათლებლო მოღვაწეობა შეხამებული იყო რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან. მის დროს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებად ინიშნებოდნენ უპირატესად რუსი ეროვნების პედაგოგები. 1863-1869 წლებში მანვე მოახდინა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია. მცხეთის წმ. ნინოს სახელობის მონასტერთან გოგონებისათვის დაარსა სასულიერო სასწავლებელი, დაამტკიცა ქალთა ეპარქიალური სასწავლებლების წესდება. აღნიშნულ სასწავლებელში ისწავლებოდა საღვთო რჯული, კატეხიზმო, ეკლესიის ისტორია, რუსული და ქართული ენები, გალობა, რუსეთის ისტორია, ხელსაქმე (ქსოვა, ქარგვა, კერვა) და სხვა.



ეგზარქოსი ევსევი (ილინსკი, 1858-1877)

ეგზარქოსმა ევსევიმ აკურთხა მხატვარ გრიგოლ გაგარინის მიერ განახლებული თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის მოხატულობა და 1862 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ახლადგახსნილი მოციქულ წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია. თბილისის სასულიერო სემინარიასთან დაარსა „საკვირაო სკოლა." იგი იყო ქართული ბიბლიის შესწორების კომიტეტის მუშაობის განახლების ინიციატორი.

ევსევი ილინსკის მოღვაწეობის დროს, 1865 წელს ახლადდაარსებულ ღუნიბის მოედანზე (დღევანდელი საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია) კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად გადაწყდა ახალი მართლმადიდებლური ტაძრის აგება. პროექტის შესადგენად კონკურსი გამოცხადდა. ამ კონკურსში, მართალია, გაიმარჯვა პეტერბურგელი არქიტექტორების ვ. შრეტერისა და ჰ. ჰუნის პროექტმა, მაგრამ სიძვირის გამო მათი პროექტით ვერ აიგო ტაძარი. ევსევი ილინსკის ეგზარქოსობის დროს მისი უშუალო მონაწილეობით პროფესორ გრიმისა და გედლიკის პროექტის მიხედვით 1871 წელს საფუძველი ჩაეყარა სამხედრო ტაძრის შენებას.[697] ეგზარქოსი ევსევი ილინსკი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. როგორც წყაროებით დასტურდება, მას კიევის სასულიერო აკადემიისათვის შეუწირავს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტების 5 ეგზემპლარი, რის გამოც იგი 1876 წელს საეკლესიო-არქეოლოგიური საზოგადოებისა და კიევის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად აურჩევიათ. ევსევის ეგზარქოსობის

697 ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, II, თბ., 1963, გვ. 66-67; შდრ. ე. ბუბულაშვილი, კავკასიის არმიის სამხედრო ტაძრის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 15, თბ., 2011, გვ, 304-323; შდრ. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135.

დროს თბილისში, კუკიაზე აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, რომელიც მან 1864 წლის 30 აგვისტოს აკურთხა. გადმოცემით ევსევი ილინსკი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა და დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჰყვარებია ღვთისმსახურების ჩატარება.[698]

ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი ევსევი ილინსკის ყურადღებიან, მრევლისთვის თავდადებულ მწყემსმთავრად მიიჩნევდა. გარეგნულად შესაძლებელია ასეც იყო. ამით იყო გამოწვეული, რომ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ „დიდი სიყვარულით გააცილა თავისი საყვარელი მწყემსმთავარი საქართველოს სამწყსომ."[699]

ეგზარქოსობიდან გათავისუფლების კარგა ხნის შემდეგ ქართველი და რუსი საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი ის საქმიანობა, რომელსაც ევსევი ილინსკი საქართველოში მოღვაწეობის დროს ეწეოდა. პირუთვნელი ცნობები, ეგზარქოსობის დროს მისი შავბნელი საქმიანობის შესახებ, 1896 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ბრაილმა. ბრაილის ცნობებზე დაყრდნობით საქართველოს ეკლესიის ცნობილმა გულშემატკივარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვომ კიდევ უფრო განავრცო მისი ბიოგრაფია. რუსი ისტორიკოსების დახასიათებით ეგზარქოსი ევსევი ილინსკი, იმ რუსი ეგზარქოსების ტიპიური წარმომადგენელი იყო, რომლებიც, საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ ნაძარცვი ქონებითა და ფულით რუსეთში დაბრუნებულიყვნენ."[700]

---

698 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 360; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 135; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, წიგნი, I, თბ., 2003, გვ. 432-446; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 157-158, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

699 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 359; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 103.

700 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 94; შდრ. Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, Москва, 1907, стр. 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, წიგნი, I, თბ., 2003, გვ. 432-446; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 103; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 157-158, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. -ს საიტებზე; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 138.

განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი ევსევი ილინსკი სდევნიდა ყოველგვარ თავისუფალ აზროვნებას, ლანძღვა-გინებით მოიხსნებდა ქართველ სამღვდელოებას და ქართველ პედაგოგებს. ხშირად მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა. მის დროს განსაკუთრებით გაიზარდა ჯაშუშობა და დასმენები. შემორჩენილია XIX საუკუნის 70-იან წლებში ეგზარქოს ევსევისა და გაბრიელ ეპისკოპოსის მიმოწერები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველი ეპისკოპოსი ეგზარქოს ევსევის მიმართ შეუვალი და უკომპრომისი იყო თუკი საკითხი სარწმუნოებისა და ქვეყნის ინტერესებს შეეხებოდა. იგი წინ აღუდგა საქართველოს ეგზარქოსიის გადაწყვეტილებას თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგის, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დევნა-შევიწროვებას და მის გათავისუფლებას დაკავებული თანამდედობიდან. მან საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში ამხილა მისი უსამართლობა იაკობ გოგებაშვილთან დაკავშირებით. განრისხებულმა ეგზარქოსმა ევსევიმ აღნიშნულის შესახებ ეპისკოპოს გაბრიელისაგან მოითხოვა შესაბამისი წერილობითი განმარტების გაკეთება. იგი ქართველ მღვდელმთავარს ადანაშაულებდა და ბრალს სდებდა, რომ მისი დევნის გამო თავი მოიკლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ლათინური ენის მასწავლებელმა ეროვნებით რუსმა, ვინმე პაპოვმა. 1874 წლის 16 სექტემბრით დათარიღებულ საპასუხო წერილში გაბრიელ ეპისკოპოსი რუს ეგზარქოს შეახსენებს ხალხში გავრცელებულ იაკობ გოგებაშვილის წერილიდან ერთ ფრაგმენტს, სადაც იგი აღნიშნავდა: „გაახარეთ ეგზარქოსი, მე მივდივარ." რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ქართველი პედაგოგი ეგზარქოსისგან, სასულიერო და საერო უწყების მაღალი თანამდედობის პირებისაგან დიდად იყო შევიწროვებული. პაპოვის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით გაბრიელ ეპისკოპოსი ეგზარქოს ევსევის მოახსენებდა, რომ მისი თვითმკვლელობის მიზეზი დევნა კი არ იყო, არამედ სამსახურში მიღების დროს მის მიერ წარმოდგენილი სასულიერო სემინარიის დამთავრების ატესტატი ყალბი აღმოჩნდა, რომლის გამომჟღავნების შემდეგ პაპოვმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როგორც წერილიდან ჩანს, ეგზარქოსი ევსევი გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ე.წ. „დაბეზღებს" (ინფორმაციებს) ქართველი ეპისკოპოსისადმი მტრულად განწყობილი სხვადასხვა პიროვნებებისაგან იღებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ეპისკოპოსი გაბრიელი წერდა ეგზარქოს: „...შემდეგში არ შემაწუხოთ და არ მომთხოვოთ მე პასუხები ამ გვარ სულელურ, უსაფუძვლო და უმნიშვნელო „დანოსებზე." ...მე უმისოდაც დატვირთული ვარ აუარებელი საქმეებით და ძლივის ვასწრობ ასრულებას და ამ დროს კი უნდა ვწერო პასუხები უაზრო დანოსებზე. ცხადად ჩანს „მედანოსეს" სურს ჩვენს შორის განხეთქილების და უსიამოვნების ჩამოგდება და ჩინებულათაც ასრულებს ამას."[701]

ეგზარქოს ევსევის ცუდი დამოკიდებულება გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ხელისშემშლელი აღმოჩნდა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების

701 გაბრიელ ეპისკოპოსიის მიმოწერა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 7.

მოგვარებისათვის. როდესაც სამეგრელოს ეპარქის გაუქმდა და იგი იმერეთის ეპარქიას შეუერთდა ვიკარ-ეპისკოპოსიის სტატუსით, გაბრიელთან ცუდი დამოკიდებულების გამო ეგზარქოსი არ ახდენდა ვიკარ-ეპისკოპოსის დანიშვნას, სურდა ეს ფაქტი გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ და ქართველი ეპისკოპოსიის საწინააღმდეგოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით გაბრიელი ეპისკოპოსი წერდა საქართველოს ეგზარქოს: „...იქნებ დააჩქაროთ ქორ-ეპისკოპოსიის დანიშვნა სამეგრელოში, ვინაიდგან მე მხოლოდ იმ პირობით დავთანხმდი ხსენებული ეპარქიის მიღებაზე. ნაცვლად იმისა, რომ თქვენ ყურადღება მიაქციოთ ჩემ კანონიერ თხოვნას, თქვენ ჩემი წერილი იხმარეთ იმაზე, რომ იმის საშუალებით მე წამკიდეთ მეზობელი ეპისკოპოსი, რომელთან ვცხოვრობდი კეთილგანწყობილებით და მეგობრულად. აი თითქმის 15 წელიწადია რაც თქვენი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა მე მავიწროვებს და არ უშვებს არავითარ შემთხვევას, რომ მე შემანუხოს, დამტანჯოს. არ არის არავითარი ცილიწამება ჩემზე, რომ თქვენ სულით და გულით არ მიიღოთ და არ დაიჯეროთ. მე ყოველთვის ვითმენ, არავისთან არ ვჩივი, მხოლოდ თქვენ გწერთ ამაზე წერილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი გული ვერაფრით მოვალბე. ღმერთი იყოს ჩვენს შორის მსაჯული."[702]

მოტანილი ვრცელი მასალა იმის დასტურია თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ერთ-ერთ წერილში საქართველოს ეგზარქოსი ბრალს სდებდა გაბრიელ ეპისკოპოს, რომ სასწავლებლებში ადგილების დაკავებისას იგი უპირატესობას ანიჭებდა ქართველებს, უგულვებელყოფდა რუსი ეროვნების კადრებს და ამით იგნორირებას უწევდა სახელმწიფოს ინტერესებს. აღნიშნული ბრალდების გამო, გაბრიელ ეპისკოპოსი 1874 წლის 25 აპრილით დათარიღებულ საპასუხო წერილში აკრიტიკებს პეტერბურგიდან მოვლინებული განათლების რევიზორის სერგეი ვასილის ძე კერსკის მითითებას, იმის შესახებ, რომ რუსული ენის უკეთ დაუფლების მიზნით აუცილებელი იყო რუსი ეროვნების კადრების ჩანაცვლება. რუსი მაღალჩინოსნის პასუხად ქართველი მღვდელმთავარი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეროვნების მიხედვით კადრების შერჩევა არაა მიზანშეწონილი, კადრები უნდა შეირჩეს კეთილზნეობის, პატიოსნებისა და ნიჭის მიხედვით. მისი აზრით, რუსი ეროვნების კადრების მოზიდვა „აღძრავს ადგილობრივ მცხოვრებთა და ყოველივე პატიოსან ადამიანთა შორის მწუხარების გრძნობას და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას."[703]

საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში გაბრიელ ეპისკოპოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განათლების რევიზორის სერგეი ვასილის ძე კერსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველი პედაგოგები დათხოვილ იქნენ სასწავლებლებიდან, უსაფუძვლოა. ქართველი ეპისკოპოსიის სამართლიანი მითითებით, თუკი გაზიარებული იქნება სერგეი ვასილის ძე კერსკის მოთხოვნა, ამ შემთხვევაში უნდა დაიხუროს კავკასიის ყველა სასწავლებელი,

702 გაბრიელ ეპისკოპოსიის მიმონერა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10, გვ. 7.

703 გაბრიელ ეპისკოპოსიის მიმონერა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 11, გვ. 10.

„ვინაიდგან რისთვის უნდა მიიღონ განათლება ქართველმა, თუკიღა იგინი არ იქნებიან მიღებულნი სამსახურში და მთავრობა იჭვის თვალით დაუწყებს მათ ყურებას. ამ გვარი მოქმედება არ შეჰფერის დიდი რუსეთის თვითმპყრობელობას." გაბრიელ ეპისკოპოსი მიუთითებს, რომ ასეთი დამოკიდებულება თვით ხელისუფლებისათვის არ არის მისაღები, რადგან მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულ ეჭვებს აღძრავს რუსი ეროვნების დანიშნული კადრის მიმართ, რომლისთვისაც უცნობია ადგილობრივი სამღვდელოებისა და მრევლის ინტერესები. აღნიშნულის გამო გაბრიელ ეპისკოპოსი მომხრეა, რომ კადრების შერჩევის დროს უპირატესობა ადგილობრივებს მისცემოდა.[704]

მოყვანილი ფაქტები ადასტურებს ევსევი ეგზარქოსის დამოკიდებულებას გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ. საქართველოს ეგზარქოსი ბიოლოგიური ზიზღით იყო გამსჭვალული ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი. ქართველი მღვდელმთავრისადმი მტრულად განწყობილი ეგზარქოსი, ინტრიგებითა და ათასნაირი ბინძური ხერხების გამოყენებით ცდილობდა მის თავიდან მოშორებას. რუსეთის უზენაეს სასულიერო უწყებას არწმუნებდა მის არასაიმედოობაში.[705] ყოველივე ამას იგი იმიტომ აკეთებდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი დიდი პატივისცემით სარგებლობდა საქართველოში. ევსევი ეგზარქოსმა გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადა. რუსეთის სასულიერო უწყებამ მის დასმენებს ყურადღება არ მიაქცია იმის გამო, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი რუსეთის იმპერიის მასშტაბითაც საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართველი მღვდელმთავრისადმი განხორციელებული რეპრესიები ადგილობრივი ქართველი საზოგადოების დიდ გულისწყრომას გამოიწვევდა, რაც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში გარკვეულ დაბრკოლებებს შეუქმნიდა.

ევსევი ილინსკი შორს იდგა სასულიერო პირისათვის აუცილებელი ზნეობრიობისაგან. მან დაიწყო საეკლესიო საგანძურის მითვისება. ევსევიმ გაძარცვა საქართველოს ყოფილი საპატრიარქოს მიტრები, ძვირფასი ჯვრები და თავისი აგენტების საშუალებით კოლექციონერებზე ყიდდა. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი მიიჩნევდა, რომ ევსევი ეგზარქოსის ხელშეწყობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვმა 1859 წელს გელათის მონასტრიდან გაიტაცა მინანქრებიანი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჩუქურთმებიანი X საუკუნის ხახულის კარედიანი ხატი. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს საქართველოს ეგზარქოსთან შეთანხმებით, წინასწარ ხატის გატაცების გეგმაც შეუმუშავებია. მან რუს მხატვარს ვასილევს შეუკვეთა ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა, ხახულის ხატის სახეების შესაბამისად, შეასრულებინა მხატვარ საზიკოვს. ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვმა ხახულის ხატის ორიგინალის რამდენიმე ნაწილი კოლექციონერ მ. ბოტკინს მიჰყიდა, ასლი კი გელათის მონასტერს დაუბრუნა. მომხდარმა ფაქტმა აღაშფოთა ქართველი საზოგადოება. დიდი მცდელობის შემდეგ, მხოლოდ

704 გაბრიელ ეპისკოპოსიის მიმოწერა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 11, გვ. 10.

705 გაბრიელ ეპისკოპოსიის მიმოწერა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1906, 10-11, გვ. 12-14.

1923 წელს მოხერხდა მისი საქართველოში დაბრუნება.[706] აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აღნიშნული შეხედულება კარგა ხანს გაზიარებული იყო და მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ 1859 წლის 19 მაისს ხახულის ხატის ძარცვა განხორციელდა ქუთაისის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორის ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის ხელშეწყობით. მკვლევარმა მერაბ კეზევაძემ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით უარყო ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მონაწილეობა 1859 წელს ხახულის ხატის გაძარცვაში, რადგან იგი ამ დროისათვის საქართველოში არ მოღვაწეობდა, 1867 წელს ქუთაისში გენერალ-გუბერნატორად დანიშნული ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი ბუნებრივია მის ძარცვაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას.[707] 1923 წელს რუსეთიდან საქართველოში ქართული სიწმინდეების დაბრუნების მონაწილე შალვა ამირანაშვილს მ. ბოტკინის კოლექციის დათვალიერებისას აღმოუჩენია მარტვილის მონასტრიდან გატანილი გაძარცული ხატის ფრაგმენტები. მკვლევარ მერაბ კეზევაძის დასკვნით, „ასე იქცა რამდენიმე წლის შემდეგ მარტვილის მონასტრიდან გატანილი ხატი ხახულის ღვთისმშობლის ხატად."[708] 1859 წელს ნამდვილად გაიძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მაგრამ გამოძიების მიუხედავად ვერ დადგინდა ძარცვის მონაწილენი და მათი დამკვეთები.

მართალია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ვლადიმერ ლევაშოვის მონაწილეობა არ დასტურდება ხახულის ხატის გაძარცვაში, მაგრამ, როგორც ქართველთა გულშემატკივარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო აღნიშნავდა, მან ეგზარქოს ევსევის თანხმობით, ვითომდა რესტავრაციის მიზნით, საქართველოდან წაიღო XI საუკუნის ოქროთი მოჭედილი და ტიხრული მინანქრებით გამშვენიერებული სახარება. გენერალ-გუბერნატორმა მას მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა მხატვარ საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით.[709] ვლადიმერ ლევაშოვის აღნიშნული ნაძარცვი მოხვდა პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში. აქედან შემდგომ საზღვარგარეთ გაიტანეს. ამჟამად სახარების ყდის ერთი ნაწილი ბერლინის მუზეუმში ინახება, მეორე კი ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებაა.

ეგზარქოს ევსევის მითითებით, გაიძარცვა თბილისის სიონის, მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ჯუმათისა და სხვა მონასტრებში არსებული ძვირფასი ქვებით შემკული ხატები. მისივე ხელშეწყობით, გრაფმა ბობრონსკიმ თბილისის სიონის ტაძრის სალაროდან გაიტანა და გაყიდა ძვირფასი მინიატურებით შემკული უძველესი ქართული ხელნაწერი. იმავე ტაძრიდან დაიკარგა რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა საეკლესიო განძეულობა.[710] გაზეთ

706 შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1972, გვ. 17; შდრ. ჟურნალი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1988, 1, გვ. 17; შდრ. გ. ნოზაძე, ქართული მონასტრები, ჟურნალი „კავკასიონი", პარიზი, 1967, XII, გვ. 161.

707 მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 172-173

708 მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 170.

709 ნ. დურნოვო, ბედი ქართული ეკლესიისა, თბ., 1994, გვ. 22.

710 საქართველოს ეკლესიის აკლება, თბ., 1907, გვ. 8.

„რუსკი სტიაგის" ცნობით ევსევი ილინსკის ორ მილიონზე მეტი ღირებულების საეკლესიო ძვირფასეულობა გაუტანია საქართველოდან.[711]

საქართველოს ეგზარქოსობიდან გადაყენებული ევსევი ილინსკი გადაიყვანეს ტვერისა და კასინსკის ეპარქიის მმართველად. 1877 წლის 8 დეკემბერს მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) ევსევი ხარების დღესასწაულზე ჩავიდა ქალაქ ტვერში. კათედრაზე ყოფნის პირველსავე წელს მოიარა მაზრებისა და ოლქების ყველა ეკლესია. აკურთხა ტვერის სასულიერო სემინარიის შენობის საძირკველი. 1879 წლის თებერვლის ბოლოს მძიმედ დაავადდა, გარდაიცვალა იმავე წლის 12 მარტს, დაიკრძალა ტვერის საკათედრო ფერისცვალების ტაძარში. ათეისტური საბჭოთა რეჟიმის დროს, 1935 წელს ტაძარი განადგურდა და საფლავიც დაიკარგა.[712]

ევსევი ილინსკის საქართველოდან გაწვევის შემდეგ, 1877 წლის 8 დეკემბერს, ეგზაქოსად დაინიშნა ნიჟნი-ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსი იოანიკე რუდნევი (ერობაში ივანე მაქსიმეს ძე). იგი დაიბადა 1826 წლის 29 თებერვალს ტულის გუბერნიაში, ნოვოსელსკის მაზრის სოფელ სკვორჩეში, ღარიბი დიაკვნის მაქსიმე ივანეს ძე რუდნევის ოჯახში. შემდგომში შვილმა, უკვე ეპისკოპოსმა იოანიკემ საკუთარი მამა, აღკვეცა მაკარის სახელით და მღვდელ-მონაზვნის ხარისხში მსახურობდა სარატოვის სამღვდელმთავრო სახლის ჯვრის ეკლესიაში. იოანიკეს ძმაც მღვდელი იყო და მსახურობდა სარატოვის სხვადასხვა ტაძარში.

იოანიკე 1835 – 1839 წლებში სწავლობდა სულიწმინდის მონასტერთან არსებულ ნოვოსელსკის სასულიერო სასწავლებელში. მეორე კლასში იყო, როდესაც მთელი ოჯახი, მათ შორის თვითონაც, დაავადდა ტიფით, დავადებას შეეწირა დედამისი, რაც მძიმედ განიცადა. მოგვიანებით, კიევის მიტროპოლიტობის დროს, მან დედის საფლავზე, საკუთარი სახსრებით ააშენა და 1894 წელს აკურთხა 6 ტრაპეზიანი ტაძარი. 1839-1845 წლებში იგი სწავლობდა ტულის სასულიერო სემინარიაში, სწავლაში გამოაელინა ბრწყინვალე წარმატება. სასულიერო სემინარიის დამთავრების ერთი წლით ადრე, როგორც საუკეთესო სტუდენტი ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1849 წელს დაამთავრა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით. სასულიერო აკადემიის დამთავრებისთანავე, საკუთარი თხოვნის საფუძველზე აღიკვეცა ბერად იოანიკეს სახელით, იოანიკე დიდის პატივსაცემად. მალევე კიევის მიტროპოლიტის ფილარეტის (ამფიტეატროვი) მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წლის 7 ნოემბერს კი – მღვდლ-მონაზონად. 1850 წელს დაჯილდოვდა საგვერდულის ტარების უფლებით და გაამწესეს კიევ-პეჩორის ლავრის ტაძრის მღვდელ-მონაზვნად. იოანიკე ღვთისმსახურებასთან ერთად პედაგოგიურ საქმიანობას 1850-1953 წლებში ეწეოდა კიევის სასულიერო

711 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 95.

712 А. Рожинцев, Митрополит Санкт-Петербургский и Новгородский Исидор (Никольский), 116-летию со дня кончины посвящается, сайт *Единое Отечество*, 19 сентября 2008.

აკადემიაში, სადაც ასწავლიდა შედარებით და დოგმატიკურ ღვთისმეტყველებას. ერთ-ერთი სტუდენტი იხსენებდა, რომ იოანიკე ლექციების დროს განიხილავდა საინტერესო საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად არ არსებობდა პირდაპირი დოგმატური მითითებები. ანგელოზების შესახებ სწავლებისას იგი იკვლევდა, ჰქონდათ თუ არა ანგელოზებს ინდივიდუალური პირადი ერთმანეთისგან განმასხვავებელი ფორმა; როგორია მათი ურთიერთობა და როგორი შეიძლება იყოს მათი ენა; არიან თუ არა ისინი შეზღუდული სივრცით და სად არის მათი საცხოვრებელი, რაში მდგომარეობს მათი მსახურება ღმერთის მიმართ, რა დამოკიდებულება აქვთ ადამიანის მოდგმასთან, თვითონ არიან ჩვენი ხელმძღვანელები და კეთილისმყოფელები, თუ ასრულებენ ღვთის ნებას, ყოველ ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი და რაში მდგომარეობს მათი დახმარება. მისი შრომები იბეჭდებოდა ძირითადად „საკვირაო საკითხავში." ეს შრომები ახასიათებს იოანიკეს, როგორც ასკეტს.[713]

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით 1856 წელს იოანიკე დაინიშნა კიევის სასულიერო აკადემიის ინსპექტორად. იმავე წელს დაამტკიცეს ექსტრაორდინარული პროფესორის ხარისხში, 21 დეკემბერს აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში. ოცდათორმეტი წლის არქიმანდრიტი დაინიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად და ღვთისმეტყველების მეცნიერებათა პროფესორად. წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის გამო 1859 წლის 4 დეკემბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით იოანიკე დანიშნეს კიევის სასულიერო აკადემიის რექტორად და ბრატსკის ღვთისგამოცხადების მონასტრის წინამძღვრად. როგორც ბევრი სხვა სასწავლებელი იმ პერიოდში კიევის სასულიერო აკადემიაც მოცული იყო სტუდენტური მღელვარებით. მან შესძლო სიტუაციის განმუხტვა და დამშვიდება. სტუდენტებთან ჰქონდა საკმაოდ თბილი და კარგი ურთიერთობა.

იოანიკე ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, 1861 წლის 16 მაისიდან განაგებდა ვიბორგის ეპარქიას. ამ პერიოდში დაჯილდოვდა რამდენიმე ორდენით. განსაკუთრებით აღინიშნებოდა მისი აქტიური მოღვაწეობა სარატოვის ეპარქიაში. 1875 წელს სერაფიმო-დივეევის მონასტერში დაარსა ლიტოგრაფიული სახელოსნო, ეპარქიის ქალთა სასწავლებელში დააწესა ორი სახელობითი სტიპენდია. 1877 წლის 14 თებერვალს მიიღო სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრის წოდება, 8 დეკემბერს კი დაინიშნა ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად (არქიეპისკოპოსი) და საქართველოს ეგზარქოსად.[714]

ეგზარქოს იოანიკე რუდნევს, მართალია, არ უყვარდა ქართველები და ფარულად ატარებდა ამ გრძნობას, მაგრამ, იმპერიის ინტერესებიდან გა-

713 Православная энциклопедия, т. VIII, М., стр. 629-634; Sdr. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т. СПБ, 1890, стр. 102; Sdr. `Кіевскія Епархіальныя Вѣдомости," 15 июня 1900, № 12, стр. 512

714 Православная энциклопедия, т. VIII, М., стр. 629-634; Sdr. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т. СПБ, 1890, стр. 102; Sdr. „Кіевскія Епархіальныя Вѣдомости," 15 июня 1900, № 12, стр. 512.

მომდინარე, იგი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი წინამორბედი ეგზარქოსის ევსევი ილინსკის დროს შელახული ავტორიტეტის აღდგენას. ამ მიზნით, მან გააააქტიურა საეგზარქოსოს საქმიანობა. მისი ინიციატივით აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას გადაეცა სანთლის ქარხნის შემოსავალი, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა მათი მატერიალური პირობები. მანვე, თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა ნივთიერი დახმარებისათვის, დაარსა „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობა." ეგზარქოსმა იოანიკემ გარკვეული შეღავათები მისცა სასულიერო სასწავლებლებში მოღვაწე ქართველ პედაგოგებს. მის დროს დიდი ყურადღება მიექცა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და სწავლების საქმეს. მან თბილისში დაარსა ქალთა საეპარქიო სასწავლებელი და მის სასარგებლოდ საკუთარი თანხიდან 4 ათასი მანეთი გაიღო.[715]

რუსული ოფიციალური წყაროების დახასიათებით, საქართველოში მან გამოავლინა თავი როგორც ნიჭიერმა (тонкий) დიპლომატმა და სწრაფად შეისწავლა ქართული ენა, ნება დართო ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმართულიყო. მისი ნებართვით თბილისის სასულიეო სემინარიაში გაიხსნა ქართული ენის კათედრა, გაზარდა მოსწავლეებისთვის გაცემული სახსრები. ეგზარქოს იოანიკეს შუამდგომლობით ქართული ენის შესწავლა გახდა სავალდებულო საქართველოს ყველა სასულიერო სკოლაში. მისი წყალობით მცხეთიდან თბილისში გადმოვიდა ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი ობოლთათვის თავშესაფართან ერთად, რის კეთილმოწყობისათვის გაიღო 40 000 მანეთი. ეგზარქოსობის პერიოდში საკუთარ ხელფასს რიცხავდა მოსწავლეთა სასარგებლოდ. იოანიკეს გარდაცვალების შემდეგ



საქართველოს ეგზარქოსი იოანიკე (რუდნევი, 1877-1882)

715 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური," 190, 5, გვ. 361; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ნათელი ქრისტესი, ნიგნი, I, თბ., 2003, გვ. 432-446; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დაბასაითება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 106; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 155-156, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 144.

სასწავლებელს მიენიჭა მისი სახელი. ეგზარქოსმა იოანიკემ საქართველოში მოღვაწეობის დროს სასულიერო განათლების საჭიროებისთვის გაიღო 28000 მანეთი, ფინანსირების წყარო იყო სანთლის ქარხანა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ საეკლესიო მუსიკალურ ტრადიციას. მისი ინიციატივით სასულიერო სკოლების პროგრამაში შეიტანეს ქართული გალობა. ხელს უწყობდა სამისიონერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობის" მეშვეობით აწყობდა გასაუბრებებს მალაკნებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღდგენას აჭარის მაჰმადიან მოსახლეობაში. ეგზარქოს იოანიკეს ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლისათვის გაღებული შემოწირულობების გამო გამოეცხადა მადლობა იმპერატორ ალექსანდრეს მეორის სახელით და დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის ორდენით.

იოანიკე ეგზარქოსმა თავისი მოღვაწეობით, ქართველ ხალხში, რომელთათვისაც ბოლომდე უცნობი დარჩა მისი ფარული განწყობა ქართველებისადმი, სამართლიანი და ქველმოქმედი მღვდელმთავრის სახელი დაიმკვიდრა. ქართულმა საზოგადოებამ რუსი მღვდელმთავრისადმი თავისი კეთილგანწყობა იმით გამოხატა, რომ კიევის მიტროპოლიტად დანიშნულ იოანიკეს 1899 წელს სასულიერო მოღვაწეობის 50 წელთან დაკავშირებით, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. [716]

საქართველოდან გაწვევის შემდეგ იოანიკე მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტად დანიშნეს. ამ კათედრაზე მოღვაწეობის დროს მოსკოვში მან 30-მდე ტაძარი აკურთხა. მოსკოვის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მხარდასაჭერად დააფუძნა კირილე – მეთოდეს საძმო. მონაწილეობდა სასულიერო აკადემიების რეფორმებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1884 წელს დამტკიცდა სასულიერო აკადემიების წესდება. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო ყაზანის, კიევის, მოსკოვის სასულიერი აკადემიის საპატიო წევრად.

1891 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ახალი გენერალ-გუბერნატორის დიდი თავადის სერგი ალექსანდრეს – ძის ჩამოსვლის შემდეგ, მასთან უთანხმოების გამო იმავე წელს იგი გადაიყვანეს კიევის ეპარქიის მმართველად. მიტროპოლიტმა იოანიკემ კიევში გადაყვანა მტკივნეულად განიცადა, რაც გამოხატა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში. 1899 წლის ბოლოს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევს საეკლესიო მსახურების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორმა უბოძა ბრილიანტებით მოოჭვილი ანდრია

716 ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 106; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 159-160, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე; შდრ. E. Bubulashvili, The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 144.

პირველწოდებულის ორდენი და აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

მიტროპოლიტი იოანიკე 1900 წლის 4 ივნისს გარდაიცვალა ფილტვების ანთებით, დაკრძალულია კიევ-პეჩორის ლავრის ჯვართამაღლების ეკლესიაში. 1987 წლის 3 ივნისს რუსეთის პატრიარქ პიმენის წინადადებით მიტროპოლიტი იოანიკე წმინდანად შერაცხეს.[717]

მიტროპოლიტ იოანიკეს ნაცვლად 1882 წლის 16 ივლისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ეგზარქოსად დანიშნა კიშინიოვის მთავარეპისკოპოსი პავლე ლებედევი (1882-1886). რუს ეგზარქოსებს შორის ანტიქართული მოღვაწეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა პავლე ლებედევი. მას იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როცა იმპერიის მასშტაბით რეაქციის ხანა მძვინვარებდა. რეაქციის შედეგებმა განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა საქართველოზე. ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ ამოეძირკვათ ყოველგვარი ეროვნული გამოვლინება, მეფისნაცვლის ინსტიტუტი მთავარმართებლით შეცვალეს, სახელწოდება „საქართველო" ამოიღეს და მის ნაცვლად „ქუთაისისა" და „თბილისის" გუბერნიას იყენებდნენ. რუსეთის სასულიერო უწყების სურვილი იყო პავლე ლებედევს მოვალეობის აღსრულების დროს ყოველგვარი ხმაურის გარეშე გაეტარებინა იმპერიული პოლიტიკა. რუსეთის ხელისუფალთა არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. პავლე ლებედევი სასულიერო პირთა შორის ჭკვიან და განათლებულ პიროვნებად მოიაზრებოდა. ობერ-პროკურორ ვ. საბლერის დახასიათებით, იგი იყო „ყველაზე გონებანათელი, ყველაზე მოწინავე მღვდელმთავარი, მღვდელმთავართაგან საუკეთესო, ჭკვიანი, საქმიანი, ენერგიული, კეთილშობილი."[718] ქართული წყაროებიც საგანგებოდ მიუთითებენ მის მაღალ ნიჭიერებაზე. იგი შესანიშნავი მოქადაგე და მჭევრმეტყველი ყოფილა. მისი ქადაგებების კრებული 1885 წელს რუსულ ენაზე თბილისში გამოქვეყნდა.[719] ხოლო ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორმა, დეკანოზმა

---

717 Православная энциклопедия, т. VIII, М., стр. 629-634; Sdr. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: в 86 т. СПБ, 1890, стр. 102; Sdr. `Kіевскія Епархіальныя Вѣдомости," 15 июня 1900, № 12, стр. 512.

718 Записки присутствюшего в святейшем правительствующем всероссийском синоде, архиепископа Херсонского Никанора, Одесса, 1913, т. II, стр. 80; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887 წწ.) ანტიქართული მოღვაწეობა, 2004 წლის 31-4 ივნისი, მოხსენების მოკლე შინაარსები; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17-26; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 41; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე.

719 Слова, беседы и речи, 1885; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU -ს საიტებზე;)

დავით ღამბაშიძემ 1887 წელს გამოსცა ზემოთ დასახელებული ქადაგებების ქართული თარგმანი. რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ასეთი თვისებების მქონე ეგზარქოსი დაკისრებულ მოვალეობას ზედმიწევნით შეასრულებდა.



საქართველოს ეგზარქოსი პავლე (ლებედევი, 1882-1887)

ეგზარქოსი პავლე ლებედევი (ერობაში პეტრე ივანეს ძე ლებედევი) დაიბადა 1827 წელს ტვერის ეპარქიაში, დიაკვნის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც მაგისტრის ხარისხით 1853 წელს დაამთავრა და იმავე წელს ბერად აღიკვეცა. 1857 წელს პავლე ლებედევი პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1859 წლიდან პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორია. 1861 წელს დაინიშნა სმოლენსკის სემინარიის რექტორად და ამავე ქალაქში არსებული ტაძრის წინამძღვრად. 1866 წელს გადაყვანილ იქნა პეტერბურგის სემინარიის რექტორად. 1868 წელს აკურთხეს ვიბორგის ეპისკოპოსად. 1869 წლიდან ლადოგის ეპარქიას განაგებს, ხოლო 1871 წელს კიშინიოვის ეპარქიის მმართველია. ნაყოფიერი სასულიერო მოღვაწეობის გამო, 1879 წელს მთავარეპისკოპოსობა უბოძეს. 1882 წლის 16 ივლისს მთავარეპისკოპოსი პავლე ლებედევი დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად. საქართველოში შემოსვლისას ახლად დანიშნულ ეგზარქოსს მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოუთქვამს სამწყსოს წინაშე მცხეთის სვეტიცხოვლისა და თბილისის სიონის საკათედრო ტაძრებში.[721]

პავლე ეგზარქოსმა კიშინიოვიდან ჩამოიყვანა თავისი თანამზრახველი დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა. ახალმა ეგზარქოსმა სამწყსოს ყურადღების მიქცევის მიზნით ააშენა ქალთა სასწავლებლისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავ-

720 Православная Богословская энциклопедия или Богословский словарь, т. IV, под. редакйии проф. А. П. Лопухина, Петербург, 1900, стр. 730. შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887 წწ.) ანტიქართული მოღვაწეობა, 2004 წლის 31-4 ივნისი, მოხსენების მოკლე შინაარსები; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 41-42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე).

721 ჟურნალი „მწყემსი," 1883, 1, გვ. 4; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42.

ლებლის შენობა. მანვე კაპიტალურად შეაკეთა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. მის დროს არდონში გაიხსნა სასულიერო ორკლასიანი სასწავლებელი. პავლე ეგზარქოსის მითითებით, 1884 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მოსახლეობაში რწმენის განმტკიცების მიზნით დააკანონა ნირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ რელიგიურ თემაზე საუბრებისა და ქადაგებების ჩატარება. პავლე ეგზარქოსის ინიციატივით 1885 წელს თბილისის სიონის ტაძართან დაარსდა „წმიდა ღვთისმშობლის სახელობის რელიგიური ძმობა," რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ამავე სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ძმობის სახელით იბეჭდებოდა რელიგიური ხასიათის წიგნები, არსდებოდა ბიბლიოთეკები.[722] ზოგიერთი რუსული წყარო პალე ეგზარქოსს მიაწერს საეკლესიო მუზეუმის დაარსებას,[723] რაც სინამდვილეს მოკლებულია. დიმიტრი ბაქრაძეს, ჯერ კიდევ 1873 წელს სურდა საეკლესიო მუზეუმის დაარსება, მაგრამ ეს იმ დროს ვერ განხორციელდა. მან 1884 წელს ეგზარქოს პავლეს წერილობით გააცნო მუზეუმის დაარსების გეგმა. ეგზარქოსს მოსწონებია დიმიტრი ბაქრაძის გადაწყვეტილება და შეუთავაზებია, რომ საეკლესიო მუზეუმი თბილისის სიონის ტაძართან არსებულ „წმ. ღვთისმშობლის ძმობასთან" დაარსებულიყო. საეკლესიო მუზეუმი 1889 წელს, პავლე ეგზარქოსის გაწვევის შემდეგ დაარსდა, ეგზარქოს პავლეს დროს, 1884 წელს ორიათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა ბიბლია ქართულ ენაზე.[724] ეგზარქოსი პავლე უხეშად ექცეოდა და აბუჩად იგდებდა ქართველ სასულიერო პირებს. იგი ყოველგვარი ეროვნული გამოვლინების წინააღმდეგ სატიკად ილაშქრებდა. მის დროს, 1884 წელს არქიმანდრიტების გრიგოლ დადიანისა და მაკარ

722 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 92; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

723 Православная Богословская энциклопедия, т. IV, под. 1900, стр. 730; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42.

724 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, №77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

ბატატუნაშვილის წინადადებით საეგზარქოსოსთან შეიქმნა კომისია ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღებასთან დაკავშირებით. ეგზარქოსის გადაწყვეტილებით კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. პავლე ეგზარქოსის მითითებით პავლე ჩუდეცკი კომისიის წევრებს ურჩევდა დაენერგათ სლავიანური გალობა, რადგან „ქართული გალობა არაკეთილხმოვანია და იგი არ წაადგება ქართულ ეკლესიასო." საქართველოს ეგზარქოსისა და პავლე ჩუდეცკის პროვოკაციული გამოხდომის გამო საეგზარქოსოსთან არსებულმა კომისიამ მუშაობა შეწყვიტა.[725] ეგზარქოსი პავლე ლებედევი სასულიერო პირისათვის შეუფერებელ საქმიანობასაც ეწეოდა. მის დროს დაიკარგა მეტეხის ტაძრის ღვთისმშობლის ორკარედიანი ხატი. თბილისის სიონის ტაძრიდან გაქრა წმ. ნინოს სასწაულმოქმედი ხატი. მისივე განკარგულებით თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკის გამგეს ი. გოტინსკის დაევალა გადაერჩია წიგნები და „საეჭვო ქართული ხელნაწერები" გაენადგურებინა. აღნიშნული დავალება სისრულეში იქნა მოყვანილი. ამ ხელნაწერებიდან მაშინდელი სემინარიის სტუდენტმა კალისტრატე ცინცაძემ დაწვას გადაარჩინა ერთი წიგნი, რომელიც „სვანური მრავალთავის" სახელით არის ცნობილი.[726]

პავლე ლებედევი მტრულად იყო განწყობილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. თუმცა, ამ განწყობას აშკარად არ ავლენდა, მაგრამ „თვალში ეჩხირებოდა ყოველი ფხიზელი ქართველი."[727] პავლე ეგზარქოსს შედარებით

---

725 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, კრებული ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 188, შდრ. მ. ქორელი, მოგონებები და წერილები, თბ., 1962, გვ. 73; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

726 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კორნელი კეკელიძის პირადი ფონდი, 109, ფურც. 125; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 42; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

727 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის ფონდი, 185, ფურც. 70; 125; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, №3, 2005, გვ. 42.

ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ. როგორც ჩანს, მას სურდა ასეთი პოლიტიკით ქართველი მღვდელმთავრის გული მოეგო, რომლის მიმართ მისი წინამორბედი ეგზარქოსი აშკარა მტრობას ეწეოდა. გაბრიელ ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ საიდუმლო წერილში იგი აშკარა ზიზღს გამოხატავდა ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის მიმართ. 1885 წელს საქართველოს ეგზარქოსი ეპისკოპოს გაბრიელს სწერდა: „დიმიტრი ყიფიანი ხელს გვიშლის, აკაკი წერეთელი კი ლექსებს უშვებს უცენზუროთ ხალხში და აძულებს რუსობას ხალხს. ახლა დაწერა ლექსი „ხანჯალს," სადაც „წითელა თათარში" რუსობას გულისხმობს."[728] ჩვენთვის უცნობია, თუ რა პასუხი გასცა გაბრიელ ეპისკოპოსმა საქართველოს ეგზარქოსის ამ ანტიქართულ გამოხტომას, მაგრამ აღნიშნული ცნობა მრავალმხრივ საყურადღებოა. ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო მასალით დასტურდება, რომ აკაკი წერეთლის ლექსი „ხანჯალს" დაიწერა არა 1905 წელს, როგორც ზოგიერთ მკვლევარს დღემდე მიაჩნია, არამედ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში.

ეგზარქოს პავლეს მოღვაწეობის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ანტიქართული საქმიანობა სასულიერო სასწავლებლებში. მისი იდეების რეალიზაციას სასულიერო განათლების სფეროში ახდენდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი და ეგზარქოსის მარჯვენა ხელი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. მძიმე ვითარება შეიქმნა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სემინარიის მოსწავლეებზე მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. მოსწავლეთა შორის უნდობლობამ იჩინა თავი. ბეზღება-დასმენები ჩვეულებრივ ამბად იქცა. აკრძალული ლიტერატურის გაცნობის გამო სემინარისტებს სასწავლებლიდან რიცხავდნენ. სულიერ საზრდოს მოკლებული სასულიერო სემინარიის სტუდენტები დანაკლისის შევსებას სასწავლებლის გარეთ ეძებდნენ. ისინი ხშირად სარგებლობდნენ ცნობილი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის მდიდარი ბიბლიოთეკით, სადაც უამრავ აკრძალულ ლიტერატურას ეცნობოდნენ. თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელთა უგუნური პოლიტიკის წყალობით სტუდენტთა გარკვეული ნაწილი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში არსებულ ხალხოსნურ და მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში ჩაებნენ და ათეისტებად იქცნენ.[729] თბილისის სასუ-

728 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის ფონდი, 185, ფურც. 70; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 18; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 42.

729 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ.

ლიერო სემინარიაში დაძაბულმა ვითარებამ კულმინაციას 1886 წელს მიაღწია, როცა სასწავლებლიდან გარიცხულმა სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა იმავე წლის 24 მაისს სასიკვდილოდ დაჭრა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. თავისთავად მიუღებელი და დასაგმობი იყო მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, მაგრამ ქართველი ხალხისათვის აღმაშფოთებელი და შეურაცხმყოფელი იყო ის სიტყვები, რომელიც ეგზარქოსმა პავლემ თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში პავლე ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს წარმოთქვა. ზეპირი სახით გავრცელდა ხმა, რომ ეგზარქოსმა ქართველი ერი შეაჩვენა: „დაწყევლილი იყოს ის ქვეყანა, რომელიც ამგვარ მკვლელებს ჰბადავსო."[730] რუსულმა გაზეთებმა („Кавказ," 1886, №139, „Русский курьер," 1886, №791), მართალია, გამოაქვეყნეს პავლე ეგზარქოსის სიტყვა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ფრაზა დაბეჭდილი პუბლიკაციიდან ამოღებული იყო. ქართველ საზოგადოებას მიაჩნდა, რომ მათი შეურაცხმყოფელი სიტყვები ცენზურამ არ დაბეჭდა დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო. ამის მიუხედავად, როგორც წყაროები გადმოგვცემენ: „აღელვება ხალხისა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. მშვიდნი და მორჩილნიც კი ამბობდნენ, ხალხის ამგვარი შელახვა არ გაგონილა საქართველოშიო..."[731] ხალხის ასეთი განწყობის მიუხედავად, ქართული პრესა („ივერია," „მწყემსი") პავლე ჩუდეცკის მკვლელობას გამოეხმაურა და იგი დაგმეს, როგორც „საშიშარი მკვლელობა." ჟურნალმა „მწყემსმა" დაწვრილებით გააცნო მკითხველს რექტორის დაკრძალვის ცერემონიალი. მანვე

160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

730 საშვილიშვილო მოკავშირე დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 37; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

731 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 37; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე

გაზეთ „კავკაზიდან" გადმობეჭდა დასაფლავების დღეს წარმოთქმული პავლე ეგზარქოსის სიტყვა. გაზეთმა „ივერიამ" მხოლოდ მოკლედ აღნიშნა მომხდარი ფაქტი და დაამატა, რომ მკვლელს ალბათ სამხედრო სასამართლოს გადასცემენ განსასჯელადო. ქართველი საზოგადო მოღვაწეები პრესის მეშვეობით არ გამოხმაურებიან პავლე ეგზარქოსის მიერ ქართველთა შეჩვენების ფაქტს. ეს ალბათ, მათი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან, ჯერ ერთი, მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება და მეორეც, რუსეთის რეაქციული ძალები კიდევ უფრო გააძლიერებდნენ ზეწოლას ქართველ ერზე, თუმცა ჟურნალ „მწყემსში" ერთი ფრაზა მაინც გაიპარა, როცა რედაქტორი მომხდარი მკვლელობის შესახებ აღნიშნავდა, რომ დამნაშავე იოსებ ლაღიევი იყო – „მოდგომით ოსი და არა იმერელი, როგორც შეცდომით ამბობდა გაზეთი „კავკაზიო."[732]

ამ ფაქტის დაფიქსირებით, როგორც ჩანს, ჟურნალ „მწყემსს" სურდა აღელვებული საზოგადოება დაემშვიდებინა და გაექარწყლებინა ის შეხედულება, რომ ეგზარქოსის წყევლა ქართველ ხალხს არ ეხებოდა.[733]

რექტორის პავლე ჩუდეცკის დასაფლავების შემდეგ შეშინებული ეგზარქოსი პოლიციის გაძლიერებული დაცვით დადიოდა და დახმარებას პეტერბურგიდან ითხოვდა. 1886 წლის 28 მაისს რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ კონსტანტინე პობედონოსცევისადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი მომხდარ ფაქტს ტენდენციურად აანალიზებდა და დამნაშავედ ქართველ ხალხს მიიჩნევდა. პავლე ეგზარქოსი თავს იწონებდა სასულიერო ხელისუფლების წინაშე, როდესაც აღნიშნავდა, რომ მისმა სიტყვამ „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მოეწონათ რუსებს და არ მოეწონათ ქართველების გარკვეულ ნაწილს."[734]

როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, პავლე ეგზარქოსის სიტყვით შეურაცხყოფილ გენერალ-ლეიტენანტ ქრისტეფორე მამაცაშვილს

---

732 ჟურნალი „მწყემსი," 1886, 15, გვ. 3; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, №77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებე-დევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგ-ზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დის-ერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ჩ.ს. -ს საიტებზე.

733 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43.

734 კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 27; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43.

პროტესტის ნიშნად ტაძარი დაუტოვებია.[735] ტაძარში დარჩენილ ქართველებს დამცირებულად უგრძვნიათ თავი, რადგან მწყემსმთავრის სიტყვა „მორწმუნე საზოგადოებისათვის იყო ღვთის რისხვა, მამულისშვილთათვის კი დაუმსახურებელი ზიზღი."[736] პავლე ეგზარქოსი პეტერბურგის უმაღლეს სასულიერო უწყებას მოახსენებდა, რომ ქართველი ინტელიგენცია ყოველნაირად ცდილობს მკვლელის დაცვას და „მიცვალებულს აბრალებენ უხეშობას, სისასტიკეს." იგი გარდაცვლილ რექტორს წარმოაჩენს ლიბერალურ პიროვნებად, რომელიც თითქოს თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული ბოროტების აღმოფხვრისათვის იბრძოდა. ბოროტებაში ეგზარქოსი, უეჭველია, გულისხმობდა სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა სწრაფვას თავისუფლებისათვის, მაგრამ იგი არ აღნიშნავდა, რომ ბოროტების სათავე რუსული იმპერიული პოლიტიკით იყო განპირობებული. პავლე ეგზარქოსი ობერ-პროკურორ კონსტანტინე პობედონოსცევს სთხოვს, რომ სასწრაფოდ იქნეს დანიშნული ახალი რექტორი და პეტერბურგიდან გამოიგზავნოს სპეციალური კომისია თბილისის სასულიერო სემინარიის საქმიანობის შესასწავლად, რომლის მიზანი იქნება არასაიმედო პედაგოგების დათხოვა და ეჭვმიტანილი სტუდენტების გარიცხვა. იგი რუსეთის ხელისუფლების წინაშე წინადადებას აყენებს, რომ გადატანილ იქნეს თბილისის სასულიერო სემინარიის გამოცდები, რადგან, მისი აზრით, ცუდი ნიშნების დაწერის შემთხვევაში, შესაძლებელია კვლავ დაიღვაროს სისხლი. პავლე ეგზარქოსი რუსეთის უზენაესი სასულიერო უწყების წინაშე საკუთარ თავს გამბედავ და მამაც პიროვნებად წარმოაჩენს, როცა აღნიშნავს, რომ „მეც სიამოვნებით გავცვლიდი ჩემს საეგზარქოსოს ყველაზე ჩამორჩენილ რუსულ ეპარქიაზე, მაგრამ ჩემი აქედან გაქცევა, როდესაც სერიოზული საშიშროება მემუქრება, სიმხდალე

735 კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თბილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994, გვ. 214; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 43; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

736 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის ფონდი 170, ფურც. 75; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 18; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 44; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

და სულმდაბლობა იქნება." მიმართვის დასასრულს ეგზარქოსი პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფალთაგან თანადგომას ითხოვდა.[737]

ქართველი საზოგადოებისათვის შეურაცხყოფის გამო პავლე ეგზარქოსის ანტიქართულ გამოხდომას გამოეხმაურა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც 1886 წლის 8 ივნისს სადგურ მიხაილოვიდან (ხაშური) საქართველოს ეგზარქოსს მოსახლეობაში გავრცელებული ხმების გამო შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა:

„თქვენო უსამღვდელოესობავ!

მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ, – დაუჯერებელ ხმებს აყოლილი, – ვცოდავ თქვენს წინაშე, განმიტევეთ ჩემი დიდი შეცდომა. მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ, თითქოს თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც, ამდენად, თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა.


იგივე ხმები არა სჯერდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფას და იმასაც მოგაწერენ, თითქოს სამწყსოს წინაშე ბოდიშის მოხდას აპირებთ თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო, თუ ეს ყოველივე მართალია, მეუფეო, თქვენი თანამდებობრივი ღირსების გადარჩენა ამასღა შეუძლია – შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან. ამას წრფელი გულით მოგახსენებთ თქვენივე სამწყსოს ერთი წევრი, რომელსაც სურს, ქვეყანას მორიგი განუზომელი ცოდვა ააცილოს.

ხოლო თუ ეს ყოველივე მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ ჩემზე თქვენი მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა."[738]

---

737 Победоносцев и его кореспонденты I, полутом 2-ой, М., 1923, стр. 26-29; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 44; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

738 საშვილიშვილო მოკავშირე დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 18; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 44; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.



დიმიტრი ყიფიანი
(1814-1887)

პავლე ეგზარქოსისადმი გაგზავნილი დიმიტრი ყიფიანის მიმართვა ხელნაწერის სახით გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში. მის გამოქვეყნებაზე არ უფიქრია თვით მიმართვის ავტორსაც, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ცენზურა არ დაუშვებდა მის პუბლიკაციას. დიმიტრი ყიფიანის აღნიშნული მიმართვა პირველად დაიბეჭდა 1911 წელს გამოცემულ არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველ ტომში. ამავე ნაშრომში არჩილ ჯორჯაძემ გამოაქვეყნა დიმიტრი ყიფიანისადმი გაგზავნილი პავლე ეგზარქოსის პასუხი. არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა ტომში აღნიშნულია, რომ პავლე ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმული პავლე ეგზარქოსის სიტყვა თითქოს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზ"-ის 1886 წლის 199-ში, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. დღემდე თითქმის ყველა მკვლევარი არჩილ ჯორჯაძის აღნიშნულ შეცდომას იმეორებს.

პავლე ეგზარქოსის წინააღმდეგ დიმიტრი ყიფიანის გამოსვლამ პეტერბურგისა და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მოსალოდნელი პოლიტიკური ვითარების დაძაბვის მიშით თავიანთი განწყობილება აშკარად არ გამოუხატავთ. სამაგიეროდ, როგორც კალისტრატე ცინცაძე წერს: „მრავალმა სასულიერო და არასასულიერო პირმა გამოამჟღავნეს გულისა თვისისა ნაბედნი ჩვენდა მიმართ და დაგვანახვეს პირბადე ახდილი სახე თვისი."[739] საიდუმლო მიმოწერებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა და მკაცრი ღონისძიებების გატარებას გეგმავდა. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი სასწრაფოდ გამოემგზავრა კავკასიისაკენ და კისლოვოდსკიდან აკონტროლებდა საქართველოში არსებულ სიტუაციას. აქ იგი ხშირად

739 კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თბილისში, გვ. 210; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტროიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 44; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

ხვდებოდა საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს, სამხედრო მინისტრს პ. ვანკოვსკის და მათთან საიდუმლო თათბირებს მართავდა. 1886 წლის 20 ივნისს ობერ-პროკურორმა კისლავოდსკიდან იმპერატორ ალექსანდრე მესამეს აცნობა საქართველოში შექმნილი ვითარება და მოითხოვა დიმიტრი ყიფიანის გასახლება. რადგან, როგორც კონსტანტინე პობედონოსცევი წერს: „ეგზარქოსს მიმართავს სულელური და უტიფარი წერილით და მუქარის კილოთი ურჩევს, დატოვოს კავკასია," მხოლოდ იმის გამო, რომ „რექტორის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსმა გამოხატა უღრმესი მწუხარება და, ამასთანავე გულისწყრომაც ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო."[740] 1886 წლის 25 ივნისს, როგორც ჩანს, ობერ-პროკურორთან შეთანხმებით, საქართველოს მთავარმართებელმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაწვრილებით გააცნო მომხდარი ამბები და აღნიშნა, რომ დიმიტრი ყიფიანის გამოსვლამ „უეჭველია, ხელი შეუწყო საქართველო-იმერეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის დარწმუნებას, თითქოს ეგზარქოსს მართლაც დაეწყევლოს საქართველო." ასეც რომ ყოფილიყო, მიუთითებს ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, „მას არავითარი უფლება არ ჰქონდა მხარის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისათვის ასეთი უღირსი შინაარსის წერილით მიემართა."[741] იგი პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვის მიზნით მოითხოვდა დიმიტრი ყიფიანის საქართველოდან გაწვევას. მოტანილი დოკუმენტური მასალა აშკარად მეტყველებს, რომ დიმიტრი ყიფიანის ქმედება პეტერბურგის საიმპერატორო კარმა შეაფასა როგორც მძაფრი პოლიტიკური გამოხდომა იმპერიის წინააღმდეგ. თავის მხრივ, ეგზარქოსმა პავლემაც ვერ გამოიჩინა გონიერება. იგი, როგორც

---

740 საშვილიშვილო მოკავშირე დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 14; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 45; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

741 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 14; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 45; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

სასულიერო პირი, ვალდებულიც იყო მიეტევებინა დიმიტრი ყიფიანისათვის. მით უმეტეს, ეს უკანასკნელი მიმართვაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ხმები თუ კი „მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ ჩემზე ქვენი მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა." ასეთი თხოვნის მიუხედავად, მან დიმიტრი ყიფიანის წერილი პირადი ღირსების შეურაცხყოფად მიიჩნია. 1886 წლის 9 ივნისს დიმიტრი ყიფიანისადმი გაგზავნილ წერილში პავლე ეგზარქოსი ქვედმაღლურად აცხადებდა: „თქვენი აღმატებულების მიერ 8 ივნისს გამოგზავნილ უცნაურ წერილზე თავს მოვალედ ვთვლი გიპასუხოთ, რომ დეკანოზ ჩუდეცკის კუბოსთან წარმოთქმული ჩემი სიტყვა დაბეჭდილია „კავკაზის" 139-ე ნომერში, რაც შეეხება უხეშ ხმებს, რომელთა მოხსენებაც თქვენს წერილში გინებებიათ, მათზე რაიმეს თქმა ჩემი ღირსების შეურაცხყოფად მიმაჩნია."[742]

როგორც ჩანს, პავლე ეგზარქოსი შორს იდგა ქრისტიანული შემწყნარებლობისაგან და თავისი ამპარტავნების გამო უკვე საქართველოში აღარ დაედგომებოდა. იგი დიმიტრი ყიფიანის წერილის მიღებისთანავე სასწრაფოდ გაემგზავრა საქართველოდან და უკან დაბრუნებას აღარ აპირებდა.

რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ კონსტანტინე პობედონოსცევისა და საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებაზე დაყრდნობით, ცილისწამების საფუძველზე დიმიტრი ყიფიანს ბრალდება წაუყენეს. მოგვიანებით, სტავროპოლში გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი 1886 წლის 14 ნომებერს რუსეთის მთავრობის სახელზე შედგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნავდა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული პავლე ეგზარქოსის სიტყვა თავისთავად შეურაცხმყოფელია ქართველი ხალხისათვის, რადგან სულიერ მწყემსმთავარს არ ეკადრებოდა ეთქვა, რომ „მკვლელი კი არ არის ჯალათის ღირსი, არამედ ის საზოგადოება, სადაც ამგვარი ავაზაკები იბადებიან... იტირეთ და იკრძალვეთ „прешения Господня," თქვენ, ავაზაკების თანამგრძნობნო და თანაშემწენო." დიმიტრი ყიფიანის აზრით, „საეკლესიო სლავური სიტყვა „прешения Господня" ჰნიშნავს განდევნას, გამორიცხვას, ე. ი. ანათემას, წყევლას."[743] კალისტრატე ცინცა-

742 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 103; შდრ. ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები, დოკუმენტების კრებული, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2009, გვ. 66; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

743 კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარია, თბ., 1994, გვ. 38; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავ-

ძეც აღნიშნავს, რომ გაზეთში დაბეჭდილი ეგზარქოსის სიტყვა იმის საფუძველი იყო, რომ ქართველ ხალხს უკმაყოფილება გამოეხატა რუსი მღვდელმთავრის მიმართ.

პეტერბურგის საიმპერატორო კარის 1886 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით დიმიტრი ყიფიანი დააპატიმრეს და სტავროპოლში გადაასახლეს. „თავადაზნაურობა და შეგნებული ნაწილი ხალხისა დიმიტრი ყიფიანთან იყო,"[744] მაგრამ დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო მათ ხმა ვერ აღიმაღლეს უკანონობის წინააღმდეგ. მხოლოდ აკაკი წერეთელმა ინახულა და გაამხნევა რუსეთში მიმავალი მამულიშვილი, ხოლო მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა 1886 წლის 16 სექტემბერს დიმიტრი ყიფიანს თანადგომის წერილით მიმართეს.[745] ქართველმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილი გამოხატა 1887 წელს ხელისუფლების დაქირავებული აგენტების მიერ ვერაგულად მოკლული დიმიტრი ყიფიანის მიმართ. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა წერილები. რუსეთის ხელისუფლება შიშობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას შესაძლოა, ახალი პოლიტიკური გართულება მოჰყოლოდა. ამიტომ ყოველ საშუალებას იყენებდა იგი იმისათვის, რომ მის დაკრძალვას პოლიტიკური სახე არ მისცემოდა. მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა სათანადო პატივი მიაგო სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულ მამულიშვილს. დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს ქართველმა სასულიერო პირებმა. კავკასიის რუსულ ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად, გორის ქორ-ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძის კურთხევით, სტავროპოლიდან ჩამოსვენებულ დიმიტრი ყიფიანის ცხედარი რამდენიმე დღე მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაასვენეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის გუბერნატორი კ. ზისერმანი საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს აცნობებდა, რომ აღნიშნული ფაქტის გამო საჭიროა

კასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 45; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

744 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ ელენჯერიძის ფონდი 170, ფურც. 75; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 45; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19.

745 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 87; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 45; შდრ. შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19.

ყურადღება მიექცეს ალექსანდრე ეპისკოპოსს „პოლიტიკური თვალსაზრისით იმ უხერხულ შედეგებზე, რომელიც მის გადაწყვეტილებას მოჰყვა."[746]

სასულიერო პირების ინიციატივით თბილისის თითქმის ყველა ეკლესიაში გადახდილ იქნა გარდაცვლილისადმი მიძღვნილი პანაშვიდები. ათონის წმინდა მთის ბერები ორმოცი დღის განმავლობაში ყოველდღე ჟამის წირვის დროს იხდიდნენ დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს.[747] 1899 წლის 24 ოქტომბერს დიმიტრი ყიფიანის საფლავზე ძეგლის დადგმასა და მის კურთხევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სასულიერო პირებმა. პანაშვიდის გადახდის შემდეგ გარდაცვლილის შესახებ სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა ნესტორ მაჭარაშვილმა. ალავერდის ტაძარში კი, დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებელ წირვაზე, მრევლს მიმართა ეპისკოპოსმა კირიონ საძაგლიშვილმა.

რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით ი. ჩისტოვიჩის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სემინარიაში. კომისიის დასკვნის საფუძველზე რამდენიმე თვით შეწყდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა, არასაიმედო ქართველი მასწავლებლები და სტუდენტები სასწავლებლიდან დაითხოვეს.

რუსეთში წასულ პავლე ეგზარქოსს უკან დაბრუნება აღარ სურდა. იგი რუსეთის სასულიერო უწყებას არწმუნებდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში მას ფიზიკურად გაანადგურებდნენ. მთავრობაში უკვე საუბრობდნენ პავლე ლებედევის შემცვლელზე. საბოლოოდ არჩევანი ყაზანის მთავარეპისკოპოს პალადი რაევზე შეჩერდა. იმდროინდელი რუსი მღვდელმთავრები და სასულიერო პირები ქართველ ხალხს აუგად მოიხსენიებდნენ და სიძულვილს ამჟღავნებდნენ საქართველოს მიმართ. მხოლოდ ერთადერთმა პეტერბურგელმა დეკანოზმა კ. მიხაილოვსკიმ შედარებით ობიექტური აზრი გამოთქვა მომხდარის შესახებ.[748] რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილე-

---

746 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 137; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 46; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

747 Автобиографические записки Саввы, Архиепископа Тверского и Каминского Сергиев посад, т. 8, стр. 87; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 46; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19.

748 Победоносцев и его кореспонденты I, полутом 2-ой, стр. 145; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 46; შდრ. ე. ბუბულაშ-

ბით, ეგზარქოს პავლე ლებედევს მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადასცეს და ყაზანის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. თუმცა, იგი ამის შემდეგაც აუგად მოიხსენიებდა ქართველ ხალხს: მხეცებს, ველურებს, არამზადებს და ნაძირლებს უწოდებდა მათ. რუსეთის ხელისუფლების დიდი თანადგომის მიუხედავად, ისინი პავლე ლებედევის საქართველოში მოღვაწეობით უკმაყოფილონი იყვნენ. ობერ-პროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი პავლე ეგზარქოსთან დაკავშირებით მწარე სიმართლეს აღიარებდა, როცა წერდა: „აი, გავგზავნეთ პავლე საქართველოში, სამწუხაროდ, იგი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე: უნდა ყოფილიყო ჩუმად და ჩუმადვე ეკეთებინა საქმე. მან კი დაიწყო ლაპარაკი და ყველა აიმხედრა." კონსტანტინე პობედონოსცევს მიაჩნდა, რომ „საჭიროა მისი იქიდან მოშორება და პალადის გაგზავნა, გაკეთებულის დანგრევა და თავიდან დაწყება უკვე გაფუჭებული საქმისა."[749]

საქართველოდან გაწვეული მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი) პავლე ლებედევი 1887 წლის 29 სექტემბერს დაინიშნა ყაზანის ეპარქიის მმართველად. 1892 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა, დასაფლავებულია ყაზანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.[750]

მთავრობის განკარგულებით პავლე ლებედევის შემცვლელად დაინიშნა ყაზანის მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი/პისარევი (1887-1892), რომელმაც შელახული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით ლიბერალური პოლიტიკის გატარება სცადა.[751]

1887 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული პალადი (ერობაში პავლე ივანეს ძე რაევი/პისარევი) დაიბადა 1827 წლის 20 ივნისს ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის, არზამარსკის მაზრის სოფელ ივანოვოში, მღვდლის იოანე პისარევის ოჯახში. სასულიერო განათლება ჯერ

ვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU საიტებზე.

749 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 35; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 46; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის ანტიქართული მოღვაწეობა, 1882-1887 წლები, საისტორიო მოამბე, № 77-78, თბ., 2004-2005, გვ. 19; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 160-169, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

750 Павле (Лебедев), Русский биографический словарь, в 25 томах СПБ. – М., 1896-1918.

751 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 46; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) მოღვაწეობის ისტორიიდან, აღმოსავლეთი და კავკასია, რეცენზირებული და რეფერირებული საერთაშორისო ჟურნალი, 3, 2005, გვ. 19.

მიიღო ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო სასწავლებელში, 1848 წელს კი დაამთავრა ამავე ქალაქის სასულიერო სემინარია. მისი უფროსი ძმა შემდგომ მღვდელ-მონაზონი პოლიკარპემ სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს რაევის გვარით სწავლობდა. ძმის გამო პავლემ პისარევთან ერთად აიღო რაევის გვარი. ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა გააგრძელა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1852 წელს დაასრულა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით. ერთხანს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ნიჟნი-ნოვგოროდის სასულიერო სასწავლებელში და ამავე ქალაქის სასულიერო სემინარიაში, სადაც ასწავლიდა ლოგიკას, ფსიქოლოგიას და თათრულ ენას. 1856 წელს მღვდლად აკურთხეს და გაამწესეს პოკროვის ეკლესიაში. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1861 წელს ბერად აღიკვეცა პალადის სახელით. ერთი წლის შემდეგ აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1863 წელს გაამწესეს პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, მალევე კი ამავე სასწავლებლის რექტორად დანიშნეს. 1864 წელს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და დანიშნეს სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორე ნიკოლსკის დაქვემდებარებულ ლადოგის პირველ ვიკარ-ეპისკოპოსად; 1869 წელს დაინიშნა ვოლოგდის ეპარქიის მმართველად; 1873 წლიდან ტამბოვის ეპარქიას განაგებს, სამი წლის შემდეგ კი რიაზანის ეპარქიაში გადაჰყავთ, მალე იგი მთავარეპისკოპოსიის ხარისხში აიყვანეს და 1882 წლიდან ყაზანის ეპარქიაში გაამწესეს.[752]

კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, რუსული წყაროების დახასიათებით, პალადი რაევი იყო „სასიმოვნო ადამიანი, persona grata ყველასთან და ყოველთვის, სურს და შეუძლია კიდეც აამოს, ყველაფერი მოარიგოს, მოაწესრიგოს, იგი უყვარს ყველას."[753] იგივე კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით, პალადი ეგზარქოსი სამღვდელოებას ზიზღნარევი ალერსით ექცეოდა, საერო საზოგადოებას კი თავაზიანი პირფერობით.[754] მრისხანე და დაუნდობელი პავლე ლებედევის შემდეგ პალადი რაევის დანიშვნა საქართველოს ეგზარქოსად ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად გამართლებული ნაბიჯი იყო. პავლე ლებედევის საქართველოდან გაძევების შემდეგ მოსახლეობაში

752 А. А. Царевский, Памяти в бозе почившего митрополита Санкт-Петербургскаго высокопреосвященнейшего Палладия, Казан, 1899, стр. 44-48; შდრ. Некролог. „„Церковный вестник," 10 декабря, 1898, №50, СПБ, стр. 34-38; შდრ. Русский биографический словарь, в 25 томах СПБ. – М.,1918.

753 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 35; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. ED-ს საიტებზე.

754 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 35); შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 147; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

შექმნილი დაძაბულობის განმუხტვა მხოლოდ პოლიტიკური მოქნილობით იყო შესაძლებელი. ეგზარქოს პალადი რაევს სხვა ეგზარქოსების მსგავსად არ უყვარდა თავისი სამწყსო, მაგრამ აშკარად არ ავლენდა. პირიქით, თავისი განწყობილების შენიღბვის მიზნით ქართველ საზოგადოებასთან ცდილობდა ახლო ურთიერთობის დამყარებას. იგი ქართველი წარჩინებული ოჯახების ხშირი სტუმარი იყო და ქათინაურებსაც არ იშურებდა მათ საქებრად. 1888 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ეგზარქოსმა ქართველი საზოგადოების წინაშე მგზნებარე სიტყვით მიმართა. ამ სიტყვაში საქართველოს „რუსეთის სამეფო გვირგვინის ძვირფასი მარგალიტი უწოდა."[755] ეგზარქოს პალადის აღნიშნულმა სიტყვებმა სასიამოვნოდ იმოქმედა იმპერატორზე. მან იმავე წლის 25 დეკემბრის ბრძანებით პალადი რაევი ბარტყულაზე სატარებელი ბრილიანტის ძვირფასი ჯვრით დაასაჩუქრა.[756] პალადი რაევის ეგზარქოსად მოღვაწეობის დროს ბევრ სასიკეთო საქმესაც ჩაეყარა საფუძველი. 1888 წელს მისი ხელშეწყობით თბილისის სიონის ტაძრის ეზოში ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით დაფუძნდა საეკლესიო მუზეუმი. მის დროსვე თავისი საქმიანობა გააძლიერა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ." მისი ეგზარქოსობის დროს ეს საზოგადოება იმპერატორის მეუღლის მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ მოექცა. ეგზარქოს პალადის ხელშეწყობით აღდგენილ იქნა რამდენიმე ქართული ქრისტიანული ტაძარი. მანვე 1891 წელს დაარსა საეგზარქოსოს ოფიციალური ჟურნალი „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე." მისი ინიციატივით, 1890 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში პირველად შემოღებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლება. აღნიშნულ საგანს რუსულ ენაზე ყველა ეროვნების ბავშვი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიის მე-4 მე-5 კლასში.

ეგზარქოსობიდან გაწვევის შემდეგ პატივისცემის ნიშნად ქართველმა საზოგადოებამ 1892 წლის 7 ნოემბერს პალადის თბილისში, ეგზარქოსის სასახლეში გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყო. საღამოს ესწრებოდა იმერე-

755 ჟურნალი „მწყემსი," 1888, 19, გვ. 2; შდრ. თ. შაკიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1999, გვ. 199; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 147; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

756 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 5, გვ. 361; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 147; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.



საქართველოს ეგზარქოსი პალადი (რაევი-პისარევი, 1887-1892)

თის დეპუტაცია გაბრიელ ეპისკოპოსი და დეკანოზი დავით ღამბაშიძე; სამეგრელოს მღვდელმთავარი გრიგოლ დადიანი და დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი; სოხუმის ეპარქიის მმართველი აგათადორი და ახალი ათონის წინამძღვარი იერომონე; საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლები, თბილისის სასულიერო სემინარიისა და სხვა სასულიერო სასწავლებელთა პედაგოგები. დამსწრე საზოგადოებამ მადლიერება გამოხატეს მთავარეპისკოპოს პალადის მიმართ. საზეიმო სუფრაზე დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ ეგზარქოს სადღერგძელოში მადლობა გადაუხადა იმ სამსახურის გამო, რომელიც მან გასწია საქართველოში. მან პალადის შეახსენა ის ფაქტი, როდესაც მან რუსეთის იმპერატორს საქართველოში სტუმრობისას განუცხადა, რომ „საქართველო, დიდებული სიქველითა და ძლევამოსილებით, არის ძვირფასი მარგალიტი მეფის გვირგვინში და ერთი საუკეთესო სამფლობელოთაგანი ვრცელი რუსეთის სამეფოისა." სიტყვის დასასრულს დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ ბრძანა: „გულითად მადლობას გწირავთ ყველა ამისათვის და სრული იმედი მაქვს, რომ ესეთსავე დახმარებას არ მოგვაკლებს არც აწინდელის უმაღლესი ადგილიდან."[757] რვა ნოემბერს მთავარეპისკოპოსმა პალადიმ უკანასკნელად წირა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, გამოსათხოვარ სიტყვაში მან აღნიშნა: „სული ჩემი აღვსილია მადლობით საქართველოს სამწყსოის ყველა წოდებისადმი იმ სიყვარულისათვის, რომელსაც ეს სამწყსო გრძნობდა ჩემდამი და იმ პატივისცემისადმი, რომელსაც მე ვიღებდი შესაფერი სამსახურისათვის. სასიხარულოდ მიმაჩნია, რომ საქართველოს ხალხი მტკიცედ იცავს სარწმუნოებას მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა და თავის კეთილმორწმუნე ჩვეულებით." ცხრა ნოემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ ეგზარქოსყოფილ პალადის გადასცა საქართველოს ძველ ტაძართა ფოტოგრაფიული ალბომი ვერცხლის ყდით მოჭედილი, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო წმინდა ნინო ჯვრით. ჯვრის ზემოთ იყო წარწერა: „მოგვიტანე ჩვენ მშვიდობა და კურთხევა," ხოლო ქვემოთ: „მადლიერი საქართველოსაგან." 1877-1892 წწ."[758]

საქართველოს სამწყსომ დიდად დააფასა ეგზარქოს პალადის მოღვაწეობა და საქართველოდან გაწვევის შემდეგ პატივისცემის ნიშნად მას მიართვეს

757 ჟურნალი „მწყემსი," 21, 1892, გვ. 3.

758 ჟურნალი „მწყემსი," 21, 1892, გვ. 3.

კვერთხი. სამადლობელ სიტყვაში, რომელზეც ხელს 2000 ქართველი აწერდა, აღნიშნული იყო: „თქვენის მეუფების სახელს არ დაივიწყებს ქართველი ერი, სანამდის ცოცხალი იქნება. თქვენ შეიყვარეთ ქართველი ერი და მან, თქვენს მიერ კურთხეულმა, შეგიყვარათ თქვენ."[759] ჟურნალმა „მწყემსმა" 1898 წლის დეკემბერში მიტროპოლიტ პალადის გარდაცვალების გამო გამოსათხოვარი წერილი გამოაქვეყნა.

ქართველი ხალხი გულწრფელი იყო ეგზარქოსის შეფასებაში, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილად არ იმსახურებდა პატივისცემას, რაზეც მის მიერ ჩადენილი ქმედებები მეტყველებს. იგი შენილბული სახით ეწეოდა ანტიქართულ მოღვაწეობას. მან ეჭვი შეიტანა ქართველი წმინდანების არსებობაში და მათი დამადასტურებელი დოკუმენტური აქტების ნარმოდგენა მოითხოვა. რაც გარკვეული მიზეზების გამო იმ დროისათვის აღარ არსებობდა. ქართველი წმინდანების „ბედით დაინტერესებულ" ეგზარქოსს განუცხადეს, რომ „ასეთი აქტები არ შემოინახებოდა, მაგრამ მარტო ის, რომ მათი სახელები საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე მოიხსენიება, მოწმობს მათ დაკანონებას."[760] იმავე ეგზარქოსის განკარგულებით ქართული სახელები ბერძნულით უნდა შეეცვალათ და ყველა ის მღვდელი დაჯარიმდებოდა, ვინც ბავშვებს ქართველ წმინდანთა სახელებს დაარქმევდა.[761] ეგზარქოსმა პალადი რაევმა, ევსევი ილინსკისა და პაველ ლებედევის მსგავსად, დაიწყო ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვა. მან ამ მიზნით პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოიყვანა სომეხი მხატვარი სტეფანე საბინ-გუსი. ეგზარქოს პალადის უფლებამოსილებით აღჭურვილმა სტეფანე საბინ-გუსმა დასავლეთ

---

759 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური," 1901, 5, გვ. 479; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 38981, ფურც. 1-2; შდრ., საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 38986, ფურც. 4; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 147; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

760 კალისტრატე ცინცაძე, „ჩემი მოგონებიდან," თბ., 2001, გვ. 38; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 147; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

761 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 38981, ფურც. 1-2; შდრ., საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 38986, ფურც. 4; შდრ. E. Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia, „Bennett & Bloom," London, 2006, გვ. 148; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან (ჯუმათი, ხობი, მარტვილი, შემოქმედი) მრავალი ხატი გაიტანა, ვითომდა რესტავრაციის მიზნით, მაგრამ არც ერთი უკან აღარ დაუბრუნებია. ეგზარქოსის დასტურითა და მისი მითითებით, მან აღნიშნული სიწმინდეები კოლექციონერებზე გაყიდა. აღნიშნული ფაქტის გამომჟღავნების შემდეგ ობერ-პროკურორმა კონსტანტინე პობედონოსცევმა ასხნა-განმარტება ჩამოართვა ეგზარქოს პალადის, მაგრამ მან მოახერხა თავის დაძვრენა და თავისი თანამზრახველის დაცვაც. სტეფანე საბინ-გუსმა, ამ წმინდა ნივთებში აღებული ფულით პეტერბურგში ფოტოგრაფიის სალონი გახსნა. იგი სამართალში არ მიუციათ იმის შიშით, რომ სასამართლოზე მღვდელმთავარ პალადის ჩადენილი დანაშაულობანი არ გამჟღავნებულიყო.[762] თვით ეგზარქოსი პალადი კი, იმის ნაცვლად, რომ ჩამოექვეითებინათ და მისთვის ეგზარქოსობა ჩამოერთმიათ, ობერ-პროკურორ კონსტანტინე პობედონოსცევის წარდგინებით მიტრაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვეს, მოგვიანებით კი პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაიყვანეს.[763] ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1898 წლის 5 დეკემბერს 72 წლის მიტროპოლიტი პალადი რაევი პეტერბურგში გარდაიცვალა, დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრის ისიდორეს ეკლესიაში. 1932 წელს გადაასვენეს ლავრასთან არსებულ მამათა სასაფლაოზე.

1892 წლის 18 ოქტომბერს პალადის ნაცვლად საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა სამარის ეპისკოპოსი ვლადიმირ ბოგოიავლენსკი (1892-1898). ვლადიმირი (ერობაში ვასილ ნიკიფორეს ძე) დაიბადა 1848 წლის პირველ იანვარს ტამბოვის გუბერნიის მორშენსკის მაზრის სოფელ მორშენკაში, მღვდლის ოჯახში. სასულიერო განათლება მიიღო ტამბოვის სემინარიაში, 1874 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო სემინარია, სადაც მას ნაშრომისათვის „ეკლესიიდან განყენების უფლების შესახებ" მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი.

აკადემიური კურსის დამთავრების შემდეგ, 1874 წლის 26 მაისიდან ვლადიმირი წმ. წერილის პედაგოგად დაინიშნა ტამბოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც აგრეთვე ასწავლიდა ჰომილეტიკას, ლიტურგიკას და კანონიკას. სა-

762 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 94; შდრ. Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, Москва, 1907, стр. 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 105; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

763 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური", 1901, 4, გვ. 481; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

სულიერო სემინარიის გარდა გერმანულ ენას და გეოგრაფიას ასწავლიდა ქალთა გიმნაზიაში. 1882 წელს დაოჯახდა და ტამბოვის ეპისკოპოსმა პალადიმ (განკევიჩი) იმავე წელს დაასხა ხელი მღვდლად და განწესებული იქნა ქალაქ კოზლოვის პოკროვსკის ეკლესიის მღვდელმსახურად. ერთი წლის შემდეგ კოზლოვის წმ. სამების ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მალევე იგი კოზლოვის ერთ-ერთი ოლქის ბლაღოჩინად გაამწესეს. მრევლში იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ცნობილი იყო თავისი ქადაგებით. მეუღლისა და შვილის გარდაცვალების შემდეგ, 1886 წლის 8 თებერვალს ტამბოვის ყაზანის ღვთისმშობლის მონასტერში აღიკვეცა ბერად და მეორე დღეს აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხსი და დაინიშნა კოზლოვის სამების მონასტრის წინამძღვრად. მალე გადაიყვანეს ნოვგოროდის ანტონიევის მონასტრის წინამძღვრად. 1888 წლის 13 ივნისს ალექსანრე ნეველის ლავრის სამების ტაძარში ვლადიმერი მიტროპოლიტ ისიდორეს (ნიკოლსკი) ხელდასხმით აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და გაამწესეს ნოვგოროდის ეპარქიის ვიკარ-ეპისკოპოსად. იგი, როგორც ვიკარ-ეპისკოპოსი, იყო ხანდაზმული მიტროპოლიტის ისიდორეს (ნიკოლსკი) თანაშემწე ნოვგოროდის ეპარქიის მართვაში.

ეპარქიაში მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ მღვდელმსახურთა განათლების დონის ასამაღლებლად მოამზადა წიგნების სია, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონოდათ ეკლესიის ბიბლიოთეკებს. ეპისკოპოს ვლადიმირის მითითებით შემოიღეს საკვირაო საუბრები, სარწმუნოებისა და ზნეობის თემაზე. ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სთვლიდა ბრძოლას ლოთობის წინააღმდეგ, ხშირად ქადაგებდა ამ თემაზე. მის მიერ დაწესდა 2 თანამდებობა ეპარქიალური მისიონერისა, რომელთაც ევალა მწვალებელთა და სხვა აღმსარებლებს შორის მართლმადიდებლური ქრისტიანობის ქადაგება.

1891 წლის 19 იანვარის რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ვლადიმირი დაინიშნა სამარის ეპარქიის მმართველად. ისევე, როგორც ნოვგოროდის ეპარქიაში, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სულიერ განათლებას, აფართოებდა საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლების ქსელს. მათ შეღავათიან ფასად დაურიგა სასწავლო სახელმძღვანელოები. 1891 წელს სამარის გუბერნიაში მოუსავლიანობისა და ქოლერიის ეპიდემიის გამო მძიმე ვითარება შეიქმნა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად დახმარებას უწევდა დამშეულებს და აპატიოსნებდა ეპიდემიით გარდაცვლილებს.[764]

როგორც აღინიშნა, 1892 წლის 18 ოქტომბერს ეპისკოპოსი ვლადიმერი დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად, ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსად. მან საქართველოში ჩამოსვლისთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მრევლში საეკლესიო მოძღვრების ცოდნის გავრცელებას. ამ მიზნით, მთავარეპისკოპოსი ვლადიმირი ღვთისმსახურების დროს ატარებდა

764 Владимир (Богоявленский), Православная энциклопедия, т. VIII, М., стр. 629-634; შდრ. Иерей Николай Крикота, `Я готов отдать свою жизнь за церковь," Жизнеописание священномученика Владимира Киевского, — М.: Изд-во им. святителя Игнатия Ставропольского, 2002; Sdr. Высокопреосвященный Митрополит Киевский Владимир, (Некролог), Прибавления к `Церковний ведомостям," Пг., 1918, №5

საუბრებს რელიგიურ თემებზე. ამ საქმეში მან აქტიურად ჩააბა ქართველი სამღვდელოება. ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით, თბილისში 1897 წელს ეგზარქოსმა ვლადიმირმა დააწესა ეპარქიის სასულიერო-საგანმანათლებლო სამისიონერო საძმო, რომელმაც გააერთიანა განათლებული სასულიერო დასი და მრავალი ერის ადამიანი. საძმოს წევრები ატარებდნენ საუბრებს სექტანტებთან და ძველმოწესეებთან, ავრცელებდნენ მართლმადიდებლურ წიგნებს, აწყობდნენ ქუჩებში ჯვრით მსვლელობებს. ეგზარქოს ვლადიმირის წყალობით გამოცოცხლდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობა. ეს საზოგადოება ხელს უწყობდა ტაძრებთან ბიბლიოთეკების შექმნას, სადაც დაცული იყო სასულიერო-ზნეობრივი შინაარსის წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე. ეგზარქოს ვლადიმირის ინიციატივით „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" პედაგოგებს დაენიშნათ პენსია და უფლება მიეცათ სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარიყვნენ. თბილისის ერთ-ერთ უღარიბეს რაიონში დაარსა სამლოცველო სახლი წმ. მღვდელმთავარ თეოდორ ჩერნიგოველის სახელზე. სადღესასწაულო დღეებსა და კვირაობით ამ რაიონის ბავშვებისთვის ტარდებოდა მეცადინეობები. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა ისწავლებოდა ხელსაქმე, ქარგვა და სხვა. თბილისის სიონის ტაძართან გაიხსნა სამკითხველო და უფასო საჩაიე. არამართლმადიდებლებით დასახლებულ თბილისის ერთ-ერთ რაიონში (ოქროს უბანი) მისი მონდომებით აშენდა ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი დარბაზით რელიგიურ-ზნეობრივი საუბრებისათვის და ბიბლიოთეკა. ამ ტაძრის მღვდლად აკურთხეს სერგი გოროდცოვი, რომელიც ცნობილი იყო ანტიქართული საქმიანობით.

ეგზარქოსი ვლადიმირი დიდ დროს უთმობდა საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების მოლოცვასა და დათვალიერებას.[765] მის დროს საქართველოს საეგზარქოსოში აშენდა 100-ზე მეტი ტაძარი, განახლდა მსახურებები დახურულ ეკლესიებში, აღდგა მცხეთის ტაძარი, წმ. ნინოს სახელობის სამთავროს მონასტერი; საქართველოს საეგზარქოსოში ამოქმედდა 300 მეტი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც სწავლობდნენ არა მარტო მართლმადიდებელი ბავშვები, არამედ სხვა აღმსარებლები და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები (სომხები, ებრაელები, ასირიელები და სხვა). იგი ხშირად დაიარებოდა სასულიერო სასწავლებლებში და თვალყურს ადევნებდა სწავლების პროცეს. მის დროსვე, 1894 წელს, ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის დაარსების ინიციატორი იყო გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსი. ეგზარქოს ვლადიმერის მოთხოვნით თბილისის ტაძრებში დიდი ყურადღება ექცეოდა ღვთისმსახურების შემდეგ რელიგიურ-ზნეობრივ საკითხებზე საუბრების ჩატარებას. იგი ხშირად შემოივლიდა ქალაქის ტაძრებს და ისმენდა სასულიერო პირთა ქადაგებებს.

765 გ. სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, თბ., 2019.



საქართველოს
ეგზარქოსი ვლადიმირი
(ბოგოიავლენსკი, 1892-1898)

1893 წელს კავკასიაში ქოლერის ეპიდემიის შესახებ ეგზარქოსმა ვლადიმირმა სახალხო ჯანმრთელობის კომიტეტიდან მიიღო შეტყობინება თბილისში დაავადების პირველი შემთხვევების შესახებ, მოიხმო ქალაქის მოსახლეობა და 15 აგვისტოს მოუწოდა საერთო ლოცვისთვის. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ეპიდემიის გავრცელების მქონე რაიონებში მოაწყო მსვლელობა ჯვრითა და ხატებით. კავკასიაში ქოლერის გავრცელების დროს მისი ინიციატივით თბილისის ეკლესიებში მოეწყო ღარიბი ხალხისათვის სამზარეულოები.[766]

ეგზარქოს ვლადიმირის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად თავის სამწყოსადმი გაწეული დიდი ღვაწლისა, თითქოს ქართველი ნაციონალისტები მტრულად იყო განწყობილი მისი მოღვაწეობის მიმართ. მათი აღნიშვნით, საქართველოდან დაუმსახურებლად იგზავნებოდა უმაღლეს სასულიერო უწყებაში მის შესახებ ცილისმწამებლური საჩივრები. ბიოგრაფთა აღნიშნული შეხედულება რეალობას არ არის მოკლებული. საქართველოს ეგზარქოსად ყოფნის დროს მთავარეპისკოპოს ვლადიმირის მოღვაწეობაში გარკვეული ხარვეზებიც შეინიშნებოდა. იგი, როგორც რუსი მოხელე, სახელმწიფოს ინტერესების შესატყვისად მოქმედებდა და ბუნებრიავია ვერ გამოხატავდა ქართველი ხალხის ეროვნულ და სარწმუნოებრივ ინტერესებს. ჯერ ერთი, იგი მბარს უჭერდა და ემხრობოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კირილ იანოვსკის, დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის და სხვათა შეხედულებას, რომელიც სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის აკრძალვას, სამეგრელოსა და სვანეთში მეგრულ და სვანურ ენებზე ღვთისმსახურებაზე ჩატარებას მოითხოვდა. იგი წინამორბედ ეგზარქოს პალადი რაევის მსგავსად მომხრე იყო სასულიერო პირებად რუსი ეროვნების სამღვდელოება გაემწესებინა. თუმცა, კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით ეგზარქოსი ვლადიმერი „...იყო ჭკვიანი, უბრალო, ღირსეული და მჭერმეტყველი პიროვნება."[767]

---

766 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 481; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

767 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 38-39.

მიუხედავად ასეთი დახასიათებისა კალისტრატე ცინცაძემ გვერდი ვერ აუარა იმ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც მან გამოავლინა ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის მიმართ. ცნობილია, რომ პირველ ოქტომბერს საქართველოს ეკლესია აღნიშნავს სვეტიცხოველობას და უფლის კვართის დღესასწაულს, ხოლო ამავე რიცხვში რუსული ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის საფარველის დღეს. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, 1894 წლის პირველ ოქტომბერს მცხეთაში სვეტიცხოველის ტაძარში წირვის დროს ეგზარქოს ვლადიმირის მითითებით პარაკლისის გადახდისას საწიგნიდან გაიტანეს სვეტიცხოველის ხატი და დატოვეს ღვთისმშობლის ხატი. საქართველოს ეგზარქოსის ასეთი მოქმედების გამო „მლოცველთ გული დაუმძიმდათ, ზოგიერთ რუსსაც კი, და ბევრი გავიდა ეკლესიიდან."[768] იგივე კალისტრატეს ცნობით, ეგზარქოსი ვლადიმირი წინააღმდეგ წასულა ქართულ ენაზე დაბეჭდილიყო მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხიდან" ამოღებული ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დაუჯდომელი. იგი მოითხოვდა მის რუსულ ენაზე გამოცემას. მოგვიანებით, 1901 წელს ვლადიმირის საქართველოდან გაწვევის შემდეგ აღნიშნული საგალობელი ქართულ ენაზე გამოქვეყნდა.[769]

კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირის დასახასიათებლად გადმოგვცემს ერთ საინტერესო ფაქტს. 1894 წელს დეკანოზ დავით ღამბაშიძის რუსულ გამოცემა ჟურნალში „Пастырь" გაგრძელებით ქვეყნდებოდა კალისტრატე ცინცაძის ნაშრომი „Автокефалия грузинской церкви." აღნიშნული ნაშრომით მან 1892 წელს კიევის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. ეგზარქოსი ვლადიმირი ჟურნალის რედაქტორს დამუქრებია ჟურნალის დახურვით, თუკი კალისტრატეს ნაშრომი დამთავრდებოდა იმის დასაბუთებით, რომ საქართველოს ეკლესიას ისტორიულად ავტოკეფალია ჰქონდა, რადგან, როგორც ეგზარქოსს ჟურნალის რედაქტორ დეკანოზ დავით ღამბაშიძისთვის განუცხადებია: „ეს ხომ პირველი წერილია რუსულ ენაზე (ვუმატებ: და ქართულ ენაზე) ასეთ საჩორითო საგანზე. რა თვალით შეხედავს ამას უწმინდესი სინოდი და რას მეტყვის იგი მე ან თქვენ?" სასოწარკვეთილი რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე კალისტრატე ცინცაძეს დაუმშვიდებია და განუცხადებია: „ნარკვევი ნაწილია ჩემი საკანდიდატო თხზულებისა, რომელმაც მეუფისათვის ცნობილი პროფესორების ი. ი. მალიშევსკისა და ა. ა. ოლესნიცკის კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა, ხოლო კიევის სასულიერო აკადემიის კონფერენციამ მიიჩნია, მის ავტორს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მინიჭებოდა." ამ გზით გადაურჩა დეკანოზ დავით ღამბაშიძის ჟურნალი დახურვას.[770] თუმცა, მან, ეგზარქოსის მითითებით, კალისტრატე ცინცაძის აღნიშნული წერილის დაბეჭდვა შეწყვიტა.

768 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 44.

769 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 45-46.

770 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 46-47.

ეგზარქოსი ვლადიმირი, როგორც ტიპიური რუსი მოხელე, თანაგრძნობით არ მოეკიდა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ 1894 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მოთხოვნას, რომლითაც ისინი ამხელდნენ სასულიერო წოდების ჩინოვნიკურ ქმედებას და მოითხოვდნენ მის გარდაქმნას.[771]

ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა 1894 წელს რუსეთის უწმინდეს სინოდსა და პეტერბურგის წარჩინებულ პირებს გაუგზავნა მიმართვა საქართველოში არსებული საეკლესიო მმართველობის შესახებ. მიმართვაში ზოგადად ყურადღება გაახვილებული იყო ეგზარქოსებისა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკთა ანტიქართულ და ანტისარწმუნოებრივ ქმედებაზე და აღნიშნული იყო, რომ მათ საქართველოს ეკლესია და მისი ქონება შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ქართველებთან შედარებით პრივილეგიებით სარგებლობდნენ სომხები, რომელთაც რუსეთის მმართველობის დროს შეუნარჩუნდა ეკლესია, მწემსთავარი და საეკლესიო ქონება, ქართული ეკლესია კი გაიძარცვა და განადგურდა. საქართველოში საეკლესიო მმართველობის გაუმჯობესების მიზნით ისინი მოითხოვდნენ:

„1. დაიხუროს თბილისის სინოდალური კანტორა, როგორც დაწესებულება, რომელსაც ქართული ეკლესიისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს;

2. საქართველოს ეგზარქოსი ქართველ მღვდელმთავართა წრიდან იყოს არჩეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუს ეგზარქოს არ ჰქონდეს თავის მმართველობაში ქართული ეპარქია, არამედ მართავდეს რუსეთის ერთ-ერთ, კავკასიასთან ახლომდებარე ეპარქიას, ისეთს, როგორიცაა, მაგალითად ვლადიკავკაზის, სტავროპოლის, ასტრახანის;

3. ქართველ მღვდელმთავრებს ნება დაერთოს, წელიწადში ორჯერ მოიწვიონ საეკლესიო კრება;

4. ქართული საეგზარქოსო დაიყოს შვიდ ეპარქიად:

I. ქართლში მცხეთის ეპარქია, მაზრები: დუშეთის, გორის, თიანეთის; კათედრა მცხეთაში;

II. კახეთის ეპარქია (ალავერდი); მაზრები: თელავის, სიღნაღის; კათედრა ალავერდი ან ბოდბე;

III. თბილისისა და სამცხეს ეპარქია; მაზრები: თბილისის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის;

IV. იმერეთის ეპარქია, კათედრა ქუთაისში; მაზრები: ქუთაისის და ლეჩხუმის;

V. რაჭის ეპარქია; მაზრები: რაჭისა და შორაპნის;

---

771 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 94; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 169-170, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

VI. ჭყონდიდ-სამეგრელოს ეპარქია, კათედრა მარტვილში; მაზრები: სენაკის, ზუგდიდის და სოხუმის სავიკარიუსო, შავი ზღვის ოლქის ეკლესიათა გარეშე;

VII. გურიის ეპარქია, ოზურგეთის მაზრის, ბათუმისა და ართვინის ოლქისაგან შემდგარი; კათედრა ოზურგეთში ან ბათუმში."

მიმართვის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ახალი ეპარქიების შექმნა ზედმეტ ხარჯს არ მოითხოვდა, რადგან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმების შემდეგ გამოთავისუფლებული ხარჯები ეპარქიებს მოხმარებოდა. თუკი თანხა საკმარისი არ იქნებოდა სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის, კახეთის, გურიის თავადაზნაურობა საკუთარი სურვილით იზრუნებდა მათ შენახვაზე.

მიმართვის ტექსტის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ისტორიულად ქართველი იერარქები ახლოს იყვნენ ხალხთან, ახლანდელ სიტუაციაში კი რუსი მღვდელმთავრები და სასულიერო ჩინოვნიკები მრევლისგან გაუცხოვებულები არიან. სასულიერო უწყების მანკიერი მხარეებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად ქართველი საზოგადოება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის მიმართ ერთგულებას ინარჩუნებდა. აღნიშნულის დასადასტურებლად მათ მოჰყავთ ქართველი თავადაზნაურების მონაწილეობა რუსეთის არმიის დროშის ქვეშ გამართულ ბრძოლებში. მათი დასკვნით: „ნუთუ საშინელება არაა იმის ცქერა, რომ უძლიერეს, თვითმპყრობელურ რუსეთში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია შევიწროვებული და დამცირებულია ანგარების მოყვარე რუსი ეგზარქოსებისა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკების მიერ.

რუსეთის საერო და სასულიერო უწყებამ ქართველი საზოგადოების აღნიშნული მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

მიმართვის ავტორები უარყოფითად ახასიათებდნენ ეგზარქოს ვლდიმირის მოღვაწეობას. ეს იყო მიზეზი, რომ მან მხარი არ დაუჭირა მათ მოთხოვნას.

რუსული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი ვლადიმირის მოღვაწეობის ერთ-ერთ დიდ ნაკლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მისი ეგზარქოსობის დროს, 1893 წელს, თბილისის სემინარიის რექტორმა სერაფიმემ (მეშჩერიაკოვი) მოსწავლეების თანდასწრებით უძველეს ქართულ საგალობლებს „ძაღლის ყეფა" უწოდა. 1893 წლის პირველ დეკემბერს ქართული საეკლესიო გაკვეთილის დროს რექტორი სერაფიმე კლასში შევიდა და სემინარისტებს მიმართა: „ეს რა ძაღლური მღერაა, ძაღლის ყეფა, ძაღლური ენაა." რექტორს აღნიშნულის გამო ერთ-ერთმა მოსწავლემ შეჰკადრა: „ქართულ ენაზე ქრისტიანობა ორმა მოციქულმა იქადაგა... ამ ენაზე ადიდებენ ღმერთს წმინდა მოწამენი და კვლავაც ადიდებს აღმსარებელთა კრებული სინოდში." აღნიშნული მომხდრი ფაქტი ერთ-ერთი მიზეზი იყო სემინარიელთა უკმაყოფილებისა. არქიმანდრიტი სერაფიმე უდიერად, რომ მოიხსენიებდა ქარ-

772 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 94.

თულ გალობას, ამას ადასტურებდა თბილისის სასულიერო სემინარისტთა მიერ სასულიერო უწყებისადმი წარდგენილი მიმართავა. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე დაფიქსირებულია 1894 წელს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მიმართვაშიც. ჯერ კიდევ, 1893 წლის ნოემბრიდან თბილისის სემინარისტები მოითხოვდნენ რექტორი სერაფიმე თავაზიანად მოქცეოდა მოსწავლეებს, არ შეელახა მათი ეროვნული გრძნობები; დაეთხოვათ არასასურველი რუსი პედაგოგები; სათანადო ყურადღება დათმობოდა ქართული გალობის შესწავლას; შემოეღოთ ქართული ლიტერატურის სწავლება; უფლება ჰქონოდათ რუსული და ევროპული კლასიკური მწერლობა ეკითხათ და სხვა. ეგზარქოსი ვლადიმირი შეეცადა შექმნილი სიტუაცია განემუხტა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან იგი რექტორ სერაფიმეს ემხრობოდა. იმდროინდელი ქართველი საზოგადოება უკმაყოფილო იყო თბილისის სემინარიაში შექმნილი ვითარებით. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ არქიმანდრიტ სერაფიმეს საყვედურის წერილით მიმართა,[773] რამაც სიტუაცია ვერ განმუხტა.

ქართველი საზოგადოება განსაკუთრებით აღშფოთებული იყო უძველეს ქართული საეკლესიო გალობისადმი ასეთი დამოკიდებულებით. შეშინებულმა ხელისუფლებამ თბილისის სასულიერო სემინარიაში სასწრაფოდ სწავლა შეწყვიტა. ეგზარქოს ვლადიმირს სიტუაციის განსამუხტავად ყოველი ღონე უნდა ეხმარა. ის რექტორ სერაფიმეს მიემხრო და თავისი დაცვის ქვეშ აიყვანა. აღნიშნულმა ფაქტმა გააღიზიანა არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ ზოგიერთი რუსი მღვდელმთავარიც.[774]

რუსეთის უწმინდეს სინოდში აღნიშნული საკითხის „განიხილვისას ხმები ორად გაიყო. ზოგიერთმა ეგზარქოსი და რექტორი დაადანაშაულა და თბილისის სასულიერო სემინარიის დახურვის წინააღმდეგ გამოვიდა. ობერპროკურორმა კონსტანტინე პობედონოსცევმა მათ უჩვენა უმაღლესი განკარგულება თბილისის სემინარიის დახურვის შესახებ. „მაშინ რატომღა გვეკითხებოდნენ?" – შენიშნა კიევის მიტროპოლიტმა, რომელსაც კონსტანტინე პობედონოსცევმა უპასუხა, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება არსებობდესო.[775]

მოტანილი მასალა იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ვლადიმირ ეგზარქოსს და არქიმანდრიტ სერაფიმეს უჭერდა მხარს, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველოდან გაწვევის შემდეგ სერაფიმეს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და შემდეგ სხვადასხვა ეპარქიებს განაგებდა. რუსეთის უზენაესმა ხელისუფლებამ ეგზარქოს ვლადიმირის ქმედება გაამართლა და საქართველოდან გაწვევის შემდეგ სათანადოდაც დააჯილდოვა.

---

773 გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სემინარიის რექტორისადმი, შ. გოზალიშვილი პუბლიკაციითა და შენიშვნებით, მნათობი, 1957, №9, გვ. 153-163,

774 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 97.

775 Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – Церковные вопросы в России, СПб., 1896, стр. 97.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად მოგვიანებით კალისტრატე ცინცაძე ვლადიმირ ეგზარქოსის შესახებ აღნიშნავდა: „საქართველოში ყოფნის ბოლო წლებში მეუფეს გული მოულბა და ქართულ ენაზე წირვაც კი ისწავლა."[776]

1898 წლის 21 თებერვალს მიტროპოლიტის ხარისხში აყვანის შემდეგ ვლადიმირი დაინიშნა მოსკოვის მღვდელმთავრად. იგი მღვდელმსახურებას ეწეოდა წმინდა სამების სერგიევის ლავრაში, დიდ ყურადღებას აქცევდა ქადაგებას ოჯახზე, სიმდიდრეზე, სიღარიბეზე, ზნეობაზე და სხვა. მან 1903 წელს მოსკოვში გახსნა ეპარქიალური სახლი, რომელიც იქცა ეპარქიაში განმანათლებლურ და მისიონერული მოღვაწეობის ცენტრად. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო სასწავლო დაწესებულებებს, ზრუნავდა მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე, დაარსა ქალთა საღვთისმეტყველო კურსები. სასულიერო პირთათვის საგანმანათლებლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად გახსნა ყოვეწლიური მისიონერული კურსები. დააწესა მოსკოვის ეპარქიალური მისიონერული საბჭო. 1907 წელს მისი ინიციატივით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიხსნა სექტანტიზმის მხილების ისტორიის კათედრა. იგი აქტიურად გამოდიოდა 1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ. 1915 წელს ვლადიმირი გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად, თუმცა დიდ დროს პეტროგრადში ატარებდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იგი მღვდელმსახურებას აგძელებდა და მონარქიის აღდგენის მომხრე იყო. გასაბჭოების შემდეგ 1918 წლის 25 იანვარს მიტროპოლიტი ვლადიმირი დახვრიტეს, რის გამოც იგი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა 1992 4 აპრილს წმინდანად შერაცხა.[777]

საქართველოდან მთავარეპისკოპოს ვლადიმირის გაწვევის შემდეგ, 1898 წლის 21 თებერვალს ეგზარქოსად დაინიშნა ხოლმისა და ვარშავის ეპისკოპოსი ფლავიანე გოროდეცკი (1898-1901). მისი ცხოვრების ადრეული პერიოდი დიდად განსხვავდება სხვა მღვდელმთავართა მოღვაწეობისაგან. ფლავიანე (ერობაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე) დაიბადა 1840 წლის 26 ივლისს სიბირსკის გუბერნიაში, ქალაქ ორლოვში, აზნაურის ოჯახში. მცირეწლოვანი იყო, როცა მშობლები გარდაეცვალა. პირველდაწყებითი საერო განათლება მან ოჯახში მიიღო. შემდგომ, ჯერ დაამთავრა ორიოლის გიმნაზია და 1857 წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის მეოთხე კურსიდან გამოვიდა და სასულიერო მოღვაწეობას შეუდგა. 1861-1873 წლებში იგი მორჩილად იმყოფებოდა რუსეთის სხვადასხვა მონასტერში, სადაც მან მიიღო სასულიერო განათლება და შეისწავლა უცხო ენებიც. 1866 წლის 17 თებერვალს აღიკვეცა ბერად ფლავიანეს სახელით რომში არსებულ რუსეთის საელჩოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, აქვე იგი მეორე

776 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 48.

777 Владимир (Богоявленский), Православная энциклопедия, т. VIII, М., стр. 629-634; Sdr. Иерей Николай Крикота, „Я готов отдать свою жизнь за церковь," Жизнеописание священномученика Владимира Киевского, — М.: Изд-во им. святителя Игнатия Ставропольского, 2002; Sdr. Высокопреосвященный Митрополит Киевский Владимир, (Некролог), Прибавления к „Церковний ведомостям," Пг., 1918, №5.

დღეს, 18 თებერვალს აიყვანეს ბერ-დიაკონის ხარისხში. რომიდან შემდეგ იგი გადადის ნეაპოლში, საიდანაც მალევე ბრუნდება ქალაქ ყაზანში. 1867 წლის 9 აპრილს მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს. 1868 წლის 15 თებერვლიდან სიმფერეპოლში გადადის და თავრიზის მღვდელმთავრის სახლის ძმობის წევრი ხდება. 1871 წლიდან ფლავიანე თავრიზის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებს. 1873 წლის 6 ივლისს იგი გაგზავნეს ჩინეთში სამისიონერო მისიის წევრად, ხოლო 1879 წლის 2 იანვრიდან პეკინის რუსული სამისიონერო მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა და ამავე დღეს აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში. ჩინეთის მისიონში ყოფნის დროს მან შეისწავლა ჩინური ენა და ამ ენაზე რუსულიდან არაერთი საინტერესო მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო და ლიტურგიკული ნაშრომები თარგმნა,[778] რომელიც აუცილებელი იყო ჩინეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად. 1884 წელს ფლავიანე რუსეთში ბრუნდება და ხდება ალექსანდრე ნეველის ლავრის ძმობის წევრი. 1885 წლის 2 თებერვალს ფლავიანე აკურთხეს ეპისკოპოსად და დანიშნეს დონის ეპარქიის აკსაის ვიკარ-ეპისკოპოსად. იმავე წლის 29 ივლისს გადაიყვანეს ხომლისა და ვარშავის ეპარქიის ლიუბინსკის ვიკარ-ეპისკოპოსად. 1891 წლის 14 დეკემბერს დაინიშნა ხომლისა და ვარშავის ეპარქიის მმართველად. ამ ეპარქიაში ყოფნის დროს მას დიდი ბრძოლა უხდებოდა რომაული კათოლიციზმის წინააღმდეგ მართლმადიდებელი რწმენის გავრცელების გზაზე. 1892 წლის 15 მაისს ფლავიანეს მიენიჭა მთავარეპისკოპოსიის ხარისხი, 1892-1894 წლებში იგი იყო რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრი. ნაყოფიერი სასულიერო მოღვაწეობის გამო 1896 წლის 14 მაისს დაჯილდოვდა პანაღიით.[779]

საქართველოს ეგზარქოსად, ქართლისა კახეთის მთავარეპისკოპოსად დანიშვნისთანავე ფლავიანე დაჯილდოვეს მიტრაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით და აირჩიეს რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად.[780]

ეგზარქოსობის დროს ფლავიანემ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია სასულიერო განათლების საკითხებს. მან თბილისის სამკლასიანი ქალთა სასწავლებელი ექვსკლასიანად გადააკეთა და მას ყოფილი საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის სახელი მიანიჭა. სასულიერო სასწავლებლის პედაგოგებს მისი შუამდგომლობით რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან ყოველწლიური შემწეობა დაენიშნა. მანვე 45 ათას მანეთად თბილისის საეპარქიო სანთლის ქარხნისათვის შეიძინა შენობა. ეგზარქოს ფლავიანეს დროს საეკლესიო მუზეუმი ახალი ექსპონატებით შეივსო. მისი ინიციატივით სანთლის ქარხნის შემოსავლიდან საეკლესიო მუზეუმს ყოველწლიური დახმარება ეძლეოდა. მან გააუქმა ეგზარქოს პალადის „აკრძალვა,

778 „Объяснение православного богослужения," Материалы для китайского словаря; „Указания пути в Царство Небесное," Преосвящ. Иннокентия; `Краткое изложение христианской веры," Составлено прот. Н. Волубовым; Sdr. Русский биографический словарь, 25 т. 25, СПБ. – М., 1918; Флавиан (Городецк), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, Т. 86, СПБ, 1907.

779 Флавиан (Городецк), Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, Т. 86, СПБ, 1907.

780 გაზეთი „ივერია," 43, 1898; შდრ. გაზეთი „ივერია," 67, 1898.



საქართველოს
ეგზარქოსი ფლავიანე
(გოროდეცკი, 1898-1901)

რომლის ძალითაც არ შეიძლებოდა ყრმათათვის ქართველ წმინდანთა სახელები დაერქმიათ."[781] მის დროს ქართულ ენაზე დაიბეჭდა რამდენიმე საეკლესიო და საღმრთო წიგნი.[782]

1901 წლის 10 ნოემბერს ფლავიანე გადაყვანილ იქნა ხარკოვის ეპისკოპოსად. მან აქტიური კვალი ვერ დაატყო თავის სამწყსოს. თუმცა, ანტიქართული საქმიანობითაც არ გამოუჩენია თავი.[783]

საქართველოდან გაწვევის შემდეგ მთავარეპისკოპოსი ფლავიანე ხარკოვის ეპისკოპოსად დანიშნეს, 1909 წლის პირველი თებერვლიდან კიევის მიტროპოლიტი იყო, გარდაიცვალა 1815 წლის 4 ნოემბერს, დასაფლავებულია კიევ-პეჩორის ლავრაში.[784]

დასკვნის სახით დავძენთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე რუსი ეგზარქოსები საქართველოში კვლავ რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ასიმილაციას.

781 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 50.

782 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, 4, გვ. 485; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

783 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები, (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), ჟურნალი, რელიგია, 1-2-3, 2003, გვ. 21; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

784 А. Ю. Андреев. Д. А. Цыганков. Российская политическая энциклопедия. М., 2010. стр. 779.

თავი V. სამისიონერო მოღვაწეობა და სასულიერო სასწავლებლები რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში

§1. „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის ისტორიიდან

რუსეთის ცარიზმის სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და შესაბამისად საეკლესიო პოლიტიკის გატარებაში გადამწყვეტი ადგილი ეკავა სამისიონერო საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში აღინიშნა, რომ რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელთა შორის სამისიონერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მისი საზღვარი კავკასიის ქედს მოებჯინა. ამ დროისათვის იგი უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, სადაც ქრისტიანობა უძველესი დროიდან საქართველოს მეშვეობით იყო გავრცელებული, მაგრამ იმხანად მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო, ნაწილი კი წარმართობას დაუბრუნდა. რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნდათ, რომ სამხრეთისაკენ იმპერიის საზღვრების ზრდა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი არ მოხდებოდა კავკასიის მთიელთა ხელახალი მოქცევა. ზემოთ აგრეთვე მივუთითეთ, რომ დასახული მიზნის რეალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი სასულიერო პირების ინიციატივითა და რუსეთის ხელისუფალთა დაფინანსებითა და ხელშეწყობით 1843 წელს დაარსებულ „ოსეთის სასულიერო კომისიას," რომელმაც დიდი სამუშაო გასწია ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებაში. თუმცა, აღნიშნულმა კომისიამ, როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყიში (1792 წელს) ისევ რუსული იმპერიული პოლიტიკის გამო საქმიანობა შეწყვიტა.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული საელმწიფოებრიობის დაკარგვისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელებში სამისიონერო მღვაწეობა კვლავ აქტუალურ ადგილს იკავებს. 1814 წლის 30 აგვისტოს რუსეთის იმპერატორის მიერ ხელმოწერილი და მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფირცხელაურის მიერ შედგენილი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დებულება, სხვა საკითხებთან ერთად, „ოსეთის სასულიერო კომისიის" შექმნასაც ითვალისწინებდა. 1815 წლის 15 სექტემბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით თბილისში აღსდგა აღნიშნული კომისია და მას დაეკისრა ის მოვალეობა, რაც ადრე მოზდოკის კომისიას გააჩნდა. „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელად დაინიშნა თელავისა და საქართველო-კავკასიის მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური. ხაზინიდან კომისიის საქმიანობისათვის თავდაპირველად გამოიყო 14750 მანეთი ვერცხლით.[785] 1816 წელს ხელისუფლებამ კომისიის გააქტიურების მიზნით ერთჯერადად ხაზინიდან მას გამო-

785 История Грузинской иерерхии, Москва, 1826, стр. 69.

ეყო 52823 მანეთი, 1825 წელს კი ეკლესიების მშენებობისათვის დამატებით მიეცა 49000 მანეთი ვერცხლით. გარდა ამისა, ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან „ოსეთის სასულიერო კომისიას" ეძლეოდა 1250 მანეთი ვერცხლით.[786] ყოველწლიურად „ოსეთის სასულიერო კომისიის" დაფინანსება საგრძნობლად იზრდებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, თუ როგორ პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდა სასულიერო კომისიას რუსეთის ხელისუფლება.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" თავმჯდომარეს დიდი უფლებამოსილება ჰქონდა. თავდაპირველად, იგი მხოლოდ რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა. დასაწყისში სასულიერო კომისია რუსეთის უწმინდესი სინოდის ინსტრუქციებით მოქმედებდა. „ოსეთის სასულიერო კომისიის" თავმჯდომარეს ევალებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული კომისიის შტატიანი წევრების დანიშვნა და მათი მითითებების ზედმიწევნით შესრულება. თავმჯდომარის გარდა სასულიერო კომისიის წევრები იყვნენ: შავი სამღვდელოებიდან – 1 არქიმანდრიტი, 1 იღუმენი, 4 მღვდელ-მონაზონი, 2 ბერ-დიაკონი; თეთრი სამღვდელოებიდან – 2 მღვდელი, 1 დიაკონი, 8 მნათე; საკანცელარიო საქმის წარმოებისათვის გამოყოფილი იყო 1 მე-10 კლასის მდივანი, 1 მე-12 კლასის მთარგმნელი და 2 გადამწერი. სხვადასხვა დაწესებულებებთან წერილობითი ურთიერთობის მიზნით სასულიერო კომისიაში უნდა ყოფილიყო ერთი მდივანი, ერთი თარჯიმანი და ორი მწერალი. სასულიერო კომისიის შტატში შედიოდა აგრეთვე 30 ცხენოსანი საეკლესიო გლეხებიდან, რომლებიც მისიონერებისათვის მეგზურების ფუნქციას ასრულებდნენ. ამ სამსახურის გამო, ისინი ყველა სხვა სახის გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ. გარდა ამისა, მქადაგებელი სამღვდელოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა მტატიანი 100 კაზაკი, რომელთაც ასეთი სამსახური სამხედრო ბეგარად ეთვლებოდათ. კაზაკთა რაზმის მეთაური ქართველ თავადთა ან აზნაურთა წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.[787]

დებულებით კახეთში თელავი, ხოლო ქართლში – ანანური იქცა ოსებისა და კავკასიის ქედს აქეთ მცხოვრები სხვა ხალხების ქრისტიანობაზე მოქცევის ქადაგების ცენტრად. ქრისტიანობაზე მოქცეული მთიულები თელავის მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ. მთავარეპისკოპოს დოსითეოსის თავმჯდომარეობით „ოსეთის სასულიერო კომისიის" ცენტრალური მმართველობა განთავსებული იყო თბილისში, კერძოდ კი ავლაბარში, მეფე ერეკლე მეორის მეუღლის დედოფალ დარეჯანის სასახლის ტერიტორიაზე.

თეოფილაქტე რუსანოვის მიერ 1818 წლის 28 დეკემბრის მიერ გატარებული ეკლესიის რეორგანიზაცია „ოსეთის სასულიერო კომისიასაც" შეეხო. საგრძნობლად გაიზარდა მისი უფლება-მოვალეობანი. აღნიშნული ცვლილებით „ოსეთის სასულიერო კომისია" საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შემადგენლობაში გადავიდა.

---

786 Е. К., Кратки очерк Грузинской Церкви и Экзархата в XIX столетий, Тиф., 1901, стр. 99.

787 Акты, Собранные Кавказской археографической коммисией, т. V, стр. 409.

1824 წელს რუსეთის ხელისუფლებამ „ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრებს ხაზინიდან დაუნიშნა ჯამაგირი. ცალკე თანხები გამოიყო მოსახლეობაში უფასოდ დასარიგებელ ხატებზე, ჯვრებზე და სხვა საჩუქრებზე. დასახელებულ წელს „ოსეთის სასულიერო კომისიის" ფუნქციონერებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 28 ათას მანეთს.[788]

მართალია, „ოსეთის სასულიერო კომისია" რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა, მაგრამ მან თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო კავკასიელ მთიელთა მოქცევაში, არამედ მან სამისიონერო საქმიანობა აქტიურად წარმართა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აფხაზეთში, საინგილოში, სვანეთში და სხვ.), სადაც გარკვეული მიზეზების გამო, ქრისტიანობა შესუსტებული იყო.

„ოსეთის სასულიერო კომისიამ" დაარსებისთანავე აქტიური სამისიონერო მოღვაწეობა გააჩაღა. მთავარეპისკოპოს დოსითეოსის წინადადებით, ვითომდა სამისიონერო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქსნის ერისთავებს ჩამოერთვათ ქსანი და გვერდის ძირი, რომელიც თაგაურელი ოსებით იყო დასახლებული. მართალია, საქართველოს მთავარმართებელ ნიკოლაი რტიშჩევს აღნიშნული გადაწყვეტილება სისრულეში არ მოუყვანია, მაგრამ მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი აქაურ ოსებს განუმარტავდა, რომ ქრისტიანობის მიღებით ისინი თავისუფლდებოდნენ მებატონეთა დამოკიდებულებისაგან, სახაზინო გლეხებად ცხადდებოდნენ და მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ. მთავარეპისკოპოს დოსითეოსის ასეთმა აგიტაციამ სასურველი შედეგი გამოიღო. აღნიშნული დაპირების გამო მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე ასეული ოსი ქრისტიანობაზე მოექცა.[789] გარდა ამისა, მთავარეპისკოპოს დოსითეოსის მითითებით, სასულიერო პირები სამისიონერო მოღვაწეობის დროს საჩუქრებსა და ფულად თანხასაც უხვად იყენებდნენ. ფულადი თანხის მიღების სურვილი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზოგიერთები გვარისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლით რამდენჯერმე ინათლებოდნენ. მისიონერები კი, ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მონათლული ოსების გაზრდილ რაოდენობას უჩვენებდნენ, რაც რეალურ სურათს არ ასახავდა.[790]

---

788 АКТЫ, Т. V, стр. 416-417; შდრ. П. Малицкий, Руководство по истории Русской церкви, изд. 4-е, Петроград, 1916, стр. 134.

789 АКТЫ, Т. VI, стр. 368; შდრ. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2007, №2, გვ. 233-239; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

790 А. Гатуев, Христианство в Осетии, Владикавказские ведомости; 1900, №12, стр. 188; შდრ. Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 г., стр. 180-191; შდრ. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2007, №2, გვ. 233-239; შდრ. Э Бубулашвили, Осетинская духовная комиссия, Православная Энциклопедия, т., II, М., 2019, стр. 310-312; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present,~ Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170); შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართ-

აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიექცა მას შემდეგ, როცა მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური საქართველოდან გაიწვიეს და მის მაგივრად კომისიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი.

ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) დროს სასულიერო კომისიის საქმიანობა გააქტიურდა. პირველ რიგში, მან „ოსეთის სასულიერო კომისია" საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარა, რის შემდეგაც მისი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდა. თეოფილაქტე ეგზარქოსმა კარგად გაითვალისწინა თავისი წინამორბედის შეცდომები და წამოაყენა წინადადება, რომ მატერიალური დახმარება გაეწიათ მხოლოდ იმ ახალმონათლულებისათვის, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით დაამტკიცებდნენ მართლმადიდებლური აღმსარებლობისადმი გუწრფელობას. ეგზარქოსის გადაწყვეტილებით, მისიონერთა მოღვაწეობა დამთავრებულად მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლებოდა, როდესაც ახალმონათლულებს გაუჩნდებოდათ საკუთარი ეკლესიების აგების სურვილი.[791]

თეოფილაქტე ეგზარქოსის გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. მისი ეგზარქოსობის დროს, 1817-1821 წლებში ქრისტიანობაზე მოექცა 47 ათას 100 კაცი. ახლად მოქცეულებიდან 28592 ოსი იყო, 3405 ხევსური, 363 თუში, 668 ინგუში და სხვა.[792] ეგზარქოს თეოფილაქტეს მითითებით აშენდა და აღდგენილ იქნა 29 მართლმადიდებლური ტაძარი.

ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვი მთიელ ხალხთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში მნიშვნელოვან ყუარდღებას აქცევდა ადგილობრივი მთის ხალხების ენებზე საღმრთო წერილისა და სასულიერო ლიტერატურის თარგმნას. ამ მხრივ, ოსური სასულიერო ლიტერატურის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ეროვნებით ოსმა იოანე იალღუზიძემ, რომელსაც თავის მხრივ, სასულიერო განათლება დავით გარეჯის ბერებთან ჰქონდა მიღებული. იგი „ოსეთის სასულიერო კომისიაში" მთარგმნელად მუშაობდა. მან ქართული ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური დამწერლობა, ქართული ენიდან ოსურ ენაზე თარგმნა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, კატეხიზმო და კურთხევანი, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა.[793] აღნიშნული ლიტერატურის მეშვეობით, მისიონერ მღვდლებს საშუალება მიეცათ ლიტურგია ოსურ ენაზე შეესრულებინათ. იოანე იალღუზიძემ 1823 წელს ოსურად თარგმნა ოთხთავი, რომელიც გამოცემის მიზნით, რუსეთის ბიბლიური საზოგადოების მოსკოვის კომიტეტში გაიგზავნა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, არ

ველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

791 А. Доброклонский, Руководство по истории Русской церкви, М., 1893, Вып. IV, стр. 48-49.

792 История Грузинской иерерхии, Москва, 1826, стр. 74.

793 А. Гукаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Изд. ЮОНИИ, 1955, вып. 7, 1957, Вып. 8; стр. 65 შდრ. ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2002, გვ. 65, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, საქმე 446.

დაბეჭდილა.[794] იოანე იალღუზიძე „ოსეთის სასულიერო კომისიის" სასარგებლოდ სხვა მხრივაც იღვწოდა. იგი ოსურ და ქართულ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებული სასულიერო პირები იგზავნებოდა სამისიონერო მოღვაწეობისათვის.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მან მოიცვა დაღესტანი, აფხაზეთი. 1826 წელს ზოგიერთ ოსურ ეკლესიასთან გაიხსნა პირველი საეკლესიო სამრევლო სკოლები. 1836 წელს ეგზარქოს ევგენის (1834-1844) ინიციატივით ვლადიკავკაზში გაიხსნა ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სადაც 8-12 წლის ბავშვებისათვის სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის მიზანი იყო მოემზადებინა ოსური სამრევლოებისათვის მღვდელთა და მასწავლებელთა კადრები.[795]

მოზდოკის სასულიერო სასწავლებელში ძირითად სახელმძღვანელოდ თავდაპირველად გამოიყენებოდა იოანე იალღუზიძის ოსურ ენაზე თარგმნილი სასულიერო ლიტერატურა, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რის გამოც, ოსური ენის მასწავლებელმა გრიგოლ მჭედლოვმა (მჭედლიშვილი) ოსურ-თაგაურ კილოკავზე თარგმნა საღვთო ისტორია მოკლე კატეხიზმოთი. ბეჭდვის დროს კი, გამოიყენა რუსული სამოქალაქო გრაფიკის ასოები. თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსი ეროვნების მოსწავლეთათვის გამოყოფილ იქნა ადგილები. არაერთმა ოსმა ცნობილმა მოღვაწემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. მათ შორის აღსანიშნავია მღვდელი ალექსი კოლიევი, ცნობილი ოსი მწერალი და მთარგმნელი ვასილ ცარაევი და სხვა.[796]

„ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები: პეტრე ავალიანი, იოსებ ელიოზისძე, ნიკოლოზ სამარღანიშვილი, ვასილ ცერაძე, ათანასე მაჭავარიანი, გიორგი ამირიძე, ზაქარია მამაცაშვილი, კირიონ საძაგლიშვილის მამა გაბრიელი და სხვები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ჭონქაძისა და მისი მამის, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მისიონერი მღვდლის გიორგის ღვაწლის აღნიშვნა. 1837 წლიდან მღვდელი გიორგი ჭონქაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ჩრდილოეთ ოსეთში და აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. მისმა შვილმა, დანიელმა განათლება მოზ-

---

794 А. Гукаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Изд. ЮОНИИ, 1955, вып. 7, 1957, Вып. 8, стр. 65.

795 М. Тотоев, Развитие просвещения в 30-40-ие гг. XIX в. под влияниемй русской культуры, Известия Северно-Осетинского научно-исследовательского института, Джауджикау, 1948, Т. XIII, вып. I, стр. 19-20.

796 М. Тотоев, Развитие просвещения в 30-40-ие гг. XIX в. под влияниемй русской культуры, Известия Северно-Осетинского научно-исследовательского института, Джауджикау, 1948, Т. XIII, вып. I, стр. 19-20; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

დოკის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, სადაც მან ისე საფუძვლიანად შეისწავლა ოსური ენა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იგი ამ ენას ჯერ სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა, შემდეგ კი, თბილისის სემიანარიაში. როგორც ირკვევა, სხვა ქართველი მისიონერების მსგავსად მას ოსურ ენაზე რამდენიმე საეკლესიო წიგნიც უთარგმნია.[797]

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში შამილის მეთაურობით თავისუფლებისათვის დაწყებულმა ბრძოლამ „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობა საგრძნობლად შეაფერხა, თუმცა, იგი არ შეწყვეტილა. 1860 წლისათვის მისიონერთა ღვაწლით ოსეთში არსებობდა 87 ეკლესია, 6 დაწყებითი სკოლა, ერთი ოთხწლიანი სასულიერო სასწავლებელი.[798] ბოლო წლებში კომისია ძირითადად სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ცარიზმმა „ოსეთის სასულიერო კომისიაზე" დაყრდნობით მთლიანად ვერ განახორციელა თავისი პოლიტიკური მისწრაფებები, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მას ამ დროისათვის დამთავრებული არ ჰქონდა კავკასიის დაპყრობა. სასულიერო მისიების პარალელურად იგი კავკასიაში საომარ მოქმედებებს ეწეოდა მთიელთა დასამორჩილებლად.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, „ოსეთის სასულიერო კომისიამ" თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაჰმადიან და წარმართ მთიელ ხალხთა გაქრისტიანებაში. მისიონერთა მოღვაწეობამ დადებითად იმოქმედა მათ კულტურულ დაწინაურებაზე, რომელიც ქართველი სასულიერო პირების მეშვეობით განხორციელდა. სწორედ კომისიის მოღვაწეობის პერიოდში, პირველად ოსურ ენაზე მოხდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა, რის საფუძველზეც ღვთისმსახურება მათთვის მშობლიურ ენაზე განხორციელდა.[799]

797 ო. თედეევა, დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი, 1979, გვ. 9; შდრ. გ. ღუდუშაური, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა, XIX და XX ს. დამდეგი, თბ., 1985, გვ. 60.

798 Православная богословская энциклопедия, Т. IV, Пет. 1903, стр. 744.

799 ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2007, №2, გვ. 233-239; შდრ. Э Бубулашвили Осетинская духовная комиссия, Православная Энциклопедия, т., LII, М., 2019, стр. 310-312; შდრ. Idar Bubulashvili, The Georgian exarchate, 1850-1900 "WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar Bubulashvili1811 to the Present," Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170); შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

§2. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ახალი ეტაპი იწყება რუსეთის ცარიზმის სასულიერო მოღვაწეობაში. ამ პერიოდიდან რუსეთის ცარიზმი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, თავისი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამისიონერო საქმიანობას. ამავე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მიზანს ემსახურებოდა „ოსეთის სასულიერო კომისია," მაგრამ კავკასიის შემოერთების დასრულების შემდეგ აშკარა გახდა, რომ იგი ვეღარ პასუხობდა იმპერიის კოლონიურ ინტერესებს. რუსეთის ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ჰყოლოდა მორჩილებაში იარაღის ძალით დაპყრობილი კავკასიელი მთიელები. კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას ამ ამოცანის განხორციელება სასულიერო პირების მეშვეობით სურდა. მათ მიაჩნდათ, რომ სამისიონერო საქმიანობა იყო ერთ-ერთი საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა კავკასიის მთიელ ხალხთა შემომტკიცება. მიზნიდან გამომდინარე, ახალი საზოგადოების ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო მთიელ ხალხში შერყეული რწმენის განმტკიცება, წარმართთა შორის მისი გავრცელება და მაჰმადიანთა მოქცევა ქრისტიანობაზე. რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ სარწმუნოებრივი სხვაობა დიდი დამაბრკოლებელი საშუალება იყო ამ კუთხის მოსახლეობის სრული დამორჩილებისათვის.[800] აქედან გამომდინარე, მათი აზრით, სარწმუნოებრივი ერთობის შემთხვევაში, ადვილი იქნებოდა მთიელი ხალხის ასიმილაცია.

ახალი ტიპის სამისიონერო საზოგადოების დაარსების ინიციატორად, XIX საუკუნის 50-იან წლებში, საქართველოს საეგზარქოსოსთან ერთად, გამოდიოდა კავკასიის მაშინდელი მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი (1856-1862). მეფისნაცვალს ძალზე აფიქრებდა ახლად შემოერთებულ კავკასიელ მთიელ ხალხთა მომავალი. მისი აზრით, შეუძლებელი იყო მარტო სამხედრო ძალით მათი მორჩილებაში ყოლა. ამიტომ იგი, პეტერბურგში, სასულიერო და საერო ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოხსენებებში, მთავარ ამოცანად მიიჩნევდა ამ კუთხეში სასულიერო მოღვაწეობის გააქტიურებას. მეფის-

---

800 ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია," 2003, 4-5-6, გვ. 27-36; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1, გვ. 256-266; შდრ. Э. Бубулашвили, Обшество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., II, М. 2019, გვ. 310-312; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present,~ Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170.

ნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი, პირველ რიგში, ითხოვდა საქართველოში შემომავალ სამხედრო გზაზე მცხოვრებ ქართველთა და არაქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის ეკლესია-მონასტრების აღდგენას და სასულიერო სასწავლებლების გახსნას. „ამ სასწავლებლების შექმნა არის მართლმადიდებლური სახელმწიფოს ვალი. საქმე ეხება საკითხს, რომლის მიმართ რუსეთს არ შეუძლია გულგრილი დარჩეს", – ატყობინებდა იგი პეტერბურგს. მისი აზრით, მხოლოდ ამ მეთოდით იყო შესაძლებელი მთიელი ხალხის პოლიტიკური დამორჩილება.[801] მეფისნაცვლის იდეას მხარს უჭერდა საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი). მხარდამჭერთა შორის იყო იმპერატრიცა მარია, რომელმაც დაასების შემდეგ საზოგადოების საქმიანობა პირადი მფარველობის ქვეშ აიყვანა. 1857 წელს მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი კავკასიის კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავდა: „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" დაარსება მართლმადიდებელი სახელმწიფოს ვალია. საქმე ეხება საკითხებს, რომლის მიმართ რუსეთი ვერ იქნება გულგრილი, ესენია: მისი უმცროსი ძმების რელიგიური განათლება, რომლებიც ყოველდღიურად შორდებიან ქრისტეს წმინდა საყრდის წიაღს; სიდიადე რუსეთისა, რომელმაც კავკასიაში უნდა დაანგრიოს მიურიდიზმში არსებული მუსლიმანური ზიზღით მის მიმართ გამოწვეული წინააღმდეგობა. კერძო პირთა კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეს, რათა შეინარჩუნოს და გაავრცელოს ქრისტიანობა კავკასიელ ტომებში. მართლმადიდებლობა რუსეთის მთავარი სახალხო ძალაა და, თავის მხრივ, ღვთის იარაღს წარმოადგენს მართლმადიდებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საჭიროა, რომ ყოველმა რუსმა, რომელიც იღწვის მართლმადიდებლური სარწმუნოების გასავრცელებლად, სამშობლოს სადიდებლად შეძლოს თავისი წვლილის შეტანა. საჭიროა საერთო ძალისხმევა, რასაც ერთი რუსი ვერ შეძლებს, მას მთელი რუსეთი გააკეთებს." მეფისნაცვალს აგრეთვე მიაჩნდა, რომ თუკი მოხერხდებოდა კავკასიელ მთიელთა ქრისტიანობაზე მოქცევა, მაშინ მათში სრულიად აღმოიფხვრებოდა ავაზაკური და მტაცებლური მიდრეკილებები.

მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის წინადადებას პეტერბურგში ყურადღებით მოეკიდნენ და იგი დეტალური შესწავლისათვის რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს გადასცეს. საერო ხელისუფლების მიერ მოწონებული კავკასიის მეფისნაცვლის მოსაზრებანი რუსეთის უწმინდესმა სინოდმა კარგ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნია კავკასიაში სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებისათვის.[802] ახალი საზოგადოების და-

801 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, საქმე 3, ფურცელი 2-3; შდრ. საქმე Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 245.

802 ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1, გვ. 256-266; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა-

ფუძნებისათვის, გათვალისწინებული იქნა ის შეცდომები, რომლებიც მის წინამორბედ „ოსეთის სასულიერო კომისიას" ჰქონდა. პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეს კადრების მომზადების საკითხს. მისიონერებად უნდა გაეგზავნათ რუსული სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. საზოგადოებას უნდა ეზრუნა მისიონერთა უსაფრთხოებაზე. ქრისტიანულ ზნეობასთან ერთად, მათ კარგად უნდა შეესწავლათ იმ ხალხთა ისტორია და ყოფა, სადაც სამოღვაწეოდ იქნებოდნენ გამწესებულნი. მისიონერებად, ძირითადად, უნდა გაგზავნილიყვნენ რუსი სასულიერო პირები.[803] დასაშვებად მიაჩნდათ სამისიონერო მოღვაწეობაში ჩაერთოთ არარუსი სასულიერო პირებიც. ამ შემთხვევაში, მათი შერჩევა უნდა მომხდარიყო პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშნის მიხედვით. სამისიონერო მოღვაწეობის დროს, სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად, მისიონერი მღვდელი ვალდებული იყო, ადგილებზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკა გაეტარებინა. მათი მოვალეობა იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის დამყარება. უნდა გაეზიარებინათ მათი ჭირ-ვარამი, ოღონდ კრიტიკა არ უნდა შეხებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, პირიქით, მათი მოღვაწეობა იმ გზით უნდა წარმართულიყო, რომ მრევლი „დაერწმუნებინათ რუსეთის ჭეშმარიტ დიდებაში."[804] ამასთან ერთად, მისიონერთა უპირველესი ამოცანა იყო, ადგილობრივი მოსახლეობა არა მარტო სარწმუნოებრივად, არამედ ყოფითი ცხოვრებით დაეახლოვებინათ რუსულ წეს-ჩვეულებებთან.[805]

იმპერიის პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, 1857 წელს პეტერბურგში განიხილეს საზოგადოების წესდება, 1860 წლის იანვარში საზოგადოების შექმნის პროექტის განხილვაში დიდი როლი შეასრულა დიდმა თავადმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. 1860 წლის 9 ივნისს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა საზოგადოების წესდება. ამავე დღეს გამართულ საზოგადოების საბჭოს პირველ სხდომაზე იმპერატორის გადაწყვეტილებით შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება," რომლის ცენტრი თბილისში უნდა ყოფილიყო.[806]

ში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. Э Бубулашвили, Общество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., LII, М. 2019, стр. 310-312; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present,~ Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170.

803 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1. საქმე 57, ფურც 1-2.

804 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 53.

805 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, ანან. 1, 12, ფურცელი 1-3; შდრ. Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 18-22.

806 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, 2, ფურცელი 2-3; შდრ. Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 19.

წესდებით საზოგადოება მიზნად ისახავდა სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას, ადგილობრივ ენებზე სასულიერო ლიტერატურის თარგმნას, გამოცემას და გავრცელებას, სასულიერო სასწავლებლების დაარსებას, ეკლესიების აშენებას, სალოცავი სახლების მოწყობას და სხვა.

1865 წლის 29 იანვარს საზოგადოების წესდებაში შეიტანეს მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებები. ახალი წესდებით საზოგადოების საქმიანობას წარმართავდა ექვსი წევრისაგან შემდგარი საბჭო, რომლის თავმჯდომარე კავკასიის მეფისნაცვალი იყო, ვიცე-თავმჯდომარე – საქართველოს ეგზარქოსი. 1885 წლის 10 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა საზოგადოების ახალი წესდება დაამტკიცა, რომლის ხელმძღვანელობა საქართველოს ეგზარქოსს გადაეცა, მაგრამ საზოგადოება უშუალოდ რუსეთის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში გადავიდა.[807] საზოგადოების ახალი წესდების მიხედვით, მისი მოქმედების არეალი გაიზარდა. კავკასიის მთიელ ხალხთან ერთად, მისიონერებს თავიანთი საქმიანობა უნდა წარემართათ საქართველოს ისეთ კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი), სადაც ადრე ქრისტიანობა ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ შემდგომ თავი იჩინა წარმართობის ელემენტებმა. საზოგადოებას აგრეთვე ქრისტიანული სარწმუნოება უნდა გაევრცელებინა ოსმალთა ბატონობის შედეგად ფეხმოკიდებულ მაჰმადიანებს (აფხაზეთი, საინგილო და სამცხე-ჯავახეთი) შორისაც.[808]

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით თავდაპირველად ქრისტიანობის გავრცელება მოხდებოდა იმ რეგიონებში, სადაც იგი სხვადასხვა მიზეზის გამო შესუსტებული იყო; წმინდა წერილი უნდა ეთარგმათ აფხაზურ, სვანურ და ქისტურ ენებზე, მაგრამ ვინაიდან მათ ანბანი არ გააჩნდათ შეუძლებელი იყო თარგმანის შესრულება. აღნიშნული საკითხი უნდა მოეგვარებინა საზოგადოების კომიტეტის წევრს, გენერალ-მაიორ ივანე ბარტოლომეის (1813-1870); უნდა აღდგენილიყო დანგრეული ეკლესია-მონასტრები და აშენებულიყო ახალი, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარებოდა. თავდაპირველ ეტაპზე ეკლესიები უნდა აშენებულიყო ხევსურეთის სოფელ არდოტში, ლებაისკარში და ხახმატში; თუშეთში – სოფელ ილაურთაში, ნაციხვარში, შენაქოში; სვანეთში – სოფელი ფარში და ბეჩოში; სამურზაყანოში – სოფელი კუმში და ბედიაში. მისიონერებს დავალების წარმატებით შესრულების მიზნით უნდა მისცემოდათ სამუშაო ინსტრუქცია; თბილისისა და სტავროპოლის სასულიერო სემინარიებს საზოგადოებისათვის უნდა მოემზადებინათ მისიონერი სასულიერო პირები.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შექმნის შემდეგ „ოსეთის სასულიერო კომისიამ" არსებობა შეწყვი-

807 М. В. Клычникова, Е. А. Савенко, День утверждения устава Общества восстановления православного христианства на Кавказе, Ставропольский хронограф на 2010 год, Ставрополь, 2010, стр. 118-124.

808 ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 74.

ტა. მისი ფულადი თანხა – დაახლოებით 231172 მანეთი, ახალი საზოგადოების კუთვნილება გახდა. საზოგადოების დაფინანსებისათვის მთავრობამ საგანგებოდ იზრუნა. იმპერატორის მეუღლემ, იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულმა, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების დაასების პირველი დღიდან მისი მფარველი იყო, მას შესწირა 119738 მანეთი.[809]

საზოგადოების ბიუჯეტის შევსება ხდებოდა შემოწირულობებით. შემოწირულობების გაზრდის მიზნით, საზოგადოების სასარგებლოდ რუსეთის იმპერიის ყველა ეკლესიაში დაიდგა ყულაბები. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" წესდებით განსაზღრული იყო წევრების მიღების წესი. საზოგადოების წევრი შეიძლება გამხდარიყო როგორც რუსეთის მკვიდრი, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები უცხოეთის მოქალაქე. წესდებით განსაზღული იყო საზოგადოების წევრად მიღების ოთხი ჯგუფი, რომლის დაყოფა ეფუძნებოდა საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად გაღებულ თანხის რაოდენობას. პირველი ჯგუფის წევრი იხდიდა წელიწადში 500 მანეთს; მეორე ჯგუფის – 250 მანეთს; მესამე – 100 მანეთს; მეოთხე – 50 მანეთს.[810] დაარსების წელს, 1860-იანი წლების შუახანებში საზოგადოების წევრთა რაოდენობა 1000 აჭარბებდა. ხელისუფლებამ „საზოგადოებისათვის" ერთჯერად შემომწირველთა წახალისებისათვის დააწესა წმინდა ნინოს ორდენი, რომელიც წარმოადგენდა იისფერ ლენტზე დაკიდებულ წმინდა ნინოს ორდენს ჯვრის გამოსახულებით. რუსეთის ხელისუფლების მიერ ჯილდოდ აღნიშნული ორდენის დაწესება იმით იყო განპირობებული, რომ „საზოგადოების" მისიონერული საქმიანობა მათ დააკავშირეს მოციქულთა სწორთან და ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს სახელთან. ჯვრის მეორე მხარეს იყო სლავური შრიფტით წარწერა: „მოციქულთა სწორი ნინო განმანათლებელი." წმინდა ნინოს ორდენი ოთხი ხარისხის იყო. პირველი ხარისხის ორდენი (ოქროსი, თეთრ ემალზე მწვანე ფოთლებით) გადაეცემოდა „საზოგადოების" საპატიო წევრს 2,5 ათასი მანეთის შეტანის სანაცვლოდ; მეორე ხარისხის ორდენი (ოქროსი, თეთრი ემალით) გადაეცემოდა „საზოგადოების" ნამდვილ წევრებს ერთჯერადად 1,5 ათასი მანეთის შენატანის სანაცვლოდ; მესამე ხარისხის ორდენი (ვერცხლი, თეთრი ემალით) გადაეცემოდა „საზოგადოების" წევრ-თანამშრომლებს ერთჯერადი 500 მანეთის შენატანის სანაცვლოდ; მეოთხე ხარისხის ორდენი (ვერცხლი, ემალის გარეშე) გაიცემოდა „საზოგადოების" წევრ-მოშურნეებზე ერთჯერადი 50 მანეთის შეტანის სანაცვლოდ. წმინდა ნინოს პირველი და მეორე ხარისხის ორდენების ტარება ხდებოდა ყელზე; მესამე და მეოთხე ხარისხის – მკერდზე. შეზღუდული იყო ორდენის რაოდენობა. პირველი ხარისხის ორ-

809 Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 19; Общество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., II, М. 2019, გვ. 310-312.

810 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, 6, ფურცელი 2-3; შდრ. Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 18.

დენი დამზადდა 50 ცალი, მერე – 100 ცალი, მესამე – 200 ცალი, მეოთხე – 1000 ცალი.[811] აღნიშნული ორდენი რუსეთის იმპერიის ჯილდოების ნუსხაში შედიოდა.

შემოწირულობების გარდა, „კავკასიში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" დასაფინანსებლად ხელისუფლება ხაზინიდან ყოველწლიურად სოლიდურ თანხას გამოყოფდა. ფულად თანხებთან ერთად, სახელმწიფომ საზოგადოებას საკუთრებაში მიწაც გადასცა. საზოგადოების ამოქმედებამდე, მის ფუნქციას ასრულებდა მეფისნაცვლის სამმართველოსთან არსებული დროებითი კომიტეტი. საქართველოს ეგზარქოსის ევსევის წინადადებით, დროებითმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზრდილიყო იმ სასულიერო პირთა ხელფასი, რომლებიც მთიელ ხალხში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ. კომიტეტს საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთსა და ჭარ-ბელაქანში სასულიერო სასწავლებლების გაეხსნა. მათვე გადაწყვიტეს, რომ ადგილობრივ ენებზე ეთარგმნათ სასულიერო ლიტერატურა. გარდა ამისა, „საზოგადოების" კომიტეტი მოითხოვდა თბილისის სასულიერო სემინარიაში რამდენიმე მოწაფე საგანგებოდ მოემზადებინათ სამისიონერო მოღვაწეობისათვის. რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა სასულიერო სასწავლებლებში „საზოგადოებას" ჰყავდა თავისი სტიპენდიანტები. 1865 წელს, დროებითი კომიტეტის გაუქმების შემდეგ, „საზოგადოების" თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვალი, მოადგილედ – საქართველოს ეგზარქოსი. 1885 წელს, „საზოგადოების" რეორგანიზაციის შემდეგ, თავმჯდომარის უფლებები საქართველოს ეგზარქოსს გადაეცა.[812] კავკასიის მეფისნაცვალი საერთოდ ჩამოაშორეს „საზოგადოების" საქმიანობას.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" სამისიონერო საქმიანობის წარმართვის ერთ-ერთ საშუალებად კარგად იყენებდა მის დაქვემდებარებაში არსებულ დაწყებით სკოლებს. აღნიშნულ სკოლებში საეკლესიო-სამრევლო სკოლების მსგავსად ისწავლებოდა წერა-კითხვა, ართმეტიკა, გალობა, საღმრთო რჯული, წმინდა წერილი და სხვა. მათი რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. სწავლების დროს ძირითადი აქცენტი რწმენაში განმტკიცებას ეთმობოდა. „საზოგადოებას" დაქვემდებარებული სკოლები მხოლოდ რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებებით წარმართავდნენ საქმიანობას. კონტროლს ამ სკოლებზე ახორციელებდა საქართველოს ეგზარქოსის მიერ დანიშნული მთავარი ინსპექტორი ანუ ზედამხვედელი, რომელსაც აგრეთვე „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" წევრად ირჩევდნენ. თავდაპირველად რამდენიმე ინსპექტორი ასრულებდა საზოგადოების სკოლების ზედამხედველობას. შემდგომ როცა მათი რიცხვი

811 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, 22, ფურცელი 2-3; შდრ. Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 19.

812 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, 54, ფურცელი 2-3; შდრ. Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 17; АКТЫ, Т. VIII, стр. 20.

გაიზარდა, ინსპექტორ-ზედამხედველთა რაოდენობამაც მოიმატა. დასავლეთ საქართველოში აფხაზეთში, სვანეთში, სამურზაყანოში, ართვინში, ბათუმში, აჭარის მთიანეთში, მესხეთში არსებულ საზოგადოების სკოლებს თავისი ინსპექტორ-ზედამხედველები ემსახურებოდა. ასეთივე ინსპექტორ-ზედამხვედელი იყო საინგილოში, თიანეთში, ხევში, თუშეთში, ხევსურეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებიც საზოგადოების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. ზედამხეველი მოვალეობას შეადგენდა გაეკონტროლებინა „საზოგადოების" სკოლებში სწავლის პროცესი და შემოსავალ-გასავლის ხარჯები, ეზრუნა სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენაზე, უზრუნველყო სკოლები პედაგოგიური კადრებით და სხვა. იგი ვალდებული იყო ყოველწლიურად სკოლებში არსებული ვითარების შესახებ მოხსენება წარედგინა „საზოგადოებაში." სხვადასხვა დროს საზოგადოების სკოლების ინსპექტორ-ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა კირიონ საძაგლიშვილი, პიროს ოქროპირიძე, ამბროსი ხელაია, ტარასი ივანიცკი, ევტიხი მამინაიშვილი და სხვები.

„საზოგადოებამ" თავის დაქვემდებარებაში არსებული სკოლების პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით 1866 წელს თბილისში დაარსა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი, სადაც სწავლის ხანგრძლივობა სამწლიანი იყო და მიღება სკოლის პროგრამით გათვალისწინებული გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხდებოდა. სასწავლებელს გააჩნდა სახელმწიფოს ხარჯზე არსებული პანსიონი. 1872 წლის 12 მაისს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა აღნიშნული სასწავლებლის წესდება. სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებელდამთავრებულები ვალდებული იყვნენ 6 წლის განმავლობაში „საზოგადოების" სკოლებში პედაგოგათ ემუშავათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაწეული ხარჯი უნდა გადაეხადათ. აღნიშნულმა სასწავლებელმა მნიშვნევლოვნად შეუწყო ხელი „საზოგადოების" სკოლების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებას.[813]

„საზოგადოება" ყოველწლიურად მაღალპოლიგრაფიულ დონეზე ბეჭდავდა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც საინტერესო სტატისტიკური მასალებია წარმოდგენილი ეკლესიების აშენების, შეკეთების, ახალი სკოლების დაარსების, მათი საქმიანობის, მართლმადიდებლობაზე მოქცეულთა რაოდენობის, შემოწირულობების, შემოსავალ-გასავალი ხარჯების და სხვათა შესახებ. აღნიშნულ ცნობებს „საზოგადოების" მოღვაწეობის წარმოსაჩენად წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

„საზოგადოების" მუშაობის გააქტიურების მიზნით, 1863 წელს მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის გაანყვეტილებით, გაიხსნა პირველი სამისიონერო სკოლები. ხელისუფლების მიზანი იყო აღნიშნული სკოლების მეშვეობით არამარტო ქრისტიანობის გავრცელება, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია. მუშაობის გააქტიურების მიზნით, „საზოგადოებამ" თავისი განყოფილებები შექმნა ვლადიკავკაზში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთში, ხევში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში. თბილისში დაფუძნდა მისიონერთა კავშირი,

813 გ. თავზიშვილი, სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870 წწ. თბ., 1948, გვ. 452-453; შდრ. ნ. პაპავა, სახალხო განათლებასაქართველოში მე-19 საუკუნისმეორე ნახევარში (1864-1900), თბ., 1963, გვ. 35-36.

1885 წელს საქართველოს ეგზარქოსის წინადადებით თბილისის მისიონერთა კავშირთან გაიხსნა ვლადიკავკაზის ფილიალი. ამ კავშირის წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს ის, რომ 1900 წლისათვის მათ თბილისში გახსნილი ჰქონდათ რვა სამრევლო სკოლა, სადაც 500 მოსწავლე სწავლობდა. 1891 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის მღვდელ ისიდორეს ინიციატივით ღარიბთა უბანში – რიყეზე გაიხსნა მისიონერების ღვთისმშობლის საფარველის პირველი ეკლესია. ორგანიზაცია თავის არსებობის მანძილზე მრავალმხრივ მოქმედებდა კავკასიის მასშტაბით. მისი ინიციატივით საეკლესიო-საგანმანათლებლო სკოლები დაარსდა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიის სხადასხვა მხარეში. მისი განყოფილებები ფუნქციონირებდა ვლადიკავკაზში, ზუგდიდში, სოხუმსა და ბარისახოში. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს „საზოგადოების ბიუჯეტი შეადგენდა 148984 მანეთს. ამ დროისათვის „საზოგადოების" განაგებდა 156 სკოლას, 204 ეკლესიას და სამლოცველო სახლს, სულ საშტატო ერთეული შეადგენდა 1248 თანამშრომელს.

დაფუძნების შემდეგ, საზოგადოებამ გააქტიურა თავისი მოღვაწეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რუსეთის მმართველ წრეებს საზოგადოების საშუალებით სურდა თავისი კოლონიურ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარება აფხაზეთსა და სამურზაყანოში. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ქრისტიანობა საკმაოდ მყარად არსებობდა, მაგრამ, ოსმალთა ბატონობის შედეგად მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილი წარმართობას დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი, კვლავ აღიარებდა ქრისტიანულ რწმენას, მაგრამ იგი საკმაოდ იყო შესუსტებული. ჯერ კიდევ „საზოგადოების" დაარსებამდე, რუსეთის ხელისუფლებას სურდა აფხაზეთსა და სამურზაყანოში სამისიონერო საქმიანობის წარმართვა, რადგან ამ კუთხის შემოერთების შემდეგ (1810 წ.) თურქეთიდან საიდუმლოდ შემოსული მოლები არამარტო მაჰმადიან აფხაზებს შორის ეწეოდნენ ანტირუსულ პროპაგანდას, არამედ ქრისტიან აფხაზებშიც ცდილობდნენ ისლამის გავრცელებას.[814]

რუსეთის ხელისუფალნი, შექმილი სიტუაციიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა აფხაზეთსა და სამურზაყანოში სამისიონერო ჯგუფების შექმნას, მაგრამ საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ თვით აფხაზთა შორის, XIX საუკუნის 60-იან წლებში სასულიერო პირი თითქმის არავინ იყო. ამიტომ ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო სამისიონერო მოღვაწეობის გააქტიურება. ამასთან, ცარიზმის მოხელეები აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქრისტიანობის გავრცელებას სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რადგან, შესაძლებელი იყო, ყველაფერი მათ საზიანოდ დამთავრებულიყო. 1851 წელს მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა მოიწონა პეტერბურგის გადაწყვეტილება აფხაზეთსა და სამურზაყანოში სამისიონერო საქმიანობის

814 გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.), თბ., 2002, გვ. 78-80; შდრ. ვ. ნვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 83-84.

შესახებ. თავის მხრივ, მეფისნაცვალი, აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს სთხოვდა, რომ ეგზარქოსისათვის უფლება მიეცათ, საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში მისიონერებად ქართველი სასულიერო პირები გაეგზავნათ, რომლებიც ახლოს იცნობდნენ მათ ზნე-ჩვეულებებს და ადათ-წესებს. ასეთი გადაწყვეტილება, მეფისნაცვლის აზრით, სასარგებლო იქნებოდა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა 1851 წელს აფხაზეთის საეპისკოპოსოს აღდგენაც, რომლის კათედრაზე, 1885 წლამდე, ძირითადად, ქართველი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ. აფხაზეთის ეპარქიის მმართველი ქართველი სასულიერო პირების (გერმანე გოგოლაშვილი (1851-1857); გერონტი პაპიტაშვილი (1857-1862); ალექსანდრე ოქროპირიძე (1862-1869); იმერეთის ეპარქიას დაქვემდებარებული აფხაზეთის საეპისკოპოსოს მმართველი გაბრიელ ეპისკოპოსი) დახმარებით აფხაზეთში სამისიონერო მოღვაწეობა წარმატებით ხორციელდებოდა.[815] სამისიონერო საქმიანობისათვის შეირჩნენ გამოცდილი ქართველი სასულიერო პირები: ბესარიონ ჟორდანია, დავით მაჭავარიანი, ნიკოლოზ კირთაძე, ტარასი ივანიცკი, კონსტანტინე თოფურიძე და სხვები. რუსეთის მთავრობა, თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების მიზნით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით ცდილობდა აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მისიონერების მოსყიდვას, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ქართველი სასულიერო პირები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, პირნათლად



აფხაზეთი.
ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

815 გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.), თბ., 2002, გვ. 78-80; შდრ. ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 74; შდრ. ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, გვ. 256-266; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. Э. Бубулашвили, Обшество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., LII, M. 2019, gv. 310-312; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 "WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present," Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170.

ემსახურებოდნენ აფხაზეთში ქრისტიანობის აღორძინების საქმეს. ისინი ახლოს გაეცვნენ ადგილობრივ მოსახლეობას, იზიარებდნენ მათ ჭირსა და ლხინს, დახმარებასა და თანადგომას იჩენდნენ მათ მიმართ, რითაც აფხაზთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მათი ღვაწლით, ბევრი მაჰმადიანი აფხაზი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა. სამისიონერო საქმიანობის გააქტიურების მიზნით 1864 წლიდან საბლაღოჩინო ეკლესიებთან დაარსდა სამისიონერო ბიბლიოთეკები, ასეთი ბილიოთეკები პირველად შეიქმნა ოქუმში, შემდგომ კი მათი რიცხვი გაიზარდა.

აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქრისტიანობის აღორძინებას დიდი ამაგი დასდო 1862-1866 წლებში აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ, რომელმაც ვრცელი ანგარიში წარუდგინა საქართველოს ეგზარქოსს და რუსეთის უწმინდეს სინოდს აფხაზეთში სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ. აღნიშნულ მიმართვაში იგი ყურადღებას ამახვილებდა იმ მიზეზებზე, რომელიც ხელს უშლიდა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას. მატერიალური მიზეზების გარდა, იგი ასახელებს რუსეთის ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას ახლადმოქცეულების მიმართ. სხვა მიზეზებს შორის, დასახელებულია სასულიერო პირთა ნაკლებობაც. შექმნილი სიტუაციის შეცვლისათვის მღვდელმთავარი მოითხოვდა, რომ აფხაზთა მოქცევისათვის საჭირო და აუცილებელი იყო ადგილობრივ მკვიდრთა, აფხაზური ენის ცოდნა. ეპისკოპოსი ალექსანდრე მოითხოვდა სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის გაძლიერებულ სწავლებას, რადგანაც აფხაზური საეკლესიო-სამწერლებო ენის არ არსებობის გამო წირვა – ლოცვა აქაურ ტაძრებში ქართულ ენაზე ტარდებოდა. ქართული ენა აქაურმა თავადებმა კარგად იციან, ხოლო განსაკუთრებით კი მთიან ნაწილში მცხოვრებლებმა – ნაკლებად. აღნიშნულის გამო ქართველი მღვდელმთავარის აზრით, აუცილებელი იყო ქართული ენის პოპულარიზაცია აფხაზთა შორის. გარდა ამისა, მისი სურვილი იყო აფხაზეთში გაზრდილიყო საეკლესიო – სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი. იგი, აგრეთვე წინადადებას აყენებდა, რომ აფხაზეთში გამრავლებულიყო ეკლესია – მონასტრებისა და სასულიერო პირთა რაოდენობა, განახლებულიყო ძველი გაპარტახებული ტაძრები და სხვა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა აფხაზეთის ეპარქიის მმართველის, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის შეხედულებანი. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ თუკი მღვდელმთავრის თვალსაზრისი განხორციელდებოდა, მაშინ იგი ქართული ინტერესების გატარებას შეუწყობდა ხელს აფხაზეთში. აფხაზეთში კი რუსეთს თავისი სახელმწიფო ინტერესები ჰქონდა. აფხაზები, მათ შორის მაჰმადიანი აფხაზები დიდ პატივს სცემდნენ ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს. ეს უკანასკნელი სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად საჭირო დახმარებას უწევდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე აფხაზებს. ცნობილმა მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ ზაქარია ჭიჭინაძემ შემოგვინახა ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვით ერთ მაჰმადიან მუჰაჯირად, თურქეთში მიმავალმა აფხაზმა, რომლის სახელი იყო უსური,

თავისი თორმეტი წლის ვაჟი ჩააბარა ქართველ მღვდელმთავარს და სთხოვა, რომ მასთან დატოვებდა აღსაზრდელად, რომელსაც მეტი შთამომავალი აღარ გააჩნდა, ცოლ-შვილი ეპიდემიით დაეხოცა. იგი მღვდელმთავარს მიმართავდა: „არ მინდა ჩემი უბედურება გაუზიარო ჩემს ერთადერთ ვაჟს და შენთან მოვიყვანე მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერიო.“[816] მოტანილი მასალა ნათლად ადასტურებს ქართველი სამღვდელოება თუ როგორ ითავისებდა რუსეთის ხელისუფლებისაგან გაწამებულ, დევნილი მუჰაჯირი აფხაზების გასაჭირს.

აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებაში აგრეთვე დიდი როლი შეასრულა იმერეთის ეპარქიის მმართველმა გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსმა, რომლის დროსაც, 1869-1885 წლებში, აფხაზეთი იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის დროს ყურადღება არ მოკლებია აფხაზეთის მრევლს. იგი, სასულიერო პირებთან ერთად, ხშირად მოგზაურობდა აფხაზეთში, ფეხით შემოივლიდა ბოლმე მთიანი აფხაზეთის მიუვალ სოფლებს და ქრისტეს რწმენას უქადაგებდა ადგილობრივ მკვიდრთ. ხშირად მას თარჯიმანი აბლდა და მრევლს მისი მეშვეობით ესაუბრებოდა. მის დროს განახლდა ბიჭვინთის ტაძარი. სამისიონერო ეკლესიები გაიხსნა ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, სოფელ დურიფში, სოფელ აჭანდრაში და სხვა.[817]



აფხაზეთი.
დრანდის მონასტერი

გაბრიელ ეპისკოპოსის მოთხოვნით „საზოგადოებამ“აღადგინა დრანდის ტაძარი, რომელიც მან 1871 წლის 21 სექტემბერს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხა, სადაც მსახურობდნენ იოანე გეგენავა, იოანე კერესელიძე და სხვები, რომლებიც ადგილობრივ აფხაზებს შორის მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. თუმცა, 1886 წლიდან სოხუმის ეპარქიის რუსი მღვდელმთავრების მითითებით დრანდის ტაძრი რუსულ მონასტრად აქციეს, წინამძღვრებად რუსი არქიმანდრიტები გაამწესეს, რომლებმაც რესტარ-

816 ზ. ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები ალექსანდრე ოქროპირიძისა, ტფ, 1907, გვ. 78; შდრ. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006, გვ. 205.

817 წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007, გვ. 353-356; შდრ. ვ. ნვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 86.



აფხაზეთი.
წმ. სვიმონ კანანელის ტაძარი

ვაციის დროს შეათეთრეს ტაძრის კედლები, გაქრა ძველი ფრესკული ნაშთები, ცვილებები შეიტანეს არქიტექტურაშიც, რითაც ტაძარმა დაკარგა თავდაპირველი სახე. ადგილობრი მოსახლეობის რუსიფიკაციის მიზნით, 1889 წელს მონასტერთან გაიხსნა სასწავლებელი, სადაც რუსულ ენაზე სასულიერო განათლებასთან ერთად სწავლობდნენ ხელობას, მებაღეობას, მეფუტკრეობას და სხვა. 1906-1907 წლებში ეპისკოპოსმა კირიონ საძაგლიშვილმა, რომელიც სოხუმის ეპარქიის მმართველობასთან ერთად, ითვლებოდა დრანდის მონასტრის წინამძღვრად, სცადა გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ჩანაფიქრი ვერ განახორციელა.

გაბრიელ ეპისკოპოს დროს აფხაზეთსა და სამურზაყანოში აქტიურ სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი სასულიერო პირები: ბესარიონ ჟორდანია, გიორგი ჭირაქაძე, ნიკოლოზ კირთაძე, სერაპიონ ჩხეიძე, იონა ნივწივაძე, ნიკოლოზ საჯაია, ივანე კერესელიძე და სხვები. განსაკუთრები გამორჩეული იყო დავით მაჭავარიანის მოღვაწეობა.[818]


როგორც მემატინე გადმოგვცემს, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე. გაბრიელ ეპისკოპოსი მომხრე იყო აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებისა. ამ მიზნით, მან 1872 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" წინადადებით მიმართა, რომ აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების მიზნით, თბილისის სასულიერო სემინარიაში მოემზადებინათ აფხაზური ენის მცოდნე სასულიერო პირები, რაც, მისი აზრით, გააადვილებდა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას. საზოგადოებამ გაბრიელ ეპისკოპოსის წინადადებას უარყოფითად უპასუხა იმ მოტივით, რომ აფხაზურ ენაზე არ არსებობდა სახელმძღვანელოები და, რაც მთავარია, არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. სინამდვილეში, რუს მოხელეებს სხვა მიზანი ამოძრავებდათ. მათ სურდათ აფხაზეთის ეკლესიებში რუსული ენის დამკვიდრება, აფხაზური ენა კი დამაბრკოლებელი საშუალება იქნებოდა აფხაზთა გარუსების გზაზე.[819]

---

818 ვ. ნვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 86, 89.

819 ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1, გვ. 256-266; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერი-

მიღწეული წარმატებები იმით იყო გამოწვეული, რომ გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზ ხალხში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მას დიდ პატივს სცემდა.



აფხაზეთი.
ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

რუსეთის ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას აფხაზეთში. 1872 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საგანგებოდ შეისწავლა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა აფხაზეთში. კრიტიკულად განიხილეს მისი მოღვაწეობის დროს აფხაზეთსა და სამურზაყანოში შექმნილი სარწმუნოებრივი ვითარება და უარყოფითად შეაფასეს. გაბრიელ ეპისკოპოს ბრალი დასდეს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობაში და მკაცრი გაფრთხილება მისცეს. მას აგრეთვე ბრალი ედებოდა აფხაზი ხალხის გაქართველებაში.[820] ქართველმა მრვდელმთავარმა რუსეთის უწმიდესი სინოდის ბრალდებებს დასაბუთებული პასუხი გასცა, თუმცა მისი პასუხით არავინ დაინტერესებულა.

ქართველ მისიონერთა მოღვაწეობამ სათანადო შედეგი გამოიღო. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გაიხსნა რამდენიმე ათეული ეკლესია, 1896 წლის მონაცემებით, საზოგადოებას აფხაზეთში 21 ეკლესია ექვემდებარებოდა.[821]

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ინიციატივით, აფხაზი ბავშვებისათვის გაიხსნა სამონატრო სკოლები, სადაც ისინი ქრისტიანობის საფუძვლებს მშობლიურ ენაზე უნდა დაუფლებოდნენ, მაგრამ, აფხაზური ანბანის უქონლობის გამო, გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს. ამიტომ ხელისუფლებამ დროებით დაუშვა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. პედაგოგებად, კადრების ნაკლებობის გამო, ქართველი სასულიერო პირები მიიწვიეს. რუსეთის ხელისუფლებას სურდა ქართულ ენაზე სწავლება აფხაზური ენით

ოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

820 წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006, გვ. 172.

821 გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.), თბ., 2002, გვ. 78-80; შდრ. ვ. ნეერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 65-66.



აფხაზეთი. ლიხნის ტაძარი

შეეცვალა, შემდეგ ეტაპზე კი, მთლიანად რუსულზე გადასულიყო. თავიანთი გეგმის განხორციელებისათვის, აფხაზური ანბანის ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა სპეციალური ორი კომისია. პირველ კომისიას ხელმძღვანელობდა იტალიურ-გერმანულ წარმოშობის რუსი გენერალ-ლეიტენანტი, ნუმიზმატი, ეთნოლოგი, არქეოლოგი და მწერალი ივანე ბარტოლომეი (1813-1870); მეორე კომისიის საქმიანობას განაგებდა გერმანული წარმოშობის რუსი გენერალ-მაიორი, ენათმეცნიერი და ეთნოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევ-კორესპოდენტი პეტრე უსლარი (1816-1875). ეს უკანასკნელი, რომელიც კავკასიაში 25 წელი მოღვაწეობდა, როგორც ენათმეცნიერი, იკვლევდა კავკასიურ ენებს და როგორც რუსეთის გენერალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კავკასიელ მთიელთა აჯანყებების ჩახშობაში.[822] ივანე ბარტოლომეისა და პეტრე უსლარს განსხვანებული შეხედულება ჰქონდათ აფხაზური ანბანის შექმნის შესახებ. ივანე ბარტოლომეი და მისი მომხრეები მოითხოვდნენ აფხაზური სიტყვების გადმოსაცემად გამოეყენებინათ ქართული გრაფიკა. ამ ჯგუფმა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" დავალებით 1864 წელს თბილისში გამოსცა აფხაზური ანბანი. პეტრე უსლარმა აფხაზური ანბანის შექმნას საფუძვლად დაუდო კირილიცა. 1866 წლიდან აფხაზ ბავშვებს ძირითად საგნებს ამ ანბანით ასწავლიდნენ. 1892 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის მითითებით, აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო ლიტერატურის თარგმნის მიზნით შეიქმნა კომისია. მათ რამდენიმე საღვთისმეტყველო წიგნიც თარგმნეს აფხაზურ ენაზე, მაგრამ აღნიშნული კომისია მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ენობრივი ლექსიკის სიღარიბის გამო შეუძლებელი იყო აფხაზურ ენაზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის სრულყოფილი თარგმნა. მოგვიანებით, 1899 წელს, საზოგადოება კვლავ დაუბრუნდა აფხაზური დამწერლობის საკითხს. XIX საუკუნის დასასრულს აფხაზურ ენაზე თარგმნეს „იოანე ოქროპირის ლიტურგია" და „კურთხევანი,"[823] მაგრამ აფხაზური ენაზე საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის სიმწირის გამო მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1885 წლამდე, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ," ქართველი სასულიე-

822 თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუქციონირება, თბ., 2011, გვ. 444-445.

823 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 493, აღწ. 1, საქმე 779, ფურცელი 4.

რო პირების სამისიონერო მოღვაწეობით, ხელი შეუწყო აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენა-განვითარებას. ამ ეტაპზე, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რუსეთის ცარიზმი დათმობებზე წავიდა, რის გამოც საზოგადოებამ მართლაც პროგრესული როლი შეასრულა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებაში. რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ ასეთი მეთოდით აფხაზეთში მისიონერული საქმიანობა მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მან შეცვალა პოლიტიკა და აფხაზეთის მიმართ აშკარად გამოხატა თავისი კოლონიური მისწრაფებები. რუსმა მოხელეებმა, ჯერ კიდევ სოხუმის ეპარქიის აღდგენამდე, მოამზადეს ნიადაგი თავიანთი პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. ამ მიზნით, მათ ახალ ათონში 1875 წელს ააგეს სიმონ კანანელის სახელობის რუსული სტილის გრანდიოზული მონასტერი. რუსეთის შუა გუბერნიებიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი რუსი ბერები მონასტრის გახსნისთანავე შეუდგნენ აფხაზეთში რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარებას. 1878 წელს მონასტერთან დააარსეს სასულიერო სასწავლებელი, სადაც აფხაზ ბავშვებს რუსეთის ერთგულ მსახურებად ზრდიდნენ.[824] 1890 წლის 1 მარტიდან არქიმანდრიტი ამბროსი (კავკასიძე) დაინიშნა აფხაზეთსა და სამურზაყანოში არსებული „საზოგადოების" სკოლების ინსპექტორ-მისიონერად, რომელიც ადგილზე გაეცნო მათ საქმიანობას და დიდ ნაკლად მიიჩნია, რომ სამისიონერო საქმიანობის წარმართვის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი იყო სათანადო ყურადღება დათმობოდა ქართული ენის სწავლებას. რა თქმა უნდა მისი ეს შეხედულება არ გაითვალისწინეს და მალევე აფხაზეთიდან გაიწვიეს. 1891 წელს მის მაგივრად დანიშნული მღვდელი ტარასი ივანიცკი მართალია ენთუზიაზმით შეუდგა მოღვაწეობას, მაგრამ რუსი ეროვნების სოხუმის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. იგივე ბედი გაიზიარა 1894 წელს სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ინსპექტორად და პედაგოგად დანიშნულმა ამბროსი ხელაიამ, რომელიც აქტიურად ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორული და შოვინისტური პოლიტიკას აფხაზეთსა და სამურზაყანოში, პრესის საშუალებით ამხელდა რუს საერო და სასულიერო პირებს, რომლებიც აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდა და დევნიდნენ ქართულ ენას.[825]

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში არსებულ ყველა ეკლესია-მონასტერს რუსი ბერები დაეპატრონენ. აფხაზეთის ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ადრე ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ, იქცა რუსული შოვინიზმის ძირითად ცენტრებად. ამავე პერიოდიდან, რუსმა მოხელეებმა გააძლიერეს ანტიქართული საქმიანობა.

---

824 Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь, составил А. Л. М., 1885, стр. 51; შდრ. ვ. კიკნაძე, ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში, ჟურნალი „ლოგოსი," 2003, 1, გვ. 72.

825 ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან," გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაუთმო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ., 2005 გვ. 19-20.

რუსეთის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება, ქართული ენის ნაცვლად, რუსულად დაკანონდა. იმავე წლის 17 მარტის დადგენილების საფუძველზე, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა ტიპის სასწავლებელში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. რუსეთის ხელისუფლების ამ უკანონო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს სოხუმის ოლქში მცხოვრებმა ქართველმა პატრიოტებმა, რომლებიც მოითხოვდნენ წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას, სასწავლებლებიდან რუსული ორიენტაციის მქონე სასულიერო პირების დათხოვნას და მათ ადგილზე ქართველი პედაგოგების დანიშვნას. ქართველ პატრიოტთა მოძრაობას დაუპირისპირდა ქუთაისის გუბერნატორი. მისი განკარგულებით, გაძლიერდა რეპრესიები სოხუმის ოლქში. მოძრაობის ინიციატორები დევნა-შევიწროვებას განიცდიდნენ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1900 წელს კავკასიის მთავარმართებლისადმი წარდგენილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ასეთი მოძრაობისა და არეულობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, „გამოვგლიჯოთ სკოლა და ეკლესია ხელიდან ქართველ სამღვდელოებას, რომ წირვა-ლოცვა ეკლესიებსა და სკოლებში სლავურ ენაზე ტარდებოდეს. ამ ღონისძიებით გადავარჩენთ ადგილობრივ მოსახლეობას ქართული გავლენისაგან."[826] გუბერნატორის აზრით, სამრევლო-საეკლესიო სკოლებში რუსული ენის დანერგვა და რუსი პედაგოგების მოწვევა „მომავალში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შერწყმას, შეერთებას რუს მოსახლეობასთან." საბოლოო ჯამში კი „ეს ღონისძიება ძირფესვიანად შეცვლის სოხუმის ოლქში შექმნილ მძიმე ვითარებას და ყველაფერი წარიმართება სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ."[827] ქუთაისის გუბერნატორი, მოახსენებდა რა თავის მოსაზრებას კავკასიის საერო ხელისუფლებას, მათგან, მისი შეხედულებების მოწონების შემთხვევაში, საჭიროდ მიიჩნევდა სასწრაფოდ მის განხორციელებას, რათა შემწყდარიყო სოხუმის ოლქში ქართული წარმომავლობის მასწავლებლებისა და სასულიერო პირების დანიშვნა.[828] გუბერნატორის თვალსაზრისი სავსებით პასუხობდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს, მაგრამ ხალხის მღელვარების შიშით, ამ ეტაპზე მისი მთლიანად განხორციელება ვერ შეძლეს.

XIX დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათეულში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" სამისიონერო საქმიანობას აფხაზეთში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების შესატყვისად წარმართავდა. ასეთი პოლიტიკა გრძელდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც.

826 საიასტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 69, ფურცელი 1-13; შდრ. ვ. ხაბურძანია, ქუთაისის გუბერნატორი მეფისნაცვალს მოახსენებს, ჟურნალი „განთიადი," 1991, 3, გვ. 188-189.

827 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 69, ფურცელი 6; შდრ. ვ. ხაბურძანია, ქუთაისის გუბერნატორი მეფისნაცვალს მოახსენებს, ჟურნალი „განთიადი," 1991, 3, გვ. 188-189.

828 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 69, ფურცელი 9; შდრ, ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1991 წ), თბ., 2005, გვ. 590.



Москвы.

აფხაზეთი. მოქვის ტაძარი

საქართველოს საეგზარქოსო „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებაზე" დაყრდნობით, ცდილობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისეთივე პოლიტიკა განეხორციელებინა, როგორსაც აფხაზეთსა და სამურზაყანოში ატარებდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობის გამო, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. საზოგადოებამ აქტიური სამისიონერო საქმიანობა დაიწყო სამხრეთ საქართველოში – სამცხე-ჯავახეთში, სადაც სარწმუნოებრივი და ეთნიკური თვალსაზრისით, მძიმე ვითარება იყო. 1829 წელს, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის შემოერთების დროს, მოსახლეობის უმეტესობა არამართლმადიდებელი იყო. ოსმალთა ბატონობის გამო, ქართველთა დიდი ნაწილი მაჰმადიანობას აღიარებდა, ნაწილი კი კათოლიკობას. შემოერთების შემდეგ, რელიგიურ სიჭრელეს, რუსული კოლონიური პოლიტიკის წყალობით, თან დაერთო ეთნიკური მრავალფეროვნება. თურქეთიდან გადმოსახლებული კათოლიკე სომხების, რუსეთის შიგა გუბერნიებიდან სექტანტების ჩამოსახლების ხარჯზე, საქართველოს ამ კუთხეში საგრძნობლად შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება. ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა ბატონობის შედეგად მართლმადიდებელი ეკლესიები აღარ არსებობდა, შემოერთების დროს მხოლოდ ახალციხეში, რაბათში არსებულ წმინდა მარინეს ეკლესიაში მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე. იყო მცდელობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში „ოსეთის სასულიერო კომისიას" საქართველოს ამ მხარეში სარწმუნოებრივი ვითარება

მართლმადიდებლობის სასარგებლოდ შეცვალა, მაგრამ სხვადასვა მიზეზის გამო შეუძლებელი გახდა მისი განხორციელება. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის საზოგადოებამ სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარე ამ კუთხეში მიავლინა მისიონერი სასულიერო პირები. ვითარება ძალიან რთული იყო. უძველესი ქართული ქრისტიანული ძეგლების დიდი ნაწილი განადგურებული იყო, რომელთა აღდგენა დიდ ფულად თანხებს მოითხოვდა. ამიტომ აქცენტი ძირითადად მცირე მოცულობის ეკლესიების აგებაზე და „საზოგადოებას" დაქვემდებარებულ სკოლების გახსნაზე გაკეთდა. სამცხე-ჯავახეთის მართლმადიდებელი მრევლი იმერეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და იგი კურირებდა სამისიონერო საქმიანობას. სამისიონერო სკოლები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-50-იან წლებში გაიხსნა ახალციხეში, შემდგომ „საზოგადოების" ღვაწლით ასეთი სკოლები გაიხსნა ჩუნჩხაში, გოგაშენში, ხერთვისში, ბარალეთში, სადაც ქრისტიანებთან ერთად სწავლობდნენ მაჰმადიანი და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები. თავდაპირველად სამცხე-ჯავახეთის „საზოგადოების" სკოლებს თავისი ინსპექტორ მისონერები არ ჰყავდა. 1890 წლის 1 მარტიდან არქიმანდრიტი ამბროსი (კავკასიძე) ერთდროულად ასრულებდა აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის, ართვინის, ბათუმის და ახალციხის მაზრის ინსპექტორ მისიონერის მოვალეობას. მიუხედავად დატვირთვისა მან დიდად იღვაწა ამ კუთხეში ქრისტიანობის გავრცელებაში. 1891 წლის ბოლოს სამცხე-ჯავახეთს უკვე ცალკე ინსპექტორ მისიონერი მღვდელი დაინიშნა. 1896 წელს ამ მოვალეობას მცირე ხანს ასრულებდა არქიმანდრიტი ლეონიდე ოქროპირიძე. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად მისიონერ სასულიერო პირებს პატივისცემით ეპყრობოდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ქართველი კათოლიკები და მათი მოძღვრები. შემორჩენილია ახალციხეში მოღვაწე ქართველი კათოლიკე პატრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი") წერილი გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) მიმართ, რომელშიც იგი სთხოვდა თავისი ეპარქიიდან მართლმადიდებელი მისიონერი სასულიერო პირების გაგზავნას, რომ ამ კუთხის ძირძველი ქართველი მოსახლეობა მამა-პაპისეულ რწმენას დაბრუნებოდა. სამცხე-ჯავახეთში ქრისტიანობის გავრცელებაში გამორჩეულია დეკანოზ გიორგი გამრეკელის ღვაწლი.

სამცხე-ჯავახეთში სამისიონერო მოღვაწეობისათვის ჩასული ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ, რომ საზოგადოების საქმიანობა ქართველი ერის სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მაგრამ ცარიზმის მოხელეები ხელს უშლიდნენ დასახული მიზნის განხორციელებაში.

ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს ისტორიულ კუთხეში – საინგილოში, სადაც, ძირითადად, ქართველ მაჰმადიანებთან ერთად, არაქართველებიც ცხოვრობდნენ, კერძოდ, მაჰმადიანი ლეკები. რუსეთი სიფრთხილით ეკიდებოდა საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობას.[829] XIX საუკუნის მეო-

829 შ. უტიაშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საინგილოში და მისი შედეგები

რე ნახევრიდან თვით ინგილოებმა გამოიჩინეს ინიციატივა და მათმა მცირე ნაწილმა გადაწყვიტა, წინაპართა სარწმუნოებას დაბრუნებოდა. 1850 წელს რამდენიმე ინგილო ეწვია თბილისში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, რომელმაც ისინი პირადად მონათლა. შემდეგ თვით კავკასიის მეფისნაცვალი ეწვია საინგილოს, შეისწავლა იქ არსებული ვითარება და პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ახლადგაქრისტიანებული ინგილოების დასახმარებლად. მათი მოთხოვნით, საქართველოს საეგზარქოსომ 1851 წელს სოფელ კახში მღვდელი მიავლინა.

მიხეილ ვორონცოვის უშუალო მითითებით, მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიები აშენდა კახსა და ყორაღანში. მეფისნაცვლის კეთილგანწყობაში დარწმუნებულმა ქრისტიანმა ინგილოებმა, სოფელ კახის მამასახლისის იოანე ბულულაშვილის მეთაურობით, 1853 წელს დეპუტაცია გაგზავნეს თბილისში. ისინი კავკასიის რუსული მმართველობისაგან ითხოვდნენ, რომ ახლადმოქცეული ქრისტიანი ინგილოები გაეთავისუფლებინათ ფულადი გადასახადებისაგან და ნატურალური ბეგარისაგან. მათი სურვილი იყო აგრეთვე, რომ ქრისტიანი ინგილოები დაესახლებინათ ქრისტიანული ტაძრების მახლობლად. მართალია, კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა მათ მოთხოვნას მხარი დაუჭირა და ოპერატიულად ცდილობდა მის გადაწყვეტას, მაგრამ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, მხოლოდ 1859 წლის 6 დეკემბრის განკარგულებით დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები. ამავე გადაწყვეტილებით, ინგილო ქრისტიანები სახაზინო გლეხებად გამოცხადდნენ და განთავისუფლდნენ მაჰმადიან ლეკებზე დამოკიდებულებისაგან. მთავრობის ასეთმა პოლიტიკურმა კურსმა ხელი შეუწყო საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას. ინგილოთა შორის მომრავლდნენ ამ სარწმუნოების მიმდევრები. რუსეთის ხელისუფლებას სურდა, ქრისტიანი ინგილოები გამოეყენებინა საქართველოს ამ კუთხეში თავისი პოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის, რაც მაჰმადიანი მოსახლეობის დიდ გულისწყრომას იწვევდა. ამ ნიადაგზე, 1863 წელს მაჰმადიანი მოსახლეობა აუჯანყდა რუსეთის ხელისუფლებას. მართალია, აჯანყება ჩახშობილ იქნა, მაგრამ კავკასიის რუსული მმართველობა დარწმუნდა, რომ დიდი სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდა ინგილოთა შორის სამისიონერო მოღვაწეობას.[830] მისიონერებად, ძირითადად, გაგზავნილ იქნენ

(1803-1830-იან წლებში), ჟურნალი „რელიგია", 1995, გვ. 3-11.

830 ვ. ტარტარაშვილი, ცარიზმის საეკლესიო მისიონერული საქმიანობა საინგილოში, ჟურნალი „ისტორია, საზოგადოება, გეოგრაფია სკოლაში," 1981, 2, გვ. 34; შდრ. ვ. ტარტარაშვილი, მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (მე-19 საუკუნის საინგილოს ისტორიის მაგალითზე), რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1986, გვ. 6; შდრ. ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1, გვ. 256-266; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA.

ქართველი სასულიერო პირები. ადგილობრივ ქრისტიან ინგილოთა მხარდაჭერით, XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქრისტიანული ეკლესიები აშენდა ალიბეგოში, კახში, ქურმუხში.[831]

საინგილოში სამისიონერო საქმიანობას დიდი ღვაწლი დასდო ლეონიდე ოქროპირიძემ, სადაც იგი 1888 წლის 20 ოქტომბრიდან „საზოგადოების" სკოლების ინსპექტორად დაინიშნა. მისი ღვაწლით ქრისტიანობაზე მოექცა რამდენიმე ათეული ქართველი მაჰმადიანი. მანვე კახში, ალიბეგოში და სხვა სოფლებში დაარსა სკოლები, შეაკეთა ქართული ქრისტიანული ტაძრები და სხვა. ლეონიდე ოქროპირიძის შუამდგომლობით 1889 წლის მაისიდან საინგილოში მისიონერ მღდვლად და ახლადგახსნილი კახის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, რომელიც მალევე ამ მხარის ბლაღოჩინად გაამწესეს. მან დიდი ამაგი დასდო ქრისტიანობის განმტკიცებას, საგანმანათლებლო და სხვა კულტურული საქმიანობის წარმართვას საინგილოში. დეკანოზმა იროდიონ ოქროპირიძემ საინგილოში სამისიონერო საქმიანობისა და რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკის შესახებ საინტერესო ჩანაწერები შემოგვინახა, რომელსაც პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.[832]

ქართველ სასულიერო პირთა სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად, ქრისტიან ინგილოებში საგრძნობლად ამაღლდა ეროვნული თვითშეგნება, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოსაგან მოწყვეტილი ინგილო ხალხის დედა-სამშობლოსთან დაახლოებას. ამის შედეგი იყო, რომ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ინგილოთა წრიდან გამოვიდნენ ქართული ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის მებრძოლი მოღვაწეები: იოანე ბულულაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, მღვდლები – დიმიტრი ჯანაშვილი და მიხეილ ყულოშვილი, ტარასი, ვლადიმერ და აპოლონ ივანიცკები, კონსტანტინე თარხნიშვილი, მოსე ჯანაშვილი, რაფიელ ივანიცკი-ინგილო და სხვები.

რუსეთის ცარიზმმა, როგორც კი დაინახა, რომ საინგილოში სამისიონერო საქმიანობა ქართველთა ინტერესების შესატყვისად მიმდინარეობდა, სასწრაფოდ შეასუსტა ამ კუთხეში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობა. მათი განკარგულებით, გამოწვეული იქნენ ქართველი სასულიერო პირები. უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის ნაწილი მაჰმადიანი მოლების ქადაგებით ისევ ისლამს დაუბრუნდა. მაჰმადიანთა გააქტიურების გამო, XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს საეგზარქოსომ კვლავ განაახლა სამისიონერო მოღვაწეობა ინგილოთა შორის, რომელიც მიზნად ისახავდა ამ მხარის რუსიფიკაციას და იქ რუსული

EDU-ს საიტებზე; შდრ. Э. Бубулашвили, Обшество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., LII, М. 2019, №. 310-312; Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present,~ Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170.

831 ვ. ნვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 114.

832 ა. მღებრიშვილი, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბ., 201, გვ. 128.

პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ქრისტიან ინგილოთა წინააღმდეგობის გამო, მათ დასახული მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს.

ცარიზმის სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა აგრეთვე, აჭარელი ქართველი მაჰმადიანების მიმართ. 1878 წელს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, აჭარა თავის დედა-სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ქართველმა სამღვდელოებამ გულთან ახლოს მიიტანა ქართველ მაჰმადიანთა ჭირ-ვარამი და ყოველი ღონე იხმარა, რომ სარწმუნოებრივ სხვაობას ხელი არ შეეშალა ქრისტიან ქართველებთან დაახლოვებაში.

აჭარამ უძველესი დროიდან დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის სულიერების ამაღლებაში. ჯერ კიდევ პირველი საუკუნის 30-იან წლებში აჭარიდან ვრცელდება ჩვენში ქრისტიანობა. ამ გზით შემოდიან ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში მოციქულები. პირველი ქრისტიანული ეკლესიები აჭარაში აშენდა. მათი რაოდენობა შემდგომ საუკუნეებში ისე მომრავლდა, რომ აჭარაში რამდენიმე საეპისკოპოსო ჩამოყალიბდა, სადაც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. აჭარით უკავშირდებოდა საქართველო ევროპის ქვეყნებს. ამ გზით ვითარდებოდა ჩვენში ქრისტიანული კულტურა.

ერთიმრწმუნე ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და მაჰმადიანური ოსმალეთის სახელმწიფოს გამეზობლებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს როგორც პოლიტიკურ ისე კულტურულ და სარწმუნოებრივ ვითარებაზე. ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობით აჭარა, არა მარტო პოლიტიკურად მოსწყდა საქართველოს, არამედ სულიერადაც დაშორდა ქართველთა ერთიან ოჯახს. სამი საუკუნის მანძილზე თურქთა მონობაში მყოფი აჭარის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველთა ასიმილაციის მიზნით დამპყრობელმა პირველ რიგში იერიში მართლმადიდებელ ქრისტიანობაზე მიიტანა. მათ ძალადობით დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის გამაჰმადიანება. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით ტოვებს მამა-პაპურ კერას და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სახლდება.[833] გაპარტახებულ ეკლესია-მონატრებში არსებულმა სინმინდეებმა საიმედო თავშესაფარი ქართლსა და გუარიაში ჰპოვეს.[834] ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალთა ძალადობას და უარს ამბობდა სარწმუნოების გამოცვლაზე. ზეპირმა თუ წერილობითმა წყაროებმა, მართალია მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობები შემოგვინახეს სარწმუნეობისათვის თავდადებულთა შესახებ. მოძალადე მტერს XVIII საუკუნეში ქედში, დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, გონიოში სახრჩობელები და თავსაკვეთლები აღუმართავს ღვთისმოშიში ქრისტიანების წინააღ-

833 შ. ფუტკარაძე, სვეტი მართლისა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1998, 1, გვ. 43.

834 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1998, 1, გვ. 27; შდრ. ი. ბექირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, თბ., 1992, გვ. 12

მდეგ.[835] საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 1995 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით „1726 წელს აჭარაში, ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის მუსულმანი თურქეთის მიერ წამებული ქართველნი აღიარებულ არიან წმინდანად."[836] მათ ხსენებას საქართველოს ეკლესია ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავს ივნისის თვის პირველ კვირას. წამებულთა სახელზე შეიქმნა ხატი და დაინერა ტროპარი.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ოსმალეთმა მაინც შეძლო აჭარის მოსახლეობის გამაჰმადიანება. მოიშალა აჭარაში არსებული საეპისკოპოსოები. გადარჩენილი ეკლესია-მონასტრები მეჩეთებად გადააკეთეს. გამაჰმადიანების მიუხედავად, აჭარის მოსახლეობამ ყოველდღიურ ყოფაში ისეთი ტრადიციები შეინარჩუნა, რომელიც სათავეს ქრისტიანობიდან იღებდა.[837] ზოგიერთი აჭარელი ფარულად აღიარებდა ქრისტიანობას და სალოცავად გურიაში დადიოდა.

ქართველი ერი არასოდეს ივიწყებდა ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მძიმე ვითარებაში მყოფ აჭარელ თანამოძმეებს. 1804 წელს დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს მოვალეობის შემსრულებელმა მიტროპოლიტმა დოსითეოს ქუთათელმა აღადგინა ხინოწმინდის საეპისკოპოსო, რომლის ნომინალურ მმართველად დანიშნა იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ვაჟი დავითი. მართალია, დავით ეპისკოპოსს თავისი ეპარქია არასოდეს უნახავს, მაგრამ აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ უცხო თვისტომის უღელქვეშ მყოფი ქართველების ბედზე მთელი საქართველო ზრუნავდა.[838]

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თურქეთისათვის ნათელი გახდა, რომ კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოსული ერთმორწმუნე დამპყრობელი თავისი იმპერიული საზღვრების გაფართოების მიზნით იზრუნებდა ისტორიული საქართველოს მიწების მიერთებისათვის. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისათვის მათ გააძლიერეს აჭარის მოსახლეობის ასიმილაცია. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1844 წელს თანზიმათის კანონების შემოღებით ოსმალეთმა აჭარაში ოფიციალურ რელიგიად მუსლიმანობა გამოაცხადა. ამ პერიოდიდან დაიწყეს ჯამეების მშენებლობა აჭარაში,[839] სადაც ძირითადად ასწავლიდნენ სტამბოლიდან ჩამოსული თურქი ეროვნების წარმომადგენლები. სწავლამიღებულ მაჰმადიან აჭარელ ახალგაზრდებს ისინი ცოდნის გაღრმავების მიზნით სასწავლებლად აგზავნიდნენ სტამბულის მუსლიმანურ სასწავლებლებში. არაბულ ენასა და

835 თთვენი, ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997, გვ. 395; შდრ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1907, გვ. 12.

836 ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1998, გვ. 97.

837 გ. გიორგაძე, ლაზარობა და სხვა ქრისტიანული ჩვეულებები აჭარაში, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1998, 1, გვ. 125-127.

838 გ. თავამაიაშვილი, ხინოწმინდა, ჟურალი „ჯვარი ვაზისა," 1998, 1, გვ. 97.

839 შ. ფუტკარაძე, სვეტი მართლისა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1998, 1, გვ. 43-44.

მაჰმადიანურ სარწმუნოებაში განსწავლულ კურსდამთავრებულებს სასულიერო ხარისხს აძლევდნენ, აბრუნებდნენ სამშობლოში და თავიანთი თანამოძმეების მწყემსმთავრებად ნიშნავდნენ. თუკი ადრე თურქი ეროვნების სასულიერო პირები „ზრუნავდნენ" აჭარელთა სულიერებაზე, XIX საუკუნის შუა ხანებიდან ამ საქმეს აჭარელთა წრიდან გამოსული ქართველი მაჰმადიანები ხელმძღვანელობდნენ. დამპყრობლის პოლიტიკამ სასურველ შედეგს მიაღწია. ქართველი მოლა-ხოჯები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში მეტი ნდობით სარგებლობდნენ, დიდ ფანატიზმს ავლენდნენ მაჰმადიანური სარწმუნოების მიმართ. ერთი სიტყვით, ოსმალთა ბატონობამ და მათ მიერ ისლამის გავრცელებამ სახე უცვალა აჭარელ მოსახლეობას: დაავიწყა თავისი ქართველობა, ქართული წერა-კითხვა. ისინი ქართველ მაჰმადიანებს შთააგონებდნენ საქართველოსა და ქართველი ერის სიძულვილს.[840] ასეთი პროპაგანდა მათ განსაკუთრებით გააძლიერეს 1877 წელს, როცა რუსეთმა დაიწყო ომი აჭარის შემოერთებისათვის. თურქეთიდან საგანგებოდ მოვლინებული აგენტები და ადგილობრივი მოლა-ხოჯები მოსახლეობას მოუწოდებდნენ გიაურების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მათმა ქადაგებამ მიზანს ვერ მიაღწია.

1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა თავის დედასამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი აღტაცებით შეხვდა თანამოძმეთა შემოერთებას. მაგრამ მაჰმადიანური ფანატიზმის გავლენის ქვეშ მოქცეული აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს სათუთი მოპყრობა სჭირდებოდათ, რადგან „მათ საერთოდ არ ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ეროვნება, ნაციონალობა."[841] გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი ქართველ მაჰმადიანთა სულიერ განწყობას კარგად გადმოგვცემდა ხასან ბეგ ბეჟანიშვილის ნაამბობის მაგალითზე, რომლის შესახებ იგი აღნიშნავდა: „მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით ნამდვილი მაჰმადიანია, მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში" ხასან ბეგ ბეჟანიშვილისათვის უცნობი იყო ეროვნება. აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს იგი თათარს ეძახდა. „საქართველო", რომ უთხრა აქაურ კაცს, – წერს ს. მესხი – თითქმის გინებით ჩამოგართმევს, რადგან „ქართველი" და „მართლმადიდებლობა" ამათ ვერ გაურჩევიათ."[842]

ასეთ პირობებში მყოფ აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს სათუთი მოპყრობა და თანადგომა სჭირდებოდა. სწორედ ამ დროს, მოწოდებასავით გაისმა

---

840 ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 200.

841 ვ. ტარტარიშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1878-1917 წწ.), რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, VI, თბ., 1980, გვ. 26; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა აჭარაში, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1987, 1, გვ. 74.

842 გაზ. „დროება", 1878, 174, შდრ. ს. მესხი, წერილები, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, ტ. 1, სოხუმი, 1958, გვ. 12.

ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!" ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!"[843]

ილია ჭავჭავაძის მოწოდებას ქართველმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა და ოსმალებისაგან გადაგვარებული აჭარელი მოსახლეობისადმი დახმარება და თანაგრძნობა ღვიძლ საქმედ გაიხადა. მათ კარგად გაითავისეს ის, რომ თვით ქართველ ერს უნდა ეზრუნა თანამოძმეებზე, რადგან ცარიზმი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა ახლადშემოერთებულ, ქართველ, მაჰმადიანების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.[844] პირიქით, ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკა კრძალავდა დედა ენის სწავლებას, მაჰმადიან ქართველობას თათრებად მიიჩნევდა.

ცარიზმის მოხელეების სურვილი იყო, ძალადობის გზით მომხდარიყო ქართველ მაჰმადიანთა გაქრისტიანება, რაც, ბუნებრივია, დამღუპველად იმოქმედებდა ფანატიკოსი მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ. რუსეთის რეაქციული ძალების საწინააღმდეგოდ, 1878 წლის 21 ივლისს სერგეი მესხი „დროების" ფურცლებზე ქართველ საზოგადოებას მიმართავდა: „აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ, არ შევეხოთ ახლად შეძენილი ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი აზრით ეს არის, რომ არა თუ ძალდატანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ, მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, რომ თვითონვე შევაძულებთ იმათ ჩვენ თავს, თავიდანვე განზე დაგვიწყებენ ყურებას. სარწმუნოება, სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ მაჰმადიანის სარწმუნების კაცი გიდგია, არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში, თვითონ თავის თავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების გაუმჯობესებაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობასა და ერთობას."[845] სერგეი მესხის აღნიშნულ მოსაზრებას სხვებთან ერთად მხარი ქართველმა სასულიერო პირებმა დაუჭირეს, ისინი წინააღმდეგი იყვნენ ქართველი მაჰმადიანების ძალდატანებითი გაქრისტიანებისა.

აჭარის შემოერთების შემდეგ ქართველმა მაჰმადიანებმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით 12 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია მოავლინეს თბილისში. დელეგაციის მიზანი იყო, გაერკვიათ, თუ რა პოზიციას დაიკავებ-

843 ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, 1955, გვ. 31.

844 ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 202.

845 გაზეთი „დროება," 1878, 146, შდრ. ს. მესხი, წერილები, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, ტ. 1, სოხუმი, 1958, გვ. 12.

და ქართველი საზოგადოება ახლადშემოერთებულ აჭარელთა მიმართ. დელეგაცია წარუდგა მთავარმართებელს, თავისი „ერთგული ქვეშევრდომობა" მოახსენა. საზოგადოების ერთმა ჯგუფმა ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლობას თბილისში საზეიმო ნადიმი გაუმართა, რომელსაც ესწრებოდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი და სხვები. თბილისში არყოფნის გამო ნადიმს არ ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა. ყველა გამომსვლელი „...ფიცით პასუხს აძლევდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ მათს სჯულს და საოჯახო წესებს და ადათებს არასდროს არავინ შეეხებაო."[846]

აჭარის დელეგაციის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა ქართველმა სამღვდელოებამ. ნადიმის მეორე დღეს აჭარელთა დელეგაციას საგანგებოდ შეხვდა იმხანად გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, რომელმაც აღტაცება ვერ დამალა დეპუტაციის მიმართ, სიყვარულით მოიკითხა ისინი. შეხვედრის დასასრულს ალექსანდრე ეპისკოპოსმა აჭარიდან ჩამოსულ სტუმრებს მიმართა:

„საყვარელო შვილებო, ძმებო და ნათესავებო, ქართველო მაჰმადიანებო, მოგილოცავთ დაკარგულ ძმებთან შეერთებას და საქართველოს დედაქალაქ თბილისში მშვიდობიანად ჩამობრძანებას. ღმერთსა ვთხოვ, რომ როგორც აქ ჩამობრძანდით მშვიდობით, ისევე თქვენს სახლში და ოჯახებში ჩაბრძანდეთ მშვიდობით.

ძმანო და შვილნო, ქართველნო მაჰმადიანებო, თქვენ არ შეკრთეთ და არაფერი იქონიოთ მასზედ, რომ ქართველი ეპისკოპოსი გიახლათ თქვენთან და გელაპარაკებით. ჩემი მიზანი იყო და არის, თქვენი მშვიდობა, თქვენი კარგათ ყოფნა და დაწინაურება. მაშ, მოგილოცავთ ჩვენთან შემოერთებას. ღმერთმა აკურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გააძლიეროს თქვენი ოჯახი და თქვენი სარწმუნოება ისლამი.

იყავით კარგად და დამერწმუნებით, რომ ჩვენ ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი. იქონიეთ იმედი, რომ არც ერთი ჩვენგანი თქვენს სჯულს და ამას წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხება ავად. თქვენ ოღონდ იყავით კარგად და ბედნიერად. მაშ, ღმერთმა აკურთხოს თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლშვილი, შინ მშვიდობით დაბრუნდით და თქვენს სჯულზედაც იყავით ფრთხილად და ამსრულებელი ისევე, როგორც თქვენი ისლამის წესია და ვალდებულებანი."[847] ალექსანდრე ეპისკოპოსი აღნიშნული სიტყვით გამოხატავდა იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების განწყობას. ეპისკოპოსის მიმართვით კმაყოფი-

846 ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები, გაზ. "მინა", 1920, 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 202.

847 ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები, გაზეთი „მინა," 1920, 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 203.

ლი დარჩა ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია. სიტყვის დასასრულს მათ ფეხზე ადგომით პატივი სცეს ალექსანდრე ოქროპირიძეს. დეპუტაციის სახელით, სამადლობელი სიტყვით გამოსვლისას, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა განაცხადა: „მადლობელი ვარ მღვდელთმთავარო... მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ჩამოვედით თბილისში და შევიტყვეთ ჩვენი ძმების აზრი და ფიქრები ჩვენს შესახებ. ეხლა ღმერთს უმადლით და მადლობას ვწირავთ, რომ ჩვენი შეერთება მოხდა და დიდი ხნის შემდეგ დაკარგული ძმები შევერთდით.

ყოვლადსამღვდელო, მადლობელი ვარ ჩვენი დალოცვისათვის. მაშ, ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი შეერთება და ერთად გვამყოფოს ჩვენს ჭირსა და ლხინში და ერთად გვაშრომოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ღმერთს ვთხოვთ, რომ მან გააძლიეროს ჩვენი ერთობა და ჩვენს საქართველოში ერთად ცხოვრება."[848] შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვის შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპოსმა განაცხადა: „ამინ, ამინ, ღმერთმა აკურთხოს მუსულმანი ძმების ერთობა და სიყვარული."[849] შეხვედრას ესწრებოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და აჭარელთა გულშემატკივარი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც მოწვეულ სტუმრებს თავისი გამოცემული წიგნები აჩუქა.

თბილისიდან უკან დაბრუნებული ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ქუთაისს ესტუმრა, სადაც დიდი პატივით მიიღეს. იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ საპატიო სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შვილებო და ძმანო, ქართველნო მაჰმადიანებო, მოგილოცავთ ძმათა ერთობას და სიყვარულს. მე, როგორც ქართველ ეპისკოპოსს, მსურს ღვთის შეწევნით თქვენი კარგად ყოფნა და თქვენი დამშვიდება და ამაღლება.

ძმანო და შვილნო მუსულმანებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენს სჯულს ვინმე ჩვენთაგანი შეეხოს და იგი ავად ახსენოს, არა, ეს არასდროს არ იქნება, რადგანაც ქართველ ერს ამის წადილი და სურვილი არა აქვთ. აი, მე თვით მღვდელმთავარი არა ვარ ამის მოსურვე. ეს რომ მართალია, ამისთვის მე აი, რას მოგახსენებთ.

ერთი კვირის წინათ, ჩემთან მოვიდა ერთი ქობულეთელი კაცი და მთხოვა, რომ მე მინდა თქვენი სჯული მივიღო და მომნათლეო. მე მიზეზი ვკითხე ამისი. მან ასეთი ამბავი გადმომცა: ბათუმში ერთი გურული ქალი არის, მინდა ის ცოლად შევირთო, მაგრამ არ მომდევს, თათარი ხარ და არ გამოგყვებიო. მე მას ასეთი პასუხი მივეცი.

კაცი, რომელიც ცოლის შერთვის გულისათვის სჯულს გამოიცვლის, ის შემდეგ იქნება მარად ჟამს უბედური, შესაბრალი და ნამეტურ მოძულებული ნაცნობთა, ნათესავთა და მეზობელთაგან. შენ რა გინდა, რომ ცოლის შერთვის გულისათვის მუდმივ უბედურს ცხოვრებაში ჩავარდე. წადი შენს ქვეყა-

848 ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები, გაზეთი „მიწა," 1920, 10; შდრ. (ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 202.

849 ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები, გაზეთი „მიწა," 1920, 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 204.

ნაში, მოსძებნე შენი სჯულის ქალი და მით დაახნიე შენც თავი უბედურ ცხოვრებას. მე გირჩევ, რომ ისე ქნა და სამუდამო უბედურებას განშორდე.

ქობულეთელს ჩემი დარიგება მოეწონა, მადლობა მითხრა და თავის სახლში წავიდა. აქედან უნდა იცოდეთ ძმანო და შვილებო, ქართველო მაჰმადიანებო, რომ როცა მე მღვდელმთავარიც კი ასე მოვექეცი თქვენი სჯულის საქმეს, მაშ, სხვა ქართველებისა რაღა ფიქრი უნდა გქონდეთ... ამიტომ, შეგიძლიათ შინ მშვიდობით წაბრძანდეთ და დაარწმუნოთ თქვენი ძმებიც, ნათესავები და მეზობლები, რომ მათ სჯულის შემბებელს ერთ კაცსაც ვერ ნახავენ. ღმერთმა გაკურთხოთ და შინ მშვიდობით დაგაბრუნოთ" სიტყვის დამთავრების შემდეგ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა მადლობა მოახსენა მღვდელმთავარს და დასძინა: „მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხის ნატვრაც ეს გახლავთ და ჩვენ სულ ამის დარდში ვიყავით, ეხლა ამის დარდი გაგვიქრაო."[850]

ჩვენს მიერ მოტანილი ვრცელი მასალით დასტურდება, რომ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული სამღვდელოება სათუთად ეპყრობოდა ქართველ მაჰმადიანთა რელიგიურ გრძნობებს, რადგან სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი იმ პროცესის შეჩერება, რის გამოც გაქრისტიანების შიშით ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა შემოერთების შემდეგ მშობლიური კერა მიატოვა და თურქეთის შიგა ოლქებში გადასახლდა.

ქართველი საერო თუ სასულიერო პირების ასეთი განწყობის გამო, რუსეთის ცარიზმმა აჭარის შემოერთებისთანავე ვერ დაიწყო მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანება. სამისიონერო მოღვაწეობის დაწყებამდე, 1885 წელს, ბათუმში ამ კუთხის შემოერთების სიმბოლოდ ააგო რუსული მართლმადიდებლური ეკლესია.[851] მთავრობის ვარაუდი არ გამართლდა, რომ ბათუმის ეკლესია გარკვეულ როლს შეასრულებდა მაჰმადიანთა გაქრისტიანებაში. სამისიონერო მოღვაწეობის წარმართვისათვის 1889 წელს საქართველოს ეგზარქოსის გადაწყვეტილებით ბათუმში, სამეგრელოს ეპარქიის ბაზაზე შეიქმნა „სამისიონერო განყოფილება," რომელსაც ხელმძღვანელობდა „განსაკუთრებული კომიტეტი." აღნიშნული კომიტეტის წევრებად დაინიშნენ აჭარის მოსახლეობაში ავტორიტეტებად ცნობილი პიროვნებები: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე რაფიელ ერისთავი, გრიგოლ გურიელი, ბათუმის ოლქის თანაშემწე მერაბ ლორთქიფანიძე.[852] მთავრობა მოერიდა, რომ მისიონერებად არაქართველი სასულიერო პირები ყოფილიყვნენ. ეგზარქოს პალადის განკარგულებით, მისიონერებად გაამწესეს ქართველი სასულიერო პირები. დიდი ხარჯისა და აქტიური სამისიონერო მოღვაწეობის მიუხე-

850 ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები, გაზეთი „მიწა," 1920, 10; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2001, V, გვ. 306.

851 ვ. ტარტარიშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1878-1917 წწ.), რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, VI, თბ., 1980, გვ. 23-24.

852 Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 146.

დავად, აჭარელთა გაქრისტიანებამ შედეგი ვერ გამოიღო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 1890 წლის 21 თებერვალს „სამისიონერო განყოფილებამ" მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროებით უარი ეთქვათ სამისიონერო მოღვაწეობაზე, სამაგიეროდ, წინა პლანზე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წამოსწიეს. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, ბათუმის ოლქში შექმნილი სიტუაციის გასარკვევად გაიგზავნა ოზურგეთის მაზრის მღვდელი ექვთიმე თალაკვაძე და გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფილების წევრი იონა მეუნარგია. მათ დავალებული ჰქონდათ, აღეწერათ ის ეკლესია-მონასტრები, რომელთა აღდგენაც შესაძლებელი იქნებოდა, მიეთითებინათ ის ადგილები, სადაც მოხერხდებოდა სკოლების გახსნა.[853] დასახელებულ პირთა მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, შემუშავდა ბათუმის ოლქის კულტურული დაწინაურების ვრცელი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ქობულეთში, ხულოში, ქედაში სკოლების გახსნას, სადაც პედაგოგებად უნდა გაგზავნილიყვნენ ქართველი სასულიერო და საერო პირები. რა თქმა უნდა, რუსეთის ცარიზმისათვის მიუღებელი იყო ზემოთაღნიშნული პროგრამის განხორციელება. ამის გამო საქართველოს ეგზარქოსმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ჩამოართვა აჭარაში მისიონერთა დანიშვნის უფლება და თვით ჩაუდგა სათავეში აჭარელთა გაქრისტიანებას. მან აჭარიდან XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გამოიწვია ქართველი სასულიერო პირები და მათ მაგიერ რუსი სამღვდელოება მიავლინა. შოვინისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ რუს სასულიერო პირებს ადგილობრივი მოსახლეობა უნდობლად ეკიდებოდა, რაც გახდა იმის მიზეზი, რომ რუსეთის ცარიზმმა წარმატებას ვერ მიაღწია აჭარის ქართველ მაჰმადიანთა გაქრისტიანების საქმეში. მარცხის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ ქართველ მაჰმადიანებს შორის XX ს-ის დასაწყისში აქტიურად გააგრძელა სამისიონერო მოღვაწეობა. მისიონერებად ნაწილობრივ ისევ ქართველი სასულიერო პირები გაუშვეს. 1905 წელს მაღალმთიან ხულოში ააშენეს მართლმადიდებლური ეკლესია, სადაც მღვდლად გაუშვეს ლუკა ხუნდაძე.[854] გააქტიურების მიუხედავად აჭარელი მაჰმადიანი ქართველები მისიონერთა საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებდნენ. აღნიშნული მიზეზის გამო თითო-ოროლა პიროვნება თუ გაქრისტიანდა. ამ პერიოდისათვის „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" თავის საქმიანობას აჭარაში წარმართავდა სამი მიმართულებით: საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობით, საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნით და სამისიონერო მოღვაწეობით.[855] მართალია, სამივე მიმართულებით ხელისუფლება ენერგიულად იღვწოდა,

853 Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 148.


854 Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. стр. 148.

855 ვ. ტარტარიშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1878-1917 წწ.), რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, VI, თბ., 1980, გვ. 31.

მაგრამ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ქართველი საზოგადო მოღვაწეები წინააღმდეგი იყვნენ ქართველ მაჰმადიანთა ძალდატანებითი გაქრისტიანებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით XX ს-ის 10-იანი წლების პრესაში საინტერესო წერილები ქვეყნდებოდა.[856]

ყველა რესურსის გამოყენების მიუხედავად, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამისიონერო საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია, რაც იმდროინდელ ქართველი საზოგადოების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

გარკვეული სამისიონერო მოღვაწეობა საზოგადოებამ აგრეთვე გასწია ხევსურეთში, თუშეთში, ხევში, თიანეთში და სვანეთში. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეებში მივლინებულმა ქართველმა სასულიერო პირებმა ხელი შეუწყვეს ქრისტიანობის განმტკიცებას. ზემოთ დასახელებულ საქართველოს მთიანეთში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა კვლავ წარმართულ დღესასწაულებს, ე. წ. ხატობებს მიაგებდა პატივს, მსხვერპშეწირვის სისხლიან ტრადიციას მისდევდა. გვიან ფეოდალურ ხანაში საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობა შესუსტდა. ზოგიერთი მხარე სასმღვდელოების გარეშე იყო დარჩენილი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში „ოსეთის სასულიერო კომისიამ" ამ მხარეში ვერ შეძლო სამისიონერო საქმიანობის აქტიური განხორციელება. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი



ხულოს ეკლესია, აშენებული „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ

856 ვ. ტარტარიშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1878-1917 წწ.), რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, VI, თბ., 1980, გვ. 42-43.

საზოგადოებამ" დაარსებისთანავე მიუხედავად ადგილობრივი ხევისბერებისა და დეკანოზების წინააღმდეგობისა, დაიწყო ეკლესიების გახსნა და სკოლების დაარსება. თუშეთის სოფლებში დართლოში, დიკლოში, ომალოში; ხევსურეთის სოფლებში როშკაში, ბარისახოში, შატილში გაიხსნა ეკლესიები და სკოლები. აქ მოღვაწე სასულიერო პირები სამისიონერო მოღვაწეობით შეიზღუდა წარმართული სარწმუნოება, გარკვეულ წილად მისადმი დღესასწაულებმა გარკვეულ წილად ქრისტიანული დატვირთვა შეიძინა. მისიონერთა ქადაგებით ნათლობა, ჯვრისწერა, მიცვალებულთათვის წესის აგება, აღსარების ჩაბარება და ზიარება მათვის ყოველდღიურ ყოფად იქცა. თუმცა ძველი წარმართული დღესასწაულებიც დღემდე შემორჩა, რომელსაც სარწმუნოებრივი მომენტი გამოეცალა და იგი ამ კუთხის დამახასიათებელ ტრადიციულ ზნე-ჩვეულებად იქნა მიჩნეული. საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გარცელებაში დიდი როლი შეასრულა ლეონიდე ოქროპირიძემ, რომლის შემწეობით თიანეთში დაარსდა სკოლები და სხვა. სვანეთში „საზოგადოები" სახელით ბეჩოში, ფარში, მულახის თემში სკოლებთან ერთად სალოცავებიც ამოქმედდა. სვანეთში ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნებას დიდი ამაგი დასდო სასულიერო პირებმა: ბესარიონ ნიჟარაძემ, ივანე მარგიანმა და სხვებმა.

„საზოგადოება" აქტიურ სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა შიდა ქართლის მთიანეთში, ჯავაში, მის ჩრდილოეთ ნაწილში ისტორიული საქართველოს დვალეთის ტერიტორიაზე. ქრისტიანობის გავრცელების კერას წარმოადგენდა სოფელი არდონი, სადაც XX საუკუნის დასაწყისში სასულიერო მისიონერული სემინარია დაარსდა. „საზოგადოებამ" ოსური ანბანის შექმნასთან ერთად საქართველოს საეგზარქოსომ თბილისში ოსურ ენაზე დაბეჭდა იოანე ოქროპირის ჟამისწირვა, სამოციქულო და სხვა საეკლესიო ლიტერატურა.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, 1898 წელს რეაქციონერი რუსი დეკანოზის ს. გოროდცევის თავმჯდომარეობით დაარსდა „საეპარქიო-სამისიონერო სასულიერო-საგანმანათლებლო ძმობა." მართალია, „ძმობის" მიზანი იყო სამისიონერო მოღვაწეობის დროს კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სინამდვილეში მას უფრო მეტი ფუნქცია ეკისრა. აღნიშნული ძმობა საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდეგნელი საზოგადოების" მოღვაწეობას, თუ როგორ ახორციელებდა იგი რუსულ პოლიტიკას საქართველოში.

1890 წელს იდღესასწაულეს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" დაარსების 30 წლისთავი, ხოლო 1910 წელს კი თბილისში ხელისუფლებამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა „საზოგადოების" 50 წლისთავი. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიცა საზოგადოების მიერ გახსნილი ეკლესიებისა და სამრევლო სკოლებისადმი მიძღვნილი ფოტო-ალბომი. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის სიმცირის გამო ალბომში ვერ შევიდა საზოგადოების დაარსებული ყველა სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრები. ამ თარიღთან დაკავშირებით აგრეთვე გამოიცა 1860-1910 წლებ-

ში საზოგადოების მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომი. გაირკვა, რომ 50 წლის არსებობის მანძილზე მისიონერთა ღვაწლით ქრისტიანობაზე მოქცეულა 33547 პირი.[857]

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური დატვირთვის მიუხედავად, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებაში. „საზოგადოების" ინიციატივით აიგო და შეკეთდა რამდენიმე ახალი ეკლესია-მონასტერი და დაარსდა რამდენიმე ასეული სამრევლო სკოლა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წლის მარტი) „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებამ" ფუნქციონირება შეწყვიტა. თუმცა ერთხანს ახლად შექმნილი კავკასიის საეგზარქოსო ცდილობდა მისი საქმიანობის გაანახლებას.[858]

ჩვენ მიერ განხილული საკითხის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში ცარიზმის მიერ განხორციელებული სამისიონერო მოღვაწეობა სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა.

§3. სასულიერო სასწავლებლები რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში

რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა საქართველოს საეგზარქოსოსადმი დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები. სწავლების მეთოდებით, მისი მიზნებითა და ამოცანებით, საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლები დიდად განსხვავდებოდა ანალოგიური ტიპის რუსეთის სასწავლებლებისაგან. რუსეთის სასულიერო სასწავლებლების მიზანი იყო ახალგაზრდების გონებრივი განვითარება, საქართველოში კი მას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მისი მეშვეობით, რუს მოხელეებს სურდათ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია და იმპერიის ერთგული ქვეშევრდომების აღზრდა. ასეთი დიდი დატვირთვის გამო, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ფინანსებს არ იშურებდნენ მათ გასაფართოებლად.[859]

857 Обзор деятельности обшества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910, стр. 174.

858 Э. Бубулашвили, Обшество восстановления православного христианства на Кавказе, Православная Энциклопедия, т., LII, М. 2019, №. 310-312.

859 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსობის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები (ზოგადი დახასიათება), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2008, II, გვ. 321; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში,

ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე, საქართველოში უძველესი დროიდან ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა სკოლები, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე მეორისა და კათოლიკოს ანტონ პირველის ინიციატივით თელავსა და თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარიები. რუსული მმართველობის დამყარებისთანავე საქართველოში მოიშალა სასულიერო განათლების სისტემა. თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი აღნიშნავდა: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს... სკოლა შეურაცხყვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა." პირადად რექტორი შეიპყრეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.[860] ქართული სასულიერო სასწავლებლების გაუქმებისთანავე ცარისტულმა ხელისუფლებამ დაიწყო რუსული ტიპის სასწავლებლების გახსნა. რუსეთში სასულიერო განათლებას განვითარების გარკვეული გზა ჰქონდა განვლილი. დასრულებული სახე მან 1814 წლის 30 აგვისტოს დებულებით მიიღო. ამ დებულებით, რომელმაც 1867 წლამდე იარსება, სასულიერო განათლების სისტემა 4 საფეხურისაგან შედგებოდა. სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. აქედან სასულიერო აკადემიები მხოლოდ რუსეთის დიდ ქალაქებში მოსკოვში, კიევში, პეტერბურგში და ყაზანში არსებობდა.[861] რუსეთის ხელისუფლების მიერ სასულიერო განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების შედეგად საქართველოში დაარსდა სასულიერო სემინარია, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. რუსეთის ყველა ეპარქიაში არსებობდა სასულიერო სემინარიები, საეგზარქოსოს დაქვემდებარებული 4 ეპარქიის სასულიერო კადრების მომზადებას XIX საუკუნის 90-იან წლებამდე, ემსახურებოდა თბილისიის სასულიერო სემინარია, 1894 წელს კი ასეთი სემინარია გაიხსნა ქუთაისში, რომელმაც 1904 წლამდე იარსება.

ჯერ კიდევ საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებამდე, სამღვდელოების მოთხოვნით მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს სურდა თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსება. ამ საკითხთან დაკავშირებით 1809 წლის 6 ივლისს საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა მოხსენება წარუდგინა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს, მაგრამ ამ ეტაპზე უსახსრობის მომიზეზებით ეს საკითხი ვერ გადაწყდა.[862] ჩვენი აზრით, ხელისუფლების მიერ უსახსრობის


დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 "WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present," Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170.

860 აპ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე II-ის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ I, თბ., 1951, გვ. 37.

861 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 161-162.

862 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 440, აღწ. 1, საქმე 5, ფურცელი 20.

მომიზეზება გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, რადგან მას, რა თქმა უნდა, არ აწყობდა, ავტოკეფალიის არსებობის პირობებში თბილისში სასულიერო სემინარია გახსნილიყო, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის კონტროლქვეშ იქნებოდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე, ხელისუფლების მიერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ თბილისში სასულიერო კადრების მომზადების მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა გახსნილიყო სასულიერო სემინარია. ხოლო სამაზრო სასწავლებლები უნდა დაარსებულიყო მას შემდეგ, როდესაც მისთვის სასულიერო სემინარია სათანადო პედაგოგიურ კადრებს მოამზადებდა.[863] გადაწყვეტილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სასულიერო სასწავლებლებისათვის საჭირო თანხები ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან უნდა გაღებულიყო. 1817 წლის პირველ ოქტომბერს, ეგზარქოს თეოფილაქტეს დროს, თბილისში, დარიის მონასტერში მისთვის გამოყოფილ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია. ხელისუფლებამ პირველი რუსული სასულიერო სასწავლებლის გახსნა საგანგებოდ აღნიშნა. თბილისის სიონის ტაძარში საზეიმო ნირვის შემდეგ სამღვდელოებასთან ერთად ქალაქის მოსახლეობა, სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლები დიდი მსვლელობით გაემართნენ ავლაბარში დარიის მონასტრისაკენ, სადაც განთავსდა თბილისის სასულიერო სემინარია. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით აქვე, დარეჯან დედოფლის



თბილისის სასულიერო სემინარია (1839-1910)

863 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 440, ანაწ. 1, საქმე 3058, ფურც. 160; შდრ. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტ. მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998, გვ. 20.

ყოფილი სასახლის შენობაში, 1827 წელს მოთავსდა სემინარისტთა პანსიონი ანუ ბურსა, რომელიც თავდაპირველად 50 მოწაფეზე იყო განკუთვნილი. 1840 წლიდან სასულიერო სემინარია გადმოვიდა ცნობილი მეცენატების ზუბალაშვილების მიერ აგებულ სასტუმროს შენობაში (დღევანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), რომელიც საეგზარქოსომ საქართველოს ეკლესიის შემოსავლებიდან გაღებული 82 ათასი მანეთის საფასურად შეიძინა.[864] XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს, რის გამო, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ ვაკეში 45 ათას მანეთად შეძენილ მიწაზე ააგო შენობა, სადაც 1910 წელს განთავსდა სასულიერო სემინარია. აქვე იყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელი, საავადმყოფო და სხვა დამხმარე ნაგებობები.

სასულიერო განათლების გაფართოების მიზნით აგრეთვე დაარსდა სამაზრო სასწავლებლები საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ეგზარქოს ფეოფილაქტე რუსანოვის განკარგულებით ყველა მოძღვარი ვალდებული იყო თავისთი შვილები განათლების მისაღებად სასულიერო სასწავლებელში შეეყვანა.[865] აღნიშნული გადაწყვეტილების გამო სამაზრო სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ძირითადად სამღვდელოების შვილები სწავლობდნენ, ხოლო საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სხვადასხვა სოციალური ნრის წარმომადგენლები ღებულობდნენ პირველდაწყებით განათლებას.



თბილისის სასულიერო სემინარია (1910-1918), ვაკე, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია

---

864 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 440, ანაწ. 1, საქმე 3058, ფურც. 160; შდრ. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტ. მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998, გვ. 20.

865 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №544, ფურცელი 15.

ხელისუფლებამ გაუქმებული ქართული სასულიერო სკოლების ნაცვლად 1829 წლის დებულებით სამაზრო სასწავლებლები დააარსა თელავში, სიღნაღში, დუშეთში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში, სენაკში. ასეთი ტიპის სასწავლებელი 1822-1847 წლებში არსებობდა ონშიც, ხოლო თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსების მეორე წელსვე გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი. რუსული სასულიერო საგანმანათლებლო სისტემის მიხედვით სამაზრო სასწავლებლები იყო ერთკლასიანი, ორწლიანი კურსით. დაბალ განყოფილებაში ისწავლებოდა რუსული და სლავური გრამატიკა, საეკლესიო გალობა, ბერძნული და ლათინური ენები, მაღალ განყოფილებაში კი – ვრცელი კახეტიზმო საღვთო ისტორია, გეოგრაფია და რუსეთის ისტორია.[866]

გარდა ზემოთჩამოთვლილი სასულიერო სასწავლებლებისა, XIX საუკუნის ოცდაათიან წლებიდან მთელი საქართველოს მასშტაბით არსებობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ასეთ სკოლებს, ხშირად საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ხსნიდნენ სამრევლოს მღვდლები. საეკლესიო-სამრევლო სკოლა ორკლასიანი იყო, სადაც სწავლება ორი წლის მანძილზე ხდებოდა. პირველ კლასში ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ და სლავურ წერა-კითხვას, სუფთა წერას, გალობას. მეორე კლასში არითმეტიკას, რუსული ენის გრამატიკის საწყისებს და მოკლე კატეხიზმოს.[867] დაბალი სოციალური ფენისათვის განკუთვნილ უფასო საეკლესიო-სამრევლო სკოლები პირველდაწყებითი განათლების მიღებასთან ერთად, მოსწავლეებს განუმტკიცებდა რელიგიურ რწმენას. 1869 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა არარუს მღვდელმთავართა ყრილობაზე მიიღო გადაწვეტილება, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლათა რიცხვი გაფართოებულიყო.[868]

რუსეთის რეაქციულ წრეებს სურდათ სამრევლო სკოლები რუსიფიკაციის მიზნით გამოეყენებინათ. აღნიშნული განზრახვა მათ სისრულეში ვერ მოიყვანეს. საეკლესიო-სამრევლო სკოლების პატრიოტულად განწყობილი მასწავლებლები და სასულიერო პირები ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ემსახურებოდნენ მოზარდ თაობაში ქრისტიანული რწმენისა და ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების განმტკიცებას.

მეფის რუსეთმა სათანადო ყურადღება დაუთმო ქალთა განათლების საკითხსაც. მათი აზრით, ქალს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ეკისრა, შეეძლო დიდი როლი შეესრულებინა თვითმპყრობელური რეჟიმის ერთგული თაობის ჩამოყალიბების საქმეში. ამ მიზნიდან გამომდინარე, საეგზარქოსომ 1866 წელს მცხეთაში, დედათა მონასტრის ბაზაზე, გახსნა „სასულიერო ნოდების ქალწულთა სასწავლებელი." 1868 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) დაამტკიცა ქალთა საეპარქიო სასწავლებლის წესდება,

866 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 162.

867 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 162.

868 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX–XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 31.

რომლის მიხედვით, ისინი სწავლობდნენ საღმრთო სჯულს, კატეხიზმოს, ეკლესიის ისტორიას, ქართულ და რუსულ ენებს, გეოგრაფიას, გალობას, რუსეთის და საქართველოს ისტორიას, ხელსაქმეს (ქსოვა და კერვა). 1879 წელს, ეგზარქოს იოანიკეს (რუდნევი) დროს, სასწავლებელი მცხეთიდან თბილისში გადავიდა. სასწავლებლის ხარჯი სანთლის ქარხნის შემოსავლით ფინანსდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში იყო 26 ქალთა საეპარქიო სასწავლებელი.[869]

სასულიერო განათლების დებულების მიხედვით, სწავლების დონის ამაღლების მიზნით, თითოეულ სასწავლებელთან არსებობდა მოსამზადებელი კლასები, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებდნენ სასულიერო სასწავლებლებში. სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა მისაღები გამოცდები ჩაებარებინა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მოგვიანებით, 1894 წელს დასავლეთ საქართველოს მოსწავლეები სწავლას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებდნენ. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ სასულიერო პირთა შვილები, რომელთა დაფინანსება ბიუჯეტიდან ხდებოდა. მათ გარდა, განათლებას ღებულობდნენ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები. ჭრელი იყო მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობაც. ქართველების გარდა, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ რუსები, ოსები, თათრები, ასირიელები და სხვა. თბილისის სასულიერო სემინარია ძირითადად, ამზადებდა სასულიერო კადრებს საქართველოს საეგზარქოსოსათვის, წარჩინებული კურსდამთავრებულები სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ყაზანის სასულიერო აკადემიაში.[870]

სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელებად და მასწავლებლებად რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რუსი მოხელეები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის განხორციელებისათვის იზრუნებდნენ. რადგან სასულიერო სასწავლებლებში, თავდაპირველად, გარკვეული ყურადღება ექცეოდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას. სასწავლებელში მიიწვიეს სემინარიადამთავრებული ქართველი პედაგოგები. მათი შერჩევა საგანგებოდ ხდებოდა, რადგან მათ მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად უნდა ემოღვაწათ. ქართველ პედაგოგებზე საიდუმ-

869 მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX–XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ. 32.

870 ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსობის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები (ზოგადი დახასიათება), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2008, II, გვ. 321-331; შდრ. შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900,WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present, Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 135-170.

ლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული. არასაიმედო ქართველ პედაგოგებს ხშირად ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. განსაკუთრებით იმ პედაგოგებს, რომლებიც ცდილობდნენ, მოსწავლეებში მშობლიურ ენაზე სწავლის სურვილი გაეღვიძებინათ. დიდი განსხვავება იყო ერთი და იმავე სასწავლებელში მომუშავე ქართველ და რუს პედაგოგთა ანაზღაურებას შორის. რუს პედაგოგთა ხელფასი რამდენჯერმე აღემატებოდა ქართველ პედაგოგთა ანაზღაურებას. რუსი პედაგოგები უპირატესობით სარგებლობდნენ სამსახურებრივი დაწინაურების დროსაც. ქართველ პედაგოგებს მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. რუსი მოხელეები თითოეულ მათ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. პირადი ცხოვრების მოწყობისათვის (ოჯახის შექმნა და სხვა) მათ ნებართვა სასულიერო უწყებიდან უნდა მიეღოთ. სამსახურში ქართველი პედაგოგების უფლებები საგრძნობლად იყო შეზღუდული. რუსი პედაგოგები, როგორც გაბატონებული ერის წარმომადგენლები, ქედმაღლობდნენ, ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ მათ. ამ ნიადაგზე ქართველ და რუს პედაგოგებს შორის შინაგანი დაძაბულობა ყოველთვის არსებობდა.[871]

მძიმე იყო სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა მდგომარეობა. მხოლოდ თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებობდა მოსწავლეთა პანსიონი (ბურსა), სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სემინარისტები ცხოვრობდნენ. დანარჩენ სასულიერო სასწავლებლებს ასეთი პანსიონი არ გააჩნდა. სემინარიასთან არსებული პანსიონი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული რუსული პოლიტიკის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. აქედან გამომდინარე, კავკასიის რუსულ ადმინისტრაციის სურვილი იყო სასულიერო სასწავლებლის შეგირდები მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყო. პანსიონში მცხოვრები მოსწავლეები მოწყვეტილი იყვნენ მშობლიურ გარემოს. პანსიონის რუსი ხელმძღვანელები, მკაცრი შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, კვლავ აგრძელებდნენ მათთან აღმზრდელობით მუშაობას. შინაგანაწესით, სემინარიელებს ეკრძალებოდათ პანსიონიდან უნებართვოდ გასვლა. აკრძალული იყო სასულიერო ლიტერატურის გარდა სხვა ნაწარმოებების კითხვა და სხვა.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები ვალდებული იყვნენ წელიწადში ორჯერ ზიარებულიყვნენ – დიდი მარხვის პირველ კვირას და ვნების კვირაში. ვინც არდადეგებზე სახლში მიდიოდა, მათ ზიარება ადგილობრივ სასულიერო პირისაგან უნდა მიეღოთ, რომლის დამადასტურებელი ცნობა უნდა წარედგინათ სასწავლებელში.

არანორმალური იყო მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები. სამაზრო სასულიერო სასწავლებლების უმრავლესობა უვარგის შენობებში იყო მოთავსებული, რაც ხშირად, მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებდა. მართალია, ამ მხრივ თბილისის სასულიერო სემინარიაში შე-

871 ი. ბაკურაძე, თბილისის სასულიერო სემინარია, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, თბ., 1937, გვ. 113.

დარებით უკეთესი პირობები არსებობდა, მაგრამ მშობლიურ გარემოსა და ახლობლებისაგან იზოლირებულ სემინარისტების ფსიქიკაზე მძიმედ მოქმედებდა სასწავლებელში არსებული მკაცრი რეჟიმი.

თბილისის სასულიერო სემინარია ექვსი კლასისაგან შედგებოდა. მეხუთე და მეექვსე კლასი ითვლებოდა საღვთისმეტყველო კლასად. სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ასწავლიდნენ საერო საგნებს. საღვთისმეტყველო საგნებიდან ისწავლებოდა ძველი და ახალი აღთქმა, ზოგადი საეკლესიო ისტორია და რუსეთის ეკლესიის ისტორია, ძირითადი ღვთისმეტყველება, დოგმატიკა, ზნეობრივი და შედარებითი ღვთისმეტყველება, პრაქტიკული მოძღვრება სასულიერო პირებისათვის, ჰომილეტიკა; საერო საგნებიდან ასწავლიდნენ: სიტყვიერების თეორიას და რუსულ ლიტერატურის ისტორიას; მსოფლიოს ისტორიას და რუსეთის ისტორიას, მათემატიკას, ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას, ფიზიკას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, დიდაქტიკას; უცხო ენებიდან ისწავლებოდა: ძველი და ახალი ენები – ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული; სემინარიაში ასწავლიდნენ საეკლესიო გალობას.

სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღვანელობამ, მოსწავლეთა რუსიფიკაციის მიზნით, დაიწყო ქართული გვარების რუსულად გადაკეთება. ამ ფაქტის მიზანშეწონილობას იმით ხსნიდნენ, რომ, თითქოს, მათ უძნელდებოდათ ქართული გვარების წარმოთქმა. ასეთი ღონისძიებების გატარებით, ისინი შორსმიმავალ მიზნებს ისახავდნენ. რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილი გვარების დაკანონებით, მართალია ხელოვნურად, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო ქართველთა ასიმილაცია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის ხელისუფლებამ აშკარად გამოხატა თავისი პოლიტიკა საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლების მიმართ, რომლის მიზანი იყო თვითმპყრობელობის ერთგულება და ქართველი ახალგაზრდობის გარუსება. ამ პოლიტიკის შესატყვისად შემუშავდა სასულიერო სასწავლებლების პროგრამები. გაძლიერებული კურსით ხდებოდა რუსული ენის სწავლება. ამავე ენაზე ასწავლიდნენ ძირითად საღვთისმეტყველო საგნებს, სლავურ საეკლესიო გალობას, რუსეთის ეკლესიისა და რუსეთის სამოქალაქო ისტორიას, კლასიკურ ენებს. რაც შეეხება მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლებას, რუსი მოხელეები მას XIX საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეულ ყურადღებას აქცევდნენ. უფრო მეტიც, რუსი პედაგოგებისათვის სავალდებულო იყო ქართული ენის ცოდნა. მართალია, რუსეთის ცარიზმის აღნიშნული მითითება პრაქტიკულად ცხოვრებაში არ გატარებულა, მაგრამ მოტანილი ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასულიერო სასწავლებლების რუსიფიკაციის მიზნით გამოყენებისაგან მათ თავი შეიკავეს. ამ გეგმის განსახორციელებლად რუსმა მოხელეებმა პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან გადადგეს. პირველ რიგში, იერიში მიიტანეს ქართულ ენაზე. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია სასულიერო სასწავლებ-

ლების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდა, რომ რუსული ენის გაძლიერებული სწავლების მიზნით, სასწავლო პროცესისაგან თავისუფალ დროს, მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ქართულ ენაზე საუბარი. მართალია, აღნიშნული სურვილი ვერ განახორციელეს ამ ეტაპზე, მაგრამ 1854 წლის გადაწყვეტილებით, ქართული ენა სასულიერო სასწავლებლებში მეორეხარისხოვან საგნად იქცა. ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. სწავლების დონე საგრძნობლად დაეცა, რამაც რუსეთის იმპერატორის ყურადღება მიიპყრო. 1864 წელს, საერო და სასულიერო განათლების ამაღლების მიზნით, აღდგინეს კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო ოლქი. იმპერატორის ამავე წლის განკარგულებით, დაწყებით სასწავლებლებში სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო. მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილება სამაზრო სასულიერო სასწავლებლებისათვის მისაღები იყო, მაგრამ მის ცხოვრებაში გასატარებლად საეგზარქოსოს თავი არ შეუწუხებია. დადგენილების შესაბამისად, ქართული ენის სწავლებას გარკვეული ყურადღება დაეთმო თბილისის სასულიერო სემინარიაშიც. ამავე პერიოდიდან, აქ მომრავლდა ქართველი პედაგოგები. 1864 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად დაინიშნა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. მალე იგი სასწავლებლის ინსპექტორად დააწინაურეს. მისი მოღვაწეობის დროს სასულიერო სემინარიაში სასწავლო პროცესი გამოცოცხლდა. რუსი პედაგოგებისაგან განსხვავებით, იგი ახლებურად მიუდგა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხს. იაკობ გოგებაშვილმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებლის მკაცრ რეჟიმს, ფიზიკურ დასჯას, დასმენას. სწავლების დონის ამაღლების მიზნით, მან შექმნა მოსწავლეთა სამეცნიერო წრეები. რუსეთის კოლონიური პოლიტკის საწინააღმდეგოდ, იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა პროგრესული პედაგოგიური აზროვნების განვითარებას. მან 1865 წელს გამოსცა ქართული ანბანის სახელმძღვანელო „დედა-ენა," ხოლო 1868 წელს – „ბუნების კარი." აღნიშნული წიგნების გამოყენებით, იგი სასწავლებლის ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე, ასწავლიდა შეგირდებს.

სასულიერო სასწავლებლების რუსიფიკაციის მიზნით, 1871 წლის 14 მაისს გამოიცა საიმპერატორო კარის გადაწყვეტილება, რომლის ძალით, ქართული ენა უქმდებოდა ყველა ტიპის სასწავლებელში. დიდაქტიკური მოსაზრებით, ქართული ენა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე დატოვეს. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართულ პრესაში იმპერატორის დადგენილების საწინააღმდეგო არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რამაც ხელისუფლება აიძულა, დროებით უკან დაეხია. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა, ქართველთა თვალის ახვევის მიზნით, საიმპერატორო გადაწყვეტილება ოდნავ სახეცვლილი ფორმით ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვით, სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება დაშვებულ იქნა, როგორც დამხმარე საშუალება რუსული ენის შესასწავლად, ქართული ენისა და ლიტერა-

ტურისათვის ცალკე საათები არ იქნა გამოყოფილი. იგი სხვა საგნებთან გააერთიანეს. დადგენილების შესაბამისად, სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებართვით, თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეებს უფლება ეძლეოდათ, ქართულ საღვთისმეტყველო ლიტერატურას დაუფლებოდნენ იმ დროს, როდესაც საეკლესიო გაკვეთილებისაგან თავისუფალი იყვნენ. დადგენილების შესაბამისად, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა რუსეთის ლიტერატურისა და ისტორიის კურსთან ერთად. რუსეთის უზენაესი სასულიერო უწყების ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო კავკასიის რუსული ადმინისტრაცია. მათი სურვილი იყო საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ენის სრული განდევნა, მაგრამ პეტერბურგის ხელმძღვანელობა ამ ნაბიჯზე არ წავიდა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მოერიდა ქართველი საზოგადოების გულისწყრომას. მეორე მხრივ, მათ გაითვალისწინეს, რომ „ეკლესიის მსახურთა ქართული ენის უცოდინრად დატოვება დიდ ზიანს მოუტანდა ეკლესიის და ქრისტიანობის საქმეს საქართველოში... რაც, საბოლოო ჯამში, თვით ხელისუფლებისათვის იქნებოდა სახიფათო და ამიტომ რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ქართული ენა დატოვა სასულიერო სასწავლებლებში რუსული ენის შესწავლის ხელშესაწყობად, რითაც ქართულ ენას დაუკარგა მიზანდასახულობა."[872]

რუსეთის უწმინდესი სინოდის ზემოთ აღნიშნული დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, პეტერბურგიდან საქართველოში ხშირად იგზავნებოდა სპეციალური კომისიები. 1872 წელს რევიზორ ვ. ზინჩენკოს მოხსენების საფუძველზე, თბილისის სასულიერო სემინარიიდან დაითხოვეს პროგრესულად მოაზროვნე ქართველი პედაგოგები. თბილისის სასულიერო სემინარიაში რუსიფიკაციის რეჟიმის გაძლიერების მიზნით, 1873 წელს ინსპექტორად დანიშნეს სასტიკი და დაუნდობელი პიროვნება ივანე კუვშინსკი, რომელმაც მოსწავლეთა დიდი სიძულვილი დაიმსახურა. სასულიერო ხელმძღვანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, იაკობ გოგებაშვილი კვლავ აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მასზე არაერთი დასმენა დაიწერა, ბრალს სდებდნენ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის პროპაგანდაში. 1874 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა იაკობ გოგებაშვილის საქმის გამოსარკვევად საქართველოში მოავლინა რევიზორი სერგეი ვასილის ძე კერსკი, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, „დაგვწამა გულგრილობა სარწმუნოებაზედ და უკიდურესი გრუზინოფილობა." რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მიმართვაში სერგეი ვასილის ძე კერსკი აღნიშნავდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში მოკალათებული ქართველი პედაგოგები ეწინააღმდეგებიან ქართველი მოსწავლეების გარიცხვას. ისინი მოსწავლეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, რადგან თავიანთ შეგირდებს აკითხებენ ისეთ

872 ტ. ხუნდაძე, გაზეთი „დროება" და თბილისის სასულიერო სემინარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმოხილველი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 65-66.

ლიტერატურას, რომელიც სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ აკრძალულია. მოსწავლეების მხარდაჭერით, ქართველი პედაგოგები სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ ქართული ენის კათედრის გახსნას. ისინი მოსწავლეებს ქართულად ესაუბრებიან და გამოცდებსაც ქართულად იბარებენო. სიტუაციის გამწვავების მიზნით, სერგეი ვასილის ძე კერსკი პეტერბურგს ატყობინებდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწე ქართველმა პედაგოგებმა „შეადგინეს პარტია და ცდილობენ ყველა ადგილი სასწავლებელში თავისი თანამემამულეებისათვის დაიჭირონ და რუსები გამოაძევონ.“ სერგეი ვასილის ძე კერსკის დამბეზღებლური წერილის გამო აღშფოთებული იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ვაი ქართველების ბრალი, თათრებს, სომხებს და ყველა სხვა სარწმუნოების ერს რუსეთის იმპერიაში გამართული აქვთ სასულიერო სასწავლებლები, სადაც ყველა საგანი ისწავლება დედა-ენაზე და სადაც რუსული ენა მხოლოდ ცალკე საგანს შეადგენს და როცა ქართველები ხმას ამოიღებენ, მაშინვე გაისმის დაბეზღება სეპარატიზმისა.“[873]

სერგეი ვასილის ძე კერსკის მოხსენების საფუძველზე იაკობ გოგებაშვილი, როგორც არასაიმედო პიროვნება, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდეგ იგი სახელმწიფო სამსახურში არასოდეს ჩამდგარა და მთელი თავისი მოღვაწეობა პედაგოგიური აზროვნების განვითარებას მოახმარა. ქართული დაწყებითი კლასებისათვის რამდენჯერმე გამოიცა მისი სახელმძღვანელოები „დედა-ენა,“ „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო.“ მათში იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ქრისტიანული რელიგიის სწავლების საკითხს. იაკობ გოგებაშვილი სასულიერო განათლების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, არა მარტო იმის გამო, რომ იგი „სპეტაკი ზნის“ ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, არამედ „ამდიდრებდა მოსწავლეთა გონებას მრავალმხრივი ცოდნით.“ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი ჩინოვნიკების გასაგონად იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, როცა ქართველი ამბობს „მამაო ჩვენოს,“ ლოცვა ამოდის გულის სიღრმიდან. იგი წრფელია, მხურვალე და უფლის საამო. როცა ამავე ლოცვას იგივე ქართველი წარმოთქვამს უცხო ენაზე, გული სრულად ცივდება, გრძნობას ძინავს და მხოლოდ მეხსიერება მოქმედებს. ასეთ ცივ ლოცვას არავითარი ფასი არა აქვს უფლის წინაშე, არ ათბობს თვით გულს მლოცველისას. ტყუილად კი არ მიანიჭა უფალმა მოციქულებს სხვადასხვა ენების ცოდნა. ყველა ერისათვის მათ უნდა ექადაგათ სახარება, დედა-ენაზე უნდა ესწავლებინათ ლოცვა, ღვთის ვედრება. აი, ამისთვის ყოველი ერი დიდად აფასებს წირვა-ლოცვას თავის დედა-ენაზედ და დიდ უბედურებად მიაჩნია უცხო ენების შემოღება ეკლესიაში.“[874]

იაკობ გოგებაშვილის აზრით, თუკი რომელიმე ქვეყანაში წირვა-ლოცვა უცხო ენაზე ტარდება და საღმრთო სჯულიც ამავე ენაზე ისწავლება, მაშინ

873 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962, გვ. 132.

874 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962, გვ. 132.

„იქ ყოველად შეუძლებელია ღვთისმსახურება და სარწმუნოება არ გაცივდეს, არ დაჭკნეს, არ გათახსირდეს. ამისთანა ქვეყნებში სამღვდელოება მექანიკურად, უსულგულოდ ასრულებს საეკლესიო წესებს... ღვთისმსახურება აბუჩად არის აგდებული, ეკლესიები და მონასტრები ცარიელი არიან და მთელი ერი ულმერთობის გზაზეა დაყენებული.“[875] იაკობ გოგებაშვილი ასეთი შეხედულებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პროგრესული საზოგადოების გულისნადებს გამოხატავდა.



„ТОВАРИЩЕСТВО" ТИФЛИСЪ

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)

იაკობ გოგებაშვილისა და სხვა ქართველი პედაგოგების გაძევების შემდეგ, სასულიერო სასწავლებლები, განსაკუთრებით კი თბილისის სასულიერო სემინარია, მძიმე წნეხის ქვეშ მოექცა. სისასტიკით ცნობილმა სასულიერო სემინარიის ინსპექტორმა ივანე კუვშინსკიმ გაამკაცრა რეჟიმი. მოსწავლეებს, დასვენების პერიოდშიც კი, ეკრძალებოდათ ქართულ ენაზე საუბარი. თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკიდან გაიტანეს პროგრესულად მოაზროვნე მწერალთა ნაწარმოებები. მოსწავლეებს, სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელთა კატეგორიული მითითებით, აეკრძალათ სასულიერო თხზულებათა გარდა საერო ნაწარმოებების კითხვა. მათ არ შეეძლოთ გაცნობოდნენ იმ დროს გამომავალ ქართულ გაზეთებსაც კი. პანსიონში მცხოვრებ მონაფეებზე მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა. მოსწავლეთა შორის უნდობლობამ იჩინა თავი. ბეზღობა-დასმენები ჩვეულებრივ ამბად იქცა. აკრძალული ლიტერატურის გაცნობის გამო, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რამდენიმე ათეული სემინარიელი გარიცხეს. მკაცრ რეჟიმში მყოფი სემინარიელები სულიერ საზრდოს სასწავლებლის გარეთ ეძებდნენ. ისინი არ შეუშინდნენ ადმინისტრაციის სიმკაცრეს და ფარულად დააარსეს საიდუმლო წრე, დაიწყეს ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა. ცოდნის გაფართოვების მიზნით, მოსწავლეები აკრძალულ ლიტერატურას ეცნობოდნენ თბილისში არსებულ „ივანოვის ბიბლიოთეკაში“ და აქტიურად სარგებლობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის საოჯახო წინგთსაცავით. ზაქარია ჭიჭინაძე უანგაროდ ეხმარებოდა სემინარიელებს და უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს. არაერთმა ყოფილმა სემინარიელმა საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მათდამი გაწეუ-

875 ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 1903, გვ. 17.

ლი მზრუნველობის შესახებ, რომელთა შორის აღსანიშნავია ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა (1872-1967), რომელიც 1888-1895 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.[876]

შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო ზოგიერთი სემინარიელი, ხალხოსნურ მოძრაობაშიც ჩაება. ჟანდარმერიის ჩარევის შედეგად, განადგურდა თბილისის სასულიერო სემინარიელთა საიდუმლო წრე, მისი წევრები კი პასუხისგებაში მისცეს.[877]

აღსანიშნავია, რომ ეგზარქოსი პავლე 1884 წელს რუსეთის სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველი სასულიერო პირების გაუნათლებლობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ისინი მრევში არ სარგებლობენ ავტორიტეტით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სარწმუნოებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.[878]

რუსეთის ცარიზმმა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იმპერიის მასშტაბით რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებასთან ერთად, გააძლიერა ანტიქართული და რეაქციული საეკლესიო პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების მოპსობა. საქართველოს საეგზარქოსომ პირველ რიგში იერიში მიიტანა სასულიერო სასწავლებლებზე, კერძოდ კი, საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე. მრავალრიცხოვანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლობდა, ფაქტიურად ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარებოდა. რუსეთის ცარიზმი შეეცადა იგი რუსიფიკაციის მიზნით გამოეყენებინა. ხელისუფლებისაგან სამრევლო სკოლების გახსნა და კონტროლის უფლება „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" ჰქონდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კირილ იანოვსკის 1881 წლის გადაწყვეტილებით, სასულიერო სასწავლებლების დაწყებით კლასებში აიკრძალა ქართული ენა. მისივე 1885 წლის განკარგულებით, ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეკრძალებოდათ მშობლიური ენის გამოყენება რუსული სიტყვების ასახსნელად. კირილ იანოვსკის საწინააღმდეგოდ, ქართულ პერიოდულ პრესაში რამდენიმე მამხილებელი წერილი გამოქვეყნდა.[879]

---


876 ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი პირველი, თბ., 1956, გვ. 105-107.

877 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 161-103; შდრ. ე. ბუბლაშვილი, ეგზარქოსობის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები (ზოგადი დახასიატება), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2008, II, გვ. 208-210; შდრ. შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006, გვ. 172, დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დისერტაციის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ამავე ბიბლიოთეკისა და ACADEMIA. EDU-ს საიტებზე.

878 Грузинский Экзархат в 1884, Ответь представленный Святешему Синоду членом онаго, превосвященным Павлом, архиепископом Карталинским и Кахетинским, Экзархом Грузии, стр. 24.

879 ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939, გვ. 84

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. რუსეთის უზენაესი საერო და სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებულმა კირილ იანოვსკიმ ქართველი ხალხის ერთიანობის დაშლის მიზნით გადაწყვიტა, რომ სამეგრელოს სკოლებში რუსული ენის სწავლება მეგრული ენის მეშვეობით მომხდარიყო. ამას იმით ხსნიდა, რომ თითქოს, მეგრელები ქართველები არ იყვნენ. მისივე აზრით, სვანებსაც არაფერი აკავშირებდათ ქართველებთან. ხელისუფლებას ასეთი პოლიტიკური ნაბიჯით სურდა ქართველი ხალხის გათიშვა და ერთმანეთისადმი დაპირისპირება. ამ საქმეში კირილ იანოვსკის დიდ დახმარებას უწევდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ფ. ლევიცკი. მათ ამ მხრივ, პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს და დაიწყეს „ზრუნვა“ იმისათვის რომ მეგრელებისა და სვანებისათვის საკუთარი დამწერლობა შეექმნათ და მათ ენებზე წიგნები გამოეცათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის ხელისუფლებამ ამ მხრივ, ჯერ კიდევ, ადრე იზრუნა აფხაზებისათვის, როდესაც ივანე ბარტოლომეისა (1813-1870) და პეტრე უსლარის (1816-1875) მეშვეობით, აფხაზური ანბანი შექმნეს. მათ მიერ გამოგონილი ასოების გამოყენებით თბილისში, ჯერ კიდევ 1864 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ შეკვეთით შედგენილ და გამოცემულ იქნა სვანური ანბანი, „ლუშნუ ანბანის“ სახელწოდებით. აღნიშნული ანბანის საფუძველზე შედგა სვანურ ენაზე სახელმძღვანელო, რომლითაც სვანეთის სამრევლო სკოლებში სწავლა უნდა წარმართულიყო. სვანური ანბანის შექმნა და მის საფუძველზე სწავლება მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, სვანების ქართველებისაგან ჩამოშორებას, მეორე მხრივ, მათ გარუსებას, რადგან, განათლების დებულების მიხედვით, სვანური ენა მხოლოდ დაწყებით კლასებში ისწავლებოდა, ზედა კლასებში კი სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ამავე პერიოდში, სვანურად ითარგმნა და გამოიცა ლოცვათა ზოგიერთი კრებულიც, მაგრამ რეაქციული ძალების ჩანაფიქრმა არ გაამართლა, სვანური „ლუშნუ ანბანი“ დაგმო თვით სვანმა მოსახლეობამ.[880]


ЛУШНУ АНБАНЪ.
СВАНЕТСКАЯ АЗБУКА.

სვანური ანბანი

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხელისუფლებამ განსაკუთრებით გააძლიერა ანტიქართული საქმიანობა სამეგრელოში. ამ მიზანს ემსახურებოდა 1885 წლის 11 იანვარს დასავლეთ საქართველოს სკოლების ზედამხედველის ფ. ლევიცკი, გამოცემული ცილკურალი, რომელშიც აღნიშნული იყო: 1881

880 ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 347.

ნლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით პირველდაწყებით სკოლებში საწავლა მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულყო. ამის შესაბამისად იგი აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს სკოლებში სწავლა „მეგრელებისათვის გაუგებარ" ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მისი აზრით, რუსული ენა ამჟამად ისწავლება ქართულის და არა მეგრულის დახმარებით, რის გამოც მეგრელ ბავშვებს ორი ახალი ენის შესწავლა უწევს – რუსულის და ქართული ენის. აღნიშნულის გამო, იგი დაასკვნიდა, რომ რუსული ენის სწავლებას გარკვეული სიძნელეები ექმნებოდა. ფ. ლევიცკი მოითხოვდა, რომ რუსული ენის სწავლება მეგრულის საფუძველზე მომხდარიყო, მაგრამ იქვე დასძენდა, რადგან მეგრულ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა, მეგრული სიტყვები გადმოეცათ რუსული ანბანით. მასვე საჭიროდ მიაჩნდა, რომ ლოცვანი და საღმრთო ისტორია შეიძლება რუსულ ენაზე შესწავლილიყო, ახსნა კი მეგრული ენით მომხდარიყო.[881] ფ. ლევიცკის აღნიშნული ცირკულარი სამეგრელოს მოსახლეობის გარუსებისათვის იყო გამიზნული

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან კირილ იანოვსკი და მისი მარჯვენა ხელი ფ. ლევიცკი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მეგრელებისათვის რუსული ანბანის საფუძველზე შექმნილიყო მეგრული ანბანი. ამ მიზნით, ისინი, ჯერ კიდევ, ანბანის შექმნამდე მასწავლებლებს ავალებდნენ, რომ მეგრული სიტყვები რუსული ანბანით ეწერათ, მაგრამ, როგორც იმდროინდელი პრესიდან ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდა მეგრული სიტყვების გადმოცემა რუსული ანბანით.[882]

კირილ იანვოსკის მოთხოვნით, მეგრული ანბანის შესაქმნელად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან საქართველოში საგანგებოდ 1886 წელს მოავლინეს ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსი გრენი.[883] იგი ცნობილი იყო თავისი შოვინისტური გამოხტომებით. მასვე დავალებული ჰქონდა მეგრულ ენაზე შეედგინა პატარა წიგნები. ალექსი გრენი დაინიშნა თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლელების ინსპექტორად. კავკასიაში ყოფნისას აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიაზე, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიაზე, აგრეთვე მუშაობდა ენათმეცნიერებაში.[884] მან 1889 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა Мингрелская азбука, რომლის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა, რომ მეგრელი ხალხი იჩაგრება ქართველებისაგან და მას თავისთავადობის შესანარჩუნებლად შევუდგინე ეს დამწერლობაო. ალექსი გრენის მეგრული ანბანის შექმნაში კონკურენტი გამოუჩნდა. ზუგდიდელი თადა, იგივე თადეოზ აშორდია, რომელიც ფ. ლევიცკის გერი იყო, კარგა

881 გაზეთი „დროება," №59.

882 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 161-103; შდრ. გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბ., 1928, გვ. 264; შდრ. ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 348.

883 თ. ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში (პერიოდული მასალების მიხედვით), თბ., 2018, გვ. 26.

884 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1438, აღწ. 1, საქმე №298; საქმე №328; საქმე №329.

ხნის მანძილზე მუშაობდა მეგრული ანბანის შექმნაზე. იგი უშუალოდ ფ. ლევიცკის მფარველობაში იმყოფებოდა. თადა აშორდია პეტერბურგიდან მოვლინებული ალექსი გრენის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. 1889 წელს თადა აშორდიამ „რუსული" ალფაბეტის საფუძველზე მეგრული ანბანი შეთხზა. მანვე მეგრულად თარგმნა „მამაო ჩვენო" და სხვა ლოცვები, სასურველი შედეგი ვერც თადა აშორდიას „ნაღვაწმა" გამოიღო. ქართველმა საზოგადოებამ და უპირატესად სამეგრელოს მოსახლეობამ იგი არ მიიღო.[885] თუმცა, ცალკეული რუსოფილი ქართველები ამ დროისათვის თადა აშორდიას გარკვეულ თანადგომას უცხადებდნენ. მარცხის მიუხედავად, ხელისუფლება XX საუკუნის დასაწყისშიც ცდილობდა მეგრულ და სვანურ ენაზე წიგნების ბეჭდვას და გამრავლებას.

აღსანიშნავია, რომ 1894 წელს ჟურნალ „კვალში," თბილისის სასულიერო სემინარიის ბოლო კურსიის წარჩინებულმა სემინარიელმა იპოლიტე ვართაგავამ, რომელსაც სასწავლებლისა და ეგზარქოსიის რეკომენდაციით სახელმწიფოს ხარჯზე ყაზანის სასულიერო აკადემიაში უნდა გაეგრძელებინა სწავლა, „იპო ხეთერელის" ფსევდონიმით გმოაქვეყნა წერილი „სამეგრელოს ვითარება," რომელშიც იგი გმობდა თადა აშორდიასა და მისი მიმდევრების განზრახვას სკოლებიდან ქართული ენის განდევნას და მის ნაცვლად მეგრულის შემოღებას. ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობის გამჟღავნების შემდეგ თადა აშორდიამ და მისმა მხარდამჭერებმა ეს წერილი რუსულ ენაზე თარგმნეს და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს კირილ იანოვსკის გაუგზავნეს. ამ უკანასკნელმა რეაგირებისათვის იგი საქართველოს ეგზარქოს გადაუგზავნა. აღნიშნული ფაქტის გამო ეგზარქოსიის გადაწყვეტილებით იპოლიტე ვართაგავა ამოიღეს სახელმწიფოს ხარჯზე სასულიერო აკადემიაში გასაგზანი სიიდან. ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად იპოლიტე ვართაგავამ 1895 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ყაზანის სასულიერო აკადემიაში ვოლონტერ სტუდენტად, რომელსაც სტიპენდია არ ეძლეოდა და სწავლის ქირასაც თვითონ იხდიდა. ჩარიცხვიდან 3-4 თვის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმირმა ბოგოიავლენსკიმ (1892-1898), (შეცდომით იპოლიტე ვართაგავა ამ დროის ეგზარქოსად ასახელებს ფლავიანე გოროდეცკს, რომელიც 1898-1901 წლებში იყო საქართველოს ეგზარქოსი), წერილით მიმართა ყაზანის სასულიერო აკადემიის რექტორს და აცნობა, რომ 1893-1894 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხადარ არეულობის გამო 1895 წლის რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ხარჯზე გაგზავნილების გარდა არავის ჰქონდა სწავლის გაგრძელების უფლება. ამ გადაწყვეტილებით იგი მოითხოვდა იპოლიტე ვართაგავას სტუდენტობიდან გათავისუფლებას. საქართველოს ეგზარქოსი იპოლიტე ვართაგავასთან და-

885 ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939, გვ. 103; შდრ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 161-103; შდრ. გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბ., 1928, გვ. 264; შდრ. ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 348; შდრ. თ. ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში (პერიოდული მასალების მიხედვით), თბ., 2018, გვ. 28.

კავშირებით მიმართვაში არ ასახელებდა მისთვის სტუდენტობის გაუქმების ნამდვილ მიზეზებს. ყაზანის სასულიერო სემინარიის რექტორმა არ გაიზიარა ეპარქიის ეგზარქოსის მოთხოვნა და მისაღებ გამოცდაზე გამოვლენილი მაღალი შეფასებების გამო იპოლიტე ვართაგავამ სტუდენტობა შეინარჩუნა და 1899 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია.[886]

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს საეგზარქოსომ განსაკუთრებით გააძლიერა ზემოქმედება თბილისის სასულიერო სემინარიაზე. რექტორ პავლე ჩუდეცკის დროს მოსწავლეთა უმიზეზოდ დასჯა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბატონებული რეჟიმი მოსწავლეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. სასულიერო ხელისუფალთა უგუნური პოლიტიკის წყალობით, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ათეისტებად იქცა. ისინი აქტიურად ჩაებნენ XIX საუკუნისის 80-90-იან წლებში საქართველოში არსებული ხალხოსნური და მარქსისტული რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში. ჯერ კიდევ, იოსებ ლაღიაშვილის მიერ პავლე ჩუდეცკის მკვლელობამდე არაერთ ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის.[887] რექტორის მკვლელობის შემდეგ მიმდინარე პროცესებმა რამდენადმე დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში.

XIX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში, დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, ხელისუფლება შეეცადა ლიბერალური პოლიტიკის გატარებას, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა უკმაყოფილო სემინარიელების მოთოკვა. აღნიშნულ პერიოდში აქტივისტ სემინარიელთა ინიციატივით, მოსწავლეთა პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების მიზნით, თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩამოყალიბდა ფარული წრე. 1893 წლის 30 ნოემბერს ჩატარდა სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა პირველი ფარული კრება, რომლის გადაწყვეტილება მიმართული იყო საეგზარქოსოს წინააღმდეგ.[888] როგორც ზემოთ აღინიშნა, სემინარელთა უკმაყოფილება განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როცა სემინარიის რექტორმა სერაფიმემ მოსწავლეთა თანდასწრებით, ძველ ქართულ საეკლესიო საგალობლებს „ძაღლის ყეფა“ უწოდა. იმავე წლის დეკემბერში მოეწყო სემინარელთა გაფიცვა და საპროტესტო დემოსტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი რევოლუციონერები მიხა ცხაკაია და ალექსანდრე წულუკიძე. აღშფოთებული გაფიცული სემინარიელები საქართველოს ეგზარქოსისაგან მოითხოვდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებული რეჟიმის აღკვეთას, რექტორის გადაყენებას, შოვინისტი და დესპოტი პედაგოგების დათხოვას, ქარ-

886 ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი მეორე, თბ., 962, გვ. 17-21.

887 ზ. ჩიქვილაძე, ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის 80-იან წლებში, რევოლუციის მაცნე, 1924, 2-3, გვ. 171-172.

888 გ. გაბუნია, „სემინარიელები ამბოხებულები არიან. საქართველო ფეხზე დგას,“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 43-44, თბ., 1983, გვ. 49.

თული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის კათედრის დაარსებას, ქართული ენისა და ქართული გალობის სწავლებას და სხვა. ხელისუფლებამ ჟანდარმერიის მეშვეობით დემოსტრაცია დაშალა. შეშინებული სასულიერო უწყება ერთხანს ფიქრობდა სასულიერო სემინარია ჩრდილოეთ კავკასიაში სტავროპოლში ან ეკატერინოდარში გადაეტანა.

მოსწავლეთა გამოსვლით შეშინებულმა საქართველოს ეგზარქოსმა რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა ერთი წლით შეწყვიტა, აქტივისტი სემინარიელები (67 მოსწავლე) კი გარიცხეს.[889] კავკასიის ჟანდარმერიის სამმართველო და საეგზარქოსო ფარულად მეთვალყურეობას ანარმოებდა სემინარიიდან დათხოვილ სტუდენტებზე. სწავლის განახლების შემდეგ, სემინარიელთა მდგომარეობა არ შეცვლილა. სასწავლებლის ადმინისტრაცია მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის გამოყენებით ახერხებდა სასწავლო პროცესის წარმართვას.

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა გართულდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ამ სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა რეაქციონერი დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელმაც 1902 წელს შემუშავებული სასწავლო გეგმით მოითხოვა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის სწავლების ამოღება. ქართული საზოგადოების და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული მოთხოვნა რეაქციულმა ძალებმა ვერ განახორციელეს.[890]

თბილისის სასულიერო სემინარიაში მიმდინარე პროცესების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ამავე სასწავლებელში მოღვაწე პედაგოგების მოგონებებში, რომელიც 1908 წელს რუსულ ენაზე გამოიცა.[891] მეტად საინტერესოა იპოლიტე ვართაგავას მოგონებები, რომელიც ეხება XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მოღვაწე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორების, არქიმანდრიტების: პაისის (ვინოგრადოვი, 1886-1889 წწ.), ნიკოლოზის (ზიოროვი, 1889-1891 წწ.), სერაფიმე (მეშჩერიაკოვი, 1893-1898 წწ.) და 1907-1917 წლებში ამავე სასულიერო სემინარიის რექტორების, არქიმანდრიტების: პიმენის (პეგოვი, 1907-1911 წწ.), იეროთეოსის (პომერანცევი, 1911-1914), მელქისედეკის (პაევსკი, 1914-1916, წწ.) და დეკანოზ კორნელი კეკელიძის საქმიანობას.[892]

1905-1907 წლებში, რევოლუციური მოძრაობის დროს, მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა სასულიერო სასწავლებლებში მიმდინარე პროცესებზე. XX საუკუნის პირველ ათეულში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდა-


889 გ. გაბუნია, „სემინარიელები ამბოხებულები არიან. საქართველო ფეხზე დგას," საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 43-44, თბ., 1983, გვ. 49.

890 ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, თბ., 1903, გვ. 209.

891 Из воспоминаний Русского учителя Православной Грузинской духовной семинарии, Москва, 1908.

892 ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი პირველი, თბ., 1956, გვ. 168-171; შდრ. ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი მეორე, თბ., 1962, გვ. 286-310.

რა სასულიერო განათლების სისტემაში. 1916 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დეკანოზი კორნელი კეკელიძის დანიშვნით, ერთგვარად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისის სასულიერო სემინარია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. უსახსროდ დარჩენილი სასწავლებელი 1918 წელს დაიხურა. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა კორნელი კეკელიძემ ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს გადასცა, სადაც დღესაც ინახება, შენობა კი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა და იქ გიმნაზია გახსნეს, გვიან საბჭოთა ხელისუფლების დროს ყოფილი სასულიერო სემინარიის ბენობაში მეეცხრე სავადმყოფო ფუნქციონირებდა.



დეკანოზი კორნელი კეკელიძე (1879-1962), შემდგომში აკადემიკოსი

თავდაპირველად თბილისის სასულიერო რუსული სემინარია ერთადერთი მაღალი საფეხურის სასულიერო სასწავლებელი იყო კავკასიაში, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებისათვის სასულიერო კადრებს ამზადებდა. მისი დაფინანსება ნაწილობრივ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ხდებოდა, დარჩენილი ნაწილი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოების შემოსავლებიდან იფარებოდა. საქართველოს საეგზარქოსოსაგან განსხვავებით რუსეთის შიგა გუბერნიების თითოეულ ეპარქიას თავისი სემინარია ჰქონდა, რომლებიც მთლიანად სახელმწიფოს ხაზინიდან ფინანსდებოდა.

არათანაბარი იყო საქართველოს მასშტაბით სასულიერო სასწავლებლის რაოდენობა. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით მათი რაოდენობა დასავლეთ საქართველოში შედარებით მცირე იყო.

1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა ეკლესია-მონასტრებთან არსებულმა სკოლებმა. ახალმა მმართველობამ XIX საუკუნის 20-იან წლებიდან დაიწყო ახალი ტიპის სასულიერო სასწავლებლების გახსნა. 1822 წელს ეგზარქოს იონა ვასილევსკის (1821-1832) ინიციატივით ქუთაისში დაარსდა სამაზრო სასულიერო სასწავლებელი. ამ სასწავლებელთან არსებობდა რაჭის განყოფილება, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მართავდა. ასეთივე ტიპის სასწავლებელი 1843 წელს სამეგრელოში გაიხსნა, ხოლო

1850 წელს ოზურგეთში.[893] გარდა ამის, XIX საუკუნის სამეგრელოში 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან აღსდგა სამრევლო სკოლები: გელათის, კაცხის, ხონის, ვანის, ჯრუჭის და სხვა, სადაც ყოველგვარი გასამჯელოს გარეშე სასულიერო პირები ბავშვებს აძლევდნენ პირველდაწყებით განათლებას. მათი რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. 1860 წლისათვის იმერეთსა და გურია-სამეგრელოს ეპარიებში 25 საეკლესიო-სამრევლო სკოლა არსებობდა.[894] რაც შეეხება სოხუმის ეპარქიას, აქ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საერთოდ არ არსებობდა სამაზრო სასულიერო სასწავლებელი. XIX საუკუნის შუა ხანებში ადგილობრივი ქართველი სამღვდელოების ინიციატივით, სამურზაყანოსა და სოხუმის მიდამოებში რამდენიმე სამრევლო სკოლა ფუნქციონირებდა. მოგვიანებით, XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ახლადაგებულ ახალი ათონისა და დრანდის რუსულ მონასტრებში გახსნა სასულიერო სასწავლებელი, სადაც მხოლოდ აფხაზ ბავშვებს აძლევდნენ რუსულ განათლებას.

დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებლები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა იქ არსებული სამი ეპარქიის მოთხოვნას, თანაც ისინი დაბალი საფეხურის სკოლები იყო. სამაზრო სასწავლებელი იყო ერთკლასიანი, ორი წლის კურსით და ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. რუსეთში არსებული სასწავლო დებულებით, მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ტერიტორიული სიშორისა და სიღარიბის გამო დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების დიდი ნაწილი თავიანთ შვილებს ვერ აგზავნიდა თბილისში განათლების მისაღებად. აღნიშნული მიზეზების გამო თბილისის სასულიერო სემინარია ვერ უზრუნველყოფდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებს სასულიერო კადრებით. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჯერ კიდევ, XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა სურვილი, რომ დასავლეთ საქართველოს ცენტრში, ქალაქ ქუთაისში სასულიერო კადრების მომზადების მიზნით გახსნილიყო სემინარია, ან რიტორიკული სკოლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 1830 წლის დასაწყისში მაშინდელმა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ ვრცელი წერილი გაუგზავნა ეგზარქოს იონას. მართალია ეგზარქოსი გულისყურით მოეკიდა მათ თხოვნას, სათანადო შუამდგომლობაც გაგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდში, მაგრამ იმ დროისათვის რუსეთის უზენასმა სასულიერო უწყებამ სახსრებისა და კადრების უქონლობის მომიზეზებით არ დააკმაყოფილა მათი სურვილი.[895]

---

893 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102.

894 ი. ბასილაძე, საულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, სადისერტაციო ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1993, გვ. 157, დისერტაცია ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; შდრ. ი. ბასილაძე, ქ. ძოწენიძე, ს. კუპრეიშვილი, სასულიერო აზროვნება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006, გვ. 71.

895 ი. ბასილაძე, საულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, სადისერტაციო

XIX საუკუნის 60-იან წლების მეორე ნახევარიდან დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ იმერეთის ეპარქიის მაშინდელი მმართველის, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ხელმძღვანელობით აქტიური ბრძოლა დაიწყო ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნისათვის. გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნა უპირველეს ამოცანად მიაჩნდა, რადგან „დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების სიღარიბე იმდენად დიდია, რომ იმ მოწაფეებს, რომლებიც ათავებენ სემინარიის კურსს ძლივის ერთი მესამედი მიდის ტფილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაწილიც კი ვერ ამთავრებს თავის განათლებას. ჰავა აღმოსავლეთ საქართველოში კონტინენტური, მშრალია და გამანადგურებელ გავლენას ახდენს დასავლეთის ყმაწვილების ორგანიზმზე, რადგან ისინი მიჩვეული არიან ზღვის ნესტიან ჰავას, რის გამოც ხშირად ხდებიან ავად და ზოგი კიდეც კვდება. სმა-ჭამა, ყოფა-ცხოვრება საქართველოს ამ ორ ნაწილში იმდენად სხვადასხვაობს, რომ დასავლეთ საქართველოს ყმაწვილებს ძლიერ უჭირთ ცხოვრება ამ შეუფერებელ პირობებში."[89] შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ეპისკოპოსი გაბრიელი ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაში ხედავდა. ამ მიზნით, მან 1867 წელს ვრცელი მოხსენებით მიმართა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს, რომელსაც ზემოაღნიშნულის გარდა აცნობა, რომ დასავლეთ საქართველოში არსებულ იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიებში ამჟამად არის 850 სამრევლო 1200 სასულიერო პირით, სამღვდელოების შვილები განათლებას ღებულობდნენ ქუთაისის, სამეგრელოს და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლებში, მაგრამ მხოლოდ 10-12 ყმაწვილი თუ აგრძელებდა სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიაში ადგილობრივი სამღვდელოების სიღარიბისა და შეუფერებელი კლიმატური პირობების გამო. ეპისკოპოს გაბრიელის დასკვნით გაუნათლებლობის გამო „აქაური სამღვდელოება უვიცია, ხალხი კი, რომელსაც ის უძღვის წინ იხრჩობა ცრუმორწმუნოებაში და ძლიერ დაშორებულია ქრისტიანულ სულს." მისივე აზრით, „მხოლოდ საფუძვლიან განათლებას შეუძლია სამღვდელოებისა და ხალხის აღდგენა." იგი მიმართავს ობე-პროკურორს და სთხოვს იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ სახელმწიფოს ხაზინიდან გამოიყოს შესაბამისი თანხა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნისათვის. მართალია, რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი გულისყურით მოეკიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თხოვნას,

---

ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1993, გვ. 128, დისერტაცია ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; შდრ. ი. ბასილაძე, ქ. ძოწენიძე, ს. კუპრეიშვილი, სასულიერო აზროვნება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006, გვ. 89); შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present, Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894-1904, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009, გვ. 81; შდრ. Э. Бубулашвили, Кутаисская Духовная Семинария,Православная энциклопедия, XXXIX, Москва, 2015, с. 482-489.

89 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 18.

მაგრამ 1867 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სახსრების უქონლობის გამო უარი განაცხადა ახალი სასწავლებლის გახსნაზე.[897]

უარყოფითი პასუხის მიუხედავად გაბრიელ ეპისკოპოსი კვლავ აგრძელებდა ბრძოლას დასახული მიზნის მისაღწევად. ამ ეტაპზე იგი მხოლოდ მარტოდ ცდილობდა საქმის მოგვარებას. მას გართულებული ურთიერთობა ჰქონდა ეგზარქოს ევსევი ილინსკისთან (1858-1877), რაც ართულებდა აღნიშნული საკითხის მოგვარებას. ამიტომ მისი გვერდის ავლით აგზავნიდა მიმართვებს სხვადასხვა სასულიერო უწყებაში. 1871 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა ოფიციალურად მიმართა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" წევრს, პოლკოვნიკ ფილოსოფოვს. ეს უკანასკნელი დაახლოებული იყო სამეფო კართან. ეპისკოპოს გაბრიელს იმედი ჰქონდა, რომ პირადი ურთიერთობებით შეაძლებელი იქნებოდა აღსრულებულიყო იმერეთის სამღვდელოების სურვილი. მანვე, ამავე წელს, იგივე თხოვნა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს და თან მოახსენა, რომ თბილისის სასულიერო სემინარია ვერ უზრუნველყოფდა დასავლეთ საქართველოს სასულიერო კადრებით, რადგან მათი კურსდამთავრებულები უარს აცხადებდნენ ემსახურათ აფხაზეთში, სამურზაყანოში, სვანეთში და სამეგრელოში. იგი მეფისნაცვალს აგრეთვე აცნობებდა, რომ დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში შემთხვევითი პიროვნებები მუშაობდნენ პედაგოგებად, რომლებიც ნორმალურად ვერ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს, რაც მოსწავლეთა და მშობელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ეპისკოპოსი გაბრიელი მოახსენებდა მეფისნაცვალს, რომ თუკი ქუთაისში სასულიერო სემინარია დაფუძნდებოდა, მაშინ აღნიშნული პრობლემა ადვილად მოგვარდებოდა. იგი მეფისნაცვალს სთხოვდა, რომ მისი შუამდგომლობით ხაზინიდან სემინარიის დასაარსებლად გამოყოფილიყო გარკვეული თანხა. თანხის დანარჩენი ნაწილი კი ადგილობრივი სამღვდელოების შემოსავლებიდან დაიფარებოდა.[898]

მართალია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში განიხილეს ეპისკოპოს გაბრიელის მიმართვა, მაგრამ მეფისნაცვალმა ბიუროკრატიული ბარიერების დაცვის მოტივით საეჭვოდ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტად მიემართათ ეგზარქოს ევსევისა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ვლადიმერ ლევაშოვისათვის. ეპისკოპოს გაბრიელისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ საკითხის განხილვა დაბალი ინსტანციებიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მისთვის ისიც იყო ნათელი, რომ ეგზარქოს ევსევისთან გართულებული პირადი ურთიერთობა მის წამოწყებას ხელს შეუშლიდა. მისი იმედები მართლაც გამართლდა. ეგზარქოსი ევსევი, რომელიც რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრი იყო, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გაბრიელ ეპისკოპოსის ინიციატივის წინააღდეგ გამოვიდა. იგი რუსეთის უწმინდესი

897 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 18.

898 ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894-1904, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009, გვ. 83; შდრ. Э. Бубулашвили, Кутайсская Духовная Семинария,Православная энциклопедия,Т. XXXIX, Москва, 2015, с. 482-489.

სინოდის წევრებს არწმუნებდა, რომ „აუცილებელი არაა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნა, რომ გაბრიელს უნდა საკუთარი სემინარია ეგზარქოსის ჯიბრზე, რომ მას გაუტოლდეს."[899]

ეგზარქოსის ასეთი განწყობის მიუხედავად, ეპისკოპოსმა გაბრიელმა ბიუროკრატიული ეტიკეტის დაცვის მოტივით და ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის მოთხოვნით, 1871 წლის ზაფხულში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ვლადიმერ ლევაშოვს და ეგზარქოს ევსევის გაუგზავნა მიმართვები, რომელსაც დაურთო მეფისნაცვლისადმი წარგზავნილი მოთხოვნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეპისკოპოსმა გაბრიელმა წინასწარვე იცოდა საქართველოს ეგზარქოსის განწყობა. ამიტომ სასულიერო სემინარიის გახსნის საქმეში აქტიურად ჩართო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება. ამ მიზნით, იგი 1871 წლის სექტემბერში ქუთაისში გამართულ იმერეთის სამღვდელოების კრებაზე სიტყვით გამოვიდა. მან კრების მონაწილეებს მიმართა: „მე თქვენ არასოდეს შემიწუხებიხართ, არაფერი არ მითხოვია თქვენთვის ჯერ და ახლა მიყავით ხათრი და ამისრულეთ ეს ერთ თხოვნა, ნუ გამაწბილებთ, ეს საზოგადო, სასარგებლო საქმეა ყველასათვის, პირველ თქვენთვის, თქვენი შვილებისათვის, მაგრამ მივიღებ ისე ვითომ პირადად ჩემთვის მოგეცეთ შემწეობა, ჩემთვის გექნათ დიდი სიკეთე, რომელსაც მე დიდად დავაფასებ და არასოდეს არ დავივიწყებ. ამით თქვენ დიდ სახსოვარს დაუტოვებთ შთამომავლობას."[900]

გაბრიელ ეპისკოპოსი სამღვდელოებისაგან მატერიალური შემწეობის გაღებას ითხოვდა. მანვე კრებას მოახსენა, რომ ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაფუძნებისათვის 1000 მანეთს სწირავდა, ყოველწლიურად კი გაიღებდა 100 მანეთს. ეპისკოპოს გაბრიელის სიტყვამ კრების მონაწილეებზე დიდი გავლენა მოახდინა. კრებამ დაადგინა, რომ ყოველწლიურად ქუთაისის სემინარიის დაარსებისათვის იმერეთის სამღვდელოების სახელით გაღებული იქნებოდა 13 ათასი მანეთი. სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებით 1872 წელს ბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში. პირველი თანხა, 1000 მანეთი ეპისკოპოსმა გაბრიელმა შეიტანა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთის სამღვდელოების კრების გადაწყვეტილება აცნობა გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა მმართველებს და სთხოვა, მათაც გარკვეული წყლილი შეეტანათ ამ საშვილიშვილო საქმის წამოწყებაში. სამეგრელოს სასულიერო პირებმა მხარი დაუჭირეს იმერეთის ეპარქიის მმართველის წინადადებას და ადგილობრივი სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებით სასულიერო სემინარიის დაარსებისათვის ყოველწლიურად 2000 მანეთს გაიღებდნენ. მართალია გურიის ეპისკოპოსი გაბრიელ ტუსკია დიდი მონდომებით მოეკიდა აღნიშნულ საკითხს, მაგრამ სამღვდელოების

899 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 23.

900 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 23.

კრების მოწვევა ვერ შეძლეს, თუმცა გურიის ეპარქიის სასულიერო პირებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ სასულიერო სემინარიის ფონდში გარკვეულ თანხას შეიტანდნენ.

ეპისკოპოს გაბრიელის აქტიურობის შედეგად ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ საზოგადოებრივი აზრი თანდათან ჩამოყალიბდა. აღნიშნულ საკითხზე ქართულ პრესაში უკვე ჩნდება პირველი პუბლიკაციები. 1874 წელს გაზეთ „დროების" კორესპოდენტი აღნიშნავდა: „სემინარია ამჟამად ბევრად უფრო სანატრელი და სასურველია ქართველებისათვის, ვიდრე სხვა სასწავლებელიო."[901]

ეპისკოპოსი გაბრიელი სხვა გზითაც ცდილობდა ფულადი თანხების მოძიებას. მან საქართველოს საეგზარქოსოს გვერდის ავლით რუსეთის უწმინდესი სინოდის სამეურნეო განყოფილების დირექტორს ლავროვს სთხოვა, რომ იმერეთის ეპარქია გათავისუფლებულიყო თბილისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ გამოყოფილი გადასახადისაგან, რომელიც წლიურად დაახლოებით 2310 მანეთს შეადგენდა. იგი მოითხოვდა, რომ აღნიშნული თანხა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებას მოხმარებოდა.

ეპისკოპოს გაბრიელის მოთხოვნის საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოვლინებულმა რევიზორებმა ს. კერსკიმ და ვ. ზინჩეკომ, უმაღლეს სასულიერო უწყებას წარუდგინეს ვრცელი მოხსენება, რომელიც ძირითადად ეგზარქოს ევსევის მითითებით იყო შედგენილი. როგორც აღინიშნა ეგზარქოსი ევსევი სასტიკი წინააღმდეგი იყო ახალი სემინარიის დაარსებისა, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „მას არ უნდოდა ახალი ბუდის შექმნა ნაციონალური პოლიტიკის საწარმოებლად."[902] ყოველივე ამის გამო, 1874 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ისევ უფულობის მომიზეზებით უარი განაცხადა სასულიერო სემინარიის გახსნაზე. უეჭველია, რომ მან ასეთი გადაწყვეტილება ეგზარქოს ევსების მითითებით მიიღო. გარდა ამისა, რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან გამოგზავნილმა არქიტექტორმა დიდი თანხა, 150 400 მანეთი მოითხოვა სემინარიის ახალი შენობის ასაგებად. რა თქმა უნდა, არქიტექტორის მიერ მოთხოვნილი თანხა თითქმის ორჯერ აღემატებოდა ახალი შენობის ასაგებად საჭირო თანხას. გაბრიელ ეპისკოპოსმა რუსეთი უწმინდეს სინოდს აცნობა, რომ არქიტექტორის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად იყო გაზრდილი. მისივე მითითებით, იმერეთის ეპრქიის სამღვდელოებამ მიმართვა გაუგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მათ უკვე ახალი სემინარიის გახსნისათვის 30 000 მანეთი ჰქონდათ შეკრებილი და ფული შეგროვება შემდგომშიც გაგრძელდებოდა.[903]

მალე ვითარება შეიცვალა. ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის მოწინააღმდეგე მთავარეპისკოპოსი ევსევი რუსეთში გაიწვიეს. მის მაგივრად

---

901 გაზეთი „დროება," 1874, №138.

902 Топсmelis, (М. Келенджеридзе) Правда об автокефалии Грузинской Церкви, Кутаиси, 1905, стр. 34.

903 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 28.

ეგზარქოსად დაინიშნა იოანიკე რუდნევი (1877-1882). ეპისკოპოსი გაბრიელი კვლავ აგრძელებდა თანხების მოძიებას. მისი მითითებით, 1879 წელს გამართულმა იმერეთის სამღვდელოების კრებამ რუსეთის უწმინდეს სინოდს მიმართა და სთხოვა სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო მამულების შემოსავლებიდან სახელმწიფოს ხაზინაში გადარიცხული ყოველწლიური თანხა 2000 მანეთი ხაზინიდან გამოყოფილი და მისი ნახევარი მომავალი ქუთაისის სასულიერო სემინარიის ფუნქციონირებას მოხმარებოდა.

ახალი ეგზარქოსი იოანიკე წინააღმდეგი არ იყო ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნისა, თუკი დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება საჭირო თანხებს გამონახავდა. ეგზარქოსის თანხმობის შემდეგ, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება გააქტიურდა საჭირო თანხების მოსაძიებლად. ამ მიზნით, 1881 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა იმერეთის სამღვდელოების ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსი. მან დამსწრე დეპუტატებს კიდევ ერთხელ შეახსენა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სასწავლებლის დაარსებას მათი შვილებისა და მოსახლეობისათვის.[904] სემინარიის ახალი შენობის ასაშენებლად და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო 333 000 მანეთი. კრებამ დაადგინა, რომ აღნიშნული თანხა დასავლეთ საქართველოს ეპარქიების შემოსავლებიდან უნდა შეგროვებულიყო. კრების გადაწყვეტილებით, ხელმოკლეობის მიუხედავად სამღვდელოება ექვსი წლის განმავლობაში წლიური ჯამაგირის ნახევარს გაიღებდა. ქუთაისის სასულიერო სემინარიას უნდა გადასცემოდა თანხის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ეპაქიებიდან ყოველწლიურად თბილისის სემინარიის სასარგებლოდ იგზავნებოდა. მასვე უნდა მოხმარებოდა აგრეთვე სანთლის ქარხნის შემოსავლებიც.[905] იმერეთის სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 1881 წლის 15 ოქტომბერს გამართულმა სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსი. მან დეპუტატებს ამცნო იმერეთის სამღვდელოების გადაწყვეტილება და სთხოვა შემწეობის აღმოჩენა სემინარიის გახსნაში. აღნიშნულის შესახებ გაზეთი „დროება" იუწყებოდა: „იგინი, როგორც იმერეთის სამღვდელოება თანახმანი არიან შესწირონ სასარგებლოდ სასულიერო სემინარიისა ქუთაისისა, სანამ შეივსებოდეს თავი ფული 333 ათასი მანეთი, ყოველწლივ თავიანთი ჯამაგირის ნახევარი."[906]

მართალია წინამორბედ ეგზარქოსისაგან განსხვავებით იოანიკე თანაგრძნობით ეკიდებოდა ახალი სასწავლებლის დაარსებას, მაგრამ 1883 წლის 21 დეკემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ისევ ფინანსების არ ქონის გამო უარი განაცხადა ქუთაისის სემინარიის გახსნაზე.[907] უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ეპისკოპოსმა გაბრიელმა დროებით თავი შეიკავა მიმართვე-

904 გაზეთი „დროება," 1881, №181.

905 გაზეთ „დროება," 1881, №182.

906 გაზეთ „დროება," 1881, №182.

907 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 28.

ბის გაგზავნაზე სხვადასხვა ინსტანციებში. იგი იმედოვნებდა, რომ ქართველი სამღვდელოება სემინარიის გახსნისათვის საჭირო თანხას შეგროვებდა. ლოდინმა კარგა ხანს გასტანა. ქუთაისის სასულიერო სემინარიის ფონდში უმნიშვნელო თანხა გროვდებოდა. სიღარიბეში მყოფ სამღვდელოებას დიდი თანხის გაღება არ შეეძლო.

1885 წლის 3 აპრილს ქუთაისში გამართულმა სამღვდელოების 22-ე ყრილობამ დაადგინა: „ეთხოვოს ყოვლადსამღვდელო გაბრიელს, რომ შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ."[908] ეპისკოპოსმა გაბრიელმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

1894 წლის დასაწყისში ეგზარქოს ვლადიმირ ბოგოიავლენსკის (1892-1898) დროს ქართველმა სამღვდელოებამ კვლავ განაახლა მოთხოვნა. ეგზარქოსი ვლადიმირი, რომელიც მათ მოთხოვნას მხარს უჭერდა, რუსეთის უწმინდეს სინოდს ატყობინებდა „ეპისკოპოსი გაბრიელი ქ. ქუთაისში ითხოვს სასულიერო სემინარიის დაარსებას, რადგან ტფილისის სემინარია დასავლეთ საქართველოსათვის გამოუსადეგარია ცუდი ჰავის გამო და არც ჰყოფნის ერთი სემინარია მთელ საქართველოს."[909]

ამჯერად რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა დააკმაყოფილა და 1894 წლის 31 იანვარის განკარგულებით მიზანშეწონილად სცნო ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნა და ობერ-პროკურორის მიერ მოზადებული დოკუმენტი წარედგინა იმპერატორს დასამტკიცებლად. რუსეთის უწმინდესი სინოდი კვლავ ფინანსიური კრიზისის წინაშე იდგა, მაგრამ ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაფუძნებას, როგორც მელიტონ კელენჯერიძე მიუთითებდა, ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ 1893 წლის დეკემბერში თბილისის სასულიერო სემინარია მოსწავლეთა არეულობის გამო ხელისუფლებამ დროებით დახურა.[910] რუსეთის ხელისუფლება მოელოდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის დახურვა სამღვდელოებისა და ქართველი საზოგადოების დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა. აღნიშნულმა ფაქტმა დადებითად იმოქმედა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაზე და ამჯერად უზენაესმა სასულიერო უწყებამ ფინანსიური კრიზისი ვერ გამოიყენა უარის სათქმელად.[911]

---

908 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 31.

909 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 31.

910 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 31.

911 ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894-1904, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009, გვ. 86-87; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present, Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170; შდრ. Э. Бубулашвили, Кутайсская Духовная Семинария,Православная энциклопедия, XXXIX, Москва, 2015, с. 482-489.

ჯერ კიდევ აღნიშნული გადაწყვეტილება იმპერატორის მიერ არ იყო დამტკიცებული, რომ ეპისკოპოსმა გაბრიელმა რუსეთის უწმინდეს სინოდს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმის შესახებ. საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად, იგი მოითხოვდა, ქართული საეკლესიო გალობის, მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლებას. მისი აზრით, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში არ უნდა ყოფილიყო ლათინური ენის სწავლება. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ეპისკოპოს გაბრიელის ზოგიერთი მოსაზრებანი მართლა „პატივიცემის ღირსად" (заслуживающим уважением) მიიჩნია, მაგრამ ლათინური ენის შესახებ მისი მოსაზრებანი არ გაიზიარა და ეს საგანი სწავლების პირველ წელს სავალდებულო საგნად შემოიღეს.

1894 წლის 19 ივნის რუსეთის უწმინდესი სინოდის მოხსენების საფუძველზე იმპერატორმა გამოსცა 8 პუნქტისაგან შემდგარი დადგენილება ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო: 1) დაარსდეს ქუთაისში 6 კლასიანი სემინარია; 2) სემინარიის ოლქი განისაზღვროს 3 სასულიერო სასწავლებლიდან (ქუთაისის, სამეგრელოსა და გურიის); 3) სემინარია გაიხსნას მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან; 4) პირველად გაიხსნას მარტოდ პირველი კლასი; 5) სემინარიის თითოეული კლასი უნდა შეიცავდეს არაუმეტეს 40 მოწაფეს, რომელთაგან ნახევარი სარგებლობს სტიპენდიებით იმერეთის, სამეგრელოს და ოზურგეთის საეკლესიო-სახაზინო ხარჯზე თანაბრად; 6) სასწავლო საგნების კურსში მოხდეს შემდეგი ცვლილებანი: საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია სრულიად გამოირიცხოს კურსიდან, როგორც ცალკე დისციპლინა და შეუერთდეს ზოგად საეკლესიო ისტორიას და დაევალოს მასწავლებელს, რომ როცა განხილულ იქნება ეკლესიის ისტორიის საკითხები, მან ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს ეკლესიის საკითხებსაც; 7) ლათინური ენა იქნეს სავალდებულოდ, მაგრამ მომავალი სასწავლო წლიდან დასავლეთ საქართველოს ყველა სასწავლებელში შემოღებულ იქნას ლათინურის ნაცვლად ბერძნული, რომელიც უფრო საჭიროა მართლმადიდებელი მღვდლებისათვის; 8) სემინარიის გახსნა მიენდოს ეგზარქოს და გაბრიელ ეპისკოპოსს. მათ უნდა გამონახონ საჭირო თანხა, როგორც შენობის ასაგებად, ისე მის შესანახად. შენობაში უნდა განთავსდეს პანსიონი 240 მოსწავლისათვის."[912]

რუსეთის იმპერატორის მითითებით, რუსეთის უწმინდესი სინოდის სამეურნეო სამსახურს დაევალა საქართველოს საეგზარქოსასთვის გადაეცა 1000 მანეთი ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასისა და ბინის დასაქირავებლად, 500 მანეთი საკლასო, საბიბლიოთეკო მოწყობილობებისა და ავეჯის შესაძენად და 500 მანეთი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების საყიდლად, სულ 2000 მანეთი."[913]

912 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 32.

913 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ

რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა ნოვგოროდის სასულიერო სემინარიის პედაგოგი დიმიტრი სპეროვსკი.

ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაარსებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პერიოდულ პრესაში საინტერესო პუბლიკაციები გამოქვეყნდა. 1894 წლის აგვისტოდან აქტიური მზადება დაიწყო სემინარიის გახსნისათვის. ამავე თვის დასაწყისში რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გამოაქვეყნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასწავლო პროგრამა, რომელსაც საფუძვლად იმპერატორის გადაწყვეტილება დაედო. სასწავლო გეგმის მიხედვით სემინარიის პირველ კლასში ისწავლებოდა საღმრთო წერილი (კვირაში 4 გაკვეთილი), ლათინური ენა (4 გაკვეთილი), რუსული სიტყვიერება (5 გაკვეთილი), ქართული ენა (2 გაკვეთილი), სლავური გალობა (1 გაკვეთილი) და ქართული გალობა (1 გაკვეთილი).

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ისე როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში იდევნებოდა ეროვნული საგნების სწავლება. პროგრამიდან ამოიღეს ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია. საქართველოს ეკლესიის ისტორია ცალკე საგნად არ ისწავლებოდა. ზოგადი ეკლესიის კურსის სწავლების დროს მასწავლებელს თავის სურვილისამებრ უნდა აეხსნა საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან ცალკეული ეპიზოდები.[914]

სასწავლო პროგრამის მიხედვით, სწავლების შემდგომ წლებში უნდა ამოეღოთ ლათინური ენის სწავლება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ სამღვდელოების ერთი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოსი გაბრიელი წინააღმდეგი იყო ლათინური ენის სწავლების. მას მიაჩნდა, რომ ქართული ენის უცოდინარი ლათინური ენის პედაგოგები სრულყოფილ ცოდნას ვერ აძლევდნენ მოსწავლეებს, რაც ინვევდა სწავლისადმი ამ უკანასკნელთა გულგრილ დამოკიდებულებას. სამღვდელოების მეორე ნაწილს მიაჩნდა, რომ თუკი ლათინური ენის სწავლება ამოღებული იქნებოდა სასწავლო პროგრამიდან, მაშინ ქუთაისის სასულიერო სემინარიის კურდამთავრებულებს უფლება აღარ ექნებოდათ სწავლა გაეგრძელებინათ სასულიერო აკადემიაში ან რომელიმე საერო უნივერსიტეტში, რადგან აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ლათინური ენა

კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 32.

914 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 33; შდრ. ი. ბასილაძე, საულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, სადისერტაციო ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1993, გვ. 183, დისერტაცია ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; შდრ. ი. ბასილაძე, ქ. ძოწენიძე, ს. კუპრეიშვილი, სასულიერო აზროვნება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, ქუთაისი, 2006, გვ. 167.

ბარდებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალში „კვალი" გამოქვეყნდა ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის წერილი. პუბლიცისტი გულისწყრომას გამოთქვამდა სამღვდელოების იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც ლათინური ენის სწავლება მოითხოვდა. მისი აზრით, მათ უკმაყოფილება უნდა გამოეთქვათ იმის გამო, რომ სასწავლო პროგრამაში საერთოდ არ იყო შეტანილი ეროვნული საგნები, რომელიც მომავალი სასულიერო პირებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას შეუწყობდა ხელს. პუბლიცისტის შენიშვნით, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი „სემინარიის კურსდამთავრებული სამღვდელოება ქართველ მრევლს და ერს შესაფერ მოძღვრებას ვერ უწევენ. ქართულ ენაზე მათი განუვითარებლობით ერში და მრევლში ჭეშმარიტი ქრისტიანობა ეცემა, ქრისტეს სარწმუნოება მხოლოდ გარეგნობით იტაცებს ხალხის თვალს, ხოლო მის გულს არ ეკარება. მღვდელს, სოფლის მოძღვარს არა აქვს ქართულ ენაზე ისეთი სასულიერო განათლება მინიჭებული, რომ ძლიერი, გრძნობიერი სიტყვით გული გაუღოს ქართველ ქრისტიანს და შიგ ჩაუნერგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება."[915]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გიორგი წერეთელი მიუთითებს, რომ სამღვდელოებისა და საზოგადოების მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს არა ლათინური ენის სწავლება, არამედ სემინარიელები მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა ეუფლებოდნენ განათლებას. „ჩვენ დღეს საქრთველოში გვჭირდება – წერდა იგი – მხოლოდ ქართულ ღვთისმეტყველებაში და ფილოსოფიაში განსწავლული მოძღვარი ჩვენისა ძველის ქრისტიანობისა და საღვთო მწიგნობრობის აღსადგენად."[916]

მცირე ხნის განმავლობაში ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდნენ გერმანულ და ფრანგულ ენებს. შემდგომ მათი სწავლება სასწავლო პროცესიდან ამოიღეს. თბილისის სასულიერო სემინარიის მსგავსად აქაც იდევნებოდა ქართული ენა. გაბრიელ ეპისკოპოსის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შემოიღეს ქართული საეკლესიო გალობა, რომელსაც ასწავლიდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე რაჟდენ ხუნდაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სასულიერო სემინარიებში საერთოდ არ ისწავლებოდა ასკეტიკა, ფილოსოფია, პატრისტიკა, მაშინ როცა ჩამოთვლილი საგნების სწავლებას რუსეთის შიგა გუბერნიის ეპარქიის სემინარიებში დიდი ადგილი ეთმობოდა.[917]

ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის დაკომპლექტების მიზნით, 1894 წლის სექტემბრის დასაწყისში ჩატარდა მისაღები გამოცდები. კონკურსში მონაწილეობდა ქუთაისის, სამეგრელოს და გურიის სასულიერო

915 გ. ნერეთელი, საკვირველი განუჭვრეტელობა, ჟურნალი „კვალი," 1894, №35.

916 გ. წერეთელი, საკვირველი განუჭვრეტელობა, „კვალი," 1894, №35.

917 ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894-1904, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009, გვ. 89; შდრ. Э. Бубулашвили, Кутайсская Духовная Семинария, Православная энциклопедия, XXXIX, Москва, 2015, с. 482-489.

სასწავლებლის 74 კუსდამთავრებული. გამომცდელები იყვნენ თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგები: ივ. რუმიანცევი, ი. გოტინსკი და თ. ჟორდანია. საკონკურსო გამოცდა 40 შეგირდმა ჩააბარა, მაგრამ რუსეთის უწმინდესი სინოდის თანხმობით 10 მოსწავლე დაამატეს და პირველ კლასში 50 სემინარიელი მიიღეს. ჩარიცხულთა შორის იყო შემდგომში ცნობილი მოღვაწეები: ნოე რამიშვილი და კოტე ფოცხვერაშვილი და სხვები. აღსანიშნავია, რომ 1901 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარია დაამთავრა ცნობილმა ქართველმა კლასიკოსმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ.

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ახალი შენობის აგებამდე სასწავლებელი დაქირავებულ ბინაში უნდა განთავსებულიყო. ამ მიზნით, იქირავეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგის ესტატე ღამბაშიძის სახლი, წელიწადში 600 მანეთად. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემდეგ, 1899 წლიდან ქუთაისის სასულიერო სემინარია განთავსდა ორპირის ქუჩაზე მდებარე დარახველიძის ორსართულიან სახლში.[918]

ქუთაისის სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციულ თანამდეობაზე იყვნენ: რექტორი დიმიტრი სპეროვსკი, მასწავლებელი ა. როჟდესტვენსკი; იმერეთის ეპარქიის წარმომადგენლები: ქუთაისის ტაძრის დიაკონი იოსებ ჭეიშვილი და წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარი ნესტორ ყუბანეიშვილი.[919]

ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში საღმრთო რჯულს ასწავლიდა დიმიტრი სპეროვსკი, რუსულს – ი. გოტინსკი, ლათინურ ენას და სამოქალაქო ისტორიას – ა. როჟდესტვენსკი, ქართულ ენასა და ლიტერატურას – მელიტონ კელენჯერიძე, ერთხან ეს უკანასკნელი მათემატიკის მასწავლებელიც იყო, სლავურ გალობას ასწავლიდა კ. მაღრაძე, ხოლო ქართულ გალობას – რაჟდენ ხუნდაძე.



ქუთაისის სასულიერო სემინარია, 1903 წ.

ოფიციალურად ქუთაისის სასულიერო სემინარია გაიხსნა 1894 წლის 18 სექტემბერს. გაბრიელ ეპისკოპოსთან ერთად გახსნას ესწრებოდნენ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი. დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი გაბრიელი,

---

918 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 38.

919 ი. ბასილაძე, საულიერო განათლება მე-19 საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, სადისერტაციო ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1993, გვ. 188, დისერტაცია ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; შდრ. ი. ბასილაძე, ქ. ძოწენიძე, ს. კუპრეიშვილი, სასულიერო აზროვნება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში, უთაისი, 2006, გვ. 159.

ხოლო რექტორმა დიმიტრიმ წაიკითხა რუსეთის უწმინდესი სინოდის დადგენილება და სემინარისტებს მიმართა: „**откриваемая семинария, без семинария может оказать большие услуги и церкви и государству.**" ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოწვეული სტუმრებისათვის დარბაზობა გამართა. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაიწყო იმავე წლის 23 სექტემბერს.[920]

მძიმე იყო სემინარისტთა საყოფაცხოვრებო პირობები, ქუთაისის სასულიერო სემინარიას არ გააჩნდა პანსიონი, არ ჰქონდა საკუთარი სავადმყოფო. სემინარიის მოსწავლეები და პერსონალი ქალაქის ან ცნობილი ექიმის თოფურიას კლინიკით სარგებლობდნენ.

მკაცრად იყო განსაზღრული სემინარიაში მოსწავლეთა მიღების ასაკი. იგი აუცილებლად 13 წლისა უნდა ყოფილიყო. 13 წელს რამდენიმე თვით გადაცილებული მოსწავლის მიღების საკითხი საქართველოს ეგზარქოს უნდა გადაეწყვიტა ინდივინდუალური შემოწმების შემდეგ.[921]

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სასულიერო პირთა შვილებისათვის სწავლა უფასო იყო. არასასულიერო წრიდან გამოსული მოსწავლეები ყოველწლიურად მცირე გადასახადს იხდიდნენ. რუსეთის უწმინდესი სინოდის 1894 წლის 25 მაისის დადგენილებით სემინარიის 20 მოსწავლე სახელმწიფოსაგან იღებდა თვეში 12 მანეთს და 50 კაპიკს. სახელმწიფოს კმაყოფაზე აყვანილ მოსწავლეებს სემინარიამ დაუქირავა საცხოვრებელი ბინები, უფასო კვებით, საწოლითა და ტანსაცმლით. თუმცა, ხშირად უფულობის გამო ადმინისტრაცია აღნიშნული საკითხის მოგვარებას თავს ვერ ართმევდა, რაც მოსწავლეთა და მათი მშობლების უკმაყოფილებას იწვევდა.[922]

გამკაცრებული იყო სემინარიაში ცოდნის შეფასების კრიტერიუმიც. ყოველი მეოთხედის ბოლოს საგნის მასწავლებელი ატარებდა გამოცდას. დადებითი ნიშნის მიღების შემთხვევაში მოსწავლე დაიშვებოდა შემდეგ კლასში გადასაყვან გამოცდაზე, რომელიც ყველა საგანში ტარდებოდა საგამოცდო კომისიის წინაშე. წამყვან საგნებში კომისიის თავმჯდომარე იყო რექტორი, ხოლო დამხმარე დისციპლინების – ინსპექტორი ან მასწავლებელი. დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში მოსწავლე შემდეგ კლასში გადადიოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასწავლებლის ინსპექტორის მიერ ყოფაქცევაში დაწერილ ნიშანსაც. ჩატარებული გამოცდების მიხედვით, მოსწავლეებს ენიჭებოდათ თანრიგი. პირველთანრიგოსანი მოსწავლეების აკადემიური მოსწრება 4-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. პირველთანრიგოსან მოსწავლეებს სტუდენტის წოდება ენიჭებოდათ. მეორეთანრიგოსანი იყო მოსწავლე, რომელიც 3-ზე სწავლობდა. შესაძლებელია მას არამთავარ საგანში 2-იც ჰქონოდა, მაგრამ უნდა წარმოედგინა საგნის მასწავლებლის და-

920 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 39.

921 ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალების კრებული, XI, ქუთაისი, 1999, გვ. 125.

922 ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალების კრებული, XI, ქუთაისი, 1999, გვ. 127.

ხასიათება, რომ მას ეს ნიშანი სიზარმაცის გამო კი არ ჰქონდა, არამედ სხვა მიზეზით.[923] მესამეთანრიგოსანი მოსწავლე სასწავლებლიდან ირიცხებოდა. თანრიგის მიხედვით ხდებოდა აგრეთვე სასწავლებლის დამამთარებელი დოკუმენტის გაცემაც. პირველთანრიგოსნები იღებდნენ „ატესტატს," მეორე თანრიგოსნები – „მოწმობას."[924] თუ როგორი სიმკაცრით ტარდებოდა გამოცდები, ამაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკა. 10 წლის არსებობის მანძილზე (1894-1904 წწ.) ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა 1500 მოსწავლე, რომელთა დიდმა ნაწილმა სხვადასხვა მიზეზით სწავლას თავი დაანება. ათი წლის მანძილზე ქუთაისის სასულიერო სემინარია დაამთავრა 116-მა მოსწავლემ. აქედან მხოლოდ 73-მა თანრიგის მიხედვით „ატესტატი"მიიღო. დანარჩენმა კი – „მოწმობა."[925]

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ქართველებთან ერთად სწავლობდნენ რუსები, უკრაინელები, ასირიელები, ოსები და სხვა. სამღვდელოების გარდა აქ აზნაურთა და გლეხთა შვილებიც ღებულობდნენ განათლებას.

რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო. სემინარიის ახალი შენობის ასაგებად და სასწავლო პროცესის ნორმალური ფუნქციონერებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი თანხების მოძიება. მართალია, სემინარიის დაარსებამდე იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ არაერთი დადგენილება გამოიტანა სახსრების მოძიების შესახებ, მაგრამ სასულიერო პირთა სიღარიბის გამო საჭირო თანხა ვერ შეგროვდა. ფულადი თანხების მოძიებს მიზნით, ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1894 წლის 23 ნოემბერს ქუთაისში მოიწვია სამღვდელოების კრება. კრებას ესწრებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი. შეკრებას მოწვევის მიუხედავად არ დასწრებია სოხუმის ეპარქიის მმართველი არსენ იზოტოვი. კრების გადაწყვეტილებით ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ თითოეულ ეკლესიას უნდა გაეღო თითო თუმანი, ხოლო შემოსავლიან ეკლესიებს წლიურად – 840 მანეთი. გარდა ამისა, ქუთაისის სასულიერო სემინარიას უნდა გადასცემოდა ის თანხა, რომელიც დაუხარჯავი დარჩა თბილისის სასულიერო სემინარიის დროებითი დახურვის დროს. კრებამ მოითხოვა სემინარიის გამგებლობაში გადასულიყო ხაზინაში სასულიერო განათლებისათვის არსებული 1200 მანეთი. ამასთან იმერეთის სანთლის ქარხნის შემოსავალი მთლიანად სემინარიას უნდა მოხმარებოდა.[926] იმერეთის სამღვდელოების მსგავსად, 1895 წლის 30 ივნისს გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ

---

923 ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალების კრებული, XI, ქუთაისი, 1999, გვ. 125.

924 ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალების კრებული, XI, ქუთაისი, 1999, გვ. 125.

925 ლ. გაბუნია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან, ქუთაისის მუზეუმის მასალების კრებული, XI, ქუთაისი, 1999, გვ. 125.

926 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 44.

დაადგინა, რომ 15000 მანეთს გაიღებდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ. ეპისკოპოს გაბრიელის პასუხად სოხუმის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა არსენ იზოტოვმა 1895 წლის 19 ივლისს ჩატარებული კრების დადგენილებით 1000 მანეთი გაიღო სემინარიისათვის. გადაწყდა, რომ აფხაზეთის სამღვდელოება მომავალშიც გაგრძელებდა მატერიალურ დახმარებას. 1897 წელს ეპისკოპოსი არსენ იზოტოვი ქუთაისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას პირდებოდა, რომ სოხუმის სამღვდელოება, სიღარიბის მიუხედავად, ჯამაგირიდან 1/2 %-ს შესწირავდა სემინარიას. ამის გარდა, ოჩამჩირისა და სოხუმის საკათედრო ტაძარი ყოველწლიურად 500 მანეთს გაიღებდა სემინარიის სასარგებლოდ.[927] სოხუმის ეპარქიის მმართველის დაპირება დაპირებად დარჩა. მას ქუთაისის სასულიერო სემინარიის ფონდში ერთი კაპიკიც არ შეუტანია.

1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ შეჩერდა ახლადგახსნილი სემინარიისათვის თანხების მოძიება, რის გამოც ქუთაისის სასულიერო სემინარია ისევ რუსეთის უწმინდესი სინოდის მწირი თანხებით ფინანსდებოდა. ეს თანხები მხოლოდ სასწავლო პროცესის წარმართვას ხმარდებოდა. სემინარიის ახალი შენობის ასაგებად კი სახელმწიფო არ აპირებდა საჭირო თანხის გამოყოფას.

თანხების მოძიების პარალელურად მიმდინარეობდა სემინარიის ახალი შენობის ასაგებად ადგილის შერჩევაც. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ეპისკოპოს გაბრიელის სურვილი იყო სემინარია თავის სახლთან ახლოს, „არქიერის გორაზე" ე.წ. „ნაციხვარში" აგებულიყო. შერჩეული ადგილი მოიწონა ეგზარქოსმა ვლადიმირმა და რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა საბლერმა. შენობის ასაგებად გამოყოფილ ტერიტორიაზე სიძველისაგან განადგურების პირას მისული ციხე მდებარეობდა. ახალი შენობის აგება კი მისი კვალის წაშლას გამოიწვევდა. აღნიშნავია, რომ აკაკი წერეთელი წინააღმდეგი იყო ნაციხვარის ტერიტორიაზე სემინარიის აშენების, რადგან იგი გამოიწვევდა ამ ადგილზე შემორჩენილი ძველი ციხის განადგურებას. ეს კი, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა 1889 წელს გამოცემულ უმაღლეს ბრძანებას ძველი ისტორიული ნაშთების შენარჩუნების შესახებ. სამაგიეროდ იგი მოითხოვდა იქვე, ბაგრატის ტაძრის ახლოს მდებარე ღოღობერიძის მამულის შეძენას. აკაკი წერეთელს სჯეროდა, რომ „თვით ადმინისტრაციისა და სასულიერო მთავრობის მოვალეობაა, დაიფარონ ეს ნანგრევები კაცის ხელისაგან. ჩვენ გვჯერა, რომ ყოვლად სამღვდელომ არ იცოდეს ამ უმაღლესი ბრძანების მნიშვნელობა."[928] არქიტექტორის მიერ შედგა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 157 ათას მანეთს შეადგენდა. გაზრდილი ხარჯისა და „ნაციხვარში" შემორჩენილი ციხის ნაშთის წაშლის გამო საჭირო გახდა სხვა ადგილის მონახვა. ეპისკოპოს გაბრიელის

927 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 46.

928 აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა, თბ., 2010, გვ. 176.

გადაცვალების შემდეგ, 1896 წლის მეორე ნახევარში რუსეთის უწმინდესი სინოდიდან სპეციალური კომისია ჩამოვიდა პროვედნიკოვის ხელმძღვანელობით. მეგზურობას უწევდა ახლადდანიშნული იმერეთის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი, სემინარიის გამგეობის წევრები და ადგილობრივი არქიტექტორი. მათ დაათვალიერეს სემინარიის ასაშენებლად განკუთვნილი სავარაუდო ადგილები: „ნაციხვარი," ღოლობერიძის ნასახლარი, კ. მარჯანიშვილის ეზო და ვიტუშინსკის კუთვნილი კარმიდამო. კომისიამ ეს უკანასკნელი მოიწონა. რუსეთის უწმინდესი სინოდის 1899 წლის გადაწყვეტილებით უნდა შეესყიდათ ვიტუშინსკის კარმიდამო, ერთი საჟენი ერთ მანეთად 85 კაპიკად, მაგრამ თანხის უქონლობის გამო იმხანად ვერ მოხერხდა აღნიშნული ტერიტორიის შეძენა. 1904 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდემ საქართველოს საეგზარქოსოს დახმარებით შეიძინა ვიტუშინსკის კარმიდამო, შემოღობეს კიდეც, მშენებლობის დაწყებაც განზრახული იყო, მაგრამ ქუთაისის სასულიერო სემინარიის დახურვის გამო მშენებლობა არ დაწყებულა.[929]

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სასწავლო პროცესს წარმართავდა პედაგოგიური საბჭო, რომელშიც მასწავლებლებთან ერთადCშედიოდა სასწავლებლის ადმინისტრაცია. პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარეობდა რექტორი. თავდაპირველად სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობა რექტორს ჰქონდა შეთავსებული. 1895 წლიდან იგი ცალკე საშტატო ერთეულად გამოყვეს. ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მღვდელ-მონაზვნები: ბენიამინ ბარსუკოვი (1895-1897, დიმიტრი აბაშიძე (1897-1898), სტეფანე არხანგელსკი (1898-1900), ნიკანდრ ფენომენოვი (1900-1901). სასწავლებელში აგრეთვე არსებობდა ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობა.

თბილისის სასულიერო სემინარიის მსგავსად, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორებად რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი რუსი ეროვნების სამღვდელოება ინიშნებოდა. პირველი რექტორი იყო ნოვგოროდის სასულიერო სემინარიის პედაგოგი დიმიტრი სპეროვსკი. თანამედროვეობის დახასიათებით, დიმიტრი იყო ტიპიური რუსი მოხელე, მაგრამ დიდად ზრუნავდა სემინარიისათვის. „იგი იყო პიროვნება უბრალო და მიმზიდველი." მღვდელ-მონაზონი დიმიტრი ერთდროულად იყო რექტორიც, ინსპექტორიც და ზედამხედველიც. 1897 წელს იგი ისევ ნოვგოროდში გადაიყვანეს.[930] მის მაგივრად 1897 წლის 31 ივნისს ქუთაისის სემინარიის რექტორად დაინიშნა ბერ-მონაზონი ბენიამინ ბარსუკოვი, რომლის დროს სემინარიაში მოსწავლეთა შორის დაბეზღებამ და დასმენებმა კულმინაციას მიაღწია. მისი რექტორობის დროს, 1898 წლის პირველი სექტემბრიდან მეხუთე კლასის

929 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 51.

930 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 48.

ბაზაზე სანიმუშო კლასი ჩამოყალიბდა, სადაც შემოიღეს პედაგოგიკის სწავლება. ახალი ტიპის სკოლის საქმიანობას დიდი ამაგი დასდო ეპარქიის სკოლების მეთვალყურემ მელიტონ კელენჯერიძემ. სკოლის მასწავლებლად მიიწვიეს არჩილ გიორგაძე, საღმრთო რჯულს ასწავლიდა ო. ბაკურაძე, პედაგოგიკას – კასაბიევი.[931] ბენიამინი დიდად ზრუნავდა სანიმუშო სკოლის პირობების გაუმჯობესებისათვს. იგი 1902 წლის 16 მარტს გადაყვანეს გორის ვიკარ-ეპისკოპოსად. მის მაგივრად კი მესამე და უკანასკნელ რექტორად დაინიშნა სილიბისტრო ბრატინსკი, რომელიც ერთხანს ჯერ სასულიერო სასაწავლებლის ზედამხედველი იყო, ხოლო 1902 წლის 24 იანვრიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიის ზედამხედველად დაინიშნა, ბენიამინის გათავისუფების შემდეგ კი მის ადგილს იკავებს. თანამედროვეების დახასიათებით, რექტორი სილიბისტრო იყო „ბიუროკრატი, რუსოფილი და შოვინისტი, აგენტი ვოსტორგოვისა და ეგზარქოსებისა."[932]

რექტორმა სილიბისტრო ბრატინსკიმ თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. იგი გადაჭარბებული სიმკაცრით ექცეოდა სემინარისტებს. მისი რექტორობის დროს „ურჩ" სტუდენტებს კარცერში ათავსებდნენ, სტიპენდიებს უხსნიდნენ. რექტორმა სილიბისტრომ სტუდენტებს აუკრძალა თეატრში სიარული და საერო ლიტერატურის კითხვა. მის მიერ სემინარიაში დანერგილი მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა სემინარისტებმა. განსაკუთრებით აქტიურობდა სემინარიის დამამთავრებელი მეექვსე კლასი. ისინი 1902 წლის სექტემბრიდან უკვე აღარ ემორჩილებოდნენ სასწავლებლის ადმინისტრაციას და ხშირად არღვევდნენ დღის რეჟიმს, რის გამოც პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მეექვსე კლასის მოსწავლეები სემინარიიდან გარიცხეს. მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად სემინარისტთა ამბოხება არ შეწყვეტილა. იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში სემინარიის ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოსვლები მასიურ სახეს ღებულობს. აქტივისტების მიერ სემინარიაში გავრცელდა პროკლამაციები მოწოდებით: „ჩვენ უნდა ძალით მოვიპოვოთ ის, რასაც გვართმევს სემინარია, „нельзя жить в такой атмосфере."[933]

ეგზარქოსის, პოლიცმეისტრისა და ჟანდარმერიის ჩარევის შემდეგ გამოავლინეს აქტივისტი სტუდენტები, რომლებიც სასწავლებლიდან დაითხოვეს, მაგრამ დაწყებული პროცესი არ შეჩერებულა. ქუთაისის სემინარიელთა ერთი ნაწილი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაერთო. სემინარიის პედაგოგის მელიტონ კელენჯერიძის ცნობით, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში არსებობდა ფარული წრე, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქუთაისში მიხა ცხაკაიას

931 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 52.

932 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 53.

933 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 88.

ხელმძღვანელობით დაარსებულ „სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტთან."[934] სემინარიის ერთი ნაწილი კომიტეტთან აქტიურად თანამშრომლობდა. ისინი ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციებს ფარულად ავრცელებდნენ სემინარიაში. 1904 წლის თებერვალში იაპონიასთან ომის საწინააღმდეგო გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სემინარისტებმა.[935]

უხეირო სასწავლო რეჟიმმა და რევოლუციონერებთან სიახლოვემ ქუთაისის სასულიერო სემინარისტთა ერთი ნაწილი, თბილისის სემინარისტების მსგავსად, ათეისტებად აქცია. ათეისტურად განწყობილმა რამდენიმე სემინარიელმა 1904 წლის პირველ თებერვალს ღამით დაარბიეს სასწავლებელში არსებული ეკლესია, შეურაცხყვეს წმინდა ნაწილები, ხატები კი დანით დაჭრეს. მომხდარის შესახებ ეცნობა ეგზარქოს და რუსეთის უწმინდეს სინოდს.[936] გამოძიებაში ჩაერთო ჟანდარმერია. აქტივისტი სტუდენტები სემინარიიდან გარიცხეს. სემინარიის ადმინისტრაცია სიტუაციის განმუხტვის მიზნით მოითხოვდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სხვა ქალაქში გადატანას ან დროებით დახურვას. ქუთაისის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სემინარიის ადმინისტრაციის განზრახვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 1904 წლის აპრილში ქალაქის მოურავმა დ. ლორთქიფანიძემ წერილით მიმართა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას და შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით შესთავაზა დახმარება, რადგან სემინარიის სხვა ქალაქში გადატანა დიდი დანაკლისი იქნებოდა ქუთაისის საზოგადოებისათვის.[937] ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შექმნილი ვითარების შესახებ ობერ-პროკურორმა 1904 წლის 30 აპრილს ვრცელი მოხსენება წარუდგინა რუსეთის იმპერატორს. ამ უკანასკნელის ბრძანებით იმავე წლის მაისში ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა. ქუთაისის სემინარიის დახურვის შესახებ პერიოდულ პრესაში ერთი აზრი არ არსებობდა. ოფიციალური პრესა მთავრობის პოზიციას იზიარებდა. ქართული ეროვნული პრესა კი დიდ მწუხარებას გამოთქვამდა აღნიშნულის შესახებ.

სასულიერო სემინარიის დახურვის შემდეგ არასაიმედო სტუდენტებს სწავლის გაგრძელების უფლება ჩამოართვეს, მცირე ნაწილი კი სტავროპოლის, ასტრახანის, ხერსონის და თბილისის სასულიერო სემინარიებში გაანაწილეს. როგორც წყაროებით ირკვევა, ხერსონში ჩასულ ქართველ სტუდენტებისათვის დიდი დახმარება გაუწევია იმხანად იქ მოღვაწე ეპისკოპოსს კირიონ საძაგლიშვილს. მისი მოთხოვნით, ქუთაისის სემინარიიდან წასული 11 ქართველი სტუდენტი უგამოცდოდ მიუღიათ სასწავლებელში.[938]

---

934 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 88.

935 კ. ცინცაძე, მოგონებანი, რევოლუციური მატიანე, 1923, თბ., გვ. 43.

936 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი არქივი, №33, საქმე №102, ფურცელი 92.

937 გაზეთი „ცნობის ფურცელი," №2463, 1904.

938 გაზეთი „ივერია," 1904, №208.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბოლო რექტორი სილიბისტრო საქართველოდან გაიწვიეს და სმოლენსკის სემინარიის რექტორად დანიშნეს.

სალიკვიდაციო კომისიამ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ქონება იქვე არსებულ სასულიერო სასწავლებელს გადასცა, ხოლო დაქირავებული ბინა მეპატრონეს დაუბრუნა. ხელწერილით გაუქმდა დარახველიძის ეზოში დროებით აშენებული სასწავლებლის ეკლესია.

მოგვიანებით, 1916 წელს რუსეთის უწმინდეს სინოდს სურდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით იმავე წლის აგვისტოს თვეში საქართველოს საეგზარქოსოში თათბირიც გაიმართა, რომელსაც ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად საეგზარქოსოს წარმომადგენლები და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრებიც ესწრებოდნენ.[939] იმ დროისათვის ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენა უკვე აქტუალური აღარ იყო. ქართველი სასულიერო პირები დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენისათვის იბრძოდნენ. რუსეთის უწმინდეს სინოდს კი სურდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნით ქართველი სამღვდელოების გული მოეგო. საქართველოს საგზარქოსომ უსახსროობისა და სასწავლო შენობის არარსებობის გამო უარი განაცხადა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება 1916 წლის სექტემბერში ეცნობა რუსეთის უწმინდეს სინოდს.[940]

უარის მიღების მიუხედავად, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტის, ეგზარქოსყოფილის პიტირიმის უშუალო ჩარევით, 1916 წლის ნოემბერში რუსეთის უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენის შესახებ. სემინარიის სასწავლო პროცესის მოსაწესრიგებლად და სასწავლო პროგრამების ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა გამგეობა, რომლის წევრები იყვნენ ახლად დანიშნული ოთხი მასწავლებელი, აქედან მხოლოდ ერთი იყო ქართველი, დანარჩენი კი რუსი ეროვნების პედაგოგები. ისინი ცდილობდნენ სემინარიაში ნაკლები ყურადღება დათმობოდა მშობლიური საგნების სწავლებას, ხოლო სასწავლებლის კადრების დაკომპლექტების დროს ბლოკავდნენ ქართველ პედაგოგებს. იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) მიერ ქართული ენის მასწავლებლად წარადგინეს ვუკოლ ბერიძე, მაგრამ გამგეობის რუსმა წევრებმა მას მხარი არ დაუჭირეს. ისინი აგრეთვე წინააღმდეგ წავიდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ქართული გალობა ესწავლებინა ამ საქმის დიდ მოამაგეს რაჟდენ ხუნდაძეს.[941] ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა და საზოგადოება დიდ უკმაყოფილებას

939 გაზეთი „საქართველი," №168, 1916.

940 ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894-1904, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009, გვ. 95; შდრ. Eldar Bubulashvili,The Georgian exarchate, 1850-1900 `WITNESS THROUGH TROUBLED TIMES. A History of the orthodox Church of Georgia Eldar bubulashvili1811 to the Present,~ Bennett & Bloom, London, 2006, გვ. 171-170); შდრ. Э. Бубулашвили, Кутайсская Духовная Семинария,Православная энциклопедия, XXXIX, Москва, 2015, с. 482-489.

941 ქუთაისის სემინარია, გაზეთი „საქართველო," 1916, 258, 18 ნოემბერი, გვ. 4.

გამოხატავდა სემინარიის სასწავლო პროგრამების შემმუშავებელი კომისიის ანტიქართული საქმიანობის გამო, რის გამოც სასწავლო პროცესი ვერ განახლდა.

მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, ქუთაისის სასულიერო სემინარიამ თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე გარკვეული როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებისათვის სასულიერო კადრების მომზადებაში. სემინარიაში არაერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ მიიღო განათლება, რომელთა შორის აღსანიშნავია გრიგოლ რობაქიძე, ნოე რამიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი და სხვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დავასკვნით: ჩვენ მიერ განხილული საკითხის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები ცარისტული რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა, მიზნად ისახავდა ქართველთა ასიმილაციას და იმპერიისათვის ერთგული მსახურების აღზრდას.

თავი VI. ქართველი საზოგადოების ბრძოლა საეკლესიო სიწმინდეთა შესანარჩუნებლად

§1. ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის დროს

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოწინავე ქართველი საზოგადოება და ქართველი სამღვდელოება აქტიურად იბრძოდა იმ ძველი საეკლესიო ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების შესანარჩუნებლად, რომელიც ეგზარქოსობის პერიოდში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უპირველესი ყურადღება მათ ძველ ქართულ საგალობლებს დაუთმეს, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მათ გაქრობის საფრთხე დაემუქრა. ჩრდილოელი ერთმორწმუნე დამპყრობელი ყურადღებას არ აქცევდა იმ ფაქტს, რომ ქართულ საეკლესიო საგალობლებს მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორიული წარსული ჰქონდა. იგი სათავეს უძველესი დროიდან იღებს. საეკლესიო საგალობელი, როგორც ლიტურგიკის შემადგენელი ნაწილი, ჩვენში წირვა-ლოცვის დამკვიდრებასთან ერთად უნდა შემოღებულიყო, თუმცა ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფია ცოტა მოგვიანებით წარმოიშვა.

საქართველოს სამეფო კარი და საკათოლიკოსო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა საეკლესიო საგალობლებს. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ხდებოდა მგალობელთა დაოსტატება. მოგვიანებით, თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიაში მის სწავლებას სათანადო ყურადღება დაეთმო. ქართული საეკლესიო საგალობლების სწავლება და მგალობელთა გუნდის დაფინანსება ეკლესია-მონასტრების შემოსავლების ხარჯზე ხდებოდა.[942] მატიანეებმა არაერთი საინტერესო დოკუმენტი შემოგვინახა იმის შესახებ, თუ როგორი პრივილეგიით სარგებლობდნენ ეკლესიის მგალობლები. ფინანსურ გასამრჯელოსთან ერთად, ისინი სახელმწიფოსაგან სარჩო-საბადებლითაც იყვნენ უზრუნველყოფილნი.

ქართული საეკლესიო საგალობლების განვითარებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა გარეშე ფაქტორები. XIX საუკუნის 60-იანი წლებში ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ქართული გალობის კილო ყიზილბაშური გავლენით იყო შერყვნილი.[943] ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გარკვევა. ეს ალბათ მუსიკათმცოდნეების საქმეა, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის პოლიტიკური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენდა საეკლესიო საგალობლების სრულყოფაზე.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ქართულ საეკლესიო საგალობლებზე დიდად იზრუნა მეფე ერეკლე მეორემ. მივიწყებული ძველი ქართული

---

942 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 173.

943 ალ. ორბელიანი, ივერიელთა სიმღერები, ღიღინი და გალობა, ჟურნალი „ცისკარი," 1861, I, გვ. 144.

საეკლესიო საგალობლების აღდგენის მიზნით მას იმერეთიდან მოუწვევია არქიმანდრიტი გერვასი და მისი ძმა.[944] საეკლესიო საგალობლების პოპულარიზაციაში გამორჩეულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ანტონ პირველისა (1744-1788) და ანტონ მეორის (1788-1810) ღვაწლი. ამ უკანასკნელის ინიციატივით ანჩისხატის ტაძართან ჩამოყალიბდა ძველი ქართული საგალობლების შემსწავლელთა სკოლა, რომლის ბაზაზე შეიქმნა მგალობელთა გუნდი, რომელიც პატრიარქის მიერ წირვის დაყენების დროს გალობდა. გალობის შემსწავლელი სკოლა და გუნდი მეფე ერეკლე მეორის მიერ გამოყოფილი სახსრებით ფინანსდებოდა.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ქართულ საეკლესიო საგალობლებს დაფინანსება მოესპო. 1803 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ მეორემ თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვს, რომ სახელმწიფოს ხაზინიდან ქართული საეკლესიო საგალობლების სრულყოფისათვის გარკვეული სახსრები გაღებულიყო. მთავარმართებელმა კათოლიკოსის თხოვნას უარყოფითად უპასუხა.[945] უფრო მეტიც, წარმოშობით ქართველმა პავლე ციციანოვმა, რომელსაც ყოველგვარი ეროვნული თვითშეგნება დაკარგული ჰქონდა, პატრიარქისადმი საპასუხო მიმართვაში აბუჩად აიგდო საქართველოს ეკლესიის წარსული, მრავალსაუკუნოვანი ქართული საგალობლების კილოს თხის პეტელს (კიკინს) ამსგავსებდა და კათოლიკოსს ურჩევდა, რომ წირვა-ლოცვის დროს მის ნაცვლად კიევის ნოტები გამოეყენებინა.[946]

რუსი მოხელეების სურვილი იყო, სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რეორგანიზაცია ისეთი ფორმით მომხდარიყო, რომ იგი ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის სამსახურში ჩაეყენებინათ. მხოლოდ ამ გზით გახდებოდა შესაძლებელი ქართველთა ასიმილაცია. დასახული მიზნიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ისინი არავითარ გასამრჯელოს არ გაიღებდნენ მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული საგალობლების აღდგენა-აღორძინებისათვის, რადგან კარგად იცოდნენ, რომ უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლები ავტოკეფალიაწართმეულ ეკლესიაში ეროვნული სულის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. ეს კი დამაბრკოლებელი საშუალება იქნებოდა ასიმილაციის განხორციელებისათვის.[947]

ახალი მმართველობის წინააღმდეგობის მიუხედავად, კათოლიკოს- პატრიარქმა ანტონ მეორემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე შეინარჩუნა უსახსროდ დარჩენილი ანჩისხატის გალობის შემსწავლელი სკოლა და მგალობელთა გუნდი. ისინი ყოველგვარი

944 Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата, Тиф., 1901, стр. 141.

945 АКТЫ, Т. II, 1867, стр. 267.

946 АКТЫ, Т. II, 1867, стр. 267.

947 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 174.

საგალობლებს ასწავლიდნენ არასპეციალისტი, შემთხვევითი, ქართული ენის უცოდინარი პედაგოგები.[951]

წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველოში მოღვაწე რუსი სასულიერო პირები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ სასულიერო სასწავლებლებში სათანადო დონეზე დაეყენებინათ სლავური გალობის სწავლება. ამ მიზნით დიდად იღვაწა ეგზარქოსმა იონა ვასილევსკიმ (1821-1832). 1822 წლის 16 ნოემბერს რუსეთის უწმიდესი სინოდისადმი გაგზავნილ მოხსენებაში იგი გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში სლავური გალობის შემოღებას. საქართველოს ეგზარქოსი რუსეთის უზენაესი სასულიერო ორგანოსაგან თანხმობასა და ფინანსურ დახმარებას ითხოვდა. იონა ეგზარქოსის ბრძანებით, სლავური გალობის სწავლება აღადგინეს საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში,[952] მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მისი სწავლების დონე კვლავ დაბალი იყო.

1839 წელს რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიაში, რუსულ საეკლესიო გალობასთან ერთად, შემოიღეს ქართული საგალობლების სწავლება,[953] მაგრამ სასულიერო ხელისუფალნი მას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. სამაგიეროდ, სასულიერო სასწავლებლებში დიდი ადგილი ეთმობოდა სლავურ გალობას, საათობრივი დატვირთვაც რამდენჯერმე აღემატებოდა ქართული საგალობლების გაკვეთილების რაოდენობას. ქართული გალობის ბედი ეგზარქოსის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ხშირად ხდებოდა მისი ამოღება სასწავლო პროგრამიდან, მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში, ქართული საზოგადოების მოთხოვნით, გახდა შესაძლებელი მისი ცალკე საგნად შემოღება.

ერთი სიტყვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ძველ ქართულ საგალობლებს გაქრობის საფრთხე დაემუქრა. მხოლოდ ცალკეულმა ოჯახებმა შემოინახეს მისი შესრულების ტრადიცია, ასე წარმოიშვა ოჯახურ მგალობელთა გუნდები: კარბელაშვილების, ჩხატარაიშვილების, დუმბაძეების და სხვა.

ანტიქართული განწყობილების მიუხედავად, რუს მოხელეთა შორის იყვნენ ცალკეული პიროვნებები, რომლებმაც პროფესიული ინტერესების გამო დიდი ყურადღება მიაქციეს ქართულ საეკლესიო საგალობლებს და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგეს მათი ნოტებზე გადაღებისათვის. მათ შორის გამოირჩეოდა საქართველოს ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი (1832-1834). მან თავის გარშემო შემოიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ძველი საეკლესიო საგალობლების შემსრულებლები და „ნაგალობებს თვითონვე საგალობლის ნიშნებზე (ნოტებზე) იღებდა.“[954] ილია ფერაძის

951 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 176.

952 Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата, Тиф., 1901, стр. 141.

953 Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата, Тиф., 1901, стр. 141.

954 Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата, Тиф., 1901, стр. 185; შდრ. П.

გადმოცემით: „ეგზარქოსი მოსე დიდი პატივით ეპყრობოდა საქართველოს ეკლესიის სიძველეებს. მათ შორის გალობას. ამან დიდად შეუწყო ხელი ქართულ საეკლესიო საგალობლების გამშვენების საქმეს."[955]

ძველი ქართული საეკლსიო საგალობლების შესანიშნავი შემსრულებლისა და მისი მოამაგის პოლიევქტოს კარბელაშვილის გადმოცემით, მოსე ეგზარქოსს საგალობლები გრიგოლ კარბელაშვილისაგან ჩაუწერია.[956] პლატონ იოსელიანის შეკრებილი ცნობებით ირკვევა, რომ ეგზარქოსი მოსე ნოტებზე გადაღებას იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ჩამოსული მგალობლების დახმარებით ახდენდა.[957] არ დასცალდა მოსე ეგზარქოსს ასეთი კეთილშობილური საქმიანობის გაგრძელება, რადგან იგი მალე ქოლერით გარდაიცვალა. მის წამოწყებულ საქმეს კი გამგრძელებელი აღარ გამოუჩნდა. მართალია, ჯერჯერობით მიკვლეული არაა ეგზარქოს მოსეს მიერ ჩაწერილი საგალობლები, მაგრამ „ესაა პირველი ცნობა ქართული გალობის ჩაწერის (ნოტებზე გადაღების) შესახებ."[958] ეგზარქოს მოსეს მოღვაწეობა სხვა მხრივაცაა საყურადღებო. მან ქართულ საეკლესიო საგალობლებს იმ დროს მიაქცია ყურადღება, როცა იგი დევნა-შევიწროებას განიცდიდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში, როგორც პოლიევქტოს კარბელაშვილი გადმოგვცემს, ქართველ მგალობელთა თითქმის ყველა გუნდი დაიქსაქსა.[959] XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ საქმიანობას მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი პიროვნებები მისდევდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია არქიმანდრიტი ტარასი ალექსი-მესხიშვილი (+1874), მღვდელი გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილი, გრიგოლაშვილის საგვარეულო და თბილისის მამა დავითის მონასტრის კრებული, რომელთა შორის გამოირჩეოდა არქიმანდრიტი სოფრომი (მაყაშვილი). „იგი თურმე სოფელ-სოფელ ხშირად მოგზაურობდა, სოფლის გლეხის ბიჭებსაც კი შეჰყრიდა ერთად და ქართულ გალობას ასწავლიდა." მან სოფელ მარტყოფში რადენიმე ოჯახს ძველი ქართული საგალობელი შეასწავლა.[960] სოფრომ არქიმანდრიტის დახმარებით საეკლესიო საგალობლების ხელოვნებას დაუფლებია შემდგომ ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძრის მოძღვარი გიორგი ვასილის ძე ზალიკიანი, რომელიც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა. 1905 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე გიორგი ზალიკიანის შესახებ ამბობდა: „შესანიშნავი მცოდნეა გალობის,

---

Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1853, стр. 166; შდრ. ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 19013 43 გვ. 357.

955 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," 1901, №, გვ. 358.

956 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1461, რეეული 42-43, ფურცელი 15.

957 П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1853, стр. 166.

958 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი," 1990, 6, გვ. 253.

959 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1461, რეეული 42-43, ფურცელი 1.

960 ზ. ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1907, გვ. 95.

ქართული კითხვის, იგი ნაყოფია ქართული სკოლის და ქართული გალობის. დიახ, ეს პირი დღეს თითქმის ერთადერთია."[961]

ანალოგიური სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც საკათოლიკოსოს გაუქმების შემდეგ (1814) ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების გაუქმებასთან ერთად მგალობელთა გუნდები ფაქტიურად აღარ არსებობდა. აქაც ცალკეულმა ოჯახებმა შემოინახეს ძველი საეკლესიო საგალობლების შესრულების ტრადიცია. იმერეთის ეპარქიაში მხოლოდ ქუთაისის საკათედრო ტაძარში და გელათის მონასტერში დატოვეს შტატიანი მგალობლები. წინაპართა ტრადიციებს აგრძელებდნენ სიმონ, ბესარიონ, სოსო და ოქროპირ კანდელაკები, ვასილ კიკნაძე, დავით და გოგინა დიდებულიძეები, სიმონ ნიშნიანიძე, გოგია და დავით დეკანოზიშვილები, გიორგი და დავით შოთაძეები – „მცოდნენი კარგად იმერულისა საეკლესიო გალობისა."[962]

ქართული საგალობლების სავალალო მდგომარეობას კარგად ხედავდა ქართველი საზოგადოება. მათ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში უნდოდათ გადაერჩინათ დაღუპვის პირას მისული საგალობლები. 1844 წელს გორის ქართველ პატრიოტთა ჯგუფს სურდა ჟურნალ „სინათლის" გამოცემა. მათვე განზრახული ჰქონიათ ჟურნალის ფურცლებზე გაეშუქებინათ მუსიკის თეორიის საკითხები და საეკლესიო მუსიკის ნოტები ჩაეწერათ: „ღარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიო საგალობელთა."[963] ჟურნალის გამოუცემლობის გამო აღნიშნული სურვილი სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი „და ამით ქართული გალობის ჩაწერაც გადაიდო."[964] მკვლევარ ქველი ჩხატარაიშვილის მიერ მიკვლეული მასალებით ვრწმუნდებით, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებით თვით რუსეთის საიმპერატორო კარი დაინტერესებულა. 1846 წელს, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ყველა ეკლესია-მონასტერში უნდა შეკრებილიყო ცნობები ძველი საგალობლების შესახებ. კარის მომღერალთა კაპელის დირექტორს, გენერალ-მაიორ ლვოვს დაევალა ყველა ძველი საგალობელი ნოტებზე უცვლელად გადაეტანათ და, რაც მთავარი იყო, იმპერატორის გადაწყვეტილებით, ყველა ეს ძველი საგალობელი ნებადართულად ცხადდებოდა.[965] საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორე ნიკოლსკიმ (1844-1858) იმპერატორის ბრძანება გააცნო

961 ზ. ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1907, გვ. 196.

962 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 50.
მასალები XIX საუკუნის

963 მ. ბერძნიშვილი, პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 84.

964 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი", 1990, 6, გვ. 253.

965 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი", 1990, 6, გვ. 253.

თავის ქვეშევრდომობაში მყოფ ეპარქიის მღვდელმთავრებს. ეგზარქოსის განკარგულების პასუხად, 1846 წლის 13 ნოემბერს მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი) იმერეთის ეპარქიის შესახებ აღნიშნავს, რომ „საეკლესიო გალობა, რომელიც ამჟამად აქაურ ეპარქიაში არსებობს – ტაძრებში, მონასტრებში და სასოფლო ეკლესიებშიც ყველგან ერთნაირია."[966] საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ მოხსენებაში იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მღვდელმთავრები მიუთითებდნენ, რომ მათ ეპარქიაში არ არსებობდა ნოტებზე გადაღებული გალობები, წინაპართაგან შემორჩენილ ძველ საგალობლებს ახლა ზეპირად სწავლობენ.[967] როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერატორის აღნიშნული ბრძანება არავის შეუსრულებია და ეს წამოწყებაც მალე დავიწყებას მიეცა. რაც დრო გადიოდა, „ქართველი ერი თანდათანობით კარგავდა საეკლესიო მუსიკის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას."[968] საუკუნეების მანძილზე ეროვნულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ საეკლესიო საგალობლებზე უარის თქმა და მისი გაქრობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენა-განახლებისათვის ზრუნვა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძველი საეკლესიო საგალობლების გადარჩენის მიზნით, 1860 წელს თბილისში დაარსებულა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი," რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება, მათი პოპულარიზაცია და დაბეჭდვა. იგივე მკვლევრების აზრით, ასეთი კარგი წამოწყების მიუხედავად, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე აღნიშნულმა კომიტეტმა წარმატებას ვერ მიაღწია თავის საქმიანობაში. მათი მოსაზრებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ გალობით დაინტერესებულ პირებს შორის არ იყვნენ პროფესიონალი მუსიკოსები, რომლებიც გალობას ნოტებზე გადაიღებდნენ. მეორე მიზეზად დასახელებულია მატერიალური ბაზის უქონლობა, კომიტეტს არ გააჩნდა სათანადო თანხები გალობის ჩამწერთა, მგალობელთა გუნდის უზრუნველყოფისა და ნოტების დაბეჭდვისათვის. აღნიშნული მკვლევარები იმასაც მიუთითებდნენ, რომ კომიტეტის წევრთა შორის არ იყო ერთსულოვნება. ზოგი მიიჩნევდა, ძველი ქართული გალობის კილო მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია შემორჩენილი, ამიტომ მგალობლები გურიიდან უნდა მოვიწვიოთო. მეორენი უპირატესობას ქართლ-კახურ კილოს ანიჭებდნენ. ასეთ პირობებში შეუძლებელი შეიქმნა გალობის აღმდგენელი კომიტეტის საქმიანობა.[969] ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს ჩვენ

966 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 50.

967 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი," 1990, 6, გვ. 253.

968 მ. სუხიაშვილი, მე-19 საუკუნის მოღვაწეთა ბრძოლა ძველი ქართული საეკლესიო გალობის გადასარჩენად, ჟურნალი „ხელოვნება," 1997, 7-9, გვ. 28.

969 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 49.

ანილობრივ ვეთანხმებით. ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ 1860 წელს დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი," მაგრამ აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს საარქივო მასალები (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ) დასახელებულ წელს აღნიშნული კომიტეტის დარსების შესახებ. ჩვენ მხოლოდ გვიანი ხანის, კერძოდ 1884 წლის ჟურნალ „მწყემსის" 20-ში საეკლესიო საგალობლებისადმი მიძღვნილ წერილში მოტანილი მასალით ვახდენთ მის დათარიღებას. მეორე ცნობა მოცემულია იმავე ჟურნალის 1887 წლის 23-ში, რომლის ავტორია „მწყემსის" რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე. ორივე პუბლიკაციაში კომიტეტის დაარსების თარიღად 1860 წელია დასახელებული. დეკანოზი დავით ღამბაშიძე კარგად იცნობდა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის ისტორიას და აქტიურად იბრძოდა მისი შენარჩუნებისათვის. ყოველივე ამის გამო არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ ვენდოთ მის მიერ მოწოდებულ ცნობებს, მაგრამ გალობის აღმდგენელმა კომიტეტმა თავისი მოღვაწეობა ფაქტიურად 1878 წლიდან დაიწყო. ამიტომ მეცნიერთა ერთი ნაწილი მისი დაარსების თარიღად ამ უკანასკნელს მიიჩნევს.[970]

ჩვენთვის უცნობია, 1860 წელს დაარსებულ კომიტეტს რა კონკრეტული გეგმა ჰქონდა შემუშავებული ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისათვის. აგრეთვე უცნობია, 1878 წლამდე კომიტეტის წევრთა შემადგენლობაც. როგორც ჩანს, XIX საუკუნის 60-იან წლებში სათანადო პირობები არ არსებობდა გალობის აღმდგენელი კომიტეტის საქმიანობისათვის. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერ ჩატარდა. აღნიშნულ პერიოდში საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვა სასულიერო პირთა წრეებს არ გასცილებია, მაგრამ ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან იგი უკვე საზოგადოების ფართო მსჯელობის საგნად იქცა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები.[971] ამან კი სათანადო ნიადაგი მოამზადა გალობის აღმდგენელი კომიტეტის მოღვაწეობისათვის. რაც შეეხება იმას, რომ კომიტეტის წევრთა შორის ერთსულოვნება არ იყო, თუ რომელი საგალობლებისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა, ამ საკითხზე კამათი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე არ გამართულა.

ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების შესახებ პირველი პუბლიკაცია 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოაქვეყნა ალექსანდრე ორბელიანმა. აღნიშნული წერილით ალექსანდრე ექსანდრე ორბელიანი გამოხატავდა იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების მისწრაფებას – ყოველი ღონე ეხმარათ საეკლესიო საგალობლების გადარჩენისათვის. იგი გულის-

970 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი", 1990, 6, გვ. 256-257; შდრ. მ. სუხიაშვილი, მე-19 საუკუნის მოღვაწეთა ბრძოლა ძველი ქართული საეკლესიო გალობის გადასარჩენად, ჟურნალი „ხელოვნება," 1997, 7-9, გვ. 32.

971 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 181.

ტკივილით მიმართავს მკითხველს: „რად დავივიწყეთ ის ჩუენი მამა-პაპების კარგი გალობა, სადაც გინდათ ის ხელად სათქმელი." წერილის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული გალობის ისტორიას, მისი წარმოშობის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ საეკლესიო გალობა ქართველი ერის სულიერების სრულყოფას უწყობდა ხელს. მას თავისი მრავალხმიანობითა და შესრულების სტილით ბადალი არ ჰყავს მსოფლიოშიო.. „ჩუენი გალობანი – წერს იგი – სოფლის სიმღერის ხმები სხუა ქუეყნებისას არ მიემსგავსება." ალექსანდრე ორბელიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, ქართულ გალობას შესრულების ძველი ფორმა დაუკარგავს. იგი მოითხოვს, რომ ქართველი საზოგადოება საგალობლების მხოლოდ ძველი ნიმუშების შენარჩუნებისათვის უნდა ზრუნავდეს. ამ მხრივ, მას გურიაში დაცული საგალობლები მიაჩნია ძველი ქართული გალობის საუკეთესო ნიმუშად. „გამიგონია, – აღნიშნავს იგი – გურულები კიდევ თურმე გალობენ მამა-პაპის გალობასა. ღვთის გულისათვის გურულებო... თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ თქვენი მამა-პაპის ეკლესიურ გალობას, რომელიცა ის ხმა მოგვაგონებს, ჩუენსა კეთილსა ქრისტიანობრივსა ნამდვილსა."[972]

ალექსანდრე ორბელიანის ზემოთ აღნიშნულმა პუბლიკაციამ მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მან უკვე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ძველი ქართული საგალობლების შენარჩუნებისათვის. როგორც მკვლევარი ქველი ჩხატარაიშვილი აღნიშნავს, ალექსანდრე ორბელიანის მოწოდების საპასუხოდ, 1862 წელს ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრის მაკარ ბატატაშვილის ინიციატივით მოწვეულმა კახეთის სამღვდელოების კრებამ გადაწყვიტა, ქართული საეკლესიო საგალობლების შესწავლის მიზნით მონასტერში მოეწვიათ ამ საქმის სპეციალისტი. ეგზარქოს ევსევი ილინსკის (1858-1877) თანხმობით, 1862 წლის 7 დეკემბერს ბოდბის მონასტერში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული გალობის სასწავლებელი. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესანიშნავმა მცოდნემ და მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა. წმ. ნინოს ტაძრის მღვდელმა იოსებ ბერიევმა ფილიმონ კარბელაშვილს მადლობა გადაუხადა მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის და სასწავლებლის ხელმძღვანელთა სახელით განაცხადა: „ჩუენცა, მოსწავლენი დიდისა სიხარულითა და გულსმოდგინებითისა სურვილითა არა დავზოგავთ არა ვითარსამე ღონისძიებასა სწავლისა და აღდგინებისათვის ქართულისა ჩუენისა ეკკლესიურის გალობისა. ჩუენ ვერავითარიმე სიძნელე ვერ დაგვაბრკოლებს ამა კეთილისა საქმისა აღსრულებასა."[973]

ბოდბის მონასტერთან არსებულმა გალობის შემსწავლელმა სკოლამ წარმატებით დაიწყო თავისი საქმიანობა. 1863 წლისთვის სასწავლებელში გალობას 35 მოსწავლე ეუფლებოდა. ეგზარქოსის დახმარებით სასწავლებელში

---

972 ალქსანდრე ორბელიანი, ივერიელთა სიმღერა, ღიღინი და გალობა, ჟურნალი „ცისკარი," 1, გვ. 153-157.

973 დ. მაჩაბელი, ქართული ზნეობა, გალობა, ჟურნალი „ცისკარი", 1864, 5, გვ. 81.

გალობის მასწავლებლად მიიწვიეს ქვემო ჭალის მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი. გასამრჯელოს (წელიწადში 30 თუმანი) გრიგოლ კარბელაშვილი კახეთის ეკლესიების შემოსავლიდან ღებულობდა. მატერიალური შემწეობისა და მხარდაჭერის მიზნით მაკარ არქიმანდრიტმა დახმარებისათვის ქართველ საზოგადოებას მიმართა. ამასთან, ითხოვდა პრესის ფურცლებზე გალობის შესახებ მასალების გამოქვეყნებას და მის აღდგენაზე საზოგადოების ფართო ფენების მხრივ ზრუნვას. არქიმანდრიტ მაკარის მოწოდებას მხარი დაუჭირა დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც გალობის აღდგენისთვის 5 თუმანი შეუნირავს.[974]

ჟურნალ „ცისკრის" 1864 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა დავით მაჩაბლის საინტერესო წერილი ქართული გალობის შესახებ. იგი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს ქართული გალობის წარმომავლობაზე. მისი აზრით, მართალია, ქართული გალობის ძირები ბერძნულ გალობას უკავშირდება, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მან შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა. იგი აღმოცენდა ხალხური სიმღერების საფუძველზე. წერილში ხაზგასმულია, რომ ქართლ-კახური და იმერულ-გურული გალობები, მართალია, ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ კილოებს საერთო საფუძველი გააჩნია. დავით მაჩაბლის პუბლიკაციაში ქართულ გალობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხია განხილული.

იმ დროს, როდესაც დავით მაჩაბლის წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში," 1863 წელს დავით ჩიჯავაძემ ნოტებზე სამ და ოთხ ხმად გადაიღო იოანე ოქროპირის წირვის წესი (ქართლ-კახური კილო). მართალია, ეს იყო პირველი ცდა ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღებისა და „ქართული მუსიკალური კულტურის ძვირფასი შენაძენი,"[975] მაგრამ იგი სიზუსტით არ ასახავდა ძველი ქართული საგალობლების კილოს. დავით ჩიჯავაძის მიერ ნოტებზე გადაღებული საგალობლები უნდა ჰქონდეს მხედველობაში დავით მაჩაბელს, როდესაც აღნიშნავს, რომ „სასულიეროს მთავრობის მზრუნველობით აწ ახლად შეუთხზავთ სწავლულთა მგალობელთა ნოტნი ქართული გალობის ჩვენდა სანუგეშებლად," მაგრამ „ქართული გალობა აღდგინებული რუსთა მიერ, იქნების საკუთარი რუსეთის გალობა." დავით მაჩაბელი გალობის ნოტებზე გადაღებას გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევს. თუმცა, აღნიშნავს, რომ „დღეს მთელს საქართველოში აღარსად არიან მგალობელნი ქართულის გალობისა ზედმიწევნით მცოდნენი." საქართველოს მხოლოდ ცალკეულ კუთხეშია დაცული ძველი საგალობელების კილოები.[976]

ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამ საქმეში აქტიურად ჩაება თბილისის საზოგადოებაც. 1862 წლის ბოლოს ლავრენტი არდაზიანის, ალექსანდრე ორბელიანის,

974 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩანერის პირველი ცდები XIX საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი," 1990, 6, გვ. 256-257.

975 О. Чиджавадзе, Грузинская музыкальная культура, Музыкальная культура XIX в., М., 1987, стр. 185.

976 დ. მაჩაბელი, ქართული ზნეობა, გალობა, ჟურნალი „ცისკარი," 1864, 5, გვ. 63-65.

ნიკოლოზ ბერძენოვის, ფილიპე ჩიკვაიძის და სხვათა ინიციატივით ანჩისხატის ტაძართან ჩამოყალიბდა ძველი საგალობლების შემსრულებელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოდბის გალობის სასწავლებლის 3 მოსწავლე. მგალობელთა დაფინანსება მათი დამფუძნებლის ხარჯით ხდებოდა.[977]

საქართველოს საეგზარქოსომაც დიდი ყურადღება მიაქცია საეკლესიო საგალობლებს. 1864 წლის სექტემბრიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული გალობის სწავლების ამაღლების მიზნით, მასწავლებლად მიიწვიეს გრიგოლ კარბელაშვილი, რომლის ინიციატივით სემინარიაში ჩამოყალიბდა მგალობელ მოსწავლეთა გუნდი.[978] გალობის აღმდგენელ ენთუზიაზისტთა მოღვაწეობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ ცნობიერების ამაღლებაში ძირძველი საგალობლების შენარჩუნებას, რადგან მათი აზრით, „გალობაც და სიმღერაც ერთ იმ პაწაწა ელემენტთაგანს ეკუთვნის, რომელშიაც აღიბეჭდა ხალხის ხასიათი თავისის რომელიმე მხრით და რომელიც თვით ხასიათს თავის ფერსა სდებს."[979] მაგრამ რეაქციული ძალები არ ისვენებდნენ. რუსეთის იმპერიის მსახურებმა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული საგალობლების სწავლება ეროვნული თვითშეგნების ამაღლებად მიიჩნიეს. ამის გამო, 1872 წლიდან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სემინარიაში ქართული გალობა აღარ ისწავლებოდა. მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მიროპოლსკის შუამდგომლობით ქართული გალობის სწავლება ხელახლა იქნა შემოღებული.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ დაინტერესებას იჩენდა საეკლესიო საგალობლების მიმართ. ამ მხრივ მუშაობა გააააქტიურა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელმა კომიტეტმა." ეგზარქოსმა იოანიკე რუდნევმა (1877-1882), როგორც ილია ფერაძე გადმოგვცემს, „დიდი ყურადღება მიაქცია ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის საქმეს.[980]

1878 წლიდან საეკლესიო საგალობლების აღდგენაში აქტიურად ჩაერთო გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი ხელშეწყობით „ქართული საეკლესიო საგალობლების აღმდგენელი კომიტეტის" წევრთა შემადგენლობაში აირჩიეს ამ საქმის ენთუზიასტები. 1879 წლის ნოემბრიდან კომიტეტს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ოქროპირიძე, მაგრამ მოუცლელობის გამო მან თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა და მაკარ არქიმანდრიტი ჩაუდგა სათავეში კომიტეტს. მაკარ არქიმანდრიტმა თავი ვერ გაართვა კომიტე-

977 ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული გალობის აღდგენისა და ჩაწერის პირველი ცდები XI. საუკუნეში, ჟურნალი „განთიადი," 1990, 6, გვ. 256-257; შდრ. მ. სუხიაშვილი, მე-19 საუკუნის მოღვაწეთა ბრძოლა ძველი ქართული საეკლესიო გალობის გადასარჩენად, „ხელოვნება," 1997, 7-9, გვ. 32.

978 პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 1898, გვ. 90.

979 გაზეთი „დროება," 1882, 139.

980 ი. ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნალი „მოგზაური," №4, 1901, გვ. 361.

ტის ხელმძღვანელობას და თავისი სურვილით გადადგა თანამდებობიდან.[981] სხვადასხვა დროს კომიტეტის წევრები იყვნენ: მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი (მოლოდინაშვილი), არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი, მღვდელი გრიგოლ მღებრიშვილი, ეგზარქოსის მგალობელთა გუნდის რეგენტი ვ. აუშევი, სემინარიის მასწავლებელი მიხეილ მაჭავარიანი.[982]



მარცხნიდან სხედან ვასილ კარბელაშვილი, ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გიორგი მღებრიშვილი, პოლიევქტოვ კარბელაშვილი; დგანან: ანდრია და გიგო კარბელაშვილები

კომიტეტმა მიზნად დაისახა ძველი საგალობლების ნოტებზე გადაღება, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისათვის მათ საჭირო სასხრები არ გააჩნდათ. ალექსანდრე ეპისკოპოსმა კომიტეტს 120 მანეთი შესწირა. მისი მითითებით 1879 წელს მაკარ არქიმანდრიტმა ქართველ საზოგადოებას მიმართა, მატერიალური დახმარება გაეწიათ კომიტეტისათვის. მაკარ არქიმანდრიტის მოწოდებამ სასურველ შედეგს მიაღწია. შუამთის მონასტერმა კომიტეტის სასარგებლოდ 120 მანეთი გაიღო, დავით გარეჯის უდაბნოს არქიმანდრიტმა გრიგოლ დადიანმა ერთი მგალობელი თავისი ხარჯით აიყვანა, ქვათახევის მონასტრის იღუმენი ფილარეტი ყოველწლიურად 80 მანეთის გადახდას კისრულობდა, ბოდბის მონასტრის არქიმანდრიტმა ევსტატიმ 15 მანეთი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა მიხეილმა 10 მანეთი, ქალაქის ეკლესიები თვეში იძლეოდნენ 32 მანეთს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

981 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, 3, ფურც. 2.

982 გაზეთი „დროება," 1878, 143.

გადოება კომიტეტს დაპირდა, რომ ყოველწლიურად 120 მანეთს გადაიხდიდა საგალობლების აღდგენისათვის.[983] კომიტეტის ხაზინადარი იყო მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი (მოლოდინაშვილი). მართალია, არ შემოგვრჩენია კომიტეტის საქმიანობის ამსახველი მასალები, მაგრამ წყაროებით ირკვევა, რომ შემოწირული თანხები მიზნობრივად იხარჯებოდა. კომიტეტის წევრები დაუკავშირდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას და ისინიც ჩართეს საეკლესიო საგალობლების აღდგენის საქმეში. თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას უნდა მოეპოვებინა ნოტებზე გადაღებული საგალობლები, განეხილა იგი და მოწონების შემთხვევაში უნდა მიეცა ვიზა გამოსაქვეყნებლად. ამ მიზნით ალექსანდრე ეპისკოპოსმა სემინარიის მმართველობას გადასცა 500 მანეთი. კონკურსის გამოცხადების შემდეგ სასულიერო მმართველობამ 1878 წლის დასაწყისში განიხილა ანდრია მრევლიშვილის მიერ გადაღებული იოანე ოქროპირის წირვის წესი და მღვდელ გრიგოლ ჭრელაშვილის რამდენიმე საგალობელი. კომისიამ აღნიშნული საგალობლები დაიწუნა.[984]

მართალია, კომიტეტის მთავარი მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება, მაგრამ საკითხის გადაწყვეტის დროს იგი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართველი საზოგადოებისა და თვით კომიტეტის წევრთა შორის ერთსულოვნება არ იყო, თუ რომელი საგალობლებისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა. 1878 წლიდან პრესის ფურცლებზე ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე დებატები გაიმართა. ერთნი უპირატესობას ქართლ-კახურ კილოს ანიჭებდნენ, მეორენი იმერულ-გურულს. ასეთმა დებატებმა ხელი შეუშალა კომიტეტის საქმიანობას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ორივე კილოს საუკეთესო შემსრულებლები მოეწვიათ თბილისში და შესაბამის კომისიას მათი მოსმენის შემდეგ გადაეწყვიტა, რომელი კილო გადაეღოთ ნოტებზე. 1878 წლის აგვისტოში კომიტეტმა თბილისში მოიწვია ქართლურ-კახური კილოს უბადლო შემსრულებლები, გრიგოლ კარბელაშვილის შვილები ვასილი და პოლიევქტოვი, ხოლო დასავლეთ საქართველოდან მაქსიმე ჩხატარაიშვილი, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე და ივანე ხავთასი.[985] კომისიის წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს ორივე დასის წარმომადგენლებს. ასეთი შეფასების მიუხედავად, საგალობლების კილოების შესახებ კვლავ განსხვავებული შეხედულება არსებობდა. მელქისედეკ ნაკაშიძე, ივანე ხავთასი და ნესტორ კონტრიძე თბილისში დარჩნენ და კომიტეტის დაფინანსებით დილის წირვის შემდეგ თბილისის სიონის ტაძარში მსურველებს გალობას უფასოდ ასწავლიდნენ.[986]

1878 წელს ცალკეულმა ენთუზიასტებმა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების რამდენიმე ნიმუში ჩაიწერეს. გორის სასულიერო სასწავ-

983 გაზეთი „დროება", 1873, 132.

984 ჟურნალი „მწყემსი", 1884, 23, გვ. 12.

985 ჟურნალი „მწყემსი", 1884, 23, გვ. 12.

986 ჟურნალი „მწყემსი", 1884, 23, გვ. 12.

ლებლის მასწავლებელმა რ. ძამსაშვილმა ნოტებზე გადაიღო საგალობელი „რომელი ქერუბიმთა" და გორის ეკლესიაში აგალობა სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი. მანვე თარგმნა რუსულიდან როჟნოვის „ნოტების ანბანი" და საეკლესიო საგალობლებთან ერთად იგი ილია ჭავჭავაძეს გადასცა გამოსაცემად.[987] ამავე პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის პედაგოგმა მიხეილ მაჭავარიანმა გალობის რამდენიმე ნიმუში ჩაიწერა და ორ რვეულად შეკრული გადასცა ალექსანდრე ოქროპირიძეს. ქართული პრესა უარყოფითად შეხვდა მიხეილ მაჭავარიანის მიერ შედგენილ საგალობლებს. ეპისკოპოსი ალექსანდრე საზოგადოებას მიმართავდა, რომ ნაჩქარევი დასკვნები არ გაეკეთებინათ, პროფესიონალებს შეემოწმებინათ მისი ავ-კარგიანობა. თუკი ასეთი მსურველი არ გამოჩნდებოდა, მაშინ იგი აპირებდა, საგალობლები შეფასებისათვის პეტერბურგში გაეგზავნა.[988]

მართალია, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კომიტეტმა მუშაობა გააქტიურა, მაგრამ რეაქციის პირობებში შეუძლებელი გახდა დასახული მიზნის განხორციელება. ახალი ეგზარქოსი პავლე ლებედევი (1882-1887), როგორც დეკანოზი დავით ღამბაშიძე გადმოგვცემს, თითქოს კეთილგანწყობით ეკიდებოდა კომიტეტის მოღვაწეობას, მაგრამ, როდესაც ისინი თავიანთი საქმიანობის პრაქტიკულ განხორციელებას ცდილობდნენ, აქ კომიტეტი საეგზარქოსოს დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

ეგზარქოს პავლეს მოღვაწეობის დროს, 1884 წელს არქიმანდრიტ გრიგოლ დადიანისა და არქიმანდრიტ მაკარის წინადადებით, საეგზარქოსოში შეიქმნა კომისია ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღებასთან დაკავშირებით. კომისიის შემადგენლობაში იყო არქიმანდრიტი მაკარი – თავმჯდომარე, მოადგილე – სემინარიის რექტორი, რეაქციონერი მღვდელი პავლე ჩუდეცკი, მდივანი – საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი ილია კიკნაველიძე. კომისიის სხდომას სასულიერო პირებთან ერთად საგალობლების ბედით დაინტერესებული ქართული საზოგადოებაც დაესწრო: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და სხვები. კომისიის სხდომაზე ქართული გალობის ნოტებზე გადაღების წინააღმდეგ გამოვიდა პავლე ჩუდეცკი. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მან აღნიშნა, რომ „ქართული გალობა იმდენად თავისებურია... რომ მისი ჩაწერა არსებული რუსული ნოტებით შეუძლებელიაო." ამასთან მან აღნიშნა, რომ „თქვენი გალობა არაკეთილხმოვანია და იგი არ წაადგება ქართულ ეკლესიასო." პავლე ჩუდეცკი კომისიას ურჩევდა დაენერგათ სლავური გალობა, რომელიც ქართული ეკლესიისათვის დიდი კულტურული შენაძენი იქნებოდა. მართალია, პავლე ჩუდეცკის პროვოკაციულ გამოხტომებს სათანადო პასუხი გასცეს, მღვდელმა ვ. აუშევმა და აკაკი წერეთელმა, მაგრამ რეაქციონერებმა თავისი გაიტანეს. საქართველოს საეგზარქოსოსთან არსებულმა კომისიამ მუშაობა შეწყვიტა.[989]

---

987 ჟურნალი „ივერია," 1878, 43.

988 გაზეთი „დროება," 1882, 184.

989 მ. ქორელი, მოგონებები და წერილები, თბ., 1962, გვ. 71-73.

ამას დაემატა ისიც, რომ კვლავ გამწვავდა კამათი იმერულ-გურულ და ქართლურ-კახურ საეკლესიო საგალობლების მომხრეთა შორის. „რუსებს კი არც ერთი და არც მეორე გალობა არ მოსწონდათ."[990] კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ალექსანდრე ოქროპირიძის გადადგომის შემდეგ მან ფაქტიურად მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ ქართველ საზოგადოებას ხელი არ აუღია ძველი საეკლესიო საგალობლების აღდგენაზე.

ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტიდან ალექსანდრე ოქროპირიძის წასვლამ პრესაში დიდი კამათი გამოიწვია. ზოგიერთი პუბლიცისტი მას ბრალს სდებდა, რომ თითქოს იგი წინააღმდეგი იყო გალობის ნოტებზე გადაღებისა. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მის მიმართ ნაყენებულ ყალბ ბრალდებებს ჟურნალ „მწყემსის" ფურცლებზე გასცა პასუხი, სადაც იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ, მართალია, მან ნებაყოფლობით თქვა უარი კომიტეტის თავმჯდომარეობასა და მის წევრობაზე, მაგრამ გალობის აღდგენის არა თუ მოწინააღმდეგეა, არამედ თავისი ხარჯით კისრულობდა ქართლურ-კახური გალობის ნოტებზე გადაღებას.[991] 1884 წლის ზაფხულში ალექსანდრე ეპისკოპოსმა ქართული გალობის ჩაწერის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორთან ი. იპოლიტოვ-ივანოვთან, რომელსაც უნდა ჩაეწერა გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის წესი. სამუშაო უნდა დასრულებულიყო 1886 წლის პირველი ოქტომბრისათვის. ნოტების გადაღებაში მისთვის დახმარება უნდა გაეწია ვასილ და პოლიევქტოვ კარბელაშვილებს, გრიგოლ მღებრიშვილს და ალექსანდრე მოლოდინაშვილს. ჩაწერილ ნოტებს თუკი პეტერბურგში ცენზურა მოიწონებდა, ალექსანდრე ოქროპირიძე საკუთარი ხარჯით გამოცემდა.[992] ალექსანდრე ეპისკოპოსის აღნიშნული წამოწყების შესახებ მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილი წერდა: „თუ ამ სულისშემხუთველ პირობებში ქართული საეკლესიო გალობა თითქმის ხელშეუხებლად შენახულა, ეს აიხსნება უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში თავგამოდებულის, ყოველმხრივ უმწიკვლო პიროვნების გულშემატკივრობითა და ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის თაოსნობით."[993]

ალექსანდრე ოქროპირიძის სახით ქართლურ-კახურ საგალობლებს კარგი გულშემატკივარი გამოუჩნდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საგალობლების მომხრეები მას ადანაშაულებდნენ იმაში, რომ იგი თითქოს წინააღმდეგი იყო იმერულ-გურული კილოს ჩაწერისა, ოპონენტების მიმართ ალექსანდრე ოქროპირიძე სამართლიანად აღნიშნავდა: „მე არასოდეს არ ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოს გალობისა, არამედ ვამბობდი და ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა კარგია თავის სამშობლოში – გურიაში, ხოლო ქართლში და კახეთში გურული კილო ვერ მოიდგამს ფეხს, რო-

990 მ. ქორელი, მოგონებები და წერილები, თბ., 1962, გვ. 77.

991 ჟურნალი „მწყემსი," 1884, 17, გვ. 12.

992 ჟურნალი „მწყემსი", 1884, 17, გვ. 12.

993 ზ. ფალიაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები, ტფ., 1907, გვ. 3.

გორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ. ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა არ შეიძლება დამყარდეს, გავრცელდეს ქართლ-კახეთში, იმისათვის, რომ გურული გალობა, როგორც იმერული, განსხვავდებიან ქართლური გალობისაგან, როგორც კილოთი, ისე ხასიათით."[994]

ქართული მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი ი. იპოლიტოვ-ივანოვი, მართალია, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საგალობლების ნოტებზე გადაღებას, მაგრამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ვერ შეასრულა. 500 საგალობლის ნაცვლად 76 საგალობლის ჩაწერა მოახერხა. გათვალისწინებულ ვადაშიც ვერ ჩაეტია. ი. იპოლიტოვ-ივანოვმა 1895 წელს ქართული საგალობლებისადმი მიძღვნილი წერილი გამოაქვეყნა რუსულ ჟურნალ „არტისტის" მეხუთე ნომერში, წერილს თან დაურთო ნოტებზე გადატანილი 12 საგალობელი. იგი განიხილავს როგორც საერო, ისე ქართულ საეკლესიო გალობას. მისი აზრით, ქართულ საერო და საეკლესიო საგალობლებს ერთი ძირი აქვთ.[995] 1896 წელს ი. იპოლიტოვ-ივანოვის ქართული საგალობლების კრებული რუსეთის უწმინდეს სინოდში წარადგინეს. სინოდალური სასწავლებლის ქოროს დირექტორმა და მუსიკათმცოდნეებმა მას დადებითი შეფასება მისცეს. 1897 წლის 7 დეკემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში მოსმენილმა ი. იპოლიტოვ-ივანოვის დაწერილმა გალობებმა მოწონება დაიმსახურა. კომისიამ დაბეჭდვის ნებართვისათვის კრებული ისევ სინოდში წარადგინა. 1899 წელს ალექსანდრე ოქროპირიძის დაფინანსებით აღნიშნული საგალობლები გამოქვეყნდა. კრებულს თან დაერთო მოკლე ახსნა-განმარტება და მითითებანი.[996]

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართული საეკლესიო საგალობლის რამდენიმე ჩანაწერი გამოიცა. 1885 წელს ანდრია ბენაშვილის „იოანე ოქროპირის წირვის წესის" გამოქვეყნებამ პრესის უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას შესაძლებელია, უარყოფითად ემოქმედა ენთუზიასტებზე. ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენის მოსურნეთა გასამხნევებლად ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვერ ვიტყოდი, რომ ქართული ხმები კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ მიერ ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთ. იგი ნაკლოვანება, რომელიც ახალს საქმეს აუცილებლად მოსდევს ხოლმე და რომელიც აქ ვახსენეთ, უკეთესის სურვილით მოგვივიდა და არა წუნის დასადებად. ამისთანა საქმეში თითონ წუნიც კი უნდა ჰმდუმარებდეს, იმიტომ, რომ თითონ საქმე საქველმოქმედებაა თვით თავისით."[997]

ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენას დიდი ამაგი დასდო ფილიმონ ქორიძემ, რომელსაც მუსიკალური განათლება იტალიაში ჰქონდა მიღებული. თბილისში დაბრუნების შემდეგ მან შემოიკრიბა საგალობლე-

994 ჟურნალი „მწყემსი," 1884, 17, გვ. 12.

995 გაზეთი „ივერია," 1895, 45.

996 მ. მირიანაშვილი, ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე ჩაწერის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი," 1975, 1, გვ. 145.

997 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XII, პავლე ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1967, გვ. 155.

ბის აღდგენით დაინტერესებული პირები. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ საგალობლების საუკეთესო შემსრულებლები: ნესტორ კონტრიძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ილია კიკნაველიძე, საშა ბერიძე და სხვები. შეკრებებს ხშირად ესწრებოდა აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი. მათი თავშეყრის მთავარი მიზანი საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვა იყო. 1882 წელს ფილიმონ ქორიძემ მ. ნაკაშიძისა და ნ. კონტრიძის დახმარებით რამდენიმე საგალობელი ჩაიწერა. ფილიმონ ქორიძემ გადაწყვიტა, რომ დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში შემორჩენილი ძველი საგალობლები ნოტებზე გადაეღო. ამ მიზნით მან 1884 წელს წერილობით აცნობა თავისი სურვილი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს და თანადგომა სთხოვა. ფილიმონის მიზნები სავსებით შეესატყვისებოდა იმერეთის სამღვდელოების სურვილს.



წმინდა ფილიმონ მგალობელი (ქორიძე, 1835-1911)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის ეპარქიაში ქართული საეკლესიო საგალობლები სავალალო მდგომარეობაში იყო. 1864 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით ქუთაისის საკათედრო ტაძართან ჩამოყალიბდა ქართველ და რუს მგალობელთა საარქიერო გუნდი. გუნდის წევრები იყვნენ ძველი საგალობლების უბადლო შემსრულებლები,[998] მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. იმერეთის ეპარქიაში ქართული საგალობლების შენარჩუნების მიზნით, 1884 წლის ნოემბერში გაბრიელ ეპისკოპოსის ინიციატივით მოწვიეს სამღვდელოების მე-16 ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებით შექმნილ „ქართულ-იმერულ საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის" თავმჯდომარედ აირჩიეს ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, წევრებად – ერმალოზ ვეფხვაძე, ნიკოლოზ ხუციშვილი, სიმონ შენგელაია, ანტონ ბალანჩივაძე, იაკობ მაჭავარიანი და მიხეილ მჭედლიძე.[999] 1885 წლის 30 იანვარს შემდგარი კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით, 400 საეკლესიო საგალობელი ფილიმონ ქორიძეს ნოტებზე უნდა გადაეღო. ეპისკოპოს გაბრიელის დახმარებით მუშაობის დაწყებისათვის 4400 მანეთი შეიკრიბა. აღნიშნული თანხა გაიღეს იმერეთის ეპარქიის ეკლესიებმა და

998 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 55.

999 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", 1989, 2, გვ. 50.

შეძლებულმა გლეხებმა. გურიის სამღვდელოებამ თანხის შეგროვებაში მონაწილეობა არ მიიღო.[1000] ფილიმონ ქორიძემ ორი წლის თავდაუზოგავი შრომით რაჟდენ ხუნდაძის, დ. ჭალაგანიძის და ივანე წერეთლის დახმარებით ნოტებზე გადაღება დაასრულა. 1887 წელს 400 საგალობელი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს ჩააბარა. იმავე წლის 19 მარტს იმერეთის გალობის აღმდგენელმა კომიტეტის წევრებმა მოისმინეს ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული გალობა და აღტაცება ვერ დამალეს. პრესამაც დადებითი შეფასება მისცა მის ნაღვაწს.[1001] უსახსრობის გამო იმერეთის ეპარქიამ ვერ შეძლო მისი გამოცემა. ამის შესახებ გულისტკივილით წერდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე და მოუწოდებდა ეპარქიის სასულიერო პირებს, გარკვეული თანხა გაეღოთ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ.[1002]

ფილომონ ქორიძის ნოტებზე გადაღებული საგალობლების დაბეჭდვა ითავა გაზეთ „ივერიის" ხაზინადარმა და საეკლესიო საგალობლების დიდმა მოამაგემ მაქსიმე შარაძემ და მისმა ამხანაგობამ, რომელთაც საკუთარი სტამბა გააჩნდათ. მაქსიმე შარაძემ თანამზრახველებთან (ე. კერესელიძე, ვ. გრძელიძე და ი. ზაქარაშვილი) ერთად XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში დააარსა „მართლმადიდებელთა ძმობის კაბინეტი," რომელსაც „მაქსიმეს კაბინეტს" ეძახდნენ. კაბინეტთან არსებობდა უფასო სამკითხველო და გალობის შემსწავლელი წრე.[1003] 1894 წელს მაქსიმე შარაძემ ნებართვა აიღო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისაგან, რომ დაებეჭდა ფილიმონ ქორიძის მიერ გადაღებული ნოტები. 1895, 1899 და 1901 წლებში მაქსიმე შარაძემ გამოაქვეყნა ფილომონ ქორიძის „ქართული გალობის" სამი წიგნი. ფილომონ ქორიძე კარგად ხედავდა, რომ საგალობლების ნოტებზე გადაღება არაფრის მომცემი არ იქნებოდა, თუკი შემსრულებლებს მისი გამოყენება არ ეცოდინებოდათ. ამ მიზნით მან შეადგინა და მაქსიმე შარაძის დახმარებით 1899 წელს გამოსცა „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის." ფილიმონ ქორიძის აღნიშნული შრომა „...ამ ტიპის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა საქართველოში."[1004]

ქართული საეკლესიო საგალობლების ძველი ნიმუშები „ზეპირი გალობის მცოდნე პირების მეშვეობით" განსაკუთრებით შემონახული იყო ოზურგეთის მაზრაში. მართალია, 1897 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგმა, დიაკონმა მაქსიმე სვანიძემ შექმნა ბავშვთა გუნდი, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქ-

---

1000 ჟურნალი „მწყემსი", 1887, 23, გვ. 3.

1001 ჟურნალმა „მწყემსი," 1887, 23, გვ. 3.

1002 ჟურნალი „მწყემსი," 1887, 23, გვ. 4.

1003 ჟურნალი „მწყემსი," 1887, 21, გვ. 7-9; შდრ. შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 52.

1004 შ. მეგრელაძე, მ. კეზევაძე, დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ისტორიიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1989, 2, გვ. 53.

1005 გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძის ფოტო-ალბომები, თბ., 1997, გვ. 97.

როპირიძემ გადაწყვიტა ოზურგეთში გალობის აღორძინების მიზნით გაეხსნა ისეთივე ტიპის გალობის სასწავლებელი, როგორიც თბილისში „მაქსიმეს კაბინეტი" იყო. ამ მიზნით მან დახმარებისათვის ქალაქის თვითმმართველობას მიმართა. მასწავლებლად უნდა მოეწვიათ მელქისედეკ ნაკაშიძე. 1900 წლის 15 მარტს ქალაქის მოურავის ნიკო თავდგირიძის ინიციატივით ოზურგეთში გაიხსნა „საგალობელი კაბინეტი." შეკრებილი საზოგადოება კაბინეტის წევრებად ჩაეწერა და საქმის ინიციატორებს ყოველწლიური შემწეობა აღუთქვეს. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ნიკო თავდგირიძემ 100-100 მანეთი გაიღეს, ბლაღოჩინმა დიმიტრი ქიქოძემ, მღვდელმა ლუკა ურუშაძემ და საეპარქიო კანცელარიის მდივანმა ჩაჩანიძემ 5-5 მანეთი. შეიქმნა „საგალობელი კაბინეტის" გამგეობა. საპატიო თავმჯდომარედ ალექსანდრე ეპისკოპოსი აირჩიეს, თანაშემწედ ნიკო თავდგირიძე.[1005] „საგალობელი კაბინეტის" შექმნა საქმეს ვერ შველოდა. გურული საგალობლების შემსრულებელთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რომ შთამომავლობას არ დაჰკარგვოდა ეროვნული საუნჯე. ამის თაოსნად ისევ მაქსიმე შარაძე მოგვევლინა.

მაქსიმე შარაძეს სურდა, ოზურგეთის მაზრაში არსებული ძველი საგალობლები ნოტებზე ჩაეწერათ. ამ საქმის შესრულება მან დაავალა ფილიმონ ქორიძეს. საგანგებოდ შეუძინეს ფისჰარმონია, გამოუყვეს საჭირო სახსრები და 1902 წელს ოზურგეთში მიავლინეს. ფილიმონ ქორიძეს საგალობლების ჩაწერაში დიდი დახმარება გაუწია ანტონ დუმბაძემ, მისმა შვილმა დავითმა და სვიმონ მოლარიშვილმა. მათი მეშვეობით ფილიმონმა ნოტებზე გადაიღო უამრავი საგალობელი. 1910 წელს მან დაასრულა თავისი სამუშაო. სამწუხაროდ ამ საგალობლებმა დღის სინათლე ვერ იხილეს. 1908 წელს გარდაიცვალა მაქსიმე შარაძე, ხოლო სტამბა ძმობამ ვეღარ შეინარჩუნა. ფილიმონის შეკრებილი საგალობლები ზედაზნის მონასტრის ბერმა ექვთიმე კერესელიძემ შემოუნახა შთამომავლობას.[1007]

ქართლურ-კახური საეკლესიო საგალობლების, ე. წ. „კარბელაანთ კილოს" ჩაწერასა და გამოცემას დიდი ამაგი დასდო თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგმა ვასილ კარბელაშვილმა. კარბელაშვილების ოჯახში დაცული იყო საეკლესიო საგალობლების ძველი ნიმუშები. ფილიმონ, გრიგოლ, ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები საგალობლების შესანიშნავი შემსრულებლები და პოპულარიზატორები იყვნენ. მუსიკალური ცოდნის ამაღლების მიზნით ვასილ კარბელაშვილი 1881-1883 წლებში მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა. მან XIX საუკუნის 90-იან წლებში კარბელაშვილების ოჯახში შემორჩენილი ძველი საგალობლები ჩაიწერა. 1896 წლის ივნისში ეგზარქოსის განკარგულებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ვასილ კარბელაშვილის საგალობლებს მაღალი შეფასება მისცა და ნება დართო გამოცემისა. მან საკუთარი ხარჯით 1897 წელს დაბეჭდა საგალობლების პირვე-

1006 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1898, 475.

1007 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი -840, ფურც. 55.

ლი ნაწილი „მწუხრი," ხოლო მეორე – „ცისკარი" 1898 წელს გამოსცა. თავისი ნაღვაწის შესახებ ვასილ კარბელაშვილი წერდა: „ეს წინამდებარე შრომა ღმერთმან უწყის, რა ტანჯვითა და ვაივაგლახით მოვიტანეთ ბოლომდის ვიდრემდის იგი ელირსებოდა ნათელსა ამას სოფლისას!"[1008]

ვასილ კარბელაშვილის საეკლესიო საგალობლების გამოცემას ქართველ საზოგადოებასთან ერთად რუსი მუსიკისმცოდნეებიც დიდი მოწონებით შეხვდნენ. საეგზარქოსოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული კრებული სასულიერო სასწავლებლებისათვის ქართული გალობის ერთადერთ სახელმძღვანელოდ აღიარეს.[1009] ასეთივე ტიპის სახელმძღვანელო შეადგინა მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა. 1904 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულმა კომისიამ მას დაავალა ერთხმიანი საგალობლების სახელმძღვანელოს შექმნა. 1905 წელს ფილიმონმა აღნიშნულ კომისიას წარუდგინა საგალობელთა კრებული. კომისიის მიერ მოწონებული კრებული ავტორის ხარჯით 1907 წელს გამოიცა და იგი ვასილ კარბელაშვილის კრებულთან ერთად სასულიერო სასწავლებლების სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული.[1010]



წმიდა აღმსარებელი ძმები კარბელაშვილები: დეკანოზი პოლიევქტოვი (1855-1936), ეპისკოპოსი სტეფანე (1846-1936), მღვდელი პეტრე (1859-1924), დეკანოზი ანდრია (1851-1924)

აღნიშნული სახელმძღვანელოების სასწავლო პროცესში ჩართვის შემდეგ საქართველოს საეგზარქოსოსადმი დაქვემდებარებულ სასულიერო სასწავლებლებში ქართული გალობის სწავლება საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს განსაკუთრებით დაეტყო თბილისის სასულიერო სემინარიას, სადაც XX საუკუნის დასაწყისში გალობის მასწავლებლად მუშაობდა ცნობილი კომპოზიტორი ია კარგარეთელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საეკლესიო საგალობლების პოპულარიზაციაში. 1901 წლის

1008 მ. მირიანაშვილი, ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე ჩაწერის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი," 1975, 1, გვ. 146.

1009 მ. მირიანაშვილი, ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე ჩაწერის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი," 1975, 1, გვ. 146.

1010 მ. მირიანაშვილი, ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე ჩაწერის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი," 1975, 1, გვ. 147.

აგვისტოში ია კარგარეთელმა, ცნობილ ლოტბარ სანდრო კავსაძესთან ერთად, თბილისის დრამატული საზოგადოებისაგან ნებართვა აიღო, რომ შეექმნათ „მგალობელთა სამუდამო გუნდი," რომელიც უქმე დღეებში ეკლესიებში იგალობებდა.[1011] ია კარგარეთელის ინიციატივით შექმნილი „ქართული საეპარქიო ხორო" თბილისის სიონის ტაძარში გალობდა. 1901 წლიდან მან ასეთივე ხორო მიხეილ ნათაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.[1012]

სათუთად ინახავდნენ ქართულ საეკლესიო საგალობლებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები. კავკაზში ჯერ კიდევ 1898 წლიდან მ. კუხიანიძის მეთაურობით არსებობდა ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი. მოზდოკში საქართველოდან გაგზავნილი ქართული საგალობლების ნოტებით გალობდა ქართული ხორო ციმლიანსკის ხელმძღვანელობით.[1013]

ქართული საგალობლებით რუსი მუსიკისმცოდნეებიც დაინტერესდნენ. XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ საკითხზე რუსმა კომპოზიტორებმა ა. კორეშჩენკომ და ნ. კლენოვსკიმ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს. ამ უკანასკნელმა 1901 ნელს გამოაქვეყნა ოთხ ხმაზე გადაღებული რამდენიმე ქართული საგალობელი. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგმა ზაქარია ჩხიკვაძემ სპეციალური კომისიის წინაშე მგალობელ მოსწავლეთა გუნდს შეასრულებინა ნ. კლენოვსკის მიერ ნოტებზე გადაღებული საგალობლები. აღნიშნული ნოტებით 1901 წლის თებერვალში მოსკოვის ფერიცვალების ეკლესიაშიც იგალობეს. საეკლესიო გალობის სპეციალისტს სმოლენსკის და დამსწრე საზოგადოებას საგალობლები დიდად მოსწონებიათ.[1014]

ქართული საგალობლებით დაინტერესება უცხოელმა მკვლევარებმაც გამოიჩინეს. 1901 წელს ეპისკოპოს კირიონის მიერ რუსულ ენაზე გამოსულ ნაშრომს „Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата" გასცნობია ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი ჰარნაკი და გადაუწყვეტია კირიონ საძაგლიშვილის დასახელებულ ნაშრომში საგალობლებისადმი მიძღვნილი თავი გერმანულად გადაეთარგმნა, იგი უნივერსიტეტის ჟურნალში აპირებდა მის გამოქვეყნებას. ამის შესახებ მან ეპისკოპოს კირიონს შეატყობინა და თან სთხოვა, თუკი დაბეჭდილ შრომას კიდევ რამეს დაამატებდა, მას შევსებული სახით გამოაქვეყნებდა.[1015] ჩვენ არ ვიცით, ჰარნაკმა შეასრულა თუ არა თავისი დანაპირები, მაგრამ აღნიშნული ფაქტი ფრიად საინტერესოა.

ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-განვითარებისათვის ზრუნვა საქართველოში მოღვაწე რუს სასულიერო პირთა უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ ისინი თავიანთ განწყობილებას აშკარად ვერ გამოხატავდნენ. XX საუკუნის დასაწყისში საეგზარქოსოს მითითებით თბილისში, სლავური სა-

1011 გაზთი „ცნობის ფურცელი," 1901, 1561.

1012 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1901, 1634.

1013 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1900, 1106.

1014 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1901, 1384; შდრ. გაზეთი „ივერია," 1902, 189.

1015 გაზეთი „ივერია," 1902, 99

გალობლის პოპულარიზაციის მიზნით, აქტიური მუშაობა გააჩაღეს რუსმა სასულიერო პირებმა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1902 წლის დასაწყისში ქართული და რუსული საეკლესიო გალობის მოყვარულთა საზოგადოების დაარსება, რომლის დამფუძნებელი კრება გაიმართა იმავე წლის 10 მარტს თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის დარბაზში ეგზარქოს ალექსი ოპოცკის (1901-1905) ინიციატივით. კრებას საზოგადოების დაარსების მიზანი და წესდება გააცნო ბოგოლოვსკიმ, ხოლო იაიჩკომ წაიკითხა მოხსენება საქართველოს საეგზარქოსოში სლავური საგალობლების აღორძინებისა და განვითარების შესახებ. კრებაზე შესრულდა რამდენიმე საგალობელი, „საზოგადოებას ძალიან მოეწონა რუსული „ღირს არსი" დაწერილი ნ. კლენოვსკის მიერ ქართული „ღირს არსის" კილოზე."[1016] აღნიშნული საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ქართველ სასულიერო პირს. ირკვევა, რომ საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო სლავური საეკლესიო საგალობლების პოპულარიზაციის გზით, გარკვეული დაბრკოლება შექმნოდა ქართული გალობის აღდგენას. რეაქციული ძალების ფარული წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველმა საზოგადოებამ კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა ქართული გალობის აღდგენა-დამკვიდრებისათვის. 1903 წლის 27 თებერვალს თბილისში დაფუძნდა „ქართული სიმღერა-გალობის საზოგადოება," რომლის მიზანს წარმოადგენდა ქართული საეკლესიო საგალობლების ფართო პოპულარიზაცია. საზოგადოების ინიციატივით ქართული გალობის შემსრულებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მართავდნენ კონცერტებს.[1017]

XX საუკუნის დასაწყისში ქართული გალობის აღდგენისათვის ბრძოლაში საზოგადოების ფართო ფენები ჩაება. ქართული გალობის ბედით დაინტერესებულმა პირებმა 1903 წლის 3 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს თხოვნით მიმართეს, რომ ქართული საგალობლების შენარჩუნებისა და მეცნიერული შესწავლისათვის საჭირო იყო: „1) მათი ნოტებზე დაწერა და დაბეჭდვა; ბ) მუდმივად მგალობელთა გუნდის შენახვა ტფილისის ერთ-ერთ ეკლესიასთან." თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ თავადაზნაურობას 4 წლის განმავლობაში საგალობლების დასაბეჭდად და მგალობელთა გუნდის შესანახად ყოველწლიურად 150 თუმანი უნდა გაეღო.[1018]

ქართული საეკლესიო საგალობლების აღდგენაში გარკვეული როლი 1907 წელს დაფუძნებულმა „ტფილისის ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამაც" ითამაშა. ამ საზოგადოების დაარსების ინიციატორები ზაქარია ფალიაშვილთან, პეტრე მირიანაშვილთან ერთად იყვნენ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და დეკანოზი ანტონ თოთიბაძე.[1019] ზაქარია ფალიაშვილიც დაინტერესდა ქართული საეკლესიო საგალობლებით. ამ საკითხს მან უძღვნა ორი

1016 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1902, 1750.

1017 გაზეთი „ივერია," 1903, 47

1018 გაზეთი „ივერია," 1903, 97

1019 მ. ქათვარია, კათოლიკოს კალისტრატეს მოგონება ზაქარია ფალიაშვილზე, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება," 1971, 10, გვ. 19.

წერილი „მცირე მიმოხილვა ქართული სიმღერა-გალობისა" და „ქართველთა გალობის შესახებ." 1907 წელს მან „ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების" სახელით გამოსცა ნაშრომი „ქართული საეკლესიო საგალობლები." აღნიშნულ შრომაში იგი საუბრობს ქართული საგალობლების სავალალო მდგომარეობაზე. „ქართული სიმღერა-გალობის გავრცელებას და მის გამშვენიერებას – წერდა იგი – ერთადერთი საშუალება აქვს: რაც შეიძლება მალ-მალე იმართებოდეს ქართული კონცერტები საქართველოს სხვადასხვა თემის სიმღერებიდან შემდგარი, თუ ეთნოგრაფიული მნიშვნელობით."[1020]

ზაქარია ფალიაშვილი დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის თხოვნით აქტიურად ჩაება საეკლესიო საგალობლების აღდგენის საქმეში. მისი მითითებით 1910 წელს ზაქარია ფალიაშვილმა ახლად აგებულ ქაშუეთის ეკლესიაში შეადგინა მგალობელთა გუნდი. მანვე, 1910 წელს, მოსკოვში გამოსცა „22 ქართული (ქართლ-კახური კილოს) საეკლესიო საგალობლების კრებული." ი. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ შედგენილი ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული „წმ. იოანე ოქროპირის წირვიდან" დაედო საფუძვლად ზაქარია ფალიაშვილის მიერ შედგენილ საგალობლებს.[1021]

XX საუკუნის 10-იან წლებში, გართულებული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ქართული საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვა არ შენელებულა. ქართული პრესა კვლავ აქტიურად ეხმაურებოდა აღნიშნულ საკითხს.

ქართული საეკლესიო გალობის ხელნაწერების მოძიებას და გადარჩენას დიდი ამაგი დასდო საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ აღმსარებლის სახელით წმინდანად შერაცხილმა მღვდელ-მონაზონმა ექვთიმე კერესელიძემ (1865-1944).



წმ. აღმსარებელი ექვთიმე (კერესელიძე, 1865-1944)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ დემოკრატიული მთავრობა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების ბედით დაინტერესდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, თბილისის სასულიერო სემინარიის გაუქმების შემდეგ ეკლესია მგალობელთა კადრებს ვეღარ ამზადებდა. ეკლესიის მესვეურთ ერთხანს სურდათ გალობის შემსწავლელთა ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ, მაგრამ, დაუფინანსებლობის გამო, ვერ შეძლეს დასახული მიზნის განხორციე-

1020 ზ. ფალიაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები, ტფ. 1907, გვ. 2.

1021 პ. ხუჭუა, ზაქარია ფალიაშვილი, 1871-1971, თბ., 1972, გვ. 361.

ლება. საბჭოთა ხელისუფლების დროს ათეიზმის მარწუხებში მოქცეული ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიას უფლებას არ აძლევდა, მგალობელთა კადრები მოემზადებინა. აღნიშნულ პერიოდში ეკლესიებში მრევლიდან შერჩეული პიროვნებები გალობდნენ.

§2. საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან

მძიმე იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შედეგად გამოწვეული შედეგები. უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში არსებული საეკლესიო სიწმინდეები და ძვირფასი ხელნაწერების დიდი ნაწილი უყურადღებობის გამო ნადგურდებოდა. წყაროებით დასტურდება, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში დავით გარეჯში არსებულ ხელნაწერებს გადამთიელი მწყემსები ცეცხლის ასანთებად იყენებდნენ.[1022]

ამავე პერიოდში, ქართველმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში არსებულ საეკლესიო სიძველეებისა და ძველ ქართული ხელნაწერების დაცვას.

1876 წლის 30 ივნისის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებით ეკლესია-მონასტრებში არსებული ხელნაწერი წიგნები, დოკუმენტები თუ საეკლესიო ნივთები ერთად უნდა შეეკრიბათ და თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში მოეთავსებინათ. აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა იმდროინდელმა ქართველმა საზოგადოებამ. აღნიშნულის შესახებ გამოითქვა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია საეკლესიო საგანძურს საფრთხე დამუქრებოდა.[1023] მართალია, ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობის გამო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ შესრულდა, მაგრამ თბილისის სასულიერო სემინარიაში ხელნაწერთა მცირე ნაწილი მაინც განთავსდა. ეგზარქოს ევსევი ილინსკის (1858-1877 წწ.) განკარგულებით აღნიშნული ხელნაწერები სემინარიის ეზოში დაწვეს. ამ ხელნაწერებიდან კალისტრატე ცინცაძემ დაწვას გადაარჩინა ერთი წიგნი, რომელიც „სვანური მრავალთავის" სახელით არის ცნობილი.[1024]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა „საეკლესიო ნაშთების" გადარჩენის მიზნით განიზრახა საეკლესიო მუზე-

---

1022 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1471, აღწ. 1, საქ. 1, ფურცელი 4 .

1023 გაზეთი „დროება," №182, 1877.

1024 ნ. პაპუაშვილი, კოდიკოლოგიურ-არქეგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების" მასალების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, გვ. 74; შდრ. ე. ბუბულაშვილი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები," თბ., 2003, გვ. 219; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, შსს აკადემიის შრომები, IV, თბ., 2002, გვ. 117.

უმის დაარსება. ამ საქმის ინიციატორი იყო ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. მან ჯერ კიდევ, 1873 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას მიმართა დახმარებისათვის, თანადგომას და მხარდაჭერას ითხოვდა მათგან. ათი წლის შემდეგ, 1883 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აღნიშნული მოსაზრება გაუზიარა ეგზარქოს პავლე ლებედევს (1882-1887). პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეგზარქოსმა პავლემ, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ანტიქართული საქმიანობით, თანხმობა განაცხადა საეკლესიო მუზეუმის დაარსებაზე და დიმიტრი ბაქრაძეს დაავალა წარედგინა ვრცელი მოხსენება ქართული სიწმინდეების არსებული მდგომარეობის შესახებ. საქართველოს ეგზარქოს პავლეს გადაწყვეტილებით საეკლესიო მუზეუმი უნდა დაარსებულიყო თბილისის სიონის საკათედრო ტაძართან არსებულ „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმობასთან." დიმიტრი ბაქრაძის მიერ შედგენილი საეკლესიო მუზეუმის წესდება რუსეთის უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა 1889 წლის 24 იანვარს. მუზეუმი კი გაიხსნა წესდების დამტკიცებამდე, 1888 წლის 15 ივლისს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დღეს რუსეთმა იზეიმა გაქრისტიანების 900 წლისთავი და მისი გახსნა დაამთხვიეს აღნიშნულ დღესასწაულს.[1025]

„ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმობის" ხელმძღვანელთა თაოსნობით საეკლესიო მუზეუმის გახსნის დღეს თბილისის სიონის ტაძრის ეზოში სიძველეთსაცავის შენობა დასრულებული იყო და ისტორიული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი იქ იყო დაბინავებული. საეკლესიო მუზეუმის წესდებით, მისი დაარსება მიზნად ისახავდა დაეცვა საქართველოს საეკლესიო სიძველეები, ხოლო მათი თავმოყრა და შეკრებილი მასალებისადმი თვალყურის დევნება დავალებული ჰქონდა კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეს საქართველოს ეგზარქოსი ნიშნავდა. საეკლესიო მუზეუმის არსებობის მანძილზე კომიტეტის თავმჯდომარეები იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე (1889-1890), არქიმანდრიტი ნიკოლოზი (1890-1895), დეკანოზი გრიგოლ პეტრიაშვილი (1895-1897), არქიმანდრიტი ლეონიდე ოქროპირიძე (1897-1898), ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი (1898-1903), ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე (1903-1904), ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი (1904-1905), ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი (1905-1909), ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე (1909-1911), საეკლესიო მუზეუმის ბოლო თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე (1911-1919).[1026] კომიტეტის თავ-



დიმიტრი ბაქრაძე
(1826-1890)

1025 Вестник Грузинского экзархата, 1917, № 3-4, стр. 123; შდრ. Тбилисское церковное древнохранилище, Тб., 1898, стр. 14.

1026 გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003, გვ. 211.

მჯდომარის გარდა საეკლესიო მუზეუმს განაგებდა გამგე, რომლის მოვალეობას შეადგენდა შემოსული მასალების დამუშავება. ეს თანამდეობობა დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ ეკავა თედო ჟორდანიას (1889-1897), ბოლოს კი მოსე ჯანაშვილს (1897-1921).[1027]



ექვთიმე ღვთისკაცი
(თაყაიშვილი, 1863-1953)

კომიტეტი ყოველმხრივ ცდილობდა მუზეუმი გამდიდრებულიყო საეკლესიო განძეულობით. ამ მიზნით, ჯერ კიდევ, 1889 წლის 17 თებერვალს დიმიტრი ბაქრაძემ ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მცხეთაში მოაწყო პირველი ექსპედიცია, საიდანაც ჩამოიტანეს 58 ხელნაწერი. ასეთივე ექსპედიცია მოეწყო დავით გარეჯის უდაბნოში.[1028]

შემდგომ პერიოდში მუზეუმის ექსპონატები შემოწირულობების ხარჯზე იზრდებოდა. იგი განსაკუთრებით შეივსო იმ დროს, როცა მისი თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). მან მუზეუმს 97 ხელნაწერი შესწირა.

საეკლესიო მუზეუმის საქმიანობას დიდი ამაგი დასდო მისმა გამგემ მოსე ჯანაშვილმა, რომელიც 1897 წლიდან მის გაუქმებამდე, 1921 წლამდე, აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ამ მოვალეობას ასრულებდა. საეკლესიო მუზეუმში მოღვაწეობის დროს მოსე ჯანაშვილმა მისი ფონდები გაამდიდრა ახალი ექსპონატებით. მისი უშუალო ჩარევით ბევრი ძველი ქართული ხელნაწერები და საეკლესიო სიწმინდეები გადაურჩა განადგურებას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თითქოს მოსე ჯანაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია საეკლესიო მუზეუმის დაარსებაში,[1030] რაც წყაროებით არ დასტურდება. მაგრამ ცნობილია, რომ იგი დაარსების დღიდანვე დაკავშირებული იყო საეკლესიო მუზეუმთან და იქ დაცულ ხელნაწერებს ეცნობოდა და იყენებდა თავის ნაშრომებში. 1897 წლიდან საეკლესიო მუზეუმის მაშინდელი კომიტეტის თავმჯდომარის არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) რეკომენდაციით მოსე ჯანაშვილი აირ-

1027 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1471, აღწ. 1, საქ. 10, ფურცელი 7

1028 ე. ბუბულაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე, ჟურნალი „რელიგია," 2004, 1-2-3, გვ. 22.

1029 ს. ვარდოსანიძე, კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ოზურგეთი, 1994, გვ. 7

1030 კ. გრიგოლია, მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, კრებული: მოსე ჯანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1956, გვ. 14.

ჩიეს მუზეუმის კომიტეტის წევრად, ხოლო 1889 წლის 10 აპრილს თბილისის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის ახლადდანიშნული თავმჯდომარის, იმხანად ალავერდის ქორ-ეპისკოპოსის კირიონ საძაგლიშვილის წარდგინებით იგი ხდება საეკლესიო მუზეუმის გამგე, რომლის ძირითად მოვალეობას შეადგენდა შემოსული მასალების დამუშავება.[1031]

საეკლესიო მუზეუმში ძირითადად თავმოყრილი იყო ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, სიგელ-გუჯრები, ეპიგრაფიკული ძეგლები, საეკლესიო სიწმინდეები: ხატები, ჯვრები და სხვა.

საეკლესიო მუზეუმის შესახებ 1899 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა: „სიძველეთსაცავი საქართველოს ისტორიის მკვლევარებსაც და მოყვარულსაც გაუწევს დაუფასებელ სამსახურს, რაც მოკლე დროში გამოჩნდება. მოვა დრო, რომ ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავის არსებობა ეცოდინება ყველას, ვინც კი იკვლევს წარსულს და მადლობით მოიხსენიებს... მისი არსებობა და მისი საუნჯენი ეცოდინება მთელ რუსეთს და მთელ ქვეყანას."[1032]

საეკლესიო მუზეუმის ერთ-ერთ სხდომაზე კირიონ საძაგლიშვილის წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ექსპონატებისა და ხელნაწერების მოძიების მიზნით შედგა სამი კომისია, რომლებიც ვალდებული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ეკლესია-მონასტრებში მოეძიათ სამუზეუმო მასალა. ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა თბილისში არსებული ტაძრებში მოეძია ექსპონატები, არქიმანდრიტ დოსითეოს ასეთი მასალები უნდა შეეკრიბა კახეთის ეკლესია-მონასტრებიდან, მესამე კომისიას თვით ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი ხელმძღვანელობდა, რომლის მოქმედების არეალი ქართლი იყო. გადაწყდა აგრეთვე, რომ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს საქართველოს ყველა კუთხეში თავის წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა.[1033]

1899 წლის 17 მარტს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ „დაიწყო გადაზიდვა სხვადასხვა ძვირფას სიძველეთა საქართველოს ეკლესია-მონასტერთაგან ტფილისის სიძველეთ-საცავში. გადაზიდული იქნა ათასამდე ხელნაწერი ნივთი შესანახად და შესასწავლად... სიძველეთსაცავის კომიტეტის ერთგულებამ ხელნაწერთა და ძვირფას ნივთთა ტფილისში ერთად თავმოყრის საქმეში უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. საცავში მოთავსებული იქნა წმინდანაწილებიანი ხატები, ჯვრები და წიგნები, რომელთაც ძვირფას განძად თვლის ქართველი ერი."[1034] საეკლესიო მუზეუმის დაარსებისთანავე გადაწყდა, რომ სამუზეუმო ექსპონატები მეცნიერულად დაემუშავებინათ. ამ მიზნით განზრახული იყო შექმნილიყო კატალოგი, რომელიც დაინტერესებული პირებისათვის გზამკვლევის ფუნქციას შეასრუ-

1031 ი. ფერაძე, ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავი, გაზეთი „ივერია," 1899, №33.

1032 გაზეთი „ივერია," 1899, №35

1033 გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), თბ., 2003, გვ. 212.

1034 გაზეთი „ივერია," 1899, №68; შდრ. გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), თბ., 2003, გვ. 212.

ლებდა. მუზეუმს უნდა ჰქონოდა თავისი პერიოდული ორგანო, მასში გამოქვეყნებული შრომები მუზეუმში დაცული წყაროების საფუძველზე იქნებოდა მომზადებული. მართალია, ასეთი პერიოდული ორგანო საეკლესიო მუზეუმმა ვერ დააარსა, მაგრამ 1889 წლიდან 1921 წლამდე მისი გრიფით ოცამდე დასახელების საინტერესო ნაშრომი გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია თედო ჟორდანიას და მოსე ჯანაშვილის საეკლესიო მუზეუმის კატალოგი, წმინდა ნინოს ცხოვრება, იოანე ბოლნელის ქადაგებანი და სხვა. თავდაპირველად საეკლესიო მუზეუმში დაცული ხელნაწერებისა და სიძველეების კატალოგი შეადგინა მუზეუმის გამგემ თედო ჟორდანიამ, მაგრამ რადგან ყოველწლიურად მუზეუმი ახალი ექსპონატებით ივსებოდა საჭირო იყო კატალოგების განახლება. ამ მიზნით მოსე ჯანაშვილმა გააგრძელა მუზეუმის წინამორბედი გამგის, თედო ჟორდანიას დაწყებული საქმე, ხელახლა აღწერა ხელნაწერები და საეკლესიო ნივთები და 1898-1899 წლებში გამოსცა ხელნაწერთა აღწერილობის მოკლე კატალოგი.[1035] მოსე ჯანაშვილმა 1914 წელს აგრეთვე რუსულ ენაზე გამოაქვეყნა შედარებით სრულყოფილი კატალოგი.[1036] აღსანიშნავია, რომ საეკლესიო მუზეუმმა დიდი როლი შეასრულა არამარტო ხელნაწერებისა და საეკლესიო სიძველეების გადარჩენაში, არამედ იგი მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრსაც წარმოადგენდა. საეკლესიო მუზეუმში დაცულ მასალებს ეცნობოდნენ როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევარები. საეკლესიო მუზეუმში დაცული მასალებს იყენებდნენ ქართველი მკვლევრები: კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, მოსე ჯანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილ) და სხვები. მუზეუმის წყაროები სარგებლობდნენ რუსი მეცნიერები: ივ. სოკოლოვი, პროფ. ნ. კონდაკოვი, პროფ. ნ. პეტროვი, თბილისში მოღვაწე გერმანელი სწავლული გუსტავ ბერმანი და სხვები.[1037]

მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გამოცოცხლდა საეკლესიო მუზეუმის საქმიანობა. მან მოაწესრიგა მუზეუმის ფონდი და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მკვლევარებს, რათა მათ მუზეუში დაცული ხელნაწერი ძეგლებით დაუბრკოლებრივ ესარგებლათ. იგი დიდ დახმარებას უწევდა რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელის ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ხშირად მიმართავდნენ მას დახმარებისათვის, მათ შორის იყვნენ კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ცომაია, სარგის კაკაბაძე, ლეონ მელიქსედ-ბეგი და სხვები.

საქართველოს წარსულით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევარებსაც უმართავდა ხელს მოსე ჯანაშვილი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ურთიერ-

---

1035 ზ. ჭუმბურიძე, ქართული ნიგნის მოამაგენი, თბ., 1981, გვ. 47; შდრ. გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003, გვ. 213.

1036 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 17.

1037 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, შშს აკადემიის შრომები, 2002, IV, გვ, 119; შდრ. ე. ბუბულაშვილი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები," თბ., 2003, გვ. 220.

თობა იტალიელ მკვლევარ ავრელიო პალმიერთან, რომელიც ქართული ჰიმნოგრაფიითა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულით იყო დაინტერესებული. მოსე ჯანაშვილს, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარს, უცსოელები ხშირად მიმართავდნენ კონსულტაციისათვის. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1902 წლის შემოდგომაზე საფრანგეთიდან რეიმსის არქიეპისკოპოსის მიერ გამოგზავნილმა წერილმა, რომელშიც კათოლიკე მღვდელმთავარი მოსე ჯანაშვილს სთხოვდა, პასუხი გაეცა მისთვის საინტერესო კითხვებზე, კერძოდ კი: 1. ინახებოდა თუ არა უფლის კვართი მცხეთაში; 2. დღემდე არის თუ არა შემორჩენილი ბოდბეში წმ. ნინოს საფლავი; 3. შემორჩენილია თუ არა წმ. ნინოს ვაზის ჯვარი და სად ინახება ამჟამად.[1038] ვერ დავადგინეთ მოსე ჯანაშვილმა კათოლიკე მღვდელმთავარს გაუგზავნა თუ არა პასუხი, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ამ თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ რეიმსი საფრანგეთის იმ მხარეში მდებარეობდა, სადაც, ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინოს მამის ზაბილონის მეშვეობით ქრისტიანობა გავრცელდა. 1807 წელს რეინის ოლქში მდებარე პატარა ქალაქ მეტცში ადგილობრივების ინიციატივით დაარსდა სენ-კრეტიენის (იგივე წმ. ნინოს სახელობის) კონგრეგაცია.[1039]

მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის დროს საეკლესიო მუზეუმმა არაერთი საინტერესო ხელნაწერი შეიძინა. ცნობილია, რომ მან მოიძია „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ნუსხა, რომელიც მეცნიერებაში ჯანაშვილისეული ნუსხითაა ცნობილი. მანვე მიაკვლია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას" და გამოსცა იგი.[1040]

თავისი ნაშრომების დიდი ნაწილი მოსე ჯანაშვილმა საეკლესიო მუზეუმში მუშაობის დროს დაწერა. მანვე მუზეუმის გრიფით არაერთი საინტერესო ხელნაწერის პუბლიკაცია განახორციელა. მოსე ჯანაშვილის შედგენილ ხელნაწერთა აღწერილობებს თან ახლავს საეკლესიო მუზეუმის დაარსების მოკლე ისტორია.

მოსე ჯანაშვილის დროს საეკლესიო მუზეუმი არამარტო სამეცნიერო ცენტრად იქცა, არამედ მუზეუმში დაცული ხელნაწერები თბილისში სტუმრად ჩამოსულ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მოენახულებინა. ამ მიზნით საეკლესიო მუზეუმს კვირაში ორი დღე ჰქონდა გამოყოფილი. დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებების გაზიარების მიზნით საეკლესიო მუზეუმს ჩანაწერების გასაკეთებლად გახსნილი ჰქონდა სპეციალური ჟურნალი. წყაროებმა არაერთი მკვლევარის მიერ მუზეუმის თანამშრომელთა მიმართ გამოთქმული მადლიერების სიტყვები შემოგვინახა, მათ შორის არის პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი, თეოლოგი, დოქტორი ი. სოკოლოვი, ამავე აკადემიის პროფესორი ანდრეი პრახოვი, ცნობილი მკვლე-

1038 გაზეთი „ივერია," №08, 1902.

1039 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 18.

1040 ზ. ჭუმბურიძე, ქართული წიგნის მოამაგენი, თბ., 1981, გვ. 49.

ვარი პრასკოვია უვაროვა და სხვები.[1041] 1898 წელს თბილისის სამღვდელოებამ ქართველი საზოგადოების მონაწილეობით ზეიმით აღნიშნა საეკლესიო მუზეუმის 10 წლისთავი. იუბილის დღეებში გადაწყდა, რომ კვირაში სამი დღე მუზეუმი ღია იქნებოდა დამთვარიელებლებისათვის. მნახველთა დიდი ნაწილი იყო თბილისის სტუმრები არა მარტო რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ ამერიკიდან, ევროპიდან და იაპონიიდან.[1042]

შოვინისტურად განწყობილი რუსი მოხელეები საეკლესიო მუზეუმს ეროვნულ კერად მიიჩნევდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის გასაუქმებლად. კავკასიის სასულიერო სკოლების ზედამხედველებმა, დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა XX საუკუნის დასაწყისში არაერთხელ წამოაყენა წინადადება, რომ საეკლესიო მუზეუმის სამუზეუმო ექსპონატები, ვითომდა უსაფრთხოების მიზნით, რუსეთში გატანილიყო. ქართველი საერო და სასულიერო პირების წინააღმდეგობის გამო მან თავისი სურვილი სისრულეში ვერ მოიყვანა.[1043]

თავდაპირველად საეკლესიო მუზეუმი შემოწირულობებით არსებობდა. საეკლესიო მუზეუმისათვის არაერთხელ გაუღია შემოწირულობა ეპისკოპოსებს: კირიონ საძაგლიშვილს, ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებს და სხვებს. 1897 წლიდან საეკლესიო მუზეუმს თბილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლიდან ყოველწლიურად 1000 მანეთი ეძლეოდა. ეს თანხა რათქმა უნდა საკმარისი არ იყო, ამიტომ საეკლესიო მუზეუმის საქმიანობა ისე შემომწირველებზე იყო დამოკიდებული.[1044] 1913 წლის მონაცემებით საეკლესიო მუზეუმში თავმოყრილი იყო 3114 ერთეული სიძველე, აქედან ხელნაწერი იყო 1075, 183 საეკლესიო ნივთი, 1074 სიგელ-გუჯარი, 116 საეკლესიო ჭურჭელი და ჯვარი, 158 გამოქვეყნებული საეკლესიო ლიტერატურა, 142 ძველი ხატები, 215 ძველი მონეტა, 50 საბრძოლო იარაღი და სხვა. სამუზეუმო ექსპონატებიდან ყურადღებას იქცევდა დავით მესამე კურაპალატის წარწერიანი ვერცხლის მოოქროვილი ჯვარი, რომელიც ქართლის სოფელ ბრეთში მიწის დამუშავების დროს ერთ-ერთ მოსახლეს უპოვია და ადგილობრივი სასულიერო პირისათვის ჩაუბარებია. აღნიშნული სიძველე გრიგოლ დიასამიძის ინიციატივით გადაეცა საეკლესიო მუზეუმს. აქვე დაცული იყო XVII საუკუნით დათარიღებული რუსული წარწერიანი ვერცხლის ჯვარი, რომელიც რომანოვების სამეფო დინასტიის პირველი მეფის მიხეილ თევდორეს ძის კუთვნილება წარმოადგენდა.[1045]

1041 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 19.

1042 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1471, აღწ. 1, საქ. 15, ფურცელი 12-14.

1043 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, შშს აკადემიის შრომები, 2002, IV, გვ, 119; შდრ. ე. ბუბულაშვილი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ისტორიიდან, კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები," თბ., 2003, გვ. 221.

1044 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 19.

1045 Каталог предметам церковнаго музея Грузинского духовенства, 1914, стр. 42.

საქართველოს ეგზარქოსები ეჭვის თვალით უყურებდა საეკლესიო მუზეუმის საქმიანობას. საეკლესიო მუზეუმის ძირითად დაფინანსებას, რომელიც სანთლის ქარხნის შემოსავლებით ხდებოდა, ეგზარქოსის განკარგულებით ყოველწლიურად მცირდებოდა.

როგორც აღინიშნა საეკლესიო მუზეუმი განთავსებული იყო თბილისის სიონის ტაძრის ეზოში არსებულ ორსათულიან შენობაში, რომლის აშენების თანხა 9000 მანეთ სიონის ტაძრის სამღვდელოებამ ისესხა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან. აღნიშნული ვალის გადახდა ვერ შეძლო სიონის ტაძრის სამღვდელოებამ, ვალის სანაცვლოდ 1899 წელს ქართლ-კახეთის სამღვდელობის კუთვნილება გახდა საეკლესიო მუზეუმი, რის გამოც მას სახელი შეეცვალა და ეწოდა „ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების საეკლესიო სიძველეთსაცავი." იმავე წლის 29 ნოემბრის საქართველოს ეგზარქოსის ფლავიანეს გადაწყვეტილებით საეკლესიო მუზეუმის შენობაც მათ საკუთრებად გამოცხადდა.[1046] საეკლესიო მუზეუმის შენობასთან დაკავშირებით XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პრესაში საინტერესო მასალები ქვეყნდებოდა. სასულიერო პირთა ნაწილი მათ განთავსებას მოითხოვდა 1910 წელს ვაკეში ახლადაგებულ სემინარიის შენობაში, რის წინააღმდეგ წავიდა მკვლევარი გრაფინია უვაროვა და სხვები.[1047]

თუმცა 1916 წელს ეგზარქოს პლატონის გადაწყვეტილებით თბილისის სიონის ტაძრის ეზოს გაფართოების მოტივით საეკლესიო მუზეუმის ექსპონატები გადაიტანეს თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობაში (დღევანდელი პირველი საჯარო სკოლა).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქოს- და საეკლესიო მუზეუმის საქმიანობა უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოსული ათეისტური სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, უსახსროობის მომიზეზებით, არ უზრუნველყოფდა მის დაფინანსებას. უსახსროდ დარჩენილი საეკლესიო მუზეუმი 1918-1921 წლებში მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ფულადი თანხები არ გამოუყო საეკლესიო მუზეუმს. დაფინანსების არარსებობის პირობებშიც საეკლესიო მუზეუმის მაშინდელი გამგე მოსე ჯანაშვილი თითქმის უხელფასოდ კვლავაც დიდი ენთუზიაზმით აგრძელებდა თავის საყვარელ საქმეს. 1918 წლის 30 დეკემბერს მოსე ჯანაშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს და თბილისის მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) შემდეგი თხოვნით მიმართა: „სიძვირის გამო ვიმყოფები დიდ გაჭირვებაში, უმორჩილესად გთხოვთ, როგორც საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარეს, აწინდელი ჩემი სამუზეუმო თვიური ჯილდო 40 მანეთი ას მანეთამდე მაინც გამიდიდოთ. მთელი ჩემი სიცოცხლე ვემსახურები სამღ-

1046 ი. იაკობაშვილი, საეკლესიო მუზეუმი საართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, 5, თბ., 2003, გვ. 78; შდრ. გაზეთი „ივერია," №240, 1899.

1047 ი. იაკობაშვილი, საეკლესიო მუზეუმი საართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, 5, თბ., 2003, გვ. 78.

ვდელოებას და მის მუზეუმს და, მგონია, ჩემი ერთგული სამსახურით აქამდეც უნდა დამემსახურებია სასულიერო წოდების ყურადღება, რომ, ხშირად, მთელი დღეობით მშიერი არ დავრჩენილ ვიყავ." 1919 წლის 8 იანვრის თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს გადაწყვეტილებით მოსე ჯანაშვილი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.[1048]

მართალია საეკლესიო მუზეუმის გამგეს მოსე ჯანაშვილს ანაზღაურება 100 მანეთამდე გაეზარდა, მაგრამ ფულის გაუფასურების გამო ასეთი მცირე ანაზღაურება საქმეს ვერ შველოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უყურადღებობის გამო, მიუხედავად მოსე ჯანაშვილის დიდი მცდელობისა, საეკლესიო მუზეუმის საქმიანობა საგრძნობლად გაუარესდა. მოსე ჯანაშვილი დაუფინანსებლობის გამო ვეღარ ახერხებდა სტამბაში გაგზავნილი ნაშრომების გამოქვეყნებას.[1049]

დემოკრატიული საქართველოს ათეისტურ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას სურდა საეკლესიო მუზეუმის გაუქმება, მაგრამ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის (1918-1921) კატეგორიული მოთხოვნით იგი შენარჩუნებულ იქნა. მთავრობის განკარგულებით 1919 წლის 12 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკლესია-მონასტრების ქონების აღრიცხვის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. მან საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით მთელი საქართველო ფეხით მოიარა, აღწერა ეკლესია-მონასტრებში დაცული სიწმინდეები და ხელისუფლებას წარუდგინა დასაბუთებული მოხსენება, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უმეთვალყურეოდ დატოვებულ საეკლესიო ქონებას განადგურება ემუქრებოდა, თუკი იგი დაცული არ იქნებოდა რომელიმე მუზეუმში. საქართველოს მთავრობამ ყურად არ იღო ექვთიმე თაყაიშვილის რჩევა.

ექვთიმე თაყაიშვილი წინადადებით საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისა და ექსპონატების მეურვეობა ითავა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. დახმარების გაწევის მიზნით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წლის 22 იანვარს საეკლესიო მუზეუმს მიმართა,[1050] შეთანხმებაც შედგა, გეგმებიც დაისახა, მაგრამ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (1921 წლის 25 თებერვალი) შემდეგ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ საეკლესიო მუზეუმს დახმარება ვერ გაუწია დასაბეჭდად გამზადებული ნაშრომებს გამოცემაში.[1051]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საეკლესიო მუზეუმი. 1921 წლის 20 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერ-

---

1048 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1471. აღწ. 1, საქმე №17

1049 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 20.

1050 საისტორიო ცენრტალური არქივი, ფ. 1471, აღწ, 1, საქმე №18.

1051 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, გვ. 20.

სიტეტის მაშინდელმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა თხოვნით მიმართა საკათალიკოს საბჭოს თბილისის საეკლესიო მუზეუმში დაცული ხელნაწერები და საეკლესიო სიწმინდეები უკეთ შენახვისა და მისი მეცნიერული შესწავლის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცემოდა. საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ და კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდე ოქროპირიძემ მიზანშეწონილად მიიჩნიეს შემოთავაზებული წინადადება. 1921 წლის 25 მარტს ჩატარდა თბილისის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ დეკანოზები: მარკოზ ტყემალაძე, კალისტრატე ცინცაძე, ვასილ კარბელაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, კორნელი კეკელიძე, აგრეთვე მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის სხდომაზე საგანგებოდ მოიწვიეს თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი და პროფესორი აკაკი შანიძე. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით მუზეუმის გამგემ მოსე ჯანაშვილმა, სათანადო ოქმის გაფორმებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გადასცა საეკლესიო ნივთები და მუზეუმში დაცული ხელნაწერები. ამით თბილისის საეკლესიო მუზეუმმა არსებობა შეწყვიტა.[1052] ამის შემდეგ მოსე ჯანაშვილი დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის გამგის ასისტენტად. შემდგომ, მთავრობის განკარგულებით, უნივერსიტეტში დაცული ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები გადაეცა სახელმწიფო მუზეუმს (ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი), რომლის ბაზაზე 1929 წელს პავლე ინგოროყვას ხელმძღვანელობით შეიქმნა ხელნაწერთა განყოფილება. მოსე ჯანაშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის კონსულტანტის თანამდედობაზე, სადაც იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა. მთავრობისვე განკარგულებით ყოფილი საეკლესიო მუზეუმში დაცული საეკლესიო სიწმინდეები – ჯვრები, ხატები და სხვა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს (ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი) გადაეცა.[1053]

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საფუძველზე შემდგომ ჩამოყალიბდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამჟამად ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია კორნელი კეკელიძის სახელობის ეროვნულ ცენტრის A ფონდშია წარმოდგენილი.

1052 საისტორიო ცენრტალური არქივი, ფ. 1471, აღწ, 1, საქმე №18.

1053 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 147, აღწ. 1, საქ. 12, ფურცელი 2-3.

§3. საკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარება ეგზარქოსობის დროს

მართალია რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობას საკმაო დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ძალმომრეობის შედეგად სახელმწიფოებრიობა და ავტოკეფალიადაკარგულ ქვეყნისა და ქართველი ხალხის წარსულს, მის მდიდარ ქრისტიანულ კულტურას, ზნე-ჩვეულებას, საეკლესიო ისტორიას და სხვა ერთმორწმუნე რუსეთი კარგად არ იცნობდა. მათ საქართველოს წარსულის შესახებ წარმოდგენა ჰქონდათ მხოლოდ კიევის მიტროპოლიტის, ისტორიკოს ევგენი ბოლხოვიტინოვის (ერისკაცობაში ევფიმი ალექსანდრეს ძე; 1763-1837) 1802 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომით „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით."[1054] ასოთხ გვერდიან აღნიშნულ შრომაში საქართველოს ისტორიასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს გაქრისტიანებას და ეკლესიის მდგომარეობას, მღვდელთმსახურებას, საეკლესიო ლიტერატურას, სტამბების გამართვას, ქართულ ენასა და მწიგნობრობას, სწავლა-განათლების მდგომარეობას საქართველოში, ქართულ მატიანეებს, ქართულ მწერლობას და მუსიკას. ნაშრომში მცირე ადგილი უკავია საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა დახასიათებას. ნაშრომს ერთვის ქართლის, კახეთის და იმერეთის ბაგრატიონთა გენეალოგიური ცხრილები XV საუკუნიდან 1800 წლამდე. ნაშრომის დაწერის მიზანი განმარტებულია შესავალ ნაწილში, რომელიც მიზნად ისახავდა თანამემამულეთათვის ახლადშემოერთებული ქვეყნის გაცნობას. შრომა დამყარებულია ქართულ, რუსულ, ბერძნულ-რომაულ, ევროპულ წყაროებს, რომლის დიდ ნაწილს ავტორი გაცნობია პეტერბურგში მყოფ ქართველი დესპანების დახმარებით.[1055] ევგენი ბოლხოვიტინოვის აღნიშნულმა ნაშრომმა გამოცემისთანავე მიიქცია დიდი ყურადღება. დიდი ინტერესის გამო იგი მალევე გერმანულ ენაზე ითარგმნა და 1804 წელს გამოიცა ლაიპციგში. ევროპა ამ ნაშრომით გაეცნო საქართველოს წარსულს. ევგენი ბოლხოვიტინოვის შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა უცხოელ და თანამემამულე მკვლევართა შორის. თანამედროვე მკვლევართა აღნიშვნით, დღემდე მისი ეს ნაშრომი სათანადო ყურადღებას იმსახურებს.[1056] მიუხედავად აღნიშნულისა, ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომი დღევანდელი გადასახედიდან გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს და უმეტეს შემთხვევაში სრუყოფილი სახით ვერ წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის წარსულს. სამწუხაროდ

1054 Е. Болховитинов, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, Петербург, Санкт-Петербург, 1802; შდრ. გ. შარაძე, ევგენი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი, ნარკვევი ქართველოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1980.

1055 ს. ლეკიშვილი, ძველი ქართული კულტურის საკითხები ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომებში, თბ., 1987, გვ, 42.

1056 ს. ლეკიშვილი, ძველი ქართული კულტურის საკითხები ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომებში, თბ., 1987, გვ. 42.

იმ დროისათვის, როდესაც ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომი დაიბეჭდა, ქართულ ენაზეც არ არსებობდა მეცნიერული შრომა, რომელიც წარმოაჩენდა ჩვენი ქვეყნის წარსულს, კულტურას, ქრისტიანობის ისტორიას და სხვა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი მმართველობის მძიმე შედეგებმა უკარნახა ქართველ საზოგადოებას ეფიქრა დაეწერა თავისი ქვეყნის ისტორია. ამ მხრივ, საინტერესოა 1837 წელს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ინიციატივით შემდგარი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა სურვილი იყო საქართველოს ისტორის დაწერა. მართალია აღნიშნული განზრახვა ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ დროს მოღვაწე ცალკეულმა პიროვნებებმა ინდივინდუალურად ითავეს დასახული ამოცანის განხორციელება, რომელთა შორის აღსანიშნავია პლატონ იოსელიანი (1809-1875).

პლატონ იოსელიანი ერთ-ერთი პირველთაგანი მკვლევარი იყო, რომელიც დაინტერესდა საქართველოს ეკლესიის წარსულით, ისტორიით, ძველი ქართული ხელნაწერების მოძიებით და სხვა. იგი აღიზარდა წარჩინებულ არისტოკრატიის წრეში. მამისი, ეგნატე იოსელიანი მეფე გიორგი მეთორმეტის კარის მოძღვარი და სამეფო კართან დაახლოებული პიროვნება იყო. მან საინტერესო აღწერა შემოგვინახა თბილისის ეკლესია-მონასტრებისა. როგორც ჩანს, პლატონ იოსელიანს მამისაგან გამოჰყვა დაინტერესება საეკლესიო სიწმინდეების შესწავლისა. მან პირველდაწყებითი განათლება თელავის სასწავლებლის რექტორ დავით ალექსი-მესხიშვილთან მიიღო, შემდეგ სწავლობდა იოანე ნათლიმცემლის უდაბნოს სამრევლო სკოლაში, შემდგომ სწავლა გააგრძელა ახლადდაარსებულ თბილისის რუსულ სასულიერო სემინარიაში. ნიჭიერებით გამორჩეული პლატონ იოსელიანს, ჯერ კიდევ, სტუდენტს სემინარიასთან არსებულ სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება დართეს. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ, 1830 წელს, მცირე ხანს, ამავე სასწავლებლის ინსპექტორად და პედაგოგად მუშაობდა. 1831 წელს პლატონ იოსელიანი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. იგი პირველი ქართველი იყო, რომელმაც აღნიშნული აკადემია 1835 წელს წარჩინებით დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. სტუდენტობის დროიდან პლატონ იოსელიანი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, თარგმნის და ქმნის ორიგინალურ ნაშრომებს. თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა შეხამებული იყო მაღალ ერუდიციასთან და მრავალრიცხოვანი ენების ცოდნასთან, რასაც იგი მეცნიერული მოღვაწეობის დროს კარგად იყენებდა.

პლატონ იოსელიანი პირველი მკვლევარია, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1833 წელს რუსულ ენაზე დაწერა პირველი განმაზოგადობელი ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია," რომელიც პეტერბურგში მოგვიანებით 1843 და 1845 წელს ორჯერ გამოიცა.[1057] მართალია ნაშრომის სატიტულე ფურცელზე პლატონ იოსელიანი შემდგენელის სახელით არის მოხსენებული, მაგრამ შინაარსის გაცნობით მკითხველი ად-

1057 Краткая история Грузинской церкви, составление Платон Иоселиани, издание второе, СП. 1843.



პლატონ იოსელიანი
(1809-1875)

ვილად დარწმუნდება, რომ იგი ორიგინალურ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს. აღნიშნული ნაშრომის გამოცემას იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულ-რუსულ, ლათინურ, ბერძნულ წყაროებზე დაფუძნებული პლატონ იოსელიანის ეს ნაშრომი სრულ წარმოდგენას აძლევდა რუსულენოვან მკითხველს მრავალსაუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულის შესახებ.

ნაშრომში საქართველოს ეკლესიის ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ბერძნულ-ლათინურ წყაროებზე დაყრდნობით, აღნიშნულ შრომაში, მოცემულია მოციქულთა ღვაწლი ქრისტიანობის გავრცელებაში, საინტერესოდაა წარმოდგენილი წმინდა ნინოს მოღვაწეობა, სათანადოდა გაშუქებული ასურელ მამათა და ქართველ მეფეთა (ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა) ღვაწლი და მათი ხელშეწყობა ქრისტიანობის განმტკიცებაში; დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის წამებულ წმინდათა ცხოვრების გაშუქებას, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებისა და იქ მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის წარმოჩენას; ნაჩვენებია ეკლესიის ადგილი სახელმწიფოს მმართველობაში და მისი როლი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა. გამოცემისთანავე პლატონ იოსელიანის აღნიშნულ ნაშრომს საინტერესო რეცენზიით გამოეხმაურა ნ. ნეკრასოვი, რომელშიც აღნიშნული იყო: „До сих пор Грузии не имена еше своей церковной истории. Иоселиани написал свою книгу в виде опыта, и надо отдать ему полную справедливость, несмотря на краткость систематического обозрения, она представляет черезвычайно много любопытных фактов... При составлении своей книги, автор должен был бороться со многими затруднениям, и пополнять люки Грузинских летописцев выписками из сказаний иностранцев. Он надеется со временев издать в свет „полную церковную историю Грузии." Такой труд заслуживает полного одобрения, тем боле, что в нем должны заключаться новые доказательства древности православной греко-восточной церкви и отступлений западных религий от истинных правил апостольских и соборной церкви."[1058] ზემოაღნიშნულის გარდა, პლატონ იოსელიანის აღნიშნულმა შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია დიდ ბრიტანეთში. 1866 წელს პლატონ იოსელიანის ეს ნაშრომი ინგლისურად თარგმნა ლონდონში მოღვაწე ანგლიკანმა სასულიერო პირმა, შვეიცარიის პასტორის შვილმა, პოლიგლოტმა სოლომონ

1058 Литературная Газета, №34, 1834, стр. 649.

სიზარ მალანმა, რომელიც მკვლევართა მიერ მიჩნეულია ინგლისში ქართველოლოგიის პიონერად.[1059] სოლომონ სიზარ მალანმა პლატონ იოსელიანის ნაშრომის ინგლისურ თარგმანს დაურთო მცირე წინასიტყვაობა და ვრცელი კომენტარები. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ამ მცირე მოცულობის ნაშრომით ანგლიკანური ეკლესია გაეცნობა უძველესი ქართული ეკლესიის წარსულს. თანდართული კომენტარების შესახებ კი სოლომონ სიზარ მალანი აღნიშნავს: „მე ვაქვეყნებ არა მხოლოდ თარგმანს, არამედ აღმოსავლეთი ეკლესიის ამ განშტოების უფრო სრულქმნილ ისტორიას, რომელიც იმსახურებს იმას, რომ მას უკეთესად გაეცნონ.[1060] ვრცელი კომენტარების გარდა სოლომონ სიზარ მალანი იყენებს ქართულ, არაბულ, სომხურ, რუსულ წყაროებს, რითაც ავსებს პლატონ იოსელიანის აღნიშნულ შრომას. უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონ სიზარ მალანის კომენტარებში გარკვეული უზუსტობები და ხარვეზები შეინიშნება.[1061] ამისდა მიუხედავად დიდია სოლომონ სიზარ მალანის დამსახურება, რადგან მან პლატონ იოსელიანის აღნიშნული შრომით პირველად გააცნო ინგლისურენოვან საზოგადოებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის წარსული. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოს სოლომონ სიზარ მალანისეული პლატო იოსელიანის დასახელებული ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელმეორედ გამოიცა.[1062]

უნდა აღინიშნოს, რომ პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია" წარმოადგენს პირველ განმაზოგადებელ ნაშრომს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მართალია, აღნიშნული ნაშრომში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება დღევანდელ ისტორიოგრაფიულ მიღწევებთან შეიძლება შეუთავსებელი იყოს, მაგრამ მასში გამოყენებულია ისეთი მასალები, რომელიც დღესდღეობით ჩენთვის უცნობია, რაც მთავარია იგი დაწერილია მორწმუნე, ეკლესიური პიროვნების მიერ, რომელიც კარგად იცნობდა საეკლესიო სამართლის საკითხებს. ამდენად აღნიშნულ შრომას საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარები გვერდს ვერ აუვლიან.[1063] აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანის აღნიშნული შრომა თბილისის სასულიერო სემინარიისა და სამაზრო სასულიერო სასწავლებლების ძირითად სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.

1059 ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, ნიგნი პირველი, თბ., 2012, გვ. 149.

1060 მ. აბაშიძე, ქართული ეკლესიის ისტორია სოლომონ სეზარ მოლანის ინტერპრეტაციაში, პერსპექტივა-XXI, 2005, თბ., 27.

1061 მ. აბაშიძე, ქართული ეკლესიის ისტორია სოლომონ სეზარ მოლანის ინტერპრეტაციაში, პერსპექტივა-XXI, 2005, თბ., 27.

1062 ე. ბუბულაშვილი, დიდი ბრიტანეთის საზოგადოება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (XIX საუკუნის 60-იანი – XX საუკუნის 20-იანი წლები), გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, III, 2005, გვ. 95-95.

1063 ე. ბუბულაშვილი, მიხეილ თამარაშვილი – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 91-92.

განმაზოგადებელი ნაშრომის გარდა პლატონ იოსელიანმა გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომები თბილისის, მცხეთის, დუშეთის, მარტყოფის, კახეთის და სხვა სიძველეებისა და ეკლესია-მონასტრების შესახებ. იგი თავის მოღვაწეობითაც ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1835 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში იწყებს მუშაობას. მას, როგორც მკვლევარსა და სიძველეთამცოდნეს, დიდად აფასებდა სასულიერო უწყება. 1838 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდისა და პეტერბურგი მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით პლატონ იოსელიანს დაევალა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში დაცული სიგელ-გუჯრების გარჩევა და დახარისხება. იგი დიდი გულისყურით მოეკიდა მინდობილ საქმეს. სიგელ-გუჯრების დიდი ნაწილი მას თავის ნაშრომებში აქვს გამოყენებული. მისი გულმოდგინე მუშაობით ამ სიგელ-გუჯრების გაკეთებული ასლები გაიგზავნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში. 1842-1844 წლებში პლატონ იოსელიანი პეტერბურგში რუსეთის უწმინდესი სინოდის უწყებაში გადაჰყავთ სამუშაოდ. შემდეგ კი ისევ სამშობლოში ბრუნდება და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის განსაკუთრებულ მოხელედ ინიშნება, ხოლო 1856 წლიდან მცირე ხანს ამავე კანტორის პროკურორია.[1064] ამ თანამდედობაზე მუშაობის დროს იგი აქტიურად ჩართულია საეკლესიო მამულების დაზუსტების კომისიის მუშაობაში. ერთხანს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში მუშაობს. როგორც ჟურნალისტი, გარკვეული დროის განმავლობაში, იყო რუსულენოვანი გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკისა" და ქართულ გაზეთ „კავკასიის მხარეთა უწყების" რედაქტორი. გასაკვირია, ასეთი რთული დატვირთული მუშაობის გამო როგორ ახერხებდა იგი კვლევით მუშაობას და საგამომცემლობა საქმიანობას. მან არაერთი საინტერესო ხელნაწერი მოიძია. ათონის მთაზე ვიზიტის დროს შეადგინა იქ დაცული ხელნაწერთა კატალოგი, რომელშიც მანამდე უცნობი 12 ქართული ხელნაწერი იყო შეტანილი. ათონის წმინდა მთიდან დროებითი სარგებლობისათვის ჩამოიტანა X საუკუნის ქართული ბიბლია და სხვა.[1065]

აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანის ნაშრომების დიდი ნაწილი დაწერილია რუსულ ენაზე. მიზანი ნათელია: მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი უცხელებს და მათ შორის რუსეთის საზოგადოებას სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონოდათ საქართველოს მდიდარი წარსულის შესახებ. პლატონ იოსელიანის ნაშრომებს კარგად იცნობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მას მიმოწერა ჰქონდა ცნობილ ქართველოლოგ მარი ბროსესთან და სხვებთან. იგი როგორც საეკლესიო ისტორიისა და სიძველეთა მკვლევარი რამდენიმე სამეცნიერო აკადემიის წევრად იყო არჩეული.

1064 პ. იოსელიანი, აღწერა მარტყოფის მონასტრისა, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ხ. მარუაშვილმა, თბ., 2009, გვ. 48-50.

1065 პ. იოსელიანი, აღწერა მარტყოფის მონასტრისა, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ხ. მარუაშვილმა, თბ., 2009, გვ. 62.

პლატონ იოსელიანის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ 1848 წელს პეტერბურგში საინტერესო ნაშრომი გამოიცა, რომლის ავტორი იყო თბილისის სასულიერო სემინარიისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიის 1847 წლის კურსდამთავრებული მელიტონ თომას ძე ფომინ-ცაგარელი.[1066] როგორც ჩანს, აღნიშნული შრომა მან შეასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი, რითაც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიიღო. საინტერესოა, რომ მელიტონ ფომინ-ცაგარელის ეს შრომა დაიბეჭდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ხარჯებით და იგი გამოიცა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში. წყაროებზე დაფუძნებული აღნიშნული ნაშრომი მართალია ფაქტოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ კვლევითი მეთოდოლოგია და დასკვნები დღევანდელ გადასახედიდან საკმაოდ მოძველებულია. სამწუხაროდ ავტორის მელიტონ ფომინ-ცაგარელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მწირი გვაქვს. ვიცით, რომ იგი დაიბადა 1824 წელს მღვდლის თომა ცაგარელის ოჯახში. თბილისის სასულიერ სემინარიაში სწავლის დროს სასწავლებლის ხელმძღვანელობამ იმ მოტივით თითქოს უჭირდათ მისი გვარის წარმოთქმა, მამის სახელი თომა რუსული ტრანსკრიფციით გვარად ფომინად აქციეს. თუმცა მას თავისი ძველი გვარიც არ დაუკარგავს და ამიტომ იწოდება იგი ფომინ-ცაგარელად. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ მელიტონს არ გაუგრძელებია სამეცნიერო და სასულიერო მოღვაწეობა. იგი კავკასიის სასაზღრო-საკარანტინე განყოფილების მმართველად მუშაობდა. როგორც ირკვევა, მელიტონ ფომინ-ცაგარელი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი ნევრი ყოფილა, რაზეც მან 1882 წელს უარი განაცხადა და გახდა მისი ნამდვილი წევრი.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საეკლესიო საკითხებისადმი კვლევა წინა პერიოდთან შედარებით უფრო ინტენსიური ხდება. აღნიშნულ საკითხისადმი დაინტერესების წრე გაფართოვდა, შესაბამისად მომრავლდა ნაშრომების რაოდენობაც. ამ დროის მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია საქართველოს ძირძველი საინგილოს კუთხიდან გამოსული მოსე ჯანაშვილის (1855-1934) მოღვაწეობა. მოსე ჯანაშვილის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა მოიცავდა ისტორიას, ეთნოგრაფიას, ენათმეცნიერებას და სხვა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართულ და რუსულ პრესაში მისი პუბლიცისტური წერილები ხშირად ქვეყნდებოდა, რომელიც ეხებოდა ქართველთა ზნე-ჩვეულებების, სასულიერო სასწავლებელთა, სამღვდელოების მოღვაწეობას, ეკლესია-მონასტრების, საქართველოს ისტორიისა და სხვა საკითხების გაშუქებას. გარდა პუბლიცისტური წერილებისა მას აღნიშნულ

1066 М. Фомин-Цагарели, Грузинская Церковь - свидетельница Православия Русской Церкви, СПб., 1848; შდრ. თ. ფხალაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში (პერიოდული მასალების მიხედვით), თბ., 2018, გვ. 26.

საკითხებთან დაკავშირებით 80-მდე ნაშრომი აქვს გამოცემული.[1067]



მოსე ჯანაშვილი
(1855-1934)

მართალია მოსე ჯანაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ არაერთმა მკვლევარმა (კორნელი კეკელიძე, კონსტანტინე გრიგოლია, შოთა ძიძიგური, სერგი მაკალათია, ა. ინაშვილმა და სხვა) საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო სიწმინდეების შესწავლაში. არადა, ამ საკითხის კვლევას მან რამდენიმე საინტერესო ნაშრომი და უამრავი საგაზეთო პუბლიკაცია მიუძღვნა, რომელთა შორის აღსანიშნავია 1886 წელს ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის მიერ გამოცემული მისი „საქართველოს საეკლესიო ისტორია," რომელიც წლების განმავლობაში საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და დაწყებითი სასულიერო სასწავლებლების სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. აღნიშნული შრომა 1898 წელს რუსულ ენაზეც დაიბეჭდა. მოსე ჯანაშვილის ავტორობით 1889 წელს გამოიცა „ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც აგრეთვე სასულიერო სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. მეტი მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა მოსე ჯანაშვილის მიერ ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული საქართველოს ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი და საინტერესო წერილობით წყაროებზე დამყარებული ნარკვევები. მართალია, დღევანდელი გადასახედიდან მოსე ჯანაშვილის ნაშრომები შეიძლება საგრძნობლად ჩამორჩებოდეს თანამედრო მოთხოვნებს, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება მაინც აუცილებელია, რადგან ისინი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა მიხეილ (გობრონ) საბინინმა (1845-1900), რომელიც დაიბადა და აღიზარდა საქართველოში ტვერელი სასულიერო პირის პავლესა და დედით ქართველი ქალის მირზაშვილის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაინტერესდა საქართველოს სიძველეებით, ეცნობოდა მათ შესახებ არსებულ ლიტერატურას, ხშირად მოგზაურობდა, ადგილებზე სწავლობდა ეკლესია-მონასტრებს და მათ კედლებზე გამოსახულ ფრესკებს, ძველ ხელნაწერებს, იწერდა და ინიშნავდა საეკლესიო სიწმინდეებთან დაკავშირებულ სხვადასხვა გადმოცემებს და სხვა.[1068]

1067 ე. ბუბულაშვილი, საეკლესიო მუზეუმში მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3-4, 2015, გვ. 14-15.

1068 რ. მეტრეველი, დამმარხეთ საქართველოში... მასალები მ. საბინინის ცხოვრებიდან, „და

1871 წელს მიხეილ საბინინი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აქ იგი უახლოვდება ქართველოლოგიის ცნობილ მკვლევარებს მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილს და პეტერბურგში მცხოვრებ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შთამომავალს იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის, რომლის მდიდარი ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და მის მიერ დამატებით მოძიებული მასალების საფუძველზე მან 1871-1873 წლებში რუსულ ენაზე სამ წიგნად გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერილობა („Полное жизнеописание святых Грузинской Церквы").[1069] აღნიშნული შრომა ეძღვნებოდა რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ხსოვნას. მიხეილ საბინინის ეს ნაშრომი დღემდე პირველი და ერთადერთი ნაშრომია რუსულ ენაზე გამოცემული ქართველ წმინდანთა ცხოვრების შესახებ. აღნიშნულის გამო, 1994 წელს რუსეთში ხელახლა განხორციელდა მისი გამოცემა. მართალია, გამომცემელი მიხეილ საბინინი აღნიშნავს, რომ მის მიერ შეკრებილი მასალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერაა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ აღნიშნული გამოცემა არასრულია და გარკვეულ უზუსტობებსაც შეიცავს. ამისდამიუხედავად მიხეილ საბინინისეული რედაქცია გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან აღნიშნული გამოცემით დაინტერესებულ საზოგადოებას, მათ შორის მკვლევარებსაც შეეძლოთ წარმოდგენა შექმნოდა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების შესახებ. იმ დროს, როდესაც მისი ეს ნაშრომები გამოქვეყნდა ზოგიერთი რუსი ეგზარქოსი და მათი მომხრე სასულიერო პირები ეჭვქვეშ აყენებდნენ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ზოგიერთი პიროვნების წმინდანობის საკითხს, ანდა კრძალავდა ახლადდაბადებულთათვის ძველი ქართული სახელების დარქმევას და სხვა.

მიხეილ საბინინის ნაშრომებიდან ყურადღებას იპყრობს 1875 წელს მის მიერ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაცული საკვალიფიკაციო ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე," რისთვისაც მას ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. აღნიშნული შრომა მან რუსულ ენაზე ბეჭდური სახით 1877 წელს გამოსცა.[1070]

აღნიშნული შრომა საქართველოს ეკლესიის ადრექრისტიანულ ეპოქას ეხება. ავტორი საინტერესოდ ქართულ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით

მოვიდეს ვარაგნი," თბ., 1988, გვ. 28; შდრ. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღუანლთა და ვნებათა საქართუელო წმინდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდათის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პაელეს ძის საბინინის მიერ, პეტერბურღი, ჩყპბ (1882 წელსა, გვ. ა-ბ.

1069 რ. მეტრეველი, დამმარხეთ საქართველოში... მასალები მ. საბინინის ცხოვრებიდან, „და მოვიდეს ვარაგნი," თბ., 1988, გვ. 28; შდრ. ვ. კიკნაძე, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (ეპისკოპოსები: გაბრიელ ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი), თბ., 2009, გვ. 276.

1070 Гоброн (Михаил) Сабинин, История Грузинской Церкви до конца VI века, СПб., 1877.

წარმოგვიდგენს მოციქულთა მოღვაწეობას. საკითხის განხილვის დროს იგი სარგებლობს პლატონ იოსელიანის და სხვათა ნაშრომებით. ნაშრომში მიმოხილულია საქართველოში ქრისტიანული სიწმინდეების (უფლის კვართი, ქრისტეს სამსჭვალი, წმინდა ნინოს ჯვარი და სხვა) შემოსვენება და მათი შემდგომი ისტორია. სათანადო ყურადღება ეთმობა ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ღვაწლის ჩვენებას და სხვა. რა თქმა უნდა, აღნიშნული შრომა დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება კრიტიკას იმსახურებდეს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ საკითხზე დაწერილ შრომებს შორის იგი პირველი ნაშრომია. თუმცა ზოგიერთი მისი შეხედულება ყურადსაღებია.[1071]

მიხეილ საბინინის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია პეტერბურგში 1882 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული „საქართველოს სამოთხე," რომლის შესავალი ნაწილი საინტერესო ცნობებს გვაძლევს ავტორის მოღვაწეობისა და აღნიშნული ნაშრომის დანიშნულების შესახებ. მიხეილ საბინინი აღნიშნავს, რომ ნაშრომის შექმნის იდეა უკარნახა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის „დავრდომილებამ და სრულიად დამხობილებამ." ამავე შესავლიდან ირკვევა, რომ მიხეილ საბინინი შვიდი წლის მანძილზე აგროვებდა მასალებს ნაშრომისათვის, ნაწილი ამ მასალების საქართველოში მოუპოვებია, დანარჩენი რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა ოჯახებში და პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის და სხვა დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში. როგორც თვითონ აღნიშნავს, იგი გაცნობია არსენ იყალთოელის, ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილის, ანტონ პირველი კათოლიკოსის და სხვათა ნაშრომებს. ნაშრომში დაბეჭდილია ორმოცდაათი ხელნაწერი საქართველოს ეკლესიის შესახებ, გამოქვეყნებულია VII საუკუნის ცნობილი წმინდა მამის მაქსიმე აღმსარებლის (რომელიც საქართველოში აღესრულა და ცაგერში არის დაკრძალული) ნაშრომი ჭეშმარიტი აღსარების შესახებ, რომელიც ქართულად უძველესი დროიდან უთარგმიათ. ნაშრომში აგრეთვე ქვეყნდება ბასილ დიდის მოთხრობა ღვთისმშობლის შესახებ; საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა და ქადაგება; წამება და გადმოცემა წმინდა გიორგისა და ნიკოლოზ გულაბერიძის საკითხავი სვეტიცხოვლისა და უფლის კვართის შესახებ; ცხოვრება და დაუჯდომელი ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ. ნაშრომში გამოქვეყნებულია ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობის მიძღვნილი თითქმის ყველა ტექსტი. ამ წყაროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დავით გარეჯელის თბილისში, მამა დავითზე მისი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, რომელიც არცერთი სხვა ხელნაწერით არ არის ცნობილი. სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია თუ სად მოიპოვა ეს ხელნაწერი მიხეილ საბინინმა. აქვე გამოქვეყნებულია დავით გარეჯელისა და ანტონ

1071 ვ. კიკნაძე, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (ეპისკოპოსები: გაბრიელ ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი), თბ., 2009, გვ. 327.

მარტყოფელის პარაკლისის ტექსტები. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული წმინდანების ცხოვრება დაწყებული რაჟდენ პირველმოწამიდან და წმ. შუშანიკიდან, დამთავრებული XVII საუკუნის წმინდანებით. ნაშრომს აგრეთვე ერთვის პირველი საუკუნის ბოლოს ქრისტიანობისათვის წამებულ სუქიოსთა ცხოვრება; ექვთიმე გრძელის სიტყვა სომეხთა მოძღვრის სოსთენის მიმართ; ალაჯორის მარხვისა და სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წმინდანის სუფსარქისისადმი მიძღვნილი ცხოვრება და სხვა.[1072]

მიხეილ საბინინმა აღნიშნულმა გამოცემას დაურთო საინტერესო ილუსტრაცია ხატებისა, რომელიც მას გადმოუღია საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებიდან. ამ ხატების დიდი ნაწილი მისი შექმნილია, რომელთა შორის აღსანიშნავია ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება."

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ საბინინი დიდ დევნა-შევიწროვებას განიცდიდა. ამის შესახებ იგი ზემოაღნიშნული წიგნის შესავალში საგანგებოდ მიუთითებს. მტრებმა ქილიკად აქციეს მისი ნაშრომის გამოცემა, მაგრამ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა მის მხარდასაჭერად პრესაში საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს. ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე დიმიტრი ჯანაშვილმა მისი ნაშრომის გამოცემა თავისი დანიშნულებით „ქართლის ცხოვრებას" შეადარა.[1073] ტექსტოლოგიური თვალსაზრისით დღევანდელი გადასახედიდან შესაძლებელია „საქართველოს სამოთხეში" გამოქვეყნებული ტექსტები არ აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ მათ დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება. ბევრი თანამედროვე მკვლევარი კრიტიკული თავალთახედვით იყენებს მიხეილ საბინინის რედაქტირებულ ტექსტებს.


მიხეილ საბინინმა XIX საუკუნის 80-იან წლებში დიდი ამაგი დასდო ბოდბის წმინდა ნინოს განსასვენებლის გამშვენებას, სადაც ხელისუფლებამ 1889 წელს დედათა რუსული მონასტერი გახსნა. მიხეილ საბინინის საქმიანობას დაუპირისპირდა იმ დროს ანტიქართული საქმიანობით ცნობილი ეგზარქოსი პავლე ლებედევი. აღნიშნულის შესახებ ცნობა მოცემულია დღევანდელ ბოდბის დედათა მონასტერში დაცულ იოანე ნათლისმცემლის ხატის არშიაზე შემორჩენილ თვით საბინინი მიერ შესრულებულ შემდეგი შინაარსის წარწერიდან: „ წელ. ჩყპზ (1887 წელი ე. ბ.) ავგისტოს კდ (24 ე. ბ.) დღესა აღვასრულე წ. ხატი ესე წმ. ნინას სამარხო ეკკლესიისათჳს მე მრავალცოდჳლმან მიხაილ საბინიმან, ოდეს დრო იყო ფრიად შევიწროებული, მრავალ ჭირში ვარ მონასტრის აღშენებაზედ მდევნის ეგზარხი პავლე და აყენებს საქმესა, რამეთუ აქამომდე აქ პეტერბურღში არის – ჰკითხოს ღმერთმან ამისათჳს

1072 საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღუანლთა და ვნებათა საქართუელო წმინდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ, პეტერბურლი, ჩყპბ (1882 წელსა, გვ. 1-2.

1073 გაზეთი „დროება," №245, 1882.

ამინ. ჩყაზ (1887 წელი ე.ბ.) წ."[1074] ჩვენს მიერ წარმოდგენილი დღემდე საზოგადოებისათვის უცნობი მიხეილ საბინინის ეპიგრაფიკული მასალის გარდა შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1889 წლიდან ხელისუფლების მიერ ახლადაღდგენილ ბოდბის დედათა მონასტერში წმ. ნინოს განსასვენებელ ადგილზე აკრძალული იყო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება.[1075]

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყნდება საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები. ამ მხრივ აღსანიშნავია კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულის დიმიტრი ფურცელაძის (1825-1891) მიერ 1881 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ქართული საეკლესიო სიგელ-გუჯრები.[1076] დიმიტრი ფურცელაძე აგრეთვე ავტორია 1888 წელს გამოცემული საინტერესო ნაშრომისა ბოდბის ტაძრის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა.[1077] ასე მნიშვნელოვანია მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურდამთავრებულის თედო ჟორდანიას მიერ 1896 წელს დაბეჭდილი „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა" და 1903 წელს ფოთში გამოქვეყნებული მის მიერ შედგენილი „ქართლ-კახეთის



წმინდა ნინოს საფლავი ბოდბეში


1074 აღნიშნული წარწერა ჩვენი თხოვნით გადმოგვიწერა ბოდბის დედათა მონასტერში მოღვაწე მონაზონმა თამარმა (ჭანტურაია), რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

1075 ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 3, 1990, გვ. 63.

1076 Грузинские церковные гуджари грамоты (грамоты), (материалы для пятаго Археологическаго сьзда), составил Д. Н. Пурцеладзе), Тиф., 1881.

1077 Д. Пурцеладзе, Историко-археологическое описание Бодбийского собор св. Нины, просветительницы Грузии, Тифлис, 1888.

მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები." გამოქვეყნებული წერილობითი წყაროებიდან საინტერესოა არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას მიერ მოძიებული „მოქცევაი ქართლისაის" ჭელიშური ვარიანტი; ალექსანდრე ცაგარელის 1888 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე და სხვა.



თედო ჟორდანია
(1854-1916)

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში და XX საუკუნის პირველ ოცეულში პერიოდულ პრესაში საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი საინტერესო სტატიები გამოქვეყნდა, რომლის ავტორები იყვნენ საერო და სასულიერო პირები: ამბროსი ხელაია, დავით ღამბაშიძე, ილია ფერაძე, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, ანტონ ნატროშვილი, სერგი გორგაძე და სხვები. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის პარალელურად გამოქვეყნდა საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი საინტერესო ნაშრომები, რომლის შეფასება მოცემულია წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში. მათ შორის მნიშვნელოვანია ქართველთა დიდი გულშემატკივარის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვოს პუბლიცისტური წერილები თუ წიგნები.

ეგზარქოსობის დროინდელი საეკლესიო ისტორიოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ეპისკოპოსმა კირიონ საძაგლიშვილმა. ვინც კირიონის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას იცნობს ძნელი დასაჯერებელია (დევნა-შევიწროვების, რუსეთის მიყრუებულ ეპარქიებში გადასახლების, მკაცრი მეთვალყურეობის დაწესების მიუხედავად), თუ როგორ ახერხებდა იგი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. არადა ფაქტია, რომ თავისი ნაშრომების უდიდესი ნაწილი მან გადასახლებაში დაწერა. მრავალფეროვანი იყო ეპისკოპოს კირიონის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ადრეული ასაკიდან წერდა ლექსებს, მოთხრობებს. მან საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა ფილოლოგიური მეცნიერების დარგში. მის პუბლიკაციებში მდიდარი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ქართველი ხალხის მატერიალურ-ყოფითი ცხოვრების შესახებ. ყოველივე ამის მიუხედავად კირიონი უპირველესად საეკლესიო ისტორიის მკვლევარი იყო. ჯერ კიდევ, კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მოხდა მისი როგორც სპეციალისტის ჩამოყალიბება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მიღებული ცოდნა თავის სამშობლოს მოახმარა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში პერიოდულ პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე კირიონი სხვადასხვა ფსევდონიმით ხშირად აქვეყნებდა წერი-

ლებს ეგზარქოსობის დროს გაპარტახებული ეკლესია-მონასტრების შესახებ. ამ მხრივ, მან დიდი ამაგი დასდო ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლების შესწავლას. XIX საუკუნის დასაწყისში ნიქოზის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ ეკლესია-მონასტრები უპატრონოდ იყო მიტოვებული. უცხო გადამთიელები მას ანადგურებდნენ, იქ დაცულ წმინდა ნაწილებს იტაცებდნენ. კირიონმა საგანგებოდ შეისწავლა ლიახვის ხეობის კულტურული ნაშთები და მათი აღწერილობა გამოსცა. ეპისკოპოს კირიონის ამ ნაღვაწს დღეს წყაროს მნიშვნელობა აქვს, რადგან შემდგომ ბევრი ისტორიული ძეგლი ფიზიკურად განადგურდა. ასეთივე ხასიათისაა მისი ნარკვევები, რომელიც ეხება მცხეთის სამთავროს მონასტერს, ანანურის კომპლექსის აღწერას, ზარზმისა და საფარის ტაძრების ისტორიული ღირებულებების ჩვენებას. ეპისკოპოსმა კირიონმა ქრისტიანული ძეგლების გარდა შეისწავლა შიდა და ქვემო ქართლის ისტორიული ნაშთები – ციხე-გალავნები, საბრძოლო საფორთიფიკაციო ნაგებობები, ჩაიწერა საინტერესო გადმოცემები. მანვე დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი. მოგზაურობის დროს იგი იწერდა ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკებზე შემორჩენილ წარწერებს, აქვეყნებდა და საინტერესო კომენტარებს ურთავდა.[1078] ეპისკოპოს კირიონს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ჟამთა სიავის გარდა ეკლესია-მონასტრები ნადგურდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობით. უძველესი ნაშთების ქვებს ისინი სამშენებლო მასალად იყენებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით 1891 წელს კირიონმა ჟურნალ „მწყემსში" გამოაქვეყნა მიმართვა ქართული სიძველეების გადარჩენის შესახებ, რომელშიც აღნიშნავდა: „ჩვენი დაუდევრობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჯერეთ ვერ შევიგნეთ მათი მნიშვნელობა. ახლის გაკეთება არ შეგვიძლიან და ძველებსაც არ ვუფრთხილდებით. გულხელდაკრეფილი შევცქერით მათ, თითქოს ეს შესანიშნავი ნაშთები ჩვენ არ გვეკუთნოდეს, თითქოს სტუმრები ვიყოთ ჩვენსავე სამშობლოში! ჩვენი წინაპარნი დიდის თავგანწირულობით იცავდნენ ჩვენს სამშობლოში მამა-პაპურ ნაშთებს, რომ პირნათლად გადმოეცათ ისინი შთამომავლობისათვის. ნეტარება იმათ, რომ აღისრულეს თავის წმინდა მოვ-



ეპისკოპოსი კირიონი
(საძაგლიშვილი, 1855-1918)

1078 ე. ბუბულაშვილი, კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიიდან, ანალები, №2, 2000, გვ. 37-38.

ალეობა. ჩვენ კი ამ მშვიდობიანობის დროს არამც თუ არ ვუფრთხილდებით ამ დიდებულ ნაშთებს, არამედ თავად ვბედავთ მათ გაცარცვას, შევიწროვებას და შებილწვას." კირიონს მიაჩნდა, რომ ქართული სიძველეები არა მარტო ქრისტიანობის სიმტკიცის გამოხატულებას, არამედ „როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოგვიდგენენ სარკეს, რომელშიაც ცხადად ვხედავთ წარსულ დროს. ამიტომ მას მოფრთხილება და მოვლა სჭირდება."[1079] კირიონმა თვითონ ითავა ზოგიერთი ისტორიული ძეგლის განახლება. მისი მონაწილეობით შეკეთდა ალავერდის, სვეტიცხოვლის, შუამთის, ქვათახევის და შიდა ქართლის ზოგიერთი ეკლესია-მონასტრები.

კირიონი, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსი, დიდად აფასებდა მატერიალური და სულიერი ნაშთების როლს ქვეყნის ისტორიის შესწავლაში. ხერსონის მუზეუმის დამაარსებლის ვიქტორ გოშკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში იგი სამართლიანად წერდა: „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია." ეპისკოპოს კირიონს სამართლიანად მიაჩნდა, რომ უძველესი ნაშთები არამარტო წარსულის გაცოცხლებაა, არამედ ეროვნული სიამაყის დასტურიც. „ისე როგორც – წერდა იგი ხერსონის მუზეუმის დირექტორს – შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩაწვდე წარსულს, გაიგო ანყმო და შეგნებულად იმუშაო მომავალი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის."[1080]

ასეთი დიდი იდეები ამოძრავებდა კირიონს, როდესაც იგი დაუღალავად ეძებდა და აგროვებდა ძველ ქართულ ნაშთებს. მან გაპარტახებულ ეკლესია-მონასტრებში მოიძია და განადგურებისაგან გადაარჩინა მრავალი ხელნაწერი, ეკლესიის სინმინდეები – ჯვრები, ხატები, ძველი მონეტები და სხვა. ქვათახევის მონასტერში მსახურების დროს ჩამოუტანია 96 ხელნაწერი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაუცია. ზოგიერთი ხელნაწერის შესახებ მან საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა. ჟურნალ „მწყემსში" მან 1891 წელს დაბეჭდა წერილი მეტეხის ოთხთავის შესახებ, რომელსაც საინტერესო მინაწერები ამშვენებდა. ეპისკოპოს კირიონის სახელთანაა დაკავშირებული გელათის მონასტერში პავლე მოციქულის ეპისტოლენისა და ბერძნული სახარების აღმოჩენა, რომელიც „კორიდეთის ოთხთავის" სახელითაა ცნობილი. ამ უკანასკნელმა უცხოელთა ყურადღება მიიპყრო. „კორიდეთის ოთხთავით" დაინტერესდა გერმანელი სწავლული, თბილისში მოღვაწე პასტორი გუსტავ ბერმანი. ეპისკოპოს კირიონის დასტურით ეს სახარება მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის გადაეცა დასახელებულ მკვლევარს. გუსტავ ბერმანმა აღნიშნული ხელნაწერი ლაიფციგში გაუგზავ-

1079 ჟურნალი „მწყემსი," 19, 1891, გვ. 12.

1080 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე №1457; შდრ. ვ. გურგენიძე, კირიონ მეორე, „საღვთისმეტყველო კრებული," 6, გვ. 106-107; შდრ. ე. გურგენიძე, წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, ნიგნი II, 1997, გვ. 97.

ნა მკვლევარ კ. გრეგორის, რომელმაც 1913 წელს „კორიდეთის ოთხთავის" შესახებ გერმანულ ენაზე გამოქვეყნა ნაშრომი, სადაც იგი მადლობას უხდის კირიონს გაწეული დახმარების შესახებ. კირიონის დიდი ძალისხმევით ხელნაწერი დაუბრუნდა საეკლესიო მუზეუმს, ამჟამად კი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.[1081] ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს გარდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ეძებდა ქართველთა ნაკვალევს. 1906-1907 წლებში პეტერბურგსა და მოსკოვში მოიძია ქართული მასალები. კერძო კოლექციონერებისაგან შეიძინა ქართველი ბატონიშვილების წერილები. დონის მონასტრის საფლავის ქვებიდან გადმოიღო იქ დასაფლავებული ეპიტაფიები. კირიონის შეგროვილ აღნიშნულ მასალებს დღეს წყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ზოგიერთი საფლავს ჩვენამდე არ მოუღწევია. კირიონი აგრეთვე აგროვებდა ხალხური ზეპირისიტყვიერების ნიმუშებს: ლეგენდებს, ზღაპრებს, ხალხურ სიმღერებს. მისივე დავალებით შექმნილა კომისია, რომელშიც შედიოდა გრიგოლ დიასამიძე, გრიგოლ ყიფშიძე და დავით კარიჭაშვილი. მათ დავალებული ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაეწერათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. იგი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა გალობა-მუსიკის შესწავლას. მისი აზრით, „როგორც ხალხის მხატვრული ისტორიის მემატიანე, მუსიკა წარმოადგენს სარკეს, რომელშიც რელიეფურადაა ასახული მისი შემქმნელი ერის განვლილი ცხოვრება, მისი ისტორიის სასიამოვნო და სამწუხარო ფურცლები, მისი მიღწევები და ჩამორჩენები. სიმღერა მოუსყიდველი მოსამართლე და მუდმივი თანამგზავრია სიმართლისა. მასში დაცულია ხალხის მთელი წარსული დროის თავდადება, მისი სურვილები, ტრადიცია, რომელშიც ერთ მთლიან თხრობადაა გადმოცემული ქართველი ხალხის უძველესი თაობებისა და მოვლენების დაუწერელი ისტორია, მშობლიური ხალხის თავგადასავალი."[1082]

ეპისკოპოსი კირიონი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და ბიბლიის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, მტკიცედ იცავდა ქართული ენის სიწმინდეს, რომ იგი არ დანაგვიანებულიყო უცხო სიტყვებისაგან. დღესაც, როცა უცხო სიტყვათა მოძალებით მახინჯდება ქართული ენა, აქტუალურად ჟღერს ეპისკოპოს კირიონის სიტყვები: „დედა-ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო-ქვეყნის მოღვაწენი. დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას."[1083] ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებისათვის კირიონი მოითხოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული სალექსიკონო მასალის მოძიებას, განსაკუთრებით ისეთი სიტყვების შეკრებას, რომელიც

1081 კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1998, გვ. 10.

1082 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 2.

1083 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1459, აღწ. 1, საქმე №77, ფურცელი 4.

არც ერთ ლექსიკონში არ იყო დაფიქსირებული. ამ მხრივ მან თვითონ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მსახურების დროს შეკრიბა ლექსიკური მასალა, რომელიც შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილმა „ძველი საქართველოს" მეორე ტომში გამოაქვეყნა.

კირიონი შესანიშნავი წყაროთმცოდნე იყო. მისი ნაშრომები მდიდარ დოკუმენტურ მასალებს ემყარება, რომელიც მოიძია მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, კამენეც-პოდოლსკის, კიევის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს არქივებსა და ეკლესია-მონასტრებში. კირიონს კარგად ესმოდა წერილობითი წყაროების მნიშვნელობა და სამართლიანად აღნიშნავდა: „არქივი არის სამართლიანი მემატიანე... მისი პირით ღაღადებს ჭეშმარიტება. არქივის თვალით გვიცქერიან ჩვენ ჩვენი წინაპრები და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავავლოთ ჩვენ მათ მოქმედებას და ღვაწლს."[1084] ასეთი დიდი დანიშნულების გამო კირიონი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა არქივების დაცვასა და მოვლა-პატრონობას. საქართველოს არქივების ისტორიას მან საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა.

ეპისკოპოს კირიონის ნაშრომებიდან აღსანიშნავია დავით გარეჯელის, აბო თბილელის, დავით აღმაშენებლის, ანტონ მარტყოფელის, წმ. ნინოს და სხვათა მიმართ მიძღვნილი ნაშრომები. მან, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა, არამარტო პრაქტიკული საქმიანობით, არამედ სამეცნიერო მოღვაწეობითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართველი საზოგადოების მიერ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების კანონიერების დასაბუთებაში. მეტად საინტერესოა მისი პოლემიკური წერილები დეკანოზ იოანე ვოსტორგოვისა და მისი მსგავსი ანტიქართველების წინაღმდეგ მიმართული. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1906 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის სპეციალურ სხდომებზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე ეპისკოპოს კირიონის მიერ წაკითხული ოთხი მოხსენება. ეპისკოპოს კირიონის გამოსვლას მოწინააღმდეგებზეც კი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.[1085] ეპისკოპოსი კირიონი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო XIX საუკუნის ავტოკეფალიაგაუქმებული საქრთველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების შესწავლით. მან ამ საკითხს მიუძღვნა რუსულ ენაზე მონოგრაფია საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია („Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие"), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და დღემდე აღნიშნულ საკითხზე ერთადერთ განმაზოგადებელ ნაშრომს წარმოადგენს. მეტად საინტერესოა ოსეთის სასულიერო კომისიის, თბილისის სასულიერო სემინარიის და გორის სასულიერო სასწავლებლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, რომლებიც მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ემყარება. აქტუალობით

1084 ვ. გურგენიძე, წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, წიგნი II, 1997, გვ. 109.

1085 ე. ბუბულაშვილი, კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიიდან, ანალები, №2, 2000, გვ. 40.

გამოირჩევა კირიონის წერილები აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, სადაც იგი 1906 წელს სოხუმის კათედრას განაგებდა. ეპისკოპოს კირიონის გამოუქვეყნებელი ნაშრომებიდან ყურადღებას იმსახურებს გაიოზ რექტორისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, რომელიც ასტრახანის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და სხვა არქივებში დაცულ წყაროებს ემყარება.

ეპისკოპოს კირიონის ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1910 წელს რუსულ ენაზე გამოცემული გამოკვლევა „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში," რომელიც მან გადასახლებაში დაწერა. ქართული და რუსული წყაროების შეჯერებით კირიონმა დაასკვნა, რომ რუსული მატიანეები ქართული წყაროების გათვალისწინებით არის შემუშავებულიო. ამ საკითხის გარდა ნაშრომში ბევრი პრობლემაა დასმული. ნაშრომის გამოცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მასზე აზრი გამოთქვეს აკადემიკოსმა ა. შახმატოვმა და პოლონელმა მკვლევარმა ივ. კოზლოვსკიმ. მათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვეს საკითხი მეცნიერულად შეესწავლათ ეპისკოპოს კირიონის მოსაზრებები. სამწუხაროდ, არც იმ დროს და არც შემდეგ ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. თვით კირიონი თავისი შრომის შესახებ წერდა: „დამოკიდებულება რუსული მწერლობისა ჩვენისგან ცხადია, ძველი მწერლობის ნიმუშები (მატიანე, პატერიკი), სიტყვები და ასე განსაჯეთ ხალხური სიმღერაც კი ბევრი აქვთ ჩვენგან ნასესხები. აი ცნობილი სიმღერა „Эй дубинушка ухнем," როგორ ემსგავსება ჩვენს „მუმლი მუხასაო. ...ასეთი მაგალითები ბევრი მოიძებნება. მე მიკვირს მხოლოდ თუ რატომ აქამდე არ მიაქციეს ამ თვალსაჩინო გარემოებას ყურადღება. მე ჩემს შრომაში დეტალები არ შემიმუშავებია, რადგან ეს მეცნიერთა საქმეა. მე მხოლოდ ზოგადად გამოვსთქვი ის, რაზეც შემდეგ ანგარიში უნდა გაუწიონ." ანალოგიური ხასიათისაა ეპისკოპოს კირიონის დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომი კიევ-პეჩორის მამათა ცხოვრების შესახებ, სადც იგი აღნიშნავს, რომ ამ ცხოვრების ავტორს შიომღვიმის მონასტერში შექმნილი მამათა ცხოვრება გამოუყენებია. ეპისკოპოს კირიონს თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მოჰყავს კიევ-პეჩორის მონასტრისა და შიომღვიმის მამათა ცხოვრების ტექსტები და ერთმანეთს უდარებს.[1086]

ეპისკოპოსი კირიონი დიდად ზრუნავდა ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე, რითაც მომავალ საქართველოს ახალ სამეცნიერო კადრებს უმზადებდა. მისი ხელსეწყობით რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთისა და საზღვარგარეთის სასწავლებლებში. ნესტორ ლეჟავა (შემდგომ მიტროპოლიტი ნაზარი), ალექსი გიორგაძე (შემდგომ ეპისკოპოსი), სამოელ ცომაია, კორნელი კეკელიძე და სხვები კირიონის სტიპენდიატები იყვნენ. მატერიალურ შემწეობასთან ერთად კირიონი მათი სულიერი მეგობარი და ჭირისუფალი იყო. მადლიერების ნიშნად კორნელი კეკელიძემ თავისი პირველი ნაშრომი ეპისკოპოს კირიონს მიუძღვნა.[1087]

1086 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1459, აღწ. 1, საქმე №17, ფურცელი 9.

1087 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1459, აღწ. 1, საქმე №17, ფურცელი 9.

აღსანიშნავია, რომ კირიონის ნაშრომების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა დაწერილი, მიზანი ნათელი იყო – რუსეთი და ევროპა მისი შრომებით უნდა გაცნობოდა საქართველოს მდიდარ წარსულს. მისი ჩანაფიქრი გამართლდა. მან თავისი ნაშრომებით დიდად გაითქვა სახელი რუსეთსა და ევროპაში.

კირიონი, როგორც სიძველეთა მკვლევარი, რუსეთის სამეცნიერო წრეებში კარგად იყო ცნობილი. მის ღვაწლს ისინი დიდად აფასებდნენ. სამეცნიერო წრეების კეთილგანწყობილების გამოხატულება იყო, რომ ეპისკოპოსი კირიონი 1897-1899 წლებში აირჩიეს „საღვთისმეტყველო ენციკლოპედიის," მოსკოვისა და კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებული არქეოლოგირი საზოგადოების წევრად. მას აგრეთვე აქტიური სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ მკვლევარებთან. გარდა აღნიშნულისა, კირიონის სამეცნიერო დანიშნულება კარგადაა გამოხატული სტუდენტ მაქსიმე ბერძნიშვილის (შემდგომ ცნობილი მკვლევარ-ისტორიკოსი) მოგონებაში, რომელმაც 1914 წელს ხერსონში მოინახულა ექსორიობაში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი. კითხვაზე, კვლავ აგრძელებდა თუ არა გადასახლებაში მყოფი კირიონი სამეცნიერო მოღვაწეობას, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, როგორც მაქსიმე ბერძნიშვილი გადმოგვცემს, „ხალისით გაბრწყინდა სახე მოხუცებული ეპისკოპოსისა. ეტყობა, რომ ეს მწერლობა ერთადერთი ნუგეში გამართობელი რამ არის ექსორიად ქმნილი ქართველისათვის." თვითმხილველის ამ მონათხრობში რელური სინამდვილეა ასახული, მაგრამ კირიონისათვის თავისი ქვეყნის წარსულის გაცოცხლება უბრალოდ გართობის საშუალებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შორსმიმავალ, მიზანმიმართულ საქმეს ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც იგი ხერსონში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ეპარქიის ხელმძღვანელი იყო ქართველი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, რომლის შესახებ კირიონი ამბობდა: „მე ქართველობისათვის დამსაჯეს, ის კი დღეს თითქმის უარყოფს თავის ქართველობას."[1088] კირიონის შემოქმედებითი მოღვაწეობა, წმინდა მეცნიერული ღირებულებების გარდა, რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკის წყალობით გადაგვარებული დიმიტრი აბაშიძის მსგავს ქართველებში ჩაკლული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ისახავდა მიზნად.

კირიონ საძაგლიშვილს მიაჩნდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კვლევის მაღალ აკადემიურ დონეზე წარმათვისათვის პეტერბურგის სასულიერო კადემიაში უნდა დაასებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა. მან აღნიშნული საკითხი დააყენა თავის ნაშრომში „Назревший вопрос." კირიონის აღნიშნილი მოსაზრების საფუძველზე 1901 წელს რუსეთის უწმინდეს სინოდს წარედგინა მოხსენება. აღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა კომისია ცნობილი რუსი სწავლულების მიერ. მათ მოიწონეს აღნიშნული საკითხი, მაგრამ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის კათედის ნაცვლად გაიხსნა აღმოსავლურ ეკლესიათა კათედრა, რომელიც საქართველოს ეკლესიის საკითხებსაც შეისწავლიდა.

1088 გაზეთი „სახალხო გაზეთი," 20, 1914.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან ყურადსაღებია 1910 წელს რომში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის მიხეილ თამარაშვილის ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე," რომლის ქართული გამოცემა განხორციელდა საკმაო გვიან, 1995 წელს. მრავალრიცხოვან ქართულ და უცხოურ წყაროებზე დამყარებული აღნიშნული ნაშრომი საინტერესოდ გადმოგვცემს საქართველოს ეკლესიის ისტორიას მოციქულთა მოღვაწეობიდან XX საუკუნის პირველი ათეულის ჩათვლით. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ეგზარქოსობის დროს არსებული ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიის საინტერესო საკითხების წარმოჩენას, ბრძოლას ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და სხვა. მართალია დღევანდელი გადასახედიდან ნაშრომში არსებული მოსაზრებები შეიძლება მოძველებული ანდა მიუღებელი იყოს, მაგრამ მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ავტორისეული ზოგიერთი დაკვირვება დღესაც გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას.[1089]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განმაზოგადებელი ნაშრომებიდან აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის მიერ 1918 წელს ქუთაისის გამოქვეყნებული „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის ისტორია," რომელიც მართალია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ გამოქვეყნდა, მაგრამ აღნიშნული შრომა მანამდეა დაწერილი. ნაშრომში საქართველოს ეკლესიის წარსული წარმოჩენილია პირველი საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით.




მიხეილ თამარაშვილი
(1858-1911)

აგრეთვე აღსანიშნავია ამავე, 1918 წელს ევსევი ნიკოლაძის მიერ გამოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის პირველ ოცეულის, კერძოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ჩათვლით. აღნიშნული ნაშრომები მართალია, თანამედროვე ისტორიოგრაფიულ მოთხოვნებს შეიძლება ვერ აკმაყოფი-

1089 ე. ბუბულაშვილი, მიხეილ თამარაშვილი – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 104; შდრ. ზ. ალექსიძე, ჯ. ოდიშელი, წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის წიგნში: მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 8.

1090 ე. ბუბულაშვილი, ღვაწლი დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძისა, სამი საუნჯე, 2, (12), 2014, გვ. 70-83.

ლებდეს, ზოგიერთი მათი შეხედულებანი შეიძლება აგრეთვე მოძველებული მოგვეჩვენოს, ან მათ ნააზრევში გარკვეული უზუსტობებიც შეინიშნებოდეს, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც საყურადღებოა, რადგან ისინი ქართული ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენენ.



მელიტონ კელენჯერიძე (1864-1942)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებით უცხოელი მკვლევარებიც დაინტერესდნენ. XX საუკუნის დასაწყისში რომში იტალიურ ენაზე ჟურნალ „ვისარიონში" ავრელიო პალიერმა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა საქრთველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მას კონსულტაციას უწევდა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი. უცხოეთში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია 1912 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე ანგლიკანი მღვდელმთავრის თ. ე. დოულინგის მიერ გამოცემული 137 გვერდიანი საქართველოს ეკლესიის ისტორია. აღნიშნული შრომა, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან 1912 წლამდე, ორიგინალობით არ გამოირჩევა. იგი ძირითადად პლატონ იოსელიანის ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნულ სოლომონ სიზარ მალანისეულ ინგლისურ თარგმანს ეყრდნობა. ნაშრომს ღირსებას მატებს ის, რომ მასში ქვეყნდება XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისაღდგენისშესახებრამდენიმესაინტერესოდოკუმენტურიმასალები.[1091]

დასასრულს დასკვნის სახით დავძენთ, რომ ეგზარქოსობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული შრომების მიზანი იყო, ერთ მხრივ, ქართველ ხალხს არ დაევიწყებინა ეგზარქოსობის დროს ყურადღების გარეშე დარჩენილი თავისი ქვეყნის წარსული, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელი იყო მეცნიერულად მყარ საფუძველზე გააზრებულიყო მისი შესწავლა.

1091 თ. სახოკია, „საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვა," შედგენილი მღვდელმთავრის დაულინგის (Dowling) მიერ. ლონდონი, 1912 წ., ფასი 2 1/2 შილინგი (ექვსი აბაზი), გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1913, 823, 15 თებერვალი, გვ. 2-3; შდრ. ე. ბუბულაშვილი, დიდი ბრიტანეთის საზოგადოება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (XIX საუკუნის 60-იანი – XX საუკუნის 20-იანი წლები), გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, III, 2005, გვ. 100; შდრ. ე. ბუბულაშვილი, მიხეილ თამარაშვილი – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 92.

§4. საკლესიო ჟურნალისტიკა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეგზარქოსოსა და მასზე დაქვემდებარებულ ეპარქიებს არ გააჩნდა თავისი პერიოდული გამოცემა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გამოქვეყნებულიყო რუსეთის უწმინდესი სინოდისა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებები, აგრეთვე მასში ასახულიყო საქართველოს საეგზარქოსოს სარწმუნოებრივი ცხოვრება. მაშინ, როცა რუსეთში არსებულ ყოველ ეპარქიას ჰქონდა თავისი პერიოდული გამოცემები „ეპარქიალური უწყებების" სახელწოდებით. საქართველოს სასულიერო უწყება აშკარად გრძნობდა პერიოდული გამოცემის აუცილებლობას. ზოგიერთი ეგზარქოსი რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან მოითხოვდა რუსეთში არსებული ეპარქიების მსგავსად საქართველოს საეგზარქოსოს ბაზაზე დაარსებულიყო ასეთი სახის გამოცემა. ფინანსიური თანხებისა და სხვადასხვა მომიზეზებით სასულიერო უწყება ვერ უზრუნველყოფდა საქართველოს საეგზარქოსოს სახელით სასულიერო პერიოდიკის გამოცემას.

აღსანიშნავია, რომ სასულიერო ხასიათის პერიოდული გამოცემის დაარსების სურვილი კერძო პირების ინიციატივით განხორციელდა. XIX საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისში დეკანოზმა გიორგი ხელიძემ სასულიერო ჟურნალის დაარსების მოთხოვნით დახმარებისათვის მიმართა საქართველოს ეგზარქოს ევსევი ილინსკის (1858-1877), რომელმაც მოიწონა აღნიშნული გადაწყვეტილება და უმაღლეს სასულიერო უწყებასთან შეთანხმებით ნება დართო გამოეცა სასულიერ ხასიათის ჟურნალი სახელწოდებით „საქართველოს სასულიერო მახარებელი." ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1864 წლის ივლისში. იგი გამოდიოდა თვეში ერთხელ ქართულ ენაზე, მაგრამ მას ჰქონდა რუსული დამატება სახელწოდებით „Прибавления на русском языке к „Грузинский Духовный вестник," რომელშიც რუსულ ენაზე ქვეყნდებოდა ჟურნალის ქართულ ვარიანტში გამოქვეყნებული მასალები. ქართული და რუსული ჟურნალები სტამბურად ერთად იყო აკინძული. ჟურნალი ფინანსდებოდა ხელისმომწერთა და შემომწირველთა გზით. ჟურნალის ხელისმოწერა ხდებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. წლიურად ხელისმომწერთათვის მისი ფასი იყო ხუთი მანეთი. ჟურნალში გამოსაქვეყნებელი წერილები მკაცრი ცენზურის შემდეგ იბეჭდებოდა. 1864-1868 წლებში გამომავალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი" ითვლება პირველ ქართულ საღვთისმეტყველო და საეკლესიო ჟურნალად. თავდაპირველად იგი იბეჭდებოდა თბილისში ა. ენფიანჯიანისა და ამხანაგობის სტამბაში, ხოლო 1865 წლიდან მელიქოვის სტამბაში.[1092] „საქართველოს სასულიერო მახარებელი" 1864-1868 წლებში გამოდიოდა. მართალია, წინასწარ განზრახული იყო თვეში ერთი ნომრის გამოცემა, მაგრამ მისი გამოცემის პერიოდულობა წლების მიხედვით არათანმიმდევრული იყო. 1864 წელს გამოიცა ექვსი ნომერი; 1865 წელს – თორმეტი;

1092 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1941, გვ. 20; შდრ. А. Абрамишвили, Грузинская периодика: каталог грузинской периодики, (1819-1917), Тб., 1968. стр. 82.



დეკანოზი გიორგი
(ხელიძე, 1827-1914)

1866 წელს – ათი; 1867 წელს – სამი; 1868 წელს შვიდი ნომერი.[1093] ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო დეკანოზი, ღვთისმეტყველების მაგისტრი გიორგი ხელიძე (1827-1914), რომელმაც საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

დეკანოზი გიორგი ლაზარეს ძე ხელიძე სასულიერო წრიდან იყო გამოსული. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1853 წელს კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ გიორგი ხელიძე დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებელის ინსპექტორად. შემდეგ ასრულებდა ზედამხედველის მოვალეობას ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1861 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა წმინდა წერილს და ასრულებდა ჯერ ინსპექტორის თანაშემწის, შემდეგ კი ინსპექტორის მოვალეობას, საქართველოს ეგზარქოსის მთავარეპისკოპოს ევსევის თანხმობით დროებით საღმრთო სჯულს ასწავლიდა თბილისის რეალურ გიმნაზიაში. 1874 წელს იგი გადაიყვანეს საღმრთო სჯულის პედაგოგად თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. 25 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ საკუთარი სურვილით გათავისუფლდა თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგის თანამდებობისგან. ერთხანს დეკანოზი გიორგი ხელიძე ქუთაისის საკათედრო ტაძრის მღვდლად მსახურობდა, პარალელურად იყო იმ კომისიის წევრი, რომლიც სწავლობდა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებისა და სასულიერო პირების საშტატო მდგომარეობას. გარდა ამისა, იგი იყო საქართველოს (ქართლ-კახეთი) ეპარქიის მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების კომიტეტის წევრი, რომელიც იხილავდა და მოიძიებდა საპენსიო კაპიტალს ხელმოკლე შტატგარეშე სასულიერო პირებისა და ობლების დახმარებისათვის. საქართველოს ეგზარქოსის წარდგინებით დეკანოზი გიორგი ხელიძე აირჩიეს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" კომიტეტის წევრად. XIX საუკუნის 80-იან წლებში იგი კურირებდა და თვალყურს ადევნებდა სხვადასხვა სასულიერო სასწავლებელში მიმდინარე სწავლების პროცესს. დეკანოზი გიორგი ხელიძე ქართული ბიბლიის გადახედვის კომიტეტის რედაქტორის მოადგილის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა, ქართულ სახარებას უდარებდა ბერძნულს,

1093 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1941, გვ. 5-6; შდრ. დ. კარიჭაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქართული მწერლობა, 1929, №6-7, გვ. 154; შდრ; Кирион Садзаглишвили, Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за стольетие, Тиф., 1901.

საჭიროების შემთხვევაში შეჰქონდა შესწორება, მსგავსი სამუშაო გასწია საეკლესიო – საღვთისმეტყველო წიგნების შედარებისას. იგი იყო ქადაგებათა და ქართულ ენაზე გამოცემული რელიგიური შინაარსის წიგნების ცენზორი, თვალყურს ადევნებდა მართლმადიდებლური კატეხიზმოს გამოცემას.

დეკანოზმა გიორგი ხელიძემ საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი სტატია გამოქვეყნა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბეში" („Духовный Вестник Грузинского Экзархата"), რომლის რედაქტორის მოვალეობას იგი 1891 წელს ასრულებდა.

კეთილსინდისიერი მოღვაწეობის გამო დეკანოზ გიორგი ხელიძის მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა, დაჯილდოვებული იყო ენქერით და წმ. ანას II ხარისხის, წმ. ვლადიმერის III და IV ხარისხის ორდენით, ქართული ბიბლიის შემსწორებელ კომისიაში მოღვაწეობის გამო რუსეთის იმპერატორის მიერ ოქროს სამკერდე ჯვრით და სხვა.

დეკანოზი გიორგი ხელიძე გარდაიცვალა 1914 წლის აგვისტოში, დაკრძალეს 5 აგვისტოს მამა დავითის ეკლესიის გალავანში, წესი აუგო ეპისკოპოსმა ანტონ გიორგაძემ და არქიმანდრიტმა პიროს ოქროპირიძემ.[1094] დეკანოზ გიორგი ხელიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში აღნიშნულია: „გიმნაზიისა და სემინარიის მოსწავლეთა შეფასებით ის მათ ასწავლიდა არა მხოლოდ საღმრთო სჯულს, არამედ არ აკლებდა აღზრდას და მაგალითს აძლევდა თავისი მკაცრი ქრისტიანული ცხოვრებით. ბევრი მისი მოსწავლე გახდა სასულიერო პირი და დღესაც ემსახურება ეკლესიასა და საზოგადოებას."[1095]

„საქართველოს სასულიერო მახარებელის" გამოცემის აუცილებლობაზე, მისი როლისა და დანიშნულების შესახებ ჟურნალის პირველი ნომრის შესავალში რედაქტორი დეკანოზი გიორგი ხელიძე აღნიშნავდა: „უეჭველია, რომ ჟურნალი სასულიერო წიგნებისა და თხზულებების კითხვა ძალიან საჭირო და აუცილებელი საქმე არის მართლმადიდებელთა საზოგადოებაში; ცხადია ესეც, რომ ამ ჩვენს დროებაში აღმოჩნდა დიდი მოთხოვნილება და საჭიროება ხალხისათვის ესრეთი წიგნების კითხვისა. დაკმაყოფილება ამა მოთხოვნილებისა და განღვიძება ხალხში სასულიერო წიგნების კითხვის ხალხისა არის მოვალეობა მწყემსთა და მოძღვართა ეკლესიისათა. ეს არის იმათი საღმრთო და სამარადისო ზრუნვა და ვალი." რედაქტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას ემსახურება ეპარქიებში გამოცემული „სასულიერო უწყებანი" და სარწმუნოების საკითხზე გამოცემული სხვადასხვა ლიტერატურა. რედაქტორის მითითებით, ასეთი გამოცემებს მოკლებული იყო ქართველი მკითხველი, რის გამოც „საჭიროება ამისი ცხადად სჩანს. საქართველოს ხალხს აქუს თავისი საკუთარი ხასიათი, თავისი ჩვეულება და თავისი საჭიროება." ბევრმა ქართველმა არ იცის რუსული ენა, „ქართულ ენაზედ ამ დროებაში არ იპოვება ქრისტეს სარწმუნოების და კეთილზნეობის მასწავლებელი წიგნი, გინა თხ-

1094 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 57, 6 აგვისტო, 1914.

1095 „Вестник Грузинского Экзархата," №16, 1914, стр. 284-286.

ზულება, შესაფერი დროებისა და გასაგონი ხალხისა. მართალია განათლებულ პირთა ძველისა საქართველოჲსა დაგვიტევეს ჩუენ მრავალნი ესრეთი წერილნი, მაგრამ იგინი თითქმის არაოდეს არ იყვნენ დაბეჭდილნი განსამრავლებლად და ადვილ სახმარად საზოგადოებაში."[1096]

თბილისის განათლებულმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა რედაქტორის განზრახვას ჟურნალის გამოცემის შესახებ, რაც გამოიხატა იმაში, რომ გამოსვლისთანავე სასულიერო პირებთან ერთად ჟურნალი გამოიწერა საერო პირებმაც. რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ ჟურნალის გავრცელების გეოგრაფიული არეალი გაიზარდა. თბილისის გარდა ჟურნალი ვრცელდებოდა თელავში, გორში, სიღნაღში, ანანურში, ახალციხეში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, სამურზაყანოში, ფოთში, ოზურგეთში, დერბენდში, ერევანში, არდონში, ვლადიკავკაზში, პეტროვსკში და სხვა. პირველ წელს ჟურნალის ხელმომწერთა რაოდენობა შეადგენდა 388 პირს, საიდანაც ფულადი სახით შემოვიდა 1767 მანეთი ვერცხლით. შემდგომ წლებში ხელმომწერთა რიცხვი გაიზარდა. საქართველოს საეგზარქოსოს გადაწყვეტილებით სასულიერო პირებისათვის მისი გამოწერა აუცილებელი გახდა. ჟურნალის რედაქტორი მადლობას უხდიდა ხელისმომწერებს და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჟურნალის გამოცემის დროს „ნივთიერი სარგებლობა ჩუენის შრომისათვის ფიქრშიაც არ მოგვივა, ჩუენი მიზანი არის კეთილშობილური, ხალხში ფეხი მოიკიდოს კეთილზნეობამ და სარწმუნოებამ, მაგრამ მისი გამოცემა ფულის გარეშე შეუძლებელია."

ჟურნალის გამოცემას საზოგადოების ერთი ნაწილი და სასულიერო პირები მოწონებით შეხვდნენ. 1864 წლის აგვისტოს ნომერში ჟურნალში გამოქვეყნდა ეროვნებით რუსი სასულიერო პირის, დეკანოზ სტეფანე გუმილევსკის წერილი რედაქტორისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „კეთილმსახური განზრახვა და სურვილი თქუენი ღირსი არს მიბაძვისა, მწყემსობრივი ღვაწლი და მოქმედება თქუენი ყოვლითურთ გონიერ არს. თქუენი „სასულიერო მახარებელი" – საქმე კეთილია." იგი გამოთქვამს იმედს, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ჟურნალის გამოცემას მხარს დაუჭერს და შეეწევა ფინანსიურად. დეკანოზი სტეფანე გუმილევსკი მადლობას უხდის რედაქტორს ჟურნალის რუსულენოვანი გამოცემისათვის, გამოთქვამს სინანულს და ნატრობს, რომ ქართული ენა ისწავლოს, თარგმნის გარეშე შეძლოს ქართულად მისი წაკითხვა. „მე მიყვარს სამღვდელოება საქართველოისა – წერს იგი – ჭეშმარიტითა სიყვარულითა და პატივს ვცემ მას, რომელსა თვითცა ვეკუთნი ანუ ვაკუთნი თავსა ჩემსა და ამისათვის მოგიძღვნი მე ყოველთა მათთაგან გულითადესა მადლობასა შრომისა თქუენისათვის."[1097] 1866 წელს ჟურნალმა გამოაქვეყნა ნინა ამილახვრის მადლობის წერილი და გამოთქვა ვარაუდი, რომ ახალი გამოცემა დიდ როლს შესრულებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებაში.[1098]

1096 საქართველოს სასულიერო მახარებელი, №1, 1864, გვ. III

1097 საქართველოს სასულიერო მახარებელი, №1, 1864, გვ. 110.

1098 საქართველოს სასულიერო მახარებელი, №1, 1866, გვ. 199.

ჟურნალის გამოცემის გამო აღტაცებას გამოხატავდა სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებიც. 1864 წლის 2 ოქტომბერს ქუთაისიდან სომეხთა მრევლის სახელით მღვდელი ტერ დავით იარალოვი რედაქტორს წერდა: „ჩვენ, ვართ მცხოვრები საქართველოს მიწაზედ და ნაცნობი საქართველოს მამულისა, მივიღებთ მონაწილეობას დიდის თავგანწირულობით ამა საზოგადოდ გამოსადეგს საქმეში, ამისათვის წარმოგიგზავნით ჟამითი ჟამად სტატიებს სხვადასხვა საგანთა ზედა და უფრო განსაკუთრებით, რომელნიც შეეხებიან საქართველოს მეზობელს სასომხეთის ქვეყანასა, ქადაგეგებს და მოთხრობებს."[1099]

ჟურნალის ენობრივი სტილი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის სალიტერატურო ენას შეესაბამებოდა. მასში გამოქვეყნებული წერილები ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ძველი ქართული ენით იყო დაწერილი. თუმცა რედაქტორი ცდილობდა იგი დაეახლოვებინა იმ ენასთან, რა ენაზეც მოსახლეობა მეტყველებდა.

ჟურნალში ქვეყნდებოდა სტატიები საღმრთო წერილიდან – ძველი და ახალი აღთქმის ამბები; საღმრთო ისტორია ყმაწვილებისათვის; საეკლესიო ისტორიის ამბები; საღმრთო ლიტურგიკისა და ლოცვების განმარტებები; ცნობები ქართველ წმინდანებზე, გამოქვეყნდა დავით გარეჯელის ცხოვრება, შიომღვიმის მონასტერში დაცული მამათა ცხოვრებიდან დაიბეჭდა ილარიონ ქართველის ცხოვრება; საქართველოს ეკლესია-მონასტრების ისტორია და მათი აღწერა, მათ შორის აღსანიშნავია იოანე ნათლისმცემლის, შუამთისა და ქვათახევის მონასტრების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; საეკლესიო სიწმინდეების, ხატების შესახებ მასალები; სასულიერო ხასიათის ლექსები და მოთხრობები; სასულიერო განათლების შესახებ ინფორმაციები; წერილები ქართველი სამღვდელოების შესახებ და სხვა.

ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ სასულიერო პირები და საეკლესიო საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება, მაგალითად იოანე ბერძენოვი (ბერძენიშვილი), რომელსაც ჟურნალში სხვადასხვა ხასიათის წერილები აქვს დაბეჭდილი. ჟურნალში საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული დავით აღმაშენებლის შესახებ, რომლის ავტორია დეკანოზი გიორგი ხელიძე. ყურადღებას იქცევს ი. სულხანოვი (სულხანიშვილი) სტატია დავით და კონსტანტინე მხეიძეების შესახებ. საყურადღებოა ჟურნალში გამოქვეყნებული იმ დროს იღუმენის, შემდგომ კი ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის აფხაზეთში მოგზაურობის ამსახველი წერილი. ჟურნალში აგრეთვე დაიბეჭდა დავით აღმაშენებელის „გალობანი სინანულისანი," ამბროსი ნეკრესელის ბიოგრაფია და მისი ქადაგებები და სხვა. ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდა მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი. ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა პერიფერიაში მოღვაწე სასულიერო პირებისა და მკითხველთა წერილები. მეტად საინტერესოა სწავლა-განათლებისა და ზნეობის შესახებ არსებული სტატიები და სხვა.

1099 საქართველოს სასულიერო მახარებელი, №1, 1864, გვ. 131.

ჟურნალი დიდი ადგილს უთმობდა და აქვეყნებდა რუსული ენიდან თარგმნილ სასულიერო ხასიათის ლიტერატურას, რომელთა შორის აღსანიშნავია „შობა მარიამ ღვთისმშობლისა," ა. რუდაკოვის „ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია," „ჰსწავლა ლოცვისათვის უფლისა," განმარტებები საღვთისმსახურო ლიტერატურისა, განმარტებულია სამოციქულო, ტიპიკონი და სხვა.

ჟურნალში აგრეთვე იბეჭდებოდა საერო და სასულიერო უზენაესი მთავრობის განკარგულებები და გადაწყვეტილებები. აგრეთვე საინტერესოა მარხვისა და ლოცვის შესახებ არსებული განმარტებები და სხვა.

ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი" ფინანსიური სიძნელეების გამო დაიხურა 1868 წელს.

„საქართველოს სასულიერო მახარებლის" დახურვის შემდეგ, 14 წლის მანძილზე საქართველოში აღარ გამოსულა სასულიერო ხასიათის ჟურნალი. ამ ხნის მანძილზე ქართველი სამღვდელოება მოკლებული იყო პერიოდულ ორგანოს. არადა მასზე დიდი მოთხოვნილება იყო.

ახალი სასულიერო მიმართულების ჟურნალის დაარსების იდეა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა. დაბა ყვირილაში (ზესტაფონი) მოღვაწე დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ (1842-1910) სასულიერო ხასიათის პერიოდული ორგანოს „მწყემსის" დაარსების მიზნით, 1882 წელს თხოვნით მიმართა იმერეთის ეპარქიის მმართველს წმ. გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსს. ამ უკანასკნელმა აღნიშნული თხოვნა მიართვა ახლადდანიშნულ საქართველოს ეგზარქოსს პავლე ლებედევს (1882-1887). ეგზარქოსმა მოიწონა ქართველ სასულიერო პირთა გადაწყვეტილება სასულიერო პერიოდიკის დაარსების შესახებ. იგი რუსეთის უწმინდეს სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ეპარქიებში არ არსებობდა პერიოდული გამოცემა, რის გამოც აქაური სამღვდელოება მოკლებული იყო ინფორმაციას სასულიერო სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ. მისი აზრით, სასულიერო გამოცემის დაარსება ხელს შეუწყობდა სახელმწიფოს განკარგულებების გავცელებას, ადგილობრივი სასულიერო პირებში ცოდნის დონის ამაღლებას, საეკლესიო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და სხვა. პავლე ეგზარქოსი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ გაზეთი „მწყემსი" ქართული ენის გარდა გამოიცემოდა რუსულ ენაზე „Пастыр"-ის სახელწოდებით, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა რუსი სამღვდელოების დაახლოებას ქართველ ხალხთან. აღნიშნუ-



დეკანოზი დავითი
(ღამბაშიძე, 1840-1910)

ლიდან გამომდინარე ეგზაქოსი „მწყემსის" ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემას სასარგებლო საქმედ მიიჩნევდა, რომელიც უნდა გამოეწერა საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში მოსამსახურე ქართველ და რუს სამღვდელოებას.[1100]

პავლე ეგზარქოსის თანხმობით და რუსეთის უწმინდეს სინოდის 1883 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ იმავე წლის 30 ოქტომბერს დაბეჭდა ჟურნალ „მწყემსის" პირველი ნომერი. ჟურნალის გამოცემის მთელი სიმძიმე დავით ღამბაშიძეს აწვა კისერზე. იგი იყო ჟურნალის კორესპოდენტი, ასოთამწყობი, დამკაბადონებელი, კორექტორი, გამსაღებელი და რაც მთავარია დამფინანსებელიც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირებიდან განსაკუთრებით საინტერესოა დეკანოზ დავით ღამბაშიძის მოღვაწეობა. იგი დაიბადა 1840 წლის 12 ოქტომბერს შოროპნის მაზრის დაბა ყვირილაში (ზესტაფონი) სასულიერო პირის ბესარიონის ოჯახში.[1101] მისი ნათლობის სახელი ყოფილა დარისპანი, მაგრამ, როგორც მისი ვაჟი ვახტანგ ღამბაშიძე გადმოგვცემს, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს ეს სახელი წარმართულად მიუჩნევიათ და მისთვის დაურქმევიათ დავითი.[1102] თვით დავითის გადმოცემით, რატომ გადარქვეს სახელი მისთვის უცნობია.[1103] პირველდაწყებითი განათლება დავით ღამბაშიძემ ოჯახში მიიღო. აქვე იგი ბებიის დახმარებით ეზიარა საღმრთო რჯულს, ლოცვებს და ქრისტიანული სიწმინდებისადმი მოწიწებას.[1104] 1855 წლიდან დავით ღამბაშიძე სწავლობს ქუთაისში სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ, მას სურდა სამედიცინო განათლების მიღება, მაგრამ ქუთაისში ჩასულს ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს მისთვის, როგორც განათლებული პიროვნებისათვის, სასულიერო პირად კურთხევა შეუთავაზებია. იგი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმებულა. დეკანოზი დავით ღამბაშიძე დაქორწინებული იყო გურანდუხტ ყაზბეგზე, რომლის დედა ელენე მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი ყოფილა. დაქორწინების შემდეგ გურანდუხტის ნაცვლად მას ოლღა შეარქვეს.[1105]

ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის კურთხევით თავდაპირველად დავით ღამბაშიძე ფუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. შემდგომ 1868 წელს დაინიშნა შორაპნის ოლქის მთავარხუცესად. სხვადასხვა დროს (1868-1887 წლებში) მსახურობდა შროშისა და ცხრაწყაროს

1100 Грузинский Экзархат в 1884, Ответь представленный Святешему Синоду членом онаго, превосвященным Павлом, архиепископом Карталинским и Кахетинским, Экзархом Грузии, стр. 26.

1101 დავით ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, ჟურნალი „მწყემსი," №12, გვ. 8.

1102 ვ. ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, თბ., 2018, გვ. 130.

1103 დავით ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, ჟურნალი „მწყემსი," №12, გვ. 8.

1104 დავით ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, ჟურნალი „მწყემსი," №15-16, გვ. 6-7.

1105 ვ. ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, თბ., 2018, გვ. 130.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში. 1887 წელს დაინიშნა ყვირილას (ზესტაფონი) წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და დეკანოზის წოდება მიენიჭა. ნაყოფიერი სასულიერო მოღვაწეობის გამო იგი დაჯილდოებული იყო წმინდა ანას II ხარისხის და წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენებით.

ვახტანგ ღამბაშიძის გადმოცემით, მამამისს, დეკანოზ დავითს დაბა ყვირილაში აუშენებია ორი ეკლესია, წმ. დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის ეკლესიის აშენებაში (1896 წელი) მას დახმარებია ჭიათურის შავი ქვის მრეწველი და ქველმოქმედი გედევან ჩუბინიძე. ამავე ეკლესიაში მას გაუხსნია სკოლა, სადაც ქართულ ენაზე თვითონ ასწავლიდა საღმრთო რჯულს, რის გამოც მას დაუპირისპირდა კავკასიის ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი (1878-1901), რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ დეკანოზ დავით ღამბაშიძეს საღმრთო რჯული რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინა, რაზეც მან უარი განაცხადა: „ქართველ ბავშვებისათვის რუსულ ენაზე საღმრთო სჯულის სწავლება არათუ შეუძლებელია, არამედ პირდაპირ ცოდვაა და ამისთვის თავს ვანებებო."[1106] აღნიშნული პროტესტით მან ხმა აღიმაღლა რუსულ ენაზე საღმრთო სჯულის სწავლების წინააღმდეგ, პროტესტის ნიშნად დავით ღამბაშიძემ მასწავლებლობას დაანება თავი და მთელი თავისი საქმიანობა სასულიერო მოღვაწეობას დაუთმო. იგი მოსახლეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მთელ ზემო იმერეთში დავით ღამბაშიძე „დიდი დეკანოზის" სახელით იყო ცნობილი.

დეკანოზი დავით ღამბაშიძე 1910 წლის 21 დეკემბერს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალეს 30 დეკემბერს ზესტაფონში. ქართველმა საზოგადოებამ დიდი პატივი მიაგო განსვენებულის ხსოვნას. მის დაკრძალვას მრევლთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამღვდელოება დაესწრო. პროცესიას მიუძღოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი); გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ლეონიდე ეპისკოპოსმა, სასულიერო პირებმა: ნიკიტა თალაკვაძემ, „შინაური საქმეების" რედაქტორმა სიმონ მჭედლიძემ, კონსტანტინე ანთაძემ, კირილე კელენჯერიძემ, გიორგი ბაკურაძემ, ბესარიონ ვაშაძემ და სხვებმა. ავადმყოფობის გამო დასაფლავებას ვერ დაესწრო აკაკი წერეთელი. მისი სამძიმრის წერილი საგანგებოთ იქნა წაკითხული. სამღვდელოება თავის დაუვიწყარ მოძღვარს ხელით მიასვენებდა. პროცესიას მიყვებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, ქართლ-კახეთიდან, გურია-სამეგრელოდან ჩამოსულ სამღვდელოებასთან ერთად საერო პირებიც.

ჟურნალი „მწყემსი" გამოდიოდა პროვინციაში ზესტაფონში, მაშინდელ დაბა ყვირილაში, სადაც ცხოვრობდა და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე. ჟურნალი იბეჭდებოდა ჯერ ქუთაისის ზედგენიძის სწრაფმბეჭდ სტამბაში. 1886 წელს, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ დაბა ყვირილაში თავისი ხარჯებით დააარსა „მწყემსის" გამომცემლობა, გამართა

1106 ვ. ღამბაშიძე, ჩემი თაეგადასავალი, თბ., 2018, გვ. 130.

სტამბა და 1887 წლიდან 1910 წლამდე ამ სტამბაში ხდებოდა აღნიშნულ ჟურნალთან ერთად რელიგიური ხასიათის წიგნების ბეჭდვა.[1107]

ჟურნალი არ წარმოადგენდა საქართველოს საეგზარქოსოსა და იმერეთის ეპარქიის ოფიციალურ ორგანოს. იგი იყო კერძო, დამოუკიდებელი გამოცემა. როგორც დეკანოზი დავით ღამბაშიძე გადმოგვცემს, 1883 წელს თბილისის სემინარიის რექტორს მისაელს (კრილოვი; 1883-1886) გასჩენია სურვილი, რომ ჟურნალი „მწყემსი" საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალური ორგანო გამხდარიყო. მას დეკანოზ დავით ღამბაშიძისათვის შეუთავაზებია, რომ ჟურნალის რედაქცია თბილისში განთავსებულიყო, რუსული განყოფილების რედაქტორი მისაელი იქნებოდა, ხოლო ქართულის – დეკანოზი დავით ღამბაშიძე. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი „მწყემსის" რედაქტორისაგან მოითხოვდა ჟურნალის შინაარსისა და ფორმატის შეცვლას. დეკანოზი დავით ღამბაშიძე შემოთავაზებულ წინადადებას არ დათანხმდა.[1108]

„მწყემსს" აწერია, რომ არის გაზეთი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან თავისი ფორმატით, გვერდების რაოდენობით და სტრუქტურით იგი ჟურნალს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ XIX-XX საუკუნის პირველ ოცეულში ყველა პერიოდული გამოცემა გაზეთის სახელით მოიხსენიება. ჩანს, რომ ამ დროისათვის „გაზეთი" პერიოდული გამოცემის ზოგადი სახელწოდება იყო.

ჟურნალ „მწყემსის" გვერდების რაოდენობა შეადგენდა 16 გვერდს, თუმცა ზოგიერთი ნომერი 12 გვერდს მოიცავს. ჟურნალი თვეში გამოდიოდა ორჯერ, წელიწადში იბეჭდებოდა ოცდაოთხი ნომერი. ჟურნალს დეკანოზი დავით ღამბაშიძე საკუთარი სახსრებით თვითონ აფინანსებდა. ძირითადი შემოსავალი შემოდიოდა შემომწირველებისაგან და ჟურნალის ხელმომწერთა მიღებული თანხიდან. ჟურნალს იწერდა ეპარქიის სამღვდელოება და ინტელიგენციის ნაწილი (მასწავლებლები, ექიმები, მოსამართლეები და სხვა), მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. 1883 წელს დაარსების დროს ჟურნალის გამომწერი ყოფილა 120 პიროვნება, შემდგომ მისი რიცხვი თანდათან გაიზარდა; 1884 წელს – 450; 1885 წელს – 600; 1890 წლისათვის – 960. ქართული გამოცემა თავის ხარჯს ფარავდა, მაგრამ რუსული გამოცემა, რომლის დასაბეჭდად წლიურად 1000 მანეთი იყო საჭირო, ვერ ანაზღაურებდა ხარჯებს, დანაკლისის შევსება ხდებოდა ქართული ჟურნალიდან შემოსული თანხებით. გარდა ამისა, „მწყემსის" რამდენიმე ათეულ ეგზემპლიარს დავით ღამბაშიძე უფასოდ გზავნიდა პერიფერიებში, ქართველებით დასახლებულ რუსეთის სხვადასხვა მხარეში. „მწყემსის" ნომრები უფასოდ ეგზავნებოდა ციხეში პატიმრებს და შორეულ სახალინზე კატორღაში მყოფ ქართველ ტუსაღებს.[1109]

ხელისმომწერებს ჟურნალი შეღავათიან ფასად ეგზავნებოდათ. ხელმომწერთათვის ერთი წლის ფასი ფოსტის ხარჯებთან ერთად შეადგენდა ხუთ

1107 ქართული პერიოდიკა 1819-1945, შედგენილი გ. ბაქარაძის მიერ, თბ., 1947, 9; შდრ. დ. კარიჭაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქართული მწერლობა, 1929, №6-7, გვ. 154.

1108 ჟურნალი „მწყემსი," 1903 №20, გვ. 3.

1109 ჟურნალი „მწყემსი," 1897 №6, გვ. 6.

მანეთს, ნახევარი წლით – სამ მანეთს. გამოწერის გარეშე ერთი ჟურნალის ფასი იყო 20 კაპიკი.[1110] ხელისმომწერთა წახალისების მიზნით რედაქცია მათ ფოსტით ჟურნალთან ერთად უფასოდ უგზავნიდა „მწყემსის" გამომცემლობაში დაბეჭდილ რელიგიური ხასიათის წიგნებსა და ქართველ წმინდანთა ხატებს. ჟურნალის გამოცემას XIX საუკუნის ბოლოდან და XX საუკუნის დასაწყისიდან ფინანსურ დახმარებას უწევდა რედაქტორ-გამომცემელის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის ვაჟი, ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, რომელსაც კერძო სამკურნალო დაწესებულებები გააჩნდა.

რუსულენოვანი მკითხველისათვის 1885 წელს დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ ჟურნალ „მწყემსთან" ერთად დაიწყო რუსულ ენაზე მეორე ჟურნალის გამოცემა „Пастырь"-ის (მწყემსი) სახელწოდებით. იგი ფაქტიურად წარმოადგენდა ქართული ჟურნალის „მწყემსის" დუბლიკატს. თუმცა ზოგჯერ მასში იბეჭდებოდა ისეთი სტატიებიც, რომელიც ქართულ ენაზე „მწყემსში" არ გამოქვეყნებულა. ქართული გამოცემის მსგავსად „Пастырь"-ი გამოდიოდა თვეში ორჯერ. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო დეკანოზი დავით ღამბაშიძე. 1903 წელს „Пастырь"-ი უსასხსრობის გამო დაიხურა.[1111]

1885 წლიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მოთხოვნით ქართლ-კახეთის სამღვდელოება ვალდებული იყო გამოეწერათ ჟურნალი „მწყემსი" და რუსული გამოცემა „Пастырь," სამაგიეროდ ჟუნალის რედაქცია ვალდებული იყო რუსულ და ქართულ ენებზე გამოექვეყნებინა მთავრობის ოფიციალური გადაწყვეტილებები. ჟურნალის რედაქცია აღნიშნულ მოთხოვნას ასრულებდა, მაგრამ სასულიერო პირთა სიღარიბის გამო მათი დიდი ნაწილი ჟურნალის გამოწერას ვერ ახერხებდა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დავით ღამბაშიძე აღნიშნავდა, რომ ჟურნალის მიზანია „შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესი საერო და სასულიერო მმართველობისა, კონსისტორიათა და მღვდელმთავართა; გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილზნეობისა და სარქმუნოებისა; აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მოვალეობის აღსრულებისათვის."[1112] დასახული მიზნიდან გამომდინარე ჟურნალის რედაქტორი აღნიშნავდა: „ჩვენ არ დავზოგავთ „მწყემსის" აღორძინებისა და რიგიანად წაყვანისათვის არც გონებას და არც სიცოცხლეს." ჟურნალის გამოცემის ხუთი წლის შემდეგ დეკანოზი დავით ღამბაშიძე წერ-

1110 ჟურნალი „მწყემსი," №,1, 1883, გვ. 3.

1111 გ. ბაქრაძე ქართული პერიოდიკა 1819-1945, შედგენილი გ. ბაქრაძის მიერ, თბ., 1947, გვ. 9.

1112 ჟურნალი „მწყემსი," №, 1 1889.

და: „ეს სიტყვები ჩვენ ყოველთვის სახეში გვქონდა."[1113] და მართლაც ჟურნალის რედაქტორს არ დაუზოგავს ძალა და ენერგია, რომ მკითხველისათვის მისი ჟურნალები ცოცხალი მემატიანე ყოფილიყო.

რუსული გამოცემის დანიშნულება თითქმის იგივე იყო, რაც ქართული გამოცემისა. გარდა ამისა, რუსული გამოცემის მიზანი იყო: 1. „შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო „მწყემსში" დაბეჭდილი სტატიებისა; 2. გააცნოს რუსეთის საერო და სასულიერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას."[1114]

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ჟურნალის რედაქტორმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ დიდი მუშაობა გასწია. ჟურნალი „მწყემსი" მკითხველთა მიერ სასულიერო ხასიათის პოპულარული გამოცემად იქცა.

ჟურნალის ოფიციალურ გვერდზე ქვეყნდებოდა იმპერატორის, რუსეთის უწმინდესი სინოდისა და საქართველოს საეგზარქოსოს ბრძანებები და განკარგულებები; ბრძანებები სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ. საქართველოს ეგზარქოსის ანგარიშები ეპარქიების მონახულების შესახებ. ჟურნალი აშუქებდა როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოთა კრებას, ბეჭდავდა ამ კრებებზე მიღებულ ანგარიშებს. მასში გამოქვეყნებული მასალები ასახავდა საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში მიმდინარე ამბებს, რუსეთის სხვადასხვა ეპარქიებში მომხდარ საინტერესო მოვლენებს და სხვა.

ჟურნალის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, წმინდა თეოლოგიურ საკითხებთან ერთად ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ისტორიის საკითხებს.[1115]

ჟურნალი ოპერატიულად ეხმაურებოდა ჩვენი ერისათვის საჭირბოროტო საკითხებს. ჟურნალში იბეჭდებოდა პუბლიკაციები საქართველოს სამღვდელოების შესახებ; ახალი ამბები და შენიშვნები; სასულიერო პირთა წერილები სარწმუნოების სხვადასხვა საკითხებზე: აღსარებაზე, ზიარებაზე, მარხვის მნიშვნელობის, მიცვალებულის გაპატიოსნების და სხვათა შესახებ.

მართალია, ჟურნალი დასავლეთ საქართველოში გამოდიოდა, მაგრამ იგი აგრეთვე აშუქებდა კავკასიის ადმინისტრაციის ფარგლებში მომხდარ ამბებს. დიდი ყურადღება ექცეოდა საერო და სასულიერო განათლების საკითხების გაშუქებას, საეკლესიო ცხოვრების, სამღვდელოების და სხვათა შესახებ, ჟურნალში ქვეყნდებოდა ქართველ წმინდანთა ცხოვრება და გამოჩენილ საერო პირთა მოღვაწეობის შესახებ ამსახველი მასალები. ცალკე

1113 ჟურნალი „მწყემსი," №, 1888.

1114 ჟურნალი „მწყემსი," № 1, 1889, გვ. 5; შდრ. Пастыр, 1885, №1-2.

1115 ო. გვეტაძე, ნარკვევები სასულიერო პერიოდიკის ისტორიიდან (გაზეთი „მწყემსი" 1886-1893 წელი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ქუთაისი, 2010.

ადგილი ეთმობოდა სასულიერო პირთა, უმთავრესად ქართველი მღვდელმთავრების ქადაგებების გამოქვეყნებას. ჟურნალში დაბეჭდილია ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ხასიათის დარიგებანი. გარკვეული ადგილი ეთმობა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ხასიათის წერილებს. ჟურნალში აგრეთვე გამოქვეყნებულია ლექსები, მოთხრობები, გამოჩენილ საერო და სასულიერო პირთა ნეკროლოგები. ჟურნალში აგრეთვე იბეჭდებოდა წერილები სასოფლო სამეურნეო საქმიანობის, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის შესახებ და სხვა.

აღნიშნული პუბლიკაციების გამოქვეყნებით ჟურნალი მიზნად ისახავდა საერო და სასულიერო პირთა განათლებას.

თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ჟურნალში არ იბეჭდებოდა უცხოეთის პოლიტიკური ამბები. უცხოეთის ამბების გაშუქების დროს ძირითადი ადგილი ეთმობოდა მხოლოდ რელიგიურ თემებს.

ჟურნალი ყურადღებას აქცევდა სამღვდელოების პირობების გაუმჯობესებას, საეკლესიო-სამრევლო სკოლების საკითხების გაშუქებას, მოზარდი თაობის აღზრდას. ჟურნალში საინტერესო წერილებია გამოქვეყნებული საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს ისტორიის შესახებ. ჟურნალში აგრეთვე მოცემულია ეკლესია-მონასტრების ისტორია, აღწერილია იქ დაცული სიწმინდეები და სხვა.

XIX საუკუნის 90-იან წლებიდან ჟურნალი გამოდიოდა დასურათებით, წარმოდგენილი იყო ტაძრების, საეკლესიო სიწმინდეების სურათები, სასულიერო პირთა პორტრეტები, ხედები და სხვა. მართალია ჟურნალის დასურათებით სტამბის ხარჯები გაიზარდა, მაგრამ მკითხველთა და ხელისმომწერთა შენარჩუნების მიზნით ჟურნალის ფასი არ გაზრდილა.

მეტად მრავალფეროვანი იყო ჟურნალის კორესპოდენტები. ჟურნალში ქვეყნდებოდა გაბრიელ ეპისკოპოსიის ქადაგებები, კირიონის, ლეონიდეს, ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძის, საერო პირების და სხვათა წერილები.

ჟურნალში ქვეყნდებოდა ახლად დანიშნული საქართველოს ეგზარქოსების ბიოგრაფიები.

სათანადო ადგილი ეთმობოდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოები" მოღვაწეობის ჩვენებას.

ცალკე რუბრიკა ჰქონდა დათმობილი სასულიერო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებულ სიტუაციის გაშუქებას. ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა წერილები სასულიერო პირთა დაბალი განათლების შესახებ. მათი ავტორები ხშირად შენიღბულად მიუთითებდნენ იმ მიზეზებზე, თუ რა მიზეზებით იყო გამოწვეული საგანმანათლებლო სისტემის დაბალი დონე.

ჟურნალი, როგორც აღვნიშნეთ, პროვინციაში, ზესტაფონში გამოდიოდა, მაგრამ მასში მარტო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრება კი არ იყო ასახული, არამედ მიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა აღმოსავლეთ საქართველოს სარწმუნოებრივი ვითარების ჩვენებასაც.

ჟურნალი რეაქციის პერიოდში (XIX საუკუნის 80-იანი წლები) ქართველთა ინტერესებს შეუპოვრად იცავდა. თუმცა, მისი რედაქტორი დავით ღამბაშიძე, ზოგჯერ გარკვეულ დათმობაზე მიდიოდა, რომ მთავრობას ჟურნალის დახურვის მიზეზი არ მისცემოდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია რედაქტორის დამოკიდებულება 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის პავლე ჩუდეცკის მკვლელობის ამბების გაშუქებასთან დაკავშირებით. ჟურნალმა მომხდარი ფაქტი უზნეობად მიიჩნია, მაგრამ დახურვის შიშით რედაქტორმა ვერ მიუთითა იმ მიზეზებზე, რამაც იოსებ ლაღიაშვილი მკვლელად აქცია. ჟურნალმა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა პავლე ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს პავლე ეგზარქოსიის წარმოთქმული სიტყვა. ჟურნალის მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული მასალები გვიჩვენებს, რომ რედაქცია შეგნებულად არ ჩაუღრმავდა მომხდარ ფაქტს. შემდგომ ნომრებში ჟურნალმა დაწვრილებით გამოაქვეყნა იოსებ ლაღიაშვილის სასამართლოს სხდომის ოქმები. ჟურნალი აგრეთვე, ეტყობა დახურვის შიშით, ვერ გამოეხმაურა დიმიტრი ყიფიანის დაპატიმრებისა და ეგზარქოს პავლეს საქციელს, რომელმაც ქართველი ერი შეაჩვენა. მაგრამ, როცა 1887 წელს სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლეს, ამ ფაქტს საინტერესო კორესპონდენციები მიუძღვნა.[1116]

ამისდამიუხედავად დავით ღამბაშიძე ხშირად არ უშინდებოდა მთავრობის განკარგულებას და აკრძალულ მასალებსაც აქვეყნებდა. 1894 წელს ჟურნალ „Пастырь"-ში მან დაიწყო გამოქვეყნება კალისტრატე ცინცაძის ნაშრომის „Автокефалия Грузинской церкви." ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა, რადგან ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სხენებაც კი არ შეიძლეობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაშინდელი საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირი ამ წერილების გამო აღშფოთებულა და დაუყოვნებლივ მოუთხოვია კალისტრატე ცინცაძის წერილების ბეჭდვის შეწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალის დახურვით და რედაქტორის დაპატიმრებით იმუქრებოდა.[1117] დავით ღამბაშიძემ ხსენებული ნაშრომის ბეჭდვა შეწყვიტა, მაგრამ უკვე გამოქვეყნებულმა მასალამ, როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს „...სტიმული მისცა ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის."[1118]

დეკანოზი დავით ღამბაშიძე სარწმუნოებრივი და პატრიოტული გრძნობის ამაღლების მიზნით „მწყემსის" რედაქციის სახელით ხშირად აქვეყნებდა ქართველი წმინდანებისა და ქართველ მეფეთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილ პატარა წიგნაკებს. სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საინტერესო ცნობებს შეიცავდა, მის მიერ ვაზისა და ხეხილის ბაღების მოვლისა და მავნებელი მწერების წინააღმდეგ შესახებ ლიტერატურის გამოცემა და სხვა.

1116 ჟურნალი „მწყემსი," № 6, 7, 8, 1887.

1117 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 39.

1118 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 39; შდრ. ნ. პაპუაშვილი, კალისტრატე ცინცაზის ცხოვრება და მოღვაწეობა, კრებული მრავალთავი, XIII, თბ., 1986, გვ. 103.

ჟურნალი „მწყემსი" და მისი რედაქტორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მკითხველთა შორის. ამ უკანასკნელთა დაჟინებული მოთხოვნით ჟურნალში ხშირად ქვეყნდებოდა სამადლობელ წერილები.

ჟურნალმა განსაკუთრებული გააქტიურება დაიწყო 1905-1906 წლების რევოლუციის დროს. ჟურნალი მხარს უჭერდა ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობას. აქვეყნებდა ქართველ სასულიერო პირთა საეკლესიო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ავტოკეფალიის მოთხოვნით მიმართულს ხელისუფლების საერო და სასულიერო უმაღლესი მმართველი ორგანოების მიმართ. ჟურნალი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად ბეჭდავდა საერო და სასულიერო პირთა წერილებს და სხვა.

ჟურნალმა გაუძლო რეაქციის ხანას, 1907-1910 წლებში რეპრესიების მიუხედავად იგი არ დახურულა. ჟურნალი „მწყემსი" დაიხურა 1910 წლის დეკემბერში რედაქტორ-გამომცემლის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის გარდაცვალების გამო. ჟურნალის ბოლო მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე ნომერი 2 დეკემბერს გამოვიდა. დეკანოზ დავით ღამბაშიძის შვილს, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, სურდა ჟურნალის გამოცემის გაგრძელება, მაგრამ ვერ შეძლო.

დავით ღამბაშიძის მიერ დაარსებულმა ჟურნალებმა დიდი როლი შეასრულა ქართველ სასულიერო პირებსა და მრევლში ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში. ამასთანავე, მის ფურცლებზე ფეხი აიდგეს მომავალმა სასულიერო პირებმა. მათ შორის – კირიონ საძაგლიშვილმა, კალისტრატე ცინცაძემ, ამბროსი ხელაიამ და სხვებმა. დასახელებული სასულიერო პირები თერგდალეულთა იდეებზე იყვნენ აღზრდილნი და თავიანთი პაქტიკული საქმიანობით მათი იდეების განხორციელებას უწყობდნენ ხელს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს საეგზარქოსოს არ გააჩნდა თავისი პერიოდული ოფიციალური გამოცემა. ამის გამო ისინი რუსეთის უწმინდესი სინოდის ანდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით უგზავნიდნენ ადრესატებს. განსაკუთრებით ჭირდა სასულიერო სასწავლებლებისადმი მიმართული გადაწყვეტილებების გავრცელება. აღნიშნულის გამო, საქართველოს საეგზარქოსო და შესაბამისად ზოგიერთი მაღალი რანგის მოხელე აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა ოფიციალური პერიოდული ჟურნალის გამოცემას. იყო მცდელობა უმაღლესი სასულიერო უწყების გადაწყვეტილებები ცალკე წიგნად დაებეჭდათ და ამ გზით მომხდარიყო მისი გავრცელება, მაგრამ ვერც მისი გამოცემა განხორციელდა.[1119]

ოფიციალური სასულიერო ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა აქტუალური გახდა XIX საუკუნის 70-იან წლებიდან. თითქმის ყველა საქართველოს ეგზარქოსი მოითხოვდა მის გამოცემას, მაგრამ როცა საქმე ნებართვის აღებაზე მიდგებოდა, მაშინვე წყდებოდა ამ საკითხზე მსჯელობა. რუსეთის უმაღლესი სასულიერო უწყება თავს იკავებდა მის დაარსებაზე, თუმცა მიზეზებს არ ასახელებდა.[1120]

1119 ჟურნალი „მწყემსი," №13-14, 1892.

1120 ჟურნალი „მწყემსი," №21, 1890, გვ. 6.

1873 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის შემოწმების მიზნით რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოვლინებულმა რევიზორმა სერგეი ვასილის ძე კერსკიმ პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ უმაღლესი სასულიერო უწყებაში წარდგენილ მოხსენებაში აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია საქართველოს საეგზარქოსოს გრიფით ოფიციალური პერიოდული გამოცემის დაარსება. სერგეი კერსკის მოსაზრება არ გაიზიარეს, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ამ ეტაპზე ნაადრევად მიიჩნია ასეთი ჟურნალის გამოცემა.

ეგზარქოსმა პალადი რაევმა (1887-1892) მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა ახალი ჟურნალის გამოსაცემად. ამ მიზნით მან დახმარებისათვის მიმართა ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორს, დეკანოზ დავით ღამბაშიძეს და სთხოვა ჟურნალი „მწყემსის" გამოცემა თბილისში გადასულიყო და იგი ეპარქიალურ გამოცემად გადაეკეთებინა. დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ ეგზარქოსის შემოთავაზებაზე უარი განაცხდა იმ მოტივით, რომ ჟურნალ „მწყემსის" მიმართულება და დანიშნულება საგრძნობლად შეიცვლებოდა, რადგან მასში მხოლოდ საქართველოს სასულიერო მთავრობის ნებართვით ის მასალები დაიბეჭდებოდა, რომელიც მათთვის მისაღები იქნებოდა.[1121]

ეგზარქოს პალადის წინადადებით, 1888 წლის 19 თებერვალს გამართულმა აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიასთან უნდა დაასებულიყო პერიოდული გამოცემა ამავე სასწავლებლის რექტორის რედაქტორობით. თბილისის სასულიერო სემინარიის მაშინდელმა რექტორმა, არქიმანდრიტმა პაისმა (ვინოგრადოვი; 1886-1889) აღნიშნული გადაწყვეტილება წერილობით აცნობა დეკანოზ დავით ღამბაშიძეს და აღნიშნა, რომ იგი იმ შემთხვევაში გახდებოდა ახალი გამოცემის რედაქტორი, თუ კი ახალი გამოცემაში ითანამშრომლებდა და მონაწილეობას მიიღებდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე. არქიმანდრიტ პაისის მიხედვით, ჟურნალი უნდა გამოცემულიყო ორ კვირაში ერთხელ რუსულ ენაზე, რომელსაც ბოლოში დართული ექნებოდა ოთხ-ხუთ გვერდიანი ქართული ტექსტი თარგმნილი რუსული ენიდან. დეკანოზი დავით ღამბაშიძე მოითხოვდა ჟურნალის ქართული და რუსული ვარიანტების ცალ-ცალკე გამოცემას. მიუხედავად დიდი მცდელობისა 1888 წელს ოფიციალური პერიოდული ჟურნალი ვერ გამოიცა.[1122]

1890 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა პალადი რაევმა რუსეთის უწმინდეს სინოდს წარუდგინა ახალი ჟურნალის დაარსების პროგრამა, იმავე წლის 7 ნოემბერს სინოდის წარდგინებით აღნიშნული მოთხოვნა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ დაამტკიცა. ამ გადაწყვეტილებით თბილისის სასულიერო სემინარიასთან დაარსდა საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალური გამოცემა, რომელიც 1891-1906 წლებში „Духовный вестник Грузинского Экзархата" (საქართველოს საეგზრქოსოს სასულიერო მოამბე); 1907-1917 წლებში „Вестник Грузинского

1121 ჟურნალი „მწყემსი," №21, 1890, გვ. 6.

1122 ჟურნალი „მწყემსი," №21, 1890, გვ. 6.

Экзархата" (საქართველოს საეგზარქოსოს მოამბე); 1917 წლის №15/16-20 ნომრები „Вестник Кавказского Экзархата" (კავკასიის საგზარქოსოს მოამბე) სახელით გამოდიოდა.

„საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე" რუსულ ენაზე გამოდიოდა. თუმცა ჟურნალში ქართულ ტექსტს ორი-სამი გვერდი ეკავა. ქართული ტექსტი რუსული ტექსტების თარგმანს წარმოადგენდა. ჟურნალი გამოდიოდა თვეში ორჯერ, წელიწადში ოცდაოთხი ნომერი. ჟურნალი იყო წიგნის ფორმატის, შედგებოდა ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილისაგან. ოფიციალური ნაწილი „Духовный вестник Грузинского Экзархата" (საქართველოს საეგზრქოსოს სასულიერო მოამბე) შეადგენდა ოც გვერდს, ხოლო დამატებასთან („Прибавления к "Духовному вестнику Грузинского Экзархата") ერთად ორმოცდარვა გვერდს. 1910-1917 წლებში გამომავალი „Вестник Грузинского Экзархата" გამოდიოდა თვეში ორჯერ, გვერდების რაოდენობა იყო თორმეტი. 1891-1905 წლებში ჟურნალი იბეჭდებოდა თბილისში ექვთიმე ხელაძის მსწრაფლმბეჭდ სტამბაში, 1905-1906 წლებში ა. ქუთათელაძის, 1910-1916 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის, ხოლო 1917 წელს ამირკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სტამბაში.[1123]

საქართველოს საეგზარქოსოს განკარგულებით მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა ეკლესია და სასულიერო პირი ვალდებული იყო ჟურნალი გამოეწერა. თუკი რომელიმე სასულიერო პირს სიღარიბის გამო არ შეეძლო ჟურნალის გამოწერა, მაშინ გამოწერის თანხა ეკლესიის შემოსავლიდან უნდა გადახდილიყო. ამ გზით ჟურნალის წლიური შემოსავალი შეადგენდა ექვსიათას მანეთს.[1124]

ჟურნალის რედაქტორებად თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორები ან ამავე სასწავლებლის ინსპექტორები ინიშნებოდნენ. სხვადასხვა დროს ამ თანამდებობას იკავებდნენ არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ზიოროვი 1891 წლის № 1-8), დეკანოზი გიორგი ხელიძე (1891 წლის № 9-19), არქიმანდრიტი ტიხონი (მოროშკინი 1891 წლის №20-24, 1893 წწ.), არქიმანდრიტი სერაფიმე (მეშჩერიაკოვი 1893-1898 წწ.), გერმოგენი (დოლგანოვი 1896, 1898-1901 წწ.), არქიმანდრიტი სტეფანე (არხალგენსკი 1901 წ.), მღვდელ-მონაზონი იოანე ვოსტორგოვი (1901-1905 წწ.), მღვდელი ნიკანდრო პოკროვსკი (1901, 1905-1906 წწ.), ი. ა. გრეკოვი (1905 წ.), საქართველო-იმერეთის სინოდალური კონტორის პროკურორი მ. გ. პოპოვი (1905-1915 წწ.), არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე 1914-1915 წწ.), ერევნის ქორ-ეპისკოპოსი ლეონტი

1123 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 503, ანან. 1, საქმე №2, ფურცელი 1-3; შდრ. გ. ბაქრაძე ქართული პერიოდიკა 1819-1945, შედგენილი გ. ბაქრაძის მიერ, თბ., 1947, გვ. 13; შდრ. დ. კარიჭაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქართული მწერლობა, 1929, №6-7, გვ. 154-155): შდრ. А. Абрамишвили, Грузинская периодически библиография, стр. 82; შდრ. Православная Богословская энциклопедия, под редакции А. Лопухина, т. 5, СПБ. 1905 стр. 130

1124 ჟურნალი „მწყემსი," №13-14, 1892, გვ. 4; დ. კარიჭაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ქართული მწერლობა, 1929, №6-7, გვ. 155-156.

(ვიმპფენი 1915 წ.), გორის ქორ-ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე 1915-1917 წწ.), ერევნის ქორ-ეპისკოპოსი დამიანე (გოვოროვი 1910 წ.), დეკანოზი ი. ორეხოვი (1917 წლის №1-6), მ. გ. პოპოვი (1917 წლის №7-8; 13-14); კავკასიის საეგზარქოსოს დაარსების შემდეგ „Вестник Кавказского Экзархата"- ს რედაქტორი იყო დეკანოზი ი. ორეხოვი.[1125]

ვინაიდან ჟურნალს თან ერთვოდა ქართული გამოცემაც, საქართველოს ეგზარქოსი რედაქტორის თანაშემწედ ნიშნავდა ქართული ენის მცოდნე განსწავლულ სამღვდელოებისა და სასულიერო სასწავლებლის პედაგოგებს. საქართველოს ეგზარქოსის მიერ ჟურნალის ცენზორებად აგრეთვე ინიშნებოდა საღვთისმეტყველო საკითხებში ღრმად განსწავლული, განათლებული სასულიერო პირები. 1891-1902 წლებში ჟურნალის ცენზორად დაინიშნა იმ დროს დეკანოზი, შემდეგ კი 1903-1905 წლებში ალავერდის ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი (1846-1918), შემდგომ წლებში ჟურნალის ცენზორები იყვნენ არქიმქნდრიტი ამფოლოქსი, ი. ა. გრეკოვი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდელი ნიკანდრ პოკროვსკი და სხვა.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1891 წლის 1 მარტს. ჟურნალის რედაქტორის მოწინავე სტატიაში დასაბუთებულია საქართველოს სამღვდელოებისა და მრევლისათვის საეკლესიო უწყებების ოფიციალური საეკლესიო გამოცემის არსებობის საჭიროება, განმარტებულია აღნიშნული გამოცემის მიზანი და მითითებულია, რომ რუსეთში არსებული ეპარქიების მსგავსად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საქართველოში ასეთი პერიოდული გამოცემის დაფუძნება. ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული იყო მისი პროგრამა.

ჟურნალში ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა უმაღლესი სასულიერო უწყებების ბრძანებები, დადგენილებები, ცირკულარები, მითითებები, სამღვდელოებისა და საქართველოს საეგზარქოსოს მსახურთა დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების შესახებ მასალები, სასულიერო პირთა დაჯილდოება, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობა და მათი ანგარიშები, თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიების, საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და ქალთა ეპარქიული სასწავლებელთა, ეპარქიული სასწავლებლების საბჭოების მიერ წარმოდგენილი მდგომარეობის შესახებ ამსახველი მასალები და სხვა.

ჟურნალის არაფიციალურ ნაწილში ქვეყნდებოდა სასულიერო პირთა ქადაგებები, სწავლებები, წმინდანთა ცხოვრებები, საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები და ნეკროლოგები, რელიგიური, ისტორიული და აღწერილობითი ხასიათის სტატიები, ნარკვევები და მოთხრობები, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო ცხოვრების ამსახველი მატიანეები, ეპარქიებიდან მოსული კორესპონდენციები, სამოძღვრო პრაქტიკის საკითხები და სხვა.

1125 . საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 503, არნ. 1, საქმე №23, ფურცელი 1-3.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ეგზარქოსების საქმიანობას, თითქმის ყოველ ნომერში დაბეჭდილი იყო მათი მოგზაურობის შესახებ ამსახველი მასალები.

ჟურნალში ძირითადად იბეჭდებოდა რუსულ გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალები. ჟურნალს მართალია ჰქონდა ოთხ-ხუთ გვერდიანი ქართული დამატება, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ კონკურენციას ვერ უწევდა ქართულ გამოცემა „მწყემსს."[1126]

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქართული მასალა ჟურნალში იშვიათად ქვეყნდებოდა, რის გამოც ქართველი მრევლი და სამღვდელოება, რომლებმაც საერთოდ ან ცუდად იცოდნენ რუსული ენა, მოკლებული იყვნენ გასცნობოდნენ ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს. გარდა ამისა, ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა ხშირად ობიექტურად არ ასახავდა ქართველი სამღვდელოების რეალურ ცხოვრებას, რის გამოც ჟურნალი ვერ სარგებლობდა მკითხველთა და სასულიერო პირთა შორის ავტორიტეტით. ჟურნალის აღნიშნული ნაკლის შესახებ XX საუკუნის დასაწყისში არაერთხელ მიუთითებდა ქართველი სამღვდელოება.[1127] ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჟურნალის მიმართა 1901-1905 წლებში, როდესაც მისი რედაქტორი იყო დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელშიც ხშირად ქართველთა შეურაცხმყოფელ წერილებს აქვეყნებდა.

ჟურნალში ძირითადი იბეჭდებოდა რუსი ავტორების კორეპოდენციები. თუმცა ჟურნალის რუსულ განყოფილებაში ხშირად ქვეყნდებოდა ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის წერილები საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქართველი წმინდანების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვათა შესახებ. ჟურნალთან აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობდნენ კალისტრატე ცინცაძე, ამბროსი ხელაია, ლეონიდე ოქროპირიძე, თედო ჟორდანია, ანტონ ნატროშვილი, სერგი გორგაძე და სხვები.

1905-1907 წლების რევოლუციურმა პროცესებმა ჟურნალის საქმიანობაზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა. 1905 წლის მარტში დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის საქართველოდან გაწვევის შემდეგ, ჟურნალის გამოცემას დროებით ხელმძღვანელობდა კომისია, რომლის წევრები იყვნენ დეკანოზი ნიკანდრ პოკროვსკი, მღვდელი ილია ჯაში, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ა. მურახოვსკი და ილია ფერაძე. დეკანოზი ნიკანდრ პოკროვსკი დაინიშნა ჟურნალის დროებით რედაქტორად, ილია ფერაძე – ქართული დამატების რედაქტორად.[1128]

1126 ჟურნალი „მწყემსი," №13-14, 1892, გვ. 4.

1127 თ. შაკიაშვილი, ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარებელი" და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 132-133.

1128 თ. შაკიაშვილი, ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარებელი" და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 133.

1905-1907 წლებში, რევოლუციის გავლენით ჟურნალში ქართული ტექსტი მოცულობა გაიზარდა. რევოლუციის აღმავლობის დროს, 1905-1906 წლებში ჟურნალში აქტიურად შუქდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები. ამ საკითხზე მეტად საინტერესოა სერგი გორგაძის, ილია ფერაძის, ანტონ ნატროშვილის, ილია ჯაშის, ნიკანდრ პოკროვსკის და სხვათა ნაშრომები. თუმცა ჟურნალში ქვეყნდებოდა ისეთი საკითხებიც, სადაც დაგმობილი იყო ქართველ სასულიერო პირთა კანონიერი მოთხოვნები ავტოკეფალის მოთხოვნის შესახებ.



ილია ფერაძე (1862-1928)

რევოლუციის მარცხის შემდეგ მართალია ჟურნალში შენარჩუნდა ქართული განყოფილება, მაგრამ მისი რაოდენობა შემცირდა, ჟურნალის სულისკვეთება სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავდა, რის გამოც ცენზურის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მასალების გამოქვეყნება იკრძალებოდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ჟურნალი გამოხატავდა და მხარს უჭერდა ხელისუფლების სულისკვეთებას და ბუნებრივია, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოს ოფიციალური ინტერესების გატარება.

1905-1906 წლებში რევოლუციის მიმდინარეობის დროს ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა და 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი სიტყვის, კრების, პრესის, სინდისის, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და სხვათა შესახებ. ამ კანონით ისარგებლეს ქართველმა სასულიერო პირებმა და დაიწყეს ზრუნვა სასულიერო პერიოდული გამოცემა დაეარსებინათ ქართულ ენაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე, რომელმაც 1906 წელს გამოსცა ყოველკვირეული ჟურნალი „სიტყვა," რომლის პირველი ნომერი გამოვიდა იმავე წლის 31 მაისს. რედაქტორ-გამომცემელი იყო იოსებ ჩიჯავაძე. იგი იბეჭდებოდა მაქსიმე ხელაძის ელექტრომბეჭდავ სტამბაში. ჟურნალი გამოდიოდა კვირაობით, მისი წლიური ფასი იყო 2 მანეთი და 50 კაპიკი თითო ნომრის ფასი შეადგენდა ხუთ კაპიკს. ჟურნალი იყიდებოდა ცალკე და აგრეთვე რიგდებოდა ხელისმოწერითაც. მისი შეძენა შესაძლებელი იყო თბილისში და პროვინციებში არსებულ წიგნის მაღაზიებში.

ჟურნალი „სიტყვის" სატიტულე ფურცელზე მითითებულია, რომ იგი არის „ყოველ-კვირეული გაზეთი." თუმცა, თავის ფორმატით, ისე როგორც „მწყემსი," პერიოდული გამოცემა „სიტყვა" ჟურნალია წიგნის ფორმის, თვეში გამოდიოდა ოთხი ნომერი, თითოეული ნომრის გვერდების რაოდენობა შეადგენდა თექვსმეტს.

ჟურნალის რედაქციის ოფიციალური განმარტებით იგი იყო ქართველი სამღვდელოების ყოველკვირეული ორგანო, ლიბერალური მიმართულების. ჟურნალის გამოცემა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებასთან ერთად საქართველოში გააქტიურდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. ამ დროს ჩამოყალიბებულ სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა მიმდინარე რევოლუციისა და მომავალი ცხოვრების შესახებ. პოლიტიკური პარტიების აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებისა და მათ შორის სამღვდელოების დაბნეულობას იწვევდა. ჟურნალი ცდილობდა სიცხადე შეეტანა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების გარკვევაში, რადგან რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა უკვე დაწყებული ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ასეთი ვითარების ფონზე 1906 წლის 31 მაისს გამოცემას იწყებს ჟურნალი „სიტყვა."

ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი იოსებ (სოსო) ჩიჯავაძე (1867-1929) დაიბადა 1867 წლის 17 სექტემბერს თბილისში, სასულიერი პირის, ნათლღების წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვრის თეოფანე იოსების ძის ოჯახში. აღნიშნული ეკლესია 1889-1883 წლებში განაახლა მღვდელმა თეოფანე ჩიჯავაძე, სადაც იგი მოღვაწეობდა და გარდაცვალების შემდეგ იქვე დაკრძალეს. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იოსებ ჩიჯავაძე 1891 წელს აკურთხეს დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 7 ივლისს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა მღვდლად დაასხა ხელი და გაამწესეს წმ. ბარბარე ეკლესიის წინამძღვრად. 1905-1907 წლების რევოლიციის დროს იგი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. მას ხელისუფლებამ ეპისკოპოს კირიონთან ერთად ბრალი დასდო 1908 წელს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში. მართალია გამოძიებამ მისი ბრალეულობა ვერ დაამტკიცა, მაგრამ მის მიმართ რეპრესიები არ შეწყვეტილა.



მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე (1867-1929)

დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, იყო ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის თანამებრძოლი და მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი. ამ ორი პიროვნების ურთიერთობის ამსახველია ის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც საარქივო მასალებმა შემოგვინახეს. იგი, როგორც ეროვნული მოღვაწე, ხელისუფლების მიერ დევნა-შევიწროვებას

განიცდიდა, მაგრამ მასში ვერ ჩაკლეს მებრძოლი სული. მის სახელს უკავშირდება პეტერბურგში 1916 წელს ქართული ტაძრის გახსნა, სადაც იგი ერთხანს მსახურობდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წლის 12 მარტი) დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „სვეტიცხოველი," რომელიც ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის ინტერესების გატარებას ემსახურებოდა. იგი ამ დროს კარის ეკლესიის წინამძღვარია, შემდეგ გადაიყვანეს ავლაბარში წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარად, რომლის აღდგენა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მამამისი სახელს უკავშირდა, სადაც იგი მღვდლად მსახურობდა. ერთხანს იგი „ცოცხალი ეკლესიის" მომდევრების გავლენას განიცდიდა, თუმცა მათ შეხედულება ბოლომდე არ იზიარებდა. გარდაიცვალა 1929 წლის 12 იანვარს, დასაფლავებულია თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის ეზოში.

ჟურნალის პირველ ნომერში რედაქტორი-გამომცემელი იოსებ ჩიჯავაძე აღნიშნავდა: „...მიზანი ამისთანა ორგანოსი არის შეიტანოს საღი შეხედულებანი თვით სამღვდელოების ფართე წრეებში თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-საეკლესიო კითხვებზე. ბევრნაირი მიმართულება და პარტიები გაჩნდნენ, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ჩვენც არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ აზრთა სხვადასხვანაირ დინებას. სამღვდელოებაში და მის შეგნებულ ნაწილის მეოხებით ხალხში მტკიცე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აზრების გავრცელებას."[1129] სამღვდელოების გარდა ჟურნალში საერო პირებსაც უფლება ეძლეოდათ თავისუფალი აზრი გამოეთქვათ. თუმცა, ჟურნალის აზრით, „თავის თავად სამღვდელოება, მიუხედავად ათასფერ გარემოებისა, დიდ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს. იმას მაინც აქვს და ექნება კიდეც გავლენა ხალხზე და ამიტომ სულ ერთი არ არის, სამღვდელოება პროგრესიულ გზის მაჩვენებელი იქნება, თუ რეგრესიულის."[1130]

ჟურნალი ეხმიანება ზუსტად ერთი წლის წინ, 1905 წლის 31 მაისს, მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით თბილისში შეკრებილი სამღვდელოების დარბევას და სიამაყით აღნიშნავს: „შარშანდელმა მაისმა თვალი აუხილა სამღვდელოებას და ცხადად დაანახა, რომ მხოლოდ თავისუფალ ეკლესიაში და მშრომელ ხალხთან მჭიდრო კავშირით შეუძლიან მას პირნათლად შეასრულონ თავისი მწყემსური მოვალეობა.."[1131] რედაქტორი გამოთქვამდა იმედს, რომ საქართველოს სამღვდელოება აქტიურად ჩაებმებოდა საზოგადოებრივი პროცესების განახლებაში და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საეკლესიო ცხოვრების გაუმჯობესებაში.

ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველი სამღვდელოება. მათ წერილებში საინტერესოდაა აღწერილი ის მძიმე მდგომარეობა, რაშიც ქართველი სამღვდელოება და მისი მრევლი იმყოფებოდა. ჟურნალში სტატიების ძირითადი ნაწილი ფსევდონიმით

1129 გაზეთი „სიტყვა," №1, 1906, გვ. 1

1130 „სიტყვა," №1, 1906, გვ. 10

1131 გაზეთი „სიტყვა," №1, 1906, გვ. 1

არის გამოქვეყნებული. თუმცა ზოგიერთი ფსევდონიმის გაშიფრვა ხერხდება. „ახუთელის" ფსევდონიმით ჟურნალში ქვეყნდებოდა მღვდელ ტროფიმე ჯოხთაბერიძის წერილები, ხოლო „ჯაჭვაძე" ფსევდონიმი იყო მღვდელ ილია შუბლაძის.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობოდა სასულიერ სასწავლებლებში შექმნილ მძიმე ვითარების ჩვენებას. საინტერესოა თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ გამოქვეყნებული წერილები. ჟურნალი აუცილებელ პირობად მიიჩნევდა, რომ სასულიერო სასწავლებლებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო, რადგან „ჩვენ გვინდა განათლება და ამისი მიღება ადვილად მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება."[1132]

ჟურნალი ხშირად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესებს. მასში იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები სახელმწიფოს სათათბიროს საქმიანობის შესახებ და სხვა.

ჟურნალი საინტერესოდ აშუქებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. მასში დაბეჭდილია ამ საკითხთან დაკავშირებული საინტერესო დოკუმენტები, კერძოდ ქართველი სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებები, ნაჩვენებია რუსეთის უწმინდესი სინოდის პოზიცია და სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალი აქვეყნებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის საერო და სასულიერო პირების საინტერესო წერილებს.

მართალია ჟურნალი „სიტყვა" მცირე ხანს არსებობდა (სულ გამოვიდა 15 ნომერი), მისი ბოლო მეთხუთმეტე ნომერი 1906 წლის სექტემბერში დაიბეჭდა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ქართველი საზოგადოებასა და სამღვდელოებაში სარწმუნოებრივი – ეროვნული გრძნობების ამაღლებაში და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვითცნობიერებაში.

1906 წლის მარტში სარწმუნოებრივი თავისუფლების კანონის გათვალისწინებით თბილისში გამოიცა ქართველ კათოლიკეთა ჟურნალი „ჯვარი ვზისა," რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ქართველი კათოლიკე პატრი დომინიკე მუღაშაშვილი-პაწაძე (1864-1911). მართალია, ჟურნალი ქართველ კათოლიკეთა ეროვნული ინტერესების გამომხატველი იყო, მაგრამ მხარს უჭერდა და დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს. ჟურნალში თავის არსებობის მანძილზე (დაიხურა 1906 წლის 24 სექტემბერს) საინტერესო წერილები ქვეყნდებოდა ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოში შექმნილი მძიმე სარწმუნოებრივი ვითარების, რუსი ეგზარქოსების აღვირახსნილ ქმედების, მათ მიერ ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვის, ძვირფასი ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების საქართველოდან გატანის შესახებ. ჟურნალში გამოქვეყნებულია საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძისა და სხვა ქართველი მართლმადიდებელ სასულიერო პირთა წერილები.

სასულიერო პერიოდიკის განვითარებაში ფასდაუდებელია 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ წმინ-

1132 . „სიტყვა," №1, 1906, გვ. 10



წმ. მონამე მღვდელი სიმონი (მჭედლიძე, 1865-1922)

დანად შერაცხული, დეკანოზ სიმონ მჭედლიძის (1865-1924) ღვაწლი. იგი დაიბადა 1865 წლის 2 თებერვალს სვირის საბლაღოჩინო ოლქის (ზესტაფონის მუციპალიტეტი) ბლაღოჩინ მიხეილ მჭედლიძის ოჯახში. ორკლასიანი სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სიმონი 1880-1883 წლებში სწავლობს თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ იგი სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გადადის, რომელიც 1888 წელს დაამთავრა.[1133] სიმონ მჭედლიძის ბიძა გახლდათ ეპისკოპოს გაბრიელის კანცელარიის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), რომელიც 1885 წლის 20 მაისს სრულიად ახალგაზრდა მოკლეს ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსიის მტრებმა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სიმონ მჭედლიძე 1889 წელს ასწავლიდა ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში. 1891 წლიდან ოჯახთან ერთად იგი ქუთაისში გადადის, სადაც დაარსა ქუთაისის გიმნაზიის პანსიონი, ხოლო 1908 წელს ოთხკლასიანი პროგიმნაზია. 1894 წლის 7 მაისს გაბრიელ ეპისკოპოსმა სიმონ მჭედლიძე აკურთხა დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 23 მაისს – მღვდლად და გაამწესეს სვირის ჯერ წმ. თომას ეკლესიაში, შემდეგ ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

სიმონ მჭედლიძე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1896-1905 წლებში იყო იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს შორაპნის განყოფილების წევრი, ხოლო 1898-1905 წლებში – შორაპნის მაზრის საეკლესიო სკოლების ზედამხედველი, 1901 წელს დაინიშნა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კურსების ზედამხედველად. 1905 წელს იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს წევრია და ამავე წელს ინიშნება იმერეთის საეპარქიო საბჭოს საქმის მწარმოებლად. 1902-1905 წლებში იყო მეოთხე თანრიგის საგამომცდელო კომისიის თავმჯდომარე. მან სოფელ ლაშეში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) ააშენა და დაარსა ორწლიანი სკოლა.[1134]

დეკანოზი სიმონ მჭედლიძე პედაგოგიურ საქმინობასთან ერთად საგანმანათლებლო მოღვაწეობას წიგნების გამოცემითაც ცდილობდა.[1135] ამ მიზ-

1133 წმიდა ახალმონამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 28-30.

1134 წმიდა ახალმონამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 33.

1135 ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბა 1627-1916, თბ., 1916, გვ. 239.

ნით მან ქუთაისში დაარსა იმერეთის „სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა," სადაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ენაზე საღვთო სჯულის, საღვთო ისტორიებისა და ღვთისმსახურების შესახებ ქართული სახელმძღვანელოების შექმნას. აღნიშნული გამომცემლობის მიზანი იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმკიცება.[1136]

საზოგადოების ფართო საგანმანათლებლო მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე მის მიერ ქუთაისში 1908-1916 წლებში დაარსებული და მისივე რედაქტორობით გამოცემული გაზეთი „შინაური საქმეები," რომელიც იყო ყოველკვირეული, თუმცა თავისი ფორმატით იგი ჟურნალს უფრო წარმოადგენს. იგი იყო 16 გვერდიანი. ბიბლოთეკებში მისი სრული კომპლექტი შემონახული არ არის. წლების მიხედვით იგი არარეგულარულად გამოიცემოდა.[1137]

დეკანოზ სიმონ მჭედლიძის მიერ დაარსებული „შინაური საქმეების" პირველი ნომერი დაიბეჭდა 1908 წლის 13 აპრილს. გაზეთის მიზანი იყო საოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა ათეისტური იდეოლოგიის მიმართ დაპირისპირება, რომლებიც ეკლესიას ათეისტური პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ. მღვდელი სიმონ მჭედლიძე „შინაური საქმეების" გამოცემით, აგრძელებდა თერგდალეულთა გზას და მიზნად ისახავდა რწმენა დაკარგული, დაბნეული და პარტიებად დაქსაქსული საზოგადოების ზნეობრივ და სულიერ აღზრდას. ქართველებისაგან დავიწყებული და უგულვებელყოფილი ქრისტეს რჯულისა და მცნებების, ქრისტიანული ზნეობის აღდგენას. გამოცემა ეკლესიას უნდა დახმარებოდა ხალხის ღვთისკენ მობრუნებაში.[1138] „შინაური საქმეები" მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულების გამოცემა იყო. მასში ხშირად იბეჭდებოდა ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც სარწმუნოებრივ პრობლემებთან დაკავშირებით, აგრეთვე სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენისა და ეროვნული საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ გამორჩეულია თვით რედაქტორის დეკანოზ სიმონ მჭედლიძის წერილები, რომელშიც იგი ამხელდა ცარიზმის ანტიქართულ საქმიანობას, მოითხოვდა სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას, გამოდიოდა საღვთო რჯულის რუსულად სწავლების წინააღმდეგ, მიაჩნდა, რომ იგი ძირს უთხრიდა „სარწმუნოებას, უკარგავდა ენას და ამუნჯებდა სამღვდელოებას, უსპობდა მწიგნობრობას, ერთი სიტყვით, სპობდა მღვდელსა და ერს შორის ცხოველ დამოკიდებულებას."[1139]

1136 ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995, გვ. 15; შდრ. წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 39.

1137 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, გვ. 32.

1138 ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995, გვ. 15; შდრ. წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 40.

1139 ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995, გვ. 15; შდრ. წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა

„შინაური საქმეები" მხარს უჭერდა და საინტერესო მასალებს აქვეყნებდა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მასში გაგრძელებების სახით დაიბეჭდა შემდგომ კი რედაქტორმა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ამავე საკითხზე გამოქვეყნდა დეკანოზ სიმონ მჭედლიძის და სხვათა საინტერესო წერილები.. ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა რუსული გაზეთებიდან გადმობეჭდილი ქართველთა დიდი გულშემატკივარის, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მხარდამჭერის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვოს საინტერესო წერილები.

„შინაურ საქმეებში" ხშირად ქვეყნდებოდა საღვთისმეტყველო საკითხებზე პოლემიკური ხასიათის წერილები, რომელთა შორის აღსანიშნავია ბერ-მონაზონ ალექსი შუშანიას პოლემიკა ცნობილ ექიმ და სოციალ-დემოკრატ ივანე გომართელს შორის სულის უკვდავების შესახებ. გამოცემაში აგრეთვე იბეჭდებოდა ლეონიდე ოქროპირიძის, კალისტრატე ცინცაძის, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის, დეკანოზ კონსტანტინე ანთაძის და სხვათა წერილები მიმდინარე პროცესებზე.

გარდა ზემოთაღნიშნული გამოცემისა სიმონ მჭედლიძის რედატორობით 1913-1915 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული კრებული „განთიადი." 1915 წლის იანვრიდან იგი ორკვირეულ გამოცემად გადაკეთდა და რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა რომანოზ ფანცხავა-ხომლელი.[1140]

ჟურნალში „განთიადი" ფართო პროფილის გამოცემა იყო. მასში ქვეყნდებოდა როგორც საღვთისმეტყველო, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები, დიდი ადგილი ეთმობოდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განხილვას და სხვა. ჟურნალის ავტორები იყვნენ ქართველი მწერლები, მეცნიერები (გალაქტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკო ლომოური, გერონტი ქიქოძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა). ჟურნალი დაიხურა 1915 წელს. ბიბლიოთეკებში მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლიარია შემორჩენილი.[1141]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საკათალიკოსოს სახელით 1917 წელს გამოიცა ჟურნალი „სვეტიცხოველი," რომლის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა. ჟურნალი იყო ყოველკვირეული. გამოცემაზე რედაქტორი მითითებული არ არის, სატიტულე ფურცელზე აღნიშნულია, რომ მას გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. ჟურნალი იბეჭდებოდა სტამბაში „ცხოვრება."

ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების აქტი, პირველ საეკლესიო კრებაზე მიღე-

---

დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 43.

1140 ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995, გვ. 15; შდრ. წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გმოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 2017, გვ. 64.

1141 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, გვ. 32.

ბული გადაწყვეტილებანი და სხვა. ჟურნალში აგრეთვე გამოქვეყნდა ახლად არჩეული კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის მიმართვები მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების, რომის პაპისა და სომეხთა კათალიკოსის მიმართ.

1918 წელს სასულიერო პირთა ჯგუფმა გამოსცა ჟურნალი „ახალი სიტყვა." მისი რედაქტორი იყო მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი და სარედაქციო კოლეგია, რომლის წევრები დასახელებული არ არიან. თუმცა მათ მიერ ყველა რწმუნება გადაცემული ჰქონდა ქრისტეფორე ციცქიშვილს. სულ გამოვიდა 13 ნომერი. ჟურნალი ოპოზიციაში ედგა საქართველოს საკათალიკოსოს, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორეს და მათ მხარდამჭერებს. ჟურნალში სტატიები ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. მათი კრიტიკის ობიექტი ძირითადად იყო კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე.

ასეთია ზოგადი სახით ეგზარქოსობის დროს საქართველოში გამომავალი სასულიერო პერიოდიკის მიმართულება. დასკვნის სახით დავძენთ, რომ ეგზარქოსობის დროს გამოცემულმა სასულიერო ხასიათის ჟურნალებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი საზოგადოებისა და განსაკუთრებით სამღვდელოების რელიგიურ – სარწმუნოებრივი გრძნობების ამაღლებაში, ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში, რის გამოც მათ ღირსეული ადგილი უნდა მიეჩინოთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

თავი VII. ქართველი საზოგადოება რუსეთის ცარიზმის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში

§1. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სამღვდელოება ქვეყნისა და სარწმუნოების სამსახურში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თერგდალეულების მსგავსად, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ქართველ სასულიერო პირთა ახალი თაობა, რომელთა უმეტეს ნაწილს უმაღლესი სასულიერო განათლება რუსეთის სასულიერო აკადემიებში ჰქონდა მიღებული, ხოლო დაწყებითი სასულიერო განათლება მათ მიიღეს საქართველოს სხვადასხვა სასულიერო სასწავლებლებსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ თაობის წარმომადგენლები იყვნენ გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, გრიგოლ დადიანი, პეტრე კონჭოშვილი, დავით ღამბაშიძე და დაბალი სასულიერო წოდების სხვა სასულიერო პირები. მათი უმეტესი ნაწილი თავისი სოციალური წარმომავლობით გლეხთა ან სასულიერო პირთა ოჯახებიდან იყო გამოსული. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემოთ ჩამოთვლილ სასულიერო პირებს მიემატნენ კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, ლეონიდე ოქროპირიძე, კალისტრატე ცინცაძე და მრავალი სხვა. მათ იმ პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა, როცა ქართულ ეკლესიას წართმეული ჰქონდა დამოუკიდებლობა და რუსეთის უწმინდესი სინოდის უბრალო დანამატს შეადგენდა. აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობა, იგი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიას წარმოადგენდა.

მძიმე იყო სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ქართველთა ხვედრი: განადგურებული ეკლესია-მონასტრები, გაუქმებული მრავალრიცხოვანი ეპარქიები, უპატრონოდ მიტოვებულ საეკლესიო განძეულობას რუსი ბიუროკრატი და სასულიერო პირები, მათ შორის ეგზარქოსები იტაცებდნენ და უცხოელებზე ჰყიდდნენ. და რაც მთავარია, ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის სლავურ საეკლესიო ენაზე დაკანონებამ ქართველ ერში რელიგიური ინდიფერენტიზმი გამოიწვია. ისინი წირვა-ლოცვაზე იშვიათად დაიარებოდნენ. საქართველოს მთიან ნაწილში წარმართობის ნიშნებმა იჩინა თავი. ქართველ ერში რწმენის დაქვეითებას მოჰყვა ზნეობის დაცემა. ხალხმა ღვთის შიში დაკარგა. რუსული სასულიერო სამინარიადამთავრებულ სასულიერო პირთა დიდი ნაწილი გაუნათლებელი იყო. ისინი არ იცნობდნენ თავიანთი ერისა და ქვეყნის წარსულს. ასეთ სასულიერო პირებს მრევლის გასაჭირი გულთან არ მიჰქონდათ. ისინი მოსახლეობაში უფრო სახელმწიფოს ბიუროკრატიულ მოხელეებად აღიქმებოდა. ამიტომ ხალხი ასეთ სასულიერო პირებს არ თანაუგრძნობდა. მათი უმეტესი ნაწილი არაქრისტიანული წესებით ცხოვრობდა და მხოლოდ მატერიალური ინტერესები ამოძრავებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა

ამხელდა ასეთ გადაგვარებულ სასულიერო პირებს. ასეთ ფონზე, მართლაც რომ ერის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამებოდა გაბრიელ ეპისკოპოსის, მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის, კირიონ საძაგლიშვილის, ამბროსი ხელაიას, გრიგოლ დადიანის, კალისტრატე ცინცაძის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის, გიორგი ხელიძის და სხვათა მოღვაწეობა, რომელთა საქმიანობა საეკლესიო ღვთისმსახურების ფარგლებს სცილდება და, რომელთა სიტყვა-ქადაგება ქართველ ერს დაკარგული რწმენის აღდგენის იმედს უნარჩუნებდა. ისინი სიტყვით თუ საქმით თავდაუზოგავად იბრძოდნენ ერში დაცემული რწმენის აღდგენისათვის და ამასთან ერთად, იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. მათ აგრეთვე, დიდი როლი შეასრულეს სიძველეთა დაცვის საქმეში, ისინი მკაცრად ილაშქრებდნენ სასწავლებლებში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ; ამხელდნენ გადაგვარებულ ანტიქართველთა საქმიანობას და სხვა. მრევლის წინაშე წარმოთქმულ ქადაგებებში ყურადღებას ამახვილებდნენ მანკიერ მხარეებზე და პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ მის აღმოფხვრას. ღარიბთა შვილების განათლებისათვის თავიანთი ხარჯით აარსებდნენ უფასო დაწყებით სასწავლებლებს და სხვა.

ქართველი სასულიერო პირები ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ თერგდალეულთა ახალ თაობასთან, იზიარებდნენ მათ შეხედულებას და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით მათი იდეების ცხოვრებაში გამტარებლები იყვნენ. თავის მხრივ, თერგდალეულებიც დიდად აფასებდნენ ქართველ სასულიერო პირებს. მათ ყოველ ახალ წამოწყებას მხარს უჭერდნენ და პერიოდული პრესის საშუალებით ქება-დიდებას ასხამდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული პატრიოტ ქართველ სასულიერო პირთა საქმიანობა იმისი დასტური იყო, რომ რუსეთის იმპერიამ ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი – ჩაეკლა ქართველებში ეროვნული სული. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოში მათ მიერ დაარსებული დაწყებითი სასულიერო სასწავლებლები და თბილისის რუსული სასულიერო სემინარია, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, იდევნებოდა მშობლიური ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლება, გამეფებული იყო ანტიქართული განწყობილება. სემინარიადამთავრებულ სტუდენტებს უჭირდათ ქართულ ენაზე საუბარი და ბუნებრივია, ასეთ სასწავლებელდამთავრებული სასულიერო პირები რუსული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული „სკოლა" გაიარა მოწინავე ქართველმა სასულიერო პირებმა, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ერისა და ქვეყნის ინტერესებს შეალიეს. არ დარჩენილა XIX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელო ფაქტიც კი, რომ ისინი არ გამოხმაურდებოდნენ და მის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სამღვდელოების ერთმა ნა-

წილმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მღვდელმთავრები გაბრიელ ქიქოძე (1825-1896) და ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907). ორივე მღვდელმთავრის ცხოვრება და მოღვაწეობა იმის დასტურია, რომ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მართალია, ისინი ბავშვობიდანვე ეზიარნენ რუსულ კულტურას და განათლებაც ამავე ენაზე მიიღეს, მაგრამ რუსიფიკატორულმა რეჟიმმა მათში ვერ ჩაკლა მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული. ორივე მღვდელმთავარი სხვა ქართველ სამღვდელოებასთან ერთად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ აქტიურად იბრძოდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი და ეროვნული უფლებების დაცვისათვის.

ამ მხრივ, გამორჩეულია გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძე) ღვაწლი, რომელმაც სათანადო სასულიერო განათლება მიიღო. იგი 1837-1839 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. შემდეგ კი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც მან სწავლაში დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. იქვე იგი დაუახლოვდა პროფ. გ. კანაევსკის, რომელმაც გერასიმე ფსკოვში გადაიყვანა და იქაურ სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. ფსკოვიდან იგი 1844 წელს პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გადავიდა. მისი დამთავრების შემდეგ, 1845 წლიდან იგი ამავე ქალაქის სასულიერო აკადემიაში სწავლობს, რომელიც მაგისტრის ხარისხით 1849 წელს დაამთავრა. მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი გერასიმე ქიქოძის ცნობიერებაში ეროვნულ თვითშეგნების გრძნობა ვერ ამოძირკვა რუსეთის იმპერიის რეაქციულმა პოლიტიკამ. პირიქით, ბავშვობაში ოჯახურ გარემოში გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი ეროვნული თვითშეგნება კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.[1142]

მაგისტრის ხარისხით პეტერბურგის სასულიერო აკადემიადამთავრებულ გერასიმე ქიქოძეს რუსეთში კარგ სამსახურს სთავაზობდნენ, რაზეც მან უარი განაცხადა. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, 1849 წლის 4 ნოემბერს იგი დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. იმავე დღეს მან ჯვარი დაიწერა მღვდელ ნიკოლოზ ვლადიკინის ქალიშვილზე მარიამზე. ახლადაქორწინებული გერასიმე ქიქოძე მეუღლესთან ერთად საქართველოში ბრუნდება. 1851 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოიღეს ფიზიკა-მათემატიკის სწავლება. სასწავლებლის საბჭოს გადაწყვეტილებით ახალგაზრდა გერასიმეს მიანდვეს ამ საგნების სწავლება. მალე მას მიანიჭეს ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორის წოდება. მანვე თბილისის სასულიერო სემინარიაში რუსეთის მასშტაბით პირველმა შექმნა ფიზიკის ლაბორატორია, სადაც იგი ცდებს ატარებდა. გერასიმე ქიქოძემ ძირფესვიანად შეცვალა სწავლებისადმი დამოკიდებულება. ზეპირი მეთოდის ნაცვლად იგი გაკვეთილის ახსნის დროს თვალსაჩინოე-

1142 ა. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, თბ., 1990, გვ. 13; შდრ. მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ტ. 1, ქუთაისი, 1913, გვ. 32.



წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი
(ქიქოძე, 1825-1896)

ბის მაგალითებს იყენებდა, რითაც სწავლება კიდევ უფრო საინტერესო გახდა. მისი სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობის დროს სტუდენტ-სემინარიელთა დონე ამაღლდა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი მოწაფე იყო შემდგომ ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ამ ორ პიროვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთმანეთის მიმართ პატივისცემა არასოდეს განელებიათ. წმ. გაბრიელ მღვდელმთავრისა და იაკობ გოგებაშვილის საქმიანობა ქვეყნისა და ეკლესიის უფლებების დაცვას ემსახურებოდა. ამიტომ იყო, რომ მათ მსგავსად XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ისინი თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესებიდან ამოდიოდნენ და თავიანთ საქმიანობას უკეთესი მომავლისათვის წარმართავდნენ. მართალია, ორივე მოღვაწე სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ, წმ. გაბრიელი გამორჩეული მღვდელმთავარი იყო, ხოლო იაკობ გოგებაშვილი ერთხანს პრაქტიკოს პედაგოგად მუშაობდა, ხოლო ხელისუფლების დევნის შემდეგ სამსახურს დაანება თავი და მთელი თავისი საქმიანობა საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიუძღვნა. ორივე მოღვაწე აქტიურად იბრძოდა რუსუფიკატორული რეჟიმისა და ცარიზმის მიერ განხორციელებული ანტისაეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ.[1143]

როგორც ცნობილია, მათი მოღვაწეობის დროს საქართველო რუსეთის განაპირა მხარეს წარმოადგენდა, ხოლო მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი წარსულისა და ტრადიციების მქონე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა. მძიმე იყო ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული შედეგები. ეს განსაკუთრებით შეეხო საეკლესიო ცხოვრებას. რუსეთის იმპერიის კანონების შესატყვისად მატერიალურად და ორგანიზაციულ-სტრუქტურული თვალსაზრისით ხელისუფლებას დაქვემდებარებული სასულიერო პირები საქართველოში რუსეთის ცარიზმის კოლონიური საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდნენ. რუსულ ენაზე სასულიერო განათლების მიღებამ, წირ-

1143 ე. ბუბულაშვილი, უცნობი ეპისტოლარული მასალები წმ. გაბრიელ (ქიქოძე) მღვდელმთავრისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობის შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, V, თბ., 2019, გვ. 84.

ვა-ლოცვის უცხო ენაზე ჩატარებამ ქართველ ხალხში რელიგიური ინდეფერენტიზმის დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

ქვეყანაში შექმნილი ასეთი მძიმე ვითარების ფონზე წმ. გაბრიელ მღვდელმთავრისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობა და ერთობლივი საქმიანობა უკეთესი მერმისის დამკვიდრებას ემსახურებოდა. ეს ურთიერთობა, როგორც მკვლევარი სიმონ სხირტლაძე აღნიშნავს: „სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დამშვენებული იყო მასწავლებლისა და მოსწავლის, აღმზრდელისა და აღზრდილის უსპეტაკესი შარავანდედით."[1144] მკვლევარის წარმოდგენილ სიტყვებში გადამეტებული არაფერი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ, როცა 1855 -1861 წლებში იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, წმ. გაბრიელ მღვდელმთავარი იმავე სასწავლებელში პედაგოგად მუშაობდა. მათ შორის ურთიერთობას სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი. წმ. გაბრიელ მღვდელმთავარი აღფრთოვანებული იყო იაკობის ბუნებრივი ნიჭით და სწავლისადმი დიდი ინტერესით. აღსანიშნავია, რომ როდესაც იაკობი 1861 წელს სწავლის გაგრძელების მიზნით კიევის სასულიერო აკადემიაში მიემგზავრებოდა, კურთხევის მისაღებად იმერეთის ეპარქიის ახლად დანიშნულ გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისში ეწვია. კიევში სწავლის დროს, სიშორის მიუხედავად, იაკობი თვალყურს ადევნებდა წმ. გაბრიელ მღვდელმთავრის მოღვაწეობას.[1145]

იაკობ გოგებაშვილმა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას საინტერესო წერილები მიუძღვნა. იაკობ გოგებაშვილის ცნობით „გაბრიელ ეპისკოპოსმა სემინარიის სწავლა-აღზრდის უვარგის სისტემაში თითქმის ერთმა პირველთაგანმა შეიტანა აქტიურობისა და შეგნებულობის პრინციპი და, რაც მთავარია, მთელი სასწავლო-საალმზრდელო პროცესი მოსწავლეებში მყარი ყურადღების აღზრდას დაუქვემდებარა: იგი თავისი აღმზრდელებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა არა ზუთხვას, არამედ სასწავლო მასალის გაცნობიერებულ შეთვისებას."[1146] როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს, გაბრიელი მარტივი ენით უხსნიდა მოსწავლეებს ახალ მასალას, შემდეგ კი რამდენჯერმე ამეორებინებდა.[1147] ამ გზით იგი უპირისპირდებოდა სემინარიაში მანამდე გამეფებულ დაზუთხვის მეთოდს.

გერასიმე 1854 წელს პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება ინსპექტორისა და რექტორის თანაშემწის თანამდებობიდან და ინიშნება თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწავლებლად. მას ურთიერთობა არ შეუწყვეტია თბილისის სასულიერო სემინარიასთან. იქაც იგი კითხულობდა ფიზიკა-მათემატიკის კურსს. იმავე წლის 7 თბი-

1144 ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965, გვ. 169.

1145 ე. ბუბულაშვილი, უცნობი ეპისტოლარული მასალები წმ. გაბრიელ (ქიქოძე) მღვდელმთავრისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობის შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, V, თბ., 2019, გვ. 84.

1146 ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965, გვ. 177.

1147 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43-44.

ლისის სიონის ტაძარში ეგზარქოსმა ისიდორემ გერასიმე დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს კი მღვდლად დაასხა ხელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაბრიელ ქიქოძის სამი ძმა იოანე, ათანასე და სიმონი მღვდლები იყვნენ, ხოლო მეოთხე – ბესარიონი ბერად აღესრულა ათონის წმინდა მთაზე.

სამოხელეო თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, გაბრიელი პედაგოგიურ და სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. 1856 წელს გერასიმეს დიდი უბედურება დაატყდა თავს, დაეხოცა ცოლ-შვილი. ოჯახური ტრაგედიის გამო გერასიმე ბერად აღიკვეცა, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს: „ოჯახის დაკარგვაში მღვდელმა ქიქოძემ დაინახა განგების ხელი, რომელიც მას სულ სხვა, უფრო ფართო და ნაყოფიერი გზით წარმართავდა."[1148] ამის გამო, იგი სასონარკვეთილებას არ მისცემია, პირიქით, მეტი სულიერი სიმტკიცით შეუდგა საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

სწორედ ამ პერიოდში, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის გადაწყვეტილებით 1858 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" („Основая опытной психологый," Санкт-Петербург, 1858), რომელიც წლების მანძილზე რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. აღნიშნულის შრომის გამოცემაში გაბრიელს დახმარებია პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შეძენილი მეგობარი ა. რუდაკოვი. იგი ყოფილა მისი ნაშრომის პირველი წამკითხველი, შემფასებელი, სტილისტი, ცენზორთან და სტამბასთან ურთიერთობის მომგვარებელი და სხვა.[1149] როგორც ირკვევა, გაბრიელის აღნიშნულ შრომას ბევრი მართლმადიდებლობასთან შეუფერებელ თხზულებად მიიჩნევდა, რის გამოც ა. რუდაკოვი ურჩევდა მას იგი გამოსულიყო მისი ერობის გერასიმე ქიქოძის სახელით, რაზეც გაბრიელმა უარი განაცხადა. ავტორი არ შეუშინდა მოსალოდნელ უსიამოვნებას და ტიტულზე ის ინფორმაცია დატოვა, რაც სინამდვილეს შეესაბამებოდა: „Сочинение архимандрита Гавриила."[1150] ა. რუდაკოვის მოსაზრება გამართლდა, პეტერბურგისა და კიევის სასულიერო აკადემიების პროფესორმა ვ. ნ. კარპოვმა და ზოგიერთმა სხვა პროფესორმაც ავტორს, არქიმანდრიტს, ქრისტიანული დოგმატების დამრღვევი და ერეტიკოსი უწოდა. თუმცა იმავე სასულიერო აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც იყვნენ ისეთები, რომლებმაც ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცეს და სასულიერო სემინარიებისათვის სახელმძღვანელოს სტატუსი მიანიჭეს.[1151]

1148 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43.

1149 ნ. პაპუაშვილი, ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ: ანუ იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე? ჟურნალი „სოლოდარობა," 2010, №3, გვ. 31.

1150 ნ. პაპუაშვილი, ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ: ანუ იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე? ჟურნალი „სოლოდარობა," 2010, №3, გვ. 35.

1151 ალ. ქუთელია, ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" შესახებ, ჟურნალი „მნათობი," 1943, 7, გვ. 120-121; შდრ. ნ. პაპუაშვილი, ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ: ანუ იტყოდა თუ არა იგი

დასახელებულ ნაშრომში გაბრიელი გაბედულად მსჯელობს ადამიანის სულიერი აღზრდის საკითხებზე. მისმა ორიგინალურმა აზრებმა იმდროინდელ მატერიალისტ და იდეალისტ სპეციალისტების ყურადღება მიიქცია. იმხანად, კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტს, გაბრიელის ყოფილ მოწაფეს იაკობ გოგებაშვილს, აკადემიის პროფესურამ სთხოვა: „...ეამბნა მათთვის ყველაფერი, რაც კი იცოდა არქიმანდრიტ ქიქოძეზედ."[1152] მის ნაამბობს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტებზე, რომლებმაც თურმე იგივე იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით: „... გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი და ცნობისმოყვარე გონებით დაჯილდოებული, ჰუმანიური გულისა და ძლიერი აქტიური ნებისყოფის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემებით ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის."[1153] რუსული ფილოსოფიის ისტორიკოსმა, პროფ. ი. კოლუბოვსკიმ ამ წიგნს შესანიშნავი ნაშრომი უწოდა.[1154] მის შრომას გამოეხმაურნენ ევროპაშიც. როგორც გაზეთი „კვალი" იუწყებოდა: „თვით გერმანიაში, ამ მართლა ფილოსოფოსთა მხარეში, დიდი ყურადღება და პატივი დაიმსახურა ამ თხზულებამ."[1155] გაბრიელის შრომას აგრეთვე მაღალი შეფასება მისცა ცნობილმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატმა ნ. დობროლიუბოვმა.[1156] წმ. გაბრიელის აღნიშნულის შრომის შესახებ ბროკჰაუზისა და ეფრონის ცნობილ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ „...ამ წიგნით (წმ. გაბრიელ მღვდელმთავრის ნაშრომით ე. ბ.) იწყება რუსული ფსიქოლოგიის ისტორია."[1157]

გაბრიელ ეპისკოპოსმა კვლევის დროს გამოიყენა „ცდისეული მეთოდი," რომელიც იმ დროს ახალი სიტყვა იყო ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევის დროს. ნაშრომის შესავალ ნაწილში წმ. გაბრიელ მღვდელმთავარი აღნიშნავს: „ჩვენ ვცდილობდით ყველა მსჯელობა სულის შესახებ დაგვემყარებინა ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომელიც მთლიანად დამტკიცებული და ახსნილია ფიზიოლოგიასა და ფიზიკაში და ამით თავიდან აგვეცილებინა ყველა უსარგებლო თეორია და ჰიპოთეზა."[1158]

1858 წელს გაბრიელ ქიქოძე ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ დაინიშნა გორის ქორეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლიდან იმერეთის ეპარქიის ეპის-

---

უარს ეკუმენიზმზე? ჟურნალი „სოლოდარობა," 2010, №3, გვ. 35.

1152 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 10.

1153 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43.

1154 ვ. გურგენიძე, ლეგენდარული მოძღვარი, გაზეთი „ნიგნის სამყარო," 1985, 12.

1155 ჟურნალი „კვალი", 1896, 8, გვ. 14.

1156 Н. Добролюбов, сочинение, т. IV, М. 1937, стр. 176; შდრ. ა. ბოჭორიშვილი, თხზულებები, გამოკვლევები ფსიქოლოგიაში, ტ. I, თბ., 1991; შდრ. თ. ბუაჩიძე, ნიკოლოზ დობროლიუბოვი - არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცეზენტი, ჟურნალი „მნათობი," თბ., 2001; შდრ. ნ. დობროლიუბოვი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თხზულება არქიმანდრიტ გაბრიელისა (ქიქოძე), ქართულად თარგმნა და სათანადო გამოკვლევაც დაურთო ა. ქუთელიამ, ჟურნალი „მნათობი," 1943.

1157 Енциклопедический словар Брокгауза и Ефрона, XXVIII, 1898, стр. 836; შდრ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. 1, 1629-1920, თბ., 1941, გვ. VII.

1158 გაბრიელი ქიქოძე, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 1995, გვ. 4.

კოპოსია, სადაც იგი გარდაცვალებამდე, 1896 წლამდე მოღვაწეობდა. 1869-1886 წლებში ერთდროულად მართავდა აფხაზეთის ეპარქიას და სვანეთს, ხოლო 1873-1886 წლებში სამეგრელოს ეპარქიასაც. ეპისკოპოსობის პერიოდში ნათლად გამოვლინდა მისი თავდაუზოგავი მოღვაწეობა ერის სარწმუნოებრივ და სულიერ ამაღლებაში. სამართლიანად ამბობდა ილია ჭავჭავაძე მისი დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში: „გაბრიელი იყო იმისთანა დიდბუნებოვანი კაცი, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილ ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეძლოს საკუთარი მიზნის და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება... თითოეული წამი მისის ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა."[1159]

მელიტონ კელენჯერიძის გადმოცემით, როცა გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთის ეპარქიაში განაწესეს, მას ადგილობრივი სამღვდელოება და საზოგადოება დიდად აღვირახსნილი დახვდა. „ყველანი უზნეობის მორევში ცურავდნენ, ბეზღობა, გაიძვერობა, ცრუ საჩივარი, ცილის წამება, შური, მტერობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროს."[1160]

გაბრიელ ეპისკოპოსი მოურიდებლად და მკაცრად ამხელდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მანკიერებას, დროებას აყოლილ მიმბაძველობას, მეშჩანობას, ვაი-პატრიოტთა დაცემულ ვინაობას. სასტიკად ჰგმობდა სახელმწიფო სამსახურში მყოფ უნიჭო მედროვეთა უსამართლობას, ბოროტმოქმედებას, მოყვასის გაუტანლობას. ამ ფონზე ყოველთვის იხსენებდა წინაპართა დიდებულ მაგალითებს, მათ ღვაწლს, გმირულ ისტორიას.[1161]

გაბრიელ ეპისკოპოსმა ფეხით შემოიარა მთელი დასავლეთ საქართველო, ადგილზე ეცნობოდა მრევლის გასაჭირს. ჟურნალი „მწყემსი" გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ 1890 წელს წერდა: „იმერეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ეპარქიებში არ არის ისეთი სოფელი და ეკლესია, რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელს არ დაეთვალიერებინოს და მისი სიტყვა-მოძღვრება არ მოესმინოს მრევლს, რაც უნდა ცუდი ამინდი და ცუდი გზები იყოს, ყოვლად სამღვდელო არ ერიდება თავის შეწუხებას."[1162] XIX საუკუნეში იგი პირველი იყო, რომელმაც მოინახულა და დამოძღვრა სვანეთი – „სვანეთის მიუდგომელ და ციცაბო კლდეებზე მოგზაურობის დროს მათი მეუფება ხან ცხენის კუდს მოჭიდებოდა, ხან ოთხით მოფორთხავდა, რომ სვანებისათვის მიეწვდინა სიტყვა."[1163]

გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდი ღვაწლი დასდო ფეხის ხმას აყოლილ აფხაზებს, რომლებიც განუწყვეტლივ თურქეთში იხიზნებოდნენ. მან 18 ათასი

1159 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 176.

1160 მელიტონ კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, გვ. 116.

1161 ვ. გურგენიძე, ლეგენდარული მოძღვარი, გაზეთი „წიგნის სამყარო," 1985, 12, გვ. 3.

1162 ჟურნალი „მწყემსი," 1890, 2, 7.

1163 ჟურნალი „მწყემსი," 1896, 42, გვ. 4.

გამაჰმადიანებული აფხაზი მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოაქცია და ამით გადაუღობა გზა მათ გადახვენას თურქეთში.[1164]

იმერეთის ეპარქიაში გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. გაბრიელის ყოფილი მოწაფე და მისი ღვაწლის დამფასებელი იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად წერდა: „არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსმთავრის მოქმედებას არამცთუ ჩვენში, არამედ ევროპაშიც მოეტანოს სამწყსოსთვის იმაზედ უნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძღვნა იმერთა ერსა განსვენებული მღვდელმთავრის ოცდათხუთმეტი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ. ხალხი დაემსგავსა მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემს-მთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდ ხანს იმყოფებოდა." ეპისკოპოსი გაბრიელი განუყოფლად იყო შეკავშირებული თავის სამწყსოსთან „ყველა ეროვნულის სიმებით," როგორც „ღვიძლი მამა," ქადაგებდა „წმიდა ზნეობას."[1165]

გაბრიელ ეპისკოპოსი თავისი მრევლის ჭირ-ვარამის გამზიარებელი იყო. გულთან ახლოს მიჰქონდა მათი მწუხარება, სიტყვით თუ საქმით ეხმარებოდა მათ. ამის გამო მრევლმა გულით შეიყვარა მოყვასისა და პატიოსნების ქომაგი მოძღვარი, მის სიტყვას მიენდო, მისგან ნაქადაგევ საღვთო ჭეშმარიტებას მიაპყრო გულისყური. ამიტომაც იყო, რომ მისდამი სიყვარული და პატივისცემა დღითი დღე იზრდებოდა საზოგადოებაში და „მისი ქადაგებანი... იმერეთის ეკლესიაში წირვის დროს ისე იკითხებოდა, როგორც წმიდა მამათა ნაწარმოებები."[1166]

გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსახლეობაში სწავლა-განათლების გავრცელებას. მისი აზრით, ერს რაც უფრო მეტი განათლებული და ნასწავლი მოღვაწე ეყოლებოდა, მით უფრო მოხდებოდა მისი წინსვლა. თავისი პრაქტიკული საქმიანობით იგი ხელს უწყობდა ღარიბებში სწავლა-განათლების გავრცელებას. „მოსწავლეთა მთელი ჯგუფი იზრდებოდა, მასთან, მის ხარჯზე და მის ბინაში (აქედან მრავალი გამოჩენილი მოღვაწე აღუზრდია სამშობლოს); სისტემატურად ეხმარებოდა სვანებს, აფხაზებს შვილების აღზრდაში." გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით 100-ზე მეტი სამრევლო სკოლა დაარსდა იმერეთის ეპარქიაში. მშობლიური სოფელ ბახვში 1874 წელს გახსნა ოთხკლასიანი სკოლა. მისი სახსრებით ქუთაისში 1890 წელს გაიხსნა გაბრიელის სახელობის საქალებო სასწავლებელი.[1167]

ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან მან დაიწყო ბრძოლა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე. მისი მოთხოვნა მთავრობამ შეიწყნარა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების უნიათობის გამო სემინარიის გახსნა დაგვიანდა. იგი გაიხსნა 1894 წელს. გაბრიელმა მას გარკვეული

1164 ჟურნალი „მწყემსი," 1888, 14-15, გვ. 1-3.

1165 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43-44.

1166 ჟურნალი „კვალი," 1893, 42, გვ. 2.

1167 ნ. ნადარაია, „გელათის საქმე" და გაბრიელ ქიქოძე, საქართველოს სსრ მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტენი, 1980, 37-38, გვ. 53.

თანხა შესწირა.[1168] იგი სასულიერო სემინარიის სწავლების პროცესს თვალყურს ადევნებდა. გაბრიელ ეპისკოპოსის ინიციატივით გახსნილმა ქუთაისის სასულიერო სემინარიამ თავის არსებობის მანძილზე (1894-1904) დიდი როლი შეასრულა დასავლეთი საქართველოსათვის სასულიერო კადრების მომზადებაში. აქ აღიზარდნენ ისეთი პიროვნებები, როგორიცაა გრიგოლ რობაქიძე, ილია ფერაძე და სხვები, რომლებმაც თავი ისახელეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში დიდად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების აშენებაზე და დანგრეულის შეკეთებაზე. მისი ინიციატივით მოხდა ნიკორწმინდის, მოქვის, ბიჭვინთის, კაცხის, ილორის, გელათის, ვარძიის მონასტრის და სხვათა შეკეთება-აღდგენა. იმერეთის ეპარქიაში მისი მოღვაწეობის დროს აიგო 200-მდე ეკლესია. მათ შორის აღსანიშნავია 1887 წელს მშობლიურ სოფელ ბახვში აგებული ქვის დიდი ეკლესია.[1169]

გაბრიელ ეპისკოპოსი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სიძველეების შესწავლას. იგი დიდ დახმარებას უწევდა მკვლევრებს, რომლებიც ამ დარგში მუშაობდნენ. სიძველეთა დაცვის საკითხში გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ გაწეული დიდი ღვაწლის შესახებ სამართლიანად წერდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე: „მისი მეუფების მეცადინეობით და შეგონებით იმერეთის ეპარქიაში აშენდა რამდენიმე ათასი ქვიტკირის და ხის ახალი ეკლესიები; ქუთაისში მათი მეუფების თაოსნობით აშენდა მშვენიერი საკათედრო ტაძარი, წმიდა გიორგის და საფიჩხიის ამაღლების ეკლესიები, აშენდა ვრცელი შენობა ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლისათვის. მათი მეუფების მეცადინეობით გაიხსნა სამრევლო სკოლები, რომელთა დაარსების გამო მათ მეუფებას დიდი უსიამოვნება შეხვდა ამ სკოლების მოწინააღმდეგე პირებთან."[1170]

გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად ზრუნავდა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენაზე. 1887 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი," რომლის მიზანი იყო შეეგროვებინა და დაეუპვას გადაერჩინა ძველი საეკლესიო საგალობლები.[1171]

გაბრიელ ეპისკოპოსს პატრიოტული მოღვაწეობის გამო ბევრი მტერი და მოშურნე გაუჩნდა თავის თანამოძმეთა შორისაც კი. ათასგვარი ცილისწამებით ცდილობდნენ მისი სახელის შებღალვას. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ვლადიმირ ლევაშოვის ინიციატივით გაიძარცვა გელათისა და სხვა ეკლესია-მონასტრები. მავანმა ვლადიმირ ლევაშოვის თანამზრახველად გაბრიელ ეპისკოპოსი დაასახელა, ვითომ მისი ხელშეწყო-

---

1168 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 74, ფურცელი 4.

1169 ა. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ქუთაისი, 1990, გვ. 18.

1170 შ. მეგრელიძე, მ. კეზევაძე, გაბრიელ ქიქოძე ქართველ სიძველეთა დამცველი, ჟურნალი „განთიადი," 1999, 5, გვ. 38; ჟურნალი „მწყემსი," 1896, 2, გვ. 2.

1171 ე. ბუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, ქართული საეკლესიო გალობა ერი და ტრადიცია, თბ., 2001, გვ. 184.

ბით მოხდა ქართული ეკლესიის სიწმინდეების მოპარვა. მოტივად მოჰყავდათ ის, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი ვლადიმირ ლევაშოვის შვილების ნათლია იყო. გაზეთმა „დროებამ" ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა. ქართველი საზოგადოება ერთგვარად დაეჭვდა გაბრიელ ეპისკოპოსის პატიოსნებაში. თვით აკაკი წერეთელსაც, რომელიც მისი დიდი პატივისმცემელი იყო, ეჭვი გასჩენია. გაბრიელ ეპისკოპოსმა გაზ. „დროების" ბრალდებას სათანადო პასუხი გასცა. მისი მოითხოვნით, აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით შეიქმნა საგამომძიებლო კომისია, რომელშიც საქართველოს ეგზარქოს ევსევთან ერთად შედიოდა გაბრიელ ეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები. კომისიამ დაადგინა, რომ გაზეთების აღნიშნული ბრალდებები ცილისწამება იყო. გაბრიელ ეპისკოპოსის მოწინააღმდეგეები რუსეთის უწმინდესი სინოდისაგან ახალი კომისიის შექმნას მოითხოვდა. საქართველოს ეგზარქოსის გადაწყვეტილებით ქუთაისისა და გელათის ეკლესია-მონასტრების შესამოწმებლად 1875 წელს შეიქმნა ახალი კომისია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორის ანდრეევისა და ამავე კანტორის წევრის, არქიმანდრიტის მაკარის შემადგენლობით.[1172] გამოძიებამ დაადასტურა, რომ ეპისკოპოს გაბრიელს კურთხევით არ მომხდარი გელათის საგამძურიდან საეკლესიო სიწმინდეების გატანა. ირკვევა, რომ აკაკი წერეთელს, გაბრიელ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ წერილი ჰქონია გამზადებული გამოსაქვეყნებლად, მაგრამ იგი არ დაბეჭდილა. ვითარების გარკვევის შემდეგ აკაკი წერეთელი გაბრიელის შესახებ წერს: „გაბრიელისთანა მოძღვარი, რომ ჩვენ ახალგაზრდობასაც გამოუჩნდეს ხოლმე, მადლია! – მაშინ ისინი ბევრ შეცდომას აიცდნენ თავიდანო."[1173]

გაბრიელ ეპისკოპოსისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობიდან საინტერესოა ერთი ფაქტის აღნიშვნა. ქართველი მღვდელმთავრის მტრები ხმებს ავრცელებდნენ, რომ იგი ანგარების გამო შენდობის ლოცვის წაკითხვაში ინდულგენციებს იღებდა. აღნიშნულის გამო, ახალგაზრდა აკაკი წერეთელი გაბრიელ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ გაზეთში „დროება" წერილის გამოქვეყნებას აპირებდა. თუმცა, გამოქვეყნებამდე იგი შეხვედრია მღვდელმთავარს, გამოსაქვეყნებლად გამზადებული წერილი გადაუცია და გავრცელებული ხმების გამო მისთვის საყვედური განუცხადებია, მეუფეს მშვიდად მოუსმენია და აკაკისთვის უპასუხნია: „ძალიან მომწონს ეგ შენი აღელვება და მიხარია, რომ საზოგადო საქმის ტრფიალმა, და არა საპირადო რამ, იქამდის მიგიყვანა, რომ მოთმინებიდან გამოგიყვანა და ოჯახის შვილის ზრდილობაც დაგაკარგვინა! ახალგაზრდობა – ახლად ამოღებული ყაჭია, რომელსაც, დახვეწა ეჭირვება და მისი დახვეწაც გამოცდილებაა. ღმერთმა ინებოს, რომ შენ მაგ გრძნობებისათვის ხელი არ შეგეშვას! საზოგადო საქმეების გამო

1172 მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 187; ნ. ნადარაია, „გელათის საქმე" და გაბრიელ ქიქოძე, „სამეცნიერო-სანფორმაციო ბიულეტენი, 37, თბ., 1980, გვ. 55.

1173 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 476.

თავგამოდება ზნედ გადაგიგციოს! ეგ აჩქარება, თავშეუკავებლობა, ცოტა წინდაუხედავობა და ამგვარი რამ შეცდომები ქერწლია, რომელსაც დრო გააცლის და გამოცდილება დახვეწავს!!... შენ ხანში სწორედ მეც მაგრე ვიყავი, მაგრამ დღეს კი ისე რომ მოვიქცე არ შემშვენის...

შენც კარგად იცი, რომ მე ახალ ჩამოსულობაზე პირველ ხანებში, კრებულისათვის, თუ არა ჩემთვის საწირავსაც არ ვიღებდი. და დღეს კი შენდობის წიგნს ვუკითხავ მსურველებს და მათგან მოწოდებულ წვლილსაც ხელს ვკიდებ. რადა? იმიტომ, რომ გამოცდილებამ სულ სხვა რამეზე დამარწმუნა: ჯერ ერთი ეს რომ ჩვენს ხალხს ადრითგანვე ჩვეულებად ჰქონია, მღვდელ-მთავრისაგან შენდობის გამოთხოვა რჯულის კანონად ჰქონია გადაქცეული!... როცა შენდობას ითხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება. სინანულში ვარდება და ეს კარგია... ამგვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოურეცხო! და რაც შეეხება სასყიდელის აღებას, ეს ის აუცილებელ და საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენს ხალხს, როგორც ხატის წინ სანთლის ანთება! ამის აკრძალვას ისე მიიღებს, როგორც სანთლის ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკულადაც გავსინჯოთ ეს საქმე, ის თითო-ოროლა წვლილი, რომელსაც იძლევიან თავის სურვილით, ამათ არად დააკლდებათ, ბევრი მათგანი სულ ცუდად დახარჯავს წარა-მარა სადმე დუქანში ლოთობის დროსა და მე – კი ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ. ამგვარად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა შემწირველისათვის მადლია და ქვეყნისათვისაც სასარგებლო." მეუფის სიტყვის შემდეგ აკაკი წერეთელი სინანულში ჩავარდნილა, შენდობა უთხოვნია და რათქმა უნდა აღნიშნულის შესახებ წერილიც არ გამოუქვეყნებია. ზემოთაღნიშნული მოგონება აკაკი წერეთელმა 1899 წელს თავის ჟურნალში „აკაკის კრებული" გამოაქვეყნა სულ სხვა კონტექსთან მიმართებაში.[1174]

გაბრიელ ეპისკოპოსი მრევლთან ურთიერთობის დროს დარწმუნდა, რომ მათი დაქვეითების და ყოველგვარი უმსგავსოების მიზეზია ის, რომ ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფო და დამოუკიდებელი ეკლესია არ გააჩნდა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო დამონებულ ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობის სრულყოფასთან ერთად ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაც. სხვა შემთხვევაში ერის გადაგვარება გარდაუვალი იყო. ამ ამოცანის განხორციელებას მან თვითონ მოჰკიდა ხელი. მოგზაურობის თუ წირვა-ლოცვის შემდეგ იგი მრევლს ქადაგებით მიმართავდა. დასახული მიზნის განხორციელების საშუალებად მას ქადაგება მიაჩნდა, რომელშიც სარწმუნოებრივ საკითხებთან ერთად დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს ისტორიიდან ცოცხალი მაგალითების მოტანას. წმ. გაბრიელ მღვდელმთავარი ერში არსებული უზნეობის და შერყეული სარწმუნოებრივი ვითარების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა წირვა-ლოცვის დროს ქადაგებების წარმოთქმას მრევლის წინაშე. აღნიშნულ ქადაგებებს იგი

1174 აკაკი, ჩვენი ბანკომანია, აკაკის კრებული, 1899, №6, გვ. 521; შდრ. ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 475-478.

კრებდა და 1865 წელს დაიბეჭდა მისი პირველი გამოცემა. წმ. გაბრიელ მღვდელმთავრის სიცოცხლეში სამჯერ გამოქვეყნდა მისი ქადაგებები. პირველი გამოცემა 1865 წელს განხორციელდა; მეორე – 1871 წელს; მესამე გამოცემა ორ წიგნად დაიბეჭდა 1884 წელს. ამ გამოცემის განმეორებითი ბეჭდვა განხორციელდა 1913 წელს, რომელსაც აწერია მესამე გამოცემა. სინამდვილეში იგი არის 1884 წელს გამოცემული მესამე გამოცემის განმეორება.

ჩვენს მიერ საისტორიო ცენტრალურ არქივში მოძიებული მასალებით დასტურდება, რომ წმ. გაბრიელ მღვდელმთავრის ქადაგებების 1870 წლის მეორე გამოცემაში აქტიური მონაწილეობა მიუღია იაკობ გოგებაშვილს.[1175]

1866 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები რუსულ ენაზეც გამოცემულა. აღნიშნული გამოცემის გამო საგრძნობლად გაიზარდა მისი შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველის რაოდენობა. გაბრიელ ეპისკოპოსიის ქადაგებებით დაინტერესებულა, ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებული, ანგლიკანი პასტორი სოლომონ სიზარ მალანი, რომელმაც, როგორც აღინიშნა ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოსცა პლატონ იოსელიანის საქართველოს ეკლესიის ისტორია. როგორც ჩანს, ამ გამოცემის შემდეგ მას გასჩენია ინტერესი ქართულ სამყაროსთან დაახლოებისა, რის გამოც საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა და 1867 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოსცა გაბრიელ ეპისკოპოსიის ქადაგებები.[1176] ინგლისურ გამოცემას ახლავს ძალზე საინტერესო წინასიტყვაობა. იგი ინგლისურენოვან მკითხველ აუწყებს: „ქადაგების ავტორი (იგულისხმება ეპისკოპოსი გაბრიელი ე.ბ.), მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეპისკოპოსია, შინაარსობრივი თვალსაზრისით საინტერესოა სხვა აღმსარებლობის, ამ შემთხვევაში ანგლიკანური ეკლესიის მრევლისათვის." ინგლისურ გამოცემაში დაბეჭდილია წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის თხუთმეტი ქადაგება. მიჩნეულია, რომ „ინგლისური თარგმანი ძალიან ახლოა დედანთან, მაგრამ არ არის სიტყვა სიტყვითი თარგმანი."[1177] წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ინგლისურ თარგმანს ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. ჟურნალ „მნათობსა" და გაზეთ „დროებაში" საინტერესო პუბლიკაციები გამოქვეყნდა მის შესახებ. სოლომონ სიზარ მალანმა 1867 წლის 4 აპრილს გაბრიელ ეპისკოპოსს გამოუგზავნა ქართულ ენაზე დაწერილი წერილი, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევს მის ნაშრომს. 1872 წლის ზაფხულში იგი ქუთაისში ჩამოვიდა, ახლოს გაიცნო გაბრიელ ეპისკოპოსი, ერთი კვირა დაჰყო მასთან: „თან ახლდა წირვასა და მღვდელმსახურებაზე, ნახა ფრესკებით შემკული და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი მასიური

1175 საისტორიო ცენტრალური არქივი, გაბრიელ ქიქოძის პირადი ფონდი, 1806, აღწ. 1. საქმე 10, ფურც. 1-3; შდრ. ე. ბუბულაშვილი, უცნობი ეპისტოლარული მასალები წმ. გაბრიელ (ქიქოძე) მღვდელმთავრისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობის შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, V, თბ., 2019, გვ. 87.

1176 Gabriel Bishop of Imereti, Sermons, Transleted by the Rev. S. C. Malan, London, 1867); შდრ. გაზეთი „დროება," 1870, 11.

1177 ნ. ორლოვსკაია, ქართულ-ინგლისურ ლიტერატურული ურთიერთობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 334, გვ. 84.

ოქროს ჭურჭლით მდიდარი ტაძრები; დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე რიტუალის ზვიადმა იერმა და გალობის ხმატკბილობამ, ხელზე მთხვევის ცერემონიამ და სხვა. თვით სოლომონ სიზარ მალანმა ქართულად წარმოთქვა ქადაგება საკათედრო ტაძარში."[1178] ცნობილია აგრეთვე, რომ გელათში წირვის შემდეგ მას და გაბრიელ ეპისკოპოსს ქართულად ერთობლივად წაუკითხავთ წმ. იოანეს სახარების XI თავი.[1179]

სოლომონ სიზარ მალანი აღფრთოვანებული დარჩენილა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის მაღალი ინტელექტით. გაბრიელ ეპისკოპოსმა ინგლისური ენა არ იცოდა და მისი ქადაგებების ინგლისური თარგმანის შესავალი რუსულ ენაზე უთარგმნეს, რომელიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ გაბრიელ ეპისკოპოსის პირად ფონდში. იქვე დაცულია სოლომონ სიზარ მალანის ქართულ ენაზე დაწერილი წერილი, რომლის ადრესატი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსია. აღსანიშნავია, რომ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების მეორე გამოცემის დროს (1871 წ.) იაკობ გოგებაშვილს სურდა ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობის ქართული თარგმანის დაბეჭდვა, მაგრამ ცენზურის გამო მისი გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავეს.[1180]

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი თავისი შინაარსით წარმოგვიდგება, როგორც პედაგოგიურ-მორალური სახელმძღვანელო, რომელიც მრევლის სულიერ აღზრდასა და სრულყოფას ემსახურებოდა. მისი აზრით, „ცხოვრება ჩვენი ქვეყნისა ზედა, არის ბრძოლა, მოღვაწეობა, ჭიდილი," ხოლო უარყოფითი მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ ცხოვრებაში, გამონვეულია ადამიანებში რწმენისა და იდეალის დაკარგვით.[1181] გაბრიელ ეპისკოპოსი ამ თვალსაზრისით აფასებდა სასულიერო პირთა ღვაწლს. მისი აზრით, ორგვარია სასულიერო მქადაგებელი. პირველს ეკუთვნის ის, ვინც ცხოვრებისაგან მოწყვეტით, ზოგადად ქადაგებს. მაგრამ „სარგებლობასაც დიდსა არავის მისცემს... მასმენელნი გულგრილად მიიღებენ ესრეთს ქადაგებასა. იქნებ მათ კიდეც აქონ მქადაგებელნი. გარნა გულში არ დაუშთებათ არცა ერთი საკუთარი სარგებლობა."[1182] მეორე სახის მქადაგებელი ეპისკოპოს გაბრიელის აზრით, სულ სხვაა. „აქ მქადაგებელი ცდილობს, რომ სიტყვა მისი იყოს დაახლოებული მსმენელთა მისთა თანა, ამისთვის საჭიროა მოძღვარმა წინასწარ შეისწავლოს თავისი მრევლის სულიერი ნაკლოვანებანი, მისი ცხოვრების ავი და კარგი, „რათა სიტყუა მისი იყოს არა უქმი და განყენებული, მავალი ღრუბელთა ზედა, არამედ მახლობელი კაცთა, ცხოველი და გამოყვანილი თვით კაცის ცხოვრებისაგან." ასეთი სიტყვა თითოეულის, როგორც სარკეში და-

1178 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის პირადი ფონდი, 55.

1179 დ. ლენგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ცისკარი, 4, 1957, გვ. 140.

1180 ე. ბუბულაშვილი, დიდი ბრიტანეთის საზოგადოება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (XIX საუკუნის 60-იანი – XX საუკუნის 20-იანი წლები), გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, III, 2017, გვ. 97.

1181 გაბრიელ ეპისკოპოსი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 14.

1182 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 237.

ანახვებს მის მდგომარეობას... ასეთი ქადაგებანი „უმეტესად სასარგებლონი არიან."[1183] ამ უკანასკნელ მქადაგებელთა რიცხვს ეკუთვნოდა გაბრიელ ეპისკოპოსი, რომლის აზრით, „რა აწუხებს ყველაზე მეტად ჩვენს ხალხს და რა არის საჭირო ამის გამოსწორებისათვის," უპასუხებს თვითონვე: „მიზეზია ხალხის გაუნათლებლობა."[1184]

გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით, თითოეულ ადამიანში, „მის შინაგანსა და გარეგანსა მოქმედებაში" არის ორი სხვადასხვა, მოწინააღმდეგე მიდრეკილება, – ერთი კეთილი, რომელიც უბიძგებს მადლმოსილებისაკენ, რათა „აღასრულოს სიმართლე, სათნო ეყოს ღმერთსა... მრავალ კეთილს და საქებულ საქმესა;" მეორეა – ბოროტი თვისება ადამიანისა, რომელიც უბიძგებს უღირსი საქციელისაკენ და თუ დავუკვირდებით ადამიანის შინაგან ბუნებას, დავრწმუნდებით, რომ პიროვნების მთელი ცხოვრება სხვა არ არის რა, გარდა კეთილთა და ბოროტთა ბრძოლისაო. „თუ კაცის გულში – წერს იგი – გაძლიერდა შური, თუ შურმა შეიპყრო გონება კაცისა," მაშინ იგი ხდება ბოროტი. შური მეზობლის, მოყვასისა და მეგობრის კარგად ყოფნითა და ბედნიერებით გამოწვეული, აბოროტებს და აუძლურებს ადამიანს, უკარგავს შრომის უნარს, ქმნის უსაქმურს. ამას კი მოსდევს სიღარიბე, სისაწყლე და უდროო სიკვდილიც. ამიტომ არ უნდა გვშურდეს გამრჯე, მშრომელი კაცის, შენი მოყვასის ბედნიერება, პირიქით, უნდა ჰბაძავდე მას შრომაში, სიკეთის ქმნაში, სახელის მოხვეჭაში."[1185]

ეპისკოპოს გაბრიელის რწმენით, ოჯახი წარმოგვიდგება ადამიანის აღზრდის უმთავრეს და უპირველეს კერად, ხოლო დედა და მამა პირველ მასწავლებლად. ამიტომ იგი იძლევა გაფრთხილებას, რომ ოჯახის სიწმინდის დაცვა უპირველესი ვალია. გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მოთხოვნას უყენებს დედას, ურჯულოდ მიაჩნია მას ქალი, რომელიც ოჯახის დანგრევის მიზეზად იქცევა. ის უნდა იყოს კეთილშობილი, მორჩილი ქმრისა და შვილების მოყვარული. ქადაგებებში გაბრიელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შრომას. მას სძულს უსაქმურობა, სხვის კმაყოფაზე ყოფნა, საშინელ ცოდვად მიაჩნია ცუდად დროის დაკარგვა. იგი წერს: „ღმერთმა შექმნა კაცი შრომისა და მუშაობისათვის. საღმრთო წერილში თქმულ არს: ვინც არ მუშაობს, იმან პურიც არ უნდა ჭამოსო, ყოველმა კაცმა თავისი ხელით უნდა შეიძინოს თავისი საზრდო."[1186]

გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის შრომას, რომ „ქალი შრომისმოყვარე, არის პატიოსანი ზნეობით და ყოფა-ქცევითა, ვინაითგან ესრეთ გამართულსა შრომასა და მოღვაწეობასა შინა არა აქვს თავისუფალი დრო, რომ დაკარგოს იგი უქმად ჭორთა და ბოროტ-სიტყვებისა შინა, განცხრომასა და სხუათა შეუსაბამოთა საქმეთა შინა..."[1187]

1183 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 238.

1184 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 238.

1185 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 247.

1186 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 248.

1187 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 248.

გაბრიელ ეპისკოპოსი ასევე აძაგებს „უზომოდ სმასა და ჭამას, მეტადრე მომეტებულ მიღებას ღვინისას."[1188] იგი გმობს მუქთამჭამელობას, უსაქმურობას, უძღებ ადამიანებს, მატყუარებს, მთავრობის დანიშნულ მექრთამე მოხელეებს, არ უჭირს მათი გამოცნობა, რადგან „როგორც ხე იცნობება ნაყოფისაგან, აგრეთვე ღირსება კაცთა საქმეთა მისთაგან."[1189]

გაბრიელი თავის ქადაგებაში ყველგან მიუთითებდა საღმრთო სჯულის ორ მხარეზე, სწავლება და მოქმედება, სიტყვა და საქმე, აზრი და ცხოვრება. მისი აზრით, ჭეშმარიტი ქრისტიანი ისაა, ვისაც ორივე ეს მცნება გააზრებული აქვს და მას მტკიცედ იცავს.[1190] მასვე კარგი გამონათქვამები აქვს სამსახურებრივი კარიერისა და დიდკაცობის მოყვარე ადამიანებზე. ასეთი „დიდკაცნი" და „მთავარნი" ასე ფიქრობენ, რომ ქვეყანა ღმერთისაგან მათთვის არის შექმნილი, ვისაც შნო აქვს, ის არის კაცი. ქრისტიანული სარწმუნოებით, დიდკაცობა დიდი ტვირთია საზოგადოების, ქვეყნის წინაშე. „პირველი და დიდი კაცი ის არის, რომელიც სხვას ემსახურება." თუ გსურს იყო სახელოვანი და დიდი კაცი „აბა ემსახურე ქვეყანას, სარგებლობა რაიმე მიეცი სოფელსა, წინამძღვარი იყავი ერისა ყოველთა წმინდანთა საქმეთა შინა;" „თუ ასე მოიქცევი, უთუოდ ყოველი გონიერი კაცი პატივს გცემს, შეგიყვარებს, გაქებს." წინააღმდეგ ამისა კაცი, რომელიც დიდ-კაცობას და პატივს ხედავს მხოლოდ დიდ ჩინში, ანუ ხარისხში, მრავალ ჯვრებში, ჯილდოებში, და სხვათა გარეგანთა ნიშანთა შინა პატივისათა და უყვარს ბრძანებლობა და უფლება და მიღება გარეგანისა სამსახურისა და ეძიებს მხოლოდ თავის სარგებლობას, იმას აქვს წარმართული და არა ქრისტიანული მიმართულება და ხასიათი."[1191]

განსაკუთრებით საინტერესოა მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ წარმორთქმული ქადაგებანი. იგი მათ ასწავლიდა პატიოსნებას და ტრადიციების მტკიცედ დაცვას, სიფრთხილეს, რათა არ აჰყვნენ ცხოვრების მაცდურ მოვლენებს, „ცუდთა გულის თქმათა," რომ თქვენი სწავლულება, მაღალი ზნეობა სანიმუშო ყოფა-ქცევა უნდა აჩვენოთ და დაამტკიცოთ ცხოვრებაში.[1192]

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ქადაგებებში ყურადღების გარეშე არ ტოვებს არცერთ მნიშვნელოვან საკითხს. მისმა ქადაგებებმა დიდი როლი შეასრულეს არა მარტო მრევლში სარწმუნოების განმტკიცებაში, არამედ მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაშიც. მის ქადაგებებში დაყენებულ პრობლემებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

გაბრიელ ეპისკოპოსი დიდმპყრობელური რეჟიმის პირობებში მტკიცედ იცავდა ქართველი ერის უფლებებს და მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარი ნიჰილისტური გამოვლინების წინააღმდეგ. ნიჰილიზმი თავისთავად უბო-

1188 ეპისკოპოსი გაბრიელი „სიტყვანი და მოძღვრებანი," 1865, თბ., გვ. 242.

1189 გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, II, თბ., 1913, გვ. 20.

1190 გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, II, თბ., 1913, გვ. 32.

1191 გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, II, თბ., 1913, გვ. 111.

1192 გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, II, თბ., 1913, გვ. 117.

როტესი მტერი იყო ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის. XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩვენში ნიჰილიზმმა ფეხი ფართოდ მოიკიდა. ნიჰილისტთა რიცხვს ეკუთვნოდა ცნობილი სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (1820-1877), რომელმაც რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ბროშურაში ჩვენი ერის წარსული უარყო და სკეპტიკურად იყო განწყობილი მომავლისადმი. იგი თავის ნაშრომში ამტკიცებდა, რომ მცირერიცხოვანი ხალხების გათქვეფა დიდ ერში ბუნებრივ, აუცილებლ კანონზომიერებას წარმოადგენს. ფაქტიურად, გიორგი მუხრანბატონის ბროშურა რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას უწყობდა ხელს. როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს: მისი ნაშრომი „დაჰგმო და შეაჩვენა ჩვენმა მწერლობამ, ინტელიგენციამ, თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა საქართველომ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი გაბრიელი ააღელვა, შეაძრწუნა ამ უკუღმართობამ და მიაწერინა ავტორისათვის წერილი, რომელშიც იგი აბრალებდა მას ულმობლობას, უდიერებას... იგი უმტკიცებდა უკუღმართის წიგნაკის ავტორს, რომ განათლება, ყოველი პროგრესული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის მეოხებით."[1193]

გიორგი მუხრანბატონის ნიჰილიზმი, როგორც ცნობილია, მკაცრად დაგმო ქართველმა საზოგადოებამ, ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გულდასმით გააკრიტიკა აღნიშნული შრომა იყო გაბრიელ ეპისკოპოსი. როგორც ირკვევა, გიორგი მუხრანბატონს თავისი ნაშრომის ქართული ვარიანტი გაუგზავნია გაბრიელ ეპისკოპოსისათვის. მას თურმე ძალიან აინტერესებდა მღვდელმთავრის აზრი ნაშრომში დასმულ პრობლემებზე. ეპისკოპოსი გაბრიელი დაწვრილებით გასცნობია აღნიშნულ ბროშურას და 1872 წლის 21 ნოემბერს ვრცელი წერილი გაუგზავნია გიორგი მუხრანბატონისთვის. გაბრიელის ეს შრომა იმ დროს არ გამოქვეყნებულა, მაგრამ იგი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. მოგვიანებით, 1896 წელს მისი კრიტიკული პუბლიკაცია გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში."

გიორგი მუხრანბატონი თავის ანტიქართულ ნაშრომში ერთგან სამართლიანად წერდა, რომ „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის," მაგრამ ქართულ ენას იგი გაქრობას უწინასწარმეტყველებდა. მის საპასუხოდ გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავდა: „სხვა ვინმესთან რომ მქონდეს ბაასი, აქ მე ამ სახით ვუპასუხებდი: – თუ ენას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელი და შეუძლებელი არის ხალხისათვის მისი მოსპობა, მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხმა მისი შეკეთება, გავრცელება, გამდიდრება და არა დაკარგვა და დამარხვა."[1194]

გაბრიელ ეპისკოპოსი ეკამათება გიორგი მუხრანბატონს იმ თეორიის შესახებ, რომ ქართული, როგორც მცირერიცხოვანი ერის ენის გაქრობა, და

1193 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 338.

1194 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურც. 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 24.

მისი შერწყმა რუსულ ენასთან, თითქოს ბუნების კანონი იყო. ამის პასუხად იგი ნაშრომის ავტორს ეკითხება: „ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი, სრულდება ჩვენ დაუკითხავად, მისთვის სულ ერთია, მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქრობა) არის ბუნების წესი."[1195] იგი აქარწყლებს გიორგი მუხრანბატონის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს ყოველი სახელმწიფოს მცხოვრებნი ერთ ენაზე უნდა ლაპარაკობდნენო. ამის საწინააღმდეგოდ გაბრიელ ეპისკოპოსს მოჰყავს შვეიცარიის მაგალითი, სადაც მოსახლეობა რამდენიმე ენაზე მეტყველებს, მაგრამ იგი ძლიერი სახელმწიფოა. ხოლო ავსტრიაში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ერები, სამ ენაზე ლაპარაკობენ. ისინი ერთმანეთთან უთანხმოებაში არიან არა იმის გამო, რომ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, არამედ იმით, რომ „ზემოთხსენებული სამი თესლნი მახლობელ დროებაში შეადგენენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა. მერმე ხელოვნებით და არა ბუნებითის წესით იქმნენ შეერთებულნი ერთ სახელმწიფოს ქვეშ. საუბედუროთ, მათ მმართველობაში სწორის სიმართლით არ ეპყრობა ყველა თესლებს, ნემენცები და მადიარები ავიწროვებენ ჩეხებს და სხვა სლავიანებს. ბოლოს ერთმანეთშიაც აქვთ შუღლი და სცდილობენ მოიპოვონ ჰეგემონია. ამ მიზეზით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა."[1196] გაბრიელ ეპისკოპოსი გიორგი მუხრანბატონს ეთანხმება, რომ „...მცირე ხალხისათვის მიუცილებელი საჭიროება არისო შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის შესწავლა. მისი ენით მიღება განათლებისა, ეს დიაღ პატიოსანი და ჭეშმარიტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონი არის..." მაგრამ ამის განხორციელება სხვა ენების გაქრობის ხარჯზე ყოველად წარმოუდგენელად და მიუღებლად მიაჩნია გაბრიელ ეპისკოპოსს. „შენ ამბობ, – წერს იგი გიორგი მუხრანბატონს, – რომ მცირე ხალხი თავისი ღარიბი ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივილიზაციასო. განა არ შეიძლება, რომ დიდის ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიშავა შენ ქართული ენის ცოდნამ?"[1197] გაბრიელ ეპისკოპოსი შეახსენებს გიორგი მუხრანბატონს, რომ „ენაზე უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრათ ხალხთა და ტომთა; კაცთა შინაგანი გრძნობა, და ხალხის „აზრი," ხასიათი... ენა არის მხოლოდ მათი გამომთქმელი, გარეგანი სახე; თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმს; და სუყველა ერთად ამათზე უდიდესნი, ბურჯი განუწყვეტელი კავშირისა ხალხთა შორის, ჩემის აზრით, არის სჯულის აღსარება."[1198] ეპისკოპოს გაბრიელის აზრით, „თუ ერ-

---

1195 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურცელი 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 24.

1196 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურც. 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 25.

1197 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურცელი 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 25.

1198 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის

თი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმტკიცესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის."[1199] ამ სიტყვებით გაბრიელ ეპისკოპოსი მიანიშნებს გიორგი მუხრანბატონს, რომ სარწმუნოებრივი ერთობა მტკიცე კავშირია რუსებისა და ქართველებისა და ამიტომ ქართული ენის გაქრობის თეორია უსაფუძვლო ახირებაა. ამასთანავე განმარტავს, რომ ქართული ენა მდიდარი ენაა. მას აქვს თავისი მწიგნობრობა, ლიტერატურა, საღმრთო წერილი, წმიდა მამათა ცხოვრებანი. ამ ენაზე გმოითქმის ყოველი სიტყვა და მას აქვს ორიათასწლიანი ისტორია. სლავური ენები, რომ გადააკეთონ რუსულ ენად „ეს გასაკვირველი არ იქნება." ამიტომ „...მე მგონია, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხებისა სულ განქარდეს და დიდი ხალხებისა დარჩეს." ბოლოს გაბრიელ ეპისკოპოსი გიორგი მუხრანბატონის გასაგონად საგანგებოდ აღნიშნავს: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისათვის – რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს – არის სასურველი. მცირე ხალხი, რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რამე მცირე მაინც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმტკიცოს დიდ ხალხს; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზედ... მცირე ხალხი მოკლებული თავის ენას – იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისი თავისთვისაც და სხვისთვისაც, როგორც კერძო პირი, არა მგონია პირადი თვითმდგომარეობისა ვერაფერ კეთილ და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს."[1200]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაბრიელ ეპისკოპოსის ამ პასუხმა იმდროინდელი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო და მრევლის დიდი პატივისცემაც დაიმსახურა.

გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი დამსახურება მიუძღვის სასულიერო სასწავლებლებში მშობლიური ენის დაცვის საქმეში. ამ საკითხში იგი არავის და არაფერს არ ერიდებოდა. პირუთვნელად ამხელდა მაღალჩინოსანთა და ეგზარქოს ევსევის ზრახვებს. ეს უკანასკნელი მას სდევნიდა, „გულითა და სულით ლამობდა მის დაღუპვას."[1201] გაბრიელ ეპისკოპოსი ამხელდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულ ანტიქართულ პოლიტიკას. 1873 წლის სექტემბერში პეტერბურგიდან ჩამოსულ რევიზორ სერგეი ვასილის ძე კერსკის შემოწმების შემდეგ სემინარიიდან ქართველი პედაგოგები სეპარატიზმის ბრალდებით იქნენ გათავისუფლებულები. ეგზარქოსმა ევსევიმ სერგეი ვასილის ძე კერსკის დასკვნა გაუგზავნა ეპისკოპოს გაბრიელს და სთხოვა,

---

ფონდი, 49, ფურც. 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 25.

1199 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურც. 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 25.

1200 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, 49, ფურცელი 1; შდრ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1988, 1, გვ. 26.

1201 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 1911, 31.

ანალიზი გაეკეთებინა, ეპისკოპოსმა გაბრიელმა პასუხში პირუთვნელად აღნიშნა: „კერსკის აზრი გონივრულ და კეთილსინდისიერ აზრად არ უნდა იქნას მიჩნეული: პირველად იმიტომ, რომ, როდესაც საქმე ეხება რომელიმე სამსახურის ადგილსა და თანამდებობის დაჭერას საქართველოში, მაშინ სამართლიანობა და კეთილგონიერი პოლიტიკა მოითხოვს, განსხვავება არ იყოს თანამდებობის მძებნელთა შორის. ამ წესს, რამდენადაც მე ვიცი, ადგია ჩვენი უმაღლესი მთავრობა. ამის წინააღმდეგი განკარგულება დაჰბადებია ადგილობრივ მკვიდრთა შორის მწვავე და დაუმსახურებელს შეურაცხყოფას." წერილის ბოლოს ქართველი მრვდელმთავარი დასძენს, რომ „ჩამოშორება ქართველი პედაგოგებისა ზიანს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოს ინტერესებს."[1202] ქართველი პედაგოგების თბილისის სასულიერო სემინარიიდან გაძევების შემდეგ ეგზარქოსმა დევნა დაუწყო გაბრიელ ეპისკოპოსს. მან გაბრიელზე შეადგინა „დანოსი," მაგრამ ეპისკოპოსი არ შეშინდა და ხელისუფლებას წარუდგინა ვრცელი დასაბუთებული მოხსენება, სადაც დაწვრილებით იყო მოთხრობილი მისი საქმიანობის შესახებ.[1203]

გაბრიელ ეპისკოპოსი გაბედულად აღუდგა წინ კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველს კირილ იანოვსკის. ამ უკანასკნელმა განიზრახა ქართული ენის სწავლების აკრძალვა. მან თავისი განზრახვა რუსეთის უწმინდეს სინოდს შეატყობინა. ამ უკანასკნელმა ეგზარქოს ვლადიმირს დაავალა პრობლემის დაწვრილებითი შესწავლა. ამ საკითხზე გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხი იყო მკაცრი და დაუნდობელი. იგი პირუთვნელად ამხელდა რუსეთის იმპერიის ანტიქართულ ზრახვებს. გაბრიელ ეპისკოპოსი კირილ იანოვსკის მოხსენების გამო წერდა: „ეს მოხსენება ერთობ შეურაცხმყოფელია მთელი საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდელოებისათვის და მთლად ქართველი ერისათვის. სამღვდელოებას ბრალს სდებენ, რომ ვითომ არ შეუძლიათ პირველდაწყებითი სასულიერო სწავლება, ასე გასინჯე, პოლიტიკურ უნდობლობასაც სწამებდნენ. ამასვე სწამებენ მთელ ქართველ ერსა, რომლის ახალგაზრდათა შორის ტრიალებს ვითომ იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა."[1204]

ეგზარქოსისადმი გაგზავნილ მიმართვაში ქართველი მღვდელმთავარი აღნიშნავდა, რომ კირილ იანვოსკის პოლიტიკა დამღუპველი იყო თვით რუსეთისათვის, რადგან ამ მეთოდით რუსიფიკაცია შეუძლებელი იყო. „რუსი ის კი არ არის – წერდა იგი ეგზარქოსს, – რომელიც მხოლოდ რუსულად ლაპარაკობს, არამედ ის, რომელიც ფიქრობს და გრძნობს რუსულად, საუბრობს და მწუხარობს რუსეთთან ერთად." გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით, ძალადობით რუსული ენის დანერგვა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრულად განაწყობდა

1202 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 1911, 31.

1203 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 1911, 31.

1204 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 35.

დაპყრობილ ხალხს. იგი საქართველოს ეგზარქოსს ურჩევდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ხელი აეღო კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის კირილ იანოვსკის გადაწყვეტილების განხორციელებაზე.[1205]

გაბრიელ ეპისკოპოსმა აგრეთვე გაილაშქრა რუსეთის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა სვანების და მეგრელებისათვის მეგრულ და სვანურ ენაზე სასულიერო ლიტერატურის თარგმნა და მათ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება. „ცხადია – წერდა იგი – რომ საღმრთო წიგნების გადათარგმნა მეგრულსა და სვანურზე გამოიწვევს იმ მწვალებლობას, სარწმუნოების შერყევას, რომლისგანაც საქართველოს ეკლესია დღემდე თავისუფალი იყო. ყველა ამის შემდეგ, მე მგონია, ერთობ უხერხული, უაზრო და მავნებელიცაა, რომ მეგრელებსა და სვანებს შეუცვალონ ის ენა, რომელსაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უსმენდნენ და რომელზედ ტაძრებში ლოცულობდნენ."[1206] გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი შეხედულება გამოთქვა საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ. სასულიერო უწყებისადმი წარდგენილ წერილობით დასკვნაში სამრევლო სკოლების გაუქმების შესახებ გაბრიელ ეპისკოპოსი კარგად მიუთითებდა იმ შედეგებზე, რაც მათ დახურვას მოჰყვებოდა. იგი – აღნიშნავდა გაბრიელ ეპისკოპოსი – „გამოიწვევს ხალხში საშინელ და მწვავე შეურაცხყოფის გარძნობას და მოახდენს იმაზე სამწუხარო და აუტანელ შთაბეჭდილებას, რადგან ყველანი შეიგნებენ, რომ ამაში იბადება მთავრობის უნდობლობა ქართველთადმი, რაიც იმათ არაფრით არ დაუმსახურებიათ; დაიხშობიან ყველა სასწავლებლის კარნი იმპერიაში ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც რა საჭირო იქნება იმათში სწავლა თუკი იმაზე იფიქრებენ, რომ ისინი სწავლობენ, რათა თავის აღმზრდელთა წინააღმდეგ ამხედრდნენ და არ ანდობდნენ არავითარ საქმეს."[1207] ქართველი საზოგადოებისა და გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგობის გამო, რუსეთის ხელისუფლებამ უარი თქვა საეკლესიო-სამრევლო სკოლების გაუქმებაზე.

გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი პირდაპირობის გამო „მებრძოლი ბერის" სახელი მოიპოვა. ამის გამო მას ხშირად დევნიდნენ. ეპისკოპოს გაბრიელის დაშინების მიზნით, 1885 წელს მას მოუკლეს ეპარქიის კანცელარიის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ევსტატე ბოსლეველი (მჭედლიძე), მღვდელმთავარს კი წერილი გაუგზავნეს: თუ საქართველოს არ დატოვებდა, სიკვდილი ელოდა. ერთხანს ეპისკოპოს გაბრიელს გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთის შიგა გუბერნიებში წასულიყო, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოება აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვები მას გვერდში დაუდგა, რის გამოც შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.[1208]

1205 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 1911, 31.

1206 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 37.

1207 დირბელი (ს. მგალობლიშვილი), გაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო, გაზეთი „თემი," 38.

1208 ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „რელიგია," 1997, 10-11, გვ. 49.

გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლს დიდად აფასებდა ქართველი საზოგადოება. ეს პატივისცემა ნათლად გამოვლინდა მისი დაკრძალვის დღეს. ამ მხრივ აღსანიშნავია წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) წარმოთქმული სიტყვა. გაბრიელ ეპისკოპოსიის ღვაწლის დასაფასებლად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის მიერ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული რამდენიმე წერილი, რომელებშიც პირუთვნელად შეფასებულია ქართველი მღვდელმთავრის ღვაწლი. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსისადმი დაფასება იაკობ გოგებაშვილმა იმითაც გამოხატა, რომ თავის წიგნში „ბუნების კარში" ქართველი მღვდელმთავრის სახე განასახიერა მოთხრობაში „ჭეშმარიტი მოძღვარი."[1209]

პატივისცემის ნიშნად იაკობ გოგებაშვილის სამუშაო ოთახში დიმიტრი ყიფიანის სურათთან ერთად მოთავსებული იყო წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის გადიდებული სურათი.

ერთ-ერთ პუბლიკაციაში იაკობ გოგებაშვილი გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა: „ნეტარხსენებული მღვდელმთავარი თავის მოქმედებაში არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულებით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავისი უფროსებისათვის და მუდმივ გულწრფელად და დამოუკიდებლივ იქცეოდა."[1210]

იაკობ გოგებაშვილის პატივისცემა წმ. გაბრიელ მღვდელმთავრისადმი იმითაც დასტურდება, რომ 1891 წლის თებერვალში მისი წარდგინებით გაბრიელ ეპისკოპოსი აირჩიეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" საპატიო წევრად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა მღვდელმთავარმა ალექსანდრე ოქროპირიძემ. თავისი ღვაწლის გამო ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ალექსანდრე ეპისკოპოსი დაიბადა 1824 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში, მღვდლის ოჯახში. დაამთარა გორის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1845 წელს თბილისის სასულიერო სემინარია. ბერად აღკვეცის შემდეგ განწესებულ იქნა ფერისცვალების ეკლესიაში. 1848 წელს მთავარდიაკონის ხარისხში აყვანილი ალექსანდრე სწავლას აგრძელებს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც იგი იღრმავებს თავის ცოდნას. აქვე იგი აყვანილ იქნა მღვდელმონაზონის ხარისხში. 1850 წელს ალექსანდრე ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ამთავრებს ყაზანის სასულიერო აკადემიას. საქართველოში დაბრუნებისას იგი დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგად, სადაც ასწავლიდა საღმრთო წერილს, ლათინურ ენას, ზნეობრივ ღვთისმეტყველებას და ბიბლიურ არქეოლოგიას. მალე იგი გადაიყვანეს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ყირიმის ომის დროს (1853-1856) აფხაზეთის სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა და იგი დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1855 წელს

1209 ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ., 1912.

1210 ი. გოგებაშვილი, სიმართლეს ვერსად წაუხვალთ, შემდგენელები ე. ცქიტიშვილი, გ. გაბუნია, თბ., 1996, გვ. 123.

მას ებოძა გელათის მონასტრის წინამძღვრობა. მალე იგი კვლავ აფხაზეთში გადაიყვანეს იღუმენად, ხოლო 1864 წლის 4 მარტს ალექსანდრე დააადგინეს აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1869-1888 წლებში იყო გორის ეპისკოპოსი. ერთხანს ეპისკოპოსი ალექსანდრე „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" კომიტეტის წევრად იყო არჩეული. 1889 წელს ალექსანდრე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსია.[1211]

ალექსანდრე მღვდელმთავრის სასულიერო მოღვაწეობა ერისა და ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან. იგი დიდად აფასებდა მათ ღვაწლს ქართველი ერის წინაშე. ცნობილია, თუ რა მოწინებით შეხვდა ალექსანდრე ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლას.[1212] იგი იყო სულიერი მოძღვარი ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეების პრაქტიკული განმახორციელებელი.



წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე, 1824-1907)

წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსი ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით და მონყალებით. მისი მატერიალური დახმარებით არაერთმა ხელმოკლე ახალგაზრდამ მიიღო განათლება. ალექსანდრეს უშუალო მზრუნველობით განახლდა შიომღვიმის მონასტერი, თავისი ხარჯით შეაკეთა ზედაზნის მონასტერი, ჯვარი და სხვა. იგი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემას დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა. მისი ხარჯებით გამოიცა ანტონ პირველი კათოლიკოსის „მზამეტყველება" (1892 წ.); ამბროსი ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი" (1881); „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა" (1896); „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები" (ფოთი 1903), სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, ქართულ-რუსულ-ლათინურ ენებზე შედგენილი რაფიელ ერისთავის ბოტანიკის ლექსიკონი. მისი შეწირული თანხით საეკლესიო მუზეუმმა 1901 წელს გამოსცა „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები," კომპოზიტორ მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის (1859-1935) მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული წირვის საგალობლები და მრავალი სხვა.[1213] ირკვევა, რომ წმ. ალექსან-

1211 ე. ბუბულაშვილი, ღვაწლი წმიდა ალექსანდრე მღვდელმთავრისა, გაზეთი „საბა," 1996, 8.

1212 გაზეთი „Кавказъ," 1869, 83.

1213 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის

დრე ოქროპირიძეს ანტონ კათოლიკოსის „მზამეტყველება" გამოსაცემად მოუმზადებია ეგზარქოს პავლეს (ლებედევი) კურთხევით.[1214]

როგორც ეროვნული მოღვაწე, ალექსანდრე ეპისკოპოსი მტკიცედ იცავდა ქართულ ენას, რომელიც ცარიზმის მიერ იდევნებოდა სასულიერო სასწავლებლებიდან. იგი თავის მრევლს მოუწოდებდა: „დროა გავახილოთ თვალები, შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა, ვუშველოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს, საქმე ვაკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა, ლაპარაკი არ კმარა, დავავალოთ შეძლებულ ქართველებს საწყალი ქართველი ხალხის პატრონობა, მფარველობა და ქომაგობა, თორემ დავიღუპებით, აღვიგვებით."[1215] იგი ქომაგად ედგა ქართველ ერს. მან მკაცრად გაილაშქრა ცნობილი რუსიფიკატორის დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა სამეგრელოს ეპარქიაში ქართული წირვა-ლოცვის აკრძალვა. ამ მიზეზით იგი 1903 წელს გადააყენეს მღვდელმთავრობიდან.[1216] მოხუცებული მღვდელმთავარი დამკვიდრდა თავის განახლებულ მონასტერში, შიომღვიმეში, სადაც იგი აღესრულა 1907 წელს. ქართველი საზოგადოება დიდად აფასებდა მის ღვაწლს. 1898 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად გადაყვანასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა მას იუბილე გადაუხადა. იუბილარს მიესალმა მისი სულიერი შვილი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავისი სიტყვა საკუთარი მოძღვრის მიმართ ამაღლებული სიტყვებით დაასრულა: „თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო – ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისასა და ორივეს ემსახურებოდით ერთმანეთს დაუკლისად გულმხურვალებით და სიყვარულით."[1217]

ალექსანდრე ეპისკოპოსმა მრავალი სასულიერო პირი აღუზარდა თავის ქვეყანას. მათ შორის იყო მისი ძმისწული ლეონიდი (ერობაში ლონგინოზი) ოქროპირიძე, რომელმაც ბიძის ხელშეწყობით კარგი სასულიერო სწავლა-განათლება მიიღო. 1884 წელს მან დაამთავრა სტავროპოლის სემინარია, ხოლო 1888 წელს კიევის სასულიერო აკადემია, სადაც იგი ბერად აღიკვეცა. სწავლის დასრულების შემდეგ ლეონიდე დაინიშნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მისიონერად და სკოლათა ინსპექტორად. სამისიონერო მოღვაწეობას იგი ეწეოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, ოსეთში, საინგილოში, სადაც სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობაში აღვივებდა სამშობლოსადმი სიყვარულს.[1218]

განსაკუთრებით საინტერესოა ლეონიდეს მოღვაწეობა ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს გავლენით

ისტორიისათვის, I, თბ., გვ. 107-108.

1214 Грузинский Экзархат в 1884, Ответь представленный Святешему Синоду членом онаго, превосвященным Павлом, архиепископом Карталинским и Кахетинским, Экзархом Грузии, стр. 4.

1215 გაზეთი „ივერია," 1898, 34.

1216 ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921; თბ., 2003, გვ. 209.

1217 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1898, 20 მაისი, 537.

1218 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 6.

ვრცელდებოდა ქრისტეს რწმენა. ჩრდილოეთ ოსეთში მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა რამდენიმე ეკლესია.

ლეონიდე მუხლჩაუხრელად მუშაობდა ინგილოებს შორის. საუკუნეთა ქარტეხილების გამო გამაჰმადიანებული ამ კუთხის მოსახლეობა ქართველთა ერთიან სხეულს მოწყვეტილი იყო. მან ყურადღება მიაქცია ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დაჩაგრულ ქართველობას. მათ შესახებ იგი წერდა: „საინგილოს მოლები ცდილობენ, რომ ინგილოთა ახლ-თაობამ არა გაიგოს რა თავისის მამა-პაპების, ეროვნების და დედა ენის შესახებ. ფრიად საჭიროა, რომ მეჩეთებთან დაარსებული სკოლები დაუმორჩილოს მთავრობამ საერო განათლების სამინისტროს უწყებას."[1219] ინგილოთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვიძების პირველ პირობად მას მიაჩნდა მათში მამა-პაპური ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა. ამ მიზნით ლეონიდე ხელს უწყობდა ძირძველ ქართულ კუთხეში მართლმადიდებელი ეკლესიების აღდგენას. 1890 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიას. ამ ტაძრის საძირკვლის ჩაყრას ლეონიდემ საზეიმო ელფერი მისცა. 10 აპრილს ადგილობრივი მოსახლეობისა და მოწაფეების თანხლებით ისინი საზეიმოდ გამოწყობილნი გაემართნენ მთის მწვერვალისკენ, სადაც მომავალი ეკლესია უნდა აშენებულიყო. ეპისკოპოსმა ლეონიდემ ადგილის კურთხევისას წარმოთქვა პატრიოტული სიტყვა.[1220] 1891 წლის 12 მაისს აკურთხა კახის ქალთა სკოლის საფუძველი, ხოლო იმავე წლის 13 მაისს თასმალოში დააარსა ახალი სკოლა-ეკლესია. ინგილოთა შორის სკოლების გახსნით იგი ცდილობდა მათში სწავლა-განათლების შეტანას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ განათლებულ ინგილოებში ეროვნული თვითშეგნება თავისთავად ამაღლდებოდა. ეს სკოლები მან დაუპირისპირა მეჩეთებთან არსებულ მედრესეებს, სადაც ახალგაზრდა თაობას გონებას უჩლუნგებდნენ და ქრისტიანი ქართველების მიმართ ზიზღს უნერგავდნენ. 1892 წელს ეპისკოპომა ლეონიდემ ქრისტიანობაზე მოაქცია სოფელ თასმალოს 62 მცხოვრები.[1221]

ლეონიდე ოქროპირიძემ დიდი ღვაწლი დასდო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობისა და სწავლა-განათლების გავრცელებას. იგი სასულიერო მთავრობის წინაშე მთელ რიგ წინადადებებს აყენებდა, რომ სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილ ამ კუთხეს სათანადო ყურადღება მიქცეოდა. მისივე ინიციატივით, 1892 წელს სკოლა გაიხსნა პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებთან. ეპისკოპოს ლეონიდეს ინიციატივით 1892 წელს სკოლა გაიხსნა სოფელ ბარისახოში.[1222]

1892 წელს ლეონიდე დაინიშნა ზედაზნის მონასტრის იღუმენად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ხირსის მონასტრის არქიმანდრიტად. მან აღნიშნული მონასტერი შეაკეთა. მისი დამაარსებლის, 13 ასურელი მამიდან ერთ-ერთის,

1219 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 6.

1220 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 38-39.

1221 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 10.

1222 Духовный вестник Грузинского Экзархата, 1892, 8, გვ. 3-4.

სტეფანე ხირსელის საფლავი დაამშვენა ახალი ლუსკუმათი. მონასტერთან გახსნა სკოლა. 1886 წელს ლეონიდე აირჩიეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად. ამ პერიოდში ის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. ლეონიდე დანიშნა თბილისის სიძველეთსაცავის და ღარიბი სასულიერო პირების სამზრუნველოს თავმჯდომარედ. ამავე დროს იგი იყო ქართლ-კახეთის სასკოლო საბჭოს წევრი. ლეონიდე მიესალმა ჟურნალ „ჯეჯილის" დაარსებას, მაგრამ ზოგიერთმა რუსმა ბიუროკრატმა მოხელემ აუკრძალა მისი კითხვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს. ლეონიდემ, როგორც ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს წევრი, მოიწონა ჟურნალი „ჯეჯილი" და კურთხევა გასცა, რომ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს შეეძლოთ ჟურნალი წაეკითხათ.[1223]

1898 წელს ეპისკოპოსის ხარისხში აყვანის შემდეგ ლეონიდე გორის ქორეპისკოპოსად დაინიშნა, კურთხევის დროს მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ღმერთმა მას მძიმე ტვირთი დააკისრა, მაგრამ გამოთქვა იმედი, რომ იგივე ღმერთი მას შეუმსუბუქებდა ტვირთის ზიდვას.[1224]

ეპისკოპოსი ლეონიდე თვალყურს ადევნებდა ქართული ენისა და საეკლესიო საგალობლების უნუგეშო მდგომარეობას. მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სწავლება მოწესრიგებულიყო საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში. ამ კომისიაში შედიოდნენ: კირიონ საძაგლიშვილი, სემინარიის მასწავლებელები: ნ. მახათაძე, ილია ფერაძე, სასულიერო სასწავლებლის პედაგოგები ანტონ ნატროშვილი და ა. გრძელიშვილი. კომისიამ თავისი პროგორამის პროექტი წარუდგინა სასულიერო ხელისუფლებას.[1225] ეპისკოპოსი ლეონიდე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი ქართული საგალობლების აღდგენას, რადგან იცოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართული ეკლესიის წიაღში შექმნილი უძველესი ქართული საგალობლები წირვა-ლოცვას მეტ მიმზიდველობას ანიჭებდა. მასში კარგად იყო გამოხატული ქართული ეროვნული სული. მან შეადგინა ქართველ მგალობელთა გუნდი ცნობილი ლოტბარის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, რომლებიც გალობდნენ თბილისის ეკლესიებში.[1226]

ლეონიდე ეპისკოპოსი დიდად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების გასამშვენიერებლად. მან დიდი შემწეობა აღმოუჩინა ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს. ათონის მთიდან ჩამოსული ბერები გაამწესა დავით გარეჯის უდაბნოში და მათ წინამძღვრად დაუნიშნა ათონშივე მოღვაწე ბენედიქტე ბარკალაია.

ეპისკოპოსი ლეონიდე თავის მოღვაწეობაში დიდ როლს ანიჭებდა ქადაგებას. ამიტომ იყო, რომ ყოველი წირვის, თუ მოგზაურობის დროს მრევლს

1223 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 14.

1224 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 16.

1225 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 18-19.

1226 იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი, ილ. ნებოძირელი, თბ., 1902, გვ. 19.

ქადაგებით მიმართავდა, მიუთითებდა მათ ნაკლზე. იგი ქადაგებდა მარტივი, გასაგები ენით. მისი ქადაგებების კრებული 1915 წელს გამოქვეყნდა.

ლეონიდე ეპისკოპოსს მთელი თავისი მოღვაწეობის დროს ეროვნული ინტერესებით მოქმედებდა. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში.

ზემოთაღნიშნული ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობა მიმართული იყო რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ბრძოლაში მათ სხვა სასულიერო პირებთან ერთად მხარში ედგა ქართელი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის დაშლის მიზნით რუსეთის ცარიზმმა მეგრელები და სვანები არაქართველებად გამოაცხადა და დაიწყო „ზრუნვა" მათთვის დამწერლობა შეექმნა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა სურვილი იყო წირვა-ლოცვა მეგრულად და სვანურად დამკვიდრებულიყო. ამ ამოცანის განხორციელებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლება, ჯერ კიდევ, XIX საუკუნის 60-იან წლებში შეეცადა. აღინიშნა აგრეთვე, რომ რუსული გრაფიკის საფუძველზე ენათმეცნიერმა და გენერალმა პეტრე უსლარმა (1816-1875) შექმნა სვანური ანბანი („ლუშნუ ანბან"). აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში აქტიურად იყო ჩართული ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურე ფ. ლევიტსკი. მისი ინიციატივით ხონის სემინარიის მასწავლებლებმა ივან პეტროვმა და თადა (თადეოზ) აშორდიამ ცალცალკე შექმნეს მეგრული ანბანი მეგრული საკითხავი ტექსტების დართვით. თადა აშორდია იყო ფ. ლევიტსკის გერი. ამ ურთიერთობას ფ. ლევიცკი კარგად იყენებდა თავისი მიზნების განსახორციელებლად. მოგვიანებით, XIX საუკუნის 90-იან წლებში პეტერბურგელმა პროფესორმა ალექსანდრე გრენმა შეადგინა მეგრული საანბანო სახელმძღვანელო.[1227] ალექსანდრე გრენი 1899 წელს გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში დაუფარავად ააშკარავებდა ხელისუფლების მიზანდასახულობას: „ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ეროვნული ბრძოლისათვის მეგრელები, რომლებსაც ფეხქვეშ თელავს უფრო ძლიერი ქართველი ხალხი. ჭეშმარიტად, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა,] რომლითაც მეგრელი ისევე გამოხატავდა თავის აზრებს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში – ქართველი."[1228]

მეგრულად და სვანურად ითარგმნა „მამაო ჩვენო," გადაიღეს წმინდა წერილის ცალკეული ადგილები და სხვა ლოცვები. ცარიზმის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ქართველმა საზოგადოებამ და რაც მთავარია

1227 ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, გვ. 624; შდრ. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 57.

1228 ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 104.

თარგმნილი ლოცვები არ მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ და სამღვდელოებამ, რის გამოც ხელისუფლებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. თუმცა ხელისუფლებას ხელი არ აუღია მის განხორციელებაზე. რუსეთის ხელისუფლება შეეცადა მეცნიერულად, ენათმეცნიერების დახმარებით სურდათ დაესაბუთებინა, რომ ქართული ენა და მისი განშტოება კილო-კავები – სვანური, მეგრული-ლაზური ერთიანი ენა კი არაა, არამედ დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენდა. ასეთი მოსაზრება, ჯერ კიდევ, 1844-1845 წლებში გამოთქმული ჰქონდა გერმანელ ლინგვისტს გეორგ როზენს. თავისი ინტერესების გატარებისათვის ხელისუფლება შეეცადა გამოეყენებინა ცნობილი ქართველი მკვლევარისა და პირველი ქართველი ენათმეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის (1844-1929) მიერ რუსულ ენაზე 1871 წელს გამოცემული ნაშრომი „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა" („Сравнительный обзор морфологии Иберийской группы кавказских языков" (СПб., 1871); მისივე 1873 წელს დაბეჭდილი „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ"[1229] და აგრეთვე 1880 წელს გამოცემული ორ ტომეული „მეგრული ეტიუდები,"[1230] აღნიშნულ შრომებში ალექსანდრე ცაგარელი ლაზურ, სვანურ და მეგრულს ენებად მიიჩნევდა. ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია მის მიერ მეგრული ეტიუდების ორტომეულის გამოქვეყნებამ, რაზეც მეტყველებს ქართული პრესაში ალექსანდრე ცაგარელის წინააღმდეგ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მისი საქციელი ერის ღალატად იქნა მიჩნეული. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი, ეგზარქოსი პავლე ლებედევი, შემდგომ კი დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომების გამოყენებას ქართველთა საწინააღმდეგოდ ცდილობდნენ.[1231] ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, მათ შორის ჰიპოტეტურ დონეზეც კი, რომ ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნული შრომების გამოცემით გარკვეულ წილად რუს მოხელეთა დაკვეთას ასრულებდა. იგი არ იყო ის პიროვნება, რომ სამშობლოს ინტერესები ჩინ-მედლებზე და სხვა პრივილეგიებზე გაეცვალა. როგორც ჩანს, მას აღნიშნული საკითხები პროფესიული თვალსაზრისით აინტერესებდა. თუმცა ალექსანდრე ცაგარელის ეს შრომები თავისთავად ხელისუფლების სურვილების გამყარებას უწყობდა ხელს. ერთი რამ ცხადია, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მწვავე კრიტიკის შემდეგ ალექსანდრე ცაგარელმა ლინგვისტურ

1229 А. Цагарели, О граматической литературе грузинского языка, Критический очерк публицистика – Санкт-Петербург: Тип. Имп. Акад. наук. 1873.

1230 А. Цагарели, Мингрельские Этюды. Вып. 1. Мингрельские тексты с переводом и обьяснениями – Санкт-Петербург: Тип. Имп. Акад. наук, 1880; Франц. перевод, Одеса, 1883); შდრ. А. Цагарели Мингрельские Этюды. Вып. 2. Опыт фонетики Тип Имп Акад наук 1880 мингрельскаго языкка – Санкт-Петербург: Тип. Имп. Акад. наук, 1880.

1231 თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. - „ქართველური მემკვიდრეობა," ტ. V ქუთაისი, 2001, გვ. 57; შდრ. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 45.

კვლევებს თავი დაანება და სამეცნიერო კვლევა-ძიება ქართველოლოგიაში სხვა კუთხით გააგრძელა.[1232]

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ცაგარელი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, მონაწილეობდა 1906 პეტერბურგში გამართულ საეკლესიო კრების წინასათათბიროს სხდომის მუშაობაში, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი იხილებოდა. მისი ნაშრომი „სტატიები და შენიშვნები ქართული საეკლესიო საკითხისათვის" პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა 1912 წელს.[1233]

მიუხედავად ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობისა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, წარმოშობით პოლონელი კირილ იანოვსკი, რომელიც ამ თანამდედობაზე 1878 წლის დეკემბრიდან 1900 წლამდე იყო, თავის თანამზრახველებთან ერთად, რომელთა შორის აღსანიშნავია ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურე, წარმოშობით აგრეთვე პოლონელი ფ. ლევიცკი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად შეუდგნენ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანას. 1892 წელს კირილ იანოვსკიმ რუსეთის განათლების მინისტრისათვის გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რადგან ქართველები და მეგრელები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეთნოს წარმოადგენს და ენაც განსხვავებული აქვთ, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა მეგრულად საეკლესიო წიგნებისა და ლოცვების თარგმნა. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა 1892 წლის 24 მაისს საქართველოს ეგზარქოს აცნობა აღნიშნულის შესახებ და სთხოვა შესაბამის დასკვნის გაკეთება. ამ უკანასკნელმა იმავე წლის 5 ივნისის საკითხის შესწავლა და დასკვნის წარდგენა მოსთხოვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს (დადიანს).

ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი საკმაო ავტორიტეტულ მღვდელმთავრად ითვლებოდა. იგი იმ კუთხის შვილი იყო, სადაც ხელისუფლებას სურდა თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება, ქართველთა ერთიანობის დაშლის შესახებ. ამიტომ მის აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ხელისუფლებისათვის, საერთოდ ქართველი საზოგადოებისთვის, ისე ადგილობრივი საერო და სასულიერო პირებისათვის.

საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა გრიგოლ დადიანმა. გრიგოლ დადიანი (ერობაში გიორგი ელიზბარის ძე დადიანი) დაიბადა 1824 წელს სოფელ ქვიშხორში (ქუთაისის გუბერნია), სამეგრელოს მთავრის გვერდით შტოს ოჯახში. სწავლობდა ნახარებაოს ღვთისმშობლის მონასტერში, შემდეგ სამეგრელოს სამაზრო სასულიერო სასწავლებელში და საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ ისიდორეს (ნიკოლსკი) კურთხევით რამდენიმე წელი ლექციების კურსს ისმენდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1845 წელს

1232 თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 58.

1233 Проф. А. А. Цагарели, Статии и заметки по Грузинскому церковном вопросу. К столетию (1811-1911 г.г.) ведоства Грузинской церкви СПБ, 1912 стр. 1-134.



ეპისკოპოსი გრიგოლი
(დადიანი, 1824-1907)

მორჩილად გაამწესეს ნახარებაოს მონასტერში, 1849 წელს ეპისკოპოსმა ანტონ დადიანმა ბერად აღკვეცა გრიგოლის სახელით და დიაკვნად აკურთხა. 1850 წლის იანვარში თავისივე თხოვნით თბილისის ფერისცვალების მონასტერში გადაიყვანეს, სადაც იგი ეკონომისად გაამწესეს. 1852 წელს კი ეგზარქოსმა ისიდორემ გრიგოლი მღვდელ-მონაზვნად აკურთხა. 1857 წლის ნოემბერში გრიგოლი სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელ-მონაზვნად გაამწესეს, 1858-1862 წლებში – ბიჭვინთის, შემდეგ აბჟუას ოლქის მთავარხუცესი იყო; 1862 წელს კი სოხუმის საკათედრო ტაძრის იღუმენად დანიშნეს. 1865 წლიდან გრიგოლი ბოდბის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს. 1868 წელს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა და ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს. 1875 წელს გრიგოლი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს, 1879 წლის 28 ივლისიდან დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1886 წელს, რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშნეს. იგი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ეპარქიაში. ადგილზე ეცნობოდა სასულიერო პირებისა და მრევლის სულიერ მდგომარეობას. მან ეპარქიაში სასულიერო განათლების სრულყოფის მიზნით სოფელ ბანძაში გახსნა ორწლიანი სამრევლო სკოლა.

საქართველოს ეგზარქოსიის მოთხოვნით, 1892 წლის 12 აგვისტოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა დამაჯერებელი პასუხი გასცა კირილ იანოვსკის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნას, რითაც მან ამხილა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა. იგი, როგორც მღვდელმთავარი და თავის ქვეყნის პატრიოტი, წინ აღუდგა ხელისუფლების პოლიტიკას და დაასაბუთა, რომ შეუძლებელია მეგრულად საეკლესიო წიგნების გამოცემა, რადგან იგი დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა. გარდა ამისა „მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას. რაკი მეგრული მხოლოდ კილოა და არა ენა, შეუძლებელია ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შემცველი საეკლესიო წიგნების გადაღება არასრულყოფილ, მცირესიტყვიან და წერილობითი თხრობისათვის სრულიად გამოუსადეგარ მეტყველებაზე." ეპისკოპოს გრიგოლს მეგრულად საეკლესიო წიგნების თარგმნა და გამოცემა მწვალებლობად მიაჩნდა. იგი ხელისუფლებას ატყობინებდა, რომ საერო სკოლებში შემოღებული მეგრულის სწავლების გამო ადგილობრი მკვიდრი უკმაყოფილებას გამოთქვამ-

და. მოხსენების დასასრულს ეპისკოპოსი გრიგოლი აღნიშნავდა „...მე არ ვიზიარებ მისი უდიდებულესობის, კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის შეხედულებებს და ჩემდამი რწმუნებული სამღვდელოების ამჟამინდელი მდგომარეობა მიმაჩნია სრულიად დამაკმაყოფილებლად თავისი სკოლების დამოუკიდებლად მართვისათვის"-ო.[1234] მართალია ეგზარქოსმა პალადიმ მხარი დაუჭირა ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის დასკვნას, მაგრამ იმპერატორის გადაწყვეტილებით და ახალი ეგზარქოსიის ვლადიმირ ბოგოიავლენსკი (1892-1898) მხარდაჭერით მეგრულად ითარგმნა ათი მცნება და საყოველთაო ლოცვები. საქართველოს ეგზარქოსიის დავალებით აღნიშნული თარგმანის შესახებ 1894 წლის 28 იანვარს იმხანად ალავერდის ქორ-ეპისკოპოსმა ამბროსიმ (ხელაია), მღვდელმა გიორგი ჩაგუნავამ და თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგმა თევდორე (თედო) ჟორდანიამ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უარყოფითი დასკვნა წარუდგინეს. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ლოცვების მეგრულად შემოღებას და წირვა-ლოცვის მეგრულად დაყენებას.[1235] იმავე წლის 9 მარტს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლ დადიანს დაავალა შეემოწმებინა თარგმანის სიზუსტე და გაერკვია გამოიწვევდა თუ არა ამ პროექტის დანერგვა უკმაყოფილებას მოსახლეობაში. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით ეპისკოპოსმა გრიგოლმა 1894 წლის 30 მაისს თავისი თავმჯდომარეობით შექმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ სამეგრელოს მკვიდრი ქართული ენის კარგი მცოდნე დეკანოზები: მიხეილ მეუნრგია (იონა მეუნარგიას მამა) და დეკანოზი გიორგი ბერიძე; მღვდლები: ნესტორ ალიშბაია, ანტონ კეკელია, კაპიტონ გაწერელია. მათ ეხმარებოდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი სტეფანე ძიმისტარაშვილი. ეპისკოპოსმა გრიგოლმა სამეგრელოს წარჩინებულ თავადებს: მწერალსა და მთარგმნელს ნიკოლოზ დადიანს (შალვა დადიანის მამა), დავით დადიანს და აგრთვე ოლქის ყველა ბლაღოჩინს დაავალა წერილობით თავიანთი აზრი გამოეთქვათ აღნიშნულის შესახებ. მცირე ხნის შემდეგ კომისიამ შეაგროვა, შეაჯერა გამოთქმული მოსაზრებები და 1895 წლის 15 მარტსა და 2 ივნისს ჩატარებულ სხდომებზე ორჯერ განიხილეს წარმოდგენილი შეხედულებები. ამ სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები ასახეს რუსულ ენაზე შედგენილ ოქმში, რომელიც გაეგზავნა საქართვე-

1234 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №83, 1912; შდრ. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 59.

1235 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №83, 1912; შდრ. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 59; შდრ. თ. ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში და ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში? (ანტიკრიტიკა პასუხად ბ. ი. ფანცხავას და მის კამპანიას); ქუთაისი, 1913. გვ. 15-17; შდრ. თ. კვაჭანტირაძე, განსჯანი ეროვნებაზე, „ენოვნებაზე," მესიტყვეებზე და ზოგ სხვა რამეზეც, თბ., 2013, გვ. 38-40.

ლო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რუსეთის უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორს, მიტროპოლიტებს, შესაბამის დარგის მინისტრებს და სხვა. ჩატარებული სამუშაო იმდენად ღირებულად მიუჩნევიათ, რომ 1895 წელს რუსულ ენაზე ამ საკითხზე არსებული ყველა დოკუმენტაცია, სამსახურებრივი საქმიანობისათვის, ეპარქიის „ჟურნალის" სახელწოდებით, მცირე ტირაჟით გამოქვეყნდა. იგი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და არ მოიპოვება საქართველოში არსებულ ბიბლიოთეკებში. ამ „ჟურნალის" დოკუმენტების პირველი პუბლიკაცია 1912 წელს გაზეთ „თემში" განახორციელა სოფრომ მგალობლიშვილმა „დირბელის" ფსევდონიმით.[1236] ბოლო პერიოდში კი ამ საკითხზე რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა.[1237] აღნიშნულ „ჟურნალში" გამოქვეყნებულია, ჩვენს მიერ ზემოთმოხსენებული, გრიგოლ ეპისკოპოსიის პასუხი კირილ იანოვსკის წინააღმდეგ, რომელშიც ხაზგასმულია, რომ არა თუ მეგრულად შედგენილ ლოცვებს, არამედ „თვით ხალხს არ მოსწონს მეგრული ენის შემოღება სკოლებში, მტრულად უცქერის ამ გარემოებას."[1238]

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლის ინიციატივით ჩატარებულმა სასულიერო კრებამ ოქმით დაადგინა, რომ „ათი მცნებისა" და საყოველთაო ლოცვების შემოღება მეგრულად დამღუპველ ზეგავლენას მოახდენდა ხალხის რელიგიურ გრძნობებზე და იგი ხელს შეუწყობდა ურწმუნოების დამკვიდრებას. მეგრულად წიგნების თარგმნის საწინააღმდეგოდ ეპისკოპოსი გრიგოლი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს სამღვდელოების დასკვნით, შეუძლებელია მეგრულად ლოცვების თარგმნა და ამავე ენაზე წირვის დაყენება, რადგან გრამატიკული ფორმებით და სასულიერო ლექსიკით მეგრული, როგორც ქართული ენის კილოკავი, მეტად ღარიბია.

„ჟურნალში" გამოქვეყნებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებული ყველა მოსაზრება. მეტად საინტერესოა ბლაღოჩინ კაპიტონ გაწერელიას შეხედულება, რომელმაც თავისი მოსაზრება სამ პუნქტად წარმოადგინა. მის მიხედვით შეუძლებელია ლოცვებისა და საეკლესიო წიგნების თარგმნა მეგრულად, რადგან იგი ქართული ენის კილოკავია და მას არ გააჩნია სათანადო ლექსიკა საღვთისმეტყველო და სარწმუნოებრივი ტექსტების შინაარსიის სიზუსტის გადმოსაცემად. მისი დასკვნით, მეგრული არ არის საეკლესიო ენა.

ბლაღოჩინი კაპიტონ გაწერელია მიიჩნევდა, რომ რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად სახიფათოა ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისი-

---

1236 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №83, 85, 86, 87, 1912.

1237 თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 51-59; შდრ. თ. კვაჭანტირაძე, განსჯანი ეროვნებაზე, „ენოვნებაზე," მესიტყვეებზე და ზოგ სხვა რამეზეც, თბ., 2013, გვ. 34-47.

1238 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №83, 1912.

თაც, რადგან უხეიროდ თარგმნილი ტექსტები გამოიწვევდა განხეთქილებას, დაპირისპირებას, სხვადასხვა განცალკევებული ჯგუფების ჩამოყალიბებას და სხვა, რაც დამღუპველად იმოქმედებდა სარწმუნოებრივ სიჯანსაღეზე.

მისივე დასკვნით, რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად ზედმეტია იმის გამო, რომ ისინი ძველი დროიდან ქართული ენაზე ისმენდნენ წირვა-ლოცვას, ამავე ენაზე მათ შესანიშნავად ესმოდათ ღვთის სიტყვა და არც წარსულში და არც ახლა არასდროს მოუთხოვიათ მათ მეგრულად ლოცვების თარგმნა, რადგან „ლოცვების კითხვა და ღვთისმსახურების აღსრულება საეკლესიო ქართულ ენაზე სრულად ეხმატკბილებოდა მეგრელთა სულიერ წყობასა და რელიგიურ მოთხოვნებს; სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეგრელები ლოცვათა თარგმანს სასაცილო და ცოდვიან საქმედ." დეკანოზ კაპიტონ გაწერელიას მეგრული დიალექტის სამწიგნობრო ენად გადაქცევა არაბუნებრივად და ღვთის ნების საწინააღმდეგო საქმედ მიაჩნდა.[1239] ასეთივე აზრი გამოთქვეს სამეგრელოს სასულიერო პირებმა: კლიმენტი ჭანტურიამ, მიხეილ მეუნარგიამ, ნესტორ ალიშბაიამ, ალექსი ქვარცხავამ, ევგენი შენგელაიამ და სხვებმა.[1240]

თითქმის იგივე შინაარსისა დავით გიორგის ძე დადიანისა და ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის მიერ წარდგენილი დასკვნები. ამ უკანასკნელის აღნიშვნით „...თარგმანი ლოცვებისა, საზოგადოდ ყოველი თარგმანი ქართულიდან მეგრულზე შეუძლებელია და არც გამოწვეულია ხალხის ნამდვილი გონებით და რელიგიური საჭიროებით. იგი მხოლოდ ახირებაა ერთობ მავნე თავის შედეგებით."[1241] იგი განიხილავს მეგრული თარგმანის ლოცვებს ქართულ ენასთან მიმართებაში და წარმოაჩენს შეუსაბამო უზუსტობებს. მისი დასკვნით: „მეგრულ კილოკავზე ლოცვების და წიგნების თარგმნა მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვაძლს დათესავს, შეარყევს სარწმუნოებას, გამოიწვევს დრტვინვას, ხალხის ფსიხოლოგიური ერთობის დარღვევას და სამსახურს გაუწევს მწვალებელთა მეთაურების სწავლას." ანალოგიური იყო დავით დადიანის დასკვნაც: „უნაყოფოდ ცდად მიმაჩნია თარგმნა ლოცვისა და წიგნებისა მეგრულად და უმჯობესია ამ ცდას ბოლო მოუღონ, რათა არ დაითრგუნოს კოლხელთა ანუ აწინდელ მეგრელთა თვალში სარწმუნოება."[1242]

1239 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №85, 1912; შდრ. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, №1, 2009, გვ. 57; შდრ. თ. კვაჭანტირაძე, განსჯანი ეროვნებაზე, „ენოვნებაზე," მესიტყვეებზე და ზოგ სხვა რამეზეც, თბ., 2013, გვ. 41.

1240 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №83, 1912); შდრ. თ. კვაჭანტირაძე, განსჯანი ეროვნებაზე, „ენოვნებაზე," მესიტყვეებზე და ზოგ სხვა რამეზეც, თბ., 2013, გვ. 41-45.

1241 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №86, 1912; შდრ. თ. კვაჭანტირაძე, განსჯანი ეროვნებაზე, „ენოვნებაზე," მესიტყვეებზე და ზოგ სხვა რამეზეც, თბ., 2013, გვ. 46.

1242 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №87, 1912.

მოტანილი მასალები მეტყველებს, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი და მის გარშემო გაერთიანებული საერო და სასულიერო პირები წინ აღუდგნენ რუსეთის რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს საქართველოსგან ჩამოშორებას. ამ საქმეში გადამწყვეტი იყო გრიგოლ ეპისკოპოსის როლი, რომელიც სამღვდელოებას და საზოგადოებას განუმარტავდა რუსეთის პოლიტიკის მზაკვრობას. მათი წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ ეპისკოპოსი გრიგოლი არასაიმედო პიროვნებად მიიჩნია. 1898 წელს ეპისკოპოსი გრიგოლი რუსეთის უწმინდესი სინოდის განჩინებით, ეპარქიის მმართველობას ჩამოაცილეს და მოსკოვში გაიწვიეს, სადაც სინოდის კანტორის წევრად დანიშნეს და საცხოვრებლად წმინდა სიმონის სტავროპიგიალური მონასტერი მიუჩინეს. 1901 წელს საკუთარი თხოვნით იგი სამშობლოში დაბრუნდა და ერთხანს გელათის მონასტერში გაამწესეს, შემდეგ კი მარტვილის მონასტერში დამკვიდრდა, სადაც გარდაიცვალა 1907 წლის 12 ოქტომბერს, დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში.[1243]

მარცხის მიუხედავად ხელისუფლებას თავისი განზრახვის განხორციელებაზე უარი არ უთქვამს. 1898 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. თუმცა იმავე 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ნება დართო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულებისა იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ სოხუმის ეპისკოპოსი არსენი (ზოტოვი) აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა, რადგან სამურზაყანოელებს ქართველებად არ მიიჩნევდა. არსენ ეპისკოპოსს დაუპირისპირდა სამურზაყანოში მოღვაწე ქართველ პატრიოტთა ჯგუფი თედო სახოკიას ხელმძღვანელობით. XX საუკუნის დასაწყისში (1902 წ.) ხელისუფლება დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით კვლავ შეეცადა სამეგრელოს დაწყებით სკოლებში მეგრულის სწავლების შემოღებას, რომლის წინააღმდეგ იაკობ გოგებაშვილმა საინტერესო წერილი დაწერა, მაგრამ იოანე ვოსტორგოვის გამო არცერთმა გაზეთმა იგი არ გამოაქვეყნა. ალექსანდრე ცაგარელის დახმარებით გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტის" 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში „ვარიანელის" ფსევდონიმით იაკობ გოგებაშვილის აღნიშნული წერილი დაიბეჭდა, ხოლო 1904 წელს პეტერბურგშივე ისევ „ვარიანელის" ფსევდონიმით იგი წიგნათაც გამოიცა (К вопросу о Мингрелской начальной школе).[1244]

რუსეთის ხელისუფლებამ მარცხი განიცადა სვანურად თარგმნილი ლოცვების დამკვიდრებაში და წირვა-ლოცვის სვანურად დაყენებაში. ხელისუფ-

1243 ლ. ტოგონიძე, გ. მაჩურიშვილი, XVIII- XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა თბ., 2012, გვ. 322-323; შდრ. ე. ბუბულაშვილი, გრიგოლ დადიანი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ენციკლოპედია „საქართველო," ტ. 2, თბ., 2012, გვ. 56.

1244 ს. მგალობლიშვილი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში, გაზეთი „თემი," №87, 1912

ლების აღნიშნულ პოლიტიკას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაუპირისპირდა სასულიერო პირები ივანე მარგიანი, ბესარიონ ნიჟარაძე და სხვები.

დიდი იყო ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული კირიონ საძაგლიშვილის, ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძის და სხვათა როლი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე კირიონი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიული ნაშრთების მოძიებას და მის გადარჩენას. მისი მონაწილეობით შეკეთდა ალავერდის, ქვათახევის, სვეტცხოვლის მონასტრები. მანვე შემოგვინახა მრავალი ხელნაწერი. იგი ხშირად აქვეყნებდა წერილებს ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის შესახებ. ასეთივე მოღვაწეობას ეწეოდა ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე და სხვები.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სასულიერო პირების გარდა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში დიდი როლი შეასრულეს დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლებმა დავით ღამბაშიძემ, ბესარიონ ნიჟარაძემ, დიმიტრი ჯანაშვილმა, ივანე მარგიანმა, ალექსი ბაქრაძემ და სხვებმა, რომლებმაც თავიანთი ერის გასაჭირი ღვიძლ საქმედ გაიხადეს და ნათელი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა საქმიანობას ერთი თავისებურება ახასიათებდა. ისინი ვიწრო სარწმუნოებრივი ინტერესებით არ იფარგლებოდნენ. როგორც თავის ქვეყნის ღვიძლი შვილები, თავიანთ დამოკიდებულებას აშკარად ამჟღავნებდნენ იმ მწვავე მოვლენების მიმართ, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ იყო მიმართული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა თავიანთი მოღვაწეობით შეამზადეს ნიადაგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ დასახელებულ პერიოდში გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით აშკარად არ დაუსვამთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი, რადგან მძიმე რეაქციის ხანაში ასეთი რადიკალიზმი, შესაძლებელია, ერისათვის დამღუპველი ყოფილიყო. ამისმიუხედავად, დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს ეკლესიის ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვას ემსახურებოდა. საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის უფლებების დაცვა და ამ საკითხში რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა ფაქტიურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო.

ზემოთ განხილული წარმოდგენილი მასალა ნათელყოფს, რომ რუსული ანტისაეკლესიო პოლიტიკის მხილებაში და ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში დიდი როლს ასრულებდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები.

§2. თერგდალეულები ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში

რუსეთის რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკას, ქართველი სასულიერო პირებთან ერთად, წინ აღუდგა XIX საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თერგდალეულთა სახელით ცნობილი ახალი თაობა, რომელსაც სათავეში ედგა 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმ. ილია მართლის სახელით წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე. თერგლალეულებმა თავიანთ ეროვნულ პროგრამაში საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს. წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ), XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, დროშასავით წარუმძღვარა სამი ღვთაებრივი სიტყვა: „მამული, ენა, სარწმუნოება." მისი სამართლიანი თქმით: „ეს სამი ერთმანეთის ღირსნი საგანი ისე ჩაეწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად."[1245]

სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მამულს, ენას და სარწმუნოებას დიდი საფრთხე დაემუქრა. რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეული საქართველო ქუთაისისა და თბილისის გუბერნიად იქცა. ქართველი ხალხის რუსიფიკაციის მიზნით მშობლიური ენა აიკრძალა საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებებში. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის უწმინდეს სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საეგზარქოსოს სახით იყო წარმოდგენილი, იმპერიის სამსახურში ჩადგა. თერგდალეულებმა, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე, წმ. ილია მართალის (ჭავჭავაძე) ხელმძღვანელობით აქტიური ბრძოლა დაიწყეს დამონებული ქვეყნის, გაქრობის წინაშე მდგარი ქართული ენისა და ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი ტრადიციების შენარჩუნებისათვის. თერგდალეულთა თაობამ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე ერის სულიერი მესაჭეობა იკისრა. მათვე ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის ტვირთიც უნდა ეზიდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ მწერლობას შეიძლება გარკვეული სულიერი საზრდო მიეწოდებინა მკითხველისათვის, მაგრამ იგი ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლის როლს ვერ შეასრულებდა.[1246] ეს ღვთაებრივი კავშირი მხოლოდ ეკლესიის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის ისტორიულ ფუნქციას ვეღარ ასრულებდა. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების დაცვა თერგდალეულთა უპირველეს საზრუნავად იქცა.

1245 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 22

1246 ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 20.

ჯერ კიდევ 1861 წელს, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) მკაცრად აფრთხილებდა ქართველობას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას.“[1247] წმ. ილია მართალს „მამული, ენა, სარწმუნოება“ ერთ მცნებად ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის მკვიდრ საფუძველზე ეკლესიის თავისუფლებასთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს მყარი კედელი უნდა აშენებულიყო.



წმ. ილია მართალი
(ჭავჭავაძე, 1837-1907)

მართალია, თერგდალეულები მართლმადიდებელი სარწმუნოების მტკიცე დამცველები იყვნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ექომაგებოდნენ და თანაგრძნობით ეკიდებოდნენ არამართლმადიდებელი ქართველების – ქართველი კათოლიკეების, ქართველი მაჰმადიანების და მონოფიზიტი (სომხის რჯულის) ქართველების მძიმე ხვედრს, რომელთა მდგომარეობა იმპერიის პირობებში არასახარბიელო იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით, საქართველოში გაჩნდნენ არამართლმადიდებელი ქართველები. რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, მათი ეროვნული ვინაობა საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის ცარიზმმა კარგად გამოიყენა ქართველთა სარწმუნოებრივი განსხვავება მათი ასიმილაციისა და ერთმანეთთან დაპირისპირებისათვის. ისინი დამპყრობელმა არაქართველებად გამოაცხადა და შეეცადა მათ მოწყვეტას ერთიანი ქართული ეროვნული სხეულიდან. ასეთ პირობებში მყოფ არამართლმადიდებელ ქართველებს ქომაგად თერგდალეულები დაუდგნენ და დაიწყეს მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის ბრძოლა.

არამართლმადიდებელ ქართველებზე ზრუნვა თერგდალეულთა ეროვნული პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. მათ დაინახეს საშიშროება, რომ სარწმუნოებრივი განსხვავება და მისგან გამოწვეული შედეგები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაქუცმაცებას გამოიწვევდა. საჭირო იყო სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა ერთიანი ეროვნუ-

1247 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 22.

ლი დროშის ქვეშ გაერთიანება. დასახული მიზნიდან გამომდინარე, წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე), აკაკი წერეთელი, სერგი მესხი და სხვები აქტიურად ეხმაურებოდნენ ქართველი კათოლიკეების და ქართველი მაჰმადიანების ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრობლემას. განსაკუთრებით გაითავისეს მათ მესხეთის ქართველ კათოლიკეთა მძიმე ხვედრი. თერგდალეულთა თითქმის ყველა წარმომადგენელს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა მესხეთში მოღვაწე, კათოლიკე მღვდელ ივანე გვარამაძესთან. მის სტატიებს „ვინმე მესხის" ფსევდონიმით ქართული გაზეთები ხშირად აქვეყნებდა.[1248] ისინი თანაუგრძნობდნენ და გამამხნევებელი წერილებით შემდგომი მოღვაწეობისაკენ აქეზებდნენ რომში გადახვეწილ მიხეილ თამარაშვილს, რომელიც ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრობლემებზე მუშაობდა. თერგდალეულები აგრეთვე აღტაცებით შეხვდნენ 1878 წელს აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებას. მათთვის ქართველ მაჰმადიანთა სულიერი გასაჭირი ღვიძლ საქმე იქცა.[1249] არამართლმადიდებელი ქართველებისადმი წმ. ილია მართალის შეგონებამ – „რჯული ეროვნების განმსაზღვრელი არაა, ქართველი ყოველთვის ქართველია, რა სარწმუნოებას არ უნდა აღიარებდეს იგი" – გაამართლა. თერგდალეულთა და ქართველ სასულიერო პირთა ფრთხილმა ეროვნულ-სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ სათანადო ნაყოფი გამოიღო, ამაღლდა მათში ეროვნული თვითშეგნება და სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი ქართველთა ერთიანი ოჯახის წევრები გახდნენ.

თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ ქრისტიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. წმ. ილია მართალის აზრით, ქრისტეს მოძღვრების აღიარებით ქართველმა ხალხმა იტვირთა „ჯვარი პატიოსანი ჯვარცმული ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა."[1250] საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცი „გულში ჯვარითა და ხელში მახვილით იბრძოდა" და ქრისტეს რწმენისათვის არ უღალატნია. უფლისადმი თავდადება მატებდა მას სულიერ სიძლიერეს, რომლის მეოხებითაც არის გასხივოსნებული „ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თადადება, ვაჟკაცობა."[1251] წმ. ილია მართალის დასკვნით, საუკუნეების განმავლობაში „ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება."[1252] სწორედ ამის გამო, ქრისტიანული სარწმუნოება ქართველი კაცისათვის იმდენად იყო გათავისებული, რომ იგი ქართველობის სინონიმად იქცა, რადგან „ქრისტია-

1248 ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ქართველი კათოლიკენი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1999, გვ. 192; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 55.

1249 ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 56-57.

1250 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 22.

1251 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვანლი წმ. ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

1252 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვანლი წმ. ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

ნობა ქრისტეს მოძღვრების გარდა ჰნიშნავდა ქართველობას."[1253] უფრო მეტიც, წმ. ილია მართალის აზრით, არა მარტო წარსულში ასრულებდა ქრისტიანობა ასეთ როლს, არამედ XIX საუკუნეშიც, როცა საქართველოში თავი იჩინა რელიგიურმა სიჭრელემ: „დღესაც – წერდა იგი 1888 წელს – მთელ ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან – გაქართველდაო."[1254] ასეთი თვალსაზრისის მიუხედავად, ცარიზმის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, მოგვიანებით, წმ. ილია მართალი მიხვდა, რომ სარწმუნოებრივ სხვაობას და მასზე აქცენტის გაკეთებას შესაძლებელია საზიანოდ ემოქმედა არამართლმადიდებელ ქართველთა მომავალზე, რაც უეჭველია, გაართულებდა მათ კონსოლიდაციას მართლმადიდებელ ქართველებთან, აქედან გამომდინარე, იგი სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქართველთა შეკავშირებისათვის უკვე ყურადღებას აღარ ამახვილებდა სარწმუნოებრივ ერთიანობაზე.

წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ისტორიული გამოცდილების საფუძველზე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილის გასაერთიანებლად და შემოსაკრებად."[1255] აღნიშნული შეხედულებით იგი საქართველოს ისტორიული წარსულიდან ამოდიოდა, რადგან პოლიტიკურად დამოუკიდებელი სამეფო-სათავროები სულიერად გაერთიანებული იყვნენ მცხეთის საკათოლიკოსოს გარშემო. წმ. ილია მართალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კონსოლიდაციაში, რომელმაც „ქვითკირივით შეგვკრა და გაგვამაგრა," „ქრისტიანობამ გაგვაღვიძა მამულის და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის."[1256] ქრისტიანული რწმენის განმტკიცებასა და მის სულიერ სრულყოფაში დიდ როლს ასრულებდა ქართველი სამღვდელოება, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა ქვეყნისა და ერის ინტერესებს. წმ. ილია მართლის აზრით, ისტორიულად ქართველი სასულიერო პირები, ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, რადგან „ჩვენში სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული რჯულიდან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრის წინაშე."[1257] ასე იყო წარსულში, მაგრამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართველი სამღვდელოება რუსეთის სამსახურში ჩადგა, რის გამოც ისინი თავიანთ ისტორიულ დანიშნულებას ვეღარ ასრულებდნენ. მათ ნაკლებად ადარდებდათ მონობის უღელქვეშ მყოფი ქართველი ხალხის მომავალი. ცარიზმის პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად დაეცა სასულიერო პირების ავტორიტეტი. უცხო ქვეყნის მორჩილებაში მყო-

1253 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმ. ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

1254 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმ. ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

1255 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 36.

1256 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

1257 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი, გაზეთი „ივერია", 1888, 9.

ფი სასულიერო პირების გასაგონად წმ. ილია მართალი აღნიშნავდა, რომ მამულის, ერისა და სარწმუნოების სამსახურში პოულობდა „ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას."[1258]

წმ. ილია მართალი მტკივნეულად განიცდიდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარმა ქართველმა სასულიერო პირებმა მოძღვრის ფუნქცია დაკარგეს. მატერიალურ სახსარს მოკლებული სამღვდელოება რელიგიურ წეს-ჩვეულებებს გასამრჯელოს გარეშე არ ასრულებდა, რამაც მრევლსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა დაძაბა. ასეთი სასულიერო პირების შესახებ წმ. ილია მართალი გულისტკივილით წერდა: „ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს... ერი ვეღარ გასვლია მღვდელის ხარჯსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას ერთდროულად წამალი რამ უნდა დაედვას, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს."[1259] სამღვდელოების ასეთი უღირსი საქციელის შესახებ XIX საუკუნის 70-90-იან წლებში საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს სერგეი მესხმა, იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა. ისინი მომხრენი იყვნენ იმისა, რომ მოძღვრებს მრევლის ხარჯზე უნდა ეცხოვრათ, მაგრამ ღვთისაგან ბოძებული „ზეგარდმო მადლი საზრდოს შესაძენ ხელობად" არ უნდა გადაექციათ. უღირსი სასულიერო პირების შესახებ აკაკი წერეთელი გულისტკივილით წერდა: „ყოველთვინ და ყოველგან მხოლოდ მისი გაუმაძღრობის შესაჯერებელი სასყიდელია საჭირო და თუ არა ვაი გაჭირვებულს! იმათ აღარ ეღირსება ნათვლა, აღარც ზიარება და აღარც საფლავის კურთხევა."[1260]

რუსული პოლიტიკის შედეგად ფინანსიურად ხელისუფლებაზე დამოკიდებული ქართველი სასულიერო პირების უმრავლესობა დამპყრობლის სამსახურში ჩადგა. ისინი დიდად დაშორდნენ თავიანთ სამწყსოს. ყოველი ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულების დროს მრევლი ვალდებული იყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოფიციალური გადასახადი გადაეხადა. ამას ემატებოდა დრამის გადასახადიც. გაგულისებულ მრევლს აკაკი წერეთელი ათქმევინებს:

„ნუთუ ფეხს რამდენს გადადგამს
სასყიდელს გვთხოვდეს მღვდელიო?
მაშინ ჯობია, რომ რჯულზედ
სულაც ავიღოთ ხელიო!.."[1261]

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მრევლი სასულიერო პირებს უნდობლობას უცხადებდა. აკაკი წერეთელმა რუსული პოლიტიკის გავლენის ქვეშ მყოფი სასულიერო პირთა განწყობა კარგად გადმოგვცა ლექსში „მღვდელი

1258 ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი, გაზეთი „ივერია," 1888, 9.

1259 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1955, გვ. 136.

1260 გაზეთი „დროება," 1882, 211.

1261 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 191.

და ექიმი.“ მანვე გადაგვარებულ სასულიერო პირთა კრიტიკას რამდენიმე პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელი სასულიერო პირთა კრიტიკას ათეისტური პოზიციებიდან კი არ ახდენდა, არამედ მათი უარყოფითი ქმედების ჩვენებით მეფის ხელისუფლების ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას ააშკარავებდა. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში მას მოჰყავს ერთი მოძღვრის წერილი თავისი მფარველის მიმათ, რომელშიც იგი სიამაყით აღნიშნავს, რომ მღვდლად დადგენის შემდეგ ღმერთმა მის სიღარიბეს მოწყალე თვალით გადმოხედა.[1262] აკაკის სამართლიანად მიაჩნდა, რომ სამღვდელოების ასეთი ყოფა „ზნეობითის დაცემისა და გონებითის სიღარიბის ბრალია.“ აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის, მისი აზრით, აუცილებელია სასულიერო სასწავლებლების ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბება.[1263] აკაკი წერეთელს სამართლიანად მიაჩნია, რომ ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი სასულიერო პირები რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს, რამაც გამოიწვია მათი გადაგვარება და გაუცხოვება. აღნიშნულის შესახებ იგი წერდა:

„სამღვდელოებას და მის ეგზარხოსს
აებნათ ქრისტეს ნამოძღვრი კვალი,
შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება,
საქრისტიანო უარჰყვეს ვალი.
გარეგნად მღვდლები, შინაგნად მგლები
თავს არ იტეხდნენ ქრისტეს მცნებაზე
და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ
როგორც ჟანდრები, გარუსებაზე....“

იგივეს აღნიშნავდა ვაჟა-ფშაველა:

„ქრისტე, ხომ იცი, მშიერიც იყო,
ხალხის გულისთვის ჯვარზედაც ეცვა.
ახ, ნეტა რა ვქნა, მღვდელო, რა გიყო,
მე შენ ქცევაზედ არა მეთქმევა.
როგორ გამურე ქრისტეს სახელი,
ეს მიკლავს გულსა და მეჯავრება.
განა ეგ არის ღვთიური სული,
რაც ჯერ ეშმაკსაც არ ეკადრება?!“[1264]

აღნიშნულის შესახებ 1881 წელს წმ. ილია მართალი „ივერიის“ „შინაური მიმოხილვაში“ წერდა: „დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიე-

1262 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ., 1956, გვ. 292.

1263 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ანალები 1, გვ. 337.

1264 ვაჟა-ფშაველა, ერთი კვირა ხევსურეთში, თხზულებათა ტ. 4, თბ., 1967, გვ. 67.

რო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან. ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს ადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს."

შექმნილ სიტუაციას XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, შემდგომ კი 90-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა, ბოლშევიკები და მენშევიკები, კარგად იყენებდა ათეიზმის პროპაგანდისათვის. როგორც ცნობილი კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე წერდა: საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარება განაპირობა ორმა გარემოებამ: ერთი „შიგნიდან ეკლესიის გახრწნამ და გარედან ათეიზმის გავრცელებამ." აკაკი წერეთელი და საერთოდ თერგდალეულები ორივეს წინააღმდეგ გამოდიოდნენ.[1265]

ულირსი სასულიერო პირების გარდა, მრავლად იყო ერისა და ქვეყნისათვის თავდადებული სამღვდელოება. თერგდალეულებმა თავიანთ შემოქმედებაში სათანადო ადგილი დაუთმეს ასეთ სასულიერო პირთა წარმოჩენას. წმ. ილია მართალის (ქავჭავაძე) „გლახის ნაამბობში" დახატული მოძღვრის სახით მაღალზნეობრივი პიროვნებაა წარმოდგენილი. ასეთივეა ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი" და ვაჟა-ფშაველას „გოდება დიაკვნისა. ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში" გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან შეიტანა აღმზრდელობითი შინაარსის საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი „ჭეშმარიტი მოძღვრის" სახელწოდებით.[1266] მაღალზნეობრივ სასულიერო პირთა წარმოჩენით თერგდალეულებს სურდათ მკითხველის წინაშე ეჩვენებინათ ჭეშმარიტი მოძღვრის სახე. ხშირ შემთხვევაში მათ მიერ დახატული მოძღვრების პროტოტიპები ცხოვრებიდან აღებული რეალური პიროვნებები იყვნენ. თერგდალეულთა მიერ მოძღვრების იდეალური სურათის ჩვენებას დიდი პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან XIX საუკუნის



აკაკი წერეთელი
(1840-1915)

1265 აკაკი ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ., 1999, გვ. 180; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ანალები 1, გვ. 337.

1266 ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965, გვ. 179.

80-90-იან წლებიდან ქართველი ხალხოსნების, შემდგომ კი მარქსისტების მეშვეობით ქართულ პრესაში ფეხს იკიდებს ათეიზმი, რომელსაც გარკვეულწილად საფუძვლად ედო უღირსი სასულიერო პირების ქმედება.

თერგდალეულები მძიმედ განიცდიდნენ, რომ ეგზარქოსობის დროს რწმენის დაქვემდებარებასთან ერთად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკლესია – მონასტრები, იძარცვებოდა და ინგრეოდა ძველი ქართული საეკლესიო ცენტრები და იქ დაცული სიწმინდეები. თერგდალეულები დაუნდობლად ამხელდნენ ხელისუფლების უმაღლესი საერო და სასულიერო პირების აღვირახსნილობას, რომლებიც საქართველოს ეკლესიის სიწმინდეებს ძარცვავდნენ. აკაკი წერეთელმა ამ საკითხს რამდენიმე ლექსი და პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. 1912 წელს დაწერილ ლექსში „რაჭა-ლეჩხუმი“ პოეტმა შემდეგნაირად გამოხატა თავისი გულისნადები:

„დაუზოგავად გაძარცვეს,
ყველგან მონასტრის ტაძრები
და იმ ნაძარცვით აავსეს
საუკუღმართო ბაზრები.“[1267]

პოეტი აღნიშნავს, რომ რუს მოხელეთა ასეთმა ქმედებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა ღვთის შიში დაკარგა და ეკლესია-მონასტრების ძარცვა ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც დაიწყეს. „წინათ ქართველებს – წერს აკაკი – ისეთი შიში ჰქონდათ და პატივის ცემა საყრდისა, რომ არა თუ თვით ეკლესიასი, გალავანშიც, რომ გდებულიყო ძვირფასი რამ ვერავინ გაბედავდა ხელის მოკიდებას და გამოტანას.“[1268]

პოეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ რუსეთის ცარიზმმა ქართველთა ასიმილაციის მიზნით პირველ რიგში იერიში მიიტანა ეკლესიაზე:

„ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვეს: „აქ მარხია ძაღლიო!“
ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.“[1269]

აკაკი წერეთლის აზრით, დამპყრობელს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თუკი ქართველობა წინაპართა სარწმუნოების ერთგული იქნებოდა, შეუძლებელი იყო მისი გადაგვარება:

„სანამდის სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო

1267 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ,. 1956, გვ. 292.

1268 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283; შდრ. აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა, თბ., 2010, გვ., 107.

1269 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ,. 1956, გვ. 292.

და არ მოკვდება ზნეობით,
– ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო.
ჯერ უნდა სჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოთო
და მერე შევძლებთ ადვილად,
რომ კიდეც გავათათროთო.“[1270]

აკაკი წერეთელი ცენზურის თვალის ახვევის მიზნით აქ იყენებს ქართველთა გათათრებას.

თერგდალეულები დაუნდობლად ამხელდნენ ყველა იმ პიროვნებას, რომელიც საქართველოს ეკლესიის სიწმინდეებს ძარცვავდა. ამ მხრივ, XIX საუკუნის 70-იან წლებში აღსანიშნავია მათი გამოსვლა ქუთაისის იმჟამინდელი გენერალ-გუბერნატორის ვლადიმირ ლევაშოვის (1864-1874) წინააღმდეგ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოს რამდენიმე მონასტერი გაიძარცვა. ვლადიმირი ლევაშოვის წინააღმდეგ მიმართულ სტატიებს ხელისუფლების მითითებით, ცენზურა დაბეჭდვის ნებას არ რთავდა. გენერალ-გუბერნატორის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდნენ აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. სერგეი მესხმა პეტერბურგში გამომავალ გაზეთ „Голос“-ში 1875 წელს „ს. იმერელის“ ფსევდონიმით რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა ძარცვის შესახებ.[1271] პუბლიკაციის ავტორი სიწმინდეთა ძარცვის მონაწილედ და ხელშემწყობად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ვლადიმირ ლევაშოვს მიიჩნევდა, რამაც ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. აკაკი წერეთელს ვლადიმირ ლევაშოვი მიაჩნდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტერთა გაძარცვის სულისჩამდგმელად. ქართულ პრესაში, მათ შორის გაზეთ „დროებაში“ ვლადიმირ ლევაშოვის სამხილებლად რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა. ვლადიმირ ლევაშოვმა თავის გამართლების მიზნით სასამართლოში ცილისწამების ბრალდებით უჩივლა აკაკი წერეთელს. სამწუხაროდ, როგორც იმდროინდელი ქართველი საზოგადოება აღნიშნავდა, სასამართლო არ შემდგარა.[1272] ხელისუფლებას უტყუარი ცნობები ჰქონდა იმის შესახებ, რომ საეკლესიო სიწმინდეთა ძარცვის ორგანიზატორი ნამდვილად ვლადიმირ ლევაშოვი იყო. თუმცა, თვალის ახვევის მიზნით, ეგზარქოსმა დასავლეთ საქართველოში საგამომძიებლო ჯგუფი მიავლინა, რომელთაც მომხდარი ფაქტი უნდა შეესწავლათ, ობიექტური გამოძიების შედეგები, რა თქმა უნდა, უცნობი გახდა საზოგადოებისათვის. ხელისუფლება შეეცადა მოეხდი-

1270 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ,. 1956, გვ. 292.

1271 Голос, 1875, №112, 157; შდრ. ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965, გვ. 179; შდრ. ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ (1873-1882 წწ.) სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, თბ., 1967, გვ. 68.

1272 ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ (1873-1882 წწ.) სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, თბ., 1967, გვ. 68-69; შდრ. შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, ჟურნალი „მნათობი,“ 1968, 1, გვ. 177.

ნა ვლადიმირ ლევაშოვის შელახული რეპუტაციის აღდგენა. როგორც ჩანს, ქუთაისიის გენერალ-გუბერნატორის მითითებით, 1875 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ვლადიმირ ლევაშოვის მხარდასაჭერი წერილები. ერთ-ერთი წერილის ავტორი ყოფილა გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც უარყოფდა ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ძარცვაში მონაწილეობის შესახებ.[1273] ქართველი საზოგადოება აღშფოთებული იყო ვლადიმირ ლევაშოვის ქმედებით. ხმები დადიოდა, რომ თითქოს ვლადიმირ ლევაშოვმა ეკლესიის სიწმინდეების ძარცვა გაბრიელ ეპისკოპოსიის ხელშეწყობით შეძლო. ამ ჭორებს გაბრიელ ეპისკოპოსის მტრები ავრცელებდნენ. მეტი დამაჯერებლობისათვის ფაქტად მოჰქონდათ ის, რომ ეპისკოპოსი გარიელი ლევაშოვის შვილების ნათლია იყო. გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი პუბლიკაციების გამო გაზეთმა „დროებამ“ წერილი გამოაქვეყნა. პუბლიკაციის პასუხად ეპისკოპოსმა გაბრიელმა გაზეთ „დროებას“ რუსულ ენაზე დაწერილი წერილი გაუგზავნა. მართლია, ეპისკოპოს გაბრიელის აღნიშნული წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა, მაგრამ აკაკი წერეთელი მას გაზეთის რედაქციაში გასცნობია და ეპისკოპოსის პასუხით უკმაყოფილო დარჩენილა. 1875 წლის აპრილ-მაისში ქუთაისის სიწმინდეთა ძარცვის გამო აკაკი წერეთელმა მკვახე წერილი მისწერა გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელშიც აღნიშნავდა: „ნაცვლად იმისა, რომ თქვენ ისინი გამოაშკარაოთ და ამით გამოისყიდოთ ურიგო მაგ შემთხვევა, თქვენ კიდევ ხელს აფარებთ და მათ აორკეცებთ? რა მიზეზია, რომ თქვენ არც ერთის დანახვა არ გინდათ. მაშ როდესაც როგორც ხალხს, ისე ჩვენც, ათასობით გვიჭირავს ხელში სხვადასხვა კაცობრიობის დამამცირებელი ფაქტები ზოგიერთის თქვენის კარის კაცების ნამოქმედარი.“[1274] გამოძიების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეპისკოპოს გაბრიელს და მის გარემოცვას არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ვლადიმირ ლევაშოვთან.[1275] ხელისუფლებამ, მართალია დაუმსახურებლად, ვლადიმირ ლევაშოვი ბრალდებულად არ ცნო, მაგრამ იგი სასწაფოდ გაათავისუფლა თანამდებობიდან. თუმცა ოფიციალური პრესა აღნიშნავდა, რომ მისი გადადგომა საკუთარი სურვილით მოხდა.[1276] აღნიშნულის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე აკაკი წერეთელს არ შეუცვლია თავისი გულთბილი დამოკიდებულება ქართველი მღვდელმთავრის მიმართ.[1277] იგი დიდ პატივს სცემდა გაბრიელ ეპისკოპოსს და დიდად აფასებდა მის ღვაწლს. აღსანიშნავია, რომ ავდმყოფობის გამო აკაკი წერეთელი ვერ დაესწრო 1896 წელს ქუთაისში

1273 გაზეთი „Кавказ,“ 1875, №50, 4 მაისი)

1274 კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის ფონდი 351; შდრ. შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, ჟურნალი „მნათობი,“ 1968, 1, გვ. 176-177.

1275 ნ. ნადარაია, „გელათის საქმე“ და გაბრიელ ქიქოძე, საქართველოს სსრ მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტენი, 1980, 37-38, გვ. 53.

1276 ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ (1873-1882 წწ.) სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, თბ., 1967, გვ. 68.

1277 შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, ჟურნალი „მნათობი,“ 1968, 1, გვ. 176-177.

გაბრიელ ეპიკოპოსის დაკრძალვას, მაგრამ მღვდელმთავრის წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში მან კარგად შეაფასა მისი ღვაწლი. ეპისკოპოსმა გაბრიელმა – აღნიშნავდა იგი – „სიკვდილით სიცოცხლე გაიორკეცა! სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა. როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული ყველასათვის საერთოდ სათვალდათვალოა და ყოველი მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწყმოში და იმავე დროს ჩვენს წარსულ მომავალთან აკავშირებს.“[1278]

საეკლესიო ქონების ძარცვასთან ერთად, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში დაცული ხელნაწერები და სხვა სიწმინდეები. გაზეთები „ივერია“ და „დროება“ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხშირად აქვეყნებდა საინტერესო მასალებს და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, რომ ეზრუნა ისტორიული ნაშთების გადასარჩენად. ამ მხრივ, თერგდალეულებს წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდათ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით 1889 წელს დაარსებული საეკლესიო მუზეუმი, რომლის შესახებ წმ. ილია მართალი აღნიშნავდა: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაუნერგოს გულში იმათ მიმართ ვინც ის ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს.“[1279] წმ. ილია მართალს მიაჩნდა, რომ მუზეუმში თავს მოიყრიდა არა მარტო საეკლესიო სიძველეები, არამედ იგი „ყოველი მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება.“[1280] წმ. ილია მართალი საეკლესიო მუზეუმში დაცული ხელნაწერების შესწავლის მიზნით გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა კატალოგის შექმნას. აკაკი წერეთელიც დიდად ზრუნავდა საეკლესიო მუზეუმის ექსპონატების გამდიდრებისათვის. მან მუზეუმს შესწირა წერეთელთა საგვარეულო მინიატურული გულსაკიდი სახარება.

თერგდალეულები ქართველ სასულიერო პირთა მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმულ ყოველ ახალ ნაბიჯს დიდი თანაგრძნობით და კეთილგანწყობილებით ხვდებოდნენ. მათ მხარი დაუჭირეს ვასილ და პოლიევქტოვ კარბელაშვილებისა და ფილიმონ ქორიძის თაოსნობას მივიწყებული ძველი ქართული საგალობლების მოძიებას, მათ ჩაწერას და ნოტებზე გადაღებას. ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა ამ საკითხს რამდენიმე წერილი უძღვნა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ პრაქტიკული დახმარება გაუწია მათ. აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეგზარქოსობის პერიოდში დაღუპვის პირას მისული უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენას. იგი სიხარულით მიესალმა XIX საუკუნის მეორე ნახევარ-

1278 ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1968, გვ. 146.

1279 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 205.

1280 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 205.

ში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ინიციატივით დაარსებულ ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტის დაარსებას, რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის გალობის გადარჩენაში დიდი როლი შეასრულა ძმებმა კარბელაშვილებმა, დასავლეთ საქართველოში – ფილიმონ ქორიძემ და სხვებმა, რომლებმაც გურული და იმერული გალობის კილოები ჩაიწერეს. ძველი საეკლესიო საგალობლების შეკრებასთან ერთად დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ თუ რომელ საგალობელს მინიჭებოდა უპირატესობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1884 წელს აკაკი წერეთელმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც იგი გარკვევით წერდა: „მე მგონია, ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონია; ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული,“ მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ „ენასაც ხრწნილება შეჰპარვია და ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარ ისმის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ენის სრულად დაკარგვას.“ მისი აზრით, ენასთან ერთად იგივე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული გალობაც, რომელიც თავდაპირველად ბერძნულიდან შემოგვიღია და „ისე გაგვიქართველებია, ე. ი. მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასიათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს.“ აკაკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი დასავლეთ საქართველოში შეკრებილ გალობას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მეორენი – ქართლ-კახეთის გალობის კილოს. მათ შესახებ იგი აღნიშნავდა: „იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკობა ამოქმედებსთ და სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიუღწევია, რომ ლამის საქმე არივ-დარიონ, რაღაც წვრილმანური პატრიოტობის გამოჩენით.“[1281] შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აკაკი წერეთელი გაკვირვებულია გალობის აღმდგენელი კომიტეტის უმოქმედობით, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავის პოზიციას არ აფიქსირებდა. „კარბელოვის“ გალობა – წერს იგი – არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობის, პირველი გაკვეთილი და იმ პირველი მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს,“ ხოლო „გურული გალობა მართალია, სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კლიმანჭულებით გადაუსხვაფერებიათ, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ველარც ის ხატავს საგანს. მაშასადამე ეს გალობები, რომ გადავიღოთ და მით მოვრჩეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგნურება იქნებოდა და მეორეში – შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგენა უნდა აირჩიონ მცოდნე პირი. იმან მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილო-ხმებს, თვითონაც შეისწავლოს, ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას გამორიცხოს, რაც აკლია შეავსოს, აღადგინოს ნელ-ნელა აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს. ამგვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვა.“[1282]

1281 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 245.

1282 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 245; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და

თერგდალეულები სამართლიანად მიუთითებდნენ იმ შედეგებზე, რაც ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები გადმოცემულია აკაკის ერთ-ერთ ლექსში „ხმა," რომლის პუბლიკაცია პირველად 1992 წელს განახორციელა მკვლევარმა ლ. ჭრელაშვილმა. აღნიშნული ლექსი მიკვლეულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კირიონ საძაგლიშვილის არქივში, მაგრამ მითითებული არ იყო, რომ იგი აკაკი წერეთელს ეკუთნოდა. ლ. ჭრელაშვილმა ტექსტოლოგიური ანალიზით დაასკვნა, რომ მისი ავტორი აკაკი წერეთელია. ლ. ჭრელაშვილის მოსაზრება დაადასტურა ლიტერატურულ მუზეუმში ეპისკოპოს კირიონის ახლობლის ბერ-მონაზონ ტარასის (კანდელაკი) არქივში ჩვენს მიერ აღმოჩენილმა იგივე ლექსმა, რომლის ავტორად აკაკი წერეთელია დასახელებული.[1283]

ლექსის მიხედვით, სამოთხის კარზე მყოფი ღვთისმშობელი თითისტარით „ლალის ძაფს ართავს" და უფლის კვართს ქსოვს საქართველოსათვის, მაგრამ ამ ბოლო დროს „ბოლოს ვერ აბამს ხელქნარს, რაღაცა უშლის სიწმინდეს." სასოწარკვეთილნი არიან წმინდანები: წმ. ნინო, წმ. ქეთევანი, წმ. თამარი. დაღონებული დედაღვთისა განგებას შეეკითხება:

„რა მიზეზია, რომ მადლი
ვეღარ სჭრის რჩეულ ერზედა?
და საქართველოს ვხედავთ დღეს
სულ სხვა გუნება-ფერზედა?"[1284]

დამწუხრებულ ღვთისმშობელს უფალი უპასუხებს: „ნუ სწუხარ დედაო, დავფიქრებულვარ მრავალჯერ მეც მაღლით მაგაზედაო." უფალი ღვთისმშობელს მოახსენებს, რომ ხალხმა თვითონ მიიყვანა თავი ამ მდგომარეობამდე, რადგან

„აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
არც სადმე სასწაულიო!
და ჯოჯოხეთის სიბილწით
გადარეცხია გულიო,
გადაუგდია გულიდან
ჩემი მოძღვრება-მცნებაო
და მეც სასჯელად დავუდე
იობის მოთბინებაო."

საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ანალები 1, გვ. 337.

1283 ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ანალები 1, გვ. 337.

1284 ლ. ჭრელაშვილი, ერთი უცნობი ლექსის ავტორის ავტორის დადგენისათვის, ჟურნალი „მნათობი," 1992, 5-6, გვ. 155-156.

უფლის ასეთი გულიწყრომის გამო მას მუხლმოდრეკით ეხვეწებიან ქართველი დედანი, რომ მათი ამ ყოფაში ჩაგდების მიზეზი თვითონაც კარგად იციან, რადგან „უცეცხლოდ ძალუძს ხეს სადმე, დაჰყაროს ნახშირ-ნაცარი?" ისინი უფალს შეახსენებენ, რომ ის რაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მსოფლიო კრებებმა უბოძეს ყველაფერი გარეშე ძალამ წაართვა:

„აღარ ჰყავს კათალიკოზი,
მღვდელმთავარ მეუფროსები,
მათ ნაცვლად ნაძალადევად
დაუსვეს ეგზარხოსები."

რუსი ეგზარქოსები შეგნებულად უკარგავენ ხალხს რწმენა – სასოებას:

„და აპირობენ სხვა სჯულის
სხვაგვარად შემოღებასა
სცდილობენ ენა ქართული
გარდაჰქმნან სლოვენურადა!
მაგრამ ერთავად კი არა,
ნელ-ნელა ეშმაკურათა."

აკაკი წერეთლის მიხედვით, ქართველი მღვდლობას ვერ ეღისება:

„თუ სლოვენურად არ სწირა
და უარს არ ჰყოფს ქართველსა!
ასე ამბობენ: ქართული
არც ხორცს არგებსო, არც სულსა.
და ამ განზრახვით ააგეს
სხვადასხვა სემინარია
და მათმა მეცადინობამ
საქრისტიანო არია."

ასეთ სემინარიაში აღზრდილი სასულიერო პირები მრევლისათვის უცხო ხილია, რადგან

„ხალხს მათი არ ესმით – რა!..
უბღვერს როგორც მტერს – მტრულადა
და ეკლესიაც მის გამო
დამხობილია სრულადა."

უფალი ქართველი წმინდანების მონოლოგის შემდეგ დაასკვნის, რომ ასეთ განსაცდელში ქართველი ხალხი დიდხანს არ იქნება, რადგან „მას იხსნის თქვენი ფარიო და წაღმა დატრიალდება ეგ თითისტარიო."[1285]

1285 ლ. ჭრელაშვილი, ერთი უცნობი ლექსის ავტორის ავტორის დადგენისათვის, ჟურნალი „მნათობი," 1992, 5-6, გვ. 155-156.

დამპყრობლის ანტისაეკლესიო პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. წირვა-ლოცვის უცხო ენაზე დაკანონებამ და ქართული ქრისტიანული ტრადიციების უგულვებელყოფამ ქართველ ხალხში სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმი გამოიწვია. ქართველმა ხალხმა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობისათვის თავს სდებდა, ახალი პოლიტიკის წყალობით ზურგი აქცია ეკლესიას, მათში ურწმუნოებამ იჩინა თავი. აღნიშნულის გამო აკაკი წერეთელი მიუთითებს: „ღმერთი განრისხებულია, რომ მთელმა ქვეყანამ დაკარგა სარწმუნოება, საჯელად ხოლერას აგზავნის... ხოლერისაგან შეიძლება გადარჩენა, მაგრამ რა ვუშველოთ იმას, რომ საქართველოში აღარ ისმის „აღარც წირვა, აღარც ლოცვა, არც ქართული ლაპარაკი?“ სანთელსაც კი აღარ უნთებენ ხატს ძველებური წესის შესაბამისად. მამა-პაპური ყვითელი სანთელი გადაუგდიათ და ხელოვნურ სანთელს იყენებენ. ისიც კი აღარ ახსოვთ – რა მნიშვნელობა აქვს ყვითელ სანთელს.“[1286] აკაკი წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მძიმე შედეგები მოჰყვა. რუსეთის სახელმწიფომ ერთმორწმუნე ქართველი ხალხი განსაცდელში ჩააგდო: შეუბილწა ქართული სიწმინდეები; ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაკანონდა წირვა-ლოცვის სლავური წეს-განგება; აღარ აღინიშნებოდა ქართველ წმინდანთა ხსენების დღე, სამაგიეროდ მომრავლდა რუსული ეკლესიისათვის დამახასიათებელი დღესასწაულები. არსებული რეალობის შემყურე აკაკი წერეთელმა თავისი განცდა კარგად გამოხატა 1891 წელს დაწერილ ლექსში „ნინოობას:“

„იტირე, მიწავ, სამშობლოვ!
ზარი, აუშვი, ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!..“[1287]

აკაკი წერეთლის აზრით, უცხო გადამთიელმა ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის თავმოყვარეობა, ქართველ წმინდანებს სახელები შეუცვალეს:

„ენაც წაგვართვეს და რჯულიც,
ნათელი რამღა გვფინოსო?
„თამარ“ მონათლეს „თამარად,“
„ნინა“ დაარქვეს „ნინოსო.“[1288]

ასეთ მეპატრონის ხელში ქართველი ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომელმაც დაივიწყა თავისი სიწმინდეები:

„სად არის კუბო თამარის
ქვეყნისგან ნაამბობისა?

1286 ა. ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ., 1999, გვ. 177.

1287 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 214.

1288 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 214.

ვის ხელში არის საფლავი
ნინო მოციქულთ სწორისა?
სადღაა ჯვარი ვაზისა,
შეკრული წმინდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც,
ქართულის კილო – ხმებითა."

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ წირვა-ლოცვის სლავური წესის დაკანონების გარდა ტაძრებში აღარ აღნიშნავდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდანების: წმ. თამარის, წმ. დავით აღმაშენებელის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოსადმი მიძღვნილ დღესასწაულებს. დამპყრობელი კი ქრისტეს სახელით ახდენდა ქართველთა გადაგვარებას:

„ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს
წვალება შემოესია
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე
„ქართველი აღარ წერია!"[1289]

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად აკაკი წერეთელი არ ეძლევა სასოწარკვეთილებას და ქართველ ხალხს სულიერი სიმშვიდისაკენ მოუწოდებს.

მართალია, საქართველოს საეგზარქოსო ოფიციალურად არ აღნიშნავდა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დღესასწაულებს, მაგრამ ქართულ სამრეველოებში, დაბა-სოფლებში მაინც ტარდებოდა მათდამი მიძღვნილი დღესასწაულები. აკაკი წერეთელი ხშირად მონაწილეობდა ასეთ დღესასწაულებში და შეკრებილ ხალხს სარწმუნოებრივი სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. 1886 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით) იგი ქუთაისში დასწრებია ნინოობისადმი მიძღვნილ ნადიმს. პოეტმა შეკრებილ საზოგადოებას პატრიოტული სიტყვით მიმართა: „დღევანდელმა ნადიმმა ორგვარი გრძნობა აღძრა ჩემში: სამწუხარო და სალხინო! სამწუხარო მით, რომ სადღესასწაულო მიზეზებს წარსულს საუკუნეებში ვეძებ და უახლოეს დროებას კი მსგავსი ვერა მოუცია რა! სიხარულიც ესევე მიზეზია: ვინც წარსულს არ ივიწყებს ის, ჩანს, მომავალზეც ფიქრობს და მაშასადამე მეგობარია აწყმოსი." პოეტის აზრით, „ნათელი ქრისტესი" წმინდა ნინომ მოგვფინა, „მამაკაცებისათვის დიდებაა წმინდა ნინო; დედაკაცებისათვის კი დიდებაც არის და სიქადულიც... მათი თანაგრძნობა და სიხარულიც ორკეცი უნდა იყოს და ვწუხარ, რომ დღეს აქ ამ დღესასწაულზე ქალებს უფრო ნაკლებად ვხედავ!რაც ერთი ქვეყნის ქალებისათვის არ გადმოუცია წარსულ საუკუნეებს ის მაგალითები, რომელიც ჩვენმა დედებმა უანდერძეს ჩვენს ქალებს!"[1290]

სარწმუნოების საკითხებს ეძღვნება აკაკი წერეთლის მიერ 1909 წელს დაწერილი პოემა „ვორონცოვი," რომელიც 1912 წელს პოეტის თხზულება-

1289 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ.,1956, გვ. 214.
1290 გაზეთი „ივერია," 1886, 15.

თა მეორე ტომში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აწყობილი წიგნიდან ეს პოემა ამოუღია. პოეტმა და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა ცენტრალურ არქივში მიაკვლია ცენზორის მიერ აკრძალულ აკაკის პოემის პროზაულ რუსულ თარგმანს, მაგრამ საქმეში არ აღმოჩნდა თვით ლექსი. აღნიშნული ლექსის დედანი მოიძია და 1940 წელს გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილმა. პოემის პერსონაჟები ძმები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები XIX საუკუნის პირველი ნახევარის ცნობილი მოღვაწეებია. პოემის სიუჟეტები დიალოგის სახით არის წარმოდგენილი.

პოემის მიხედვით, ალექსანდრე ორბელიანი ნინოობის დღეს თბილისის სიონის ტაძარში მიდის წირვაზე დასასწრებლად, მაგრამ გულისტკივილით ამბობს: „სიონში ვერავინ ვნახე, გარდა ერთი ორისა!" ამის მიზეზად ალექსანდრეს მიაჩნია ის, რომ ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღარ ტარდება. თავისი დროის რეალობის შემხედვარე ალექსანდრე ორბელიანი სიამაყით იგონებს ძველ დროს, როცა საქართველოს თავისი კათოლიკოსი ჰყავდა, წირვა-ლოცვაც და გალობაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა „შეგვძულდა ჩვენი თავი და სხვაც აღარ შეგვიყვარდა."[1291] აკაკი წერეთელი პოემის მეორე პერსონაჟს ათქმევინებს, რომ მუსულმანთა გარემოცვაში მყოფ საქართველოს მფარველად მოევლინა ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც „მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით, დაგვარწმუნა მან ფიცით, ჩამოგვართვა პირობა და მერე?.. აღარ ვიცით!"[1292] ვახტანგ ორბელიანს სწამს, რომ ეს ყველაფერი დროებითი და წარმავალია. ამიტომ იგი ქრისტიანული მოთმინებით ელოდება უკეთეს მომავალს. ალექსანდრე არ ეთანხმება თავისი ძმის შეხედულებას. მისი აზრით, მოთმინებასაც გარკვეული საზღვარი აქვს, რადგან „სული როცა მოკვდება, მაშინ ხორციც მკვდარია! და აი ქართველობას დღეს ხელი რა დაჰრია!.." ვახტანგი ძმას შეახსენებს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და იგი დაიფარავს მას. მისი აზრით, ბევრი ქვეყნები აღგვილან მიწისაგან პირისა, მაგრამ საქართველომ თავი გადაირჩინა იმიტომ, რომ „ერთ ხელში ხმალი ჰქონდა, მეორეში ჯვარი, რომ ხალხს არ გაჰქრობოდა ქრისტეს წმინდა ლამპარი." პოემაში გატარებულია აზრი, რომ ქრისტიანობამ ქართველობას შეუნარჩუნა თვითმყოფადი სახე და მდიდარი კულტურული ტრადიციები. მან იხსნა იგი მრავალი განსაცდელისაგან. ღვთის იმედს მინდობილი ვახტანგ ორბელიანი ძმას შთააგონებს: „უღმრთოდ არ გადაწყდება ჩვენი სამშობლოს ბედი!" ალექსანდრე ეთანხმება ძმის მოსაზრებას, მაგრამ შენიშნავს, რომ „ხალხი ბრბო არის," რომლის გამოფხიზლებისათვის საჭიროა წინასწარმეტყველი. ასეთი როლის შესრულება, მისი აზრით, შეუძლია შეასრულოს მგოსანმა. ალექსანდრე აღნიშნავს, რომ თვით ვახტანგმა უნდა იტვირთოს „ციური მოციქულის" როლი. ალექსანდრეს მოთხოვნას ვახტანგი უარყოფითად უპასუხებს, რომ მას არ შეუძლია ასეთი მისიის შესრულება. პოემაში

1291 აკაკი წერეთელი, პოემები III, გვ. 572.

1292 აკაკი წერეთელი, პოემები III, თბ., 1940, გვ. 573.

მოქმედ პირად გამოყვანილია დიმიტრი ყიფიანიც, რომელიც ძმებს ურჩევს ახლო ურთიერთობა დაამყარონ ახლადდანიშნულ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან, რომელიც, მისი აზრით, ღვთისნიერი კაცია. შემდგომ პოემაში წარმოდგენილია დიალოგი მიხეილ ვორონცოვსა და დიმიტრი ყიფიანს შორის. დიმიტრი ყიფიანი უხსნის მეფინაცვალს, რომ ქართველობა რუსეთთან შეერთების შემდეგ გადაშენების პირასაა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერი მხოლოდ ღმერთზე ამყარებს იმედს. დიმიტრი ყიფიანის აზრით, საჭიროა: „რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი რა გვინდა... სხვა არაფერი.“ პოემის მიხედვით მიხეილ ვორონცოვი თანახმადაა, რომ ქართველი დარჩეს ქართველად და აგრეთვე „არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას, არც მის სიწმინდეს და აღმაფრენას.“[1293]

აკაკი წერეთელი შენატრის მიხეილ ვორონცოვის დროს, მაგრამ მისი საქართველოდან წასვლის შემდეგ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: „ხალხმა დაკარგა სარწმუნოება, დღეს იმას აღარ მოეპოვება აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე და არც სიმართლე და სასობა!“ თავისი დროის რეალობიდან გამომდინარე პოეტი კითხულობს: „ვისი ბრალია? სამღვდელოების!.. რუსის ხელში და იმიტომ სურს, რომ გაარუსოს... თორემ ზნეობას ის არ ადევნებს არც თვალს და ყურს!“[1294]

როგორც ირკვევა, აკაკი წერეთელი დიდი სიმპათით იყო განწყობილი მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისადმი. აღნიშნული პოემის გარდა გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ბერ-მონაზონ ტარასი კანდელაკის არქივში ინახება მიხეილ ვორონცოვისადმი მიძღვნილი ლექსი „ქართველი ძეგლის წინ.“ ამ ლექსის რამდენიმე ფრაგმენტი ეკლესიის საკითხებს ეძღვნება. პოეტი მიმართავს მოხუც ვორონცოვს:

„სამღვდელოება იმას არ ფიქრობს,
რომ განამტკიცოს რჯული ქრისტესი
პირიქით სცდილობს, რომ აღმოფხვრას
საქრისტიანოს რიგი და წესი.
გვიქადაგებენ, რომ ქართველები
საქრისტიანოს არ ხართ შვილიო
და სახარება თქვენი თურმეა
„ძაღლის ენაზე დაწერილიო.“
არც ხატი ვარგა თქვენი, არც ჯვარი,
ვინ მოგცათ წმინდა მოწამენიო?
უარ ჰყავთ თქვენი ყოველიფერი,
წირვაც და ლოცვაც! იყოს ჩვენიო!
დედაენაზე, საღმრთო ენაზე
აღარ გვაძლევენ ჩვენ ლოცვის ნებას.

1293 აკაკი წერეთელი, პოემები III, თბ., 1940, გვ. 579.

1294 აკაკი წერეთელი, პოემები III, თბ., 1940, გვ. 603.

მათგან გამოზრდილ მოზარდ თაობას,
თვითვე უკარგვენ სარწმუნოებას."[1295]

ლექსის დასასრულს აკაკი წერეთელი მიმართავს ქვაში გამოქანდაკებულ მიხეილ ვორონცოვის ძეგლს:

„გასწყდა კავშირი... ერთობაც ქრება!
მას შენც ჰხედავ და ეგებ მიტომ
გაქვავებულხარ თავქუდმოხდილი,
რომ უსამართლოდ ტანჯული ერის
გაიზიარო გულისტკივილი?"[1296]

თერგდალეულებმა არაერთხელ გამოხატეს თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს საეგზარქოსოს მოუქნელი სტრუქტურულ-ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის მიმართ. იაკობ გოგებაშვილმა 1885 წელს მკაცრად გააკრიტიკა ამავე წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული საეგზარქოსოს ახლებური მოწყობა. ახალი დებულებით მანამდე ცალ-ცალკე არსებული გურიისა და სამეგრელოს საეპისკოპოსოები გაერთიანდა და შეიქმნა ერთი გურია-სამეგრელოს ეპარქია, რომლის რეზიდენციად გამოცხადდა ქალაქი ფოთი. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობა აღშფოთებული იყო. იაკობ გოგებაშვილის პუბლიკაცია სწორედ უკმაყოფილო საზოგადოების გულისწყრომას გამოხატავდა. იგი საზოგადოებას განუმარტავდა, რომ მანამდე დამოუკიდებლად არსებული გურიისა და სამეგრელოს მღვდელმთავრები წირვას თავიანთ საკათედრო ტაძარში, ოზურგეთსა და სენაკში ქართულ ენაზე ასრულებდნენ. გაერთიანების შემდეგ კი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ღვთისმსახურება სლავურ ენაზე უნდა ჩაეტარებინა ქალაქ ფოთში, სადაც რუსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა. ასეთი გადაწყვეტილებით, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „რუსეთის სასულიერო ადმინისტრაცია საჭიროდ სცნობდა ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუწყოს საეკლესიო სლავური ენის შემოღებას ქართულ ეკლესიაში."[1297] იაკობ გოგებაშვილი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა იმდროინდელ საეგზარქოსოს დაყოფას და მოითხოვდა მის შეცვლას. მართალია, მის მოთხოვნას ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მისმა პუბლიკაციამ თავის მიზანს მიაღწია. 1887 წელს სამეგრელოსა და გურიის წარჩინებულმა პირებმა რუსეთის უწმინდეს სინოდს სთხოვეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცალ-ცალკე აღდგენა. იმ დროს მოღვაწე ეგზარქოსმა პალადი რაევმა (1887-1892) მათ კანონიერ მოთხოვნას არა მარტო უარით უპასუხა, არამედ მკაცრად განუცხადა, რომ მათ უნდა აღიარონ რუსეთის უწმინდესი სინოდის უფლე-

1295 გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, 2123-ხ, ფურცელი 125.

1296 გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, 2123-ხ, ფურცელი 125.

1297 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 172.

ბა საქართველოში ეპარქიათა შემცირებასა და მოსახლეობის ინტერესების შელახვაში. ამ უფლებიდან გამომდინარე, უნდა შეეგუონ მათთვის არახელსაყრელ ყოფას.[1298]

თერგლადეულები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს. მათ ხმა აღიმაღლეს რუსეთის სასულიერო უწყების წინააღმდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, როცა ქართულ ენას საფრთხე დაემუქრა. საქართველოს საეგზარქოსოს ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, 1879 წელს მათი ინიციატივით დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" გახსნა უფასო საერო სასწავლებლები, სადაც სწავლა სხვა სასწავლებლებისაგან განსხვავებით ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

თერგდალეულების სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გადაგვარებისათვის რუსმა მოხელეებმა ხელსაყრელად მიიჩნიეს საქართველოში რუსული სასულიერო სასწავლებლების დაარსება, სადაც სწავლა ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. აღნიშნულის შესახებ აკაკი წერეთელი წერდა:

„და ამ განზრახვით გამართეს
მეჯლისი სემინარია
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარია.
გარდა ქართული ენისა
იქ ასწავლიდნენ ყოლიფერს
და ამზადებდნენ სამღვდელოდ
ქვეყნის ორგულს და ქვეყნის მტერს."[1299]

აკაკი წერეთელი აღნიშნავს, რომ რუსული სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებმა მღვდლად კურთხევის შემდეგ მშობლიური ქართული ენა აღარ იცოდნენ, რის გამოც დიდი დაბრკოლება ექმნებოდათ ხოლმე სასულიერო მოღვაწეობის დროს.

აკაკი წერეთელმა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში განხორციელებული საეკლესიო პოლიტიკა კარგად ასახა 1886 წელს დაწერილ ლექს-პამფლეტში „მოლა, ყადი და ახუნდი." დაწერისთანავე აღნიშნული ლექსი საკმაოდ პოპულარული გამხდარა. იგი ერთხანს ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. 1886 წელს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებს იგი თავიანთ ხელნაწერ ჟურნალ „სალამურში" გამოუქვეყნებიათ. 1894 წელს აკაკის განზრახული ჰქონდა ჟურნალ „მოამბის" №3 დაებეჭდა აღნიშნული პამფლეტი შეცვლილი სათაურით „რჩევა," მაგრამ იმის გამო, რომ მასში ალეგორიული

1298 Браил, О положении Грузинской православной церквы в царской Росии, из книги Церковные вопросы в России, СПб, 1896, стр. 101.

1299 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ,. 1956, გვ. 292.

ფორმით იყო წარმოდგენილი რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა საქართველოში, ცენზურამ აკრძალა იგი. შემორჩა ჟურნალ მოამბის ერთადერთი ცალი, რომელშიც მოთავსებულია აკაკის აკრძალული ლექსი. ეს ერთადერთი ეგზემპლიარი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.[1300] ლექსში მოლას სახით აკაკის გამოყვანილი ჰყავს ეგზარქოსი პავლე ლებედევი (1882–1887), ყადი კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე დონდუკოვ--კორსაკოვია, ახუნდი – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი. ისტორიულად ცნობილია, რომ სამივე პიროვნებამ XIX საუკუნის 80-იან წლებში უარყოფითი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ლექსში აღნიშნულია, რომ მოლამ, ყადმა და ახუნდმა ერთმანეთთან კავშირი შეკრეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს, რომ მათ გადასაგვარებლად ძალა გამოეყენებინათ. ძალისმიერი მეთოდი გამოიხატებოდა იმაში, რომ მოლას თქმით:

„ავკრძალავ წირვა-ლოცვის დროს
მათ ენას მამა-პაპურსო
და მივცემ სამაგიეროდ
ჩვენს მეტყველებას დათვურსო!"

ყადმაც კვერი დაუკრა მოლას განზრახვას და თან დაამატა:

„თვითონ მე გავასამართლებ
ჩემგანვე გარყვნილ ერსაო!
გინდა სტყუოდეს, გინდა არა,
გავწირავ, როგორც მტერსაო.!!
ნელ-ნელა გადავასახლებ...
იმათ დაუდგეს თვალიო
და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება
მათი მიწა და წყალიო!.."

ახუნდმაც მხარი აუბა მოლასა და ყადის მოსაზრებას, თვითონ კი თავს იდო:

„მეც ვეთანხმები მაგათო!
და სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგადო,
რომ სხვისი ვერა ისწავლონ
თავისი დაავიწყდეთო და მათი ტკბილი განზრახვა
უდროოდ დაუმიწდეთო!.."[1301]

აკაკი წერეთელი გულნატკენია იმით, რომ მოყვრულად მოსული ჩრდილოელი მეზობელი დაუძინებელ მტრად ექცა ერთმორწმუნე ქართველ ხალხს. მას ყველაფერი წაართვეს რისი წართმევაც შეიძლებოდა:

1300 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, V, თბ,. 1956, გვ. 292.

1301 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 172-173.

„რაც რამ ჰქონდა, ეკლესიას,
ჩამოართვეს სუყველა მღვდელს
და მიუგდეს ის სარჩენად
მის მრევლსა და საწყალ სოფელს.“[1302]

აკაკი წერეთელმა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის კრიტიკას რამდენიმე პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. აღნიშნულ წერილებში იგი გამოდის რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებისა და სასულიერო სასწავლებლებში ეროვნული საგნების (ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია) აკრძალვის წინააღმდეგ.[1303] იგი ხშირად, გადაჭარბებულადაც კი დაუნდობელი იყო იმ ქართველთა მიმართ, რომლებიც ხელს უწყობდნენ საქართველოში რუსული პოლიტიკის გატარებას. აკაკი წერეთელმა მკაცრად გაილაშქრა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სკოლებში „მუნჯური მეთოდის“ დანერგვის წინააღმდეგ. ამ საქმის თაოსნად მან მიიჩნია XX საუკუნის დასაწყისში გურია-სამეგრელოს სკოლების ზედამხედველი, ცნობილი მოღვაწე თედო ჟორდანია და მის წინააღმდეგ ორი ლექსი დაწერა, რომელშიც იგი მას „იუდა გამცემლიძეს“ უწოდებს.

აღნიშნული ლექსი მხლოდ ერთხელ 1941 წელს ალექსანდრე აბაშელმა და პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა აკაკი წერეთლის შვიდტომეულის მერე ტომში სათანადო კომენტარების დართვით, საიდანაც მტკიცდება, რომ აკაკი ცდებოდა თედო ჟორდანიას შეფასებაში.[1304] გარკვეული დროის შემდეგ აკაკი წერეთელი დარწმუნდა, რომ თედო ჟორდანია უცოდველი იყო „მუნჯური მეთოდის“ დანერგვაში. პირიქით, თედო ჟორდანიამ მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით სათანადო პატივისცემაც დაიმსახურა. მის პატივისმცემელთა რიცხვში აღმოჩნდა აკაკიც, რომელმაც 1913 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული წერილით ბოდიში მოუხადა თედო ჟორდანიას.[1305] თედო ჟორდანიას მიმართ გაგზავნილ პირადად წერილში იგი აღნიშნავდა: „ძმაო თედო! მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა ძმად გიწოდო. ამის მიზეზი შენი სტატიაა „განთიადში“ დაბეჭდილი: „ბიჭვინთის სიგელ-გუჯრები.“ იყო დრო, როცა მე შენ თედორე გამცემლიძე დაგიძახე და ახლა კი შენმა სტატიამ დამარწმუნა, რომ შემცდარი ვყოფილვარ და შემცდარიც, რომ არ ვყოფილიყო და მართალი გამომდგარიყოს ჩემი რწმენა, მე მბაინც დღეს ისეთის სიყვარულითა და თანამიზიაროზით წარმოგიდგენდი, როგორითაც ჰყავდათ წარმოდგენილი პირველ ქრისტიანებს პავლე გაატონებული მოციქული, ოდესმე სავლედ ყოფილი.“[1306]

აკაკი წერეთლის გარდა სასულიერო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, ანტიქართული პოლიტიკის კრიტი-

1302 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 172-173.

1303 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 1967, გვ. 339, 400-401.

1304 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1941, გვ. 712.

1305 გაზეთი „თემი,“ 1913, 130.

1306 აკაკი (წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIV, გვ. 414.

კას XIX საუკუნისის 70-იან წლებში დიდი ადგილი დაუთმო გაზეთმა „დროებამ," სადაც ძირითადად აღნიშნულ საკითხზე სერგეი მესხის სტატიები ქვეყნდებოდა. „დროების" პუბლიკაციებში ხაზგასმული იყო, რომ სწავლების მეთოდებითა და ხარისხით თბილისის სასულიერო სემინარია სათანადო ცოდნით აღჭურვილ სასულიერო კადრებს ვერ ამზადებდა.[1307] თითქმის ყველა პუბლიცისტურ წერილში აღნიშნული იყო, რომ სასულიერო სასწავლებლებში მშობლიური ენის უგულებელყოფას დიდი ზიანი მოჰქონდა ახალი კადრების მომზადებაზე, რადგან ასეთ სასწავლებელდამთავრებულ სასულიერო პირებს უცოდინარობის გამო, ხშირად მრევლთან პრობლემები ჰქონდა. უცოდინარი სამღვდელოება მრევლში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. ასეთი სასულიერო პირები მრევლში ფანატიზმს ნერგავდნენ. აღნიშნულის შესახებ იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად წერდა: „სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევდა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგანს მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივ პრინციპს, დედააზრებს სახარებისას."[1308] იაკობ გოგებაშვილის აზრით, აღნიშნული საშიშროების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განათლების გზით. განათლებული მოძღვარი კი თავის მხრივ, მრევლს დაეხმარება ჭეშმარიტი სარწმუნოების შეცნობაში.

იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რელიგიის საკითხების განხილვას. „დედა-ენის" ყველა გამოცემაში შეტანილია „სასულიერო-ზნეობრივი განყოფილება," რომლის წინასიტყვაობაში იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: „თუ ქრისტიანი ბავშვები გულმოდგინედ გადაიკითხავენ ამ განყოფილებას, ნამდვილს სიკეთეს შესძენენ თავიანთ თავსა, რადგან მთელი ეს განყოფილებას ღაღადისია ძლიერი და გულწრფელი კაცთმოყვარეობისა სარწმუნოების ნიადაგზე."[1309] ყოველი გამოცემის დროს იაკობ გოგებაშვილი მას ახალი რელიგიური თემებით ამდიდრებდა. 1894 წლის „დედა-ენის" გამოცემაში რელიგიურ საკითხებს 67 გვერდი ეკავა. შემდგომ „სასულიერო-ზნეობრივ განყოფილებას" დაემატა „მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდგან," აგრეთვე ლოცვები და ხუცური, ნუსხურ-მხედრული სასულიერო ტექსტებით.[1310] სასულიერო რელიგიურ განყოფილებაში იაკობ გოგებაშვილმა მოათავსა რელიგიური შინაარსის მრავალი მოთხრობა და ლექსი, რომელთა დიდი ნაწილის ავტორი თვითონ იყო. რელიგიური მასალა იყო შეტანილი იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში" და „რუსკოე სლოვოში." მისი სახელმძღვანელოების მეშვეობით მო-

1307 ტრ. ხუნდაძე, გაზეთი „დროება" და თბილისის სასულიერო სემინარია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. II, 1952, გვ. 62-77.

1308 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 530.

1309 ი. გოგებაშვილი, „დედა-ენა", 1906 წლის გამოცემა, გვ. 2.

1310 გ. კვანტალიანი, რელიგიური საკითხები იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში, ჟურნალი „ცისკარი," 1991, 9-10, გვ. 295.

ზარდი თაობა საერთო განათლების მიღებასთან ერთად ქრისტიანობის ძირითად პრინციპებსაც ეცნობოდა. იაკობ გოგებაშვილი სკოლაში სასულიერო ლიტერატურის სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, არა მარტო იმით, რომ იგი „სპეტაკი ზნის“ ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, არამედ გააძდიდრებდა „მათი გონების განვითარებას სხვადასხვა ცოდნით.“[1311] იაკობ გოგებაშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომები საეკლესიო-სამრევლო სკოლების ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. თუმცა, ხელისუფლება ხშირად ცდილობდა მისი სასწავლო პროგრამიდან ამოღებას.

სასულიერო განათლების სრულყოფის მიზნით, XIX საუკუნისის 90-იან წლებში იაკობ გოგებაშვილმა არაერთი მიმართვა გააგზავნა ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში.[1312] 1897 წელს მან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კრებას წინადადებით მიმართა, რომ ხმა ამოეღოთ ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ წინააღმდეგ, მაგრამ მისმა აღნიშნულმა მოთხოვნამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც მისი მეთვალყურეობა დაევალა რეაქციონერ დეკანოზს იოანე ვოსტორგოვს. მისი მითითებით, დაბალი ტიპის სასულიერო სასწავლებლებში იკრძალებოდა ქართულის სწავლება. იაკობ გოგებაშვილმა იოანე ვოსტორგოვის რეაქციული ანტისაეკლესიო პოლიტიკის სამხილებლად რუსულ ენაზე პუბლიკაცია გამოაქვეყნა.

საარქივო მასალებით დასტურდება, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის სასულიერო სემინარიის გაფიცულ სტუდენტობას თანაუგრძნობდა თერგდალეულთა ზოგიერთი წარმომადგენელი. 1894 წელს გაფიცულ სემინარისტებს რჩევისათვის მიუმართავთ ილია ჭავჭავაძისათვის. ბუნტის მონაწილე იპოლიტე ვართაგავა თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ გაფიცულებმა ილიას „ივერიის“ რედაქციაში მიუტანეს „პეტიცია.“ ილიას მოსწონებია მისი შინაარსი და თან „რჩევა მიუცია, რომ ისეთი რამ არ ჩაედინათ, რაც პოლიციასა და ჟანდარმერიას საბაბს მისცემდა მომხდარ ინციდენტში ჩარეულიყვნენ და გაფიცვისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ, გაფიცვის მეთაურები ან საერთოდ ადმინისტრაციის მიერ ათვალწუნებული მოსწავლეები დაეპატიმრებინათ. მართალია, აუცილებლად მსხვერპლი იქნებოდა, მაგრამ დათმობაზე წასვლა მაინც უმიზნო იქნება“ – დასძინა ილიამ.[1313] წმ. ილია მართალის მხარდაჭერამ სტუდენტები ისე გაამხნევა, რომ, როგორც იპოლიტე ვართაგავა წერს: გადაწყვიტეს „როგორაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაფიცვისათვის მტკიცე ხასიათი მიეცათ.“[1314]

1311 გ. კვანტალიანი, რელიგიური საკითხები იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში, ჟურნალი „ცისკარი,“ 1991, 9-10, გვ. 297.

1312 ნ. პაპუაშვილი, იაკობ გოგებაშვილის რეკომენდაციები საეკლესიო კრებას, ჟურნალი „ზღვარი,“ 2005, 1, გვ. 12-21.

1313 ი. ვართაგავა, მოგონებანი, თბ., 1956, გვ. 181.

1314 ი. ვართაგავა, მოგონებანი, თბ., 1956, გვ. 181.

შეშინებულმა თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობამ, როცა ვერაფერი მოახერხა, შეწყვიტა მეცადინეობა და მოსწავლეები სასწავლებლიდან დაითხოვა. აქტიური სემინარისტები კი გარიცხა. წმ. ილია მართალმა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმო თბილისის სასულიერო სემინარიაში მიმდინარე ამბებს. ამ ნიადაგზე ცენზურასა და ილია ჭავჭავაძეს შორის დიდ უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. 1893 წლის 6 ოქტომბერს ცენზორმა აკრძალა გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად გამზადებული ფელეტონი „მთავარი საჭიროებანი სასულიერო უწყებისათვის,“ რომელიც მკვლევარ შალვა გოზალიშვილის აზრით, იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნოდა.[1315] წერილის ავტორის მტკიცებით, სწავლა-აღზრდის გაუმობესების მიზნით აუცილებელი იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რეორგანიზაცია და ქართულ ენაზე სწავლების შემოღება. ამ მოთხოვნამ ეგზარქოსის გულისწყრომა გამოიწვია და მისი მითითებით ცენზორმა გამოსაქვეყნებელი მასალა აკრძალა. ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, წმ. ილია მართალი მაინც ახერხებდა თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას, რის გამოც გაზეთი „ივერია“ და მისი რედაქტორი არასაიმედოდ იყო მიჩნეული. 1896 წლის 17 აპრილს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა მთავარმართებლის კანცელარიას და ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს გაზეთ „ივერიისა“ და მისი რედაქტორის მავნებლური მოქმედების შესახებ, თან მოითხოვა სათანადო ზომების მიღება.[1316] ამგვარი შევიწროების გამო 1897 წელს გაზეთი „ივერია“ რვა თვის განმავლობაში აღარ გამოსულა. წმ. ილია მართალს დიდი ძალისხმევა დასჭირდა გაზეთის გასაახლებლად და 1897 წლის დეკემბერში იგი კვლავ აღდგა.

წმ. ილია მართალი კვლავ დაინტერესდა თბილისის სასულიერო სემინარიის ამბებით, მაგრამ მოერიდა გაზეთის მეშვეობით ემხილებინა იქ არსებული მდგომარეობა. როგორც გადმოგვცემენ, იგი მთავრობის მოხელეებისაგან მოითხოვდა, ძირფესვიანად შეცვლილიყო თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლების პროცესი. წმ. ილია მართალი წარდგენილ მიმართვებში აღნიშნავდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის დანიშნულებაა სასულიერო პირთა მომზადება, მაგრამ რუსულ ენაზე სწავლება უკურეაქციას იწვევს – სემინარისტთა რელიგიური შეგნება ნელდება. სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები მღვდლად კურთხევის დროს ცოდნის დაბალ დონეს ამჟღავნებდნენ, რაც ლახავდა მრევლში მათ ავტორიტეტს.

წმ. ილია მართალს, დიდი ავტორიტეტის გამო, ანგარიშს უწევდნენ რუსი მოხელეები. ამიტომ მისი ეს მოთხოვნა უყურადღებოდ არ დაუტოვები-

---

1315 შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი,“ 1957, 10, გვ. 160.

1316 შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი“ 1957, 10, გვ. 161.

ათ. 1898 წლის 22 ოქტომბერს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა სერაფიმემ მას წერილით მიმართა და სცადა გაემართლებინა რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკა. იგი არ დაეთანხმა წმ. ილია მართალის აზრს და აღნიშნა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ ხშირ შემთხვევაში ცოდნით მაღლა დგანან იმპერიის შიდა გუბერნიების სემინარისტებთან შედარებით. რაც შეეხება ენის საკითხს, მის შესახებ არქიმანდრიტი სერაფიმე აღნიშნავდა, რომ: „არა, საქართველოს ბედნიერება და სიხარული სრულად იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რა საზღვრებში იხმარება საეკლესიო და სამოქალაქო ენა, არამედ წრფელ სამსახურში ქრისტესადმი."[1317] იმავე წლის ნოემბერში წმ. ილია მართალმა ვრცელი წერილით უპასუხა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს და ამხილა მისი რუსიფიკატორული პოლიტიკა. იგი რეალური პოზიციებიდან განიხილავს რექტორის შეხედულებას და წერს: „გარუსების იდეა თავისი არსებით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია, თუ არა უარყოფა ღვთის ნებისა, რომელიც გამომჟღავნდა ღვთიურ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარ ტომთა შექმნაში."[1318] ასეთ შემთხვევაში, განაგრძობს წმ. ილია მართალი, „რადგან ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, ცოდვად არ მიიჩნევდა, რომ ისეთმა სუსტმა არსებამაც, როგორც ქართველებია, სასოება იქონიონ ღვთის ყოვლისძლიერებისა და ეცადონ არ დაფლან მიწაში ის მცირედიც კი, რაც მათ მიეცათ მაინც განგებისაგან ზრდისა და განვითარებისათვის."[1319] წმ. ილია მართალი შემდგომშიც აქტიურად იბრძოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებული ვითარების შესაცვლელად.

თერგდალეულებმა მკაცრად გაილაშქრეს და ამხილეს რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ შემუშავებული ქართველთა ერთიანობის დაშლის მზაკვრული გეგმა, რომლის განხორციელებას რეაქციული ძალები მეგრული და სვანური დამწერლობის შექმნაში და სხვა ენებზე საღვთისმეტყველო ლიტერატურისა და ლოცვების თარგმნაში ხედავდნენ. აღნიშნულის შესახებ, ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანი მთავარმართებელ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვისადმი გაგზავნილ საპროტესტო მიმართვაში აღნიშნავდა: „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავდნენ – მეგრული ენას ასწავლიდნენ სხვა ანბანის საშუალებით."[1320] ამავე

1317 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, 432; შდრ. შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი," 1957, 10, გვ. 162.

1318 შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი," 1957, 10, გვ. 162.

1319 შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი," 1957, 10, გვ. 162.

1320 საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ჯოლოგუამ, თბ.,

საკითხზე საინტერესო პუბლიკაციები გამოაქვეყნეს იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა.[1321]

დასასრულს დავძენთ, რომ თერგდალეულებმა თავიანთ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ავტოკეფალიანართმეული საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას. ლიტერატურული მოღვაწეობით თუ პრაქტიკული საქმიანობით ისინი ამხელდნენ რუსეთის ცარიზმის ანტიქართულ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც ქართველ ერს სულიერი გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა. მათი საქმიანობა მარტო ხელისუფლების კრიტიკით არ შემოიფარგლებოდა. XX საუკუნის დასაწყისში ქართველი სამოციანელთა დიდი ნაწილი აქტიურად ჩაება ავტოკეფალისტთა მოძრაობაში.

1997, გვ. 43.

1321 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1968, გვ. 412; შდრ. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 109; შდრ. გ. როგავა, ცარიზმის სასკოლო პოლიტიკა სამეგრელოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, საისტორიო ძიებანი, 2000, 3, გვ. 101.

თავი VIII. საქართველოს საეგზარქოსო 1901-1917 წლებში და ქართველი საზოგადოების ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის

XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი ეტაპი იწყება საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობაში. 1901-1917 წლებში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოს საეგზარქოსოს მოღვაწეობაზე. რუსეთის სახელმწიფოს საერო და სასულიერო უწყება საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობას არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით წარმართავდა. მის საქმიანობაზე განსაკუთრებით გავლენა მოახდინა XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური პროცესების გავლენით დაწყებულმა ქართველი საერო და სასულიერო პირთა მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით მიმდინარე მოძრაობამ. საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობას ჩვენ სწორედ ქართველ ავტოკეფალისტების მოძრაობის პროცესების ფონზე წარმოვადგენთ.

ახალი საუკუნის დასაწყისი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ 1901 წლის 12 სექტემბერს ასი წელი სრულდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის. პეტერბურგის საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით, აღნიშნული თარიღის დიდი ზარ-ზეიმის აღსანიშნავად საგანგებოდ ემზადებოდა კავკასიის რუსული ადმინისტრაცია. ხელისუფლების მითითებით, საქართველოს საეგზარქოსოს, როგორც იმპერიის ერთ-ერთ ბიუროკრატიულ აპარატს, ქართველ სამღვდელოებას და ქართველ საზოგადოებას აღნიშნული ზეიმის აღნიშვნაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო. თავდაპირველად ხელისუფლების სურვილი იყო, რომ აღნიშნული დღესასწაულის ინიციატორი თვით ქართველი ხალხი ყოფილიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ხელისუფლების სურვილის მიუხედავად, ქართველი სამღვდელოების დიდ ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია ამ დღესასწაულში. მიუხედავად იმისა, რომ სამღვდელოების გულის მოგების მიზნით, რუსეთის უზენაესმა სასულიერო ხელისუფლებამ საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში მყოფ სასულიერო პირების უმრავლესობას სხვადასხვა სახის ჯილდოები უბოძა.[1322] 1901 წლის შემოდგომაზე თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე ჩატარდა რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების ასი წლითავისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი, რომელშიც სამხედრო პირებთან ერთად მხოლოდ ხელისუფლების ერთგული სასულიერო პირები მონაწილეობდნენ.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მეასე წელისთავი მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ კარგად გამოიყენა იმისათვის, რომ ემხილებინათ რუსეთის ცარიზმის ბატონობის შედეგები საქართველოში. აღნიშნული დღესასწაულის მზადების პერიოდში 1900 წელს თბილისში ცენზურის გავლის გა-

1322 РЦИА, ф. 712, опись 3 дело 17, лл. 17.

რეშე რუსულ ენაზე დაიბეჭდა პატარა წიგნაკი „Что сделала Россия в течении столетия (1801-1901) для грузинской церкви и обшества в духовно-религиозном отношении?" სამწუხაროდ ამ ნაშრომის ავტორი და გამომცემელი უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, დასახელებული ნაშრომში პირუთვნელად მოცემულია ის უარყოფითი შედეგები, რაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ რუსეთის იმპერიამ მიაყენა.

საიუბილეო დღეებში 1901 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის ნაშრომი „Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие." აღნიშნული შრომა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმძიმეს პერიოდს ეხება, როცა ავტოკეფალიაწართმეულ ეკლესიას რუსეთის უწმინდესი სინოდის წარმომადგენელი რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. მკაცრი ცენზურის მიუხედავად ნაშრომი ამჟამადაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. დღემდე ეპისკოპოს კირიონის აღნიშნული შრომა ერთ-ერთ განმაზოგადებელ ნაშრომად ითვლება. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის სატიტულე გვერდის შემდეგ დაბეჭდილია კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ფოტო. მეტად საინტერესოა აგრეთვე 1900 წელს დაბეჭდილი ეპისკოპოს კირიონის მეორე შრომა – „Назревший вопрос (ко дню столетия присоединение Грузии к России)," რომელიც უშუალოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების მეასე წლისთავს ეძღვნება. ამ მცირე მოცულობის ნაშრომში კირიონმა, რომელიც ამ დროისათვის საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარე იყო, რუსულენოვან საზოგადოებას გააცნო თუ რა სიმდიდრეს ფლობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საეკლესიო სიწმინდეებისა და უძველესი მანუსკრიპტების სახით. მანვე, მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით, წინადადება წამოაყენა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დასახელებული ნაშრომის გამოქვეყნებამდე, ეპისკოპოსმა კირიონმა 1900 წლის 15 მარტს საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ოფიციალურად მიმართა რუსეთის უმაღლეს სასულიერო უწყების ხელმძღვანელობას, სასულიერო აკადემიის რექტორებს და რუს მკვლევარებს. მცირე ხნის შემდეგ, ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის ხელმოწერასთან ერთად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ, ალავერდის მღვდელმთავარმა ექვთიმე ელიაშვილმა, იმერეთის ეპარქიის მმართველმა ლეონიდე ოქროპირიძემ რუსეთის უწმინდეს სინოდს გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც ისინი საქართველოს რუსეთთან შეერთების მეასე წლისთავთან დაკავშირებით მოითხოვდნენ პეტერბუგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის კათედრის დაასებას, „სადაც შეისწავლიან ხელნაწერებს, საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებს და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება."[1323] რუსეთის სამეცნიერო წრეებმა აღნიშნული წინადადე-

1323 გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1901; შდრ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან

ბა მოიწონა და საქმე განსახილველად გადაეცა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოსთან შექმნილ კომისიას, რომლის წევრები იყვნენ პროფ. ვ. ბარსოვი (თავმჯდომარე), პროფ. ნ. პოკროვსკი, პროფ. ა. ბრილიანტოვი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კათედრის შექმნასთან დაკავშირებით ორი სხდომა გამართა. სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ კომისიის წევრები წინააღმდეგი არ იყვნენ აღნიშნული კათედრის დაარსებისა, მაგრამ ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ შექმნილ სიტუაციაში რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე აღნიშნული კათედრის დაარსება იმდროინდელ საეკლესიო-საისტორიო მეცნიერების მოთხოვნილებასთან მიმართებაში და მეორე მხრივ, როგორი პრაქტიკული გამოყენება ექნებოდა მას სასულიერო აკადემიის სასწავლო პროგრამაში.[1324] ამ მოსაზრებიდან გამომდინარე კომისიამ უარი განაცხადა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო დამოუკიდებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კათედრა. თუმცა, კომისიის ერთი წევრი ნ. პოკროვსკი მომხრე იყო ასეთი კათედრის დაარსებისა. დამოუკიდებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კათედრის შექმნის ნაცვლად პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ახალმა კომისიამ (პროფ. ნ. სკაბალანოვიჩი (თავმჯდომარე); წევრები: ნ. ნიკოლსკი, ნ. პოკროვსკი, ა. ბრილიანტოვი და ი. ტროიცკი) მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაარსებულიყო აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიების კათედრა, სადაც მოხდებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების შესწავლაც. კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება მოიწონა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საჭომ, რომლის დასკვნის საფუძველზე 1902 წლის 3 მაისს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიების ისტორიის კათედრა, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაც მოიაზრებოდა.[1325] მოგვიანებით, 1903 წლის 24 სექტემბერს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი პროფესორი ნ. გლუბოკოვსკი აცნობებდა ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილს და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ იგი დიდად წაადგებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულის კვლევას.[1326] თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კათედრაზე,

---

დღემდე, თბ., 1995, გვ. 441-449

1324 Христианское чтение, т. CCXIV, октябр., 1902, стр. 40-74; შდრ. კირიონ საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 501-508; შდრ. კ. ანთაძე, საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, ჟურნალი „მწყემსი," 20-21, 1902, გვ. 4-7; შდრ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 449.

1325 Христианское чтение, т. CCXIV, октябр., 1902, стр. 40-74; შდრ. კირიონ საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის იმპერიაში, ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2005, გვ. 501-508; შდრ. კ. ანთაძე, საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, ჟურნალი „მწყემსი," 20-21, 1902, გვ. 4-7.

1326 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 582, ფურცელი 1-2.

რომელიც ძირითადად რუსი მკვლევარებისაგან იყო დაკომპლექტებული, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კვლევას თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. ამ კათედრამ გარკვეული ნეგატიური როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულის კვლევაში. 1905 წლიდან, როცა ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეები მოითხოვდნენ რუსეთის ხელისუფლების მიერ ძალადობის გზით გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში მოკალათებული არაკეთილსინდისიერი მეცნიერები ისტორიული ფაქტების დამახინჯებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არასოდეს არ ჰქონია ავტოკეფალია. გამონაკლის წარმოადგენდა პროფ. ი. სოკოლოვი, რომელსაც, როგორც ამ კათედრის საქართველოს ეკლესიის პროფესორს, პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა დაავალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ნაშრომის მომზადება.[1327] პროფ. ი. სოკოლოვი მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და ამ კათედრაზე მოზადებული ნაშრომით („Об автокефалии Грузинской церкви историческая справка") ბერძულ-ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ობიქტურად ასაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ძირძველ ისტორიულ ავტოკეფალობას. მისი ეს შრომა მოხსენების სახით წარედგინა 1906 წელს პეტერბურგში გამართულ წინა საეკლესიო კრების სათათბიროს.

XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს საეგზარქოსოს იგივე ფუნქციები ჰქონდა, რაც წინა საუკუნეში გააჩნდა. ამ დროისათვის საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში შედიოდა ოთხი ეპარქია. აქედან ყველაზე ვრცელი იყო 1). ქართლ-კახეთის ეპარქია ანუ საქართველოს ეპარქია, რომლის მმართველად მთავარეპისკოპოსის ტიტულით ისევ ეგზარქოსი ითვლებოდა. იგი მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისის, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებს, ყარსის ოლქს, დაღესტნისა და იმერკავკასიის რეგიონებს. ქართლ-კახეთის ეპარქიაში ამ დროისათვის იყო 12 მონასტერი და 485 ეკლესია; 2). იმერეთის ეპარქიას (8 მონასტერი, 478 ეკლესია) ექვემდებარებოდა ქუთაისის გუბერნია, შოროპნისა და რაჭის მზრები; 3). გურია-სამეგრელოს ეპარქიის (5 მონასტერი, 407 ეკლესია) შემადგენლობაში შედიოდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი; 4). სოხუმის ეპარქია (1 მონასტერი, 46 ეკლესია) ტერიტორიულად ყველაზე პატარა ეპარქია იყო და მოიცავდა მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროს.[1328] საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში ქართული ეპარქიების (გურია-სამეგრელო, იმერეთი, სოხუმი; გორის ვიკარ-საეპისკოპოსო, ალავერდის ვიკარ-საეპისკოპოსო) გარდა შედიოდა ქართლ-კახეთის

1327 ჟურნალი „მწყემსი," 21, 1905, გვ. 7.

1328 Иерархия всерассиискоЙ церкви от начала христианства в России и до настояшаго времени, Москва, 1910, стр. 189-193; შდრ. Православная Богославсский энциклопедический словарь, издание под редакции проф. А. П. Лопухина, Т. IV, СПР., 1903, стр. 235.

ეპარქიას დაქვემდებარებული არაქართული ბაქოსა (დაარსდა 1905 19 მაისს) და ერევნის (დაარსდა 1912 წლის 13 დეკემბერს) ვიკარ-საეპისკოპოსოები. ამის გარდა, ქართულ ეპარქიებში კოლონიზაციის შედეგად ხელისუფლება ხელოვნურად ზრდიდა არაქართველთა რიცხვს. ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, XX საუკუნის პირველ ათეულში საქართველოს მართლმადიდებელი მრევლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.[1329] არაქართველთა რაოდენობა ყველაზე მეტი იყო ქართლ-კახეთისა და სოხუმის ეპარქიაში. სოხუმის ოლქში ქართველებისა და აფხაზების გარდა ხელიუფლებამ ამ კუთხის დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად ბერძნები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები ჩაასახლა. არაქართველთა რიცხვი შედარებით ნაკლები იყო იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ძირითადად ისინი დასახლებული იყვნენ ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, სადაც საკათედრო ტაძრები არსებობდა და ქართველებთან ერთად საკათედრო ტაძრის შერეულ მრევლს წარმოადგენდა. ხელისუფლების მიერ გატარებული აღნიშნული ღონისძიება რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რადგან რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით შერეულ მრევლში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე უნდა ჩატარებულიყო. უზენაესი სასულიერო უწყების ხელშეწყობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რუსეთის შიგა გუბერნიებიდან ჩამოასახლეს სექტანტები, რომელთა რაოდენობა XX საუკუნის პირველ ათეულში 50 ათას სულს შეადგენდა. აქედან მალაკნები იყვნენ 32 ათასი, დუხობორები – 7 ათასი, სუბოტნიკები – 4 ათასი, ბაბტისტები – 2 ათასი, იეღოველები – 200, სტაროვერები – 200 და სხვა. საქართველოს საეგზარქოსომ სექტანტების მოქცევის მიზნით ქართლ-კახეთის ეპარქიაში ორი საეპარქიო სამისიონერო განყოფილება შექმნა.[1330]

1901 წლის სექტემბერში საქართველოს რუსეთთან შეერთების მეასე წლისთავთან დაკავშირებით შეკრებილ ბლაღოჩინთა სამისიონერო ყრილობამ განსაზღვრა საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში არსებული სექტანტების ზუსტი რაოდენობა და დასახა გარკვეული გეგმები თუ როგორი სულიერი ზეგავლენა მოეხდინათ სექტანტებზე. ყრილობამ აგრეთვე დადგინა, რომ მათი მოქცევის მიზნით ყოველწლიურად მოეწყოთ შეკრებები და სამისიონერო საუბრები.[1331]

XX საუკუნის დაწყებას საქართველოს საეგზარქოსო ახალი ეგზარქოსით შეხვდა. გათავისუფლებულ მთავარეპისკოპოს ფლავიანე გოროდეცკის ნაცვლად რუსეთის უწმინდესი სინოდის 1901 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად, საქართველოს ეგზარქოსად და რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად დაინიშნა ალექსი ოპოცკი.

1329 Православная Богословский энциклопедический словарь, издание под редакции проф. А. П. Лопухина, Т. IV, СПР., 1903, стр. 235.

1330 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 62521, ფურცელი 4.

1331 Духовний вестник Грузинского Экзархата, #1, 1902, стр. 2-3.



საქართველოს
ეგზარქოსი ალექსი
(ოპოცკი, 1901-1905)

ეგზარქოსი ალექსი (ერობაში ალექსი ალექსის ძე ოპოცკი) დაიბადა 1837 წლის 12 დეკემბერს ფსკოვის გუბერნიის სოფელ ოპოჩკაში, დეკანოზის ოჯახში. მისი უმცროსი ძმა, ანასტასი ეპისკოპოსი იყო და სხვადასხვა ეპარქიას განაგებდა. ფსკოვის სასულიერო სემინარიის შემდეგ, ალექსიმ 1863 წელს ღვთისმეტყველების ხარისხით დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. ერთხანს იგი ვილნოს სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად და ზედამხედველად მუშაობდა. 1866 წლის 2 თებერვალს მღვდლად კურთხევის შემდეგ ალექსი ვილნოს სხვადასხვა ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1891-1893 წლებში ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1892 წელს დაქვრივების შემდეგ ალექსი ბერად აღიკვეცა და გაამწესეს ადგილობრივი წმ. სამების მონასტრის არქიმანდრიტად, ერთი წლის შემდეგ ეპისკოპოსად ხელდასხმული ალექსი დაადგინეს ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიის ბალახნინის ვიკარ-ეპისკოპოსად, 1896 წლიდან იგი გაამწესეს ვიატკისა და სლობოდკის ეპარქიის მმართველად, საიდანაც გადმოიყვანეს საქართველოს ეგზარქოსად.[1332] მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით ეგზარქოსად დანიშვნის მცირე ხნის შემდეგ, 1902 წელს დააჯილდოვეს კუნკულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ახლადდანიშნულმა ეგზარქოსმა სამწყსოში მოსვლისთანავე განახორციელა ის იყო, რომ მან საქართველოს საეგზარქოსოს შენობისა და იქვე მდებარე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ეგზარქოსის მოედნის სახელით იყო ცნობილი, გაძლიერებული დაცვა მოხსნა. აღნიშნული გადაწყვეტილების გატარებით ალექსი ეგზარქოსს სურდა აღედგინა ის ჩატეხილი ხიდი, რომელიც სასულიერო უწყებასა და მის სამწყოს შორის არსებობდა. მის წინამორბედ ეგზარქოსებს სურდათ „კეთილი მწყემსმთავრის" სახელის დამკვიდრება და სამწყოსოს გულის მოგების მიზით ახლო მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდნენ ქართულ წარჩინებულ ოჯახებთან. სამაგიეროდ ქართველ სამღვდელობას ცუდად ექცეოდნენ. ჯერ კიდევ, ეგზარქოს ფლავიანეს სურდა ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ქართველ სასულიერო პირებთან. სამრვდელოების წახალისების მიზნით იგი ხშირად აჯილდოვებდა მათ. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ალექსი ეგზარქოსი შეეცადა გაეგრძელებინა წინამორბედი ეგზარქოსების საქმიანობა, რომ ამით „კეთილი კაცის, გულისხმიერი და უბრალო მღვდელმთავრის სახელი მოეპოვებინა."

1332 ჟურნალი, „მწყემსი," 22, 1901, გვ. 9; შდრ. ახალი ეგზარქოსის მობრძანება ტფილისში, გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1689, გვ. 1-2.

ამ მიზნით, იგი ხშირად სტუმრობდა თბილისის სამღვდელოების ოჯახებს, დაინტერესებული იყო მათი პირადი ცხოვრებით და სხვა.[1333]

ეგზარქოსი ალექსი ზედმიწევნით ასრულებდა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის მითითებით, 1903 წლის აპრილში ეგზარქოსი ალექსი მოახსენებდა სოხუმის ეპარქიის მაშინდელ მმართველ ეპისკოპოს არსენს (იზოტოვი), რომ კავკასიაში ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტთან დაკავშირებით იგეგმებოდა იმერეთის ეპარქიიდან სვანეთის გამოყოფა, რომელიც უნდა შეერთებოდა სოხუმის ეპარქიას, რამდენადაც მძიმე კლიმატური პირობების გამო, სვანეთში გზა ქუთაისიდან და რაჭიდან გახსნილი იყო მხოლოდ ზაფხულის თვეებში, ხოლო შავი ზღვისპირეთიდან ენგურის გავლით მშენებარე ტრასა უზრუნველყოფდა მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებელ მიმოსვლას.[1334] ხელისუფლების აღნიშნული სურვილი ვერ განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა არ ზემოთ მითითებული პრობლემის გადაჭრას, არამედ მათი სურვილი იყო საქართველოს ძირძველი მთიანი ნაწილის ამ კუთხის ასიმილაციას, რომლის გახორციელება სოხუმის ეპარქიის რუსი ეროვნების ეპისკოპოსების მიერ ადვილად განხორციელდებოდა. იგივე სოხუმის ეპისკოპოსი ეგზარქოს ალექსის 1902 წელს აცნობებდა, რომ სოხუმის საეპისკოპოსო საქართველოს საეგზარქოსოსაგან ჩამოეშორებინათ და ყუბანისათვის მიეერთებინათ. ეგზარქოს ალექსის მოსწონებია არსენ ეპისკოპოსიის მოსაზრება და თავის მხრივ მხარდაჭერისათვის მიუმართავს კავკასიის მთავარმართებელ გრიგოლ გოლიცინისათვის (1897-1904). ამ უკანასკნელს აღნიშნულ საკითხზე შუამდგომლობა აღუძრავს რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე და თან აღნიშნავდა, რომ წამოყენებული წინადადება იმპერიისათვის სასარგებლო იქნებოდა. ამ იდეის განხორციელება, რეალური გახდა მას შემდეგ, როცა 1904 წელს ადმინისტრაციული ცვლილების გამო სოხუმის ოლქის ნაწილი, გაგრის სექტორი შავიზღვისპირეთის ოლქს შეუერთდდა. მომხდარი ადმინისტრაციული ცვლილების გამო, რუსეთის უწმინდესი სინოდს სურდა სოხუმის ეპარქია ჩამოშორებოდა საქართველოს საეგზარქოსოს და შავიზღვისპირეთის ოლქში ცალკე ეპარქიად გამოყოფილიყო ანდა რომელიმე რუსეთის ეპარქიას შეერთებოდა, მაგრამ 1904 წელს იაპონიასთან ომის დაწყებამ და წინარევოლუციურმა კრიზისმა, რუსეთის მთავრობის ოფიციალური დასკვნით, „არახელსაყრელი პირობების გამო," აღნიშნული საკითხი დროებით დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მთავარეპისკოპოს ალექსის ეგზარქოსობის დროს, რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, 1905 წლის 19 მაისს ქართლ-კახეთის ეპარქიაში შეიქმნა ბაქოს ვიკარ-საეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებს. აღნიშნული საეპისკოპოსოს მრევლის უმრავლესობა არაქართველები წარმოადგენდნენ, ეპისკოპოსებად კი რუსი მღვდელმ-

1333 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 53.

1334 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 26867, ფურცელი 2-3.

თავრები ინიშნებოდნენ, რაც ბუნებრივია ზრდიდა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის გატარებას. ეგზარქოს ალექსის წარდგინებით ახლადგახსნილი ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, ანტიქართული საქმიანობით ცნობილი არქიმანდრიტი ნიკანდრი (ფენომენოვი), მაგრამ 1905 წლის 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიაში შეკრებილი ქართველი სასულიერო პირების დარბევის გამო, ქართველი სამღვდელოების მოთხოვნით, იმავე წლის 2 ივნისს ნიკანდრის ნაცვლად ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსად დაინიშნა ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი.

კავკასიაში ხელისუფლების იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას ეგზარქოსი ალექსი მოხერხებული ოსტატობით ახერხებდა. მისი სახით, შენიღბული „კეთილი მღვდელმსახურის" უკან იდგა რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი ეგზარქოსი, რომელიც რუს მოხელეებთან ერთად ქართველი ხალხის ასიმილაციისათვის აქტიურად იბრძოდა. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა დეკანოზი იოანე იოანეს ძე ვოსტორგოვი, რომელიც, ჯერ კიდევ, 1897 წლის 17 ივლისიდან მუშაობდა თბილისის პირველ ქალთა გიმნაზიის საღმრთო რჯულის მასწავლებლად. იგი დაახლოებული იყო ანტიქართული საქმიანობით ცნობილ ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარე, არქიმანდრიტ გერმოგენთან, რომლის ხელშეწყობით იოანე ვოსტორგოვი დაინიშნა თბილისის კუკიის სამისიონერო სკოლების გამგედ. არქიმანდრიტმა გერმოგენმა და დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა იერიში მიიტანეს საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე, რომლის მეთვალყურეებად, როგორც წესი, ქართველები იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისისათვის ამ მოვალეობას გურია-სამეგრელოს ეპარქიაშია ასრულებდა თედო ჟორდანია, იმერეთის ეპარქიაში – მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე. დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა იმდენი მოახერხა, რომ 1900 წლის დეკემბრიდან ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. „სწრაფი გამჭრიახობით, მოხერხებული უნარითა" და მჭერმეტყველური ნიჭის წყალობით მალე იგი ალექსი ეგზარქოსის ახლობელ პიროვნებად იქცა. ეგზარქოსიის ხელშეწყობით მან იმერეთსა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში გააუქმა დამოუკიდებელი სამრევლო-სასკოლო საბჭოები, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ მღვდლმთავრებს ექვემდებარებოდა და მათ ნაცვლად შექმნა ცენტრალიზებული მმართველობა „საეგზარქოსოს საეკლესიო სამრევლო სკოლების საოლქო საბჭო" ეგზარქოსის თავმჯდომარეობით, თვითონ კი საოლქო საბჭოს მეთვალყურედ დანიშნეს. ფაქტიურად დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი ზემოთ დასახელებული დაწესებულების სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. მალე მან ისიც მოახერხა, რომ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სკოლების მეთვალყურეობა „საოლქო საბჭოებს" დუქვემდებარა.[1335] შოვინისტურად განწყობილი იოანე ვოსტორგოვი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს. 1901-1905 წლებში ეგზარქოს ალექსის განკარგულებით იგი რედაქტორობდა საქართველოს საე-

1335 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 26371, ფურცელი 3-5.

გზარქოსოს ოფიციალურო ორგანოს „Вестник Грузинского Экзархата"-ს, რომელშიც, მისი რედაქტორობის დროს, ქვეყნდებოდა ანტიქართული შეურაცმყოფელი წერილები.[1336] დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მიერ საეკლესიო-სამრევლო სკოლების რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა მათ რუსიფიკაციას. მანამდე საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სასულიერო პირები მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით აძლევდნენ პირველდაწყებით განათლებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლებამ ვერ შეძლო აღნიშნული სკოლების თავის კონტროლქვეშ დაქვემდებარება. დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა დაიწყო სამრევლო სკოლების რუსიფიკატორული პოლიტიკის საფუძველზე გარდაქმნა. 1902-1904 წლებში მან შეადგინა სამრევლო სკოლების პროგრამის პროექტი. ამ პროგრამის მიხედვით, სამრევლო სკოლებში, სადაც ძირითადად ქართველები სწავლობდნენ საგრძნობლად შეიზღუდა ქართული ენის სწავლება. შერეულ სკოლებში, სადაც ქართველებთან ერთად არაქართველებიც სწავლობდნენ, საერთოდ ამოიღეს ქართული ენის სწავლება. რუსული ენა კი უნდა ესწავლებინათ არა იაკობ გოგებაშვილის „Русское слово"-ს მიხედვით, არამედ რუსი ავტორების შედგენილი სახელმძღვანელოებით. მისივე გეგმით, სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებიდან უნდა ამოეღოთ ქართული ენა იმ მოსაზრებით, რომ რაკი ქართული ენა არავის ეცოდინება, სამღვდელოებაც დაივიწყებს ქართულ წერა-კითხვას, მაშინ ეკლესიიდანადაც ადვილი გამოსადევნი იქნება ქართულიო. დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი არ მალავდა და გაიძახოდა: „ჩვენი ერთადერთი მიზანი თქვენი გარუსებააო. თქვენი არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება, არც ქრისტიანობა თქვენს შორის. სკოლებს თუ ვაარსებთ მხოლოდ ერთი მიზნით, რომ გავარუსოთ ქართველებიო." დასახული მიზნის მისაღწევად იგი ყველა მეთოდის გამოყენებას ცდილობდა და თავისი გეგმის განხორციელებისათვის აქტიურად იყენებდა იმპერიის ერთგულ მსახურებს, თბილისის სასულიერო სემინარიის მაშინდელ რექტორს ნიკანდრ ფენომენოვს, დეკანოზ სერგეი გოროდცევს, ქართველ ეპისკოპოსს, ანტიქართული საქმიანობით ცნობილ დიმიტრი აბაშიძეს და საქართველოს საეგზარქოსოს ზოგიერთ თანამშრომლებს.

დეკანოზ იოანე ვოსტორგოვისა და მისი თანამზრახველების სასწავლო გეგმის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ქართველმა საზოგადოებამ. აღნიშნულის შესახებ, საფრანგეთში, 1903 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებლების არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით ფრანგულ და ქართულ ენებზე გამოსულმა გაზეთმა „საქართველომ" ვრცელი კორესპოდენცია გამოაქვეყნა სათაურით „ვოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება."

დეკანოზ იოანე ვოსტორგოვისა და მისი დამქაშების გამარუსებელ პოლიტიკას წინ აღუდგა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპი-

1336 თ. შაკიაშვილი, ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი" და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, 2004, გვ. 131-132.

რიძე. ამ დაპირისპირების გამო მხცოვანი მღვდლმთავარი 1903 წელს ეპიკოპოსობიდან გადაყენეს.

ქართველი ხალხი და მათ შორის სამღვდელოებაც უკმაყოფილებას გამოხატავდა ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. იმდროინდელი პერიოდული პრესა სიამაყით წერდა, რომ სამეგრელოს მოსახლეობამ „კარგად შეიგნო თუ რა მოელოდათ ქართული ენის განდევნით, მათ ესმით, რომ სამეგრელოს საქართველოსაგან განშორება უბედურება იქნება ერთისაც და მეორისაც." ტყუილად ქადაგებდა დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი: „მეგრელებო, თქვენ ქართველები არა ხართ, ქართული ენა თქვენი ენა არ არისო." 1903 წელს ფოთში ეგზარქოს ალექსისა და დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის სტუმრობის დროს, ადგილობრივმა საზოგადოებამ მათ დაუფარავად განუცხადა: „ჩვენ არც მთავრობის წინააღმდეგ ვამბობთ რასმეს, არც რუსული ენის წინააღმდეგ. მხოლოდ გთხოვთ, რომ ჩვენი სამშობლო ქართული ენა დასტოვოთ ჩვენს ეკლესიებსა და სკოლებშიო."

ალექსი ეგზარქოსისა და დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას აგრეთვე დაუპირისპირდა თეკლათის მონასტრის წინამძღვარი 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის მიერ წმინდანად შერაცხული ალექსი ბერი (შუშანია). სენაკიდან თეკლათის მონასტრისაკენ მიმავალ ეგზარქოს და მის ამალას ხის დიდი ჯვრით შეეგება ალექსი ბერი, რომელმაც ეგზარქოს გადასცა რუსულ ენაზე შედგენილი თხოვნა. ამ თხოვნით ალექსი ბერი იმდროინდელი ქართველი საზოგადოების გულისთქმას გამოხატავდა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩემი ძმებისადმი სიყვარული მაიძულებს მე მოგმართოთ შემდეგი თხოვნით, ღვთის განგებით თქვენ მონდობილი გაქვთ ქართული ეკლესიის მართვა, ზრუნვა მის შვილთა ხსნაზე, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას თქვენი ჩემდამი სიყვარულით, სიყვარულით, რომელიც მაცხოვრის მცნების თანახმად, თავგანწირვამდე უნდა მიდიოდეს. ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ თქვენ მხურვალედ გიყვართ საკუთარი სამწყსო და ამიტომ გთხოვთ ყურად იღოთ ვედრება იმათი, ვისაც თქვენ მწყემსავთ. როგორც თქვენ გიყვართ რუსი ხალხი და რუსული ენა და გსურთ, რომ იგი ჰყვაოდეს მრავალი წრის მანძილზე, ზუსტად ასევე მოექეცით ჩვენ ხალხს, ჩვენს ქართულ ენას, რათა მზაკვარმა ვერ ჩამოაცილოს თქვენი შვილები მართლმადიდებელ ეკლესიას. უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, რომელმაც ურთიერთსიყვარული გვიანდერძა, მე გთხოვთ თქვენ არ დაუშვათ, რომ ბოროტმა სულმა თქვენს ყანაში დასთესოს ღვაძლი – მტრობის თესლი და ყოველნაირად შეუწყოთ ხელი იმას, რომ ჩვენ დაკავშირებულნი დიდ რუს ხალხთან, ერთიანი გულით ვადიდებთ ღმერთს." ალექსი ბერის აღნიშნულმა მიმართვამ და 1903 წელს სამეგრელოში მოგზაურობის დროს დანახულმა უკმაყოფილებამ დაარწმუნა ეგზარქოსი, რომ დროებით მაინც ხელი უნდა აეღოთ ძალადობაზე.

ხელისუფლების მიერ დიდი უფლებებით აღჭურვილი კავკასიის სასულიერო უწყება უკან არ იხევდა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ეგ-

ზარქოსმა ალექსიმ და დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა შეიმუშავეს პროექტი, რომლის ძალით სამეგრელო, სვანეთი და აჭარა ერთ ეპარქიად უნდა გაერთიანებულიყო, რომლის მმართველად აუცილებლად რუსი მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო. მათი აზრით, მხოლოდ ამ გზით გაადვილდებოდა მოსახლეობის ასიმილაცია, მაგრამ საზოგადოების წინააღმდეგობის გამო ვერ განახორციელეს თავიანთი ჩანაფიქრი.

დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი ბიოლოგიური ზიზღით იყო გამსჭვალული ქართველი ხალხის მიმართ. ყველა ქართველში იგი მოღალატეს და იმპერიისათვის საშიშ ძალას ხედავდა. მან 1905 წლის დასაწყისში, რევოლუციის დაწყების დროს, რუსეთის უწმინდეს სინოდში გაკეთებულ მოხსენებაში აუგად მოიხსენია ქართველები და რუსეთის ხელისუფლთ მოუწოდა, რომ მათ „მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერგია უნდა მოახმარონ ქართველთა გარუსებას." დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის გამოხტომას საკადრისი პასუხი გასცა პეტერბურგში მოღვაწე პროფესორმა ნიკო მარმა, რომელმაც 1905 წლის 14 და 15 მაისს გაზეთ „Расвет"-ში (№№ 68-69) წერილი განმოაქვეყნა. აღნიშნული წერილების ქართული თარგმანი იმავე წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოიცა.

ალექსი ეგზარქოსის დროს რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებასთან ერთად გაიზარდა სასულიერო სასწავლებელთა მოსწავლეთა აქტივობა. რევოლუციური პროპაგანდის მომიზეზებით და მოსწავლეთა აქტიური გამოსვლების გამო, 1904 წელს დახურეს ქუთაისის სასულიეროს სემინარია, რომელიც 1894 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ იყო დაარსებული. ამავე პერიოდში გაიზარდა თბილისის სასულიერო სემინარისტთა აქტივობაც, რის გამოც საეჭვო სტუდენტები გარიცხეს, ხოლო დარჩენილებზე ფარული მეთვალყურეობა დააწესეს.

რევოლუციის დასაწყისში, 1905 წლის მაისში იოანე ვოსტორგოვისა და დეკანოზ სერგეი გოროდცევის ხელმძღვანელობით დაფუძნდა „წესრიგის მომხრეთა პარტია," რომლის მიზანი იყო რევოლუციურად განწყობილი სასულიერო პირების, სასულიერო სასწავლებლების პედაგოგების, ამავე სასწავლებლის მოსწავლეების გამოვლენა და მათი მკაცრი დასჯა. დეკანოზ იოანე ვოსტორგოვისა და მისი მიმდევრების ანტიქართულ საქმიანობას ქართველი საზოგადოება ყურადღების გარეშე არ ტოვებდა. დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის „პედადოგიური იდეების" კრიტიკას ცნობილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა წერილების მთელი სერია გამოაქვეყნა, ხოლო აკაკი წერეთელმა სატირული ლექსი მიუძღვნა იოანე ვოსტორგოვის მოღვაწეობას.

რევოლუციის წინა პერიოდში ცარიზმის მოხელეები ყოველგვარი ხერხების გამოყენებით ებრძოდნენ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც რუსიფიკატორული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი 1902 წელს თავის სამშობლოს მოაშორეს და რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიაში გადაიყვანეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, როგორც აღინიშნა, 1903 წელს ვითომდა

მოხუცებულობის მომიზეზებით, სინამდვილეში დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის დაპირისპირების გამო, პენსიაზე გაუშვეს. მის მაგივრად კი დაინიშნა ზემოთ ჩვენს მიერ მოხსენებული ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე. ამაგდარი მამულიშვილი, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე შეეგუა თავის მძიმე ხვედრს. იგი საზოგადოებისაგან განმარტოვდა და სიცოცხლის ბოლო წლები თავისი ხარჯებით აღდგენილ შიო მღვიმის მონასტერში გაატარა. ასეთივე დევნას განიცდიდნენ ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და სხვები.

როგოც ვხედავთ, რევოლუციის წინა პერიოდში მოწინავე ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება, მართალია, აქტიურად გამოდიოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ეტაპზე მათი ბრძოლა მაინც თავდაცვით ხასიათს ატარებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია ავტოკეფალიის დაკარგვას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას უპირველესი ადგილი ეკავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამაში. XIX საუკუნეში ცარიზმის წინააღმდეგ თითქმის პერმანენტულად მიმდინარე სახალხო აჯანყების მონაწილენი ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების ერთ-ერთ პირობად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას მიიჩნევდნენ. აღნიშნულ პერიოდში, ქართველ საზოგადოებას კატეგორიულად არ დაუსვამს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა. მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის დაწყებამ გააქტიურა ქართველი საზოგადოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს ეროვნული ძალების გამოფხიზლებასთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა სასულიერო პირებმა დაიწყეს ბრძოლა ცარიზმის მიერ უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რევოლუციის პერიოდში ავტოკეფალისტთა მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა და მან პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.[1337] მართალია, თავდაპირველად ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ქართველმა სასულიერო პირებმა წამოიწყეს, მაგრამ შემდგომ ეტაპზე მასში აქტიურად ჩაება მოწინავე ქართველი საზოგადოება და სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი.

რევოლუციური მოძრაობის დასაწყისში ქართველი სამღვდელოების გააქტიურება განაპირობა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის 1905 წლის 18 თებერვლის რესკრიპტმა, რომლის ძალით „შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ბულიგინმა რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს უფლება მისცა, გულახდილად გამოეთქვათ თავიანთი აზრი, თუ რა ღონისძიებები შეუწყობდა ხელს ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოცხადებულ, ხალხის საკეთილდღეოდ

1337 ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 52; შდრ. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, ტ. I, თბ., 2017, გვ. 74.

გამიზნულ გარდაქმნების წარმატებით განხორციელებას."[1338] აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ სხვა საკითხებთან ერთად სარწმუნოებრივი საკითხი იმპერიის მასშტაბით აქტუალური გახდა. რევოლუციური ძალების გააქტიურებასთან ერთად, 1905 წლის დასაწყისში, რუსეთის მოწინავე საერო და სასულიერო პირებმა წამოაყენეს მოთხოვნა პეტრე პირველის დროს უკანონოდ გაუქმებული პატრიარქობის აღდგენის შესახებ. ქართველი ავტოკეფალისტების თვალსაზრისით, თუკი რუსეთში პატრიარქობის ინსტიტუტი აღდგებოდა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უმტკივნეულოდ მოგვარებულიყო. მათ ამის იმედს აძლევდა ის ფაქტი, რომ რუსი მოღვაწეების მცირე ნაწილი, რომლებიც პატრიარქობის აღდგენას უჭერდნენ მხარს, თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნას.

რევოლუციური ძალების გამოფხიზლებასთან ერთად ხელისუფლება რელიგიური საკითხის მიმართ გარკვეულ დათმომებებზე წავიდა. 1905 წლის 17 აპრილს, სანამ ცნობილი 17 ოქტომბრის მანიფესტს მიიღებდნენ, ხელისუფლებამ გამოსცა გადაწყვეტილება სარწმუნოებრივი თავისუფლების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით, იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ კონფესიურ ჯგუფებს უფლება მიეცათ თავიანთი პრობლემები ხელისუფლების წინაშე დაეყენებინათ და ემსჯელათ მისი გადაწყვეტის გზებზე. ამ დადგენილებამ ერთგვარი წამახალისებელი როლი შეასრულა ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობაზე.

ავტოკეფალიის მოთხოვნით თავდაპირველად გამოვიდა იმერეთის სამღვდელოება. 1905 წლის 16-22 მარტს ქუთაისში შეკრებილმა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ შეიმუშავა ვრცელი პეტიცია, რომელიც 387 სასულიერო პირის ხელმოწერით რუსეთის მინისტრთა კომიტეტს და უწმინდეს სინოდს გაეგზავნა.[1339] პეტიციაში დაწვრილებით იყო საუბარი იმ მძიმე შედეგებზე, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა. მასში ხაზგასმული იყო, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიაში განხორციელებულმა გარდაქმნებმა მას თავისი დანიშნულება დაუკარგა და იგი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩადგა. პეტიციაში ხაზგასმით იყო ნათქვამი: „რუსეთისა და კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ფორმები პროტესტსა და დაგმობას იმსახურებს. ახლახან დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგაც წარიმართა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მღვდელი, რომელიც ხალხთან ერთად უნდა იყოს ლხინსა და ჭირში, ქართველების თვალში გადაიქცა რაღაც საფრთხობელად. მას ყველა ერიდება, ყველა გაურბის, მღვდელი მიაჩნიათ საიდუმლო პოლიციის

1338 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 62567, ფურცელი 2; შდრ. კალისტრატე ციცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 72; შდრ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, III, თბ., 2001, გვ. 48.

1339 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, ფურცელი 1-9; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, ანან. 1, საქმე 173, ფურცელი 3.

აგენტებად, გადაცმულ ჟანდარმებად და ამიტომ ებრძვიან მათ. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტიანობა წმინდათწმინდათ ითვლება და რომელსაც 15 საუკუნის განმავლობაში ეყრდნობოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. რა მოხდა, ნუთუ ქართველები განუდგნენ ქრისტეს და მის მოძღვრებას? არა, ქართველები მართლმორწმუნე ქრისტიანებად რჩებიან, მაგრამ აღშფოთებული არიან თანამედროვე საეკლესიო წყობით."[1340]

პეტიციის ავტორები სამღვდელოების დაცემის ძირითად მიზეზად მიჩნევდნენ მათი შენახვის სისტემის უვარგისობას. მღვდელი სახელმწიფოსაგან წლიურად ჯამაგირის სახით იღებდა 250-300 მანეთს, რაც მათ არ ჰყოფნიდათ. ამის გარდა, სამღვდელოების სასარგებლოდ ხელისუფლების მიერ დაწესებულ სავალდებულო საეკლესიო დრამის გადასახადს მრევლი იხდიდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ სასულიერო პირები ჯვრის წერის, ნათლობის, მიცვალებულთა წესის აგების დროს გარკვეულ გასამჯელოს იღებდნენ. გადასახდების თუ სხვა შემოსავლების მიუხედავად დაბალი სამღვდელოება მაინც სიღარიბეში ცხოვრობდა, მაგრამ მის მიმართ უკმაყოფილებას მაინც გამოხატავდა მოსახლეობა. აღნიშნულის გამო, პეტიციის ავტორები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ დაწყებული სახალხო მოძრაობა ნაწილობრივ სამღვდელოების წინააღმდეგაც იყო მიმართული. მართლაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ხელისუფლების მიერ დაწესებულ საეკლესიო დრამის გადასახადს მოსახლეობა სიღარიბის გამო ვერ იხდიდა, რომლის ამოღება ხშირად ძალდატანებით ხდებოდა. აღნიშნულის გამო, ეგზარქოსობის დროს მშრომელი ხალხი სასულიერო წოდებაში მჩაგვრელს ხედავდა, რაც სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგი იყო. 1905-1907 წლების რევოლუციის მსვლელობის დროს ათეისტურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთა – ბოლშევიკები და მენშევიკენი და სხვა) საეკლესიო გადასახადებს კარგად იყენებდნენ მშრომელი მასების უკმაყოფილების გასაღრმავებლად სასულიერო პირების მიმართ. ამ ნიადაგზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობა რამდენჯერმე გამოვიდა სამღვდელოების საწინააღმდეგოდ. ათეისტურად განწყობილი სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა საწინააღმდეგოდ რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში მოწინავე ქართველი საზოგადოება პრესის საშუალებით ააშკარავებდა იმ მიზეზებს, რომელმაც ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ისინი ეკლესიის დაცემის, რწმენის დაქვეითების და სამწყსოს უკმაყოფილების ძირითად მიზეზად ეკლესიის რუსიფიკაციას მიიჩნევდნენ. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მთავარ საშუალებად მათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მიაჩნდათ. გარდა ამისა, 1905-1907 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს რუსეთის უმაღლესი სასულიერო უწყება მეფის ხელისუ-

---

1340 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, *ლ*. 1-2; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 4; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 45.

ფლების პოზიციას მტკიცედ იცავდა, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობის მონინავე ძალების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით მოსახლეობასა და ეკლესიას შორის აღიმართა ბარიერი, რადგან „ხალხის ცოცხალ ორგანიზმს მოკვეთეს მისი ბუნებრივი თავი და მის მაგივრად დაადგეს უცხო თავი, რომელსაც როგორც უცხოს არ შეუძლია ამ ორგანიზმის ყველა ფუნქციის მოწესრიგება."[1341]

პეტიციის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ რუსული პოლიტიკის წყალობით ქართველი სასულიერო პირები მრევლისაგან გაუცხოვებული აღმოჩნდნენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათი მომზადება ხდებოდა საქართველოში არსებულ რუსულ სასულიერო სასწავლებლებში, „სადაც ისინი სწავლობდნენ ყველაფერს, გარდა ქართულისა." რუსიფიკაციის გარემოში აღზრდილ ქართველ სასულიერო პირების დიდ ნაწილს არ შეეძლოთ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება და მრევლის წინაშე ქადაგება. მრევლსა და მღვდელს შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობას საფრთხე დაემუქრა, ფინანსიურად ხელისუფლებას დამოკიდებული სასულიერო პირები ვეღარ პასუხობდა მრევლის ინტერესებს, რადგან ისინი აღიქმებოდნენ როგორც სახელმწიფოს მოხელეები. აღნიშნულის შესახებ პეტიციაში სამართლიანად აღნიშნულია: „ეკლესია მისი მსახურების სახით, ახლა ქცეულია... მრავალი პოლიტიკური ტენდენციების ცხოვრებაში გატარების იარაღად. ის აქციეს ისეთ კანცელარიად, რომელიც ასრულებს სახელმწიფოს მექანიზმის გარკვეულ ფუნქციას."[1342]

საქართველოში შექმნილი მძიმე სარწმუნოებრივი ვითარების გამოსწორების მიზნით იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება რუსეთის მინისტრთა კომიტეტისა და უწმინდესი სინოდისაგან მოითხოვდა: 1). აღდგეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამოუკიდებლობა; 2). დაწესდეს კათოლიკოსის, ეპისკოპოსების და სხვა ღვთისმსახურთა არჩევა, რომელსაც ხალხისა და სამღვდელოების ყრილობა აირჩევს; 3). ჩატარდეს სასკოლო საქმის ძირეული რეფორმა, დაარსდეს მაღალი ტიპის ეროვნული სასულიერო სასწავლებელი; 4). სამღვდელოებას მიეცეს სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებისა და თავყრილობის თავისუფლება; 5). ეკლესია და სამღვდელოება გათავისუფლდეს პოლიტიკური მიზნების განხორციელების, ყველა სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან; 6). სამოქალაქო უფლებების მინიჭება სამღვდელოებისათვის; 7). სამღვდელოება გათავისუფლდეს მრევლის მატერიალური დამოკიდებულებისაგან და რაკი საქართველო პოლიტიკურად ჯერ ისევ რუსეთის შემადგენლობაში რჩება, უზრუნველყოფილი იქნეს იგი სახაზინო ჯამაგირით; 8). უნდა დაარსებულიყო წმინდა სინოდი კათოლიკო-

1341 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, *ლლ.* 4; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 4; შდრ. გ. როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917 წ.წ.), თბ., 1997, გვ. 96-97.

1342 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, *ლლ.* 3; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 4; შდრ. გ. როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917 წ.წ.), თბ., 1997, გვ. 96-97).

სის მეთაურობით, ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან შეიქმნება სასულიერო და საერო პირებისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც არჩეული იქნებოდა გარკვეული დროით; 9). სინოდის მმართველობას უნდა დაემორჩილოს ყველა ეკლესია-მონასტერი, სასულიერი სასწავლებლები, სამღვდელოება და საქველმოქმედო ორგანიზაციები; 10). სახელმწიფოს ეკლესიისათვის უნდა დაებრუნებინა ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონება.[1343] პეტიციონერების დასკვნით, მხოლოდ ავტოკეფალიის აღდგენა დაუბრუნებდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავის ისტორიულ ფუნქციას.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მოთხოვნას მალევე გამოეხმაურა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრვდელოება. მათ 1905 წლის 15 აპრილს საეკლესიო კრებაზე მიღებული ანალოგიური შინაარსის 472 სასულიერო პირის ხელმოწერით დამოწმებული პეტიცია გაუგზავნეს ხელისუფლების უმაღლეს სასულიერო და საერო მმართველობას.[1344]

ავტოკეფალიის მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებაც. როგორც კალისტრატე ცინცაძე იგონებს, 1905 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მას, ეკლესიის ისტორიკოს სერგი გორგაძეს და დეკანოზ ანტონ თოთიბაძეს განუზრახავთ აღეძრათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, სერგი გორგაძეს უნდა შეედგინა „ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის" პროექტი, ხოლო კალისტრატე ცინცაძეს – პეტიცია, რომელიც მთავრობაში უნდა გაეგზავნათ. მასვე დაევალა ჯერ კიდევ 1894წელს ჟურნალ „Пастир"-ში გაგრძელებების სახით დაბეჭდილი თავისი ნაშრომის „Автокефалия Грузинской церкви"-ის გამოქვეყნება.[1345] დასახელებულმა პიროვნებებმა დავალებები პირნათლად შეასრულეს. 1905-1906 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა კალისტრატე ცინცაძის ორი ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ შედგენილი პეტიციის პროექტი მოწონებულ იქნა ამ საკითხისადმი მიძღვნილ შეკრებებზე, რომელზეც პედაგოგებთან და მუშებთან ერთად ესწრებოდნენ მღვდელი კორნელი კეკელიძე, ნიკიტა თალაკვაძე, ილარიონ ჯაში, ქრისტეფორე ციცქიშვილი, ალექსანდრე კონტრიძე; საერო პირებიდან შეკრებას ესწრებოდა ექვთიმე თაყაიშვილი. მოწონებული, სტამბურად დაბეჭდილი პეტიციის პროექტი მარტის თვეში საერო და სასულიერო პირთა შეკრებებზე საჯაროდ იხილებოდა. 1905 წლის 15 მარტს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და რკინიგზის სახელოსნოს მუშებიც დასწრებია. იმავე წლის მარტის ბოლოს ასეთივე შეხვედრა გამართულა მღვდელ მარკოზ ტყემალაძის ბინაზე, რო-

1343 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, ლ. 4-9; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, ანაწ. 1, საქმე 173, ფურცელი 5.

1344 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, ლ. 13; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 6.

1345 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 72-73.

მელშიც იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვებიც მონაწილეობდნენ.[1346]

როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ თბილისში სამღვდელოების კრება მოწვეულიყო. ქართველი სასულიერო პირების სურვილით გადაწყდა, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნით საეკლესიო კრება აუცილებლად ეგზარქოს ალექსის თანხმობით უნდა ჩატარებულიყო იმის დასტურად, რომ „საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება „ერთი მუჭა" სამღვდელოების საქმე კი არ იყო, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა."[1347]

აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ 1905 წლის გაზაფხულზე არაერთხელ მიმართა ეგზარქოს ალექსის საეკლესიო კრების ჩატარების შესახებ. რევოლუციისაგან დაშინებული ეგზარქოსი სამღვდელოების მოთხოვნას ყურადღებას არ აქცევდა. ზემოთ მოხსენებული, დეკანოზ იოანე ვოსტორგოვისა და დეკანოზ სერგი გოროდცევის ხელმძღვანელობით დაარსებული შავრაზმული ორგანიზაცია „წესრიგის მომხრეთა პარტია" აქტიურად გამოდიოდა არა მარტო რევოლუციონერების, არამედ ქართველ ავტოკეფალისტთა წინააღმდეგ.[1348]

დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი ანტირევოლუციურ მიმართვებს აგზავნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ერთგული პირებისაგან მოითხოვდა რევოლუციონერი მღვდლების დასმენას და მათ მკაცრ დასჯას. მოთმინებადაკარგული 240-მდე სასულიერო პირი 1905 წლის 27 მაისს სასულიერო უწყების ნებართვის გარეშე თბილისში შეიკრიბნენ და ეგზარქოსს სთხოვეს 28 მაისს სამღვდელოების ყრილობის ჩატარების ნებართვა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეგზარქოსი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ყრილობის ჩატარებაზე. ოღონდ, იგი მოითხოვდა, რომ სამღვდელოების ყრილობა პირველ ივნისს გახსნილიყო თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში. ეგზარქოსმა ალექსიმ ყრილობის მოწვევის თარიღი შეგნებულად გადასწია, რადგან მისი მითითებით, პირველი ივნისისათვის თბილისში ჩამოსვლას მოასწრებდა ერევნის, ბაქოს და ელიზავეტოპოლის ეპარქიის რუსი სამღვდელოება, რათა ისინი დაეპირისპირებინათ ქართველი სამღვდელოებისათვის და მათი განზრახვისათვის ხელი შეეშალათ. ეგზარქოსმა ყრილობის მოწვევის ორგანიზატორებს მკაცრად განუსაზღვრა დღის წესრიგი. ქართველმა სამღვდელოებამ კარგად ამოიცნო საეგზარქოსოს განზრახვა და 29 მაისს ეგზარქოსის დაუკითხავად თბილისის სასულიერო სემინარიის დარბაზში ყრილობა გახსნილად გამოაცხადა. ყრილობას ჯერ თავმჯდომარეობდა მღვდელი მარკოზ ტყემალაძე, შემდეგ კი მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი (1927-1932 წლებში კათოლიკოს-პატრიარქი). პირველი ორი დღის მანძილზე ყრი-

1346 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 73.

1347 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 73.

1348 ბ. ლომინაძე, ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში, თბ., 1959, გვ. 46.

ლობის დელეგატებმა იმსჯელეს იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც სასულიერო სასწავლებლებში არსებობდა. მათ მკაცრად გააკრიტიკეს თბილისის სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი ნიკანდრი (ფენომენოვი), რომელიც იმხანად ახლადგახსნილ ბაქოს ეპარქიის მმართველად დაინიშნა.[1349] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რადგან მავნებელია სასულიერ სასწავლებლებში არსებული რეჟიმი, უნდა დაიხუროს იგი სანამ მათი სრული რეორგანიზაცია არ მოხდებოდა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში მიმდინარე ქართველ სასულიერო პირთა ყრილობის მუშაობით აღშფოთებული იყო ეგზარქოსი ალექსი და არქიმანდრიტი ნიკანდრი. 1905 წლის 31 მაისს, საღამოს შვიდი საათისათვის, როცა უნდა დაეწყოთ მსჯელობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ეგზარქოსმა ალექსიმ და რექტორმა ნიკანდრმა გამოიძახეს პოლიციის უბნის პრისტავი ნაბიბეკოვი პოლიციელებთან ერთად და კაზაკთა რაზმი. მათი მითითებით ისინი შეიჭრნენ თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში და ყრილობა დაარბიეს, სამღვდელოება ქუჩაში ცემა-ტყეპით გამოყარეს, სადაც გააგრძელდა სამღვდელოების უზომოდ დარბევა.

მომხდარმა ფაქტმა ქართველი ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართველი საზოგადოება შეურაცყოფილად თვლიდა თავს. წყაროებით დასტურდება, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იმპერატორთან მისვლასაც კი აპირებდა დამნაშავეთა დასჯის მიზნით. ქართულ და რუსულ პრესაში დიდი ადგილი ეთმობოდა მომხდარი ამბების გაშუქებას. თბილისის საქალაქო სათათბირომ 1905 წლის 2 ივნისის სხდომაზე საგანგებოდ განიხილა ქართველი სამღვდელოების დარბევის ფაქტი და მიიღო გადაწყვეტილება: „1). გამოეცხადოს თანაგრძნობა ქართველ სამღვდელოებას მათ წარმომადგენლებზე გაუგონარი ძალადობის გამოყენების გამო; 2). გამოხატულ იქნას უღრმესი აღშფოთება მოძალადეების მიმართ, რომლებმაც საშინელი შეურაცყოფა მიაყენეს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს; 3). სამღვდელოების ყრილობას გაეგზავნოს ადრესი თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი სამმართველოსაგან თანაგრძნობის გამოსახატავად მომხდარ ამბებთან დაკავშირებით; 4). ეცნობოს რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა დიდი გაზეთის რედაქციებს, რომ თბილისში მოხდა ისეთი, რომლისგან შეძრწუნდება მთელი ცივილიზირებული მსოფლიო." საქალაქო სათათბირო თავის გადაწყვეტილებაში საგანგებოდ აღნიშნავდა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო კაზაკთა რაზმის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, „მღელვარე მხარის დაწყნარება შეიძლება მხოლოდ დაპირებული რეფორმების სასწრაფოდ გატარების გზით." საქალაქო სათათბირომ დაადგინა, რომ „ეთხოვოს უმაღლეს ხელისუფლებას, ქალაქის წარმომადგენლებთან ერთად, მკაცრად გამოიძიონ მიზეზები სამღვდელოების მიმართ ჩადენილი ველური დანაშაულისა და პირები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ამ ძალადობას." სხდომის დასას-

1349 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 171, ფურცელი 22; შდრ. მიტროპოლიტი ანანია-ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, III, თბ., 2003, გვ. 94.

რულს თბილისის საქალაქო სათათბირო აღნიშნავდა: „ნიშნად ღრმა მწუხარებისა, რომელსაც იზიარებს მოსახლეობა, მიუხედავად მისი რელიგიისა, ეროვნულობისა და აღმსარებლობისა საქართველოს სამღვდელოების გამო, დუმა (სათათბირო ე. ბ.) წყვეტს თავის მუშაობას."[1350]

ახლადდანიშნულმა კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შექმნა საგამომძიებლო კომისია: თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი სტახოვიჩი; წევრები: მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. ჯამბაკურ-ორბელიანი და საქართველოს საეგზარქოსოს წარმომადგენელი კოლეგიის მრჩეველი თ. ფ. ტრელინი.

1905 წლის 3 ივნისს ქართლ-კახეთის ეპარქიის 27 ბლაღოჩინმა (კეთილმოწესე) სპეციალურ ოქმზე ხელმოწერით უმაღლეს სასულიერო უწყებაში წარადგინა მოთხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თავიანთი მოვალეობის აღსრულებაზე უარს ამბობენ, სანამ არ გაირკვევა და სათანადოდ არ დაისჯებიან ის პირები ვისი განკარგულებითაც განხორციელდა სასულიერო პირთა დარბევა და უმაგალითო შეურაცხყოფა.[1351]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყრილობის დარბევის დღეს დეპუტატებმა მოასწრეს რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილების მიღება. „1). საეკლესიო სკოლებში დღეიდან ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს ქართულად, რუსული ენა უნდა დარჩეს ერთ-ერთ სავალდებულო საგნად; 2). სასულიერო-სასწავლო დაწესებულებები გარდაქმნილ იქნენ საერო სასწავლებლების მსგავსად, რომლებშიაც მშობლიურ ენა უნდა ისწავლებოდეს რუსული ენის დონეზე, ხოლო საღმრთო კანონები, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია ქართულ ენაზე."[1352]

სასულიერო ყრილობის დარბევის შემდეგ მისი მონაწილეები ადგილებზე დაბრუნდნენ. ქართველმა სამღვდელოებამ გამოძიების დროს თავიანთი ინტერესების დასაცავად სასულიერო პირთა წარმომადგენლობით შექმნა დროებითი კომისია ანტონ თოთიბაძის, მარკოზ ტყემალაძის, ილია შუბლაძის, ქრისტეფორე ციცქიშვილის, იროდიონ ოქროპირიძის და სხვათა შემადგენლობით.

მართალია გამოძიებით დაინტერესებული იყო კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, მაგრამ, როგორც ირკვევა, გამოძიება მხოლოდ ინციდენტში მონაწილე პასუხისმგებელი პირების ჩვენებების ჩამორთმევით შემოიფარგლა. ამის იქით გამოძიება არ წასულა. საქართველოს ეგზარქოსად მთავარეპისკოპოს ალექსის დატოვება რუსეთის ხელისუფლებას არამიზანშეწონილად მიაჩნდა. ამას თვით ეგზარქოსიც გრძნობდა. მან 1905 წლის 12 ივნისს უკანასკნელად წირა თბილისის სიონის ტაძარში, ხოლო

1350 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 173, ფურცელი 14.

1351 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 173, ფურცელი 14.

1352 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 173, ფურცელი 22; შდრ. გ. როგავა, ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917 წ.წ.), თბ., 1997, გვ. 101.

17 ივნისს, როგორც კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, საკუთარი სურვილით, რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებართვის გარეშე, საიდუმლოდ წავიდა საქართველოდან. იმავე წლის პირველ ივლისს მთავარეპისკოპოსი ალექსი რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს საქართველოს ეგზარქოსიის თანამდებობიდან და ტვერისა და კაშინის ეპარქიის მმართველად დანიშნეს, რაც ფაქტიურად მის დაქვეითებას ნიშნავდა.[1353]

ახალ ეპარქიაში მთავარეპისკოპოსი ალექსი თავს არამყარად გრძნობდა, უმაღლესი სასულიერო უწყებისაგანაც მფარველობასა და კეთილგანწყობილებასაც ვერ გრძნობდა, რის გამოც იგი 1910 წლიდან პენსიაზე გავიდა, დანიშნეს მოსკოვის სინოდალური კონტორის შტატგარეშე წევრად და გაამწესეს მოსკოვის დონის მონასტერში, სადაც 1914 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია იქვე. მომხდარი ინციდენტის გამო აგრეთვე საქართველოდან გაიწვიეს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი და ახლადგახსნილი ბაქოს სავიკარიოს მმართველი, არქიმანდრიტი ნიკანდრი (ფენომენოვი), რომელიც დააწინაურეს და ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, 1905 წლის 2 ივლისს კინეშმას ეპარქია ჩააბარეს.[1354]

ინციდენტის განმუხტვის მიზნით მოსკოვში გადაიყვანეს დეკანოზი იოანე ვოსტორგოვიც. ხელისუფლების გადაწყვეტილება მხოლოდ ზემოაღნიშნულით შემოიფარგლა. უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, 1905 წელს საკუთარი სურვილით გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველობაზე უარი განაცხადა ქართველმა ეპისკოპოსმა დიმიტრი აბაშიძემ, რომელიც ცნობილი იყო რუსოფილობით, არ იზიარებდა ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნებს, „იყო რუსეთის ბატონობის ჭეშმარიტი იდეოლოგი," რის გამოც საქართველოში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. ავტოკეფალისტთა მოძრაობის დროს იგი ხელისუფლების პოზიციას გამოხატავდა და ამ მოძრაობის შესაჩერებლად მან 1906 წლის იანვარში პეტერბურგში გამართულ „საგანგებო კომისიის" ერთ-ერთ სხდომაზე მკვახედ განაცხადა, რომ დაიჭირეთ კირიონი და ლეონიდე ეპისკოპოსები და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაზე საუბარი შეწყდებაო.[1355] საქართველოდან წასვლის შემდეგ ეპისკოპოსი დიმიტრი უწმინდესი სინოდის ხელშეწყობით რუსეთის სხვადასხვა ეპარქიას განაგებდა. რუსეთის გასაბჭოების შემდეგ იგი ბოლშევიკების მიერ იდევნებოდა. ბოლოს დამკვიდრდა კიევ-პეჩორის მონასტერში, სადაც 1928 წელს შეიმოსა დიდ სქემაში და ეწოდა ანტონი. არის გადმოცემა, რომ გამძვინმარებულ საბჭოთა ათეიზმის პირობებში, 1926 წლიდან გარდაცვალებამდე მთავარეპისკოპოსი დიმიტრი იყო საქართველოში არსებული რუსული კატაკომბური ეკლესიის დამაარსებელი და მისი პირველი იერარქი. თავისი მოღვაწეობით, იგი რუსეთის ეკლესიის სასულიერო

1353 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 99.

1354 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 99.

1355 გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე, XVIII-XXსაუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012, გვ. 12.

პირებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გარდაიცვალა 1942 წლის 19 ოქტომბერს, დაიკრძალა კიევ-პეჩორის ლავრის ეზოში.[1356] 2011 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სქემმონაზონი ანტონი (იგივე მთავარეპისკოპოსი დიმიტრი) შერაცხული იქნა წმინდანად.



მთავარეპისკოპოსი დიმიტრი იგივე სქემმონაზონი ანტონი (აბაშიძე, 1867-1942)

რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ნაცვლად იმისა, რომ 1905 წლის 31 მაისის ინციდენტში მონაწილე დამნაშავეები დაესაჯა, გამოიტანა არაკანონიერი გადაწყვეტილება: ქართველი სამღვდელოების მონაწილეობით ჩატარებული საეკლესიო ყრილობა არაკანონიერად მიიჩნია, ხოლო მონაწილეები – დამნაშავეებად. ხელისუფლების განკარგულებით ყრილობის გადაწყვეტილებაზე ხელისმომწერთ შეუწყდეს ხელფასები, ჩამოერთვათ სახელმწიფოს ჯილდოზე წარდგენის საშუალება 10 წლის ვადით და „სამუდამოდ მოეხსნათ უფლება სახელმწიფო ხაზინიდან მიეღოთ საეპარქიო მოღვაწეობისათვის კუთვნილი პენსია."[1357] სასულიერო უწყების მიერ მიღებულმა უკანონო გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გააღრმა დაძაბულობა ხელისუფლებასა და სამღვდელოებას შორის.

სამღვდელოების ყრილობა მართალია დარბეული იქნა, მაგრამ დეპუტატებმა ყრილობის გახსნის დღეს, 29 მაისს მოასწრეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიციის მიღება, მასზე ხელის მოწერა და გადაწყვეტილების მიღება, რომ პეტიციის ასლები უნდა გაგზავნოდა რუსეთის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს, მიტროპოლიტ ანტონს, კავკასიის მეფისნაცვალს და საქართველოს ეგზარქოსს.

შეკრების დარბევის შემდეგ, 1905 წლის 10 ივნისს მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი, როგორც ყრილობის თავმჯდომარე, საქართველოს ეგზარქოსთან გამოცხადდა და გადასცა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მოთხოვნები. მათ შორის იყო პეტიციაც, რომლის პრეამბულაში ყურადღება გამახ-

1356 Протодиакон Василий Марушак, Архиепископ Димитрий (в схиме Антоний) Абашидзе, Симферепольь, 2005.

1357 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №26339, ფურცელი 1-15; შდრ. ქ. პაულიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995, გვ. 126.

ვილებული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ, ძალდატანებითი გაუქმების, ქართველი სამღვდელოების ზნეობრივი და ქონებრივი უფლებების დარღვევებზე, ხალხისათვის უცხო საეკლესიო მმართველობის უარყოფით შედეგებზე და სხვა. პეტიციონერთა აზრით, მხოლოდ თვითმართველ საქართველოს ეკლესიას შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, ხალხისა და ქვეყნის წინაშე თავისი სარწმუნოებრივი მოვალეობის შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ქართველი სამღვდელოება მოითხოვდა: 1) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას, მცხეთის საკათალიკოსოს თავის ძველ საზღვრებში აღდგენას; 2) საეკლესიო თანამდებობების დაკავებაში არჩევითობის პრინციპის დაკანონებას; 3) კათოლიკოსის თავმჯდომარეობით საქართველოს სინოდის შექმნას; 4) საკათალიკოსოსთან არსებულ სინოდის გამგებლობაში ყველა ეკლესია-მონასტრის, სამღვდელოების, სასულიერო სასწავლებლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების მოქცევას; 5) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა ის მამულები, რომელიც ეგზარქოსობის დროს ჩამოერთვა. პეტიციას ხელს აწერდა 472 სასულიერო პირი.[1358] სამღვდელოების ყრილობის გადაწყვეტილებისამებრ პეტიციის ასლები გაიგზავნა შესაბამის ინსტანციებში.

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, 1905 წლის პირველ ივლისს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა ტვერისა და კაშინის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ერობამი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნალიმოვი), რომელიც დაიბადა 1852 წელს სასულიერო პირის ოჯახში. 1873 წელს ნიკოლოზ ნალიმოვმა დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარია, შემდეგ კი სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მისი სამი ძმაც სასულიერო პირი იყო. ერთხანს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბურგის სხადასხვა სასულიერო სასწავლებლებში. 1885 წელს აღიკვეცა ბერად და ერთი წლის შემდეგ არქიმანდრიტის ხარისხით სმოლენსკის სემინარიის რექტო-



საქართველოს ეგზარქოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი, 1905-1906)

1358 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე №704, ლლ. 44-48; შდრ. Церковные ведомости, 1906, №2, стр. 2-3; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე №173, ფურცელი 7-8; შდრ. Н. Дурново, Судьбы Грузинской Церкви, М., 1907, стр. 8; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 82; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 48; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმინდეს სინოდში (1905-1907 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 341.

რად დაინიშნა. 1890 წლის 12 ივლისს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და დაინიშნა სანკტ-პეტერბუგის ლადოგის მეორე ვიკარ-ეპისკოპოსად, ერთი წლის შემდეგ დაინიშნა სარატოვისა და ცარიცინის ეპისკოპოსად. 1905 წლის 8 აპრილს ნიკოლოზ ნალიმოვი სათავეში ჩაუდგა ტვერისა და კაშინის ეპარქიას, იმავე წლის პირველ ივლისს დაინიშნა ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსად.

მღვდელმთავრის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, საქართველოში გამომგზავრებამდე ახლადდანიშნული ეგზარქოსი ნიკოლოზი 4 ივლისს უმაღლესი რესკრიპტით დაჯილდოვდა კუნკულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 1905 წლის 2 აგვისტოს ეგზარქოსი ნიკოლოზი ჩამოვიდა ტიფლისში. იმავე დღეს ეგზარქოს თავს რეზიდენციაში გადაეცა ქართველი სამღვდელოების პეტიცია. 22 აგვისტოს ახალმა ეგზარქოსმა პეტიციის შედგენის ორგანიზატორებთან შეხვედრისა აღნიშნა, რომ, ჯერ კიდევ, პეტერბურგში გასცნობია ქართველ სამღვდელოთა გაგზავნილ პეტიციებს და დასძინა, რომ მათ სამართლიან მოთხოვნას „დაბრკოლებანი არ უნდა გადაეღობოს." შეხვედრისას გაირკვა, რომ ეგზარქოსი მხარს უჭერდა არა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას, არამედ „განსაკუთრებული სამიტროპოლიტო ოლქის შექმნას, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ქართველი მიტროპოლიტი."[135ᵍ] აღნიშნული შეხედულების დაფიქსირებით ახალი ეგზარქოსი ქართველი სამღვდელოების წინაშე ახმოვანებდა რუსეთის უზენაესი სასულიერო უწყებაში არსებულ ერთ-ერთ ვერსიას, რომელიც ქართველ სასულიერო პირთა წარდგენილი პეტიციების მოთხოვნის გადაჭრისათვის მოიაზრებოდა.

ქართველ ავტოკეფალისტთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. ახლადდანიშნულ ეგზარქოს ნიკოლოზს 1905 წლის აგვისტოში იმერეთის, გურია-სამეგრელოს, გორისა და ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრებმა ერთობლივი პეტიცია გადასცეს და სთხოვეს, რომ იგი საეგზარქოსოს სახელით წარედგინა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს წინაშე, რათა ამ უკანასკნელს რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე ეშუამდგომლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.[136ᵒ]

ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნებს რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება გულდასმით სწავლობდა და შესაბამის ვერსიებსაც ადგენდა იმის შესაბამისად, რომ სახელმწიფოს ინტერესები არ დაზარალებულიყო. ავტოკეფალისტთა გააქტიურების გამო ხელისუფლების მმართველი წრეები საეკლესიო რეფორმებზე ალაპარაკდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით 1905 წლის 27 ივლისს, ობერ-პროკურორის განკარგულებით, რეორგანიზაციის შესახებ თავისი აზრი უნდა გამოეთქვა საქართველოს საეგზარქოსოს. ეგზარქოს ნიკოლოზის გადაწყვეტილებით, აღნიშნული დავალების შესრულება და-

1359 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 101.


1360 А. Цагарели, Статьи и заметки по Грузинскому Церковному вопросу, С.-П., 1912, стр. 87; შდრ., ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 111.

ევალა იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდე ოქროპირიძეს. 1905 წლის ნოემბრის დასაწყისში ეპიკოპოსმა ლეონიდემ რუსეთის უწმინდეს სინოდში წარადგინა თავისი ვრცელი მოხსენება საქართველოში რადიკალური საეკლესიო გარდაქმნების შესახებ. მართალია, ეპისკოპოს ლეონიდეს შედგენილ პროექტში ავტოკეფალიის ხსენებაც არ იყო, მაგრამ იქ ისეთ ცვლილებებზე იყო ყურადღება გამახვილებული, რომ მისი შესრულება მხოლოდ დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. მართალია, ეპისკოპოს ლეონიდეს შეხედულებები რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა, მაგრამ მის შესრულებაზე არავის უზრუნვია.[1361]

ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ეპისკოპოსები: ლეონიდე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი; არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია; დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და სხვები. უცნობმა სასულიერო პირებმა საქართველოს მასშტაბით „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის" სახელით გაავრცელეს რუსულ და ქართულ ენებზე სტამბურად დაბეჭდილი 1905 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული მიმართვა. მიმართვაში გაკრიტიკებული იყო ახლადდანიშნული ეგზარქოსი ნიკოლოზი, რომლის „...შემოსვლას ტფილისში არ ჰქონდა ქრისტიანული იერი: იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლისას ეგებებოდა აღტაცებული ხალხი, მის „წარმომადგენელს" ნიკოლოზს კი, სიონის ტაძრისაკენ მიმავალს, უხვდებოდნენ: პოლიციელნი, ჟანდარმები და ყაზახ-რუსები; თვით ქართველი სამწყსო კი, რომელსაც, ეს ასი წელიწადია, აღარ სმენია თვისთა მწყემსმთავართა ხმა, არ სჩანდა." „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობა" ქართულ საეკლესიო სამწყსოს მოუწოდებდა, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენაში, ქართველ სამღვდელოებას მიმართავდა, რომ წირვა-ლოცვის დროს არ მოეხსენებინათ ეგზარქოსი, გაეწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა მასთან, მის კანცელარიასთან და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან; თანამდებობიდან გადამდგარიყვნენ ბლაღოჩინები. მათი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ახლადდაარსებულ „საძმო საბჭოებს," რომელთა მოვალეობას შეადგენდა თვალყურის დევნება სასულიერო პირებზე თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ისინი თავიანთ მოვალეობას. „საძმო საბჭოებს" მრევლთან შეთანხმებით უფლება უნდა მისცემოდათ უღირსი სასულიერო პირები გადაეყენებინათ. მიმართვა ქართლ-კახეთის ეპარქიას დაქვრივებულად აცხადებდა. მიმართვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიის სამღვდელოება უნდა გაერთიანებულიყო ქართლ-კახეთის სამღვდელოებასთან, რათა ამ გზით რუსეთის

1361 Ответы первосвященного Леонида, епископа Имеретии, на нижеследующие вопросы, циркулярно предложенные обер-Прокурором св. синода относительно церковных реформе, Отзыви Епархиальних архиереев по вопросу о церковной реформе, СПб, 1906, стр. 505-542; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 101-102.

უწმინდესი სინოდის დამოკიდებულებისაგან გაეთავისუფლებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. თუკი საჭიროება მოითხოვდა, მათ დახმარებისათვის თხოვნა უნდა გაეგზავნათ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი თუ უარს იტყოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე, მაშინ ქართველ სამღვდელოებას თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით უნდა მიემართათ რომის პაპისათვის საეკლესიო უნიის გაეფორმების შესახებ.[1362] უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო ცენტრალურ არქივში კირიონ საძაგლიშვილის ფონდში დაცულ აღნიშნული ბეჭდური მიმართვის რუსულ ტექსტს აქვს მისივე ხელით შესრულებული ჩასწორებანი. იქ სადაც საუბარია რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმების შესახებ, ეპისკოპოს კირიონის მიერ გადაშლილია,[1363] რაც იმის დასტურია, რომ სასულიერო პირების დიდი ნაწილი, კერძოდ კი ეპისკოპოსი კირიონი ამ იდეას არ ემხრობოდა. ანონიმურობის მიუხედავად, წყაროებით დასტურდება, რომ „ძმობის" მუშაობაში ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სასულიერო პირები: დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე, დეკანოზები: პოლიევქტოვ და ვასილ კარბელაშვილები და სხვები.[1364] „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის" გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა. ავტოკეფალისტთა ძირითადი ცენტრი თბილისში იყო. ქუთაისში დაფუძნდა ბიურო 10 კაცის შემადგენლობით. როგორც წყაროებით დასტურდება, „ავტოკეფალისტთა მოძრაობას" ჟანდარმერია პარტიას უწოდებდა.[1365]



დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე)

1362 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე №173, ფურცელი 17; შდრ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 1214.

1363 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 11.

1364 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 272, ფურცელი 25-27; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება, გვ. 118-119.

1365 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 272, ფურცელი 15; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 51.

ავტოკეფალისტთა მოძრაობა თანდათან გაფართოვდა. სასულიერო პირების გარდა მასში აქტიურად ჩაერთო საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. ავტოკეფალიას მხარს უჭერდა და მასში მონაწილეობას ღებულობდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ახლადჩამოყალიბებული ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. არაერთგვაროვანი იყო ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება. ამ მხრივ საინტერესოა ამ დროისათვის ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ დაასებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამოკიდებულება ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეკლესია-მონატრებს უნდა ჩამორთმეოდა მიწა, აღნიშნული პარტია მაინც თანაგრძნობით ეკიდებოდა ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნას.[1366] სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პერიოდული პრესა: „ცნობის ფურცელი," „მეგობარი, „ისარი," „სახალხო გაზეთი" და სხვა ხშირად აქვეყნებდა საინტერესო მასალებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. თანაგრძნობის მიუხედავად, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ავტოკეფალიის შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია არსებობდა. პარტიის ერთი ნაწილი, რომელიც ათეისტურ პოზიციებზე იდგა, უარყოფითად ეკიდებოდა „ავტოკეფალიისათვის მხარდაჭერის საჭიროებას," რადგან, მათი აზრით, „რევოლუციურ პარტიას ნაკლებად შეეფერებოდა საეკლესიო საქმეებში ჩარევა."[1367] მათგან განსხვავებით პარტიის ძირითად ნაწილს მიაჩნდა, რომ „ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდი იყო და ამდენად აუცილებელი იყო ავტოკეფალისტთა მხარდაჭერაც."[1368] პარტიის საბჭომ, ავტოკეფალისტებისადმი დამოკიდებულების გამო, გადაწყვიტა, რომ კონფერენციაზე საგანგებოდ განეხილათ აღნიშნული საკითხი. საბჭოს დავალებით ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხზე მოხსენების მომზადება დაევალა პარტიის წევრს ვ. ლორთქიფანიძეს.[1369] ჩვენთვის უცნობია, აღნიშნული საკითხი განიხილა თუ არა პარტიის კონფერენციამ, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ სოციალისტ – ფედერალისტთა პარტიის ძირითადი ბირთვი ავტოკეფალიის მოძრაობაში აქტიურად იყო ჩართული. ამ მხრივ აღსანიშნავია პარტიის წევრები კიტა აბაშიძე, ნიკოლოზ თავდგირიძე და სხვები. პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა არჩილ ჯორჯაძემ დასმულ კითხვას „რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ეკლესიის საკითხი?" პარტიის პოზიციებიდან შემდეგი პასუხი გასცა: „ამ საგ-

1366 დ. შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვ. I, ფედერალისტები, თბ., 1983, გვ. 300.

1367 დ. შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვ. I, ფედერალისტები, თბ., 1983, გვ. 300.

1368 დ. შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვ. I, ფედერალისტები, თბ., 1983, გვ. 300.

1369 დ. შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვ. I, ფედერალისტები, თბ., 1983, გვ. 300.

ნის გამორკვევა ყველა ჩვენგანს განურჩევლად მიმართულებისა უნდა აინტერესებდეს. უნდა აინტერესებდეს ჯერეთ იმიტომ, რომ შეგნებული და ცნობიერი განმარტება – დაფასება საეკლესიო საკითხისა, სავადლებულოა იმისათვისაც, ვინც პრინციპიალური მოსაზრების გამო ეკლესიის გარეშე დგას, მეორეც იმიტომ, რომ შეგნებულ განმარტებას და დაფასებას აუცილებლივ მოჰყვება შეთანხმებული მოქმედება იქ სადაც აღიარებული იქნება დარღვეული უფლება და მისი აღდგენის საჭიროება."[1370] „საერთო ნიადაგის" თეორიიდან გამომდინარე, არჩილ ჯორჯაძეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციის ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა. სოციალისტ – ფედერალისტთა პარტიის წევრების აქტიურ კავშირს ავტოკეფალისტთა მოძრაობასთან ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1908 წლის 29 მაისს მოკლულ ეგზარქოს ნიკონის მკვლელებს ჟანდარმერია აღნიშნული პარტიის რიგებში ეძებდა.[1371]

საკითხის შესწავლით დავრწმუნდით, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ძირითადი ბირთვის დაინტერესება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებით იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა მათ პოლიტიკურ პლატფორმას შეესატყვისებოდა. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, როგორც ცნობილია, რუსეთის მფლობელობაში გაფართოებული ავტონომიის მომხრე იყო. ამ მხრივ, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვითმმართველობას. ბუნებრივია, რომ ფართო ავტონომიის პირობებში ეკლესიაც დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს დღემდე მივიწყებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი წევრის იაზონ ბაქრაძის მიერ 1917 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელშიც იგი პარტიის პროგრამაზე დაყრდნობით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის უპირობო მოთხოვნაა დამოუკიდებელი, სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, თვითმმართველობის უფლებებით აღჭურვილი ეკლესია.[1372]



არჩილ ჯორჯაძე
(1872-1913)

1370 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, - 1746-ბ, ფურცელი 1-2.

1371 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 264; შდრ. ო. ჯანელიძე, საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX ს-ის პირველ ოცეულში, საისტორიო შტუდიები, II, თბ., 2001, გვ. 130.

1372 ი. ნ. (იაზონ ბაქრაძე), რას მოითხოვს სოც. ფედერალისტთა პარტია ხალხისათვის? წიგნი

ავტოკეფალისტთა მოძრაობას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა 1905 წელს ქუთაისში დაარსებული ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად სხვადასხვა აღმსარებლობის სრულ თავისუფლებასაც მოითხოვდა.[1373]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოძრაობას მხარს არ უჭერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის (ბოლშევიკები და მენშევიკები) წარმომადგენლობა, რომლებიც ათეისტურ პოზიციებზე იდგნენ და ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი პრესის საშუალებით ხშირად აკრიტიკებდნენ ეკლესიის მსახურებს, ხოლო ავტოკეფალისტთა მოძრაობის მიმდევრებს დამცინავად მოიხსენიებდნენ.[1374]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას აგრეთვე არ თანაუგრძნობდა საქართველოში არსებული სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც რუსეთში არსებული ესერთა პარტიის უჯრედს წარმოადგენდა. ამ პარტიის წარმომადგენელმა გრიგოლ ნათაძემ მოგვიანებით, 1917 წელს გაზეთ „Знамя труда"-ში („შრომის დროშა") გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მარტოდ ვიწრო ეროვნული ინტერესების დამცველ ჯგუფთა მოვლენად მიიჩნია, რითაც იგი ამცირებდა მის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და საეკლესიო საკითხების შესანიშნავმა მცოდნემ სერგი გორგაძემ მის გამოხტომას დასაბუთებული კრიტიკა მიუძღვნა.[1375]

მასების გათვითცნობიერების მიზნით, 1905-1907 წლებში გამოქვეყნდა კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, მელიტონ კელენჯერიძის, ცნობილი რუსი მოღვაწისა და ქართველთა დიდი გულშემატკივარის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვოს და სხვათა შრომები, რითაც ისინი ასაბუთებდნენ ქართველი ხალხის მოთხოვნების კანონიერებას.

ქართველი საზოგადოება ოპერატიულად და აქტიურად ეხმიანებოდნენ მთავრობის მოსალოდნელ ცვლილებებს ეკლესიასთან დაკავშირებით. ქართველი სასულიერო პირების მოთხოვნით დამფრთხალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თანახმად იყო საქართველოს ეგზარქოსად ქართველი დაენიშნა. ქართველთა გულის მოგების მიზნით ასეთ კანდიდატად ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილს ასახელებდნენ. რუსეთის ხელისუფალთა შედარებით უფრო რეაქციული ძალა მოითხოვდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას და მის ნაცვლად ავტონომიური უფლებების მქონე კა-

---

I, ქუთაისი, 1917, გვ. 37-40.

1373 ო. ჯანელიძე, საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX ს-ის პირველ ოცეულში, საისტორიო შტუდიები, II, თბ., 2001, გვ. 130; შდრ. ვინ რისთვის იბრძვის, პარტიები და მათი პროგრამები, თბ., 1907, გვ. 12.

1374 ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქრისტიანობა საქართველოში: ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა, თბ., 2000, გვ. 52.

1375 გაზეთი „საქართველო," 1917, 77, 9აპრილი, გვ. 3.

ვკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებას. ჟურნალი „მწყემსი" აღნიშნულთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია საქართველოს ეკლესიას თავისუფლება მიეცეს ზემოდან, „ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლია შეცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას კი არასოდეს მიანიჭებს."[1376]

რა თქმა უნდა, ქართველი ავტოკეფალისტებისათვს მიუღებელი იყო როგორც ერთი, ისე მეორე პროექტი და აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიური თავისუფლება მხოლოდ მასების დიდი სურვილით იქნებოდა მიღწეული.

მოწინავე ქართველი საზოგადოება დაუფარავად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მთავრობის მიერ შემოთავაზებულ საეკლესიო ცვლილებებთან დაკავშირებით. ქართველი საზოგადოების გულისთქმა კარგადაა გადმოცემული 1905 წლის 11 ოქტომბერს ქართველ თავადაზნაურთა იმ მიმართვაში, რომელიც მათმა წარმომადგენლებმა აუდენციის დროს კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს რუსეთის იმპერატორისადმი გადასაცემი მიმართვა მიართვეს. აღნიშნულ მიმართვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „განზრახული ავტონომია ეკლესიისა და მიტროპოლიტის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ერს," ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა „შესძლებს მხოლოდ შეასწოროს ასი წლის უსამართლობა და ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ერთობის განმტკიცებას, რადგან ეს ერთობა ისე ძლიერად არაფრით არ სუსტდება, როგორც მათი, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია იმ დიდ უფლებას, რომლითაც სავსებით სარგებლობენ მეზობელი ხალხები." ქართველ თავადაზნაურთა დეპუტაცია სთხოვდა კავკასიის მეფისნაცვალს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა დაკმაყოფილებული ყოფილიყო ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნა. „ჩვენ ღრმად გვწამს – აღნიშნავდნენ ისინი – რომ თქვენი ავტორიტეტული და სამართლიანი გამოქომაგება შეწყნარებული იქნება ხელმწიფე იმპერატორის მიერ და დაუბრუნდება საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია... განახლდება საქართველოს ეკლესია სხვა რეფორმებთან ერთად, რომელთაც მოუთმენლად მოელის ხალხი, ჩვენს ქვეყანას წაიყვანს მშვიდობისაკენ."[1377]

ხელისუფლება აგვიანებდა ქართველ სასულიერო პირთა მოთხოვნების შესახებ პასუხის გაცემას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელისუფლებისა და რუსეთის უწმინდესი სინოდის სურვილი იყო რუსეთის მასშტაბით და მათ შორის საქართველოში ავტონომიური სამიტროპოლიტოების დაარსება, რაზეც ქართველმა მღვდელმთავრებმა (გურია-სამეგრელოს, ალავერდისა და გორის ეპისკოპოსებმა) ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენებაზე დაყრდნობით უარი განაცხადეს მთავრობის შემოთავაზებულ ცვლილებებზე და ეგზარქოს მოახსენეს, რომ თუკი უახლოეს ხანში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას

1376 ჟურნალი „მწყემსი," 1905, 21, გვ. 9.

1377 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 62676, ფურც. 1; შდრ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 449-450.

ავტოკეფალური მართველობა არ მიენიჭება, მაშინ ქართველი ხალხი თვითონ გამოაცხადებდა ეკლესიის დამოუკიდებლობას. აღნიშნული განზრახვის მომზადების მიზნით, 1905 წლის 9 დეკემბერს თბილისში, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სასულიერო სასწავლებელში ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დელეგატების მონაწილეობით გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე და გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი. კრებას თავმჯდომარეობდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე, მდივანი იყო დეკანოზი ილარიონ ჯაში. კრებაზე მოითხოვეს, რომ არ დალოდებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას და გამოეცხადებინათ ავტოკეფალური მართვა-გამგეობა. კრება გაგრძელდა 18 დეკემბრამდე, კრების გადაწყვეტილებები ფიქსირდებოდა ოქმში. მიღებული გადაწყვეტილებები შემდეგ უნდა წარედგინათ სრულიად საქართველოს ეკლესიის მომავალ კრებაზედ. სერგი გორგაძისა და სხვათა დახმარებით კრებაზე შეიმუშავეს „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის" შესახებ, რომელიც რუსულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნდა 1906 წელს „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბეში" და ჟურნალ „მწყემში."[1378] აღნიშნული პროექტი უნდა წარედგინათ სრულიად საქართველოს ეკლესიის მომავალ კრებაზედ, სადაც მოხდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება. საეკლესიო კანონიკაზე დაყრდნობილი აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა დამოუკიდებელი, ავტოკეფალური საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას. მასში განსაზრული იყო საეკლესიო კრების ფუნქცია, ეკლესიის მწყემსმთავრის, მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების არჩევის პრინციპები, მათი უფლება-მოვალეობა; ეპარქიების, სასულიერო სასწავლებლების, ეკლესია-მონასტრების საქმიანობა საეკლესიო კანონიკით ხორციელდებოდა და სხვა.[1379] აღნიშნული პროექტი სამართლებლივი თვალსაზრისით იმდენად მაღალ დონეზე იყო შედგენილი, რომ იგი საფუძვლად დაედო 1917 წლის სექტემბერში ავტოკეფალიააღდგენილ პირველ საეკლესიო კრებაზე მიღებულ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას.

1905 წლის 16 ნოემბერს ქართველი ეპისკოპოსების: ლეონიდე ოქროპირიძის, გიორგი ალადაშვილის, პეტრე კონჭოშვილისა და ექვთიმე ელიაშვილის ხელმოწერით პეტიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით ეგზარქოს ნიკოლოზის ხელშეწყობით რუსეთის იმპერატორს გაეგზავნა. თუმცა, შემდგომ, ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, გორის ვიკარ-ეპისკოპოსმა ექვთიმე ელიაშვილმა ხელმოწერაზე უარი განაცხადა და გაემიჯნა ქართველ ავტოკეფალისტებს.

1378 Духовный вестник грузинского Экзархата, 1906, 4, стр. 6-16; შდრ. ჟურნალი „მწყემსი," №1-2, 1906, გვ. 8-15.

1379 თ. შაკაშვილი, ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი" და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., VII, 2004, გვ. 136-137; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წ.წ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., VII, 2004, გვ. 111.



ეპისკოპოსი ლეონიდე
(ოქროპირიძე, 1861-1921)

ქართველი საერო და სასულიერო პირთა თხოვნები ხელისუფლებას არ განუხილავს. ყველა დოკუმენტური მასალა შესასწავლად და დასკვნისათვის საქართველოს ეგზარქოსს გაეგზავნა. ეგზარქოსმა ნიკოლოზმა დეტალურად შეისწავლა ყველა მასალა და რუსეთის უწმინდეს სინოდს ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მისი აზრით, წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ერთი ძლიერი, გავლენიანი პარტიის მიერ არის შედგენილი. „ეს პარტია შეიძლება არ გამოხატავდეს მთელი ქართველი ხალხის პოზიციას, მაგრამ ჩანს, რომ მისი მომხრენი დიდი გავლენით სარგებლობენ. საეკლესიო ცხოვრება იმდენად გამართლებულია, რომ იგი საშუალებას იძლევა, პეტიციონერთა მოთხოვნა მიჩნეულ იქნეს მთელი საქართველოს მოთხოვნად. ამიტომ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ სამღვდელოებისა და ქართველი ხალხის მისწრაფებას."[1380] საქრთველოს ეგზარქოსი მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საეკლესიო მმართველობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელი იყო დეცენტრალიზაცია კავკასიის ავტონომიური სამიტროპოლიტო ოლქის დაარსებით. საქართველოს ეგზარქოსის აზრით, თუკი ქართველები ამ წინადადებას არ მიიღებდნენ, მაშინ „ჩვენ არა გვაქვს უფლება მათ უარი ვუთხრათ სრულ საეკლესიო გამოყოფაზე და დამოუკიდებელი ეკლესიის აღდგენაზე. რაკი არ შეგვიძლია, ქართველები დავარწმუნოთ რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის სარგებლობაში, იძულებული ვართ, მათი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ ავტოკეფალიის მინიჭებით."[1381] ეგზარქოს ნიკოლოზის აღნიშნული თვალსაზრისი მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეგზარქოსი რეალობიდან ამოდიოდა და სიმართლეს ატყობინებდა უზენაეს ხელისუფალთ. აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთის უწმინდესმა სინოდმა არ მოიწონა ეგზარქოს ნიკოლოზის არგუმენტაცია, რადგან დათმობაზე წასვლა მათ მარცხად მიაჩნდათ. აღნიშნული გამო, ეგზარქოსი ნიკოლოზი პეტერბურგში გაიწვიეს ვითომდა ქვეყნის მასშტაბით მომდინარე ეკლესიის რეორგა-

1380 სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, ფურცელი 1-2; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 48.

1381 სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 796, აღწ. 186, საქმე 704, ფურცელი 1-2; შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 49.

ნიზაციის საკითხთან დაკავშრებით გამართულ თათბირებში მონაწილეობის მისაღებად. ეგზარქოსი ნიკოლოზი საქართველოში აღარ დაბრუნებულა და იქედან 1906 წლის 9 ივნისამდე მართავდა საეგზარქოსოს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათვის ბრძოლაში ქართველ სასულიერო პირებთან ერთად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ქართველ სასულიერო პირებთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ჩაბმა აღნიშნულ მოძრაობაში მას დიდ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდა. სწორედ ამის გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა.



ეპისკოპოსი გიორგი
(ალადაშვილი, 1850-1924)

ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. იგი 1905 წელს დასწრებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილ კრებას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში, სადაც მოხსენებით გამოსულ კალისტრატე ცინცაძეს ისტორიული მასალების მოშველიებით დაუსაბუთებია ავტოკეფალიის კანონიერება. როგორც ამ ამბების თვითმხილველი ვლადიმერ ახმეტელი გადმოგვცემს, დარბაზში დაგვიანებით შემოსულ ილიასათვის სიტყვის თქმა უთხოვიათ, მაგრამ მას ცუდი ჯანმრთელობა მოუმიზეზებია და უარი განუცხადებია. ყრილობაზე ილიას ერთი შენიშვნა გაუკეთებია. როცა დარბაზში მსხდომნი მოითხოვდნენ, რომ ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესიას თავისი მამულები დაბრუნებოდა, ადგილიდან პოეტს უთქვამს: „თქვენ მოითხოვთ საეკლესიო მამულების აღდგენას, გარეთ კი ხალხი მოითხოვს საკლესიო და სათავადო მამულების ჩამორთმევას. ამას თავი დაანებეთ, ჩვენი ხალხი მორწმუნეა, სარწმუნოების მათაყვანებელი და ღვთის მოსავი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამას."[1383]

ქართველმა სასულიერო პირებმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით

1382 ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, გვ. 29.

1383 გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ., 1986, გვ. 153.



ნიკო ნიკოლაძე
(1843-1929)

მათ კანონიერ მოთხოვნას დუმილით უპასუხა. სასულიერო პირების მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ვლადიმერ მიქელაძემ, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა. მათ გადაწყვიტეს, დეპუტაცია გაეგზავნათ კავკასიის მეფისნაცვალთან ავტოკეფალიის მოთხოვნით. ამ მიზნით ზემოთ დასახელებულმა პირებმა 1905 წლის 24 სექტემბერს წერილით მიმართეს იმ ხანად ფოთის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძეს: „მოგახსენებთ, რომ საქართველოს სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ წარუდგინეს მთავრობას პეტიციები, რომ ჩვენს ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალია, რადგან ეს პეტიციები, თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, გაამოეგზავნა ნამესტნიკს განსახილველად და თავის დასკვნის წარსადგენად უმაღლესი მთავრობისათვის. ქართველ ინტელიგენტთა კრებულმა ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო წარუდგინოს ნამესტნიკს დეპუტაცია მთელი საქართველოს მოურავებისა, როგორც ხალხისაგან ამორჩეული პირებისა, და სთხოვოს მას, რომ ეს შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ შეწყნარებულ იქნეს და საქართველოს სამწყსოს მიენიჭოს უფლება სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ამორჩევისა. მოურავების დეპუტაცია უნდა წარუდგეს ნამესტნიკს შვიდს ღვინობისთვეს და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ამ დღისთვის უეჭველად ჩამობრძანდეთ. მოკლე მოხსენება უკვე დამზადებულია. თუ თქვენი ჩამოსვლა ყოფლად შეუძლებელია, ამ შემთხვევაში თქვენი მოადგილე გამოგზავნეთ.“[1384]

წყაროები გადმოგვცემენ, რომ იმავე წლის 11 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ქართველ თავადაზნაურთა სახელით ეწვია დეპუტაცია ავტოკეფალიის საკითხზე. დეპუტაციის შემადგენლობა უცნობია. მხოლოდ ვიცით, რომ მასში ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა.[1385] წყაროს ამ ცნობას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილის მონათხრობი, რომელიც აღნიშნავს, რომ სეპარატიზმით დამფრთხალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ილიასათვის განუცხადებია: „დამარწმუნეთ, რომ ეგ

1384 საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველოლოგიის განყოფილება, ნიკო ნიკოლაძის არქივი, საქმე 40, 1762; შდრ. გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ., 1986, გვ. 305.

1385 გაზეთი „Возрождение,“ 1905, 5; შდრ. გაზეთი „ცნობის ფურცელი,“ 1905, 2932.

ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვის და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო." ილიას გადმოცემით, მეფისნაცვალი იმ აზრს ეჭიდებოდა, რომ „ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო, განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათოლიკოსო არსებობდეს." ამის გამგონე ექვთიმე თაყაიშვილს ილიასათვის უთქვამს: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტიის იმპერია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალიური საპატრიარქო არსებობდა: „კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა?" ექვთიმეს შენიშვნით გაოგნებულ ილიას უთქვამს: „აკი გითხარით, რომ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით მეთქი." რა თქმა უნდა, ილია, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, ავტოკეფალიის საკითხში კარგად იყო გარკვეული, მაგრამ რუს ბიუროკრატ მოხელეებთან საპაექროდ ყველა წვრილმანი გათვალისწინებული არ ჰქონდა.

ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ქართველი სამღვდელოება, მასწავლებლები და მორწმუნეები ხშირად ილია ჭავჭავაძის ბინაზე იკრიბებოდნენ. ამ შეკრებას ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი და ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე – ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის ვაჟი, რომელიც საეკლესიო საკითხებში საკმაოდ იყო გათვითცნობიერებული. ილიას ბინაზე შეკრებილი ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, განსხვავებული აზრის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უჭერდნენ მხარს და მისი წარმატებით დაგვირგვინებისათვის სამომავლო პროგრამის შედგენაზე მუშაობდნენ. გიორგი ჟურულის გადმოცემით, წმინდა ილია მართალს არ გაუზიარებია ავტოკეფალისტთა ერთი ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუკი სახელმწიფო ჯამაგირის მიცემას შეუწყვეტდა სამღვდელოებას, მაშინ სასულიერო პირების დიდი ნაწილი უარს განაცხადებდა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. მათ საწინააღმდეგოდ ილიას განუცხადებია, რომ ხაზინის კმაყოფაზე მყოფი სამღვდელოება ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესების დამცველი იქნება, რადგან, „ვინც ფულს იძლევა, ბატონიც ის არის და მაგისთანა პირობებში ავტოკეფალიაც კაპიკად არ ეღირებაო."[1386] მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ, ილიას აზრით, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სასულიერო პირები შემოწირულობების ხარჯზე უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით, მოეწყოთ დიდი დემონსტრაცია ბაირაღებითა და პლაკატებით, ილიას განუცხადებია: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!" 1905 წლის რევოლუციის სიმწვავის გამო ასეთი დემონსტრაცია არ განხორციელებულა.[1387] მკვლევარ შოთა ბადრიძის მიერ მიკვლეულ იქნა წმ. ილია მართლის მიერ ავტოკეფალიის საკითხზე

1386 გაზეთი „Возрождение," 1905, 5; შდრ. გაზეთი „ცნობის ფურცელი," 1905, 2932.

1387 ექ. თაყაიშვილი. მოგონებანი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1986, გვ. 250.

წარმოთქმული მოხსენების ნაწილი, რომლის ადრესატი და წელი უცნობია. დასახელებული მკვლევრის აზრით, იგი შეიძლება მან 1905 წელს კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს გააცნო აუდიენციის დროს, ანიმავეწლისშემოდგომაზეობერ-პროკურორა. დ. ობოლენსკისმიართვა.[1388]

ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე თუ რა პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდა ილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას:

„...თქვენო ბრწყინვალებამ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა. შ. თავიანთი აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურ სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოდ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახეირო არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია მხოლოდ ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი უგუნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩემი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის, მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებ, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს."[1389]

XX საუკუნის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა, რომ ილია ჭავჭავაძეს სურდა საქართველოს ავტონომიის იდეასთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკავშირება. ეს სურვილი ასახულია ბეჭდური სახით გამოცემულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში, რომელიც ილია ჭავჭავაძეს თავის თანამზრახველებთან ერთად შეუდგენია.[1390] პარტიის პროგრამის 25-ე და 26-ე მუხლებში გარკვევითაა დაფიქსირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართული ეკლესიის ეროვნულ სახელმწი-

1388 შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1987, 1, გვ. 45.

1389 შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 1987, 1, გვ. 45.

1390 ო. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან, თბ., 1997, გვ. 14.

ფოებრივ ნიადაგზე მონყობა. ასეთივე სურვილი ასახულია არქივში დაცულ ქართველ ავტონომისტთა „კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის" იმ პროგრამაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხელით უნდა იყოს შედგენილი, რომლის მეერვე მუხლში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გარკვევით მითითებულია: „ივერიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ავტოკეფალიის უფლება და აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო მის წინანდელ ფარგლებში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, აფხაზეთისა და სამურზაყანოს შავი ზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილი და ზაქათალის ოკრუგი) კათალიკოსის მეთაურობით.

ა). აღდგეს არჩევითი წესი იმ განთავისუფლებული სასულიერო საეკლესიო-სამომსახურეო ადგილების დაკავებისა, რომელთაც ყველა შემთხვევისათვის ეკუთვნით მოტივირებული ვეტო.

ბ). დაწესდეს კათალიკოსის თავმჯდომარეობით წმინდა სინოდის ხელში ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასულიერო-სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მმართველობა.

გ). დაუბრუნდეს ივერიის ეკლესიას საეკლესიო მამულები, რომელიც გადასულია სახელმწიფოს მმართველობაში, იმ მიზნით, რომ მოსახლეობა გათავისუფლდეს სამღვდელოებისა და სასულიერო უწყების ყველა დაწესებულების შენახვის ტვირთისაგან."[1391]

მართალია, აღნიშნული პარტია, რომელიც მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა, ამ პერიოდში ვერ გაფორმდა როგორც დამოუკიდებელი პარტია, მაგრამ მოტანილი დოკუმენტური მასალიდან გარკვევით ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხს უკავშირდება.

ილია ჭავჭავაძემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი უმაღლეს ინსტანციებშიც დააყენა. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე იგონებს: 1905 წლის მიწურულისათვის ილია პეტერბურგში აპირებდა გამგზავრებას და მისგან იღებდა კონსულტაციებს ავტოკეფალიის საკითხებში სრულყოფილად გარკვევისათვის. მართლაც, 1905 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძე გიორგი ჟურულთან ერთად შეხვედრია უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე ობოლენსკის, რომელსაც, როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, დაწვრილებით განუმარტა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. ღვთისმსახურების სლავურ ენაზე დაწესებას და სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვას, ილიას დასკვნით, სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემა მოჰყვა.[1392] პეტერბურგ-

1391 ვ. აბაშმაძე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, ჟურნალი „ცისკარი," 12, 1985, გვ. 142.

1392 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი 109, ფურცელი 40; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, მოგონება ილიაზე, ნუგზარ პაპუაშვილის პუბლიკაცია, ჟურნალი „მნათობი," 1985, 2, გვ. 173.

გშივე ილია შეხვედრია იმხანად იქ მყოფ ეპისკოპოსს კირიონ საძაგლიშვილს, რომელიც საინტერესო ცნობას გვაძლევს ობერ-პროკურორთან მისი ვიზიტის შესახებ. ალექსანდრე ობოლენსკის, ილიას მონათხრობის საფუძველზე, თითქოს შეუწყნარებია ქართველი ერის გასაჭირი და ქართველი დეპუტაციისათვის შეუთავაზებია, რომ რუსეთის უწმიდესი სინოდი ეგზარქოსად დანიშნავდა ქართველ მღვდელმთავართაგან ერთ-ერთს და „ამით უაპელაციოდ გადაწყდება ყველა იქაური საქმეებიო." როგორც კირიონ ეპისკოპოსი გადმოგვცემს, ილიას განუცხადებია: „ცოტაშიაც დაგვითმეო, ეგზარქოსის ამორჩევაც მოგვანდეთო, რადგან ამორჩევითი წესი გსურთ რუსეთის ეკლესიაში განახორციელოთო."[1393] საბოლოოდ, ობერ-პროკურორს არც თავისი დანაპირები შეუსრულებია და არც ილიას წინადადებაზე დათანხმებულა, რადგან იგი იმპერიის ტიპიური მოხელე იყო და კიდევაც რომ მოენდომებინა, ქართველთა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა. აღნიშნული შეხვედრის შესახებ, 1905 წლის დეკემბერს ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ხახანაშვილს წერდა: „ძმაო ალექსანდრე, ვიყავით ობოლენსკისთან, მთელი ორი საათი ვილაპარაკეთ ჩვენი ავტოკეფალიისათვის... როგორც ეტყობა, ობოლენსკი არ თანაუგრძნობდა ავტოკეფალიას საქართველოსას, მაინცდამაინც ის დასკვნა გამოიყვანა ობოლენსკიმ, რომ ჯერ სანამ სახელმწიფოს „დუმა" შედგება და სამღვდელოების კრება საერთოდ რუსეთის ეკლესიის გამო გაიმართება, იმ დრომდე ზოგიერთი ცვლილება მოხდებაო საქართველოს ეკლესიის გამგეობაში და მერე დუმამ და კრებამ იცისო, რასაც დააწყობენო."[1394]

1906 წლის აპრილიდან სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ ილიამ გააააქტიურა ბრძოლა ავტოკეფალიისათვის. პეტერბურგში იგი ხშირად ხვდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრებს და მაღალი თანამდებობის პირებს ეთათბირებოდა ავტოკეფალიის საკითხებზე. 1906 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ცაგარელთან ერთად შეხვედრია რუსეთის უწმინდესი სინოდის თავმჯდომარეს, მიტროპოლიტ ანტონს. მასთან ვიზიტის შემდეგ ილია დარწმუნებულა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გაეტანა განსახილველად, მაგრამ არ დასცალდა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა და მისმა ვერაგულმა მკვლელობამ ეს განზრახვა ჩაშალა.[1395]

ავტოკეფალისტთა მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. მის არქივში მოიპოვება საზოგადოებისათვის უცნობი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი საინტერესო მასალები. ესაა ქართველი მღვდელმთავრების პეტიციის ტექსტი, ეპისკოპოსების კირიონ საძაგლიშვილისა და ლეონიდე ოქროპირიძისადმი გაგზავნილი წერილები და სხვა, რომლებიც სა-

---

1393 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, 108, ფურცელი 1.

1394 ქრ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1937, გვ. 108.

1395 ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 39.

ინტერესო ცნობებს გვაძლევს 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, თუ რა პოზიცია დაიკავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ ქართულმა საზოგადოებამ.[1396] მეტად საინტერესოა ამ პერიოდში იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ მას „ქართული ეკლესია ესახებოდა ყოველგვარი სიკეთის წყაროდ."[1397] თავისი პუბლიცისტური წერილებით იაკობ გოგებაშვილი მკითხველს აცნობდა საქართველოს ეკლესიის წარსულს. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იგი ავტოკეფალისტთა მხარეზე იყო და აქტიურად უჭერდა მხარს მათ ყოველგვარ წამოწყებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ რეაქციის პერიოდში (1907-1910 წ.წ.) მან უკან დაიხია და თანახმა იყო საქართველოს საეგზარქოსოს მმართველად ქართველი მღვდელმთავარი დანიშნულიყო. თუმცა, ბოლომდე იგი ერთგული იყო ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნისა და მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას. იაკობ გოგებაშვილის ნააზრევიდან ირკვევა, რომ, მისი აზრით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი ისტორიული ფუნქცია დაუბრუნდება მაშინ, როცა მას დამოუკიდებელი მეთაური ეყოლება ანუ ავტოკეფალური გახდება. იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინაპირობად მიიჩნევდა და მას ქვეყნის წინსვლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.[1398]

იაკობ გოგებაშვილთან ერთად ავტოკეფალისტთა მოძრაობის მონაწილე იყო აკაკი წერეთელი. ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა აკაკის დღემდე უცნობი ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი რუსულ ენაზე არსებული მცირე მოცულობის ნარკვევი, რომელშიც აშკარად ჩანს, რომ მას საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა ქვეყნის წინსვლის საწინდრად მიაჩნდა.[1399] ამავე პერიოდს ეკუთვნის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი მისი რამდენიმე ლექსი. მისსავე არქივში ინახება დღემდე გამოუქვეყნებელი აკაკის პირადი წერილები ქართველი მღვდელმთავრების მიმართ, რომელიც საინტერესო მასალებს შეიცავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.[1400]

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში აღნიშნული გვქონდა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებას. იგი, როგორც ეროვნულ-გამნმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დიდ

1396 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იაკობ გოგებაშვილის პირადი ფონდი, საქმე 158.

1397 შ. ჯაფარიძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების საქართველოში, კულტურის ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2000, გვ. 173.

1398 ე. ბუბულაშვილი, იაკობ გოგებაშვილის როლი ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2020, №1-2, გვ. 11-22.

1399 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 300, ფურცელი 1-2; შდრ. მ. ნინიძე, აკაკი წერეთლის რუსულენოვანი ავტოგრაფები (ტექსტოლოგიური ანალიზი), სჯანი, 14, 2013, გვ. 118.

1400 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 71, ფურცელი 105, 309, 417.

ყურადღებას აქცევდა ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვას. თავის შემოქმედებაში მან გარკვეული ყურადღება მიაქცია ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. ამ საკითხს მან არაერთი პუბლიცისტური წერილიც მიუძღვნა.

აკაკი წერეთელს სამართლიანად მიაჩნდა, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო მიზეზი ქართველ ხალხში სარწმუნოების დაქვეითების, ეროვნული თვითშეგნების დაცემის, მოუწესრიგებელი სასულიერო განათლების, ეკლესია-მონასტრების გაპარტახებისა და ძარცვის. აღნიშნულიდან გამომდინარე აკაკი წერეთელი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის დროს (1905-1907 წწ.) დაწყებულ ავტოკეფალურ მოძრაობაში თავდაპირველად აკაკი წერეთელი აქტიურად არ იყო ჩართული. იგი არ ესწრებოდა იმ შეკრებებს, რომელსაც ქართველი სასულიერო პირები და ინტელიგენცია მართავდა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო. მიუხედავად ამისა, როგორც წყაროებით დასტურდება, აკაკი წერეთელი ყველაფრის საქმის კურსში იყო და მოგვინებით კი აქტიურად ჩაერთო ამ მოძრაობაში. როგორც დეკანოზი ბესარიონ ვაშაძე გადმოგვცემს: აკაკი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ ხშირად ამბობდა: „ყოველი ქართველი ღვდელმთავარი და თითოეული ღვდელი, ვისაც კი ქართველობა სწამს, ზნეობრივათაც და სამსახურითაც ვალდებულია იზრუნოს თავისი სამწყსოს სულიერ მდგომარეობაზე და ზნეობრივად ამაღლებაზე. და ეს კი შეიძლებოდა მაშინ, როცა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იქნება.“[1401]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ აკაკი წერეთელს საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს მის არქივში დაცული დღემდე გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილი, რომელშიც გადმოცემულია ავტორისეული ხედვა აღნიშნული საკითხის შესახებ. აკაკი აღნიშნავს, რომ ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით „ხალხი დაეცა სულთ-ხორცით და გაირყვნა,“ რადგან „უძველესი სასოებანი წირვა-ლოცვისა და ტკბილი გალობა მშობლიურ ენაზე აღარ წარმოებს ჩვენს ეკლესიაში.“[1402] ქართულის ნაცვლად წირვა-ლოცვა სლავიანურ საეკლესიო ენაზე სრულდება, „ამიტომ ხალხი ვერ ისმენს გაუგებარ ენაზე ღვთისმსახურებას. ან კი რა გასაკვირალია ქართველმა ვერ გაიგოს რა სლავიანური ენის, მაშინ, როცა ეს ბოლღარული ენა თვით ბუნებით რუსებსაც კარგად არ ესმით და ჩვენ ვინ დაგვძრახავსო.“[1403]

1401 ჟურნალი „განთიადი,“ 1915, 15, გვ. 30; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია,“ 2, გვ. 29.

1402 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურც. 2.

1403 ჟურნალი „განთიადი,“ 1915, 15, გვ. 31.

აკაკი წერეთელი აღნიშნავდა, რომ ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ გახშირდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა. ასეთ საქციელს უმეტესად რუსი მოხელეები, რუსი სასულიერო პირები და თვით ეგზარქოსებიც კი ჩადიოდნენ. აღნიშნულმა ფაქტებმა ცუდი გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. როგორც აკაკი წერეთელი მიუთითებს: „წინათ ქართველებს ისეთი შიში ჰქონდათ და პატივისცემა საყრდის, რომ არა თუ ეკლესიასი, გალავანშიც, რომ გდებულიყო ძვირფასი რამ ვერავინ გაბედავდა ხელის მოკიდებას და გამოტანას.“ თავისი მოსაზრების გასამყარებლად აკაკის მოჰყავს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მოღვაწეობის ერთი საინტერესო შემთხვევა. „ამ საზოგადოებამ – წერს აკაკი – ურჩია სინოდს, რომ ქართული ეკლესიებიდან გამოეტანათ ხატებისადმი შეწირული სამკაულები, გაეყიდათ, ფულად ექციათ და სხვა. სინოდმა ნება დართო და სინოდის კანტორამაც გამოაცხადა მათი გაყიდვა. ყიდნენ ოქრო-ვერცხლს, ბეჭდებს, საყურეებს, ხატებიდან ამონაძრობ თვლებს, ძვირფას ყდებს და სხვანი... ამ ნივთების ყიდვა ყველას შეეძლო რა რჯულისა უნდა ყოფილიყო, ოღონდ ფული კი მიეცა. პირველად ამან ძალიან გააოცა ხალხი, იმას ხედავდა რაც თათრების შემოსევის დროს, იშვიათი იყო და სასწაულს ელოდა... მაგრამ დრომ გაიარა და ხმა ვერავინ ამოიღო, ნელ-ნელა შეეჩვია. იფიქრა, რომ ალბათ არ ჰქონია საყდარს ძალაო, თვარა როგორ გააგლეჯინებდა თავსო? ტყუილი ყოფილა ყოლიფერიო და თვითონაც მიჰყო ხელი. დღეს საყრდებს მცველები უყენია და ქურდებს ზარების რეკვით აფრთხილებენ.“ აკაკი დასძენს, რომ „რუსეთის სინოდს უნდა სცოდნოდა, რომ თავის ამ უკანონო განკარგულებას ასეთი აღვირახსნილობა მოჰყვებოდა.“[1404]

აკაკი წერეთელს სამართლიანად მიაჩნია, რომ აღნიშნული მანკიერების აღმოფხვრისათვის აუცილებლად „ეკლესია უნდა დამოუკიდებელი იყოს და თვითონ მოუაროს თავის თავს, რომ ეს ასი წლის უკუღმართობა გამოასწოროს. სწავლა-განათლება უნდა იმ ენით დაიწყოთ, რომელიც უფრო ესმის, დედა-ენით, ისე როგორც პედაგოგია მოითხოვს და არა ენის ამოგლეჯით! ადგილობრივ კანონებს პატივი ედვას და სამჯავროებიც მათ ხელში იყოს, რომ სამართლის უკუღმართობა არ შემოჰქონდეს ხოლმე.“[1405]

აკაკი წერეთელმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ხელისუფლების მიერ 1906 წელს რუსეთის უწმინდეს სინოდთან შექმნილ წინასაეკლესიო კრების მეორე განყოფილების სათათბიროს გადაწყვეტილების მიმართ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერება არ სცნო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აკაკი წერეთელს რუსულ ენაზე დაუწერია მცირე მოცულობის პუბლიკაცია, როგორც ჩანს, რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად. მის არქივში დაცულია ამ წერილის რუსულ ენაზე შედგე-

1404 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურც. 3.

1405 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურცელი 3.

ნილი შავი პირი. აღნიშნული წერილი დღემდე არ გამოქვეყნებულა. პუბლიკაციაში დაყენებული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე გთავაზობთ ქართულ თარგმანს:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა წმ. სინოდში მღელვარება გამოიწვია. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს: ეპისკოპოს კირიონს და ეპისკოპოს ლეონიდს არ შეეძლოთ ახლოს არ მიეტანათ ეს საკითხი. იმსჯელეს, იკამათეს, ბევრი ითქვა მის მხარდასაჭერად და მის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ჯერ ვერ მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე. ბევრი გაკვირვებულია, რად უნდა ქართველებს ეკლესიის დამოუკიდებლობა, როცა ორივე ხალხი აღიარებს ერთსა და იგივე სარწმუნოებას? აქ ხომ არ არის არავითარი პოლიტიკური მიზეზი და რომ ყველაფერი ეს გამოწვეულია რელიგიური მოსაზრებებით. ამის შესახებ ჩვენ უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ავტოკეფალიის შესახებ. როცა IV საუკუნეში წმ. ნინო ავრცელებდა ქრისტიანობას საქართველოში, მეფე მირიანმა გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინე დიდთან თავისი წარმომადგენლები და გამოითხოვა ბიზანტიიდან სასულიერო პირები. იმის გამო, რომ ქართველებს მაშინ არ ჰქონდათ წმინდა წიგნები, რასაკვირველია მაშინ მღვდელთმსახურება ხდებოდა ქართველებისათვის გაუგებარ ბერძნულ ენაზე. ეს გრძელდებოდა თითქმის ნახევარი საუკუნე, როცა გამოჩნდა მაშინ ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები, რის შემდეგ ხალხმა მოითხოვა ღვთისმსახურება მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. ბერძენი სამღვდელოება წინ აღუდგა ქართველთა გადაწყვეტილებას.

მეფე ვახტანგ გორგასალმა იარაღით მოიპოვა ეკლესიის დამოუკიდებლობა. ბერძნების დაუკითხავად დაიწყეს ეკლესიის მეთაურის არჩევა V საუკუნის დასასრულიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. სწორედ სამღვდელოებას უნდა უმადლოდეს ქვეყანა გაერთიანებას და არსებობას. თვითონ საქართველოს იმპერიასთან შეერთების ფაქტი ხდებოდა ხელისუფლებისა და სამღვდელოების გავლენით. ეკლესია სინოდს დაემორჩილა და ეგზარქოსის გავლენის ქვეშ მოექცა. მალე რუსული ეკლესიის გავლენამაც იმძლავრა, რუსულმა სამღვდელოებამ იმავე შეცდომა გაიმეორა, რაც ბერძნებმა ჩაიდინა. მათ უგულვებელყვეს ქართული ენა, რამაც შეურაცხყო ხალხის რელიგიური გრძნობები. მას მოეჩვენა, რომ რუსული ეკლესია არ არის მართლმადიდებლური... ქართველები მივიდნენ ასეთ დასკვნამდე, რომ აამაღლო ხალხში სარწმუნოება, უნდა დაუბრუნდე ძველ რეჟიმს...“[1406]

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის არქივში აგრეთვე ინახება ქართულ ენაზე დაწერილი პუბლიკაცია, რომელშიც აღნიშნულია: „ახალი მოძრაობა, რომ შემოვიდა რუსეთში ქართველმა ეფისკოპოსებმა გაბედეს და უკმაყოფილება გამოაცხადეს, მათმა წარმომადგენლებმა ეფისკოპოსებმა ლეონიდმა და კირიონმა ხმა აიმაღლეს სინოდში და მოითხოვეს ავტოკეფალია, ესე იგი საქართველოს ეკლესიის და-

1406 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 300, ფურცელი 1-3.

მოუკიდებლობა. მაგრამ ეს ჩამოშორებას კი არ ნიშნავდა! არც მწვალებლობა შემოდიოდა ქართველების ეკლესიაში და არც რუსებს უარს ყოფდნენ. მხოლოდ უნდოდათ, რომ თავისი შინაგანი საქმე ასე გაფუჭებული ეგზარხოსების ხელში თვითონვე შინაურულად მოეწერიგებინათ."[1407] აკაკი აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნას ხელისუფლებამ ძალადობით უპასუხა, რადგან „ძველი უფლებების დაკარგვა არ იამა ბიუროკრატიას."[1408]

აკაკი წერეთელი კარგად ხედავდა, რომ ქართველთა სამართლიანი მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ რუსეთის ხელისუფლებამ იმის გამო უგუვებელყო, რომ მასში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახეს. მათ მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის მოპოვება პირველი ნაბიჯი იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე. აკაკი, როგორც წერილობითი წყაროებით დასრურდება, არ იზიარებდა ამ შეხედულებას და აღნიშნავდა: საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით ქართველ ავტოკეფალისტებს არ სურთ რუსეთისაგან „...ჩამოშორება, განცალკავება და თავის ცალკე სამეფოზე ფიქრი! ამას ან ბიუროკრატიული ცბიერება იტყვის და ან მტკნარი უგნურება! კაცი იმას უნდა ეძებდეს და ჰკიდებდეს ხელს, რაც დრო და ჟამს შეეფერება და არა ოცნების ნაყოფს. ბიჯი ბიჯზე უნდა გადაიდგას! ვისაც ოდაში შესვლა უნდა საფეხურები ერთი მეორეზე აიაროს და ისე მიადგეს კარებს, თორემ ხტუნვით ვერ წავა."[1409] ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა „...სნეული საქართველოსათვის მალამოდ გვაქვს დასახული და თუ იგი ვერ მოვიპოვეთ, მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ ყოლიფერს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ძველი ანდაძა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი."[1410]

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან ერთად გააქტიურდა საერო და სასულიერო პირების სწრაფვა ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რევოლუციის შიშით შეშინებული ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. 1906 წლის სამ თებერვალს სოხუმის ეპარქიის მმართველად ორიოლის ეპარქიის ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი გაამწესეს. ხელისუფების მიერ გადადგმული აღნიშნული ფაქტის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან 1885 წლიდან მოყოლებული სოხუმის ეპარქიას მხოლოდ რუსი ეროვნების ეპისკოპოსები მართავდნენ, რომელთა მიერ გეგმაზომიერად გატარებული ანტიქართული პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებას. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ დროს ქალაქ სოხუმის ხელმძღვანელად, ქალაქის თავად დაინიშნა

1407 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურცელი 1.

1408 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურცელი 1.

1409 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურცელი 3.

1410 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, 283, ფურცელი 3.

ნიკოლოზ თავდგირიძე. ბუნებრივია, რომ ორივე გატარებული ღონისძიება შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მიზნად ისახავდა ხელისუფლებას ოდნავ შეერბილებინა აფხაზეთში ანტიქართული საქმიანობა. ახლადდანიშნულმა ეპისკოპოსმა კირიონმა აფხაზეთში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ეკლესია-მონასტრების, სასულიერო სასწავლებლების, განსაკუთრებით კი საეკლესიო-სამრევლო სკოლებში განათლების დონის ამაღლებისათვის, რაც წინამორბედი რუსი ეპისკოპოსების რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან განსხვავებული იყო. ეპისკოპოს კირიონის განკარგულებით აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შეეძლოთ ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე ჩაეტარებინათ, წირვა-ლოცვა ქართველებით დასახლებულ მრევლში ქართულ ენაზე სრულდებოდა, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი აფხაზებისათვის ცდილობდა მშობლიურ აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის დაყენებას. ბუნებრივია, რომ სოხუმიის ეპარქიის მმართველად ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნა მიუღებელი იყო იმპერიის რეაქციული ძალებისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1906 წლის მარტის გაზეთ „კოლოკოლის" 45-ე ნომერში „რუსის" ფსევდონიმით გამოქვეყნდა სტატია „ხმა სოხუმიდან." ფსევდონიმს ამოფარებული დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი სოხუმის ეპარქიის მმართველად ქართველის დანიშვნას იმპერიის დამღუპველ ნაბიჯად მიიჩნდა და აღნიშნავდა, რომ ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა აფხაზეთში ქართველთა ინტერესების გაძლიერებას, რის მაგალითადაც მას მოჰყავდა ეპისკოპოს კირიონის მიერ გატარებული ღონისძიებები, რაც ადგილობრივ ქართველ და აფხაზ მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა და დიდ მადლიერებას გამოხატავდნენ ქართველი მღვდელმთავრის მიმართ. დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის ანტიქართულ პასკვილს სათანადო დასაბუთებული პასუხი გასცა მღვდელ-მონაზონმა ამბროსი ხელაიამ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში – „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან" (იხ. „Духовный Вестник Грузинского Экзархата" 1906, 9-10). ამბროსი ხელაია აფხაზეთში წლების მანძილზე მსახურობდა, კარგად იცნობდა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს, რის გამოც მისი პასუხი საკმაოდ დამაჯერებელი და არგუმენტირებული იყო.[1411]

ხელისუფლებისაგან გათამამებული და დიდი უფლებებით აღჭურვილი იოანე ვოსტორგოვი ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ წერილებს ხშირად აქვეყნებდა რუსულ პრესაში. 1906 წლის სექტემბერში იმავე გაზეთ „კოლოკოლში" „კავკასიელის" ფსევდონიმით დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი კვლაც აქვეყნებს ეპისკოპოს კირიონის სოხუმის ეპარქიაში მოღვაწეობის შესახებ ოცი პუნქტისაგან შემდგარ ცილისმწამებლურ ბრალდებებს. აღნიშნული ბრალდებები მან აგრეთვე გაიმეორე რუსეთის უწმინდესი სინოდის წინასათათბირო კრების მეორე განყოფილების 1906

1411 ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან," გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშილმა, თბ., 2005.

წლის დეკემბრის სხდომაზე გამოსვლის დროს, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი იხილებოდა. დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის ცილისწამებას სათანადო პასუხი გასცა მღვდელმა ტროფიმე ჯოხთაბერიძემ.[1412] იოანე ვოსტორგოვის აღნიშნულ ბრალდებებს რამდენიმე ნაშრომი უძღვან ნიკოლოზ დურნოვომ.[1413] მოგვიანებით, 1907 წლის ივლისში სოხუმის ეპარქიიდან გადაყვანის შემდეგ ეპისკოპოსმა კირიონმა მუხლობრივად დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის ყველა ბრალდებას დასაბუთებული პასუხი გასცა და წარუდგინა რუსეთის უწმინდეს სინოდს განსახილველად.[1414] ეპისკოპოს კირიონის პასუხით რუსეთის უწმინდესი სინოდი არ დაინტერესებულა, რის გამოც მან გაზეთის რედაქციისა და დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის წინააღმდეგ პეტერბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლოს პროცესის მიმდინარეობის დროს 1910 წელს ხელისუფლებისაგან დევნილი ეპისკოპოსი კირიონი სიმფერეპოლში იმყოფებოდა. მის ინტერესებს იცავდა სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრის თანამშრომელი მალაქია ბოლქვაძე.[1415] მართალია სასამართლოს რამდენიმე სხდომა გაიმართა, რომელსაც დეკანოზი იოანე ვოსტორგოვიც ესწრებოდა, მაგრამ მას რაიმე გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნული კირიონი აქტიურად ჩაერთო ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. ჯერ კიდევ, ეპისკოპოს კირიონის საქართველოში დაბრუნებამდე ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნების პასუხად 1906 წლის 18 იანვარს რუსეთი იმპერატორის №259 გადაწყვეტილებით შეიქმნა „საგანგებო კომისია" საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. კომისიის წევრები იყვნენ სინოდის ობერ-პროკურორი ალექსანდრე ობოლენსკი, მისი თანაშემწე პ. ოსტროუმოვი, მიტროპოლიტები, ყოფილი ეგზარქოსები ვლადიმირი (ბოგოიავლენსკი) და ფლავიანე (გოროდეცკი), საქართველოს ეგზარქოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი), ქართველი ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი და ლეონიდე ოქროპირიძე. ეპისკოპოს კირიონის მოთხოვნით კომისიაში სამუშაოდ უნდა ჩაერთოთ ვ. სამუილოვი და ალექსანდრე ცაგარელი.[1416] „საგანგებო კომისიამ" 1906 წლის 19 ივნისიდან შეუდგა მუშაობას, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უგულველყოფის მიზნით კომისიამ იმავე წლის 3 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილების ისეთი პროექტი, რომელიც მიუღებელი იყო როგორც კომისიაში მონაწილე ქართველი მღვდელმთავრებისათვის ისე ქართველი სა-

1412 გაზეთი „Закавказье," 1907, 6 ივლისი.

1413 ORTHODOXA, (Н. Н. Дурново), Протоиерей Иоанн Иоаннович Восторгов и его политическая деятельность, Москва, 1908; შდრ. Клетва Н. Дурново. Ответ Протоиерея И. И. Восторгова, Москва, 1909.

1414 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, რწ. 1, საქმე 180; ფურცელი 1-21; შდრ. წმ. მღვდელმონამე კირიონ II და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარია, თბ., 2006, გვ. 275-322.

1415 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 507.

1416 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 256.

ზოგადოებისათვის, რადგან მათი გადაწყვეტილება მხოლოდ საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად. რეორგანიზაციის ახალი პროექტით ეტაპობრივად უნდა გაუქმებულიყო საქართველოს საეგზარქოსო და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო თვითმართველობის უფლებებით გაზრდილი დამოუკიდებელი ეპარქიები. თბილისისა და ქართლის მთავარეპისკოპოს დაექვემდებარებოდა თბილისისა და ზაქათალის ოლქის მრევლი; იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიები გაზრდილი უფლებებით უდნა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ ეპარქიებად; ყარსის, ბაქოს, ერევნის და ელიზავეტპოლის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფილი ერთი ეპარქია. არსებული ეპარქიები უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარებოდნენ, ეს უკანასკნელი ურთიერთობას ამყარებდა თითოეულ ეპარქიაში არსებული მმართველი საბჭოების მეშვეობით.[1417]

„საგანგებო კომისიის" მიღებული საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროეტი უკან გადაგმული ნაბიჯი იყო. ქართველმა მღვდელმთავრებმა მკვეთრი უარყოფითი პოზიცია გამოხატეს აღნიშნული პროექტის მიმართ. ეს კარგად გამოხატა კირიონმა 1906 წლის 3 თებერვალს რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი წარდგენილ მოხსენებაში, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ქართველი საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით და დამოუკიდებელი მწყემსმთავრის დადგინებით. ასეთივე პოზიცია „საგანგებო კომისიის" სხდომაზე დააფიქსირა ლეონიდე ოქროპირიძემ. აღნიშნულის გამო მათ უარი განაცხადეს სხდომებში მონაწილეობაზე და ეპისკოპოს ლეონიდეს განცხადებით, თუ კი შეთანხმების გზით შეუძლებელი იქნებოდა ეკლესიური თავისუფლების მოპოვება, მაშინ მისი მიღწევა შესაძლებელია რუსეთის ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტით.[1418]

სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ქართველმა ეპისკოპოსებმა კირიონმა და ლეონიდემ რუსეთის უწმინდესი სინოდის თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ანტონის თხოვნით შეადგინეს 5 პუნქტისაგან შემდგარი ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა, რომელიც 1906 წლის 10 თებერვალს მიტროპოლიტმა ანტონმა „საგანგებო კომისიის" სხდომაზე წარადგინა და კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ქართველი სამღვდელოების საბოლოო მიზანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არის, ხოლო წარმოდგენილ მუხლები დროებითი ღონისძიება იყო ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტამდე. ქართველი მღვდელმთავრები მოითხოვდნენ: 1. აღიარებული იქნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, როგორც ისტორიული ფაქტი; 2. აღიარებული იქნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურობა და მის

1417 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 15-17.

1418 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 15-17; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმინდეს სინოდში (1905-1907 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 241.

დასადასტურებლად იგი გადაეცეს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას; 3. ეპარქიების თვითმართველობის უფლებების გაზრდა და ამ მიზნით დიდი უფლებებით აღჭურვილი საბჭოების შექმნა; 4. საეპარქიო და სხვა საეკლესიო საკითხების გადაწყვეტა მომხდარიყო ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეგზარქოსიის თავმჯდომარეობით, რომლის დამტკიცება მოხდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ; ბოლო მებუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ სასულიერო სასწავლებელთა რეორგანიზაცია, ახალი საეპისკოპოსოების შექმნა, სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა და სხვა საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ადგილზე უნდა მომხდარიყო. კომისიამ ქართველი მღვდელმთავრების მხოლოდ პირველი სამი მუხლი ფორმალურად მიიღო, დანარჩენ ორ მუხლზე უარი განაცხადა.[1419] ბუნებრივია, რომ „საგანგებო კომისიის" მიღებულ გადაწყვეტილებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ამ კომისიის მიზნი იყო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის განხილვა მაქსიმალურად გაეჭიანურებინათ. საბოლოოდ კი მათი საქმიანობა ავტოკეფალისტების დასამშვიდებლად და მათი მოძრაობის შესაჩერებლად იყო მიმართული.



ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) და ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). პეტერბურგი, 1906 წ.

„საგანგებო კომისიის" ბოლო სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსმა მკვლევარმა, პროფ. ი. სოკოლოვმა თეზისების სახით ქართულ და უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით თავის ნაშრომში – „Об автокефалии Грузинской Церкви историческая справка, Тезис" – დაასაბუთა საქართველოს ეკლესიის ძირძველი ისტორიული ავტოკეფალობა.[1420] აღნიშნული მოხსენების ვრცელი ვარიანტი მან შემდეგ წარადგინა წინარე საეკლესიო კრების სათათბიროს მეორე სხდომაზეც. პროფესორ ი. სოკოლოვის აღნიშნულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რუსი სასულიერო პირები და მკვლევარები ეჭვისქვეშ აყენებდნენ ისტორიულად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებო-

1419 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღნ. 1, საქმე 174, ფურცელი 17-18; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმინდეს სინოდში (1905-1907 წწ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 241.

1420 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 174.

ბას. 1906 წლის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც „საგანგებო კომისიის" სხდომები მიმდინარეობდა, ჟურნალ „Церковные ведомости"–ში (1906, 1-6) გამოქვეყნებულ წერილებში რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის ობერ-მდივანი ვ. სამუილოვი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს გააჩნდა ავტოკეფალია. მისი მტკიცებით, საქართველოს ეკლესია 1783 წლამდე, კანონიკურად ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა და მის სახელს წირვა-ლოცვებში იხსენიებდა. ვ. სამუილოვის დასკვნით, თუ კი საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა ავტოკეფალია, ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლება მას ვერ წაართმევადა.[1421] იგივე აზრს გამოთქვამდა იგი 1906 წლის შემოდგომაზე გამართულ წინასაეკლესიო კრების სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომაზე გამოსვლისას. ვ. სამუილოვის ტენდენციურ მოსაზრებებს არგუმენტირებული პასუხი გასცა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ და ალექსანდრე ხახანაშვილმა. ვ. სამუილოვის მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი ქართულ, უცხოურ წყაროებზე და საეკლესიო კანონიკაზე დაყრდნობით გააქარწყლა დეკანოზმა მელიტონ კელენჯერიძემ 1906 წელს ფსევდონიმით „Toncmelis"-ით გამოქვეყნებულ ნაშრომში.[1-22] მეტად ორიგინალური და საინტერესოა ლათინური ასო-ნიშნებით შედგენილი მელიტონ კელენჯერიძის ფსევდონიმი „Toncmelis." იგი წარმოადგენს „მელიტონის," როგორც საკუთარი სახელის, სახეცვლილ ფორმას. ფსევდონიმის პირველი სამი ასო-ნიშანი „Ton" არის მისი სახელის „მელი-ტონ" ბოლო სამი გრაფიკული ნიშანი, რომლის შემდგომ მოთავსებული ლათინური „c" კელენჯერიძის გვარის აღმნიშვნელი პირველი ასო „კანი" (კ) არის, ხოლო ფსევდონიმის ბოლო ოთხი ასო „meli" არის საკუთარი სახელის „მელი-ტონ" დასაწყისი პირველი ოთხი ასო-ნიშნები. უკანასკნელი ლათინური „s" ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და კუთვნილების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამავე ფსევდონიმით მელიტონმა 1915 წელს ცალკე კრებულად გამოაქვყნა ორი ზღაპარი.[1423]

პეტრბურგში მყოფი ქართველი მღვდელმთავრები სხდომების გარდა აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ, არაოფიციალურად ხვდებოდნენ მაღალი რანგის საერო და სასულიერო პირებს და პირადი ნაცნობობით და ურთიერთობებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. მათი საქმიანობის შესახებ საქართველოში ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები. ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგში მიმდინარე მოვლენების შესახებ პირადი წერილებით საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა ახლობელ სასულიერო პირებს. ეპისკოპოსი კირიონი 1906 წლის 26 მარტს იოსებ ჩიჯავაძეს წერდა, რომ აქ შეგვიდგინეს ლექსი ლერმონტოვის „Два гренадера"-ს მიბაძვით;

1421 Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси, 75.

1422 Toncmelis (М. Келенджеридзе), Правда об автокефалии Грузинской церкви, 1906, Кутаиси, გვ. 17-30.

1423 ე. ბუბულაშვილი, ღვაწლი დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძისა, ჟურნალი „სამი საუნჯე," 2 (2), 2014, გვ. 74-76.

В Грузию два архиерея
из русской столици бряли,
и оба душой приуныли
дойдя до Грузинской земли:
Придется им слышат-увидеть
в разгроме родную страну.
Поведать боролись с Синодом,
и чуть не попали в тюрьму!
Печальныя слушая вести,
один из них вымолвил – „брат
болит мое скорбное сердце
и старыя раны горят!
Скорее на помощь страдальцам!
Врагам стой сказать бы пора, –
вопль везде огонь и разстрелы,
нигде ни кола ни двора.
Возьмем мы силой свободу
для церкви, разрушим стену...
иная нужна нам работа, –
пол края в тюрьмах и в плену.
Исполним заветы святые –
коль здесь омрачили нам дни, –э
жизнь наша для церкви родимой,
и многострадальной страны."[1424]

პეტერბურგში გატარებული დრო ეპისკოპოს კირიონს უქმად არ გაუტარებია. მან გარს შემოიკრიბა იქ მყოფი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), გრიგოლ ვოლსკი, მალაქია ბოლქვაძე და სხვები. მათ დაუარსებიათ გამომცემლობა „ქართველთა ძმობა," რომლის მიზანი ყოფილა რუსულ ენაზე საქართველოს შესახებ წიგნების ბეჭდვა. ამ სერიით გამომცემლობამ 1906 წელს გამოსცა შვიდი წიგნი. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო „ცხუმელის" ფსევდონიმით რუსულ ენაზე ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის წიგნი „აფხაზეთი – ისტორიულ-საეკლესიო ესკიზი." აღნიშნულ ნაშრომში ისტორიულ ნარსულთან ერთად მხილებულია რუსეთის ანტიქართული საქმიანობა აფხაზეთში. ცხუმელის დასახელებული ნაშრომის გამო 1907 წელს გამომცემლობა „ვერნოსტმა" რუსულ ენაზე გამოსცა ლ. ვორონოვის ნაშრომი „აფხაზეთი საქართველო არაა."[1425] ლ. ვორონოვი,

1424 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილი პირადი ფონდი, საქმე 406, ფურცელი 117-118 შდრ. კირიონ II, სრულიად საქართველოს-კათოლიკოს-პატრიარქი, წერილები, სტატიები, გამოსაცემად მოამზადა ნ. ბუკიამ, თბ., 2006, გვ. 44.

1425 აღსანიშნავია, რომ ლ. ვორონოვის შვილიშვილმა 1993 წელს გამოსცა ამავე სახელწოდების ნაშრომი.

როგორც რუსეთის იმპერიის იდეოლოგი, მკაცრად აკრიტიკებდა ცხუმელის დასახელებულ შრომას და აღნიშნავდა, რომ თითქოს აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ორგანული ნაწილი, არც პოლიტიკურად და არც ეკლესიურად. მისი აზრით, ქართველი ხალხი ისეთივე დამპყრობელი იყო მის მიმართ როგორც რომი, საბერძნეთი და თურქეთი. ამდენად აფხაზეთი იმდენადაა საქართველოს ნაწილი, რამდენადაც რომის, საბერძნეთის და თურქეთის. ლ. ვორონოვის ანტიქართულ ნაშრომს იმხანად ქართველთაგან სათანადო პასუხი არავის გაუცია.

„საგანგებო კომისიის" სხდომებმა ხელისუფლება დაარწმუნა, რომ ქართველი სამღვდელოების მოთხოვნების უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო. მათ სურდათ აღნიშნული საკითხი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მიმდინარე ეკლესიის რეორგანიზაციის, რომელიც მიზნად ისახავდა პეტრე პირველის დროს გაუქმებული პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენას, შესატყვისად განეხორციელებინათ, ისეთი ფორმით, რომელიც ხელისუფლების მიერ იქნებოდა გაკონტროლებული. ბუნებრიავია, რომ ეკლესიის რეორგანიზაცია არ ითვალისწინებდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენას. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მხოლოდ აღნიშნული საკითხის განხილვით შემოფარგლულიყვნენ.

შექმნილი სიტუაციის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, რომ ხელისუფლება და რუსი სამღვდელოების უმაღლესი წრეები წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტკეფალიის აღდგენის, რის გამოც დაძაბულობა და ბრძოლა მათ შორის კიდევ უფრო ღრმავდებოდა. აღნიშნულის პირველ მიზეზად ალექსანდრე ცაგარელს მიაჩნდა ის, რომ რუსეთის ხელისუფლება ავტოკეფალიის მოთხოვნის გამო უსამართლოდ ქართველ სამღვდელოებას თვლიდა ბრალდებულად, რაც თავისთავად უნდობლობას აჩენდა და იგი ხელს უშლიდა საკითხის გადაწყვეტას. დაძაბულობის მეორე მიზეზად ალექსანდრე ცაგარელი თვლიდა, საკითხის გადაჭრის დროს, საეკლესიო კანონიკური სამართლის უგულვებელყოფას და ბინძური პოლიტიკური მეთოდების გამოყენებას, რაც გამოიხატებოდა აქტივისტ ქართველ ავტოკეფალისტთა დევნა-შევიწროვებაში, რომლებიც სეპარატისტებად და პოლიტიკურად არასაიმედოდ იყვნენ მიჩნეულნი. ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავდა, რომ მომავალმა რუსეთის საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი კი არ უნდა განიხილოს, რადგან მან დამოუკიდებლობა უძველეს დროს ანტიოქიის საპატრიარქოსაგან მიიღო, არამედ მან უნდა მოხსნას აკრძალვები, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს ეკლესიას აღადგინოს დამოუკიდებლობა. ალექსანდრე ცაგარელი აგრეთვე აკრიტიკებდა ხელისუფლების ბრალდებას, რომლის მიხედვით ავტოკეფალისტთა მოთხოვნა სეპარატისტულ მოძრაობად იქცა. მისი სამართლიანი აღნიშვნით, „ავტოკეფალიის მოპოვების სურვილმა კი არ განაპირობა ქართველთა სეპარატისტული მოძრაობა, არამედ პირიქით, საქართველოში ამჟამად მიმდინარე პოლი-

ტიკური და რელიგიური მოძრაობა მნიშვნელოვანწილად ქართული ეკლესიის გაუქმებით არის გამოწვეული." მისივე დასკვნით, თუ კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღსდგება, მოიხსნება სეპარატისტული განწყობა და რუსეთსა და ქართულ ეკლესიებს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდება.[1426]

რუსეთის რეაქციული ძალები ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობას უარყოფითად შეხვდა, რადგან ამ მოთხოვნაში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახეს. რევოლუციის შიშით და ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით რუსეთის იმპერატორის 1906 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა გადაეწყვიტა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. მანამდე კი რუსეთის უწმინდეს სინოდთან შექმნილ საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროს მეორე განყოფილებას უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და თავისი გადაწყვეტილება წარედგინა მომავალი საეკლესიო კრებისათვის. საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომები დროგამოშვებით იმართებოდა 1906 წლის 2 ივნისიდან იმავე წლის 15 დეკემბრის ჩათვლით. პირველი შეკრების დროს 2 და 8 ივნისს გაიმართა ორი სხდომა; მესამე და მეოთხე სხდომა ჩატარდა კარგა ხნის შუალედის შემდეგ, 1906 წლის 17 და 24 ნოემბერს; ბოლო დასკვნითი, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მეერვე, მეეცხრე სხდომები ჩატარდა 1906 წლის პირველ, ხუთ, რვა, თორმეტ, ცამეტ დეკემბერს. წინარე საეკლესი კრების მეორე განყოფილების სათათბირომ თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა 1906 წლის 15 დეკემბერს და ამით მუშაობა დაამთავრა. სათათბიროს სხდომებს თავმჯდომარეობდა ლიტვისა და ვოლინის მთავარეპისკოპოსი ნიკანდრი (მოლჩანოვი). მაღალი იერარქიის გარდა რუსეთის მხრიდან სხდომებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ რუსეთის სასულიერო აკადემიების წამყვანი სპეციალისტები, ეკლესიის ისტორიისა და კანონიკური სამართლის პროფესორები: ი. ბერდნიკოვი, ა. ოსტროუმოვი, ა. ალმაზოვი, ნ. გლუბოკოვსკი, ი. სოკოლოვი, ა. ბრილიანტოვი, ნ. ზაოზერსკი, ვ. შეინი, ნ. ივანოვსკი და სხვები; დეკანოზები: იოანე ვოსტორგოვი, ტ. ბუტკევიჩი, თ. ტიტოვი, ა. მალცევი, ი. კოიალოვიჩი, ტ. კოზლოვსკი და სხვები. იცვლებოდა საქართველოდან წარგზავნილთა შემადგენლობაც. 1906 წლის ივნისში ჩატარებულ სხდომებზე საქართველოდან მიწვეული იყო კირიონ საძაგლიშვილი და გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი. 1906 წლის ნოემბერში სხდომებს ესწრებოდა ქართველი მეცნიერები: ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე. დასკვნით სხდომებში პროტესტის ნიშნად ქართველ მეცნიერებს მონაწილეობა არ მიუღიათ. აღსანიშავია, რომ სტენოგრაფიულად ჩაწერილი იქნა სხდომაზე თითოეული გამომსვლელის სიტყვა, რომე-

1426 სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1579, აღწ. 1, საქმე 169, ფურცელი 42-44; შდრ. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.), თბ., 2001, გვ. 50-51.

ლიც ქვეყნდებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის გამოცემაში „Церковныя Ведомости" (1906, 47; 51-52; 1907, 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10). აღნიშნული მასალები 1907 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, ხოლო მეორე გამოცემა 2014 წელს განხორციელდა.[1427] გარდა სტენოგრაფიული ჩანაწერებისა დასახელებულ გამოცემებში გამოქვეყნებულია კირიონის, ლეონიდეს, ნიკო მარის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის და რუსი მკვლევარების ნაშრომები, რომელიც საინტერესო მასალაა აღნიშნული საკითხის ობიექტური გაშუქებისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მასალების გამოქვეყნების დროს ხელისუფლების ინტერესების დამცველები ცდილობდნენ ზოგიერთი ფაქტის დამახინჯებას და სურდათ სხდომებზე მიმდინარე მოვლენები ისეთი სახით წარედგინათ მკითხველის წინაშე როგორც მათთვის იყო მისაღები. აღნიშნულის შესახებ, 1907 წლის 8 თებერვალს ეპისკოპოსი კირიონი მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს თბილისში აცნობებდა: „ჩვენი წარსული პროტოკოლების გასწორებას ვუნდები. აქაც თვალუხილავად ბრძოლა მაქვს პროტოკოლურ-ჟურნალურ ვოსტორგოვთან და ბუტკევიჩთან. არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ გააქარწყლონ ჩვენი საბუთები. ამახინჯებენ ჩვენ სიტყვებს, გვაწერენ იმას, რაც ჩვენ არ გვითქვამს. ერთი სიტყვით, გაცხარებული ბრძოლა გვაქვს კალმით. ქართველ საეკლესიო კითხვის შესახებ მოხსენებანი და ჟურნალები ცალკე წიგნათ იბეჭდება, და როგორც მითხრეს სინოდში, სამას გვერდს აღემატება."[1428] ეპისკოპოს კირიონის აღნიშნულ ცნობას ადასტურებს საისტორიო ცენტრალურ არივში მის ფონდში დაცული სასტამბო ანაბეჭდები.[1429]

1906 წლის 2 ივნისს პეტერბურგში გამართულ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოდან მიწვეული იყო სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი და გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი. კირიონ ეპისკოპოსმა სხდომას წარუდგინა ოთხი მოხსენება: 1. „საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის" – (Грузинсий церковный вопрос); 2. „რა აიძულებთ ქართველებს მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას" – (Что вынуждает грузин добиваться возстановления автокефалии своей церкви); 3. „რომელ ივერიას მიენიჭა ავტოკეფალია XI საუკუნეში?" – (Какой Иверии дарована автокефалия в XI веке?); 4. „ეროვნული პრინციპი ეკლესიაში" – (Национальный принцип в Церкви).[1430] პირველივე სხდომაზე ეპისკოპოსმა კირიონმა წაიკითხა პირველი

1427 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 1-319; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 3-403.

1428 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 294.

1429 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 41-46.

1430 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906

ორი მოხსენება, რომელიც წყაროებსა და კანონიკური სამართლის ნორმებზე დაფუძნებით იმდენად იყო არგუმენტირებული, რომ სხდომაში მონაწილე ცნობილ საეკლესიო ისტორიის და კანონიკური სამართლის სპეციალისტებს (ი. ბერდნიკოვი, ა. ალმაზოვი, ი. სოკოლოვი, ა. ბრილიანტოვი და სხვა) ამ ეტაპაზე კამათში ჩართვის სურვილიც არ გამოუთქვამთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეპისკოპოს კირიონის მეოთხე მოხსენების („ეროვნული პრინციპი ეკლესიაში" – „Национальный принцип в Церкви") შესახებ მოგვიანებით ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორმა ი. ბერდნიკოვმა კრიტიკული ნაშრომი გამოაქვეყნა.[1431]

ეპისკოპოს კირიონის მოხსენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა ცვლილება შეიტანა დღის წესრიგში და მოითხოვა ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენების წაკითხვა, რომლის განხილვა წინასწარ დაგეგმილი არ იყო. სხდომის წევრებმა მოიწონეს თავმჯდომარის წინადადება, წინააღმდეგი გამოვიდა მხოლოდ ეპისკოპოსი კირონი. საქმე ის იყო, რომ ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენებას სხდომის წევრები მის გარეშე უნდა გაცნობოდნენ, რადგან იგი ამ სხდომაზე მიწვეული არ იყო. როგორც ჩანს, ეპისკოპოს ლეონიდეს არ მიწვევა წინასწარი განზრახვით მოხდა, რადგან არ სურდათ საქმის გამწვავება. ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენება, სხდომის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, წაიკითხა მოგილევის ეპისკოპოსმა სტეფანემ, რომელიც მოხსენების წაკითხვის დროს დროდადრო ჩერდებოდა და შენიშვნებსა და კომენტარებს აკეთებდა. ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენებაში მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეგზარქოსობის მმართველობის უარყოფით მხარეების წარმოჩენას, იმის ჩვენებას, რომ მათ არ იცოდნენ „ხალხის ენა, არც მისი საეკლესიო და საერო ზნე-ჩვეულებები. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ეგზარქოსები ხშირად იცვლებოდნენ... ეს პირნი თავისი პირადი ღირსებებით ყოველთვის ზნეობრივად დაქვეითებული იყვნენ. ესენი იყვნენ პირმოთნენი, ეგოისტები, ვერცხლისმოყვარენი და პატივმოყვარენი." ეპისკოპოს ლეონიდეს დასკვნით, უხეირო სასულიერო მმართველობის გამო „ქართველმა ხალხმაც დაკარგა რწმენა ეკლესიისაგან, რელიგიური განათლება დაეცა..."[1432] გარდა ამისა,

---

г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 46-57; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 51-65; შდრ. გ. ბურდული, ეპისკოპოს კირიონის მოხსენებები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906), თბ., 2011, გვ. 27-66; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთი საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი), თბ., 2012, გვ. 32; შდრ. ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX საუკუნის დასაწყისი 1917 წლამდე), თბ., 2000.

1431 На IV доклад Предсаборному Присуствию Кириона епископа Сухумского под заглавием Национальный принцип в Церкви, Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 327-333.

1432 ჟურნალი „მწყემსი," 1907, 4, 27 თებერვალი, გვ. 1-2; შდრ. Журналыи и протоколы

მოხსენებაში ხაზგასმული იყო, რომ სასულიერო სასწავლებლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქართულ ენას. ეპისკოპოს ლეონიდეს დასკვნით, აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებით იქნებოდა შესაძლებელი. ეპისკოპოს ლეონიდეს აღნიშნულმა მოხსენებამ რუსი სასულიერო და საერო პირების მკაცრი შეფასება დაიმსახურა. ორი და რვა ივნისის სხდომები ძირითადად ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენების კრიტიკას მიეძღვნა. მეტად მკაცრი და ქართველებისათვის შეურაცმყოფელი იყო დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის გამოსვლა. იგი თვლიდა, რომ ქართველთა მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა პოლიტიკური სეპარატიზმით იყო ნაკარნახები. დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი დაინტერესდა თუ ვის მიერ იყო დაწერილი ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენება. გამოირკვა, რომ ის შეუდგენია თედო ჟორდანიას, ხოლო ხელმოწერილი იყო ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ. ეპისკოპოს ლეონიდეს სხომაზე არ ყოფნის გამო ეპისკოპოსმა კირიონმა რუსი საერო და სასულიერო პირების შენიშვნებს დასაბუთებული არგუმენტებით უპასუხა. ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენება 1906 წლის ნოემბრის სხდომაზე აგრეთვე გააკრიტიკა პროფ. ტ. ბუტკევიჩმა, რომელიც ცალკე ბროშურის სახით დაიბეჭდა („К вопросу об автокефалии грузинской церкви,"), რომლის შედგენა რუსეთის უწმინდესი სინოდის მეორე განყოფილებამ მას დაავალა. პროფ. ტ. ბუტკევიჩის ნაშრომში მეცნიერული თვალთხედვით კი არ იყო მოცემული ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის შეხედულებათა კრიტიკა, არამედ იგი პოლიტიკური ელფერის მატარებელი იყო. შემაჯამებილ სხდომაზე თავმჯდომარემ, მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა უარყოფითი შეფასება მისცა ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენებას.

აღსანიშნავია, რომ სხდომებში მონაწილე გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი გამოსვლისას ხელისუფლების ინტერესებს იცავდა და ქართველ ავტოკეფალისტთა საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რის გამოც მას საქართველოში აღარ ჩამოესვლელებოდა. აღნიშნულის გამო, საკუთარი სურვილით იგი საქართველოდან გაიწვიეს და ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიის ბალახინის ვიკარ-ეპისკოპოსად გაამწესეს. 1909 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი პირადი განცხადებით მღვდელმთავრობიდან გათავისუფლდა და დაინიშნა მოსკოვის სტავროპიგიალური ზაიკონოსპასკის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. მალევე იგი მოსკოვის მაცხოვრის სტავროპიგიალური მამათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. გარდაიცვალა 1918 წელს.[1433]

1906 წლის 17 და 24 ნოემბერ ჩატარებულ სხდომებზე საქართველოს მხრიდან მხოლოდ ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე იყო მიწვეული. სხდომის

заседании Высочайше учрежденаго Предсоборнаго Присссутствия, Том. 3, Синодальная типогафия, С-Петербург, 1907, стр. 2-3; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 4-5.

1433 გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე, XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012, გვ. 385.



ეპისკოპოსი ექვთიმე
(ელიაშვილი, 1846-1918)

თავმჯდომარის, მთავარეპისკოპოს ნიკანდრის განმარტებით, სოხუმის ეპისკოპოს კირიონისა და გორის ვიკარ-ეპისკოპოს ექვთიმეს შეცვლა რუსეთის უწმინდესი სინოდის მითითებით მოხდა და მისივე გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოს მიეცა უფლება ისინი სხვა მღვდელმთავრით ჩაენაცვლებინათ. აღნიშნული განმარტებაზე ხაზგასმა, ჩვენი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ ხელისუფლებას არ სურდა მომდევნო სხდომებზე კვლავ ეპისკოპოსი კირიონი მიეწვიათ, რომელმაც მეცნიერული პოლემიკის გამო 1906 წლის ივნისში გამართულ სხდომებზე სხდომის მონაწილეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

1906 წლის ნოემბრის თვეში გაართულ სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ინტერესებს იცავდნენ ქართველი მეცნიერები, პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელთა ჩართულობა სხდომის ზოგიერთ წევრს ზედმეტად მიაჩნდა. ეპისკოპოს ლეონიდეს განმარტებით, რადგან საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხებოდა, ქართველი მეცნიერების მონაწილეობა აღნიშნული საკითხის განხილვაში აუცილებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ სხდომის ზოგიერთმა მონაწილემ პროტესტი გამოხატა იმის გამო თუ რატომ მოიხსენიეს ქართველ მეცნიერებად ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. ამ პროვოკაციული გამოხტომის გამო იმდენად გამწვავდა კამათი, რომ პროფ. ნიკო მარი იძულებული გახდა განმარტება გაეკეთებინა სხდომის მონაწილეებისათვის: „უნდა განვაცხადო, რომ ქართველი კი არა, რუსი მეცნიერი ვარ, თუმცა ქართველი ვარ წარმოშობით. თუ მე ჩამთვლით ქართველ მეცნიერად მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცი ქართული ენა და ვსწავლობ ქართულ წყაროებს, მაშინ მე ვიცნობ აგრეთვე არაბულ, სომხურ და სხვა ენებსა და ლიტერატურასაც, მაგრამ ამის გამო მე მაინც არა ვარ ან არაბი, ან სომეხი და ასე შემდეგ.[1434] დიდი კამათის შემდეგ ქართველ მეცნიერებს უფლება დართეს მონაწილეობა მიეღოთ სხდომების მუშაობაში. თუმცა, მიწვეულ ქართველ მეცნიერებს სხდომის წევრებისაგან განემარტათ, რომ მათ მხოლოდ საეკლესიო საკითხების განხილვაში შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დროს მათ მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ.

1434 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Синодальная типогафия, С-Петербург, 1907, Т. 3, стр. 61.

1906 წლის 17 და 24 ნოემბრის სხდომებზე ძირითადი მსჯელობის საგანი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ამ საკითხის გამო მოხსენება წაიკითხა პროფ. ტ. ბუტკევიჩმა, რომლის დასკვნით, თითქოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია არასოდეს ჰქონია და რაც არასოდეს ჰქონდა ახლა რატომ უნდა მიენიჭოსო. პროფ. ტ. ბუტკევიჩის მოხსენებაში „ავტოკეფალიის დამცველები სეპარატისტებად არიან მოხსენებული," რასაც ნიკო მარი არ დაეთანხმა. მანვე გააკრიტიკა პროფ. ტ. ბუტკევიჩის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ეფრემ მცირეს და ნიკონის ცნობები მხოლოდ ლეგენდებს ეყრდნობოდა. სხდომის წევრებმა არ გაიზიარეს ნიკო მარის კრიტიკა, მხოლოდ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსმა სპეციალისტმა ი. სოკოლოვმა მიუთითა ტ. ბუტკევიჩის უზუსტობებზე. პროფ. ი. სოკოლოვი თავის მოხსენებაში ბერძნულ და ქართულ წყარებზე დაყრდნობით ადასტურებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძველეს ავტოკეფალიის არსებობას. პროფ. ტ. ბუტკევიჩის შეხედულებას ემხრობოდა ი. ბერდნიკოვი, მ. ოსტროუმოვი, ა. ალმაზოვი, ა. ბრილიანტოვი და სხვები.[1435]



ნიკო მარი (1864-1934)

ნიკო მარის მოხსენება „ნარკვევები საქართველოს ეკლესიის უძველესი ეპოქიდან," რომელიც საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს წევრების თხოვნით იყო დაწერილი, განიხილეს 1906 წლის პირველი დეკემბრის სხდომაზე. ქართულ და მრავალრიცხოვან უცხოურ წყაროებზე და ფაქტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით ნიკო მარი უცდომელად აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიას უძველესი დროიდან ჰქონდა ავტოკეფალია მინიჭებული ანტიოქიის საპატრიარქოდან და ამ უფლებას იგი ინარჩუნებდა XIX საუკუნემდე.[1436]

1435 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 175-190; Sdr. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 51-65; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი, (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი), (1906 წელი), თბ., 2011, გვ, 23-32; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, (1906), თბ., 2012, გვ. 138-143.

1436 Н. Марр, Исторический очерк Грузинской церкви с древнейших времен (К вопросу об автокефалии Гузинской церкви), Национальная Академия наук РА институт востоковедения академик Н. Я. Марр, К 140 – летию со дня рождения и 70-летию кончины ученого, под редакций П. М. Мурадяна, Ереван, 2005, стр. 167-217.



ალექსანდრე ცაგარელი
(1844-1929)

1906 წლის ხუთი დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც ლეონიდე ეპისკოპოსთან ერთად ეპისკოპოსი კირიონიც ესწრებოდა, მოისმინეს პროფ. ალექსანდრე ცაგარელის მოხსენება „მოწმობანი XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალურ მიმოწერებისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ," რომელშიც ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია დასახელებულ საუკუნეებში ძნელბედობის მიუხედავად თუ როგორ ინარჩუნებდა საქართველოს ეკლესია დამოუკიდებლობას. ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა ბოლო პერიოდში რუსეთთან ურთიერთობის საკითხების ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ცაგარელის მიერ წაკითხული მოხსენება რუსულ ენაზე 1912 წელს გაფართოებული სახით დაიბეჭდა, ხოლო თათბირზე წაკითხული მოხსენება 1911 წელს ქართულადაც გამოქვეყნდა.

სხომის ამავე დღეს პროფ. ალექსანდრე ხახანაშვლმა წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ეკლესიისა და განათლების მდგომარეობა XVIII საუკუნეში. წყაროებზე დაფუძნებულ აღნიშნულ მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დასახელებულ საუკუნეში, მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ანტონ პირველი კათოლიკოსის, ხელისუფლებისა და სხვათა ხელშეწყობით საქართველოში სასულიერო განათლება წარმატებით ვითარდებოდა. ქართველ სასულიერო პირთა მოხსენებების შესახებ დებატები ჩატარდა რვა დეკემბრის სხდომაზე. ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ გამოვიდა დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ქართველ ხალხს არასოდეს აწუხებდა და იგი მათ არასოდეს წამოუყენებიათ. მისი მტკიცებთ, იგი 1905 წლის რევოლუციის გავლენით წარმოიშვა და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის საკითხს უკავშირდება. ამიტომ, მისი აზრით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა დაუშვებელია როგორც ისტორიული ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს ა. ალმაზოვმა, გ. სამუილოვმა, ა. ოსტროუმოვმა და ნ. გლუბოკოვსკი. დასახელებულ რუს მეცნიერთა შეხედულებები ისტორიული ფაქტების მოშველიებით ამხილა პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა. მან ხელისუფლების გასაგონად განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს უნდა ვუდგებოდეთ არა პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ საეკლესიო კუთხით.[1437]

1437 А. Цагарели, Статьи и заметки по Грузинскому церковному вопросу, 1912, стр. 37.



ალექსანდრე ხახანაშვილი
(1862-1912)

რუს საერო და სასულიერო პირებს დაუპირისპირდა პროფ. ნიკო მარი, რომელმაც ფაქტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით გაამყარა ალექსანდრე ცაგარელის შეხედულებები. ხელისუფლების ინტერესების გამომხატველმა საერო და სასულიერო პირებმა დებატების დროს დასმულ საკითხებზე ქართველ მეცნიერთა დამაჯერებელი პასუხები არ გაიზიარეს. ისინი შეურაცყოფდნენ ქართველ მეცნიერებს და ამცირებდნენ. პროტესტის ნიშნად ქართველი მეცნიერები და ქართველი მღვდელმთავრები დასკვნით სხდომებს აღარ დასწრებიან. ქართველ დეპუტაციის საწინააღმდეგოდ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ა. ალმაზოვი, ტ. ბუტკევიჩი და დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი. ამ უკანასკნელმა ცამეტი დეკემბრის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ („К вопросу об автокефалии Грузинской церкви"). აღნიშნულ მოხსენებაში იგი უარყოფდა ისტორიულად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობას და აღნიშნავდა, რომ ავტოკეფალია პოლიტიკური სეპარატიზმის ნაწილია და იგი მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნას.[1438]

ხელისუფლების მიერ დიდი უფლებებით აღჭურვილი დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომების მთავარი ფიგურა იყო. მან შეიმუშავა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის ორი პროექტი. კენჭისყრით მხარი დაუჭირეს მის მეორე პროექტს, რომლის მიხედვით ამიერკავკასიაში ორი სამიტროპოლიტო ოლქი უნდა შექმნილიყო. პირველი სამიტროპოლიტო ოლქი იქნებოდა ქართული და მის დაქვემდებარებაში იქნებოდა ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები. მასვე დაექვემდებარებოდა მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები მეგრული სამრევლოები. მღვდელმთავრის რეზიდენცია, რომელიც მიტროპოლიტის ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მცხეთაში უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მონაცვლის ადგილსამყოფელად თბილისში მიჩნეული იქნა ანჩისხატის ტაძარი. ჩრდილოეთით მდებარე ჯავის, გუდაურისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამრევლოები ვლადიკავკაზის ეპარქიას უნდა შეერთებოდა.

1438 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 291-299; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 352-363.

არაქართველი და კავკასიაში მცხოვრები რუსი ხალხის მოთხოვნის შესაბამისად უნდა დაარსებულიყო მეორე, რუსული სამიტროპოლიტო. მას დაექვემდებარებოდა თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ყარსის ოლქი, ერევნის, ელიზავეტოპოლის და ბაქოს გუბერნიები, სოხუმისა და ბათუმის ოლქი. მეორე რუსული სამიტროპოტო ოლქის ცენტრი იქნებოდა თბილისში, კათედრა კი იქნებოდა თბილისის სიონის ტაძარი. განზრახული იყო ცალ-ცალკე თბილისში რუსული და ქართული სემინარიების დაარსება და სხვა.[1439]

საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომის მიერ დამტკიცებული რეორგანიზაციის პროექტი უკან გადადგმული ნაბიჯი და კანონიკური თვალსაზრისით მიუღებელი იყო. იგი ახდენდა ეკლესიის მოწყობას არ ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით. გარდა ამისა, ერთიდაიმავე ქალაქში ეროვნული ნიშნის მიხედვით ერთი აღმსარებლობის ორი მღვდელმთავრის არსებობა საეკლესიო სამართლით მიუღებელია. ეროვნული ნიშნის მიხედვით ეკლესიის მოწყობა ფილეტიზმის სახელითაა ცნობილი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობით, 1872 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრების მიერ დაგმობილია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების დროს აღნიშნული მიზეზების მითითებით ზოგიერთმა სათათბიროს წევრმა კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა, რასაც დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის დიდი გაღიზიანება მოჰყვა.[1440] მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ერთი რამ დასაიმედებელი იყო, რომ საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს მეორე განყოფილების სხდომის მიღებული ეს პროექტი მომავალ რუსეთის საეკლესიო კრებას უნდა გადასცემოდა განსხილველად და მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ ანტისაეკლესიო გადაწყვეტილებას საეკლესიო კრებაზე, ალბათ არავინ დაუჭერდა მხარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს უარყოფითი გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ განპირობებული იყო იმითაც, რომ ხელისუფლება ქართველი ხალხის მოთხოვნაში პოლიტიკურ სეპარატიზმს ხედავდა. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება პირველი ნაბიჯი იქნებოდა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სავსებით სწორი იყო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას

1439 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 300-301; Sdr. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 364-365; შდრ. გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, (1906), თბ., 2012, გვ. 366-369.

1440 Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. III,. Печатно по определению Святеишаго Синода от 22 Февраля 1907 года С. –Петербург, 1907, стр. 300-301; შდრ. Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного предсоборного присутствия (1906 г.), Т. 3,. Продолжение журналов заседаний Второго Третьего Четвертого и Пятого отделов, Москва, 2014, стр. 364-365.

ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენაც მოჰყვა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, წინა სათათბიროს სხდომებზე ქართველთა დეპუტაცია არწმუნებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას არავითარი პოლიტიკური საფუძველი არ ედო. ჩვენი შეხედულებით, ასეთი მოსაზრების დაფიქსირებით, ქართველთა დეპუტაციას სურდა ეკლესიის ავტოკეფალიისაკენ მიმავალი გზა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაევლო. რაც შეეხება საქართველოს სახემწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხს, ისინი მას მხარს უჭერდნენ, მაგრამ აშკარად არ ქადაგებდნენ მის აუცილებლობას, რადგან როგორც აღვნიშნეთ, მისი მოთხოვნით ეკლესიის საკითხების გადაწყვეტას სიძნელეები შეექმნებოდა.

მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს თანაგრძნობით ეკიდებოდა რუსეთის მხრიდან სათათბიროს ზოგიერთი წევრი და ქართველთა დეპუტაცია მხარს უჭერდა პროფ. ი. სოკოლოვი, ნ. ზაოზერსკი და ცალკეულ შემთხვევაში სხვებიც. როგორც აღინიშნა, პროფ. ი. სოკოლოვი სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაფუძნებით გადაჭრით ასაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირძველ არსებობას. მანვე უმაღლესი სასულიერო უწყების წინაშე პროტესტი გამოთქვა სინოდის ობერ-მდივნის გ. სამუილოვის მიერ „საეკლესიო უწყებაში" საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უარსაყოფად გამოქვეყნებული წერილების გამო.[1441]

აღსანიშნავია, რომ ქართველი სამღვდელოების სამართლიან მოთხოვნას მხარი დაუჭირა მღვდელმა და მკვლევარმა ნიკანდრ პოკროვსკიმ, რომელიც აღნიშნავდა: „ჩვენს ერთმორწმუნე ქართველ ერს სურს იყოს დამოუკიდებელი კოლექტიური პიროვნება და აცხადებს თავის უფლებას საეკლესიო ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი გახდეს. ზედმეტია მტკიცება, რომ მისი უფლება კანონიერია და ქრისტეს მოძღვრებით დადასტურებული, ქრისტიანობა თავისუფლების რელიგია არის. ყოველგვარი ძალმომრეობა პიროვნების მიმართ და ერთი ერისა მეორისადმი არსებითად ეწინააღმდეგება ქრისტეს რჯულს... რუსები პატივს უნდა სცემდნენ სხვა ეროვნებათა უფლებებს, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას და განსაკუთრებით ქართველი ერისა, რომელიც ქრისტიანობაში უფროსი ძმაა, ძმა მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური საზოგადოებრივი ცხოვრებით."[1442] თუმცა, იგივე არქიმანდრიტი ნიკანდრი 1905 წელს „Духовный вестник"-ის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში საეჭვოდ მიიჩნევდა ისტორიულად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობას და მას ანტიოქიის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულად აღიარებდა. აღნიშნულის გამო იგი აღნიშნავდა, რომ

1441 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 255; შდრ. შ. ჯაფარიძე, კირიონ II და რუსი საერო და სასულიერო მოღვაწენი, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXI, თბ., 2005, გვ. 24.

1442 **Никандр, архим. Об автокефалии Грузинской Церкви и церковной жизвд в Грузии при Католикосах, „Прибавление к Духовный вестник Грузинского Экзархата," 1906, № 4;** შდრ. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 48.



სერგი გორგაძე
(1876-1929)

„საქართველოს ეკლესიამ თავი არ უნდა მიიჩნიოს შეურაცხყოფილად რუსეთის სინოდის დაქვემდებარების გამო. განა სულ ერთი არ არის, რომელს დაექვემდებარება: ანტიოქიის პატრიარქს თუ რუსეთის სინოდს? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წმინდა სინოდთან შეერთება უფრო მოხერხებულია, ვიდრე ანტიოქიის პატრიარქზე დაქვემდებარება."[1443] არქიმანდრიტ ნიკანდრის აღნიშნულ თვალსაზრს მალევე გამოეხმაურა საეკლესიო კანონიკის სპეციალისტი სერგი გორგაძე, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან მისი მცდარი შეხედულება კრიტიკულად შეფასებულია მკვლევარ ლევან ტყეშელაშვილის მიერ.[1444]

ქართველ ავტოკეფალისტთა ინტერესებს თანმიმდევრულად იცავდა რუსეთის წარჩინებული გვარიდან გამოსული, ცნობილი რუსი სწავლული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო, რომელიც XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული XX საუკუნის პირველ ოცეულში რუსულ პერიოდულ პრესაში ქართველ ავტოკეფალისტთა მხარდასაჭერად ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს, რომელშიც მხილებული იყო რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში. მასვე ეკუთნის რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ორ ათეულზე მეტი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეულ მძიმე შედეგებს, ეგზარქოსთა ანტისაეკლესიო პოლიტიკის მხილებას და სხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია, 1907- 1908 წლებში სამ პატარა წიგნად გამომცემლობა „რუსკი სტიაგის" გრიფით გამოცემული „ბედი ქართული ეკლესიისა;" 1908 წელს მან საკადრისი პასუხი გასცა დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს ნაშრომში „დეკანოზ ვოსტორგოვის სიტყვის გამო;" 1909 წელს გამოვიდა მისი შრომა „ისტორიული ნარკვევი ივერიის და იმერეთის ავტოკეფალური ეკლესიის 120 ეპარქიისა – მცხეთისა და იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსების სიებით;" ამავე წელს გამოვიდა მისივე ნაშრომი „მღვრიე წყარო, ანუ სახელმწიფო სათათბიროში ქართული ეკლესიის საქმესთან დაკავშირებით პურიშკევიჩის სიტყვის გამო" და სხვა. მის ნაშრომებში ისე დაწვრილებით და ზედმიწევნით იყო აღწერილი

1443 ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014, გვ. 263.

1444 ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014, გვ. 264.



ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო

საქართველოში მიმდინარე საეკლესიო პროცესები, რომ ხელისუფლებას და მათ შორის უშიშროების ორგანოები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ შესაძლებელია ნიკოლოზ დურნოვო ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის ფსევდონიმი იყო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

ნიკოლოზ დურნოვოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, საჭირო ინფორმაციებს და მასალებს იღებდა ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის, მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის და ალექსანდრე ხახანაშვილისაგან. ნიკოლოზ დურნოვოსადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა აკაკი წერეთელს. იგი განსაკუთრებული პატივისცემით იყო განმსჭვალული ნიკოლოზ დურნოვოს მიმართ. როგორც წყაროებით დასტურდება, აკაკი წერეთელს ლექსი მიუძღვნია ნიკოლოზ დურნოვოსადმი. ეპისკოპოსი კირიონი 1908 წლის 18 მარტს პეტერბურგიდან მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ აღნიშნულ ლექსს აკაკი რუსულ ენაზე გადაათარგმნინებს ალექსანდრე ხახანაშვილს და მოსკოვში ჩამოსვლის დროს თვითონ წაუკითხავს ნიკოლოზ დურნოვოს.[1445] ლექსში აკაკი ხოტბა-დიდებას ასხამს ნიკოლოზ დურნოვოს. ლექსის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის მკვლევარ შ. გოზალიშვილს.

„ნ. ნ. დურნოვოს.

ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს
და მეც რუსეთში დავჭაღარავდი.
მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს კი,
აღვიარებდი! ვერა ვფარამდი.
ვუქებდი წარსულს, მაგრამ აწყოში
მძულდა მთავრობა – ბიუროკრატი
და მე რომ რუსად წარმოვიდგენდი,
სხვაგვარი იყო იმისი ხატი:
ქრისტეს მოყვარე, სულით მაღალი,
გაჭირვებულთა ხელის შემწყობი;
უსამართლოთთა და უკუღმართთა
აღვირამსხნელი და დამამხობი!

1445 კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირად ფონდი, საქმე 408.

ვით ჩვენ წინაპრებს, მეც ისე მყავდა
მაშინ რუსობა წარმოდგენილი:
მთელ საქართველოს დამხსნელ მფარველად
და სასოებით მიცემდა გული.
მაგრამ რა ვნახე, ჩემ სამშობლოში,
როცა დავბრუნდი, ღმერთო ძლიერო!
ერთგულების და სიყვარულისთვის
გადასახადი სამაგიერო?
ზიზღი და მტრობა! – სხვა არაფერი,
დევნა სასტიკი ხორცის და სულის,
ვითომც მტყუანი იყოს ქართველი
და მართალი კი სულ ის და სულ ის.
რუსებს ეჭირათ სუყოველგვარი
ჩვენი ცხოვრების ასპარეზები,
გვაჯდენ კისერზედ, როგორც სახედრებს
და გვერდებს გვჭრიდა მათი დეზები.
სამღვდერლოებას და მის ეგზარხოსს
აებნათ ქრისტეს ნამოძღვრი კვალი;
შეჰქონდათ ხალხში ურჯულოება,
საქრისტიანო უარჰყვეს ვალი.
გარეგნად მღვდლები, შინაგნად მგლები,
თავს არ იტეხდნენ ქრისტეს მცნებაზედ
და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ,
როგორც ჟანდრები გარუსებაზე.
სამჯავროებში აღარსად იყო
აღარც კანონი, არც სამართალი
და თვითოეულ მსაჯულთაგანსაც
გარუსებისკენ ეჭირა თვალი.
აღმზრდელებიცა ჩვენი შვილების
მხოლოდ ჰფიქრობდნენ გარუსებაზე
და არა მათის მოწაფეების
გრძნობა-გონების ამაღლებაზე.
მე კი ვამბობდი, რომ მოვლინება,
ეს დროებითი მხოლოდ მეხია...
მომავლისაგან ველოდი სულ სხვას
და მაინც გული არ გამტეხია.
ვფიქრობდი, მოვა აწ ახალი დრო,
ის გაგვინათლებს დღევანდელ ბნელსა
და მოველოდი მე გაზაფხულის,
წინამორბედს და მახარაბელსა.

და აი მართლაც დღეს გამოგვიჩნდი...
კურთხეულ იყოს შენი ჭაღარა!
და შენთან ერთად ძმობა-ერთობას
უმღერს, უგალობს ჩემი ნაღარა!

აკაკი."[1446]

ირკვევა, რომ ნიკოლოზ დურნოვოსადმი მიძღვნილი ლექსი თითქმის იდენტურია მღვდელ იონა ბრიხნიჩოვისადმი მიძღვნილი ლექსისა, რომელიც 1941 წელს ალექსანდრე აბაშელისა და პავლე ინგოროყვას რედაქტორობით გამოქვეყნებულ აკაკის თხზულებათა ერთ-ერთ ტომში დაიბეჭდა.[1447] როგორც მკვლევარი ლ. კიკნაძე აღნიშნავს ნიკოლოზ დურნოვოსადმი მიძღვნილი ლექსი უფრო გავრცობილი და გადამუშავებულია. აღნიშნული ლექსი აკაკი წერეთელმა ჯერ იონა ბრიხნიჩოვს მიუძღვნა, შემდეგ გადააკეთა და მისი ადრესატი ნიკოლოზ დურნოვო გახდა.[1448]

ლექსის პირველი ადრესატი იონა პანტელემონის ძე ბრიხნიჩოვი (Брихничёв Иона Пантелеимонович (1879-1968 წწ.)) დაიბადა თბილისში, დაამთავრა ქუთაისიის სასულიერო სასწავლებელი, 1897 წელს თბილისის სასულიერო სემინარია და მალევე ეკურთხა მღვდლად. ერთხანს ფასანაურში მსახურობდა, XX საუკუნის დასაწყისიდან კი თბილისის ერთ-ერთი ეკლესიაში გაამწესეს. 1906 წლიდან აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა, იყო თბილისში დაფუძნებული „მებრძოლ ქრისტიანთა ძმობის" აქტიური წევრი. მანვე თბილისში 1906 წელს გამოსცა რადიკალური მიმართულების ჟურნალი „ვსტან სპიაშჩი," რომელშიც იგი მკაცრად ამხელდა ცარიზმის დიდმპყრობელურ პოლიტიკას.[1449] ჟურნალი, რომელიც ძირითადად კავკასიის რუს მცხოვრებთათვის იყო განკუთვნილი, თავის თანამოძმეების შესახებ წერდა, რომ „ყელამდე ვცურავთ ჩვენი ძმების სისხლში...მათსავე ცხედრებზე დავაბიჯებთ."[1450] რევოლუციის აღმავლობის დროს მან ორი ღია წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ვოზროჟდენიეში," რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა საქართველოში სახელმწიფოს საეკლესიო პოლიტიკას და ამხელდა ე. წ. „შავრაზმელ" სამღვდელოებას. რადიკალური შეხედულებების გამო იგი ერთი წლის გან-

1446 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 406, ფურცელი 76-77; შდრ. შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, მნათობი, 1968, 1, გვ. 75-76; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, გვ. 36.

1447 აკაკი წერეთელი, თხზ. ტ. II, ლექსები, ა. აბაშელის და პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 14941, გვ. 51-52.

1448 http://www.resonancedaily.com/index.php.

1449 Православная энциклопедия, 2003. М., Т. VI, стр. 258.

1450 ვ. გურგენიძე, ვინ იყო იოანე ბრიხნიჩევი? გაზეთი „წიგნის სამყარო," 1987, 11 მარტი, 5, გვ. 2-3.

მავლობაში ციხეში იჯდა, რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ჩამოერთვა მღვდლის ხარისხი.[1451] საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგი მუშაობდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში და გამოირჩეოდა თავისი ათეისტური შეხედულებებით. შემდეგ საცხოვრებლად გადადის მოსკოვში, სადაც სათავეში ჩაუდგა მებრძოლ უღმერთოთა კავშირს და აქტიურ ბოლშევიკურ საქმიანობას ეწეოდა. მან ლექსების კრებული მიუძღვნა ვ. ლენინს. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვის მოხუცთა თავშესაფარში, სადაც 1968 წელს გარდაიცვალა.[1452] იონა ბრიხნივოჩმა 1907 წლის 9 სექტემბერს გაზეთ „ზაკავკაზიეში" ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც იგი „სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ქართველი ხალხის უდიდესი შვილის მკვლელებს."[1453] როგორც ჩანს, საქართველოში განხორციელებილი რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის მხილებისა და ილიას მკვლელთა კრიტიკის გამო აკაკი წერეთელმა მიუძღვნა იონა ბრიხნიჩოვს ზემოთაღნიშნული ლექსი.

ნიკოლოზ დურნოვოს დიდ პატივს სცემდა ქართველი საზოგადოება. მოგვიანებით, 1916 წელს ერთ-ერთი სასულიერო პირი გაზეთ „სახალხო ფურცელში" წერდა: „ნ. ნ. დურნოვო მოხუცებული კაცია, სავსე ჯანით, ენერგიით, ცოდნით. რუსეთში ცოტაა ამისთანა მომზადებული და მცოდნე ისტორიისა, საეკლესიო კანონებისა. ნიკოლოზ დურნოვო დიდი მოტრფიალეა საქართველოს ეკლესიის აღდგენისა; თუ ვინმეს რამე გაუკეთებია ჩვენი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის შესახებ, თუ ვინმეს უმოძრავებია ეს აზრი რუსეთის პრესაში, ასე თუ ისე მომხრენი საქართველოს ეკლესიისა შეუქმნია, შეუგროვებია და დღესაც კიდევ ასულდგმულებს ამ საკითხს, ამათში პირველი ადგილი უჭირავს ნიკოლოზ დურნოვოს, რომელიც 25 წელიწადია აღვიძებს ძილად მიგდებულს ამ საკითხს და ღრმად არხივებში ჩამალულს და ჩაკეტილს და ხელახლად მზის სხივებს აჩვენებს.

რუსი შთამომავლობით, დიდი მონარქისტია, ღრმად მორწმუნე კაცი, ასე თავდადებულად მუშაობს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართველი ეპისკოპოზები, მღვდლები, მოწინავე პირნი კრინტსაც კი არ იღებენ საცა ჯერაა და მხოლოდ, ჩვენდა სამარცხვინოდ მუცელზე და ჯამაგირებზე ლაპარაკობენ."[1454] 1916 წელს მოსკოვში ნიკოლოზ დურნოვოსთან სტუმრად მყოფ ერთ-ერთ ქართველ სასულიერო პირს მისთვის შეუთავაზებია საქართველოში ჩამოსვლა და დიდ ქალაქებში ავტოკეფალიის შესახებ ლექციების ჩატარება. აღნიშნულ-

---

1451 გაზეთი „ჩვენი გზა," 1907, 25, 22 სექტემბერი; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, გვ. 29-38.

1452 Православная энциклопедия, 2003. М., Т. VI, стр. 258.

1453 ვ. გურგენიძე, ვინ იყო იოანე ბრიხნიჩევი? გაზეთი „წიგნის სამყარო," 1987, 11 მარტი, 5, გვ. 2-3; ვ. გურგენიძე, „ეროვნული უკვდავების გვირგვინი," გაზეთი „წიგნის სამყარო," 1987, 1, გვ. 1-2; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, გვ. 29-38.

1454 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 702, 21 ოქტომბერი, გვ. 3.

თან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო ფურცელში" გამოქვეყნებულ წერილში ანონიმი ავტორი დაასკვნის: „იქნება უცხო ტომის კაცმა მაინც გააღვიძოს ჩვენს გულში სიყვარული ჩვენი ეკლესიის თავისუფლებისა."[1455]

ქართველი სამღვდელოებისადმი მხარდაჭერისა და თანაგრძნობის გამო ნიკოლოზ დურნოვო ჟანდარმერიის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. 1910 წლის 28 მარტს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერია აგენტ „დვორიანინზე" დაყრდნობით იტყობინებოდა: ქართველ მღვდელ-ავტოკეფალისტებს ძალიან დიდ მხარდაჭერას უწევს მწერალი ნიკოლოზ დურნოვო, რომელიც მოსკოვში გამომავალ მონარქიულ გაზეთში „რუსკი სტიაგ" „ორთოდოქსის" ფსევდონიმით ხშირად აქვეყნებს წერილებს. „ის არ იცნობს ქართველ სამღვდელოებას და მისი ბრძოლის წესებს, რომელიც მოსყიდული დაქირავებული მკვლელების საშუალებით დანაშაულს ჩადიან. იგი ენერგიულად უჭერს მხარს ავტოკეფალისტებს საქართველოს ეკლესიის კანონიკური მოწყობის საქმეში და წერილობითი ურთიერთობა აქვს მღვდლებთან: ჩიჯავაძესთან, თალაკვაძესთან და სხვებთან."[1456]

მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ დურნოვო არასრულყოფილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე ყოფილა. როგორც კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, იგი მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ადგენას პატრიარქის ტიტულით, რომელიც რუსეთის სინოდის წევრი უნდა ყოფილიყო.[1457] ნიკოლოზ დურნოვოს აღნიშნული შეხედულებას აკრიტიკებდა ჟურნალი „განთიადი." ჟურნალი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ნიკოლოზ დურნოვო მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტონომიას და არა მის ავტოკეფალიას. ჟურნალის აზრით, ნიკოლოზ დურნოვოს შემოთავაზებული პროექტით საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსი რუსეთის სინოდის წევრი უნდა ყოფილიყო, რის გამოც სხვადასხვა სადაო საკითხების გადაწყვეტის დროს საქართველოს ეკლესიას საჩივრით კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისათვის კი არ უნდა მიემართა, არამედ ყველა საკითხი მოსკოვის პატრიარქთან უნდა გაერკვია. ჟურნალ „განთიადისათვის" აგრეთვე მიუღებელი იყო ნიკოლოზ დურნოვოს მოსაზრება, რომლის მიხედვით ბაქოს, ყარსის და ერევნის გუბერნიების ბაზაზე უნდა შექმნილიყო რუსეთის ეკლესიას დაქვემდებარებული ამიერკავკასიის სამიტროპოლიტო.[1458]

ჟურნალ „განთიადის" მსგავსად ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი არ იზიარებდა ნიკოლოზ დურნოვოს შემოთავაზებულ პროექტს და აღნიშნავდა: „ამაზე მეტს იძლევა ობერ-პროკურორი ა. ობოლენსკი. ნ. ნ. დურნოვოს აზრი,

---

1455 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 702, 21 ოქტომბერი, გვ. 3.

1456 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. ფონდი 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 32.

1457 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 213; შდრ. Н. Н. Дурново, Как установить каноническое управление русской церкви, Москва, 1906, стр. 3, 31, 38; შდრ. Н. Н. Дурново, Судьба Грузинской церкви, Москва, 1906, стр. 146-147.

1458 ჟურნალი „განთიადი," 10, 1915, გვ. 82.

რომ განხორციელდეს, საქართველოს ეკლესია უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავრდება, ვიდრე ეხლაა, დღეს ვგრძნობთ, რომ ძალადობით შეიერთეს ჩვენი ეკლესია, გასაჩივრების ნება გვაქვს, თანახმად მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებისა. ნ. დურნოვოს პროექტით კი ჩვენი სურვილით ვუერთდებით რუსეთის ეკლესიას და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას. თუ ჩვენი სამართალი მოსკოვის პატრიარქის ხელში იქნება, მაშინ ხომ ჩვენი საქმე საბოლოოდ დაიღუპება, რადგანაც კარგად გამოვწვნიეთ ამ ასი წლის განმავლობაში რა არის რუსეთის სასულიერო იერარქიის სამართალი."[1459]

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების სულისკვეთებას ემხრობოდა ზოგიერთი რუსი დიდმოხელე, მათ შორის ისეთი რეაქციონერი და სისასტიკით ცნობილი, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი პეტრე სტოლიპინი (1906-1911 წწ.). აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობა დაცულია ალექსანდრე ცაგარელის მიერ 1912 წელს პეტერბურგში, როგორც თვითონ აღნიშნავს, განსვენებულ პეტრე სტოლიპინის სურვილით, რუსულ ენაზე გამოცემულ თავის ნაშრომის („Статьи и заметки но Грузинскому Церковному вопросу") შესავალ ნაწილში. გაზეთ „სახალხო გაზეთის" აღნიშვნით, როცა რუსეთის უწმინდესი სინოდი აპირებდა საეგზარქოსოს გაუქმებას, მის დაყოფას რამდენიმე ეპარქიად და თითოეული ეპარქიის უშუალოდ უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ალექსანდრე ცაგარელი მისულა პეტრე სტოლიპინთან და თან წარუდგინა მიმართვა, რომელიც ალექსანდრე ცაგარელის დასახელებულ ნაშრომში არის გამოქვეყნებული. პირველი ფურცლების წაკითხვისთანავე პეტრე სტოლიპინს განუცხადებია: თვითონ პატრიარქის აღდგენას აპირებენ და არ თანხმდებიან ავტოკეფალიის მოცემასო. „რა სისულელეა, წამოიძახა, ჯერ ერთი, ეგ რა იმათი საქმეა – იმათ უნდა განსაჯონ საქმე მხოლოდ საეკლესიო თვალსაზრისით. ეგეც არა იყოს, შინაგან საქმეთა სამინისტროში აურაცხელ არამართლმადიდებელთა და სხვა სარწმუნოებათა ხალხის საქმეა მოგროვილი, მაგრამ ამისა არავის შეჰშინებია არც საპოლიტიკო, არც სახელმწიფოს თვალსაზრისითა. საქართველოს ეკლესიის საკითხს უნდა შევხედოთ, ვითა საეკლესიო საუწყებო საკითხს და არა როგორც საპოლიტიკო, ან სახელმწიფო „სეპარატიზმისა." მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ერის კაცებმა ძალიან ნაკლები ვიცით ვითარება საქართველოს ეკლესიის საკითხისა და ავტოკეფალიისა." აღნიშნული სიტყვების გარდა, პეტრე სტოლოპინს ნება დაურთავს ალექსანდრე ცაგარელს გამოექვეყნებინა მის ნაშრომში არსებული დოკუმენტები, რომლის ნაწილს იგი გაცნობია. პეტრე სტოლიპინის კითხვას, შეეძლო თუ არა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას გადაეწყვიტა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი? – ალექსანდრე ცაგარელმა უარყოფითი პასუხი გასცა და

1459 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 406.

თან დასძინა: „საეკლესიო კანონთა ძალით ერთს ადგილობრივს ეკლესიას არ შეუძლიან სხვა ადგილობრივისავე ეკლესიის ბედი გადაწყვიტოს. მაგრამ აქ ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ხომ არ გახლავთ ლაპარაკი; ლაპარაკია იმის გამო, რომ მიეცეს ნება საქართველოს ეკლესიას ისარგებლოს თავისის საავტოკეფალიო უფლებით, რომლითაც სარგებლობდა ბევრ საუკუნეთა განმავლობაში 1811 წლამდე და რომელიც წაერთვა არა კანონთა ძალით, არამედ უწმინდესი სინოდის მოხსენების მეოხებით, იმპერატორის ალექსანდრე პირველისათვის, რომ წარუდგენიათ 1811 წელსა." ალექსანდრე ცაგარელს პეტრე სტოლიპინისათვის უცნობებია, რომ „რუსეთის სამღვდელოების ადგილობრივი ყრილობა საქართველოს ეკლესიის ბედს ვერ გადასწყვეტს; აღემატება მის უფლებებს; ყრილობა განაჩენს გამოუტანს უწმინდესი სინოდის 1811 წლის დადგენილებას. იგი ეკლესიის კანონებს ეწინააღმდეგება და მეფისათვის კი წარუდგენიათ." ყრილობამ უნდა დაადასტუროს, რომ 1811 წლის გადაწყვეტილება უკანონოა. ალექსანდრე ცაგარელის განცხადებით, დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის გადაწყვეტილების მიღება ორ ეკლესიას შორის სხიზმას გმოიწვევს. ამიტომ უმჯობესია „უმაღლესი ბრძანებით საქართველოს სამღვდელოებასა და სამწყსოსა ნება მიეცეს კათალიკოსი აირჩიოს საკუთარი ეკლესიისათვის," რომელიც შემდეგ იმპერატორს წარედგინება დასამტკიცებლად.[1460] მოტანილი მასალა ადასტურებს, რომ რუსეთის იმპერიის დიდმოხელე, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი პეტრე სტოლიპინი უკმაყოფილო ყოფილა და არ ემხრობოდა საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს სხდომაზე მიღებულ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს.

1906 წლის 12 ოქტომბერს, იმ დროს როდესაც ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული საეკლესიო კრების წინარე სათათბიროს, გაზეთ „Тифлис-"ში რუსულ ენაზე „Мнение группы священников" სახელით გამოქვეყნდა წერილი „Какой тактики должно держаться грузинское духовенство при возстановлении родной церкви в автокефальных ея правах?" („რა ტაქტიკას უნდა დაადგეს ქართველი სამღვდელოება მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენისას?"). გარდა გაზეთში გამოქვეყნებისა, დიდი ფორმატის ორ გვერდზე სტამბურად დაბეჭდილი აღნიშნული რუსული ტექსტი დაინტერესებულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა.[1461] საისტორიო ცენტრალურ არქივში კირიონ საძაგლიშვილის ფონდში დაცული მასალით ირკვევა, რომ აღნიშნული მიმართვის ავტორები იყო არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და დეკანოზი ანტონ თოთიბაძე.[1462]

1460 სტოლიპინის აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე, გაზეთი „სახალხო გაზეთი," 1912, 635, 27 ივნისი, გვ. 2; შდრ. სტოლიპინის აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე, ჟურნალი „შინაური საქმეები," 25, 1912, გვ. 6-7.

1461 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 25-26.

1462 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 25; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკტფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წ.წ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 117

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გზაზე, მიმართვის ავტორები, საჭიროდ არ თვლიდნენ მომავალ საეკლესიო კრებაზე ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაყენებას. დროებით ეს საკითხი გადაედოთ და დალოდებოდნენ ხელსაყრელ დროს. მათი აზრით, რუსეთში პატრიარქობის აღდგენა ბუნებრივია ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენას, რადგან იგი საეკლესიო კანონიკით აღარ ისურვებდა თავისზე უხუცესი ეკლესიის თავის მფლობელობაში ჰყოლას. მიმართვის წევრები მოითხოვდნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ხუთი ეპარქიის დაარსებას, რომელთაც სამიტროპოლიტო ოლქის უფლებები ექნებოდათ; არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას და საერო პირების აქტიურ ჩართვას საეკლესიო მმართველობაში. მათი მატერიალური უზრუნველყოფა რუსული სამიტროპოლიტოების მსგავსად უნდა მომხდარიყო და უფლებრივადაც მათი თანასწორი უნდა ყოფილიყო.[1463] ქართველ ავტოკეფალისტთა მიერ გაზიარებული არ იქნა მიმართვის ავტორთა შეხედულებები, რის გამოც პრესაში მათი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ რამდენიმე პუბლიკაციაც გამოქვეყნდა.

ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნების უგულვებელყოფას ემსახურებოდა აგრეთვე 1906 წლის 23 აგვისტოს რუსეთის იმპერატორისა და უწმინდესი სინოდის დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა საეგზარქოსოს დაქვემდებარებული ეპარქიების უფლებების გაზრდისათვის მათ გადაკეთებას დამოუკიდებელ ეპარქიებად, კონსისტორიისა და სხვა მმართველი ორგანოების დაარსებას; სასულიერო სასწავლებლებში ქართული საეკლესიო გალობისა და სხვა ეროვნული საგნების სწავლებას, ქართულ ენაზე ქადაგების დაშვებას და ამავე ენაზე საღვთისმსახურო წიგნების გამოცემას. აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც შესასრულებლად გამოეგზავნა საქართველოს ეგზარქოს სასწრაფოდ უნდა განხორციელებულიყო, ხოლო რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორთან და კავკასიის მეფისნაცვალთან შეთანხმებით უნდა შემუშავებულიყო საეგზარქოსოს მმართვის ახალი მოდელი, რომელიც განსახილველად წარედგინებოდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს.[1464] მართალია მიღებული გადაწყვეტილება ქართველი სამღვდელოებისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ მის შესრულებაზე არავის უზრუნვია.

ცვლილებები მოხდა საეგზარქოსოს მმართველობაში. 1906 წლის 9 ივნისს პეტერბურგში მყოფი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ნალიმოვი საკუთარი თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლეს ეგზარქოსის თანამდედობიდან და დაინიშნა ვლადიმირის ეპარქიის მმართველად, გარდაიცვალა 1914 წლის 13 ივლისს პეტერბურგში, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის საძმო სასაფლაოზე, ყოფილი საქართველოს ეგზარქოსიის ინოკენტი ბელიაევის ახლოს.

1463 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 26; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკტფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წ.წ.), საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 117.

1464 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 26789, ფურცელი 3-4.

1906 წლის 9 ივნისს რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოსად და ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა ნიკონ სოფიისკი. ნიკონი (ერობაში ნიკოლოზ ანდრიას ძე სოფიისკი) დაიბადა 1861 წლის 14 მაისს კოსტრომის გუბერნიის, ცუხლუმის მაზრის სოფელ ოზარნიკოვოში სასულიერო პირის ოჯახში. მამით ადრე დაობლებულმა ნიკონმა სასულიერო სასწავლებლის შემდეგ, 1882 წელს დაამთავრა კოსტრომის სასულიერო სემინარია. მალევე დაქორწინდა და 1883 წელს გამწესებული იქნა ერთ-ერთი სოფლის მღვდლად. ერთი წლის შემდეგ დაქვრივდა, აღიკვეცა ბერად და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, 1891 წლის 30 მარტს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს და დანიშნეს ვლადიმირის სასულიერო სემინარიის რექტორად. ნიკონი იყო მკაცრი, რაც ბევრ სემინარისტში იწვევდა უკმაყოფილებას, რის გამოც ერთ-ერთმა უკმაყოფილო სემინარისტმა მასზე მოაწყო თავდასხმა, ჩაარტყა თავში ნაჯახი, მაგრამ გადარჩა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, როდესაც ნიკონი ვლადიმირის ეპარქიის მმართველად დანიშნეს თავდასხმელი სტუდენტი თავის მედავითნედ მიიწვია. ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ნიკონი გაამწესეს სარატოვის ეპარქიის ვიკარ-ეპისკოპოსად. ერთხანს იგი სიმფერეპოლის დაქვრივებულ ეპარქიას მართავდა, ხოლო 1899 წლის 6 თებერვლიდან გაამწესეს პეტერბურგის ეპარქიის ნარვის ვიკარ-ეპისკოპოსად. 1906 წლის 6 მაისს ნიკონს უბოძეს მთავარეპისკოპოსიის ხარისხი და ორი თვის შემდეგ გაამწესეს საქართველოს ეგზარქოსად.[1465]

ახალი ეგზარქოსიის დანიშვნის შესახებ ცნობა ქართველმა სამღვდელოებამ დეპეშით იმ დროს შეიტყო, როდესაც თბილისში ქართლ-კახეთის სამღვდელოების ეპარქიის ყრილობა მიმდინარეობდა. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ეგზარქოს ნიკოლოზის თბილისიდან წასვლა იმის გამო მოხდა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას მალე მიიღებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე მათ „ახალი ეგზარქოსის დანიშვნა არაბუნებრივად მიაჩნდათ." გადაწყდა, დეპეშა გაეგზავნათ პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძისათვის, რომელსაც უნდა გაეფრთხილებინა „მთავარეპისკოპოსი ნიკონი, არ ჩასულიყო საქართველოში." დეპეშის შინაარსი ცნობილი უნდა გამხდარიყო რუსეთის უწმინდესი სინოდის მიტროპოლიტ ანტონისათვის.[1466] მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, 1906 წლის 27 ივნისს პეტერბურგში სახელმწიფოს საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძის სახელზე შემდეგი შინაარსიის დეპეშა გაიგზავნა: „ქართველი სამღვდელოება ღრმად დარწმუნებული, რომ მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელ ეკლესიას შეუძლიან განკურნოს საუკუნეობით დარჩენილი წყლულები, რომელიც მას ეგზარქოსების გამგეობის დროს

1465 Софийский Л. Н. Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, Экзарх Грузии (1861-1908). СПб., 1909, стр. 115-116; შდრ. Санкин Д. „Нет выше духовной жертвы перед Богом, как любовь...". Памяти Высокопреосвященного Никона (Софийского), портал Русское Воскресение: http://www.voskres.ru/podvizhniki.nikon.htm.

1466 ჟურნალი „მწყემსი," 11-12, გვ. 2; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 116.

დააჩნდა, მტკიცედ და შეურყვნელად ადგას, როგორც სალი კლდე, იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ გამოთქვა თავის პეტიციაში. ამისათვის ქართველი სამღვდელოება გთხოვთ, გადაცეთ ახლად დანიშნულ ეგზარქოსს ნიკონს, რომ იგი საქართველოსაკენ არ გამოემგზავროს ეგზარქოსად. ამასთან ერთად გთხოვთ, ამ ჩვენი დეპეშის შინაარსი აცნობოს დაუყონებლივ მიტროპოლიტ ანტონს."[1467]

დეპეშა, მართალია, ქართველი სამღვდელოების სახელით იყო გაგზავნილი, მაგრამ, როგორც წყაროებით დასტურდება, ტექსტს ხელს აწერდა ანჩისხატის მღვდელი პოლიევქტოვ კარბელაშვილი. ამის გამო იგი დაისაჯა. საქართველოს საეგზარქოსოს გადაწყვეტილებით პოლიევქტოვ კარბელაშვილი დედაქალაქიდან სოფელ მარტყოფში გადაიყვანეს. თვით დასჯილმა არც კი იცოდა მარტყოფში გადაყვანის ნამდვილი მიზეზი. ეტყობა რუსეთის უწმინდეს სინოდს საიდუმლოდ სურდა მეამბოხე მღვდლის უმტკივნეულოდ მოშორება ყოველგვარი ხმაურის გარეშე. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს აღნიშნული ფაქტის შესახებ ატყობინებდა: დეპეშის მიღებისთანავე „ილია იმ წამსვე წასულიყო ცაგარელთან და იმასაც აბჯარ-იარაღი აესხა და გამგზავრებულიყვნენ მიტროპოლიტ ანტონთან. ილიას ეთქვა, რომ ეგზარქოსმა თავისი წასვლა საქართველოში ცოტა შეაგვიანოს, მანამდის იქ არეულობა არ დაწყნარდებაო. ამ დროს ილიას თურმე დეპეშა ხელში ეჭირა, მიტროპოლიტს ეთხოვა დეპეშა, შესულიყო თავის კაბინეტში, გადმოეღო, ალბათ მისი პირი, გამოეტანა და ისევ გადაეცა ილიასათვის. ამას მოჰყვა პოლეს (პოლიევქტოვ კარბელაშვილი ე.ბ.) გადაყვანა ქალაქიდან სოფელში. იქნებ პოლემ არც კი იცის, რის გამოც გადაიყვანეს იგი მარტყოფში."[1468]

ილია ჭავჭავაძეს და ალექსანდრე ცაგარელს დიდხანს უსაუბრიათ მიტროპოლიტ ანტონთან. გაზეთი „შრომა" იტყობინებოდა: „ეგზარქოსად დანიშნული ნიკონი, როგორც გავიგეთ, თბილისში აღარ ჩამოვა. სახელმწიფოს საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძემ დაარწმუნა მიტროპოლიტი არ გამოგზავნონ საქართველოში ეგზარქოსი."[1469]

მიუხედავად გაფრთხილებისა მთავარეპისკოპოს ნიკონს უარი არ უთქვამს საქართველოში გამგზავრებაზე, გამომგზავრებამდე 1906 წლის 18 აგვისტოს იგი ეწვია რუსეთის იმპერატორს, რომლისგანაც მან სახელმძღვანელო მითითებები მიიღო. საქართველოში ახალი ეგზარქოსის ჩამოთვლასთან დაკავშირებით ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბის" რედაქციაში შეკრებილმა სამღვდელოებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის პროტესტის ნიშნად ქართველ სამღვდელოებას მონაწილეობა არ უნა მიეღო თბილი-

1467 ჟურნალი „მწყემსი," 11-12, 1906, გვ. 21; გაზეთი „შრომა," 68, 1906; გაზეთი „მუშა," 20, 1906.

1468 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, 108.

1469 გაზეთი „შრომა," 72, 1906, გვ. 2.

სის სიონის ტაძარში ახალი ეგზარხოსის დახვედრაში, გარდა ამავე ტაძრის კრებულისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრებისა. მათივე გადაწყვეტილებით, „ნიკონთან საქმიანი და პირადი ურთიერთობა არავის უნდა ჰქონოდა" და მისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ.[1470]

გარდა აღნიშნულისა, „პეტერბურგის უწყებანში" ნიკოლოზ დურნოვოს დახმარებით გამოქვეყნდა ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მთავარეპისკოპოს ნიკონისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო: „მრავალ ტანჯული, ჯვარის მტვირთველი და ავტოკეფალური ეკლესია, ღვთის მშობლის ხვედრი, წმიდა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის და წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს მიერ დანერგილი, გიხმობს თქვენ, თქვენო მაღალყოვლად უსამღვდელოესობავ: „რაისთვის მოდიხართ ჩვენდა მომართ?"

თქვენ, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიის მწყემსმთავარმა, კარგად უნდა იცოდეთ საღმრთო კანონები, რომელნიც მწყემსმთავარს უკრძალავენ უცხო, მისგან დამოუკიდებელ ეპარქიის საქმეებში გარევას. თქვენ კი, მაღალყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოდიხართ ეკლესიაში, რომელიც მსოფლიო კრებათაგან ცნობილია, როგორც ავტოკეფალური, რომლის თავსაც კათალიკოს-პატრიარქს, აღმოსავლეთის პატრიარქნი მუდამ თავიანთ თანასწორ პატივით იხსენიებდნენ. თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა უეჭველად გვიპასუხებს ჩვენ, მიგაღებიებს დანიშნულება ესე არა ნებითა მარტოოდენ თქვენითა, არამედ ნებითა აღრჩევითა, თუმცა არა კანონიერ რუსეთის სინოდისათა. მაგრამ რუსეთის სინოდს აქვს განა უფლება გზავნის როგორც მოესურვება თავისი ეპისკოპოსები ექსარხოსებად და უფროსებათ ისეთ ადგილებში, რომელიც მას არ ექვემდებარება კანონების მხრივ და განაწერონ ისინი ისეთ ადგილების მწყემსმთავრებად, რომელთა ენა მას არ გაეგება? შეიძლება თქვენი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა იმით ამართლებთ თქვენ დანიშვნას, რომ საქართველოს ეკლესია 1811 წლიდგან რუსეთის სინოდს დაემორჩილა? მაგრამ ეს თქვენ არ გაძლევთ არავითარ საფუძველს იყოთ თავი იმ ეკლესისა, რომელიც თქვენ არ გცნობთ, და რომელსაც არ აურჩევიხართ. 95 წელიწადია რაც საქართველოს ეკლესია რუსეთის სამოქალაქო მთავრობის მეოხებით ყელ გამოჭრილი გდია; მისი ქონება გატაცებული, მრავალ საუკუნოებითი სამწყემსმთავრო ადგილები გაუქმებული, მონასტრები, ოდესმე სავსენი მოღვაწ მონაზვნებით, ან სულ დაცარიელებულია, ან ძლივ სულს ღაფავს, სასულიერო სემინარიებმა და სასწავლებლებმა, რუსების მთავრობის და მასწავლებლების მეოხებით, რომლებიც დასცინიან ქართულ სიწმინდეს, ენას და ჩვეულებას, მწყემსების მაგიერ გამოგვიზარდეს ურწმუნოები, ანარქისტები და მტრები მართლმადიდებელ ეკკლესიისა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის კრებული ერთგულია სამშობლო ეკლესიისა და ბევრიც სწუხს ეკლესიის ამ რიგად დაქვეითებაზედ, მაინც ძალა აღარ შეგვწევს, თვინიერ შეწევნითა ღვთისათა, ავაღორძინოთ ეკლესია, დაცემული და განადგურებული და უკიდურესობამდე მიყვანილი

1470 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 117.

მისთვის უცხო ექსარხოსებისაგან. ამიტომ საქართველოს ეკლესიის სამღვდელო კრებულს და მართლმდიდებელ ერს გადაწყვეტილი აქვს გადაიგდოს თავიდგან მძიმე უღელი ექსარხოსების ბატონობისა და აღადგინოს დიდებით და პატივით მოსილი სამოციქულო ეკლესია. ამისთვის ჩვენ გთხოვთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ნუ მიიღებთ უფროსობას იმ ეკლესიისას, რომელიც კანონით არ ექვემდებარება რუსეთის სინოდს და ნუ დაარღვევთ იმ საეკლესიო კანონს, რომელიც როგორც ჩვენ, ისე თქვენც ვალდებულს გხდით დაიცვათ და დაიფაროთ და არა დაარღვიოთ და მით აღამხედროთ თვისს წინააღმდეგ ჯერ კიდევ მართლმადიდებლად დარჩენილი ქართველი ერი.

თუ თქვენ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, არ დაიშლით და ძალად მოხვალთ ისეთ სამწყსოში, რომელსაც თქვენ არ ეკუთნით, მაშინ ქართველი მწყემსმთავრები და მწყემსები წინდაწინვე ხელს იბანენ და პასუხს არ აგებენ იმ, შეიძლება, დიდათაც საწყენ შედეგისათვის, რომელიც მოყვება თქვენს ძალით ჩვენთან მობრძანებას. მწყემსი კეთილი მოვალეა, თუ საჭიროება მოითხოვს სული თვისი დასდვას ცხოვართათვის, მაგრამ საქართველოს სამწყსო თქვენთვის უცხოა. თქვენს მაღალყოვლად უსამღვდელოესობას უნდა ესმოდეს, როგორ მოიქცევიან ცხოვარნი, როცა მწყემსი მოდის არა კარით კერძო, არამედ მალვით, რათა წარწყმინდოს და წარიტაცოს ცხოვარნი სხვისნი."[1]

1906 წლის 26 აგვისტოს ეგზარქოსი ნიკონი საქართველოში ჩამოვიდა. ქართულმა პრესამ მის მოსვლას სათანადო ადგილი დაუთმო. ეგზარქოსად დანიშნულ ნიკონს ბაქოს მახლობლად სადგურ ბალაჯარაში მიეგება რუსი მღვდელი ჩეტირკინი. თბილისში მოვიდა დღის ორ საათზე. დილის 11 საათიდან გოლოვინის პროსპექტზე რკინიგზის სადგურამდე ორპირად დაყენებული იყო ჯარები, 12 საათიდან ამ ქუჩაზე აიკრძალა მოძრაობა. რკინიგზის სადგურზე ეგზარქოს დახვდა ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), თბილისის სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი გრიგოლი (ვახნინი), გუბერნატორი ბარონი პ. რაუშ ფონ ტრაუბენბერგი, გენერალ-ლეიტენატი გორჩაკოვი, დამცველი ჯარის ხელმძღვანელი და „პატრიოტული საზოგადოების დეპუტატები." გუბერნატორთან ერთად ეგზარქოსმა გაიარა ჯარებს შუა, თუმცა მის კარეტას მიჰყვებოდა წინ



ეპისკოპოსი პეტრე
(კონჭოშვილი, 1836-1909)

[1] ჟურნალი „მწყემსი," 1906, №15-16, გვ. 8-9.

პოლიცმაისტერი ჟანდარმერებით, უკან კი საპატიო დამცველები კავკასიის მეფისნაცვლის და ყაზახები პოლტავის პოლკისა. თბილისის სიონის ტაძარში საპატიო ესკორტით მიყვანილ ეგზარქოსს მიეგება ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), რომელმაც მცირე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა.[1472] ეპისკოპოსმა პეტრემ თავის მოკლე სიტყვაში კიდევ ერთხელ შეახსენა ახალ ეგზარქოს და თბილისის სიონის ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას ქართველი სამღვდელოების სურვილი, კანონიერი გზით აღდგენილიყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა.

პარაკლისის გადახდის შემდეგ ახალმა ეგზარქოსმა დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოთქვა სიტყვა. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც გაჯერებული იყო საღმრთო წერილის შესაბამისი მუხლების მითითებებით, მთავარეპისკოპოსი ნიკონი აღნიშნავდა: „...როდესაც წილად მხვდა სამღვდელმთავრო მსახურება მხარესა შინა ივერიისასა, მეტად შევშფოთდი ამ გვარი დანიშვნითა – ერთის მხრით იმიტომ, რომ აქ სამსახური სამძიმოდ მიმაჩნდა, მეორეც – ვგრძნობდი ჩემ ძალთა სიღარიბეს ამ სამსახურისათვის და ვიწყე უარობა ამ მოცემულ დანიშნულების მიღებაზე იმის მიხედვით, როგორც ამას ქრისტიანობრივი სინდისი მამხილებდა; უარს ვამბობდი იქამდე, სანამ უარის თქმა საზღვარს არ გადასცილდა და რომლისა გარდამეტებით მიიღებდა ხასიათსა ურჩობისასა, მის მიერ დაყენებულ მთავრობათა უარყოფისასა, ცოდვისასა. ამა უარობის დრო თვალ წინ წარმომიდგა მოსე... რომელმაც თავისი ურჩობით ღმერთი განარისხა – მეორე სახე, სახე წინასწარმეტყველის იონასი, რომელიც არ დაემორჩილა ნებისა უფლისასა, არ წარვიდა ქადაგებითა ნინეველთა მიმართ და ამის გამო იგი მწარედ დაისაჯა ღვთის მიერ. რადგან ესე სახენი, სიტყვისაებრ მოციქულისა, სწორედ ჩვენდა სამოძღვებრად დაწერილი არიან (I კორინ. X, 6, 11), ამისათვის მეც აღვიარე ღვთისა მიმართ: „იყავნ ნება შენი" (მათ. VI, 10, XXII, 42) და მივიღე დანიშვნა საქართველოს დანიშვნაზე.

ჰხედავთ, ძმანო, რომ მე მოვდივარ აქეთ არა ნებითა ჩემითა, არამედ უფლისათა; მოვდივარ აღსავსე თქვენდამი სიყვარულით, ვითარცა ღვთისა მიერ ჩემდამი მოცემულ სამწყსოში, ვითარცა ჩემს სულიერ შვილებთან... საქართველოს სამწყსოსადმი ჩემს სიყვარულს განვიმტკიცებ კიდევ იმ შემეცნებით, რომ ივერია წილხვდომილია ღვთისმშობლისა. ამის გამო დანიშვნა ჩემი აქ არის ჩემდამი, არა ღირსისა სათნოებანი ღვთისმშობლისა მსწრაფ-შეწევნისა და ძლიერისა შუამდგომელისა ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, როგორადაც აქ, ამ სოფლად, აგრედვე იმ სოფლად, შემდეგ სიკვდილისა. ის ჭირნი და მწუხარებანიც, რომელნიც მე აქ მომელიან და ვინ იცის, იქნება არც იყოს – ვერ შესაუსტებენ ჩემს ახალ სამწყსოსადმი ჩემში სიყვარულს."[1473]

1472 ჟურნალი „მწყემსი," 1906, №15-16, გვ. 1-2.

1473 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, აღწ. 1, საქმე 26789, ფურცელი, 4; შდრ. Софийский Л. Н. Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, Экзарх Грузии (1861-1908). СПб., 1909, стр. 115-116.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ახალმა ეგზარქოსმა „ჭირ-მწუხარების" ეპითეტით მოიხსენია და აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას „...ცხონების საქმეში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, იმიტომ, რომ ავტოკეფალია არც დოღმატია და არც ღვთის მცნება. არა გვაქვს ავტოკეფალია – ეს ჩვენ ვერ დაგვიშლის ვიქმნეთ მემკვიდრედ ზეციურის სასუფევლისა. თუ ავტოკეფალობას შევიძენთ – იგი ჩვენ საუკუნე ნეტარებაში არ შეგვიყვანს. ნუთუ გგონიათ ამით გინდა ვსთქვათ, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ მისცემენ, თუ ის, რომ მე წინააღმდეგი ვარ ავტოკეფალიისა? – არა, ჩვენ, ჩვენ ამას არ ვამბობთ; ჩვენთვის არ მოუნიჭებიათ უფლებანი ავტოკეფალიის საკითხების გადაწყვეტისა." ეგზარქოსმა აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მომავალ საეკლესიო კრებაზე, ხოლო „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ჩვენ ვალად გვაძევს დაწვრილებით და ყოვლი მხრით შევისწავლოთ, რომ კრებაზე ძიუდგომლად და სამართლიანად ამის გადაწყვეტას ხელი შეუწყოთ."[1474]

სიტყვის დასრულების შემდეგ, თბილისის სიონის ტაძრიდან ეგზარქოსი ნიკოხი მიაცილეს მისთვის განკუთვნილ სასახლეში, სადაც მას მიეგება გენერლები და ოფიცრები. იმავე დღეს, სამ საათზე ახალი ეგზარქოსი კავკასიის მეფისნაცვალს ეახლა.



საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი (სოფიისკი, 1906-1908)

თბილისში ახალი ეგზარქოსის შემოსვლა ქართულმა პრესამ ფართოდ გააშუქა. „მართალია მწყემსი ძლევა-მოსილი მოვიდა, მაგრამ სამწყსო სად არის?" – წერდა ჟურნალი „მწყემსი" და იქვე დასძენდა: „თქვენ ხედავდით მარტო თოფებს, ჯარს, ოფიცრებს, გენერლებს, სტრაჟნიკებს და ჟანდარმებს, სამღვდელოება კი არსად სჩანდა. თქვენ გეგონებოდათ, რომ მოვიდა ვინმე დიდებული სამხედრო პირი ჯარების დასახედავად და არა მშვიდობის მომფენი „მდაბალი" მღვდელმთავარი, რომელიც მოსულა, რომ სული თვისი დასდვას ცხოვართათვის. რამდენი გასაოცარი აზრი გაგიელის ამის მნახველს გულსა და გონებაში!"[1475]

თბილისის სიონის ტაძარში წარმოთქმული სიტყვიდან აშკარად ჩანდა,

1474 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, აღწ. 1, საქმე 26789, ფურცელი, 4; შდრ. Софийский Л. Н. Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, Экзарх Грузии (1861-1908). СПб., 1909; 115-116.

1475 ჟურნალი „მწყემსი," 1906, №15-16, გვ. 1.

რომ ეგზარქოსი არ თანაუგრძნობდა ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნას, რის გამოც ქართველმა სასულიერო პირებმა ახალ ეგზარქოს ბოიკოტი გამოუცხადეს, მონაწილეობას არ ღებულობდნენ მის მიერ ჩატარებულ წირვა-ლოცვაში და სხვა დაგეგმილ ღონისძიებებში. ეგზარქოს ნიკონისათვის მიუღებელი და არასასურველი იყო ქართველ სასულიერო პირთა ბოიკოტი და მოთმინებით ელოდა მისი განმუხტვისათვის ხელსაყრელ დროს. ჩამოსვლითანავე შექმნილი სიტაციაში გარკვევისა და ქართველის ხალხის საერო და სასულიერო წარსულის გაცნობის მიზნით, მან თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოიტანა საქართველოს შესახებ არსებული შესაბამისი ლიტერატურა. განზრახული ჰქონდა ქართული ენის შესწავლაც და გარკვეული გარდაქმნების გატარება, რომელიც იმის ილუზიას შექმნიდა, რომ ახლადდანიშნული ეგზარქოსი პრაქტიკულ ნაბიჯებს სდგამდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციისათვის, რომ ასეთი ღონისძიებების გატარებით გადაეფარა ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნა.

თბილისის სამღვდელოება დარწმუნდა, რომ ბოიკოტმა გარკვეულ ეტაპზე დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ მისი გაგრძელება თვით ქართველი სამღვდელოებისათვის იყო საზიანო, რადგან დაგროვდა ისეთი საკითხები, რომლის გადაწყვეტა ეგზარქოსზე იყო დამოკიდებული. ამ მიზნით, 1906 წლის 12 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრამდე თბილისში ქართველი მღვდელმთავრების: სოხუმის ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის, იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის, ალავერდელი ვიკარ-ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის, რამდენიმე სასულიერო და საერო პირების მონაწილეობით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში ჩატარებულ კრებაზე გადაწყდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის საკითხი უცლელად რჩებოდა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ბოიკოტზე უარი ეთქვათ და ეგზარქოსისათვის ეთხოვათ ბლაღოჩინების დადგენა მომხდარიყო სასულიერო პირების მონაწილეობით, ხოლო მღვდლებისა და დიაკვნების არჩევა მრევლის მიერ.[1476]

ეგზარქოსი კმაყოფილი იყო ქართველ მღვდელმთავრების გადაწყვეტილებით ბოიკოტის მოხსნის შესახებ და ცდილობდა სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით ქართველი სამღვდელოების გულის მოგებას. მცხეთის სვეტრიცხოვლის საკათედრო ტაძრის რესტარვაციისათვის, მისი მოთხოვნით, გამოიყო 30 ათასი მანეთი. ეგზარქოსის ინიციატივით შეიქმნა ქართულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნებისა და ბიბლიის შესწორება – გადაშინჯვის კომისია. ამავე კომისიას ოსურ და აფხაზურ ენებზეც უნდა ეთარგმნა და გამოეცა შესაბამისი საღვთისმსახურო ლიტერატურა. მისი ინიციატივით აღნიშნულმა კომისიამ თარგმნა და 1907 წელს აფხაზურ ენაზე გამოსცა საღვთისმეტყველო ლიტერატურა. ქართველი სამღვდელოების კატეგორიული მოთხოვნით, ეგზარქოს ნიკონის წინადადებითა და რუსეთის უწმინდესი

1476 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 117.

სინოდის თანხმობით სასულიერო სასწავლებლებში შესაძლებელი იყო საღვთისმეტყველო საგნების სწავლება ქართულ ენაზე განხორციელებულიყო. მიუხედავად ოფიციალური თანხმობისა, ამ საკითხთან დაკავშირებით ეგზარქოსი ნიკონი რუსეთის უწმინდესი სინოდის თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ანტონისადმი გაგზავნილ მიმართვაში დაუფარავად აღნიშნავდა: „საქართველოს სამღვდელოებამ გადაწყვიტა, სემინარიაში და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება შემოიღონ ქართულ ენაზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ხოლო თუ მათ მაინც მიეცემათ ნებართვა ქართულ ღვთისმეტყველებაში ევარჯიშათ, მაშინ ამ საქმეს ბოლომდე უნდა მივყვეთ და არაფრით არ უნდა გადაუხვიოთ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს, წაერთვას სემინარიას შემწეობა სახელმწიფოს ხაზინიდან, რაკი მასში სწავლებას ნაციონალურ ენაზე შემოიღებენ და ჩამოერთვას ის უფლებებიც რასაც თავის მონაფეს ანიჭებდა ამ ხნობამდის ვიდრე იყო სავსებით რუსული. მაშინ ქართველები ჩადენილი საქციელის მონანიებით და ცრემლთა დენით შეწყალებისათვის, უარს განაცხადებენ თავის ეროვნულ პრეტენზიებზე და ხვეწნით მოგვმართავენ დავუბრუნოთ ის, რაცა ჰქონდათ, თავაზიანობა მათთან არა ღირს."[1477]

ეგზარქოს ნიკონის დროს გაიზარდა სამრევლო სკოლების დაფინანსება. ხშირად იგი საკუთარი სახსრებით ეხმარებოდა სკოლებს, მისიონერული საქმიანობისთვის იძენდა წიგნებს. 1907 წელს ეგზარქოს ნიკონის მონაწილეობით თბილისში დაარსდა რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება, რომელმაც გააერთიანა ეკლესიის წარმომადგენლები, ღვთისმეტყველები და საერო მეცნიერები.[1478] რუსეთის საერო და სასულიერო უწყებამ დააფასა ეგზარქოს ნიკონის ასეთი საქმიანობა და 1907 წლის 6 მაისს იმპერატორმა დაჯილდოვა კუნკულზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

ეგზარქოს ნიკონს თავისი შეხედულება გააჩნდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის შესახებ. თუმცა, მისი აზრით, კავკასიაში ეკლესიის რეორგანიზაცია დიდ სიფრთხილით უნდა განხორციელებულიყო, რადგან გაუთვალისწინებელ შედეგებს შესაძლებელია განხეთქილება გამოეწვია ეკლესიაში. იგი საჭიროდ მიიჩნევდა ეპარქიის უფლებების გაზრდას. მასვე საჭიროდ მიაჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველი მრევლი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში უნდა დარჩენილიყო. ეგზარქოს ნიკონის აღნიშნული შეხედულება საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევა იყო, რადგან, როგოც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული ნიშნის მიხედვით ეკლესიის მოწყობა არაკანონიკურ ფილეტიზმის სახელითაა ცნობილი. ეგზარქოს ნიკონის აზრით, საქართველოს საეგზარქოსოსაგან დამოუკიდებლობა უნდა მიეღო ბაქოს, ყარსის ოლქს და სოხუმის ეპარქიას. 1908 წლის

1477 ჟურნალი „ჯვარი ვაზისა," 3, 1990, გვ. 70.

1478 Софийский Л. Н. Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, Экзарх Грузии (1861-1908). СПб., 1909, срт. 97; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 127-133.

დასაწყისიდან იგი ამ საკითხებზე ინტენსიურად მუშაობდა. მთავარეპისკოპოსი ნიკონი სოხუმისა და ბაქოს ეპარქიების საქართველოს საეგზარქოსოდან ჩამოშორებისათვის აგროვებდა საჭირო მასალას ტერიტორიული საზღვრების გამიჯვნის, მოსახლეობის ეროვნული, ეთნოგრაფიული, რელიგიური შემადგენლობის, ეკლესია-მონასტრების, სასულიერო პირთა, სასულიერო სასწავლებლების რაოდენობისა და მათი მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ. ეგზარქოს ნიკონის ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ხელისუფლების პოზიციას გამოხატავდა, მიუღებელი იყო ქართველი ავტოკეფალისტებისათვის, რის გამოც ქართველ სამღვდელოებასა და ეგზარქოს შორის დაძაბული ურთიერთობა თანდათან ღრმავდებოდა.

ეგზარქოს ნიკონის მოღვაწეობა დაემთხვა რეაქციის ხანას, როცა ხელისუფლება რევოლუციონერების წინააღმდეგ გამოდიოდა. ქართველ ავტოკეფალისტთა დასუსტების მიზნით, ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. ავტოკეფალისტთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის საქართველოდან მოშორების მიზნით ეგზარქოსმა ნიკონმა რუსეთის უწმინდეს სინოდში გააგზავნა მიმართვა, სადაც დაუფარავად აღნიშნავდა, რომ „კირიონი ცდილობს მოსპოს ყველაფერი, რაც გაკეთებულია რუსი მღვდელმთავრების მიერ. აღნიშნულის გამო, იგი მოითხოვდა საქართველოდან მის გაწვევას და გადაყვანას რუსეთის რომელიმე ეპარქიაში. საქართველოს ეგზარქოსი მათ აუწყებდა იმასაც, რომ ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობით არც კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იყო კმაყოფილი, რომელსაც თავის მხრივ, გააჩნდა მყარი მტკიცებულებები მის საწინააღმდეგოდ. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გაითვალისწინა საქართველოს ეგზარქოსიის მოთხოვნა და 1907 წლის 25 იანვარს კირიონი დანიშნეს კოვნოს ეპარქიის მმართველად, შემდგომ კი უბრალო ბერად გაამწესეს კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბერნია), რაც, ფაქტობრივად, საქართველოდან მისი გასახლებას ნიშნავდა. დევნილი ქართველი ეპისკოპოსის მხარდასაჭერად ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა კირიონ საძაგლიშვილს 1908 წლის 8 მაისის გამამხნევებელი წერილით მიმართა, რომელსაც სრული სახით წარმოგიდგენთ:

„თქვენო უსამღვდელოესობავ, უფალო კირიონ!

თქვენ ხართ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებული; ყოველი თქვენი მოქმედება აღბეჭდილია ხალხისადმი განუსაზღვრელ მზრუნველობით; თქვენი განუშორებელი ფიქრია საყვარელ სამშობლოს კეთილდღეობა, რომლისთვისაც არ ზოგავთ ძალ-ღონეს, მზარდ ხართ შესწიროთ თვით სიცოცხლეც კი ოღონდ თქვენი შემკული მხარე გაზაფხულის ვარდივით გაიფურჩქვ-გადაიშალოს და თავისუფალ პროგრესის გზას დაადგეს. ესაა უმთავრესი მიზანი თქვენი ცხოვრებისა, სამშობლოს ტკივილი თქვენს ტკივილად გაქვთ მიჩნეული, მისი ნეტარება თქვენს ნეტარებათ; ყოველ თქვენ მოქმედებაში, სურვილში თუ ლტოლვილებაში მუდამ ის გამოსჭვივის თუ რა წვლილი შეიტანოთ ჩაგრულთა სანუგეშებლად და რა იღონოთ დამჩაგვრელთა

დასამხობლად; ერთის სიტყვით თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ერთი ბუმბერაზთაგანი მფარველი.

აი, ხალხისადმი ამნაირ განუსაზღვრელ სიყვარულით და მზრუნველობით აღჭურვილი დაშორდით ამ ქვეყნიურ ყველანაირ სიამოვნებას და აღიკვეცეთ ბერად იმიტომ კი არა, რომ რაიმე კარიერა შეგექმნათ და ფუფუნებას მისცემოდით, არამედ მიტომ, რომ უფრო მეტი დრო გქონებოდათ ნაყოფიერ მუშაობისათვის; დიახ, ამ აზრისთვის სრულებითაც არ გიმტყუნიათ, იმ დროს მოხვდით ეპისკოპოსად, როდესაც ვოსტორგოვები, სტეფანეები და ათასი მათგვარი, ქართველი ერის დამხობას ლამობდენ, მათ ერთიანად განადგურებას, მიწასთან გასწორებას ესწრაფოდენ, მწარედ აგიჩულყდებოდათ გული, როს ხედავდით თქვენი ერის დაჩაგვრას და გატიალებას; თქვენ მაშინ მზად იყავით ერთი ხელის დაკვრით დაუძინებელი მტერი მიწასთან გაგესწორებინათ, მაგრამ ამ დროს დაგაშორეს საყვარელ სამშობლოს და ცივ რუსეთისაკენ გამოგისტუმრეს. მიუხედავათ იმისა თუ რა ძნელი იყო სამშობლოს დაშორება მაინც დასთმეთ იგი, დასთმეთ იმიტომ, რომ კვლავ ისევ განგეგრძნოთ მუშაობა მის საკეთილდღეოდ. დაშორდით რა სამშობლოს კვლავ გააორკეცეთ თქვენი დაუღალავი მუშაობა და უფრო მეტი ნაყოფიც გამოაღებინეთ; იმ დროს, როდესაც ჩვენში კვლავ ისევ განაგრძობენ თარეშობას ჩვენი დაუძინებელი მტრები – სემინარიის რექტორები, ვოსტორგოვები და მრავალი სხვა, რომელთა ცდა იმაზე იყო მიმართული, რომ თბილისის სემინარია რუსულ სემინარიათ გადაექცია, რისთვისაც საუკეთესო ყმაწვილებს რიცხავდენ სემინარიიდან; თქვენ კი ამ შავ-უკუღმართ პოლიტიკის მსხვერპლი – გზა დაბნეულ ახალგაზრდობას დაუყონებლივ მფარველობას უჩენდით. ბევრი ახალგაზრდობა დაიხსენ გაუბედურებისაგან და გაუხსენი გზა სწავლა-განათლებისაკენ. შემდეგ, როდესაც რევოლუციამ იფეთქა და ჩაგრულთა ხმა დაუმალავად შეიქმნა, მაშინ თქვენ უარესად აღიმაღლეთ ხმა და თავისუფლების მოძრაობისაკენ სიხარულით გაეშურეთ, რადგან მასში ხედავდით საერთოდ ჩაგრულ ხალხთა აღდგენას და კერძოთ თქვენი ქვეყნის მძიმე მონობის უღლიდან განთავისუფლებას. ამ დროს თქვენ გამოხვედით გულმხურვალე დამცველად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა, თქვენი მტკიცე სიტყვა შეუპოვრად ჰკვეცავდა მტრის ბასრ მახვილსავით, ჩვენდამი მომართულ, პოლიტიკას, მაგრამ რა ჩანელდა რევოლუცია, თქვენ, როგორც ერთი საუკეთესო მფარველი ქართველი ერისა, გახდით მსხვერპლი გამძვინვარებულ რეაქციისა, მთელი ეპარქიის უფროსობის მაგიერ აი ამ უმნიშვნელო მონასტერში მოგცესთ ადგილი; მიუხედავათ ამისა, თქვენ ეს იოტის ოდენათაც არ მიიჩნიეთ, სულაც არ შედრკით, პირიქით თქვენი ბრწყინვალე კმაყოფილი სახე თქვენი რწმენის ღრმად განმტკიცებას გვიქადის, რისთვისაც მზათ ხართ სიამოვნებით აიტანოთ ყველანირი ტანჯვა-ვაება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ მიზნის დასაგვირგვინებლად.

აი რისთვისაც, ჩვენ ხარკოვის ქართველ სტუდენტთა ჯგუფი ვიჩქარით გიძღვნათ სალამი შეუპოვარ მებრძოლს თავისუფლებისათვის, ტანჯვა-ვაე-

ბის ამტანს ჩაგრულთათვის და დაუღალავს მუშაკს; გაძლევთ პირობას, რომ თქვენი მიწა-წყლის ახალგაზრდა შვილნი, თქვენი უმცროსი ძმები თქვენთან ერთად გაილაშქრებენ საერთო მტერზედ და მტრის შემუსვრით ააყვავებენ გათელილ კუთხეს და ჩაგრულ ერს.

ვინატრით, რომ მალე, სულ მალე, მტერი შემმუსვრილიყოს, ჩაგრული ერი განთავისუფლებულიყოს და ჩვენ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მინიჭებოდეს, თქვენ კი მის პირველ მმართველ კათალიკოსად გვენახოთ.


ზემოხსენებულ თანაგრძნობის გამოცხადებაზე სურვილი განაცხადეს ხარკოვის ქართველ სტუდენტთა შემდეგმა პირმა:

1908 წლის 8 მაისი ხარკოვი

1. გ. შალიბაშვილი, 2. გ. კეკელია, 3. გ. მშველიძე, 4. ვალ. ახვლედიანი, 5. კოტ. აბულაძე, 6. ნ. ფალავანდიშვილი, 7 გ. დეკანოზიშვილი, 8. ვ. კახაძე, 9. ა. ლოლაძე, 10. ვ. ყიფშიძე, 11. ნ. გიორგობიანი, 12. კ. ჩიქოვანი, 13. ქეთო ქუთათელაძე, 14. კ. შუბაშვილი, 15. გ. გელოვანი, 16. ი. ჯაფარიძე, 17 პ. ჩხეიძე, 18. ა. გამცემლიძე, 19. კ. ძნელაძე, 20. ლ. გულისაშვილი, 21. გ. ავალიშვილი, 22. ლ. თუმანიშვილი, 23. ე. აბულაძე, 24. ვ. კაკოიშვილი, 25. ნ. ფირცხალავა, 26. თ. ჩოგოვაძე, 27 ვ. ორჯონიკიძე, 28. არჩილ სავანელი, 29. ა. ტყემალაძე, 30. ლუშა სანაძე, 31. სანდრო ქვლივიძე, 32. გ. რცხილაძე, 33. მ. კუკავაძე, 34. ვ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, 35. ვანო ლორთქიფანიძე, 36. ვ. ნაზარიშვილი, 37. კ. ამირაჯიბი, 38. ზ. ამირაჯიბი, 39. მ. ხერხეულიძე, 40. ვ. ფარტიშვილი, 41. ნესტორ აბესაძე, 42. ვ. ქელბაქიანი, 43. ფორაქიშვილი, 44. ცხადაძე."[1479]

ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის დევნის გამო, საქართველოს დიდმა გულშემატკივარმა ნიკოლოზ დურნოვომ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში კავკასიაში ეკლესიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოეშორებინათ მთავარეპისკოპოსი ნიკონი საქართველოდან და მის ადგილზე დაენიშნათ კირიონი. საქართველოდან გაწვეული ქართველი მღვდელმთავარი არ წყვეტდა კავშირს საქართველოსთან და აგრძელებდა ავტოკეფალისტებთან აქტიურ საქმიანობას.





ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) გადასახლებაში. კურიაჟის მონასტერი, ხარკოვის ეპარქია. 1908 წ.

ხელისუფლების მიზანს ემსახურებოდა 1908 წლის პირველ თებერვალს ეპისკოპოსი ლეონიდეს (ოქროპირიძე) გადაყვანა გურია-სამეგრელოს კათედრაზე. ჟანდარმერიის მონაცემებით,

1479 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ, 1, საქმე საქმე 153, ფურცელი 1-2.

კირიონი და ლეონიდე რეგულარულად საიდუმლოდ ჩამოდიოდნენ თბილისში ავტოკეფალისტების სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

რეაქციის პერიოდში (1907-1910 წწ.) ქართველი ავტოკეფალისტები დიდ დევნა-შევიწროვებას განიცდიდნენ. როგორც აღინიშნა, მისი აქტიური მონაწილენი საქართველოდან რუსეთის შორეულ ეპარქიებში გადაასახლეს. ეჭვმიტანილი სასულიერო პირები საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეგზარქოს ნიკონს ჟანდარმერიის საიდუმლო ინფორმაციით სრული ცნობები გააჩნდა ქართველ ავტოკეფალისტთა საქმიანობის შესახებ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, ეგზარქოსის სამუშაო ოთახში ინახებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მესამე გამყოფილების შედგენილი საიდუმლო მიმართვა კავკასიის მეფისნაცვისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო: „სარწმუნო ცნობებით ქართულ სამღვდელოებას სურს, ჩამოცილდეს უწმიდეს სინოდს და გამოაცხადოს ავტოკეფალია." მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ მათ ავტოკეფალიის დასამტკიცებლად მიუმართავთ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისათვის, „ხოლო პატრიარქმა სეფისკვერის აღსრულება აღუთქვა." მიმართვაში დასახელებული იყო თორმეტი სასულიერო პირი, რომლებიც აღნიშნული მოძრაობის სულიჩამდგმელები იყვნენ. აღნიშნულ ფაქტს, კალისტრატე ცინცაძის ცნობით, არ ჰქონია ადგილი. მისი მტკიცებით, ქართველ სამღვდელოებას ავტოკეფალის მოთხოვნით არასოდეს მიუმართავთ კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ასეთ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რომლის უტყუარ წყაროებს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ჟანდარმერიის შედგენილი დასახელებული მიმართვა ნიკონის გარდაცვალების შემდეგ მის დროებით შემცველ ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოს გრიგოლის (ვახნინი) ხელში აღმოჩნდა, შემდეგ კი ეგზარქოსი ინოკენტი გახდა მისი მფლობელი. საქართველოს ეგზარქოსი სწორედ ამ მიმართვაზე დაყრდნობით ახდენდა სასულიერო პირების შევიწროვებას და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მათი თბილისიდან ანდა საქართველოდან გაძევებას. როგორც კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს: „თბილისის სამღვდელოებიდან უნდა გაეძევებინათ საუკეთესო და შეგნებული მღვდლები და ამის შედეგად უმეთაუროდ დაეტოვებინათ ავტოკეფალური მოძრაობა."[1480] აღნიშნულის შესახებ ეგზარქოსი ნიკონი ალექსანდრე ცაგარელთან საუბარში დაუყონებლივ მოითხოვდა საიდუმლო მიმართვაში დასახელებული თორმეტი სასულიერო პირის თბილისიდან განდევნას, რომლის ვინაობა მხოლოდ ეგზარქოსისათვის იყო ცნობილი. ასეთი არასაიმედო სასულიერო პირები დათხოვნილ იქნენ. სწორედ ეგზარქოს ნიკონის მიერ შევიწროვებული ცნობილი ავტოკეფალისტი მღვდელი ილარიონ ჯაში პირადი სურვილით იძულებული გახდა ბაქოს გუბერნიაში გადასულიყო, მეორე ცნობილმა ავტოკეფალისტმა მღვდელმა ბენიამინ კონტრიძემ სწავლა კი ყაზანის უნივერსიტეტში გააგრძელა. რეაქციის მიუხედავად ავტოკეფალისტთა მოძრაობა არ შეჩერებულა.

1480 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 142.

კავკასიაში ეგზარქოს ნიკონის პოზიციების გამყარების მიზნით, 1907 წლის 9 მაისს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსად დანიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი გრიგოლი (ვახნინი), რომელიც ამ ეპარქიას მართავდა 1910 წლის 31 დეკემბრამდე. ეგზარქოს ნიკონის სპეციალური ბრძანებით, რომელიც რუსეთის უწმინდეს სინოდთან იყო შეთანხმებული, ეგზარქოსის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსს, რადგან იგი არ ენდობოდა ქართველ ეპისკოპოსებს, ვინაიდან ისინი პოლიტიკურად არასაიმედოდ მიაჩნდა. ასეთივე პოლიტიკას აგრძელებდნენ მომდევნო ეგზარქოსები.[1481]

მოწინავე ქართველი საერო და სასულიერო პირები წინ აღუდგა რეაქციის შემოტევას. უცხოური პერიოდული პრესა საქართველოში რუსეთის ძალმომრეობის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა იმხანად ინგლისში მოღვაწე მსოფლიო ანარქიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ცნობილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მისმა უცხოელმა მეუღლემ ფრიდამ. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად ვარლამ ჩერქეზიშვილი XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე ავტოკეფალისტთა მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ანარქისტების დამოკიდებულება ეკლესიისა და ყველა სახის რელიგიის მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო. მათი დიდი ნაწილი ეკლესიას ათეისტური პოზიციებიდან აკრიტიკებდა, ჩაგვრის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევდა და მცდარ იდეოლოგიურ მსოფლმხედველობად წარმოაჩენდა. მათგან განსხვავებით ვარლამ ჩერქეზიშვილი ქართული რეალობიდან გამომდინარე მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ქვეყნის წინსვლაში, რის გამოც იგი აქტიურად უჭერდა მხარს ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობას.

ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი მეუღლის ინიციატივით, ლონდონელმა მანდილოსნებმა პროტესტი გამოხატეს რუსეთის ხელისუფლების მიმართ. რევოლუციის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად ლონდონში შეიქმნა „რუსის დესპოტიზმის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტი" საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების უფრო კარგად შესწავლის მიზნით 1906 წლის შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას ეწვივნენ ვარლამ ჩერქეზიშვილის ახლობელი მეგობრები ქალბატონი ნენი დრაიჰორსტი და ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი ჰენრიხ ნევინსონი.[1482] მათ შემოიარეს მთელი საქართველო. მეგზურობას უწევდა თავად ვარლამ ჩერქეზიშვილი. ნენი დრაიჰორსტი და ჰენრიხ ნევინსონი დაინტერესდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხით. ამ მიზნით მათ ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარებით დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს საიდუმლოდ მოუნახულებიათ იმერეთის

1481 Епископ Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, 1912, стр. 2; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 30-31.

1482 გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ჰენრიხ ნევინსონი საქართველოს შესახებ (1906), საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, (4), თბ., 2008, გვ. 426; შდრ. დ. შველიძე, აი ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი, თბ., 2001, გვ. 230-231.

ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე და დეკანოზი დავით ღამბაშიძე. კონსპირაციის მიზნით ვარლამ ჩერქეზიშვილი მღვდლის ანაფორით დაჰყვებოდა სტუმრებს.[1483] როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილი გადმოგვცემს, მისი თხოვნით დეკანოზ დავით ღამბაშიძეს შეუგროვებია და უთარგმნია ქართულ პერიოდულ პრესაში ავტოკეფალიის შესახებ არსებული მასალები და იგი გადაუცია ჰენრიხ ნევინსონისათვის. ქართველი საერო და საულიერო პირთა მიერ მინოდებული ინფორმაციით ინგლისიდან ჩამოსულმა ვარლამ ჩერქეზიშვილის ახლო მეგობრებმა ევროპას ამცნეს ქართველი ერის პოლიტიკური და რელიგიური უუფლებობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰენრიხ ნევინსონმა ინგლისურ და ამერიკის პრესაში არაერთი წერილი გამოაქვეყნა.[1484]

ამავე პერიოდში ვარლამ ჩერქეზიშვილის ინიციატივით შეიქმნა პეტიციის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა ქართული საზოგადოებრიობა, მათ შორის, სასულიერო პირებიც. პეტიციაში, რომელიც ჰააგის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს უნდა გადასცემოდა, დაწვრილებით იყო საუბარი ქართველი ერის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მასში სხვა საკითხებთან ერთად მოთხრობილი იყო იმ უკანონობაზე, რომლის ძალითაც რუსეთმა გააუქმა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მიითვისა მისი ქონება. პეტიციის ტექსტის საბოლოო რედაქცია ვარლამ ჩერქეზიშვილის თხოვნით შეასრულა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა ერნესტ ნილსმა. აღნიშნული პეტიციის ტექსტი რამდენიმე ენაზე გამოქვეყნდა და იგი 1907 წელს ჰააგის კონფერენციის დეპუტატებს დაურიგა ჰენრიხ ნევინსონმა.[1485] ევროპა აღშფოთებული იყო საქართველოში მიმდინარე ამბებით.

რეაქციის დროს ეგზარქოსი ნიკონი შეეცადა გაერკვია ქართველ სასულიერო პირთა განწყობა ავტოკეფალიასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, მისი ინიციატივთ 1907 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა სამღვდელოების ყრილობა, რომელსაც თვითონაც ესწრებოდა და, როგორც თვითონ ეგზარქოსი რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგაზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, ყრილობის მონაწილეები გაუფრთხილებია, რომ კამათის დროს მოურიდებლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ეგზარქოსი ნიკონი აგრეთვე განმარტავდა, რომ ყრილობის დღის წესრიგში მისი მითითებით არ შეუტანიათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რადგან, როგორც ყრილობის მონაწილე არაქართველ, რუს და ბერძენ სამღვდელოებასთან ცალკე შეხვედრისას იგი აღნიშნავდა: „იმპერატორის ბრძანებით მისი გადაწყვეტა მომავალ კრებას დაევალა, ხოლო ხელმწიფის ბრძანების არა თუ გაუქმება, არამედ შესწორებაც კი დანაშაულად მიმაჩნია-მეთქი." მართალია, ყრილობაზე საქართვე-

1483 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 23; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 91, აღწ. 1, საქმე 271; შდრ. გ. ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი, რელიგია, 1998, 7–8, გვ. 91–93.

1484 გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ჰენრიხ ნევინსონი საქართველოს შესახებ (1906), საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, (4), თბ., 2008, გვ. 426.

1485 ჟურნალი „პრომეთე," 3.

ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი არ დასმულა, მაგრამ ქართველმა სასულიერო პირებმა მოითხოვეს სასულიერო განათლების მიღება მშობლიურ ენაზე და ისეთი საკითხები წამოწიეს წინა პლანზე, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ დამოუკიდებელი ეკლესიის პირობებში იყო შესაძლებელი.[1486]

რეაქციის დროს ხელისუფლებამ გააძლიერ რეპრესიები. რეაქციის ხანას შეეწირა ილია ჭავჭავაძე. 1907 წლის 30 აგვისტოს ტერორისტებმა წიწამურთან ვერაგულად მოკლეს „ერის მამად" წოდებული ილია ჭავჭავაძე. ქართველმა სამღვდელოებამ დიდი პატივი მიაგო ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას. მათი მოთხოვნით, წიწამურში მკვლელობის ადგილზე აღიმართა ხის დიდი ჯვარი. ილიას მკვლელობას გამოეხმაურა ქართველი სამღვდელოება. დამკრძალავი კომისიის სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თანაგრძნობის დეპეშები იგზავნებოდა ქართველი სასულიერო პირებისაგან. დაკრძალვის დღეს, 9 სექტემბერს საქართველოს თითქმის ყველა ეკლესიაში გადაიხადეს მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, შეკრებილ მრევლს სასულიერო პირებმა სიტყვით მიმართეს, რითაც წარმოაჩინეს ილიას ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე. მეტად საინტერესო იყო თელავის მიძინების ტაძარში პანაშვიდის შემდეგ სოფელ კურდღელაურის მოძღვრის დიმიტრი დეკანოზოვის (დეკანოზიშვილი) ქადაგება, რომელიც კარგად წარმოაჩენს იმდროინდელი ზნეობრივად გადაგვარებული საზოგადოების ერთი ნაწილის სახეს, რის გამოც საჭიროდ მიგვაჩნია მისი სრული სახით გამოქვეყნება:

„ძმანო ქრისტიანენო! შვილთა ურჯულოებისათა სისხლით ჩააქრეს ღადღადა ლამპარი მანათობელი ჩვენი შავ-ბნელი ცხოვრებისა. მოკლეს ილია ჭავჭავაძე, დიდებული მამა ქართველთა, მოციქულთა სწორი მოძღვარი, ჩვენი ჭირის და ლხინის თავის უბე-კალთაში მატარებელი.

ილიას მკვლელთ მარტო იგი არ დააზიანეს, ილიას გულში გავლილმა ტყვიებმა შორს უწიეს, დიდი მანძილი განვლეს და მოხვდნენ ქართველის შვილთ დაწყებული შავი ზღვიდგან, ვიდრე კასპიის ზღვამდე. მათ განგმირეს თვითოეული ქართველის გული, ღრმა ჭრილობა დააჩნიეს, მწველი ცეცხლი მოუდეს, ამის გამო მოისმის კვნესა და გოდება ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდამ. ამისათვის იბრდღვნის ქართველი თმა-წვერს, იღადრის ლოყებს, გულზე მჯიღს იცემს და ეძიებს ილიას მკვლელებს.

ვინ მოკლა ილია? ვინ შეაგინა, დაასახიჩრა სათაყვანებელი გვამი? ვისთან რა დანაშაულობა ჰქონდა ამ ღვთის კაცს? ნუთუ ესოდენ დიდი იყო ილიას დანაშაულობა ვისთანმე, რომ ნახევარი საუკუნის დაუღალავმა ღვაწლმაც, სამშობლოს ასაყვავებლად გაწეულმა მის მიერ, ვერ გამოისყიდა 70 წლის რამდენიმეღა დაშთენილნი დღენი?

თუ ყაჩაღებმა მოკლეს ილია, ისეთი რა ყაჩაღები იყვნენ, რომ „კაკაო ყაჩაღი" არ წაეკითხოთ და მასში გამოთქმულმა მჩაგვრელთადმი უფლის წყრომამ ხელი არ დაუდუნათ, დაჩაგრულთა მოსარჩლის, ილიას მოსაკლავად აღმართული.

1486 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 143-144.

ან იქნებ ილია გლეხებმა მოკლეს? მაგრამ ისეთი რა გლეხები იყვნენ გიორგისა არაფერი ეცხოთ, ოთარაანთ ქვრივის შვილისა? ან კი რას ემართლებოდნენ? განა ილია მფარველი ანგელოზი არ იყო; სხვას ვის უყვარდა გლეხი ისე, როგორც ილიას? სხვამ ვინ გამოსთქვა გლეხის ჭირი და მწუხარება ილიაზედ მჭერ-მეტყველად? არა, გლეხი ილიას ვერ მოკლავდა! ვის მოუკლავს თავისი მოსიყვარულე მამა?

ან იქნებ ილიას მკვლელნი ნასწავლები იყვნენ? მომავალ ბედნიერებას, უკეთეს მერმისს შესწირეს ილიას სიცოცხლე მსხვერპლად? ჭეშმარიტი ნასწავლი ძლიერ შორს არის მკვლელობიდან, უბრალოდ შურისა და მტრობიდანაც კი. ჭეშმარიტი ნასწავლები, არჩილთან და კესოსთან ერთად სტირიან წოდებათა შორის ჩატეხილს ხიდზე. ისინი ცდილობენ ერთობისა და სიყვარულის ხიდი გადონ მათ შორის, არამც თუ მტრობა სთესონ და სისხლი ღვარონ.

შეიძლება ილიას მკვლელნი სამღვდელოთაგანნი იყვნენ? თვალს ეკლად სჩხვლეტდეთ მათ ილიასაგან დახატული ექვთიმე მღვდელი და განდეგილი? რადგანაც იგინი ცოცხალი საყვედურნი არიან მათი დღევანდელი დავრდომილი და თავის მაღალ დაუსაბამო ცხოვრებისა? თუ ასეა, სად გაექცევიან იგინი სვინდისის მხილებას? რატომ თვალწინ არ უდგიათ თმა-გაწეწილი განდეგილი, მყინვარის დაბლა ხევ-ხუვში მსბოლვარე, სიკვდილის ფერი, რომ გადასდებია?

ან იქნე, თავადაზნაურნი იყვნენ ილიას მკვლელნი? უწინდელი შური რომ იძიეს, რადგან ილიამ იგინი სამარცხვინო ბოძზედ მიაკრა თავის თხზულება „კაცია-ადამიანში." არა, თუკი მათ ილიას მოკვლა უნდოდათ მაშინაც ვერ გაბედეს, როცა, ჯერ კიდევ, ლეკების სისხლში ჰქონდათ ხელი შესვრილი და ძალ-ღონე შესწევდათ, დღეს როგორ გაბედავენ, როდესაც ასე დაეცნენ და სიქა გამოელიათ.

მაშ, ვინ არიან ილია მკვლელნი? ნუთუ ვერასოდეს ვერ გავიგებთ? ნუთუ შერჩებათ მათ ილიას სისხლი და ჩვენ ესოდენი შეურაცხყოფა და თავზედ ლაფის დასხმა?

ღვთის სულიერნო შვილნო! ებრაელებს ძველად ასეთი წესი ჰქონდათ: როდესაც სადმე მოკლულ კაცს იპოვიდნენ და მკვლელებს ვერ აღმოაჩენდნენ, შეიკრიბებოდნენ იმ არემარის მცხოვრებნი და თვითვეულად ფიცს მიიღებდნენ მიცვალებულის გვამზედ, რომ არ ერიენ მის სისხლში. ჩვენც ასე მოვიქცეთ, წარვსდგეთ გონებით, რომ ილიას დასისხლიანებულს გვამთან და შევფიცოთ, რომ უბრალონი ვართ მისის სისხლისაგან. ეს ემჯობინება უბრალოდ ცრემლის ღვრას. ამით ჩვენს ერთგულებას და მამობრივ სიყვარულს მაინც დავუმტკიცებთ ჩვენს მგოსანს, თუ მის მკვლელებს ვერ აღმოვაჩენთ.

მაგრამ თქვენ ბრძანებთ: რა გვაქვს ჩვენ დასაფიცი, ილია ოთხმა შეიარაღებულმა მოკლა და არა ჩვენ, რა გვაქვს ჩვენ საერთო ამ იუდეებთან და კაენებთანაო?

მაშ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ: საიდან გაჩნდნენ ილიას მკვლელნი? მიწიდგან ამოძვრნენ თუ ციდგან ჩამოცვივდნენ? ესენი ჩვენში არ დაიბადნენ,

აღიზარდნენ და განისწავლენ, ესენი იმ ნივთიერი და ზნეობრივი საზრდოთი არ იკვებებოდნენ, რომელსაც ჩვენ, ჩვენი საზოგადოება აწვდიდა? მაგრამ რას ვამბობ? იმათ ჩვენ ნივთიერს და სულიერს საზრდოს კი არ ვაწვდიდით, პირიქით, ვძარცვავდით, თუ რამ ებადათ საცხოვრებლად. ჩვენ მათ პურის მაგიერ ქვა მივეცით; თევზის მაგიერ გველი. წავართვით მათ ყოველივე სიცოცხლის მასულდგმულებელი და მასაზრდოებელი ძალები, ნივთიერი და ზნეობრივი, რითაც კაცი კაცობს და ღმერთს ევედრება. ეს რომ ასეა, ამაზე მოვისმინოთ თვით ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვები, რომელსაც ეუბნება მკვლელს ყაჩაღის პირით, თავის მოთხრობაში „სახჩობელაზედ:" „ჩვენი ცოდვა ყველას გადევთ კისერზედ. მარტო მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვცარცვეთ... ყველამ მოგვიღეთ ბოლო. ყველანი ხედავთით, რომ თვალ-ცხადად გვცარცვავდნენ, არავინ მოგვეშველენით, ხმა არავინ ამოიღეთ. მძულს ქვეყანა და ნამეტნავად ადამიანები. თქვენსა და თქვენს შუა ხიდი ჩავტეხე. მე აქეთ ნაპირას გამოვირიყე მარტო, თქვენ იქით დარჩით მრავალნი. მშვიდობით! თუ როდესმე ჩემი ნახვა მოინდომო, მოდი სახჩობელაზედ და აქ მნახავთ ჩემ ჩამოხჩობილ ძმასთან ერთად... ჩემი ბოლო ეგ არის... განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი დამღუპველი მამინაცვლისა? განა შენ კი არ გამცარცვე? შენ კი არ დამიხრჩვე ჩემი ერთადერთი საყვარელი ძმა? მეც შენ არ მიგყევარ სახრჩობელისკენ?" დღეს უფრო მეტს მეტყველებენ ილია დადუმებული ბაგენი. ისინი გეუბნებიან თვითოეულს ჩვენგანს: „განა შენ კი არ ურევიხარ ჩემს სისხლში? შენ კი არ მტყორცნე გულში ცხელი ტყვიები? შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი მკვლელისა?"

ეხლაც ვიტყვით, ილიას მკვლელებთან საერთო საქმე არა გვაქვს რაო? მისი სისხლისდგან უბრალონი ვართო! როგორც მოკლულის სისხლი, ისე მკვლელის ცოდო ჩვენც გვადევს კისერზედ, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ ყველას კი.

მართლადაც, ჩვენში არ ითესება თესლი მტრობისა, შეურიგებლობისა და სიძულვილისა, წოდებათა და მდგომარეობათა შორის? გლეხსა და თავადში, მღვდელსა და მრევლში, პატრონსა და მუშაში, მოსწავლესა და მასწავლებელში, თითქმის ცოლ-ქმართა და მამა-შვილშიაც კი? რა არის ეს, თუ არა მკვლელობის ხელის მომართვა?

განა გულწრფელად ვყვირით მაღალ სიტყვებს – ძმობა-ერთობისას, პიროვნების ხელშეუხლებლობას, სიკვდილით სასჯელის გაუქმებას, თუ ის სიკეთენი გვემეტება და გვენატრება არა ადამიანისათვის საზოგადოდ, არამედ მარტო ჩვენთვის და ჩვენიანებისათვის? თუ ესე არ არის და ყველა ძმად მიგვაჩნია, რაღა იღვრება ჩვენს გარშემო ეს ამოდენი რუი სისხლისა?

ჩვენ არ უნგრევთ საძირკველს ადამიანის სიცოცხლეს, როდესაც უარსვყოფთ ღმერთს ქვეყნის გამგეს, სიცოცხლის ერთადერთ პატრონსა და მომცემს, ჩვენ არ ვუსპობთ სიცოცხლეს ერთადერთ მის აზრის მომცემს – გონებრივს და ზნეობრივს საფუძველს, როდესაც უარს ვყოფთ ცოდო-მადლს, სულს, საიქიოს, შებრალებას, ნამუსს, ნათესაობას, ეროვნებას,

ენას, ისტორიას და ყველა იმას, რაც მუცელში არ ჩაიდება და ტანთ არ ჩაიცმის, ხოლო ურომლისოდაც ადამიანი პირუტყვდება, სიცოცხლეს აზრი ეკარგება, ფასი ეცემა?!

მათს გარდა რაღა რჩება სიცოცხლეს საწაღმართო? რჩება გაუმაძღრობა, ქიშპობა და შეურიგებელი ბრძოლა, რჩება ძალმომრეობა, შური, მტრობა და სისხლის ღვრა. რჩებიან საუკუღმართო ძალნი, არა აღმშენებელნი და შესამწერნი სიცოცხლისა, არამედ მისი დამაქცეველნი და მომსპობელნი. საზოგადოების ასეთი ზნეობრივი ვითარებითგან სხვა რა კეთილი წარმოსდგება, თუ არა შემწეობა და დახმარება სიკვდილისა? და აკი კიდეც ეკაფება გზა სიკვდილს. დავრევივართ ერთმანეთს და ვჟლეტთ ვინც ვის მოვერევით... ისე აგვბმია თვალები, ისე დაგვშხობია სვინდისი, რომ საუკეთესო მამულისშვილებსაც არ ვზოგავთ. უღრთმოთ ვხოცავთ ერთმანეთს. თუ არა ღვთისწყრომით, სხვისით რით აიხსნება ჩიტაძეებისა, ხიზანოვებისა, ვოლსკებისა, ხუდადოვებისა და ილიების ხოცვა? ცოდვა გაგვიმრავლდა, ლამის სისხლმა წაგვლეკოს. მტრობა, ბრძოლა და სისხლის ღვრა ბედნიერებას ვერ მოგვიტანს, უკეთეს მერმის ვერ შეგვიქმნის. „არა მოჰკრიფიან ყურძენი ეკალთაგან." მსგავსი მსგავს შობს. მტრობა ერთმანეთს ამოწყვეტს და გადაშენებას მოგვიტანს. თუ ხალხის სამსახური გვინდა, სულ სხვა გზას უნდა დავადგეთ. არა მტრობისას, არამედ სიყვარულისას. ტყუილად კი არ დასწერა სულმნათმა ილიამ: „ყოველთვის ასე ყოფილა: ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობა დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო."

მაშ, შევიგნოთ, რომ გადაშენების გზაზედ ვდგევართ და არა აშენებისაზედ. შევიგნოთ, რომ ერთმანეთის ცოდვაში ვდგებით, ერთმანეთს ვღუპავთ სულითა და ხორცითაც. ისე ყოველი დაღვრილი ადამიანის სისხლი ჩვენც გვედება კისერზედ. შევიგნოთ, რომ ჩვენი ხელით მოვკალით ჩვენი სათაყვანებელი მამა და მოძღვარი. შევიგნთ, რომ ჩვენ თვითონ დავისხით თავზედ ლაფი და შევარცხვინეთ ქართველი ერის სახელი. შევიგნოთ, შევისმინოთ, ვიგლოვოთ და ვიტიროთ. ვიგლოვოთ არა მარტო ილია, არამედ და უფრო კიდევ ჩვენი სიბრმავე, ცოდვანი და დანაშაულობანი წინაშე ღვთისსა და კაცთა წინაშე ჩვენ მიერ შეგინებულის და დასახიჩრებულის ილიას გვამისა.

დღეს მის გვამს, მრავალტანჯულს და გამწარებულს შავ მიწას მიაბარებენ, იქ, სადაც განისვენებს მასავით წამებული დიმიტრი ყიფიანი და სხვანი კაცთ სიავით დახოცილნი. დღეს იქ იღვრის მდინარე ცრემლთა. ჩვენც ვიგლოვთ და ვტირით. დეე, ჩვენი ცრემლიც მიემატოს საქართველოს სხვა შვილებთა ცრემლს. ჩვენ, კახელებს, უფრო მეტი გვმართებს მწუხარება და გლოვა. ის იყო ჩვენი მშვენიერი კახეთის სახელოვანი შვილი, ჩვენში დაბადებული და აღზრდილი. ვიტიროთ, ცრემლიც ვღვაროთ. ილიას ახარებს ეს ცრემლი, რადგან ამეებით განიბანება სული და გული ჩვენი ცოდვათა და ურჯულოებათაგან, შურისა, მტრობისა და ყოვლის ბოროტისაგან. ილიას დაატკბობს ეს ცრემლები. მას სჯერა, რომ ესრეთი ცრემლები უკან სწვავს და სპობს ყველა იმას, რაც ეღობება კაცთა ერთმანეთთან დაახლოებას. ილია დარწმუნებუ-

ლია, რომ ცრემლთა მდინარი, ქართველების თვალთაგან დღეს გარდმოდენილი მოიტანს ტივებს და გაიდება ხიდი კაცთაგან ვიდრე კაცამდე... და დაამყარებს მათ შორის ძმობას, ერთობას და სიყვარულს, რაცა მოგვმადლის ჩვენ ღმერთი. ამინ. ამინ."[1487]

რეაქციის დროს ხელისუფლების რეპრესიებს ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ ტერორიზმის გააქტიურებით უპასუხა. გახშირებული ტერორისტული აქტის მსხვრპლი შეიქმნა ეგზარქოსი ნიკონი, რომელიც 1908 წლის 28 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდლური კანტორის კიბეებზე ასვლის დროს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. მომხდარი ფაქტის შესახებ ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა დასაგმობი წერილები. თითქმის ყველა გამოცემაში ჩადენილი დანაშაული მოიხსენებულია „უმაგალითო, ყოვლად გაუგონარი, აუხსნელი და საზიზღარი მხეცურ მკვლელობად." პერიოდული პრესის მიხედვით, „საათის თერთმეტის ნახევარზე ეგზარხოსი მესენაკის თანხლებით თავის სასახლიდან გამობრძანებულა კანტორის სხდომაზე დასასწრებლად. როცა კანტორაში შესულა მას დადარებია ვიღაც ყმაწვილი, ახალგაზრდა მღვდლის ტანისამოსში და ლაპარაკი დაუწყია. შემდეგ, როცა კიბე აუვლია და პროკურორის კაბინეტამდის მისულა, აქ ვიღაც ორი ყმაწვილი კაცი დახვედრია და ერთ მათგანს თხოვნისავით დაკეცილი ქაღლდი მიურთმევია, ეგზარხოსი შემდგარა და ამ დროს მკვლელებს მაუზერები დაუხლიათ და რვა ჭრილობა მიუციათ. მესენაკეც ფეხში დაუჭრიათ. ეს უკანასკნელი კანტორაში შევარდნილა, მოსამსახურენი გამოცვენილან გარეთ და ეგზარქოს მიშველებიან. ამ დროს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ლაპარაკის ღონე აღარ ჰქონია და ოცი წუთის შემდეგ გარდაცვლილა თავის სასახლეში. ვერც ის მღვდელი და ვერც ნამდვილი მკვლელები ვერ იპოვეს. კანტორასთან მდგომმა დარაჯმა თოფი ესროლა მკვლელს და ამბობენ კიდეც დაუჭრიაო."[1488] სხვა ცნობით, მკვლელები გაიქცნენ სიონის ტაძრის მიმართულებით და გაუჩინარდნენ ძველი ქალაქის ერთ-ერთ ვიწრო შესახვევში.[1489] მომხდარი ფაქტის ადგილზე მალე მოვიდა პოლიცია, რომელიც საქმის გამოძიებას შეუდგა, ხოლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბოროტმზრახველებს ორივე მხრიდან მიუყენებიათ ჭრილობა ეგზარქოსისათვის, „სამი ტყვია მეორე მხარეზე გასულა, გაუკაწრავს სხეულის სხვადასხვა ნაწილები, გული, ფილტვები, შინაგანი ორგანოები, ერთი ტყვია მოხვედრია კისერში, დანარჩენი კი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში."[1490] იმავე დღეს, 3 საათზე თბილისის საიდუმლო პოლიციის უფროს როტმისტერ კარაულოვს, როდესაც იგი მომხდარ ადგილის დათვალიერები-

---

1487 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, საქმე 48; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა და ქართველი სამღვდელოება, გაზეთი „კალმასობა," 1988, 9; ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 70-76.

1488 ჟურნალი „შინაური საქმეები," 8, 1908, გვ. 14.

1489 გაზეთი „ჩვენი კვალი," 2, გვ. 17.

1490 საისტორიო ცენტრალური არქივი ფ. 488, საქმე 22737, ფურცელი 7-8; შდრ. გაზეთი „Кавказ," № 89, 1908, стр. 2; შდრ. გაზეთი „ჩვენი კვალი," 2, გვ. 17.

სა და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ბრუნდებოდა სამსახურში, სომხის ბაზართან უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხნეს და უმნიშვნელო ჭრილობა მიაყენეს.[1491] უეჭველია, რომ მომხდარ ფაქტს კავშირი უნდა ჰქონოდა რამდენიმე საათის წინ მომხდარ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან.



ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ადგილი

ექსპერტიზის შემდეგ, ეგზარქოსის ცხედარი ცინკის კუბოში ჩაასვენეს, 2 საათზე საეგზარქოსოში შეკრებილმა სამღვდელოებამ ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსის გრიგოლის ხელმძღვანელობით მცირე პანაშვიდი გადაიხადა და ცხედარი გადაასვენეს საეგზარქოსოს ჯვარის ეკლესიაში. ეგზარქოსიის გადასვენებას ესწრებოდა კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, მისი მეუღლე, მეფისნაცვლის თანაშემწე ნ. შატილოვი და სამხედრო სენატორი ი. მიცკევიჩი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრები, კანცელარიის დირექტორი ნ. პეტერსონი, თბილისის გუბერნატორი, გენერალიტეტი, თავადაზნაურთა წინამძღოლი, სხვადასხვა სამხედრო და საერო დაწესებულების წარმომადგენლები.

მომხდარი ფაქტი დეპეშით მალევე ეცნობა პეტერბურგის უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას. 2 ივნისს კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე აღნიშნავდა: „ღრმად ამაღელვა საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობამ. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის ყველა კეთილგონიერი მცხოვრებნი ამ ბოროტმოქმედებით ისე არიან შეწუხებულნი, როგორც მე. ვმადლობ მათ, ვინც თქვენ გამოგიცხადათ თავისი აღშფოთება და მწუხარება." სამძიმრის დეპეშები მოვიდა რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებისაგანაც.[1492]

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობას ასრულებდა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნინი). იგი ხელმძღვანელობდა გარდაცლილის გაპატიოსნების ცერემონიალს. როგორც ჩანს, ხელისუფლება არ ენდობოდა ქართველ მღვდელმთავრებს და ყველა საკითხის მოგვარება დაკისრებული ჰქონდა ბაქოს რუს მღვდელმთავარს გრიგოლს. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნა, რუსეთის უწმინდესი სინო-

1491 გაზეთი „ჩვენი კვალი," 2, გვ. 22.


1492 Софийский Л. Н. Высокопреосвященный Никон, архиепископ Карталинский и Кахетинский, Экзарх Грузии (1861-1908). СПб., 1909, стр. 97; შდრ. გაზეთი „ჩვენი კვალი," 3, გვ. 116.

დის გადაწყვეტილებით ეგზარქოსის არ ყოფნის შემთხვევაში, მისი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსს. ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსისა და კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა სამძიმრის დეპეშები. აღნიშნული ფაქტით ქართველი სამღვდელოება უკმაყოფილო იყო. ამიტომ ისინი თავს იკავებდნენ კავკასიის მეფისნაცვალთან მისვლაზე სამძიმრის გამოსახატავად. კავკასიაში სიმშვიდის მისაღწევად მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა შუამავლების მეშვეობით მიაღწია იმას, რომ ქართველი მღვდელმთავრები და სამღვდელოების ერთი ნაწილი მას სასახლეში ეწვივნენ და სამძიმარი გამოუცხადეს. აღნიშნული ფაქტის შესახებ კავკასიის მეფისნაცვალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ მათი მიუსვლელობა გაამყარებდა იმ აზრს, რომ ეგზარქოსის მკვლელობა ქართველი სამღვდელოების მიერ განხორციელდაო.[1493] გარდა აუდენციისა, ქართველმა სამღვდელოებამ აგრეთვე, ფორმალობის მოხდის მიზნით, სამძიმრის მიმართვები გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს და ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოს გრიგოლს.

ეგზარქოსიის დაკრძალვამდე აიკრძალა გასართობი ღონისძიებების ჩატარება. ეპისკოპოს გრიგორის კურთხევით საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა ეკლესია-მონასტერში აღესრულებოდა პანაშვიდები. ხელისუფლებამ ეგზარქოსიის გასაპატიოსნებლად სპეციალური გეგმა შეიმუშავა. ბეჭდური სახით გამოიცა კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის დამტკიცებული ეგზარქოს ნიკონის დაკრძალვის ცერემონიალი, რომელშიც ზედმიწევნით გაწერილი იყო თუ რომელი ქუჩით მიესვენებინათ მისი ნეშტი თბილისის სიონის საკათედრო ტაძრამდე, ვის უნდა მიეღო მონაწილება პროცესიაში. აგრეთვე აღნიშნული იყო თუ როგორი მარშრუტით უნდა გადაესვენებინათ იგი რკინიგზის ვაგზლამდე. აღნიშნულ ცერემონიალში მონაწილეთაგან ძირითადად ჭარბობდა სამხედრო პირები, გენერლები, ჯარისკაცები და მაღალი რანგის თანამდედობის პირები. მითითებული იყო, რომ იგი უკანასკნელ გზაზე „სამხედრო მუსიკით" უნდა გაეცილებინათ.[1494] გარდაცვლილი მთავარეპისკოპოსი ნიკონი ანდერძისამებრ ვლადიმირში უნდა დაეკრძალათ. კავკასიის მეფისნაცვლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით განხორციელდა ეგზარქოსის გაპატიოსნების ცერემონიალი. 1908 წლის 2 ივნისს, დილით 8 საათზე, მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ ეგზარქოსი ნიკონი გადაასვენეს თბილისის სიონის ტაძარში, წესის აგება შეასრულა რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოვლინებულმა სტავროპოლის მთავარეპისკოპოსმა აგათოდორმა. წესის აგებას ესწრებოდნენ კავკასიის მეფისნაცვალი, გენერალიტეტი, უმაღლესი თანამდედობის პირები, სომხური, კათოლიკური და მუსულმანური სასულიერო დასის წარმომადგენლები. ცხედრის გამოსვენება ტაძრიდან რკინიგზის სადგურში განხორციელდა დღის 2 საათზე. მიღებული იქნა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, მთელი

1493 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 140.

1494 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 22737, ფურცელი 20.



ეგზარქოს ნიკონის საფლავი

გზის მანძილზე წესრიგს იცავდა საჯარისო ფორმირებები. დაიკეტა მაღაზიები, ჭიშკრები, სახლის ფანჯრები. აიკრძალა აივნებზე დგომა, ზოგიერთ ვიწრო ქუჩაზე – მოძრაობაც. სამგლოვიარო პროცესია გაემართა რკინიგზის ვაგზლისაკენ, სადაც ეგზარქოსის ცხედარი დაასვენეს მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ვაგონ-ეკლესიაში, პროცესიას ქალაქ ვლადიმირში თან გაჰყვა 5 კაციანი დეპუტაცია. ეგზარქოსი ნიკონი დაიკრძალა ვლადიმირის საკათედრო ტაძარში.[1495]

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის წლისთავზე 1909 წლის 28 მაისს იმ ადგილას, სადაც ნიკონი მოკლეს ერთ-ერთი თბილისელი „ჭეშმარიტი რუსის" საზოგადოების წევრის ხარჯით აიგო ნიში – სამლოცველო მაცხოვრის ხატი ეკლის გვირგვინით, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „яко изчезтает дым токо да изчезнут." 1909 წლის 28 მაისს თბილისის სიონის ტაძარში ჩატარდა წირვა-ლოცვა და ბაქოს ეპისკოპოსის გრიგოლმა გადაიხადა ეგზარქოს ნიკონის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელსაც მაღალი თანამდედობის პირებიც ესწრებოდნენ. წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ პროცესია გაემართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორისაკენ, სადაც ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ადგილას მოწყობილი ნიშ – სამლოცველო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობისპირებისმონანილეობითაკურთხაბაქოსეპიკოპოსმაგრიგოლმა.[1496] 1917 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აღნიშნული სამლოცველო მოშალეს. გარდა ამისა, ბაქოს ეპისკოპოს გრიგოლის (ვახნინი) შუამდგომლობით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა დაადგინა, რომ ეგზარქოს ნიკონის სულის მოსახსენებლად თბილისის ეკლესიებში გადაეხადათ შაბათობით პანაშვიდები, ხოლო ყოველი წლის 28 მაისს პანაშვიდები უნდა გადახდილიყო საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა ეკლესიაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის წლისთავთან დაკავშირებით მისი ახლობლის, ძმისწულის ინიციატივით გამოიცა ნაშრომი, რომელშიც მისი ღვაწლის ჩვენებასთან ერთად გამოქვეყნებულია სამძიმრის დეპეშები, წარმოთქმული სიტყვები და სხვა. ნაშრომს ახლავს საინტერესო ფოტო-მასალა გარდაცვალების ადგილის და მისი საფლავის შესახებ.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა დაგმო ქართველმა საერო და სასულიერო პირებმა, საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. საქა-

1495 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 22737, ფურცელი 20.

1496 ჟურნალი „მწყემსი," 8, 1910, გვ. 13; შდრ. ჟურნალი „მწყემსი," 10, 1910, გვ. 15.

რთველოში გამომავალმა ქართულმა და რუსულმა პრესამ მომხდარ ფაქტს საინტერესო წერილები მიუძღვნა. ამ მხრივ აღსანიშნავია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჟურნალ „სოციალისტ ფედერალისტთა" 1908 წლის პირველ ნომერში ავტორის მითითების გარეშე დაბეჭდილი წერილი „საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის გამო."[1497] საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჟურნალში გამოქვეყნებული ქართული ტექსტის რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანი დაბეჭდა და მას სტატია მიუძღვნა ბ. კობახიძემ.[1498] ჟურნალ „სოციალისტ ფედერალისტს" მომხდარი მკვლელობა კერძო შურისძიებად მიაჩნდა და წერდა: „ეს საქმეა ისეთი პირების, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ არც საზოგადოებასთან და არც რაიმე პოლიტიკურ მიმართულებასთან. ეს საზოგადოების ნაძირლებია და მათი სინათლეში გამომზიურება ნიღაბს ახდის მთელ საქმეს და დაანახვებს ყველას მათ პირად ანგარიშებს."[1499] რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეგზარქოსის მკვლელობას გმობდა ტერორისტულ აქტებში არაერთხელ შემჩნეული სოციალ-დემოკრატიული პარტია და მათი გაზეთი „ნაპერწკალი." მიუხედავად ეგზარქოსთან დაპირისპირებისა ქართველი სამღვდელოება მომხდარ ფაქტს საზოგადოების ზნედაცემულობად მიიჩნევდა და მოითხოვდა გამოძიების ჩატარებას და დამნაშავეების სათანადოდ დასჯას. მკვლელობის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდა ჟურნალი „მწყემსი." მკვლელობის შესახებ იმპერიის მასშტაბით ცილისმწამებლური და ქართველების საწინააღმდეგო წერილები იბეჭდებოდა შავრაზმული პრესაში, რომელთა შორის „განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ნოვოე ვრემია," რომლის ერთ-ერთი პუბლიცისტი ეგზარქოსის მკვლელობის გამო მოითხოვდა „ყველა ველური კავკასიელის" ამოწყვეტას.[1500]

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა თბილისში დაარსებული „ჭეშმარიტ რუსთა საზოგადოება," რომლებიც ეგზარქოსის მკვლელობაში ადანაშაულებდნენ ქართველ ავტოკეფალისტებს და გაზეთ „გოლოს კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილებში მოითხოვდნენ მათთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას, ზოგიერთი მათგანი მათი დახოცვითაც იმუქრებოდა. „ჭეშმარიტ რუსთა საზოგადოების" მუქარამ გაიჟღერა აგრეთვე ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ სამძიმრის მიმართვაში, რომლის გაცნობის შემდეგ რუს მღვდელმთავარს განუცხადებია: „ნათელია: ვინც ეგზარქოსს ბოიკოტით შეხვდა, იგი იმათ დახვრიტეს!"[1501] ეგზარქოსიის შემცვლელის ეპისკოპოს გრიგოლის ამ სიტყვებმა გაათამამა თბილისში მცხოვრები რუსი „პატრიოტები" და დაუფრავად მოითხოვდნენ ხელისუფლებისაგან

1497 ჟურნალი „სოციალისტ-ფედერალისტი," 1, 1908, გვ. 5-8.

1498 ბ. კობახიძე, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა, ქრისტიანობის კვლევები, V, 2010, გვ. 68-87.

1499 საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობის გამო, ჟურნალი „სოციალისტ-ფედერალისტი," 1, 1908, გვ. 5.

1500 ჟურნალი „მწყემსი," 11, 1908, გვ 12-13.

1501 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 140.

ქართველი სასულიერო პირების დასჯას, მათთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და არაქართველი მრევლისათვის ცალკე სამიტროპოლიტოს ჩამოყალიბებას. მეტად შეურაცხმყოფელი იყო ქართველი საზოგადოებისთვის დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მიერ გამოქვეყნებული სიტყვა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით. ქართველმა გულშემატკივარმა ნიკოლოზ დურნოვომ იოანე ვოსტორგოვის აღნიშნული სიტყვის გამო საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა.[1502]

დიდი პოლიტიკური დატვირთვისა და საზოგადოებრივი ინტერესის გამო საგამომძიებლო საქმიანობა მკვლელობის დღიდანვე დაიწყო და მასში აქტიურად ჩაერთო კავკასიაში არსებული ყველა საგამომძიებრო დაწესებულება, განსაკუთრებით ჟანდარმერია და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის თბილისის რაიონული განყოფილება იგივე „ოხრანკა", თავისი მრავალრიცხოვანი აგენტურის ქსელით. უშუალოდ ეგზარქოსის მკვლელობას იძიებდა თბილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი გ. მალინოვსკი, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ა. ერიომინი, საოლქო სასამართლო პალატის პროკურორი ნ. ფიოდოროვი. გამოძიების საერთო ზედამხედველობას ახორციელებდა რუსეთის იუსტიციის მინისტრი ი. შჩეგლოვიტოვი, რომელიც აგრეთვე გენერალ-პროკურორის თანამდედობასაც ითავსებდა. გამოძიებას აგრეთვე ანარმოებდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის მიერ მოვლინებული ობერ-პროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ვ. იაცკევიჩი.[1503] აღნიშნული გამოძიების შესახებ საინტერესო პუბლიკაციებია გამოქვეყნებული ვ. გურულის, ბ. კობახიძის, მ. ლაბაძის, ი. მახარაძის და სხვათა მიერ. განსაკუთრებით საინტერესოა ჯ. გამახარიასა და ტატიანა ეროხინას მიერ ახლადგამოვლენილ წყაროებზე დაყრდნობით მათ მიერ საქართველოსა და რუსეთის არქივებში მიკვლეული მასალები.[1504]

გამოძიებამ პირველ რიგში იერიში ქართველ ავტოკეფალისტებზე მიიტანა. სახელმწიფო სათათბიროში ბესარაბიის დეპუტატმა პურიშკევიჩმა

1502 Н. Н. Дурново, По поводу речей протоиерея Иоанна Восторгова об убиенном русском экзархе Грузии преосвященом архиепископе Никоне, Москва, 1908, стр. 3-25.

1503 ჯ. გამახარია, წმინდა მღვდელმონამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910 წლების გადასახლების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სახელიბის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 479; შდრ. Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; иследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016.

1504 ჯ. გამახარია, წმინდა მღვდელმოწამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910 წლების გადასახლების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სახელიბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 479; შდრ. Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; иследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016; стр. 21-55.

1908 წლის 10 დეკემბერს ეგზარქოსის მკვლელებად ქართველი სამღვდელოება, მათი უპირველესი წინამძღოლი ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე დაასახელა. იგი დეპუტატების წინაშე აცხადებდა, რომ 1908 წლის 22 თებერვალს და 18 მაისს ქართველი სამღვდელოებისა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რევოლუციური კომიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარებულ სხდომაზე გადაწყდა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა. მკვლელობის ორგანიზატორად პურიშკევიჩი ასახელებდა მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს, რომელმაც თითქოს 834 ხელმოწერა და მათგან შესაწირი ფული შეგაროვა აღნიშნული მკვლელობის დაგეგმისათვის. მანვე განაცხადა, რომ მკვლელობის მონაწილე ეპისკოპოსი კირიონი თითქოს საიდუმლოდ ჩამოვიდა ხარკოვიდან. პურიშკევიჩმა მომხდარი ფაქტის გამო გააკრიტიკა კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი და მას ბრალი დასდო ქართველი სამღვდელოების მფარველობაში. გამოძიებამ პურიშკევიჩის ბრალდება არ დადასტურდა. გამოირკვა, რომ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის მიერ დასახელებულ პირთა სია იყო მისი რედაქტორობით 1906 წელს გამოცემული ჟურნალის „სიტყვის" ხელისმომწერები, დადგინდა აგრეთვე, რომ ეპისკოპოსი კირიონი მკვლელობის ახლო ხანებში საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო მკვლელობის დღეს კურიაჟის მონასტერში იყო.[1505]

პურიშკევიჩის გამოსვლით შეურაცყოფილმა ქართველმა სამღვდელოებამ, 1908 წლის 12-24 დეკემბერს საეპარქიო ყრილობა ჩაატარა და 22 სასულიერო პირის ხელმოწერილი მიმართვა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ მათი უფლებები და საკუთარი პრესტიჟი დაეცვა რუსეთის იმპერატორის წინაშე ცილისმწამებლური გამოხტომის გამო. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ქართველი სამღვდელოება მზად არის „თავის წრიდან აირჩიონ რწმუნებულნი, რომელნიც პურიშკევიჩს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ და ამით აღადგენენ სახელს იმ ქართველ სამღვდელოებისაც, რომელნიც ზიზღით უცქერის სისხლის ღვრას."[1506] პურიშკევიჩის ცილიმსწამებლურ გამოხტომებს სათანადო პასუხი გასცა ქართველთა გულშემატკივარმა ნიკოლოზ დურნოვომ.[1507] გამოძიების დასრულებამდე კურიაჟის მონასტერში გადასახლებული კირიონი დააპატიმრეს, შეუწყვიტეს მღვდელმსახურება და ტამბოვის გუბერნიაში სანაქსარის მონასტერში გაამწესეს. აკაკი წერეთელი აღშფოთებული იყო ეპისკოპოს კირიონის დევნა-შევიწროვებით. მან თავისი გულისტკივილი გამოხატა 1908 წელს ეპის-

1505 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, საქმე 80, ფურცელი 17; შდრ. Н. Н. Дурново, Мутние источник или По поводу речи в Государсвенной Думе по делам Грузинской церкви, Москва, 1909, стр. 9-10.

1506 Н. Н. Дурново, Мутние источник или По поводу речи в Государсвенной Думе по делам Грузинской церкви, Москва, 1909, стр. 9-10; შდრ. გაზეთი „დროება," 1908, 23 დეკემბერი, გვ. 4; შდრ. გაზეთი „დროება," 1908, 24 დეკემბერი, გვ. 4.

1507 Н. Н. Дурново, Мутние источник или По поводу речи в Государсвенной Думе по делам Грузинской церкви, Москва, 1909, стр. 3-29.

კოპოს კირიონის თანამებრძოლის მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში. „თავს არ დავზოგავ, – წერდა იგი იოსებ ჩიჯავაძეს – წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დაებრუნდები და მტრებს არ გავახარებ.“[1508] პირად საუბრებში აკაკი გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ სამღვდელოება და ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი გულგრილობას იჩენდა და ხმას არ იმაღლებდა ეპისკოპოს კირიონის დევნის გამო.[1509]

ხელისუფლებისაგან დევნილი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია 1908 წელს გადაასახლეს რიაზანის წმ. სამების მამათა მონასტერში. 1908 წლის ბოლოს არქიმანდრიტი ამბროსი გაამართლეს და დანიშნეს ძველ რუსსაში (ნოვგოროდის ეპარქია) ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. მართალია, გამოძიებამ დევნილი ქართველი სამღვდელოების მონაწილეობა არ დაადასტურა მომხდარ მკვლელობაში, მაგრამ კარგა ხნის მანძილზე ისინი რუსეთის შორეულ გუბერნიებში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ეპისკოპოს კირიონის დევნა-შევიწროება ევროპას გააცნო ვარლამ ჩერქეზიშვილმა და ქართველი ხალხის დიდმა გულშემატკივარმა ინგლისელმა მარჯორ უორდროპმა. ამ უკანასკნელმა ქართულ და რუსულ გაზეთებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ არსებული მასალები ინგლისურ ენაზე თარგმა.[1510] საქართველოში არსებული სარწმუნოებრივი ვითარების გამო, მარჯორ უორდროპს წერილი გაუგზავნია გიბრალტარის არქიეპისკოპოსისათვის, რომელსაც გააცნო ქართველ სასულიერო პირების მძიმე მდგომარეობა და სთხოვა ზემოქმედება მოეხდინა რუსეთის სინოდზე დევნილი ქართველი სასულიერო პირების უფლებების დაცვაში. ინგლისის მღვდელმთავარი დიდად დაინტერესებულა დევნილი ქართველი სასულიერო პირებით და აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის იგი მარჯორ უორდროპთან ერთად პეტერბურგში შეხვედრიან მაღალი რანგის მოხელეს, რასაც ადასტურებს მარჯორის მიერ არქიეპისკოპოსიდამი გაგზავნილი მეორე სამადლობელი წერილი.[1511]

ეპისკოპოს კირიონის უფლებების დაცვაში აქტიურად ჩაერთო ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართულ-ინგლისური კომიტეტის თავმჯდომარე მორისს ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის თანხმობა მიუცია, რომ რუსეთის სინოდს დაუყოვ-

---

1508 კორნელი კეკელიძის სახელობის ბელნანერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, 256, ფურც. 1; შდრ. შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, ჟურნალი „მნათობი,“ 1968, 1, გვ. 181.

1509 ჟურნალი „განთიადი,“ 1915, 15, გვ. 31.

1510 შ. ბორაშვილი-შტოიერი, მარჯორ უორდროპის ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანები, ლიტერატურა და ხელოვნება, 3, 2011, გვ. 49-56; შდრ. შ. ბორაშვილი-შტოიერი, საილუმლოდ შენახული ქართული საგანძური: ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის კუთვნილი მასალები, თბ., 2009, გვ. 53; შდრ. შ. ბორაშვილი-შტოიერი, მაჯორ უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად, 2012, გვ. 62-98.

1511 შ. ბორაშვილი-შტოიერი, მარჯორ უორდროპის ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანები, ლიტერატურა და ხელოვნება, 3, 2011, გვ. 59.

ნებლივ მოთხოვდა კირიონის დევნა-შევიწროვების შეწყვეტას.[1512] ვარლამ ჩერქეზიშვილის მეცადინეობით ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოება შეიქმნა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მარჯორ უორდროპს ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად დიდი როლი უნდა შეესრულებინა ევროპაში ეპისკოპოს კირიონის დაცვის საზოგადოების დაარსებაში.[1513]

ცნობილია, რომ ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა 1909 წლის 10 მარტს ბრიუსელის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს სთხოვა ეპისკოპოს კირიონის უფლებების დაცვა.[1514]

დიდი მცდელობის მიუხედავად, გამოძიებამ ვერ დაადგინა მთავარეპისკოპოს ნიკონის მკვლელი, რის გამოც 1909 წლის 7 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით დამნაშავის დაუდგენლობის მოტივით საქმე დაიხურა.[1515] თუმცა, 1910-1912 წლის აგენტურის ქსელზე დაყრდნობის სახელმწიფოს უშიშროების ზოგიერთი დაწესებულებების საგამომძიებრო ორგანოები ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართებაში სათანადო ადგილს უთმობდნენ მთავარეპისკოპოს ნიკონის მკვლელობის განხილვას.

მართალია, გამოძიებამ ვერ დაადგინა ჩადენილი დანაშაულის აღმსრულებლები, მაგრამ გამოძიების მასალებზე დაყრდნობით მკვლევარები აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვავენ. თითქმის ყველა მკვლევარი უარყოფს ეგზარქოსის მკვლელობის ორგანიზებაში და მის უშუალო მონაწილეობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობას. ზოგიერთი მკვლევარი მკვლელობის ორგანიზატორებად სოციალ-დემოკრატებს მიიჩნევს და კონკრეტულ პიროვნებებსაც ასახელებენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში.[1516] ზოგიერთი მკვლევარი გამოძიების

1512 ჟურნალი „პრომეთე," 1918, 3, გვ. 18.

1513 შ. ბორაშვილი-შტოიერი, მარჯორ უორდროპის ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანები, ლიტერატურა და ხელოვნება, 3, 2011, გვ. 59.

1514 ჟურნალი „მწყემსი," 5-6, 1909, გვ. 11; შდრ. მ. ჯანაშვილი, უწმინდესი კირიონი, თბ., 1917, გვ. 3.

1515 ჯ. გამახარია, წმინდა მღვდელმონამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910 წლების გადასახლების პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 496; შდრ. Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; иследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016; стр. 21-55.

1516 ვ. გურული, ეგზარქოს ნიკონის მკვლელები, ჟურნალი „რელიგია," 1993, 1; გვ. 89-96; შდრ. ვ. გურული, პოლიტიკური მკვლელობის ფიზიონომია (ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია, თბ., 2003, გვ. 139-141; შდრ. მ. ლაბაძე, ბრძოლა პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, თბ., 2014 გვ. 88-101; შდრ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენათ და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ამბავი, ჟურნალი „გზა," 2011; შდრ. ი. მახარაძე, ეგზარქოს

მასალაზე დაყრდნობით მკვლელებს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ეძებდა,[1517] ანდა მკვლელობის ორგანიზატორებად „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის წევრებს" მიიჩნევდა და სხვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დროს ახალადგამოვლენილ წყაროებზე დაყრდნობით საინტერესო ნაშრომები გამოქვეყნა ჯ. გამახარიამ, თ. სიმაშვილმა და თ. ღურწკაიამ.[1518] ზემოთ დასახელებული ავტორთა წარმოდგენილი ვერსიები სათანადო დასაბუთებას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ უტყუარად ჯერჯერობით დადასტურებული არ არის მკვლელობის დამკვეთები და შემსრულებლები.

მართალია, გამოძიებამ დიდი მცდელობის მიუხედავად ეგზარქოსის მკვლელი ვერ დაადგინა, მაგრამ მკვლელის ვინაობა მხოლოდ რამდენიმე სასულიერო პირისათვის და ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწისათვის იყო ცნობილი. ირკვევა, რომ ეგზარქოსიის მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი და მონაწილე ყოფილა გელათის მონასტრის ყოფილი არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ნიკოლოზ ნამორაძესთან დაახლოებულ პირთა მემუარები და ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთა ცნობები. ამ მხრივ, საყურადღებოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის იპოლიტე ვართაგავას მოწოდებული მასალა. იგი ნიკოლოზ ნამორაძესთან ერთად თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. თავისი მემუარების გამოუქვეყნებელ ნაწილში იპოლიტე ვართაგავა საინტერესო ცნობებს გვაწვდის არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეზე და მის მონაწილეობას ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ ზაქარიას ძე ნამორაძე დაიბადა 1872 წელს დუშეთის მაზრაში, აზნაურის ოჯახში, 1883-1888 წლებში სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გააგრძელა სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარმარტებით დაამთავრა 1895 წელს, გამოირჩეოდა ნიჭიერებით და მჭერმეტყველებით, წერდა ლექსებს. 1895 წელს შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1900 წელს დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მისი საკანდიდატო თემა იყო „Церковное

ნიკონის მკვლელობა, ისტორიანი, 9, 2013, გვ. 40-45.

1517 დ. შველიძე, „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „რევოლუციის ლიკვიდაციის" პერიოდში (1907-1910), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის შრომები, ტ. III, თბ., 2011; შდრ. ბ. კობახიძე, რექციონერი რუსი ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობა (1908 წ.), ქრისტიანობის კვლევები, 5, თბ., 2010, გვ. 68-89.

1518 Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; исследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016; стр. 21-55; შდრ. თ. სიმაშვილი, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები, თბ., 2011; შდრ. თ. სიმაშვილი, თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012, გვ. 230-233; შდრ. თ. ღურწკაია, თბილისის „ოხრანკის" განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა, საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდეციები და გამოწვევები, 25-27 ოქტომბერი, 2017 წელი, გვ. 341-346.

управление в Грузии до присоединения ея к России," რომელიც დამყარებული იყო რუსეთის უწმინდესი სინოდის საარქივო მასალებზე, ნაშრომში საინტერესო ცნობები ყოფილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ პერიოდზეც. მისი ეს შრომა დაცული იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლოთეკაში, რომელიც შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ ნამორაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ქართულ ენას. 1902 წელს ბერად აღიკვეცადა ნიკოლოზის სახელის შენარჩუნებით, მალევე მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს და არქიმანდრიტის ხარისხით 1904 წელს დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად.[1519] 1905 წელს რევოლუციის დროს აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც 1906 წლის მაისში აუკრძალეს ღვთისმსახურება, გადააყენეს წინამძღვრობიდან და სასჯელის მოხდის მიზნით ხარკოვის ერთ-ერთ მონასტერში გაამწესეს. ნიკოლოზ ნამორაძე არ დაემორჩილა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გაიხადა ანაფორა, არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, თავს ირჩენდა წიგნების თარგმნით, შეკედლებული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთის რედაქციასთან და კვლავ აგრძელებდა რევოლუციურ საქმიანობას.[1520]

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ნამორაძე 1906 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერისა და რედაქტორ-გამომცემლის ალექსანდრე ჯაბადარის (1851-1933) ხელშეწყობით არალეგალურად თბილისში შეხვედრია საქართველოში შექმნილი სიტუაციის გასაშუქებლად ჩამოსულ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებულ ნენი დრაჰორსტს და ჰენრიხ ნევინსონს, რომლებსაც საინტერესო ცნობები მიაწოდა დასავლეთ საქართველოში განხორციელებული ეგზეკუციისა და ქართველ ავტოკეფალისტთა დევნის შესახებ. მათ ნიკოლოზ ნამორაძის მიერ მიწოდებული ცნობები გამოიყენეს დაჩაგრულ ერთა მფარველ ლიგაში მოხსენების წარსადგენათ.[1521] გარდა ამისა, აღნიშნული მასალა ჰენრიხ ნევინსონმა 1908 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „ჰარპერი."[1522]

იპოლიტე ვართაგავას მიხედვით, ნიკოლოზ ნამორაძემ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა განახორციელა იმის გამო, რომ მას არ მოსწონდა მის მიერ საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი. მისივე გადმოცემით, ნიკოლოზ ნამორაძე დაკავშირებია ცნობილ ტერორისტ კასრაძეს, საჭირო თანხა ნაცნობებისაგან და ზოგიერთი სასულიერო პირებისაგან შეუგროვებია. თავისი განზრახვის გაცნობის შემდეგ მისთვის 5 თუმანი მიუცია

1519 ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი პირველი, თბ., 1956, გვ. 216-217; შდრ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 117.

1520 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 117-118; შდრ. ალ. ჯაბადარი, მოგონებები, ჟურნალი „მნათობი," 4, 1934, გვ. 118.

1521 ალ. ჯაბადარი, მოგონებები, 4, 1934, გვ. 118.

1522 გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ჰენრიხ ნევინსონი საქართველოს შესახებ (1906), საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, (4), თბ., 2008, გვ. 426, 428.

თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს, ხოლო არქიმანდრიტ დოსითეოს (ბერძნიშვილი) უარი განუცხადებია: „როგორც მორწმუნე ბერი, ადამიანის მკვლელობისათვის ფულს ვერ გავიღებო." გაბრაზებულ არქიმანდრიტ ნიკოლოზს უთქვამს: „თუ კი დეკანოზმა მარკოზმა 5 თუმანი მომცა, შენ მეტი უნდა მომცეო. როცა ეს მარკოზს გაუგია, შიშისაგან მუხლები ჩაკეცია: ვაიმე, რა მეშველება, ამას ქვეყანა გაიგებს და გამაციმბირებენო."[1523] ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, დანაშაულის ადგილზე მყოფ მუშის ტანსაცმელში გამოწყობილ ნიკოლოზ ნამორაძეს მკვლელობის იარაღები საღებავიან ვედროში ჩაუყრია და იქვე ახლოს მცხოვრებ ეპისკოპოს დავით კაჭახიძესთან შესულა და მომხდარი ფაქტის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გაუცვნია. აღშფოთებულ ეპისკოპოს განუცხადებია, რომ სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო, რადგან სიმართლის დადგენის შემთხვევაში ქართველი სასულიერო პირებს და ავტოკეფალისტებს ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. მალევე არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე საქართველოს ტოვებს და თავი შეაფარა თურქეთში, კონსტანტინოპოლის გარეუბანში არსებულ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ 1860 წელს დაარსებულ ქართულ კათოლიკურ მონასტერს, სადაც იგი არალეგალურად ცხოვროდა. მონასტრის ქართველ კათოლიკე ძმობისათვის უცნობი იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძის აღნიშნული დანაშაულის შესახებ იცოდნენ თურქეთში მოღვაწე „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" წევრებმა, რომელთა მუშაობაში აქტიურ ჩართვას იგი ცდილობდა, მაგრამ სხვადასხვა ინტრიგების გამო კომიტეტის წევრობიდან გარიცხეს და მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს.[1524] ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი კერესელიძე იგონებს, რომ თურქეთის მთავრობის თხოვნით ახლად ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" წევრად მიუღიათ არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომლის გვარს მართალია ვერ იხსენებს, მაგრამ იგი უეჭველად ნიკოლოზ ნამორაძეა. გიორგი კერესელიძე აღნიშნავს, რომ მას „ბრალად ედებოდა არქიელის (მღვდელმთავარი ე.ბ.) მკვლელობაში მონაწილეობის მიღება და ამიტომ ოსმალეთს შეაფარა თავი." გიორგი კერესელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ მას არ ენდობოდნენ, რადგან არ იცნობდნენ მის წარსულს, გარდა ამისა, თავისი უცნაური ქცევების გამოც მათზე კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.[1525]

ნიკოლოზ ნამორაძის ჩადენილი დანაშაული ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირისათვის ცნობილი იყო. აღნიშნულის შესახებ, 1926 წლის 8

1523 ი. ვართაგავას აღნიშნული გამოუქვეყნებელი მასალა მომაწოდა ბატონმა ლუასაბ ტოგონიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

1524 საქართველოს განმათავისუფლების კომიტეტი 1914-1918, დოკუმენტები და მასალები, დოკუმენტები და მასალები შეადგინეს, გერმანულიდან და ფრანგულიდან თარგმნეს, სამეცნიერო კომენტარები დაურთეს გიორგი მამულიამ და გიორგი ასტამაძემ, თბ., 2019, გვ. 681.

1525 გ. კერესელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წ.წ.), პუბლიკაცია გიორგი მამულიასი, ქართული ემიგრაცია, სამეცნიერო ჟურნალი, თბ., 2013, გვ. 159-160.

დეკემბერს იმდროინდელი კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის კურთხევის გარეშე, მისი ოპოზიციის მიერ ქუთაისში ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე მოხსენებით გამოსულმა ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ კათოლიკოსს ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენა: „ამბროსიმ იცოდა, რომ ნიკოლოზ არქიმანდრიტი იყო ნიკონის მკვლელი და მაინც უნდოდა მისი კურთხევა ეპისკოპოსად." აღნიშნული ბრალდება დაფიქსირდა ქუთაისის საეკლესიო კრების ოქმში. აღნიშნული ცნობა შემოგვინახა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ ქუთაისის საეკლესიო კრებისადმი მიძღვნილ თავის მოგონებაში.[1526] იგივე აზრს ანვითარებს დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე 1926 წელს ეპისკოპოს დავით კაჭახიძის კრიტიკისადმი მიძღვნილ თავის ნარკვევში.[1527] ეგზარქოს ნიკონის მკვლელად არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს ასახელებს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძეც.[1528]

ჩვენს მიერ მოტანილი ცნობები მართალია ძირითადად მემუარულ ლიტერატურას ეყრდნობა, რომლის გამყარება პირველადი წერილობითი წყაროებით ვერ ხერხდება, მაგრამ მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აგენტების მონაცემებზე დაყრდნობით „ოხრანკის" და ჟანდარმერის მოძიებულ მასალებში არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე ავტოკეფალისტ აქტივისტად არის დასახელებული. ოხრანკის მიერ მოძიებული მასალებით იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან დაახლოებულ პირად მოიხსენება.[1529] ოხრანკის აღნიშნული ცნობას ადასტურებს ალექსანდრე ჯაბადარის მოგონებები, რომლის მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისში არქიმანდრიტი ნიკოლოზი დაახლოებული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან და მათ რედაქციასთან. ჟანდარმერიისათვის ისიც იყო ცნობილი, რომ



დეკანოზი ნიკიტა (თალაკვაძე, 1873-1933)

1526 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 102, ფურცელი 372.

1527 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 41, ფურცელი 3; შდრ. ჯ. გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), 150-ე წლისთავისათვის, თბ., 2012, გვ. 66; შდრ. Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; исследованием коментария и указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязан, 2016; стр. 62-63.

1528 ნიკიტა თალაქვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 240.

1529 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 27.

თურქეთში ემიგრაციაში მყოფი ნიკოლოზ არქიმანდრიტი კვლავ აქტიურად იბრძოდა ავტოკეფალის აღდგენისათვის და იგი იყო „სოციალისტ-ფედერალისტა პარტიისა და ქართველ ავტოკეფალისტთა ნდობით აღჭურვილი პირი."[1530] მეორე ცნობის მიხედვით, რომელიც აგენტ „სლუჩაინის" 1910 წლის 3 მარტით დათარიღებულ ცნობას ეყრდნობა, 1906 წელს გელათის მონასტრის წინამძღვრობას ჩამოშორებული არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე შეუერთდა რევოლუციურ მოძრაობას, შევიდა სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის (რუსეთში არსებული ესერთა პარტია) შემადგენლობაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, ქართლში და კახეთში,) და ეკლესია-მონასტრებში ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას, შემდეგ იგი ფარულად თურქეთში გადავიდა და იქ დამკვიდრდა.[1531] არქიმანდრიტ ნიკოლოზის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის (ესერები) წევრად ყოფნა სხვა მასალებით არ დასტურდება.

მცირე განსხვავებული ცნობების მიუხედავად, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მასალებში მისი სახელი ნახსენებიც არ არის. მხოლოდ დაფიქსირებულია, რომ იგი თბილისში არალეგალურად ყოფნის დროს არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან ცხოვრობდა. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს ეჭვი არ გასჩენიათ.

აღსანიშნავია, რომ საქრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ნიკოლოზ ნამორაძე სამშობლოში დაბრუნდა, კვლავ შეიმოსა, დადგენილ იქნა ჯერ გელათის ტაძრის წინამძღვრად, შემდეგ კი მონამეთას წინამძღვარია. გავრცელებული ინფორმაციით გარდაიცვალა 1923 წელს.[1532] ქუთაისის საისტორიო არქივში არსებული მასალით ირკვევა, რომ იგი 1924 წელს ცოცხალია.[1533] არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე უნდა გარდაცვლილიყო 1924 წლის შემდეგ, ახლო ხანებში. ათეისტური საბჭოთა რეჟიმის დროს მოწამეთას მონასტერში ხელისუფლებისაგან შევიწროვებული ნიკოლოზ ნამორაძე მარტოდ ცხოვრობდა თავის თხებთან ერთად. რამდენიმე დღის გარდაცვლილი მისი გვამი ტაძრის ეზოში შემთხვევითმა პიროვნებებმა დაკრძალეს, უცნობია მისი განსასვენებლის ადგილი.

ეგზარქოს ნიკონის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდი არ ჩქარობდა ახალ მღვდელმთავრის დანიშვნას. თითქმის წელიწანახევარზე მეტი ხნის განმავლობაში საეგზრქოსოს განაგებდა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნინი), რომელსაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით კაზაკთა დაცვა დაყვებოდა. მის დროს თბილისის სასულიერო სემინარია 1909 წლის

1530 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 27.

1531 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 22.

1532 მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 11.

1533 ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 296, აღწ. 1, საქმე 210, ფურცელი 31. აღნიშნული მასალა მოგვანოდა ქუთაისის საისტორიო არქივის დირექტორმა, ისტორიის აკადემიურ დოქტორმა, ბატონმა მერაბ კეზევაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

სექტემბერში გადავიდა ვაკეში აშენებულ ახალ შენობაში. შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით იგი გარეგნულად კეთილგანწყობილი იყო ქართველი სამღვდელოების მიმართ.

რეაქციის წლებში (1907-1910 წწ.) ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა ერთგვარად მინელდა. მიუხედავად რეპრესიებისა ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა არ შეჩერებულა. ასეთ ვითარებაში საზოგადოების მცირე ნაწილში წარმოიშვა იდეა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თავისუფლების მოპოვება რომის პაპთან უნიის გაფორმებით იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული იდეა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, რადგან გამჟღავნების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება მათ სასტიკად გაუსწორდებოდა. დასახელებული მიზეზის გამო ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ და რამდენი პიროვნება ემხრობოდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიას. მხოლოდ ის ვიცით, რომ მათი აქტივისტების ძირითადი ნაწილი ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელი იყო.

ზოგიერთი სასულიერო პირიც ემხრობოდა რომის პაპთან უნიას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის საზოგადოება, რომელმაც მკაცრი კონსპირაციის პირობებში პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ჩვენს მიერ მოხსებებული გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ფარულად დამკვიდრებული არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე, რომელმაც აქტიური მუშაობა გააჩაღა კათოლიკეებთან უნიის გასაფორმებლად. მის იდეას მხარი დაუჭირა კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ, პატრებმა: ქართველ კათოლიკეთა ტაძრის წინამძღვარმა ანდრეა წინამძღვრიშვილმა, იოსებ მერაბიშვილმა და სხვებმა.

საზოგადოების მცირე ნაწილისათვის აღნიშნული უნია მისაღები ჩანდა. მათ შორის, ვინც უნიის იდეას იზიარებდა, ყოფილა აკაკი წერეთელიც. აღნიშნულის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა შ. ლომსაძემ. შ. ლომსაძის გამოვლენილი მასალები უცვლელი სახით დაბეჭდა გ. შარაძემ.[1534] დასახელებული მკვლევარების მიერ წარმოდგენილი მასალების გარდა, ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა ახალი წყაროები.[1535] აღნიშნული იდეის განხორციელების გამო დევნილმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ნამორაძემ ადგილობრივი ქართველი კათოლიკების მეშვეობით კავშირი დაამყარა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან და იმედი ჰქონდა, რომ ვატიკანის მაღალ სასულიერო პირებთან მოლაპარაკებით უნიის საკითხი მისი დახმარებით ადვილად მოგვარდებოდა. ამ მიზნით მან, 1909 წლის 17 თებერვალს სანდო პირის დახმარებით და არა ფოსტით, წერილი გაუგზავნა რომში მიხეილ თამარაშვილს. წერილის დასაწყისში იგი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს დღევანდელმა

1534 შ. ლომსაძე, აკაკის მოგზაურობა ევროპაში, „მნათობი," 1960, 10, გვ. 100-103; შდრ. შ. ლომსაძე, მესხები, 1997, გვ. 115-127; შდრ. გ. შარაძე, აკაკის იუბილე, თბ., 2006, გვ. 196-303.

1535 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2661; 2662.

ვითარებამ გახადა საჭირო უცნობრივი გამოლაპარაკება თქვენთან ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეებზე." იგი ქართველ პატრს აუწყებდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის (1905-1907 წლების რევოლუცია) დროს „მთელმა საქართველოს სამღვდელოებამ ერთხმად მოითხოვა აღდგენა ქართველთ ეკლესიის დამოუკიდებლობისა ანუ ავტოკეფალიისა ისე, როგორც იყო წინათ და რუსეთის მფარველობაში, რომ გადავიდა, მაშინ კი უკანონოთ გააუქმეს, სახელდობრ 1811 წელსა, ხოლო სამოციან წლებში ჩამოართვეს დიდძალი უძრავი ქონებაც ადგილ-მამული და ხაზინას გადასცეს, ეკლესია მთლიანად გააღარიბეს." შემდგომ ნიკოლოზ ნამორაძე ატყობინებს მიხეილ თამარაშვილს, რომ დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენის მოძრაობაში, როგორც გელათის მონასტრის არქიმანდრიტი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, რის გამოც გაათავისუფლეს და სასჯელად რუსეთის შორეულ მონასტერში განწესება მიუჩინეს, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, არ დაემორჩილა მათ გადაწყვეტილებას და ამჟამად ხელისუფლების დევნის გამო ფარულად სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იმყოფება. შემდგომ იგი აუწყებს მიხეილ თამარაშვილს, რომ ქართველ სამღვდელოებას იმედი არ აქვს ხელისუფლებამ მათი თხოვნა შეიწყნაროს. „მართალია, ჩვენი პეტიცია, – წერს იგი მიხეილ თამარაშვილს – რომლითაც 1905 წელს მოვითხოვეთ აღდგენა ავტოკეფალიისა, იმპერატორის რეზოლუციის ძალით გადაეცა სინოდს წარსადგენად განზრახულ რუსეთის საეკლესიო კრებაზედ, მაგრამ თვით ეს კრება და მისი მოწვევა დღეს მეტად საეჭვო შეიქმნა. მეორეც, ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს გარდაწყვეტა ჩვენის ავტოკეფალიის ბედისა, რომელიც დამტკიცებულია აღმოსავლეთ ეკლესიისაგან და მომდინარეობს ძველი დროიდანვე, მივანდოთ რუსეთის საეკლესიო კრებას, რომელსაც არ აქვს არავითარი უფლება შეეიდეს ავტოკეფალიის განსჯაში, გარდა იმისა, რომ სცნოს ჩვენი ავტოკეფალია და აღიაროს იგი არსებულ ფაქტად." არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე მიუთითებს, რომ აღნიშნულის გამო ქართველი სამღვდელოება საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას არ ენდობა. ამიტომ, მისი აზრით, ქართველ საზოგადოებას სურს ეს საკითხი თვითონ გადაწყვიტოს. თუკი ხელისუფლება მისი სურვილის განხორციელებას ხელს არ შეუწყობდა, მაშინ, ნიკოლოზის აღნიშვნით, ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების სურვილია რომის პაპს მიმართონ შეერთებისათვის. „მაგრამ – ატყობინებს იგი მიხეილ თამარაშვილს – ეს ისეთი დიდი საქვეყნო ეროვნული საქმეა, რომ თითოეული ნაბიჯი უნდა იქნას გადადგმული დიდის აწონ-დაწონვით და მოფიქრებით, რათა ამით განსაცდელი რამ არ დაადგეს ერსა. საზოგადოთ ჩვენში ბევრსა აქვს იმედი რომიდან შველისა და ამ იმედით, რომ საქმე დაიწყოს და შველა კი არსაიდამ ექმნეს, ერი დაიღუპება." ნიკოლოზ ნამორაძე სთხოვს მიხეილ თამარაშვილს: „თქვენ კარგად უწყით, რომ თუ ქართველობამ კათოლიკობა მიიღო, საშინელ დევნას დაგვიწყებს რუსეთი და დიდ შევიწროებას მოგვაყენებს ყოვლის მხრივ. ამიტომ ვიდრე გავბედავდეთ და საქმეს დავიწყებდეთ, უნდა ვიცოდეთ: 1. რა დახმარება და მფარ-

ველობა შეუძლიან გაგვიწიოს რომის პაპმა საზოგადოთ და კერძოთ რუსეთის მთავრობასთან და 2. კათოლიკობის მიღებით საქართველოს ეკლესია ხომ არ კარგავს იურიდიულ უფლებას საეკლესიო მამულებზე, რომელიც დღეს ხაზინის ხელშია და ტაძარ-მონასტრებზე. ჯერჯერობით ეს ორი უმთავრესი კითხვაა, რომლის ასეთ თუ ისეთ პასუხზეა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი მოქმედება. ეხლა ამას გთხოვთ, რომ შინაარი ან სრული თარგმანი ამ ბარათისა წარუდგინოთ აღმოსავლეთის მცოდნე კარდინალს და პასუხი რაც იქნება, მე მაცნობოთ სტამბოლში, ხოლო ყოველივე ჩვენ სამთა (მესამე პირად ნიკოლოზი მიიჩნევს ჩვენთვის უცნობ იმ პიროვნება, რომელმაც რომში აღნიშნული წერილი წაიღო ე.ბ.) შორის საიდუმლოდ დარჩეს."[1536]

მიხეილ თამარაშვილს საპასუხო წერილი გამოუგზავნია ნიკოლოზ ნამორაძისათვის. სამწუხაროდ აღნიშნული წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია. უეჭველია ეს წერილი ინახება სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის არქივში, რომელზეც ჩვენ ხელი სამწუხაროდ არ მიგვიწვდება. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი მოწონებით შეხვედრია ამ წინადადებას და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს ვატიკანის მაღალ იერარქებთან დასაკავშირებლად. მიხეილ თამარაშვილის გამოგზავნილი წერილის შესახებ ინფორმაციას შეიცავს 1909 წლის 1 (14) სექტემბრით დათარიღებული რომში მისადმი ნიკოლოზ ნამორაძის გაგზავნილი წერილი. იგი მიხეილ თამარაშვილს წერს: „თქვენი წერილის შემდეგ მე ხმა მივაწვდინე საქართველოში და იქ შიში გამოთქვეს, რუსის მთავრობა იმას ელისო, რომ ჩვენ კათოლიკობა მივიღოთ, და რაც კიდევ რამ დაგვრჩენია ეკლესიისა, ისიც წაგვართვასო. ამის შემდეგ მართალა მოხდა ისეთი ამბავი, რომ შიშს ამტკიცებდა: გაზაფხულის თვეებში ერთხანად დიდი დევნა შეიქმნა ჩვენი სამღვდელოებისა და ზოგიერთმა კარგმა პირებმა ერისაგანთა თქვეს, რაკი ასეა, პაპს მივმართოთ, კათოლიკობა მივიღოთო, და ამაზე მთავრობა ისე სასტიკად მოეპყრა, რომ კაცს გაუკვირდებოდა. ამ ერთ უბრალო სიტყვაზე გადასახლება გადაუწყვიტეს; ისინი კი დაიხსნეს, მაგრამ რანაირ ძალას იხმარებს ჩვენზე მთავრობა, უკეთუ ასრულებას შევუდეგით, ეს კი ცხადი შეიქმნა."[1537] არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს მხედველობაში აქვს ქუთაისის თავადაზნაურთა კრებაზე კიტა აბაშიძის, ნიკოლოზ თავდგირიძის და დავით ლორთქიფანიძის გამოსვლა, რომლის შესახებ ცნობებს ქვემოთ წარმოვადგენთ.

გარდა აღნიშნულისა, არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე მიხეილ თამარაშვილს ატყობინებდა, რომ მიუხედავად დაბრკოლებისა, ამ იდეას მხარს უჭერდა საზოგადოების ნაწილი. მათ შორის იყო აკაკი წერეთელი. არქიმანდრიტი ნიკოლოზი მიხეილ თამარაშვილს წერს, რომ აკაკი ამჟამად პარიზშია, რომელსაც უკვე გაუგზავნა მისი მისამართი და აღნიშნავს, რომ სექტემბრის

1536 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2661.

1537 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.

ბოლოს რომში ჩავა მასთან შესახვედრად და ამ შეხვედრის დროს პირად საუბარში ბევრ საკითხს ნათელი მოეფინებოდა. არქიმანდრიტ ნიკოლოზის წერილიდან ირკვევა, რომ მიხეილ თამარაშვილის მოთხოვნით რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმებას ყველა ქართველი უნდა მიმხრობოდა, რასაც ნიკოლოზ ნამორაზეც მხარს უჭერდა და აღიშნავდა, რომ „რუსის მთავრობამ ჩვენი შიგნიერი განყოფილებით არ ისარგებლოს. საქმე მეტად ძნელია და დიდი მუშაობა უნდა, დიდი სიფრთხილე და დაკვირვება, თორემ მტერი ადვილად გვავნებს, რადგან ამ ფრონტზე მოგვიხდება მოქმედება: თვით ხალხთან და მთავრობასთან." ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხი კარგად უნდა იქნეს გააზრებული, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ნიუანსი, რადგან ამ „უამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომე რაც უნდა კარგად ვიყვნეთ მომზადებულნი და გაწვრთვნილნი, მაინც არ იქნება, რომ პარტიობა არ ჩამოვარდეს, რადგან ჩვენს დაქვეითებულ საზოგადოებაში მთავრობა ყოველთვის იშოვის თავის ამყოლს. ეს კია იმედი, დღევანდელი ეკლესიური ორგანიზაცია იქამდე მდარე და უსიცოცხლოა, რომ მას დიდი საგზალი და გაწვდენა არა აქვს და ხალხი თითქმის განშორებულია მასთან." ნიკოლოზი მოითხოვდა, რომ „ჩვენ ვიღებთ რომის უნიას, ესე იგი პაპს აღვიარებთ ეკლესიის თავად, დანარჩენი კი რჩება ყველაფერი უცვლელად; თავის ეკლესიაში ცვლილება იმით უნდა შეამჩნიოს ხალხმა, რომ მაგიერ სინოდისა, რომელიც თესავს ჩვენში სიძულვილს და სიბოროტეს, ჩვენა ვცნობთ პაპსა, რომლის მეოხებით ჩვენ ვთესავთ სიკეთესა და სიყვარულს."[1538]

არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს მიაჩნდა, რომ „უნიის მიღებამ საქართველოს უნდა დაუბრუნოს ავტოკეფალია და თუ ამნაირ გაქათოლიკებით არა ვკარგავთ იურიდიულ უფლებას ჩვენს ქონებაზე, ესე იგი ჩვენი ახალი კათოლიკე იურიდიულ-უფლებიანად იქმნა აღიარებული რუსის მთავრობისაგან და ჩვენი საეკლესიო ორგანიზაციის ფუნქციები კანონიერად მის თვალში, მაშინ ადვილად შეგვიძლია დავა დავიწყოთ, რომე რაც ეკლესიის ქონება გვქონია და ხაზინამ ჩამოგვართვა, ისევ დაგვიბრუნდეს. დღეს ამ ქონების სიები არხივებშია, ვიცით, სად რა არი, ნაწილად სამოციან წლებში ჩამოგვართვეს, ნაწილად თხუთმეტი წლის შემდეგ. მაგრამ ჩვენი შიში სწორედ აქ არის: ვაი თუ რუსის მთავრობამ გვითხრას, ეს მამულები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიისა იყო, დღეს თქვენ კათოლიკენი ხართ და იმის მეკვიდრენი ჩვენა ვართო და ამ არგუმენტით თავიც იმართლოს. ყველაზედ ძნელი კითხვა ეს არის და ზოგის ორჭოფობა და რყევა აქედამ წარმოსდგება. ბევრი იმის მონატრეა, რომ ავტოკეფალია თვით რუსის მთავრობისაგან გამოგვეტანა, თუ კი როგორმე მოხერხდებოდა, რომ ზედ ყოველი ჩვენი უფლებანი დაგვიბრუნდებოდა. ამ ნაირი ნივთიერი კითხვა რომ სრულებით მივაჩუმათოთ, ესეც არ შეიძლება, რადგან ჯერ ერთი ჩვენი საეკლესიო მამულები სხვას რათ უნდა დარჩეს და მეორე ჩვენ გაღარიბებულ ხალხს სხვა საშუალება არა აქვს თა-

1538 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.

ვისი ეკლესია შეინახოს. ამიტომ ეს იყო პირველი შეკითხვა ჩემი თქვენთან. საცალკეო პირზე რომ გვქონოდა ლაპარაკი, მაშინ ასეთი კითხვები აღარ დაიბადებოდა, მაგრამ რაკი მთელ ერზედ გვაქვს მსჯელობა, მისი ბედი და მოსათხოვარი სხვა არი."[1539]

არქიმანდრიტი ნიკოლოზი ატყობინებს მიხეილ თამარაშვილს, რომ ამ საკითხზე არაერთხელ ჰქონიათ მოლაპარაკება დაინტერესებულ პირებს ეპისკოპოს კირიონთან, რომელსაც ურჩევდნენ რომში ჩასვლას, რაზეც იგი თურმე არ დათანხმებულა. ნიკოლოზი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქართველ მაღალ იერარქებთან მოლაპარაკება აკაკის საქართველოში დაბრუნების შემდეგ იქნებ მან ითავოსო. „იქნება ახლა მაინც – წერდა იგი მიხეილ თამარაშვილს – გაბედონ, (იგულისხმება ქართველი იერარქები კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე და სხვა სასულიერო პირები ე.ბ.), რასაც საზოგადოება სთხოვს, მაგრამ საჭიროა პირადი მოლაპარაკება და მგონი აკაკმა დაივალოს, საქართველოში რომ დაბრუნდება, თორემ წერილი მეტად ძნელი სანდობია ამ რეაქციის დროს: თუ გაგვიგეს საიდანმე, აღარ დაზოგავენ და მართლა უსათუოდ გადაიყვანენ."[1540]

ჩვენს მიერ მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად შემოტანილი ვრცელი აღნიშნული ამონაწერები მრავლისმეტყველი და მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველია. არქიმანდრიტი ნიკოლოზი მართალი იყო, როცა აღნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების მცირე ნაწილი, თუკი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის სხვა საშუალება არ იქნებოდა, დახმარებისათვის მიმართავდა რომის პაპს უნიის გასაფორმებლად. კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმების იდეა, როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, 1905 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებულ „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის" სახელით გავრცელებულ მიმართვაში დაფიქსირებული იყო, რომელსაც სასულიერო პირთა მცირე ნაწილი ემხრობოდა. თუმცა ამ იდეას არ იზიარებდა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე და სხვები.[1541]

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს უნდა უზრუნველყო საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირთა და მოწინავე ქართველი საზოგადოების ჩართვა ამ მოძრაობაში. ამ მხრივ, დიდად იღვაწა ნიკოლოზ ნამორაძემ. მას საიმედო პირთა დახმარებით მოლაპარაკება გაუმართავს ქართველ იერარქებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი გაუცხადებიათ რომის პაპთან უნიის გაფორმებაზე.[1542]

1539 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.

1540 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.

1541 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 173, ფურცელი 17; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 272, ფურცელი 25-27; შდრ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 1214.

1542 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ უნიის მომხრენი დიდ იმედს ამყარებდნენ აკაკი წერეთლის ევროპაში გამგზავრებაზე. ევროპაში მგზავრობის დროს აკაკი უნდა ჩასულიყო რომში მიხეილ თამარაშვილთან. ამ უკანასკნელს კი უნდა მოეგვარებინა რომის პაპთან აკაკის აუდიენციის საკითხი, სადაც უნდა განხილულიყო, რა გზით იქნებოდა მიზანშეწონილი საქართველოს ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმება. კონსტანტინოპოლში არსებული ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ძმობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკის ევროპაში მოგზაურობას. ისინი აკაკის დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ. მათ 1909 წლის 26 აპრილს მონასტერში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს აკაკის იუბილე მისი მონაწილეობის გარეშე. 1909 წლის ივლისში აკაკი პარიზში გაემგზავრა. გზად იგი რამდენიმე საათით შეჩერდა სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც მას დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ჩვენთვის ცნობილია, რომ აკაკის სტუმრობასთან დაკავშირებით გამართულა შეკრება, სადაც, როგორც ირკვევა, საიდუმლოდ საუბარი ყოფილა კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმების შესახებ. ჩვენთვის უცნობია შეხვედრის დეტალები, მხოლოდ ის ვიცით, რომ პარიზში ჩასული აკაკი, შემდეგ რომში მიხეილ თამარაშვილთან უნდა ჩასულიყო და შეხვედროდა პაპის წარმომადგენლებს. აღნიშნული შეკრების შესახებ პატრი იოსები მერაბიშვილი წერილით ატყობინებს რომში მიხეილ თამარაშვილს და სთხოვდა, რომში ჩასვლისას დიდი შეხვედრა მოუწყოს აკაკის და უზრუნველყოს რომის პაპთან მისი შეხვედრა.[1543] რომში ვიზიტის შესახებ მიხეილ თამარაშვილს არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე 1909 წლის 14 სექტემბერს წერს, რომ აკაკი „იმ აზრისაა, რომ კათოლიკობა არის ერთად ერთი ხსნა საქართველოს ეკლესიისა და დიდად მონატრულია, რომ ეს საქმე მის თვალწინ აღსრულდეს."[1544] საქართველოში მყოფ უნიატებს იმედი ჰქონდათ, რომ ევროპაში მიმავალი აკაკი წერეთელი გარკვეულ ნაბიჯს გადადგამდა თავიანთი განზრახვის განსახორციელებლად.

პარიზში ჩასვლის შემდეგ მიმოწერა გაიმართა მიხეილ თამარაშვილისა და აკაკი წერეთლის შორის. აკაკი წერეთელი აიმედებდა მიხეილს, რომ მალე იგი რომში ჩავიდოდა.[1545] მიხეილ თამარაშვილისა და აკაკი წერეთლის მიმოწერა დიდი სიფრთხილით არის დაწერილი. აკაკის რომში ჩასვლის ძირითად მიზანზე მასში საუბარი არ არის, რადგან ორივე სიფრთხილეს იჩენდა, რომ მათი გეგმები არ გამჟღავნებულიყო. თუმცა აღნიშნულია, რომ მისი რომში

ფონდი, საქმე №2661; შდრ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე 2662.

1543 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირად ფონდი, საქმე 2364).

1544 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი, 2662; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, გვ. 29-38.

1545 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, საქმე 490ა.

მისვლა ძალზე მნიშვნელოვან საკითხთან იყო დაკავშირებული.[1546] განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედებდა აკაკი წერეთელი. პარიზიდან იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აკაკი აღნიშნავდა: „მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან, მიბარებს რომში. მე წასვლის დასტური მივწერე, ჯერ ვერ წავალ, რადგანაც საგზალზედ ნაკლებათა ვარ და სტამბოლიდანაც ნიკოლოზი უნდა დავიბარო, რასაკვირველია, ჩემი ხარჯით."[1547] წერილში დასახელებული ნიკოლოზი არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძეა, რომელიც უნიის აქტიური მომხრე იყო. აკაკიმ სიფრთხილის გამო იაკობს არ აცნობა, თუ რატომ უნდა დაიბაროს ნიკოლოზ არქიმანდრიტი.

რომში მიხეილ თამარაშვილი მოუთმენლად ელოდა აკაკის ჩასვლას, მაგრამ მოულოდნელად 1909 წლის 24 ოქტომბერს აკაკი მიხეილ თამარაშვილს წერს, რომ „ამ დღეებში მივდივარ კავკაზიაში, გარემოებამ მოიტანა." აკაკი პირდებოდა მიხეილს, რომ სამი თვის შემდეგ იგი აპირებდა ევროპაში გამგზავრებას, მაშინ კი უეჭველად პირდაპირ რომში ჩავიდოდა უფრო დიდი ხნით.[1548] წერილებში არავითარი ცნობა არ გვაქვს იმის შესახებ, თუ დროის მცირე მონაკვეთში რატომ გადაიფიქრა აკაკიმ რომში გამგზავრება. მოულოდნელად აკაკიმ თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და პოლონეთის გზით საქართველოში დაბრუნდა. არ არის გამორიცხული, რომ მისი განზრახვა ჟანდარმერიისათვის გამხდარიყო ცნობილი. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ უკან დაბრუნებისას აკაკი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.[1549]

აკაკი წერეთელი პოლონეთის გავლით დაბრუნდა საქართველოში. სტამბულის გზით უკან დაბრუნებაზე უარი მან შეგნებულად თქვა, რადგან ქართველი კათოლიკეთა ძმობა მის დაბრუნებას სულმოუთქმელად ელოდა და დიდი ზეიმისთვისაც ემზადებოდნენ. რაც შეეხება აკაკი წერეთლის დანაპირებს, რომ იგი მალე გაემგზავრებოდა რომში, მას აღსრულება არ ეწერა, რადგან 1911 წელს იტალიაში ტრაგიკულად დაიღუპა მიხეილ თამარაშვილი და მისი გარდაცვალების შემდეგ უნიის იდეაც საბოლოოდ დასამარდა.[1550]

ირკვევა, რომ ზუსტად ამ დროს ქუთაისის საზოგადოების ერთი ნაწილი რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამო მომხრე ყოფილა უნია გაეფორმებინათ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ანდა უკიდურეს შემთხვევაში ისლამი მიეღოთ. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამართველოს უფროსის მიერ 1909 წლის 4 მარტს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილი აგენტურის ქსელზე დაყრდნობილი საიდუმლო ცნობა, რომლის მიხედვით,

1546 სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, საქმე 1140, ფურცელი 4.

1547 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1963, გვ. 262.

1548 აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1963, გვ. 274.

1549 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე 1166, ფურცელი 1-15.

1550 ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია," 2, 2011, გვ. 229-38.

იმავე წლის 22 თებერვალს ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ქუთაისში გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თავად წერეთლის ხელმძღვანელობით დევნილ ეპისკოპოსიის კირიონ საძაგლიშვილის მხარდასაჭერად ჩატარებულმა კრებამ, დაგმო ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკა. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ მაზრის წარმომადგენელი თავადები: ქუთაისის თავი დავით ლორთქიფანიძე, კაცია ერისთავი, ქალაქ სოხუმის ყოფილი თავი ნიკოლოზ თავდგირიძე, ჭიათურის მარგანეცის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კიტა აბაშიძე, ამავე საბჭოს თანამშრომელი ნიჟარაძე, დავით მიქელაძე, პოლკოვნიკი გიორგი აბაშიძე და სხვები, სულ 40-50 პიროვნება. აგენტურის ცნობით, კრებზე გამოსულმა ორატორებმა ნიკოლოზ თავდგირიძემ, დავით მიქელაძემ და კიტა აბაშიძემ დაგმეს რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა და უსამართლოდ მიიჩნიეს ხელისუფლების მიერ ქართველი სასულიერო პირების კირიონის, ლეონიდეს, ამბროსი ხელაიას დევნა-შევიწროვება. ყველა გამომსვლელი ერთხმად აღიარებდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო მხოლოდ ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. გამომსვლელთაგან ნიკოლოზ თავდგირიძეს მოუთხოვია დეპუტაცია გაეგზავნათ პეტერბურგში ავტოკეფალიის მოთხოვნით, თუკი ხელისუფლება მოთხოვნას არ შეასრულებდა, მაშინ მათივე დეპუტაცია უნდა წარმდგარიყო რომში პაპის წინაშე და ქართველი ხალხის სახელით მოეთხოვათ უნია – კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანება. ამავე მოსაზრებას იზიარებდა კიტა აბაშიძეც. ერთ-ერთი გამომსვლელი დავით ლორთქიფანიძე უფრო შორს წასულა და მოუთხოვია ისლამის მიღებაც. მომხსენებლების საწინააღმდეგო მოსაზრება დაუფიქსირებია ქალაქ ქუთაისის თავს დავით ლორთქიფანიძეს, რომელსაც განუცხადებია, რომ ერთეულ პირებს უფლება არ აქვთ ილაპარაკონ ქართველი ხალხის სახელით, რადგან ეს უფლება მათთვის არავის მიუნიჭებია, მით უმეტეს საკითხი, როცა რწმენის საკითხს ეხებაო. აღნიშნული მოსაზრება კრების უმრავლესობამ გაიზიარა. კრებაზე განხილული საკითხები საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. მის შესახებ ინფორმაციამ გაზეთებშიც გაჟონა. აღნიშნული ფაქტით ინფორმირებული იყო პოლიციის დეპარტამენტი და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.[1551] მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნიკოლოზ თავდგირიძე, კიტა აბაშიძე და დავით მიქელაძე დააპატიმრეს. გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაციით მათ ელოდათ გაციმბირება.[1552] დაპატიმრებულთა ბედით ქართველი საზოგადოება დიდად იყო დაინტერესებული. მათ გათავისუფლებაში ჩაერია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პროკოფი შერვაშიძე. საზოგადოების ძალისხმევით ერთვიანი პატიმრობის შემდეგ სამივე დაკავებული გაათავისუფლეს.[1553]

1551 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 27, საქმე 1050, ფურცელი 2-4; შდრ. კ. ქებულაძე, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ქუთაისი, 2005, გვ. 48.

1552 ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი პირველი, 1829-1917, თბ., განყოფილება III, 113, 11, 43, თბ., 1954; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 9, 1909, გვ. 7; შდრ. კ. ქებულაძე, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ქუთაისი, 2005, გვ. 49.

1553 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 27, საქმე 1050, ფურცელი 15.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს სურდა რომის კათოლიკურ და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის უნიის გაფორმება. ამ იდეას ემხრობოდა გიორგი მაჩაბელი, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს იტალიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იყო. მან ამ საკითხთან დაკავშირებით 1919 წელს წერილით მიმართა იმდროინდელ კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძეს და აცნობებდა, რომ თანხმობის შემთხვევაში იგი ვატიკანის მაღალ იერარქებთან მოლაპარაკებით პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდა მის განსახორციელებლად. გიორგი მაჩაბელის ამ იდეას კათოლიკო-პატრიარქი ლეონიდე არ გამოხმაურებია, რადგან იგი არ ემხრობოდა კათოლიკურ ეკლესიასთან უნიას.[1554]

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის დიდი მცდელობის მიუხედავად, კათოლიკურ ეკლესიასთა უნიის იდეამ განხორციელება ვერ ჰპოვა, იმის შიშით, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთი არ დაუბრუნებდა ეკლესია-მონასტრებს და ჩამორთმეულ ქონებას. გარდა ამისა, ქართველი სამღვდელოება ძველი დროიდანვე დიდ ერთგულებას იჩენდა მართლმადიდებელი მრწამსის მიმართ და არ იზიარებდა კათოლიკურ დოგმატურ ცვლილებებს, რის გამოც მათთან ევქარისტულ ურთიერთობაზე ყოველთვის უარს აცხადებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1917 წლის 12 მარტი) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მომხრე იყო გარკვეული ურთიერთობა ჰქონოდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან, რასაც ადასტურებს 1917 წლის სექტემბერში ახლადდადგენილი კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ საძაგლიშვილის, ხოლო 1926 წლის 28 მარტს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ვატიკანში გაგზავნილი წერილები, რაც არ ითვალისწინებდა ამ ორ ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირის დამყარებას.[1555]

ავტოკეფალისტთა მოძრაობის ყველაზე უფრო პროგრესული ნაწილი მომხრე იყო, დახმარებისათვის კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისათვის მიემართა. ეს იდეა, ჯერ კიდევ, 1907 წელს ჩაისახა. მის ხორცშესხმაში დიდი როლი შეასრულა იმხანად ინგლისში მოღვაწე ქართველმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა და საქართველოში მყოფმა ქართველ სასულიერო პირთა ერთმა ჯგუფმა. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტის შემუშავებამდე, ჯერ კიდევ 1907 წლის ზაფხულში, საზღვარგარეთ ყოფნის დროს პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს განუზრახავს სტამბოლში საგანგებოდ ჩასვლა, რათა მსოფლიო პატრიარქს იოაკიმე მესამესთან პირადი ურიერთობის დამყარებით მოეპოვე-

1554 ე. ბუბულაშვილი, გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძეს, ქართული ემიგრაცია, 2, 2014, გვ. 110-113.

1555 ჟურნალი „სვეტიცხოველი," 1, გვ. 3; შდრ. რომი, ვატიკანის არქივი, 373-28 Pro Russia (16), 373/28, ფურცელი 8-9.

ბინა იმდროინდელი მართმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს მხარდაჭერა. აღნიშნული ფაქტის შესახებ 1907 წლის 2 ნოემბერს პეტერბურგიდან ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) თბილისში მყოფ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს აცნობებდა, რომ ალექსანდრე ცაგარელი პირადად იცნობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ იოაკიმე მესამეს და იმედი ჰქონდა, რომ იგი საქართველოს და ქართველი სამღვდელოების გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანდა.[1556] დიდი გარჯის მიუხედავად, იმხანად ალექსანდრე ცაგარელმა მსოფლიო პატრიარქთან შეხვედრა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, 1907 წლის შემოდგომაზე, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, იგი გაეცნო მოსკოვში ჩასულ მსოფლიო პატრიარქის არქიმანდრიტს, რომელსაც დავალებული ჰქონდა პატრიარქის სახელით რუსეთის იმპერატორისათვის საჩუქრად ხატის მირთმევა. ალექსანდრე ცაგარელმა ბერძენ არქიმანდრიტს და მის თანხლებ ბერ-დიაკონს გააცნო საქართველოს ეკლესიის გასაჭირი და ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში მათი მხარდაჭერა და თანადგომა ითხოვა. როგორც წყაროებით დასტურდება, ბერძენ არქიმანდრიტს თანაგრძნობა არ გამოუხატავს ქართველი ავტოკეფალისტებისადმი. უფრო მეტიც, მას ალექსანდრე ცაგარელისათვის განუცხადებია: „ქართველებს აქამდე უნდა ესწავლათ რუსული და ამ ენაზე რუსი ეგზარქოსების წირვა-ლოცვაც მოესმინათო." ბერძენი არქიმანდრიტის პასუხით უკმაყოფილო ალექსანდრე ცაგარელს მისთვის უთქვამს: „გირჩევთ, ქომაგობა გაუწიოთ ამ საქმეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, რადგანაც ამას თვით ისტორიული ჭეშმარიტება თხოულობსო."[1557] ბერძენი არქიმანდრიტის მოქმედებით უკმაყოფილო ალექსანდრე ცაგარელს საბოლოოდ გადაუწყვეტია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდაჭერის მიზნით საგანგებო ვიზიტით სწვეოდა მსოფლიო პატრიარქს. დიდი მცდელობის მიუხედავად, როგორც აღინიშნა, 1907 წლისათვის მან თავისი განზრახვა ვერ განახორციელა. სამაგიეროდ, იმავე წელს ალექსანდრე ცაგარელმა კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა გაზეთ „სლოვოში" რუსულ ენაზე გამოქვეყნებული თავისი სტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. აღნიშნული სტატიის შინაარსით მსოფლიო პატრიარქი დაინტერესებულა, რის გამოც იგი ბერძნულად უთარგმნიათ და გაზეთ „ათინაში" გამოუქვეყნებიათ.[1558] გარდა ამისა, როგორც წყაროებით დასტურდება, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოაკიმე მესამე ქართველ ავტოკეფალისტთა განზრახვის შესახებ საქმის კურსში ყოფილა. ამ საკითხზე მას ხშირად ესაუბრებოდა ქართული ეკლესიის გულშემატკივარი

1556 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 328; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1557 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 328; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1558 გაზეთ „შრომა," 17, 1907; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

ნიკოლოზ დურნოვო. მასთან დიალოგში მსოფლიო პატრიარქს გამოუხატავს თავისი პოზიცია და აღუნიშნავს, რომ რუსეთის უწმინდეს სინოდს კანონიკურად არ აქვს საქართველოს ეკლესიის მართვის უფლებაო.[1559] მოგვიანებით, 1914 წელს, ალექსანდრე ცაგარელი სტამბოლში შეხვედრია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქს, რომელიც კმაყოფილი დარჩენილა ქართველ ავტოკეფალისტთა აქტიურობით. მასვე უცნობებია ალექსანდრე ცაგარელისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს უჭერდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ი. სოკოლოვი, რომელიც თურმე მსოფლიო პატრიარქს დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა საქართველოს ეკლესიის მძიმე მდგომარეობის შესახებ.[1560]

როგორც წყაროებით ირკვევა, ამის შემდეგ ქართველ ავტოკეფალისტთა ერთ ნაწილს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით, განზრახული ჰქონია მიმართვა გაეგზავნა მსოფლიო პატრიარქისათვის. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს ჟანდარმერიის დოკუმენტური მასალა, რომელიც პირველად მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანეს მკვლევარებმა გოჩა ფერაძემ და ხათუნა ქოქრაშვილმა.[1561] ამ მასალებით ირკვევა, რომ ჟანდარმერიას თავისი აგენტები ჰყოლია შეგზავნილი ქართველ ავტოკეფალისტთა შორის. ჟანდარმერიას ინფორმაციას აძლევს ორი აგენტი, რომელიც ცნობილია ერთი „სლუჩაინის" მეორე – „დვორიანინის" სახელით. უკანასკნელი გამოკვლევებით ირკვევა, რომ „სლუჩაინის"ფსევდონიმით ცნობილი იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც 1905 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავტოკეფალისტთა მოძრაობაში.[1562] წყაროებით დასტურდება, რომ ავტოკეფელისტები ფარულად იკრიბებოდნენ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისა და დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის ოჯახში. ერთ-ერთი აგენტის ცნობით, 1910 წლისათვის მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის წერილი უნდა გაეგზავნათ დახმარების შესახებ, ამ უკანასკნელს კი უნდა ეშუამდგომლა რუსეთის ხელისუფლების წინაშე ივერიის ეკლესიის ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე დაქვემდებარების შესახებ.[1563] აგენტის ეს ცნობა რეალურ სინამ-

---

1559 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 302; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1560 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე 162; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1561 გ. ფერაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ჟურნალი „რელიგია," 1998, 7-8, გვ. 91-96; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, ზოგიერთი ეპიზოდი ავტოკეფალური მოძრაობის ისტორიიდან, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო", 1999, 1, გვ. 22-25; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 15-25.

1562 თ. სიამაშვილი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, თელავი, 2003, გვ. 142.

1563 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურც. 17; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს

დვილეს არ ასახავს, ჯერ ერთი, ჩვენს ხელს არსებულ მიმართვაში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი, ამავე წყაროების მიხედვით, თითქოს კირიონ ეპისკოპოსი წინააღმდეგი ყოფილა მსოფლიოს პატრიარქისადმი გაეგზავნათ რაიმე მიმართვა, რადგან მისი აზრით, ამით შემდგომში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმე საკმაოდ შეყოვნდებოდა, რაც აგრეთვე, ჩვენი აზრით, რეალურ სინამდვილეს არ ასახავს. რადგან 1910 წლისათვის ნიკონის მკვლელობის ბრალდებით კირიონი გადასახლებაში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და ბუნებრივია, მისი ქართველ ავტოკეფალისტებთან ასეთ საიდუმლო დოკუმენტის შედგენაზე მონაწილეობა გამორიცხულია. ჩვენთვის ცნობილია, რომ, ეპისკოპოსი კირიონი თანახმა იყო ავტოკეფალიის მოგვარებისათვის დახმარება მიეღოთ მსოფლიოს პატრიარქისაგან. ასე რომ, ზემოთ მოტანილი ცნობები, რომელიც აგენტურის მონაცემებს ეყრდნობა, ხშირ შემთხვევაში ბევრ უზუსტობებს შეიცავს. ირკვევა რომ, ოხრანკის აგენტები „დვორიანინი" და „სლუჩაინი" მართალია ავტოკეფალისტებთან ახლოს იყვნენ, მაგრამ, აშკარად ჩანს, რომ ყველაფრის საქმის კურსში არ იმყოფებოდნენ. როგორც ჩანს, მსოფლიოს პატრიარქისადმი მიმართვის ტექსტის ავტორები შედარებით ფრთხილად მოქმედებდნენ. ეს დასტურდება შემდეგი ფაქტიდანაც. 1910 წლის 19 თებერვალს, ოხრანკის აგენტი „დვორიანინი" იტყობინება, რომ მიმართვა ქართველ ავტოკეფალისტებს უკვე გაუგზავნიათ კონსტანტინოპოლში. მათივე განმარტებით, იგი შეუდგენია „კონსპირაციულად საქართველოში ჩამოსულ ვასილ ჩერქეზიშვილს."[1564] აქვე აგენტები ასახელებენ მიმართვის ტექსტის ავტორებს. ესენი ყოფილან, მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ეგზარქოსის კანცელარიის მმართველის თანაშემწე დავით დავითაშვილი. ჩვენი აზრით, „სლუჩაინის" სახელით ცნობილი მეორე აგენტი დავით დავითაშვილი უნდა იყოს. აგენტების ცნობით, მსოფლიოს პატრიარქთან გასაგზავნი ტექსტი, თითქოს რედაქტირების მიზნით, გაეგზავნა რუსეთში მოღვაწე ქართული ეკლესიის დიდ გულშემატკივარს ნიკოლოზ დურნოვოს. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა ამ ფაქტს არ ადასტურებს. ქართველი სასულიერო პირების აზრით, ნიკოლოზ დურნოვო და სხვა რუსი მხარდამჭერები ყველაფრის საქმის კურსში არ უნდა ჩაეყენებინათ, რადგან ისინი მხარს არ უჭერდნენ საქართველოს ეკლესიის სრულყოფილ ავტოკეფალიას. არც ისაა სწორი, რომ თითქოს აღნიშნული მიმართვა კონსტანტინოპოლში ვარლამ ჩერქეზიშვილს გადაუცია იმ დროისათვის ამავე ქალაქში მყოფ გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვრის ნიკოლოზ ნამორაძისათვის, რომელიც, თურმე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. ჩვენს მიერ მოძიებული მასალა აგენტურის არც ამ ცნობას არ

ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32 შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1564 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურც. 24; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32 შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

ადასტურებს. არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს არ ენდობოდნენ იმდროინდელი ავტოკეფელისტები, რადგან იგი რომის პაპთან უნიის მომხრე იყო. ვარლამ ჩერქეზიშვილს თვითონ უნდა მიეტანა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში აღნიშნული მიმართვა, ყოველგვარი შუამავლების გარეშე. მკვლევარი ხ. ქოქრაშვილი აღნიშნავს, რომ აგენტურის მიერ იმდენად არის დაწვრილებით აღწერილი მიმართვის შინაარსი, რომ იგი რეალურად უნდა არსებულიყო. თუმცა, მისივე განმარტებით, „იგი ჯერჯერობით მიკვლეული არაა."[1565] ჩვენს მივაკვლიეთ აღნიშნული მიმართვის ქართული და ინგლისური ტექსტები.



ვარლამ ჩერქეზიშვილი
(1846-1925)

ვარლამ ჩერქეზიშვილისა და დეკანოზ დავით ღამბაშიძის მეშვეობით მსოფლიოს პატრიარქისადმი გაგზავნილი მიმართვა 1912 წელს ანგლიკანმა მთავარეპისკოპოსმა დოულინგმა თან დაურთო ინგლისურ ენაზე ლონდონში გამოქვეყნებულ საქართველოს ეკლესიის ისტორიას. ამ დოკუმენტის გარდა, დოულინგის აღნიშნულ ნაშრომს ახლავს, აგრეთვე, XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში დაბეჭდილი მასალების ინგლისური თარგმანი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს ეხება.[1566] კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქისადმი ქართველ სასულიერო პირთა მიერ გაგზავნილი ქართულ ნაბეჭდი ტექსტი ჩვენ მივაკვლიეთ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში (რარიტეტი), რომელიც შესაბამისი გამოკვლევის დართვით გამოვაქვეყნეთ.[1567]

ექვს გვერდზე დაბეჭდილი მიმართვის ტექსტში საუბარია საქართველოს ეკლესიის წარსულზე. შემდგომ რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის გაუქმებაზე და მისგან გამოწვეულ სიძნელეებზე. მიმართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ უკანონო ქმედებების ჩვენებას, რასაც რუსეთის ცარიზმი ერთმორწმუნე ქართველთა წინააღმდეგ აკეთებდა. მიმართვის ბოლოს ქარ-

1565 ხ. ქოქრაშვილი, ზოგიერთი ეპიზოდი ავტოკეფალური მოძრაობის ისტორიიდან, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო", 1999, 1, გვ. 22-25.

1566 Sketches of Georgien church Hystohy anchgefcjn Dowling D. D. London, 1912, p. 411; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32 შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

1567 ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32 შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 152-161.

თველი ავტოკეფალისტები სთხოვენ მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავარს ზეგავლენა მოახდინონ რუსეთის ხელისუფლებაზე და გამოსცენ ბრძანება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.[1568]

ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვას სათანადო ნაყოფი გამოუღია. როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, მსოფლიოს პატრიარქი გულისყურით მოჰკიდებია ქართველთა თხოვნას. რუსეთის მმართველი წრეების დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის გაუქმებას უკანონოდ მიიჩნევდა.[1569]

მოტანილი მასალა მიუთითებს, რომ რეაქციის დროს საეკლესიო ვითარების გამწვავების მიუხედავად ავტოკეფალისტთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემდეგ მართალია ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგორი დროებით წარმატებით წარმართავდა საეგზარქოსოს საქმიანობას, მაგრამ მისი დატოვება აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლებელი იყო. 1909 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოსად და ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა ინოკენტი ბელიაევი. ინოკენტი (ერობაში ივანე ვასილის ძე ბელიაევი) დაიბადა 1862 წლის 23 სექტემბერს ვლადიმირის გუბერნიაში, სასულიერო პირის ოჯახში. ვლადიმირის სასულიერო სასწავლებლისა და ამავე ქალაქის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მან 1885 წელს ყაზანის სასულიერო აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და იმავე წელს დაინიშნა რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად ქ. ტობოლსკის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, შემდეგ – ტობოლსკის ქალთა გიმნაზიაში, 1887 წელს ამავე სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა. მეუღლისა და შვილების გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა ინოკენტის სახელით. მალე იგი დაჩქარებულად აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორად და ვილენის სამების მონასტრის წინამძღვრად. ინოკენტი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო ლიტერატურის გამოცემა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომი „მონაზვნად აღკვეცი შესახებ," რისთვისაც მას სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 1899 წლის პირველ აგვისტოს ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ დაინიშნა ხარკოვის ეპარქიის სუმის ვიკარ-ეპისკოპოსად. შემდგომ იყო ნარვის ეპისკოპოსი, 1903 წლიდან მართავდა ტამბოვისა და შაცკის ეპარქიას, სადაც იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო განათლების სრულყოფას, მკაცრად ილაშქრებდა

1568 Sketches of Georgien church Hystohy anchgefcjn Dowling D. D. London, 1912, p. 411; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32 შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნალი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 155.

1569 ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,VIII, 2006, გვ. 24-32; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ქართველ ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს, ჟურნასლი „ლოგოსი," 7, 2007, გვ. 153.

რევოლუციონერთა და სხვადასხვა რელიგიური სექტების ხლისტების, ბაპტისტებისა და მოლოკნების წინააღმდეგ.

საქართველოს ეგზარქოსად დანიშვნის დროს თავის განწყობა მან კარგად გამოხატა გამომგზავრებისას ტამბოვის სასულიერო სემინარიის სტუდენტების მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში: „ღვთის ნებამ მომისაჯა...იევრიის ეკლესიის მწყემსმთავრის კათედრაზე, ჩემი წამებული წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე ასვლა... მივდივარ პირადი სიცოცხლისათვის საკმაოდ სახიფათო ღვთიურ საქმეზე." სემინარიის სტუდენტების წინაშე იგი დაუფარავად აღნიშნავდა: „სიკვდილის შიშმა მომიცვა, შიშმა და კანკალმა ამიტანა... იქ შორეულ, უცხო მხარეში ხომ არ მელის ჩემი საფლავი."[1570] თითქმის იგივე შიშნარევი იყო 1910 წლის 25 იანვარს საქართველოში ჩამოსული ეგზარქოს ინოკენტი ბელიაევის მიერ თბილისის სიონის ტაძარში წარმოთქმული სიტყვა, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „მე ავდივარ ჩემი წინამორბედის, წამებული მწყემსმთავრის სისხლით შეღებილ კათედრაზე."[1571]

ახალი ეგზარქოსის ჩამოსვლა დაემთხვა იმერეთის სამღვდელოების ყრილობას. ყრილობის დეპუტატებმა მიმართვა გაუგზავნეს ახლადდანიშნულ ეგზარქოს და წარმატება უსურვეს „იევრიის სამოციქულო ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში." საპასუხო მიმართვაში ეგზარქოსმა ინოკენტიმ მადლობა გადაუხადა ყრილობის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა რუსეთის ეკლესიისაგან საქართველოს ეკლესიის განუყოფლობას და დასძინა: „მაგრამ გადაჭრით ვამბობ უარს, ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენას."[1572] მოტანილი მისი სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ამ მოძრაობის შესაჩერებლად სხვადასხვა ფარულ ღონისძიებებს მიმართავდა მათი აქტივისტების წინააღმდეგ.



ეგზარქოსი ინოკენტი (ბელიაევი, 1909-1913)

ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ჟურნალი „მწყემსი." იგი 1910

1570 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 147.

1571 (Церковные Ведомости, #1, 1910, стр. 181; შდრ. სიტყვა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა, საქართველოს ეგზარქოსის, მთავარეპისკოპოსის ინოკენტისაგან, თქმული თბილისის სიონის კათედრის ეკლესიასა შინა პირველად შემობრძანების დროს (25 იანვარი 1910 წ.), ჟურნალი „მწყემსი," 4, 1910, გვ. 2; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 148.

1572 А. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПБ, 1912, стр. 114; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თ., 2001, გვ. 147

წლის 30 იანვრის პირველ ნომერში აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის კრების დეპუტატებს მისალოცი დეპეშა გაუგზავნიათ ჯერ კიდევ ტამბოვში მყოფ ეგზარქოს ინოკენტისათვის, რომელსაც საპასუხო დეპეშით მადლობა გადაუხდია მათთვის და განუცხადებია: „გთხოვთ მიმიღოთ მეც ეპარქიის მუშაკთა წრეში. მოვალ თქვენთან ქრისტიანული სიყვარულით და მშვიდობით. მწადს მთელი ჩემი ძალი და ღონე ივერიის ეკლესიის საქმეთა მოწყობას შევწირო და თქვენთან ერთად ვიზრუნო სამღვდელოებაზე. უგზავნი მამა დეპუტატებს ჩემს კურთხევას; უსურვებ სიცოცხლეს „მრავალ ჟამიერ." დეპეშის გაცნობის შემდეგ ერთმა რუსმა მღვდელმა დაიწყო გალობა „მრავალ ჟამიერისა" და ბანი მისცეს სხვა დეპუტატებმა."[1573]

ეგზარქოსად დანიშვნისთანავე მთავარეპისკოპოსი ინოკენტი შეეცადა სიმშვიდე შეეტანა თავის მოღვაწეობაში. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე იგი ავრცელებდა რევოლუციის საწინააღმდეგო ლიტერატურას. მრევლში რელიგიური გრძნობების ამაღლებისათვის, მისი კურთხევით, ქართულ ენაზე დაიწყეს სასულიერო პირთა ქადაგებების გამოცემა. აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატორი ქართველი სამღვდელოება გახლდა. 1910 წლის მაისში თბილისის სიონის საკათედრო ტაძართან არსებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძმობის წარმომადგენლებმა საქართველოს ეგზარქოს ინოკენტის წარუდგინეს წესდება. ძმობის სახელით მრევლის სულიერების ამაღლების მიზნით ისინი მოითხოვდნენ ქართულ ენაზე გამოცემულიყო სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, ქადაგებები და სხვა გამოცემები. ისინი აგრეთვე მოითხოვდნენ სასულიერო ხასიათის ჟურნალის დაარსებას. 1911 წლის ნოემბერში საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ ძმობის წესდება დაამტკიცა.[1574] წესდების მიხედვით, ძმობის მიზანი იყო ქართველთა შორის მართლმადიდებელი რწმენის გავრცელება. თავდაპირველად ძმობის თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე). მისი საქართველოდან გაწვევის შემდეგ, 1912 წლის მეორე ნახევრიდან ძმობას ხელმძღვანელობას უწევდა გორის ვიკარ-ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე. ძმობის წევრები იყვნენ: არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე); დეკანოზები: სოლომონ შოშიაშვილი, ნესტორ ყუბანეიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე და მღვდელი – ისააკ ჩეკურიშვილი. არქიმანდრიტი პიროსი ხელმძღვანელობდა ძმობის საგამომცემლო საქმიანობას. ძმობის წევრები კრებდნენ კვირა-უქმე დღეებში წარმოთქმულ სამღვდელოების მიერ წარმოთქმულ ქადაგებებს, ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ სასულიერო პირთა და მრევლს შორის. კომისია სთხოვდა სასულიერო პირებს მათთვის მიეწოდებინათ ქადაგებები. თვეში გამოდიოდა ერთი ქადაგება, წელიწადში კი – თორმეტი ქადაგება იბეჭდებოდა. ძმობის სახელით სულ დაიბეჭდა 120 ქადაგება, სიტყვა,

1573 ჟურნალი „მწყემსი," 1-2, 1910, გვ. 2.

1574 Епископ Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, 1912, стр. 3; შდრ. საისტორიო ცენრტალური არქივი,ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 28.

მიმართვა და განმარტებები. ამ ქადაგებების ავტორები იყვნენ ეპისკოპოსები: ლეონიდე (ოქროპირიძე), დავითი (კაჭახიძე), ანტონი (გიორგაძე); დეკანოზები: კალისტრატე ცინცაძე, მარკოზ ტყემალაძე, ნესტორ მაჭარაშვილი; მღვდლები: ისააკ ჩეკურიშვილი, იოველ გამრეკელი და სხვები.[1575]

გარდა ამისა, არსებული რეჟიმის ერთგული ახალგაზრდა სასულიერო პირების აღზრდის მიზნით სასულიერო სასწავლებლების ბიბლიოთეკებში მომრავდა სხვადასხვა სახის რელიგიური ლიტერატურა. ოპოზიციაში მყოფი ქართველ ავტოკეფალისტთა გულის მოგების მიზნით სასულიერო სასწავლებლებში საღმრთო რჯულის სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეგზარქოს ინოკენტის კურთხევით, თბილისის რეალური სასწავლებლის შენობაში გაიხსნა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია. მისივე დავალებით, ქალთა განათლების მიზნით ბოდბის, სამთავროს, მამკოდის მონასტრებში ჩამოყალიბდა მოწყალების დების კურსები.

ეგზარქოს ინოკენტის დროს 1912 წლის 13 დეკემბრის უწმინდესი სინოდის დადგენილებით სომხეთის ტერიტორიებზე დაფუძნდა საქართველოს საეგზარქოსოს ქართლ-კახეთის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ერევნის სავიკარიო. ერევნის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობის გარდა, იგი, აგრეთვე მოიცავდა ისტორიული საქართველოს თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის ლორის სამრევლოს მართლმადიდებელი მოსახლეობასაც. საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში აღნიშნული არაქართული საეპისკოპოსოს გახსნა მიზნად ისახავდა ხელისუფლების მხარდამჭერი და რუსეთის იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის გამტარებელი სამღვდელოებისა და მრევლის ხელოვნურ გაზრდას.

მიუხედავად მშვიდობიანი განწყობისა ეგზარქოსი ინოკენტი შინაგანად დაძაბულობას გრძნობდა და ყველგან სიკვდილის საფრთხეს ხედავდა, რის გამოც წესრიგის დამცველი ორგანოები (ოხრანკა, ჟანდარმერია), კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აგენტების მეშვეობით აგროვებდნენ საჭირო ინფორმაციას.[1576] ახალი ეგზარქოსი გაძლიერებული დაცვით გადაადგილდებოდა, შესაბამისად გაძლიერებული იყო საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შენობების დაცვაც.

უშიშროების მიერ მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ეგზარქოსი ინოკენტი არ მოსწონდათ ადგილობრივ სასულიერო პირებს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მეგობარი და ფარულად მისი იდეების გამტარებელი იყო. აღნიშნულის გამო იგი ქართველი სამღვდელოების მიერ ორპირ „мягко стелет, но жестко будет спать" პიროვნებად მოიაზრებოდა.[1577]

1575 ლ. ბუკია, სიონის საკათედრო ტაძართან არსებული ძმობის ქადაგებები, გაზეთი „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია," 11 (23), 2000, გვ. 7.

1576 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 50-64.

1577 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 20.

თბილისის ჟანდარმერია 1911 წლის მარტის დასაწყისში იტყობინებოდა, რომ „ეგზარქოს ინოკენტის მოღვაწეობით ძალიან უკმაყოფილოა მთელი ქართველი სამღვდელოება, უკმაყოფილოა, მისი მმართველობის სისტემის გამო, რომლის დროსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მიჩუმდა და რუს მღვდელმსახურებს მიენიჭათ უპირატესობა ქართველებთან შედარებით; შესაბამისად, უკმაყოფილოა იმით, რომ თითქოსდა ეგზარქოსი თვითნებურად განაგებს ქართველი სამღვდელოების კუთვნილ ქონებას, მისი განკარგულებით გასაყიდადაა გატანილი სასულიერო სემინარიის ძველი შენობა, იმისთვის, რომ დაიფაროს ახალი სემინარიის მშენებლობის ხარჯები."[1578]

ეგზარქოსის უსაფრთხოების მიზნით, უშიშროების სამსახურები, აგენტურაზე დაყრდნობით, საჭირო ინფორმაციებს აგროვებდა. 1911 წლის 4 აპრილს როსტმისტერი კარპოვი თბილისის პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებს აგენ „სლუჩაინის" ცნობებზე დაყრდნობით, რომ საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი შეიძლება მოკლული იქნას, თანაც ეს მკვლელობა მოხდება იმავე ნიადაგზე, რაზედაც ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა მოხდა. რამდენადაც ეგზარქოსით ძალიან უკმაყოფილოები არიან მღვდელ-ავტოკეფალისტები." სავარაუდო მონაწილეებად დასახელებულია მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი და მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე. აღნიშნულის გამო, თბილისის პოლიციმეისტერს შესაბამისი ღონისძიება უნდა განეხორციელებინა ეგზარქოსიის სიცოცხლის დაცვის მიზნით. გარდა ამისა, აგენტურას დაევალა, ზედმიწევნით გამოიძიონ, ხომ არ არსებობს ქართველ სამღვდელოებაში ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ ეგზარქოსის წინააღმდეგ უკმაყოფილებას და ხომ არ შეიძლება, რომ ეს უკმაყოფილება ტერორისტული აქტით გამოვლინდეს.[1579] უშიშროების სამსახურებმა დაადგინეს, რომ მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ქართველ ავტოკეფალისტთა მხრიდან შესაძლებელი იყო ეგზარქოს ინოკენტის სიცოცხლის ხელყოფა, უსაფუძვლო იყო. თუმცა ეგზარქოსის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაადგილების დროს თავის დაზღვევით მიზნით უშიშროების სამსახურებს მაინც საჭიროდ მიაჩნდა სიფრთხილის გამოჩენა.[1580]

ეგზარქოსმა ინოკენტიმ აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ქართველ ავტოკეფალისტებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დაპირისპირება ალავერდის ვიკარ-ეპისკოპოს დავით კაჭახიძის მიმართ. მთავარეპისკოპოსმა ინოკენტიმ აგრეთვე მოინდომა აქტიური ავტოკეფალისტების გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძისა და იმერეთის ეპარქიის მმართველის გიორგი ალადაშვილის უფლებების შეზღუდვა. ეპისკოპოსი დავითი აღნიშნულის გამო დაუპირისპირდა ეგზარქოს ინოკენტის. განრისხებულმა ეგზარქოსმა რუსეთის უწმინდეს სინოდს მოსთხოვა მისი გაძევება საქართველოდან, რის გამოც ალავერდის საეპისკოპოსო 1912 წლის 17 აპრილს

1578 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94,აღწ. 1, საქმე 271, ფურცელი 34.

1579 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 271, ფურცელი 31.

1580 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 171, ფურცელი 41.

გააუქმეს, ხოლო ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იძულებით გადაიყვანეს პიატგორსკის ეპარქიაში. მძიმედ განიცადა ქართველმა მღვდელმთავარმა სამშობლოსგან განშორება. მეტად შთამბეჭდავია თელავის საკათედრო ტაძარში მრევლის წინაშე წარმოთქმული ეპისკოპოს დავითის გამოსათხოვარი სიტყვა: „მივდივარ სამშობლოდან, ვშორდები საქართველოს, მაგრამ თან მიმაქვს ძლიერი სიყვარული მამულისადმი. სადაც ვიქნები, ყოველგან მექნება გულში ღრმა მწუხარება ჩვენი ეკლესიისა გამო და მუდამ მზად ვიქნები შეძლებისდაგვარად მას ვემსახურო." ქადაგების დასასრულს იგი თვალცრემლიანი მიმართავდა თავის ქვეყანას: „მშვიდობით, ჩემო ტკბილო მშვენიერო სამშობლო! მივდივარ შენგან არა იმიტომ, რომ არ მიყვარდი. არა, გშორდები, რადგანაც ძლიერ მიყვარხარ. მიყვარხარ, მშვიდობით, მშვიდობით."[1581]

ქართველი საზოგადოება აღშფოთებული იყო ეპისკოპოს დავით კაჭახიძის დევნის გამო. ეგზარქოსის უსამართლო გადაწყვეტილებისა და ეპისკოპოს დავითის იძულებით გადაყვანის საწინააღმდეგოდ, 1912 წლის 27 მაისს თავადაზნაურთა საკრებულოს სხდომაზე გრიგოლ დიასამიძემ თავისი უკმაყოფილება დააფიქსირა, რასაც მხარი საკრებულოს წევრებმაც დაუჭირეს.[1582] იმავე წლის ნოემბრით დათარიღებული წერილით ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც ხელს აწერდა ცნობილი ქართველი სასულიერო და საერო პირები: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თედო ჟორდანია, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე და სხვები, დევნილ ქართველ ეპისკოპოსს მხადაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს: „ძვირფასო მწყემსმთავარო! თქვენი მეუფების მოულოდნელი წასვლა, საქართველოს მრავალჭირნახულ ეკლესიის სამწყსოს მიტოვება და სხვა ადგილას სამოღვაწეოდ გადასვლა მწარე საგონებელში აგდებს საქართველოს ერს. მით უფრო სამწუხაროა ეს გარემოება, რომ თქვენი მწემსმთავრული მოღვაწეობა ჯერ კიდევ დიდად ესაჭიროება საზოგადოებას და თქვენც, სულით და გულით მასთან დაკავშირებული, არ მოიწადინებდით მის მიტოვე-



ეპისკოპოსი დავითი
(კაჭახიძე 1872-1935)

1581 ჟურნალი „შინაური საქმეები," 2, 1912, გვ. 1-2; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები, 25, 1912, გვ. 8-9; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 26-27, 1912, გვ. 7-9; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 28-29, 1912, გვ. 7-8

1582 გაზეთი „თემი," 74, 1912, გვ 3.

ბას, რომ რომელსამე მძიმე საქმეს არ აეძულებინეთ." ქართველი საზოგადოება მიმართვის ბოლოს აღნიშნავდა: „ივერიის მფარველმა ღვთისმშობელმა გიწინამძღვროთ ყოველ საქმეში... მოგცეთ მხნეობა და ძალა ჩვეულებრივის სიმედგრით მწყემსმთავრობისა, გუნდმა, საქართველოს ეკლესიისათვის თავდადებულ მწყემსმთავართა, მოგივლინოთ სულიერი სიძლიერე და გულწრფელად გრძნობამ თქვენი მეუფების პატივისცემელ შვილთა შეგიმსუბუქოთ მძიმე ხვედრი, იმ წმინდა ჯვრის სასიქადულოდ და ღირსეულად სატარებლად, რომელიც თქვენს მეუფებას ცხოვრების მრწამსად და დიად მიზნად დაუსახავს."[1583]

ეგზარქოსმა ინოკენტიმ ცუდი და მტრული დამოკიდებულების გამო გამგზავრების წინ ეპისკოპოს დავითს უფლება არ მისცა გამოსათხოვარი წირვა ჩაეტარებინა ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. აღნიშნულ ფაქტს იმდროინდელი ქართული და რუსული პრესა გამოეხმაურა. გაზეთი „კავკაზი" და ზოგიერთი რუსული გამოცემა საეგზარქოსოს ინტერესებს იცავდა. ქართველი ეპისკოპოსიის უფლებების დაცვის შესახებ საინტერესო წერილები გამოქვეყნდა „პეტერბურგის უწყებანში," მღვდელ სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „შინაურ საქმეებში." აღნიშნულ უსამართლობას აგრეთვე გამოეხმაურა ნიკოლოზ დურნოვო.[1584] პიატიგორსკში გადაყვანის შემდეგ, ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა თერთმეტ გვერდიანი 1912 წლის პირველი ოქტომბრით დათარიღებული ნაშრომი.[1585] აღნიშნულ ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული ეგზარქოს ინოკენტის მოღვაწეობა.[1586] დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, აღნიშნული ნაშრომი ეპისკოპოს დავითს ნომერდასმული გაუგზავნია რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის, ხოლო კონვერტში ჩადებული გადასცა მაღალი თანამდედობის პირებს. ამ ნაშრომის ერთი ეგზემპლიარი იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ხელში მოხვედრილა, რომლის გაცნობის შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ვ. საბლერისათვის დაუვალებია, რომ გადაემოწმებინა ნაშრომში მოყვანილი ფაქტები. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით გადმოგვცემს იმ დროს გავრცელებულ ვერსიას, რომლის მიხედვით, ამ საუბარს ეგზარქოს ინოკენტის გარდაცვალება მოჰყვაო.[1587]

ქართველი საზოგადოების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ალავერდის ეპარქიის აღდგენა და ეპისკოპოს დავითის დაბრუნება საქართველოში იმ

1583 გაზეთი „საქართველოს საპატრიარქოს უწყებანი," 34-35, 2009.

1584 ჟურნალი „შინაური საქმეები," 2, 1912, გვ. 1-2; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 25, 1912, გვ. 8-9; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 26-27, 1912, გვ. 7-9; შდრ. ჟურნალი „შინაური საქმეები," 28-29, 1912, გვ. 7-8.

1585 საისტორიო ცენრტალური არქივი,ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 32; შდრ. Епископ Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, 1912.

1586 საისტორიო ცენრტალური არქივი,ფ. 1458, აღწ. 1, საქმე 174, ფურცელი 28-29; შდრ. Епископ Давид, К вопросу об автокефалии Иверской церкви, 1912, стр. 3-9.

1587 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 168.

დროს ვერ მოხერხდა. 1914 წელს იგი ვინიცის ეპისკოპოსად დაინიშნა, ხოლო 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოს მოშორებული ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე თავის სამშობლოსთან არ წყვეტდდა ურთიერთობას. იგი ხშირად ფულად შემოწირულობებს უგზავნიდა თბილისის გიმნაზიას, რასაც ადასტურებს ცნობილი პედაგოგის, ჟურნალ „განათლების" რედაქტორის და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის (1866-1919) 1916 წლის 28 მარტით დათარიღებული სამადლობელი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „თქვენო მეუფებავ! მთელი საქართველოს შეგნებული შვილნი და ჟურნალ „განთლების" რედაქცია სალამს გიძღვნით სამშობლოს მოშორებულს და შორს გადახვენილს მამულიშვილს და გისურვებთ მალე ისევ დაბრუნებას საყვარელ სამშობლოში, სადაც „სამკალი ფრიად არის და მუშაკნი მცირე." ვიცით, როგორ სწუხს ობოლი სული უცხო მხარეში და ამ მწუხარებას ჩვენც ვიზიარებთ."[1588]

მთავარეპისკოპოსი ინოკენტი, საქართველოში სიმშვიდის შენარჩუნებისა და ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად გატარებული ღონისძიებების გამო, დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. იგი 1913 წლის სექტემბრის დასაწყისში პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც იმავე წლის 9 სექტემბერს გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა, დაასაფლავეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის ნიკოლსკის საძმო სასაფლაოზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეგზარქოსი ინოკენტი აქტიურად იბრძოდა ქართველ ავტოკეფალისტების წინააღმდეგ, აღნიშნულმა მოძრაობამ XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა მეიძინა. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, უკვე დიდი ტრიბუხიდან, აშკარად მხარს უჭერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ახლად არჩეულმა დეპუტატმა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა ვარლამ გელოვანმა კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. მანვე 1912 წლის 13 დეკმბერს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. კოკოვცევის პასუხად, რომელმაც უდიერად მოიხსენია ქართველი სასულიერო პირები, განაცხადა: „ქართული სამღვდელოების მიზანთა მიზანს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა შეადგენსო."[1589]

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია, რომ 1912 წლის 6 მარტს მესამე სახელმწიფო სათათბიროს 85-ე სხდომაზე რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკის წინაღმდეგ გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ევგენი გეგეჭკორი. მართალია, მან მხარი არ დაუჭირა ქართველი საზოგადოების მოთხოვნას ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, მაგრამ თავის ვრცელ გამოსვლაში კონკრეტული

1588 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 26867, ფურცელი 6.

1589 Стенографический отчет Государственная Дума, 4 созыв, 1912, 13 декабря.

ფაქტების მოშველიებით ისაუბრა ქართველი სამღვდელოების სიდუხჭირეზე, ხელისუფლებისა და ეგზარქოსთა ანტიქართულ საქმიანობაზე, მათ მიერ საეკლესიო ქონების ძარცვა-განიავებაზე, თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებულ ანტიეროვნულ განწყობაზე, ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობის ხელმძღვანელთა (ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილი, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაია) დევნა-შევიწროვებაზე და სხვა. სიტყვის გამოსვლის დროს მას მოჰქონდა მაგალითები ნიკოლოზ დურნოვოს და სხვათა ნაშრომებიდან. მანვე თბილისის სასულიერო სემინარიაში შექმნილი ვითარების შესახებ ტრიბუნიდან დეპუტატებს წარუდგინა 1908 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში გამოცემული ნაშრომი თბილისის სასულიერო სემიანარიაში მოღვაწე რუს ეროვნების მასწავლებელთა მოგონებანი (Из воспоминаний Русского учителя Православной Грузинской духовной семинарии, Москва, 1908), რომელიც, ევგენი გეგეჭკორის განცხადებით, „ქართველი ხალხისა და ქართველი ახალგაზრდობის სისხლითაა დაწერილი." თავის გამოსვლაში, ევგენი გეგეჭკორმა ხაზგასმით აღნიშნა: „პირადად მე, საქართველოს ეკლესიის დამცველად არ გამოვდივარ. ეს ჩემის მხრით ულოღიკობა და არათანმიმდევრობა იქნებოდა, ვინაიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები ვებრძვით ქართულ ეკლესიას და ამის შემდეგაც ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ იმავე საშუალებებით, რანაირადაც ჩვენი ამხანაგები ებრძვიან მას რუსეთში. არ ვაყენებ მოთხოვნას ამ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რადგან ავტოკეფალიის მოთხოვნა არ ემთხვევა იმ პრინციპიალურ პოზიციას, რასაც ჩვენ ვადგივართ. ბატონებო, მომხრენი ვართ სინდისის თავისუფლებისა არა შიშის, არამედ სინდისის გამო. ჩვენ არ შეგვიძლია გაჩუმება და ხმის ამოუღებლობა, მაშინ, როცა ვხედავთ ადამიანის სინდისის შეგინებას და ფეხით გათელვას."[1590] გაზეთ „თემის" აღნიშვნით სახელმწიფოს სათათბიროში ევგენი გეგეჭკორის წარმოთქმულმა სიტყვამ „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი საზოგადოების ყველა წრეებში."[1591]

ამავე საკითხს ეხება სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციებთან ახლოს მდგომი რუსულ ენაზე არსებული ჩვენთვის უცნობი ერთ-ერთი ავტორის შეხედულება, რომელიც რელიგიასა და ეკლესიას მიიჩნევდა ადამიანის გონებრივი განვითარების დამაბრკოლებელ საშუალებად, მაგრამ აღნიშნავდა, რომ მისი უგულვებელყოფა არ შეიძლება, „ჩვენ მას ყურადღება უნდა მიცაქციოთ, თუნდაც იმის გამო, რომ ვიხსნათ მოსახლეობა სულიერი და მატერიალური ძალადობისა და გაღატაკებისაგან. აი, ამიტომ ვართ ჩვენ საეკლესიო ავტოკეფალიის მომხრენი... საეკლესიო საქმეების დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო დაწესებულებების გამოყოფისა საეკლესიო დაწესებულე-

---

1590 Стенографический отчет Государственная Дума, 3 созыв, ч. Санкт – Петербург, 1912, 13 декабря; შდრ. გ. საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917, თბ., 2005, გვ. 236-238; შდრ. გ. საითიძე, მნიშვნელოვანი არქეოგრაფიული დოკუმენტი (სიტყვა ნარმოთქმული ევგენი გეგეჭკორის მიერ რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე, 1912 წლის 12 მარტს), ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 2008, გვ. 222-224.

1591 გაზეთი „თემი," 63, 19 მარტი, 1912.

ბებისაგან." მართალია, მსოფლმხედველობითი თვალსაზრისიდან გამომდინარე, წერილის ავტორის ავტოკეფალური გაგება ძირეულად განსხვავდებოდა ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნისაგან, მაგრამ განსხვავებული პოზიციების მიუხედავად აღნიშნულია, რომ „ჩვენ ყოველთვის ვიქნებით იმ ძალადობრივი პოლიტიკის წინააღმდეგენი, რომელსაც მთავრობა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ანარმოებს." თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ „...არასოდეს შევურიგდებით, რომ მთავრობის მიერ წართმეული საეკლესიო ქონება დაუბრუნდეს ეკლესიას, ასევე ვერ შევურიგდებით, რომ იგი რჩებოდეს მთავრობის მფლობელობაში. ...ეს ქონება უნდა გამოცხადდეს ქართველი ხალხის საკუთრებად. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სჭირდება ეკლესია, შეინახავს მას, დანარჩენი ნაწილი კი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი საეკლესიო ხარჯებისაგან. ჩვენი „ავტოკეფალია" – ესაა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა და როგორც ერთის ისე მეორის ავტონომია."

გარდაცვლილი ეგზარქოსის ნაცვლად რუსეთის უწმინდესი სინოდის 1913 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ეგზარქოსად და ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა ალექსი მოლჩანოვი. ალექსი (ერობაში ალექსი ვასილის ძე მოლჩანოვი) დაიბადა 1853 წლის 5 ოქტომბერს ვიატსკის გუბერნიის სარაპულსკის მაზრის სოფელი კილმეზში. 1876 წელს ვიატკის სასულიერო სემინარიის დამთავრებისთანავე იგი სიღარიბის გამო იწყებს მუშაობას კუკორსკის სასოფლო სასწავლებლის მმართველად, პარალელურად მედავითნედ მსახურობდა ვიატკის გუბერნიის ტაძრებში. 1883 წელს სწავლა გააგრძელა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, მალევე, 2 ნოემბერს ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად აკურთხეს და ამავე სასწავლებლის ეკლესიაში ეწეოდა მსახურებას. იგი გამორჩეული სტუდენტი იყო, რომელმაც სასულიერო აკადემია 1887 წელს ღვთისმეტყველების ხარისხით დაამთავრა და ერთხანს ყაზანის გიმნაზიაში და ყრუ-მუნჯთა სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. დაქვრივების შემდეგ, 1899 წლის დასაწყისში აღიკვეცა ბერად, იმავე წლის 4 სექტემბერს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ყაზანის სასულიერო სემინარიის რექტორად, ხოლო 1900 წლის 24 სექტემბერს – ყაზანის სასულიერო აკადემიის რექტორად. 1900 წლის 9 სექტემბერს ეპისკოპოსიის ხარისხში აყვანილი ალექსი გაამწესეს ყაზანის ეპარქიის ჩისტოპოლსკის ვიკარ-ეპისკოპოსად. 1905 წლის 26 მარტიდან სიმფეროპოლისა და ტავრიდის ეპარქიას განაგებს, 1910 წლის 5 ნოემბროდან ფსკოვისა და პორხოვის ეპისკოპოსია, 1912 წელს კი დაინიშნა ტობოლსკისა და ციმბირის ეპისკოპოსად.[1592]

კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს ალექსის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ჯერ კიდევ, ეგზარქოსად გამწესებამდე, მან ქართველთა სამწყსო, „თავისი წინამორბედის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვაში, მოიხსენია

1592 Биография на сайте, `Русское Православие," http:/www.orth-rus.ru; Sdr. Православная энциклопедия, т. 1, М. стр. 669-670.



საქართველოს ეგზარქოსი ალექსი
(მოლჩანოვი, 1913-1914)

„მწყემსმთავარ ნიკონის სისხლით შეღებილი ივერიის კათედრად."[1593] როგორც წყაროებით დასტურდება, იგი არ თანაუგრძნობდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნას, რასაც მან რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მიმართვაში „ავტოკეფალისტი ქართველი ინტელიგენტების ფანტასტიკური ბოდვა უწოდა."[1594] ეგზარქოს ალექსის მიერ ქართველი საზოგადოების დამამცირებელი აღნიშნული ეპითეტით შეფასება რუსეთის უწმინდესი სინოდის 1914 წლის ანგარიშში უცვლელი სახით გამოქვეყნდა.

ეგზარქოს ალექსიის მოღვაწეობა მცირე ხანს მოუხდა. ავადმყოფობის გამო მას თითქმის არაფერი სიახლე არ შეუტანია საეგზარქოსოს ცხოვრებაში. მხოლოდ ორჯერ იყო გამოძახებული პეტერბურგში საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. თირკმლის მძიმე დავადებითა და ყელის ჭლექით იგი გარდაიცვალა 1914 წლის 20 მაისს თბილისში, 23 ივნისს მისი ნეშტი გადაასვენეს თბილისის სიონის ტაძარში. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოს დროებით მმართველად დაადგინა ერევნის ვიკარ-ეპისკოპოსი პიმენი (პეგოროვი), რომელმაც წესი აუგო გარდაცვლილ ეგზარქოს. ანდერძისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ პროცესიამ მისი ნეშტი რკინიგზის ვაგზალზე მიაცილა, გადაასვენეს ვიატკაში და დაკრძალეს თავის სოფელ კილმეზში.

მართალია, ეგზარქოსმა ალექსი მოლჩანოვმა მცირე ხნის მოღვაწეობის მიუხედავად კვალი ვერ დაატყო საეგზარქოსოს საქმიანობას, მაგრამ მის დროს ხელისუფლების ხელშეშლის მიუხედავად, მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ცდილობდა ქართველი სასულიერო პირების ჩართვას აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ალბათ, ამ მიზანს ემსახურებოდა ის ფაქტი, რომ გორის მაზრის ამომრჩევლებს სურდათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი წამოეყენებინათ. ამით ისინი ცდილობდნენ, ერთი მხრივ, დიდი პატივისცემა და თანაგრძნობა გამოეხატათ ექსორიაში მყოფი ეპისკოპოსისათვის, მეორე მხრივ, თუკი იგი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გახდებოდა, ბუნებრივია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის

1593 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 170.

1594 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 170.

უკეთ იბრძოლებდა. სამწუხაროდ, ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ეპისკოპოსი კირიონი დეპუტატობის კანდიდატად არავის დაუსახელებია. სამაგიეროდ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატი ყოფილა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, მაგრამ იგი ამომრჩევლებს გაუშავებიათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით პუბლიცისტი ვასილ წერეთელი ადანაშაულებდა იმხანად ფოთის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძეს. ამ ბრალდების გამო, ნიკო ნიკოლაძემ გამოსცა ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე," სადაც იგი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თავის თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა.[1595] სინამდვილეში ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის განყოფილება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეპისკოპოსს ლეონიდეს არჩევნებში არ გაემარჯვა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა 1914 წლიდან, როცა იმავე წლის 26 ივნისს საქართველოს ეგზარქოსად და ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა პიტირიმი. მთავარეპისკოპოსი პიტირიმი (ერობაში პავლე ვასილის ძე ოკნოვი) დაიბადა ქალაქ რიგაში, სასულიერო პირის ოჯახში. 1879 წელს ქალაქ რიგის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1883 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა, იმავე წელს აღიკვეცა ბერად და დაინიშნა კიევის სასულიერო აკადემიის პედაგოგად. 1887 წელს ინიშნება სტავროპოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, 1890 წლიდან იგი არქიმანდრიტის ხარისხით ამავე სემინარიის რექტორად გაამწესეს, ხოლო 1891 წელს პეტრბურგის სასულიერო სემინარიის რექტორად გადაჰყავთ. 1894 წელს ხელდასხმულია ნოვგოროდ-სევერსკის ეპისკოპოსად, 1896 წლიდან ტულისა და ბელევსკის ეპისკოპოსია, ხოლო 1904 წლიდან კურსკისა და ბელგოროდის საეპისკოპოსოს განაგებს. 1911 წელს ვლადიკავკაზისა და მოზდოკის მთავარეპისკოპოსია. 1913 წელს სამარისა და სტავროპოლის ეპარქიას განაგებს, საიდანაც იგი საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს. მთავარეპისკოპოსი პიტირიმი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა სამეფო კართან დაახლოებულ გრიგოლ რასპუტინთან, რაც მის კარიერულ მოღვაწეობაზე



საქართველოს ეგზარქოსი პიტიმირი (ოკნოვი, 1914-1915)

1595 გაზეთი „სახალხო გაზეთი," 1913, 703; შდრ. ნ. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913.

სასიკეთოდ აისახა. თუმცა ამ ურთიერთობის გამო კულუარულად მას ხშირად უარყოფითად ახასიათებნენ. რუსული პრესის ნაწილი მას მემარჯვენე მიმართულების მოღვაწედ მიიჩნევდა,[1596] მაგრამ გარეგნულად იგი ხშირად ნოვატორული და ახალი იდეების გატარების მოთავე იყო. სასულიერო მოღვაწეობის დროს საზოგადოებაში სწორედ ასეთი სახელით დაიმკვიდრა თავი. ახალი ეგზარქოსის ჩამოსვლამდე ქართულ პრესაში მის შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა. ამის გამო იყო, რომ საქართველოს ეგზარქოსად დანიშვნის გამო გაზეთ „სახალხო ფურცელში" დაიბეჭდა რედაქციის სახელზე გამოგზავნილი ქართველთა დიდი გულშემატკივარის ნიკოლოზ დურნოვოს წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „ვულოცავ ივერიის წმ. ჯვარმოსილ ეკლესიას საქართველოს ეგზარქოსად მაღალუსამღვდელოეს პიტირიმის დანიშვნას.

რუსეთის გვირგვინოსანმა მონარქმა აირჩია მღვდელმთავარი, რომელიც იმდენად მოყვარული და ერთგულია ივერიისა, რომ მზად არის ეამბოროს ქრისტეს სარწმუნოებისათვის მღაღადებელთა და წამებულთა სისხლით მორწყლულ მის მიწას. მისი მეუფება პიტირიმი დაშორებულია ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიას და მართლმადიდებლურ ეკლესიაში მისთვის არ არსებობს არც ელინი, არც ივუდეველი, არც სკვითი, არც მონა და არც მბრძანებელი. ქართველისათვის ის იქნება ქართველი, რუსისათვის რუსი, ოსისათვის – ოსი და ელინისათვის – ელინი. იგი ყველგან მოელის ნდობასა და სიყვარულს, რომლითაც იგი მოვალს ივერიაში, სადაც განახორციელებს მხოლოდ საქმესა ღვთისასა და ეცდება, ივერიის ეკლესია შესაფერ სიმაღლეზე დააყენოს."[1597] იგივე გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ სტავროპოლის ეპარქიას დაქვემდებარებულ კავკავში მცხოვრებმა ქართველმა მრევლმა მილოცვა გამოუგზავნა თავიანთ ყოფილ მღვდელმთავრს პიტირიმს. ისინი დიდ სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავდნენ მის მიმართ, ულოცავდნენ ახალ ეპარქიაში გადასვლას და წარმატებებს უსურვებდნენ. სამადლობელ მიმართვაში ეგზარქოსი პიტირიმი გულწრფელად აღნიშნავდა: „ღრმა სიხარულს განვიცდი კავკავის ქართველთა გულითადი სალამის გამო. ღმერთი მოწამეა, როგორ მწადია წრფელი გულით ვემსახურო ღვთისმშობლის ხვედრს თქვენს სამშობლოს."[1598] პრესაში გამოქვეყნებული მასალების გამო ქართველი საზოგადოება კეთილგანწყობილი იყო ახლადდანიშნული ეგზარქოს პიტირიმის მიმართ.

1914 წლის 27 ივლისს მთავარეპისკოპოსი პიტირიმი თბილისში ჩამოვიდა. რკინიგზის სადგურზე მას დახვდა სამღვდელოება, ერევნის ვიკარ-ეპისკოპოსი პიმენი (პეგოროვი), ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე) და მაღალი რანგის საერო პირები. თბილისის სიონის ტაძარში აღნიშნულ პირებთან ერთად ეგზარქოსს შეეგება ქართველი სამღვდელოება და მრევლი. პარაკლისის გადახ-

1596 газ. Речь №173 1914.

1597 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 31, 1914.

1598 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 33, 1914, 9 ივლისი.

დის შემდეგ ეგზარქოსმა პიტირიმმა სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „სიყვარულისა და სიმშვიდის სალამს გიძღვნი, ჩემო ახალო სამწყსოვ კავკასიავ.

განსაკუთრებულის სიამით აღმივსო გული იმ აზრმა, რომ ამ მხარეში წმ. ნინოსი – ქრისტიანობის გარიჟრაჟიდანვე ქრისტეს სახარება უქადაგებია იესოს თვითმხილველთ და მიმდევართ წმ. მოციქულს ანდრია პირველწოდებულს, მათეს და ბართლომეს, წამებულს კასპიის ზღვის პირად.

ეს ქვეყანა წილხვდომილია ყოვლადწინდა ღვთისმშობლისა, ეს მხარე არის წმ. ნინოსი, რომელმაც სახარების ქადაგებით მოვლო კავკასიის მთები და ხევები. ის მთა-ხევები, რომლებიც შემდეგ მოირწყა წმიდათა სისხლით, რომლის განსამტკიცებლად მრავალ საუკუნის განმავლობაში იღვწოდა ივერიისა და იმერეთის მთელი წყება სახელოვანი კათალიკოსებისა...

ამისათვის გულითადის სასოებით და მთრთოლვარე მოწიწებით შემოვდგი ფეხი ამ საუცხოვო სიონის ტაძრის თაღ – ქვეშ, ამ უძველეს და სახელოვან წმიდა სალოცავს ქართველი ერისა...

დეე, წყალობა მღვთისა კვლავაც მოევლინოს ქვეყანასა ამას და დეე, განმტკიცდეს სარწმუნოება და სასოება."[1599]

სამწყსოს გულის მოგების მიზნით ეგზარქოსმა პიტირიმმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა. პირველი წირვა მან თბილისის სიონის ტაძარში 1914 წლის 15 აგვისტოს ჩაატარა ძველი ქართული წესისამებრ, წირვის დროს კვერექსებსა და ასამაღლებლებს ქართულ ენაზე წარმოთქვამდა. ასეთივე წესით წირავდა იგი გელათის, ალავერდის, ბოდბის და სხვა ტაძრებში, რითაც იგი მრევლზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.[1600]

ეგზარქოსი პიტირიმი ხშირად მოგზაურობდა კავკასიის ფრონტზე, ამხნევებდა ჯარისკაცებს, აზიარებდა, რწმენის გამტკიცებისაკენ მოუწოდებდა და ქადაგებდა.[1601]

ეგზარქოსად დანიშვნისთანავე პიტირიმმა რუსეთის სინოდის წინაშე გაუქმებული ალავერდის ეპარქიის აღდგენის საკითხი აღძრა, რომელიც მოგვიანებით, მისი საქართველოდან გაწვევის შემდეგ განხორციელდა.

ეგზარქოსი პიტირიმი ჩამოსვლისთანავე დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას, ხშირად მათთან ერთად წვეულებებზეც იმყოფებოდა, საუბრობდა რწმენაზე, ეკლესიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, მათთან საუბარში იგი თავს ავტოკეფალიის მომხრედ მიიჩნევდა და არწმუნებდა მათ, რომ „თვითონ მხოლოდ მოსაყდრეა კათალიკოსის ტახტისა."[1602] წინამორბედი ეგზარქოსებისაგან განსხვავებით მთავარეპისკოპოსი პიტირიმი თანაგრძნობას უცხადებდა ქართველ ავტოკეფა-

1599 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 51, 1914, გვ. 3; შდრ. Речи и слова архиепископа Питирима, экзарха Грузии, Самара, 1914.

1600 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 51, 1914, გვ. 3; შდრ. Речи и слова архиепископа Питирима, экзарха Грузии, Самара, 1914.

1601 Напутственное слово непобедимому русскому воинству, Тифлис, 1915.

1602 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 73, 1914.

ლისტებს, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი ქართველი კორესპონდენტი წერდა ამ „...საკითხს საბოლოო გადაჭრა მასზე არ იყო დამოკიდებული."[1603] აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით, რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწისათვის, წარმოშობით ქართველ თავადისათვის, ნ. ჟევახოვისათვის (ჯავახიშვილი) ეგზარქოს პიტირიმს განუცხადებია: „ჩემს შეგნებაში ვერ ეტევა მოთხოვნილება სინოდისა, რომ ვაიძულო ხალხს ილოცოს გაუგებარ ენაზე. ჩემი სამრევლოს უდიდეს ნაწილს ძლივის ესმის რუსული ენა. მით უმეტეს, როგორ უნდა გაიგოს ეკლესიური სლავური ენა?! შეუძლებელია, რომ სარწმუნოება პოლიტიკის იარაღად იყოს გადაქცეული. ამიტომ მრევლის მოთხოვნით ვწირავდი ხან ქართულ, ხან რუსულ ენაზე და ხალხი დიდად მიმადლოდა. უნდა გენახათ თუ რა ღრმა ქრისტიანული რწმენით და სასოებით ლოცულობდა ხალხი ეკლესიაში! ჩვენს რუსულ სოფლებში და ქალაქებში ამისთანა სურათებს ვერ ნახავთ. მაგრამ ამ ჩემს შეხედულებას ყველანი არ იზიარებენ და მე ჩამოვედი პეტროგრადში ამ საქმეზედ, რომ გავფანტო ეჭვები. მხოლოდ არ ვიცი რით დამთავრდება ჩემი მისია."[1604] ეგზარქოს პიტირიმის აღნიშნული შეხედულების გამო ნ. ჟევახოვი დასძენდა, რომ იგი აკრიტიკებდა და არ ემხრობოდა წინამორბედი ეგზარქოსების ანტისაეკლესიო საქმიანობას, რაც ანელებდა ქრისტიანულ სულისკვეთებას ხალხში და შიშს გმოთქვამდა, რომ მას არასასურველი შედეგი შეეძლო გამოეწვია.[1605]

ზემოთ აღნიშნულის გამო ეგზარქოსი პიტირიმი ქართველ საზოგადოებაში დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან, დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. ეგზარქოსმა პიტირიმმა სათანადო პატივი მიაგო გარდაცვლილ აკაკი წერეთლის ხსოვნას. 1915 წლის 27 იანვარს აკაკის გარდაცვალების გამო ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი და შეკრებილი მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოების წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შეფასებული იყო აკაკის ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.[1606] ქართველმა საზოგადოებამ ეგზარქოს პიტირიმს დიდი მადლობა გადაუხადა აკაკი წერეთლის პანაშვიდზე წარმოთქმული საინტერესო და შთამბეჭდავი სიტყვის გამო.[1607]

მართალია მთავარეპისკოპოსი პიტირიმი წინამორბედ ეგზარქოსებისაგან განსხვავებით თავის შეხედულებით რეალობიდან ამოდიოდა, მაგრამ,

---

1603 გაზეთი „მეგობარი", 1918, 6.

1604 Воспоминание Товарища Обер-прокурора св. Синода кн. Н. Д. Жевахов, Март 1917 сентябр 1918 ч. I, стр. 126; შდრ. დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი (მოკლე მიმოხილვა), მიუნხენი, 1957, გვ. 19.

1605 Воспоминание Товарища Обер-прокурора св. Синода кн. Н. Д. Жевахов, Март 1917 сентябр 1918 ч. I, стр. 126; შდრ. დ. ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი (მოკლე მიმოხილვა), მიუნხენი, 1957, გვ. 19.

1606 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 196, 1915; 200, 1915; შდრ. Архипастырское послание экзарха Грузии, Тифлис, 1915.

1607 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 201, 1915.

იმდროინდელი პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ წერილში მისი მოღვაწეობის უარყოფით მხარეებზეც იყო ყურადღება გამახვილებული. წერილის ავტორებს საქართველოს ეგზარქოსის ძირითად ნაკლად მიაჩნდათ, რომ ხელისუფლების წინაშე ერთხელაც არ დაუყენებია საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, რომელიც იმ ნაკლოვანებებს აღმოფხვრიდა, რაც ეკლესიის წინაშე არსებობდა. გარდა ამისა, მას თანაგრძნობა არ გამოუხატავს დევნილი ქართველი სასულიერო პირთა მიმართ და სხვა.[1608] წერილის ავტორების აზრით, მხოლოდ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა.

ქართულ პრესაში ასეთი ხასიათის წერილები გაჩნდა 1915 წლის შემოდგომაზე, როცა მოარული ხმები ვრცელდებოდა მთავარეპისკოპოს პიტირიმის პეტერბურგში გადაყვანის შესახებ. ამ ხმებს რეალური საფუძველიც ჰქონდა. 1915 წლის ოქტომბერში მთავარეპისკოპოსი პიტირიმი პეტროგრადში გამოიძახეს ეკლესიის რეოგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. ქართველი საზოგადოება გამგზავრების წინ ეგზარქოს გამოსათხოვარი სადილებით უმასპინძლებოდა. 1915 წლის 6 ნოემბერს ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მას პატივისცემის ნიშნად მიართვა ოქროს პანაღია ქართული წარწერით: „საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს."[1609] ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ მთავარეპისკოპოს პიტირიმის პეტერბურგში გადაყვანა კეთილგავლენას მოახდენდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხების გადაწყვეტაზე. აღნიშნულის გამო, ქართული პრესა წერდა: თუკი „პიტირიმი კატეგორიულად წამოაყენებს სინოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს მას. ამით ის ნათლად დაგვიმტკიცებს თავის მამა-შვილურ გრძნობას და სიყვარულს."[1610]

სამეფო კარზე დიდად მიღებული გრიგოლ რასპუტინთან მეგობრობითა და მისი დახმარებით 1915 წლის 23 ნოემბერს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით პიტირიმს მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი, დაჯილდოვდა მიტრაზე და ბარტყულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით და დაინიშნა პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება პიტირიმს იმპერატორის პირადი წერილით ეცნობა, რაც დიდ პატივისცემის დასტურს წარმოადგენდა.[1611]

ქართველმა საზოგადოებამ მისალოცი დეპეშები გაუგზავნა პეტროგრადისა და ლადოგის ახლადდადგენილ მიტროპოლიტს პიტირიმს და გამოთქვეს სურვილი, რომ სიშორის მიუხედავად ივერიის ეკლესიას არ მოაკლდებოდა მისი „მოძღვრული სიყვარული და ზრუნვა." მიტროპოლიტი პიტირიმი სამად-

1608 გაზეთი „საქართველო," 136, 1915.

1609 გაზეთი „საქართველო," 136, 1915.

1610 გაზეთი „საქართველო," 132, 1915.

1611 გაზეთი „საქართველო," 153, 27 ნოემბერი, 1915.

ლობელ მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სიშორე ვერ შეასუსტებს ჩემს სიყვარულს ღვთისმშობლის ხვედრისადმი. ბედნიერი ვიქნები ღმერთი თუ შემეწევა ჩემს რწმენაში ივერიის ეკლესიაზე."[1612] ეგზარქოსყოფილმა პიტირიმმა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლს დავით ნიჟარაძეს დეპეშით მადლობა გადაუხადა ახალ თანამდედობაზე დანიშვნის მილოცვის გამო და დასძინა: „მწამს ივერიის ეკლესიის უკეთესი მომავლის."[1613]

პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტ პიტირიმს ურთიერთობა არ გაუწყვეტია საქართველოსთან. იგი რუსეთის უწმინდესი სინოდის პირველი მიტროპოლიტად ითვლებოდა. აღნიშნული თანამდედობა მას საშუალებას აძლევდა, ჯერ კიდევ, ეგზარქოსობის დროს დაწყებული ზოგიერთი საკითხი ქართველი სამღვდელოების სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მისი უშუალო ჩარევით, 1915 წლის 10 დეკემბერს აღდგა ალავერდის ვიკარ-საეპისკოპოსო, რომლის მმართველად დაინიშნა არქიმანდრიტი პიროს ოქროპირიძე, რომელიც 1916 წლის 15 იანვარს პეტერბურგში ყაზანის ტაძარში თვით მიტროპოლიტმა პიტირიმმა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრებისა და ქართველი მღვდელმთავრების მონაწილეობით ეპისკოპოსად აკურთხა. ლიტურგიას ესწრებოდა პეტროგრადის ქართველი საზოგადოება, ქართულ გალობას ასრულებდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, ლიტურგია ნაწილობრივ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

1916 წელს პეტერბურგის მიტროპოლიტის პიტირიმის დახმარებით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენის შესახებ,[1614] მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო სასწავლო პროცესის განახლება ვერ მოხერხდა.

მიტროპოლიტ პიტირიმის სახელთანაა დაკავშირებული პეტროგრადში ქართული ეკლესიის გახსნა. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1916 წლის 31 იანვარს, კვირა დღეს, პეტროგრადის ცენტრალური ბანკის დარბაზში ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ნებადართული ქართული სათვისტომოს კრება ვ. მიქელაძის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა პეტროგრადში ქართული ეკლესიის აგების საკითხი. აღნიშნული წინადადება მოწონებული იქნა. კრების თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ 1915 წლის 15 დეკემბერს პეტროგრადის ქართველებისაგან შემდგარი კომიტეტის წევრები ეახლა იმ დროს ახლადდანიშნულ პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტს, ყოფილ ეგზარქოსს პიტირიმს და სთხოვეს დახმარებოდნენ პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაში. მეუფე პიტირიმმა ქართველთა დეპუტაციას დახმარება აღუთქვა. მანვე ქართველთა დეპუტაციას ახალი ეკლესიის აშენებამდე დროებით შესთავაზა ერთ-ერთი ეკლესია, სადაც ქართველთა კრებულს შეეძლებოდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენა. ვ. მიქელაძის მიერ აღნიშნული ფაქტის გაცნობის შემდეგ კრებამ მას დაავა-

1612 გაზეთი „საქართველო," 156, 1 დეკემბერი, 1915.

1613 გაზეთი „საქართველო," 158, 3 დეკემბერი, 1915.

1614 ქუთაისის სემინარია, საქართველო, 1916, 258, 18 ნოემბერი, გვ. 4.

ლა „უღრმესი და უგულითადესი მადლობა გადასცეს მეუფე პიტიმირს იმ მხურვალე და თანაგრძნობა-მონაწილეობისათვის, რომელსაც იჩენდა საქართველოს სამწყსოს მიმართ ექსარხოსობის დროს, რითაც ჩვენი ერის უდიდესი და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა." კრებაზე აღნიშნა, რომ პეტროგრადში ქართული ეკლესიის გახსნის საკითხს რუსეთის საერო და სასულიერო უწყება თანაგრძნობით ეკიდებოდა. კრებაზე გადაწყდა, რომ დროებით ორ საკურთხევლიანი ეკლესია აერჩიათ ქართული წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. კრების მუშაობაში მონაწილეობენ: გენერალ-მაიორი ი. ა. ნაკაშიძე, თავადი ზურაბ ავალიშვილი, ა. დ. ქორქია, ი. თარხნიშვილი და სხვა.[1615]

1916 წლის მარტის დასაწყისში პეტროგრადში გაიხსნა ქართული ეკლესია, აღნიშნულის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული არ ყოფილა რუსეთის უწმინდესი სინოდის სხვა წევრები, მაგრამ სინოდის პირველ წევრ მიტროპოლიტ პიტირიმისადმი წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაბედა. ახალი ეკლესიის აშენებამდე ქართული ეკლესია დროებით განთავსდა ძველი პეტერგოფის პროსპექტზე, წმ. ეკატერინეს ფიცრულ ეკლესიაში.[1616]



ქართული ტაძარი პეტერბურგში. 1917 წ.

1615 გაზეთი „საქართველო," 1916, 282, 10 თებერვალი, გვ. 4.

1616 გაზეთი „საქართველო," 1916, 63, 20 მარტი, გვ. 2.

უნდა აღინიშნოს, რომ პეტროგრადში ქართული ეკლესიის გახსნის შემდეგ ქართველთა გულშემატკივარ ნიკოლოზ დურნოვოს გასჩენია სურვილი ქართული ეკლესია გახსნილიყო მოსკოვშიც. ამ მიზნით პრაქტიკული ნაბიჯიც გადაუდგამს, შესაფერისი შენობაც შეურჩევია, მაგრამ, როგორც თვითონ განმარტავდა, მის განხორციელებას ხელს უშლიდა დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რის გამოც მან თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.[1617]

პეტროგრადის ქართველთა სათვისტომომ, მადლობის ნიშნად, 1916 წლის 31 ოქტომბერს მიტროპოლიტ პიტირიმს მიართვა სამწყემსმთავრო კვერთხი წარწერით: „სრულიად საქართველოს ეკლესიის მადლიერების ნიშნად." მიღებას ესწრებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. აფხაზი, იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ნიჟარაძე, გენერალ-ლეინტენატი ვ. ვაჩნაძე, კარმეგერი დ. ჩოლოყაშვილი, გენერალ-მაიორი ივ. ნაკაშიძე, თავადი ორბელიანი, თავადი ერისთავი, თავადი ავალიშვილი, თავადი ქობულაშვილი, ალ. ქორქია, ნ. პ. იოსელიანი, აკ. მ. ხოშტარია, პ. ნ. ჩიქოვანი. კვერთხის გადაცემას ესწრებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ნ. დ. ჟევახოვი (ჯავახიშვილი). სახელმწიფო საბჭოს წევრმა თ. აფხაზმა კვერთხი ხელში დაიჭირა და მიტროპოლიტ პიტირიმს მიმართა: „ჩვენ, საქართველოს მადლიერნი ძენი, თქვენის ბრწყინვალეს სამსახურის სახსოვრად უმორჩილესადა გთხოვთ ივერიის ეკლესიის ძეთაგან მიიღოთ ეს მცირე ძღვენი." პიტირიმმა ქართველთა დეპუტაციას მადლობა გადაუხადა და განაცხადა: „ღმერთმა უწყის, რამდენი ტანჯვა განვიცადე ამ უკანასკნელ წელიწადს. უნდა მოგახსენოთ, რომ შვებას მხოლოდ მაშინა ვგრძნობდი, როცა ივერიის ეკლესიას მოვიგონებდი ხოლმე. მთელი საუკუნეა საქართველოს ეკლესია ვერ ეღირსა განხორციელება თვისთა მისწრაფებათა, გარნა იმთავითვე ერთგულია ხელმწიფესი და ამ ჟამათაც თვისთა საუკეთესოთა ძეთა სიცოცხლეს რუსის ხალხთან ერთად სწირავს, რადგან ეს ხალხი უყვარს. ქართველთა ხასიათის განსაკუთრებული თვისება რამ არის უკეთეს მომავლის მოლოდინში ჭმუნვას სიხარულიც შეუერთონ. ბედნიერი ვიქნები, როცა გავიგონებ, რომ ბედნიერია საქართველო და ბედნიერი არიან ძენი მისნი. ჩემი მუდმივი სწრაფვა – ივერიის ეკლესიას სიკეთე ვუყო, გარნა ხშირად ბევრი რამ ჩემზე არ არის დამოკიდებული. მომავლ ბედნიერების იმედი ვიქონიოთ და ვიმუშაოთ. ვინ უწყის გზანი განგებისანი! შეიძლება მე თვით მომიხდეს ჩემი ძვლები დავასაფლავო საქართველოში, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანაში."[1618]

ქართველებისადმი სიყვარული მან იმითაც გამოხატა, რომ რუსეთის გასაბჭოების შემდეგ მიტროპოლიტობიდან გადამდგარმა პიტირიმმა, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი განმარტოვებით ცხოვრობდა პიატიგორსკში ბეშტაუს მონასტერში, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატი-

1617 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 702, 21 ოქტომბერი, გვ. 3.

1618 მიტროპოლიტი პიტიმირი და საქართველოს ეკლესიის სახელით კვერთხის მირთმევა, გაზეთი „საქართველო," 1916, 250, 9 ნოემბერი, გვ. 3.

ულ მთავრობას სთხოვა, ჩამოსვლის ნებართვა მიეცათ, რომ „დაეკრძალათ წმ. მოწამეთა სისხლით მორწყულ საქართველოში." ნებართვის მიღების შემდეგ იგი გამოემგზავრა, მაგრამ ველარ ჩამოაღწია, გზაზე გაძარცვეს, შემდეგ კი სახადით გახდა ავად.[1619] გამოჯამრთელების შემდეგ პიტირიმი ეკატერინოდარში გაემგზავრა, სადაც 1920 წლის 5 მარტს (21 თებერვალს) გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას ქართული პრესა გამოეხმაურა.

ავტოკეფალისტთა მოძრაობაში მოწინავე, ქართველი საზოგადოების ნაწილი და სამღვდელოება იყო ჩაბმული. საჭირო იყო მასშტაბის გაფართოება. 1914 – 1915 წლებში ქართული პერიოდული პრესა გულისტკივილით წერდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთელი ერის საზრუნავი უნდა ყოფილიყო და არა რამდენიმე გულშემატკივარი პირისა.[1620] მასების ამოძრავების მიზნით ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე 1914 წლის 13 თებერვალს აკაკი წერეთელს სთხოვდა დაეწერა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ჰიმნი, რომელიც ქართველ ერს მალამოდ მოედებოდა. სამწუხაროდ, აკაკიმ, ავადმყოფობის გამო, ვერ შეასრულა მღვდელმთავრის ეს თხოვნა.[1621]

ქართველი სამღვდელოება ყოველ ეროვნულ წამოწყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. პატრიოტულ ჟურნალ „კლდის" დახურვის შემდეგ ნაციონალურად განწყობილი ახალგაზრდობის ჯგუფი (ს. შანშიაშვილი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, ს. კედია, შ. ამირეჯიბი) უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ ყოველდღიური ქართული გაზეთის გამოცემას. 1915 წელს გელათის არქიმანდრიტს (შემდგომ მიტროპოლიტს) ნაზარის (ლეჟავა) 800 მანეთი გაუღია გაზეთ „საქართველოს" გამოცემისათვის.[1622] გაზეთი „საქართველო" და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები ავტოკეფალისტთა მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული და თავიანთი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული საკითხის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდნენ.

მიტროპოლიტ პიტირიმის გაწვევის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად, ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად და რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად 1915 წლის 5 დეკემბერს დაინიშნა პლატონ როჟდესტვენსკი. მის დანიშვნის რესკრიპტში რუსეთის იმპერატორი საგანგებოდ აღნიშნავდა: „ვსასოებ, რომ თქვენს ძალღონეს არ დაიშურებთ, რათა უხემძღვანელოთ სხვადასხვა

1619 გაზეთი „საქართველო," 1920, 71, 2 აპრილი, გვ. 2.

1620 ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 256.

1621 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, საქმე 525; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ერთი უცნობი დოკუმენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ჟურნალი „რელიგია," 3, 2015, გვ. 14-21.

1622 დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ჟურნ. „ივერია," ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, თბილისი – პარიზი, 1992, 1, გვ. 127; ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002, გვ. 46.

ეროვნებათა სამწყსოს მშვიდობისა და ქრისტიანული სიყვარულისამებრ."[1623] მთავარეპისკოპოსი პლატონი (ერობაში პორფირ თევდორეს ძე როჟდესტვენსკი) დაიბადა 1866 წლის 23 თებერვალს კურსკის გუბერნიის გრაივორონსკის მაზრის სოფელ კოზინკაში სასულიერო პირის ოჯახში. მისი უფროსი ძმა, დეკანოზი ვასილი იყო მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი კურსკის გუბერნიიდან. 1886 წელს კურსკის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მან სასულიერო მოღვაწეობა გადაწყვიტა, 1887 წლის 6 იანვარს მღვდლად აკურთხეს და სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში. დაქვრივების შემდეგ, 1891 – 1895 ნლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც იგი 1894 წელს ბერად აღიკვეცა. პლატონმა კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და სასწავლებლის საბჭოს გადაწყვეტილებით დატოვეს კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1898 წელს მიენიჭა ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი, კიევის სასულიერო აკადემიის ექსტრაორდინალური პროფესორის წოდება და ხელი დაასხეს არქიმანდრიტად. კიევის სასულიერო აკადემიაში იგი ასრულებდა ჯერ ინსპექტორის თანაშემწის, შემდეგ ინსპექტორის, ხოლო 1902 წლიდან რექტორის მოვალეობას. 1902 წლის 3 ივნისს პლატონს ხელი დაასხეს კიევის ეპარქიის მეორე ჩიგირინის ვიკარ-ეპისკოპოსად. იგი სასულიერო საქმიანობასთან ერთად აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, 1906 წლიდან გამოსცემდა ჟურნალ „ეკლესია და ხალხი" („Церковь и народ"), ხოლო 1907 წელს კიევიდან არჩეული იქნა მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად, სადაც იგი შედიოდა „умеренных" ჯგუფში, რომლებიც სიკვდილის დასჯის გაუქმებას მოითხოვდნენ. პლატონი ერთადერთი სასულიერო პირი იყო, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, იგი 1907 წლის 8 ივნისს დაინიშნა ამერიკის რუსი ემიგრანტების მწყემსმთავრად, ალეუტისა და ჩრდილო ამერიკის მთავარეპისკოპოსად, სადაც მან გახსნა სასულიერო სემინარია და გამოსცემდა ჟურნალს „რუსი ემიგრანტი" („Русский эмигрант"). 1914 წლის 20 მარტიდან პლატონი ინიშნება კიშინიოვისა და ხოტინის ეპისკოპოსად, საიდანაც იგი 1915 წლის დეკემბერში საქართველოს ეგზარქოსად გადმოიყვანეს.[1624]



საქართველოს ეგზარქოსი პლატონი (როჟდესტვენსკი, 1916-1917)

1623 გაზეთი „საქართველო," 167, 1915.

1624 გაზეთი „საქართველო," 167, 13 დეკემბერი, 1915.

დეკანოზ კალიტრატე ცინცაძის გადმოცემით, პლატონ როჟდესტვენსკის ეგზარქოსად დანიშვნას საქართველოში კმაყოფილებით შეხვედრიან, რადგან ქართველ მოღვაწეთა ნაწილი მას, ჯერ კიდევ, კიევის სასულიერო აკადემიიდან იცნობდა. მისი სტუდენტობის დროს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდნენ და მას კარგად იცნობდა კალისტრატე ცინცაძე, მელიტონ კელენჯერიძე, დიმიტრი აბაშიძე, ილია ფერაძე; ხოლო აკადემიაში პედაგოგად მოღვაწეობისას მისი მოსწავლეები ყოფილან პიროს ოქროპირიძე, კორნელი კეკელიძე, ნესტორ ლეჟავა (მიტროპოლიტი ნაზარი), ნიკიტა თალაკვაძე და სხვები.[1625] მთავარეპისკოპოსი პლატონი კარგად იცნობდა საქართველოს. მას ჯერ კიდევ, 1903 წლის ზაფხულში მისი კიევის სასულიერო აკადემიის რექტორად ყოფნის დროს მოულოცია საქართველოს სიწმინდეები, ახლოს გაუცვნია ქართველი საზოგადოება, გაცნობია საეკლესიო მუზეუმის ექსპონატებს, რომლის შთაბეჭდილებების წიგნში საინტერესო ჩანაწერიც გააკეთა და კმაყოფილი დაბრუნებულა კიევში.[1626]

1916 წლის 12 იანვარს თბილისში საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა ახლადდანიშნული ეგზარქოსი პლატონი. მას თან ჩამოყვნენ თბილისიდან მის მისაგებებლად წასული თბილისის სიონის ტაძრის წინამძღვარი მარკოზ ტყემალაძე, მამადავითის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი და ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი სოლომონ შოშიაშვილი.

თბილისის რკინიგზის სადგურზე ეგზარქოს დახვდნენ მეფინაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი მეუღლით, მისი თანაშემწეები: გენერალი ნ. იანუშკევიჩი და ვ. არლოვი; ეპისკოპოსები: ანტონი და ლეონტი, თბილისის კომენდატი, გენერალი პ. ჩირკოვი, გუბერნატორი ი. სტრასხოვსკი, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი, ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი, გამგეობის წევრები და პოლიცმეისტერი ზდანოსკი.

სადგურიდან ეგზარხოსი ღია ავტომობილით წაიყვანეს თბილისის სიონის ტაძრისაკენ. მის ავტომობილს წინ მიუძღოდა პოლიცმეისტერი და დონის კაზაკთა 57-ე პოლკის რაზმი. ტაძრის შესასვლელში მას მიეგება სამღვდელოება, გადაიხადეს პარაკლისი. ეგზარქოსმა აკურთხა დამსწრე საზოგადოება და განაცხადა: „მე მოვალ, რათა თქვენს შორის გულწრფელად ვიმუშაო."[1627]

ეგზარქოსი პლატონი მალევე გაეცნო საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ ვითარებას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, მან საქართველოს ეკლესიას „პირდაპირ უწოდა ტრაგიზმით სავსე, ხოლო თვით ეკლესიას – „კრახისაკენ მიმავალი."[1628]

1625 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 170.

1626 საეკლესიო მუზეუმის დათვალიერება კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის მიერ, გაზეთი „ცნობის ფურცელი," 2203, 1903, გვ. 2.

1627 ეგზარქოსი პლატონის ჩამოსვლა, გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 477, 13 იანვარი, გვ. 2.

1628 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 178; შდრ. Церковные ведомости, 21, 1916, стр. 502.

სასულიერო პირთა დაბალი შემოსავლებისა და მათი ქვრივ-ობლების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, სცადა საქართველოში ამერიკაში არსებული მუშაობის მეთოდები დაენერგა, ბიუჯეტიდან თანხების მოთხოვნის სანაცლოდ მას სურდა შემოსავლების გაზრდის მიზნით ადგილობრივად განევითარებინა კერძო წარმოება. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუშალა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.[1629]

ეგზარქოსი პლატონი რა თქმა უნდა არ იზიარებდა ქართველ ავტოკეფალისტთა განწყობას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, თუმცა ამ განწყობას აშკარად არ გამოხატავდა, რომ არ გამოეწვია ქართველი საზოგადოების გაღიზიანება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოსვლისთანავე ეგზარქოსმა პლატონმა გამოიყენა თავისი პირადი ნაცნობობა და სასულიერო პირებთან ინდივიდუალური შეხვედრებით სურდა დაედგინა მათი განწყობა. გამოირკვა, რომ საეკლესიო პრობლემების სასიკეთოდ გადასაწყვეტად ქართველი სამღვდელოების უპირობო მოთხოვნა იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. გაირკვა ისიც, რომ ქართველი სამღვდელოება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტას მთლიანად ხელისუფლებას ანდობდა, მაგრამ თუკი საკითხი მათ სასარგებლოდ ვერ გადაწყდებოდა, მაშინ ქართველი სამღვდელოება ხელასაყრელ დროს ელოდა მის განსახორციელებლად. სასულიერო პირებთან პირად საუბრებში ეგზარქოსი დაუფარავად გამოხატავდა თავის შეხედულებას საეკლესიო საკითხის მოსაგვარებლად. იგი მომხრე იყო საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია ისეთი ფორმით მომხდარიყო, რომ იგი სრულ შესატყვისობაში ყოფლიყო რუსეთში მოსალოდნელ საეკლესიო გარდაქმნებთან, რომ ხელიუფლებას არ დაეკარგა კონტროლი ეკლესიაზე. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნებოდა საკათოლიკოსოს აღდგენა, მაშინ იგი მოითხოვდა საქართველოს არაქართველ მრევლისათვის კავკასიის საეგზარქოსოს დაარსებას და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მოწყობას ეროვნული ნიშნის და არა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რაც საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევას წარმოადგენდა. ასეთი განწყობა მან გამოხატა დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან პირად საუბარში, გაკვირვებული ქართველი დეკანოზი ეგზარქოსს არ დაეთანხმა და მიუთითა საეკლესიო კანონიკასთან შეუთანხმლებობაზე. ეგზარქოსმა პლატონმა შენიშვნის მიუხედავად განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის „არატერიტორიულ ავტოკეფალიას."[1630] ეგზარქოსი პლატონი ასეთი არაკანონიკური შეხედულებით ახმოვანებდა ხელისუფლების განწყობას. ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ (1917 წლის 12 მარტი), რუსეთის მაშინდელმა დროებითმა მთავრობამ ეგზარქოს პლატონის მიერ დაფიქსირებული შეხედულებისამებრ სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა.

1629 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 178-179.

1630 კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001, გვ. 180.

აღნიშნული ვერსიის გარდა, 1916 წლიდან ხელისუფლებაში საქართველოს საეგზარქოსოს მოწყობის სხვა ვესიებიც განიხილებოდა. გარდა ამისა, პრესაში ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო სტატიებიც ქვეყნდებოდა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ქართველთა გულშემატკივარის ნიკოლოზ დურნოვოს 1916 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული წერილი. როგორც ირკვევა, ნიკოლოზ დურნოვო საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობდა. ერთ-ერთი ვერსიით, იგი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ თუკი საქართველოს ეკლესია წმინდა საეკლესიო კანონების მიხედვით მოეწყობდა, რუსეთის ეკლესია არაფერს დაკარგავდა. მისი შეხედულებით, საქართველოს საეგზარქოსოს უნდა ჩამოშორებოდა ბაქოს, ერევნის, განჯის არაქართული გუბერნიები. იქ არსებული ეკლესიები და მრევლი ბაქოს ეპარქიაში შევიდოდა და უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარება. ქართულ საეგზარქოსოს დარჩება მხოლოდ ერთი არაქართული ყარსისი ოლქი, სადაც მას ძველთაგანვე ჰქონდა ეკლესიები. ნიკოლოზ დურნოვოს მიხედვით, ივერიის ეკლესიის შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო სამი გუბერნია – თბილისი, რომელიც მოიცავდა ქართლს, კახეთს, სომხითს, ზაქათალას; ქუთაისი – იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, სამურზაყანო; ბათუმი – აჭარა, ქობულეთი სოხუმის ოლქით (აფხაზეთი). მისი ვარაუდით, ალავერდის კათედრის აღდგენის შემდეგ, კახეთი ზაქათალის ოლქით, შევიდოდა ალავერდ-ბოდბისხევის ეპარქიაში, კათედრა იქნებოდა თელავში. ქართლი ქვემო ქართლთან ერთად იქნებოდა დამოუკიდებელი ეპარქია, რომელსაც ექნებოდა ორი ნახევრად დამოუკიდებელი საეპისკოპოსო გორისა და თბილისის. ნიკოლოზ დურნოვოს აზრით, ივერიის კათოლიკოსის რეზიდენცია იქნებოდა მცხეთაში, მისი ქორ-ეპისკოპოსის კი – თბილისში. ყარსისი ოლქი დამოუკიდებელი ეპარქია უნდა ყოფილიყო; დასავლეთ საქართველოში გურიის ეპარქია უნდა გამოყოფოდა სამეგრელოს ეპარქიას და დამოუკიდებელ ეპარქიად უნდა ჩამოყალიბებულიყო. სამეგრელოს უნდა დამატებოდა მეგრელებით დასახლებული სამურზაყანო. სოხუმის ოლქს უნდა გამოყოფოდა შავიზღვის გუბერნია, რომელიც შეუერთდებოდა ეკატერინოდარის ეპარქიას.[1631] ნიკოლოზ დურნოვოს აღნიშნული მოდელი საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ მართალია სრულყოფილი არ არის, მაგრამ ეკლესიის მოწყობის სხვა ვერსიებთან შედარებით პროგრესულად გამოიყურება.

საზოგადოებაში ამ დროს მუსირებდა აზრი, რომ განზრახული იყო მცხეთაში ცალკე საეპისკოპოსოს დაარსება. ასეთი შეხედულება გაავრცელა რუსულმა გაზეთმა „ზაკავკასკიე რეჩმა," რომელმაც 1916 წლის თებერვალში ამ საკითხზე წერილი გამოაქვეყნა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ გააკრიტიკა რუსული გამოცემის შეხედულება და მიუთითა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა სინამდვილეს

1631 ნ. დურნოვო, ეკლესიის მოწყობის შესახებ, გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 473, 8 იანვარი, გვ. 3.

არ შეეფერებოდა და იგი, მისი აზრით, წარმოადგენდა მის მიერ ეგზარქოსთა შემდგარი გამოქვეყნებული ინტერვიუს არასწორ გააზრებას, რომელმაც გაანაცხადა, რომ, რადგან თბილისში ცხოვრობდა გორის ვიკა-ეპისკოპოსი, იგი მუდმივ საცხოვრებლად გორში გადავიდოდა, ხოლო თბილისში ახალი ეპისკოპოსი დაინიშნებოდა.[1632] ირკვევა, რომ რუსული გამოცემის ცნობა რეალურ სინამდვილეს ასახავდა და ხელისუფლების იმ ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა, რომლებსაც სურდათ მცხეთაში ქართველი მღვდელმთავრის რეზიდენცია განთავსებულიყო, ხოლო თბილისი კი იქნებოდა რუსი მღვდელმთავრის ადგილსამყოფელი. ამ საკითხთან დაკავშირებით 1916 წლის 13 თებერვალს გამოქვეყნდა საინტერესო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „კანონების მიხედვით მცხეთის კათედრა საკათალიკოსო კათედრაა. იგი იურიდიულად გაუქმებული არ არის, რადგან მისი გაუქმება მხოლოდ მსოფლიო კრებას შეუძლია." გაზეთის დაასკვნით: კანონიკური თვალსაზრისით „საეპისკოპოსო კათედრის დაწესება იქ სადაც საკათალიკოსო კათედრა იყო ყოვლად შეუძლებელია."[1633]

ზემოთაღნიშნული ვერსიების გარდა, რუსეთის უწმინდესი სინოდი საჭიროდ მიიჩნევდა მთელი იმპერიის მასშტაბით ეკლესიის უკეთ მოწყობისათვის მის დაყოფას რვა სამიტროპოლიტო ოლქად. აღნიშნულის მიხედვით უნდა გაუქმებულიყო საქართველოს საეგზარქოსო და დაასებულიყო კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა არა მარტო საეგზარქოსოს ყოფილი ტერიტორიები, არამედ მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას როსტოვიდან არზრუმამდე, კათედრა კი განთავსდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში. რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების შესახებ მასალა გამოქვეყნდა გაზეთ „კოლოკოლში," (1916, 2935). აღნიშნულ ფაქტს საქართველოში მხოლოდ გაზეთი „საქართველო" (1916, 41) და „სახალხო ფურცელი" (1916, 512) გამოეხმაურა. რუსეთის უწმინდესი სინოდის აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა ნიკოლოზ დურნოვო. მისი იფორმაციით, კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსების შესახებ „მოსკოვის მიტროპოლიტის მაკარის თავმჯდომარეობით (რომელიც სრულიად არ იცნობს ივერიის ეკლესიას) შესდგა კომისია, კომისია, რომელმაც გადასწყვიტა შექმნას კავკასიის საეკლესიო ოლქი."[1634] იგივე ავტორის ცნობით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ იზიარებდა მიტროპოლიტი პიტირიმი და ტიხონი (ბელავინი, შემდგომ რუსეთის პატრიარქი), „მაგრამ ამ ორ მწყემსმთავართ რა შეუძლიათ გააკეთონ ესოდენ ძლიერ სასულიერო მოხელეთა შორის და იმ ობერ-პროკურატურასთან, რომელიც მსოფლიო ეკლესიის კრების დადგენილებას ივერიის ეკლესიის კრების შესახებ თავის ნებით სცვლის."[1635]

1632 დეკანოზი კორნელი კეკელიძე, საჭიროა თუ არა ქართლში საეპისკოპოსო კათედრა? გაზეთი „საქართველო," 1916, 3, 25 თებერვალი, გვ. 3.

1633 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 502, 13 თებერვალი.

1634 გაზეთი „საქართველო, 1916, 304," 8 მარტი.

1635 გაზეთი „საქართველო," 1916, 304, 8 მარტი.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნა 1906 წელს საეკლესიო კრების წინა თათბირის ბოლო სხდომაზე იქნა დამტკიცებული, რომლის ავტორი იყო დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი. ქართველმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით სამღვდელოებამ კარგად გაიაზრა აღნიშნული გადაწყვეტილების მძიმე შედეგები. მათ საშიშროება დაინახეს, რომ კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებით, რომლის ცენტრი თბილისშიც, რომ ყოფილიყო მაინც მიუღებლად მიაჩნდათ, რადგან სხვა არაქართული სამრევლოების მიერთებით რაოდენობრივად მცირდებოდა ქართველ მრევლთა რიცხვი, რის გამოც იგი „დაჰკარგავს თავის ეროვნულ სახეს და მნიშვნელობას." აღნიშნულის გამო, ერთ-ერთი გაზეთის განმარტებით, „რეფორმა პირდაპირ მავნებელი იქნება ჩვენი ეროვნულ-სარწმუნოებრივის ინტერესებისათვის." გარდა ამისა, იგივე გაზეთის აზრით, აღნიშნულის განდაწყვეტილების შემთხვევაში, ვეღარ განხორციელდებოდა მეფის 1905 წლის 11 აგვისტოს რეზოლუცია, რომლის მიხედვით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად უნდა გადაცემოდა მომავალ საეკლესიო კრებას. აშკარაა, რომ კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებით რუსეთის უწმინდეს სინოდს სურდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმება. აღნიშნულის გამო, ერთ-ერთი ქართული გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ გატარებული ღონისძიება „ნამდვილი ძალმომრეობა იქნება, იმ ძალმომრეობაზე უფრო პასუხსაგები და რუსეთის ეკლესიისათვის დამამცირებელი, ვინემ იყო ამავე ტერიტორიაზე ასი წლის წინად „საქართველოს საეგზრხოსოს დაარსება." იგი საერო ხელისუფლების მიერ განხორციელდა, ხოლო „კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსების ინიციატორად გამოდის რუსეთის საეკლესიო ორგანო სინოდი."[1636]

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების შესახებ ქართულ პრესაში საინტერესო წერილები გამოქვეყნდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დეკანოზი კორნელი კეკელიძე 1916 წლის 23 თებერვალს წერდა: „ტერმინი „საქართველოს საეგზარხოსო" თავის შინაარსით კიდევ გვაგონებდა, რომ, თუ ეხლა არა, ოდესღაც მაინც ყოფილა „საქართველოს ეკლესია." „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქმა" კი სამუდამოდ დამარხა ეს კანონიკური და ისტორიული ფორმულა, ვინაიდგან ამ „სამიტროპოლიტოში," რომელიც გადაიჭიმება სტავროპოლიდან აზრუმ-სპარსეთის ზღვამდე, ქართველებს და მათ ინტერესებს მეტად მცირე ალაგი ეკავებათ.[1637] კორნელი კეკელიძის დასკვნით, ამ პროექტის განხორციელებით „ამიერიდან საქართველოს ეკლესიის სახელი დოკუმენტებშიც, ქაღალდზედაც, კი ჰქრება, ვინაიდგან მას ჰყლაპავს „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი."[1638] ცოტა მოგვიანებით, იგივე ავტორი აღნიშ-

1636 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 524, 11 მარტი.

1637 მეგობარი, (კორნელი კეკელიძე), როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, გაზეთი „საქართველო," 1916, 41, 23 თებერვალი, გვ. 3.

1638 მეგობარი, (კორნელი კეკელიძე), როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, გაზეთი „საქართველო," 1916, 41, 23 თებერვალი, გვ. 3.

ნავდა, რომ რუსეთის მასშტაბით აღნიშნული განხორციელების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ საქართველოს საეგზარქოსოსთან მიმართებაში იგი წინააღმდეგია ამ სახით მისი განხორციელებისა. კორნელი კეკელიძის მიხედვით, კარგი იქნება თუკი საქართველოს ეგზარქოსს მთავარეპისკოპოსის ნაცვლად მიტროპოლიტის ხარისხი მიენიჭება, რადგან პირველი ჩვენი ეგზარქოსები XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ამ ხარისხს ატარებდნენ. კორნელი კეკელიძე მომხრეა აღნიშნული რეფორმის გატარებისა „იმ პირობით, რომ ის იქნება „მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა, სრულიად საქართველოს ეგზარხოსი." იგი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „საქართველოს საეგზარქოსოს" გაუქმება პოლიტიკური პროცესის შედეგია. აღნიშნულის გამო, დეკანოზი კორნელი კეკელიძე დაასკვნიდა: „რავდენიც უნდოდეთ, იმდენი სამიტროპოლიტო ოლქი დაიარსონ თავისთვის, საქართველოს საეგზარხოსო კი „საქართველოს საეგზარხოსოდ" უნდა დარჩეს იმ დღემდის, როდესაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდება."[1639]

საზოგადოების ინფორმირების მიზნით დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ ტერმინ „ეგზარქოსის" და „საქართველოს საეგზარქოსოს" შინაარსიის შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა. მისი განმარტებით, თავდაპირველად ეგზარქოსი წარმოადგენდა „უზენაეს გამგეს ისეთი ადგილებისა, რომელიც განსაზღრულ ტერიტორიის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს." შემდგომ ბიზანტიაში „ეგზარქოსი" საეკლესიო-კანონიკურ ტერმინად იქცა და ამ ტერმინის მატარებელი სასულიერო პირი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ოლქის მმართველი იყო, რომელიც ქართულ სინამდვილეში კათოლიკოსის, ხოლო ბიზანტიაში პატრიარქთან იყო გათანაბრებული. კორნელი კეკელიძის მიხედვით, შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიებში „ექსარხოზებად" იწოდებოდნენ მღვდელმთავრები, რომლებიც დროებით განაგებდნენ „დაქვრივებულ" ავტოკეფალურ კათედრას. „რუსულ ეკლესიაში „ექსარხოსი" ესმოდათ, როგორც „დროებით მცველი" დაქვრივებული საპატრიარქო კათედრისა." მოყვანილი ფაქტებიდან კორნელი კეკელიძე მიიჩნევს, რომ „კანონიკური და ისტორიული თვასაზრისით „ექსარხოსი" აღნიშნავს უზენაეს გამგეს ავტოკეფალურ ოლქისა, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს. მაშასადამე, კორნელი კეკელიძის დასკვნით, ტერმინი „საქართველოს საეგზარხოსო" თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა; ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა, ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს," დროებით რუსეთის ექსარხოსი" განაგებს." კორნელი კეკელიძე ასევე განმარტავს, რომ, როდესაც ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში საეგზარქოსო დაარსდა, ალექსანდრე ტორმასოვს და სხვებს სულ სხვა აზრი ამოძრავებდათ, მათ საეკლესიო კანონიკის არაფერი გაეგებოდათ. იოანე

1639 დეკანოზი კორნელი კეკელიძე, კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, გაზეთი „საქართველო," 1916, 51, გვ. 3.

ვოსტორგოვმა და რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გადაწყვიტეს აღნიშნული შეცდომის გამოსწორება საეგზარქოსოს გაუქმებითა და კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებით. კორნელი კეკელიძის დასკვნით, კავკასიის სამიტროპოლიტოს „მეოხებით მოხდება ჩვენი ეკლესიის ინკორპორაცია და მისი დღევანდელი სახის ნარყვნა. აქედან ცხადია, რამდენად საჭიროა დროებით, სანამ ჩვენი ეკლესიის კანონიურ უფლებათა აღდგენის საკითხი არ გადაწყვეტილა, არსებულ ინსტიტუტის – „საექსარხოსოს" დაცვა და შენარჩუნება."[1640]

დეკანოზი კორნელი კეკელიძე მოითხოვდა, რომ აღნიშნულის შესახებ ქართველ საზოგადოებას ხმა ამოეღო, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატებს, რუსეთის უწმინდეს სინოდში მიეწვდინათ ხმა ეგზარქოსად ყოფილ მიტროპოლიტ პიტირიმისათვის; კავკასიის მეფისნაცვალთან და ეგზარქოსთან კი დახმარების მიზნით უნდა წარმდგარიყო ქართველთა დეპუტაცია. მას იმედი ჰქონდა ადგილობრივი ხელისუფლება მათ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა. ამის იმედს იძლეოდა ის, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ეგზარქოსი პლატონი მხარს არ უჭერდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას.[1641]

კორნელი კეკელიძე და ქართველთა ნაწილი დიდ იმედს ამყარებდა რუსეთის უწმინდესი სინოდის უპირველეს, პეტროგრადის და ლადოგის მიტროპოლიტ, ყოფილ ეგზარქოს პიტირიმის (ოკნოვი) დახმარებაზე, რომელსაც „ჩვენს გულშემატკივარ მამას ამდენ ხანს თუ არა ჰქონდა შეძლება „საქმის"გაკეთებისა, ეხლა ხომ იმას გააკეთებს, რასაც სურსო."[1642]

კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების მხარდამჭერი რამდენიმე წერილი გაზეთ „პეტერბურგის უწყებანში" გამოაქვეყნა ნიკოლოზ დურნოვომ. ამ წერილებში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კავკასიის სამიტროპოლიტოს დაფუძნებით რუსეთის სასულიერო უწყებას „სურთ სამუდამოთ მოსპონ ივერიის ეკლესიის საკითხი."[1643] ნიკოლოზ დურნოვო, ისე როგორ ქართველი საზოგადოების ნაწილი, საკითხის გადაწყვეტის დროს დიდ იმედს ამყარებდა მიტროპოლიტ პიტირიმზე, რომელმაც „...ტკბილი ხსოვნა და მოგონება დასტოვა მთელს საქართველოში, და რომლის იმედიც აქვს ამჟამად მთელს საქართველოს."[1644]

გაზეთი „სახალხო ფურცელი" 1916 წლის 11 მარტს აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია რუსეთის ეკლესია სამიტროპოლიტოებად დაიყოს, მაგრამ ეს არ უნდა შეეხოს საქართველოს ეკლესიას, რომელსაც საკუთარი ტერიტორია აქვს თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ზაქათალა, სოხუმისა და ბათუმის

1640 დეკანოზი კორნელი კეკელიძე, საქართველოს საექსარხოსო, გაზეთ „საქართველო," 1916, 55, გვ. 3.

1641 დეკანოზი კორნელი კეკელიძე, კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, გაზეთი „საქართველო," 1916, 51, გვ. 3.

1642 დეკანოზი კორნელი კეკელიძე, კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, გაზეთი „საქართველო," 1916, 51, გვ. 3.

1643 გაზეთი „საქართველო," 1916, 30, 8 მარტი, გვ. 3; შდრ. გაზეთი „საქართველო," 1916, 51, გვ. 3.

1644 გაზეთი „საქართველო," 1916, 51, გვ. 3.

ოლქები, რომელთაც უნდა მიემატოს ქართველი მოდგმით ლაზეთითა და ჭანეთით დასახლებული ტერიტორიები.[1645]

კავკასიის სამოტროპოლიტოს დაარსებასთან დაკავშირებით, ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთმა „საქართველომ" პეტროგრადში თავის წარმომადგენელ ნაფიც ვექილს დიმიტრი ჭიაბერაშვილს სთხოვა უშუალოდ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებისაგან, კერძოდ კი რუსეთის უწმინდესი სინოდის პირველი წევრის მიტროპოლიტ პიტირიმისაგან მიეღოთ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გაზეთმა გამოაქვეყნა პეტერბურგიდან მიღებული დიმიტრი ჭიაბერაშვილის დეპეშა მიტროპოლიტ პიტირიმის სიტყვიერი განმარტების შესახებ, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს საექსარხოსოს არ გააუქმებენ; განზრახულია საქართველოს ეკლესიის პირველ იერარქს ებოძოს მიტროპოლიტის ხარისხი, შემდეგის სახელწოდებით: „ექსარხოსი საქართველოისა, მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა."

ამავე გაზეთში გამოქვეყნდა დეკანოზ კორნელი კეკელიძის წერილი, სადაც იგი ქართველ საზოგადოება ულოცავს წარმატების მიღწევას და აღნიშნავს, რომ საეგზარქოსოს დატოვება განაპირობა ქართველი საზოგადოების ერთსულოვნებამ და მათმა პროტესტამა. აქვე აღნიშნულია, რომ მართალია საქართველოს საეგზარქოსოს რუსეთის უწმინდეს სინოდში მუდმივი მეოთხე ადგილი უკავია, მაგრამ თუკი ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსის ხარისხით დარჩებოდა, სამიტროპოლიტო ოლქის შემოღების შემდეგ იგი მეეცხრე ადგილზე გადაინაცვლებდა. კორნელი კეკელიძე განმარტავს, რომ რვა ოლქის ნაცვლად დაუმტკიცებიათ შვიდი სამიტროპოლიტო ოლქი, კავკასიის სამიტროპოლიტოს გამოკლებით. იგი კითხულობს, რას უპირებენ კავკასიის ეპარქიებს? მისი აზრით, თუკი მას საეგზარქოსოს მიაწერენ „ეს ჩვენთვის ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესები საგრძნობლად დაიჩრდილება. ჩვენ უნდა ვცადოთ, რომ არამც თუ ჩრდილო კავკასია არ შემოგვიერთონ, პირიქით ის ადგილებიც ჩამოგვაცალონ, სადაც ეხლა მხოლოდ რუსის სამრევლოებია გაშენებული, სახელდობრ ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიები. საქართველოს საექსარხოსო უნდა დარჩეს ძველ საქართველოს ეკლესიის ფარგლებში; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ჩვენ, ჩვენ თავს შემოუარათ."[1646]

1916 წლის მარტის შუა რიცხვებში პეტროგრადიდან სასიამოვნო ცნობა მოვიდა, რომლის მიხედვით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა საზოგადოებაში გავრცელებული სხვადასხვა დამოკიდებულების გამო შეაჩერა რუსეთის ეკლესიის სამიტროპოლიტო ოლქებად დაყოფის საკითხი.[1647]

მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილების შეჩერებისა, რუსეთის ცარიზმს ხელი არ აუღია თავის რეაქციული გეგმების განხორციელებაზე, სას-

1645 გაზეთი „სახალხო ფურცელი," 1916, 524, 11 მარტი, გვ. 3.

1646 გაზეთი „საქართველო," 1916, 57, გვ. .

1647 გაზეთი „საქართველო," 1916, 63, 20 მარტი.

წრაფოდ წამოაყენეს წინადადება, რომ აფხაზეთში არსებული ერთადერთი სოხუმის ეპარქია ჩამოეშორებინათ საქართველოს საეგზარქოსოსათვის და იგი შავი ზღვის ეპარქიისათვის მიეერთებინათ. ასეთი სურვილი მათ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ, 1905-1906 წლებში გაუჩნდათ, როცა ქართველმა სამღვდელოებამ დააყენა ავტოკეფალიის მოთხოვნა, მაგრამ იგი არ განუხრციელებიათ, რადგან რეაქციის ხანაში ავტოკეფალისტთა მოძრაობა შენელდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში მიზნად ისახავდა ანტიქართული განწყობილების შექმნას. სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად რუსი ეროვნების სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც აფხაზებსა და სამურზაყანოს ქართულ მოსახლეობაში რუსული ენის გაბატონებით ცდილობდნენ თავიანთი დასაყრდენის შექმნას და როცა დასჭირდებოდათ, ამ ძალას ქართველების წინააღმდეგ აამოქმედებდნენ.

1916 წლის მარტის მეორე ნახევარში საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ მიტროპოლიტ პიტირიმის თავმჯდომარებით შემდგარმა კომისიამ გადაწყვიტა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოჰყოფა, რომელშიაც შევიდოდა სოხუმის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია. აღნიშნული საკითხის გასარკვევად გაზეთმა „საქართველომ" პეტროგრადში ისევ თავის წარმომადგენელ დიმიტრი ჭიაბერაშვილისაგან 22 მარტს დეპეშით შეიტყო, რომ საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი მზადაა და მის განხილვას აღდგომის შემდეგ დაიწყებენ. მისივე ცნობით, საქართველოს საეგზარქოსოში მხოლოდ ქართული სამრევლოები მოექცევა, დანარჩენები კი შევლენ შავი ზღვის ეპარქიაში.[1648] აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად რუსეთის უწმინდეს სინოდს მოუთხოვია სოხუმის ეპარქიის ქართული სამრევლოების სია. ქართველი საზოგადოება შიშს გამოთქვამდა, რომ შესაძლებელია სამურზაყანოს მკვიდრი სამეგრელოს მოსახლეობა შესაძლებელია არაქართველებად მიიჩნიონ.[1649]

სოხუმის ეპარქიის გმოყოფას „პეტროგრადის უწყებაში" დაბეჭდილი წერილით გამოეხმაურა ნიკოლოზ დურნოვო. მან დაგმო აღნიშნული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ თუ კი არაქართული სამრევლოების გამოყოფა მოხდება, ამისათვის ახლავე ქართველებმა „უნდა მოსთხოვონ უმაღლეს ეკლესიის მთავრობას მეგრელებით დასახლებული სამურზაყანო და გუდაუთის ნაწილი დაუბრუნდეს სამეგრელოს ეპარქიას."[1650] ამავე საკითხზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნა და რუსეთის უწმინდესი სინოდის პოლიტიკა დაგმო დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ.[1651]

1648 გაზეთი „საქართველო," 69, 27 მარტი, 1916, გვ. 2.

1649 გაზეთი „საქართველო," 74, 1916, გვ. 3.

1650 გაზეთი „საქართველო," 74, 1916, გვ. 3.

1651 გაზეთი „საქართველო," 86, 1916, გვ. 3; შდრ. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ. 9.

აღნიშნული საკითხის განხილვას ქართულმა პრესამ და რუსეთში გამომავალმა „პეტროგრადის უწყებამ" საინტერესო წერილები გამოაქვეყნა იმის შესახებ თუ რამდენად არაკანონიკურია მისი განხორციელება, რომელიც აგრეთვე ეწინააღმდეგება საქართველო-აფხაზეთის ისტორიულ წარსულს. აღნიშნულ საკითხს სოხუმის ადგილობრივმა მკვიდრებმაც მიაქციეს ყურადღება. გაზეთი „საქართველო" აღნიშნავდა: „ყველაფრიდან სჩანდა, რომ ამ პროექტის ჩამგონებელნი სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების საჭიროებას თვით ამ ოლქის მკვიდრთა სურვილით ასაბუთებდნენ." ბუნებრივია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფლილიყო ადგილობრივი მრევლის ინტერესები.[1652]

საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის ჩამოშორებამ ქართველი საზოგადოების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოხატავდა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა. ისინი წინ აღუდგნენ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას. 1916 წლის 16 აპრილს აფხაზებმა წერილობით მიმართეს რუსეთის უწმინდეს სინოდს და მოითხოვდნენ, რომ სოხუმის ეპარქია კვლავ საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დარჩენილიყო. ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ უძველესი დროიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა და აფხაზეთი ისტორიულადაც საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.[1653]

იგივე საკითხთან დაკავშირებით 1916 წლის 26 აპრილს სოხუმის ოლქის სხვადასხვა წარმომადგენელთა შემდგარი აფხაზთა დეპუტაცია თბილისში ჩამოდის. გაზეთ „საქართველოს" მიხედვით, დეპუტაციის შემადგენლობაში მედიოდა სამურზაყანოდან თავადი პეტრე ანჩაბაძე, მელიტონ ემხვარი, ნოჩო მარღანია და გლეხობის მხრიდან მიხაილ ეხუზბაია, სოხუმის ოლქის დანარჩენ სამ საბოქაულოდან თავადი ალექსანდრე შარვაშიძე, დიმიტრი მარშანია, გიორგი კონსტანტინეს ძე შარვაშიძე, ასტამურ ინალიფა და გლეხობის მხრიდან ერთი აფხაზი მასწავლებელი (სახელი და გვარი დასახელებული არ არის). აფხაზეთის დეპუტაცია შეხვდა მეფისნაცვალს და საქართველოს ეგზარქოსს. გამოხატავდნენ რა აფხაზთა ხალხის გულისნადებს, მათ აუდენციის დროს მოითხოვეს სოხუმის ეპარქიის დატოვება საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო გამხდარიყო, ხოლო სამურზაყანოში ქართული ენა ეხლავე შემოეღოთ. კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა მათ გულისყურით მოუსმინა და დაპირდა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ეგზარქოსთან შეხვედრის დროს მას აფხაზეთის დეპუტაციისათვის განუცხადებია: „მე ხმები მომდიოდა, თოთქოს აფხაზებს სდომებოდეთ სოხუმის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საეგზარხოსოდან, მაგრამ რადგან ეხლა თქვენგან, როგორც ხალხის წარმომადგენლებისაგან ხალხის ნამდვი-

1652 აფხაზეთი დეპუტაცია ექსარხოსთან, თბილისი, 5 მაისი, გაზეთი „საქართველო," 1916, 100, 5 მაისი.

1653 აფხაზების შუამდგომლობა, გაზეთი „საქართველო," 1916, 87, 20 აპრილი, გვ. 3.

ლი სურვილი მესმის, ვეცდები, რომ სოხუმის ეპარქია არ გამოთიშონო." ეგზარქოსის ამ სიტყვების გამო გაზეთი „საქართველო" დასძენდა, რომ „ჩვენი და აფხაზების დაუძინებელი მტერნი, რომლენიც divde et imperas-ს დასდგომიან, ყოველგან ხელს ურევენ და ცდილობენ ჩვენს განცალკევებას, რომ მერე თითოეულზე ადვილად გაბატონდნენ." გაზეთის განმარტებით „სოხუმის ეპარქიის საკითხში აფხაზთა შეგნებულმა საზოგადოებამ მოკლედ მოჭრა, რა განაცხადა თავისი ურყევი სურვილი წერილობით შუამდგომლობისა თუ დეპუტაციის პირით. სოხუმის ეპარქიას სურს დარჩენა. პატივი ეცით ამ სურვილს, რომელიც მრავალი საუკუნის ისტორიული სინამდვილის და სამართლიანობის ხმა არისო."[1654]

აფხაზთა დეპუტაცია აგრეთვე შეხვედრია კავკასის მეფისნაცვლის თანაშემწეს ვ. არლოვს, რომელსაც განუცხადებია, რომ ამთავითვე სამურზაყანოს სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე იქნება, ხოლო აფხაზეთის დანარჩენ ადგილებში სწავლება სავალდებულო გახდებაო. მასვე დაუმშვიდებია დეპუტაცია, რომ „თქვენი კუთხის ყოველგვარ საჭიროებას მეტის ყურადღებით მოეპყრობა მთავრობაო."[1655]

აფხაზებისა და ქართველი საზოგადოების მოთხოვნით რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, ხელი აეღო თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ემხილებინათ რუსეთის ძალმომრეობა. 1916 წლის 9 მაისს სტოკჰოლმიდან „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგამ," რომელშიც გაერთიანებული იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ერის წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვუდრო უილსონს ვაშინგტონში ტელეგრამა გაუგზავნა. ტექსტს ქართველი ერის სახელით ხელს აწერდა მიხაკო წერეთელი. ტელეგრამის ტექსტში ქართველი ერის სარწმუნოებრივ უუფლებობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.[1656]

იმავე, 1916 წელს „თავისუფალი საქართველოს კომიტეტმა" შვეიცარიაში გამოაქვეყნა „მიმართვა განათლებულ კაცობრიობას" ამ მიმართვაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს ეკლესიის საკითხებს. მასში აღნიშნული იყო, რომ რუსეთმა „მოსპო საქართველოს ავტონომია, ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც საქართველოს მინიჭებული ჰქონდა ათას წელზე მეტი, და რომელსაც მუდამ პატივს სცემდნენ აზიელნი მტერნი, მოსპობილ იქმნა რუსეთისაგან წინააღმდეგ საეკლესიო კანონისა და ერის სურვილისა... გარუსების პოლიტიკა ბატონობს თვით სარწმუნოების საკითხშიაც კი. ეკლესიებში ქართული ენის ადგილი დაიჭირა სლავიანურმა."[1657]

1654 აფხაზეთი დეპუტაცია, გაზეთის „საქართველო," 1916, 99, 4 მაისი; შდრ. აფხაზეთი დეპუტაცია ექსარხოსთან, თბილისი, 5 მაისი, გაზეთი „საქართველო," 1916, 100, 5 მაისი, გვ. 2.

1655 აფხაზეთი დეპუტაცია ექსარხოსთან, თბილისი, 5 მაისი, გაზეთი „საქართველო," 1916, 100, 5 მაისი, გვ. 3.

1656 გაზეთი „ქართული გაზეთი," 1916, 6, გვ. 3.

1657 ჟურნალი „მნათობი," 1993, 2, გვ. 120.

1916 წლის 8 ივლისს ქალაქ ლოზანაში მესამე სამშვიდობო კონფერენციაზე გამოსულმა მიხაკო წერეთელმა მსმენელებს განუცხადა, რომ ერთმორწმუნე რუსეთმა ფეხქვეშ გათელა ქართველი ერის სარწმუნოებრივი უფლებანი, რის გამოც ის პოლიტიკურ ჩაგვრასთან ერთად რელიგიურ დისკრიმინაციასაც განიცდის. მან მოუწოდა ევროპას, ხმა ამოეღო რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.[1658] თუმცა მიხაკო წერეთლის გამოსვლის გამო კონფერენციას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ მან ერთხელ კიდევ შეახსენა ევროპას რუსეთის უღელქვეშ მყოფი საქართველოს მძიმე ხვედრი.

1916 წლის მეორე ნახევრიდან ავტოკეფალისტთა მოძრაობა გააქტიურდა. მართალია, ახალი ეგზარქოსი პლატონი ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნას არ იზიარებდა, მაგრამ დაწყებული მოძრაობის შეჩერება მას უკვე აღარ შეეძლო. მრვალრიცხოვან ქართველ სასულიერო პირთა ხელმოწერით იმპერატორს წარედგინა თხოვნა, რომ რუსეთის მიყრუებულ ეპარქიებში ექსორიაში მყოფი ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, დავით კაჭახიძე და არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია სამშობლოში დაებრუნებინათ.

1916 წლის 15 დეკემბრს საქართველოს ეგზარქოსიის გვერდის ავლით ჩატარებულმა ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით. ყრილობაზე დამტკიცებული მიმართვის ადრესატი იყო კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. მიმართვას ხელს აწერდა ყრილობის თავმჯდომარე დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, დეკანოზი სოლომონ შოშიაშვილი და ყრილობის მონაწილე ქართველი და რუსი სასულიერო პირები. წინასწარი შეთანხმებით, აღნიშნული მიმართვა ეგზარქოსს უნდა გადაეცა მეფისნაცვლისთვის, მაგრამ მან ქართლ-კახეთის სამღვდელოების დავალება შეგნებულად არ შეასრულა და მიმართვა კავკასიის მეფისნაცვალს არ წარუდგინა.[1659]

რამდენიმე დღის შემდეგ, ქართველმა სამღვდელოებამ აღნიშნულის შესახებ შეახსენა საქართველოს ეგზარქოს და თან აუწყა, რომ პრესაში უკვე რამდენიმე დღეა ინფორმაცია დაბეჭდილი იყო ქართლ-კახეთის საეკლესიო კრების გადაწყვეტილების შესახებ. ქართველი სამღვდელოების ვიზიტის მიზეზით განაწყენებულმა საქართველოს ეგზარქოსმა მათ პირდაპირ განუცხადა, რომ „მე პრინციპიალურად საქართველოს ავტოკეფალიის წინააღმდეგი ვარ." აღმოჩნდა, რომ კრების გადაწყვეტილება ეგზარქოსთან ინახებოდა. საქართველოს ეგზარქოსის განცხადებით, კავკასიის მეფისნაცვალს საჭიროდ არ მიუჩნევია აღნიშნული საკითხის განხილვა, რადგან, „როდესაც მსოფლიო კრება ჩატარდება, მაშინ შეიძლება მაგ საკითხვის აღძვრაო."[1660]

ქართლ-კახეთის სამღვდელოების მსგავსად, 1916 წლის 17 დეკემბერს იმერეთის სამღვდელოების კრებამ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო

1658 ჟურნალი „მნათობი," 1993, 2, გვ. 120.

1659 გაზეთი „საქართველო," 1916, 285, 21 დეკემბერი, გვ. 2.

1660 გაზეთი „საქართველო," 1916, 287, 23 დეკემბერი, გვ. 3.

და ამავე კრების გადაწყვეტილებით შექმნილ დეპუტაციას – ბლაღოჩინს სამსონ დევიძეს, მღვდელ კონსტანტინე ანთაძეს და დ. ჩხაიძეს დაევალა აღნიშნული გადაწყვეტილების წარდგენა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე ავტოკეფალიის საკითხის დაჩქარების შესახებ. აღნიშნული შესახებ იმერეთის ეპისკოპოსმა დეპეშით საქართველოს ეგზარქოსისაგან გამოითხოვა ნებართვა. თბილისში ჩასულ დეპუტაციას ეგზარქოსმა განუცხადა, კავკასიის მეფისნაცვალი მზადაა დეპუტაციასთან შესახვედრად, მაგრამ იგი ვერ მიიღებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოხსენებას იმის გამო, რომ რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით ეს საკითხის უნდა განიხილოს მომავალმა საეკლესიო კრებამ. ასეთი პასუხის შემდეგ იმერეთის დეპუტაცია უკან დაბრუნებულა.[1661]


ცოტა მოგვიანებით, 1917 წლის დასაწყისში, იგივე მოთხოვნით გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაცია წარმდგარა მეფისნაცვლის წინაშე და გადაუცია თხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების აღდგენის საქმეში დახმარების გაწევის შესახებ. მეფისნაცვალს დეპუტაციისათვის განუცხადებია, რომ საქართველოს ეგზარქოსმა მას გადასცა სხვა ეპარქიების შუამდგომლობა, რომელიც გაიგზავნა პეტროგრადში, სადაც მისი განხილვა უნდა მოხდესო.[1662] საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში მხოლოდ ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინახება მიმართული კავკასიის მეფისნაცვლისადმი.[1663] არქივში არ არის იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოების მიმართვები. სამაგიეროდ დაცულია კავკასიის მეფისნაცვალ, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვისადმი მირთმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამღვდელოების მიმართვა. როგორ ჩანს, როდესაც ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამღვდელოების ცალ-ცალკე მოთხოვნებს, ქართველ სამღვდელოებას საჭიროდ მიუჩნევიათ ერთიანი მოთხოვნის წარდგენა კავკასიის მეფისნაცვლისადმი. ამას გვაფიქრებინებს მიმართვის ფორმა, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან აქ შეკრებილი საქართველოს ეკლესიის წევრნი და ქართული ქალაქების არჩეულნი პირნი დაბეჯითებით ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას გაუწიოთ თქვენი მძლავრი მხარდაჭერა ორივე ქართული გუბერნიის სამღვდელოების მიერ აღძრულ შუამდგომლობას მისი უდიდებულებისა და სამთვრობო სინოდის წინაშე." მიმართვაში ხაზგასმულია, რომ უძველესი დროიდან ეკლესია დიდი როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ნუგეშს სცემდა, ამხნევებდა და წარმართავდა მას ქრისტიანული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საუკეთესო ძალისხმევისა და იდეალების მიმართულებით. „ამ-

1661 გაზეთი „საქართველო," 1916, 291, 30 დეკემბერი, გვ. 3.

1662 გაზეთი „საქართველო," 1917, 47, 1 მარტი, გვ. 2.

1663 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 24429, ფურცელი 1-6.

ჟამად კი – აღნიშნულია მიმართვაში – ქართველი ხალხის სრულიად უცხო რუსი ეგზარქოსების მიერ საქართველოს ეკლესიის ასწლოვანი მართვის შემდეგ, რელიგიურობის მიხედვით ქართული სამწყსო მეზობელ ხალხებს შეუდარებლად ჩამოუვარდება. ქართველი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილში რწმენა ჩაკლულია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სხვებში ძლიერ შესუსტებულია და შეცვლილია უკიდურესი ინდეფერენტიზმით. ქართველმა მრევლმა სრულიად ზურგი შეაქცია ეკლესიებს, რომელიც ადრე მოკრძალებული თაყვანისცემის საგანი იყო და რომლებიც ამჟამად ცარიელია დიდი დღესასწაულების დროსაც კი. უფრო მეტიც, ისინი ყოველდღიურად მკრეხელურად იძარცვება, რაც ადრე ჩვენში წარმოუდგენელი იყო. ქართველი მოძღვრების მიმართ დამოკიდებულება არანაკლებ უხუგეშოა. მრევლი განუდგა ანტიხალხური სულისკვეთებით აღზრდილ თავის სამღვდელოებას და გადაჭრით თქვა უარი რაიმე დახმარება გაუწიოს საკუთარ მოძღვარს საეკლესიო სამსახურის შესრულების დროს." მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის ასწლოვანი ბატონობის შემდეგ, რუსულ სასულიერო ბიუროკრატიაზე დამოკიდებული საქართველოს ეკლესია ცოცხალ-მკვდარი ორგანიზმია. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიმართვის ავტორებს მიაჩნიათ, რომ, „საქართველოში მართლმადიდებლობის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ კანონიკურად არჩეული კათოლიკოსის მთელი მისი უფლებებითა და მოვალეობების აღდგენით. მისი აღდგენა აღმოფხვრის ასწლოვან უსამართლობას, ხელს შეუწყობს რუსეთთან საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობის განმტკიცებას, რადგან ამ ერთიანობას არაფერი არ ასუსტებს ისე ძლიერ, როგორც ქართველი ხალხის უმაღლესი უფლებების შეზღუდვა, იმ უფლებების შეზღუდვა, რომლითაც მთელი სისრულით სარგებლობენ რუსეთის იმპერიაში შემავალი მეზობელი ხალხები." მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ „...ცნობა იმის შესახებ, რომ იქმნება პროექტი კავკასიის ეკლესიისა, რომლის სათავეში იქნება კავკასიის მიტროპოლიტი და რომელშიც იქმნება ავტონომიური სამრევლოები, საქართველოს სამწყსოზე უკიდურესად მძიმე და დამამწუხრებელი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ყველა ქართველმა ამ პროექტში დაინახა, და სრულიად საფუძვლიანად, მცდელობა წაართვან ქართულ ეკლესიას მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული არსებობის უკანასკნელი ნაშთიც და ათქვიფონ ნახევარ მილიონიანი მართლმადიდებელი ქართული მოსახლეობა ოთხმილიონიანი კავკასიური მართლმადიდებელი მოსახლეობის მასაში." მიმართვის დასარულს აღნიშნულია: „ქართული სამწყსო შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მისი საერთო სურვილის – კანონიკური ავტოკეფალიის, არჩევითი კათოლიკოსით სათავეში, აღდგენით. ჩვენ ვსულდგმულობთ დიდი იმედით, რომ ქართული სამწყსოს საერთო სწრაფვა განხორციელებული იქმნება სულ ახლო მომავალში თქვენი ბრწყინვალების უბრწყინვალესი და სამართლიანი გამოსარჩლების წყალობით და საქართველოს ეკლესია მთელი სისრულით მიიღებს თავის ძველ კანონიკურ მოწყობას და



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების აქტი

ეს კეთილისმყოფელი რეფორმები, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი ისე სახელმწიფო ინტერესებისათვის, დაუკავშირდება თქვენი ბრწყინვალების სახელს..."[1664]

ხელნაწერის სახით საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული აღნიშნული დოკუმენტი უთარიღოა.[1665] ჩვენი აზრით, იგი 1917 წლის დასაწყისში უნდა შედგენილიყო და ამავე წელს უნდა წარდგენოდა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს. ქართველი სამღვდელოების აღნიშნულ მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა, რაზეც ალბათ გარკვეული გავლენა 1917 წლის დასაწყისში რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა იქონია.

მეფის ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1917 წლის 27 თებერვალს ცარიზმის დამხობამ ხელ-ფეხი გაუხსნა ქართველ ავტოკეფალისტებს. რუსეთში შექმნილმა დროებითმა მთავრობამ მართალია სარწმუნოების თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ არც მას და არც საქართველოში შექმნილ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს (ოზაკომი) ყურადღება არ მიუქცევია ქართველი ავტოკეფალისტებისათვის.

1664 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 26894, ფურცელი 1-4.

1665 საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 26894, ფურცელი 1-4.

შეცვლილი პოლიტიკური ვითარება ქართველმა სამღვდელოებამ თავის სასარგებლოდ კარგად გამოიყენა. აშკარა იყო, რომ ახალ ვითარებაშიც მათ კანონიერ გადაწყვეტილებას დიდი დაბრკოლებები შეექმნებოდა. ქართველ სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, 1917 წლის 25 (12) მარტს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვანი სასულიერო და საერო პირთა თანდასწრებით მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოცხადდა.

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ შექმნილმა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობამ (თავმჯდომარე ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე) სასულიერო და საერო პირებისაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად დიდი სამუშაო გასწია ავტოკეფალიის აღიარებისათვის. მათ მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ეცნობა რუსეთის დროებით მთავრობას, რუსეთის უწმინდეს სინოდს, ყოფილ ეგზარქოს პლატონს (როჟდესტვენსკის) და ადგილობრივ ამიერკავკასიის დროებით მთავრობას.

რუსეთის უწმინდესმა სინოდმა უარყოფითი პოზიცია გამოხატა საქართველოს ეკლესიის ავტკეფალიის მიმართ. იგი ქართველ სამღვდელოებას ბრალს სდებდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა რელიგიური უფლებების დარღვევაში. მცხეთის კრების დადგენილებას არც ეგზარქოსი პლატონი დაემორჩილა; საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციას მან მკვახედ განუცხადა: „...მე მოვახსენებ უწმინდეს სინოდს და დავუცდი მის განკარგულებას, ჯერ-ჯერობით კი ვრჩები... თქვენს ეგზარხოსად და ვისარგებლებ ეგზარხოსის უფლებითა და ძალაუფლებით." ქართველ სასულიერო პირთა პოზიცია მყარი იყო: „როგორი პასუხიც არ უნდა მივიღოთ, ეს ჩვენ სრულებით არ შეგვეხება, ისევ ზეპირად გიმეორებთ, რომ ამიერიდან თქვენ არ ბრძანდებით ეგზარქოსი და საქართველოს ეკლესიის ყველა ფუნქცია გადმოდის ჩემს ხელში" – ეგზარქოსის პასუხად განაცხადა ეპისკოპოსმა ცლეონიდემ.[1666]

ყოფილი ეგზარქოსის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველმა სამღვდელოებამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა რუსეთის უწმიდეს სინოდთან, ყოფილ საეგზარქოსოსთან, ეკლესია-მონასტრებში აღადგინა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და ქართული საეკლესიო საგალობლები.

ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი საზოგადოების კანონიერ გადაწყვეტილებას დიდი დაბრკოლებები შეექმა. რუსეთის დროებითმა მთავრობა აღდგენილი ავტოკეფალია საეკლესიო კანონიკის დარღვევით ეროვნული ნიშნით სცნო, რის გამოც არაქართველი მრევლისათვის საქართველოში დაარსდა კავკასიის საეგზარქოსო. ქართველმა სამღვდელოებამ აღნიშნულ წინააღმდეგობას თავი გაართვა. 1917 წლის სეტემბერში ჩატარებულმა საეკლესიო კრებამ არ გაითვალისწინა რუსეთის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება და ავტოკეფალური საქართველოს ეკლესიის მმართვ-

1666 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბ., 2017, გვ. 111.



1917 წლის სექტემბერში ჩატარებული პირველი საეკლესიო კრების მონაწილენი

ელობა საეკლესიო კანონიკის საფუძველზე ტერიტორიული ნიშნით მოანყო. მალევე საქართველოს დემოკრატიული მთავრობის გადაწყვეტილებით, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამო, გაუქმდა კავკასიის საეგზარქოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაც არაქართველი მრევლიც დაემორჩილა. ეგზარქოსყოფილი პლატონი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ პეტროგრადში გაემგზავრა, ერთხანს კავკასიის ეგზარქოსად ითვლებოდა. რუსეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, იგი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა და მიტროპოლიტის ხარისხით სხვადასხვა ეპარქიას მართავდა. 1920 წელს მიტროპოლიტი პლატონი ემიგრაციაში აშშ-ში წავიდა, სადაც რუსი ემიგრანტებისათვის დაარსა ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია და მის მმართველად იქნა დანიშნული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. 1924 წელს რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა (ბელავინი) იგი გადაყენებულად გამოაცხადა, მაგრამ არ დაემორჩილა სინოდის გადაწყვეტილებას და ჩრდილოეთ-ამერიკის ეპარქია თვითმართველ ეპარქიად გამოაცხადა. გარდაიცვალა 1934 წლის 20 აპრილს, დასაფლავებულია პენსილვანიის შტატში, საუნტ-კეინანში წმ. ტიხონის მონასტრის სასაფლაოზე.[1667]

1667 А. А. Кострюков, Русская Зарубежная Церковь в первой половине 1920-х годов. Организация церковного управления в эмиграции и его отношения с Московской Патриархией при жизни Патриарха Тихона, М., 2007, стр. 398; შდრ. А. А. Кострюков, Русская Зарубежная Церковь в 1925-1938 гг. Юрисдикционные конфликты и отношения с московской церковной властью, М., 2011, стр. 624.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ მართალია, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფალთა ძალადობით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დამოუკიდებლობა ჰქონდა შეჩერებული, მაგრამ მოწინავე ქართველი საზოგადოების, სამღვდელოებისა და რაც მთავარია მორწმუნე მრევლის დიდი ძალისხმევით შენარჩუნებული იქნა მრავალსაუკუნოვანი სარწმუნოებრივი და ეროვნული ტრადიციები. გარდა ამისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენა იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც იყო წინაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ავტოკეფალიის აღდგენამ სულიერად მოამზადა ქართველი ხალხი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის, რასაც მალე, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება დიდ ეროვნულ დღესასწაულად იქცა, რომელიც ქართველებთან ერთად საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმაც გაიზიარეს.

Eldar Bubulashvili

GEORGIAN ORTHODOX CHURCH DURING THE EXARCHATE (1811-1917)

RESUME

The present publication deals with the state of the Orthodox Church of Georgia during the Exarchate with its lost autocephaly, the material had been kept in the Georgian and foreign archives until it was found out by us on the basis of written sources, documentary material and relevant historiographical research. The present publication is based on both Georgian and foreign material of the periodical press, epigraphic scriptures, memorial literature, etc.

Before the extinction of the Kingdom of Kartl-Kakheti, Russia showed great interest in the state of the Georgian Orthodox Church. This interest is well shown in the political inter-relations that had existed between these two countries for ages. By article #8 of Georgievsky Tractate signed in 1783, the rights of the autocephalous Orthodox Church of Georgia were considerably restricted. It occupied the eighth places among the High Clergy of Russia, which was a strong violation of rights according to Church law. Since the time of Peter I, after the extinction of Patriarchal institution, there was not a single clergy in the Russian Church that would be hierarchially equal to the Shepherd of the Church of Georgia.

After the extinction of the kingdom of Kartl-Kakheti, the Russian Tsarism immediately started struggling actively for the abolition of the autocephaly of the Georgian Church. It was evident, that in the country which had lost its stenood, the government would not put up with the existence of the autocephalous Church. The Russian government wished to put an end to the national inspiration and make it one of the eparchies depended on the Russian Synod. Thus, they used all means to abolish the self-management of the Georgian Church.

After losing its statehood, the government was unable to abolish the autocephaly of the Church, due to the great services done for the Church of Georgia by Anton II – the shepherd of the Georgian Church of that time. Thanks to the diplomatic policy carried out towards the government, be managed to keep the independence of the Church for 10 years. After abolishing the kingdom, Russian officials actively interfered in the home affairs of Catholicos Anton and restricted his rights by making a mess in church. With the aim of introducing disorder in the management of the Church, he was opposed by a part of the Georgian Clergy.

In the autumn of 1810, the High Priest A. Tarmasov, made Anton II give up management of the Church by using tricks and sent him to Russia. By sending him away from Georgia, the government managed to settle several issues: on the one hand it got rid of the rebellions

Catholicos, who belonged to the Bagrationis, and on the other hand, July 30, 1811, witnessed the abolition of the Georgian Church autocephaly.

After the extinction of Mtskheta "Sacatalicosoba", the government faced another problem – abolition of the Church independence of West Georgia, but in 1810-1811, they couldn't achieve their goal because of the existing situation in Imereti.

In 1814, "Sacatalicosoba" in West Georgia was abolished in a comparatively quiet situation.

Tsarism achieved an important political victory by abolishing Georgian Church autocephaly.

Russian reactionary forces knew very well, that it was necessary to destroy the only spiritual pillar for the assimilation of the Georgian people, where religious services were carried out in Georgian.

After the abolition of autocephaly, the government started reorganization of the Georgian Church the way to make it a part of the Russian Synod. The process of introducing a new management into the Church of Georgia wasn't a quick one. It was realized in several stages. The first stage (1811-1814) led by Exarch Varlam Eristavi, included reduction of Eparches, Churches and monasteries in Eastern Georgia and the establishment of Theological Picasteri. The second stage (1814-1817) included the design formed by an Archbishop D. Pirstkhalaishvili according to which a SynodalTbilisi-Imereti office was established in Tbilisi. At the same time, certain changes were carried out in Western Georgia.

The third stage of the Georgian Church reorganization is connected with the name of Exarc Teophile Rusanov. The changes introduced by him existed till the 80-s of the XIX c. The changes introduced by the Russian Synod in 1885 refered to the Eparchies under Exarchate. By that time Eparchial offices were founded under the Eparchies of Imereti, Guria and Samegrelo.

With the purpose of perfect management of Eparchies operating under Georgian Egzarch, in 1867, by decision of Synod and agreement by the local High priests, the Clergy called a Counsel once or twice a year and they were attended by chosen Priests from the Parish The rights of Eparchial Counsels were considerably restricted. Their activities were allowed in case of discussing financial affairs of Theological Institutions.

As a result of all the mentioned changes in the Georgian church, there appeared new terms, such as Exarch – Vicar – Bishop, Blagochini etc.

The goal of all reorganizations in the Georgian church was as follows: to make the Georgian church look similar to the Russian one not only from the structural point of view, but also from the point of view of Church property. There was a great difference between them. The Russian government paid great alleution to the registration of all church property.

As a result of carried out changes, in the 20-s of the XIX c., the Georgian Church peasantry was considered to be a part of the Georgian – Imereti Synodal office, with it's real estate property at the beginning, as for the year 1853, the Georgian church property, with the church peasanty among them, became paif of the State treasury, but not in full possession as the church

peasantry kept the same status. Later, in 1869, the church property of Kartl-Kakheti, still belonged to the State treasury. The same process was carried out in Imereti and Guria in 1871, as for Samegrelo, it took place in 1880. By the above mentioned measures, church peasants were turned into treasury.

The measures taken by the Russian government affected monasterial life as well, whose number was considerably reduced after the abolition of autocephaly. Like all the monasteries existing in Russia, Georgian monasteries weer divided into three categories according to their income. Several Georgian monasteries belonged to the first and second categories. Most monasteries were basically considered to belong to the third category. The majority of active Georgian monasteries included the Russian monks brought from Russia. High priests were mostly Russians. As a result of the measures carried out by the government, the traditions of Georgian monasterial life were broken, and they were substituted by the Slavish ones.

After the abolition of autocephaly, the Russian government introduced the title of Exarch instead of Catolicos-Patriarch as head of the Georgian Church. In the old Roman Byzantine times, it was a secular and theological title. By remembering and restoring this title, the governing circles of Russia pretended to render great respect to the Georgian Church that had been deprived of autocephaly. True, there was not a single High Priest in the Synod, bearing such a High title, but, in fact, the Georgian Exarc had no privileges in comparison with them. In most cases, he had fewer rights in management than any Russian Eparchy. The Exarch of Georgia had just one privilege . He had a constant 4th place in the Russian Synod. He occupied a permanent place in the Russian Synod.

Exarchs working in Georgia always obeyed the rules of the Synod. They were always at the service of the Empire. A person, nominated to be an exarch, had to go through special elections. He was chosen carefully, this position was nominated by the Emperor recommended by Synod. He was to be quite reliable, ready to die for the interests of the Empire, a person experienced in theological activities.

Exarchs of the Church of Georgia managed it for a century and 6 years. During this period, only nineteen Exarchs managed to work in Georgia. The majority of the Exarchs was remembered as the ones who carried out anti-Georgian activities and also robbing Georgian churches and monasteries. Only some of the Exarchs: Nikoloz Nalimov (1905-1906), Pitirim Oknov (1914-1915) deserved a good name among the Georgians.

In accordance with the change of the Russian church policy, came the change of the Exarchate activities. In the second half of the XIX c. up to the end of the 50-s, due to the liberal policy, the Exarchate of Georgia and the Exarch Isidor Nikolski (1844-1857) who was active at work at that time, there were no harsh activities against the Georgians thanks to his peaceful policy.

The Church of Georgia and the Georgian clergy had been taking an active part in the National Liberation movement of the Georgians since ancient times. Due to the National interests, they were actively involved in the political life, and supported every single decision of the secular government. After losing their statehood and autocephaly, the Georgian Clergy took an active

part in the activities directed against the Russian government. In spite of hard repressions on the part of the government, the Georgian Clergy, before the loss of Georgian Church autocephaly, had actively fought for the restoration of the lost statehood. In this respect, it is important to mention their 1802 participation in Kelmenchuri conspiracy and also their 1804 Mtiuleti and 1812 Kakheti rebellion.

It is true, that because of the loss of autocephaly, the Georgian Clergy did not openly show its protest, but their participation in the following period national liberation movement is the proof that, together with the loss of the Georgian statehood, they protested against the abolition of state autocephaly.

The Georgian Clergy took an active part in the riot of 1819-1890 in Western Georgian and the 1832 conspiracy.

From the second half of the XIX c., the Tsarism reactionary church policy became more evident. At this period, the real-estate possessions of the Georgian church belonged to the state treasury, thanks to which the state budget had considerably increased. Due to the above mentioned, the Georgian church lost its own economical base, and it became financially dependent upon the state. Deprived of its own income, the Georgian Clergy received their salary from the state treasury. With such policy, Tsarism made the clergy obey their will and become state officials. Thus, the clergy dependant on the foreign power, the Clergy became distant from their parish. The clergy who found themselves under the foreign power, could not answer the requirements of the Georgians authority among them.

In the second half of the XIX c., hard results of the abolishment of autocephaly became evident. Slavish rule was legalized in Liturgy, old Georgian church hymns were changed. The government tried to conduct all religious ceremonies in the Russian language in all the churches, but they managed to realize their goal only partially. In the mixed parish (Georgians, Russians, etc.) church service was conducted in Russian, but in Georgian settlements it was conducted in their native language. At the same time churches named after Russian Saints had increased in number (Alexander Nevski and Mikheil Tvereli). The Exarch didn't mention the names of Georgian King-Saints – King Tamar, Davit the Builder, Queen Ketevan, etc.

Certain changes were introduced in the titles of the Exarchs. From the end of the 50-s of the XIX c. Instead of the title of Metropolitan, they bore the title of Archbishop. The above mentioned decision pointed to the fact that the government wanted to substitute the title of Exarch by a comparatively lower church title. Out of four permanent members in the Synod, there were three Metropolitans, the fourth was Exarch of Georgia. From the 60-s of the XIX c. he bore the title of Archbishop Instead, the government awarded the former Exarch the title of Metropolitan and a high position for his "great Merits".

Colonial policy of the Russian government was served by Missionary societies and Theologically founded on the Georgian Exarch bases.

One part of the Georgian Clergy, who was active at work in the second half of the XIX c., raised its voice against the antigeorgian church policy led by the Russian government. The most

remarkable figures among them were those ones, canonized by the Orthodox church of Georgia, Bishop Gabriel, Alexander Okropiridze and some others. The life and activities of both of them point to the fact that the Tsarist rusification policy didn't help them achieve a desirable goal. True, since their childhood, they shared Russian culture and recieved education in the same language, but rusificatory regime couldn't kill enormous love for their native land.

In the second half of the XIX c., the Georgian Clergy fought with ward and deed, unsparingly, they struggled for a corn of restoration in the nation and simultaneously struggled for the raise of national consciousness. They also played a great part in defending and saving cultural relics. They actively fought against the anti-Georgian regime reigning in educational institutions; they fought against anti-Georgian activities, etc. In the preachings uttered before the believers, they stressed vicious sides and supported its elimination with their practical work. From the 80-s of XIX c. the Georgian national-patriarchal spirit of the Georgian Clergy and the strengthening of the Christian faith were served by Archbishop David Gambashidze. He edited a religious magazine in the Georgian language "Shepherd" in the settlement of Zestaponi at his own expense. In 1886-1903, a journal was released by him in the Russian language for non-Georgian readers under the title of "Пастир" in the Russian language. The present publication also deals with the periodic history of Theological publication in the first twentieth of the XX c. A new generation led by Ilia Chavchavadze "the Tergdaleulebi", played a great role in the rights of the Georgian Church, which has been deprived of autocephaly since the 1960-s. They have given an important place to the protection of the rights of the Georgian Church in their national program. They sympathized with the plight of the Georgians of different faiths – Georgian Catholics, Georgian Muslims and Gregorian Georgians.

The Tergdaleans paid great attention to the issues of teaching the Georgian language in Theological institutions. They raised their voices against the Russian Clergy when, in the 70-s of the nineteenth century, the Georgian language was threatened.

From the second half of the nineteenth, the advanced Georgian society, including the clergy, actively fought to preserve the old ecclesiastical traditions and cultural values that were threatened with extinction during the exarchate. The first attention was paid to Georgian hymns.

In order to save the church hymns that were on the verge of extinction, the "Georgian Church Chant Restoration Commission" was established in 1860 (the purpose of which was to record the hymns on notes. With the support of the society, hymns were recorded on notes in Eastern Georgia.

Bishop Gabriel Kikodze, professional musician F. Koridze and others put a lot of effort into saving the hymns in Western Georgia.

In the 80-s of the nineteenth century, great attention was paid to the abandoned church sanctuaries in churches and monasteries. In order to save them, in 1889 the historian Dimitri Bakradze established an ecclesiastical museum in the yard of Zion, Tbilisi. During its existence, the Ecclesiastical Museum has played a great role not only in the preservation of old Georgian manuscripts and ecclesiastical relics, but also a kind of scientific center.

In the last quarter of the nineteenth century, special attention was paid to the study of the Georgian Church. At the same time, interesting materials on certain issues of the history of the Georgian Church were published in the Russian and Georgian periodicals. The purpose of the publications was to keep the Georgian people from the past of the Georgian Church forgotten during the Exarchate.

During the revolution of 1905-1907, with the awakening of national forces, the Georgian Clergy began an active struggle to restore the autocephaly of the Georgian Church. During the revolution, the autocephalous movement acquired a special political meaning. Though the political parties, who stood on atheistic positions, didn't sympathize with autocephalous movement and criticized churches. The Social-Federal party, the fractional group within it and the future national-democrats supported autocephalists and even practically participated in the movement.

The leading part of the Georgian public strugled on the side of the autocephalists: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Archil Giorgadze, Iacob Gogebashvili and the rest. With the request of receiving autocephaly, they sent several appeals to the High representative of the King in Georgia, I. Vorontsov-Dashkov, who kept silence to their just demand.

In 1906, the commission founded under Synod, discussed the issue of the Georgians in respect of the restoration of the Georgian church autocephaly. The Georgian side was represented by the High Clergy: Kirion Sadzaglishvili, Leonide Okropiridze and also Alexandre Khakhanashvili and Alexandre Tsagareli participated on the Georgian side. Synod refused to fulfill the canonical request of the Georgian side, seeing in it signs of separatism.

But there was no unity among the autocephalists. A part of them stood for the union with the Roman Church, some depended on the contact with Constantinople World Patriarch, some others expected suitable conditions and time to achieve their purpose. Some autocephalists were satisfied with appointing a Georgian Exarch.

From the 10-s of the XX c., autocephalous movement acquired a political meaning at the beginning. Leaders of some political parties from high tribunes supported the restoration of the Georgian Church independence. In this respect, the fourth counsel of December 13, was of great importance, namely the speech, made by socialist-federalist V. Gelovani. A little earlier, on March 6, 1912, the state 85 counsel, Social-Democrat V. Gegechkori didn't support the demand for autocephaly, but he expressed his support for the freedom of Synod.

At the same time, the struggle for the Georgian Church autocephaly became an affair on international scale, the greatest role of which was played by V. Cherkezishvili and M. Tsereteli.

After the fall of the Tsar's state, on March 12, 1917, the Georgian Orthodox Church Autocephaly was announced, which meant the precondition of the restoration of the Georgian Statehood. Restoration of autocephaly spiritually prepared the Georgian People for freedom.



გამომცემლობა „ახალი ივერონი"
2022

გასამრჯელოს გარეშე ცდილობდნენ დამპყრობლის სურვილის საწინააღმდეგოდ გადაერჩინათ უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლები. ავტოკეფალიის გაუქმებამდე, საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვის მოთხოვნით, ზოგიერთ ქართულ ეკლესიაში, ქართული გალობის ნაცვლად, სლავური გალობა შემოიღეს. მაგალითად, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. აქ მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1806 წელს სლავური გალობა ქაშუეთის ტაძარში დაკანონდა. უსახსროდ დარჩენილი ქართველ მგალობელთა გუნდი კი დაიშალა.[948] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.), ქართულ საეკლესიო საგალობლებს გადაგვარების საფრთხე დაემუქრა. საქართველოს ეგზარქოსების სურვილი იყო წირვა-ლოცვის დროს სლავური საგალობლების შემოღება და ქართულის განდევნა. ნაწილობრივ ამას მიაღწიეს იქ, სადაც არაქართველი და შერეული მრევლი არსებობდა, მაგრამ ქართულ სამრევლოებში, სლავურ გალობასთან ერთად, ქართულიც დატოვეს. თუმცა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგულიყო. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821), რომლის ბრძანებით თბილისის ეკლესიებში და სასულიერო სასწავლებლებში, როგორც წყაროები გადმოგვცემენ, „ამან აღიღო გალობა ქართული და ნაცვლად მისსა მოაყოლა გალობა ქართულის ენით რუსთა და ლათინთა კილოზედა."[949] საქართველოში მოღვაწე რუსი საერო და სასულიერო მოხელეები საერთოდ არ ზრუნავდნენ თუნდაც სლავურ კილოზე ქართული გალობის სწავლებისათვის. 1817 წელს თბილისში დაარსებული სასულიერო სემინარიის პროგრამაში არ შეიტანეს ქართული გალობის სწავლება იმ მოტივით, თითქოს ამ საგნის სპეციალისტები იმ დროს არ მოიძებნებოდნენ. სამაგიეროდ, ეგზარქოს თეოფილაქტეს მითითებით, თბილისის სასულიერო სემინარიაში და მასთან არსებულ ორწლიან სასულიერო სასწავლებელში გაიხსნა საეკლესიო სლავური საგალობლების შემსწავლელი კლასი, მაგრამ მალევე იმავე ეგზარქოსის ბრძანებით სასულიერო სასწავლებლებში გაუქმდა სლავური საგალობლების შესწავლა. მოტივად დასახელებული იყო მოსწავლეთა გულგრილი დამოკიდებულება და მათი უნიჭობა.[950]

ეგზარქოსმა თეოფილაქტემ თავის მიზანს ვერ მიაღწია იმის გამო, რომ სასულიერო სასწავლებლებში სწავლება მოსწავლეთათვის მათთვის გაუგებარ, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მათთვის უცხო, სლავურ ენაზე ხდებოდა საგალობლების ტექსტის სწავლება, რის გამოც ისინი დიდ ინტერესს აღარ იჩენდნენ აღნიშნული საგნის მიმართ. ამას ემატებოდა ისიც, რომ სლავურ

948 АКТЫ, Т. I, 1867, стр. 182.

949 დ. ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმების 1744-1840 წწ., თბ., 1905, გვ. 113.

950 დ. ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმების 1744-1840 წწ., თბ., 1905, გვ. 113.